ა. გ. მოვსესიანი, ს.ბ. ოგნივცევი

მსოფლიო ეკონომიკა

სახელმძღვანელო

ტომი I

რუსულიდან თარგმნა შოთა ვეშაპიძემ

თბილისი

2003

უაკ (UDC) 33
მ 808

მოვსესიანი ა.გ., ოგნივცევი ს.ბ.
მსოფლიო ეკონომიკა: სახელმძღვანელო, ტომი I,
თარგმნილი რუსულიდან შ. ვეშაპიძის მიერ, თბილისი, 2003

წინამდებარე წიგნი ქართულ ენაზე ორ ტომად გამოდის. ეს სახელმძღვანელო გამოირჩევა ნოვატორული მიდგომით არა მარტო სასწავლო მასალის შინაარსისადმი და განსახილველი პრობლემების შერჩევისადმი, არამედ მისი გადმოცემითაც. მსოფლიო ეკონომიკის პრობლემები განიხილება ცოდნის მრავალი სფეროს მოშველიებით მეცნიერების სულ სხვადასხვა დარგებიდან — ისტორიით დაწყებული და ბიოლოგიითა და კიბერნეტიკით დამთავრებული.

წიგნი მაღალ პროფესიონალურ დონეზეა დაწერილი. ამასთან, მასალა გადმოცემულია მკითხველთან დიალოგის სტილში, ადვილად და მიმზიდველად, უამრავი საინტერესო ფაქტისა და ციფრების გამოყენებით.

წიგნი განკუთვნილია ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტების მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის, მკითხველთა ფართო წრისათვის.

სარედაქციო კოლეგია

პროფ. შოთა ვეშაპიძე (მთავარი რედაქტორი),
პროფ. ნანა ასლამაზიშვილი,
დოც. ეკა ლეკაშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე),
პროფ. ალექსანდრე ლონდარიძე,
დოც. ნინო პაპაჩაშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე),
დოც. ეკა სეფაშვილი.

© თბილისის სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტი
ISBN 99928-0-637-0

სარჩევი

შესავალი 9

თავი 1. ყველაფერი ეკონომიკის შესახებ 15
1.1. ფუნდამენტური ეკონომიკური კატეგორიები 16
1.2. ეკონომიკის ძირითადი კანონები 26
1.3. მრუდები, ეფექტები და პარადოქსები ეკონომიკაში 36
1.4. უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური თეორიები 42
1.5. ყველაზე ცნობილი ეკონომიკური მოდელები 57

თავი 2. მსოფლიო ეკონომიკის თეორიები 61
2.1. ცოტა რამ დიალექტიკაზე — საყოველთაო მეცნიერებაზე განვითარების შესახებ 62
2.2. მსოფლიო ეკონომიკის თეორიების კლასიფიკაცია 66
2.3. ირაციონალურ-ევოლუციური თეორიები 74

I ქარი. თანამედროვე მსოფლიო მეურნეობა 90

თავი 3. მსოფლიო მეურნეობის განვითარება და მეგაეკონომიკის წარმოშობა 90
3.1. ცოტა რამ კიბერნეტიკისა და ბაზრის შესახებ 92
3.2. გლობალიზაცია და მეგაეკონომიკის წარმოშობა 97
3.3. მეგაეკონომიკის თვითრეგულირების ძირითადი კონტურები 109

თავი 4. მსოფლიო მეურნეობის სუბიექტები და შრომის საერთაშორისო დანაწილება 120
4.1. მეგაეკონომიკის მოთამაშენი 121
4.2. სახელმწიფოები მეგაეკონომიკაში 123
4.3. ტრანსეროვნული კაპიტალი და მისი მოკავშირეები 127
4.4. ცენტრი და პერიფერია, საქონლის და ფულის წრებრუნვა მეგაეკონომიკაში 132

თავი 5. ტრანსნაციონალიზაცია როგორც მსოფლიო მეურნეობის
განვითარების წამყვანი ტენდენცია 144
5.1. ტრანსნაციონალიზაციის ძირითადი კატეგორიები 145
5.2. ტეკ-ის გენეზისი და ევოლუცია 149
5.3. ტეკ-ების როლი და ადგილი 154
5.4. ტრანსნაციონალიზაციის თეორია 163
5.5. ტრანსეროვნული ბანკები 168
5.6. ტეკ და ორგანიზაციული ფორმები 173
5.7. ტეკ-ის შიდა პოლიტიკა,ფილოსოფია და იდეოლოგია 177

II ქარი. გლობალიზაციის ტექნოლოგიები 187

თავი 6. ეკონომიკის ინფორმატიზაცია და ინფორმატიზაციის
ეკონომიკა 187
6.1. ინფორმაცია, ინფორმატიკა, ინფორმატიზაცია 187
6.2. ექვსი საინფორმაციო რევოლუცია 190
6.3. საინფორმაციო ინდუსტრია 195
6.4. საინფორმაციო ტექნოლოგიების დაიჯესტი 200
6.5. ინტერნეტ-ეკონომიკა 210
6.6. ინტერნეტი და საზოგადოება 224

თავი 7. მეგაეკონომიკის სატრანსპორტო არტერიები 229
7.1. ტრანსპორტის ისტორიიდან 229
7.2. სატრანსპორტო სისტემის როლი და სტრუქტურა 232
7.3. მთავარი — საზღვაო ტრანსპორტი 239
7.4. ძველი, კეთილი სარკინიგზო ხაზები 243
7.5. ავტომობილები, ავტომობილები... 246
7.6. საჰაერო ტრასები 248
7.7. სამდინარო გზები 249
7.8. სატრანსპორტო ტენდენციები და პერსპექტივები 251

თავი 8. ბაზრების გლობალიზაცია 255
8.1. საბაზრო ტექნოლოგიები 257
8.2. ბაზრების დიფერენციაცია და კლასიფიკაცია 262
8.3. ბაზრების ორგანიზაცია, სპეკულაცია და არბიტრაჟები 268
8.4. ფასწარმოქმნა: ფუნდამენტური და ტექნიკური ანალიზი 273
8.5. მეგაბაზრების რეფლექსურობა და ხარისხობრივი
თავისებურებანი 281

III ᲙᲐᲠᲘ. ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲣᲚᲘ ᲑᲐᲖᲐ 287

ᲗᲐᲕᲘ 9. ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲪᲘᲕᲘᲚᲘᲖᲐᲪᲘᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲔᲑᲘ 287
9.1. ᲙᲐᲜᲝᲜᲘ ᲓᲐ ᲬᲔᲡ-ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲐ 288
9.2. ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘ ᲬᲐᲜᲐᲛᲫᲦᲕᲐᲠᲘ 289
9.3. ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲐ, ᲘᲓᲔᲝᲚᲝᲒᲘᲐ ᲓᲐ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ 294
9.4. ᲐᲠᲐᲠᲔᲚᲘᲒᲘᲣᲠᲘ ᲘᲓᲔᲝᲚᲝᲒᲘᲔᲑᲘ 311
9.5. ᲔᲗᲘᲙᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲔᲤᲔᲥᲢᲘᲐᲜᲝᲑᲐ 312
9.6. ᲛᲔᲒᲐᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲘᲓᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲚᲔᲑᲘ 313

ᲗᲐᲕᲘ 10. ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲔᲑᲘ 315
10.1. ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲜᲘ 316
10.2. ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲫᲚᲐᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ 317
10.3. ᲙᲝᲜᲢᲘᲜᲔᲜᲢᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲐ 319
10.4. ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲐ 324
10.5. ᲑᲐᲖᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲔᲑᲘ, ᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲐ 326
10.6. ᲛᲔᲒᲐᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ 330

ᲗᲐᲕᲘ 11. ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲗᲘ ᲛᲔᲜᲐᲯᲔᲠᲔᲑᲘ 336
11.1. ᲛᲬᲔ, ᲰᲐᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲬᲧᲐᲚᲘ 336
11.2. ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲘᲡ ᲛᲘᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲔᲑᲘ 341
11.3. ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲔᲜᲔᲠᲒᲝᲠᲔᲡᲣᲠᲡᲔᲑᲘ 346
11.4. ᲡᲐᲑᲐᲓᲝᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘᲐ 355

ᲗᲐᲕᲘ 12. ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲙᲕᲜᲔᲚᲝ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲔᲑᲘ.
ᲡᲐᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲝ ᲡᲐᲙᲕᲜᲔᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲒᲐᲑᲐᲖᲠᲔᲑᲘ 362
12.1. ᲛᲝᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ 362
12.2. ᲡᲐᲡᲣᲠᲡᲐᲗᲝ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲒᲠᲐᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲒᲐᲑᲐᲖᲠᲔᲑᲘ 369
12.3. ᲡᲐᲡᲣᲠᲡᲐᲗᲝ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲛᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲔᲚᲘ
ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲒᲐᲑᲐᲖᲠᲔᲑᲘ 381
12.4. ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲛᲔᲣᲚᲘ ᲡᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲓᲐ ᲑᲐᲖᲐᲠᲘ 391
12.5. ᲘᲜᲢᲔᲚᲔᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ 398

ᲗᲐᲕᲘ 13. ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ
ᲛᲔᲒᲐᲑᲐᲖᲠᲔᲑᲘ 410
13.1. ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲘ 410
13.2. ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲡᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲝ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲐ 419
13.3. ᲡᲐᲕᲐᲚᲣᲢᲝ ᲑᲐᲖᲠᲔᲑᲘ 436
13.4. ᲡᲐᲤᲝᲜᲓᲝ ᲑᲐᲖᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲑᲘᲠᲟᲔᲑᲘ 447

13.5. დერივატული და სხვა ფინანსური ბაზრები 460
13.6. როგორ გავხდეთ ინვესტორი და გავმდიდრდეთ
თანამედროვე ელექტრონულ ბაზრებზე? 466

თავი 14. ეკონომიკური განვითარების უთანაბრობა და
გლობალური პრობლემები 470
14.1. განვითარების უთანაბრობა და გლობალური პრობლემები 470
14.2. გლობალური პოლიტიკური პრობლემები 474
14.3. გლობალური ეკონომიკური პრობლემები 481
14.4. გლობალური სოციალური პრობლემები 488

თავი 15. მსოფლიო ეკონომიკის ეკოლოგიური, დემოგრაფიული
და სასურსათო პრობლემები 501
15.1. ეკოლოგია — XXI ს-ის ცენტრალური პრობლემა 501
15.2. კლიმატის გლობალური დათბობა 504
15.3. ოზონის გლობალური პრობლემა 509
15.4. ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნების
პრობლემები და ბრძოლა დაბინძურებასთან 513
15.5. მდგრადი განვითარების გლობალური რეგულირება
და კონცეფცია 515
15.6. გლობალური დემოგრაფიული პრობლემები 518
15.7. სასურსათო და მასთან დაკავშირებული პრობლემები 527

თავი 16. საერთაშორისო ორგანიზაციების როლი
გლობალური პრობლემების გადაჭრაში 531
16.1. საერთაშორისო ორგანიზაციების სისტემის
სტრუქტურა 532
16.2. გაეროს სისტემის საერთაშორისო ორგანიზაციები 535
16.3. ეთგო-ს სისტემის ორგანიზაციები და საერთო
კომპეტენციის სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები 542
16.4. საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციები 547
16.5. საერთაშორისო ორგანიზაციები მსოფლიო ვაჭრობის
სისტემაში 560

წინასიტყვაობა ქართული გამოცემისათვის

XXI საუკუნის დასაწყისში მსოფლიო ეკონომიკა ხდება არა მხოლოდ ეკონომიკური მეცნიერების დარგი და მნიშვნელოვანი სასწავლო დისციპლინა, არამედ პრაქტიკული ცოდნის კომპლექსიც, რომელიც აუცილებელია ყველასათვის, ვისაც სურს მიაღწიოს წარმატებას სწრაფად გლობალიზირებად სამყაროში. ეს წიგნი სწორედ მათთვის — სტუდენტების და ასპირანტებისთვის, მასწავლებლებისა და ჩინოვნიკებისთვის, ბიზნესმენებისა და ბანკირებისთვის, მეცნიერებისა და ტრეიდერებისთვის არის განკუთვნილი. თქვენს წინაშე საკმაოდ უჩვეულო სახელმძღვანელოა. ამ წიგნში ჩვენ შევეცადეთ სასწავლო დისციპლინის შინაარსის გადმოცემის სისადავე და სისრულე, რომელსაც თავისი სავალდებულო საგანმანათლებლო სტანდარტები გააჩნია, შეგვეთავსებინა გადმოცემის თავისუფალ, ცოცხალ სტილთან, რომელიც დამახასიათებელია საუკეთესო დასავლური სასწავლო გამოცემებისათვის. ჩვენი აზრით, ეს საშუალებას მოგვცემს შევიცნოთ ახალი კონცეფციები და საკმაოდ რთული ეკონომიკური კონსტრუქციები, რომლებიც საფუძვლად უდევს თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკას. ჩვენ ვცდილობდით ძირითადი ეკონომიკური კანონზომიერებების გადმოცემის ფუნდამენტალურობა შეგვეთავსებინა სრულიად ახალი მოვლენებისა და იდეების გააზრებასთან, რომელთა შესწავლის გარეშე თანამედროვე გლობალური მსოფლიომეურნეობრივი სისტემის სრული წარმოდგენა შეუძლებელია.

ქართველ მკითხველს განსაკუთრებული სიხარულით წარვუდგენთ ჩვენს სახელმძღვანელოს. საქართველომ, საბჭოთა იმპერიის სივრცეში წარმოშობილმა ქვეყანამ, ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო თავისი განსაკუთრებული ადგილის ძიება მსოფლიო ეკონომიკურ თანამეგობრობაში. მან წარმატებით განახორციელა საგარეო ეკონომიკური რეფორმები და შევიდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (მსო), უკან მოიტოვა უმეტესი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები. მისი გზა, ნამდვილი ეკონომიკური დამოუკიდებლობისა და მყარი განვითარებისა, მეტად ძნელია, რაც დაკავშირებულია ბევრ არცთუ სრულად ეკონომიკური ხასიათის პრობლემასთან. მიუხედავად ამისა, ქვეყანა უკვე მსოფლიო ეკონომიკური სისტემის განუყოფელი ნაწილი გახდა, მტკი-

ცედ დაკავშირებული მსოფლიოს წამყვან ქვეყნებთან და მძლავრ ტრანსეროვნულ კორპორაციებთან. სწორედ ახლა, თქვენი უძველესი და ამავე დროს ჯერ კიდევ ასეთი ახალგაზრდა ქვეყნის მოქალაქეთა უმრავლესობისთვის, დაწყებული მთავრობის წევრებიდან და დამთავრებული სპეციალისტებით, რომლებიც მონაწილეობენ ბაქო—თბილისი—ჯეიჰანის ნავთობსადენის და სხვა ტრანსკავკასიური მაგისტრალების მშენებლობაში, აუცილებელია მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების ცოდნა.

თქვენდამი წარმოდგენილ წიგნს ლაიტმოტივად გასდევს აზრი, ცივილიზაციური და ინსტიტუციონალური პირობების დომინირების შესახებ სხვა ფაქტორებს შორის, რომლებიც განსაზღვრავენ ეკონომიკურ განვითარებას. თანამედროვე ვითარებაში ეკონომკის ეფექტიანობისათვის ისინი შეიძლება უფრო მნიშვნელოვანიც კი აღმოჩდეს, ვიდრე ბუნებრივი რესურსები. სხვადასხვა ქვეყანაში შექმნილი მოდელების ეფექტიანობა, დამოკიდებულია არა იმდენად თვით ცივილიზაციურ საფუძვლებზე, რამდენადაც ამ საფუძვლებისადმი მოდელების შესაბამისობაზე. ჩვეულებრივ, უფრო ეფექტიანი აღმოჩნდება ის ეკონომიკური მოდელი, რომელიც უკეთესად გამოიყენებს ეკონომიკური ევოლუციის მსვლელობისას შემუშავებულ ცივილიზაციურ პოტენციალს.

საქართველო უძველესი ისტორიის, ბრძენი, ენერგიული ხალხისა და მაღალი ცივილიზაციური პოტენციალის ქვეყანაა. ჩვენი ღრმა რწმენით, სწორედ ეს ფაქტორები განსაზღვრავს თქვენი ქვეყნის მომავალ ეკონომიკურ განვითარებას, რასაც ჩვენ მთელი სულითა და გულით გისურვებთ.

შესავალი

რატომაა აუცილებელი მსოფლიო ეკონომიკის ახალი კურსი? რითაა ის განსხვავებული? რა არის მეგაეკონომიკა? კურსის კონცეფცია

რუსეთში მსოფლიო ეკონომიკა უკვე მტკიცედ დამკვიდრდა, როგორც სასწავლო დისციპლინა და ეკონომიკური მეცნიერების დარგი. ყოველ საკუთარი თავის პატივისმცემელ ეკონომიკური პროფილის უნივერსიტეტში იკითხება მსოფლიო ეკონომიკის სპეციალური კურსები, ამ თემაზე დაწერილია უამრავი სახელმძღვანელო და დამხმარე წიგნი, ხოლო რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაში ეკონომიკის განყოფილებასთან ერთად არსებობს მსოფლიო ეკონომიკისაც, რომელსაც გააჩნია თავისი ინსტიტუტები, აკადემიკოსები და სხვა სამეცნიერო ატრიბუტიკა.

მსოფლიო ეკონომიკის პრობლემების მიმართ 90-იან წლებში გაზრდილი ინტერესი აიხსნება იმით, რომ ჩვენი ქვეყანა სწრაფად ჩამოვიდა ცალკე აღებულ ქვეყანაში განვითარებული სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის პირველგზამკვლევის და, ასე ვთქვათ, მესიანური გზიდან, და გადაინაცვლა საბაზრო ეკონომიკისა და კაპიტალისტურ ურთიერთობათა კარგად მოშანდაკებულ და გატკეპნილ გზაზე. ახლა უკვე აუცილებელი გახდა იმის შესწავლა, თუ როგორ მოძრაობდნენ და მოძრაობენ ამ გზაზე მოწინავე ქვეყნები და რა არის შესაძლებელი მათგან გადმოვიღოთ. მსოფლიო ეკონომიკის სფეროში გამოკვლევათა სიმძიმის ცენტრმა, ბუნებრივია, ქვეყნის ანალიზის მხარეს გადაინაცვლა. ამასთან, გამოიკვეთა განვითარებულ საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში შემუშავებულ მოდელთა და მექანიზმთა, ჩვენს საკმაოდ თავისებურ სინამდვილეში, გამოყენების საკმაოდ პრაგმატული მიზანი.

აქედან გამომდინარეობს მსოფლიო ეკონომიკის ინტერპრეტაცია, როგორც „ეროვნულ მეურნეობათა ერთობლიობა“[1] ან „ეკონომიკათა ერთობლიობა“[2], რაც მიღებულია უმეტეს საკმაოდ ხარისხიან, თანამედროვე რუსულ სახელმძღვანელოებში. რა თქმა უნდა, აქვე კეთდება უამრავი შენიშვნა ამ ეკონომიკათა ურთიერთგავლენასა და ურთიერთკავშირზე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მსოფლიო ეკონომიკა არ განიხილება, როგორც ახალი, რთული სისტემა, რომლის თვისებები და კანონზომიერებანი არ

---

1 См.: Спиридонов А. Мировая экономика. - М.: ИНФРА-М, 1997.

2 См.: Ревинский Н. Международная экономика и мировые рынки. Новасибирск: НГПУ, 1998.

შეიძლება განვაცალკეოთ მისი შემადგენელი ნაწილების თვისებებისა და კანონზომიერებებისაგან. სხვათა შორის, სწორედ სისტემის შეუთავსებლობა ყველაზე უბრალო ერთობლიობასთან შეადგენს რთული სისტემების თეორიის ძირითად პოსტულატს. რთული სისტემების ტიპურ მაგალითებს წარმოადგენს: ადამიანის ორგანიზმი, რომლის ფუნქციონირების გაგება შეუძლებელია მისი შემადგენელი უჯრედების კანონზომიერებათა შესწავლის შემდეგაც; პოპულაცია, რომლის ქცევა განსხვავდება მასში შემავალი ინდივიდების ქცევისაგან, და ბოლოს, ადამიანური საზოგადოება, რომელსაც განვითარების თავისი კანონზომიერებები გააჩნია და რომელთა დაყვანა შეუძლებელია იმ კანონებამდე, რომლებიც მართავენ თითოეული პიროვნების ქცევას.

შემოგვქონდა რა შედარებით ახალი ტერმინი „მეგაეკონომიკა", გვსურდა ხაზი გაგვესვა მსოფლიო ეკონომიკის შესწავლისას შემოთავაზებული მიდგომის სპეციფიკურობისთვის, როგორც ახლისათვის, სავსებით თავისებურისათვის, მთლიანი რთული სისტემისათვის, რომელიც არ შეიძლება პრინციპულად განვიხილოთ მხოლოდ როგორც ურთიერთმოქმედ ეროვნულ ეკონომიკათა ერთობლიობა. აქ ერთგვარად თავდება ურთიერთდაკავშირებულ ეკონომიკურ მეცნიერებათა ცნებათა რიგი: მიკროეკონომიკა, მაკროეკონომიკა, მეგაეკონომიკა. პრეფიქსი „მეგა" ბერძნულად ნიშნავს დიდს, უზარმაზარს და, ჩვენი აზრით, ცუდად არ აღნიშნავს ეკონომიკის დონის ცნებას, „მაკროს" რომ მოსდევს. ამავდროულად „მეგაეკონომიკის" სტილისტური გაგება ახალი რანგის ერთიანობას და დაუნაწევრობას კარგად უსვამს ხაზს, განსხვავებით აზრობრივად ბევრად მსგავსი კატეგორიისგან „გლობალური ეკონომიკისგან".

მეგაეკონომიკა გამოცალკევდა (ან უკეთესია ვთქვათ იწყებს გამოცალკევებას), როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება, სავსებით ახალი ეკონომიკური მოვლენების წარმოშობასთან ერთად — დამოუკიდებელი და არა დამოკიდებული ეროვნულ სახელმწიფოებზე, რომლებიც გამოვიდნენ ტრანსეროვნული კაპიტალის იურისდიქციიდან და ერთიანი მსოფლიო ფინანსური ბაზრიდან, დაფუძნებულნი პრინციპულად ახალ ქსელურ კომპიუტერულ ტექნილოგიებზე, რომელიც არა მარტო უზრუნველყოფს ეკონომიკურ ურთიერთკავშირთა ხარისხობრივად სხვა დონეს, არამედ განაპირობებს კიდეც წარმოების და თავად საზოგადოების ახალი ინფორმაციული საშუალების გამოვლენას.

ეს ახალი ობიექტები და პროცესები მოითხოვს შესწავლას და შემდგომში რეგულირებას მთელი მსოფლიო თანამეგობრობის ინტერესებისათვის. მეგაეკონომიკა მოწოდებულია პერსპექტივაში შეიმუშავოს ეკონომიკის რეგულირების მეთოდები და ინსტიტუტები ზეეროვნულ მეგადონეზე, მსგავსად იმისა, როგორც კეინსისა და რუზველტის ახალი კურსის დროს

მაკროეკონომიკამ შეიმუშავა ეროვნულ ეკონომიკათა რეგულირების ახალი მექანიზმი.

ვფიქრობთ, რომ გაგება მსოფლიო ეკონომიკის განვითარებისა, რომელიც თანდათანობით გადაიზრდება მეგაეკონომიკაში, შესაძლებელია ეკონომიკური ევოლუციის ფორმალური (ნორმატიულ–საკანონმდებლო) და არაფორმალური (ჩვეები, ტრადიციები) ინსტიტუტების შესწავლის საფუძველზე, ე. ი. ეკონომიკური საქმიანობის და ბაზრის სუბიექტთა ქცევის წესებით. ევოლუციურ პროცესში ცენტრალური როლი მიეკუთვნება სწრაფვას ხელისუფლებისკენ, ანუ ყოველი ადამიანისათვის დამახასიათებელ სურვილს, რომ გააფართოოს თავის გავლენა გარემომცველ სამყაროზე, ამ სიტყვის ყველაზე მრავალფეროვანი გაგებით. რადგან ხელისუფლებისაკენ სწრაფვის ნება–სურვილი ტრადიციულად განეკუთვნება ირაციონალურ გაგებას, ამიტომ ჩვენს მიდგომასაც ევოლუციისადმი ვუწოდებთ ირაციონალურ-ევოლუციურს. ამგვარად, მისი ირაციონალურობა მდგომარეობს სწორედ ხელისუფლებისკენ ლტოლვის ნების წამოწევაში, როგორც ეკონომიკურ ევოლუციაში ძირითადი მამოძრავებელის როლისა და ამით, თქვენ წარმოიდგინეთ, თავდება იგი. როგორც წერს ცნობილი, დაუმსახურებლად გაკიცხული სხვათა ცოდვებისათვის, ფრიდრიხ ნიცშე: „ყველგან, სადაც იბრძვიან, იბრძვიან ძალაუფლებისათვის“. სწორედ ბრძოლა ეკონომიკური ძალაუფლებისათვის, ბაზრებისათვის, გავლენისათვის, განსაზღვრავს ეკონომიკური ბრძოლის საერთო სურათს, რომელიც განაპირობებს ეკონომიკურ ევოლუციას.

ჩვენი, სტანისლავსკის ტერმინოლოგიას თუ მოვიშველიებთ, ზეამოცანაა — ვასწავლოთ მკითხველს ეფექტიანად გამოიყენოს ევოლუციურ-ინსტიტუციონალური ინსტიტუტები მსოფლიო მასშტაბის სრული ეკონომიკური მოვლენების შემდგომი დამოუკიდებელი ანალიზისათვის. ამჟამად ეს ამოცანა იძენს სავსებით პრაქტიკულ და, ასე ვთქვათ, სასიცოცხლოდ განსაკუთრებულ მნიშვნელობას არა მარტო ბიზნესმენებისათვის, რომლებიც ახორციელებენ საერთაშორისო გარიგებებს, არამედ ყველასთვის, ვინც კი ოდნავ მაინც ჩაუფიქრდება საკუთარ კეთილდღეობას. გავიხსენოთ, 10 წლის წინ სავსებით აბსტრაქტულმა, მხოლოდ წმინდა თეორიული თვალსაზრისით საინტერესო მოულოდნელმა ტრანსეროვნული კაპიტალის უკუდენამ განვითარებად და სარისკო ფინანსური ბაზრებიდან 1998 წ. აგვისტოში, მიგვიყვანა ჩვენს ქვეყანაში ცხოვრების დონის ორმაგად გაუარესებასთან და რეალურად არსებული მოკრძალებული და მოქალაქეთა უმეტესობის არცთუ ისე მოკრძალებული დანაზოგების დაკარგვასთან. ასე რომ, მეგაეკონომიკის შესწავლა საჭიროა არა მარტო იმიტომ, რომ მივიღოთ პრესტიჟული დიპლომი, არამედ იმისათვის, რათა პრაქტიკულად წარმატებას მივაღწიოთ ცხოვრებაში.

როგორც ცნობილია, სწავლების ყველაზე საუკეთესო გზას წარმოადგენს პირდაპირი, პირადი კავშირი მოსწავლესა და კარგ მასწავლებელს შორის, როცა მოსწავლე მსჯელობს იდეების შესახებ, განიხილავს საგანს და საუბრობს მასზე. მასწავლებელთან პრობლემათა ფართო წრის თავისუფალი განხილვის ფორმით შესწავლა, ფილოსოფიური და მსოფლმხედველობრივი საკითხების შესწავლის ჩათვლით, რომელიც ცნობილია პლატონის აკადემიის დროიდან, ახლა იშვიათობა გახდა. ცოდნაზე დიდი მოთხოვნის და ენციკლოპედიურად განათლებულ სწავლულთა თითქმის სრული არარსებობის გამო, რომლებიც ამასთან ერთად შეასრულებდნენ მოძღვრის, დამრიგებლის როლს, გარდუვალად გვიხდება მოძებნა, ვინც ამგვარი შესწავლის მეთოდის იმიტირებას ახდენს. სახელმძღვანელო, რომელიც თქვენ ხელთა გაქვთ, შევეცადეთ დაგვეწერა ცოცხალი, სასაუბრო ენის გამოყენებით, რაც შესანიშნავად უწყობს ხელს ახალი იდეების აღქმასა და მათ აქტიურ დაუფლებას.

ახლა გადმოცემის ამგვარი სტილი მიგვაჩნია ბევრი თვალსაზრისით უნიკალურად, მაგრამ ჩვენ აღმაფრენას გვანიჭებს დიდ ადამიანთა წარმატებები — დაწყებული ზემოთ ნახსენები ძველი ბერძნებიდან და ინდოელი გურუებიდან ცნობილ ფეიმანურ ლექციებამდე ფიზიკაში, რომლებიც წარმოადგენს ამგვარი სახის სახელმძღვანელოთა ნიმუშებს, ავტორს საყოველთაო სახელი რომ მოუტანა.

მოცემული კურსი გათვლილია მკითხველზე, რომელიც გულწრფელად ცდილობს გაიგოს, როგორაა მოწყობილი მისი გარემომცველი ეკონომიკური მსოფლიო (ახლა კი იგი დიდი და პრაქტიკულად ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელიც ჩვენს რეალობას ახლავს), ამასთან დავიწყებულნი არ არიან ის ახალგაზრდა ადამიანები, რომლებმაც ხელი მოჰკიდეს ამ სახელმძღვანელოს წმინდა უტილიტარული მიზნით — სასწრაფოდ შეისწავლონ საგანი და „მოიცილონ გამოცდა“. მასალა გადმოცემულია მაქსიმალურად კარგად აღსაქმელი ფორმით. მუდმივადაა გამოყოფილი ცოდნის ბირთვი და ცნობები, რომელთა შესწავლა აუცილებელია. ეს არცთუ ისე დიდი მოცულობის ფრაგმენტები სპეციალურადაა ტექსტში გამოყოფილი. ციფრობრივი სტატისტიკური მასალა ძირითადად ემსახურება აღნიშნული ტენდენციების ილუსტრირების და მრავალრიცხოვან, უმრავლეს შემთხვევაში პარადოქსულ ჰიპოთეზებსა და თეორიებს. თუმცა ზოგიერთი, არცთუ მრავალი ციფრი, რომლებიც მსოფლიო ეკონომიკის საერთო კონტურებს გვაძლევს, აუცილებელია დავიმახსოვროთ, რაზეც არაორაზროვნადაა მითითებული ტექსტში. ისინი წარმოადგენენ იმგვარივე ორიენტირებს, როგორც თარიღები ისტორიაში, რომელთაც გვერდს ვერ ავუვლით.

ავტორებმა კარგად იციან, რომ კურსის საგანი საკმაოდ რთულია და მძიმე შესასწავლად. უფრო მეტიც, მათში თეთრი ლაქები ცოტა როდია,

ისინი თითქმის არაა ათვისებული თანამედროვე ეკონომიკური მეცნირების მიერ. მით უფრო საინტერესოა იგი! ეს პრობლემები პატიოსნადაა აღნიშნული და ჩატარებულია იმის მცდელობა, რომ წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტაში გავერკვეთ. გახსოვდეთ ცნობილი იგავი სპილოსა და მისი ხელებით მომსინჯველ უსინათლო ბრძენებზე. პირველმა, ვინც ხელი მოჰკიდა კუდს, განაცხადა, რომ სპილო — ეს თოკია, მეორემ, ფეხზე თქვა, ბოძიაო; ვინც ხორთუმს შეეხო, გადაწყვიტა, რომ ის მილი იყო, ხოლო მუცლის გამსინჯველმა იგი კასრად აღიქვა. სხვათა შორის, ვერც ერთმა ვერ შეძლო მიეღწია უზარმაზარი ცხოველის თავამდე და ზურგამდე. ანალოგია მეგაეკონომიკასთან საკმაოდ გამჭვირვალეა, აქაც ასევე განხილულია ამ უზარმაზარი საგნის ცალკეული ნაწილები, იმიტომ რომ ვცადოთ ყველაფერი დავაკავშიროთ მიახლოებით, მაგრამ მთლიანობაში.

თავებში, რომლებიც ეძღვნება წამყვანი ქვეყნების ეკონომიკური განვითარების თავისებურებათა შესწავლას და მათ როლს მსოფლიო ეკონომიკაში, აგრეთვე დაცულია ეკონომიკური ევოლუციონიზმის პოზიციები და ახსნილია მათ ეკონომიკურ მოდელთა ღირსებები და ნაკლოვანებები, უპირველეს ყოვლისა, მათში არსებული ცივილიზაციური რესურსების გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობა. ამასთან ხაზგასმულია კავშირი ეროვნულ ეკონომიკათა წარმატებებსა და წარუმატებლობებს და ყოველი ქვეყნის იმ ცივილიზაციურ და ინსტიტუციონალურ შესაძლებლობებს შორის, რომელთაც ძალუძთ ეკონომიკური განვითარების მიზნით საკუთარი მოქალაქეების ნების მობილიზება ეკონომიკური ძალაუფლებისაკენ. ბუნებრივია, ამ თავებში დიდი ყურადღება ეთმობა ეროვნულ ეკონომიკათა მოდელების ტრადიციულ აღწერას. ამგვარად, წიგნში მეგაეკონომიკურ პლანეტარულ ერთიანობასთან ერთად მოცემულია ეროვნულ ეკონომიკათა მდიდარ მოზაიკაზე წარმოდგენა, რაც დაფუძნებულია ხშირად უნიკალურ ცივილიზაციურ რესურსებზე.

როგორც ჭეშმარიტად აღნიშნა დაუვიწყარმა კოზმა პრუტკოვმა, „შეუძლებელია მოიცვა მოუცველი“. ამიტომ ამ სახელმძღვანელოში არ შევიდა მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი, რომლებიც ტრადიციულად ისწავლება საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა კურსში და მსოფლიო ეკონომიკის მომიჯნავე სხვა დისციპლინებში.

ავტორები არ იძლევიან ცრუ იმედს, რომ გამოჩნდება საკმაოდ ბევრი ცნობისმოყვარე მკითხველი, რომელიც „გადაყლაპავს“ წიგნს ერთი დაჯდომით, ან ბეჯითად ჩაიკითხავს თავიდან ბოლომდე, გულდასმით დაიმახსოვრებს და დააკონსპექტებს რა წაკითხულს. ამიტომ ცალკეული თავები შედარებით დამოუკიდებელია. ძირითადი იდეები და მეთოდები არაერთხელ განიხილება და მეორდება სხვადასხვა მოდიფიკაციებში სულ ახალ-ახალი მეთოდური

შესაძლებლობების, ასევე საგნის ასპექტთა გასახსნელად. ფიგურალურად რომ ვთქვათ, ჩვენთვის მთავარია — კი არ გაჭამოთ ცოდნის ვაშლები (ბოლოს და ბოლოს ბიბლიური გველები ხომ არ ვართ), არამედ გასწავლოთ ნაყოფისმომცემი ვაშლის ბაღების გაშენება. ჩვენ გვსურს მოგცეთ შემეცნების ინსტრუმენტი თანამედროვე ეკონომიკის რთული მოვლენებისა.

მოუხედავად გადმოცემის ორიგინალური სტილისა და ზოგიერთი ახალი მიდგომის გამოყენებისა, სახელმძღვანელო სავსებით შეესაბამება საგანმანათლებლო სტანდარტს და პროგრამებს მსოფლიო ეკონომიკის სწავლებისა, რომლებიც მიღებულია წამყვან ეკონომიკურ უმაღლეს სასწავლებლებში.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია მკითხველთა კიდევ ერთი კატეგორია. ესენი ახალგაზრდა (და არცთუ ისე ახალგაზრდა) ბიზნესმენები არიან, ჩინოვნიკები და პოლიტიკოსები, რომელთაც თავისი კარიერა და მდგომარეობა მოიპოვეს რეფორმების პერიოდში. ჰქონდათ რა შესანიშნავი ინტუიცია, რომელმაც წარმატება მოუტანათ, ხშირად ვერ ასწრებდნენ გაცნობოდნენ ეკონომიკური თეორიის საფუძვლებს. ახლა ისინი ამის აუცილებლობას გრძნობენ, შეიძლება ამჯერად არა მარტო საქმისათვის, რომელიც უამისოდაც კარგად მიდის, რამდენადაც საერთო საუბრის წარმართვისათვის, საკუთარი გათვითცნობიერებულობის გამოსახატავად, მსოფლიო ეკონომიკაში მოლაპარაკებებზე და რაუტებზე (საზეიმო წვეულებებზე), განსაკუთრებით უცხოელ პარტნიორებთან და საერთოდ, საჯარო გამოსვლებისათვის, რომლის გარეშეც, როგორც ცნობილია, არ არსებობს ხელსაყრელი გარემოებები. აი, მოცემული სახელმძღვანელო — შესანიშნავი საყრდენია ამისათვის. თქვენ არა მარტო შეძლებთ შედარებით სწრაფად და იოლად ეკონომიკის ურთულესი დარგის საფუძვლების შესწავლას, არამედ აღმოაჩენთ უამრავ სასარგებლო ციფრს, საინტერესო ფაქტებს, პარადოქსებს და ანეკდოტურ ეპიზოდებს, რომლებიც საკმაოდ გამოგადგებათ პრაქტიკულ საქმიანობაში და ამასთან მოგანიჭებთ საინტერესო და ერუდირებული მოსაუბრის ხიბლს. პატივმოყვარეობა და სახელის მაძიებლობა ხომ მძლავრი წარმმართველნი არიან შემდგომი შესწავლისათვის, საგნის დამოუკიდებლად ათვისების საქმეში.

მაშ, წინ, ჩვენო შორსმჭვრეტელო მკითხველო, ეს წიგნი რომ იყიდე!

მოცემული სახელმძღვანელო დაწერილია კურსის ბაზაზე, რომელიც იკითხებოდა ერთ-ერთი ავტორის მიერ რუსეთის ფედერაციის მთავრობასთან არსებულ აკადემიაში. მასში გათვალისწინებული და სინთეზირებულია მრავალი კვლევები „მსოფლიო ეკონომიკასა და საერთაშორისო სავალუტო-საკრედიტო ურთიერთობათა“ კათედრის პროფესორ-მასწავლებლებისა. ავტორები მათი მადლიერნი არიან, განსაკუთრებით კი კათედრის გამგის,

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ბ. მ. სმიტიენკოსი, გაწეული დახმარებისათვის და მნიშვნელოვანი შენიშვნებისათვის, რომლებიც გათვალისწინებულ იქნა სახელმძღვანელოს რედაქტირების დროს. ასევე დიდი მადლობელნი არიან რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის სექტორის გამგის, ეკონომიკურ მეცნირებათა დოქტორის, პროფესორ ი. ბ. შიშკოვის, რომელმაც თავის თავზე აიღო უზარმაზარი შრომა ამ ხელნაწერის გულდასმით წაკითხვისა და გააკეთა რიგი არსებითი შენიშვნები.

ავტორები მადლობას უძღვნიან მეცნიერებს და სპეციალისტებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს სახელმძღვანელოს კონცეფციის განხილვაში, წაიკითხეს ხელნაწერი ან მისი ცალკეული თავები და ამგვარად მიიღეს მონაწილეობა მის შექმნაში.

თავი 1

ყველაფერი ეკონომიკის შესახებ

ფუნდამენტური ეკონომიკური კატეგორიები.
ეკონომიკის ძირითადი კანონები.
მრუდები, ეფექტები და პარადოქსები ეკონომიკაში.
მნიშვნელოვანი ეკონომიკური თეორიები.
ყველაზე ცნობილი ეკონომიკური მოდელები

ყველაფერი სპილოზე

ამ თავის დასათაურება ცოტა პრეტენზიულია, არა? იგი ნასესხებია ცნობილი ანეკდოტიდან სპილოების შესახებ, რომლის თანახმადაც 30-ტომიანი ინგლისური ენციკლოპედიის პასუხად — „რაღაც-რაღაცეები სპილოებზე“ — ამერიკელებმა გამოსცეს პატარა ბროშურა „ყველაფერი სპილოზე“. რას ვიზამთ, ამერიკელთა თვითდარწმუნებულ და თავხედურ სტილს ჯერჯერობით მათთვის წარმატება მოაქვს. ხოლო ანონსს, რომელიც მოცემულია შინაარსში, პატიოსნად შევასრულებთ, მოგცემთ რა ყველა ძირითად კატეგორიას, კანონებს, ეკონომიკურ თეორიებს, ეკონომიკურ-მათე-

მატიკურ მოდელებს, ეფექტებს და დამოკიდებულებებს. ამგვარად, თქვენ ხელთა გაქვთ ეკონომიკურ ცოდნათა ენციკლოპედია, რომელიც საკმაოდ მტკიცე საფუძველს უყრის ეკონომიკის ნებისმიერი განყოფილების შემდგომ შესწავლას.

1.1. ფუნდამენტური ეკონომიკური კატეგორიები

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ყოველ მეცნირებაში, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ტერმინოლიგიის ათვისება. ეკონომიკური მეცნიერების ძირითადი კატეგორიები ფორმირებას განიცდიდა სხვადასხვა თეორიისა და სკოლის ჩარჩოებში, ამიტომ ერთი და იმავე ტერმინში სხვადასხვა მეცნიერებს შეუძლიათ ჩადონ სხვადასხვა გაგება. მოგვიხდება შეჩვევა იმ აზრთან, რომ ეკონომიკაში ტერმინოლოგია ჯერჯერობით საბოლოოდ არ ჩამოყალიბებულა, რამაც ბუნებრივია, შეიძლება გამოიწვიოს არევ-დარევა. ეკონომიკას, ზუსტი მეცნირებებისაგან განსხვავებით, არ გააჩნია აგების აქსიომური სისტემა, მასში არაა მკვეთრად განსაზღრული ძირითადი ცნებები, რომელთაგანაც გამოჰყავთ ყველა დანარჩენი. ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ ყოველი ახალი ეკონომიკური სკოლა (ისინი კი საკმაოდ ბევრია) საკუთარი ღირსების საქმედ მიიჩნევს შემუშავებას და წინ წაწევას საკუთარი ორიგინალური ტერმინოლიგიისა, სადაც შეაქვთ უამრავი ახალი ტერმინი, ხოლო ძველები გამოიყენება არა იმ გაგებით, როგორც ადრე. უკვე ისე ჩამოყალიბდა, რომ ყოველ ძირითად ეკონომიკურ კატეგორიას აქვს საკმაოდ მრავალი არსებითად ერთმანეთისგან განსხვავებული განსაზღვრება. ამ საკმაოდ ქაოსურ სიტუაციაში რომ გავერკვეთ, შევეცადეთ შეგვერჩია უფრო მეტად გავრცელებული ან ძირითადი ეკონომიკური კატეგორიის მეტ-ნაკლებად მიღებული განსაზღვრებები. რა თქმა უნდა, შერჩევა ხდებოდა ავტორთა გემოვნებით, რომლებიც ცდილობდნენ განსაზღვრებათა სისტემისთვის მიეცათ რაღაც ლოგიკა. გარდა ამისა, ალტერნატიულ განსაზღვრებათაგან ირჩეოდა უფრო უბრალო და ნაკლებად გაუგებარი.

ქვემოთ მოყვანილია კატეგორიების განსაზღვრული სისტემა, რომელთა შორის კურსივით გამოყოფილია ის განსაზღვრებები, რომლებიც აუცილებლად უნდა დაიმახსოვროთ. ამ სისტემით მოსახერხებელია ვისარგებლოთ, როგორც მინი-ცნობარით მოცემულ სახელმძღვანელოზე მუშაობისას და საერთოდ, ეკონომიკის შესწავლისას.

მაშ ასე, დავიწყოთ მთავარიდან. რა არის თავად ეკონომიკა? ამჟამად დასავლურ ლიტერატურაში ყველაზე უფრო ფართოდ გავრცელებულია ინგლისელი ეკონომისტის, ლ. რობინსონის განსაზღვრება სხვადასხვა მოდიფიკაციებით: „ეკონომიკა — ესაა მეცნირება, რომელიც შეისწავლის ადა-

მიანის ქცევას, მის მიზნებსა და შეზღუდულ რესურსებს შორის ურთიერთობის თვალსაზრისით, რომელიც დასაშვებს ხდის ალტერნატიულ გამოყენებას".[1] თუმცა, ჩვენი აზრით, ეს განსაზღვრა ზედმეტად ზოგადია. თითქმის იგივეს თქმა ხომ შეიძლება, მაგალითად, მედიცინაზეც. ამასთან ეს ფორმულირება საკმაოდ ძნელად დასამახსოვრებელია. გთავაზობთ სხვა განსაზღვრებას, მიღებულს პ. სამუელსონის ფორმულირების შემცირებისა და მოდიფიკაციის შედეგად. იგი ავტორია მსოფლიოში ყველაზე პოპულარული ეკონომიკური სახელმძღვანელოებისა.

> ეკონომიკა — ესაა მეცნიერება საწარმოო რესურსების, საქონლის წარმოების, გაცვლის, ფულის მიმოქცევისა და დოვლათის განაწილების შესახებ.

მიკროეკონომიკა სწავლობს ბაზრის მონაწილეთა ქცევის კანონზომიერებებს. ესაა კომპანიის, წარმოების ეკონომიკა და ა. შ.

მაკროეკონომიკა შეისწავლის ეკონომიკურ კანონზომიერებებს ცალკეული ქვეყნის დონეზე და ემსახურება სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრას.

მეგაეკონომიკა იკვლევს ზესახელმწიფოებრივი დონის ეკონომიკურ კანონზომიერებებს, რომლებიც განსაზღვრავენ ტრანსეროვნული კაპიტალის მოძრაობას, მსოფლიო სასაქონლო და ფინანსური ბაზრების ქცევას, ზესახელმწიფოებრივი ეკონომიკური ინსტიტუტების შექმნასა და სრულყოფას.

> პოლიტიკა — სახელმწიფოსა და ორგანიზაციათა მოღვაწეობაა, მიმართული საკუთარი ხელისუფლების გასაძლიერებლად და ხელისუფლების უფლებამოსილებათა რეალიზაციისათვის სხვადასხვა მიზნის მისაღწევად.

მიზანთა რეალიზაციის სფეროზე დამოკიდებულების მიხედვით, განასხვავებენ სავალუტო, საგადასახადო, საგარეო, აგრარულ და სხვა სახის პოლიტიკას.

ეკონომიკის მნიშვნელოვან ცნებას და საგანს წარმოადგენს ბაზარი. ბაზრის განსაზღვრის გარშემო მიმდინარეობს გაცხოველებული თეორიული კამათი, რომელიც ძირითადად გამოწვეულია თავად საბაზრო ეკონომიკის მიღების ან მიუღებლობის საკითხით. როდის გაჩნდა ბაზარი? იყო თუ არა ბაზარი სოციალიზმის დროს? შეიძლება თუ არა ბაზრის გარეშე

1 Коуз Р. Фирма, рынок и право. М.: Дело, 1993. - с. 89.

ცხოვრება? ამ კითხვებზე პასუხები დამოკიდებულია იმაზე, თუ რას ვგულისხმობთ ბაზრის გაგების ქვეშ. გთავაზობთ ყველაზე მარტივ, საერთო და დამამშვიდებელ განსაზღვრას.

> ბაზარი — ესაა დოვლათის თავისუფალი გაცვლა, განხორციელებული განსაზღვრული წესებით.

(საკვანძო სიტყვას აქ წარმოადგენს „თავისუფალი" ანუ წარმოებული ეკონომიკური ძალდატანების გარეშე, ურთიერთმოქმედ გაცვლის მხარეთა ნებით. მაგალითად, საკუთრების ექსპროპრიაცია ან კონტრიბუცია, რა თქმა უნდა, არის ბაზრის გარეშე). ამგვარი მიდგომის დროს ბაზარი წარმოგვიდგება ისევე აუცილებელ ურთიერთქმედებად ეკონომიკური სისტემებისათვის, როგორც ცოცხალი ორგანიზმისათვის ცილების ცვლა. ეკონომიკური სისტემის სუბიექტებს შორის გაცვლითი ურთიერთმოქმედება, ამ ურთიერთქმედებათა წესები (ინსტიტუციონალური ეკონომიკური თეორიის შესაბამისად — ინსტიტუტები) და მექანიზმები შეადგენს ცნება „ბაზრის" არსს მის ყველაზე საერთო გამოსახვაში, რომელიც სამართლიანია ისტორიული განვითარების ყველა ეტაპზე. ბაზარი არსებობს მას შემდეგ, რაც მოხდა ეკონომიკური მოღვაწეობის დიფერენციაცია, შრომის დანაწილება და ამ მოღვაწეობის პროდუქციების გაცვლა დაიწყო. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბაზარი სხვადასხვა ფორმებში არსებობდა კაცობრიობის განვითარების ყველა ეტაპზე, დაწყებული უძველესი, შუმერთა და ეგვიპტის ცივილიზაციებით. ეჭვგარეშეა, ბაზარი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე სრულყოფილ ეკონომიკურ ინსტიტუტს, რომელიც შეიქმნა კაცობრიობის მიერ ცივილიზაციის განვითარების მსვლელობისას. ამჟამად ბაზარი მუდმივად დიფერენცირდება და გამოიყოფა საქონლის, მომსახურების, მიწის, კაპიტალის, კრედიტების, ვალუტის, ფიუჩერსების, სხვა დერივატიულ ინსტიტუტთა და ა. შ. ბაზრები.

ადამიანს, რომელიც ფლობს რაიმე საგანს, შეუძლია მისი დახმარებით დაიკმაყოფილოს ზოგიერთი თავისი მოთხოვნილება. სწორედ ეს აძლევს მოცემულ საგანს განსაზღვრულ ფასეულობას ადამიანის თვალში, რასაც უწოდებენ სახმარ ღირებულებას. ბაზრის არსებობის პირობებში მას კიდევ აქვს შესაძლებლობა გაცვალოს ეს საგანი რაიმე სხვაზე, რომელიც მის სხვა მოთხოვნილებებს დააკმაყოფილებს. ასეთი შესაძლებლობაც რაღაცა ღირს და შეიძლება, უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მოცემული საგნის უშუალო სახმარი ღირებულება. სხვათა საგნის შეძენის ეს შესაძლებლობა თქვენს ხელთ არსებული საგნის ხარჯზე არის მისი ღირებულება (ანუ საცვლელი ღირებულება). ნათელია, რომ საგანს, რომელსაც გააჩნია დიდი

სახმარი ღირებულება კონკრეტული ადამიანისათვის (მაგალითად, წყალი უდაბნოში), შეიძლება ჰქონდეს უმნიშვნელო საცვლელი ღირებულება. და პირიქით, ოქროს არ შეუძლია დააკმაყოფილოს ადამიანის საარსებო მოთხოვნები, მაგრამ მისი საცვლელი ღირებულება საკმაოდ დიდია. ზოგიერთმა საქონელმა, რომელიც მოსახერხებელია მრავალი გაცვლის ჩასატარებლად, თანდათან შეიძინა ფულის ფუნქცია. ხოლო ფულის ოდენობას, რომლის საშუალებითაც შეიძლება მოცემული საგნის გაცვლა ბაზარზე, უწოდებენ, როგორც იცით, ფასს. რა თქმა უნდა, ფასი დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე და შეიძლება მალე შეიცვალოს.

მარკეტინგი ბაზრისა და ფასთა გამოკვლევის მეთოდთა ერთობლიობაა.

სახელმწიფო არის ხელისუფლების აპარატი, რომელიც საზოგადოების საქმეებს მართავს.

გამოყოფენ ხელისუფლების სამ შტოს: საკანონმდებლოს, აღმასრულებელს და სასამართლოს. იდეალში ისინი ერთმანეთს უნდა აწონასწორებდნენ და ავსებდნენ.

დღეს ყველა ეკონომისტი აღიარებს ბაზრის სრულ თვითრეგულირების შეუძლებლობას და *სახელმწიფო რეგულირების* აუცილებლობას, მაგრამ მისი ზომებისა და ფორმების შესახებ მიდის ცხარე კამათი. მემარჯვენეები თვლიან, რომ ეკონომიკაში სახელმწიფოს როლი ძირითადად დადის საბაზრო ინსტიტუტების შექმნამდე და მხარდაჭერამდე, ბაზრის ინფრასტრუქტურამდე, აგრეთვე საგადასახადო და საგარეო ეკონომიკურ რეგულირებამდე იმპორტული ბაჟით, კვოტებით და ა.შ. მემარცხენეებს მიაჩნიათ, რომ სახელმწიფო პოლიტიკის გასატარებლად აუცილებელია კიდევ ძლიერი სახელმწიფო სექტორი, რომლის მესაკუთრეს წარმოადგენს სახელმწიფო, აგრეთვე ფასების რეგულირება და განსაზღვრული დარგების და საწარმოთა მხარდაჭერა მიზნობრივი პროგრამების შესაბამისად.

გადასახადები — სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური აგენტებისაგან ამოღებული სავალდებულო მოსაკრებლებია. პირდაპირი გადასახადები ამოიღება უშუალოდ აგენტთა შემოსავლებისა და ქონების ღირებულებიდან, ხოლო ირიბი გამოითვლება, როგორც პროდუქტის ფასის წილი და ერთვება რეალიზაციის ფასში (გადასახადი დამატებულ ღირებულებაზე (დღგ), აქციზები და სხვ.). აქციზები, ჩვეულებრივ, წარმოადგენს განსაზღვრულ პროცენტს სააქციზო გადასახადის გადახდას დაქვემდებარებული საქონელის ღირებულებიდან, რომელთაც მიაკუთვნებენ ფუფუნების საგნებს, თამბაქოს ნაწარმს, ალკოჰოლურ სასმელებს, საავტომობილო ბენზინს და ა.შ. საბაჟო გადასახდელები ამოიღება საქონლის მიერ საზღვრის გადაკ-

ვეთისას. ისინი ემსახურებიან საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირებას, შიდა ბაზრის დაცვასა და ქვეყნის ბიუჯეტის შევსებას. გადასახადები და საბაჟო თანხები შეადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის საფუძველს, *რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოს ფინანსურ გეგმას კანონის ფორმით.*

სახელმწიფოში ეკონომიკის მდგომარეობა ხასიათდება რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული მაჩვენებლით.

> მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) ქვეყანაში წარმოებული საბოლოო საქონლისა და მომსახურების ერთობლივი საბაზრო ღირებულებაა განსაზღვრულ პერიოდში (წელი, თვე და ა. შ.).

მასში შუალედური პროდუქტი არ იგულისხმება. ჩვეულებრივ მშპ-ს განსაზღვრავენ, როგორც მოსახლეობის საბოლოო მოხმარების, სახელმწიფოს, მთლიანი დაგროვებისა და ექსპორტის ხარჯების ჯამს. იმისათვის, რომ მშპ-ს საფუძველზე გამოვთვალოთ სხვა გავრცელებული მაკროეკონომიკური მაჩვენებელი — მთლიანი ეროვნული პროდუქტი (მეპ), საჭიროა მშპ-ს გამოვაკლოთ მოგება, გატანილი ქვეყნიდან და დავუმატოთ მოგება, მიღებული ქვეყნის ფარგლებს გარეთ, ამ ქვეყნის კუთვნილი წარმოების ფაქტორთა გამოყენებით.

წმინდა ეროვნული პროდუქტი (წეპ) = მშპ — საამორტიზაციო ანარიცხები.

საამორტიზაციო ანარიცხები გამოითვლება განსაზღვრული ნორმატივებით ძირითადი საშუალებების ღირებულებიდან. ისინი მათი ცვეთის პროპორციულია. საამორტიზაციო ანარიცხების ტოლი მოგების ნაწილი შეიძლება მივმართოთ წარმოების განსავითარებლად მოგებაზე გადასახადის გადახდის გარეშე.

ეროვნული შემოსავალი (ეშ) = წეპ — ირიბი გადასახადები.

ეკონომიკის რეალურ მდგომარეობაზე ჩვეულებრივ მსჯელობენ მშპ-ს (მეპ, ეშ) მიხედვით მოსახლეობის რაოდენობასთან მიმართებაში. ბოლო ხანებში მშპ-ს ანალოგიურად შემოაქვთ ტერმინი „მთლიანი მსოფლიო პროდუქტი“ — მსოფლიო ეკონომიკის, მთელი მსოფლიოს მშპ-ს მაკრომაჩვენებელი.

მეორე უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ კატეგორიას, რომელმაც ბევრ მკვლევარს გაუჩინა თავსატეხი, წარმოადგენს კაპიტალი. ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინ გაბატონებული და ახლაც ისევ გავლენადაუკარგავი მარქსიზმი ამ ცნებას ანიჭებს ცენტრალურ და ოდნავ მეტაფიზიკურ მნიშვნე-

ლობას. ჩვენ ვიზიარებთ უფრო მარტივ და გასაგებ მიდგომას: კაპიტალია ის, რასაც შეუძლია შემოსავლის მოტანა.

ამ გაგებით *სამრეწველო კაპიტალი* — ესაა წარმოების საშუალებები, რომელთაც შეუძლიათ შემოსავლის მოტანა, ხოლო საბანკო კაპიტალი — ესაა ფულადი საშუალებები, რომელიც იძლევა შემოსავალს, მაგალითად, კრედიტების გაცემით. ბოლო დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ფიქტიურმა კაპიტალმა, წარმოდგენილმა ფასიანი ქაღალდების სახით, რომელიც შემოსავალს იძლევა. ფიქტიური კაპიტალის წილი, რომელიც სავსებით არაა ფიქცია, არამედ შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროა, კაპიტალის საერთო სტრუქტურაში მუდმივად და სწრაფად იზრდება.

კაპიტალის კონცენტრაცია — მისი ზრდის პროცესია დაგროვების, მიზიდვის და კაპიტალთა გაერთიანების ხარჯზე. კაპიტალის ცენტრალიზაცია — ამ კაპიტალის ხელმძღვანელობის ან მმართველობის თავმოყრაა ერთიან ცენტრში, რომელიც ფორმალურად თუ არაფორმალურად ერთმანეთთან დაკავშირებულ პირთა ჯგუფის მიერაა შექმნილი. ჩვენ ვმსჯელობთ ამ მოვლენაზე არა გაურკვევლად, თუ რატომაა იგი შინაგანად დამახასიათებელი კაპიტალის თვისება (მარქსისტული მიდგომა), არამედ როგორც თითოეული სუბიექტის სურვილის გამოვლენაზე, გაზარდოს თავისი ეკონომიკური ძალაუფლება.

შერწყმა — ესაა საწარმოთა გაერთიანება ახალი იურიდიული პირის შექმნით.

შთანთქმა — კონტროლის დაწესებაა (ძირითადად აქციათა საკონტროლო პაკეტის საშუალებით) ერთი წარმოებისა მეორეზე.

კაპიტალის ინტეგრაცია — ეკონომიკური სუბიექტთა გაერთიანების ორგანიზაციული პროცესია მათი კაპიტალების ნაწილობრივი შეერთების ბაზაზე, მათი ფუნქციების და ზოგიერთი საერთო მიზნის შესრულება იურიდიული დამოუკიდებლობის დაკარგვის გარეშე. *ინტეგრაციის ძირითადი ფორმებია:*

- *ალიანსი* — მეწარმეთა გაერთიანება სახელშეკრულებო ვალდებულებათა საფუძველზე;
- *ასოციაცია* — იურიდიულ, ფიზიკურ პირთა ნებაყოფილობითი გაერთიანება ურთიერთთანამშრომლობის მიზნით;
- *კარტელი* — საწარმოთა გაერთიანება, რომელთაც დადეს შეთანხმება წარმოების მოცულობათა რეგულირების შესახებ, გასაღების პირობებზე და სამუშაო ძალის დაქირავებაზე;
- *სინდიკატი* — გაერთიანება ერთობლივი გასაღებისა და შესყიდვებისათვის;

- *კონცერნი* — საწარმოთა გაერთიანება, რომელიც იმყოფება მმართველი ცენტრის კონტროლის ქვეშ, მაგრამ ფორმალურად მაინც ინარჩუნებს დამოუკიდებლობას;
- *ტრესტი* — გაერთიანება, რომელშიც შესული წარმოებები კარგავენ არა მარტო საწარმოო და კომერციულ, არამედ ნაწილობრივ იურიდიულ დამოუკიდებლობასაც, ხდებიან რა ძირითადი კომპანიის ფილიალები.

გამყოფი ხაზი ტრესტსა და ერთიან კორპორაციას შორის განყოფილებებით და ფილიალებით საკმაოდ არაზუსტია და პირობითი.

საწარმოო საქმიანობის შედეგები დამოკიდებულია *წარმოების ძირითადი ფაქტორების* ეფექტიან გამოყენებაზე. ახლა უკვე საყოველთაოდ მიღებულად ითვლება ის, რომ ყოველი წარმოების მიერ გამოშვებული პროდუქცია დამოკიდებულია ოთხ ძირითად ფაქტორზე: მიწა, კაპიტალი ნაგებობათა, მოწყობილობათა და ა. შ. ფორმით, შრომა და ცოდნა, რომელიც მატერიალიზებულია ტექნოლოგიებში. სხვათა შორის, ბოლო 20 წლის მანძილზე მშპ-ს ნამატის 85% აშშ-ში მოდის სწორედ ცოდნაზე. ნათელია, რომ დროთა განმავლობაში მიწა შეიძლება გამოიფიტოს, მოწყობილობა გაცვდეს, სამუშაო ძალა დაბერდეს და დისკვალიფიცირდეს, ხოლო ცოდნა მოძველდეს. ამიტომ წარმოების ხელის შემწყობისათვის და მით უმეტეს გაფართოებისათვის საჭიროა დამატებითი დაბანდებანი თითოეულ ამ ფაქტორში, ანუ ინვესტიციები.

> ინვესტიციები — ესაა კაპიტალის დაბანდება ეკონომიკის სხვადასხვა დარგთა ორგანიზაციებსა და საწარმოებში.

განსაზღვრის თანახმად, თუკი საწარმოს აქციებს ყიდულობს ინვესტორი მისი შემდგომი გადაყიდვის და მოგების მიღების მიზნით კურსის სხვაობიდან, მაშინ ის აკეთებს *პორტფელურ ინვესტიციებს.* ხოლო თუ ის ყიდულობს აქციებს მოცემულ საწარმოზე განსაზღვრული ხარისხის გრძელვადიანი გავლენის მოხდენის მიზნით, მაშინ საუბარია *პირდაპირ ინვესტიციებზე.* პორტფელური ინვესტიციები ხშირად მოკვლევადიანია, ხოლო პირდაპირი — ყოველთვის ატარებს გრძელვადიან ხასიათს. უმეტეს ქვეყნებში აქციათა 10%-ის ფლობა ნიშნავს, რომ იგი უკვე საკმარისია კონტროლის განსახორციელებლად და ამ აქციათა პაკეტის განსახილველად პირდაპირი ინვესტიციების სახით.

რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსში საკუთრება განისაზღვრება, როგორც ფლობის (ქონების ფაქტობრივი ფლობა), სარგებლობის (სარგებლობის მიღების უფლება) და განკარგვის უფლებათა (ყიდვა-გაყიდვის, გაცვლის, ჩუქების უფლება და ა. შ.) ერთობლიობა.

საკუთრება უფლებათა ერთობლიობაა, რომლებიც ნივთებზე სრულ ძალაუფლებას უზრუნველყოფენ.

ფული — არის დოვლათი, რომელიც სხვა დანარჩენ დოვლათთა ფასის საზომი საშუალების ფუნქციას ასრულებს და (ან) ანგარიშსწორების საშუალებაა გაცვლის დროს. ფული შეიძლება იყოს მხოლოდ დოვლათი, რომელიც ფლობს სრულყოფილ (ერთეულის ტოლ ან მასთან მიახლოებულ) ლიკვიდურობას.

ფინანსები — ესაა ფულისა და ფულად სუროგატთა მიმოქცევის სფერო. განასხვავებენ რამდენიმე ფულად აგრეგატს, ჩამოთვლილს ლიკვიდურობის შემცირების რიგის მიხედვით: M_0 — ნაღდი ფული, $M_1 = M_0$ + საშუალებები საბანკო ანგარიშებზე და ანაბარები ბანკებში მოთხოვნამდე; $M_2 = M_1$ + ვადიანი ანაბარები.

აქცია — ფასიანი ქაღალდია, რომელიც იძლევა საწარმოს მართვის, მისი ლიკვიდაციის და (ან) გაკოტრების შემთხვევაში წილის მიღების განსაზღვრულ უფლებას. აქციის გაყიდვა შეიძლება ბაზარზე. ხშირად მცდარად მიიჩნევენ, რომ აქციის ფლობა უფლებას იძლევა წარმოების ნაწილის საკუთრებაზე. ეს ასე არაა. საკუთრების განაწილებაზე (გაყოფაზე) შეიძლება ლაპარაკი მხოლოდ წარმოების ლიკვიდაციისას და მხოლოდ მას შემდეგ, რაც გადაიხდება წარმოების ვალები. *საკონტროლო პაკეტი* (აქციათა 50%-ზე მეტი) იძლევა წარმოების სრული გაკონტროლების შესაძლებლობას. „ოქროს აქცია“ აძლევს მესაკუთრეს (ჩვეულებრივ სახელმწიფოს) ვეტოს უფლებას. *კაპიტალიზაცია* — ესაა კორპორაციის აქციების საბაზრო ღირებულების ჯამი. მას არა აქვს უშუალო ურთიერთობა წარმოების ქონების ღირებულებასთან.

ობლიგაცია — სახელმწიფოს, ბანკის ან სხვა ორგანიზაციის სავალო ვალდებულებაა ფასიანი ქაღალდის სახით. *თამასუქი* — ფასიანი ქაღალდია, რომელიც წარმოადგენს უპირობო სავალო ვალდებულებას ანგარიშსწორებებში გადაცემისა და გამოყენების შესაძლებლობებით.

ვალუტა —სახელმწიფოს მიერ ემიტირებული და მხარდაჭერილი ქვეყნის ფულადი ერთეულია. *კონვერტირებადი* ვალუტის ყიდვა და გაყიდვა შესაძლებელია სავალუტო ბაზრებზე, სადაც მოთხოვნის და მიწოდების თანაფარდობის საფუძველზე დგინდება *სავალუტო კურსი.* სახელმწიფო ზემოქმედებს სავალუტო კურსზე *სავალუტო რეგულირების* სხვადასხვა ზომებით. ქვეყნის საგარეო ეკონომიკური მდგომარეობის ძირითად ინდიკატორს წარმოადგენს *საგადასახდელო ბალანსი.* ის არის ცხრილი, რომლის მარცხენა ნაწილში (კრედიტი) აღნიშნულია საქონლის, მომსახურეებათა და კაპიტალის ნაკადები ქვეყნიდან, ხოლო მარჯვენაში (დებეტი) —

ამ ქვეყანაში. ამ სვეტთა ჯამების სხვაობა არის საგადასახდელო ბალანსის სალდო, რომელიც გვიჩვენებს, რამდენად მეტი (ნაკლები) გააქვს ქვეყანას, ვიდრე შემოაქვს. საგადასახდელო ბალანსის სალდო არსებით ზემოქმედებას ახდენს სავალუტო კურსზე.

ყიდვითი უნარის პარიტეტი (ყუპ) — არის თანაფარდობა ვალუტებს შორის განსაზღვრული საქონლისა და მომსახურების ნაკრების მიმართ მათი ყიდვითი უნარის მიხედვით. ეს თანაფარდობა შეიძლება იყოს სავსებით დაშორებული სავალუტო კურსისგან, რაც ხშირად ხდება განვითარებად ქვეყნებში, რუსეთის ჩათვლით. *ევროდოლარები* — ფულადი საშუალებებია დოლარებში, რომელიც იმყოფება აშშ-ის საზღვრებს გარეთ ბანკებში და გამოსულია მისი იურისდიქციიდან. ანალოგიერად განისაზღვრება ევრომარკები და სხვა ევროვალუტები. *ოფშორი* — ესაა შეღავათიანი დაბეგვრის ზონა უცხოეთის კომპანიებისათვის, რომლებიც მოქმედებენ მხოლოდ და მხოლოდ იმ სახელმწიფოებს გარეთ, რომლებიც ქმნიან ოფშორს. ოფშორები ტრანსერეროვნული კაპიტალის ბაზირების ადგილებად გვევლინებიან.

ინფლაცია — ესაა ფულადი მასის გაუფასურება და ფასების ზრდა, ხოლო *დეფლაცია* — უკუპროცესია. სხვათა შორის ამ ბოლო წლებში იაპონია იტანჯება სწორედ დეფლაციით. ანსხვავებენ *დანახარჯთა ინფლაციას*, რომლის დროსაც ფასები იზრდება წარმოების რესურსების გაძვირების გავლენით, და *მოთხოვნის ინფლაციას*, როცა ფასების ზრდა გამოწვეულია მოსახლეობის ფულადი საშუალებების ზრდით, რომლებიც უზრუნველყოფილნი არ არიან სასაქონლო მასით. ხშირად დანახარჯთა ინფლაცია და მოთხოვნის ინფლაცია ვითარდება ერთმანეთის პარალელურად, ისე რომ ერთმანეთს არ ჩამორჩებიან. ამასთან თავდაპირველად გადადიან *ჭენებად ინფლაციაში*, ხოლო შემდეგ ფულისგან გაქცევაში — *ჰიპერინფლაციაში*.

სტაგნაცია — ეკონომიკური უძრაობის სინონიმია, ხოლო სტაგფლაცია — სტაგნაციის ინფლაციასთან ჰიბრიდი, რომელსაც სამწუხაროდ, დიდხანს ჰქონდა ადგილი ჩვენს ეკონომიკაში. და ბოლოს, ყურმოკვრით ჩვენთვის ნაცნობი დევალვაცია — არის ერთი ვალუტის კურსის შემცირება მეორის მიმართ, ძირითადად დოლართან მიმართებაში.

სარგებლიანობა — მომხმარებლის მიერ სუბიექტურად შეფასებული სარგებელი საქონლისა და მომსახურების შეძენის შედეგად. ეს კატეგორია ფართოდ გამოიყენება ნეოკლასიკურ ეკონომიკურ თეორიაში, მათემატიკურ ეკონომიკასა და მოდელირებაში. ზღვრული სარგებლიანობა არის დამატებითი სარგებლიანობა, მიღებული საქონლის ან დოვლათის ყოველი შემდგომი ერთეულისაგან. თუკი გადავალთ მათემატიკურ ტერმინებზე, მაშინ ზღვრული სარგებლიანობა (MU) — ესაა კერძო წარმოებული

სარგებლიანობა (U) რაიმე დოვლათის მიხედვით (X): $MU = \partial U/\partial X$, სადაც ∂U და ∂X — უსასრულოდ მცირე ნაზრდებია შესაბამისად U და X-ისა. ზღვრული საგებლიანობა დიდ როლს ასრულებს ეკონომიკურ თეორიაში და აი, რატომ. თუკი ადამიანს გააჩნია ფულის შეზღუდული რაოდენობა და სურს ბაზარზე უკვე მის ხელთ არსებული დოვლათისათვის რაღაც ნაკრების კიდევ დამატება, მაშინ იგი დაიწყებს იმის შედარებას, რამდენად გაიზრდება მის მიერ საერთო მიღებული სარგებლიანობა ამა თუ იმ დოვლათის ან საქონლის შეძენისათვის გაწეული სახსრების მცირე ერთეულის ხარჯვისას. ის, ბუნებრივია, ფულს ჩადებს იმ საქონელში, რომელიც მისცემს მას ყველაზე მეტ სარგებლიანობის ნამატს. ვინაიდან ბაზარზე ამ ლოგიკით მოიქცევა ყველა მყიდველი, ამიტომ ბოლოს და ბოლოს ფასები დადგინდება იმგვარად, რომ სარგებლიანობის ნამატის თვალსაზრისით ყველა საქონელი გახდება თანაბრად მიმზიდველი. თუკი რომელიმე საქონელი იქნება უფრო მიმზიდველი სარგებლიანობის ნამატის მიხედვით სხვაზე, მაშინ მასზე მოთხოვნა იქნება მეტი და ბაზარი ამაზე სწრაფად რეაგირებას მოახდენს ფასის ზრდით. ამდენად, *წონასწორობის სიტუაციაში ყველა საქონელზე ფასი უნდა იყოს პროპორციული მათი სარგებლიანობის ზღვრისა.* ეს არის ფუნდამენტური დებულება მოხმარების ნეოკლასიკური თეორიისა. უბრალოდ რომ ვთქვათ, საქონლის ფასი ტოლია მისი ზღვრული სარგებლიანობისა საზომი ერთეულის სიზუსტით (მანეთები, ლარები, დოლარები და ა. შ.).

ამჟამად მეცნიერებაში საერთოდ და კერძოდ, ეკონომიკაში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ცნებად იქცა მოდელები. *მოდელი* — ესაა ობიექტის ან პროცესის აზრობრივი, რაიმე ენაზე აღწერილი ან დამზადებული ნიმუში, რომელიც ასახავს მის თვისებებსა და სტრუქტურებს.

ბოლო წლებში ეკონომიკურ თეორიაში სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს განსაკუთრებით მრავალმხრივი ცნება „ინფორმაცია". პრინციპში, იგი შეიძლება მივაკუთვნოთ პირველადს, რომელიც არ განისაზღვრება სხვა კატეგორიებით, მსგავსად მატერიისა. თუმცა პრაქტიკული გამოყენებისათვის შეგვიძლია შემოგთავაზოთ შემდეგი განსაზღვრება:

> ინფორმაცია — ცნობებია ობიექტზე, პროცესზე ან მოდელის შესახებ, რომელთა კოდირება და გაზომვა შეიძლება.

ინფორმაციული ტექნოლოგიები საშუალებას გვაძლევს მივიღოთ, შევინარჩუნოთ, გადავცეთ და დავამუშავოთ ინფორმაცია. *ინფორმატიზაცია* — ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების და დანერგვის პრო-

ცესია. *ინფორმატიკა* — მეცნიერებაა ინფორმაციაზე, ინფორმატიზაციასა და ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე.

ინფორმაციის უკმარისობა, პარტნიორთა ქცევის წინასწარ გაუთვალისწინებლობას განაპირობებს. მაკროეკონომიკური სიტუაციის არამდგრადობა, მოულოდნელი კლიმატური და სხვა ბუნების მოვლენები ბადებს *რისკს. დაზღვევა* — გარიგებაა, რომლის დროსაც ერთი მხარე მეორეს უხდის განსაზღვრულ თანხას სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას. ამგვარად მცირდება რისკები. მეწარმე ნებაყოფილობით გადასცემს თავისი მოგების ნაწილს სადაზღვევო კომპანიას, რათა საქონელზე ფასების რისკი შეამციროს, დებენ *ფორვარდულ კონტრაქტებს*, რომლებიც წარმოადგენს ყიდვა-გაყიდვის გარიგებას კონკრეტულ პარტნიორთან, რაც განეკუთვნება მომავალში რაიმე მომენტს საქონლის ფიქსირებულ ფასთან დაკავშირებით. *ფიუჩერსული კონტრაქტი* — ესაა უფლება რაიმე საქონლის (მაგალითად, ვალუტის) ყიდვაზე ან გაყიდვაზე განსაზღვრულ მომენტში, მომავალში ფიქსირებული ფასის მიხედვით, რომელიც უზრუნველყოფილია ბირჟით. ფორვარდულისგან განსხვავებით, ფიუჩერსულში კონკრეტული პარტნიორი ცნობილი არაა, მას ცვლის ბირჟა. ფიუჩერსების გარდა არსებობს *ოპციონები* (უფლება მხოლოდ ყიდვაზე ან გაყიდვაზე), სვოპები (ერთი აქტივის მეორეზე გაცვლის უფლება) და *დერივატებად* წოდებული, სხვა წარმოებული ფინანსური ინსტუმენტების მასა.

ჩვენ გვესმის, რომ ყველა ამ განსაზღვების წაკითხვა მხიარულებას არ მოგგვრიდათ, მაგრამ სამაგიეროდ ახლა თქვენ შეძლებთ ყველაფრის გაგებას, რასაც ამბობენ ეკონომისტები. ეს რამდენიმე სტრიქონი ძალზე გამოგადგებათ ცხოვრებაში.

1.2. ეკონომიკის ძირითადი კანონები

ახლა შესაძლებელია ეკონომიკის ძირითად კანონებზე გადასვლა. თავიდანვე განვაცხადებთ, რომ ეკონომიკის კანონები მნიშვნელოვნად განსხვავდება თქვენთვის ცნობილი ფიზიკის ან ქიმიის კანონებისგან. ისინი ძირითადად ჭეშმარიტია მხოლოდ განსაზღვრულ, არა ყოველთვის მკაფიოდ გამოკვეთილ პირობებში და არანათელ ვარაუდებში. ბევრი ეკონომიკური კანონი წარმოადგენს სტატისტიკური დაკვირვებების შედეგს განსაზღვრულ ისტორიულ მონაკვეთში. მათი გადატანა სხვა დროის ინტერვალებში და მით უმეტეს გამოყენება სიტუაციის მომავალი განვითარების პროგნოზირებისათვის ძალზე პრობლემატურია. ბევრი კანონი აღიარებულია ერთი ეკონომიკური სკოლის ჩარჩოებში და საკამათოა ან სრულებით უარყოფილია სხვა სკოლების მიერ. კანონთა ნაწილი უკვე წარმოადგენს მხოლოდ ისტორიულ ინტერესს, ვინაიდან ეკონომიკური პი-

რობები შეიცვალა და დროთა განმავლობაში გამოვლინდა მათი შეზღუდულობა.

ეკონომიკური თეორიის აგება, განსხვავებით ფიზიკისაგან, სრულებით არაა ორიენტირებული *ბორის ცნობილ პრინციპზე*, რომლის თანახმადაც, ყოველმა ახალმა თეორიამ უნდა შთანთქას ძველი, რომელიც ხსნის მოვლენების იმავე კლასს განსაზღვრულ პირობებში. ამასთან საჭიროა, რომ ახალი თეორიის კანონები გადაიქცნენ ძველად იმ პირობებში, რისთვისაც ეს ძველი თეორია იყო განკუთვნილი. მაგალითად, აინშტაინის ფარდობითობის სპეციალური თეორიის ძირითადი განტოლებები გადაიქცევა ჩვეულებრივ ნიუტონის კანონებად მცირე სიჩქარეების დროს სინათლის სიჩქარესთან მიმართებაში. კვანტური მექანიკის განტოლებები და კანონები ემთხვევა კლასიკური ფიზიკის კანონებს საკმარისად დიდი მასის ობიექტების შემთხვევაში.

ეკონომიკაში არ შეინიშნება საბუნებისმეტყველო მეცნირებათა აგების ძირითადი პრინციპიც, რომელსაც უწოდებენ *ოკამის სამართებელს*. ამ პრინციპის თანახმად, თეორიაში არ შეიძლება შევიტანოთ ახალი ცნებები (კატეგორიები), სანამ არსებული მოვლენებისა და საექსპერიმენტო მონაცემების ნაკრების ახსნა შეიძლება ძველის საფუძველზე. ეკონომისტები ხშირად და მსუბუქად, ყოველგვარი აუცილებლობის გარეშე ახდენენ ახალი ცნებების შემოტანას, ნაკლებად უფარდებენ რა მათ ძველებს. ალბათ მომავალში განხორციელებული ეკონომიკის მათემატიზაცია მიგვიყვანს მის მკაცრად აქსიომატურ აგებამდე, რაც დამახასიათებელი იყო უფრო ძველ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათათვის, რომლებიც ამავდროულად დაკავშირებულნი იყვნენ მნიშვნელოვნად უფრო მარტივი ობიექტებით.

მიუხედავად ამისა, ეკონომიკური კანონები — ეს ის მდგრადი ურთიერთკავშირია მოვლენათა შორის, რომელთა გამოვლენა კაცობრიობამ შეძლო ეკონომიკური მეცნიერების მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე. და მათი ცოდნა, ბუნებრივია, სასარგებლოა. ქვემოთ ჩვენ მოვიყვანთ ძირითად ეკონომიკურ კანონებს და უწინდებურად გამოვყოფთ მათ, რომელთაც გირჩევთ დაიმახსოვროთ.

დავიწყოთ „ისტორიული" კანონებიდან, რომელთაც უკვე დაკარგული აქვთ ძველი აქტუალობა, მაგრამ მაინც არსებითი გავლენა მოახდინეს ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაზე და თუნდაც ამიტომ ღირსია შესწავლისა. ხომ გვახსოვს პტოლომეოსის გეოცენტრული სისტემა, თუმცა მართალი აღმოჩნდა კოპერნიკი.

სეის კანონი (XIX ს-ის დამდეგის ფრანგი ეკონომისტი) *სრული მოთხოვნა ტოლია მთელი მიწოდებისა*. სეიმ არ გაითვალისწინა დანაზოგის

არსებობა, რომელიც ყოველთვის როდია ტოლი ინვესტიციებისა. თუმცა კამათმა ამ კანონის გარშემო განვითარება კეინსიანური თეორია.

უფრო ზუსტ თანაფარდობას მოთხოვნასა და მიწოდებას შორის გვთავაზობს *ვალრასის[1] კანონი. საერთო წონასწორობის პირობებში ყველა საქონლის ფულადი ღირებულება მიწოდების მხარეზე ტოლია ყველა საქონლის საერთო ღირებულებისა მოთხოვნის მხრიდან.* ან ფორმულის სახით:

$$\sum P_i \cdot S_i = \sum P_i \cdot D_i$$

სადაც P_i — საქონელთა ფასებია;
S_i და D_i — საქონელთა რაოდენობა შესაბამისად მიწოდებისა და მოთხოვნის მხრიდან.

ინდექსი i ღებულობს მოთხოვნისა და მიწოდების შესაბამის მრავალ მნიშვნელობას.

გრეშემის (XVI ს-ის ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე და ფინანსისტი) ანუ *გრეშემ-კოპერნიკის კანონი. ცუდი ფული მიმოქცევიდან დევნის კარგს.* კანონი, დადგენილი ოქროსა და ვერცხლის მონეტების ბრუნვის პირობებში, ამტკიცებდა, რომ უფრო იაფი და სწრაფად გაიაფებადი ვერცხლი გამოდევნის ბრუნვიდან (მიმოქცევიდან) ოქროს, რომელიც ძირითადად გამოიყენება დაგროვების მიზნით. ხომ არ გაგონებთ ეს სიტუაცია სწრაფად გაიაფებად მანეთებს და დოლარებს, რომელსაც ჩვენი მოსახლეობა იყენებს დანაზოგების შესანახად. იქნებ ნაადრევად დავივიწყეთ ძველი კარგი კანონი გრეშემისა?

შეიძლება გამოვყოთ ერთტიპური ნეოკლასიკური კანონების ჯგუფი.

ზღვრული სარგებლიანობის შემცირების კანონი. მოხმარებული სიკეთის რიცხვის ზრდასთან ერთად საერთო სარგებლიანობა მოხმარებისაგან გაიზრდება, ხოლო დამატებითი სარგებლიანობა დოვლათის დამატებითი ერთეულის მოხმარებისაგან შემცირდება.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუკი თქვენ უკვე გაქვთ ბევრი რაიმე სახის დოვლათი ან პროდუქტი, მაშინ დამატებითი პორცია ცოტაოდენ დაკმაყოფილებას მოგიტანთ.

ზღვრული სარგებლიანობის თეორიის ფარგლებში ჰ. გოსენის[2] მიერ 1854 წ. იქნა ჩამოყალიბებული ორი კანონი.

გოსენის კანონები. პირველი — მოხმარებით დაკმაყოფილების სიდიდე მცირდება მოცემული სახის ყოველი დამატებითი ერთეული დოვლა-

1. ვალრასი — შვეიცარიელი ეკონომისტი, 1834-1910 წწ.
2. ჰ. გოსენი — გერმანელი ეკონომისტი, XIX ს.

თის მოხმარებისგან, სანამ არ მიაღწევს ნულს სრული გაჯერების წერტილში. (ამ კანონის მოქმედება ეპვს არ იწვევს ყველასთვის, ვისთვისაც ნაცნობია მოყირჭება ან უბრალო გაძღომა.) *მეორე* — მოთხოვნათა მაქსიმალური დაკმაყოფილებისათვის იმ პირობებში, როცა დოვლათის მარაგი არასაკმარისია სრული გაჯერებისათვის, აუცილებელია შევაჩეროთ ყველა დოვლათის მოხმარება წერტილებში, სადაც დაკმაყოფილების ინტენსივობა მოხმარებისაგან ხდება ერთნაირი. ესაა ისტორიულად პირველი ფორმულირება ბაზრის წონასწორობისას, ჩვენს მიერ დაწვრილებით აღწერილი სხვადასხვა დოვლათის ზღვრული სარგებლიანობის გათანაბრებისა (გოსენის მიხედვით — კმაყოფილების ინტენსივობა). გოსენის მეორე კანონი საფუძვლად უდევს მთელ ნეოკლასიკურ ეკონომიკას.

კლებადი უკუგების კანონი. რაიმე საწარმოო ფაქტორის გამოყენების ზრდასთან ერთად (დანარჩენთა უცვლელობის შემთხვევაში) ადრე თუ გვიან მიიღწევა წერტილი, რომელშიც ამ ფაქტორის დამატებით გამოყენებას მივყავართ თავდაპირველად შედარებით კლებასთან, შემდგომ კი იგი მოიცავს პროდუქციის გამოშვების აბსოლუტურ მოცულობასაც. მაგალითად, თუკი თანდათანობით გავზრდით აზოტის სასუქის შეტანის დოზას, მაშინ მოსავლიანობა თავიდან სწრაფად მოიმატებს, შემდგომ კი მოსავლიანობის ნამატის შეფარდება სასუქის დამატებით დოზასთან გახდება სულ მცირე და მცირე და დაწყებული გარკვეული დონიდან, დოზის შემდგომი ზრდისას მოსავლიანობა დაიწყებს კლებას ნიადაგში აზოტის სიჭარბის გამო.

მზარდი ზღვრული დანახარჯების კანონი. პროდუქტის წარმოების ზრდის კვალობაზე დანახარჯები თითოეული დამატებითი ერთეული პროდუქტის წარმოებაზე იზრდება.

XIX ს-ის 80-იან წლებში ჯ. კლარკმა[1] ჩამოაყალიბა ორი საკმაოდ ზოგადი კანონი — *შრომისა და კაპიტალის მწარმოებლურობის კლებისა.* პირველი — თუკი მუდმივ სამუშაოს ძალას მივუმატებთ მუშათა დამატებით რაოდენობას, მაშინ ყოველი შემდგომი მუშა შექმნის სულ უფრო მცირე რაოდენობის პროდუქციას. მეორე — უცვლელი სამუშაო ძალის პირობებში მწარმოებლურობა წარმოებაში დამატებით ჩადებული კაპიტალისა კლებულობს. საქმე ისაა, რომ საბოლოო პროდუქციის გამოშვება დამოკიდებულია როგორც შრომაზე, ასევე გამოყენებულ ძირითად საშუალებებზე (კლარკის მიხედვით — კაპიტალზე). ნათელია, რომ თუკი დავაფიქსირებთ გამოყენებული შრომის რაოდენობას, მაშინ მოცემული ტექნოლოგიური დონის პირობებში კაპიტალის ზრდა მოგვიტანს სულ უფრო მცირე და მცირე პროდუქციის ნამატს. ზუსტად ასევე კაპიტალის უცვლელობის დროსაც, მაგალითად, დაზგებზე და მოწყობილობებზე, დამატები-

1. ჯ. კლარკი — ამერიკელი ეკონომისტი, XIX-XX სს.

თი შრომითი რესურსების მოზიდვა იქნება სულ უფრო ნაკლებ და ნაკლებ ეფექტიანი.

ყველა ზემოთ მოყვანილი ნეოკლასიკური კანონები ასახავს ერთის, როგორც ჩანს, საყოველთაო კანონზომიერების სხვადასხვა ასპექტს. როცა თქვენ იწყებთ რაიმე საქმიანობას და დებთ მასში განსაზღვრულ რესურსებს, თავდაპირველად თქვენი სამუშაო ეფექტიანობა (უკუგება დახარჯული რესურსის ერთეულზე) ძალიან მაღალია, თანდათანობით იგი კლებულობს და აღწევს იმ დონეს, როდესაც რესურსის შემდგომი მატება არ იწვევს ეფექტიანობის არსებით ზრდას. თუკი ავაგებთ ეფექტიანობის გრაფიკს რესურსისგან, მაშინ იგი ყოველთვის იქნება ამობურცული ზევით და ფორმით მოგვაგონებს კვადრატულ ფესვს (ნახ. 1.1).



ნახ. 1.1. რესურსების ეფექტიანობის დამოკიდებულება

ეს, რა თქმა უნდა, სამართლიანია მანამ, სანამ არ ხდება გამოყენებული ტექნოლოგიის არსებითი ცვლა. ტექნოლოგიური ნახტომის ან ტექნოლოგიური რევოლუციის შემდეგ წარმოიქმნება ფაქტორთა ახალი შეთანხმება და ყველაფერი იწყება თავიდან. რესურსების დაბანდება კვლავ ხდება ძალიან ეფექტური და ეფექტიანობა უკვე ახალი ციკლის ჩარჩოებში თანდათანობით იწყებს კლებას ჩადებული რესურსების ზრდასთან ერთად ახალ ტექნოლოგიურ ნახტომამდე.

ეს კანონზომიერება შენიშნულია პრაქტიკულად ყველა სახის საქმიანობაში და მიიღო პარადოქსული და თვალში საცემი ასახვა 20/80 კანონში.

კანონი 20/80. ნებისმიერ საქმიანობაში რესურსების პირველდაწყებითი 20%-იანი დაბანდება იძლევა 80% ეფექტს.

ამ კანონს გააჩნია მრავალი საინტერესო, სტატისტიკითა და მრავალრიცხოვანი დაკვირვებებით დასაბუთებული შედეგები. მაგალითად, ჭიანჭველათა 20% ასრულებს სამუშაოს 80%-ს ბუდეში, მამაკაცთა 20% სვამს 80% ლუდს და ა. შ. ეს შეიძლება ძალიან გამოგადგეთ ცხოვრებაში. 20/80-ზე კანონიდან გამომდინარეობს, რომ ძალიან სასარგებლოა ერთი საქმიანობიდან გადაერთოთ მეორეზე, ჯერ ისევ ახალზე და სხვათა მიერ აუთვისებელზე, იქ ხომ თქვენი ძალისხმევის იმავე 20%-ით თავდაპირველად შეძლებთ მიიღოთ ეფექტის 80%. შემდეგ ეფექტიანობის შემცირებისას ეს საქმიანობა საჭიროა კვლავ შევცვალოთ და ისევ „მოვხსნათ ნაღები". მეორე საიმედო, მაგრამ უფრო ძნელი გზაა ეფექტიანობის გაზრდისა — ტექნოლოგიური ნახტომები და ინოვაციები. კანონი 20/80, თავის არსით, კარნახობს განვითარების ინოვაციური გზის აუცილებლობას, როგორც მეთოდს მუდმივად კლებადი ეფექტიანობის დაძლევისა. ჩვენ კიდევ არაერთხელ დავუბრუნდებით ამ კანონზომიერების გამოვლენას.

მეორე მნიშვნელოვანი ზოგადი კანონზომიერება აღმოჩენილ იქნა გერმანელი ქიმიკოსის ი. ლიბიხის — აგროქიმიის მამის (XIX ს.) მიერ. მან დაადგინა, რომ მცენარეთა განვითარებაზე ზემოქმედებს რიგი შეუცვლელი ფაქტორები: სინათლე, წყალი, მინერალური საკვები ელემენტები (აზოტი, ფოსტორი, კალიუმი). ამასთან, ზრდა და მცენარის საბოლოო პროდუქტიულობა განისაზღვრება იმ ფაქტორით, რომელიც არ ყოფნის, ე. ი. იმით, რაც დღეს არის მინიმუმი. აღმოჩნდა, რომ ასეთი კანონზომიერება სწორია ყველა შემთხვევისათვის, როცა ეფექტიანობა დამოკიდებულია რამდენიმე ფაქტორზე, რომელთაც არ შეუძლიათ ერთმანეთის შეცვლა და ნორმირებულია ისე, რომ თითოეული ფაქტორი შეიძლება ცვალებადობდეს 0-დან 1-მდე ან 0-დან 100%-მდე.

მაგალითად, თუკი მცენარეს არ ყოფნის აზოტი, მაშინ მოსავალი არ გაიზრდება, რამდენიც არ უნდა შეიტანო დამატებით ფოსფორი და კალიუმი. მხოლოდ აზოტი განსაზღვრავს მოსავლიანობას.

ლიბიხის კანონი. საქმიანობის ეფექტიანობა, დამოკიდებული რამდენიმე ნორმირებულ შეუცვლელ ფაქტორზე, განისაზღვრება იმ ფაქტორით, რომელიც არის მინიმალური.

ცალკე ჯგუფში შეიძლება გავაერთიანოთ კანონები, რომელიც აღწერს შემოსავლების და მოხმარების თანაფარდობას.

> კეინსის ძირითადი ფსიქოლოგიური კანონი. შემოსავლების ზრდასთან ერთად მოსახლეობის მიდრეკილება მოხმარებისაკენ ეცემა, ხოლო მიდრეკილება დაგროვებისაკენ იზრდება.

ენგელის კანონი. შეიძლება განვიხილოთ, როგორც კეინსის კანონის კონკრეტიზაცია და დაზუსტება. იგი გვაუწყებს: *ოჯახის შემოსავლების ზრდის კვალობაზე ეცემა მისი ხარჯების წილი სურსათ-სანოვაგეზე, თითქმის არ იცვლება დანახარჯების წილი ბინაზე, საწვავზე, ელექტრობაზე, ტანსაცმელზე, სამაგიეროდ იზრდება ხარჯების წილი მომსახურებასა და სხვა საჭიროებებზე.*

პარეტოს კანონი რაოდენობრივად განსაზღვრავს ადამიანთა N რიცხვს, რომელთაც აქვთ შემოსავალი რაღაც X სიდიდეზე მეტი (ნახ. 1.2). სტატისტიკურად დადგენილია, რომ, დაწყებული რაიმე მინიმალური შემოსავლებიდან, $N = A / (X - a)^{-m}$, სადაც A, a და m — ზოგიერთი პარამეტრებია, a — შეესაბამება მინიმალურ შემოსავალს. ნათელია, რომ ადამიანთა რიცხვი, რომელთაც შემოსავალი გააჩნია დიდი, ვიდრე X, მით უფრო მცირეა, რაც მეტია X. ამიტომ მოცემული დამოკიდებულება მსგავსია ჰიპერბოლისა და m — უარყოფითი რიცხვია, A — რომელიღაც მამრავლია, რომელიც წარმოადგენს ნორმირებასა და ზომას. ჩვეულებრივ სიდიდე m იმყოფება 1,2-დან 1,9-მდე დიაპაზონში. რაც მეტია m, მით მეტია პიპერბოლის შეზნექილობა და მით მეტია სხვაობა მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის შემოსავლებს შორის.



ნახ. 1.2. პარეტოს მრუდი.

ოიკენის კანონი განსაზღვრავს უმუშევრობის დამოკიდებულებას წარმოების დონესთან მიმართებაში. განსაზღვრულ დიაპაზონში სტატისტიკურად მტკიცდება, რომ *2%-იანი წარმოების ზრდისას ქვეყანაში უმუშევრობის დონე ეცემა 1%-მდე და პირიქით.*

საგარეო ეკონომიკური საქმიანობისას ძირითად როლს თამაშობს დ. რიკარდოს (XIX ს.) და ჰეკშერ-ოლინის (ზოგჯერ შვედურ გვარს — ოლინს თარგმნიან, როგორც ულინს) კანონები.

რიკარდოს კანონი. იმპორტი მომგებიანია, როცა საქონელი იწარმოება საზღვარგარეთ აბსოლუტურად დიდი დანახარჯებით, ხოლო ქვეყნის შიგნით მასზე იხარჯება დიდი სამუშაო დრო, ვიდრე რომელიმე სხვა საქონელზე, რომელიც შეიძლება გახდეს ექსპორტის საგანი. ეს კანონი საფუძვლად უდევს შედარებითი უპირატესობების თეორიას.

ჰეკშერ-ოლინის კანონი. ქვეყნებს, რომელთაც ჭარბად აქვთ ესა თუ ის წარმოების ფაქტორები (ნედლეული, კაპიტალი, შრომითი რესურსები), ექნებათ შედარებითი უპირატესობანი იმ საქონლისა და მომსახურების ექსპორტში, რომელთა წარმოება დაფუძნებულია წარმოების მოცემული ფაქტორების ინტენსიურ გამოყენებაზე.

ახლა ეკონომიკა ინტენსიურად იწყებს გამდიდრებას ახალი კანონზომიერებებით, რომლებიც დადგენილია მმართველობის სისტემათა და თეორიათა ზოგად თეორიაში. ეს კანონები მიეკუთვნება თავისი ბუნებით სხვადასხვა სისტემებს, მაგრამ შეიძლება იქნეს გამოყენებული ეკონომიკურ მოვლენათა ასახსნელადაც.

ამ დროისათვის სისტემების საერთო თეორია იმყოფება ჩამოყალიბების სტადიაში, თუმცა მათში უკვე განსაზღვრულია დაახლოებით 60 ზოგად სამეცნიერო სისტემური კანონები, აგრეთვე 70-ზე მეტი საერთო წესი და პრინციპი, რომლებიც სამართლიანია თავისუფალი ბუნების სისტემისათვის.

ერთ-ერთ ყველაზე უფრო ცნობილ კანონზომიერებათა სისტემას წარმოადგენს *ნაწილისა და მთელის მსგავსების კანონი* ან ბიოჰოლოგრაფიული კანონი. ის აღმოჩენილ იქნა შორეულ წარსულში და გახდა ამოსავალი წერტილი გნოსეოლოგიაში (მეცნიერება შემეცნების შესახებ). ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში ეს კანონი გამჟღავნდა მიკროკოსმოსის (ადამიანის) მაკროკოსმოსთან (სამყაროს) მსგავსების თეორიის ფორმით. ამავდროულად თანამედროვე მეცნიერების მნიშვნელოვან აღმოჩენას წარმოადგენს ფრაქტალური სტრუქტურა მრავალი ფუნდამენტური სისტემის და მოვლენისა. (ფრაქტალი წარმოადგენს სისტემას, რომლის ყოველი ნაწილი იგივეობრივია თავად სისტემისა, გაყოფათა უსასრულო რიცხვის პირობებში). ასე რომ, ეს კანონი ერთდროულად არის ყველაზე ძველი და

ყველაზე თანამედროვეც. სწორედ ეს კანონი უდევს საფუძვლად რედუქციონიზმს, როცა გამოკვლეული ნაწილის მიხედვით შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ გავიგებთ მთელის ზოგიერთ კანონზომიერებას. მაგალითად, წარმოების ორგანიზაციის სტრუქტურული კანონზომიერებების შესწავლისას შეიძლება გამოვიტანოთ განსაზღვრული დასკვნები მეგაეკონომიკის შესახებ. თუმცა, ამ კანონის გამოყენებისას საჭიროა გვახსოვდეს, რომ მსგავსი არ ნიშნავს იდენტურს და სისტემებისათვის სამართლიანია *ემერჯენტულობის აზრით: მთელს ყოველთვის გააჩნია განსაკუთრებული თვისებები, რომლებიც არა აქვს მის ქვესისტემებს.*

ეკონომიკისათვის საკმაოდ სასარგებლოდ წარმოგვიდგება *სისტემის ელემენტების სიჭარბის კანონი ორგანიზაციის, ვარიანტთა რიცხვის მინიმუმისას.* ქმნიდა რა სხვადასხვა სისტემას, ბუნება არ ძუნწობდა დამატებით ელემენტებზე, მაგრამ ეკონომიას ახდენდა მათი ორგანიზაციის ვარიანტებზე. ეს ნიშნავს, რომ სისტემაში კავშირი და ორგანიზაცია მის შემადგენელ ობიექტებზე „მნიშვნელოვანია". ნ. ი. ვავილოვის მიერ აღმოჩენილი ამ საერთო კანონის კერძო გამოვლინებას წარმოადგენს ჰომოლოგიური რიგები. *ჰომოლოგიური კანონის* შესაბამისად, ერთნაირ საგარეო პირობებს შეუძლია წარმოშვას ორგანიზმთა მსგავსი სტრუქტურები, დაფუძნებული ერთმანეთისაგან სავსებით განსხვავებულ ელემენტების ბაზაზე. (მაგალითად, ვეშაპი — ძუძუმწოვარა — საკმაოდ მოგვაგონებს თევზს). თუ დავეყრდნობით ამ დადგენილ საერთოსისტემურ კანონზომიერებას, შეგვიძლია მოვახდინოთ ეკონომიკური ინსტიტუტების ევოლუციის ანალიზი.

ოპტიმალურობის საერთოსისტემური კანონის მიხედვით, *ყოველი სისტემა ფუნქციონირებს უდიდესი ეფექტიანობით ზოგიერთ მისთვის დამახასიათებელ სივრცობრივ-დროით ფარგლებში.* ეს ხომ არაა საფუძველი ეკონომიკაში მრავალწყობიანობის აუცილებლობისა, რომლიც დროსაც მეურნეობის ყოველმა ფორმამ უნდა დაიკავოს თავისი ადგილი ტრადიციის, ბუნებრივ-კლიმატური პირობების, არსებული რესურსების და ტექნოლოგიური ბაზებიდან გამომდინარე.

ეკონომიკური სისტემების განვითარების პროცესის გამოკვლევისას მნიშვნელოვან როლს თამაშობს *სისტემაგენეტიკური კანონი, რომელიც გვეუბნება, რომ სისტემის ელემენტი თავის ინდივიდუალურ განვითარებაში შემცირებული ფორმით იმეორებს მთელი სისტემის განვითარების გზას.* ასეთი კანონზომიერება დიდი ხანია დადგენილია ცოცხალ არსებათა სამყაროში. 1864 წ. ფ. მიულერმა დაადგინა, ხოლო 2 წლის შემდეგ ე. ჰეკელმა ჩამოაყალიბა კანონი, რომლის თანახმადაც, ონტოგენეზი ყოველი ორგანიზმისა არის მოკლე და შეკუმშული გამეორება ერთგვარი ფილოგენეზისა, ე. ი. ინდივიდი თავის განვითარებაში იმეორებს თავისი სახეობის

ევოლუციურ განვითარებას. ნათელია, რომ ეს კანონი წარმოადგენს კერძო შემთხვევას ზოგადი სისტემაგენეტიკურისა. ეკონომიკის ევოლუციური თეორია დამყარებულია ევოლუციის საერთო კანონების გამოყენებაზე ეკონომიკის სასტემათა და ინსტიტუტთა განვითარების კანონზომიერებათა გამოსაკვლევად. მაგალითად, ეს ევოლუციური კანონზომიერებები შეიძლება დაგვეხმაროს კარგად გავერკვეთ ინტეგრაციის პროცესებში. მათგან გამომდინარეობს, მაგალითად, ის, რომ წარმოშობილი ინტეგრაციული წარმონაქმნი აუცილებლად გადის ისტორიულ პლანზე მის წინამორბედზე უფრო „რბილ“ საფეხურებს. ასე მაგალითად, ჯერ კიდევ ფინანსურ-სამრეწველო ჯგუფის შექმნამდე მისი მომავალი მონაწილეები აშკარად თუ ფარულად დებენ სტრატეგულ ალიანსებს, შემდეგ მიდიან სხვადასხვა ფორმის ასოციაციებთან, კონსორციუმებთან, აერთიანებენ ზოგიერთი ფუნქციის შესრულებას, როგორც სინდიკატში, ახდენენ წარმოების რიტმთა და მაჩვენებელთა სინქრონიზაციას, როგორც კარტელში, და მხოლოდ ამის შემდეგ ერთიანდებიან ფორმალურად.

გაწონასწორებულ ეკონომიკურ სისტემებში შესაძლო ძვრების პროგნოზირების გაგებისათვის ძალზე სასარგებლოა საერთოსისტემური *ანონი ლე-შატელიესი*, რომლის თანახმადაც *საგარეო ზემოქმედებისას, რასაც სისტემა გამოჰყავს მდგრადი წონასწორობიდან, ეს წონასწორობა გადაინაცვლებს იმ მიმართულებით, საითაც საგარეო ზემოქმედების ეფექტი სუსტდება.* ეს პრინციპი, რომელიც ხშირად გამოიყენება ქიმიაში რეაქციის მიმართულების განსაზღვრისათვის, საშუალებას იძლევა აგრეთვე ვიწინასწარმეტყველოთ ეკონომიკური სისტემების ქცევა. მაგალითად, მისგან გამომდინარეობს, რომ დევალვაციის შემდეგ, რაც გამოიწვია 1998 წ. 18 აგვისტოს მოვლენებმა, აუცილებლად წამოიჭრება ინფლაციური პროცესები და ხანგრძლივვადიანი გამოყენება „სუსტი“ მანეთის უპირატესობებისა განუხორციელებელია, მიუხედავად შიდა ფასების დონის შენარჩუნებისაკენ მიმართული ყველა მოწოდებისა.

ურთიერთობას ქვესისტემებს, აგრეთვე სისტემასა და გარემოს შორის განსაზღვრავს *სისტემის განვითარების ანონი მისი გარემოს ხარჯზე. ნებისმიერი სისტემა შეიძლება განვითარდეს მხოლოდ მისი გარემოს მატერიალურ-ენერგეტიკული და საინფორმაციო რესურსების გამოყენების ხარჯზე; აბსოლუტურად იზოლირებული თვითგანვითარება შეუძლებელია.* ეს კანონი შესანიშნავად ხსნის თანამედროვე მსოფლიოში ჩამოყალიბებულ ურთიერთობის ტიპს — „ჩრდილოეთი—სამხრეთი“, როცა განვითარებული ქვეყნები არსებობენ უმეტესწილად ფასების დისპარიტეტის ხარჯზე, ერთი მხრივ, ბუნებრივი რესურსებსა და ნედლეულზე, რომელსაც იღებენ განვითარებადი ქვეყნებიდან და, მეორე მხრივ, მეცნიერებატევად

პროდუქტებსა და ტექნოლოგიებზე, რომლებიც იწარმოება განვითარებულ ქვეყნებში. ანალოგიური ურთიერთობები და დისპარიტეტები ჩვენს ქვეყანაში მყარდება მოსკოვსა და პერიფერიებს შორის.

> მმართველობის თეორიაში აღმოჩენილია მნიშვნელოვანი კანონზომიერება, რომლის თანახმადაც მმართველობითი სისტემის სირთულე უნდა იზრდებოდეს უფრო სწრაფად, ვიდრე ობიექტის სირთულე.

(უფრო ზუსტად, ექსპონენციალურად სწრაფად, ე. ი. თუკი ობიექტის სირთულე გაიზარდა S-ჯერ, მაშინ რათა თავი გავართვათ გაზრდილ სირთულეს, მმართველობითი სისტემა უნდა გაიზარდოს (გართულდეს) e^S-ჯერ, სადა e ≈ 2,71) აღნიშნულ დამოკიდებულებას უწოდებენ ექსპონენციალურს და იგი თამაშობს მნიშვნელოვან როლს მრავალი ყველაზე სხვადასხვანაირი პროცესის აღწერისას. ცუდი არაა ვიცოდეთ, რომ ექსპონენტა — ყველაზე სწრაფად ზრდადია ელემენტარული ფუნქციებიდან. (ამასთან, მისი წარმოებული და ინტეგრალი ტოლია თავად ექსპონენტასი.) ეს გარდაუვალი კანონი გახდა ძირითადი მიზეზი უარის თქმისა ეკონომიკის გეგმიურ-ცენტრალიზებული მმართველობისა და ეკონომიკური რეგულირების საბაზრო დეცენტრალიზებულ სისტემაზე გადასვლისა. განვითარების კვალობაზე მმართველობაზე დანახარჯების გაზრდის აუცილებლობიდან ნაწილობრივ გამომდინარეობს ცნობილი *პარკინსონის კანონი*, *რომელიც ამტკიცებს, რომ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას ახლავს სახელმწიფოს ხარჯების წილის ზრდა ქვეყნის მშპ-ში.*

1.3. მრუდები, ეფექტები და პარადოქსები ეკონომიკაში

გარდა კანონებისა, რომელთაც საკმაოდ საერთო ხასიათი აქვთ, ეკონომიკაში ცნობილია მრავალი სტატისტიკური დამოკიდებულება, კარგად დამტკიცებული სტატისტიკითა და პრაქტიკული გამოყენებით. მათ ჩვეულებრივ უწოდებენ წესებს ან გრაფიკულ გამოხატულებაში მრუდების დამოკიდებულებებს. რამდენიმე მათგანის ცოდნა მოეთხოვება ყოველ საკუთარი თავის პატივისმცემელ ეკონომისტს.

ფილიპსის მრუდი (ნახ. 1.3.) ასახავს დამოკიდებულებას ინფლაციასა და უმუშევრობას შორის, რომელიც სტატისტიკურად განსაზღვრულია 1861—1957 წწ. ინგლისის სტატისტიკის მონაცემების საფუძველზე. ეს *დამოკიდებულება გვიჩვენება, რომ ინფლაციის ზრდას ახლავს უმუშევრობის კლება.*



სურ. 1.3. ფილიპსის მრუდი.

ამგვარად, შეიძლება გვეფიქრა, რომ შესაძლებელია დასაქმების მართვა. თუმცა შემდგომში გამოირკვა, რომ ეს დამოკიდებულება ყოველთვის არაა დაცული. შესაძლებელია ინფლაციისა და უმუშევრობის ზრდის ერთდროული შემთხვევები. ფილიპსის მრუდი დღემდე კამათის საგანს წარმოადგენს და წყაროა ახალი იდეებისა სხვადასხვა სკოლის ეკონომისტებისათვის.

ლაფერის მრუდი (სურ. 1.4.) ასახავს ემპირიულად მიღებულ საგადასახადო შენატანების მოცულობის დამოკიდებულებას ფიზიკურ და იურიდიულ პირთა შემოსავლებზე აგრეგირებულ საგადასახადო განაკვეთებთან. *მრუდი აჩვენებს, რომ გადასახადების მოცულობის გარკვეულ დონემდე გადასახადების მოცულობა იზრდება განაკვეთის ზრდასთან ერთად, მაგრამ პარადოქსულია, რომ რაღაც კრიტიკული განაკვეთის შემდეგ მრუდი ხდება კლებადი.* სხვაგვარად რომ ვთქვათ, განაკვეთების ზრდასთან ერთად გადასახადების მოცულობა კლებულობს. ეს დამოკიდებულება უდევს საფუძვლად ამერიკულ პრაქტიკას, უარი თქვას პროგრესულ დაბეგვრაზე, დაწყებული შემოსავლების გარკვეული დონიდან. აშშ-ის პრაქტიკა გვარწმუნებს, რომ გონივრულია საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის შემცირება, რის შედეგადაც შეიძლება მივაღწიოთ საგადასახადო შენატანების გაზრდას.



სურ. 1.4. ლაფერის მრუდი.

ლორენცის მრუდი (სურ. 1.5.) ასახავს შემოსავლების კუმულაციური (აღებული ზრდადი ჯამით) წილის დამოკიდებულებას შემოსავლების მიმღები მოსახლეობის წილზე. *მოსახლეობა იყოფა ჯგუფებად შემოსავლების ზრდის მიხედვით, და მრუდის ყოველი წერტილი გვიჩვენებს, რამდენ მთლიან შემოსავალს (ორდინატთა ღერძი) ღებულობს მოსახლეობის ჯგუფი, რომლის წილი მოსახლეობის საერთო რაოდენობიდან განსაზღვრულია აბსცისათა ღერძზე.* თუ შემოსავლები თანაბრად ნაწილდება, მაშინ ლორენცის მრუდი იქნება სწორი წრფე (0,0) წერტილიდან (1,1) წერტილამდე. შემოსავლების არათანაბარი განაწილება აისახება დიდი გადახრით ამ მრუდისა აბსცისათა ღერძის მიმართ.



სურ. 1.5. ლორენცის მრუდი.

განურჩევლობის (ეჯუორთის) მრუდი იგება კოორდინატთა სისტემაში, რომლის ღერძებზეც ლაგდება ალტერნატიულ საქონელთა რაოდენობა Y და X (სურ. 1.6.). *მრუდის კარდინატთა წერტილები შეესაბამება ორი საქონლის ნაკრებს, რომელთაც მომხმარებლის თვალსაზრისით გააჩნიათ ერთნაირი სარგებლიანობა.*

მარშალის ჯვარი (სურ. 1.7.) შედგება ორი მრუდისაგან: მოთხოვნის მრუდისგან, რომელიც ეცემა ფასის ზრდის კვალობაზე და საქონლის მიწოდების მრუდისგან, რომელიც იზრდება ფასის ზრდასთან ერთად. ამ ორი მრუდის გადაკვეთა განსაზღვრავს საქონლის წონასწორობის ფასს.

მარშალის ჯვარს აქვს ნეოკლასიკური თეორიისათვის არანაკლები მნიშვნელობა, ვიდრე ღმერთის ჯვარს ქრისტიანთათვის. მრავალი ასეთი ჯვარი ამშვენებს ეკონომიკის ყველა თანამედროვე სახელმძღვანელოს. რატომღაც ითვლება, რომ სწორედ ამგვარი გრაფიკული გამოსახულების საშუალებით ყველაზე ადვილად აიხსნება მრავალგვარი ეკონომიკური მოვლენები.

ეკონომიკურ თეორიაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს აგრეთვე სხვადასხვა ეფექტები და პარადოქსები, რომლებიც გვიჩვენებს ეკონომიკურ კანონთა უცნაურ გამოვლინებებს, ხშირად მათ დაზუსტებას რომ საჭიროებს და გადახედვასაც კი. როგორც წესი, ისინი გამოიყენება ეკონომისტთა მიერ სხვადასხვა თეორიის, ასევე ჰიპოთეზათა და იდეათა საილუსტრაციოდ, ამიტომ მათი ცოდნა სასარგებლოა.



სურ. 1.6. განურჩევლობის მრუდი.



სურ. 1.7. მარშალის ჯვარი.

ღირებულების პარადოქსი, ჩამოყალიბებული ჯერ კიდევ ა. სმიტის მიერ, მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანისათვის უაღრესად აუცილებელი წყალი თითქმის უსარგებლო ბრილიანტზე ბევრად იაფი ღირს. შედეგად პარადოქსმა მიგვიყვანა ეკონომიკურ მეცნიერებაში იმის შესახებ წარმოდგენის შემოტანის საჭიროებასთან, როგორიცაა დოვლათის სარგებლიანობა და იშვიათობა.

უხილავი ხელის და ფეხის ეფექტებიც აგრეთვე ეკუთვნის ა. სმიტს. ბაზრის ყველა მონაწილე ისწრაფვის პირადი გამორჩენისაკენ, მაგრამ ბაზრის უხილავი ხელი თითქოსდა წარმართავს მას და ქმნის წონასწორობის სიტუაციას, რომელიც ყველასთვის, მთელი საზოგადოებისათვის მომგებიანია. ზუსტად ასევე ადამიანი ეძებს თავისთვის ყველაზე უფრო მომგებიან სამუშაოს, ხოლო ბაზრის უჩინარი ფეხი თითქოსდა იქ გადაიყვანს, სადაც მისი შრომა იქნება გამოყენებული ყველაზე მეტად რაციონალურად უკვე მთელი ეკონომიკური სისტემის პოზიციიდან.

მომჰირნეობის პარადოქსი. დანაზოგთა გადიდებას, ინვესტიციებისა და *წარმოების შესაბამისი ზრდის გარეშე, მივყავართ ეროვნული შემოსავლის რეალური დონის დაქვეითებისკენ და დანაზოგთა შემცირებისკენ.* ეს ეფექტი შეინიშნება იაპონიაში, სადაც ენერგიულ ზომებს მიმართავენ მომჭირნე იაპონიელთა დიდი დანაზოგების ეკონომიკურ ბრუნვაში ჩასართველად. კიდევ უფრო მეტ საფრთხეს შეიცავს ეს ეფექტი

რუსეთისათვის, სადაც მოსახლეობის დანაზოგთა 80% გამოხატულია დოლარებში და განთავსებულია საბანკო სისტემის გარეთ, ე. ი. უსარგებლოა ეკონომიკისათვის.

> გიფინის პარადოქსი (ეფექტი). არსებობს საქონელი, რომლებზეც ფასის გაზრდას მივყავართ მათზე მოთხოვნის გაზრდამდე.

ეს პარადოქი რ. გიფინის მიერ აღმოჩენილ იქნა XIX ს-ში, ირლანდიაში. კარტოფილზე ფასის გაზრდა იწვევდა მასზე მოთხოვნის ზრდას. რადგან შემოსავალი რჩებოდა ადრინდელი, მცირდებოდა მოხმარება უფრო ძვირფასი საქონლისა და ყიდულობდნენ დამატებით კარტოფილს, რომელიც. იძლეოდა ჯერ კიდევ ყველაზე იაფ კალორიებს. ხანდახან ადგილი აქვს უკუეფექტსაც.

ვებლენის პარადოქსი (ეფექტი). ზოგიერთი საქონლისათვის ფასის დაკლება იწვევს მასზე მოთხოვნის შემცირებას. ასეთ შემთხვევაში ზოგიერთი მომხმარებელი თვლის, რომ მოხდა საქონლის ხარისხის გაუარესება და წყვეტენ მის შეძენას.

ლეონტიევის პარადოქსი. ამერიკული ომისშემდგომი ექსპორტი იმპორტთან შედარებით უფრო შრომატევადია და ნაკლებად კაპიტალტევადი. პარადოქსმა მიგვიყვანა კვალიფიციური შრომის და მეცნირებატევადი პროდუქციის გამოყოფის აუცილებლობამდე.

ფიშერის ეფექტი. ხანგრძლივვადიან პერსპექტივაში მოთხოვნა ფულზე აღარაა დამოკიდებული საპროცენტო განაკვეთზე.

> მულტიპლიკაციური ეფექტი. წარმოების რომელიმე სფეროში დანახარჯები და ინვესტიციები ახდენენ მასტიმულირებელ გავლენას წარმოებასა და დასაქმებაზე სხვა დარგებში.

ეს ეფექტი, აღმოჩენილი XX ს-ის უდიდესი ეკონომისტის ჯ. კეინსის მიერ, პირველად იქნა გამოყენებული აშშ-ის პრეზიდენტის, რუზველტის მიერ 30-იანი წლების კრიზისიდან გამოსვლისას. რუზველტის ახალი კურსი, დაფუძნებული კეინსისეულ თეორიაზე, მდგომარეობდა სახელმწიფო ხარჯების და სახელმწიფო სამუშაოთა (ძირითადად გზათა მშენებლობა) სისტემის ორგანიზაციის მნიშვნელოვან გაზრდაში. სახელმწიფო სამუშაოებით დასაქმებულმა უმუშევრებმა დაიწყეს მეტი საქონლის ყიდვა, რამაც სტიმული მისცა ჯერ მსუბუქი და კვების, შემდგომ კი მძიმე მრეწველობის პროდუქციის ზრდას. წარმოების ზრდამ გამოიწვია დასაქმების და მოსახლეობის შემოსავლების ზრდა, რამაც კვლავ მისცა ბიძგი მოთხოვნის

ზრდას. წარმოიქმნა კონტური, რომელიც მრავალჯერ, მულტიპლიკაციურად აძლიერებდა პირველდაწყებით ეფექტს, გამოწვეულს სახელმწიფო დაბანდებებით.

1.4. უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური თეორიები

ძირითადი ეკონომიკური თეორიების ცოდნა აუცილებელია არა მარტო ყოველი ეკონომისტისათვის, არამედ პრაქტიკულად ნებისმიერი განათლებული ადამიანისათვისაც. დღეს ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური თეორიების გარეშე საუბარი იშვიათად მიმდინარეობს თვით მეგობრულ სუფრებზეც კი და ამ თეორიათა სავრცეში ორიენტირება ძალზე სასარგებლოა. მოცემულ პარაგრაფში ჩვენ შევეცდებით ძალიან შეკუმშული ფორმით გადმოვცეთ არსი ძირითადი ეკონომიკური თეორიებისა და მათი ურთიერთკავშირისა.

ვინაიდან ეკონომიკა მოიცავს ადამიანის საქმიანობის მნიშვნელოვან მხარეებს, ეკონომიკურ პრობლემებზე თეორიული მსჯელობანი უყვარდათ ჯერ კიდევ ძველებს, რომელთაც თანამედროვე ადამიანისგან საერთოდ განასხვავებდა ბევრად დიდი სურვილი შეეცნოთ გარემომცველი სამყაროს რეალობა. უკვე დიდმა ბერძნებმა *პლატონმა* და *არისტოტელემ* ჩაუყარეს საფუძველი ეკონომიკას, როგორც მეცნიერებას. პლატონის ცნობილ „სახელმწიფოში“ შემოტანილი იყო ისეთი დღემდე განსჯის საგნად ქცეული ზომები ბაზრის რეგულირებისა, როგორიცაა „ფასის მერყეობის საზღვრები“, ხოლო არისტოტელემ განჭვრიტა რა შემდგომ ათასწლეულთა პაექრობანი, თვლიდა, რომ გაცვლა ათანაბრებს მოთხოვნილებებს და არა დანახარჯებს. ეს პოსტულატი გახდა საფუძველი მარჟინალისტური რევოლუციისა ეკონომიკურ მეცნიერებაში მხოლოდ XIX ს-ის ბოლოს. რა თქმა უნდა, ძველ მოაზროვნეთა გენიალურ აღმოჩენებთან ერთად მათი ეკონომიკური შეხედულებანი შეიცავდა მრავალ ისეთ დებულებას, რომელთაც დღეს შეუძლია მხოლოდ ღიმილი გამოიწვიოს. რაც არ უნდა იყოს, გავიდა 23 საუკუნეზე მეტი.

ყოველ დიდი მოაზროვნეს შუა საუკუნეებისა და ახალი დროისა, დაწყებული თომა აქვინელიდან კალვინამდე, გააჩნდა თავისი შეხედულებები ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებით, ვინაიდან მათ გარეშე ფილოსოფიური და რელიგიური სისტემები ცხოვრებისგან მოწყვეტილი აღმოჩნდებოდა.

თუმცაღა პირველი წმინდა ეკონომიკური თეორიები და ეკონომიკური სკოლები გაჩნდა მხოლოდ XVII ს-ის ბოლოს. მაშინ (XVII — XVIII საუ-

კუნეების ბოლო) ეკონომიკურ თეორიაში თანმიმდევრულად ბატონობდა ეკონომიკის ორი ძირითადი თეორიული მიმართულება: მერკანტილიზმი (იტალ. mercante — ვაჭარი) და ფიზიოკრატია (ბერძნ. physis — ბუნება + kratos — ძალაუფლება).

მერკანტილისტები. მათ შორის გამოირჩევიან პირველი პროფესიონალი ეკონომისტი, ფიზიკის დოქტორი და ანატომიის პროფესორი უ. პეტი (1623—1687) და გამოჩენილი ინგლისელი ფილოსოფოსი ჯ. ლოკი (1632—1704), რომლებიც ეროვნული სიმდიდრის შექმნაში პირველ ადგილს ანიჭებდნენ ვაჭრობას. ისინი თვლიდნენ, რომ სახელმწიფო მით უფრო მდიდარია, რაც უფრო მეტია სხვაობა გატანილ და შემოტანილ საქონლის ღირებულებას შორის და იბრძოდნენ ექსპორტის წამახალისებელი ზომებისათვის და იმპორტის შეზღუდვისათვის პროტექციონისტული ზომების გამოყენების გზით. თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, ისინი გამოდიოდნენ მიმდინარე საგარეო სავაჭრო ოპერაციების სალდოს ზრდის მხარდამჭერებად, რაც, ბუნებრივია, მნიშვნელოვანი, მაგრამ არაერთადერთი ფაქტორია ქვეყნის კეთილდღეობისა.

მათი შემცვლელი *ფიზიოკრატები* (XVIII ს. II ნახევარი) თვლიდნენ, რომ სიმდიდრის საფუძველს შეადგენს სოფლის მეურნეობა, ხოლო ეკონომიკის და ვაჭრობის სხვა დარგები მხოლოდ გადაანაწილებს დამატებულ ღირებულებას, მოპოვებულს სასოფლო-სამეურნეო შრომით და მიღებულს მიწიდან და ბუნებრივი კვლავწარმოებრივი პროცესებისგან. მათ შორის ყველაზე დიდი როლი შეასრულეს: ვაჭარმა და ფინანსისტმა ირლანდიიდან *რ. კანტილიონმ* (1680—1734), რომელმაც პირველმა ჩამოაყალიბა და გამოიკვლია ბაზრისა და საბირჟო თამაშის — „იყიდო იაფად, გაყიდო ძვირად" ძირითადი პრინციპები; *დე გურნემ* (1712—1759), რომელმაც გაახმაურა ეკონომიკური ლიბერალიზმის ძირითადი პრინციპი —" laissez faire, laissez passer" — „დაე, ყველაფერი წავიდეს ისე, როგორც მიდის", ე.ი. სახელმწიფოს ჩარევის გარეშე; და ავტორი პირველი დარგთაშორისი ბალანსისა *ფ. კენე* (1694—1774), რომლის მოდელის შესახებაც ქვემოთ ვილაპარაკებთ.

გამოჩენილი ფილოსოფოსი და ეკონომისტი *დ. იუმი* (1711—1776), რომელიც ერთგვარად აერთიანებს ეკონომიკის განვითარების ფიზიოკრატულ და კლასიკურ პერიოდს, შეიძლება ჩაითვალოს ფულის რაოდენობრივი თეორიის ფუძემდებლად და თანამედროვე მონეტარიზმის წინამორბედად. მან შექმნა ფულის მიმოქცევის შესანიშნავი მოდელი, რომელიც დღემდე ფინანსური თეორიის საფუძველია.

კლასიკური ეკონომიკური მეცნიერების ფუძემდებელი, ფილოსოფიის და ლოგიკის პროფესორი, გლაზგოს უნივერსიტეტის რექტორი *ა. სმი-*

თი (1720—1790) აგვირგვინებდა თავისი სინთეზური შრომებით XVIII ს-ის ეკონომიკას და განსაზღვრა მისი განვითარება XIX საუკუნეში. მან ბევრი რამ აიღო ფიზიოკრატებისგან, მაგრამ, მათგან განსხვავებით, თვლიდა, რომ სიმდიდრის წყაროს წარმოადგენს ნებისმიერი შრომა და არა მარტო სამიწათმოქმედო. სმიტი — ღირებულების შრომითი თეორიის ფუძემდებელია, რომლის თანახმადაც საქონლის ღირებულება განისაზღვრება ძირითადად მის შექმნაზე გაწეული შრომით. მის ძირითად ნაშრომში „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ" პირველად იქნა სისტემატიზებული სახით გადმოცემული საბაზრო ეკონომიკის თეორიული საფუძვლები. ბაზრის ყოველი მონაწილე, სმიტის მიხედვით, მოქმედებს მხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, ისწრაფვის რა გაამრავლოს თავისი შემოსავალი, მაგრამ „იგი უხილავი ხელით მიემართება მიზნისაკენ, რომელიც სავსებით არ შედიოდა მის განზრახვებში... მისდევს რა საკუთარ ინტერესებს, ის ხშირად უფრო ქმედითი სახით ემსახურება საზოგადოების ინტერესებს, ვიდრე მაშინ, როცა შეგნებულად სურდა ამის გაკეთება".[1] „უხილავი ხელი" — ესაა საბაზრო თვითრეგულირების ობიექტური კანონი. აქედან სმიტი მიდის დასკვნამდე, რომ ყველაზე კარგია არ ჩაერიო ბაზრის მოქმედებაში და „დატოვო ყველაფერი ისე, როგორც მიდის" — „laissez faire". სმიტის მიერ გაცხადებული პრინციპი ბაზრის „უხილავი ხელისა", რომელიც საფუძვლად უდევს მის შესაძლებლობებს თვითრეგულირებისა, წარმოადგენს, თანამედროვე გაგებით, უკუკავშირის კიბერნეტიკულ პრინციპს. ამ თვალსაზრისით მან დაასწრო კ. ბერნარისა და ნ. ვინერის კიბერნეტიკულ თეორიებს.

მისმა დიდმა მიმდევარმა *დ. რიკარდომ* (1772—1823) 25 წლის ასაკში მოახერხა ეშოვა ბირჟაზე რამდენიმე მილიონი და შეუდგა თეორიულ ეკონომიკას მაშინ, როცა მიღებული ჰქონდა რიგიანი პრაქტიკული გამოცდილება. მისი ძირითადი შრომა „პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლები" მიძღვნილია იმ საკითხის გამოსარკვევად, თუ როგორ მოქმედებს წარმოების ზრდაზე მიღებული შემოსავალის განაწილება რენტის, მოგების და ხელფასის სახით. რიკარდომ გაავრცელა „უხილავი ხელის" პრინციპი საერთაშორისო ვაჭრობაზე და შექმნა შედარებითი უპირატესობების თეორია. მისმა შრომებმა საფუძველი ჩაუყარა შემდგომ მოდელურ მიდგომას ეკონომიკური თეორიის აგებაში. ეკონომიკური მეცნიერების ისტორიკოსთა აზრით, „მკაცრი და თანმიმდევრული თეორეტიკოსის სახით, რომელსაც შეეძლო მიეღო არაჩვეულებრივი შედეგები მისთვის

1 Смит А. Исследование о природе и причинах богатства народов. - М.: Наука, 1992. - с. 393.

შეთავაზებული შედარებით უბრალო მოდელების ანალიზიდან, რიკარდოს (ალბათ კეინსის გარდა) დღემდე არ ჰყავს ტოლი ეკონომისტებს შორის".[1]

თვით ყველაზე მოკლე ექსკურსი ეკონომიკურ თეორიაში იქნება არასრული, თუკი არ ვახსენებთ მასში *კ. მარქსის* (1818—1883) მნიშვნელოვან წვლილს. მისი ყველა უფროსი და საშუალო თაობის რუსი მეცნირისათვის კარგად ცნობილი გაფართოებული კვლავწარმოების განტოლებები, არსებითად, ხსნიან ეკონომიკური ზრდის დინამიკურ მოდელთა კლასს. მარქსმა დაწვრილებით გამოიკვლია კაპიტალის წარმოშობის და განვითარების ბუნება. მან გახსნა ზედმეტი ღირებულების ბუნება და გამოიკვლია მისი როლი კაპიტალის დაგროვების პროცესში. მის მიერ დაწვრილებითაა შესწავლილი მოგების ნორმის გათანაბრების კანონზომიერებანი წარმოების სხვადასხვა დარგებში და მასთან დაკავშირებული კაპიტალის გადადინებანი. თუმცა მისი მოძღვრება, ვფიქრობთ, იყო ძალზე პოლიტიზირებული და შედეგად, გამოყენებული, როგორც ბრძოლის ინსტრუმენტი, ხელისუფლებისათვის. მარქსის თეორიული დებულებანი ბევრს დღეს საკამათოდ წარმოუდგება (გვსურს გვენახა მაგალითი ეკონომიკური თეორიისა, რომელიც არ შეიძლება საკამათო გამხდარიყო საუკუნენახევრის შემდეგ. ასეთები არაა.) მართლაც, ინოვაციის და კაპიტალის მნიშვნელობათა გაუთვალისწინებლობას, აგრეთვე შრომის წვლილის გადაჭარბებას დამატებულ ღირებულებაში, როგორც ვხედავთ ადგილი აქვს. (თუმცა თანამედროვე პოზიციებიდან არანაკლები პრეტენზია შეიძლება გაგვიჩნდეს წარსულის ყველა დიდი ეკონომისტის მიმართ). მარქსის თეორიის უზარმაზარი მეთოდოლოგიური მნიშვნელობა და გავლენა ახლა შეიძლება უარყონ მხოლოდ აღვირახსნილმა ანტიკომუნისტებმა პოლიტიკური ბრძოლის ცეცხლში.

თითქმის მარქსიზმთან ერთდროულად წარმოიშვა *ნეოკლასიკური ეკონომიკა.* თუკი კლასიკური თეორია და მარქსიზმი დაკავებული იყო ეკონომიკის ქცევის შესწავლით ხანგრძლივი პერიოდების განმავლობაში და საზოგადოებრივი კეთილდღეობის ზრდით, მაშინ ნეოკლასიკა თავის აქცენტს აკეთებს ცალკეული ფირმის ქცევაზე მცირე დროით ინტერვალებში ან სტატიკურ მდგომარეობაში. ამგვარად, ნეოკლასიკური თეორიის საგანს წარმოადგენდა მიკროეკონომიკა. ცენტრალურ ცნებად ამ თეორიაში ხდება სარგებლიანობა (იხ. ზემოთ). ნეოკლასიკაზე გადასვლას ზოგჯერ უწოდებენ *მარჟინალისტურ რევოლუციას.* ამ თეორიაში ყველა ძირითადი ეკონომიკური კატეგორია, ეფექტები განისაზღვრება მარჟინალური (მარჟა — ნამატი) ან პროდუქტით და დანახარჯების ზღვრული სარგებლიანობის მნიშვნელობით, რომლებიც მათემატიკური თვალსაზრისით წარ-

1 Костюк В. Н. История экономических учений. - М.: Центр. 1997. - с. 50.

მოადგენს შესაბამის კერძო წარმოებულებს (სარგებლიანობის და ა. შ.). ნეოკლასიკურ (მარჟინალურ) მიდგომაში მთავარი პრაგმატული ამოცანაა შეზღუდული საშუალებების ოპტიმალური გამოყენებისა მწარმოებლის მოგებისა და მომხმარებლის სარგებლიანობის მაქსიმიზაციისათვის. ეს ამოცანა დასაშვებს ხდის უბრალო მათემატიკურ ინტერპრეტაციას. ამიტომ ნეოკლასიკური თეორიის ფუძემდებლები — კ. მენგერი, ს. ჯევონსი და ლ. ვალრასი — გახდნენ ამავდროულად მათემატიკური ეკონომიკის და მოდელირების მამამთავრებიც. მარჟინალისტურმა მიდგომამ საშუალება მისცა აღეწერათ საბაზრო ფასის ფორმირება და იმ დროისათვის ფართოდ განვითარებული მათემატიკური ანალიზის გამოყენება.

ფრანგმა ეკონომისტმა *ლ. ვალრასმა* თავის ძირითად ნაშრომში „წმინდა პოლიტეკონომიის ელემენტები" (1874) შემოგვთავაზა საერთო წონასწორობის მოდელი, რომელსაც დღეს ბაზრის მოდელირებაში ცენტრალური ადგილი უკავია. ამ მოდელში წარმოება და მოხმარება დაკავშირებულია ერთმანეთთან საქონლისა და მომსახურების ბაზრების მეშვეობით. მოცემულ სისტემაში წონასწორობა არის მდგომარეობა, რომლის დროსაც მოთხოვნა და მიწოდება საქონელსა და მომსახურებაზე ტოლია. ამასთან დგინდება წონასწორობის ფასთა რაღაც სისტემა. შევნიშნავთ, რომ საკითხი წონასწორობის ფასთა სისტემის არსებობის შესახებ, მათემატიკურ პლანში ეკვივალენტური არაწრფივი განტოლებების სისტემის გადაწყვეტის პირობების გარკვევისა, მსგავსი „მოთხოვნა, დამოკიდებული ფასზე, ტოლია მოწოდებისა ყოველი საქონლის მიხედვით, რომელიც აგრეთვე დამოკიდებულია ფასზე", საკმაოდ რთულია მათემატიკურად და გადაწყვეტილ იქნა კერძო შემთხვევის დროს *ერროუს* და *დებრეს* მიერ მხოლოდ 1933 წელს. ვალრასის მოდელს გააჩნია მრავალი ნაკლი. იგი სტატიკურია, მასში არაა ფულის ბაზარი, საერთო წონასწორობა წარმოადგენს იშვიათად მისაღწევ აბსტაქციას და ა. შ. თუმცა მისი დიდი მეთოდოლოგიური გავლენა არა მარტო ეკონომიკურ მოდელირებაზე, არამედ პრაქტიკულად ყველა ძირითად, თანამედროვე ეკონომიკური სკოლის განვითარებაზე უეჭველია. ვალრასის თეორია განავრცო მისმა მამკვიდრემ პოლიტეკონომიის კათედრაზე ლოზანის უნივერსიტეტში, იტალიელმა ვ. პარეტომ. ერთ-ერთი მისი ახალშემოღებული ძირითადი წესი აღმოჩნდა მრავალკრიტერიუმიანი ამოცანის განხილვა და ამჟამად ფართოდ გამოყენებული ოპტიმალური მდგომარეობანი, რომლის დროსაც შეუძლებელია გააუმჯობესო ვინმეს მდგომარეობა გაცვლის მონაწილეთაგან ისე, რომ არ გააუარესო მათგან თუნდაც ერთის მდგომარეობა.[1]

---

1 „ღმერთმა ერთი რით აცხოვნოს, თუ მეორე არ წაწყმიდოსო" — წერდა შოთა რუსთაველი.

ა. მარშალმა (1842—1924) შეაჯამა XIX ს-ის ძირითადი მიღწევები და თავის სამტომიან ნაშრომში „პოლიტიკური ეკონომიის პრინციპები“ (1890) სინთეზირება მოახდინა მარჟინალისტური რევოლუციის მიღწევებისა კლასიკურ ეკონომიკურ თეორიასთან. მარშალმა ძირითადად მიიღო ვალრასის წონასწორობის მოდელი, ხოლო მიწოდების და მოთხოვნის ტოლობის გრაფიკულ გამოსახულებას ეწოდა „მარშალის ჯვარი“. მისი ნაშრომების შემდგომ მოხდა ეკონომიკური თეორიის გაყოფა მიკრო- და მაკროეკონომიკად.

ეკონომიკის განვითარებამ გვიჩვენა იმ მიდგომის უკმარისობა, რომელიც დაფუძნებულია მხოლოდ მიწოდებისა და მოთხოვნის ტოლობაზე. ეს მიდგომა სტატიკურია და იგი, ბუნებრივია, არ ითვალისწინებს დანაზოგების და ინვესტიციების შესაძლებელ დროებით განხეთქილებას. თანდათან ეკონომისტები მივიდნენ ფულის ბაზრის გათვალისწინების აუცილებლობასთან, სადაც აგრეთვე მოქმედებს მოთხოვნა და მიწოდება და სადაც განსაკუთრებულ როლს ასრულებს საბანკო პროცენტი. ამან და სხვა ნაკლოვანებებმა, რომელიც არსებობდა ეკონომიკურ თეორიებში, ვერ აგვარიდა მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს XX ს-ის 20-იან წლებში, ვერ იპოვა იქიდან გამოსავალი. ამისთვის საჭირო გახდა ახალი თეორია და ახალი მოდელები, შემოთავაზებული XX ს-ის ერთ-ერთი უდიდესი ეკონომისტის, *ჯ. კეინსის* (1883—1946) მიერ, რომელიც თავის დროზე ისმენდა მარშალის ლექციებს.

თავის ძირითად ნაშრომში „დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია“ (1936) კეინსმა შემოგვთავაზა ეკონომიკური თეორიის კარდინალურად ახალი კონცეფცია და ენა. მისმა ეკონომიკურმა თეორიამ საშუალება მოგვცა დასაქმება, ბანკის პროცენტი, დანაზოგი და მშპ-ს დონე დაგვეკავშირებინა ერთიან, საკმაოდ მტკიცე მოდელად. მან შემოიღო მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილების ცნება და თეორიულად დააფუძნა მულტიპლიკაციური ეფექტი „შემოსავლის გამრავლებისა“. მისი არსი შემდგომშია. როცა რაიმე მიზეზით იწყება კრიზისი, წარმოება ეცემა. მუშები ღებულობენ ცოტა ფულს და ამცირებენ მოხმარებას. მოხმარების სიმცირეს მივყავართ წარმოების ახალ შემცირებასთან და ა. შ. კრიზისი მძაფრდება.

კეინსმა შემოგვთავაზა ახალი, რევოლუციური მეთოდი კრიზისიდან გამოსასვლელად, რომელიც დაფუძნებულია ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებაზე. კერძოდ, კეინსის თეორიის თანახმად, სახელმწიფომ კრიზისის მომენტში უნდა გააფართოვოს საკუთარი მოთხოვნა საქონელსა და მომსახურებაზე. შუაგულ კრიზისში მან უნდა დაიწყოს ფართომასშტაბიანი სამუშაოები, ვთქვათ, გზაია მშენებლობა. მაშინ კრიზისის სპირალი

დაიწყებს გაშლას უკუ მიმართულებით: საზოგადოებრივ სამუშაოზე მიღებული მუშები დაიწყებენ ხელფასის მიღებას ⇒ ისინი შეძლებენ თავიანთი მოხმარების, და შესაბამისად, საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნის გაზრდას ⇒ მოთხოვნას გამოეხმაურებიან მეწარმენი და გაზრდიან პროდუქციის გამოშვებას ⇒ ამისათვის ისინი დაიქირავებენ ახალ მუშებს, რომელთა შემოსავლები კვლავ წავა მოხმარებაზე ⇒ მოთხოვნის გაფართოება მიგვიყვანს წარმოების ზრდამდე ⇒ დაიწყება ეკონომიკური აღმავლობა. აღმოჩნდა, რომ სახელმწიფოს თავდაპირველ დანახარჯებს მივყავართ მასთან შედარებით მრავალგზის მულტიპლიკაციურად დიდ ეკონომიკურ ზრდასთან მთელი ქვეყნის მასშტაბით. ეს ეფექტი ბრწყინვალედ იქნა აპრობირებული პრაქტიკაში. რუზველტის ახალი კურსის რეალიზაციისას მნიშვნელოვნად იქნა გაფართოებული სახელმწიფო ინვესტიციების მოცულობა საზოგადოებრივი სამუშაოების ჩატარებაზე (გზათა მშენებლობა და ა. შ.). ამან, სხვა სახელმწიფო რეგულირების ზომებთან ერთად, სწრაფად გამოაცოცხლა ქვეყნის ეკონომიკა და გამოიყვანა იგი „დიდი დეპრესიიდან". კეინსი არ ითვლებოდა კაბინეტის მეცნიერად. ის იყო ერთ-ერთი ინიციატორი ბრეტონ-ვუდსის კონფერენციაზე საერთაშორისო სავალუტო ფონდის შექმნისა (სსფ) და მსოფლიო ბანკისა. სხვათა შორის, კეინსმა თავად შეძლო მოეგო ბირჟაზე 2 მლნ. დოლარი.

კეინსის შემდეგ მთელი ეკონომიკური მეცნიერება გადავიდა ერთნაირ ენაზე, სადაც ყველა ძირითადი კატეგორია გახდა საყოველთაოდ აღიარებული. ეს ენა გახდა საერთო ყველა ეკონომისტისათვის, მათ შორის, თანამედროვე ეკონომიკური სკოლებისთვის, რომელთაც საწინააღმდეგო შეხედულებები ჰქონდათ. მაგალითად, სწორედ ამ გაგებით განაცხადა ცნობილმა მონეტარისტმა მ. ფრიდმანმა: „ახლა ჩვენ ყველა კეინსიანელები ვართ". კეინსის მიერ შემოთავაზებულმა მიდგომამ მოიპოვა საყოველთაო აღიარება, რამაც საშუალება მისცა კეინსიანელ ფ. მოდილიანის ეთქვა, რომ „არ არსებობს სერიოზული ანალიტიკური განსხვავებანი წამყვან მონეტარისტებსა და წამყვან არამონეტარისტებს შორის". კეინსმა გააფართოვა მათემატიკური მიკროდონის სფერო, რითაც ძირითადად ოპერირებდა მარჟინალისტური თეორია, მაკროდონემდე.

თანამედროვე ეკონომიკურ მეცნირებაში აქტიურად მოქმედებს და მეტოქეობს რამდენიმე სამეცნიერო მიმართულება (სურ. 1.8.). ესენია:

- *კეინსიანელები*, რომელთა განმასხვავებელი ნიშანია აქცენტირებული ყურადღება ბაზრის სახელმწიფო რეგულირების პრობლემებზე;
- *ნეოკლასიკოსები*, რომლებიც ძირითადად ემხრობიან საბაზრო ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის მინიმიზაციის პრინციპს;



სურ. 1.8. ეკონომიკური მეცნიერების ხე.

- *მონეტარისტები* თვლიან, რომ ეკონომიკის ძირითად მარეგულირებელ ფაქტორს წარმოადგენს ფულადი აგრეგატები;
- *ინსტიტუციონალისტები*, რომლებიც ეკონომიკური სისტემის ანალიზს ახდენენ მისი ძირითადი ინსტიტუტების პრიზმით, ე. ი. ეკონომიკური და სოციალური ქცევის ფორმალური (ნორმატიულად და საკანონმდებლოდ გაფორმებული) და არაფორმალური (ტრადიციები, საქმიანი ურთიერთობების ჩვევები და ა. შ.) წესებით.

ასეთი დაყოფა თუმცა საყოველთაოდ მიღებულია, მაგრამ მაინც ძალზე პირობითია. რიგი სკოლების მეთოდოლოგიური მიდგომები ურთიერთდაფარვადია. არის არაერთი ცნობილი მეცნიერი, რომელთა შრომას გააჩნია სინთეზური ხასიათი და არ შეიძლება მივაკუთვნოთ რომელიმე ზემოთ ნახსენებ სამეცნიერო მიმართულებას. რაც შეეხება მათემატიკურ აპარატსა და მოდელებს, ყველა სკოლის წარმომადგენელი იყენებს პრაქტიკულად იდენტურ მათემატიკური ანალიზის ტექნიკას. ამასთან მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ თანამედროვე დასავლეთის ეკონომიკაში ძნელია იპოვო მეცნიერი, რომელმაც მიაღწია კარგ შედეგებს მათემატიკური მოდელების გამოყენების გარეშე. ამან საშუალება მისცა ნობელის პრემიის ლაურეატს, დებრეს, 1983 წ. ეთქვა შემდეგი: „ეკონომიკური თეორია თითქმის ყველა თავის მიღწევას ომისშემდგომ პერიოდში უნდა უმადლოდეს მატემატიკური ანალიზის გამოყენებას". სხვათა შორის, უმრავლესობას თანამედროვე ეკონომისტებისა, რომელთა სახელებს თქვენ შეხვდით ჩვენს მოკლე ისტორიულ ექსკურსში, მინიჭებული აქვთ ნობელის პრემია ეკონომიკაში, რომელიც 1969 წელს დაწესდა.

განვიხილოთ ძირითადი თანამედროვე ეკონომიკური მიმართულებანი და თეორიები.

კეინსის მიმდევრებისათვის დამახასიათებელია ბიუჯეტურ პოლიტიკაზე ორიენტაციის მეთოდები და ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ყველაზე მეტად ეფექტური მიმართულების ძიება. თანდათანობით ისინი გაიყო რამდენიმე მიმართულებად: *ნეოკეინსიანელები, მემარცხენე კეინსიანელები, პოსტკეინსიანელები და ახალი კეინსიანელები.*

ნეოკეინსიანელები დაჟინებით ითხოვენ სახელმწიფოს მიერ ბაზრის მუდმივ და აქტიურ რეგულირებას საბიუჯეტო პოლიტიკის მეშვეობით. მათმა ლიდერმა რ. ჰეროდიმ (1900—1978) წამოსწია, პირველ რიგში, ინოვაციების სახელმწიფო მხარდაჭერა და ეკონომიკაზე სახელმწიფოს ზემოქმედება სამეცნიერო-ტექნიკური პროცესის მართვით. ნეოკეინსიანურ სკოლაში გამოიყოფა ფ. მოდილიანი და პ. სამუელსონი, რომლებმაც განახორციელეს კეინსიანური მაკროეკონომიკისა და ნეოკლასიკური მიკროე-

კონომიკური თეორიის სინთეზი. ისინი და მათი მიმდევრები გამოდიან კეინსიანელებისათვის ტრადიციული პოლიტიკის ზომების და ლიბერალურ-მონეტარული ფულადი პოლიტიკის მეთოდების შერწყმის მხარდაჭერით.

მეშარცხენე კეინსიანელები და მათი ლიდერი ჯ. რობინსონი (1903—1983) თვლიან, რომ ეკონომიკური ზრდის რეგულირება საჭიროა სახელმწიფო დაბანდებების გზით ბინებისა და გზათა მშენებლობაში, განათლებაში და ა. შ.

პოსტკეინსიანელები (პ. დევიდსონი, გ, მინსკი) სამუელსონის ნეოოკლასიკურ სინთეზს უარყოფენ და ეკონომიკური პროცესების ტექნოლოგიურ დეტერმინიზმის პოზიციებზე დგანან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ისინი თვლიან, რომ ეკონომიკური განვითარება ცალსახად განისაზღვრება ტექნოლოგიებით. თვითგანვითარებად ეკონომიკურ სისტემებში წონასწორობა, მათი აზრით, არ შეიძლება იყოს მდგრადი. ამიტომ აუცილებელია ეკონომიკის დაგეგმვა ეროვნულ დონეზე. სახელმწიფოს შეუძლია მიღწიოს მდგრადობას, თუ გადაანაწილებს ეროვნულ შემოსავალს კლასებს შორის.

ახალ კეინსიანელებს (ფ. ხანი, დ. სტიგლიცი) თავიანთი გამოკვლევების სიმძიმის ცენტრი გადააქვთ რეალურ ბაზრებზე ინფორმაციის მიწოდების პრობლემებზე. ბაზრების შესახებ ინფორმაციის მიღებას, ამ სკოლის წარმომადგენელთა აზრით, აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა კონკურენტულ ბრძოლაში.

ეკონომიკურ ლიბერალიზმს და ნეოლიბერალიზმს გააჩნია ბევრ საკითხში კეინსიანელების და მის მრავალსახეობათა საწინააღმდეგო შეხედულება ეკონომიკის შესახებ. ლიბერალიზმის ბირთვს წარმოადგენს ინდივიდუალური თავისუფლების, ავტონომიურობის და თვითსაკმარისობის იდეა, ინდივიდუალური თავისუფლება ეკონომიკურად ემყარება საკუთრების ინსტიტუტს, როგორც განუყრელ ატრიბუტს თავად ადამიანისა. ეკონომიკური ლიბერალიზმი ეფუძნება სამ პრინციპს: კერძო საკუთრებას, როგორც იურიდიულ საფუძველს ეკონომიკური ცხოვრებისა; თავისუფალ მეწარმეობას, როგორც ინოვაციათა გენერატორს; თავისუფალ კონკურენციას, როგორც ეკონომიკური ურთიერთობების რეგულატორს.

თანამედროვე ეკონომიკური ნეოლიბერალიზმის დამფუძნებლებად თვლიან ლ. ფონ მიზესს (1881-1973) და მის მოსწავლეს *ფ. ფონ ჰაიეკს* (1899-1992). მიზესი — თანმიმდევრული მოწინააღმდეგეა დაგეგმვის და სახელმწიფოს სხვა პირდაპირი ჩარევისა ეკონომიკაში, გეგმური ეკონომიკის სისტემას იგი უწოდებს „დაგეგმილ ქაოსს“. ნეოლიბერალები გამოდიან ფასების და ხელფასების კონტროლის წინააღმდეგ. ისინი თვლიან, რომ

ნებისმიერი სახელმწიფო კონტროლი — ეს კორუფციისათვის მკვებავი გარემოა. სახელმწიფო დაგეგმვის ალტერნატივას, ხაიეკის აზრით, წარმოადგენს სპონტანური წესრიგის კონსტრუქცია. მის მხარდასაჭერად მნიშვნელოვანია მხოლოდ ორი წესი: 1) სხვათა საკუთრების ხელყოფაზე უარი; 2) ნებაყოფლობით მიღებული სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება. თუკი სახელმწიფო უზრუნველყოფს ამ წესების დაცვას, მაშინ ეკონომიკაში დამყარდება თვითუზრუნველყოფადი სპონტანური წესი, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკურ განვითარებას.

ნეოლიბერალურ სკოლაში გამოყოფილია „სამეურნეო წესრიგის" თეორია, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა ფრაიბურგის ეკონომიკურ სკოლის ფუძემდებელმა ვ. ოიკენმა (1891-1950). იგი თვლიდა, რომ არსებობს ორი წმინდა „იდეალური" სისტემა - ცენტრალიზებულად მართვადი და საბაზრო. თითოეული ეს იდეალური ტიპი ხასიათდება ექვსი ძირითადი პარამეტრით: „მოთხოვნილება, ბუნება, ხელმძღვანელობა და შესრულებისათვის შრომა, ტექნიკური ცოდნა, მზა და დასრულების (მომწიფების) სტადიაზე მყოფი დოვლათის მარაგი, მეურნეობის სოციალური და სამართლებრივი ორგანიზაცია". ამრიგად, ასეთი სახით სუფთა ფორმების რიცხვი მცირეა, მაგრამ ყველა რეალურად არსებული სამეურნეო წესრიგი მიიღება, როგორც შეხამება (შერწყმა) ამ სუფთა ფორმებისა, ხოლო მათი რიცხვი უზარმაზარია. ოიკენი გამოდიოდა სოციალური საბაზრო მეურნეობის მხარდასაჭერად, რომელიც უთავსებდა ეკონომიკური თავისუფლების ლიბერალურ პრინციპებსა და სახელმწიფო რეგულირების სოციალურ მიმართულებას. კლასიკური ლიბერალებისაგან განსხვავებით, ოიკენი თვლიდა, რომ ეკონომიკაში სახელმწიფო ჩარევა შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი. კერძოდ, სახელმწიფო უნდა ატარებდეს ანტიმონოპოლიურ პოლიტიკას და ბიუჯეტის საშუალებით უნდა ახორციელებდეს შემოსავლების გადანაწილებას სოციალურ ჯგუფებს შორის — მდიდრებიდან ღარიბებისაკენ. ოიკენის იდეის უშუალოდ ცხოვრებაში განხორციელება თავზე აიღო გერმანული ომისშემდგომი „ეკონომიკური სასწაულის" ავტორმა - ლ. ერჰარდმა (1837-1977).

მონეტარისტები, პრინციპში მისდევენ, იზიარებენ ლიბერალურ შეხედულებებს, მათი სკოლის კრედოა: „money does matter" (ფულს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს)". მონეტარისტები დარწმუნებულნი არიან, რომ სწორედ საკრედიტო-ფულად სფეროში ცვლილება ახდენს გადამწყვეტ ზეგავლენას ეკონომიკაზე. ამიტომ ყურადღების ცენტრში უნდა იმყოფებოდეს ფულადი პოლიტიკა. მონეტარიზმის ფუძემდებელი იყო ი. ფიშერი (1867-1947), რომელმაც გამოიკვლია ფულის ბაზარი წონასწორობასთან მიახლოებულ პირობებში და სრულყოფილი კონკურენციის

დროს. მან შექმნა ფულის ბაზრის დეტალური მოდელი, რომელიც ითვალისწინებდა განსხვავებას სხვადასხვა ტიპის ფულისა და ინფლაციის მოძრაობაში.

თანამედროვე მონეტარიზმის ლიდერად ითვლება მ. ფრიდმანი (დაიბადა 1912 წ.). ის დაამტკიცაა, რომ ფულად-საკრედიტო სფერო თამაშობს წამყვან როლს მაკროეკონომიკური პროცესების განვითარებაში და სახელმწიფო რეგულირება შეიძლება შემოიფარგლოს სხვადასხვა აგრეგატებში ფულად მასაზე კონტროლით. ფულადი პოლიტიკა, თვლიდა იგი, მნიშვნელოვანია ბიუჯეტურზე. ფრიდმანმა შექმნა ეკონომიკაში ფულის მოძრაობის ლოგიკური და მათემატიკურად დახვეწილი მოდელი. მას ზოგჯერ კეინსს უპირისპირებენ. თუმცა მან შეძლო შეეხედა ეკონომიკური პროცესისათვის სხვა, ჯერ კიდევ შეუსწავლელი მხრიდან, ამასთან ავსებდა პრობლემებს და ასწორებდა უკვე პრაქტიკით აღმოჩენილ კეინსიანური მოდელების შეცდომებს. უდავოა, თავად ფრიდმანი სავსებით ტოლერანტულად ეპყრობოდა თავის სამეცნიერო ოპონენტებს, ის დასაშვებს ხდიდა გარკვეულ კომპრომისს სახელმწიფო რეგულირებასა და თავისუფალ ბაზარს შორის, თუმცა რჩებოდა, რა თქმა უნდა, ამ უკანასკნელის ერთგული მიმდევარი. იგი ამბობდა: „... რეალურ ცხოვრებაში „წმინდა“ სისტემები არ არის, საბაზრო სისტემაში გვხვდება მბრძანებლური ეკონომიკის ელემენტები იმ სფეროებში, სადაც ბაზარი ან უძლურია საერთოდ იფუნქციონიროს, ან ეფექტიანობა არ წარმოადგენს ერთადერთ მიზანს, ან როცა ერთი ჯგუფის ადამიანთა მოქმედების შედეგები ეხება სხვა ადამიანთა ინტერესებს, რომელთაც არა აქვთ უშუალო ურთიერთობა პირველთა მოქმედებებთან“.

ნეოკლასიკური სკოლის ყველაზე თანამედროვე და პერსპექტიულ გაგრძელებას წარმოადგენს ნობელის პრემიის (1995 წ.) ლაურეატის რ. ლუკასის *რაციონალური მოლოდინის თეორია*. ამ თეორიას საფუძვლად უდევს ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ ბაზრის მონაწილეთა მოლოდინი ყალიბდება იმგვარადვე, როგორც რეალური ბაზარი განსაზღვრავს თანამედროვე ფასებს. ბაზრის ყოველ მონაწილეს გააჩნია, ასე ვთქვათ, მოდელი მისი შემდგომი ქცევისა და წონასწორობა მიიღწევა არა მხოლოდ საქონლის ბაზარზე, არამედ „მოდელთა ბაზარზეც“ (ანუ მოლოდინთა). სახელმწიფო პოლიტიკის წარმატებით გატარებისათვის აუცილებელია ვისწავლოთ მოსახლეობის მოლოდინის ფორმირება. მაგალითად, ინფლაციასთან საბრძოლველად აუცილებელია გამოვაცხადოთ ანტიინფლაციური ზომების კომპლექსი და თანმიმდევრულად შევასრულოთ იგი, რითაც მოვახდენთ ხალხის ინფლაციური მოლოდინის ფორმირებას. გეგმისადმი ნდობა და მისი თანმიმდევრული შესრულება საშუალებას იძლევა ჩამოვაყალიბოთ დაბალი ინფლაციის მოლოდინი, რაც, თავის მხრივ, გახდება მნიშვნელოვანი ანტიინფლაციური ფაქტორი.

რაციონალური მოლოდინის თეორიას ემხრობა (უერთდება) ბიზნესმენი და მეცნიერი ჯ. სოროსის *რეფლექსურობის ორიგინალური თეორია.* მასში გამოკვლეულია მრავალრიცხოვანი და მრავალგვარი გავლენა ფინანსურ და საქონლის ბაზრებზე ჩვენი მოლოდინისა და წარმოდგენისა. მაგალითად, აქციათა ფასის მომავალში ცვლილებების შესახებ წარმოდგენები არსებითად მოქმედებს საფონდო ბაზრის მდგომარეობაზე.

დღეს მნიშვნელოვანი პოპულარობა გააჩნია ლიბერალური კონცეფციების საფუძველს - *მიწოდების ეკონომიკურ თეორიას* (ა. ლაფერი). მის შესაბამისად, ეკონომიკური განვითარებისათვის საჭიროა ბაზრის დერეგულირება, ანტიინფლაციური ზომების მიღება და გადასახადთა შემცირება, რითაც მოვახდენთ მეწარმეთა აქტიურობისა და მიწოდების სტიმულირებას. ლაფერის თანახმად (იხ. ლაფერის მრუდი სურათზე 1.4), საგადასახადო შენატანი თავდაპირველად რამდენადმე მცირდება, მაგრამ მალევე წარმოების ზრდის ხარჯზე იწყებს მატებას. ამ რეკომენდებული თეორიის გზით დღეს ბევრი ქვეყანა მიდის, რუსეთის ჩათვლით.

ჩვენს ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ორიენტაციისათვის საჭიროა გვახსოვდეს უბრალო წესი:

> თუკი ეკონომისტი ან პოლიტიკოსი დაჟინებით მოითხოვს გადასახადების გადიდებას მოსახლეობის მდიდარი ფენისათვის, მოითხოვს სახელმწიფო რეგულირების გაძლიერებას და საბიუჯეტო პოლიტიკაზე ახდენს ორიენტირებას, მაშინ იგი — მემარცხენეა და, პრინციპში, ახლოსაა კეინსიანელობასთან. ამასთან ერთად, თუ იგი ითხოვს პრივატიზაციის, ასევე მსხვილი სამრეწველო საწარმოების ნაციონალიზაციისას შედეგების გადახედვას და გამოდის მიწის გაყიდვის წინააღმდეგ, მაშინ იგი — სოციალისტია, ახლომყოფი კომუნისტებთან.
>
> როცა ადამიანი გამოდის გადასახადთა შემცირების მოთხოვნით, მათ შორის მდიდართაგანაც, მხარს უჭერს კერძო საკუთრების ხელშეუხებლობას, წინააღმდეგია ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევისა, კორუფციას რომ ბადებს, იგი — ლიბერალია. ხოლო თუკი ამასთან ერთად თვლის, რომ ეკონომიკურ პრობლემათა უმეტესობა შეიძლება გადაწყდეს ფულადი მიმოქცევის რეგულირებით და ფულადი პოლიტიკის ზომებით, მაშინ იგი — მონეტარისტია.

განსაკუთრებით პროდუქტიულად თანამედროვე ეკონომიკურ მოვლენათა აღწერისათვის მიგვაჩნია *ინსტიტუციონალიზმი,* რომლის სათავეებთან იდგნენ ტ. ვებლენი (1857-1929) და ჯ. კომონსი (1862-1945). ამ თეორიის ძირითადი დებულება იმაში მდგომარეობს, რომ ეკონომიკური

სისტემის განვითარებაზე გადამწყვეტ გავლენას ახდენს არაფორმალური (ჩვეულები, ტრადიციები) და ფორმალური (კანონები და ნორმატიული აქტები) ინსტიტუტები ან ბაზრის და ორგანიზაციულ სტრუქტურათა ფუნქციონირების წესები.

ამერიკელმა ინსტიტუციონალისტებმა — ჯ. კომონსიმ, ა. ბერლიმ, უ. მიტჩელმა — იდეოლოგიურად მოამზადეს და აქტიურად დაუჭირეს მხარი პრეზიდენტ რუზველტის „ახალ კურსს“ 30-იან წლებში.

თანამედროვე ნეოინსტიტუციონალისტებმა მიაღწიეს ბევრ წარმატებას და მათგან უმრავლესი გახდა ნობელის პრემიის ლაურეატი. რ. კოუზიმ და ა. ალჩიანმა შეიმუშავეს საკუთრების უფლების თეორია, რომლის თანახმადაც საკუთრება წარმოადგენს განსაზღვრულ „უფლებათა კონას“, რომლებიც შეიძლება გაიყოდოს ან გადაეცეს როგორც კომპლექსში, ასევე ცალობითაც.

ჯ. ეროუმ, ჯ. ბიუკენენმა და მ. ოლსონმა შექმნეს საზოგადოებრივი არჩევანის თეორია, გაავრცელეს რა საბაზრო ეკონომიკის ანალიზის მეთოდები პოლიტიკური არჩევნების პრობლემებზე, ლობიზმზე, საპარლამენტო და პროფკავშირულ ბრძოლაზე. ნეოინსტიტუციონალისტების მიერ განხორციელებულმა ეკონომიკურ მეთოდთა ექსპანსიამ პოლიტიკურ, სოციალურ და სხვა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სფეროში ეკონომიკური იმპერიალიზმის სახელწოდება მიიღო.

რ. კოუზმა, დ. ნორტმა და ო. უილიამსონმა ორგანიზაციის თეორია შეიმუშავეს, რომელსაც საფუძვლად უდევს ტრანსაქციური დანახარჯების მინიმიზაციის პრინციპი. ორგანიზაციის ზომები და სხვადასხვა საწარმოთა ინტეგრაცია ამ თეორიის ჩარჩოებში აიხსნება ბაზრის ცალკეულ მონაწილეებს შორის გარიგებათა (ტრანსაქციები) დადების დანახარჯების მინიმიზაციისაკენ სწრაფვით. მიმდინარეობდა კვლევა ორგანიზაციათა ცენტრალიზაციის დასაშვები ზღვრების განსაზღვრის საკითხებისა, რომლებიც დაკავშირებული იყო რ. კოუზის მიერ შემოტანილი ტრანსაქციურ დანახარჯებთან, საწარმოს დონეზე ინტეგრაციული პროცესების ეფექტიანობასთან, ინსტიტუციონალურ გარდაქმნებთან და სხვ.

ჯ. გელბრეითმა, დ. ბელიმ და ო. ტოფლერმა დიდი წვლილი შეიტანეს პოსტინდუსტრიულ და ინფორმაციულ საზოგადოებათა შექმნის თეორიაში, რომელთა მშპ დიდი ნაწილი უკვე იწარმოება მომსახურების სფეროში (პოსტინდუსტრიულობა), და ამ სფეროში დომინირებს საინფორმაციო ხასიათის საქმიანობა და მომსახურება (ინფორმატიზაცია). *ჯ. გელბრეითს* ეკუთვნის პოსტინდუსტრიული საზოგადოების დესკრიპციული მოდელი, რომელშიც ძირითად როლს თამაშობს „ტექნოსტრუქტურა“ — მეცნიერები, კონსტრუქტორები და სპეციალისტები მმართველობითი ტექნოლოგიების მიხედვით.

მიუხედავად ეკონომიკური თეორიების მრავალსახეობისა, არც ერთ მათგანს არ შეუძლია პრეტენზია იქონიოს უნივერსალურობაზე, „ერთადერთი სწორი“ მარქსიზმის სამწუხარო გამოცდილება, რომელმაც ვერ შეძლო ეწინასწარმეტყველა თანამედროვე საზოგადოების განვითარების გზები და სოციალისტური სისტემის მარცხი, გვიჩვენებს, რამდენად ცოტა რამ ვიცით ეკონომიკურ კანონზომიერებებზე. სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ არა მარტო მარქსიზმმა, არამედ პრაქტიკულად ყველა ეკონომიკურმა თეორიამ განიცადა ფიასკო XX საუკუნის ბოლოს. ვერცერთმა მათგანმა ვერ შეძლო დემონსტრირება მოეხდინა თავისი რეალური პროგნოზული ძალისა. ვერავინ შეძლო გაეთვალა მსოფლიო ფინანსური კრიზისი 1997-1998 წწ.-ისა, ისევე როგორც, ვერც ერთი ეკონომიკური სკოლა ვერ ბედავს იწინასწარმეტყველოს მოვლენათა განვითარება XXI ს-ის დასაწყისში, დაკავშირებული ამერიკული საფონდო ბაზრის ჩავარდნებთან და მსოფლიოს წამყვანი ეკონომიკის შესაძლებელ გადასვლასთან რეცესიაში. შეძლებს კი ამერიკელი გიგანტი ღირსეულად გათავისუფლდეს მძიმე ეკონომიკური პრობლემებისაგან თუ ჩვენ ვიმყოფებით „დიდი დეპრესიის“ მსგავს ახალი მსოფლიო კრიზისის ზღვარზე? მკითხაობა ამის შესახებ რამდენიც გნებავთ იმდენია, მაგრამ დასაბუთებული პროგნოზი კი არა. ეკონომიკური მეცნიერება ჯერ კიდევ სუსტია, ხოლო ეკონომიკა რთული და, რაც მთავარია, სულ უფრო რთულდება თავის განვითარების გზაზე. ჩნდება სრულიად ახალი მოვლენები, რომლებიც არ იყო ძირითადი ეკონომიკური სკოლების და თეორიების არსებობისას. ტრანსეროვნული კაპიტალი გამოვიდა ეროვნული სახელმწიფოების იურისდიქციიდან და თავისუფლად გადაადგილდება ეკონომიკურ სივრცეში. მოხდა მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია და შეიქმნა მთლიანი ორგანიზმი, რომელიც ფაქიზად რეაგირებს ნებისმიერ ცვლილებაზე მსოფლიოს ყველაზე შორეულ წერტილებშიც კი. ინდუსტრიულის ნაცვლად მოვიდა პოსტინდუსტრიული და ინფორმაციული ეკონომიკა მომსახურების სფეროს მოჭარბებით და განვითარების თავისი კანონზომიერებებით. თუნდაც 20 წლის წინ ვის შეეძლო განეჭვრიტა ინტერნეტ-ეკონომიკის წარმოშობა და გიჟური სისწრაფით განვითარება და ვინ გაბედავს მის უახლოესი მომავლის პროგნოზირებასაც კი?

ყველა ამ აბსოლუტურად ახალი ფაქტორის გავლენა ჯერ კიდევ არაა შესწავლილი ეკონომიკური მეცნიერების მიერ და როგორც ეკონომიკური რეგულაციის თეორიის ავტორმა რ. ბუალომ თქვა, ჯერ არაა „ახალი კეინსი“ მისი მეცნიერული გაგებისათვის. იქნებ თქვენ გახდეთ ეს ადამიანი, ჩვენო მკითხველო?

1.5. ყველაზე ცნობილი ეკონომიკური მოდელები

მნიშვნელოვან როლს და, შეიძლება ითქვას, ეკონომიკურ თეორიაში ღერძულ მიმართულებას წარმოადგენს მათემატიკური მოდელები. ამ პარაგრაფში ჩვენ მოვიყვანთ ძირითადი მათემატიკური მოდელების ჩამონათვალს, რომელთაგან ზოგიერთი უკვე ნახსენები იყო შესაბამისი ეკონომიკური თეორიის აღწერისას. კომპიუტერული ტექნიკის განვითარებასთან ერთად მათემატიკური მოდელების გამოყენებამ საშუალება მოგვცა არა მარტო განგვეხორციელებინა ეკონომიკურ თეორიათა და ჰიპოთეზათა მათემატიკურად მკაცრი გაფორმება, არამედ შეძლო ეკონომიკის გადაქცევა ექსპერიმენტულ მეცნიერებად, სადაც თეორიების და ჰიპოთეზების შემოწმება შეიძლება იმიტაციური კომპიუტერული ექსპერიმენტის მსვლელობის დროს. დღეს ძირითადი ეკონომიკური მოდელების ცოდნა აბსოლუტურად აუცილებელია. ქვემოთ მოკლედ აღვწერთ ძირითად მოდელებს ქრონოლოგიური რიგის მიხედვით.

კენეს მოდელი. ფრანგმა ეკონომისტმა, მედიცინის დოქტორმა, ფიზიოკრატმა ფ. კენემ, ლუდოვიკო XV-ის კარის ყოფილმა ექიმმა, ეკონომიკის შესწავლა დაიწყო მხოლოდ 60 წლის ასაკში; თავის ცნობილ ცხრილებში შექმნა დარგთაშორისი ბალანსის პირველი მოდელი, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა მთლიანად მოდელირების განვითარებაზე. ცხრილებში ნაჩვენები იყო რა მატერიალური და ფინანსური ნაკადები გადადის ერთი დარგიდან მეორეში. ფ. კენეს მათემატიკურმა ხერხებმა და სხვა ფიზიოკრატებისამ, კ. მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, „პირველად გადააქცია პოლიტიკური ეკონომიკა სისტემად“. კენეს ცხრილებმა, რომლებიც რაოდენობრივად აღწერდნენ დარგებს შორის საქონლის გაცვლას და პროდუქტთა და შემოსავალთა წლიურ წრებრუნვას, თითქმის ორი საუკუნით დაასწრეს საბჭოთა მეთოდოლოგიას დარგთაშორისი ბალანსების დაგეგმვისა და ვ. ლეონტიევის დარგთაშორის ბალანსის ცნობილ მოდელს.

იუმის მოდელი. დ. იუმმა შექმნა პირველი რაოდენობრივი თეორია ფულისა და საბოლოოდ გააფორმა მოდელის სახით ნაწილობრივ ჯერ კიდევ მერკანტილისტებისათვის ცნობილი ფულის რაოდენობრივი თეორიის ძირითადი განტოლება:

$$M \quad V = P \quad T,$$

სადაც M — ქვეყანაში ფულადი მასის მოცულობაა;
V — ფულის მიმოქცევის სისწრაფე;
T — სასაქონლო მასის ერთობლივი მოცულობა;
P — მისი საშუალო ფასი.

ეს თანაფარდობა ცნობილია აგრეთვე როგორც ფულის მიმოქცევის კანონი.

ვალრასის მოდელი. ფრანგმა ეკონომისტმა ლ. ვალრასმა თავის ძირითად ნაშრომში „წმინდა პოლიტეკონომიის ელემენტები“ (1874) შემოგვთავაზა საერთო წონასწორობის მოდელი, რომელსაც დღეს ცენტრალური ადგილი უკავია ბაზრის მოდელირებაში. ამ მოდელში წარმოება და მოხმარება დაკავშირებულია საქონლისა და მომსახურების ბაზრებით. მოდელის გრაფიკულ გამოსახულებას წარმოადგენს ზემოთ ნახსენები მარშალის ჯვარი. მოცემული მოდელის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მოთხოვნაც და მიწოდებაც დამოკიდებულია ბაზრის ფასებზე. ბაზრის მექანიზმი პოულობს ისეთ ფასებს, რომლის დროსაც მოთხოვნა ყველა საქონელზე და მომსახურებაზე ხდება მიწოდების ტოლი. ზუსტად იგივე შეიძლება გაკეთდეს მათემატიკურ მოდელზეც, მოთხოვნის D (C) და მიწოდების D (C) ფასზე C დამოკიდებულების გამოყენებით. განტოლების სისტემიდან S (C) = D (C) განსაზღვრავენ ფასს C-ს.

კეინსის მოდელი. როგორც უკვე ითქვა, კეინსის თეორიის აღწერისას, ჯ. კეინსმა შემოიტანა b მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილების ცნება და თეორიულად დაასაბუთა ზემონახსენები შემოსავლის გამრავლების“ მულტიპლიკატიური ეფექტი, რომელიც კეინსის მულტიპლიკატიურ მოდელში გამოისახება ფორმულით:

$$\partial Y = \partial I / (1-b)$$

სადაც	∂Y	არის ყველა ეკონომიკური სუბიექტის შემოსავლის ჯამური ცვლილება;
	∂I	ინვესტიციების მოცულობის ცვლილებაა.

აქედან ჩანს, რომ ინვესტიციების მატებისას საერთო შემოსავალი იზრდება თანხით, რომელიც K-ჯერ დიდია, ვიდრე ეს ნამატი

$$[\ K = 1 / (1 - b)\ ]$$

ჰიქსის მოდელი, IS/LM - მოდელი. დ. ჰიქსმა მოგვცა კეინსიანური თეორიის მკაფიო მათემატიკური ფორმალიზაცია ძალიან ცნობილ IS/LM - მოდელში. მასში ერთობლივი შემოსავლის (y) და საბანკო პროცენტის (i) სივრცეში ანალიზდება წრფის დონეების (ტოლობის) ცვლილება ინვესტიცია–დანაზოგების (IS), ერთი მხრივ, და ფულადი ბაზრის წონასწორობისა (LM), მეორე მხრივ. ფულის მოთხოვნისა და მიწოდების ტოლობა დიდი შემოსავლების დროს მხოლოდ მაღალი საბანკო პროცენტების დროს მიიღწევა. ამიტომ LM დონის წრფეს გააჩნია დადებითი დახრა. იმავდროულად საბანკო პროცენტის მცირე მნიშვნელობების დროს სახ-

სრების დიდი ნაწილი მიემართება ინვესტიციებში, რასაც მივყავართ ერთობლივი შემოსავლის გაზრდამდე. ამიტომ IS ხაზს აქვს უარყოფითი დახრა. IS და LM ხაზთა გადაკვეთა გვაძლევს წონასწორობის წერტილს ფულის ბაზარზე და ამასთანავე დანაზოგისა და ინვესტიციების ტოლობას (თანასწორობას), ძიება და ანალიზი ასეთი თანაბარი სიტუაციებისა ხორციელდება ჰიკსის მოდელის საშუალებით. ეს მოდელი განკუთვნილია მხოლოდ წონასწორობასთან ახლოს მყოფი სიტუაციების ანალიზისას და იმ არახანგრძლივი პერიოდებისათვის, როცა ფასები იცვლება უმნიშვნელოდ.

IS/LM/BP — მოდელი. 1962 წ. საერთაშორისო ვაჭრობის ზრდასთან დაკავშირებით, დახურული IS/LM-მოდელი მოდიფიცირდა დამოუკიდებლად რ. მანდელას და დ. ფლემინგის მიერ ღია IS/LM/BP-მოდელად, რომელშიც განიხილება წონასწორობის სიტუაციებზე ჰიკსის მოდელში საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა და ეროვნული ვალუტის კურსის გავლენა. IS/LM/BP-მოდელი განკუთვნილია ღია ეკონომიკურ სისტემებში წონასწორობის სიტუაციების ძიებისა და ანალიზისათვის.

ჰაროდის დინამიკური მოდელი ითვალისწინებს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის გავლენას ეკონომიკის ზრდაზე. რ. ჰაროდმა შემოგვთავაზა სამი განტოლებისაგან შემდგარი სისტემა, რომელთაგან პირველი აღწერს ფაქტობრივ ეკონომიკურ ზრდას, მეორე — გარანტირებულ ზრდას (მეწარმეთა მოთხოვნებს რომ პასუხობს), ხოლო მესამე - პოტენციურად შესაძლებელ ზრდას (განსაზღვრულს არსებული რესურსების მოცულობით).

სოლოუს დინამიკური მოდელი განკუთვნილია ეკონომიკური პროცესების ახსნისა და პროგნოზირებისათვის დიდ ინტერვალებზე. რ. სოლოუ იყენებდა კობ-დუგლასის მოდიფიცირებულ ფუნქციას, რომელიც ითვალისწინებს თანამედროვე ეკონომიკაში განსაკუთრებით მნიშვნელოვან ინოვაციურ შემადგენელს. სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით სოლოუმ გვიჩვენა, მხოლოდ გამოშვების 12%-ის ზრდა იყო მიღწეული ომისშემდგომ წლებში აშშ-ში კაპიტალის გადიდების ხარჯზე, ხოლო 88% მოვიდა ინოვაციაზე.

ფრიდმანის მოდელი. მ. ფრიდმანმა შექმნა ლოგიკური და მათემატიკურად დახვეწილი მოდელი ფულის მოძრაობისა ეკონომიკაში. მას საფუძვლად უდევს განტოლება, რომელიც აკავშირებს ფულად ბაზარს H (ნაღდი ფულის თანხა გამოშვებული მიმოქცევაში + კომერციული ბანკების სარეზერვო ანგარიშებზე ნაშთები ცენტრალურ ბანკში) ფულის საერთო რაოდენობასთან ეკონომიკაში M M = m H. კოეფიციენტ m-ს უწოდებენ ფულის მულტიპლიკატორს. ის განისაზღვრება ფორმულით:

$$m = (1 + C/D) / (R/D + C/D),$$

სადაც C — ნაღდი ფულის თანხაა, რომელიც იმყოფება კერძო სექტორში და მოსახლეობაში;

D — საბანკო დეპოზიტები;

R — ფული შენახული საბანკო რეზერვების სახით.

ვინაიდან ცენტრალურ ბანკს შეუძლია აკონტროლოს ყველა ეს სიდიდე, ის აკონტროლებს ფულად მასასაც. ფრიდმანი და მისი მიმდევრები თვლიდნენ, რომ ფულადი მასის კონტროლით შეიძლება ეფექტიანი გავლენა მოვახდინოთ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. ფრიდმანს ზოგჯერ უპირისპირებენ კეინსს. თუმცა მან მალევე შეძლო შეეხედა ეკონომიკური პროცესისათვის სხვა, ჯერ კიდევ ნაკლებშესწავლილი მხრიდან, შეავსო ხარვეზები და გამოასწორა პრაქტიკით აღმოჩენილი კეინსიანური მოდელის შეცდომები.

ლეონტიევის მოდელი. ჩვენმა თანამემამულემ, ნობელის პრემიის ლაურეატმა — ვ. ლეონტიევმა შემოგვთავაზა დარგთაშორისი ბალანსის მოდელი. ძალზე უბრალო ვარიანტში ლეონტიევის მოდელი დარგთაშორისი ბალანსისა წარმოსადგენია ამ სახით:

$$X = A \quad X + Y$$

სადაც X — დარგთა გამოშვების ვექტორია, რომლის ზომა სხვადასხვა ვარიანტში შეიძლება ვარირებდეს 10-12-დან რამდენიმე ათასამდე;

A — პირდაპირ დანახარჯთა მატრიცაა, რომლის ელემენტი A_{ij} — გვიჩვენებს, რამდენი j-ური დარგის პროდუქციაა აუცილებელი j-ური დარგის პროდუქციის ერთეულის წარმოებისათვის;

Y — საბოლოო მოხმარების ვექტორი.

ლეონტიევის მოდელი აღმოჩნდა განსაკუთრებულად პროდუქტიული პერსპექტიული დაგეგმვისათვის რიგ ქვეყნებში, კერძოდ, იაპონიაში, პრაქტიკული გამოყენების დროს. 20-იან წლებში ვ. ლეონტიევი მუშაობდა საბჭოთა საგეგმო ნორმატიულ-გეგმიური მეთოდის სულისკვეთებით. აშშ-ში ემიგრაციის დროს 20-იანი წლების ბოლოს, მან, ბუნებრივია, განავრცო მოდელირების თეორია ამ მიმართულებით.

ახლა უკვე ვიცით ყველა ძირითადი კატეგორია, კანონი, დამოკიდებულება, თეორია და მოდელი ეკონომიკური მეცნიერებისა. რა თქმა უნდა, ეს ცოდნა უცილობლად ზედაპირულია. სამაგიეროდ შეძელით ერთიანად ყველას ფლობა, ეს კი ცოტა როდია. ბევრი რამ დარჩა გაურკვეველი. ეს საშინელება არაა. მთავარია, რომ საერთო სურათი თანდათან იქმნება. თქვენ უნდა ჩაგებეჭდოთ მხოლოდ ეკონომიკური მეცნიერების ინსტრუმენტთა საერთო სქემა.

გადაიკითხეთ ეს წიგნი ხშირად, მიმართეთ მას როგორც ცნობარს, არ მოგერიდოთ ხმარება ახალი ტერმინებისა და კანონებისა კოლეგებთან და მეგობრებთან საუბრის დროს. დაიმახსოვრეთ, რომ ეკონომიკური ცოდნა, ისევე როგორც უცხო ენისა, მოითხოვს მუდმივ გამოყენებას აქტიური ათვისებისათვის. მუდმივი ვარჯიში ეკონომიკურ და პოლიტიკურ დებატებში არა მარტო შეგაძლებინებთ ათვისებული მასალის აქტივიზირებას, არამედ შეგძენთ საოცრად ერუდირებული ადამიანის სახელს.

თავი 2

მსოფლიო ეკონომიკის თეორიები

რა ამოძრავებს მსოფლიო ეკონომიკას? მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თეორიები: ტექნოლოგიური კონცეფციები, ეთნოსების ევოლუცია, კლასთა ბრძოლა და ა. შ.
ეკონომიკური ძალაუფლების თეორია. ინსტიტუციონალიზმი.
ირაციონალურ-ევოლუციური მიდგომა მსოფლიო ეკონომიკის განვითარებისადმი. ევოლუციური განვითარების ტალღები.

ისტორიას მნიშვნელობა აქვს.
დ. ნორტი

ამ ეპიგრაფად გამოტანილი სიტყვებით იწყება ეკონომიკაში ნობელის პრემიის ლაურეატის, დუგლას ნორტის ცნობილი წიგნი „ინსტიტუტები, ინსტიტუციონალური ცვლილებები და ეკონომიკის ფუნქციონირება“. მათი მიჩნევა შეიძლება მთელი ინსტიტუციონალური ეკონომიკური სკოლის დევიზად, რომელსაც ახლა ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია ეკონომიკურ მეცნიერებაში. შესაძლებელია, ეს მტკიცება ტრივიალური გეჩვენოთ. დიახ, რა თქმა უნდა, აქვს მნიშვნელობა — რაზე უნდა ვილაპარაკოთ აქ განსაკუთრებულად? თუმცა ძველი ეგვიპტელისათვის ან შუა საუკუნეების ბერისათვის საკითხის ამგვარად დასმა გამოიწვევდა გაკვირვებას. ძველ ხალხთა საუკუნეობით განმეორებად ერთფეროვან ცხოვრებაში ცოტა იყო ისტორიული. ერთი თაობის თვალწინ მომხდარი ცვლილებები ნაკლებად

შესამჩნევი იყო. ტექნოლოგიები, მეცნიერება და ინსტიტუტები უძრავი რჩებოდა მრავალი საუკუნის განმავლობაში. საეჭვოა, იმ დროს ადამიანს ეგრძნო ისტორიის მოძრაობა — ზუსტად ასევე ცხოვრობდნენ მისი მამები და პაპები, რომელთაც, სხვათა შორის, იშვიათად თუ ნახავდა ცოცხალს. ხელნაწერი ისტორია და თქმულებები ამბობდნენ, რომ მისთვის შორეულ წარსულშიც კი ყველაფერი დაახლოებით ასევე იყო. ისტორიას მისთვის არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა და ფიქრი მის არსებობაზე განსაკუთრებულ საჭიროებას არ წარმოადგენდა.

სრულიად სხვაგვარადაა ახლა საქმე, როცა ერთი თაობის თვალწინ ხდება ფანტასტიკური ტექნოლოგიური და ინსტიტუციონალური ცვლილებები, სრულიად რომ ატრიალებს ჩვენს ცხოვრებისეულ წყობას. ჩვენთვის ისტორია — სავსებით შესაგრძნობი პროცესია, რომელშიც ჩვენ ჩაწერილნი ვართ დაბადებიდანვე. ამიტომ ბუნებრივია ჩვენი სწრაფვა — გავერკვეთ ისტორიული პროცესის მსვლელობაში, რათა შევძლოთ მომავლის განჭვრეტა და მასზე როგორღაც გავლენის მოხდენა.

2.1. ცოტა რამ დიალექტიკაზე — საყოველთაო მეცნიერებაზე განვითარების შესახებ

თითქმის ბოლო დრომდე (მათემატიკური მოდელების და კომპიუტერული ექსპერიმენტების გამოყენების დაწყებამდე, რომლებიც ახალ ექსპერიმენტულ ეკონომიკას ქმნიან) ეკონომიკური ისტორია ეკონომიკური თეორიისათვის წარმოადგენდა სხვადასხვაგვარი ჰიპოთეზების შემოწმების ერთადერთ პოლიგონს. მხოლოდ მსოფლიო ეკონომიკის ისტორიული დოსიედან შეიძლება ფაქტიური მასალების მოპოვება, რომლებითაც შეიძლება შევამოწმოთ და ამასთანავე მათი დახმარებით დავასაბუთოთ თეორიული მსჯელობანი. თუმცა, როგორც XX საუკუნის დიდი ფიზიკოსი ნ. ბორი ამბობდა, ფაქტების საბოლოო (სასრული) სიმრავლე შეიძლება ავხსნათ თეორიათა უსასრულო რიცხვით. და მართლაც, ეკონომიკური ისტორიის ცნობილ ფაქტობრივ მასალებზე კომფორტულად განლაგდა რამდენიმე, ბევრ საკითხში ურთიერთსაპირისპირო თანამედროვე ეკონომიკის თეორია, რომელთაგან თითოეული თავისებურად განსაზღვრავს განვითარების კანონზომიერებას, მათ მრავალფეროვნებაში რომ გავერკვეთ, საჭიროა ვიცოდეთ განვითარების ზოგადი თეორიის საფუძვლები, რომელსაც მისმა შემქმნელმა — უდიდესმა მეცნიერმა და XIX ს-ის ფილოსოფოსმა — ფ. ჰეგელმა უწოდა *დიალექტიკა*. ამ მეცნიერებამ ყველა რთული სისტემის განვითარების შესახებ ბევრად გაუსწრო სხვა საერთოსისტემურ კვლევებს. თუმცა მარქსიზმ-ლენინიზმის უნიჭო მასწავლებელთა დიდმა

უმრავლესობამ მისგან ბოლო დროს შექმნა საფრთხობელა სტუდენტი-ეკონომისტებისათვის (და არა მარტო მათთვის). საყოველთაოდ მიღებულ დამოკიდებულებას დიალექტიკის მიმართ კარგად ასურათებს ასეთი ანეკდოტი: სტუდენტი სთხოვს მასწავლებელს, აუხსნას თუ რა არის დიალექტიკა, მასწავლებელი ამას აკეთებს საკმაოდ ჭკუის სასწავლებელ მაგალითზე: „არის ორი ადამიანი: ჭუჭყიანი და სუფთა. რომელმა უნდა იბანაოს? — რა თქმა უნდა, ჭუჭყიანმა. არა, ჭუჭყიანი იმიტომაა ჭუჭყიანი, რომ აბანოში არასოდეს დადის, - მაშინ ალბათ სუფთამ. — ისევ და ისევ არა. სუფთა ხომ ისედაც სუფთაა. რად უნდა მას აბანო? — აბა, მაშინ ეშმაკმა უწყის. — აი, სწორედ ეს არის, სტუდენტო, დიალექტიკა“. „ჩვენ დიალექტიკას ვსწავლობდით არა ჰეგელის მიხედვით“, - ამაყად წერდა შემტევი კლასის დიდი პოეტი. სწორედ ამაშია საქმე. საჭირო იყო მაინც ჰეგელის მიხედვით.

მაშ ასე, დიალექტიკის წამყვანი კანონი — *დაპირისპირებულთა ერთიანობისა და ბრძოლის კანონი* — განვითარებას ხსნის ორი საპირისპირო, მაგრამ ურთიერთშემავსებელი ძალის ბრძოლის არსებობით. სითბო და სიცივე, სიბნელე და სინათლე, სიკეთე და ბოროტება, პროლეტარი და კაპიტალისტი — ყოველი ბუნებრივი და ისტორიული პროცესისათვის შეიძლება ორი ურთიერთსაწინააღმდეგო საწყისის პოვნა, რომელთა ბრძოლით აიხსნება მისი განვითარება, ამაშია დიალექტიკური მიდგომის არსი. დაპირისპირებულობანი იმავდროულად ერთიანია ამ პროცესში, ე. ი. ერთის მოწყვეტა მეორისაგან შეუძლებელია. რა არის გაუგებარი? მართლაც, ყოველივე ამაში ჩანს რაღაც უაზრობა. ეს როგორ — ერთიანობა და იმავდროულად ბრძოლა ერთი პროცესის შიგნით? ამას ცოტა შუა საუკუნეების სქოლასტიკის იერი დაჰკრავს, არა? მიუხედავად ამისა, ასეთი მიდგომის გარეშე შეუძლებელია განვითარებაში გარკვევა. საქმე იმაშია, რომ, ჩვენი აზრით, დიალექტიკა აღწერს არა იმდენად რეალურად მიმდინარე პროცესებს, რამდენადაც კაცობრიობის აზროვნების კანონზომიერებებს და ამ პროცესების შემეცნების შესაძლებლობებს. ძირითადი ცნებები წარმოიშვა და აღიბეჭდა სხვადასხვა ენაში ჯერ კიდევ შორეულ წარსულში. ისტორიის სტატიკურ პერიოდში, რომელზეც ახლახან მიმდინარეობდა საუბარი, ბუნებრივია, ეს ცნებები იყო სტატიკური, ისევე როგორც თავად მაშინდელი ცხოვრება. ახლა ჩვენ გვსურს ენის დახმარებით, ე. ი. სტატიკური ცნებების დახმარებით აღვწეროთ განვითარების პროცესი. და სწორედ აქაა საჭირო დიალექტიკის მიერ შემოთავაზებული ხერხი. განსახილველ პროცესში გამოყავით ორი ურთიერთდაპირისპირებულობა, უკიდურესობა და აღწერეთ თავად პროცესი, როგორც თანდათანობითი სიჭარბე, დომინირება ხან ერთი უკიდურესობის, ხან — მეორის, ადამიანისათვის დამახასიათებელია ნებისმიერი დინამიკური პროცესის განლაგება უკიდუ-

რეს, ურთიერთსაწინააღმდეგო შემადგენლებად, თითოეული მათგანის გამოკვლევა, ხოლო შემდეგ პროცესის ნებისმიერი მსვლელობის წარმოდგენა, როგორც თავსებადობა, ჰეგელის მიხედვით, როგორც ამ ორი უკიდურესობის, უკვე ცნობილის, შევნიშნავთ, ურთიერთსაწინააღმდეგო შემადგენლის ბრძოლა.

დიალექტიკის მეორე კანონი — *რაოდენობრივიობის გადასვლა თვისებრივობაში* — ბევრად მარტივია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების რაოდენობრივ კანონზომიერებებზე აღზრდილი XX ს-ის ადამიანებისათვის გასაგებად. იგი უბრალოდ გვეუბნება იმას, რომ ყოველი თვისებრიობა დაფიქსირებული ჩვენი გრძნობათა ორგანოების მიერ, რომლებმაც ასახვა ჰპოვა ენაში განმტკიცებულ სტატიკურ ცნებებში, იცვლება განსაზღვრული რაოდენობრივი მაჩვენებლებისდა მიხედვით. მაგალითად, წყალი უარყოფითი ტემპერატურის დროს ხდება მყარი, ხოლო ტემპერატურის აწევისას გადადის აირის მდგომარეობაში, სინათლეს 5500 ანგსტრემის სიგრძის ტალღით აღვიქვამთ, როგორც მწვანეს, ხოლო ტალღის სიგრძის გაზრდისას იგი თანდათანობით გადადის წითელში და ა. შ. ასე რომ ყოველ პროცესში, შეიძლება და საჭიროა ვიპოვოთ ზომვადი რაოდენობრივი პარამეტრები, პასუხისმგებელნი ხარისხობრივ ცვლილებებზე.

დიალექტიკის მესამე კანონი, რომელიც ლამაზად და გაუგებრად წოდებულია *უარყოფის უარყოფად*, ლაპარაკობს განვითარების ყველა პროცესის განსაზღვრულ განმეორებაზე. ეს, ვფიქრობთ, კაცობრიობის მიერ მიღწეული ყველაზე ღრმა განზოგადებაა სისტემების განვითარების პროცესების შესწავლისას. თანდამედროვე ენით რომ ვთქვათ, კანონი „უარყოფის უარყოფა“ განვითარების ყველა დინამიკური პროცესის ტალღისებური, ქანქარისმაგვარი ხასიათის დეკლარირებას ახდენს.

სხვადასხვა ცივილიზაციაში ისტორიის განვითარების რამდენიმე სცენარის ძალიან ზუსტმა განმეორებადობამ აკადემიკოსი ა. პ. ფომენკო და მისი თანამოაზრეები თანამედროვე ქრონოლოგიის შესახებ სავსებით მცდარ პარადოქსულ თეორიამდე მიიყვანა. თავის მრავალრიცხოვან შრომებში ეს მეცნიერები გვიჩვენებენ, რომ მატიანეში მოცემული სიუჟეტები (დინასტიათა თანმიმდევრულობა, მათი შეცვლა, დინასტიური ქორწილები, აჯანყებები, გადატრიალებები, მეფეთა მკვლელობანი და ა. შ.) საოცრად წააგავს ერთიმეორეს სრულიად სხვადასხვა ხალხის ისტორიაში, აღმოჩნდა, რომ სამატიანო ისტორიები კომბინირებულია ერთი და იმავე ყველგან განმეორებული სიუჟეტური ხაზებიდან. ფომენკო ამტკიცებს, რომ ეს ხდება იმიტომ, რომ ერთი ხალხის ისტორია აღმოჩნდა გადაწერილი მატიანეებში რამდენჯერმე, ამასთან სცენარი-ფანტომები მრავლდებოდა და მათ ავტორები მიჰყავდა სულ უფრო დიდ ქრონოლო-

გიურ სიძველეში, რომელიც სინამდვილეში არასდროს იყო, ჩვენ არ ვიზიარებთ ამ თვალსაზრისს და გთავაზობთ ისტორიული ქრონოლოგიის აღქმას სავსებით ტრადიციულად.

მაგრამ სიუჟეტთა ერთგვაროვნება ჩვენთვისაც მნიშვნელოვანია, რადგან იგი ხაზს უსვამს კაცობრიობის განვითარების ტალღისებურობას. ბუნების (ან ღმერთის) .იგივე ფოკუსი სიუჟეტებთან შეამჩნია დიდმა შექსპირმა. მან გამოყო 12 „სუფთა“ სიუჟეტური ხაზი და შემდეგ, როგორც ისტორია გვიჩვენებს, საკმაოდ წარმატებით გვიჩვენა წარმოებული პიესების დიდი რიცხვის მიღების შესაძლებლობანი, როგორც ამ „სუფთების“ შეთავსება ან კომბინაცია. როგორც ჩანს, აქ ვლინდება საინტერესო კანონზომიერება, მსგავსად ყველა შემოქმედისა, ბუნება (ან ღმერთი) სიყვარულით ულალავებს ყოველ თავის იღბლიან მიგნებას — იქნება ის ცოცხალი ორგანიზმის ახალი ფორმა, ეკონომიკური ინსტიტუტი თუ ევოლუციის მსვლელობაში ბედნიერად მიღებულ მიგნებას, სადაც ეს შესაძლებელია, არასოდეს არ აგდებს მას, თვით ისეთ თითქოსდა მოძველებულ თავის გამოგონებებს იგი უძებნის ეკოლოგიურ ნიშს, მოხერხებულად განალაგებს რა მას უკვე ახალ სამყაროში. ასე მაგალითად, დინოზავრების დაღუპვის შემდეგ დედამიწაზე დარჩნენ პატარა ხვლიკები, ხოლო რეფორმატორ პეტრე დიდის ნაცვლად მოვიდა ბ. ნ. ელცინი.

ამგვარად, მსოფლიოში დიალექტიკის ყველაზე მოკლე გადმოცემისას შეიძლება დავასკვნათ, რომ

> ყოველ რთულ პროცესში შეიძლება გამოვყოთ ორი უკიდურესობა, აღწერილი სტატიკური თვისებრივი ცნებებით, რომლებიც, ისევე როგორც მათი ცვლილებები, შეიძლება გაიზომოს რაოდენობრივად. განვითარება მიდის მონაცვლეობითი სიჭარბით, ხან ერთი, ხან მეორე უკიდურესობისა, ახდენს რა რხევით-წინსვლით მოძრაობებს უკიდურეს მდგომარეობებს შორის.

ასე და მხოლოდ ასე შეიძლება განვითარების რთული დინამიკური მოვლენების სტატიკური ცნებებით აღწერა. ამაშია დიალექტიკის პრაგმატული არსი. ახლა მსურველებს შეუძლიათ იკამათონ: წარმოადგენს კი დიალექტიკური კანონზომიერებანი მხოლოდ ადამიანური აზროვნების კანონებს, ისინი ღმერთის მიერ ჩადებული განვითარების კანონების ასახვაა, (ჰეგელის მიხედვით ობიექტური იდეალიზმი), თუ იმანენტური, ბუნების განვითარების შინაგანად დამახასიათებელი კანონზომიერებებია. (მარქსის მიხედვით დიალექტიკური მატერიალიზმი). პასუხის შერჩევა ამ კითხვებზე გემოვნების საკითხია, ვინაიდან პასუხის სისწორის შემოწმება, ყოველ შემთხვევაში ამ ცხოვრებაში, შეუძლებლად მიგვაჩნია.

ყველა თეორია ამა თუ იმ ზომით, აშკარად თუ ფარულად, შეგნებულად თუ შეუგნებლად, ხსნის რა მსოფლიო ეკონომიკის განვითარებას, იყენებს დიალექტიკურ კანონზომიერებებს. ახლა თქვენ ისინი იცით და იოლად გაიგებთ თითოეულ ამ თეორიას.

2.2. მსოფლიო ეკონომიკის თეორიების კლასიფიკაცია

მსოფლიო ეკონომიკის თეორიებს განასხვავებენ:

- მამოძრავებელი ძალებით, რომლებიც მათი ავტორთა აზრით, ძევს მსოფლიო ეკონომიკის განვითარების საფუძველში;
- თვისობრივი მახასიათებლებით, რომლებიც განსაზღვრავენ სტაბილურობას, ზრდის პერიოდიზაციას.

ცალკე კლასად შეიძლება გამოვყოთ *ნაწილობრივი ტექნოლოგიურ-ფაქტორული თეორიები.* მათი ავტორები გამოყოფენ რომელიმე ერთ, ჩვეულებრივ ტექნოლოგიური ან ბუნებრივი განვითარების ელემენტს, რომლის მიღებასაც სთავაზობენ მსოფლიო ეკონომიკური განვითარების უნივერსალურ მამოძრავებლად, რა თქმა უნდა, სახარბიელოა ყველაფრის ახსნა მთლიანი (ერთიანი) და ძალიან უბრალო პოზიციიდან, თუმცა, როგორც ჩანს, საერთოდ რთული სისტემების განვითარება, კერძოდ კი ეკონომიკაში, ექვემდებარება ბევრად უფრო რთულ კანონზომიერებებს, რომელიც ფაქტორების განვითარების მთელ კომპლექსს აერთიანებს, მიუხედავად ამისა, ყოველმა ნაწილობრივ ტექნოლოგიურ-ფაქტორულმა თეორიებმა განსაზღვრული სიკეთე მოიტანეს განვითარების საერთო სურათის შესაქმნელად. რელიეფურად გამოყოფენ რა განვითარების რაღაც წამყვან ელემენტს, ისინი ხაზს უსვამენ ფაქტორების სისტემაში მის მნიშვნელობას და საფუძველს იძლევიან მის ჩასართველად ეკონომიკური განვითარების უფრო ზოგად თეორიებში.

ერთ-ერთი ტექნოლოგიური თეორია შემოთავაზებულ იქნა ლ. მორგანის შრომაში „ძველი საზოგადოება". მასში კაცობრიობის ევოლუციის აღწერილი შვიდი სტადიიდან თითოეული უკავშირდებოდა *განსაზღვრულ ტექნოლოგიურ ინოვაციას* — ცეცხლის დაუფლებას, მშვილდისრის გამოგონებას და ა. შ. ამ თეორიის გავლენა შემდგომებზე, მაქსიზმის ჩათვლით, საკმაოდ საგრძნობია.

წმინდა ტექნოლოგიური მიდგომის გაგრძელება გახდა *ენერგეტიკული თეორიები,* რომლებმაც კაცობრიობის ეკონომიკური განვითარება დაუკავშირა ენერგიის ახალი ფორმების ათვისებას: ცეცხლის, ორთქლის, ელექტრობის, თერმობირთვულ ენერგიას. ახლა ეს თეორიები მოდიფიკაციას განიცდიან, შემოაქვთ რა განსახილველად ენერგიის წყაროთა შეზღუდულობა (შემოსაზღვრულობა) და მათი გამოყენების ეკოლოგიური შეზღუდვები.

სხვადასხვა მოდიფიკაციაში არსებობს *ბუნებრივი ფაქტორების თეორია*, რომელიც ეკონომიკური სისტემების გენეზისს და ევოლუციას ხსნის არსებული ბუნებრივ-კლიმატური რესურსებით. ამ თეორიებში ერის ტექნოლოგიური და კულტურული განვითარება აიხსნება მისი გეოგრაფიული მდებარეობით, კლიმატური თავისებურებებით და სანაპიროს რელიეფითაც კი. მაგალითად, ინგლისის და მისი კოლონიების ტექნოლოგიური წარმატებები და ეკონომიკური ძლიერება აიხსნება მისი სანაპიროების საოცრად რთული სურათით, რომლის სიგრძე, სხვათა შორის, დიდია, ვიდრე აშშ-ის სანაპიროებისა, რომელიც თავისი ფართობით 30-ჯერ დიდია დიდ ბრიტანეთზე. ზუსტად ასევე, იტალიის დახვეწილ კულტურას, ამ თეორიის ავტორთა აზრით, დასაბამს აძლევს, იტალიის ნატიფი მთიანი და სანაპირო პეიზაჟები. ჩვენ, დაბლობზე მცხოვრებთ, ეს თეორიები საკმაოდ შეზღუდული გვეჩვენება.

მალთუსიდან დაწყებული ყველა მეცნიერი ცდილობდა ეკონომიკური განვითარების ახსნას *დემოგრაფიული ფაქტორებით*. რუსი მეცნიერი მ. კლუჩევსკი ამტკიცებდა, რომ ქვეყნის მოსახლეობა — ეს საერთოდ ეკონომიკის მთავარი მამოძრავებელია. მართლაც, სწორედ იმავე პატარა ინგლისმა შეძლო დაეპყრო ნახევარი მსოფლიო ძალიან მოკლე ხანში, თავისი არაჩვეულებრივად მძლავრი დემოგრაფიული ნახტომის დროს, XVI-XVII საუკუნეებში (ერთი საუკუნის წინ ხომ მხოლოდ პარიზის მოსახლეობა იყო ბევრად მეტი, ვიდრე მთელი ინგლისის და მხოლოდ ჟანა დ'არკის და საფრანგეთის გამარჯვების წყალობით ასწლიან ომში შეინარჩუნეს ინგლისელებმა თავისი, ამჟამად მსოფლიო ენად ქცეული ენა. სხვაგვარად გაერთიანებული ევროპა წარმოიქმნებოდა ექვსი საუკუნით ადრე და ფრანგთა იმჟამინდელი უზარმაზარი ოდენობა გახდიდა მათ ენას საყოველთაოს). მაგრამ გაუგებარია რა არის აქ მიზეზი, ხოლო რა შედეგი — დემოგრაფიულმა ნახტომმა მისცა იმპულსი გადასახლებებს ახალ სამყაროში, თუ ტექნოლოგიურმა და ეკონომიკურმა განვითარებამ გამოიწვია ეს დემოგრაფიული აფეთქება? თუმცა კი ნათელია, რომ დემოგრაფიული ფაქტორი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია.

დემოგრაფიულ თეორიებს მჭიდროდ ემიჯნებიან ის თეორიები, რომლებიც განვითარებას ხსნიან *აგრარული ტექნოლოგიების* სრულყოფითა და სასურსათო რესურსების შესაბამისი ზრდით. ამითვე, ნაწილობრივ სამართლიანად, ხსნიან დემოგრაფიულ ცვლილებებს. მართლაც, სწორედ ნეოლითის ხანაში მიწათმოქმედებაზე გადასვლამ მისცა ბიძგი კაცობრიობის ისტორიაში პირველ დემოგრაფიულ აფეთქებას, ხოლო XX ს-ში „მწვანე რევოლუციამ" ხელი შეუწყო ჩვენს დროში მოსახლეობის მძაფრ ზრდას. თუმცა, ბუნებრივია, მოსახლეობის ზრდა უპირველესად განპირობებული იყო ცხოვრების დონის საერთო ზრდით და მედიცინაში წარმატებებით.

მთელ რიგ თეორიებს სხვადასხვა ვარიანტში წინა პლანზე გამოაქვთ *საკომუნიკაციო-საინფორმაციო ფაქტორები.* ლ. მეჩნიკოვმა განვითარების ძირითად განმსაზღვრელ ფაქტორად შემოგვთავაზა საწყალოსნო მიმოსვლის გზები. მისი აზრით, კაცობრიობა საზღვაო კავშირების ამა თუ იმ ფორმის გამოყენებისდა მიხედვით იყოფა: სამდინარო პერიოდი, რომელიც შეესაბამება ტრადიციული კლასიფიკაციით ძველ მსოფლიოს; საზღვაო პერიოდი (შუასაუკუნეების) და ოკეანური პერიოდი (ახალი და უახლესი დრო). აი ასე ორიგინალურად და უბრალოდ.

თანდათან ტრანსპორტის ფაქტორიდან პირველობა გადავიდა *კავშირგაბმულობის ტექნოლოგიებზე,* იქმნება სატრანსპორტო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ევოლუციის ასეთი ჯაჭვი: გზები, რკინიგზის ტრანსპორტი, ფოსტა, თვითმფრინავი, ტელეგრაფი, ტელეტაიპი, ტელეფაქსი, ელექტრონული ქსელი. ეჭვს არ იწვევს, რომ იგი თან სდევდა ეკონომიკურ ევოლუციას, მაგრამ განაპირობებდა კი მას?

XX ს-ის ბოლოს გაბატონდა *ინფორმაციული ფაქტორის თეორია.* ბევრი მეცნიერი, მაგალითად, კანადელი სოციოლოგი ხ. მაკ-ლიუენი, საზოგადოების განვითარებას ხსნის საინფორმაციო ტექნოლოგიების სრულყოფით ჩვეულებრივი ადამიანური ენის გაჩენიდან საბეჭდ დაზგამდე და შემდეგ კომპიუტერამდე, ინტერნეტამდე. საინფორმაციო ტექნოლოგიები მართლაც ახდენს უზარმაზარ (თუმცა არა´ ერთადერთ და სავსებით არა ყველაფრის ამხსნელ) გავლენას თანამედროვე მეგაეკონომიკაზე და ჩვენ მათ განვიხილავთ ცალკე თავში.

ახლა მოდურია *ფინანსური თეორიები,* რომლებიც აფუძნებს საყოველთაო განვითარებას ფინანსურ ტექნოლოგიებში პირველი გადამცვლელებიდან თანამედროვე კომპიუტერულ ბანკინგამდე. მათ შორის არიან საკმაოდ ორიგინალურნიც. მაგალითად, ამერიკელი მკვლევარი ჩ. ადამსი ისტორიის ყველა დიდ მოვლენას — რომის იმპერიის დაშლას, ესპანეთის დაცემას, აშშ-ში დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას, საფრანგეთის დიდ რევოლუციას — ხსნის ადამიანთა უკმაყოფილებით, რომელიც გამოწვეული იყო ძრსებული საგადასახადო სისტემით და საგადასახადო ინოვაციების აუცილებლობით.

კ. ბიუხერმა შემოგვთავაზა, ასე ვთქვათ, *მარკეტინგული თეორია.* მის საფუძვლად აღებულია გზის სიგრძე მწარმოებლიდან მომხმარებლამდე. აქედან გამოიყოფა სტადიები: ჩაკეტილი საშინაო მეურნეობის, რომელიც თავისთვის აწარმოებს ყოველივე აუცილებელს, საქალაქო მეურნეობის, სადაც მწარმოებელი მუშაობს შეკვეთაზე და სახალხო მეურნეობის, სამუშაოთი უცნობი ბაზრისათვის.

ტექნოლოგიურ-ფაქტორულ თეორიებს იდეოლოგიურად ემხრობა აგრეთვე ჩვენთვის მნიშვნელოვანი *მ. ვებერის ნაწილობრივი კონცეფცია,*

რომელიც უკავშირებდა პროგრესის რწმენის სისტემას, კერძოდ, კაპიტალიზმის აღმავლობას ხსნიდა პროტესტანტიზმის გავრცელება-განვითარებით. შემდგომში ჩვენ გამოვიყენებთ და გავშლით ამ იდეას.

განვითარების ციკლური თეორიები იკვლევს მეტ-ნაკლებად ფაქტორთა სრულ სისტემას და განსაზღვრავს განვითარების სტადიურობას მათ შეთავსებებში ცვლილებების მიხედვით.

ამ ჯგუფიდან ჩვენთვის ყველაზე ახლოსაა (წარსულში ტკივილამდეც კი) და ნაცნობია *მარქსისტული თეორია*, რომლის თანახმადაც კაცობრიობა თანდათანობით გადის გზას ერთი ეკონომიკური ფორმაციიდან (ეკონომიკური ურთიერთობების მდგრადი სისტემა) მეორისაკენ: პირველყოფილი საზოგადოება, მონათმფლობელობა, ფეოდალიზმი, კაპიტალიზმი და, ბუნებრივია, გარდაუვლად კომუნიზმი. მამოძრავებელ ძალებად მარქსიზმ-ლენინიზმი თვლიდა კლასთა ბრძოლას, რომლებადაც იყოფოდა მოსახლეობა მათი დამოკიდებულებით წარმოების საშუალებებისადმი. ერთმანეთის მოწინააღმდეგე კლასები წარმოადგენენ უკიდურეს პოზიციებს, რომლებიც თავიანთი ბრძოლით განსაზღვრავენ განვითარებას. ისტორიული პროცესი აიხსნებოდა შემდეგნაირად: ტექნოლოგიურ სრულყოფილებათა გავლენით იზრდება მწარმოებლური ძალები (რაოდენობრივი ფაქტორი); თანდათანობით მათ უჭირთ, და ვეღარ ეტევიან არსებული ეკონომიკური ურთიერთობების ჩარჩოებში; კლასი, რომელიც დაინტერესებულია ეკონომიკური ძალების შემდგომში განვითარებით და ეკონომიკურ ურთიერთობათა შეცვლით, თანდათან ან უკეთესია ერთბაშად, რევოლუციურად იპყრობდა ძალაუფლებას; ხდებოდა გადასვლა ახალ ფორმაციაზე (რაოდენობის გადაზრდა თვისებაში) და ასე შემდეგ სპირალისებურად ოღონდ უცვლელად ზევით („უარყოფის უარყოფა"). კ. მარქსი მთელი ცხოვრება სულით ჰეგელიანელი იყო, თუმცა კი თავისი ახალგაზრდობის გმირის მოძღვრება მან ძალიან გადააკეთა.

მოდერნიზაციის თეორია, ისევე როგორც მარქსიზმი, გამოდის კაცობრიობის ისტორიაში არსებული ყველა საზოგადოების ბიპოლარული სტრუქტურიდან. თუმცა ამ პოლუსებში არის არა კლასები, არამედ კონსერვატიული ჯგუფები ან მოდერნიზებულად განწყობილი ინდივიდები, რომლებიც მართავენ განვითარებას. ამ ორ ურთიერთდაპირისპირებულთა ბრძოლაში არსებობს ეკონომიკური განვითარებისათვის მუდმივი სტიმულები. აქ პირველ რიგში წამოიწევა ცვლილებათა ადამიანური მექანიზმები ეკონომიკასა და საზოგადოებაში. მრავალი ქვეყნისათვის დამახასიათებელია ორპარტიული ბრძოლის პრაქტიკა, როცა ერთი პარტია რეფორმატორულია, მეორე კი — კონსერვატიული, მოაქვთ როგორც ამ თეორიის სამართლიანობის მნიშვნელოვანი დასაბუთება. დღესდღეობით მოდერნიზაციის კონცეფცია ეფუძნება ინსტიტუციონალურ ეკონომიკურ თეორიას. ხდება ყუ-

რადღების კონცენტრირება ფასეულობათა სისტემაზე, რომელზეც იღებს ორიენტაციას ადამიანის ეკონომიკური საქმიანობა.

საინტერესო და მრავალმხრივ პარადოქსული თეორია წამოსწია ახლახან ცხოვრებიდან წასულმა ჩვენმა თანამემამულემ, XX ს-ის ორი დიდი პოეტის შვილმა, *ლ. გუმილიოვმა*, რომელმაც სამყაროს მემკვიდრეობითი პოეტური აღქმა გადაიტანა მეცნიერების სფეროში. მის განვითარების თეორიას საფუძვლად უდევს *ეთნოსის* ძალიან განზოგადებული და მოდერნიზებული ცნება: გუმილიოვი იძლევა ამ ძველი ცნების მეტად ორიგინალურ ახსნას: ეთნოსი — ესაა ადამიანთა დიდი ჯგუფი, რომლის ყოველი წევრი იოლად ახდენს თავის იდენტიფიცირებას მასთან და უშეცდომოდ გამოყოფს თავისიანებს სხვებისგან. ნათელია, რომ ესოდენ ზოგადი განსაზღვრება შეიძლება ეკუთვნოდეს არა მარტო ეროვნულად ერთგვაროვან, არამედ საერთოდ ნებისმიერ თვითიდენტიფიცირებულ ჯგუფებს, ეთნოსი ცხოვრობს თავისი ცხოვრებით, გადის რა ფაზებს, რომელიც დამახასიათებელია ადამიანის ორგანიზმისათვის: დაბადება, ზრდა, დაბერება, სიკვდილი. (ეს იდეა ნაკესხებია საბოლოო ჯამში ჰეგელისაგან). ყოველ ეთნოსში მამოძრავებელი ძალაა პანსიონარიები — პიროვნებები, რომელთაც გააჩნიათ ძალაუფლებისა და საქმიანობის დიდი წყურვილი, ჩადებული გენეტიკურად და გადაცემული მემკვიდრეობით. ეთნოსში მათ უპირისპირდება ჯგუფები, რომლებიც ილტვიან უფრო მშვიდი ცხოვრებისაკენ. პანსიონარობის დონე განსაზღვრავს ეთნოსის განვითარების სტადიას, რომლის ასაკს გუმილიოვი საშუალოდ აფასებს 1000 წლად. მომაკვდავი ეთნოსის ბაზაზე შეიძლება წარმოიშვას ახალი. ეთნოსები ქმნიან სუპერეთნოსებს, რომელთა ურთიერთქმედება ბადებს ისტორიულ პროცესს. ვღებულობთ საკმაოდ მწყობრ სურათს. განსაკუთრებით დამაჯერებლად არ გამოიყურება ეთნოსის პანსიონარობით პირველადი დამუხტვა. ავტორმა ვერ მონახა იმაზე უკეთესი, რომ პანსიონარობა მიეწერა რაღაც კოსმოსური გამოსხივების გავლენისათვის, რომელმაც შექმნა მასობრივი გენეტიკური მუტაციები პანსიონარობის მიმართულებით განსაზღვრულ გეოგრაფიულ სარტყელში, რომელიც მოექცა გამოსხივების ქვეშ. მოცემული ელემენტი არსებითად აფუჭებს ამ ორიგინალურ და მომხიბლავ თეორიას.

ფრიად საინტერესოდ წარმოგვიდგება *ვ. ოიკენის კონცეფცია „სამეურნეო წესების შესახებ“*. იგი თვლიდა, რომ არსებობს ორი ტიპის სუფთა, „იდეალური“ ეკონომიკური სისტემა — ცენტრალიზებულად მართვადი და საბაზრო. თითოეული ამ იდეალურ ტიპს ახასიათებს ექვსი ძირითადი პარამეტრი: „მოთხოვნილებები, ბუნება, შრომა ხელმძღვანელობისა და შესრულებისათვის, ტექნიკური ცოდნა, მზა და მომწიფებული დოვლათის

მარაგები, მეურნეობის სოციალური და სამართლებრივი ორგანიზაცია". ამ პარამეტრების განსაზღვრული შეთავსებების დაფიქსირებისას შეიძლება მივიღოთ სუფთა ფორმები, რომელთა რიცხვი მცირეა, მაგრამ ყველა რეალურად არსებული სამეურნეო წესრიგი მიიღება, როგორც ამ სუფთა ფორმების შეთავსება და მათი რიცხვი უკვე უზარმაზარია. ამგვარად, კვლავ რეალიზდება იდეა ეკონომიკური სისტემების სფეროში მათემატიკურ კოორდინატთა სისტემის ერთგვარი მსგავსებისა ბაზისთან, შესაბამის წმინდა ფორმებთან.

ცივილიზაციის თეორია, რომელიც გულისხმობს მონათესავე ხალხების ერთობლიობას, გაერთიანებულს საერთო კულტურით, ისტორიული ბედით, ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური ურთიერთობებით, აკავშირებს განვითარების პროცესებს ცივილიზაციების მოდიფიკაციებთან ისტორიული პროცესის მსვლელობაში და ლიდერი ცივილიზაციების ცვლასთან.

ეს თეორია იყო წამოწეული ნ. დანილევსკის (1869) მიერ, განვითარებული ო. შპენგლერის (1918) მიერ და დეტალურად შემუშავებული ცნობილი ინგლისელი ისტორიკოსის ა. ტოინბის (1934-1961) მიერ, რომელმაც დაწვრილებით აღწერა სამი თაობის 21 ცივილიზაცია. სულ არსებობდა დაახლოებით 30 ცივილიზაცია, რომელთა დიდი ნაწილი დაიღუპა, რადგან ცივილიზაციები, ისევე როგორც გუმილიოვისეული ეთნოსები, იბადებიან, ცოცხლობენ და კვდებიან. პირველი ლოკალური ცივილიზაციები წარმოიშვა, როგორც ცნობილია, III-II საუკუნეებში ჩვენს ერამდე ხმელთაშუაზღვისპირეთში, შუამდინარეთში, ინდოეთსა და ჩინეთში. შემდეგ ისინი გავრცელდა პრაქტიკულად მთელ დასახლებულ მსოფლიოში. ჩვენი წელთაღრიცხვის მიხედვით, XX ს-ის შუახანებში დარჩა მესამე თაობის ხუთი დიდი ცოცხალი ცივილიზაცია: დასავლური, მართლმადიდებლურ-ქრისტიანული (სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპა და რუსეთი), ისლამური, ინდუისტური და შორეულაღმოსავლური.

ცივილიზაციური თეორიის გამგრძელებელი ს. ჰანტინგტონი (1998) გამოყოფს უკვე 8 თანამედროვე ცივილიზაციას: დასავლურს, ლათინოამერიკულს, ისლამურს, ჩინურს, ინდუისტურს, მართლმადიდებლურს, ბუდისტურს და იაპონურს. ამ ცივილიზაციებს გააჩნიათ სწრაფადცვალებადი ხვედრითი წილები მთლიან მსოფლიო პროდუქტში (მმპ), რომელიც მოტანილია 2.1 ცხრილში.

ცხრილის მონაცემები თვალნათლივ მოწმობს მართლმადიდებლური ცივილიზაციის ახლახან მომხდარ ეკონომიკურ ნგრევაზე, რომლის წილი მსოფლიო მშპ-ში 20 წლის განმავლობაში 3-ჯერ შემცირდა. სხვათა შორის, ჩვენი ცივილიზაციის. XX ს-ის ბოლოს მნიშვნელოვნად გამწვავდა

ცივილიზაციათა ხვედრითი წილი მმპ-ში

ცივილიზაცია	1950	1970	1980	2000
დასავლური	64,1	53,4	48,6	50,5
მართლმადიდებლური	16,0	17,4	16,4	5,4
ჩინური	3,3	4,8	6,4	11,9
ისლამური	2,9	4,6	6,3	10,5
ინდუისტური	3,9	3,0	2,7	3,6
იაპონური	3,1	7,8	8,5	7,8
ლათინოამერიკული	5,6	6,2	7,7	8,3
აფრიკული	0,2	1,7	2,0	2,1

ცივილიზაციათაშორისი წინააღმდეგობანი და სწორედ მათ შესახებ მოვუყვებით ჩვენს მომთმენ მკითხველს.

ჩვენ — XX ს-ის შვილებს — ცხოვრება, უწყვეტი ეკონომიკური განვითარება და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი წარმოგვიდგება აბსოლუტურად განუყოფლად. მაგრამ ასე ხომ არ იყო ყოველთვის?! იყო ხანგრძლივობით განუსაზღვრელად დიდი უძრაობის ეპოქები, ვიდრე განვითარების პერიოდები, მაგრამ ამავე დროს უეჭველად შესამჩნევი უკუსვლა, უკან დახევა კაცობრიობის მიერ უკვე დაპყრობილი პოზიციებიდან. დაღუპული აყვავებული ცივილიზაციების ადგილს ისტორიაში არაერთხელ იკავებდა ბარბაროსობა. ჩნდება აზრი, იქნებ სწორედ ასეთი უკანდახევები და არა უწყვეტი შემტევი მოძრაობა წარმოადგენს საერთო კანონზომიერებას? ასეთ თვალსაზრისს იზიარებენ *ისტორიული წრებრუნვის თეორიის* მიმდევრები, რომელთა ფუძემდებლად შეიძლება ჩაითვალოს იტალიელი დ. ვიკო, რომელმაც წამოსწია *ციკლების მიხედვით — ისტორიულ წრეებში ყველა ხალხების განვითარების კონცეფცია*. ე. მეიერიც ასევე იზიარებდა შეხედულებას კაცობრიობის ისტორიაზე, როგორც ჩაკეტილი ციკლების სისტემაზე, მაგალითად, ძველი მსოფლიო, შუასაუკუნეები. ამასთან თითოეულ მათგანში არის ელემენტები, როგორც ფეოდალური, ასევე კაპიტალისტური ეკონომიკის, ერთდროულად თავისუფალი, დაქირავებული და იძულებითი შრომისა. მოდით, დავიმახსოვროთ ეს ფასეული აზრი.

როგორ მოვეპყროთ ზემოთ აღწერილ შეხედულებათა მრავალგვაროობას ერთი და იმავე სიგანეზე? ამასთან დაკავშირებით, არის ერთი გონებამახვილი და ღრმა ანეკდოტი. მეფე სოლომონთან მივიდა სამი ბრძენი. პირველი დაწვრილებით უყვება თავის თეორიას. ფიქრის შემდეგ სოლომონი

ეუბნება: „შენ მართალი ხარ, ბრძენო“. მეორე გადმოსცემს ერთი შეხედვით სრულიად საწინააღმდეგო კონცეფციას, რაზეც მოულოდნელად ღებულობს ასეთივე დადებით პასუხს მეფისგან. „მაგრამ ასე ხომ არ შეიძლება, რომ ორივე იყოს მართალი!“ — უპასუხა სახელოვანმა ბრძენმა. ეს ანეკდოტი ძველი ეპოქის მეფის სამეცნიერო უპრინციობაზე კი არაა, არამედ იმაზეა, რომ ჭეშმარიტმა სიბრძნემ შეიძლება იპოვოს სიმართლის მარცვლები თითქოსდა სრულიად საწინააღმდეგო სამეცნიერო შეხედულებებში.

შევეცადოთ ზემოთ გაანალიზებული თეორიების სისტემატიზებას (ცხრილი 2.2).

ცხრილი 2.2

მსოფლიო ეკონომიკის თეორიები

თეორიის დასახელება	განვითარების ფაქტორები და მამოძრავებელი ძალები
1. ნაწილობრივი ტექნოლოგიურ-ფაქტორული თეორიები	
1.1. ტექნოლოგიური ინოვაციების თეორია	ახალი ტექნოლოგია — ცეცხლის, ისრის ათვისება და ა. შ.
1.2 ენერგეტიკული თეორია	ენერგიის ახალი ფორმების ათვისება — სითბური, ელექტრული, ბირთვული
1.3. ბუნებრივი ფაქტორების თეორია	ბუნებრივი ფაქტორები და გეოგრაფიული მდებარეობა, ლანდშაფტი
1.4. დემოგრაფიული თეორია	მოსახლეობის რაოდენობის და სტრუქტურის ცვლილება
1.5. აგრარული თეორია	ახალი აგრარული ტექნოლოგიების ათვისება და კვების პროდუქტებით უზრუნველყოფა
1.6. საწყალოსნო მიმოსვლის გზების თეორია	წყლის ტრანსპორტის ძირითადი სახეობა — სამდინარო, საზღვაო, ოკეანის
1.7. კავშირის ტექნოლოგიების თეორია	კავშირგაბმულობის წამყვანი ტექნოლოგიები — ფოსტა, ტელეგრაფი, ტელეფონი ელექტრონული ქსელი.
1.8. საინფორმაციო ტექნოლოგიების თეორია	საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება (ენა, საბეჭდი დაზგა, ინტერნეტი)

თეორიის დასახელება	განვითარების ფაქტორები და მამოძრავებელი ძალები
1.9. ფინანსური თეორიები	ფინანსური ტექნოლოგიები და დაბეგვრის სისტემები
1.10. მარკეტინგული თეორია	გზა მწარმოებლიდან მყიდველამდე
1.11. ვებერის ინსტიტუციონალური თეორია	რელიგია, არაფორმალური ინსტიტუტები, რწმენის სისტემა
2. კომპლექსური თეორიები	
2.1. მარქსისტული თეორია	კლასთა ბრძოლა, როგორც ფორმაციის შეცვლის განმსაზღვრელი
2.2. მოდიფიკაციის თეორია	მოდერნიზაციულად და კონსერვატიულად განწყობილ პირთა ჯგუფები
2.3. გუმილიოვის ეთნიკური თეორია	პასიონარიები და ეთნოსის პასიონარობის დონე
2.4. ოიკენის სამეურნეო წესრიგის თეორია	„იდეალური" საბაზრო ეკონომიკური სისტემა—წესრიგების კომბინაციები
2.5. ცივილიზაციის თეორია	ცივილიზაციის წარმოშობა, განვითარება და სიკვდილი
2.6. ისტორიული წრებრუნვის თეორია	ხალხების განვითარება ციკლების მიხედვით — ისტორიულ წრეებში

ზემოთ აღწერილია კაცობრიობის არსენალში არსებული თეორიების უმრავლესობა, რომლებიც ხსნის მსოფლიო ეკონომიკის განვითარებას. შევეცადოთ ავიღოთ ყოველივე საუკეთესო ადრე შემუშავებული თეორიებიდან და მოვახდინოთ რაღაც ახლის სინთეზირება ადრე ანონსირებული ირაციონალურ-ევოლუციური მიდგომიდან გამომდინარე.

2.3. ირაციონალურ-ევოლუციური თეორიები

როგორც უკვე ითქვა დასაწყისში, ჩვენი მიდგომის ცენტრშია სწრაფვა ხელისუფლებისაკენ, რომელიც დამახასიათებელია ყოველი ადამიანისათვის. ინსტიტუციონალურ ეკონომიკაში ეკონომიკური ძალაუფ-

ლების თეორია ახლა მნიშვნელოვან როლს თამაშობს. მისი მომხრეები არიან ისეთი ცნობილი მეცნიერები, როგორიცაა გ. მიულერი (თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებელი) და ჯ. გელბრეითი. ამ თეორიის მომხიბვლელობა მდგომარეობს სხვადასხვა ეკონომიკური მოვლენის ახსნის შესაძლებლობაში ერთიანი, საკმაოდ საერთო თვალსაზრისით. ჩვენ წარმოგვიდგება, რომ ეკონომიკური ძალაუფლების თეორიის გამოყენება მომავალი ეკონომისტების სწავლებისათვის ძალზე პერსპექტიულია, ვინაიდან იგი საშუალებას იძლევა გავიგოთ და პროგნოზირება მოვახდინოთ ბაზრის აქტიურ მონაწილეთა ქცევითი რეაქციისა, აგრეთვე საკმაოდ ერთგვაროვნად და მისაწვდომად ავხსნათ ეკონომიკური ევოლუციის რთული პროცესები.

ძალაუფლება ფართო გაგებით — ესაა შესაძლებლობა განახორციელო საკუთარი ნება და საკუთარი სურვილები რაიმეს ან ვინმეს მიმართ, იგი შეიძლება იყოს კანონიერი ან უკანონო, ეფუძნებოდეს ძალას, გავლენას, ტრადიციებს (მშობლების ძალაუფლება და ა. შ.) ან სხვა არაფორმალურ ინსტიტუტებს.

სწრაფვა ძალაუფლებისაკენ, ე. ი. საკუთარი შესაძლებლობების გაფართოებისაკენ სხვადასხვა სფეროში — ერთ-ერთი ძირითადია, რომელიც ჩადებულია უპირობო რეფლექსების დონეზე (და ამ გაგებით ირაციონალური) ადამიანური ქცევის (და არა მხოლოდ ადამიანური) მოტივაციისა.

საჭიროა აქვე აღინიშნოს, რომ ეკონომიკურ თეორიაში ცნება „ძალაუფლება" ყოველთვის როდი შეესაბამება სავსებით იმ მნიშვნელობას, რომლითაც იგი ყოველდღიურად იხმარება. სიტყვა „ძალაუფლება" ადამიანებისათვის მჭიდროდ ასოცირდება საზოგადოების და წარმოების ორგანიზაციის იერარქიის შესახებ წარმოდგენებთან, „უფროსი — ხელქვეითის" ტიპის ურთიერთობებთან. ასეთი გაგებით სიტყვები „სწრაფვა ძალაუფლებისაკენ" — ესაა სურვილი გახდე უფროსი, შეიძინო უფრო მაღალი მდგომარეობა საზოგადოების იერარქიულ სტრუქტურაში, გაიკეთო კარიერა და ა. შ. აქედან მომდინარეობს ნეგატიური დამოკიდებულება ძალაუფლებისაკენ სწრაფვის მიმართ, როგორც კარიერისტული სურვილებისაკენ, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში ძალიან ხშირად მიიღწეოდა არცთუ მორალურად სუფთა მეთოდებით.

ეკონომიკურ თეორიაში და ფილოსოფიურ შრომებში, რომლებიც ეძღვნება ძალაუფლებას[1], ამ ცნებას გააჩნია უფრო ფართო გაგება. ადამიანი ან ნებისმიერი სხვა ორგანიზმი დაბადებისთანავე იძენს ბუნებრივი სურვილების და ინსტიქტური მოთხოვნილებების ნაკრებს, რომელთა შორისაა მოთხოვნილება წყლისა და საკვებისადმი, ასევე სწრაფვა ცხოვრების შე-

---

1 ის.: Ницше Ф. По ту сторону добра и зла. - Харьков: ЭКСМО-Пресс. 1997.)

ნარჩუნება-დაცვისადმი, გვარის გაგრძელებისაკენ და ა. შ. მისთვის აუცილებელია ამ სწრაფვათა და სურვილთა რეალიზება რთულ, სწრაფადცვალებად და, სამწუხაროდ, არამეგობრულ სამყაროში. სფერო, რომელშიც შეიძლება დაიკმაყოფილო საკუთარი სწრაფვანი სხვებისათვის ყოველგვარი ზარალის გარეშე, ჩვეულებრივ ძალზე ვიწროა. შესაბამისად, რომ დაიკმაყოფილო შენი მოთხოვნილებები და შეისრულო საკუთარი სურვილები შელახული იქნება სხვათა შესაძლებლობანი. ბუნებრივია, ისინი არასოდეს ნებაყოფლობით არ მოგცემენ მათი ინტერესების შელახვის უფლებას. მაშასადამე, ყოველი ორგანიზმის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად აუცილებელია ბრძოლა.

ადამიანის მოთხოვნილებათა და სურვილთა ერთი ნაწილი წარმოადგენს თანდაყოლილს და ინსტინქტურს, მეორე ნაწილი კი ყალიბდება მთელი სიცოცხლის განმავლობაში. ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ადამიანებს შეიძლება განუვითარდეთ სულ სხვადასხვაგვარი სურვილები და მოთხოვნილებები, რომლებიც ბევრად განსაზღვრავს მათი ეკონომიკური ქცევის მოდელებს. ანალოგიურია მდგომარეობა სხვა რთულ ორგანიზმებთანაც. საერთო აქ არის ერთი — სხვა ადამიანებთან, ორგანიზმებთან, გარემომცველ გარემოსთან და ბოლოს საკუთარ თავთან ბრძოლის აუცილებლობა საკუთარი მისწრაფებების დასაკმაყოფილებლად და, გარემოებებიდან გამომდინარე, სხვადასხვაგვარი მიზნების მისაღწევად. ვინაიდან წინასწარ შეუძლებელია განვჭვრიტოთ, რა სურვილები და მოთხოვნილებები წამოიჭრება მომავალში, ქცევის კარგ და რაციონალურ სტრატეგიად წარმოგვიდგება მოქმედება, რომელიც მიმართულია შესაძლებლის სფეროს მაქსიმალურ გაფართოებაზე „სურვილისა და მოთხოვნილებების სივრცეში“.

ძალაუფლების ზონის — ამ სფეროს გაფართოებისაკენ სწრაფვა ბრძენმა ბუნებამ ჩაუნერგა ყველა ორგანიზმს ინსტინქტის დონეზე. სწორედ ამ საერთო ინსტინქტს უწოდებენ სწრაფვას ძალაუფლებისაკენ. ამგვარად, ყოველ ორგანიზმს დაბადებიდან სიკვდილამდე ახასიათებს ინსტინქტი თავისი შესაძლებლობების გასაზრდელად და სხვა ორგანიზმებთან საბრძოლველად, ძალაუფლების ზონის და ამ შესაძლებლობათა სფეროს საზღვრების გასაფართოებლად. ბრძოლა გადასარჩენად, ხშირად ძირითადად ევოლუციურ მექანიზმად გამოყენებული წარმოგვიდგება ასეთი ინტერპრეტაციით მხოლოდ ძალაუფლებისათვის ბრძოლის ნაწილად. გადარჩენის სფერო წარმოადგენს იმ მინიმალურ სფეროს, რომლითაც შეუძლია ორგანიზმს სიცოცხლეში დაკმაყოფილება, მაგრამ იგი, უეჭველია, ყოველთვის იბრძვის სხვების წინააღმდეგ ამ მინიმალური სფეროს ცალკეულ საზღვრებზე, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ძალაუფლების ზონა, რომელსაც მოიპოვებს და აფართოებს ადამიანი ან სხვა ორგანიზმი განუწყვეტელ ბრძოლაში,

ყოველთვის ბევრად ფართოა, ვიდრე ორგანიზმის გადარჩენის სფერო. სწორედ ბრძოლა ძალაუფლებისათვის და არა უბრალოდ გადარჩენა წარმოადგენს ევოლუციის ძირითად მამოძრავებელს საერთოდ და ეკონომიკურ ევოლუციებს კერძოდ.

სურვილი ძალაუფლებისაკენ, როგორც ძალაუფლების ზონის გაფართოებისა და შენარჩუნებისათვის, რომელშიც მას თავისუფლად შეუძლია თავისი სურვილების დაკმაყოფილება, საკმაოდ მრავალგვარად შეიძლება გამოვლინდეს. სხვაგვარად ეს არის სხვა ძლიერი და საკმაოდ რთული ინსტიქტებისათვის დამახასიათებელი თვისება. გავიხსენოთ რამდენად სხვადასხვა საშუალებებით ვლინდება ცხოვრებაში ადამიანთა ინსტინქტი გამრავლებისაკენ და მოდგმის გაგრძელებისაკენ. ამის აღწერას ხომ, თითქმის მთელი მსოფლიო ლიტერატურის ნახევარი ეძღვნება. სხვათა შორის, თუკი გავიხსენებთ კლასიკურ ლიტერატურას, მაშინ მასში დავინახავთ სიუჟეტთა დიდ რიცხვს, რომლის ძირითადი მოტივი, საგულდაგულო განხილვისას რომ შევნიშნავთ, არის ბრძოლა ძალაუფლებისათვის ამ სიტყვის ფართო გაგებით.

იმისათვის, რომ ადამიანმა შეძლოს საიმედოდ გაიმაგროს თავისი, სხვებისთვის წართმეული ძალაუფლების ზონა, არსებობს უამრავი ეკონომიკური ინსტიტუტი და, პირველ რიგში, საკუთრების ინსტიტუტი. ამავე მიზანს ემსახურება, საბოლოო ჯამში, ყოველგვარი სამხედრო, სამეცნიერო და სხვა წოდებები, ჯილდოები და ა. შ. ეს ჟღერს რამდენადმე უჩვეულოდ, მაგრამ მეცნიერი, მწერალი, მხატვარი — ყველა იბრძვის სამეცნიერო ავტორიტეტისათვის, პოპულარობისათვის, აუდიტორიისათვის და ა. შ. ამოძრავებთ რა მათაც იგივე ინსტინქტი საკუთარი გავლენის გაფართოებისა (სურვილი ძალაუფლებისა), ისევე როგორც ბიზნესმენსაც, რომელიც ცდილობს თავისი წარმოების გაფართოებას და გასაღების ახალი ბაზრების დაპყრობას.

ადამიანს შეუძლია თავისი ძალაუფლების ზონის გაფართოებაც საკუთარ თავთან ბრძოლაში. ყველაზე უფრო მარტივი მაგალითი ავიღოთ. როცა მივდევთ სპორტს, ამით ვამარცხებთ სიზარმაცეს და დაღლილობას, ამასთან, ადამიანს შეუძლია არსებითად გაზარდოს თავისი ფიზიკური შესაძლებლობანი და, შესაბამისად, თავისი ძალაუფლების ზონა. იგივე ეხება ნებისმიერ თვითსრულყოფასაც. ეუფლებიან რა მეცნიერებებს, ენებს და სხვა მრავალთ, ადამიანები იფართოებენ შესაძლებლობათა სფეროს თავისი სურვილების დასაკმაყოფილებლად.

ვინაიდან ადამიანთა სურვილები, რომლებიც ყალიბდება მთელი ცხოვრების მანძილზე, ძალიან განსხვავებულია და დამოკიდებულია კონკრეტული ადამიანის საქმიანობასა და ხასიათზე, ძალაუფლებისაკენ სწრაფვის სურვილში ყველასათვის საერთოს გამოვლენა შეიძლება იყოს ძალიან განსხვავე-

ბული. მაგალითად, ქრისტიანს შეუძლია ცხოვრება ძალიან ასკეტურად, რადგან თვლის, რომ ამგვარად იგი აფართოებს თავის შესაძლებლობებს იმქვეყნიური ცხოვრებისათვის, ხოლო მუსლიმანს იმდაგვარივე შეხედულებებიდან გამომდინარე შეუძლია დაადგეს ჰაზავათის გზას. მეცნიერი ინსტინქტურად ისწრაფვის თავისი თეორიების გავრცელებისაკენ არა მარტო იმისათვისაც, რომ გააფართოვოს თავისი შემდგომი კვლევების შესაძლებლობები. ეს ხომ სწორედ მისი მთავარი სურვილია და თუკი მისი თეორიები გაიმარჯვებს, მაშინ იგი მიიღებს ფინანსურ და სხვა შესაძლებლობებს თავისი საქმიანობის სფეროს გასაფართოებლად და კვლევებში ჩასაღმავებლად.

ძალაუფლების ნება-სურვილი, ისევე როგორც სხვა ინსტინქტები, შეიძლება გამოვლინდეს გაუცნობიერებლად. ხშირად ადამიანი აბსოლუტურად ვერ აცნობიერებს რა ინსტინქტები ამოძრავებს მას. ის განაწყენდება კიდეც, თუმცა შეეცდებით ახსნათ მისი მოქმედება ძალაუფლების ინსტინქტური სურვილის ფარული გამოვლენით. დიახ, შეყვარებული ან პოეტიც აღშფოთდება, თუკი მის მაღალ გრძნობებს და ამაღლებულ შთაგონებას ავხსნით მოდგმის გაგრძელების სურვილის გამოვლენით, რომელიც წარმოადგენს მისი მოქმედებების ფარულ მოტივაციას.

ნებისმიერი ეკონომიკური თეორიის ძირითადი საკითხი — ესაა საკითხი ცალკეულ ადამიანთა ეკონომიკური ქცევის შესახებ და მისი ქცევის მოტივაციის შესახებ, ეკონომიკური ძალაუფლების თეორია ამ კითხვაზე უნივერსალურ და კონკრეტულ პასუხს — ადამიანის ეკონომიკური ქცევა ძირითადად განპირობებულია მისი სწრაფვით ეკონომიკური ძალაუფლების გადიდებისაკენ, ძალაუფლების ზონის გაფართოებისაკენ.

ცალკეულ პიროვნებათა ეკონომიკური ძალაუფლების ნება-სურვილი, ე. ი. ძალაუფლების ეკონომიკურ სფეროში, რომელიც განსაკუთრებით აშკარადაა გამოხატული ადამიანებში, რომელთაც მეწარმეებს უწოდებენ, ეკონომიკის ძირითად მამოძრავებელს წარმოადგენს. მაგრამ სხვა, ბევრად უფრო დიდი ნაწილი „ჩვეულებრივი" ადამიანებისაც ასევე ილტვიან ძალაუფლებისაკენ. მატერიალური ინტერესი, სურვილი იმისა, რომ მეტი გამოიმუშავოს, დაწინაურდეს სამსახურში, აიმაღლოს თავისი კვალიფიკაცია და ხელფასი, გამოწვეულია ისევ იმავე სწრაფვით, გააფართოვოს თავისი შესაძლებლობანი, ე. ი. სწრაფვით ძალაუფლებისაკენ, ამ სიტყვების ზემოთ გაგებული განსაზღვრებით. ინდივიდუალურ ძალაუფლებისკენ სწრაფვის და საზოგადოების მიერ დაკისრებულ ფორმალურ და არაფორმალურ ინსტიტუციონალურ შეზღუდვათა (თამაშის წესები) შეთანხმებაში მდგომარეობს ეკონომიკური სისტემის არსი. ლენინის ცნობილი სიტყვების პერეფრაზს თუ მოვიყვანთ, თანამედროვე ინსტიტუციონალურ-ეკონომიკური თეორიის პოზიციიდან შეიძლება ვთქვათ, რომ ცენტრალური საკითხი

არა მარტო რევოლუციის, არამედ ეკონომიკური ევოლუციის — ესაა საკითხი ძალაუფლების შესახებ.

ძალაუფლების სტრუქტურის ანატომირება აუცილებელია ეკონომიკური სუბიექტების და, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკის განვითარების განმსაზღვრელ ოლიგარქიათა ქცევის გასაგებად და პროგნოზირებისათვის, ინსტიტუტების კონსტრუირების მიზნით, რომლებიც მათ ინდივიდუალურ სახელისუფლებო სწრაფვას წარმართავენ საზოგადოებრივი ინტერესების კალაპოტში. იდეალში, ეკონომიკური ძალაუფლების მოდელის და, შესაბამისად, ბაზრის მონაწილეთა ქცევის მოდელების დეტალურად შემუშავებისას, აგრეთვე თეორიულ-სათამაშო მიდგომების და კონსტრუქციების გამოყენებისას, შეიძლება მივაღწიოთ საზოგადოების გლობალურ მიზნებთან ინდივიდუალური ეკონომიკური ძალაუფლების ლოკალური მიზნების რაციონალურ შერწყმასა და მთლიანად ეკონომიკური სისტემის ეფექტიანობის ამაღლებას სახელმწიფოს მიერ რეგლამენტირებული ეკონომიკური ცხოვრების წესების დახმარებით.

ეკონომიკური ძალაუფლება მიიღწევა შემდეგი ხუთი ელემენტის შეერთებით:

- ფინანსური სიმძლავრის;
- საინფორმაციო გავლენის;
- კოალიციური ძალის;
- სახელმწიფოსთან კავშირების;
- ძალისმიერი ზეწოლის საშუალებების.

ამ ურთიერთდაკავშირებული ფაქტორების შეთანხმება განაპირობებს ადამიანის ან რაიმე ჯგუფის ძალაუფლების განსაზღვრულ ზომას. ამასთან ძალაუფლების წარმოქმნის ფორმულაში ყველა ხუთი ფაქტორი თანაბარმნიშვნელოვანია და *რეალური ძალაუფლება განისაზღვრება იმ ფაქტორით, რომელიც მოცემულ პირს აქვს დეფიციტური.* შესაბამისად, ძალაუფლების ფორმულაში ფაქტორების შეთავსება ექვემდებარება ლიბიხის საერთოსისტემურ კანონს, რომელიც მოყვანილია პირველ თავში.

ამგვარად, სრულფასოვანი ძალაუფლება (ხელისუფლება) მიიღწევა მხოლოდ ყველა ხუთი ფაქტორის რაციონალური შეთანხმების პირობებში, მაგრამ თუკი მათგან რომელიღაც არ ჰყოფნის, მაშინ ძალაუფლების გაძლიერებლად აუცილებელია შედარებით ჭარბ ფაქტორთა ნაწილის კონვერტირება არასაკმარის ფაქტორში. კიდევ კარგი: რომ კონვერტაცია თითქმის ყოველთვის შესაძლებელია.

კიდევ ერთხელ გავუსვამთ ხაზს, რომ ბუნებით ერთი და იგივე ინსტიქტური ძალა — სურვილი ძალაუფლებისაკენ — უბიძგებს ცხოველს

მეტოქესთან საბრძოლველად თავისი ტერიტორიისათვის და ადამიანს — საბრძოლველად მის მიერ კონტროლირებული ეკონომიკური სივრცის გასაფართოებლად. ამასთან მეტოქე ფირმის ჩასანთქმელად სწრაფ მეწარმეს, დიდებაზე მეოცნებე მსახიობს, თავისი თეორიის აღიარებისათვის მებრძოლ მეცნიერს თუ ხელფასის გასადიდებლად დემონსტრაციაში მონაწილე მუშას — ყველა მათგანს არსებითად შინაგანად ამოძრავებს იგივე ირაციონალური ინსტინქტი — სწრაფვა ძალაუფლებისაკენ.

გამუდმებით ერთმანეთის შემცვლელი მილიარდობით შეჯახებანი ძალაუფლებისათვის ბრძოლაში ავლენს უძლიერესებს და ისინი კვლავ დგებიან ბრძოლის ფერხულში — ასე ხდება ევოლუცია ცოცხალ ორგანიზმებში და ზუსტად ასევე — ადამიანებშიც; სამწუხაროა, მაგრამ ეს ფაქტია.

ყოველი ადამიანი ინსტინქტურად გრძნობს თავს რამდენიმე ჯგუფის ნაწილად — გავლენის ჯგუფები: ოჯახი, განყოფილება, სადაც ის მუშაობს; საწარმო ან ორგანიზაცია; ეკონომიკის დარგი ან საქმიანობის სფერო; ქვეყანა. იგი ისწრაფვის თავისი მდგომარეობის განასამტკიცებლად და ძალაუფლების გასაფართოებლად-თითოეულ მათგანში. ჩვეულებრივ პრიორიტეტი ენიჭება მცირე ჯგუფებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ოჯახში გავლენა ნორმალური ადამიანისათვის ნიშნავს მეტს, ვიდრე თვით ძალაუფლებაც კი სახელმწიფოში. სამწუხაროდ, მაგალითებისა და ილუსტრაციებისათვის შორს წასვლა არ მოგიხდებათ — ისინი ჩვენ თვალწინაა.

ადამიანი ერთდროულად შეიძლება ეკუთვნოდეს ბევრ, ხშირად არაიერარქიულ თანადაქვემდებარებულ ჯგუფებს. მაგალითად, იგი შეიძლება იყოს თავისი ბრიგადის, ქარხნის, დარგობრივი პროფკავშირის წევრი, ასევე „სპარტაკის" გულშემატკივართა კლუბის, მებაღეობის ამხანაგობების წევრი და ამასთან იყოს ეროვნებით რუსი. მნიშვნელოვანია ის, რომ მას ყოველთვის მკაფიოდ შეეძლოს თავისი ჯგუფის წევრების გამოცალკევება სხვებისაგან, ე. ი. მტკიცედ ახდენდეს თვითიდენტიფიცირებას თავისი თავისა ყოველ ჯგუფთან რაღაც ნიშნით.

ზოგიერთი ადამიანი სავსებით კონცენტრირებულია რომელიმე ერთ ადამიანთა ჯგუფზე, რომლებზეც გავლენას მისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. იგი შემოფარგლავს თავის ძალაუფლებისაკენ სწრაფვას მხოლოდ ამ ჯგუფით, მაგალითად, ბერმონაზვნური საზოგადოების, სექტის ან სპორტული ჯგუფის. არიან ადამიანები, რომლებმაც შეძლეს მეტი ან ნაკლები ხარისხით დაეოკებინათ თავისი ინსტინქტი ხელისუფლებისაკენ სწრაფვაში, დაუქვემდებარეს რა თავისი ირაციონალური რაციონალურ საწყისს. ამისკენ მოგვიწოდებს ქრისტიანობა და სხვა მსოფლიო რელიგიები, ხოლო ლიტერატურა და ხელოვნების სხვა დარგები მუდმივად გვიჩვენებს, რაციონალური გარსიდან ხან აქ, ხან იქ როგორ იჩენს თავს ირაცი-

ონალური. ჩვენ არ ვამბობთ, რომ ნებისმიერი ადამიანის მთელი ცხოვრება — ეს არის ბრძოლა ძალაუფლებისათვის. ჩვენ მხოლოდ ვამტკიცებთ, რომ ისტორიასა და ეკონომიკაში ევოლუციური პროცესი ემყარება ამ ბრძოლას და იმ ადამიანებს, რომელთათვისაც ბრძოლა ხელისუფლებისათვის, ყველაზე ფართო გაგებით და ყველაზე სხვადასხვაგვარ ფორმებში, შეადგენს მათი ცხოვრების არსს.

ყოველი ჯგუფის ქცევა, ბუნებრივია, განპირობებულია მის მონაწილეთა ქცევით. რა თქმა უნდა, თვით ჯგუფს არ გააჩნია საკუთარი ნება, მაგრამ მის მონაწილეთა ყველა მისწრაფებების ტოლქმედს წარმოადგენს. და აი, სწორედ აქ აღმოჩნდება ხოლმე ძალიან საინტერესო კანონზომიერება. *როგორც ჩანს, ჯგუფი ისე იქცევა, თითქოს მას გააჩნია საკუთარი ნება.* ასე, თვითმფრინავის ფრენისას სიმძიმის ძალის ტოლქმედი ჰაერის წინააღმდეგობა, აწევის და რეაქტიული ძალის, კაცმა რომ თქვას, არ წარმოადგენს რაღაც განსაზღვრული ბუნების ძალას, მაგრამ შეიძლება ზუსტად ასევე მოეპყრო, როგორც ნებისმიერ ბუნებრივი წარმოშობის ძალას. ამავე გაგებით შეიძლება ვილაპარაკოთ ჯგუფის ნებაზე, როგორც მისი მონაწილეების ტოლქმედი ნებასურვილის გამოვლინების შესახებ.

მაშ ასე, ეს ჯგუფები, ასე ვთქვათ, საკუთარი ნება რომ აქვთ მინიჭებული, ზუსტად ისევე იბრძვიან ძალაუფლებისათვის, როგორც ცალკეული პიროვნებები ან ცხოველები. ფრინველების გუნდი, ცხვრების ფარა და ეკონომიკური ორგანიზაცია ისე იქცევა, როგორც დამოუკიდებელი ინდივიდები, ანუ იბრძვიან ძალაუფლებისათვის თავის მსგავსებთან. ამას მივყავართ მეტად მნიშვნელოვან დასკვნამდე — ნებისმიერი დიდი სისტემა, რომელიც აღწევს განსაზღვრული ხარისხის სირთულეს, იწყებს იმგვარ მოქმედებას, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, იბრძვის ძალაუფლებისათვის და თავის გარემოში აყალიბებს თავისებურ ევოლუციურ პროცესს.

გაგახსენებთ, რომ ძალაუფლებისათვის ბრძოლა როგორც ადამიანის, ასევე რთული ორგანიზაციისა, შეიძლება მიმდინარეობდეს ისე როგორც საკუთარ თავთან, გამოვლენილი თვითსრულყოფაში, რომელიც აფართოებს ადამიანის ან ორგანიზაციის შესაძლებლობათა სფეროს და მათი ძალაუფლების ზონებს.

ეკონომიკური განვითარების პროცესი, ჩვენი აზრით, განპირობებულია ოთხი პარალელურად მავალი ევოლუციური პროცესით: თვით ადამიანებს შორის; ტექნოლოგიების სფეროში; ორგანიზაცია-ინსტიტუციების სფეროში და სხვადასხვა ცივილიზაციებს შორის.

მაშ ასე, ადამიანებთან გასაგებია, მაგრამ როგორ შეიძლება მიმდინარეობდეს ევოლუცია ტექნოლოგიების სამყაროში? პრინციპში, ზუსტად ისევე. ამის შესახებ პირველად მიუთითა ბრწყინვალე ფანტასტმა და მეცნ-

ნიერმა ს. ლემმა თავის შესანიშნავ წიგნში „ტექნოლოგიათა ჯამი", სხვათა შორის, ჩაფიქრებული, როგორც თავისებური რემეიქი შუასაუკუნეების დიდი ფილოსოფისის თომა აქვინელის „თეოლოგიათა ჯამი"-სა. ტექნოლოგიური ევოლუცია — ეს არა მარტო ფანტასტის დახვეწილი გონების გამოგონებაა, არამედ თანამედროვე ეკონომისტების სერიოზული კვლევის საგანი. მაგალითად, რუსმა ეკონომისტმა, ს. გლაზევმა ამ თემატიკას უძღვნა თავისი სადოქტორო დისერტაცია და აგრძელებს მის გამოკვლევას. ტექნოლოგიურ წყობათა განვითარება, რომელიც წარმოადგენს რთულ სისტემებს, კარგადაა აღწერილი ევოლუციურად სქემებში. ტექნოლოგიების სახეები, ისევე როგორც ცხოველთა სახეები, იბადება უკვე არსებული სახეების წიაღში, თანდათანობით განიცდიან სრულყოფას შიდა და სახეობათაშორისი ბრძოლის მსვლელობისას და კვდებიან, აძლევენ რა დასაბამს სხვა სახეობებს.

ტექნოლოგიების ევოლუცია საოცრად მოგვაგონებს ცოცხალი ორგანიზმების ევოლუციას, რითაც ამტკიცებს კიბერნეტიკის დიდ ვარაუდს — ყველა რთული სისტემის თანასწორობაზე მათთვის ყველა საერთო კანონზომიერების წინაშე. ტექნოლოგიურ ევოლუციაში მუტაციის როლს თამაშობს გამოგონებანი და ინოვაციები. ბრძოლაში იმარჯვებენ ის ტექნოლოგიური სახეები, რომლებმაც შეძლეს გამოეყენებინათ ინოვაციები თავისი გავრცელების არეალის გასადიდებლად (ძალაუფლების თავისებური ტიპი) ტექნოლოგიურ გარემოში. ტექნოლოგიური ინოვაციები და ტექნოლოგიური ცვლილებები განაპირობებს აღმავლობებს და დაცემებს ეკონომიკაში, იწვევს რა ტექნოლოგიურ ტალღებს, რომელთა სიგრძე დამოკიდებულია ტექნოლოგიური ცვლილებების ძალაზე. პატარა წარმატებულ ინოვაციებს შეუძლია გამოიწვიოს წარმოების პატარა და მოკლე აღმავლობები და ჭარბწარმოების კრიზისები, ხოლო მსხვილ ტექნოლოგიურ ცვლილებებს — მივყავართ სტრუქტურულ ძვრებთან, რომლებიც გამოვლინდება ქვეყნის ეკონომიკური ცვლილებების გრაფიკებზე, როგორც კონდრატიევის გრძელი ტალღები.

ძალიან დიდი ხანია შენიშნულია, რომ *ორგანიზაციები და ინსტიტუტები აგრეთვე ეწევიან ერთმანეთს შორის კონკურენციას* და მათი ქცევა კონკურენციულ ბრძოლაში გვაგონებს ადამიანთა და ცოცხალ ორგანიზმთა ქცევას. ბაზრის და სასტიკი კონკურენციული ბრძოლის კანონები ახლოსაა ცხოვრების საერთო კანონებთან, რასაც მივყავართ ევოლუციური პროცესების მსგავსებასთან ეკონომიკასა და ცოცხალ ბუნებაში. განვითარებულ ქვეყნებში ყოველწლიურად ხდებიან ბანკროტები, ქრებიან და კვლავ ჩნდებიან ფირმები. ყველაზე უფრო სიცოცხლისუნარიანი ფორმების ძიებაში ხდება ათასობით შთანთქმა და შერწყმა, წარმოიქმნებიან სხვადასხვაგვარი ინტეგრაციული გაერთიანებები.

საწარმოთა ორგანიზაციის სხვადასხვა ეკონომიკური ფორმები მნიშვნელოვანწილად წარმოიშობა ეკონომიკური სუბიექტების სწრაფვის შედეგად, შეეგუოს ცვლად საბაზრო ვითარებას, იპოვოს თავისი ნიშა და საბოლოო ჯამში გაიმარჯვოს კონკურენტულ ბრძოლაში. ეკონომიკური ევოლუციის პროცესში ჩნდებოდა, ხდებოდა დომინირებული და იხევდა მეორე პლანზე სხვადასხვა ორგანიზაციული ფორმები. განსაზღვრულ ეტაპზე სიცოცხლისუნარიანმა ფორმამ შეიძლება დაკარგოს გაბატონებული მნიშვნელობა, მაგრამ გააგრძელოს თავისი არსებობა და განსაზღვრული ნიშის დაკავება ეკონომიკურ ცხოვრებაში. აქ ვლინდება სწორედ იგივე, უკვე ნახსენები საყოველთაო წესი — ეკონომიკური ევოლუციის პროცესში მიგნებული ხელსაყრელი ინსტიტუციონალური ფორმა არასოდეს აღმოჩნდება ეკონომიკური ისტორიის სანაგვეზე, არამედ დაიკავებს მოკრძალებულ, მაგრამ საიმედო ნიშს ეკონომიკურ სისტემაში. ინსტიტუციონალური, ორგანიზაციული ინოვაციები არანაკლები ხარისხით, ვიდრე ტექნოლოგიური, გავლენას ახდენს ეკონომიკურ განვითარებაზე და აგრეთვე აჩენენ ეკონომიკური ევოლუციის სურათზე სხვადასხვა სიგრძის ტალღებს. ინსტიტუციონალურ ინოვაციებზე ტრადიციულად ნაკლებად ამახვილებენ ყურადღებას მსოფლიო ეკონომიკის ისტორიის აღწერისას. მაგრამ ქარხნის ორგანიზაციამ ხომ, დაფუძნებულმა შრომის დანაწილებაზე (ინსტიტუციონალური ინოვაცია), არა ნაკლები გავლენა მოახდინა ეკონომიკურ განვითარებაზე, ვიდრე ორთქლის მანქანის გამოგონებამ. ასე რომ. *ინსტიტუციონალურ ევოლუციას* თან ახლავს ტექნოლოგიური და ისინი, რა თქმა უნდა, გავლენას ახდენენ ერთმანეთზე.

და ბოლოს, უმაღლესი ევოლუციური დონე წარმოდგენილია *ცივილიზაციათა ევოლუციად*. ცივილიზაციური წარმონაქმნები, რთულ სისტემებს რომ წარმოადგენენ, აგრეთვე ექვემდებარებიან ევოლუციურ კანონებს. ცივილიზაციის განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენს ღირებულებათა განსაზღვრული სისტემა, სიკეთისა და ბოროტების, თავისი ეთნოსის (ეთნიკური პრინციპების ერთობლიობა), კულტურის და ა. შ. თავისებური გაგებისა. ეს ყოველივე, ხშირად გადამწყვეტ გავლენას ახდენს ცივილიზაციის ეკონომიკურ, სამხედრო და პოლიტიკურ კონკურენტუნარიანობაზე, რომლებიც, ბუნებრივია, იბადებიან, ცოცხლობენ და კვდებიან, აძლევენ რა გზას სხვებს, უფრო ძლიერთ და სიცოცხლისუნარიანთ. ამ ევოლუციაში მუტაციის როლს თამაშობს მნიშვნელოვანი მოძრაობანი ძირითად ცივილიზაციურ ღირებულებათა სისტემაში, რომელთაც შეუძლიათ გამოიწვიონ ზეგრძელი ტალღები მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ტრაექტორიაზე.

ამგვარად, მსოფლიო ეკონომიკის განვითარების კვლევისას შეიძლება გამოვყოთ *სხვადასხვა სიგრძის მთელი რიგი ტალღები — ძალიან მოკლე-*

დან, რომლებიც განპირობებულია ბაზრის თვითრეგულირებით და მოთხოვნისა და მიწოდების თამაშით, ზეგრძელ ცივილიზაციურებამდე. მსოფლიო ეკონომიკის განვითარების პროცესის ანალიზი სხვადასხვა სიგრძის რიგი ტალღების სუპერპოზიციის სახით მისი წარმოდგენის საფუძველზე ძალიან გვაგონებს მათემატიკაში ცნობილ ფურიეს ანალიზს, როცა ნებისმიერ ფუნქციას გამოკვლევის მიზნით გაშლიან ფურიეს მწკრივზე, რომელიც თავისთავად წარმოადგენს ოსცილირებულ (ტალღისებურ) ელემენტარულ ფუნქციათა ნაკრებს. მათემატიკაში ნაჩვენებია, რომ ამგვარად მოქცევა შეიძლება ფუნქციათა ძალიან ფართო კლასთან. ეკონომიკური გამოკვლევები მოწმობს იმას, რომ ანალოგიური მეთოდები გამოსაყენებელია რთული ეკონომიკური პროცესებისათვის, ე. ი. ისინი შეიძლება წარმოვიდგინოთ რამდენიმე უფრო მარტივი და გასაგები მეთოდების ნაკრების სახით.

როგორც ჩანს, ყველაზე მოკლე ტალღები დაკავშირებულია იმასთან, რომ ბაზარი, ისევე როგორც ყოველი თვითრეგულირებადი სისტემა, წონასწორობიდან სპონტანური გამოსვლისას, რომელიც გამოწვეულია მიწოდების ან მოთხოვნის ცვლილებით, კვლავ უბრუნდება მას, ასრულებს რა რხევით მოძრაობებს წონასწორობის წერტილის გარშემო.

ამ მოკლე ტალღების კვალდაკვალ მოდის საშუალო ტექნოლოგიური ტალღები. მათთან დაკავშირებულია საყოველთაოდ ცნობილი კრიზისული მოვლენები. საშუალო ეკონომიკური ციკლების ისტორია დასაბამს იღებს უკვე ხსენებული 1825 წ. ინგლისის კრიზისიდან. ეს ციკლი გრძელდებოდა 12 წელი და დამთავრდა კრიზისით 1836 წ.

11 წლის შემდეგ ციკლურმა კრიზისმა გაანადგურა ინგლისის, აშშ-ის, საფრანგეთის და გერმანიის ეკონომიკა. 1857 წ. კრიზისს მიიჩნევენ პირველ მსოფლიო ციკლურ კრიზისად. მან მოიცვა განვითარებული ქვეყნების უმეტესობა და მისგან შეიძლება მსოფლიო ეკონომიკის, როგორც მთლიანის, განვითარების ათვლის დაწყება. ეკონომიკური კავშირები გახდა იმდენად მყარი, რომ მსოფლიოს ერთ ბოლოში დაწყებული ცვლილებები გავლენას ახდენდა საერთოპლანეტარულ სიტუაციაზე.

შემდგომ პერიოდებში თითქმის ყველა კრიზისი ატარებდა მსოფლიო ხასიათს. ეს კრიზისებია — 1866, 1873, 1882, 1900, 1907, 1913, 1914, 1920, 1921, 1929-1933, 1937-1938 წწ.

XX ს-ის 30-იანი წლების უჩვეულო კრიზისს, რომელიც გრძელდებოდა 1929 წლიდან 1938 წლამდე, უწოდეს „დიდი დეპრესია". მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კრიზისები ვითარდებოდა სხვადასხვა ინტენსივობის ხარისხით — 1948-1949, 1953-1954, 1957-1958, 1960-1961, 1969-1970, 1974-1975, 1980-1982, 1991-1992 წწ. თითოეული ამ კრიზისთაგანი და,

შესაბამისად, ეკონომიკური ციკლიც ინდივიდუალურია და ისტორიულად განუმეორებელი თავისი ხასიათით.

აშშ-ის ეკონომიკამ 1854-1982 წწ. გადაიტანა 30 ციკლი. თითოეული მათგანის ხანგრძლივობა საშუალოდ შეადგენდა ოთხ წელზე ცოტა მეტს. დაცემა გრძელდებოდა საშუალოდ 18 თვე, ხოლო აღმავლობა — 33 თვე. იკვეთებოდა მკაფიო ტენდენცია ვარდნის პერიოდის შემცირებისა და აღმავლობის პერიოდის გაზრდისა. თუკი 1854-1919 წლებში, როცა 16 ციკლი მოხდა, დაცემა გრძელდებოდა საშუალოდ 22 თვე, ხოლო აღმავლობა — 27 თვე, 1919-1945 წლებში შესაბამისად — 18 და 35 თვე, ხოლო 1945-1982 წლებში (8 ციკლი) — 11 და 45 თვე. ეს ტენდენცია დამახასიათებელია მშვიდობიანი პერიოდის ციკლებისათვისაც.

აშშ-ის ეკონომიკამ მშვიდობიან წლებში გადაიტანა 25 ციკლი. დაცემის საშუალო ხანგრძლივობა შეადგენდა 19 თვეს, ხოლო აღმავლობა გრძელდებოდა 27 თვე, შესაბამისად 1854-1919 წლებში ასეთი ციკლები იყო 14 და დაცემის საშუალო ხანგრძლივობა უტოლდებოდა 22 თვეს, ხოლო აღმავლობა — 24 თვეს, 1919-1945 წლებში (ხუთი ციკლი) დაცემა გრძელდებოდა საშუალოდ 20 თვე, აღმავლობა — 26, 1945-1982 წლებში (6 ციკლი) დაცემა — 11 და აღმავლობა — 34 თვე. როგორც ჩანს, დაცემის საშუალო ხანგრძლივობის პერიოდი მშვიდობიან და საომარ წლებში ფაქტობრივად არ განსხვავდება. თუმცა ციკლებში მშვიდობიან დროს აღმავლობის პერიოდების ხანგრძლივობა მოკლეა.

ტექნოლოგიურის პარალელურად მიმდინარეობს *პოლიტიკური ციკლები, რომლებიც განპირობებულია ინსტიტუციონალური ცვლილებებით და მუდმივი ბრძოლით ხელისუფლებისათვის მემარცხენე ძალებს, რომლებიც დაკავშირებულნი არიან სახელმწიფოსთან და მემარჯვენე ძალებს შორის, რომლებიც ბაზარზე არიან ორიენტირებული.* ამ ძალების დაპირისპირებულობა მკაფიოდ ჩანს მსოფლიო ეკონომიკის მთელი ისტორიის მანძილზე და, ჩვენი აზრით, განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ზამბარას წარმოადგენს.

ვაღიარებთ რა ვოლუნტარისტულ, ირაციონალურ-ევოლუციურ მიდგომას, რომელიც დაფუძნებულია ძალაუფლების თეორიაზე, ჩვენ სულაც არ გვსურს ეკონომიკურ ისტორიას მივცეთ ორი აბსტრაქტული ინსტიტუტის — სახელმწიფოს და ბაზრის — ბრძოლის მისტიკური ხასიათი. ამ ინსტიტუტების უკან, ბუნებრივია, ყოველთვის დგას ადამიანთა კონკრეტული ჯგუფები თავისი სახელისუფლებო მისწრაფებებით. ერთი ჯგუფი, რომელიც შეადგენს სახელმწიფო ხელისუფლების აპარატს ან მასთან მჭიდროდაა დაკავშირებული, ისწრაფვის გააფართოვოს საკუთარი, პირადი ძალაუფლება სახელმწიფოს გაძლიერების გზით. მეორე, ძირითადად დაყრდნობილი ფინანსურ სიმძლავრეზე, თავისი ძალაუფლების გაფართოების შესაძლებლობებს ხედავს სახელმწიფო ჩარევისაგან მაქსიმალურად თავი-

სუფალი ბაზრის განვითარებაში. მუდმივი, თუმცა კი არაანტაგონისტური და ხშირად კომპრომისული ბრძოლა ამ ორ ჯგუფს შორის საფუძვლად უდევს სახელმწიფოს და ბაზრის ურთიერთბრძოლას. ორივე ურთიერთმებრძოლი ჯგუფი ცდილობს თავისი, თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, ინფორმაციული გავლენის გაძლიერებას.

წამყვანი ქვეყნების ეკონომიკურ და პოლიტიკურ ისტორიაში ნათლად ჩანს ლიბერალურ-კონსერვატიულ და სოციალურ-სახელმწიფო მიმდინარეობებს შორის პოლიტიკური კურსების პერიოდული რყევა. ეკონომიკური პოლიტიკა იმყოფება გამუდმებულ პერიოდულ რყევით მოძრაობაში ცენტრალიზაციასა და „ერის ენერგიის დაქსაქსვას" შორის.

„უმცირესობის უფლებებზე ზრუნვის პერიოდები" გარდაუვლად იცვლება, ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგის ა. შლეზინგერის აზრით, „ბევრის უბედურებაზე ზრუნვის პერიოდებით". ამას, ბუნებრივია, თან ახლავს მსხვილი ინსტიტუციონალური ცვლილებები.

ისტორიული ტენდენციების მონაცვლეობის მცოდნემ, გ. ადამსმა XIX ს-ის ბოლოს, მოახდინა რა ამერიკის რესპუბლიკის პირველი ათწლეულების ანალიზი, აი რა დაწერა მათი ციკლურობის შესახებ: „ქანქარის მოქნევა იზომება 12 წლის პერიოდით. დამოუკიდებლობის დეკლარაციის ხელმოწერის შემდეგ დაგვჭირდა 12 წელი მოქმედი კონსტიტუციის შესამუშავებლად; შემდგომმა 12-მა ენერგიულმა წელმა გამოიწვია რეაქცია იმ დროისათვის შექმნილი მართვის სისტემის წინააღმდეგ; მესამე თორმეტწლიანი პერიოდი მთავრდებოდა რხევით კიდევ უფრო მეტი ენერგიის გამოვლენის მხარეს; და ბავშვიც კი შეძლებდა გამოეთვალა შედეგი კიდევ რამდენიმე ასეთი გამეორებებისა".[1]

შემდგომი მოვლენები ადასტურებს აშშ-ის ისტორიაში პოლიტიკურ-ეკონომიკური პროცესების ქანქარისებურ ხასიათს, თუმცა მათი პერიოდულობა არ წარმოადგენს მკაცრ, მუდმივ სიდიდეს. ადამსის ქანქარის 3 აქნევის შემდეგ მოდის ჯეფერსონის დათმობათა პერიოდი, 1812 წლის ომის შემდეგ, მერე არის ჯეკსონის დემოკრატიზაციის ერა — 1929-1941 წლები, მონათმფლობელთა მზარდი, გაბატონებული მდგომარეობა ეროვნულ ხელმძღვანელობაში 1841-1861 წლებში, მონობის ლიკვიდაცია და ლიბერალიზაცია 1861-1869 წლებში, 1869-1901 წლების კონსერვატიული მმართველობა, 1901-1919 წლებში პროგრესისტების ერა, 1919-1931 წლებში რესპუბლიკელთა რესტავრაცია, თ. რუზველის ახალი კურსი 1931-1947 წლებში. ეყრდნობოდა რა დადგენილ ციკლურობას შლეზინგერ-უფროსი 1949 წელს წერდა, რომ „შემდგომი კონსერვატიული ეპოქა დად-

1 Шлезингер А. Циклы американской истории. М. Прогресс. 1992. - с. 41.

გება სადღაც 1978 წ.“ როგორც ახლა ვხედავთ, იგი ძალიან ბევრით არ შემცდარა, როცა 30 წლით ადრე იწინასწარმეტყველა ამერიკული „რეიგანომიკის“ პერიოდის დადგომა.

პოლიტიკურ-ეკონომიკური კურსების ციკლური ცვლის თეორია დასტურდება ომისშემდგომ ევროპაში მოვლენათა განვითარებით. უკვე პირველ ომისშემდგომ წლებში ლიბერალიზმის და კონსერვატიზმის ისტორიულ ბურჯში — დიდ ბრიტანეთში — ლეიბორისტების მიერ გატარებულ იქნა მრეწველობის რიგი დარგების ნაციონალიზაცია. 1948 წელს სახელმწიფოს საკუთრებად იქცა ინგლისის ბანკები, აგრეთვე მრავალი ნახშირის მრეწველობის საწარმონი, ელექტროტექნიკური მრეწველობა, 1967 წელს კი — შავი მეტალურგიის და ტრანსპორტის საწარმონი (ფოლადის 93% იწარმოებოდა ბრიტანეთის ფოლადის კორპორაციის საწარმოებში, რომლებიც ეკუთვნოდა სახელმწიფოს).

თუმცა 1973-1975 წლებში დადგა ენერგეტიკული კრიზისი და ამით განპირობებული ეკონომიკური კრიზისიც, რომელთანაც გამკლავება სახელმწიფო-მონოპოლისტური რეგულირების გაძლიერების გზით ლეიბორისტულმა მთავრობამ ვერ შეძლო. ჭანჭარა გადაქანდა სხვა მხარეს და 1979 წ. მთავრობაში მოვიდა კონსერვატორთა მთავრობა მ. ტეტჩერის ხელმძღვანელობით, რომელმაც სასწრაფოდ დაიწყო ლიბერალური რეფორმები.

მისდევდნენ რა მონეტარული ეკონომიკური თეორიის რეცეპტებს, კონსერვატორებმა გაზარდეს 17%-მდე ინგლისის ბანკის სააღრიცხვო განაკვეთები, შეამცირეს პირდაპირი გადასახადები მსხვილ შემოსავლებზე და გაზარდეს 8-დან 15%-მდე გადასახადი დამატებულ ღირებულებაზე. 4 მლრდ. ფუნტი სტერლინგით იქნა შემცირებული სახელმწიფო ხარჯები მრეწველობაზე, კომუნალურ მეურნეობაზე, კულტურასა და განათლებაზე.

1980 წ. დაიწყო მსხვილმასშტაბიანი პრივატიზაცია, თუმცა პრივატიზაცია ხდებოდა მხოლოდ მომგებიანი საწარმოებისა, სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვანი სარგებლით. ლიბერალურმა რეფორმებმა შეძლო ინფლაციის ალაგმვა და შექმნა დამატებითი სტიმულები კერძო მეწარმეობისათვის, რამაც ისინი მიიყვანა ეკონომიკის მდგრად ზრდასთან 90-იანი წლების დასაწყისამდე.

1991-1992 წლების ეკონომიკურმა კრიზისმა განსაზღვრა კონსერვატიული განვითარების მოდელის შესაძლებლობათა ზღვრები და „ტეტჩერიზმის“ და „რეიგანომიკის“ ნაცვლად დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ში მოვიდნენ ლეიბორისტული და დემოკრატიული მთავრობების სოცია-

ლურად ორიენტირებული მოდელები. 1993–1994 წლებში მოწინავე ქვეყნები საბოლოოდ გაუმკლავდნენ კრიზისს და ახალი აღმავლობის ფაზაში შევიდნენ.

გასაოცრად, დიდ ბრიტანეთში ზემოთ აღწერილ პროცესებთან სინქრონულად ვითარდებოდა მოვლენები მრეწველობის მიხედვით განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში. ომისშემდგომ წლებში ავსტრიაში, საფრანგეთში, იტალიაში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ხოლო მოგვიანებით აშშ-სა და იაპონიაში იქნა ჩატარებული მრეწველობის, ბანკებისა და ტრანსპორტის ფართომასშტაბიანი ნაციონალიზაცია.

1958 წ. საფრანგეთის სახელმწიფო საკუთრებაში იმყოფებოდა ნახშირის მრეწველობის 97%, გაზის გამომუშავების 95%, საავიაციო წარმოების და ელექტროენერგიის გამომუშავების 80%. ეკონომიკაში წარმატებით იყენებდნენ ინდიკატური დაგეგმვის მეთოდებს და ქვეყანამ თანმიმდევრულად მოახდინა შვიდი ხუთწლიანი გეგმის რეალიზება. საფრანგეთისათვის დამახასიათებელია რხევის კურსის მცირე ამპლიტუდა და საერთო ორიენტაცია სახელმწიფო რეგულირებაზე.

იაპონიაში უზრუნველყვეს საბაზრო მეურნეობის მექანიზმების შეთანხმება სახელმწიფო რეგულირებასთან, პრიორიტეტების პრინციპიდან გამომდინარე.

სახელმწიფო იყენებდა სელექციურ საგადასახადო და საკრედიტო შეღავათებს მოცემულ ეტაპზე პრიორიტეტული დარგების განვითარების მხარდაჭერისათვის; ასეთი დარგები კი 50-იან წლებში იყო — მეტალურგია, ქიმია და გემთმშენებლობა, 60-იანი წლების დამდეგს — ავტომობილმშენებლობა და ნავთობქიმია, ხოლო 60-იანი წლების ბოლოდან ჩვენს დრომდე — ელექტრონიკა. ექსპორტზე ორიენტირებულ იაპონიაში 22 წლის განმავლობაში ხორციელდებოდა სრული კონტროლი საგარეო ეკონომიკური კავშირების მთელ სისტემაზე, ხოლო „ლიბერალიზაცია“ გრძელდებოდა კიდევ 10 წელი. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ეკონომიკამ მოიკრიბა თავისუფალი კონკურენციისათვის აუცილებელი პოტენციალი, შემოღებულ იქნა იენის სრული ბრუნვა. იაპონია — მაგალითია მოქნილი და ძლიერი სახელმწიფო პოლიტიკის გატარების, რომელიც „დარეგულირების“ ფაზაში შევიდა მხოლოდ 80-იან წლებში, როცა იაპონურმა კორპორაციებმა შეძლეს საკმარისი სიმძლავრის დაგროვება.

მსოფლიო ეკონომიკის გამოცდილების განზოგადებისას შეგვიძლია დავასკვნათ, რომ *პერიოდული რხევები ლიბერალური და სოციალურად ორიენტირებულ მოდელებს შორის არის კანონზომიერი საბაზრო ეკონომიკისათვის და ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების მნიშვნელოვან*

შედარებით კარგადაა შესწავლილი ზემოკლე ტალღები, რომლებიც განმსაზღვრელ გავლენას ახდენს საფონდო ბაზარზე, ეკონომიკური კონიუნქტურის მოკლე ტალღები, საშუალო და გრძელი ტექნოლოგიური და სტრუქტურულ-ტექნოლოგიური კონდრატიევისეული ტალღები.

მნიშვნელოვნად ნაკლებადაა შესწავლილი ინსტიტუციონალური და ეკონომიკურ-პოლიტიკური ტალღები, ხოლო ზეგრძელი ცივილიზაციური ტალღები თითქმის არაა გამოკვლეული.

ჩვენთვის პრინციპულად მნიშვნელოვანია სხვადასხვა სიგრძის ტალღების სისტემათა არსებობის თავად ფაქტი, რომლებიც ხსნიან მსოფლიო ეკონომიკის განვითარების სიღმისეულ მიზეზებს და იძლევიან მეთოდოლოგიურ წანამძღვრებს მის გასაგებად.

შემდგომში მუდმივად იქნება გამოყენებული ირაციონალურ-ევოლუციური თეორია მსოფლიო ეკონომიკის სრულიად სხვადასხვა ტენდენციის და მოვლენის ასახსნელად. ამიტომ ამ თეორიის ძირითადი დებულებანი სასარგებლოა დასამახსოვრებლად.

1. ეკონომიკური განვითარების ძირითად წამყვან ძალას წარმოადგენს ყველა ადამიანისათვის დამახასიათებელი სწრაფვა ძალაუფლებისაკენ.

2. ეკონომიკური ევოლუცია ცალკეულ ადამიანებსა და მათ მრავალგვაროვან ჯგუფებს შორის ეკონომიკური ძალაუფლებისათვის ბრძოლის შედეგია.

3. ცალკეულ ადამიანთა მსგავსად ტექნოლოგიური, ეკონომიკური ინსტიტუტები და ცივილიზაციები იბრძვიან ეკონომიკური ძალაუფლებისათვის და, ეს ბრძოლა საფუძვლად უდევს ტექნოლოგიურ, ინსტიტუციონალურ და ცივილიზაციურ ევოლუციას.

4. მსოფლიო ეკონომიკის განვითარება სტიმულირდება მუდმივი ბრძოლით სახელმწიფოსა და ბაზარს შორის, ე. ი. პირთა ჯგუფებს შორის, რომლებიც ეკონომიკური ძალაუფლებისათვის ბრძოლაში ეყრდნობიან ამ ორ ინსტიტუტს.

5. მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ტრაექტორია შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც რამდენიმე ტალღისებური პროცესის სუპერპოზიცია: ეკონომიკური კონიუნქტურის მოკლე ტალღების, ტექნოლოგიური და სტრუქტურულ-ტექნოლოგიური კონტრატიევისეული ტალღების, აგრეთვე ინსტიტუციონალური, ეკონომიკურ-პოლიტიკური და ზეგრძელი ცივილიზაციის ტალღების.

თავი 3

მსოფლიო მეურნეობის განვითარება და მეგაეკონომიკის წარმოშობა

თანამედროვე მსოფლიო მეურნეობა: ცნება და ტენდენციები. ორიოდე სიტყვა კიბერნეტიკასა და სისტემათა თეორიაზე. მეგაეკონომიკის წარმოშობა. მეგაეკონომიკა როგორც ერთიანი კიბერნეტიკული სისტემა. რატომ შეიძლება მეგაეკონომიკა ჩავთვალოთ ერთიან სისტემად? მეგაეკონომიკის ტექნოლოგიური საფუძვლები. მეგაეკონომიკის თვითრეგულირების ძირითადი კონტურები და განვითარების ტენდენციები

კაცობრიობის ცხოვრება, მისი მრავალფეროვნების მიუხედავად, ერთიანი გახდა. მოვლენები, რომლებიც ამა თუ იმ კონტინენტის რომელიმე მიკარგულ კუნჭულში ხდება, აისახება და თავისი გავლენა — დიდი თუ მცირე — აქვს რიგ სხვა ადგილებში, ყველგან მთელი დედამიწის ზურგზე.

ვ. ი. ვერნადსკი

მსოფლიო ეკონომიკის თეორიული საფუძვლების და ისტორიის შესწავლით ჩვენ შევძლებთ მივუახლოვდეთ მოცემული წიგნის ყველაზე მთავარ დებულებას. იგი მდგომარეობს შემდეგში: *ეკონომიკური ევოლუციის შედეგად შეიქმნა სრულიად ახალი, გლობალური მასშტაბის ეკონომიკური სისტემა, რომელსაც ვუწოდეთ მეგაეკონომიკა.*

მრავალი მსოფლიო პროცესის ერთიანობის არსებობას დღეს პრაქტიკულად არავინ უარყოფს. იგი მკაფიოდაა შემეცნებული ჯერ კიდევ ჩვენი

დიდი თანამემამულის ვ. ი. ვერნადსკის დროიდან (იხ. ეპიგრაფი), რომელიც დედამიწას მიიჩნევდა რაღაც ერთიან და, ასე ვთქვათ, ცოცხალ გეოლოგიურ-ეკოლოგიურ ორგანიზმად. თუმცაღა, ძალზე ძნელია ახალი არსის წარმოშობის დაფიქსირება სისტემათა ევოლუციური განვითარების დროს. მეცნიერებებში, რომლებიც ევოლუციურ პროცესებს შეისწავლიან, მნიშვნელოვან მომენტებს წარმოადგენს სწორედ რაოდენობრივ ცვლილებათა გადასვლა თვისებრივში და ახალ რაობათა წარმოშობა. მათი დაბადების ფიქსაცია საჭიროებს ახალი სახელწოდების, კატეგორიის შემოტანას ისევე, როგორც ყოველივე ახლის დაბადება — ბუნების მოვლენიდან დაწყებული მექანიზმამდე და ადამიანამდე. ასეა მოწყობილი ჩვენი აზროვნება და ენა.

მაგალითად, დედამიწის უძველეს ოკეანეში ასობით მილიონი წელი იხარშებოდა ორგანული „ბულიონი", რომელშიც იქმნებოდა და ინგრეოდა გიგანტურ ორგანულ მოლეკულათა სხვადასხვა კომბინაცია, სანამ ამ გარდაქმნებმა არ შეიძინა მდგრადი გაცვლითი ხასიათი და გაჩნდა პირველი ცოცხალი ორგანიზმები. მეცნიერებს დღემდე უჭირთ მკაფიოდ გამოყონ ცოცხალი არაცოცხალისაგან, მაგრამ განსაზღვრულ ისტორიულ მომენტში ეს დაყოფა მაინც მოხდა და ჩვენ იგი დავაფიქსირეთ სახელწოდებაში. ზუსტად ამგვარადვე ითქმის ჩვენთვის ცნობილ ყველა ორგანიზმზე, ადამიანის ჩათვლით. ყოველთვის მიმდინარეობს ნიშანთა დაგროვება, რომლებიც შემდგომში ახალი ორგანიზმის არსს ადგენს. შემდგომ ამ ნიშანთა რაოდენობა ქმნის თვისებრივად ახალ ობიექტს და ჩვენ ახალი სახელწოდებით დაბადების ფაქტს ვაფიქსირებთ.

ამგვარად, XX ს-ის ბოლოს მსოფლიო ეკონომიკის ერთიანობის ნიშანთა დაგროვებამ მიგვიყვანა თვისებრივ ნახტომთან და იგი გარდაიქმნა ახალ არსად, ახალ ორგანიზმად — მეგაეკონომიკად.

მაინც რით განსხვავდება მეგაეკონომიკა სტრუქტურულად მსოფლიო ეკონომიკისაგან, როგორც „ეროვნულ მეურნეობათა ერთობლიობისაგან"[1] ან „ეკონომიკების ერთობლიობისაგან"[2], როგორც მას განმარტავენ იგი თანამედროვე რუსეთის სახელმძღვანელოთა უმრავლესობაში? რა ქმნის მეგაეკონომიკას ახალ, ერთიან ორგანიზმად? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად აუცილებელია ჩავატაროთ მცირე ექსკურსი კიბერნეტიკასა და სისტემათა თეორიაში.

---

1 Спиридонов А. Мировая экономика. М.: Инфра, 1997.

2 Ревинский И. Международная экономика и мировые рынки. Новосибирск: НГПУ, 1998.

3.1. ცოტა რამ კიბერნეტიკისა და ბაზრის შესახებ

კიბერნეტიკა როგორც მეცნიერება რთული სისტემების მართვის შესახებ ნორბერტ ვინერის[1] შრომებში ჩამოყალიბდა საბოლოოდ XX ს-ის შუა ხანებში და მოიხსენიება ხომალდის მართვის ხელოვნების თვალსაზრისით, ხოლო გადატანითი მნიშვნელობით ადამიანების მართვასაც გულისხმობდა ჯერ კიდევ პლატონთან.

ყველა კიბერნეტიკულ სისტემას, რომელთაც შეიძლება მივაკუთვნოთ პრაქტიკულად ყველა რთული მართვადი სისტემა, საფუძვლად უდევს *უკუკავშირის პრინციპი.* იგი შემდეგში მდგომარეობს: ნებისმიერ სისტემას გააჩნია საინფორმაციო შესასვლელი, რომელზეც მოდის გარე ზემოქმედება, და გამოსასვლელი, რომელიც თავისთავად წარმოადგენს თავად სისტემის ზეგავლენას გარემოზე. ინფორმაციის შესვლისას სისტემა გამოიმუშავებს განსაზღვრულ მართვად ზემოქმედებას, რომელიც გამოიხატება განსაზღვრულ მოქმედებათა შერჩევაში გარემოს მიმართ.

ამასთან, რთულ სისტემებს განსაზღვრული მიზნები გააჩნია. ეს ეხება როგორც ტექნიკურ სისტემებს, რომელთა ფუნქციონირების მიზნები მათი შემქმნელების მიერაა განსაზღვრული, ასევე ცოცხალ ორგანიზმებს, რომლებმაც გამოიმუშავეს მიზნები და ქცევითი რეაქციები ევოლუციის პროცესში, უპირველეს ყოვლისა, გარემომცველ სამყაროში თვითგადარჩენის (ჰომეოსტაზისის) და ძალაუფლებისათვის ბრძოლის მიზნებიდან გამომდინარე.

არსებობს უამრავი ტექნიკური მოწყობილობა, რომელთა ქცევა ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრულია და არც გარემომცველი სამყაროს მდგომარეობაზეა დამოკიდებული, არც, მით უმეტეს, მუშაობის პროცესში თვით მათზე ზემოქმედებაზე. ისინი მოქმედებენ განსაზღვრული ინსტრუქციის, პროგრამის მიხედვით. ყველა ცოცხალი არსება კი პრაქტიკულად სრულიად სხვაგვარადაა შექმნილი. ევოლუციის პროცესში მათ შეძლეს გამოემუშავებინათ ადრე განსაზღვრული ქცევიდან გადახვევის უნარი, რათა მისი ვარირება მოეხდინათ იმისდა მიხედვით, თუ როგორ ზემოქმედებდა მათზე გარემომცველი სამყარო. ამისათვის აუცილებელია ჩავკეტოთ კავშირი გარემოსთან და სისტემას საინფორმაციო სიგნალი გადავცეთ იმის შესახებ, თუ როგორ იცვლება იგი სისტემის ამა თუ იმ მოქმედებების დროს. ცოცხალ სისტემას გარემოს მდგომარეობის მუდმივი გაზომვის, ასევე, საკუთარი მოქმედებებისდა მიხედვით მის ცვლილებებზე თვალყურის დევნების ორგანოები (რეცეპტორები და ნერვიული სისტემა) გააჩნია. ეს ერ-

---

1 იხ.. Винер Н. Кибернетика. - М.. Сов. радио. 1968.

თი შეხედვით მარტივი მექანიზმი, რომელსაც *უკუკავშირი* ეწოდა, შეადგენს არაცოცხალთან შედარებით ცოცხალის ძირითად კონკურენტულ უპირატესობას. სურათზე 3.1 გამოვსახეთ ყველაზე მარტივი უკუკავშირის სქემა. უბრალოდ, თუ როგორ მოქმედებს ობიექტი გარემოზე და გამოიმუშავებს თავის შემდგომ ქცევას იმისდა მიხედვით, რანაირია გარემოს ცვლილება კონკრეტული ზემოქმედების დროს.



სურ. 3.1. უკუკავშირის მექანიზმი

ეს იმდენად მარტივია, რომ გვგონია, სხვაგვარად შეუძლებელია რთული სისტემის აგება. მაგრამ უკუკავშირი ღმად უდევს საფუძვლად ჩვენს ქცევას, სწორედ ამიტომაც გვეჩვენება ასეთი მარტივი და ბუნებრივი. ამასთანავე, უკუკავშირის „აღმოჩენა" არსებითად გარდამტეხი მომენტი გახდა ცოცხალი ბუნების ევოლუციაში. რაც უფრო მაღლა დგას ორგანიზმი ევოლუციურ კიბეზე, მით უფრო განვითარებულია მასში უკუკავშირის ადაპტაციური თვისებები და მექანიზმები. ასევე, მით უფრო დიდ როლს თამაშობს გამომუშავებული პირობითი რეფლექსები (გაიხსენეთ სკოლის ბიოლოგიის კურსი) უპირობო — გენეტიკურად მოცემულ, დაპროგრამებულ რეფლექსებთან შედარებით. ბევრი ორგანიზმი, მაგალითად მწერები, ძირითადად ცხოვრობენ თანდაყოლილი ინსტინქტების განვითარებული სისტემის საფუძველზე, რაც მათ სასიცოცხლო პროგრამას განსაზღვრავს. ამგვარი ატავისტური „უპირობო" ქცევის ელემენტები შეიძლება შევნიშნოთ ჯერ კიდევ ბევრ ადამიანში, მეცნიერებშიც კი, რომლებიც ჯიუტად იცავენ თავის აზრს, ცვალებადი რეალობის მიუხედავად.

ჩვეულებრივ ცოცხალ ორგანიზმს უნარი აქვს გარემოს მდგომარეობის მიხედვით მეტ-ნაკლებად შეცვალოს თავისი ქცევა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყოველ ახალ ზემოქმედებაზე იგი საპასუხო რეაქციას გამოიმუშავებს. ამასთან, თუ ზემოქმედება არასასურველია, მაშინ რეაქცია მიმართულია მის საკომპენსაციოდ. ასეთი ქცევა ორგანიზმს საშუალებას აძლევს გადარჩეს და შენარჩუნდეს როგორც ერთიანი მთელი, მისი საკუთარი სიცოცხლის განმავლობაში. ორგანიზმებს და, უფრო ფართოდ, სისტემებს, რომელთაც ასეთი შესაძლებლობები გააჩნია, ჰომეოსტატიკურს უწოდებენ. ამ ტერმინს, ისევე როგორც ჰომეოსტაზისის უნივერსალურ პრინციპს, ე. ი. თვით-

გადარჩენისა და თვითრეგულაციის პრინციპს, დიდი მნიშვნელობა აქვს რთული სისტემების თეორიაში, ამიტომ ჩვენ გირჩევთ მის დამახსოვრებას.

კიბერნეტიკის მამის, ნ. ვინერის, აღმოჩენის გენიალურობა მდგომარეობს *უკუკავშირის და ჰომეოსტაზისის საყოველთაო პრინციპების გამოცხადებასა და დასაბუთებაში ყველა რთული სისტემისათვის: ცოცხალი ორგანიზმების, ეკოლოგიური სისტემების, ეკონომიკისა და საზოგადოებისათვის.*

უფრო მეტიც, ეს პრინციპი მან გაავრცელა ხელოვნურ ტექნიკურ სისტემებზეც, რომლებიც ამ თვალსაზრისით შეიძლება იყოს ცოცხალი ორგანიზმების და ადამიანის მსგავსი. ასეთი სისტემების შექმნამ სათავე დაუდო ერთ-ერთ ყველაზე უფრო დინამიკურ მოღვაწეობის სფეროს — პრაქტიკულ კიბერნეტიკას, რამაც არსებითად მიგვიყვანა ეკონომიკის სრულიად ახალი დარგის შექმნამდე, რომელსაც დღესდღეობით გაბატონებული მდგომარეობა უკავია.

დღეს უკუკავშირის გარეშე წარმოუდგენელია ნებისმიერი რთული მართვადი სისტემა. მის ყველაზე უმატივეს მაგალითს, უკაცრავად და, წარმოადგენს ყველასათვის კარგად ცნობილი უნიტაზის ბაკი, რომელიც უზრუნველყოფს წყლის მიწოდებას დაგროვილი დონის მიხედვით, ხოლო ყველაზე უფრო რთულია ხელოვნური ინტელექტის კომპიუტერული სისტემები და ნეირონული ქსელები. კონკრეტულ მოწყობილობათა სირთულეში დიდი სხვაობის მიუხედავად მათ საფუძვლად უდევს ერთი და იგივე პრინციპი — უკუკავშირი.

საზოგადოებრივ შემეცნებაში კიბერნეტიკა ასოცირდება, უპირველეს ყოვლისა, ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანებთან (ეგმ) საინფორმაციო-გამომთვლელი ცენტრებით, რომელთაგან, საგნისა და მეთოდების კვლევის პოზიციის თვალსაზრისით, კიბერნეტიკა ისევე განსხვავდება, როგორც საქვაბეები თერმოდინამიკისაგან. ამგვარი მიდგომის საფრთხეს წარმოადგენს ძირითადი კიბერნეტიკული მეთოდის დანაკარგი, რომელიც *მეთოდოლოგიურად მართვის სფეროს კანონზომიერებების ერთგვაროვან მიდგომას გულისხმობს ბუნების სხვადასხვა რთული სისტემების მიმართ. მათ გამოსაკვლევად სხვადასხვაგვარი მეთოდები გამოიყენება, რომლებიც დაფუძნებულია სისტემებში მიმდინარე პროცესების ერთიანობაზე.*

აღმოჩნდა, რომ უკუკავშირის და ჰომეოსტაზისის იგივე პრინციპები უდევს საფუძვლად ეკონომიკურ სისტემებს და, უპირველეს ყოვლისა, ბაზარს, რომელიც უდავოდ წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე სრულყოფილ ინსტიტუტს, რაც კი შეუქმნია კაცობრიობას ცივილიზაციური განვითარების გზაზე. საოცარია მისი თვითრეგულირების და ეკონომიკური პროცესის უმეტეს მონაწილეთა ინტერესების ეფექტიანი კომპრომისის ძიების უნარი.

თავისი სირთულისა და ადაპტაციური შესაძლებლობების მიხედვით საბაზრო სისტემა შეიძლება შევადაროთ მხოლოდ ცოცხალი ბუნების სისტემებს. ევოლუციური ინსტიტუციონალიზმის და სისტემათა საერთო თეორიის პოზიციიდან ეს აიხსნება იმით, რომ როგორც ბაზარი, ასევე ცოცხალი ორგანიზმები ჩამოყალიბდნენ ხანგრძლივი ევოლუციური პროცესის მსვლელობისას. ეკონომიკური ევოლუციის სუბიექტებს კი წარმოადგენს ორგანიზაციული ინსტიტუტები, რაც ინსტიტუციონალურ ეკონომიკურ თეორიაში გულისხმობს ეკონომიკის ორგანიზაციის და ფუნქციონირების წესებს და თავად ორგანიზაციებს — ეკონომიკური მოღვაწეობის სუბიექტებს.

ეკონომიკური ევოლუცია ბევრად წააგავს ცოცხალი ბუნების ევოლუციას. მისი მსვლელობის დროს ისახებოდა, ვითარდებოდა და კვდებოდა მრავალრიცხოვანი ინსტიტუტი და ორგანიზაციული ფორმა. ამ პროცესის შედეგად კონკურენციას უძლებდა, სრულყოფილი ხდებოდა და რჩებოდა ყველაზე უფრო სიცოცხლისუნარიანი, განსაზღვრული გაგებით, ეფექტიანი ორგანიზაციები და ინსტიტუტები. ამიტომ ბაზარმა ეკონომიკური ევოლუციის პროცესში შეიძინა არა მარტო თვითრეგულირების უნარი, არამედ თვითსრულყოფისაც. ბაზარი გაქვავებული სტრუქტურა კი არაა, არამედ რთული, განვითარებადი ინსტიტუტია, რომელიც მნიშვნელოვნად იცვლიდა თავის ფორმებს კაცობრიობის ეკონომიკური ისტორიის მანძილზე.

ამგვარად, შუასაუკუნეებში-არსებული ბაზარი სრულებითაც არ გავს XIX ს-ის ბოლოსა და XX ს-ის დამდეგის ბაზარს, ხოლო იგი, თავის მხრივ, რადიკალურად განსხვავდება თანამედროვე აზრისგან. სწორედ ევოლუციურად ცვალებადი ბაზარი ობიექტურად განაპირობებს სიძნელეებს ეკონომიკურ თეორიაში, რომელიც ცდილობს ერთგვაროვნად აღწეროს ეს ინსტიტუტი მისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. კერძოდ, აქედან მოდის ზოგიერთი ეკონომისტის მიერ ბაზრის არსებობის უარყოფა სოციალიზმის დროს და „თავისუფალი" ბაზრის დაპირისპირება მის მკაცრად რეგულირებად გეგმურ ფორმასთან.

ეკონომიკურ მეცნიერებასა და ლიტერატურაში არსებობს 500-ზე მეტი სხვადასხვა, ხშირად ერთმანეთის გამომრიცხავი ბაზრის განსაზღვრება.

მაგალითად, არსებობდა ისეთი განსაზღვრებები, რომელთაც ინტუიციურად ემხრობიან დღემდე: „პუნქტს, სადაც საქონლის გადაცემა ხდება ხელიდან ხელში, უწოდებენ ბაზარს"[1] ან „ბაზარი — კვების და სხვა პროდუქტებით საცალო ვაჭრობის ადგილი"[2].

---

1 Чупров А. Ученые труды в создании императорского Московского университета, ч. II. Вып. 2; Курс политической экономии. М. 1911. с. 231.

2 Словарь русского языка. М. Гос. изд-во иностранных и национальных словарей. 1959. т. 3, с. 986.

ვფიქრობთ, ყველაზე უფრო თანამედროვე და მისაღები შეიძლება იყოს ასეთი განსაზღვრება: „ბაზარი ნებისმიერი ურთიერთქმედებაა, რომელშიც შედიან ადამიანები ერთმანეთთან სავაჭროდ"[1]

ყველა ეს განსაზღვრება ასახავს საბაზრო სისტემის ცალკეულ ასპექტებს. მაგალითად, პირველ ორში საუბარი ეხება ბაზრის ინფრასტრუქტურას და ამ გაგებით ისინი სავსებით კორექტულია. „ბაზრის" ბოლო განსაზღვრება ყველაზე უფრო ადეკვატურად ასახავს ამ ცნებას, თავისთავში მოიცავს ამ ცვალებადი და მრავალწახნაგოვანი ეკონომიკური ინსტიტუტის ყველაზე მეტ საერთო ნიშნებს, შეესაბამება სისტემათა ზოგადი თეორიას. ამ თეორიის პოზიციიდან რთული სისტემა გახდება ამგვარი, როგორც კი მისი ფუნქციური და სტრუქტურული დიფერენციაცია მოხდება ქვესისტემებად, რომელთა შორისაც წარმოიშობა მდგრადი გაცვლითი ურთიერთმოქმედება. გავიხსენოთ ფრ. ენგელსის სიცოცხლის ცნობილი განსაზღვრება. ეკონომიკური სისტემის სუბიექტებს შორის სწორედ გაცვლითი ურთიერთმოქმედებები, წესები (ინსტიტუციონალური ეკონომიკური თეორიის ტერმინოლოგიის შესაბამისად — ინსტიტუტები) და ამ ურთიერთქმედებათა მექანიზმები შეადგენს „ბაზრის" ცნების არსს, მის ყველაზე უფრო ზოგად გამოხატულებაში, რომელიც სამართლიანია ისტორიული განვითარების ყველა ეტაპზე. ამგვარი მიდგომის პირობებში ბაზარი არსებობს იმ დროიდან, რაც მოხდა ეკონომიკური საქმიანობის დიფერენციაცია, შრომის დანაწილება და დაიწყო ამ საქმიანობის პროდუქტების გაცვლა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბაზარი სხვადასხვა ფორმით არსებობს კაცობრიობის განვითარების ყველა ეტაპზე, დაწყებული შუმერების და ეგვიპტის უძველესი ცივილიზაციებიდან.

რა თქმა უნდა, ბაზრის ფორმები და მექანიზმები მნიშვნელოვან სახეცვლილებებს განიცდის, უპირველეს ყოვლისა, ტექნოლოგიური განვითარების დონესთან ადაპტაციის გზით. სწორედ ამიტომაც პოსტინდუსტრიული და საინფორმაციო საზოგადოების ბაზრები რადიკალურად განსხვავდება კაპიტალიზმის ჩამოყალიბების პერიოდის თავისუფალი კონკურენციის ბაზრისგან.

კიბერნეტიკის შესახებ ჩვენი მოკლე ექსკურსის დასასრულ ხაზს გავუსვამ რთული სისტემების კიდევ ერთ მნიშვნელოვან კრიტერიალურ ნიშანს. რთული სისტემების თეორიის ძირითადი პოსტულატი მდგომარეობს იმაში, რომ რთული სისტემები არ დაიყვანება უფრო მარტივთა ერთობლიობაზე. მაგალითად, ადამიანის ორგანიზმის ფუნქციონირება შეუძლებელია გავიგოთ მისი უჯრედების კანონზომიერებათა შესწავლით; პოპულაციის ქცევა განსხვავებულია მასში შემავალი ინდივიდების ქცევისა-

1 Долан Э., Линсей Е. Рынок: Микроэкономическая модель. СПБ, 1992. с. 19.

გან; დაბოლოს, ადამიანთა საზოგადოება, რომელსაც განვითარების თავისი კანონზომიერებები გააჩნია, სრულებით არ დადის ცალკეული პიროვნების ქცევის განმსაზღვრელ კანონებამდე.

ამ პრინციპის შესაბამისად, მსოფლიო ეკონომიკის შესასწავლად თანამედროვე მიდგომის *აქცენტირება უნდა ხდებოდეს მისი, როგორც ახალი, მთლიანი რთული სი[illegible] შესწავლაზე, რომლის თვისებები და კანონზომიერებები არ შეიძ[illegible] გამოვიყვანოთ მისი შემადგენელი ნაწილების თვისებებისა და კანონზომიერებებისაგან.* იგი პრინციპულად არ უნდა განვიხილოთ როგორც მხოლოდ ურთიერთმოქმედი ეროვნული ეკონომიკების ერთობლიობა.

ვფიქრობთ, ეს ყველაფერია, რაც უნდა ვიცოდეთ კიბერნეტიკის ზოგად პრინციპებსა და ეკონომიკურ სისტემებსა და ბაზარზე მათი გავლენის შესახებ.

3.2. გლობალიზაცია და მეგაეკონომიკის წარმოშობა

ბუნებრივია, მეგაეკონომიკის წარმოშობა, ისევე როგორც ნებისმიერი ახალი არსის, რომელიც ევოლუციური პროცესების შედეგად ჩნდება, არ შეიძლება აბსოლუტურად ზუსტად დავათარიღოთ. იგი გახდა ნიშნებისა და თვისებების დაგროვების თანდათანობითი შედეგი, რომელიც მსოფლიო ეკონომიკის წიაღში გაჩნდა XX ს-ის მთელი მეორე ნახევრის განმავლობაში.

იმავე პერიოდში წარმოიშვა და განმტკიცდა სრულიად ახალი ეკონომიკური მოვლენები და განვითარდა ზოგადპლანეტარული პროცესები ეკონომიკაში, იდეოლოგიაში, ეკოლოგიასა და სოციალურ სფეროში, რომლებიც ეხება დედამიწაზე მცხოვრებ ყველა ადამიანს. ამიტომ ეწოდა მათ გლობალური.

გლობალიზაცია ჩვენი ეპოქის უდავოდ საკვანძო ტერმინია. თუკი გავაანალიზებთ ეკონომიკურ, ეკოლოგიურ, სოციოლოგიურ, პოლიტოლოგიურ, სამეცნიერო და პუბლიცისტურ ნაშრომებს, მაშინ ეს ტერმინი პირველ ადგილზე გამოვა ხმარების სიხშირით. ამ ცნებით არსებითად გაჟღენთილია თანამედროვეობა, მას ყველა გრძნობს, მაგრამ ნათელი და ერთმნიშვნელოვანი განსაზღვრება დღემდე არაა ჩამოყალიბებული. როგორც ჩანს, ეს დაკავშირებულია პროცესთა სირთულესა და მრავალფეროვნებასთან, რის გამოც ჩვენ შევეცდებით მოვათავსოთ ერთ სიტყვაში.

ზოგიერთ განსაზღვრებებში ხაზგასმულია ინსტიტუციონალურ-ცივილიზაციური ასპექტები და *გლობალიზაციას უწოდებენ ისტორიულ მასშტაბში სხვადასხვა ცივილიზაციის თანდათანობით მზარდ ურთიერთმოქმედების და ურთიერთშეღწევის პროცესს, რომლებიც ჩამოყალიბდა მეტ-*

ნაკლებად მდგრად ტერტორიულ საზღვრებში, განსაზღვრული ეთნოსების ბაზაზე.

სხვა განსაზღვრებებში აქცენტი კეთდება არა პროცესზე, არამედ საერთო პრობლემებზე, რომლებიც კაცობრიობის წინაშე დგას. ასეთ შემთხვევაში *გლობალიზაცია ნიშნავს საერთო, შინაარსის მიხედვით მსგავსი პრობლემების წარმოშობას მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებისათვის (მაგალითად, ეკოლოგიური, სასურსათო, დემოგრაფიული, მიგრაციული, ჯანდაცვის და ა. შ.), სახელმწიფოთა მუდმივად ორმხრივ (საზიარო) სოციალურ-ეკონომიკურ დამოკიდებულებას და საერთო ინტერესთა ვრცელი ზონების წარმოქმნას.*

ყველა ეს მიდგომა გლობალიზაციის განსაზღვრულ მხარეს ასახავს და ამ გაგებით ჭეშმარიტია და სასარგებლო.

პროცესის გლობალურობის კრიტერიალურ თვისებას წარმოადგენს მისი გავლენა ჩვენ პლანეტის მთელ მოსახლეობაზე და მასში მიმდინარე ყველა პროცესზე. ამავე კრიტერიუმით გამოიყოფა გლობალური პრობლემები, როგორც პრობლემები, რომლებიც მთელი კაცობრიობის წინაშე დგას და ეხება დედამიწაზე მცხოვრებ ყველა ადამიანს. მათ, მაგალითად, მიეკუთვნება: ომისა და მშვიდობის პრობლემები, ლოკალური სამხედრო კონფლიქტები, ადამიანთა უზრუნველყოფა სურსათითა და ენერგეტიკული რესურსებით, პლანეტის დაცვა ეპიდემიური დაავადებებისაგან, ჩრდილოეთის მდიდარი ქვეყანების ღარიბ სამხრეთთან დაპირისპირების პრობლემები, მსოფლიო ფინანსური, სასაქონლო და ბაზრის რეგულირების სხვა მრავალი პრობლემა.

ჩვენ გვსურდა საკითხის თავში დაგვეყენებინა გლობალიზაციის პროცესის ძირითადი თვისება — პლანეტარული ერთიანობა. როგორც უკვე გავარკვიეთ, ერთიანი რთული სისტემის არსებობის კრიტერიალურ თვისებას წარმოადგენს მისი თავდაცვის ანუ ჰომეოსტაზისის შესაძლებლობა. იმისათვის, რომ სისტემამ გაძლოს და დიდხანს იცოცხლოს გარემომცველ სამყაროში, უნდა გააჩნდეს წინააღმდეგობის მექანიზმები გარე ზემოქმედებათა მიმართ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყოველი გარე ზემოქმედება, რომელიც შეეცდება მისი, როგორც ერთიანი სისტემის, ფუნქციონირების დარღვევას, უნდა იწვევდეს მასში წინააღმდეგობის გამწევ ძალებს, რომლებიც მას დააბრუნებს თავდაპირველ მდგომარეობაში. ცხადია, რომ თუკი ასე არ ხდება, მაშინ სისტემა ინგრევა. რა თქმა უნდა, ყოველთვის არსებობს გარე ზემოქმედების ისეთი დონე, რომელიც დამცავ მექანიზმებთან შედარებით ძლიერია და ამდენად შეუძლია მისი განადგურება. ამიტომ უნდა ვისაუბროთ სისტემის კომპენსატორული საპასუხო რეაქციის შესაძლებლობაზე გარემოს შედარებით მცირე ზემოქმედების დროს. მაგალითად, ავადმყოფობის გამომწვევი მიკრობების მცირე რაოდენობა

თითქმის ყოველთვისაა ადამიანის ორგანიზმში და მუდმივად არსებობს მათ ზემოქმედებაზე კომპენსაციის მექანიზმი. თუკი არასასურველ პირობებთან დაკავშირებით მათი რაოდენობა იწყებს მკვეთრ ზრდას, მაშინ ჩნდება ავადმყოფობა და ორგანიზმი რთავს დამატებით კომპენსატორულ მექანიზმებს — ჩვეულებრივ იზრდება ტემპერატურა და ჩნდება ანტისხეულები, რომლებიც მიკრობებს ებრძვის. მაგრამ მაშინ, როცა ორგანიზმის დასნებოვნების გარკვეულ დონეზე კომპენსატორული შესაძლებლობანი არ კმარა, დგება სიკვდილი. დაახლოებით ამგვარი მდგომარეობაა ყველა სხვა რთულ სისტემაშიც. რა თქმა უნდა, არსებობს კატასტროფული გლობალური ზემოქმედებანი, რომელთათვისაც საკმარისი არაა კომპენსატორული ზემოქმედება. ასეთ ზემოქმედებათა მაგალითებად შეიძლება გამოგვადგეს წარღვნა, რომელიც ალბათ მოხდა წინაისტორიულ პერიოდში, და აგრეთვე მსხვილი მეტეორიტის ჰიპოთეზური ვარდნა იურული პერიოდის ბოლოს, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი კლიმატური ცვლილებები და დინოზავრების განადგურება. ისეთი კატასტროფული ზემოქმედება, რომელიც ბირთვულ ზამთრამდე და კაცობრიობის დაღუპვამდე მიგვიყვანდა, შეიძლება გამოეწვია მესამე მსოფლიო ომს. თუმცა ჩვენ გვაინტერესებს ძირითადად მსოფლიო ეკონომიკაში ის მოვლენები, რომელთათვისაც უკვე არსებობს ან თანდათანობით იქმნება განსაზღვრული კომპენსატორული რეაქციები.

ამასთან დაკავშირებით ჩვენ გთავაზობთ გლობალიზაციის განმარტებას, რომელიც რამდენადმე გამოირჩევა საყოველთაოდ მიღებულთაგან.

გლობალიზაცია პლანეტარული მასშტაბით მიმდინარე ურთიერთდაკავშირებული პროცესების კომპლექსია, რომელთაგან თითოეულში არსებობს თვითრეგულაციის მექანიზმები.

ამ განსაზღვრებაში საკვანძო სიტყვებია „ურთიერთდაკავშირებულობა“ და „თვითრეგულაცია“. განვმარტოთ ისინი.

პირველ რიგში, სხვადასხვაგვარი პროცესი, რომელიც ხდება ბუნებაში, ეკონომიკასა და საზოგადოებაში, დღეს მჭიდროდაა ურთიერთდაკავშირებული. ეს იმას ნიშნავს, რომ ერთ პროცესში მიმდინარე ცვლილებები გარდაუვლად აისახება სხვა პროცესებზე, გლობალური პროცესები მიმდინარეობს არა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, არამედ ქმნიან ერთიან კომპლექსს, რომელიც გამსჭვალულია მიზეზ-შედეგობრივი კავშირებით პროცესებს შორის.

მეორე, ჩვენ განვიხილავთ იმ გლობალურ პროცესებს, რომლებიც თვითრეგულირების გარკვეულ უნარს ფლობენ. ამგვარად, ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ თვითრეგულირებად პროცესებზე ისე, რომ არ ვეხებით არამართვად კატასტროფულ გლობალურ პროცესებს. თვითრეგულირებაა, როცა დედამიწის რაიმე წერტილში მიმდინარე აურზაური, ამა თუ იმ

ზომით აუცილებლად აისახება პლანეტარული მასშტაბით მთელი პროცესის მსვლელობაზე. მნიშვნელოვანია გვესმოდეს, რომ გლობალურ მსოფლიოში *ყველა პროცესი გარდამავალია*. აქ უკვე ადგილი არა აქვს ყოფილ სტატიკას. თუმცა გადასვლები ძირითადად მიმდინარეობს წონასწორობის ერთი სიტუაციიდან მეორეზე. ამიტომ ყოველ დროის ინტერვალზე და ყოველ პროცესში მიიღწევა განსაზღვრული წონასწორობა. პროცესის მიმართ წარმოშობილი გარე ხასიათის აურზაური ან შიდა არეულობა ცდილობს პროცესის გამოყვანას წონასწორობის მიღწეული მდგომარეობიდან. მაგრამ ერთიანი სისტემა, რომელსაც დღეს მთელი გლობალური მსოფლიო წარმოადგენს, მიიღებს რა სიგნალს ამ შფოთის ან ცვლილების შესახებ, გამოიმუშავებს კომპენსატორულ რეაქციას, რომელიც მას ახშობს და პროცესს აბრუნებს წონასწორობის სიტუაციაში.

როგორც უკვე ითქვა, საკმაოდ მძლავრ ზემოქმედებას შეუძლია პროცესი და სისტემა აიძულოს დატოვოს ძველი, რათა გადავიდეს წონასწორობის ახალ სიტუაციაში ან გამოიწვიოს სისტემის დაღუპვაც კი. ასეთ შემთხვევაში კომპენსატორული ძალები საკმარისი არაა და პროცესი, როგორც წესი, მორიგ ფაზაში გადადის, რომელიც დაკავშირებულია წონასწორობის სხვა სიტუაციებთან.

შესაძლებელია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც წონასწორობის ახალი სიტუაციის პოვნა ვერ ხერხდება. მაშინ რაღაცა მიზეზების გამო წარმოშობილი აღშფოთება (აჯანყება) მზარდი ტემპით ძლიერდება და პროცესი მიმდინარეობს „დაშლილად". ასეთ შემთხვევებში ერთიანი რთული სისტემის არსებობა წყდება: კიბერნეტიკული მოწყობილობა იმსხვრევა, ცოცხალი ორგანიზმი კვდება, ცივილიზაცია იღუპება.

ეკონომიკური სისტემის შერყევის ტიპურ მაგალითს წარმოადგენს ჰიპერინფლაციის განვითარება. ყველაფერი შეიძლება დაიწყოს რომელიმე ბუნებრივი მონოპოლიის მიერ ნედლეულზე ფასების მცირეოდენი აწევით (დანახარჯთა ინფლაცია). ეს გამოიწვევს მრავალი საქონლის ფასების ზრდას, რომლებიც ამ ნედლეულს იყენებენ. თუკი სახელმწიფო არ ღებულობს მარეგულირებელ ზომებს, რომელიც დანახარჯთა ინფლაციას შეაკავებდა, არამედ მიდის მოსახლეობის ცხოვრების დონის გათანაბრების გზით და ატარებს ფულად ემისიას, რაც საშუალებას იძლევა გაიზარდოს ხელფასი, მაშინ წარმოიშობა დამატებითი მოთხოვნა და ფასები სამომხმარებლო საქონელზე იზრდება (მოთხოვნის ინფლაცია). ახლა უკვე სანედლეულო დარგები მიიჩნევენ თავს დაჩაგრულად და კვლავ გაზრდიან თავიანთ ფასებს. ამგვარად, დანახარჯთა ინფლაცია და მოთხოვნის ინფლაცია იწყებენ გაძლიერებას და ერთმანეთის შეფუცხუნებას (აჩქარებას). წარმოიშობა ინფლაცია, რომელიც სწრაფად გადაიზრდება არაკონტროლირებად ჰიპე-

რინფლაციაში, ფული სრულებით უფასურდება და ეკონომიკა ინგრევა. ასე არაერთხელ ყოფილა მსოფლიო ეკონომიკაში და რეფორმების წლებში ჩვენი ქვეყანაც ხშირად იმყოფებოდა ჰიპერინფლაციის ზღვარზე. ბუნებრივია, ასეთი არამდგრადი პროცესები ჩნდება არა მხოლოდ ეკონომიკაში, არამედ პოლიტიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ სფეროებშიც. მნიშვნელოვანია მალევე აღმოვაჩინოთ ნეგატიურ ტენდენციათა ზრდის „დესტრუქციული" ციკლები და დროულად დავახვედროთ ახალი კომპენსატორული მექანიზმები საკანონმდებლო, ეკონომიკური ან ადმინისტრაციული რეგულატორების ფორმით.

მაშ ასე, თანამედროვე მსოფლიო შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ურთიერთზეგავლენის მქონე და ნაწილობრივ თვითრეგულირებადი პროცესების ხლართი (გორგალი). ამგვარად, *გლობალურმა პროცესებმა თანდათანობით, ევოლუციურად შექმნა უკუკავშირის საერთოპლანეტარული კონტურები.* სწორედ ეს გვაძლევს ახალი ეკონომიკური არსის წარმოშობის კონსტანტირების საშუალებას, რომელსაც მეგაეკონომიკას ვუწოდებთ.

მეგაეკონომიკა ერთიანი გლობალური ეკონომიკური სისტემაა, რომელიც უკუკავშირის მექანიზმების საფუძველზე თვითრეგულირდება.

მოქმედ პირთა — მეგაეკონომიკის მონაწილეთა შორის ძირითად როლს თამაშობენ ეროვნული სახელმწიფოები; ტრანსეროვნული კაპიტალი, კერძოდ, ტრანსეროვნული კორპორაციები (ტეკ) და ტრანსეროვნული ბანკები (ტებ); აგრეთვე, მსხვილი ქალაქები და მეგაპოლისები; ქვეყანათა ბლოკები; საერთაშორისო ორგანიზაციები; ოფშორები და ცალკეული ბიზნესმე- [illegible] ინდივიდუალური. ყოველ სუბიექტს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს უკუკავშირის რამდენიმე კონტურში და მათ შესაბამის რამდენიმე გლობალურ პროცესში.

მაინც რა გახდა მეგაეკონომიკის წარმოშობის პირველმიზეზი და შეიძლება თუ არა თუნდაც მიახლოებით მისი დაბადების თარიღის მითითება? როგორც ჩანს, მან ჩასახვა და ჩამოყალიბება დაიწყო, როგორც ახალმა პლანეტარულმა ერთიანობამ, გასული საუკუნის 70-იანი წლების დამდეგს შემდეგი *სამი ძირითადი გრანდიოზული ეკონომიკურ-ტექნოლოგიური მოვლენის ზემოქმედებით.*

პირველი, დაიწყო და აქტიურად მიდის *მოწინავე ქვეყნების გადასვლა* საინფორმაციო საზოგადოებასა და საინფორმაციო-ტექნოლოგიურ წყობაზე.

მეორე, რელიეფურად გამოიკვეთა დამოუკიდებელი და ეროვნულ სახელმწიფოებზე დაუქვემდებარებელი, მათი იურისდიქციიდან გამოსული *ტრანსეროვნული კაპიტალი.*

მესამე, წარმოიშვა გლობალიზაციის პრინციპულად *ახალი ტექნოლოგიები*, უპირველეს ყოვლისა კი, საინფორმაციო, კომპიუტერული და ქსელური ტექნოლოგიები,

ამ მოვლენათაგან თითოეულზე შევჩერდეთ უფრო დაწვრილებით. არსებობს ტექნოლოგიურ წყობათა თეორია, რომლის თანახმადაც კაცობრიობის განვითარების ყოველ ეტაპს შეესაბამება განსაზღვრული ტექნოლოგიური წყობა. ეკონომიკური ევოლუცია დაბალი წყობებიდან უმაღლესისაკენ თანმიმდევრულ გადასვლას უკავშირდება. ბოლო სამი საუკუნის ახალი და უახლესი დროის წყობანი მოყვანილია 3.1. ცხრილში.

კაცობრიობის ისტორიის ყოველ ეტაპს შეესაბამებოდა ინფორმატიკის განსაზღვრული დონე, რომელიც უზრუნველყოფდა კვლავწარმოებით პროცესებს და შემდგომ განვითარებას, მაგრამ მხოლოდ ახლა დაიკავა საინფორმაციო სფერომ დამოუკიდებელი და გაბატონებული მდგომარეობა.

ერთი თაობის სიცოცხლის განმავლობაში მან ძირეულად შეცვალა მოწინავე ქვეყნებში ცხოვრების წყობა, *შექმნა წარმოების ახალი „საინფორმაციო“ წესი და მიიყვანა „ინფორმაციულ“ საზოგადოებამდე.* როგორც ყოველი რევოლუციისათვისაა დამახასიათებელი, ინფორმაციულიც მიმდინარეობს ერთდროულად საზოგადოებრივი ცხოვრების ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ სფეროებში, ამასთან, სხვა რევოლუციებისგან განსხვავებით, ერთბაშად გლობალურ მასშტაბებში.

მარქსიზმის კლასიკოსთა რჩევების მიხედვით დავიწყოთ ეკონომიკიდან. ყველაზე უფრო შესამჩნევი აქ არის ეკონომიკის ინფორმაციული სექტორის ფეთქებისმაგვარი პროცესის ზრდა, რომელსაც დღეს მიაკუთვნებენ მეცნიერებას, მარკეტინგს, მენეჯმენტს, კონსალტინგს, მასობრივ ინფორმაციულ საშუალებებს (მინს) და საინფორმაციო საქმიანობის სხვა დარგებს. ამ სექტორის საოცრად სწრაფი ზრდა, რომელსაც სტატისტიკა მომსახურების სფეროს მიაკუთვნებს, აგრეთვე არაპროპორციული, ჰიპერტროფირებული ზომები ეკონომიკის რეალურ სექტორთან შედარებით, გახდა „განვითარებული“ ქვეყნების განმასხვავებელი ნიშანი და ტერმინ „ინფორმაციული“ საზოგადოების შემოტანის საბაბად იქცა. განვითარებულ ქვეყნებში მომსახურების სფერო მშპ-ს დაახლოებით 70%-ს შეადგენს, მაგალითად, გერმანიაში მარკეტინგის სფეროში დასაქმებულია უფრო მეტი ადამიანი, ვიდრე სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტსა და მშენებლობაზე ერთად აღებული.

ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი უდიდესი მხარე გახდა მძლავრი ზეეროვნული ინფორმაციული იმპერიის წარმოქმნა, რომელიც მჭიდროდ გადაეხლართა და ფაქტობრივად შეერწყა საერთაშორისო ფინანსურ კაპიტალს. ამის შედეგად წარმოშობილი საინფორმაციო-ფინანსური ოლი-

გარქია ღია და დემოკრატიული ეროვნული სახელმწიფოების პირობებში შეუზღუდავ მსოფლიო ძალაუფლებას იძენს.

მსოფლიომოწყობის ახალმა „საინფორმაციო“ წესრიგმა განსაზღვრული, თუმცა კი მოძრავი ზღვარი გაავლო ძირითადად საინფორმაციო სექტორში დასაქმებულ მდიდრებსა, რომლებიც განვითარებულ ქვეყნებში ცხოვრობენ და დანარჩენ „ღარიბ“ მსოფლიოს შორის, რომელნიც მოიპოვებენ სასარგებლო წიაღისეულს, მუშაობენ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში.

ჯერ კიდევ წარსულ ინდუსტრიულ დიდებაზე ორიენტირებულნი, ეკონომიკის ზრდას ჩვენ ვუკავშირებთ მბოლავ ბრძმედებს, მწყობრ დაზგებიან მოგუგუნე საამქროებს და ა. შ., იმ დროს, როცა მსოფლიო უკვე 20 წელია სრულიად სხვა გზით ვითარდება. საინფორმაციო ბიზნესმა მოცულობითა და ხვედრითი წონის მიხედვით მსოფლიო მთლიან შიდა პროდუქტში მანქანათმშენებლობას, ქიმიურ მრეწველობას, მეტალურგიას, სოფლის მეურნეობას დამაჯერებლად 2-3-ჯერ გაასწრო. ფიქტიური კაპიტალი სხვადასხვაგვარი ფასიანი ქაღალდების სახით არა მარტო ფინანსურ სტრუქტურათა, არამედ სამრეწველო საწარმოთა აქტივების დიდ ნაწილს შეადგენს. ფასიან ქაღალდთა ბაზრებმა უკვე დიდი ხანია მრავალჯერ გადააჭარბა ტრადიციულ სასაქონლო ბაზრებს, ხოლო დერივატივთა (წარმოებული ფასიანი ქაღალდების — ფიუჩერსების, ოპციონების) ბაზრები გახდა ფასიან ქაღალდთა ბაზრებზე ბევრად მეტი. გაჩნდა მსოფლიო კომპიტურული ფინანსური ბაზრები ასობით მილიარდი დოლარის მოცულობის ყოველდღიური ვაჭრობებით. ფინანსური ბაზრები ფართოვდება ტერიტორიულად, რაოდენობრივად და ხარისხობრივად, მუდმივად შემოდის ბრუნვაში სულ უფრო რთული ფინანსური სქემები და ფასიანი ქაღალდები, ყოველგვარი ოპციონები ფიუჩერსებზე და. შ.

ეკონომიკის შედარებით მცირე რეალურ სექტორზე, რომელიც ძირითადად შედგება მეცნიერებატევადი და ინფორმაციული წარმოებებისაგან, მოწინავე ქვეყნებში აღმართულია და გაბერილია მძლავრი ფინანსური ზედნაშენი. დღეს მოწინავე ქვეყნებსა და მთლიანად მეგაეკონომიკაში ინფორმაციული წარმოების წესია გაბატონებული.

მეორე მოვლენა, რომლის მასშტაბები და რევოლუციურობა ჯერ კიდევ ბოლომდე არაა გამოკვლეული და შეფასებული მეცნიერების მიერ, დამოუკიდებელი და თვითმოქმედი ტრანსეროვნული კაპიტალის წარმოშობაა, რომელიც აგრეთვე შეიძლება მივაკუთვნოთ 70-იანი წლების დამდეგს. გლობალურ ეკონომიკურ ცვლილებათა რაოდენობა გადაიზარდა თვისებაში და *ტრანსეროვნული კაპიტალი გახდა დამოუკიდებელი ეკონომიკური ორგანიზმი თავისი ორიგინალური სტრუქტურითა და განვითარების შინაგანი მიზნებით.*

ცხრილი 3.1.

ტექნოლოგიურ. წყობათა მახასიათებლები

დომინირების პერიოდი, წლები	ტექნოლოგიურ წყობათა ნომერი და დახასიათება				
	1	2	3	4	5
	1770 - 1830	1830 - 1880	1880 - 1930	1930 - 1980	1980 - 1990-დან 2030 - 2040-მდე
ტექნოლოგიური ლიდერები	დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ბელგია	დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ბელგია, გერმანია, აშშ	გერმანია, აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ბელგია, შვეიცარია, ნიდერლანდები	აშშ, ეგ, კანადა, ავსტრალია, იაპონია, შვედეთი, შვეიცარია, სსრკ	იაპონია, აშშ, გერმანია, შვედეთი, ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობა, ტაივანი, კორეა, კანადა, ავსტრალია
განვითარებული ქვეყნები	გერმანული სახელმწიფოები, ნიდერლანდები, შვეიცარია, ავსტრო-უნგრეთი, რუსეთი	იტალია, ნიდერლანდები, შვეიცარია, ავსტრო-უნგრეთი, რუსეთი	იტალია, დანია, ავსტრო-უნგრეთი, კანადა, იაპონია, ესპანეთი, რუსეთი, შვედეთი	ბრაზილია, მექსიკა, ჩინეთი, ტაივანი, ინდოეთი	ბრაზილია, მექსიკა, არგენტინა, ვენესუელა, ჩინეთი, ინდოეთი, ინდონეზია, თურქეთი, აღმ. ევროპა, რუსეთი და დსთ.
ტექნოლოგიური წყობის ბირთვი	საფეიქრო მრეწ-ბა, საფეიქრო მანქანათმშენებლობა, თუჯის გამოდნობა, რკინის დამუშავება, არხების მშენებლობა, წყლის ძრავა	ორთქლის ძრავა, სარკინიგზო მშენებლობა, ტრანსპორტი, მანქანა და გემთმშენებლობა, ნახშირის და დაზგათ მშენებლობის მრეწველობა,შავი მეტალურგია	ელ. ენერგეტიკური, მძიმე მანქანათმშენებლობა, ფოლადის წარმოება და გლინვა, ელექტროგადაცემათა ხაზები, არაორგანული ქიმია	საავტომობილო და სატრანსპორტო მშენებლობა, ფერადი მეტალურგია, ხანგრძლივი მომმარების საგნების წარმოება, სინთეტიკური მასალები, ორგანული ქიმია, ნავთობის წარმოება და გადამუშავება	ელექტრონული მრეწველობა, გამომთვლელი, ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნიკა, პროგრამული უზრუნველყოფა, ტელეკომუნიკაციები, რობოტმშენებლობა, გაზის წარმოება და გადამუშავება, საინფორმაციო მომსახურება

დომინირების პერიოდი, წლები	ტექნოლოგიურ წყობათა ნომერი და დახასიათება				
	1	2	3	4	5
	1770 - 1830	1830 - 1880	1880 - 1930	1930 - 1980	1980 - 1990-დან 2030 - 2040-მდე
საკვანძო ფაქტორი	საფეიქრო მანქანები	ორთქლის ძრავა, დაზგები	ელექტროძრავა, ფოლადი	შიდაწვის ძრავა, ნავთობქიმია	
ახალი წყობის ფორმირებადი ბირთვი	ორთქლის ძრავები, მანქანათმშენებლობა	ფოლადი, ელექტროენერგეტიკა, მძიმე მანქანათმშენებლობა, არაორგანული ქიმია	ავტომობილმშენებლობა, ორგანული ქიმია, ნავთობის წარმოება და გადამუშავება, ფერადი მეტალურგია, ავტოსაგზაო მშენებლობა	რადარები, მილგაყვანილობების მშენებლობა, საავიაციო მრეწველობა, გაზის წარმოება და გადამუშავება	ბიოტექნოლოგიები, კოსმოსური ტექნიკა, ზუსტი ქიმია.
მოცემული ტექნოლოგიური წყობის უპირატესობა წინამორბედთან შედარებით	ფაბრიკებში წარმოების კონცენტრაცია და მექანიზაცია	მასშტაბების ზრდა და წარმოების კონცენტაცია ორთქლის ძრავის გამოყენების საფუძველზე	წარმოების მოქნილობის ზრდა ელექტროძრავის გამოყენების საფუძველზე, წარმოების სტანდარტიზაცია, ურბანიზაცია	მასობრივი და სერიული წარმოება	წარმოების და მოხმარების ინდივიდუალიზაცია, წარმოების მოქნილობის ზრდა, ეკოლოგიურ შეზღუდვათა დაძლევა ენერგო და მასალათამოხმარების მიხედვით მას საფუძველზე, დეურბანიზაცია ტელესაკომუნიკაციო ტექნოლოგიების საფუძველზე

ამ ფენომენის განვითარებაში პირველ მერცხალს *წარმოადგენდა ევროდოლარების და ევრობაზრების წარმოშობა* ჯერ კიდევ 60-იან წლებში. სწორედ მაშინ, ისარგებლეს რა სავალუტო ბაზრის ლიბერალიზაციით, ევროპულმა ბანკებმა დაიწყეს კერძო ანაბრების მოზიდვა და კრედიტების გაცემა დოლარებში. წარმოიშვა ევრობაზრები, რომლებიც ეროვნული კანონმდებლობით არ იყო რეგლამენტირებული. ევრობაზრიდან მოზიდულ საშუალებებზე არ ვრცელდება ცენტრალურ ბანკთა სარეზერვო მოთხოვნები, ხოლო საპროცენტო განაკვეთები ევროანაბრებზე თავისუფლდება საშემოსავლო გადასახადებისაგან. ევრობაზარი ღებულობს კონკურენტულ უპირატესობას, ვინაიდან მასზე სტიქიურად ჩამოყალიბებული საპროცენტო განაკვეთების დონე საშუალებას აძლევს ბანკებს ევროვალუტაში გადაუხადოს სასესხო საშუალებებზე დიდი პროცენტი და შესთავაზოს კრედიტები უფრო დაბალი განაკვეთებით. მალე დაიწყო ევროობლიგაციათა გამოშვება, რომელთა ემისიის რეგლამენტირება არ ხდება ეროვნული კანონმდებლობით, ხოლო პროცენტებს ევროობლიგაციათა მფლობელებს უხდიან შემოსავლის წყაროდან გადასახადის დაქვითვის გარეშე. ვინაიდან ევროვალუტების ოპერაციებზე არ ვრცელდება მდებარეობის ქვეყნის ფულად-საკრედიტო შეზღუდვები, ლონდონში ბანკებმა დამოუკიდებლად დაიწყეს საშუალო განაკვეთის LIBOR-ის (ინგლ. LIBOR - London Interbank Offered Rate) დაწესება, რომლის მიხედვითაც ევრობაზრებმა მიაღწიეს მნიშვნელოვან ზომებს და ევროემისიები დასავლეთ ევროპისათვის სახსრების მნიშვნელოვანი წყარო გახდა. გაჩნდა ევროკომერციული თამასუქები, რომელთა გადახდა გათვალისწინებულია ევროვალუტაში.

ევრობაზრის განვითარების წყალობით წარმოიშვა ახალი საერთაშორისო ფინანსური ცენტრები — ლუქსემბურგი, სინგაპური, ჰონკონგი, პანამა, ბაჰამის კუნძულები და სხვ., რომელთა საქმიანობა განთავისუფლებულია სავალუტო კონტროლისაგან და სადაც პროცენტებისაგან მიღებულ შემოსავლებზე გაუქმებულია გადასახადები. ორგანიზაციულად ევრობაზარი წარმოადგენს რამდენიმე ასეულ მსხვილ ბანკს, რომლებიც განლაგებულია ძირითადად დასავლეთ ევროპის ცენტრებში და იმ ქვეყნებში, სადაც ბანკთა უფლებები არაა შეზღუდული არარეზიდენტებთან უცხოური ვალუტით ოპერაციების ჩატარებაში. ახალი ცენტრების წარმოშობისდა მიხედვით პარიზში გაჩნდა PIBOR, სინგაპურში — SIBOR, ქუვეიტში — KIBOR და სხვა, რომელთა განაკვეთების დონეს გააჩნია გათანაბრების ტენდენცია. ვინაიდან ლონდონი წარმოადგენს ევროდოლარის ბაზრის პირველ ფინანსურ ცენტრს და ინარჩუნებს წამყვან პოზიციას, ამდენად, LIBOR-ს ეკუთვნის ევრობაზრის განაკვეთთა განმსაზღვრელი როლი.

1981 წელს ნიუ-იორკი გამოცხადდა თავისუფალ საბანკო ზონად, რომლის ჩარჩოებში არარეზიდენტებთან განხორციელებული ოპერაციებისათვის

დაწესდა საგადასახადო შეღავათები, განთავისუფლება სავალუტო კონტროლისა და სხვა შეზღუდვებისგან, რომელიც კაპიტალთა შიდა ბაზარზე მოქმედებდა. ამან გააფართოვა ევროვალუტის ბაზარი აშშ-ში.

თავისი კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად *ევროპულმა ცენტრებმა ელვის სისწრაფით მოახდინეს საკუთარი ფინანსური ბაზრების ლიბერალიზაცია*, ამასთან ერთად დაიწყო ახალი საერთაშორისო ფინანსური ბაზრების შექმნა — სავალუტო ფიუჩერსების (ჩიკაგო, 70-იანი წლების დასაწყისი), ფიუჩერსები საპროცენტო განაკვეთებისათვის (ჩიკაგო, ნიუიორკი, 1978), სავალუტო ოპციონების (ფილადელფია, 1982).

ევრობაზრის მსესხებლები გახდნენ ტეკ-ები, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანაში აფინანსებენ კაპიტალდაბანდებებს, ასევე სახელმწიფოები საგადასახდელო ბალანსის დეფიციტით. წამყვანი ტრანსეროვნული ბანკები, საზღვარგარეთული ფილიალების ფართო ქსელით, გახდნენ მთავარი შუამავლები ევრობაზარზე ტეკ-ებს, სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის, რითაც ფაქტობრივად განახორციელეს მისი გაყოფა.

მაშასადამე, თანამედროვე ეკონომიკურ სივრცეში ახლა თავისუფლად გადაადგილდება მძლავრი ტრანსეროვნული კაპიტალი, რომელიც ეროვნული სახელმწიფოების იურისდიქციის გარეთ იმყოფება.

ისტორიულ რაკურსში კაპიტალის განვითარება მიმდინარეობდა დიალექტიკის კანონების შესაბამისად, სპირალისებურად. თავდაპირველად წარმოიშვა თავისუფალი: არავის მიერ და არაფრით რეგულირებული ეროვნული კაპიტალი, რომელიც გარდაუვლად წარმოშობდა პერიოდულ კრიზისებს. XX ს-ის შუახანებში მოხერხდა კაპიტალის რეგულირების სახელმწიფო მექანიზმების პოვნა ეროვნული სახელმწიფოების ჩარჩოებში, რამაც საშუალება მისცა თუ არ აღეკვეთა, მნიშვნელოვნად მაინც შეერბილებინა კრიზისული მოვლენები. თუმცა კაპიტალი თანდათანობით გადავიდა ახალ, ტრანსეროვნულ ფორმაში, რითაც ეროვნულ სახელმწიფოთა იურიდიქციას და რეგულირებას თავი დააღწია. ამჟამად *ტრანსეროვნული კაპიტალი თავისი ქცევის ხასიათით, დარგთაშორისი თავისუფლებითა და ტერიტორიული გადაადგილებით, ასევე არაკონტროლირებადობის ხარისხით გვაგონებს ჯერ კიდევ თავისუფალი ეროვნული კაპიტალის თავდაპირველ ფაზას, იმეორებს რა განსაზღვრულ ნიშნებს, ბუნებრივია, იმ სპეციფიკით, რომელიც დამახასიათებელია ტექნოლოგიების, მსოფლიო ეკონომიკისა და საზოგადოების განვითარების ახალი სტადიისათვის.*

დამოუკიდებელი ტრანსეროვნული კაპიტალის განვითარება გახდა მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელმაც განაპირობა მეგაეკონომიკის წარმოშობა.

დაბოლოს, მესამე მოვლენა, რომელმაც ხელი შეუწყო მეგაეკონომიკის, როგორც ერთიანი ორგანიზმის, წარმოშობასა და ფუნქციონირებას,

გლობალური ტექნოლოგიებია, რომელთა შორის წამყვან როლს საინფორმაციო თამაშობს.

იმისათვის, რომ პროცესი ნამდვილად გახდეს გლობალური, აუცილებელია მის მოთამაშეთა შორის კავშირების არსებობა პლანეტარული მასშტაბით. ამასთან, სიგნალმა შფოთზე, რომელიც წარმოიშვა პლანეტის ერთ-ერთ ბოლოში, საკმაოდ სწრაფად უნდა მიაღწიოს ყველაზე შორეულ კუთხეს. მხოლოდ მაშინ იქნება უზრუნველყოფილი მისი მიმდინარეობის ერთიანობა. კიბერნეტიკულ მოწყობილობებში სიგნალები გადაეცემა ელექტრონული ჯაჭვების მიხედვით, ცოცხალ ორგანიზმებში მათ ძირითად გამტარს ნერვული სისტემა წარმოადგენს. თანამედროვე სამყაროში შფოთზე სიგნალების გადაცემის და საპასუხო მართვადი ზემოქმედებების ფუნქცია თავის თავზე აიღო საინფორმაციო საკომუნიკაციო და სატრანსპორტო სისტემებმა, რომლებსაც შეიძლება ეწოდოს გლობალიზაციის ტექნოლოგიები.

თანამედროვე მსოფლიოს გლობალიზაციის საფუძველს შეადგენს საინფორმაციო-საკომუტაციო ტექნოლოგიები. ინფორმატიზაცია თავისთავად წარმოადგენს გლობალიზაციის ძირითად მამოძრავებელ ძალას. ერთიანი მსოფლიო საინფორმაციო სივრცის და საინფორმაციო სტანდარტების წარმოშობა და განვითარება უზრუნველყოფს მსოფლიოს ფინანსური, ეკონომიკური, ტექნოლოგიური და კულტურული ერთიანობის ზრდას.

ინფორმატიზაცია გახდა მსოფლიომეურნეობრივი სისტემის და განსაკუთრებით, ფინანსური სფეროს გლობალიზაციის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი.

კომპიუტერული ქსელი (ინტერნეტი და ა. შ.) საყოველთაო გლობალურ-საინფორმაციო კომუნიკაცია ხდება და ფინანსური და სასაქონლო ბაზრების ფუნქციონირებას უზრუნველყოფს მსოფლიო მასშტაბით. ინტერნეტის ქსელში მუშაობს 30 მლნ-ზე მეტი მომხმარებელი.

ინფორმატიზაციის განვითარებამ უზრუნველყო ფინანსური სისტემის გლობალიზაცია და სპეციფიკური გლობალური კომპიუტერული ფინანსური ბაზრების განვითარება, ამ ტიპის ბაზრებს მიეკუთვნება Forex, Global Costadien და სხვ.; უკვე საბოლოოდ ჩამოყალიბდა გლობალური საინფორმაციო-ფინანსური ბაზრების სისტემა, რომელმაც, როგორც ფინანსურმა კრიზისმა გვიჩვენა, განსაზღვრა მსოფლიო ეკონომიკის და ცალკეული, პერიფერიული ქვეყნის განვითარებაც კი.

ბანკთაშორისი კომპიუტერული სისტემა SWIFT აერთიანებს 5000 ბანკს, ემსახურება კომერციულ ოპერაციებს, დებს გარიგებებს ფასიან ქაღალდებზე, გადასცემს 1270 ათას შეტყობინებას დღეში.

ინფორმატიზაცია ეფუძნება სავსებით განსაზღვრულ ტექნიკურ ბაზას და უპირველეს ყოვლისა, *კავშირგაბმულობის საშუალებათა* უსწრაფეს განვითარებას. დღეს კავშირგაბმულობა წარმოადგენს მძლავრი და სწრაფადმზარდი ეკონომიკის დარგს, რომლის მშპ 1 ტრლნ დოლარს აჭარბებს. საკომუნიკაციო-საინფორმაციო კომპლექსი მსოფლიო ეკონომიკაში გახდა უკვე ყველაზე მსხვილი სექტორი და შეადგენს მსოფლიო მთლიანი პროდუქტის 20%-ზე მეტს. ბოლო ათწლეულის განმავლობაში ამ დარგში ყოველდღიური ნამატი 15-20%-ს აღწევს, ხოლო საერთაშორისო კავშირი ამ დროის განმავლობაში 5-ჯერ უფრო მეტად გაიზარდა.

საკომუნიკაციო საინფორმაციო ქსელს შეუძლია მსოფლიო სისტემაში გადასცეს სიგნალები და სამმართველო ბრძანებები. რეალური გლობალიზაციისათვის აუცილებელია აგრეთვე ტექნოლოგიები, რომელთაც უნარი აქვს სწრაფად გადაისროლოს პლანეტის ნებისმიერ კუთხეში რესურსები და საქონელი. ამ ამოცანას თანამედროვე *სატრანსპორტო ტექნოლოგიები* წყვეტს.

მსოფლიო მთლიან პროდუქტში ტრანსპორტის წილი დაახლოებით 6%-ს შეადგენს, ხოლო მსოფლიოს ძირითად ფონდებში — 20%-ს. დღეს პლანეტის ყოველ მცხოვრებზე დაახლოებით 10 ტ პროდუქტი მოდის, ხოლო ყოველი ტონა საჭიროა გადავისროლოთ საშუალოდ 500 კმ-ზე შორს. XX-ისათვის რომ არ მოხერხებულიყო სატრანსპორტო ტარიფების რეალური შემცირება 12-ჯერ, მაშინ რესურსების და საქონლის გლობალური ბაზარი აღარ შედგებოდა. ახალი სატრანსპორტო ტექნოლოგიები, როგორებიცაა მსოფლიო საკონტეინერო სისტემები, შეიძლება ნაკლებად თვალში საცემია, მაგრამ ისევე აუცილებელია, როგორც ტელეკომუნიკაციები და ინტერნეტი, გლობალიზაციის ტექნოლოგიები. ამ უკანასკნელზე უფრო დაწვრილებით ქვემოთ ვისაუბრებთ.

3.3. მეგაეკონომიკის თვითრეგულირების ძირითადი კონტურები

მოდით შევეცადოთ გავხსნათ ხლართი და გავაანალიზოთ ისინი ცალ-ცალკე. ყოველ გლობალურ პროცესს გააჩნია თავისი მოთამაშეები, რომლებიც განსაზღვრულ გლობალურ ტექნოლოგიებს იყენებენ სიგნალთა გადაცემისათვის პლანეტარული მასშტაბით, ასევე, გააჩნიათ რეგულირების საკუთარი მექანიზმებიც. ჩვენ განვიხილავთ ცხრა ძირითად კონტურს, რომელიც გარს აკრავს მეგაეკონომიკას ცხრა უძრავი სფეროსმაგვარად, დედამიწას რომ ერტყა გარშემო პტოლემეოსის (სურ. 3.2) მსოფლიოს უძველეს სისტემაში.



სურ. 3.2. მეგაეკონომიკის თვითრეგულირების კონტურები

1. იდეოლოგიური გლობალიზაცია

რაც არ უნდა პარადოქსულად მოგეჩვენოთ, გლობალიზაციის პროცესები იდეოლოგიის სფეროდან დაიწყო. ვინაიდან გლობალიზაცია პროცესია, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, მიმდინარეობს კაპიტალისტურ საბაზრო ეკონომიკაში და შინაგანად მისთვისაა დამახასიათებელი, მსოფლიოს გლობალურ აღქმას პირველად ლიბერალურმა თეორიამ უბიძგა, რომელმაც სახელმწიფოებრივზე მეტად ცალკეულ პირთა ღირებულებების პრიმატის უპირატესობა აღიარა. ლიბერალურმა ღირებულებებმა — თავისუფლებამ, თანასწორობამ, საკუთრებამ — ჯერ კიდევ XVIII ს-ში გამოავლინეს საკუთარი საყოველთაობა, რითაც გლობალიზაციის საფუძველად იქცნენ.

დღეს საგანმანათლებლო სისტემების, მასობრივი ინფორმაციული საშუალებების და გლობალური საინფორმაციო სისტემების მეშვეობით ეს იდეოლოგია წარმატებით ინერგება საზოგადოებრივ შემეცნებაში, რომელიც მისი ზეგავლენით გლობალიზაციას განიცდის. იგი გლობალიზაციის მძლავრი მამოძრავებელი ძალა გახდა, მაგრამ მარტო ეს როდია.

გლობალური იდეოლოგიური სისტემა უკვე იძენს აზრის და საზოგადოებრივი შემეცნების მართვის ერთიან კონტურს. იდეოლოგიური ცენ-

ტრები, რომლებიც უკვე საკმაოდ თანაბრადაა განაწილებული მთელ მსოფლიოში, მგრძნობიარედ რეაგირებენ მცირეოდენ აურზაურსა და გადახრაზე „გენერალური“ იდეოლოგიური ხაზიდან. ამგვარი გადახრები ქრება (იხშობა) მასობრივი ინფორმაციული საშუალებებისა (მის) და ახალი ქსელური ინფორმაციული ტექნოლოგიების მეშვეობით. აღვნიშნავთ, რომ იდეოლოგიის გლობალიზაციის პროცესი არ წარმოადგენს ვიღაცის კონკრეტულ გეგმას. ინტერნეტის მსგავსად, იგი წარმოიშვა და ვითარდება სხვადასხვა ადამიანისა და ჯგუფის მოქმედებათა და სხვადასხვა მიმართულების ტალღათა საფუძველზე, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული არიან კაცობრიობისათვის სასურველ მომავალზე ერთიანი წარმოდგენებით.

2. ინსტიტუციონალური გლობალიზაცია

გლობალიზაციის განსახორციელებლად აუცილებელია მთელ მსოფლიოში იცავდნენ საბაზრო თამაშის და საზოგადოებრივი ქცევის ერთიან წესებს, რომელთაც ინსტიტუტებს უწოდებენ. ამიტომ ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესების პარალელურად, ხან დაგვიანებით, ხან გასწრებით მიმდინარეობს ფორმალური (კანონები, ნორმატივები) და არაფორმალური (ტრადიციები, წეს-ჩვეულებები, ქცევის დაუწერელი წესები) ინსტიტუტების გლობალიზაცია.

სამართლებრივ სფეროში ეს პროცესი ვლინდება ეროვნულთან შედარებით საერთაშორისო სამართლის ნორმათა პრიმატის აღიარებაში, მრავალი საკანონმდებლო ნორმების და პრინციპების სტანდარტიზაციაში, ეროვნულ-სამართლებრივ სისტემათა დაახლოებაში, ინგლისურენოვანი ქვეყნების ზოგადი სამართლის პრინციპების და კონტინენტური ევროპული სამართლის თანდათანობით ურთიერთშეღწევაში.

ინსტიტუტთა გლობალიზაციაში დიდ როლს თამაშობს საერთაშორისო ორგანიზაციები, პირველ რიგში, გაერო და მისი ქალიშვილ-ორგანიზაციები, აგრეთვე ეკონომიკური და ფინანსური დაწესებულებები, ისეთები, როგორიცაა საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი და სხვ. ამ ორგანიზაციათა მოღვაწეობას ეძღვნება ცალკე თავი.

მასობრივი ინფორმაციის პრაქტიკულად საყოველთაო ელექტრონულ საშუალებათა მძლავრი ზემოქმედებით ყველგან და განსაკუთრებით მეგაპოლისებში, ასევე მსხვილ ქალაქებში ვითარდება საქმიანი და ყოფითი ქცევის ერთგვაროვანი სტანდარტები. ტელევიზიამ და კინომ შეცვალა ოჯახის ფასეულობათა წარმოშობა. საშუალო ამერიკელი მოზარდი ტელევიზიას უყურებს კვირაში 21 სთ-ის განმავლობაში, 5 წუთს ატარებს კვირაში მამასთან, ხოლო 20 წუთს — დედასთან. მოზრდილი ამერიკელი ტელეეკრანთან კვირაში 18 სთ-ს ატარებს, და, ბუნებრივია, მის-ების დიდი ზეგავ-

ლენის ქვეშაა[1]. ანალოგიური სურათი სხვა ქვეყნებშიც შეინიშნება. ბევრი, განსაკუთრებით სხვადასხვა ქვეყნის ქალაქელი მაცხოვრებელი, რომელიც უყურებს ერთსა და იმავე ტელეგადაცემებს, ასევე ინტელექტუალებიც, რომლებიც დაკავშირებული არიან ინტერნეტთან, სულ უფრო მეტად ახდენენ საკუთარი თავის, როგორც ერთიანი გლობალური ცივილიზაციის წარმომადგენლის, თვითიდენტიფიცირებას.

მნიშვნელოვანია ის, რომ ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტები უკვე წარმოადგენენ ერთიან მართვად გლობალურ კონტურს. ადამიანის უფლებების დარღვევა, სასამართლო შეცდომები, დანაშაულობანი, თვალსაჩინო ადამიანთა უგვანო საქციელი მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში უმალ ხდება საყოველაო კუთვნილებად მის მეშვეობით. ისინი ერთდროულად განიხილება, დადებითად ფასდება და იკიცხება ნიუ-იორკის, პარიზის, მოსკოვის და სინგაპურის ქუჩებში. ასე გამომუშავდება მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი, რომელიც იქვე ყალიბდება მის-ების მიერ ერთიანად და აღწევს მთელ მსოფლიოში. აქ ქმედითად მუშაობს უკუკავშირის ძირითადი კიბერნეტიკული პრინციპი — სიგნალის მიღება და სისტემის სწრაფი რეაქცია ცვლილებაზე.

3. მოხმარების და გასალების, საჭონლის და მომსახურების გაზრების გლობალიზაცია

არაფორმალურ ინსტიტუტთა (წეს-ჩვეულებების, ყოფითი ქცევის წესების) გლობალიზაციამ მსოფლიოს მოსახლეობა სასურველი ცხოვრების შესახებ წარმოდგენათა განსაზღვრულ სტანდარტიზაციამდე მიიყვანა. ჰოლივუდის კინოფილმებში, რომლებიც ახალი მსოფლიო მასობრივი კულტურის საფუძველი გახდა, თვალსაჩინოდ გვიჩვენებენ ცხოვრებისა და ქცევის სტანდარტებს. იქვეა წარმოდგენილი მოხმარების იდეალები, რომლისკენაც ისწრაფვის დღეს მთელი „ცივილიზებული" სამყარო. საშუალო ამერიკელი თავისი ცხოვრების მანძილზე მოიხმარს 700 ტ მინერალურ ნედლეულს, 4000 ბარელ ნავთობს, 25 ტ მცენარეულ და 28 ტ ცხოველურ საკვებს. ამავე დროს იგი აწარმოებს 1 ათას ტ ატმოსფერულ, 1 ათას ტ მყარ და 10 ათას ტ თხევად ნარჩენებს.[2] ნათელია, რომ მსოფლიო მასშტაბით ასეთ მოხმარებაზე გადასვლა შეუძლებელია რესურსული და ეკოლოგიური შეზღუდვების გამო, მაგრამ მისი პროპაგანდა მაინც დაჟინებით გრძელდება და დღეს დედამიწის მოსახლეობის უმრავლესობის სწრაფვათა ვექტორს გეზს აძლევს.

---

1 იხ.: Hamlin S. Time Flies, but Where Does It Go. // New York Times. - 1995 - September 6.

2 იხ. Hall C. et al. The Environmental Consequences of Having a Baby in United States // Population and Environment. - 1994. - July.

დღესდღეობით მთელი მსოფლიო მოიხმარს სტანდარტულ, მსოფლიო სასურსათო გიგანტების მიერ გავრცელებულ საკვებს, ზოგჯერ თავს ინებივრებს სპეციფიკური ეროვნული ან უცხოური კერძებით, რომლებიც ძირითადად, ასევე სტანდარტული — ჩინური ან იტალიური სამზარეულოდანაა. მთელი მსოფლიო მისდევს მოდის სტანდარტებს, რომლებიც გამომუშავებულია უმსხვილეს ცენტრებში. ამასთანავე, იგი იძულებით, მაგრამ განუწყვეტლივ ადევნებს თვალს ტელე- და სხვა რეკლამებს, რომლებიც უკვე ეკონომიკის წამყვან დარგად იქცა. ერთი და იგივე სარეკლამო რგოლები მთელ მსოფლიოს უჩვენებს ამა თუ იმ საქონელს, რითაც დაბეჯითებით აწინაურებენ ეროვნულ ბაზრებზე უმსხვილეს კორპორაციათა ნაწარმს. სარეკლამო საქმიანობაში უკვე აქტიურად ჩაერთნენ ინტერნეტკომპანიები, რომლებიც მალე თვალსაჩინო ადგილს დაიკავებენ სარეკლამო ბიზნესში.

იმისათვის, რომ წარმატება გქონდეს ბაზარზე, ნებისმიერი საქონელი უნდა იყოს „დატრიალებული" სარეკლამო კომპანიის მიერ. ამასთან, რეკლამაზე დანახარჯები სულ უფრო დიდ წილს შეადგენს საქონლის საბოლოო ფასში. სამაგიეროდ ყოველი სიახლე წამიერად ვრცელდება მთელ მსოფლიოში და კოლოსალური შემოსავლები მოაქვს მისი შემქმნელებისათვის.

გლობალური მოხმარება მჭიდროდ ესადაგება გლობალურ გასაღებს. მარკეტინგული და გასაღების ტექნოლოგიები ერთნაირია მთელ მსოფლიოში. პლანეტის ყოველ წერტილში მყიდველი ეჯახება ერთგვაროვან სერვისს და მარკეტინგულ მიდგომას. მარკეტინგს ყველა სწავლობდა ერთი სახელმძღვანელოთი, ხოლო ავსტრიული დისტრიბუტორული ქსელის ტიპის მარკეტნგული ინოვაციები, რომელიც ცნობილი იყო ჩვენში ჰერბალაიფის გავრცელებით, სწრაფად ხდება მიბაძვის საგანი და ამდენად საყოველთაო კუთვნილება.

საქონელზე ხარისხობრივი ცვლილებები, მყიდველთა ახალი უპირატესობანი, ისევე როგორც გასაღების ახალი ტექნოლოგიები, მყისვე ვრცელდება მთელ პლანეტაზე. მოხმარების გლობალიზაციის და სტანდარტიზაციის ბაზაზე ახალ ხარისხს იძენს საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო ბაზრები.

იდეოლოგიის, ინსტიტუტების და მოხმარების გლობალიზაცია შესანიშნავ პირობებს ქმნის ძირითადი სასაქონლო ბაზრების გლობალიზაციისათვის. განვითარებული ქვეყნების უმრავლესობა უკვე მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (მსო) მონაწილეს წარმოადგენს, ე. ი. დათანხმდნენ თავისი ბაზრების ლიბერალიზაციას, სავაჭრო შეზღუდვათა შემცირებას ან მოხსნას და ვაჭრობის საერთო წესები აღიარეს.

დღესდღეობით *საერთაშორისო ვაჭრობა* უკვე უზარმაზარ მასშტაბებს მოიცავს. ახლა მისი მოცულობა შეფასებულია 12 ტრლნ დოლარად, ხოლო საერთაშორისო მომსახურების მოცულობა — 1,5 ტრლნ დოლარად. საერთაშორისო ვაჭრობის დინამიზმი შესანიშნავია, მისი მოცულობა 90-იან წლებში 5-ჯერ სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე მსოფლიო წარმოება.

ეს ყველაზე თვალსაჩინოდ ადასტურებს მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის ზრდას. მსოფლიო ვაჭრობის დიდი ნაწილი მოდის მსხვილ რეგიონულ სავაჭრო ბლოკებს შორის გაცვლაზე, ძირითადად „ტრიადის" ჩარჩოებში — აშშ, ეკ და იაპონია.

საჭიროა განსაკუთრებით გაესვას ხაზი წინმსწრებ ზრდას და შესაბამისად *საერთაშორისო ვაჭრობის სტრუქტურაში მომსახურების სექტორის წილის მატებას.* სსფ-ის მონაცემებით მომსახურების მსოფლიო ექსპორტი (ტრანსპორტის, ტურიზმის, სამთავრობო მომსახურების და სხვა მომსახურებათა ჩათვლით) 1988-1998 წლების განმავლობაში გაიზარდა 653,2-დან 1400 მლრდ დოლარამდე. 1998 წელს მომსახურებათა ღირებულებამ მსოფლიო ექსპორტის დაახლოებით 30% შეადგინა.

სასაქონლო ბაზრების გლობალიზაციას აქტიურად უერთდება ინტერნეტის შესაძლებლობები. „ელექტრონულ ბაზარში" მონაწილეობას წარმოების ხელმძღვანელები განიხილავენ კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის, ასევე, მაღალი რენტაბელობის მიღწევის გადამწყვტ ფაქტორად და სხვ. ამჟამად მსოფლიოს 60%—ზე მეტ საწარმოს გააჩნია თავისი გვერდები (სერვერები) ინტერნეტში, რომლის მეშვეობითაც აქტიურად სთავაზობს თავის პროდუქციას, პოულობს ხელსაყრელ მიმწოდებლებს, პარტნიორებსა და ინვესტორებს. ახლა ეს უკვე აუცილებელი პირობა ხდება წარმოების წარმატებისათვის, ვინაიდან გლობალური „ელექტრონული ბაზარი" ვითარდება ფეთქებადი სახით. ყოველწლიურად ორმაგდება მისი მოცულობა.

1999 წელს გლობალური „ელექტრონული ბაზრის" მოცულობა შეფასდა 10 მლრდ დოლარად, მაგრამ 2003 წლისათვის იგი, სპეციალისტების თვალსაზრისით, გაიზრდება მრავალჯერ და დაახლოებით 350-1300 მლრდ დოლარს შეადგენს. ამასთან, აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში მოსალოდნელია წინმსწრები ზრდა.

საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობის კონტურში უკუკავშირის არსებობა უზრუნველყოფილია საბაზრო ტექნოლოგიებით, რომლებიც ახლა შევსებულია თანამედროვე სატრანსპორტო, საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიებით. ყოველ მნიშვნელოვან საქონელსა და მომსახურებაზე ბირჟისა და ელექტრონული სავაჭრო სისტემების მეშვეობით ყალიბდება მსოფლიო წონასწორული ფასები, რომლებიც მგრძნობიარედ რეაგირებს გლობალურ ეკონომიკაში მიმდინარე მცირეოდენ ცვლილებებზე.

4. ფინანსური გლობალიზაცია

ფინანსების გლობალიზაცია — ეს საყოველთაო გლობალიზაციის ერთ-ერთი ყველაზე თვალში საცემი ელემენტია. პლანეტარული ელექტრონული ქსელების საშუალებით ფინანსური ნაკადების მეყსეულად გადაადგილების შესაძლებლობამ კარდინალურად შეცვალა საერთაშორისო სამეურნეო საქმიანობის პირობები.

დღესდღეობით ყოველდღიური ბანკთაშორისი ოპერაციები დაახლოებით 1,5 ტრლნ დოლარს შეადგენს. 1987 წელს შეადგინა 600 მლრდ დოლარს, 800 მლრდ დოლარს — 1989 წელს და 1 ტრლნ. დოლარს — 1993 წელს. 1,5 ტრლნ დოლარის სიდიდე ნიშნავს იმას, რომ ერთი კვირის განმავლობაში მისი ბრუნვა აშშ-ის წლიურ შიდა პროდუქტს გაუტოლდება, ხოლო თვეზე ცოტა ნაკლების ბრუნვა უტოლდება მთლიან მსოფლიო პროდუქტს[1].

ფინანსური ბაზრების შესაძლებლობები კიდევ უფრო გაფართოვდა 70-80-იან წლებში ახალი ფინანსური ინსტრუმენტების და ოპერაციების წარმოშობით; ესაა ე. წ. წარმოებული ფასიანი ქაღალდები (დერივატივები), პირველ რიგში კი ფიუჩერსები და ოპციონები. მთლიანობაში ყველა ღია პოზიციის მოცულობა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების მიხედვით 1986 წლიდან 1993 წლამდე გაიზარდა (ნომინალით) 618,8 მლრდ დოლარიდან 7,8 ტრლნ დოლარამდე, ე. ი. 12,7-ჯერ (ნამატის ყოველწლიური ტემპი საშუალოდ შეადგენდა 43,7%-ს[2]).

კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობა სესხების, კრედიტების, ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის, სავალუტო ოპერაციების და ა. შ. სახით 50-ჯერ აჭარბებს საერთაშორისო ტვირთბრუნვას. ამჟამად საერთაშორისო ვაჭრობაში ჩადებულ თითო დოლარზე მოდის წმინდა ფინანსურ ბრუნვაში ჩართული 8-9 დოლარი.

დერივატივების ბაზრებთან ერთად თანამედროვე ეკონომიკაში დიდ როლს თამაშობს საერთაშორისო ელექტრონული სავალუტო ბაზრები (Forex), რომელთა ყოველდღიური გარიგებების მოცულობამ 2001 წელს 2 ტრლნ დოლარს გადააჭარბა.

ფინანსური ბაზრები თავისთავად წარმოადგენს ყველაზე მაღალტექნოლოგიურ მართვად კონტურს თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში, სადაც ყველაზე უფრო ორგანულად უერთდება ერთმანეთს საბაზრო და ქსელური კომპიუტერულ-საინფორმაციო ტექნოლოგიები. ჩვენი პლანეტის ბაზრის ნებისმიერ ბოლოში უმცირეს ცვლილებაზე გამოძახილი მყისიერია, ხოლო წონასწორობის ახალი სიტუაციის ძიება ხორციელდება ბაზრის ასი ათასობით მონაწილეთა ძალისხმევით, უშუალო ინტერაქტიური ურთიერთობის on line რეჟიმში.

5. დაგროვებისა და ინვესტიციების გლობალიზაცია, კაპიტალის გაზრები

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკისათვის მნიშვნელოვანია არა მარტო მოთხოვნის და მიწოდების კონტური, არამედ დაგროვება — ინვესტირება.

---

1 Henwood D. Wall Street. How it works and whom - N. Y. 1998, - P. 10.

2 Буренин А. Н. Рынки производных финансовых инструментов. М.: Инфра, М. 1996. с. 15.

გლობალიზებული ეკონომიკისათვის აუცილებელია როგორც დაგროვების, ასევე, ინვესტირების რეგულირებადი კონტური. დაგროვებათა ტრადიციულ წყაროებს წარმოადგენს შინამეურნეობათა დანაზოგები, საწარმოთა დაგროვების ფონდები და სახელმწიფო რეზერვები. საბანკო სისტემა, სადაზღვევო კომპანიები, საპენსიო და საინვესტიციო ფონდები ამ საშუალებების მობილიზებას და ინვესტირებას ახდენს სხვადასხვა მიმართულებით.

დაგროვების გლობალიზაცია შეივსო გლობალური ინვესტირებით. კომპიუტერული ქსელი Global Costadien საშუალებას იძლევა განხორციელდეს ინვესტიციები მთელ მსოფლიოში უშუალოდ საკუთარი პერსონალური კომპიუტერიდან. ამგვარად წარმოიქმნა ინვესტიციათა ერთიანი მსოფლიო ბაზარი, რომელიც მგრძნობიარედ რეაგირებს ახალ ეკონომიკურ სიტუაციას და ცვლილებებზე.

6. სამუშაო ძალის გლობალიზაცია

ლიბერალური იდეოლოგიის გავლენით, ინსტიტუტების და მოხმარების გლობალიზაციით ბოლო წლებში სწრაფად ვითარდება შრომის ბაზრების გლობალიზაცია. აზიასა და აფრიკაში ადამიანები უყურებენ პროვინციული ტელევიზიით ფილმებს ამერიკულ-ევროპულ ბედნიერ ცხოვრებაზე, ტრანსპორტის ღირებულება კი მკვეთრად დაბალია და თვითმფრინავზე ბილეთის ყიდვა ღარიბსაც შეუძლია. მექსიკიდან აშშ-ში და აღმოსავლეთ ევროპიდან დასავლეთში ფეხითაც კი შეიძლება გადასვლა. გადაკვეთ საზღვარს და მესამე სამყაროდან პირველში აღმოჩნდები, სადაც შემოსავლები 10-20-ჯერ მაღალია. ყოველივე ეს მძლავრ წანამძღვრებს ქმნის სამუშაო ძალის მოძრაობისათვის. დღეს ამერიკელთა 10%-ს იმიგრანტები შეადგენენ, თუ არ ჩავთვლით იქ არალეგალურად მცხოვრებ 3-4 მლნ უცხოელს.

საუკუნის დამდეგის მიგრაციისაგან განსხვავებით, თანამედროვე ლტოლვილი საჭიროებს მნიშვნელოვან დანახარჯებს კვალიფიკაციის შეცვლასთან დაკავშირებით. დღევანდელი იმიგრანტები გამოირჩევიან განათლების დონის მიხედვით. უხეშად რომ ვთქვათ, ან ისინი ზედმიწევნით განათლებულნი არიან, აქვთ საუნივერსიტეტო ცოდნა, ან ძლივს ახერხებენ თვლას. საშუალო პრაქტიკულად არ არსებობს. იაფი მუშახელი მესამე სამყაროს ქვეყნებში და იმიგრანტები უმძლავრეს კონკურენციას უწევენ არაკვალიფიციურ მუშებს პირველი სამყაროს ქვეყნებში. ეს იწვევს მათი შემოსავლების შედარებით დაწევას და სოციალური დაძაბულობის ზრდას.

განვითარებული ქვეყნები ჯერჯერობით კეთილგანწყობილნი არიან ყოფილი სოციალისტური ქვეყნებიდან „ტვინების გადაქაჩვის“ მიმართ. თუმცაღა, მიწოდების თანდათანობითმა ზრდამ შეიძლება მიგვიყვანოს ფასების დაცემამდე და კვალიფიციური სამუშაო ძალის შემცირებამდე. ამასთანავე, ინტერნეტის განვითარებასთან ერთად გაჩნდა ღარიბი ქვეყენების

კვალიფიციური სამუშაო ძალის გამოყენების შესაძლებლობა სამეცნიერო კვლევებსა და საპროექტო სამუშაოებში კომპიუტერული ქსელის გამოყენებით, ქვეყნიდან გაუმგზავრებლად.

ტრანსპორტის სიიაფისა და ასევე, ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების გამო სამუშაო ძალამ შეიძინა მაღალი მობილურობა. ჩამოყალიბდა გლობალური შრომის ბაზრის კონტური. ამასთან, თანამედროვე პირობებში საჭიროა ცალ-ცალკე განვიხილოთ კვალიფიციური და არაკვალიფიციური შრომის ბაზრები.

7. მეცნიერების და ინოვაციების გლობალიზაცია

მეცნიერება, როგორც შემოქმედებითი მოღვაწეობის სფერო, ყოველთვის გლობალური იყო. ლეგენდები გენიალურ მარტოსულ მეცნიერებზე მხოლოდ ლამაზი მითია. მეცნიერი საჭიროებს სამეცნიერო გარემოს და სხვა მეცნიერებთან ურთიერთობის გარეშე ეფექტიანად მუშაობა არ შეუძლია. ცოდნა შეიძლება დაიბადოს მხოლოდ ინფორმაციიდან და ცოდნიდან. ამიტომ მეცნიერს აუცილებლად სჭირდება საინფორმაციო გარემო და სამეცნიერო საზოგადოება, რომელსაც უნარი ექნება მიმართულება მისცეს, განიხილოს და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, შეაფასოს მისი მიღწევები. საბოლოო ჯამში სამეცნიერო წრეში სახელის და გავლენის მოპოვებით მეცნიერი ზოგჯერ თავისი ქვეცნობიერის დონეზე ახერხებს მისი მძიმე და ჩვეულებრივ არცთუ მაღალანაზღაურებადი შრომის მოტივაციას.

თუმცა მხოლოდ XX ს-ის მეორე ნახევარში გახდა მეცნიერება წარმოების ახალი ცოდნისა და ტექნოლოგიების დარგი. ამჟამად სამეცნიერო და ტექნოლოგიური ინოვაციები გახდა წარმოების ზრდის საფუძველი და კომპანიის კონკურენტუნარიანობის ძირითადი ელემენტი. სახელმწიფო და კორპორაციები იბრძვიან საუკეთესო სამეცნიერო ძალების მისაზიდად. წამყვანი სახელმწიფოები საკმაოდ გულუხვად ახდენენ არა მარტო ტექნოლოგიური კვლევების ასიგნებას, არამედ ფუნდამენტური მეცნიერებისაც და, უბრალოდ, მეცნიერთა ურთიერთობასაც კი კონფერენციების, სიმპოზიუმების და ა. შ. სახით. ხომ ცნობილია, რომ ქვეყნის ეკონომიკის ზრდა მით უფრო წარმატებულია, რაც უფრო მეტ წილს ხარჯავს იგი მშპ-დან მეცნიერებაზე.

ამჟამად მეცნიერების ძირითად დარგებში ჩამოყალიბდა მძლავრი ცენტრები სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, უნივერსიტეტების, სამეცნიერო ფონდების და ტეკ-ების კვლევითი ცენტრების ბაზაზე. მსოფლიოში მეცნიერთა გადაადგილება გახდა თავისუფალი. სხვაობა განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების შემოსავალში ისე მუშაობს, როგორც ტუმბო, ოღონდ ამჯერად „ტვინთა გადასაქაჩად“. ინტერნეტი ქმნის პირობებს იდეებისა და ინოვაციების გაცვლის გასაძლიერებლად, ასევე, უცხოელ მეცნიერთა გამოყენების შესაძლებლობებს მათი ფიზიკური გადაადგი-

ლების გარეშე. ეს გარემოება უკვე ახლოეს მომავალში მნიშვნელოვნად შეცვლის მეცნიერების გლობალიზაციის ხასიათს.

დღეს მეცნიერება და ინოვაცია ქმნის ერთიან გლობალურ კომპლექსს, რომელშიც ახალი იდეები და აღმოჩენები, მიუხედავად შეზღუდვებისა და აკრძალვებისა, საკმაოდ სწრაფად ხდება მსოფლიო მეცნიერების კუთვნილება და საყოველთაო სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის გაძლიერების ფაქტორი. სამუშაო ძალის, ინოვაციების, კაპიტალის, მომსახურების, საქონლის მეგაბაზრებს ცალკეული თავები ეძღვნება.

8. ეკოლოგიური გლობალიზაცია

ბუნებრივ გარემოს გააჩნია წონასწორობის შენარჩუნების საკმაოდ განსხვავებული მექანიზმები. თუმცა ბოლო წლების მძლავრი ანთროპოგენური ზემოქმედება იმდენად დიდია თავისი მასშტაბებით, რომ ბუნებრივი კომპენსატორული მექანიზმები არასაკმარისი აღმოჩნდება. კაცობრიობამ ან უნდა შეამციროს თავისი ნეგატიური ზემოქმედება ბუნებაზე, ან გააძლიეროს ბუნებრივი კომპენსატორული მექანიზმები ხელოვნურთა ხარჯზე. ამ სფეროში შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე განსაკუთრებით მწვავე გლობალური პრობლემა, რომელთა გადაწყვეტა კაცობრიობისათვის აუცილებელია, რათა იგი გადარჩეს. ამის უზრუნველყოფა კი შესაძლებელია მხოლოდ მთელი მსოფლიო თანამეგობრობის ძალისხმევით. ძათ შორისაა — დედამიწის კლიმატის გლობალური ცვლილებები, ოზონის ფენის გათხელება და ოზონის ხვრელები, სურსათის გლობალური უკმარისობა, ტყეების გაჩეხვა და კაცობრიობის ჟანგბადით შიმშილი, სახიფათო დემოგრაფიული ზრდა, მსოფლიო ომის საფრთხე, ლოკალური ბირთვული კონფლიქტები, რომელსაც კატასტროფული ეკოლოგიური შედეგები მოაქვს მთელი მსოფლიოსათვის. კაცობრიობა ვერ მოახერხებს ხანგრძლივი და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფას, თუკი ვერ შეძლებს უკუკავშირის საიმედო კონტურების შექმნას, რომლებიც გააკონტროლებდა პლანეტარული მასშტაბით ეკოლოგიური და სოციალური პროცესების განვითარებას, ასევე, კომპენსატორული ზემოქმედების ეკონომიკური მექანიზმების შექმნას, რომლებიც ნეგატიური ტენდენციების განვითარებას წინ აღუდგებოდა.

მეგაეკონომიკის ეკოლოგიურ და სოციალურ პრობლემებს, რომლებიც ახლახან აღვწერეთ ზოგად შტრიხებში, IV განყოფილება ეძღვნება.

9. კვლავწარმოებითი პროცესების გლობალიზაცია

კვლავწარმოებითი პროცესების გლობალიზაციის ძირითად ფაქტორს ტრანსეროვნული კორპორაციები წარმოადგენენ, რომლებიც მათ ნაწილებს და სტადიებს განათავსებენ სხვადასხვა ქვეყნის ტერიტორიებზე. ისინი

აგრეთვე წარმოქმნიან კვლავწარმოებათა კონტურს, რომელსაც თვითრეგულირების თვისებები გააჩნია. თუკი დედამიწის სფეროს რომელიღაც წერტილში იქმნება ხელსაყრელი პირობები კვლავწარმოებითი პროცესის (გადასახადების, ხარისხის, სამუშაო ძალის ფასის და ა. შ. მიხედვით) რაიმე ნაწილისათვის, მაშინ ტრანსეროვნული კაპიტალი სასწრაფოდ იყენებს ამ უპირატესობებს და გადააქვს იქ კვლავწარმოებითი პროცესის შესაბამისი ელემენტები. ტეკ-ების კონტური მჭიდროდ ურთიერთმოქმედებს სხვა ზემოაღნიშნულ კონტურებთან. მეგაეკონომიკაში ტრანსნაციონალიზაციის პრობლემები განხილულია მე-6 თავში.

ამგვარად, აქ შერჩეულია მეგაეკონომიკის ძირითადი განყოფილებები, რომლებიც შემდგომ თავებში იქნება აღწერილი.

ახლა შევაჯამოთ ის, რაზეც ვისაუბრეთ.

1. ნებისმიერ რთულ სისტემას გააჩნია თვითრეგულაციის ანუ ჰომეოსტაზისის თვისება, ე. ი. ყოველ გარე ზემოქმედებაზე იგი გამოიმუშავებს მისთვის განსაზღვრულ საკომპენსაციო რეაქციას. სწორედ ეს თვისება აძლევს მას ერთიან სისტემად დარჩენის საშუალებას. ბაზარი თავისთავად წარმოადგენს ეკონომიკური ევოლუციის შედეგად შექმნილ ეკონომიკურ სისტემათა თვითრეგულაციის მექანიზმს.

2. გლობალიზაციის პროცესების ზეგავლენით XX ს-ის 70-იან წლებში მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში მოხდა თვისებრივი ნახტომი და იგი ურთიერთმოქმედი ეროვნული ეკონომიკების ერთობლიობიდან გადაიქცა ერთიან პლანეტარულ ეკონომიკურ ორგანიზმად — მეგაეკონომიკად.

3. მეგაეკონომიკის წარმოშობის ძირითადი წანამძღვრები: განვითარებულ ქვეყანათა გადასვლა საინფორმაციო, პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაზე, რომელშიც მოსახლეობის უმეტესი ნაწილი დასაქმებულია მომსახურებით და, კერძოდ, საინფორმაციო მოღვაწეობით; დამოუკიდებელი ტრანსეროვნული კაპიტალის ჩამოყალიბება, რომელიც გამოვიდა ეროვნულ სახელმწიფოთა იურისდიქციიდან და გახდა მსოფლიო ეკონომიკის ძირითადი სუბიექტი; გლობალიზაციის ტექნოლოგიის განვითარება, რომელიც უზრუნველყოფს მეგაეკონომიკის უკუკავშირის კონტურების მუშაობას.

4. მეგაეკონომიკის ერთიანობას უზრუნველყოფს თვითრეგულირების ათი ძირითადი კონტური: გლობალური მასშტაბით მოქმედი იდეოლოგიის სფერო, ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტები, საქონლის, ფინანსური და საინვესტიციო, სამუშაო ძალის, ინოვაციების ბაზრები, ეკოლოგიურ პრობლემათა სფერო და ტრანსეროვნული ეკონომიკა.

თავი 4

მსოფლიო მეურნეობის სუბიექტები და შრომის საერთაშორისო დანაწილება

მსოფლიო მეურნეობის თანამედროვე სტრუქტურა. მეგაეკონომიკის თანამედროვე მოთამაშენი. როგორ ნაწილდება ქვეყნებს შორის მსოფლიო სიმდიდრე? „ოქროს მილიარდი“. როგორაა მოწყობილი მეგაეკონომიკა? ძვირფასი მომსახურების გაცვლა იაფ საქონელზე. დებიტორები და კრედიტორები მსოფლიო ეკონომიკაში. ცენტრი და პერიფერია. „ჩრდილოეთ-სამხრეთის“ პრობლემა. საქონლის და ფინანსების წრებრუნვა

იმისგან დამოუკიდებლად, ქრისტე იყო თუ არა ღმერთი, შეუძლებელია არ ვაღიაროთ, რომ იგი პირველი პოლიტეკონომი იყო.

ბ. შოუ

წინა თავში მეგაეკონომიკა განიხილებოდა, როგორც ერთიანი თვითრეგულირებადი სისტემა. ამ ერთიან ორგანიზმში თვითრეგულაციის კონტურები ნერვული სისტემის როლს თამაშობს. მაგრამ, როგორც ცნობილია, ორგანიზმი მხოლოდ ნერვებისგან როდი შედგება. მეგაეკონომიკის სისხლი და ხორცი საწარმოები, საქონელი და ფინანსური ნაკადებია. ამ თავში შევეცდებით მეგაეკონომიკას შევხედოთ სხვა მხრიდან, განვიხილავთ მის შემადგენელ ნაწილებს და მათ ურთიერთმოქმედებას, საქონლის და ფინანსების წრებრუნვას. შევეცდებით გავხსნათ მეგაეკონომიკის შიდა მოწყობილობა, ე. ი. ის ეკონომიკური მსოფლიო, რომელშიც ჩვენ ცხოვრება გვიწერია. თანამედროვე მსოფლიომოწყობა ძალზე საოცარია — ზოგიერთ ხალხებს იგი კეთილდღეობასა და აყვავებას სთავაზობს, სხვებს კი სიღარიბისა და სიღატაკისთვის სწირავს. ბევრს იგი უსამართლოდ ეჩვენება, მაგრამ თავისებურად იგი სრულყოფილია. მასში ყველა შემადგენელი ნაწილი ურთიერთდაკავშირებულია ურთულესი ეკონომიკური მექანიზმებით და თითოეული მათგანი თავის ადგილზე თავის ფუნქციას ასრულებს. იგი ძალაუფლებისათვის ბრძოლაზეა დაფუძნებული, მაგრამ, მუშაობს რო-

გორც მთლიანი. იგი მუდმივ საბეცვლილებას განიცდის, მაგრამ მისი არსი უცვლელი რჩება. შესაძლებელია იგი ღმერთმა შექმნა ისევე, როგორც ძალაუფლებისა და ეკონომიკური ევოლუციისათვის ბრძოლა. თუმცა ქრისტე, ბერნარდ შოუს მოსწრებული გამოთქმის არ იყოს, პირველი კლასის პოლიტეკონომი აღმოჩნდა, ვინაიდან მის მორწმუნე ხალხებს შესანიშნავი იდეოლოგიური იარაღი მისცა, რათა თანამედროვე მსოფლიომოწყობაში მოწინავე ადგილები დაეკავებინათ.

4.1. მეგაეკონომიკის მოთამაშენი

როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, *მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ძირითადი ზამბარა — ესაა ორი უდიდესი ინსტიტუტის ბრძოლა, რომელიც კაცობრიობას შეუქმნია: სახელმწიფოს და ბაზრის.* უფრო სწორად რომ ვთქვათ, ესაა იმ ძალთა ბრძოლა, რომლებიც ამ ინსტიტუტების უკან დგას, კონკრეტულ ადამიანთა და ჯგუფთა ბრძოლა, რომლებიც თავის მიზანს — ძალაუფლების გაფართოებას აღწევენ ან სახელმწიფოს, ან საბაზრო მექანიზმების, ძირითადად კი ფულზე ძალაუფლების საშუალებით.

მეგაეკონომიკაში *თავად ფულის როლი არსებითად შეიცვალა.* პოლიტეკონომიიის კურსიდან ცნობილია, რომ ფული სამ ძირითად ფუნქციას ასრულებს: იგი ღირებულების ზომაა, ბრუნვის და დაგროვების საშუალებაა. კლასიკურ პოლიტეკონომიაში ფული მიზნის მიღწევას ემსახურება, მაგრამ თავად მიზანს არ წარმოადგენს. იგი გაცვლისათვის გამოიყენება და საცვლელი ღირებულება გააჩნია, მაგრამ საკუთარი ღირებულება არ გააჩნია. მართლაც, ადრე ასე იყო. ფული ძალზე მნიშვნელოვნი, თუმცა მაინც დამხმარე ვირტუალური ინსტრუმენტი იყო, რომელიც ჭეშმარიტი ფასეულობების და ძალაუფლება-გავლენის მისაღწევად იყო აუცილებელი. მეგაეკონომიკურ მსოფლიოსა და საინფორმაციო საზოგადოებაში ფასეულობათა სულ უფრო მეტი რიცხვი ხდება ვირტუალური. ტრადიციები, საუკუნეობრივი წეს-ჩვეულებები და ადრე ურყევი მორალური ფასეულობანი თავის ადრინდელ ძალაუფლებას სწრაფი გარდაქმნების პირობებში კარგავს, ხოლო ვირტუალური საცვლელი ფასეულობები თანდათანობით ჭეშმარიტს ცვლის. ფული სულ უფრო ხშირად წარმატების ერთადერთ საზომად გამოდის. იგი ძალაუფლების ძირითადი წყარო ხდება და რამდენადაც ძალაუფლება თვითმიზანს წარმოადგენს, იმდენად თვითმიზანი და დამოუკიდებელი ფასეულობა ფული ხდება.

ამგვარად, თანამედროვე მსოფლიომოწყობის დროს ფული ჭარბი ფასეულობა გახდა, ხოლო ფულისა და მოგებისათვის დევნა უზარმაზარი რაოდენობის ეკონომიკურად აქტიურ ადამიანთა ცხოვრების მიზნად იქცა. თუკი ჯერ კიდევ 10-20 წლის წინ იაპონიაში, კორეასა და სხვა ქვეყნებში პირად ურთიერთობებს მოგებასთან შედარებით უპირატესობა ენიჭებო-

და, ხოლო სოციალიზმის ქვეყნებში ფული და მოგება საერთოდ მეორეხარისხოვან ფაქტორებად ითვლებოდა, ახლა, კომუნიზმის და 90-იანი წლების მსოფლიო ფინანსური კრახის შემდეგ, ფული და მოგება საყოველთაო თვითკმარ ფასეულობებად იქცა. „ახლა ადამიანთა ცხოვრებას ფული უფრო მეტად მართავს, ვიდრე ოდესმე სხვა დროს" — ამტკიცებს ცნობილი ფინანსისტი და მეცნიერი ჯ. სოროსი. აი, მან კი იცის ფულის ყადრი და მისთვის ბრძოლა!

თუკი ადრე საწარმოთა კერძო მფლობელები ხშირად არა მხოლოდ მოგების, არამედ სხვა მიზნებით ხელმძღვანელობდნენ, ამჟამად მსხვილი სააქციო კორპორაციების, მათი აქციონერების და მენეჯერების მიზანი მხოლოდ მოგებაა. თუკი ადრე ბევრი მეწარმე და მენეჯერი იმდენად თვითდარწმუნებული იყო, რომ შეეძლო სხვა მოტივებით ეხელმძღვანელა, მაგალითად, ალტრუისტული ან ეროვნული, როგორც გერმანიაში, ახლა ამგვარი მეწარმენი მოგების დევნის საერთო წესიდან იშვიათ გამონაკლისს თუ წარმოადგენენ.

აქციონერები დივიდენდებით და კომპანიის საბაზრო ღირებულების ზრდით არიან დაინტერესებული, ხოლო ერთიც და მეორეც მოგებასთან პირდაპირ კავშირშია. ტეკ-ის მენეჯერის წარმატების ერთადერთი საზომი, მისი საქმიანობის უნივერსალური კრიტერიუმი, მოგება ხდება. ამიტომ დღეს ტრანსეროვნული კაპიტალი ბევრად მეტად, ვიდრე მისი ეროვნული წინამორბედები, თავისთავად ფულის სრულ ძალაუფლებას ასახავს და მისი განვითარების თვითმიზანი ხდება.

თვით ეროვნული სახელმწიფოებიც კი თავის ძალაუფლებას სულ უფრო უკავშირებენ არა მათთვის ტრადიციულ ძალისმიერ მეთოდებს, არამედ ფინანსურ სიძლიერეს. სახელმწიფოს ძალა ნაპოლეონის დროის „დიდი ბატალიონები" და საბჭოთა „იმპერიის" სატანკო არმიები კი არაა, არამედ ეროვნული ვალუტის მდგრადობა და დიდი მშპ.

კაპიტალის ძალაუფლება შესაძლოა ნაკლებად რომანტიკულია და ხშირად იქნებ ცინიკურიც კი, მაგრამ სამაგიეროდ იგი მიღწევადია და თითქმის ყოველთვის მშვიდობიანი და უსისხლო მეთოდებით ხორციელდება. ტრანსეროვნული კაპიტალი ომებისა და ღია კონფლიქტებისადმი მიდრეკილი არაა, იგი მისთვის საჭირო ტერიტორიებს და რესურსებს იპყრობს, საწარმოებს ნთქავს, აქციებს ყიდულობს, მთავრობის ჩინოვნიკებს მოისყიდის. ასე რომ, მთელი თავისი ცინიზმით მისი ძალაუფლება და ბრძოლის მეთოდები, სახელმწიფოსთან შედარებით, ფორმით ბევრად უფრო ჰუმანურია.

ამგვარად, მეგაეკონომიკის წარმოშობასთან ერთად ძალაუფლებისათვის ბრძოლა ძირითადად ფინანსების სფეროში გადაინაცვლებს და ძირითად აქტიორებად, ე. ი. ბრძოლის მოქმედ პირებად ეროვნული სახელმწიფოები და ტრანსეროვნული კაპიტალი იქცევიან.

მსოფლიო ეკონომიკაში ეროვნულ სახელმწიფოებთან ერთად და თანასწორად სხვა *სუბიექტებიც მოქმედებენ, რომელთა შორის ტრანსეროვნული კაპიტალი ძირითად როლს თამაშობს; ასევე, აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო ორგანიზაციებიც (სსფ, მსოფლიო ბანკი, იუნესკო, FAO, ILO, WTO, „დიდი შვიდეული G-7“), მათ გარდა, დაახლოებით 60 რეგიონალური ორგანიზაცია და ბლოკი (EC, NAФTA და სხვ.), არასამთავრობო ორგანიზაციები („მწვანეთა“ მოძრაობა, „ექიმები უსაზღვრებოდ“ და სხვ.), მსხვილი ქალაქები (ლონდონი, ნიუ-იორკი, ტოკიო, პარიზი, მოსკოვი და სხვ.), ცალკეული ინდივიდები (მეცნიერები, არტისტები, ჯ. სოროსის და ბ. გეიტსის ტიპის ბიზნესმენები).* მსოფლიო საზოგადოებრიობამ ახალი რეალობები უკვე გააცნობიერა. ასე მაგალითად, ამერიკული სტენლის ფონდის 27-ე კონფერენციის განცხადებაში ნათქვამია: „ცვლილებები (მსოფლიოში) იმდენად დიდია, რომ, მონაწილეთა აზრით, თვით მსოფლიო პოლიტიკური წესის ისტორიული საფუძველი — სუვერენული სახელმწიფოს კონცეფცია — სერიოზულადაა შერყეული“.

ახლა სახელმწიფოებს ძალაუფლების გაყოფა ტრანსეროვნულ კაპიტალსა და სხვა მოთამაშეებს შორის უხდება. ამასთან, როგორც სახელმწიფო, ასევე ტრანსეროვნული კაპიტალი მოსახლეობის მხარდაჭერის მოპოვებას ცდილობს, რაც მართვის დემოკრატიული რეჟიმის პირობებში არანაკლებ მნიშვნელოვანია უმეტეს განვითარებულ ქვეყნებში. ამასთან, მოსახლეობა, როგორც მომხმარებელი, მიდრეკილია ტრანსეროვნულ კაპიტალს დაუჭიროს მხარი, ვინაიდან იგი აძლევს საქონელს უფრო იაფი ფასებით და ცდილობს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ლიბერალიზებას, ხოლო, როგორც მწარმოებელი, იგი ეროვნული სახელმწიფოების მხარეზე დგას, რომლებიც შიდა ბაზარს იცავენ და პროტექციონისტულ ზომებს ღებულობენ (ტარიფები, კვოტები) თავის საწარმოთა მხარდასაჭერად.

4.2. სახელმწიფოები მეგაეკონომიკაში

სახელმწიფოები ძირითად მოთამაშეებად რჩებიან თანამედროვე ეკონომიკის „მსოფლიო ჭადრაკის დაფაზე“. ისინი ყველა აუცილებელ კომპონენტს ფლობენ ეკონომიკური ძალაუფლებისათვის ბრძოლაში — ფინანსურიდან და ინფორმაციულიდან ძალისმიერამდე.

რა თქმა უნდა, სახელმწიფოები არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავისი ეკონომიკური და სამხედრო ძლიერებით, მსოფლიო ეკონომიკაში როლით, საგარეო პოლიტიკითა და ორგანიზაციების მოდელებით. ისინი თავის საგარეოეკონომიკურ გარემოსა და მსოფლიო ბაზრებზე ცდილობენ გავლენის მოხდენას. ჩვენ ქვეყანაში ბევრს ჩამოუყალიბდა მსოფლიო ბაზრებისა და ფასებისადმი მოკრძალებული დამოკიდებულება. რო-

ცა ამბობენ: ასეთია მსოფლიო ფასები, ობივატელის ცნობიერებაში რაღაც აბსოლუტი, ურყევი და ზემოქმედებას მოკლებული რამ ჩნდება. ჩვენ ხშირად მსოფლიო ფასებს ვეყრდნობით, როგორც რაღაც მკაფიო და უცვლელ საბაზრო ორიენტირებს, რომელიც მსოფლიო ბაზრის მიერაა დადგენილი. სინამდვილეში ეკონომიკურ გარემოში სწორედ მსოფლიო ბაზარი არის ყველაზე უფრო სწრაფადცვალებადი. მასზე ფასების მერყეობა უზარმაზარია და მნიშვნელოვნად აჭარბებს განვითარებულ ქვეყნებში იმავე საქონელზე ფასების მერყეობას. მსოფლიო ბაზარი არასტაბილურობის მუდმივი წყაროა, ამიტომ სახელმწიფოები შიდა ბაზრებს უპირველეს ყოვლისა მისი მკვეთრი რხევებისგან იცავენ. თანამედროვე ეკონომიკას განვითარებული ქვეყნების კარგად რეგულირებად შიდა ბაზრებთან და თავისუფალ, არავის მიერ რეგულირებად და ამიტომ არასტაბილურ მსოფლიო ბაზართან აქვს საქმე.

რეგულირების რა *ეკონომიკური მექანიზმები* აქვს სახელმწიფოებს ხელში, როგორც მეგაეკონომიკის სუბიექტებს?

საგარეო ეკონომიკურ გარემოზე, საქონლის მსოფლიო ბაზრებსა და კაპიტალზე ზემოქმედებისათვის სახელმწიფოებს შემდეგი *ძირითადი ინსტრუმენტები* გააჩნია:

1. საიმპორტო და საექსპორტო ბაჟი. ამ ბაჟთა დონეების მიხედვით სახელმწიფოები იყოფა თავისუფალი ვაჭრობის პრინციპების — „ფრიტრეიდერობის“ და პროტექციონიზმის მიმდევრებად.

2. არასატარიფო საგარეო ეკონომიკური რეგულირების მეთოდები.

ვინაიდან დღეს ღია პროტექციონიზმის ზრდა საზოგადოების, გავლენიანი ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების, უპირველეს ყოვლისა კი, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წინააღმდეგობას აწყდება, ბევრი ქვეყანა შიდა ბაზრის დაცვის სხვადასხვაგვარი მიჩქმალული ზომების გამოყენებაზე გადადის. მაგალითად, სანიტარიული და ეკოლოგიური მოთხოვნები შემოტანილ პროდუქციაზე მკაცრდება, დგინდება ფარული კვოტები. მაგალითად, არ არსებობს საერთაშორისო დონეზე ცნობილი ფორმალური საფუძველი საბაჟო წესის შემოსაღებად, რომელიც ვთქვათ, ქათმის ბარკლების შემოტანას განსაზღვრავს რუსეთში მხოლოდ პარასკეობით 3-დან დილის 5 საათამდე შორეული აღმოსავლეთის პორტ ნახოდკადან. რა თქმა უნდა, ეს გროტესკული მაგალითია, მაგრამ იგი გვიჩვენებს, როგორ შეიძლება შეიზღუდოს კონკურენტთა პროდუქციის შემოტანა ისე, რომ სატარიფო დაცვის ზომებს არ მივმართოთ.

3. საგადასახადო პოლიტიკა. სხვადასხვა საგადასახადო ბაჟის დაწესების გზით სახელმწიფოს შეუძლია აქტიურად იმოქმედოს როგორც საქონლის ნაკადებზე, ისე კაპიტალის გადაადგილებაზე. მაგალითად, უმეტესი სახელმწიფოს საგადასახადო პრაქტიკაში არსებობს ექსპორტის გან-

თავისუფლება დამატებითი ღირებულების (დღგ) გადასახადიდან. ამ წესზე უარის თქმის გამო დსთ-ის ქვეყნებში რუსეთის საქონლის ექსპორტის დროს არახელსაყრელი გარემოება იქმნება თანამეგობრობის ქვეყნების ბაზრებზე რუსეთის არსებობისთვის. მეორე მაგალითი: საგადასახადო პრეფერენციები პირდაპირი ინვესტიციებისათვის ეროვნულ ამოცანათა გადასაწყვეტად ტრანსეროვნული კაპიტალის მიზიდვის კლასიკური მაგალითია.

4. სავალუტო კურსის პოლიტიკა. სახელმწიფოს ეროვნული ვალუტის კურსის რეგულირების რიგი ქმედითი ინსტრუმენტები გააჩნია. მათ ხელში, უფრო სწორად კი, ცენტრალური ბანკების, რომლებიც ხშირად ინარჩუნებენ შედარებით დამოუკიდებლობას, ისეთი მძლავრი ინსტრუმენტი აქვთ, როგორიცაა სავალუტო ემისია, ხალხურ მეტყველებაში ფულის ბეჭდვას რომ ეძახიან. ბუნებრივია, ემისიას ინფლაციამდე და დევალვაციამდე შეუძლია მიგვიყვანოს, ე. ი. ეროვნული ვალუტის კურსის დაცემასთან. გასული ფინანსური კრიზისის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ სატარიფო პროტექციონისტულ ზომებზე უკეთ შიდა ბაზრის დაცვა დევალვაციას შეუძლია.

5. სავალუტო რეგულირება თავისთავად წესების და საბაჟო რეჟიმების ნაკრებს წარმოადგენს, რომლის მიხედვითაც კაპიტალი შეიძლება შემოვიდეს და ქვეყნიდან გავიდეს როგორც ფულადი ფორმით, ისე სხვა აქტივების ფორმით. კაპიტალის გაპარვა უმრავლესი განვითარებადი ქვეყნის უბედურებას წარმოადგენს და მათ ამ გაპარვის შესამცირებლად უამრავი საშუალება მოიგონეს, თუმცა მათ შორის საკმარისად ეფექტიანი მაინც ვერ იპოვეს. როგორც ბიზნესმენები ამბობენ, კაპიტალი, მშიშარა ფურირემის მსგავსად, ყოველი საფრთხის დროს გარბის. იმისათვის, რომ ეს გაპარვა (გაქცევა) შევაჩეროთ, უპირველეს ყოვლისა, მისი მშვიდი განვითარებისათვის საჭიროა პირობების შექმნა, ყოველგვარი აკრძალვებით იგი არ უნდა შევაშინოთ, მით უმეტეს საკონფისკაციო ზომებით.

6. რეფინანსირების განაკვეთები, სასესხო პროცენტი ან საღრიცხვო განაკვეთი. კაპიტალების ბაზრებზე საკმაოდ ქმედითად შეუძლია სახელმწიფოს გავლენის მოხდენა, ასწევს ან დასწევს განაკვეთებს, გასცემს კრედიტებს ან იღებს სესხს. მაგალითად, 80-იანი წლების დამდეგს აშშ-ში სააღიცხვო განაკვეთების აწევამ გამოიწვია სხვა ქვეყნებიდან სასესხო კაპიტალების უზარმაზარი მოდინება, რამაც დაახლოებით 420 მლრდ დოლარი შეადგინა, ანუ აშშ-ის შიდა ინვესტიციების 22%-ზე მეტი ამ პერიოდის განმავლობაში. სასესხო პროცენტს კაპიტალთა გამოყენების მიმართულების შეცვლა შეუძლია. მაგალითად, 2000 წელს აშშ-ში სასესხო პროცენტი იმისათვის ასწიეს, რომ ჭარბად გადახურებული საფონდო ბაზრიდან დაძაბულობა მოეხსნათ და იქიდან კაპიტალის ნაწილი გადაეტანათ.

სახელმწიფო ყველა ზემოთ დასახელებულ ზომებს კომპლექსურად უნდა იყენებდეს, ვინაიდან ისინი ურთიერთდაკავშირებულია და შეუძლია ერთმანეთის მოქმედება გააძლიეროს ან შეასუსტოს.

რეგულირების ინსტრუმენტები მძლავრი განვითარებული ქვეყნების და სუსტი განვითარებადი ქვეყნების ხელში სხვადასხვა როლს თამაშობს. იგივე ემისია, რომელიც აშშ-ის ეკონომიკურ სიმძლავრესა და დოლარის ავტორიტეტს ეყრდნობა, საშუალებას აძლევს ქვეყანას მიიღოს მყარი საემისიო შემოსავალი და ინფლაციამდე არ მიჰყავს იგი თვით არსებული ფულადი მასის (აგრეგატი M2) ისეთი დამოკიდებულების დროსაც, როცა მშპ 120%-ია. იმავდროულად, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთში ეს მაჩვენებელი სულ 15-20%-ის ტოლია, ქვეყანა ინფლაციის მუდმივი საფრთხის ქვეშ ცხოვრობს და ემისიის გახსენებაც კი ზარავს, ვინაიდან ქვეყანა სუსტია და მისდამი ნდობა ღირსსახსოვარი 1998 წლის კრიზისის შემდეგ ჯერჯერობით არ აღდგენილა.

დამოუკიდებელი ტრანსეროვნული კაპიტალის და მეგაეკონომიკის წარმოშობისა და განვითარების დროს შესამჩნევი გახდა ერთი საინტერესო, პარადოქსული ტენდენცია. ქვეყანათა ეკონომიკური ბლოკების გაერთიანებისკენ თითქმის საყოველთაო სწრაფვის დროს აღმოჩნდა, რომ მეგაეკონომიკაში, სადაც მსხვილ სახელმწიფოთა ძალისმიერი შესაძლებლობები ტრანსეროვნული კაპიტალით და საერთაშორისო ორგანიზაციების მფარველობით წონასწორდება, პატარა ქვეყნებს თავი ეკონომიკურად შესანიშნავად შეუძლიათ იგრძნონ. წარმოების მასშტაბების ეფექტი ერთი ქვეყნის ჩარჩოებში ტრანსეროვნული წარმოების შესაძლებლობებით ამჟამად იოლად კომპენსირდება, ხოლო ტრანსეროვნული ინტეგრაცია სავსებით ცვლის შიდაეროვნულს. ვინაიდან თანამედროვე პირობებში ეროვნული უსაფრთხოების პრობლემები მძაფრად აღარ დგას, პატარა ქვეყნები რაღაც უპირატესობებსაც კი იძენენ, რადგან შესაძლებლობა აქვთ ეკონომიკური პოლიტიკა მოქნილად ცვალონ და მსხვილ ქვეყნებსა და ტრანსეროვნულ ძალებს შორის წინააღმდეგობებზე ითამაშონ. ბევრი ქვეყნისათვის ფრიად ხელსაყრელია იყოს პატარა, დამოუკიდებელი და ეკონომიკურად უზრუნველყოფილი, ვიდრე მსხვილი, მაგრამ ღარიბი სახელმწიფოს ნაწილად დარჩეს. აქედან შესამჩნევი სეპარატისტული ტენდენციები წარმოიშვა, რომელიც განსაკუთრებით გამოვლინდა აღმოსავლეთ ევროპაში ყოფილი სოციალისტური ქვეყნების დაშლის დროს. მცირე, მაგრამ მდიდარი ქვეყნების მაგალითები, ისეთების, როგორებიცაა სინგაპური, ისრაელი, ჰონკონგი და სხვები, პატარა ქვეყნებს დამოუკიდებელი განვითარებისაკენ უბიძგებს.

4.3. ტრანსეროვნული კაპიტალი და მისი მოკავშირეები

ტრანსეროვნული კაპიტალი მეგაეკონომიკის წარმოშობის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. დღესდღეობით ძირითადად უკვე ჩამოყალიბდა საკმაოდ თავისებური *მსოფლიომოწყობის სისტემა*, რომლის დროსაც ტრანსეროვნული კორპორაციები მსოფლიო სამრეწველო წარმოების დაახლოებით ნახევარს აკონტროლებენ.

მსოფლიო სამეურნეო სისტემის ბირთვს დაახლოებით 500 ტეკ შეადგენს, რომლებმაც პრაქტიკულად განუსაზღვრელ ეკონომიკურ ძალაუფლებას მოუყარეს თავი. ამასთან, განვითარებული ქვეყნების ყოველ დარგში სულ 2-3 სუპერგიგანტს უკავია გაბატონებული მდგომარეობა, რომლებიც ყველა ქვეყნის ბაზრებზე ერთმანეთს უწევენ კონკურენციას.

ჟურნალ „ეკონომისტის" შეფასებით, ხანგრძლივი გამოყენების საქონლის მსოფლიო წარმოების ნახევარზე მეტს ხუთი უმსხვილესი ტეკ აკონტროლებს; ესაა — თვითმფრინავები, ელექტრონული მოწყობილობები, ავტომობილები და სხვა პროდუქცია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონცენტრაციის ხარისხი იმ დარგებში, რომლებიც საინფორმაციო ტექნოლოგიებთანაა დაკავშირებული. მაგალითად, საერთაშორისო ტელესაკომუნიკაციო ქსელს პრაქტიკულად 2-3 კომპანია აკონტროლებს. სამოქალაქო თვითმფრინავების განვითარებად ბაზარზე, რომლის მოცულობა დაახლოებით 1 ტრლნ დოლარადაა შეფასებული, ანუ 16 ათას ახალ თვითმფრინავად წელიწადში, ძირითადად ორი კომპანია ბატონობს: ევროპული „ეირბას ინდასტრი" და ამერიკული „ბოინგი".

მსხვილი ტრანსნაციონალიების ეკონომიკური სიმძლავრე საშუალო სახელმწიფოების მშპ-ს ედრება, და ისინი თავის ნებას ბევრ ქვეყანას კარნახობენ. მაგალითად, ამერიკული კორპორაციის General Motors-ის გაყიდვათა მოცულობები ისეთი ქვეყნების მშპ-ს აჭარბებს, როგორიცაა შვეიცარია, ავსტრია და შვედეთი — ერთად აღებული.

დაგროვილი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საერთო მოცულობა 4 ტრლნ დოლარს აჭარბებს, ხოლო საზღვარგარეთული ტეკ-ების ფილიალთა ერთობლივი გაყიდვები 1,2 ტრლნ დოლარს შეადგენს. ამასთან, საზღვარგარეთული სტრუქტურების გაყიდვები 20-30%-ით სწრაფად იზრდება, ვიდრე ტეკ-ების პირდაპირი ექსპორტი.

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში საკვანძო, განმსაზღვრელი ტენდენციების გაშლისას ამ 60 ათასი ტეკ-ის როლის (მათი მასშტაბების მიუხედავად) შეუფასებლობა ძნელია. თავისი ტრანსეროვნული საქმიანობის განხორციელებით ისინი მართლაც საერთაშორისო წარმოების ჩამოსაყალიბებლად ეკონომიკურ წანამძღვრებს ქმნიან ერთიანი საბაზრო და სა-

ინფორმაციო სივრცით, კაპიტალის, სამუშაო ძალის, სამეცნიერო-ტექნიკური, საკონსულტაციო და სხვა მომსახურების საერთაშორისო ბაზრით.

გლობალური მასშტაბით გასაღების ბაზრებისათვის ბრძოლაში, ისინი კონკურენციის საკმარის დონეს ქმნიან, რომელიც მუდმივი ინოვაციების, ტექნოლოგიების ცვლისა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნას უზრუნველყოფს. ტეკ-ები მსოფლიო ეკონომიკის ჩონჩხს ქმნიან, რომლის სისხლი და ხორცი საშუალო და მცირე ფირმებია. მნიშვნელოვანია, რომ *თავისუფალი ბაზრის კანონები, რომლებიც გლობალური მასშტაბით მოქმედებს, ტეკ-ის შიგნით არ მუშაობს, ანუ იქ, სადაც შიდა ფასები დგინდება კორპორაციის განსაზღვრული სტრატეგიით და არა ბაზრით.* თუკი გავიხსენებთ ტეკ-ების ზომებს, აღმოჩნდება, რომ მსოფლიო ეკონომიკის მხოლოდ ნახევარი ფუნქციონირებს თავისუფალი ბაზრის პირობებში, ხოლო მეორე ნახევარი — თავისებური „საგეგმო" სისტემით. ამგვარად, *შეინიშნება კონვერგენტულ ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლა, რომელიც თავისთავში საგეგმო და საბაზრო საწყისებს მოიცავს.*

დღესდღეობით ტრანსეროვნული კაპიტალი პრქტიკულად მეურვეობისაგან განთავისუფლდა და ეროვნულ სახელმწიფოთა იურისდქციიდან გამოვიდა. იგი მსოფლიოში ყველაზე უფრო შემოსავლიანი ბაზრების ძიებაში თავისუფლად გადაადგილდება. მის განკარგულებაში დაახლოებით 10 ტრლნ დოლარის ევროფული იმყოფება, რომლებიც სახელმწიფო კონტროლისაგან თავისუფალია და სხვადასხვა გლობალურ ოპერაციებშია ამოქმედებული. მათი დიდი ნაწილი სპეკულაციურ ხასიათს ატარებს. თუკი 1990 წელს ყოველდღიურად ფულად სპეკულაციებში ჩართული იყო 600 მლრდ დოლარი, უკვე 1999 წელს მან 1,5 ტრლნ დოლარს გადააჭარბა, რაც დღის განმავლობაში გაყიდული საქონლის და მომსახურების ღირებულებას 29-30-ჯერ აჭარბებს. „ჰარვარდ ბიზნეს რევიუს" შეფასებების თანახმად, მსოფლიო ეკონომიკის რეალურ სექტორში მბრუნავ ყოველ დოლარზე ფინანსური სფეროს მიახლოებით 50 დოლარი მოდის. მეორადი ფასიანი ქაღალდების ბაზრის საერთო მოცულობა 100 ტრლნ. დოლარს უახლოვდება, ხოლო ფინანსური ტრანსაქციების წლიურმა ბრუნვამ მიაღწია ნახევარ კვადრილიონ დოლარს. თუკი გავითვალისწინებთ, რომ 23 განვითარებული ქვეყნის გაერთიანებული ფონდი დაახლოებით 550 მლრდ დოლარს შეადგენს, მაშინ ნათელი ხდება, რომ ყველა უძლიერესი სახელმწიფოს შეთანხმებული პოლიტიკის დროსაც კი მათ არ შეუძლიათ თანხები წარმართონ სპეკულაციური ოპერაციების წინააღმდეგ საბრძოლველად, რომლებიც ფინანსური ბაზრების ბრუნვებითაა შეჯერებული. ეს იმას ნიშნავს, *რომ დღეს მსოფლიოში არ არსებობს რეალური ძალა, რომელსაც უნარი ექნება შეეწინააღმდეგოს ტრანსეროვნულ კაპიტალს.*

თუკი მკაცრი ფინანსური კონტროლის პირობებში სახელმწიფოს ეროვნული სავალუტო ბაზრის რეგულირება შეეძლო, ფინანსური ბაზრების ლიბერალიზაციის და სავალუტო კონტროლის შერბილების პირობებში *ტრანსეროვნულ კაპიტალს შესაძლებლობა მიეცა სურვილის შემთხვევაში პრაქტიკულად ნებისმიერი სახელმწიფოს ფინანსური ბაზრები დაანგრიოს.* 90-იან წლებში სრულიად ახალი ისტორიული სიტუაცია ჩამოყალიბდა, როდესაც სახელმწიფოებს მსხვილმასშტაბიანი ფინანსური ინტერვენციისათვის საკმარისი სიმძლავრე არ გააჩნდათ, რომ სპეკულაციური ტრანსეროვნული კაპიტალის მოძრაობას შეწინააღმდეგებოდნენ. მაგალითად, 1992 წელს ჯ. სოროსმა განაცხადა, რომ დანიური მარკის ფასი დაეცემოდა, ფსონი 10 მლრდ დოლარზე გააკეთა და 2 კვირაში 2 მლრდ დოლარი მიიღო, დაანგრია რა დანიის ეროვნული ვალუტა.

1997 წელს ბაზელის საერთაშორისო აღრიცხვების ბანკმა ყოველწლიური ანგარიში გამოაქვეყნა, სადაც საბანკო სისტემის საფრთხის რეალური ხასიათი, მისი მუდმივი გასვლა მოქმედი კონტროლის საზღვრებს გარეთ და პროფესიონალური პროგნოზის შეუძლებლობა დაადასტურა. როგორც ცნობილია, მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა არ დაახანა. აქციათა უზარმაზარი პაკეტების მფლობელმა ფინანსურმა მაგნატებმა 1997 წლის ოქტომბერში შეძლეს თვით ნიუ-იორკის საფონდო ბაზრის დანგრევა, რათა შემდგომ ეს აქციები ბევრად იაფად ეყიდათ.

ამჟამად ტეკ-ების ერთობლივი სავალუტო რეზერვები რამდენჯერმე მეტია, ვიდრე ყველა ცენტრალური ბანკის რეზერვი ერთად აღებული. ფრანგი ეკონომისტის პ. ველტსის აზრით, 1-2% ფულადი მასის გადაადგილებამ, რომელიც კერძო სექტორშია, ნებისმიერი ორი ეროვნული ვალუტის პარიტეტი შეიძლება სრულებით შეცვალოს. ხშირად ტეკ-ები გაცვლით სავალუტო ოპერაციებს მოგებათა მიღების ყველაზე უფრო ხელსაყრელი წყაროს სახით განიხილავს. ასეთ შემთხვევაში ტეკ იმავე სქემით მუშაობს, როგორც ინდივიდუალური სპეკულანტები, მხოლოდ უფრო შეთანხმებულად და მძლავრად. მსოფლიო ეკონომიკის თანამედროვე მდგომარეობის ანალიზისას, პ. ველტსი ასკვნის, რომ საბოლოო ჯამში გლობალური სტრატეგიის შედეგი ინტეგრირებული საერთაშორისო სავაჭრო-საფინანსო სისტემის ჩამოყალიბებაა, რომელთან შედარებითაც ეროვნული სახელმწიფოები მეორეხარისხოვანი სიდიდის ხდება.

80-იანი წლების დამდეგიდან სულ უფრო აშკარად შეინიშნება სახელმწიფოს მიერ რეგულირებული ეკონომიკური სისტემიდან — 1944 წლის ბრეტონ-ვუდის შეთანხმებებიდან დაწყებული — *იმ სისტემაზე გადასვლა, რომელიც კაპიტალის ბაზრების მიერ წარიმართება* და სადაც ტეკ-ები და ტებ-ები ბატონობენ. წარუმატებლობები, რომლებიც ნეოკეინზიანელებმა თანმიმდევრულად განიცადეს 80-იანი წლების დამდეგს, ხოლო მონეტა-

რისტებმა 90-იანი წლების დასაწყისში, ძირითადად მსოფლიო ეკონომიკის სრულიად ახალი ფაქტორის გაუთვალისწინებლობით — დამოუკიდებელი და თვითშემოქმედებითი ტრანსეროვნული კაპიტალით აიხსნება, რომელიც თავისი სიმძლავრით შიდა ფინანსური ბაზრების რეგულირების ცდებს აზრს უკარგავს.

ძალიან აქტიური პოლიტიკური და ეკონომიკური როლის შესრულებას იწყებენ *მსხვილი მეგაპოლისები*, რომლებიც ტეკ-ებისათვის იდეალური „საბინადრო გარემოს" და ტრანსეროვნული კაპიტალის მნიშვნელოვან ბაზებს წარმოადგენს. მსხვილი ქალაქების მცხოვრებლები თანდათანობით რაღაც ახალ ინტერნაციონალურ სუბკულტურას გამოიმუშავებენ. ისინი უყურებენ ერთი და იმავე საყოველთაო საინფორმაციო პროგრამებს, არიან აღზრდილნი განათლების და ქცევის ერთიან სტანდარტებზე, ცხოვრობენ ერთიანი სწრაფი რიტმით, სხვებზე ბევრად უფრო ხშირად მონაწილეობენ ყოველგვარ საერთაშორისო კონტაქტებში, საერთაშორისო ორგანიზაციების, ასევე ტეკ-ების და ტებ-ების საქმიანობაში. ნიუ-იორკის ან ლონდონის მცხოვრებს ყოველდღიურ ცხოვრებაში ბევრად მეტი აქვს საერთო მოსკოვის მცხოვრებთან, ვიდრე რუსეთის რომელიმე პროვინციული ქალაქის მცხოვრებთან. ბევრი მსხვილი ქალაქი თავისი ეკონომიკური საქმიანობის მასშტაბით საშუალო ეროვნულ სახელმწიფოებს აჭარბებს. მაგალითად, ტოკიო ორჯერ მეტ საქონელს და მომსახურებას აწარმოებს, ვიდრე ბრაზილია; ჩიკაგო წარმოების მასშტაბით შეიძლება შევადაროთ მექსიკას, რომლის მშპ-ის ნახევარი მეხიკოს მეგაპოლისში იწარმოება. მსხვილი ქალაქები დამოუკიდებელი ძალა ხდება ეკონომიკურ და პოლიტიკურ სფეროებში, თავის მზარდ ამბიციებში კი აქტიურად მიდის ბუნებრივ და სოციალურ-კულტურულ დონეზე მომზადებულ კავშირზე ტეკ-ებთან. ფაქტობრივად ახლა 13 მსხვილი მსოფლიო ცენტრი ჩამოყალიბდა, რომელშიც ტრანსეროვნული კაპიტალია თავმოყრილი. მათ შორისაა — ნიუ იორკი, ლონდონი, ციურიხი, ტოკიო, ლუქსემბურგი, ჰონკონგი და ფრანკფურტი.

მეგაპოლისებთან ტეკ-ების კავშირების შექმნა, რომლებშიც კორპორაციის „ბირთვი" განთავსდება, თავისთავად მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ახალ ტენდენციას წარმოადგენს.

მეგაეკონომიკის მნიშვნელოვან მონაწილეს და ტრანსეროვნული კაპიტალის უცვლელ მოკავშირეს ოფშორები წარმოადგენს. პრაქტიკულად ნებისმიერი ტრანსეროვნული ფინანსური სქემა ოფშორზე გადის. ახლა მსოფლიოში 100-ზე მეტი ოფშორული ზონა არსებობს, რომელთა შორის უმსხვილესს პანამა წარმოადგენს (რეგისტრირებულია 337 ათასი ოფშორული კომპანია), ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები (208 ათასი კომპანია) და ირლანდია (150 ათასი კომპანია). ოფშორები ტრანსეროვნულ კაპი-

ტალს საშუალებას აძლევს თავი აარიდონ დაბეგვრას როგორც საბაზო ქვეყანაში, ისე მიმღებ სახელმწიფოებში.

ისინი ტეკ-ების შიდაკორპორაციულ ანგარიშებში უმნიშვნელოვანეს რგოლს წარმოადგენენ, რომელთაც შიდა, არასაბაზრო, ტრანსფერტული ფასების მანიპულირებით მოგების დიდი ნაწილი იმ ოფშორებში გადაიქცევა, სადაც ამ მოგებაზე გადასახადები მინიმალურია.

დაბოლოს, თანამედროვე ეკონომიკურ მსოფლიომოწყობას უკვე გააჩნია რიგი მნიშვნელოვანი ზესახელმწიფოებრივი პოლიტიკური ინსტიტუტები და საერთაშორისო ორგანიზაციები (საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია, განვითარების საერთაშორისო ასოციაცია, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია და ა.შ.). დღეს ეს ორგანიზაციები ტრანსეროვნული კაპიტალის საქმიანობის რეგულირებისაგან შორსაა და უფრო ობიექტურად დგანან მის მხარეს, ამცირებენ რა ეროვნულ სახელმწიფოთა როლს. სახელმწიფოებს, რომელთაც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ მკაფიოდ შემოსაზღვრული სუვერენული საზღვრები ჰქონდა, თანდათან ჯერ ეკონომიკურ, ხოლო შემდეგ პოლიტიკურ სფეროში უხდება ძალაუფლების გაყოფა ზესახელმწიფოებრივ ინსტიტუტებსა და ტრანსეროვნული კაპიტალის სხვადასხვა ინსტიტუტს შორის, რომლებიც ეკონომიკის ინტერნაციონალიზაციის ტენდენციებს ობიექტურად ასახავს. ამასთან, სახელმწიფოთა გავლენა სულ უფრო მცირდება და ძალაუფლება ტრანსეროვნული კაპიტალის ხელში გადადის, რომელიც ძირითადად საერთაშორისო ინსტიტუტებს აკონტროლებს. ეროვნულ ელიტებსა და ტრანსეროვნულ მსოფლიო ოლიგარქიას შორის საერთაშორისო ორგანიზაციებზე გავლენისათვის რთული ბრძოლა მიმდინარეობს, მაშ ასე:

1. მეგაეკონომიკის ძირითად მოთამაშეებს სახელმწიფოები, ტრანსეროვნული კაპიტალი, საერთაშორისო ორგანიზაციები, რეგიონული ორგანიზაციები და ბლოკები, არასამთავრობო ორგანიზაციები, მეგაპოლისები და მსხვილი ინდივიდუალური მეწარმეები წარმოადგენენ.

2. სახელმწიფო თავისი ეკონომიკური მიზნების მისაღწევად იყენებს ბაჟს, არასატარიფო რეგულირების მეთოდებს, გადასახადებს, სავალუტო კურსის პოლიტიკას, სავალუტო რეგულირებას, კრედიტების ბაზრის რეგულირების ზომებს და ა. შ.

3. ტრანსეროვნული კაპიტალი, ტეკ-ების და ტებ-ების სახით, ეკონომიკური ძალით სახელმწიფოების თანასწორი გახდა. დღეს ეროვნული სახელმწიფოების ხელთ არსებული ფინანსური რესურსები ტრანსეროვნული კაპიტალის რეგულირებისა და თავისუფალი გადაადგილების შესაჩერებლად არასაკმარისია, რაც ცალკეული ქვეყნების ეკონომიკებისათვის შეიძლება დამანგრეველი აღმოჩნდეს.

ასე წარმოგვიდგებიან მეგაეკონომიკის ძირითადი მოთამაშენი. ახლა შევეცადოთ, პასუხი გავცეთ კითხვას: როგორ მუშაობს ყველაფერი ეს? ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, განვიხილოთ ცენტრები და პერიფერიები.

4.4. ცენტრი და პერიფერია, საქონლის და ფულის წრებრუნვა მეგაეკონომიკაში

ცენტრის და პერიფერიის გამოყოფა ყველა რთული სისტემისათვისაა დამახასიათებელი — ცოცხალი ორგანიზმებიდან დაწყებული კიბერნეტიკულ მოწყობილობებამდე. ერთი ორგანოები — ცენტრალურია — სიგნალებს ღებულობს, ბრძანებებს გასცემს, ნივთიერების და ინფორმაციის წრებრუნვას უზრუნველყოფს, მეორე — პერიფერიულია — ასრულებს სხვადასხვაგვარ ფუნქციებს, რომლებიც რთული სისტემის არსებობას უზრუნველყოფს. ადამიანს ტვინი აძლევს ბრძანებებს და ღებულობს სიგნალებს, გული, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, ჯირკვლები კი ორგანიზმში სისხლსა და ლიმფას გზავნის, რითაც პერიფერიულ ორგანოებს საკვები ნივთიერებებით უზრუნველყოფს. კომპიუტერული სისტემის ცენტრი პროცესორი და ოპერატიული მეხსიერებაა, ხოლო პერიფერია — მონიტორები, პრინტერები, კლავიატურა და ა. შ.

მეგაეკონომიკაც ისეთივე პრინციპებზეა მოწყობილი. მისი ცენტრი განვითარებული ქვეყნები და მეგაპოლისებია, სადაც ტრანსეროვნული კაპიტალის ბაზირება ხდება, ხოლო პერიფერია — დანარჩენი მსოფლიო. *ცენტრში თავმოყრილია კაცობრიობის ძირითადი ინტელექტუალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები*, ხოლო პერიფერიული ქვეყნები ძირითადად სპეციალიზდება სტანდარტული საქონლის მასობრივ წარმოებაზე, აგრარულ წარმოებაზე, მოპოვებასა და სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავებაზე.

მეგაეკონომიკის მეგაპოლისებსა და ცენტრის ქვეყნებში დაახლოებით 1 მლრდ მოსახლეობა ცხოვრობს, თანაც არც თუ ისე ცუდად, რადგან მათ დაუმკვიდრდათ სახელწოდება *„ოქროს მილიარდი“*. მასში შედის აშშ, დასავლეთ ევროპის ქვეყნები, იაპონია და ზოგიერთი სხვა განვითარებული ქვეყანა. ეს სახელმწიფოები ძირითადად ჩრდილოეთითაა განლაგებული, ამიტომ ცენტრისა და პერიფერიის ურთიერთობის პრობლემას ხშირად „ჩრდილოეთ-სამხრეთის“ პრობლემას უწოდებენ. თანამედროვე მსოფლიომოწყობა „ოქროს მილიარდს“ საშუალებას აძლევს მოიხმაროს მსოფლიოს ბუნებრივი რესურსების 80%, აწარმოოს ეკოლოგიურად საშიში ნარჩენების 80%-ზე მეტი და იცხოვროს უდარდელად. ნათელია, რომ „ოქროს მილიარდის“ ცხოვრების წესზე გადასვლა მთელი 6 მილიარდი კაცობრიობისათვის პერსპექტივაშიც კი დახურულია — უბრალოდ არც რესურსები ეყოფა და ვერც პლანეტის ეკოლოგია გაუძლებს.

ერთი შეხედვით ამგვარი მოწყობა უსამართლოა, თუმცა იგი ევოლუციის პროცესში გამომუშავდა და მომხდარი ფუნქციების განაწილებაც კანონზომიერია. სიღარიბე და სპეციალიზაცია დაბალკვალიფიციურ და იაფ სამუშაოებზე პერიფერიის ქვეყნებს აიძულებს რესურსების კონცენტრირება მეცნიერების და ახალი ტექნოლოგიების განვითარებისათვის ცენტრში მოახდინოს.

ნიჭიერი, წინდახედული ადამიანები და მეცნიერები მთელი მსოფლიოდან მიდიან ცენტრის ქვეყნებში, სადაც ისინი შესაძლებლობებს პოულობენ შემოქმედებითი შრომისა და ღირსეული ცხოვრებისათვის. ალბათ ევოლუციით ნაპოვნი მსოფლიომოწყობა რაციონალურია კაცობრიობის შეზღუდული რესურსების გამოყენების თვალსაზრისით, ტექნოლოგიური პროგრესისა და ეკონომიკური ზრდისათვის, თუმცა იგი სასტიკია სუსტების მიმართ. რას ვიზამთ, ამიტომაცაა იგი ევოლუცია!

საჭიროა კი პერიფერიის ქვეყნებისათვის მსოფლიოს გარდაქმნა, თუკი ყველაფერი ასე რაციონალურია? რა თქმა უნდა, დიახ! ევოლუცია ხომ ცალკეულ კონკრეტულ ადამიანთა და მათ ჯგუფთა ნების ზეგავლენით ყალიბდება. თუკი დღეს პერიფერიული ქვეყნები თავისთავში იპოვიან ძალას და ნებისყოფას არსებული მეგაეკონომიკის მოწყობა თავის სასარგებლოდ შეცვალონ, მაშინ ისინი ევოლუციურ ბრძოლაში გამარჯვებას და თავად ევოლუციის მსვლელობის შეცვლას შეძლებენ. მათი ნების გავლენით მეგაეკონომიკა ახალ წონასწორობაში მოვა და სხვა მსოფლიომოწყობა შეიქმნება, რომელიც უკეთ უპასუხებს შეცვლილ ძალთა თანაფარდობას. მაგრამ თუ ეს არ მოხდება, მაშინ ეს იმას ნიშნავს, რომ არსებული მსოფლიომოწყობა ჯერჯერობით ოპტიმალურია. ოპტიმალურობის შემოწმება კი შეიძლება მხოლოდ მსოფლიოს გადაწყობისათვის ბრძოლაში, რომელიც ევოლუციური პროცესის უმნიშვნელოვანეს შემადგენელს წარმოადგენს.

რაზეა დღეს დაფუძნებული „ოქროს მილიარდის“ ქვეყნების უპირატესობა? წინა თავში უკვე ითქვა ტექნოლოგიური მოწყობების შესახებ. განვითარებული ქვეყნები მთელი ახალი და უახლესი ისტორიის განმავლობაში ერთი ან რამდენიმე ტექნოლოგიური მოწყობით უსწრებს ე. წ. განვითარებად ქვეყნებს. სწორედ განვითარებად ქვეყნებთან შედარებით უფრო მაღალი ტექნოლოგიური მოწყობის უპირატესობის გონივრულ გამოყენებას ეფუძნება დაახლოებით 5 საუკუნის განმავობაში ქვეყანა-ლიდერების აყვავება.

დიდი სამრეწველო რევოლუციის დროიდან ერის სიმდიდრის ჩამოყალიბების საქმისათვის ბძოლაში ბაზარი რეალური დამხმარე ხდება. პირველ ხანებში ევროპის განვითარებული ქვეყნები იყენებდნენ რა სამხედრო უპირატესობას, თავის „პარტნიორებს“ თავს ახვევდნენ საკუთარი თავიანთ-

თვის ხელსაყრელ სავაჭრო ურთიერთობებს. მას შემდეგ დაიწყო ფასების დისპარიტეტის ჩამოყალიბება — ერთი ხალხების გამდიდრების და მეორეთა გაღარიბების ძირითადი პირობა — ერთი მხრივ, სოფლის მეურნეობის პროდუქციასა და ნედლეულს და მეორე მხრივ, სამრეწველო წარმოების პროდუქციას შორის.

სხვათა შორის, უკვე მაშინ ბაზარმა ვაჭრობის დისპარიტეტის უზრუნველყოფა დაიწყო სამხედრო-პოლიტიკური ზომებითა და მისთვის დამახასიათებელი საინფორმაციო მეთოდებით. საინფორმაციო ზემოქმედების ტექნოლოგია მარტივია და სამუდამო: გარიგების პროცესში საკუთარ საქონელს საჭიროა მივანიჭოთ დამატებითი, შესაძლოა არარსებული სამომხმარებლო თვისებები და დავამციროთ შესასყიდი საქონლის ღირსება და, მაშასადამე, ფასიც. თუკი საზოგადოებრივი სიმდიდრე და რესურსები იყიდება, მოლაპარაკების პროცესში სასარგებლოა მოქრთამვა, ველურ დასავლეთში სპირტიანი სასმელებით, ან შორეულ აღმოსავლეთში ოპიუმით სტიმულირება. კარგად ორგანიზებული სარეკლამო კამპანია, როგორც ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, საშუალებას იძლევა მინის ყელსაბამები გაიცვალოს ოქროსა და ბეწვეულზე.

განვითარებული ქვეყნების გადასვლით, XX ს-ის ბოლო მეოთხედში საინფორმაციო ტექნოლოგიურ წყობაზე (იხ. ცხრ. 3.1.), იმ დროს, როცა ძალიან მოწინავე ქვეყანა-მიმდევრები დიდხანს შეჩერდნენ მეოთხე — ინდუსტრიულ წყობაზე, ლიდერები კვლავ „წავიდნენ მოწყვეტით“ და მანამდეც მათთვის მომუშავე მსოფლიო ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფის საშუალება მიეცათ.

საინფორმაციო წყობასა და საზოგადოებაზე გადასვლისას უპირველეს ყოვლისა მკვეთრად *იზრდება მშპ-ის სტრუქტურაში მომსახურების წილი.* მომსახურების სფეროში, რომელსაც სტატისტიკა პრაქტიკულად საქმიანობის ყველა მხარეს მიაკუთვნებს, გარდა წარმოებისა ან ეკონომიკის რეალური სექტორისა, სწრაფად იზრდება მომუშავეთა რიცხვი, კიდევ უფრო სწრაფად კი — მათი შემოსავლები.

საინფორმაციო საზოგადოებაში შესანიშნავი ნახტომის მაგალითის სახით შევადაროთ მეზობელი ჩეხოსლოვაკიისა და ავსტრიის ერთ სულ მოსახლეზე მშპ. 1970 წელს ავსტრიაში მან 1960 დოლარი შეადგინა ერთ სულ მოსახლეზე და ცოტა ნაკლები ჩეხოსლოვაკიაში — 1604 დოლარი. 1991 წელს სურათი მკვეთრად შეიცვალა: ავსტრიაში — უკვე 20100 დოლარი, ხოლო ჩეხეთში — მხოლოდ 2470 დოლარი. რა არის ეს — არნახული ავსტრიული სამრეწველო ან აგრარული ნახტომი? არა, მშპ-ის ზრდა ძირითადად მომსახურების სფეროში შემოსავლების ზრდითაა უზრუნველყოფილი.

მაღალი გამომუშავებები მეცნიერებაში, ხელოვნებაში, მედიცინასა და განათლებაში *ინტელექტუალურ ტუმბოს* ქმნის. ნიჭიერი ადამიანები მთელი მსოფლიოდან ჩადიან განვითარებულ ქვეყნებში სამასწავლებლოდ, სასწავლებლად და სამუშაოდ. ეს არის განვითარებული ქვეყნების ტექნოლოგიური უპირატესობის მხარდაჭერის და გაზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმი.

ამგვარად, ამ ქვეყნებში მომსახურების, ახალი ტექნოლოგიების და საქონელთა უახლესი ნიმუშების წარმოების კონცენტრაცია მიმდინარეობს, რომელთა მიწოდებაც სუპერმაღალი ფასებით ხდება. ამასთან, დასავლური ტიპის საზოგადოების არსებობისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ბაზარზე სულ ახალ-ახალი საქონლის გატანა, ვინაიდან ასეთი საქონლის წარმოება სხვადასხვაგვარ მომსახურებასთან ერთად განვითარებული ქვეყნების სპეციალიზაცია გახდა. საქონლის წარმოება, რომელიც ტრადიციული და მასობრივი ხდება, ტრანსეროვნული კორპორაციების არხებით გადადის იაფი მუშახელის მქონე ქვეყნებში.

ახალი საქონლისათვის საჭიროა გასაღების ბაზრების მუდმივად უზრუნველყოფა, ხოლო ამისათვის კი აუცილებელია ადამიანთა ცხოვრების და აზროვნების სტილის შეცვლა, რომელიც გონიერ ადამიანს ეკონომიკურ ადამიანად გადააქცევდა, სულ ახალ-ახალი საქონლის მოხმარებაზე რომ იქნებოდა გადასული. აქაც კვლავ მის — მოდა და რეკლამა გვეხმარება. სხვათა შორის, მსოფლიოში ყოველწლიურად რეკლამაზე დაახლოებით 1 ტრლნ დოლარი იხარჯება და, როგორც ჩანს, არც ტყუილ-უბრალოდ.

ხელსაყრელი გაცვლისათვის საკმარისი არაა მხოლოდ ფასები ავწიოთ საკუთარ საქონელზე, საჭიროა კიდევ შედარებით გავაუფასუროთ სხვათა ფასები. ამ წესის თანახმად, ყოველგვარი საშუალებებით ამცირებენ ფასებს განვითარებული ქვეყნების საქონელზე, როგორიცაა: სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, ნედლეული, ენერგორესურსები და სამუშაო ძალა. აქ გამოიყენება პოლიტიკური და ეკონომიკური ზეწოლის სხვადასხვაგვარი მეთოდი. აი, სულ ახალი მაგალითი. 2000 წლის დამდეგს ნავთობზე ფასების აწევის შემდეგ აშშ-მა მიაღწია ნექო-ს გაეზარდა კვოტები ნავთობის გასაყიდად და ფასები მნიშვნელოვნად შეემცირებინა, იმუქრებოდა რა დაჟინებული უარით ეკონომიკურ და სამხედრო მხარდაჭერაზე. შევნიშნავთ, რომ ახლა „სამართლიანად" ჩათვლილი ფასი ბარელზე 23-24 დოლარი განვლილი ნახევარი საუკუნის ინფლაციის გათვალისწინებით დაახლოებით 2,5 დოლარს შეესაბამება ბარელზე 1972 წლის ფასებით. ეს კი ნიშნავს, რომ განვითარებულმა ქვეყნებმა ნავთობზე ფასები დააბრუნეს იმ დონეზე, საიდანაც ენერგეტიკული კრიზისი დაიწყო.

გავიხსენოთ, რომ 90-იან წლებში ბარელზე ნავთობის ფასი 8-9 დოლარამდე დავიდა. ამასთან, ამ პერიოდში ერთდროულად მკვეთრად შემცირდა განვითარებადი ქვეყნის სანედლეულო საქონლის ყველა ფასი და დაახლოებით 1,5—ჯერ გაიზარდა ფასები განვითარებული ქვეყნების მეცნიერებატევად საქონელზე. ვიცით რა ეს, განა უნდა გვიკვირდეს აშშ-ის ეკონომიკის საოცარი უინფლაციო ზრდა ბოლო რვა წლის განმავლობაში. იგი, ისევე როგორც სხვა განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური ზრდა, მთელი დანარჩენი მსოფლიოს თითქმის უფასო რესურსების ფართო გამოყენებას ემყარებოდა.

ამგვარად, *თანამედროვე მსოფლიომოწყობის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს მაღალი ფასები მეცნიერებატევად საქონელზე და დაბალი — ნედლეულსა და სტანდარტულ, მასობრივ საქონელზე, რომლებიც ძირითადად განვითარებად ქვეყნებში იწარმოება. ფასების ეს დისპარიტეტი* „ოქროს მილიარდის“ ქვეყნების ეკონომიკური კეთილდღეობის უზრუნველყოფის კიდევ ერთ მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს.

თუმცაღა განვითარებულ ქვეყნებშიცაა სოფლის მეურნეობის წამოება და კვლავ რჩება ტრადიციული საქონლის წარმოებაც. სოციალური სტაბილურობის შესანარჩუნებლად და ამასთან ერთად, სასოფლო-სამეურნეო და სხვა ტრადიციულ საქონელზე საკმაოდ დაბალი ფასების მხარდასაჭერად საჭიროა ამ საქონლის საკუთარი მწარმოებლების გულუხვი სუბსიდირება. მათი პროდუქცია, რომელიც პრაქტიკულად სანახევროდ სახელმწიფოს მიერაა გადახდილი სხვადასხვა დოტაციითა და სუბსიდიით, შემდგომში ეფექტიანად გამოიყენება მსოფლიო ბაზრებზე კონტროლის განსახორციელებლად.

რა თქმა უნდა, განვითარებული ქვეყნებისათვის ესოდენ მომგებიანი მსოფლიო წესრიგის დამყარება შეუძლებელი გახდებოდა ფინანსურ სისტემაზე პრაქტიკულად სრული კონტროლის გარეშე. აშშ-მა და მისმა მოკავშირეებმა ჯერ კიდევ ბრეტონ-ვუდის 1944 წლის კონფერენციის დროიდან მიაღწიეს დოლარის და ამავე დროს, მასთან დაკავშირებული ვალუტების აღიარებას საყოველთაო საგადასახდელო და სარეზერვო საშუალებებად. მთელ მსოფლიოში დოლარის მიმართ უდავო ნდობა აშშ-ს კოლოსალურ უპირატესობას ანიჭებს, ვინაიდან მას შეუძლია ემიტირება ან, როგორც ამბობენ, დოლარების ბეჭდვა საკუთარი შეხედულებისამებრ. ფაქტობრივად მათ აქვთ შესაძლებლობა განსაზღვრულ ფარგლებში გაცვალონ დაბეჭდილი მწვანე ფურცლები დიდი იმედების მომცემი წარწერით „ჩვენ ღმერთის გვწამს“ სხვა ქვეყნების ნებისმიერ საქონელზე და ეს გაცვლა, ვფიქრობთ, უფრო მომგებიანია, ვიდრე ადრე პრაქტიკაში გამოყენე-

ბული მინის მძივების გაცვლა ოქროსა და ბეწვეულზე, ესოდენ რომ უყვარდათ ველურებს. დოლარის ემისიაზე კონტროლის შესაძლებლობა აშშ-ის სიმძლავრის ერთ-ერთი საფუძველია.

დოლარის ძალაუფლებაზე დაფუძნებულია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმი, რომელსაც პირობითად შეიძლება *„ფინანსური ტუმბო"* ვუწოდოთ. ეროვნული ვალუტის ყიდვითი უნარის პარიტეტი (ᲧᲣᲞ) იმით განისაზღვრება, თუ რა ღირს განსაზღვრული სახით ჩამოყალიბებული სამომხმარებლო კალათა ამ ვალუტაში ან დოლარით გაანგარიშებისას. მაგალითად, თუკი სამომხმარებლო კალათის საქონელი, რომელიც საარსებო მინიმუმს შეესაბამება, რუსეთში ღირს, ვთქვათ, 1000 რუბლი, ხოლო იგივე საქონელი აშშ-ში - 200 დოლარი, მაშინ 1 დოლარი ᲧᲣᲞ-ით სულ 5 რუბლის ტოლია და არა 30-ის, რომელიც მის საბაზრო ღირებულებას შეადგენს. ჟურნალი Economist უკვე საკმაოდ დიდი ხანია აწარმოებს სხვადასხვა ქვეყანაში ჰოთ-დოგებზე ფასების მონიტორინგს. ამ ფასების სხვაობა ᲧᲣᲞ-თან შედარებით უფრო თვალსაჩინო ფორმით გვიჩვენებს ფასების სხვაობას სხვადასხვა შიდა ბაზრებზე. მაშ ასე, სტანდარტული ჰოთ-დოგის ფასი აბსოლუტურად ერთნაირია ყველა ქვეყანაში, მაგრამ შეიძლება განსხვავდებოდეს განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში 10-ჯერ და მეტად.

რა შეუძლია ამან პრაქტიკულად მოგვცეს? ეს იმას ნიშნავს, რომ თუკი საბაჟო და სავალუტო შეზღუდვები არაა, მაშინ მეწარმეს განვითარებად ქვეყანაში, მაგალითად, რუსეთში, შეუძლია ჩასვლა, თავისი დოლარების გაცვლა საბირჟო კურსით ეროვნულ ვალუტაზე, შემდეგ საქონლის ყიდვა ადგილობრივ ბაზარზე მᲣᲞ-ის შესაბამისი ფასებით, მათი გატანა და გაყიდვა თავის ქვეყანაში შიდა ფასების მიხედვით. ნათელია, რომ ასეთი ოპერაციის რენტაბელობა სამომხმარებლო კალათის ყიდვის დროს ტოლი იქნება ვალუტის საბირჟო ფასის დამოკიდებულებისა მის ფასთან მᲣᲞ-ის მიხედვით. ეს დამოკიდებულება კი ჩვეულებრივ ვარირებს ორიდან რამდენიმე ათეულჯერ.

ბუნებრივია, თავში აზრად არავის მოუვა სამომხმარებლო კალათის საქონლის გატანა, მით უმეტეს, რომ განვითარებად ქვეყნებში მრავალი საქონლის ხარისხი ბევრად დაბალია, ვიდრე განვითარებულებში. სამაგიეროდ, შეიძლება ისეთი აბსოლუტურად ლიკვიდური საქონლის გატანა, როგორიცაა ნავთობი, გაზი, ლითონი, მარცვლეული და ა. შ., რაც, რა თქმა უნდა, ფართო მასშტაბებში ხორციელდება. აი, რუსეთის შედარებით ახალი მაგალითი. ოფიციალური სტატისტიკა მოწმობს, რომ 1992 წელს ყიდვითი უნარის პარიტეტი 1 დოლარზე 20 რუბლის დონეზე იყო. ნავთობი, ნახშირი, ელექტროენერგია ღირდა 10-ჯერ ნაკლები, ვიდრე საზ-

ღვარგარეთ. იმავე წელს ვალუტის კურსი საშუალოდ 270 რუბლს შეადგენდა 1 დოლარზე. ამგვარი თანაფარდობისას შეიძლება, მაგალითად, რუსეთში ჩამოსვლა 1000 დოლარით, შესაძლებელია მათი გაცვლა რუბლებზე, რაკი შიდა კონვენრტაცია უკვე არსებობს და საქონლის გატანა საზღვარგარეთ, მაგალითად, ნავთობის — 10000 დოლარად. ასეთი ბრუნვა კიდევ უფრო ეფექტიანი იქნება, თუკი დოლარების მაგივრად შემოიტანენ „სნიკერსებს" ან იმავე ბარკლებს. გამდიდრების ამ ჯაჭვის მთელ გზაზე ყველა წინააღმდეგობა გაქრება წარმოების კოსმოსური მომგებიანობის წყაობით. რა თქმა უნდა, მოგების ნაწილი დაიხარჯება ჩინოვნიკთა მოქრთამვაზე. დაახლოებით ამგვარი ვაჭრობა მიმდინარეობს განვითარებად ქვეყნებთან მეტ-ნაკლები მომგებიანობით.

რატომ ეგუებიან განვითარებადი ქვეყნები თავისი ვალუტების ესოდენ დაბალ საბაზრო კურსს? საქმე ისაა, რომ განვითარებადი ქვეყნების საქონლის კონკურენტუნარიანობის ასაწევად და ამ საქონლის საზღვარგარეთ საექსპორტოდ გასატანად დაბალი კურსი ხელსაყრელია. ასეთ შემთხვევაში ამ ქვეყნების დოლარებში დათვლილი საქონლის თვითღირებულება, ბუნებრივია, მცირდება და მათ შეუძლიათ საქონლის ექსპორტირება დაბალი ფასით, რაც მსოფლიო ბაზარზე მათ კონკურენტუნარიანობას უზრუნველყოფს. ექსპორტი იმპორტს აჭარბებს, იქმნება სავაჭრო ბალანსის დადებითი სალდო და მასთან ერთად კეთილდღეობის ილუზია. სინამდვილეში კი ვალუტის კურსის დაცემა იმავდროულად ადგილობრივი საწარმოებისათვის ბევრად უფრო ძვირს ხდის ახალი ტექნოლოგიების შესყიდვას და თავად საწარმოების საბაზრო ღირებულებას ამცირებს, რომლებიც მიმზიდველი სანიშნეები ხდება ტეკ-თვის ჩასანთქმელად.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (პუი), რომლებიც ტეკ-ების მიერ შთანთქმის მრავალი ფორმით ხორციელდება, მეგაეკონომიკის მოწყობაში თავისთავად კიდევ ერთ მექანიზმს წარმოადგენს. განვითარებად ქვეყნებში საწარმოო პროცესის ნაწილის გატანით ტეკ-ები ადგილობრივ პირობებს, რესურსებსა და იაფ მუშახელს იყენებენ ძირითადად მასობრივი მოხმარების საქონლის საწარმოებლად, მათ შორის განვითარებული ქვეყნებისათვისაც, ტეკ-ის ბაზირების ქვეყნების ჩათვლით. ბევრი განვითარებადი ქვეყნისათვის ტრანსეროვნული კორპორაციები წარმოების ახალ ტექნოლოგიებზე გადატანის ერთადერთ საშუალებად რჩება და ისინი ამას მადლიერებით იღებენ. ტეკ-ების დადებითი და უარყოფითი გავლენა მიმღებ ქვეყნებზე დაწვრილებით იქნება განხილული მე-5 თავში. აქ კი შევნიშნავთ, რომ პუი წარმოადგენს თანამედროვე მსოფლიომოწყობის უმ-

ნიშვნელოვანეს და განუყოფელ მექანიზმს, რომელიც საშუალებას აძლევს განვითარებად ქვეყნებს ჩაერთონ მსოფლიო წარმოებაში თანამედროვე ტექნოლოგიურ დონეზე.

თავისი დარგების თანამედროვე ტექნოლოგიური გადაიარაღებისა და დროდადრო ბიუჯეტში წარმოქმნილი „ხვრელების დასაკერებლად" განვითარებად ქვეყნებს მუდმივად უხდება ფულის სესხება. ფასების პარიტეტის და ფინანსური და ინტელექტუალური ტუმბოების შედეგად, თითქმის ყველა განვითარებადი ქვეყანა, მიუხედავად უზარმაზარი პროცენტების რეგულარული გადახდისა, ხდება განვითარებული ქვეყნების და საერთაშორისო სავალუტო ინსტიტუტების მუდმივი მოვალე. ამჟამად მათი ვალები დაახლოებით 2 ტრლნ დოლარადაა შეფასებული, ხოლო პროცენტები მათზე ისეთია, რომ ვალი გამუდმებით იზრდება. სხვათა შორის, რეფორმის წლებში რუსეთმა პროცენტების სახით გადაიხადა 80 მლრდ დოლარი, ამასთან, მისი ვალი გაიზარდა 150 მლრდ დოლარამდე. „ვალის მახე" ისეა დაგებული, რომ განვითარებადი ქვეყნების უმეტესობის ეკონომიკური ზრდის ტემპები 0-4%-ის ზღვრებში ძევს, ხოლო მსოფლიო ბაზარზე სასესხო კაპიტალის პროცენტის განაკვეთი 9-დან 20%-მდე მერყეობს. ამიტომ, პროცენტების დასაფარავად, განვითარებად ქვეყნებს კვლავ ფულის სესხება უხდებათ. თანამედროვე მსოფლიოს მოწყობის სრული სურათი გვირგვინდება ამჟამად ძირითადად აშშ-ის მიერ კონტროლირებადი გაეროსა და ნატოს მკაცრი პოლიციური და სამხედრო რეპრესიებით.

ზოგჯერ პოლიტიკური მოტივები ამორჩეული ქვეყნების რიცხვის გაზრდისაკენ უბიძგებთ. მაშინ მისაღებ კანდიდატებს გულდასმით უტარებენ სელექციას და „საინფორმაციო საზოგადოებაში" მისაღებად ამზადებენ. ახლა დავაკვირდეთ ჩვენს ყოფილ მოკავშირეებს. 1985 წელს უნგრეთში მომსახურების წილი მშპ-ის 1,8%-ს შეადგენდა, ხოლო ბულგარეთში დაახლოებით იმდენივეს — 2,6%-ს. 1991 წელს უნგრეთში მოხდა მოულოდნელი ნახტომი — 35,6% და მომსახურების წილი თითქმის განვითარებული ქვეყნების დონემდე გაიზარდა, ბულგარეთში კი უწინდელ დონეზე დარჩა —2%. შესაბამისად, უკვე მაშინ უნგრეთს „ოქროს მილიარდში" და ნატოში შესასვლელად ამზადებდნენ, რადგან შემოსავლები მომსახურების სფეროში განვითარებული ქვეყნების დონეზე ჰქონდა, ხოლო ბულგარეთს კი — არა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება წარმოვიდგინოთ ფრიად გამარტივებული, მაგრამ საკმაოდ ტევადი საქონლის და ფულის წრებრუნვის ზოგადი სურათი მეგაეკონომიკაში (სურ. 4.1).



სურ. 4.1. სასაქონლო და ფინანსური ნაკადები
მეგაეკონომიკაში

მაშასადამე, განვითარებული ქვეყნები თავისი ტეკ-ების მეშვეობით პირდაპირ ინვესტიციებს ახორციელებენ განვითარებად ქვეყნებში. რა თქმა უნდა, არსებობს ძალიან მნიშვნელოვანი პირდაპირი ინვესტიციები განვითარებად ქვეყნებს შორისაც, მაგრამ ისინი ძირითადად ერთმანეთის კომპენსირებას ახდენს. განვითარებული ქვეყნები სხვაგან იმავე რაოდენობის ინვესტირებას ახდენენ, რამდენსაც ღებულობენ. იმავდროულად ისინი პუი-ის ნეტო-ექსპორტიორებს წარმოადგენენ განვითარებადი ქვეყნების მიმართ. გარდა ამისა, ისინი ძვირადღირებული მეცნიერებატევადი საქონლის, მომსახურების და ტექნოლოგიების ექსპორტირებას ახდენენ.

განვითარებად ქვეყნებში, ისევე როგორც ტეკ-ების ქალიშვილ-საწარმოებში და დამოუკიდებელ კომპანიებში, მასობრივი მოთხოვნის საქონელი იწარმოება, რომლებიც შედარებით დაბალკვალიფიციურ შრომასა და იაფ სამუშაო ძალას საჭიროებს. ამასთან, მათი ექსპორტის საგანი სოფლის მეურნეობის პროდუქცია და ნედლეულია. პრაქტიკულად ყველა მზარდი

ეკონომიკა ორიენტირებას ექსპორტზე ახდენს და უპირველეს ყოვლისა — მსოფლიოში ყველაზე ტევად ამერიკულ ბაზარზე. შეიძლება იმის დასაბუთება, რომ ამერიკული ბაზრის თუნდაც რომელიმე სეგმენტის დაპყრობა იქნებოდა ყველა ახალი განვითარებადი ქვეყნის ჩამოყალიბების დაწყების უცილობელი პირობა, დაწყებული 60-იანი წლების იაპონიიდან, დამთავრებული ახლანდელი ჩინეთით.

თავისი მასობრივი საქონლის განვითარებული ქვეყნების ტექნოლოგიასა და მეცნიერებატევად საქონელზე გაცვლის შედეგად განვითარებად ქვეყნებს ჩვეულებრივ განსაზღვრული, ზოგჯერ კი საკმაოდ მნიშვნელოვანი სავაჭრო ბალანსის დადებითი სალდო გააჩნია. ე. ი. ისინი ყიდიან მეტი თანხით, ვიდრე ყიდულობენ. ამ გზით დაგროვილი ფული ორი ძირითადი არხით გაედინება: პირველ რიგში, ვალებზე პროცენტების გადასახდელად და მეორე, განვითარებული ქვეყნების იმავე ტეკების აქციების ყიდვაზე. ამგვარად, საქონლის გატანისგან მიღებულ ფულს განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობა და საწარმოები კვლავ იმავე ტეკის აქციებში დებენ, რომლებიც ამ ფულით განვითარებადი ქვეყნების ახალ საწარმოებს ყიდულობენ. უმსხვილესი კორპორაციების აქციები იზრდება, იზიდავენ ახალ პორტფელურ ინვესტიციებს, მათ შორის განვითარებადი ქვეყნებიდან. წრე ჩაიკეტა.

გზადაგზა შევნიშნავთ, რომ ამერიკის საფონდო ბაზრის სწრაფი ზრდა უკვე მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს მთელი მსოფლიომოწყობისათვის. ხუთი წლის მანძილზე, 1995 წლიდან, დოუ ჯონსის ინდექსი, რომელიც ნიუ იორკის საფონდო ბირჟის მდგომარეობას განსაზღვრავს, 3-ჯერ გაიზარდა, ხოლო ელექტრონული ბირჟის NASDAQ, სადაც მაღალტექნოლოგიური კომპანიების აქციების კოტირება ხდება — 7-ჯერ. ამერიკული კორპორაციების კაპიტალიზაციამ (აქციების საერთო ღირებულებამ) ასტრონომიულ სიდიდეს მიაღწია — 20 ტრლნ დოლარს. შეგახსენებთ, რომ აშშ-ის მშპ 9,3 ტრლნ დოლარის ტოლია. აქციების ბაზრის საყოველთაოდ მიღებული ფუნდამენტური ანალიზის ნორმატივების მიხედვით კომპანიის კაპიტალიზაცია დაახლოებით გაყიდვებიდან ამონაგების ტოლი უნდა იყოს. ამონაგებზე კაპიტალიზაციის მნიშვნელოვანი გადაჭარბებისას კომპანიის აქციები გადაფასებულად ითვლება. ქვეყნის ყველა კორპორაციაზე ფუნდამენტური ანალიზის ამ წესის გავრცელებითა და მშპ-ის გამოყენებით ამონაგების ნაცვლად, ვღებულობთ, რომ ამერიკული კორპორაციების აქციები გადაფასებულია 2-ზე მეტად. ასეთი მდგომარეობა განაპირობებს არამდგრადობას. თუკი უეცრად რაღაცა მიზეზის გამო ბაზარზე აქციების ფასები დაეცემა, მაშინ იგი შეიძლება სწრაფად გადაიზარდოს პანიკაში,

ვინაიდან მრავალი კომპანიის აქციები, საფონდო ბაზრის ფუნდამენტური ანალიზის პოზიციის მიხედვით ძლიერაა გადაფასებადი და, როგორც კერძო, ასევე ინსტიტუციონალური ინვესტორები სერიოზული საფრთხის შემთხვევაში მათგან განთავისუფლებასაც ეცდებიან.

ბევრმა ამერიკელმა თავისი უძრავი ქონება დააბანდა სწრაფადმზარდ აქციებში, სასესხო საშუალებებში. ამერიკის ისტორიაში პირველად, 2000 წელს, აშშ-ის საოჯახო მეურნეობების საერთო ვალმა გადააჭარბა მათ დანაზოგს. ბაზრის მძლავრი უკუგორება შეიძლება სწრაფად გადაიზარდოს კრიზისში. გაყიდული აქციებიდან მიღებული დოლარები წამიერად მოახდენს სასაქონლო ბაზრების დესტაბილიზაციას და დაიწყება ინფლაცია, რომელიც, თავის მხრივ, გაყიდვათა ახალ ტალღას დაიწყებს აქციათა ბაზარზე. ინფლაცია გადაიზრდება ჰიპერინფლაციაში. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, ძალიან პესიმისტური პროგნოზია, რომელიც მხოლოდ ჯერ-ჯერობით ურყევი მსოფლიომოწყობის მოჩვენებით სიმყიფეს გვიჩვენებს. მიუხედავად საფონდო ბაზრის 2000 და 2001 წლების ჩავარდნისა და ამერიკული ეკონომიკის ზრდის ტემპების შემცირებისა, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, როგორც ჩანს, არ იქნება. აშშ-ისა და სხვა განვითარებული ქვეყნების ეკონომიკას მდგრადობის და გამოცდილების საკმაო მარაგი გააჩნია კრიზისების დასაძლევად. განსაზღვრულ ოპტიმიზმს გვანიჭებს ის ფაქტი, რომ აქციების გაყიდვათა შედეგად გამოთავისუფლებული ფული ძირითადად მოსახლეობის ძალიან უზრუნველყოფილი ფენების ხელში მოხვდება, რომლებიც სრულებითაც არ არიან მიდრეკილნი თავისი მოხმარების საქონლის გაზრდაზე, ვინაიდან ამ თვალსაზრისით მათი მოთხოვნილებები ძირითადად დაკმაყოფილებულია. ამიტომ გამოთავისუფლებული საშუალებები საეჭვოა დიდი მასით სასაქონლო ბაზრებზე მოხვდეს. ყველაზე უფრო სავარაუდოა, რომ მცირე პაუზის შემდეგ ფინანსური ბაზრის ერთი სეგმენტიდან გადავა მეორეში, ეს კი ეკონომიკური სისტემის საფუძვლებს არ შეეხება.

თანამედროვე მეგაეკონომიკის მოწყობა იმდენად რაციონალური და იმავდროულად მომგებიანია განვითარებული ქვეყნებისათვის, რომ ბევრს, განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნების პოლიტიკოსებს, მისი ხასიათი ხელქმნილი ეჩვენებათ. მუდმივად მუსირებს მსოფლიო შეთქმულების თემა, იატაკქვეშა მსოფლიო მთავრობისა, რომელმაც შექმნა ეს ეკონომიკური მექანიზმები და იყენებს მათ საკუთარი თავის და განვითარებული ქვეყნების სასარგებლოდ.

ასე ხშირად მოსდის ბუნებისა და ევოლუციის სრულქმნილ არსებებს. ადამიანი, ამავე ძალების და კანონზომიერებების მოქმედების შედეგი, მრავ-

ლად შეიგრძნობს ევოლუციური გზით შექმნილი ჰარმონიის სილამაზეს და მიაწერს (შესაძლებელია, სავსებით სამართლიანადაც) მსოფლიოს სრულყოფილებას ღვთიურ ჩანაფიქრს. მაგრამ ეს ძირითადად იმ საგნებს ეხება, რომელთა შეხედვაც შეიძლება ნეიტრალურად, გარედან. ეკონომიკური მსოფლიომოწყობა ერთი ხალხების სასარგებლოდ და მეორეთა საზიანოდ მიმდინარეობს. აქ საგნებზე ნეიტრალური მზერა მეტად რთულია. ყოველივე მომხდარი მკაფიო ჩანაფიქრის და შეკვეთის შეგრძნებას ტოვებს. აქედან წარმოიშობა ჰიპოთეზები რაღაც ყოვლისშემძლე ჯგუფის არსებობაზე, რომელმაც ყველაფერი ასე გონივრულად და თავისთვის ხელსაყრელად მოიწყო. სინამდვილეში მეგაეკონომიკის თანამედროვე მოწყობა იმავე ევოლუციური ძალებისა და ობიექტური ეკონომიკური კანონების შედეგია, რომლის მიხედვითაც ვითარდება ცოცხალი და არაცოცხალი ბუნება. მიმდინარეობს დაუნდობელი ბრძოლა ძალაუფლებისათვის ადამიანებს, საწარმოებს და ხალხებს შორის და ეს ამოძრავებს მსოფლიოს, ქმნის და სრულყოფს მსოფლიომოწყობას. აქედანაა ამ მოწყობის სილამაზე და რაციონალურობა და აქედანაა შიგნიდან შეხედვისას მისი მოჩვენებითი უსამართლობა.

ამგვარად:

1. ეკონომიკური ევოლუციის შედეგად ჩამოყალიბებულმა მსოფლიომოწყობამ თანამედროვე მსოფლიო მკვეთრად გაყო მდიდარ ცენტრად და ღარიბ პერიფერიად. ცენტრი აწარმოებს ძვირფას, მეცნიერებატევად საქონელს, ახალ ტექნოლოგიებს, მომსახურებას და ცვლის მათ იაფ მასობრივ და სანედლეულო საქონელზე, რომელთაც პერიფერიული ქვეყნები აწარმოებენ.

2. გარდა ამისა, მდიდარი განვითარებული ქვეყნები მთელი მსოფლიოდან იზიდავენ საუკეთესო ინტელექტუალურ რესურსებს და განვითარებადი ქვეყნებიდან იღებენ უზარმაზარ თანხებს პროცენტების სახით მიცემული კრედიტებისათვის. ამიტომ ცენტრსა და პერიფერიას შორის უფსკრული დროთა განმავლობაში იზრდება.

თავი 5

ტრანსნაციონალიზაცია როგორც მსოფლიო მეურნეობის განვითარების წამყვანი ტენდენცია

ტრანსნაციონალიზაციის ძირითადი კატეგორიები. ტეკ-ების გენეზისი და ევოლუცია. ტეკ-ების როლი და ადგილი. ტრანსნაციონალიზაციის თეორიები. ტრანსეროვნული კაპიტალი და ეროვნული სახელმწიფოები: ბრძოლა ძალაუფლებისათვის. ტრანსნაციონალიზაციის მექანიზმები. ტრანსეროვნული ბანკები და ოფშორები. ტეკ-ების ფილოსოფია და შიდა პოლიტიკა

კოლონიების კოლონიებად არსებობა
არ დამთავრებულა იმით, რომ მათ
მოიპოვეს დამოუკიდებლობა.

ბ. დიზრაელი

ტრანსნაციონალიზაცია უდავოდ წარმოადგენს თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთ წამყვან ტენდენციას. ეკონომიკურად იგი განპირობებულია კაპიტალის გადადინების შესაძლებლობითა და აუცილებლობით - იმ ქვეყნებიდან, სადაც მისი შედარებით ჭარბი ოდენობაა, ქვეყნებში, სადაც მისი დეფიციტია, სამაგიეროდ ჭარბადაა წარმოების სხვა ფაქტორები (შრომა, მიწა, სასარგებლო წიაღისეული), რომლებიც არ შეიძლება იყოს გამოყენებული რაციონალურად კვლავწარმოებით პროცესებში კაპიტალის უკმარისობის გამო. ამგვარად, ობიექტურად ტრანსნაციონალიზაციას მივყავართ მსოფლიო კვლავწარმოებითი პროცესების რაციონალიზაციასთან და ეკონომიკური პირობების გათანაბრებასთან სხვადასხვა ქვეყანაში. პრინციპში, იგი მომგებიანია იმ ქვეყნებისათვის, რომელთა კორპორაციები ახორციელებენ პირდაპირ ინვესტიციებს (ბაზირების ქვეყნები), ასევე ქვეყნებისათვის, რომლებიც ინვესტიციებს ღებულობენ. თუმცა ტეკ-ები, რომელთაც სურთ თავისი ინვესტიციების უსაფ-

რთხოება, ამასთანავე პოლიტიკური და ეკონომიკური საინვესტიციო რისკების შემცირება, ბუნებრივია, ცდილობენ გავლენა მოახდინონ მიმღები ქვეყნების სიტუაციაზე. ტეკ-ების გავლენის გაძლიერება განვითარებად ქვეყნებში იწვევს საწინააღმდეგო რეაქციას ეროვნულ მეწარმეთა და მათ მხარდამჭერ მთავრობათა მხრიდან. გარდა ამისა, ბაზირების ქვეყნების პოზიციიდან ტრანსნაციონალიზაცია ხშირად შეიძლება აღიქმებოდეს კაპიტალის გატანად ქვეყნიდან და მისი საკუთარი ეროვნული ეკონომიკური შესაძლებლობების დასასუსტებად. ამიტომ ტრანსნაციონალიზაცია, მიუხედავად თავისი ობიექტურად სასიკეთო გავლენისა მიმღები ქვეყნების და ბაზირების ქვეყნების ეკონომიკაზე, თითქმის ყოველთვის აწყდება განსაზღვრული წრეების წინააღმდეგობას როგორც იმ, ასევე სხვა ქვეყნებში.

აქედან წარმოიშობა თანამედროვე ეპოქის ძირითადი წინააღმდეგობა ტრანსეროვნულ კაპიტალსა და ეროვნულ სახელმწიფოებს შორის. სწორედ ამ ინტერესთა ბრძოლა წარმოადგენს დღეს მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ძირითად მამოძრავებელ ძალას.

ტრანსნაციონალიზაცია წარმოგვიდგება მნიშვნელოვან ელემენტად და ერთ-ერთ ძირითად კონტურ-რეგულატორად, რომელიც უზრუნველყოფს მსოფლიო ეკონომიკის ფუნქციონირების ერთიანობას გლობალური მასშტაბით.

დასაწყისისათვის უმჯობესია შევისწავლოთ ტრანსნაციონალიზაციის კატეგორიები.

5.1. ტრანსნაციონალიზაციის ძირითადი კატეგორიები

ტრანსნაციონალიზაცია, უპირველეს ყოვლისა, კაპიტალის მოძრაობაა ორ ან რამდენიმე ქვეყანას შორის, ამიტომ საკვანძო ტერმინი ამ პრობლემაში ინვესტიციებია. ზოგადად რომ ვთქვათ, *ინვესტიციები კაპიტალის დაბანდებაა ეკონომიკის სხვადასხვა დარგის ორგანიზაციებსა და წარმოებებში.* იგი იყოფა მოკლევადიან (კაპიტალის დაბანდება ერთ წლამდე ვადით) და საშუალო და გრძელვადიან (ერთ წელზე მეტი ვადით დაბანდება) ინვესტიციებად.

დაბანდების მიმართულებების მიხედვით განასხვავებენ ინვესტიციებს:

- ფიზიკურ კაპიტალში, კერძოდ, მოწყობილობებს, მანქანებს, შენობებსა და ინფრასტრუქტურაში;
- ფიქტიურ კაპიტალში, რომელიც გამოხატულია ფასიან ქაღალდებსა და არამატერიალურ აქტივებში (საავტორო მარკა, პატენტები, ლიცენზიები და ა. შ.);

- ადამიანურ კაპიტალში (საწარმოს თანამშრომელთა მომზადება, პერსონალის განვითარება, თანამშრომელთა ცხოვრების ხარისხის ამაღლება);
- ტექნოლოგიური კაპიტალი, სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების (სკსსს) დაფინანსების ფორმით.

ინვესტიციები შეიძლება განახორციელონ როგორც ეროვნულმა ოპერატორებმა, რომელთაც მიღებულია ეწოდოს რეზიდენტები, ასევე უცხოელებმა (არარეზიდენტებმა). კერძოდ, თვით წარმოება ახდენს საამორტიზაციო გადარიცხვებს და დებს საკუთარ საშუალებებს განვითარებაში, ე.ი. ახორციელებს თვითინვესტიციებს.

კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობაში განასხვავებენ ოფიციალურ (სახელმწიფო) და კერძო ინვესტიციებს. მაგალითად, ჩვენ ვიცით, რომ რუსეთი ფულს სესხულობს სხვა სახელმწიფოებიდან, რომლებიც მოცემულ შემთხვევაში ახორციელებენ სახელმწიფო ინვესტიციებს. როცა ნავთობის კომპანია „ლუკოილი" აბანდებს სახსრებს აზერბაიჯანულ ნავთობის საბადოში, საუბარი ეხება კერძო კომპანიებს.

უცხოური ინვესტიციები შეიძლება იყოს პირდაპირი და პორტფელური. *პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ერთი ქვეყნის საწარმოს საშუალებების დაბანდებაა სხვა ქვეყნის საწარმოში მასზე განსაზღვრული ხარისხის გრძელვადიანი გავლენის მოპოვების მიზნით.* პუი-ში ყოველთვის მონაწილეობს ქვეყანა-დონორი, რომლის რეზიდენტი ახდენს ინვესტირებას და ქვეყანა-რეციპიენტი ანუ მიმღები ქვეყანა, რომლის წარმოებაში იდება საშუალებები. პუი-ის განმასხვავებელი თვისება უცხოური იურიდიული პირის მიერ საწარმოს მართვის ეფექტიანი კონტროლის განხორციელების შესაძლებლობაა.

პირდაპირისაგან განსხვავებით, პორტფელური ინვესტიციები კაპიტალის დაბანდებაა ფასიან ქაღალდებში, რომელიც არ აძლევს ინვესტორს რეალურ საშუალებას გააკონტროლოს ინვესტირების ობიექტი. პორტფელური ინვესტიციები ხშირად მოკლევადიანია, ხოლო პირდაპირი ყოველთვის გრძელვადიანი ინვესტიციებია.

ვინაიდან პირდაპირ და პორტფელურ ინვესტიციებად დაყოფა ძირითადად ინვესტირების მიზნის მიხედვით ხდება, თავად მიზანი კი შეიძლება იცვლებოდეს, ამიტომ აბსოლუტურად მკაფიო გამყოფი ზღვარის გავლება მათ შორის ძნელია. მაგალითად, ერთ საწარმოს შეუძლია იყიდოს მეორის აქციები მასზე კონტროლის მიზნით და მალე შეცვლილ მიზნებთან ან სიტუაციასთან დაკავშირებით ხელსაყრელად გაყიდოს ეს აქციები. ან პირიქით, თავდაპირველად იყიდოს აქციები სპეკულაციური მიზნებით, ხოლო შემდეგ მათი საშუალებით დაადგინოს რეალური კონტროლი ინვეს-

ტირების ობიექტზე. განსხვავების დასადგენად მიღებულია გამოიყენონ მხოლოდ თავდაპირველი ინვესტირების მიზანი.

პირდაპირი ინვესტიციების განსაზღვრაში არცთუ სავსებით მკაფიოა ეფექტიანი კონტროლის ცნება ინვესტირების ობიექტზე. ზოგჯერ კონტროლისათვის საკმარისია საწარმოს აქციების 5%, ხოლო სხვა შემთხვევებში 15%-იც ცოტაა. ამ გაგებით მსოფლიოში არ არსებობს უნივერსალური განსაზღვრება, რომელზეც ყველა თანახმა იქნებოდა. უმეტეს ქვეყნებში აქციების 10%-ის ფლობა კონტროლის განსახორციელებლად უკვე ითვლება საკმარისად და ამ აქციათა პაკეტის განსახილველად პუი-ის სახით. ამავე აზრს ემხრობიან საერთაშორისო ორგანიზაციებიც. გერმანიასა და დიდ ბრიტანეთში ამ ზღურბლს წარმოადგენს 20%. ყველა მასზე ნაკლები დაბანდება ითვლება პორტფელურ ინვესტიციად. თუ, ვთქვათ, პორტფელური ინვესტიციების 5%-ში ტეკ-ამ კიდევ 5-დან 10%-მდე ინვესტირება მოახდინა, მაშინ საერთაშორისო სტატისტიკის მიხედვით მხოლოდ ბოლო 5% ჩაითვლება როგორც პუი. საერთოდ, მსოფლიო ეკონომიკაში ზღურბლის შემცირების ზოგადი ტენდენცია არსებობს, რომლის მიღმაც ინვესტიციას განიხილავენ როგორც პუი-ს.

პუი-ების განსაზღვრა და მათი გამოცალკევება პორტფელური ინვესტიციებისაგან არაა წმინდა თეორიული გამოკვლევა. იმისდა მიხედვით, თუ როგორი ტიპისაა ინვესტიცია, მის მიმართ იყენებენ სავალუტო რეგულირების და დაბეგვრის განსხვავებულ წესებს. გარდა ამისა, სხვადასხვა გამყოფი ზღურბლის საზღვრებისას სტატისტიკა, ბუნებრივია, მოგვცემს სხვადასხვა თანაფარდობას პირდაპირ და პორტფელურ ინვესტიციებს შორის, ხოლო ვინაიდან პუი წარმოადგენს ტრანსნაციონალიზაციის ხარისხის ძირითად დეტერმინანტს (განმსაზღვრელს), ეს აისახება მოცემული პროცესების ზოგად შეფასებაზე. ამჟამად სახეზე გვაქვს მკაფიოდ გამოხატული ტენდენცია პორტფელური ინვესტიციების მნიშვნელოვნად სწრაფი ზრდისა, პირდაპირთან შედარებით. ასე მაგალითად, თუ 10-12 წლის წინ მათი მოცულობები იყო პრაქტიკულად ტოლი, ახლა პორტფელური ინვესტიციები სამჯერ მეტია პირდაპირზე. ეს იმას ცხადყოფს, რომ კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობა ხდება სულ უფრო სწრაფი და ხორციელდება სპეკულაციური მიზნებით. გარდა ამისა, აქციების მინიმალური პაკეტი, რომელიც აუცილებელია წარმოებაზე კონტროლისათვის, მცირდება. ტეკ-ების ორგანიზაციის ახალი სისტემების პირობებში, რომელთა შესახებაც შემდგომში გვექნება საუბარი, ეფექტიანი კონტროლისათვის საკმარისი იქნება ძალიან მცირე აქციათა პაკეტი. ამიტომ სტატისტიკა პირდაპირი ინვესტიციების მიზნით განხორციელებულ კაპიტალდაბანდებების ნაწილს პორტფელურ ინვესტიციებად თვლის.

უცხოური კაპიტალით შეიძლება საწარმოები შეიქმნას შემდეგი ფორმებით:

- *ფილიალი* — საწარმო, რომელიც მთლიანად ეკუთვნის ინვესტორ-არარეზიდენტს;
- *ქალიშვილ-კომპანია*, რომელშიც არარეზიდენტი ფლობს 50%-ზე მეტ კაპიტალს;
- *ასოცირებული კომპანია*, რომელშიც ინვესტორი ფლობს 10-დან 50%-მდე კაპიტალს.

საერთაშორისო კორპორაცია მსხვილი კომპანიის ორგანიზაციის ფორმაა, რომელიც ახორციელებს პირდაპირ ინვესტიციებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. გამოყოფენ ორი სახის საერთაშორისო კორპორაციებს:

1. *ტრანსეროვნული კორპორაცია (ტეკ) — სათაო კომპანია ეკუთვნის ერთ ქვეყანას, ხოლო პირდაპირი ინვესტიციები ხორციელდება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.*

2. *მრავალეროვნული კორპორაცია (მეკ)* — სათაო კომპანია ეკუთვნის ორი ან მეტი ქვეყნის კაპიტალს, ხოლო პუი-ები აგრეთვე მთელ მსოფლიოში ხორციელდება.

თანამედროვე საერთაშორისო კორპორაციების დიდ უმეტესობას გაჩნია ტეკ-ის ფორმა, ამიტომ ტრანსნაციონალიზაციას უკავშირებენ ძირითადად სწორედ ამ ფორმას.

1974 წ. გაეროსთან არსებულ ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოში შეიქმნა ტეკ-ის ფენომენის შესწავლის კომისია და ცენტრი. ეს გახდა ტეკ-ის როლის აღიარება მსოფლიო თანამეგობრობის მიერ. შედეგად კომისია შევიდა გაეროს კომიტეტში (კონფერენციაში) ვაჭრობის და განვითარების მიხედვით (UNCTAD), რომლის მასალების გამოკვლევა და სტატისტიკა წარმოადგენს ძირითად ოფიციალურ წყაროს განვითარების შესახებ.

ტეკ-ის საქმიანობის ტრანსნაციონალური კორპორაციის ერთ-ერთი ყველაზე საყოველთაოდ მიღებული მახასიათებელი არის *ტრანსეროვნულობის ინდექსი, რომელიც თავისთავად წარმოადგენს საშუალოს შემდეგი შეფარდებითი მაჩვენებლების: უცხოური აქტივების მოცულობისა ერთობლივ აქტივებთან, საზღვარგარეთული გაყიდვებისა გაყიდვების საერთო მოცულობასთან და ტეკ-ების საზღვარგარეთულ ფილიალებში დასაქმებულთა რიცხვისა დასაქმებულთა საერთო რიცხვთან.* ტრანსეროვნულობის ინდექსი გვიჩვენებს რამდენად მნიშვნელოვანია საზღვარგარეთული ფილიალები და უცხოური ბაზრები ამა თუ იმ ტეკ-ისთვის. რაც უფრო მაღალია ტრანსეროვნულობის ინდექსი, მით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს კომპანიისათვის მისი საზღვარგარეთული ფილიალების საქმიანობას.

მაშასადამე, ტრანსნაციონალიზაციის პროცესში მონაწილეობს როგორც მინიმუმი ტეკ და ორი ქვეყანა:

- *ბაზირების* ქვეყანა, რომელშიც განლაგებულია კომპანიის სათაო განყოფილება;
- *მიმღები ქვეყანა*, რომელშიც საერთაშორისო კორპორაციას აქვს ფილიალები, ქალიშვილი ან ასოცირებული კომპანიები პირდაპირი ინვესტიციების საფუძველზე.

ამ სამი ძირითადი ეკონომიკური სუბიექტის ინტერესის შეხამება განსაზღვრავს ტრანსნაციონალიზაციის მასტიმულირებელ მოტივებს და ძირითად თვისებებს.

5.2. ტეკ-ის გენეზისი და ევოლუცია

ტრანსნაციონალიზაციის გენეზისის არაერთი ექსტრავაგანტული თეორია არსებობს. ამ პროცესის დასაწყისს ზოგიერთი მკვლევარი მიაკუთვნებს თვით ძველ მსოფლიოსაც კი. მართლაც, ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე იყო კომპანიები, რომლებიც ახორციელებდნენ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და წარმოებას თავისი ქვეყნის საზღვრებს გარეთ. მაგალითად, ასე იქცეოდნენ ბერძენი და ფინიკიელი კოლონისტები. თუმცა იმ დროს თავად ერები ჯერ კიდევ ყალიბდებოდნენ და ამიტომ ეროვნულთან მიმართება იყო სავსებით სხვაგვარი, ვიდრე ახლა. უფრო ლოგიკურად მიგვაჩნია პირველი ტრანსეროვნული კორპორაციის მიეკუთვნება, ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით, XX ს-ის ბოლოსთან.

ტეკ-მა ისტორიულად განვითარების რიგი ეტაპები განვლო. პირველი ტეკ-ის (XIX ს-ის ბოლო) ჩასახვის პერიოდიდან მათ განიცადეს საკმაოდ მნიშვნელოვანი ევოლუცია. *პირველი თაობის* ტეკ-ების საქმიანობა მნიშვნელოვანწილად იყო დაკავშირებული ყოფილი კოლონიების ნედლეულის რესურსების დამუშავებასთან, რაც საფუძველს იძლევა განსაზღვრო ისინი, როგორც „კოლონიურ-სანედლეულო ტეკ-ები". თავისი ორგანიზაციულ-ეკონომიკური ფორმითა და ფუნქციონირების მექანიზმებით ისინი კარტელები, სინდიკატები და პირველი ტრესტები იყო.

შემდეგ მსოფლიო არენაზე გამოდის ტრესტული ტიპის ტეკ-ები, რომელიც დაკავშირებულია სამხედრო-ტექნიკური პროდუქციის წარმოებასთან — *მეორე თაობის* ტეკ. დაიწყო რა საქმიანობა ორ მსოფლიო ომს შორის პერიოდში, ზოგიერთმა მათგანმა შეინარჩუნა თავისი პოზიციები მსოფლიო ეკონომიკაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგაც. პირველი და მეორე თაობის ტეკ-ებისათვის დამახასიათებელია ინვესტიციები „ნულიდან". ეს განპირობებულია იმით, რომ პირველი და მეორე თაობის ტეკ-ის ფუნქციონირების პერიოდში ძირითად კონკურეტულ უპირატესობას

წარმოადგენდა ფიზიკურ მწარმოებლურ სიმძლავრეთა არსებობა სხვადასხვა ქვეყანაში. ამასთან, განსახილველი პერიოდი ხასიათდება ახალი ტეკ-ების აღმოცენებით და საერთაშორისო წარმოებაში ადგილობრივი ფირმების თანდათანობითი ჩართვით, რამაც გამოიწვია შერწყმისა და შთანთქმათა ტალღები, აგრეთვე სტრატეგიული ალანსების დიდი რიცხვის წარმოშობა.

60-იან წლებში სულ უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებენ *მესამე თაობის* ტეკ-ები, რომელთა საქმიანობა ეფუძნება მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევათა ფართოდ გამოყენებას. ამ ტეკ-ების ორგანიზაციულ-ეკონომიკური ფორმის სახით გამოდიოდნენ უკვე კონცერნები და კონგლომერატები. 60-80-იან წლებში მესამე თაობის ტეკ-ების საქმიანობაში ხდებოდა ეროვნული და საზღვარგარეთული წარმოებების ელემენტების შეზღუდული შეერთება: საქონლის რეალიზაცია, პერსონალის მართვის და მუშაობის ორგანიზაცია, სამეცნიერო-ტექნიკური სამუშაოების, მარკეტინგის და გაყიდვისშემდგომი მომსახურება. კვლავწარმოებითი პროცესის ძირითადი ელემენტები გადადიოდა შესაბამისი ქვეყნებისათვის საერთო სტანდარტებსა და პრინციპებზე. მესამე თაობის ტეკ-ები ხელს უწყობდნენ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევათა გავრცელებას მსოფლიო მეურნეობის პერიფერიულ ზონებში და, რაც მთავარია, ქმნიდნენ ეკონომიკურ წანამძღვრებს აღმოცენებულიყო საერთაშორისო წარმოება ერთიან საბაზრო და საინფორმაციო სივრცესთან, კაპიტალის და სამუშაო ძალის, სამეცნიერო-ტექნიკური მომსახურების საერთაშორისო ბაზართან ერთად. მესამე თაობის ტეკ-ები გასაღების ბაზრებისთვის გამართულ ცხარე ბრძოლებში ყოველმხრივ ცდილობდნენ უპირატესობის მოპოვებას საფასო კონკურენციაში, რამაც ტრანსპლანტანტების ფართო გამოყენება განაპირობა პუი-ების მეთაური ფორმის სახით. საამწყობო წარმოება მიმღებ ქვეყნებში დაეხმარა ტეკ-ებს გვერდი აევლოთ ამ ქვეყნების იმპორტული ბაჟისათვის.

თანდათანობით ჩნდებოდა, 80-იანი წლების დამდეგს კი დამკვიდრდა *მეოთხე თაობის* გლობალური ტეკ. მათი განმასხვავებელი ნიშნებია:

1. ბაზრების პლანეტარული ხედვა და კონკურენციის განხორციელება მსოფლიო მასშტაბით.

2. მსოფლიო ბაზრების დაყოფა რამდენიმე გლობალური ტეკ-ის მიერ.

3. თავისი ფილიალების ქსელის მოქმედებათა კოორდინაცია ახალი ქსელური საინფორმაციო ტექნოლოგიების საფუძველზე, თითოეული მწარმოებლური კვანძის მოქნილი ორგანიზაცია, კორპორაციის მთელი ორგანიზაციული სტრუქტურის ადაპტაცია და მოქნილობა, საბუღალტრო აღრიცხვის და აუდიტის ერთგვაროვანი ორგანიზაცია.

4. საკუთარი ფილიალების, ქარხნებისა და ერთობლივი საწარმოების ინტეგრაცია მართვის ერთიან საერთაშორისო ქსელში, რომელიც, თავის მხრივ, ინტეგრირებულია ტეკ-ების სხვა ქსელებთან.

5. ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენის განხორციელება სახელმწიფოებზე, რომლებშიც განთავსებულია ტეკ-ის ბიზნესი.

სწორედ მეოთხე თაობის ტეკ-ების ეპოქაში იყო ფართოდ ამოქმედებული პუი-ების ისეთი ფორმები, როგორიცაა სტრატეგიული ალიანსები, შერწყმები და შთანთქმები. პუი-ების აღნიშნულ ფორმებში მოცემულ პერიოდში მონაწილეობდნენ ძირითადად საწარმოო კომპანიები, ხოლო შერწყმათა და შთანთქმათა ბუმის პროვოცირება 80-იან წლებში ახალი ფინანსური ინსტრუმენტების განვითარებამაც განაპირობა საერთაშორისო ბაზარზე. მოცემული გარემოებანი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა მათგან, რომლებიც აიძულებდნენ ტეკ-ებს მიემართათ შერწყმებისა და შთანთქმებისათვის 90-იან წლებში.

ახლა შეიძლება საუბარი ტეკ-ის *მეხუთე თაობის* წარმოშობასა და განვითარებაზე. მათი განმასხვავებელი თვისებები დაკავშირებულია, უპირველეს ყოვლისა, თანამედროვე ტეკ-ების ფუნქციონირების გლობალურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პირობებთან, რომლებიც იქცნენ ფინანსური და ეკონომიკური სიმძლავრით დამოუკიდებელ მოთამაშეებად მსოფლიო ეკონომიკაში ეროვნულ სახელმწიფოებთან ერთად. ტრანსეროვნული კაპიტალი გახდა დამოუკიდებელი ეკონომიკური ორგანიზმი მთელი თავისი ორიგინალური სტრუქტურითა და შიდა განვითარების მიზნებით. მეხუთე თაობის ტეკ-ები განსხვავდებიან წინამორბედებისაგან გაძლიერებული ეკონომიკური სიმძლავრით და მსოფლიო ეკონომიკაში მონაწილეობით ეროვნული სახელმწიფოებისაგან დამოუკიდებელი სუბიექტის სახით. მოცემულ ტენდენციას ხელს უწყობს ტეკ-ების საქმიანობის ლიბერალიზაცია მრავალ ქვეყანაში. მარტო 1999 წელს მთელ მსოფლიოში მიღებულ იქნა ტრანსეროვნული კორპორაციებისათვის ხელსაყრელი 136 შესწორება კანონმდებლობაში, 9 არახელსაყრელის საპირისპიროდ.

მთლიანობაში, 90-იან წლებში ტეკ-ებისათვის დამახასიათებელია კაპიტალდაბანდებათა ზრდა მომსახურების სფეროში. კერძოდ, უმსხვილესი ტეკ-ების პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 50%-ზე მეტი 90-იანი წლების შუაში მიმართული იყო მომსახურების სფეროში, სკსსს-ის და მარკეტინგული კვლევის ჩათვლით. 90-იანი წლები ხასიათდება სასტიკი კონკურენტული ბრძოლით თავად ტეკ-ებს შორის. ამგვარ სასტიკ ბრძოლას უბიძგა ისეთმა ფაქტორებმა, როგორიცაა: „ტექნოლოგიური რევოლუციის გავრცელება; ტექნოლოგიური შესაძლებლობების კონვერგენცია წარმოე-

ბის მრავალ დარგში, რომელიც ამარტივებს სწრაფ იმიტაციას და საუკეთესო ხარისხის სხვადასხვა საქონლის გამოჩენას; კორპორაციების შერწყმა მსოფლიო მასშტაბით"[1]. მეხუთე თაობის ტეკ-ებისათვის დამახასიათებელია ტექნოლოგიების მნიშვნელობის გაძლიერება კონკურენციულ ბრძოლაში როგორც სხვა ტეკ-ებთან, ასევე მცირე და საშუალო ფირმებთან. ბოლო წლებში კომპანიათა ხარჯები ტექნოლოგიებზე იზრდებოდა. ეს გამოიხატებოდა საზღვარგარეთულ ფილიალებში მაღალტექნოლოგიური კაპიტალის ექსპორტზე დანახარჯების ზრდაში, ტექნოლოგიის გაყიდვაში, პერსონალის სწავლებაში, აგრეთვე როიალტის და ლიცენზიის გადახდაში. ტექნოლოგიებზე დანახარჯების ზრდა დაკავშირებულია ტექნოლოგიურად ინტენსიურ წარმოებაში ტეკ-ების აქტიურ ჩართვასთან, რაც შესაძლებლობას აძლევს მათ გაამყარონ და გაუმჯობესონ თავისი კონკურენტული უპირატესობანი ბაზარზე.

მეხუთე თაობის ტეკ-ებისათვის სულ უფრო დიდ როლს თამაშობს ინოვაციები და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები. ყველა დარგის კომპანიები იძულებული არიან გაადიდონ დანახარჯები სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე კონკურენტული უპირატესობების მიღების მიზნით. აუცილებელია აღინიშნოს, რომ თანამედროვე ტეკ-ები ამჯობინებენ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს თავი მოუყარონ სათაო კომპანიაში, ხოლო წარმოება გააქვთ საზღვარგარეთ. ამიტომ სკსსს თავმოყრილია ტეკ-ების ბაზირების ქვეყანაში, ხოლო წარმოება ხშირად გატანილია საზღვარგარეთულ სტრუქტურებში. ვინაიდან 85%-ზე მეტი წამყვანი ტეკ დაფუძნებულია აშშ-ში, იაპონიასა და ევროკავშირში, ეს ქვეყნები პრაქტიკულად ყველა ძირითადი სამეცნიერო კვლევის აკუმულირებას ახდენენ. ამით ამ ქვეყნების ეკონომისტები უფრო მეტ ორიენტირებას ახდენენ ინტელექტუალური პროდუქტების წარმოებაზე, ვიდრე მატერიალურზე. თუმცა უკვე არსებობს მაგალითები, როცა ტეკ-ები ატარებენ სკსსს-ს კვლევით ცენტრებში, რომლის კოლექტივის მეცნიერ-თანამშრომლები და კონსტრუქტორები ფუნქციურად და გეოგრაფიულად განლაგებული არიან იმგვარი ანგარიშით, რომ ახალი ტექნოლოგიური პროცესები და პროდუქცია ოპერატიულად დაინერგოს ტეკ-ის მთელ საწარმოო და გასაღების ქსელში. კერძოდ, სამეცნიერო განყოფილებების და საწარმოების განთავსების მსგავსი პრინციპით ხელმძღვანელობს ამერიკული კორპორაცია „ქსეროქსი".

თანამედროვე ტეკ-ების საქმიანობის არსებით ასპექტს წარმოადგენს არნახული ბუმი ტელეკომუნიკაციების ტექნოლოგიების განვითარებაში.

---

1 Шиман М. Государство и транснациональные компании // Проблемы теории и практики управления, 1999. N4, с. 54.

მსოფლიო საინფორმაციო ინფრასტრუქტურა, რომელმაც მსოფლიოს XX საუკუნის ბოლო ათწლეულში აჩუქა ინტერნეტის ქსელის განვითარება, ბევრ საკითხში უწყობს ხელს ტეკ-ების განვითარებას. თანამედროვე ტელესაკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით ტეკ-ებმა მიიღეს შეუზღუდავი შესაძლებლობები ინფორმაციის გაცვლის თვალსაზრისით როგორც სათავო კომპანიასა და საზღვარგარეთულ ფილიალებს, ასევე სხვა ტეკ-ებს შორის. ტელეკომუნიკაციები ემსახურება ტეკ-ების მმართველობითი სტრუქტურის განვითარების და გაძლიერების მიზნებს კორპორაციის შიგნით და გარე სამყაროსთან საინფორმაციო ნაკადების სიჩქარის გადიდებას.

ფინანსური სექტორის გლობალიზაციის დაჩქარებამ და მსოფლიო ფინანსური ბაზრების ინტეგრაციამ მიგვიყვანა უზარმაზარ ტრანსეროვნულ ფინანსურ კონგლომერატთა წარმოქმნამდე. საერთაშორისო ფინანსური ინტეგრაციის განვითარება ემსახურება ტეკ-ების პოზიციათა გაძლიერებას მსოფლიოში. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გაძლიერებული ნაკადები, განსაკუთრებით განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, გვაძლევს საშუალებას ვთქვათ, რომ XX ს-ის ბოლო ათწლეულში ტეკ-ეკბმა მხოლოდ გააძლიერეს ბრძოლა მსოფლიო ბაზრებისათვის. ამ პროცესს ხელს უწყობდა აგრეთვე საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება და პოლიტიკური პროცესები, რომელიც მსოფლიოში ხდებოდა XX ს-ის 90-იანი წლების ბოლოს. ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს დაშლა, ჩინეთის ინტეგრაცია მსოფლიო ეკონომიკაში, სამხრეთ აზიის ეკონომიკური ბუმი — ყველა ამ ფაქტორმა ხელი შეუწყო ტეკ-ების აქტიურობას მსოფლიო ბაზარზე.

ბოლო დროს ძლიერდება ტეკ-ების გამსხვილების ტენდენცია. იგი დაკავშირებულია უპირველეს ყოვლისა შერწყმისა და შთანთქმის პროცესთან, რომლის მოცულობამ 1998 წ. შეადგინა 544 მლრდ. დოლარი. შერწყმათა და შთანთქმის რიცხვის ზრდის მიზეზი რამდენიმეა. პირველ რიგში, საერთაშორისო კონკურენციის გაძლიერების პირობებში შერწყმა და შთანთქმა ყველაზე სწრაფი გზაა ტეკ-ებისთვის იმუშაონ პრინციპულ მსოფლიო ბაზრებზე, ასევე მათთვის ხელმისაწვდომი ხდება ყველანაირი რესურსი. მეორე, გლობალიზაციის პირობებში კორპორაციის ზომა მისი საქმიანობის მნიშვნელოვან პარამეტრს წარმოადგენს. მსხვილ კორპორაციებს თანამედროვე პირობებში გააჩნია მძლავრი ფინანსური, მმართველობითი და საწარმოო სტრუქტურები, რაც მათ ხდის ნაკლებად დაქვემდებარებულს ეკონომიკური კრიზისებისადმი ცალკე აღებულ რეგიონში ან ქვეყანაში. კორპორაციის ზომა აგრეთვე მნიშვნელოვანია ეკონომიის გამოყენებისას ამა თუ იმ ფირმის მასშტაბიდან გამომდინარე. მესამე, მსხვილ კორპორაციებს აქვთ შესაძლებლობა მიიზიდონ საკმარისი რაოდენობის

საწარმოო და ფინნსური რესურსები წარმოებაში ტექნოლოგიური გარეემოს განვითარების ხელშეწყობისთვის, რაც თანამედროვე ეკონომიკაში ყველაზე მნიშვნელოვანია, აგრეთვე სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე სულ უფრო მზარდი დანახარჯების უზრუნველსაყოფად. სხვა მიზეზთა შორის, რომლებიც კომპანიებს უბიძგებს შერწყმისა და შთანთქმისაკენ, შეიძლება გამოვყოთ მისწრაფება დაიკავონ გაბატონებული მდგომარეობა ბაზარზე. ზოგიერთ შემთხვევაში გათვლა ხდება კაპიტალის მოკლევადიან ზრდაზე, რაც შეიძლება გამოიწვიოს აქციებზე ფასების აწევამ.

მრავალრიცხოვანი შერწყმისა და შთანთქმის, აგრეთვე, სტრატეგიული ალიანსების შედეგად იქმნება ოლიგოპოლისტური ტიპის ახალი ტეკ-ები. ამჟამად განვითარებულ ქვეყნებში გაბატონებული მდგომარეობა ყოველ დარგში უკავია სულ ორ-სამ სუპერგიგანტს, რომლებიც კონკურენციას უწევენ ერთმანეთს ყველა ქვეყნის ბაზრებზე.

5.3. ტეკ-ების როლი და ადგილი

ტეკ-ები დღეს წარმოდგენილია დაახლოებით 60 ათასი ძირითადი (დედა) კომპანიით, მათი 500 ათასზე მეტი საზღვარგარეთული ფილიალით და აფილირებული (დამოკიდებული) კომპანიებით მთელ მსოფლიოში.[1] ტეკ-ები სულ უფრო დიდ გავლენას ახდენენ საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაზე და მსოფლიო ეკონომიკაზე მთლიანობაში. ისინი აკონტროლებენ მსოფლიო სამრეწველო წარმოების თითქმის ნახევარს; საგარეო ვაჭრობის 63%-ს; აგრეთვე, ახალ ტექნიკაზე, ტექნოლოგიასა და ნოუ-ჰაუზე პატენტების და ლიცენზიების დაახლოებით 4/5-ს.

ტეკ-ების კონტროლის ქვეშაა ხორბლის, ყავის, სიმინდის, ხე-ტყის მასალების, თამბაქოს, ჯუთის და რკინის მადანის მსოფლიო ბაზრის 90%, სპილენძის და ბოქსიტების ბაზრის — 85%, ჩაის და კალის — 80%, 75% ბანანების, ნატურალური კაუჩუკის, ნავთობის ნედლეულის ბაზრის. ამერიკული ექსპორტის ნახევარს ახორციელებენ ამერიკული და უცხოური ტეკ-ები. დიდ ბრიტანეთში ეს წილი აღწევს 80%-ს, სინგაპურში - 90%-ს, გადასახადთა დიდი ნაწილი, რომელიც დაკავშირებულია ახალი ტექნოლოგიების ტრანსფერტთან, ხორციელდება ტეკ-ების შიგნით. აშშ-ში ტეკ-თა წილი ტექნოლოგიის ტრანსფერტებში შეადგენს 80%-ს, დიდ ბრიტანეთში - 90%-ს.

ტეკ-ების საერთაშორისი წარმოების ზრდა ილუსტრირებულია 5.1 ცხრილში.

დაგროვილი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საერთო მოცულობა აჭარბებს 4 ტრლნ დოლარს, ხოლო ტეკ-თა გაყიდვის მოცულობა შეადგენს მსოფლიოს გაყიდვების 25%-ს, ამასთან, ტეკ-ის პროდუქციის 1/3 გამოშვე-

1 UNCTAD, World Investment Report 1997. - U. N. N. Y. 1999 - P. 1.

ბულია აფილირებული საზღვარგარეთული სტრუქტურების მიერ. ტეკ-ების საზღვარგარეთული სტრუქტურების გაყიდვის მოცულობა უკვე აჭარბებს მთელ მსოფლიო ექსპორტს. ამასთან, ამ სტრუქტურათა გაყიდვის მოცულობა იზრდება 20-30%-ით სწრაფად, ვიდრე ტეკ-ის პირდაპირი ექსპორტი.

ცხრილი 5.1.

ტრანსნაციონალური კორპორაციების წარმოების დინამიკა

ქვეყანა	1990 წ.		2000 წ.	
	მლრდ. დოლ. აშშ	% მშპ-დან	მდრდ. დოლ. (საშუალო მსოფლიო)	% მშპ-დან
აშშ	1478	23	3378	25
იაპონია	497	12	2602	24
დიდი ბრიტანეთი	235	44	406	48
გფრ	507	17	2164	24
საფრანგეთი	129	6	455	7
სულ	2846	17	9005	22

ბოლო წლებში ტეკ-ების უცხოური პირდაპირი ინვესტიციები გაიზარდა 3-ჯერ სწრაფად, ვიდრე შიდა ინვესტიციები, თუმცა მათ წილად მოდის მრეწველურად განვითარებულ ქვეყნებში ყოველწლიური ინვესტიციების სულ 6%. კიდევ ერთი თვალსაჩინო ციფრი — ყველა საერთაშორისო გადასახდელთა 70%, რომლებიც დაკავშირებულია კრედიტებთან და ლიცენზიებთან, წარმოადგენს გადასახდელებს დედა-კომპანიებსა და მათ საზღვარგარეთულ ფილიალებს შორის.

ყველა პირდაპირი უცხოური ინვესტიციის დაახლოებით ნახევარი ხორციელდება შერწყმისა და შთანთქმის მეშვეობით, უპირატესად განვითარებული ქვეყნების ფირმებს შორის. საინტერესოა, რომ აშშ ბოლო წლებში სულ პირველ ადგილზეა მიზიდული უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ზომების მიხედვით. უკვე მრავალი წლის განმავლობაში დაახლოებით ყველა პუი-ს 3/5 მიემართება განვითარებულ ქვეყნებში და მხოლოდ 2/5 - განვითარებად ქვეყნებში. ამერიკულ ტეკ-ებში ყოველი 5 დოლარიდან, რომელიც მიღებულია მათ მიერ საზღვარგარეთ საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან, 4 დოლარი მათი საზღვარგარეთული ფილიალების გაყიდვიდანაა ან ექსპორტია ამ ფილიალებში.

აზიური ქვეყნები „იპყრობენ" ყველა განვითარებად ქვეყანაში პუიების საერთო მოცულობის დაახლოებით 2/3-ს. იმავდროულად აფრიკული

ქვეყნების უმრავლესობა, მიუხედავად მათი მდიდარი ბუნებრივი რესურსებისა, თითქმის არ იზიდავს უცხოურ კაპიტალს.

არსებობს საკმაოდ მკაფიოდ გამოხატული ტენდენცია — რაც უფრო განვითარებულია ქვეყანა, მით მეტად არა მარტო ახორციელებს პუი-ებს, არამედ იღებს კიდეც მათ. ეს ტენდენცია უშუალოდ გამოხატულია ისეთ მაჩვენებელში, როგორიცაა საზღვარგარეთ მოცემული ქვეყნის დაგროვილი პირდაპირი ინვესტიციების მთელი მოცულობის შეფარდება იმავე ქვეყანაში უცხოურ ინვესტიციებთან. ცხრილში 5.2 მოტანილია ამ შეფარდების მნიშვნელობა 90-იან წლებში სხვადასხვა ქვეყანაში.

ცხრილი 5.2.

გასული და შემოსული პირდაპირი ინვესტიციების თანაფარდობა

ქვეყანა	კოეფიციენტი	ქვეყანა	კოეფიციენტი
დანია	1,14	შვეიცარია	2,03
საფრანგეთი	1,46	იაპონია	16,86
გფრ	1,60	იტალია	0,97
ნიდერლანდები	1,59	ესპანეთი	0,36
დიდი ბრიტანეთი	1,19	ავსტრალია	0,37
აშშ	1,05	კანადა	0,69
შვედეთი	3,40	ბელგია-ლუქსემბურგი	0,79

წყარო: Daniiels P. W. Lever W. F. (ed). The Global economy in transition. - London, 1997. - P. 112-113.

ცხრილიდან ჩანს, რომ აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, იტალიასა და დანიაში ეს კოეფიციენტი ახლოსაა ერთთან (ე. ი. ისინი პუი-ებში დებენ დაახლოებით იმდენს, რამდენსაც ღებულობენ), გფრ-სა და საფრანგეთში — დაახლოებით - 1,5-ის დონეზეა, ესპანეთში — მხოლოდ 0,36. საერთო ფონზე მკვეთრად გამოიყოფა კაპიტალის გატანაში რეკორდსმენი - იაპონია. (1997 წლის კრიზისის შემდეგ მისი პუი-ების ინტენსივობა დროებით დაეცა, მაგრამ ახლა კვლავ იკრებს წინანდელ ბრუნვებს).

ტეკ-ების განვითარება უშუალო გავლენას ახდენს მსოფლიო ეკონომიკის ზრდაზე. შეიძლება გამოვყოთ მსოფლიო ეკონომიკაზე ტეკ-ების გავლენის რამდენიმე ძირითადი მიმართულება:

1. ტეკ-ები ბევრად განსაზღვრავენ საქონლისა და მომსახურების მსოფლიო ბაზრის დინამიკასა და სტრუქტურას, კონკურენტუნარიანობის დონეს.

2. ტეკ-ები აკონტროლებენ კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობასა და პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს. ისინი ძირითადი ინვესტორები არიან განვითარებად ქვეყნებში და აქტიურად ახდენენ გავლენას მათ ეკონომიკურ განვითარებაზე, იმავდროულად გააჩნიათ გავლენის ფართო სფეროები განვითარებულ ქვეყნებში. ეს საშუალებას იძლევა ვისაუბროთ იმაზე, რომ თანამედროვე ტეკ-ებს უნარი შესწევთ გავლენა მოახდინონ მთელი რეგიონების ეკონომიკური განვითარების დონეზე.

3. ტეკ-ები დიდ როლს თამაშობენ ტექნოლოგიების და ცოდნის გადაცემაში, ახდენს რა სკსსს-ის კონცენტრირებას საკუთარ სამეცნიერო ცენტრებში. ტეკ-ების საწარმოო და ფინანსური შესაძლებლობების წყალობით ისინი თავიანთ ხელში აქცევენ ყველაზე მეცნიერებატევად წარმოებებს. ტეკ-ები ამუშავებენ უახლესი სახეობის პროდუქციას ყველაზე კარგი სამომხმარებლო მოთხოვნის თვისებებით, რითაც წარმოების ტექნოლოგიური განვითარების პროცესს უწყობენ ხელს.

4. ტეკ-ები საერთაშორისო შრომითი მიგრაციის სტიმულატორები არიან. ისინი ხელს უწყობენ პროფესიული ცოდნის გავრცელებას, გამოცდილების გაცვლის პროცესს სხვადასხვა ქვეყნის თანამშრომლებს შორის. ამით კი საერთაშორისო შრომის ბაზარი იქმნება, რომლისთვისაც დამახასიათებელია სხვადასხვა ქვეყნიდან პერსონალის პროფესიული მომზადების კონვერგენციის პროცესები.

ამგვარად, ტეკ-ები რამდენიმე საკვანძო პროცესის მამოძრავებელი ძალაა თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში. ისინი დადებით გავლენას ახდენენ სხვადასხვა ქვეყნის და რეგიონის ეკონომიკაზე. ტეკ-ები ხელს უწყობენ საწარმოო, სამეცნიერო და ტექნოლოგიურ კავშირებს სხვადასხვა ქვეყნის და რეგიონის საწარმოებს შორის. ისინი თამაშობენ განმსაზღვრელ როლს საერთაშორისო კონკურენციის პროცესში. ამასთან, თანამშრომლობენ და მეტოქეობას უწევენ მცირე და საშუალო ბიზნესს.

ამავე დროს, ტეკ-ების როლი არ შეიძლება შეფასდეს ცალმხრივად დადებითად. მათი ინტერესები ხშირად წინააღმდეგობაში მოდის ეროვნულ სახელმწიფოებთან, მცირე და საშუალო ბიზნესთან. კორპორაციები იწყებენ ფუნქციონირებას მთავრობების მსგავსად. მაგალითად, IBM ფაქტობრივად წარმოადგენს მთელ ქვეყანას. მას, ისევე, როგორც სხვა მსხვილ ტეკ-ებს, „ჰყავს თავისი დიპლომატ-თანამშრომლების კადრები, რომლებიც საქმიან ურთიერთობებს ეწევიან ეროვნულ სახელმწიფოებთან. მისი ჰეშმარიტი ელექტორატი, რომელსაც იგი ერთგულობს, არიან, რა თქმა უნდა, არა ამერიკელები მთლიანობაში, არამედ მისი აქციონერები. ამგვარად, გლობალიზაციის გაფართოებისდა მიხედვით ჩვენ შევდივართ კორპორაციული ფეოდალიზმის ერაში“.[1]

---

1 Tatlor I. Wacker W. The 500 year Delta. - Oxford, 1997 - P. 95.

ტრანსნაციონალური კაპიტალი, რომელიც უპირველეს ყოვლისა ტეკ-ებითა და ტებ—ებითაა წარმოდგენილი და რომელსაც მხარს უჭერენ თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის სხვა სუბიექტები, თავისი განვითარების ობიექტური კანონზომიერების ძალით მიისწრაფვის ეკონომიკური, მაგრამ უფრო მეტად პოლიტიკური და იდეოლოგიური ძალაუფლების გაფართოებისაკენ. ეს განაპირობებს ორხელისუფლებიანობის სიტუაციას დ დინამიკურ წონასწორობას, რომელიც ჩამოყალიბდება, ერთი მხრივ, ტრანსეროვნულ კაპიტალსა და მეორე მხრივ, ეროვნულ სახელმწიფოებს შორის.

ამ ძირითადი ძალების ერთმანეთის მიმართ წინააღმდეგობის გაწევა ატარებს დიალექტიკურ ხასიათს და ღებულობს სხვადასხვაგვარ ფორმებს — პირდაპირი დაპირისპირებიდან სავსებით კონსტრუქციულ და ურთიერთხელსაყრელ თანამშრომლობამდე. ტრანსეროვნული კაპიტალი თავის მოძრაობასა და განვითარებაში, ბუნებრივია, ორიენტაციას ახდენს ძირითადად საკუთარ მოგებაზე და თავისუფლად გადადის ხან კრიზისის უმკაცრეს ფორმებამდე მისულ სპეკულაციურ კაპიტალში, ხან უეცრად ხდება მთავარი შემოქმედებითი ძალა პლანეტაზე, - უზრუნველყოფს მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს, მთელ პლანეტაზე ახალ საწარმოო კომპლექსებს აშენებს, სწრაფად უდგამს სულს და მიაქვს ცივილიზაცია ეკონომიკურად და კულტურულად ჩამორჩენილ რეგიონებში. ყველაფერი დამოკიდებულია შექმნილ ვითარებაზე.

იმ შემთხვევებში, როცა ტრანსეროვნული კაპიტალის ინტერესები ობიექტურად ემთხვევა განსაზღვრული ეროვნული სახელმწიფოების ინტერესებს, მას შეუძლია უზრუნველყოს მათთვის მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი უპირატესობანიც კი სახელმწიფოთა შორის ეკონომიკურ კონკურენციაში. მოწინავე ქვეყნებში, რომლებიც შედიან ე. წ. „ოქროს მილიარდში“, მათმა ორხელისუფლებიანობამ მიიღო უფრო მეტად სიმბიოზის ხასიათი. *სახელმწიფოების განვითარება აქტიურად უწყობს ხელს საკუთარი ტეკ-ების განვითარებას,* რომლებიც, თავის მხრივ, უზრუნველყოფენ სიუზერენებისათვის საგადასახადო საშუალებების მიწოდებას საერთაშორისო მოღვაწეობიდან და რაც ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანია, მათ ეკონომიკური, ხოლო შემდგომ ეტაპზე პოლიტიკურ გავლენის გავრცელებას.

ეს სახელმწიფოები პრაქტიკაში იყენებენ სხვადასხვაგვარ ზომებს ტრანსეროვნული კაპიტალის მხარდასაჭერად, რომელთა შორის შეიძლება გამოვყოთ:

1. სახელმწიფო გარანტიების გაცემა და პირდაპირი ინვესტიციების დაზღვევა. მაგალითად, აშშ-ში მოქმედებს დაზღვევისა და ინვესტიციების გარანტირების სახელმწიფო კორპორაცია.

2. საინვესტიციო დავების დარეგულირებაში მხარდაჭერა. საერთაშორისო არბიტრაჟის სპეციალიზებული ინსტიტუტების შექმნა საინვესტი-

ციო სფეროში. მოქმედებს საინვესტიციო დავების დარეგულირების საერთაშორისო კონვენცია, რომელიც ხელმოწერილია 115 ქვეყნის მიერ.

3. სამართლიანი და არადისკრიმინაციული საინვესტიციო პირობების შექმნა როგორც სამამულო, ასევე, უცხოელი ინვესტორებისთვის.

4. ორმაგი დაბეგვრის გამორიცხვა.

5. ადმინისტრაციული და დიპლომატიური მხარდაჭერა საკუთარი საერთაშორისო კორპორაციებისთვის ახალი უცხოური ბაზრების ათვისებისას.

ტრანსეროვნული კაპიტალი მგრძნობიარედ ეხმიანება „თავისი" სახელმწიფოების მხარდაჭერას, უზრუნველყოფს რა მათი ეკონომიკური სიმძლავრის და ეკონომიკური ექსპანსიის გაძლიერებას. მაგალითად, ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე, მოქმედებდა რა თავისი კორპორაციების მეშვეობით, ეკონომიკური თვალსაზრისით ძლიერმა გერმანიამ არანაკლებ ეფექტიანი კონტროლი დაამყარა ჩეხეთის ეკონომიკაზე, ვიდრე სამხედრო შეჭრისა და უბადაღებული „მიუნხენის შეთანხმების" შედეგად. მაგალითად, 1990 წ. გერმანულმა კონცერნმა „ფოლკსვაგენმა" შეიერთა ჩეხური „შკოდა" და უფრო ადრე „აუდის" და ესპანური „სეატის" შთანთქმათა გათვალისწინებით საბოლოოდ დაფუძნდა როგორც პანევროპული კომპანია. ალბათ საჭიროა მივესალმოთ იმას, რომ ბაზრებისათვის ბრძოლა გადავიდა სასტიკი სამხედრო-პოლიტიკურიდან, უკიდურეს შემთხვევაში, უსისხლო ეკონომიკურ სფეროში.

„თავისი" საერთაშორისო მონოპოლიების მიმართ სახელმწიფო ატარებს საკმაოდ წინააღმდეგობრივ და ორმაგ პოლიტიკას. ვინაიდან ეს მონოპოლიები წარმოადგენს „თავისს", სახელმწიფო აძლევს მათ ყოველგვარ კრედიტს, სუბსიდიას, დოტაციას, შეღავათებს დაბეგვრში. თუმცა საერთაშორისო მონოპოლიის სიმძლავრის ზრდას მივყავართ ქვეყნიდან კაპიტალის გადინების გაზრდისკენ პირდაპირი ინვესტირების არხებით, რაც საერთოდ ქვეყნისათვის სასიკეთოა მთლიანობაში, მაგრამ ახდენს არასასურველ უარყოფით გავლენას დასაქმების და უმუშევრობის დინამიკაზე, შრომის მწარმოებლურობაზე, სამრეწველო წარმოების ტემპების ზრდაზე და, შესაბამისად, მეპ-ს მოცულობაზე ბაზირების ქვეყნის ეკონომიკის ჩარჩოებში. ამასთან, მსხვილ კორპორაციებს ზოგჯერ შეუძლიათ წარმართონ ბაზირების ქვეყნის საგარეო პოლიტიკა საკუთარი ინტერესებისათვის. ცნობილია არაერთი შემთხვევა, როცა აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის და ბაზირების სხვა ქვეყნების მთავრობები აღმოჩნდნენ ჩათრეულნი ძვირადღირებულ საერთაშორისო კონფლიქტებში საკუთარ ტეკ-ების ინტერესების დაცვის მიზნით, რომლებიც სავსებით არ ეთანხმებოდა სხვა მოქალაქეთა ინტერესებს. პირდაპირ საზღვარგარეთულ ინვესტიციებს სავსებით შეუძლიათ ატარონ თანმდევი ტექნოლოგიური უპირატესობანი და მიუხედავად იმისა, რომ ფირმები ცდილობენ მთლიანად მიითვისონ საკუთარი

ტექნოლოგიის ყველა შედეგი, ბევრი უპირატესობა შეიძლება იყოს მითვისებული მიმღები ქვეყნის სუბიექტების მიერ. თუ ეს ასეა, მაშინ კაპიტალის გადინება ბაზირების ქვეყანას ართმევს ასეთ თანამდევ სარგებელს (ხეირს). შესაბამისად, სახელმწიფო რიგ ზომებს ღებულობს „თავის“ ტეკ-ებზე ზემოქმედების მიზნით, რათა შეიზღუდოს მათი საზღვარგარეთული ოპერაციები იმ შემთხვევაში, თუ ისინი ეწინააღმდეგება ეროვნულ ინტერესებს. ასეთ შეზღუდვად, მაგალითად, შეიძლება იქცეს გადასახადი პირდაპირი ინვესტიციების გადინებაზე, რომელიც მოიცავს გადასახადს თანმდევი სარგებლიანობისათვის ახალი ტექნოლოგიებიდან, მაგრამ მაინც შეზღუდვის ხარისხი საკმაოდ განუსაზღვრელია.

ბევრი, განსაკუთრებით კი განვითარებული, სახელმწიფო ხვდება რა ტეკ-ების მნიშვნელობას თანამედროვე მსოფლიოში, ცდილობს დაამყაროს მათზე კონტროლი. შედეგად წარმოიშვა სპეციფიკური სახელმწიფო ტეკ (სტეკ). დღეს ტრანსეროვნული კორპორაციების საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯგუფი არსებობს სახელმწიფოს მონაწილეობით. ამასთან, ბევრი მათგანი შედის მსოფლიოს უმსხვილესი სამრეწველო კომპანიების რიცხვში.

90-იან წლებში მსოფლიოს უმხვილეს 500 სამრეწველო კორპორაციას შორის 41 კომპანია, ანუ 8,2%, წარმოადგენდა სახელმწიფო ტეკ-ას. უმსხვილესი სტეკ-ები განლაგებულია საფრანგეთში (8), იტალიაში (2), ავსტრიაში (2), ინდოეთში (2), თითო-თითო ბელგიაში, დიდ ბრიტანეთში, ესპანეთში, ნორვეგიაში, შვედეთში, თურქეთში, კანადაში, იაპონიაში, მექსიკაში, ვენესუელაში, ბრაზილიაში, მალაიზიაში, ტაილანდში, ტაივანში. უმსხვილესი სახელმწიფო ტეკ-ების გაყიდვათა მოცულობა დღეს 350 მლრდ დოლარს აჭარბებს.

უმნიშვნელოვანესი სახეობის რესურსებზე კონტროლის განხორციელებით სახელმწიფო კორპორაცია გადაიქცევა ძალად, რომელიც იქვემდებარებს როგორც მიმწოდებლებს, ასევე დამკვეთებს და მას შეუძლია დამოუკიდებლად მართოს და არეგულიროს თავისი კავშირები. ასეთ კორპორაციას უნარი შესწევს მოახდინოს განსაზღვრული ზეწოლა მთავრობაზე. მაგალითად, მექსიკური ეროვნული ნავთობის კომპანია „პემექსი“, რომელმაც 70-იან წლებში მექსიკა გადააქცია მსოფლიოში ერთ-ერთ უმსხვილეს ნავთობის მწარმოებლად, გახდა „სახელმწიფო სახელმწიფოში“, რადგან პირდაპირ ახდენდა ზეგავლენას მრავალი უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური და პოლიტიკური გადაწყვეტილების შემუშავებაზე. „პემექსს“ უკავია პირველი ადგილი მექსიკის უმსხვილეს კომპანიებს შორის, მისმა გაყიდვათა მოცულობამ 30 მლრდ დოლარს გადააჭარბა წელიწადში, მოგებამ — დაახლოებით 2 მლრდ დოლარს, ხოლო დასაქმებულთა რაოდენობამ — დაახლოებით 110 ათას ადამიანს.

სახელმწიფო საწარმოები კერძო სექტორის სუბსიდირებას ახდენ-დნენ ფასების სისტემით თავის პროდუქციაზე, რომელსაც სახელმწიფო აჩერებს შედარებით დაბალ დონეზე. შედეგად კი მატულობს კერძო ფირმების კონკურენტუნარიანობა საგარეო ბაზრებზე, ხოლო სახელ-მწიფო კორპორაციების პროდუქციაზე ფასები მუდმივად ჩამორჩება წარმოების დანახარჯების ზრდას, რაც აუარესებს მათ ფინანსურ მდგო-მარეობას.

რთულად ყალიბდება ტეკ-ების ურთიერთობები უფრო ნაკლებად გან-ვითარებულ სახელმწიფოებთან, რომელთა რიცხვში შედის რუსეთიც. აქ მსხვილი საერთაშორისო კორპორაციების ინტერესები ხშირად ეროვნულ კაპიტალს ეწინააღმდეგება და მისი საშუალებით კი სახელმწიფო ინტერე-სებს.

შეიძლება გამოვყოთ ტრანსეროვნული კაპიტალის ეროვნულზე უარ-ყოფითი გავლენის საკვანძო მომენტები ძირითადად, განვითარებად სა-ხელმწიფოებში:

1. ტეკ-ები მძლავრ კონკურენციას უწევენ ადგილობრივ კომპანიებს და ავიწროებენ მათ შიდა ბაზარზე, არ აძლევენ განვითარების საშუალე-ბას.

2. ტრანსეროვნული კაპიტალის თავისუფალმა გადაადგილებამ შეიძ-ლება შეარყიოს ეროვნული ვალუტის სტაბილურობა და შეუქმნას საფ-რთხე განვითარებადი ქვეყნების ეროვნულ უსაფრთხოებას.

3. ტეკ-ები აღწევენ დარგებში, რომლებიც დაკავშირებულია ეროვ-ნულ უსაფრთხოებასთან და შეუძლიათ უარყოფითი გავლენა მოახდინონ მათ განვითარებაზე.

4. ტრანსეროვნული კაპიტალისათვის შინაგანად თანმდევ კოსმოპო-ლიტიზმს შეუძლია ჩაახშოს განვითარებადი ქვეყნების ჯერ კიდევ მოუმაგ-რებელი სახელმწიფოებრიობა და დანერგოს ისეთი იდეოლოგია, რომე-ლიც ეროვნული ბიზნესის განვითარების ინტერესებს ეწინააღმდეგება.

5. ტრანსეროვნულ კაპიტალს, იცავს რა თავის ინტერესებს, შეუძლია მძლავრი პოლიტიკური ზეწოლის მოხდენა მიმღებ ქვეყნებზე ისეთი მი-მართულებით, რომელიც ზოგჯერ არ ემთხვევა ეროვნულ ინტერესებს.

ახორციელებენ რა „მიმღებ" ქვეყნებში პირდაპირ ინვესტიციებს ყო-ველწლიურად დაახლოებით 200 მლრდ. დოლარის ოდენობით, ტეკ-ები საჭიროებენ გარანტიებს მათი შენარჩუნებისათვის. ამიტომ ისინი, უაღ-რესად ეგოისტური ინტერესებიდან გამომდინარე, ცდილობენ ყველა მათ-თვის შესაძლებელი საშუალებებით (ხოლო ეს საშუალებები მათ საკმარი-სი გააჩნიათ) უზრუნველყონ „მიმღებ" ქვეყანაში სტაბილური ვითარება.

ამისათვის იყენებენ ზემოთ ნახსენებ საერთაშორისო ორგანიზაციებს, საინფორმაციო ზეწოლის მეთოდებს, აგრეთვე ეკონომიკურ და ძალით ზემოქმედების ზომებსაც კი საერთაშორისო პოლიციის ძალების სამხედრო სიმძლავრის გამოყენებით. სხვათა შორის, სამხედრო კონფლიქტები ჩნდება სწორედ იქ (ერაყი, ბოსნია და ა. შ.), სადაც სხვადასხვა მიზეზთა გამო ტრანსეროვნულმა კორპორაციებმა ვერ შეძლეს ძალაუფლების შენარჩუნება ეკონომიკური გზით ან მათი ინტერესები იყო დარღვეული.

აღნიშნული, ადრე უსაფუძვლოდ გაკრიტიკებული ტეკ-ისათვის სავსებით ბუნებრივი ქცევის ხასიათი მუდმივ გაღიზიანებას იწვევს განვითარებადი ქვეყნების გარემოში, მაგრამ მაინც აქვს უეჭველად დადებითი მასტაბილიზირებელი თვისებები. ეროვნული სახელმწიფოების და ტრანსეროვნული კაპიტალის ორხელისუფლებიანობა ამ ქვეყნებში ზოგჯერ საშუალებას იძლევა შეჩერდეს ადგილობრივი დესპოტიის გამოვლენა და თანდათან დაინერგოს ერთიანი არაფორმალური დემოკრატიული ინსტიტუტები.

ტრანსნაციონალიზაციის პროცესების მნიშვნელოვანი განზოგადებისას ვლინდება, რომ ცალკეული ქვეყნების ტეკ-ებს გააჩნიათ განსაზღვრული თავისებურებები, რომელიც დაკავშირებულია მათ გენეზისთან, ევოლუციასთან, შინაგან სტრუქტურასთან, მეგაკორპორაციებად და ჯგუფებად გაერთიანებასთან, საკუთარ სახელმწიფოებთან და განვითარების ტენდენციებთან დამოკიდებულებასთან.

მსოფლიოში წამყვანი ადგილი უკავიათ კვლავ აშშ-ის ტრანსეროვნულ კორპორაციებს. მისმა საზღვარგარეთულმა ფილიალებმა და ქალიშვილ-კომპანიებმა შეადგინეს ახალი მძლავრი სისტემა, რომელსაც ზოგჯერ ამერიკის მეორე ეკონომიკას უწოდებენ. მნიშვნელოვანი ტენდენცია მიდის აშშ-ში და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ე. წ. ახალი ეკონომიკის სახით დამოუკიდებელი კომპლექსების გამოჩენა და გამოყოფა, რაც წარმოდგენილია საინფორმაციო და ვენჩურული კომპანიების მიერ და მიდის განვითარების ინოვაციური გზით. ახალი ეკონომიკის ზრდის ტემპები მნიშვნელოვნად აჭარბებს ტრადიციული ეკონომიკის ზრდის ტემპებს.

ევროპული ტეკ-ების განმასხვავებელ თვისებას წარმოადგენს მათი მჭიდრო ურთიერთკავშირი სახელმწიფოსთან. ეს ეხება გერმანიაში წამყვანი როლის შემსრულებელ გროსბანკებსაც და საფრანგეთის ეკონომიკაში გაბატონებულ სამრეწველო კორპორაციებსაც. იაპონიისთვისაც აგრეთვე დამახასიათებელია სახელმწიფოს ძალიან მყარი პარტნიორული ურთიერთობები ტეკ-კეირეცუებთან და მათ არაფორმალურ ზეკორპორაციულ გაერთიანებებთან — სიუდანებთან. ტრანსეროვნული კაპიტალის თავისებურებები სხვადასხვა ქვეყანაში განხილული იქნება V განყოფილებაში.

5.4. ტრანსნაციონალიზაციის თეორია

ტეკ-ის ფენომენმა 60-იანი წლებიდან დაწყებული ეკონომიკური მეცნიერების დაჟინებული ყურადღება მიიპყრო. დღეისათვის ტრანსნაციონალიზაციის თეორიამ განვლო განვითარების უკვე საკმაოდ გრძელი გზა. მიუხედავად ამისა, სავსებით დასრულებული და ამ რთული მოვლენის ყველა ასპექტის ამხსნელი თეორია ჯერ კიდევ არაა. და, ალბათ არც შეიძლება იყოს, ვინაიდან თავად ტრანსნაციონალიზაციის პროცესი ელვისუსწრაფესად ვითარდება და ღებულობს სხვადასხვაგვარ, ხშირად სრულიად ახალ ფორმებს. მოკლედ შევჩერდეთ ტრანსნაციონალიზაციის ძირითად თეორიებსა და კონცეფციებზე.

1. *ტექნოლოგიური კონცეფცია* წამოაყენა ცნობილმა ამერიკელმა ეკონომისტ-ინსტიტუციონალისტმა ჯ. გელბრეითმა. ის თვლის, რომ ტეკ ავითარებს თავის უცხოურ სტრუქტურებს ძირითადად საზღვარგარეთ თავისი რთული ტექნიკური პროდუქციის მომსახურებისა და გასაღების გასაფართოებლად, საგარანტიო მომსახურების ორგანიზაციის და პრომოუშენ-კომპანიების ხარჯზე.

2. *მონოპოლისტური უპირატესობების თეორია* წამოაყენა ს. ჰაიმერმა, განავითარა — ჩ. კინდლებერგერმა. თავად მონოპოლისტური კონკურენციის ცნება შემოიტანა და გამოიკვლია ე. ჩემბერლინმა. სასაქონლო ბაზრის მონოპოლიზაციის პირობებში კომპანია ცდილობს გამოიყენოს კონკურენციის განსაკუთრებული სახე, გამოყოფს რა თავის საკუთარ საქონელს განსაკუთრებულ ჯგუფად რეკლამის და სხვა ღსნისძიებების გამოყენების გზით საქონლის წასაწევად ბაზარზე. ეს საქონელი ხდება განსაკუთრებული და მასზე საბაზრო კონკურენციის საერთო კანონები არ ვრცელდება. ამგვარად, წარმოიშობა თავისებური მონოპოლია, შესაძლებელია, საკმაოდ „ვიწრო" ბაზარზე. მაგალითად, კოკა-კოლა რეკლამაში გიგანტური დაბანდებების ჩადების ხარჯზე გახდა თავისებური განსაკუთრებული საქონელი, რომელიც გამოყოფილია სხვა გამაგრილებელი სასმელების ჯგუფიდან. იგივე შეიძლება ითქვას მასთან მონოპოლისტურად კონკურენციული პეპსის შესახებ. არსებითად, მომხმარებლები გაიყვნენ ორ ბანაკად „კოკა" და „პეპსი" და მათი ბაზრებიც იმყოფებიან დინამიკური წონასწორობის მდგომარეობაში.

როცა კორპორაცია გამოდის უცხოურ ბაზარზე, იგი ბუნებრივია, ეჯახება იქ უკვე მოქმედ ადგილობრივ კორპორაციებს, რომელთაც გააჩნიათ რიგი უპირატესობანი, ვინაიდან კარგად იცნობენ საკუთარ ბაზარს, მასზე „თამაშის წესებს", მომხმარებლის გემოვნებას და კავშირი აქვთ ადგილობრივ ადმინისტრაციასთან. ამიტომ ერთ-ერთი საშუალება, დაიპყრო ბაზრის რომელიმე სეგმენტი, მონოპოლისტური კონკურენციის

მთოდების გამოყენებაში მდგომარეობს. საზღვარგარეთულ ბაზარზე სწრაფად საღდება „განსაკუთრებული“ საქონელი, რომლის სავაჭრო მარკა მსოფლიოში „დატრიალებული“ და ფართოდ რეკლამირებულია მიმღებ ქვეყანაში. ტეკ ვალდებულია ფლობდეს მონოპოლიის და მსხვილი ფირმის კონკურენტულ უპირატესობებს, რათა წინააღმდეგობა გაუწიოს ადგილობრივ ფირმებს.

3. *პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის თეორია*, რომელიც შემუშავებულია ფრანგი ეკონომისტის რ. ვერნონის მიერ, ემყარება ნებისმიერი საქონლის მიერ ბუნებრივი სასიცოცხლო ციკლის გავლის შესახებ პოსტულატს, რომელიც შედგება სამი თანმიმდევრული სტადიისაგან (ფაზებისგან): 1. ინოვაციის; 2. სიმწიფის და 3. სტანდარტიზაციის ფაზისაგან. ინოვაციურ ფაზაში კორპორაციას, რომელმაც პირველმა აითვისა მოცემული საქონელი, აქვს არსებითი კონკურენციული უპირატესობანი და ფარავს დანახარჯებს სკსსს-ზე მეორე და მესამე სტადიებზე წარმატებული კონკურენციისათვის კომპანია იძულებულია მიმართოს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიას. სიმწიფის ფაზაში საშინაო ბაზარზე გაყიდვათა რიცხვის შემცირება სულ უფრო კომპენსირდება საზღვარგარეთ გაყიდვების გაზრდით. დაბოლოს, სტანდარტიზაციის ფაზაში, როცა საქონლის წარმოება ტექნოლოგიის და ხარისხის მიხედვით იძენს საბოლოო სტანდარტულ ფორმებს, შემდგომი კონკურენტული უპირატესობების მიღება შეიძლება მხოლოდ დანახარჯების ეკონომიკით კვლავწარმოებითი ციკლის სხვადასხვა სტადიის გადატანის ხარჯზე იმ ქვეყნებში, სადაც სამუშაოს შესრულებაზე დანახარჯები ნაკლებია. ამის შემდეგ თვითღირებულების შემცირებისას საქონელი შეიძლება დაბრუნდეს საშინაო ბაზრებზე.

4. *დამწევი ციკლის თეორია და „მფრინავი ბატების“ პარადიგმა.* იაპონელი მეცნიერი კ. აკამაცუ იაპონიის მრეწველობის სხვადასხვა დარგის განვითარების შესწავლის საფუძველზე მივიდა დასკვნამდე მათი განვითარების სამფაზიანობის შესახებ. ყოველი დარგის პირველ ფაზაში იზრდება უცხოური საქონლის იმპორტი ქვეყანაში. მეორე ფაზაში იგი შესუსტებას იწყებს საკუთარი იმპორტშემცვლელი წარმოების წარმოშობისა და განვითარების გამო, რომელიც განსაზღვრულ მომენტში უსწრებს იმპორტს მოცულობის მიხედვით. მესამე ფაზა უკავშირდება დარგის ექსპორტის განვითარებას სხვა ქვეყნებში. ამ სამი ფაზის გავლის შემდეგ ყალიბდება პირობები ადგილობრივი კორპორაციების და პუი-ების ექსპორტის ტრანსნაციონალიზაციისათვის. იმპორტის, იმპორტისშემცვლელი წარმოების და დარგის ექსპორტის მოცულობების გრაფიკები რომანტიკოს იაპონელს ველური ბატების გუნდების ჩამოყალიბებას ახსენებდა, ამიტომაც უწოდა კონცეფციას „მფრინავი ბატების“ პარადიგმა.

1978 წ. ეს პარადიგმა სრულყვეს და გადააქციეს დამწევი ციკლის თეორიად, რომელიც ხსნიდა ქვეყანა-მიმდევართა (სამხრეთ კორეა, ტაივანი, ტაილანდი და სხვ.) ეკონომიკების განვითარებას. ამ თეორიაში არსებითად გათვალისწინებულია ის ფაქტორები, რომლებიც აჩქარებს „ბატების გუნდის ფორმირების" პროცესს სხვადასხვა დარგში, აგრეთვე ტეკ-ების და პუი-ების გავლენას. იგი დეტალურად ასახავს ლიდერი ეკონომიკების და „დამწევების" დროებითი მსვლელობის პროცესებს.

5. *ოლიგოპოლისტური დაცვის თეორია*, რომელიც შემოგვთავაზა ფ. ნიკერბოკერმა (1978), ტრანსნაციონალიზაციის განვითარებას ხსნის აგრეთვე ლიდერებთან დევნით, მაგრამ უკვე ტეკ-ებს შორის. 187 ამერიკული კორპორაციის შესახებ ემპირიული მონაცემების საფუძველზე ოცი წლის მანძილზე მან აღმოჩინა ის, რომ ოლიგოპოლისტურ დარგებში, სადაც ეროვნული ბაზრის დიდ ნაწილს აკონტროლებს ოთხიდან შვიდი კორპორაცია, ერთ-ერთი კონკურენტული კომპანიის ტრანსეროვნული ნახტომიდან 3-7 წლის შემდეგ უცხოურ ბაზრებზე აუცილებლად მოდიან მისი საშინაო კონკურენტები. ამ თეორიაში ტრანსნაციონალიზაციის მნიშვნელოვან ფაქტორად ითვლება კონკურენტული დევნა ლიდერ კომპანიაზე.

6. *ჰეკშერ-ოლინის თეორია* ასაბუთებს წარმოების ფაქტორების გადაადგილების ეფექტიანობას ერთი ქვეყნიდან მეორეში. ამ თეორიის ძირითადი კანონი, რომელიც მისი ავტორების სახელს ატარებს, გვამცნობს, *რომ ქვეყნებს, რომელთაც ესა თუ ის წარმოების ფაქტორები ჭარბად აქვთ (ნედლეული, კაპიტალი, შრომითი რესურსები), ექნებათ შედარებითი უპირატესობანი იმ საქონლის და მომსახურების ექსპორტში, რომელთა წარმმობა დაფუძნებულია წარმოების მოცემული ფაქტორების ინტენსიურ გამოყენებაზე.* მაშასადამე, თუკი ერთ ქვეყანაში შედარებით ჭარბია კაპიტალი, ხოლო მეორეში — ნედლეული ან შრომა, მაშინ კაპიტალის გადაადგილება იძლევა ყველა ფაქტორის გამოყენების ეფექტიანობის ზრდას. ამგვარად, ჰეკშერ-ოლინის თეორია წარმოადგენს ტრანსნაციონალიზაციის და პუი-ის თეორიულ საფუძველს.

7. *ინტერნალიზაციის თეორია*, რომელიც წარმოდგენილია ინგლისელი ეკონომისტების — რ. ბაკლის და დ. კასონის მიერ, დაფუძნებულია იმ პოსტულატზე, რომ ტეკ-ის ძირითად კონკურენტულ უპირატესობას წარმოადგენს მთლიანი ინტერნალური (შიდა) სტრუქტურა, რომლის დროსაც კორპორაციაში შემუშავებული ნოუ-ჰაუ მიუწვდომელია კონკურენტებისათვის. ეს ეხება არა მარტო ნოუ-ჰაუს და სკსსს-ის სფეროში მიღწევებს, არამედ ახალი ფინანსური ტექნოლოგიების გამოყენებასაც, რომელიც საშუალებას იძლევა ტრანსეროვნული ფინანსური ნაკადების ისეთი ორგანი-

ზება განხორციელდეს, რომ შემცირდეს დანახარჯების საერთო თანხა ამა თუ იმ გადასახადებზე ყველა ქვეყნაში, სადაც კი მუშაობს კორპორაცია.

8. *ჯ. დანინგის (1981) ეკლექტიკური თეორია* მიზნად ისახავდა ცალკეული „საუკეთესო" ელემენტების გაერთიანებას, რომლებიც აღებული იყო სხვადასხვა წინამორბედი თეორიებიდან ტრანსნაციონალიზაციის ყოველმხრივი ახსნისათვის. ამ თეორიის თანახმად, შეიძლება გამოვყოთ ფაქტორთა სამი ჯგუფი, რომელიც ტრანსნაციონალიზაციას და უცხოური აქტივების მოცულობას განსაზღვრავს:

- უცხოელი ინვესტორების (ტეკ) სპეციფიკური განსაკუთრებული კონკურენტული უპირატესობანი ადგილობრივი კომპანიების მიმართ (*საკუთრებითი* უპირატესობანი).
- ხელსაყრელი ადგილობრივი ფაქტორები, შეთავაზებული მიმღები ქვეყნების მიერ ტეკ-ებისათვის, რომლებიც საშუალებას იძლევა საუკეთესო სახით გაიხსნას მათი კონკურენტული უპირატესობანი ამ ქვეყნების ლოკალურ ბაზრებზე (*ლოკალური*, ადგილმდებარეობის უპირატესობანი);
- ინტერნალიზაციის შესაძლებლობა, ე. ი. კონტროლი საკუთარ კონკურენტულ უპირატესობებზე, შესაძლებლობა დატოვოს თავისი ნოუ-ჰაუს კორპორაციის შიგნით ისე რომ არ გადასცეს იგი მათ საზღვარგარეთელ პარტნიორებს (*ინტერნალიზაციის* უპირატესობანი).

აღნიშნული (OLI — სლი) უპირატესობების ერთობლიობა თავისთავში მოიცავს კორპორაციის მოგების ოპტიმიზაციის ძირითადი ფაქტორების უმრავლესობას.

9. *ერის ინვესტიციური განვითარების გზების თეორია* აგრეთვე იყო შემოთავაზებული ჯ. დანინგის მიერ ჰოლანდიელ მეცნიერ ნარულოისთან (1994) ერთად. ამ თეორიის თანახმად, განვითარებული ქვეყნები გადიან ხუთ ეტაპს (ფაზას), რომელთა კლასიფიკაციურ ნიშნებს წარმოადგენს მზადყოფნა პუი-ების მიღების და ექსპორტირებისათვის. ანალიზის ბაზას წარმოადგენს ეკლექტიკური თეორია და სლი-ის უპირატესობანი.

ქვეყნის ინვესტიციური განვითარების *პირველი ფაზა* მიმდინარეობს სლი-უპირატესობების პრაქტიკული უქონლობის პირობებში. ქვეყანაში განვითარებულია მხოლოდ დაბალტექნოლოგიური წარმოება, ხოლო სახელმწიფო აქტიურად იცავს შიდა ბაზარს იმპორტისა და პუი-საგან. *მეორე ფაზაში* იწყება პუი-ების ნელი მატება, ფართოვდება ადგილობრივი ბაზარი, იზრდება ადგილობრივი ფირმების კონკურენტუნარიანობა. მიმდინარეობს პუი-ის პოლიტიკის ნაწილობრივი ლიბერალიზაცია. *მესამე ფაზაში* იწყება პუი-ების ექსპორტი, მნიშვნელოვნად იზრდება ადგილობრივი ფირმების ინტერნალიზაციის უპირატესობანი, სახელმწი-

ფო პუი-ს პოლიტიკა ხდება ლიბერალური, ხოლო ეკონომიკა — ექსპორტზე ორიენტირებული. *მეოთხე ფაზაში* პუი-ების ექსპორტი უსწრებს იმპორტს, ქვეყანა ხდება ლიდერი ზოგიერთ მაღალტექნოლოგიურ დარგში. *მეხუთე ფაზაში* პუი-ების ექსპორტი და იმპორტი აგრძელებს ზრდას, მყარდება მსოფლიო ლიდერობა ლიბერალური პუი-ს პოლიტიკის და პუი-ების ექსპორტის სტიმულირებასთან ერთად.

მოცემული თეორია ავითარებს პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის, დამწევი ციკლისა და ოლიგოპოლისტური დაცვის თეორიის დებულებებს, ცდილობს თეორიულად დაასაბუთოს ტრანსნაციონალიზაციის ევოლუცია.

შევაჯამოთ პირველი შედეგები.

1. ტრანსნაციონალიზაცია კვლავწარმოებითი პროცესების ნაწილის გადატანის პროცესია ერთი ქვეყნიდან მეორეში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მეშვეობით. განსხვავებით პორტფელურისგან, მათ მიაკუთვნებენ ინვესტიციებს, რომლებიც ხორციელდება ან საზღვარგარეთ ფილიალების ორგანიზაციის ან უცხოურ კომპანიებზე კონტროლის დაწესების მიზნით, რომლებიც დამოკიდებულები ხდებიან. ეს ინვესტიციები ხორციელდება ძირითადად ტრანსეროვნული კორპორაციების მიერ, რომლებიც ტრანსნაციონალიზაციის საფუძველს ქმნიან.

2. XIX ს-ის ბოლოდან ტეკ-ებმა განვლეს ეკონომიკური ევოლუციის ხანგრძლივი გზა: პირველი თაობის ტეკ-ები კარტელები და სინდიკატები იყო, მეორე თაობის — ტრესტები, მესამე თაობის — კონცერნები და კონგლომერატები, ტეკ-ების მეოთხე და მეხუთე თაობა გლობალური კორპორაციებია. XX ს-ის ბოლოს გაჩენილი მეხუთე თაობის ტეკ-ების სპეციფიკური თავისებურება ტრანსეროვნული კაპიტალის ჩამოყალიბებაა, რომელიც გახდა დამოუკიდებელი ეკონომიკური ორგანიზმი თავისი სტრუქტურითა და განვითარების შიდა მიზნებით. თანამედროვე ტრანსეროვნული კაპიტალის ფინანსური სიმძლავრე აჭარბებს თვით მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების გაერთიანებულ ფინანსურ შესაძლებლობებს.

3. თანამედროვე ტეკ-ები უზარმაზარ როლს თამაშობენ მსოფლიო ეკონომიკაში. ისინი აკონტროლებენ მსოფლიო სამრეწველო წარმოების თითქმის ნახევარს, საგარეო ვაჭრობის 2/3-ს, აგრეთვე, ახალ ტექნიკაზე, ტექნოლოგიებსა და ნოუ-ჰაუზე პატენტების და ლიცენზიების მიახლოებით 4/5-ს. მსოფლიოს წამყვან ტეკ-ებს შორის ამერიკულ ტეკ-ებს მოწინავე პოზიციები უჭირავთ.

4. ტეკ-ებს გადააქვთ კვლავწარმოებითი პროცესების ცალკეული ნაწილები სხვა ქვეყნებში ეკონომიკური ეფექტიანობის და თავისი საქმიანობის მდგრადობის ასამაღლებლად. ძირითადი მოტივი მოგების ზრდაა. იგი სტაბილურია საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში გაყიდვის მოცულობათა გაზრდის, ახალი ბაზრების ათვისების ხარჯზე და დანახარჯთა შემცირებით, მიმღები ქვეყნების სპეციფიკური ეკონომიკური და ინსტიტუციონალური თავისებურებების გამოყენებით.

5. ტრანსნაციონალიზაციის თეორია შეიძლება გავყოთ ორ ჯგუფად. პირველს მიეკუთვნება ტეკ-ების ევოლუციის თეორიები, რომლებიც გვიჩვენებენ იმ ეტაპების კანონზომიერებებს, რასაც გაივლიან ისინი და მიმღები ქვეყნები ეკონომიკური ევოლუციის მსვლელობისას. ესენია პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის, დამწევი ციკლისა და ოლიგოპოლისტური დაცვის, აგრეთვე, ერის ინვესტიციური განვითარების გზების თეორიები. მეორე ჯგუფის თეორიები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ტრანსნაციონალიზაციის მოტივაციის სხვადასხვა ფაქტორებს. მას შეიძლება მივაკუთვნოთ ტექნოლოგიური კონცეფცია, მონოპოლისტური უპირატესობების კონცეფციის თეორია, ინტერნალიზაციის თეორია, ეკლექტიკური თეორია და ერის კონკურენტული უპირატესობის თეორია.

5.5. ტრანსეროვნული ბანკები

ტრანსეროვნული კაპიტალი ვერ გახდებოდა დამოუკიდებელი, მსოფლიო ეკონომიკის მნიშვნელოვანი მოთამაშე, მისი მოთხოვნების მიმართ საკუთარი ადეკვატური ტრანსეროვნული საბანკო სისტემის შექმნის გარეშე. ეროვნული სახელმწიფოების მეურვეობისაგან გათავისუფლებულმა და ფაქტობრივად მათი იურისდიქციიდან გამოსულმა ტრანსეროვნულმა კაპიტალმა ხანგრძლივი ეკონომიკური ევოლუციის პროცესში შექმნა ფინანსური ინსტიტუტები — ტრანსეროვნული ბანკები, რომლებიც ასრულებენ ყველა ძირითად ფინანსურ ფუნქციას, რაც აუცილებელია ტეკ-ების მოძრაობის და საქმიანობის უზრუნველსაყოფად.

ტრანსეროვნული ბანკების ჩამოყალიბება მიმდინარეობდა თანდათანობით, მთლიანობაში ტეკ-ების ევოლუციის კვალდაკვალ. საბანკო კაპიტალის ტრანსნაციონალიზაციის ძირითადი მასტიმულირებელი მოტივები: მისი *კონცენტრაცია, რომელიც დაკავშირებულია ეროვნულ ბაზრებზე გაძლიერებულ კონკურენციასთან, ტეკ-ების უზრუნველყოფის აუცილებლობა ფინანსური რესურსებით, ევროვალუტის და ასევე სხვა გლობალური, ფინანსური ბაზრების ჩამოყალიბება, გლობალური საინფორმაციო-*

ფინანსური ქსელების შექმნა, რომლებიც რევოლუციურად აიოლებდნენ კაპიტალის გადაადგილების პროცესებს.

ტრანსეროვნული ბანკები წავიდნენ მათ ქვეყანაში ბაზირებულ ტეკ-ების კაპიტალთან ერთად, ევროვალუტის და ფინანსური საშუალებების ფორმით. ტებ-ის ისევე, როგორც სხვა ტრანსნაციონალების კრიტერიალურ თავისებურებას, წარმოადგენს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. მაშ ასე, მსხვილი ბანკები, რომლებიც ემსახურებოდნენ ტეკ-ებს და მსოფლიო ფინანსური ბაზრების მზარდ მოთხოვნებს, ბუნებრივია, ქმნიდნენ საზღვარგარეთ თავის ფილიალებს, განყოფილებებს, ქალიშვილ-ბანკებს და ამგვარად თავად ხდებოდნენ ტრანსეროვნულები.

დღესდღეობით ჩამოყალიბდა სამი ძირითადი რეგიონი, სადაც კონცენტრირებულია საერთაშორისო ბანკები — აშშ, დასავლეთ ევროპა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია. მძაფრი კონკურენტული ბრძოლის შედეგად საერთაშორისო ფინანსური ცენტრების როლი დაუმკვიდრდათ ისეთ ქალაქებს, როგორიცაა ნიუ იორკი, ლონდონი, ციურიხი, ტოკიო, ლუქსემბურგი, ჰონკონგი, მაინის ფრანკფურტი და სხვ. ფაქტობრივად დღეს არსებობს 13 ფინანსური ცენტრი, რომელიც მოიცავს დაახლოებით 1000 ფილიალსა და უცხოური ბანკების განყოფილებას, როგორც წესი, ისინი მიეკუთვნება მრეწველურად განვითარებულ ქვეყნებს. ჩამოყალიბდა თავისებური საერთაშორისო ფინანსური მექანიზმი, რომელიც, იყენებს რა სპეციალიზირებულ ელექტრონულ ქსელს (SWIFT, Clobal Costadien და სხვ.), მოქმედებს დღედაღამ და არეგულირებს მსოფლიო ფინანსური ნაკადების და მსოფლიო სავალუტო ბაზრების მოძრაობას.

მსხვილი ბანკები ისწრაფვიან საზღვარგარეთ თავისი განყოფილებების ან ფილიალების შესაქმნელად. თუმცაღა ეს გზა ძალიან ძვირია. ამიტომ ბანკები იძულებულნი არიან დაამყარონ მჭიდრო ურთიერთობები საზღვარგარეთ არსებულ ბანკებთან კორესპონდენტების სახით. წარმოიშობა ურთიერთანგარიშსწორების სისტემა. ამ ანგარიშებმა მიიღეს სახედწოდება „ლორო“ (მათი — ჩვენთან) და „ნოსტრო“ (ჩვენი — მათთან).

ტრანსეროვნული ბანკები, რომლებიც ძირითადად ჩამოყალიბებულია მრეწველურად განვითარებული ქვეყნების უმსხვილესი კომერციული ბანკების ბაზაზე, ბატონობენ სასესხო კაპიტალების ეროვნულ და საერთაშორისო ბაზრებზე. თუმცა კი ტეკ-ებს შორისაც მიმდინარეობს მძაფრი კონკურენციული ბრძოლა, რის შედეგადაც 90-იანი წლების დამდეგს აშშ-ის ისეთი ბანკები, რომლებიც ხანგძლივი დროის მანძილზე მსოფლიოს უმსხვილესი ბანკების სიის თავში იყვნენ, აღმოჩნდნენ შევიწროებულნი იაპონური ტებ-ების მიერ; მათ ეკავათ მოწინავე პოზიციები 90-იანი წლების

ბოლომდე და აზიურმა საბანკო კრიზისმა სერიოზულად არ შეარყია მათი პოზიციები.

დღეს იაპონური ბანკების პოზიციები უკვე ისეთი მყარი აღარაა, ამას ამტკიცებს ცხრილის 5.3, მონაცემები. კონცენტრაციის, შერწყმის და შთანთქმის ტენდენცია შეეხო არა მარტო ევროპის, არამედ ამერიკის და იაპონიის ბანკებსაც. ამგვარად, ძალთა განლაგება მსოფლიო საბანკო სისტემაში არსებითად შეიცვალა.

განსაკუთრებით მძაფრი კონკურენცია ბოლო წლებში გაიშალა ამერიკულ და ევროპულ ტებ-ებს შორის. საბანკო სტრუქტურებს შორის დაიწყო შერწყმისა და შთანთქმის მძლავრი ტალღა. ამ თვალსაზრისით გამოსაყოფია შვეიცარიული ბანკები. 1998 წ. მოხდა ამ ქვეყნის ორი უმსხვილესი ბანკის შერწყმა: Union Bank of Swirzerland (URS) და Swiss Bank Corp, (SBC). რის შედეგადაც წარმოიქმნა სუპერგიგანტი UBS 700 მილიარდი დოლარის აქტივებით (1999 წ.).

ცხრილი 5.3.

მსოფლიოს უმსხვილესი ტრანსეროვნული ბანკები
აქტივების სიდიდით

(1999 წ. მაისის მდგომარეობით)

№ ბანკის სახელწოდება	ქვეყანა	აქტივები, მლრდ. დოლ.
1. Industrial Bank of Japan / Dai-Ichi Kangeo Bank / Fuji Bank	იაპონია	1241,0
2. Deutsche Bank / Bankers Trust	გერმანია	732,5
3. UBS	შვეიცარია	685,9
4. Citigroup	აშშ	668,6
5. Bank Of America Corp.	აშშ	617,7
6. Bank of Tokyo - Mitsubishi	იაპონია	598,7
7. ABN Amro	ნიდერლანდები	504,1
8. HSBC Holdings	დიდი ბრიტანეთი	484,6
9. Credit Suisse Group	შვეიცარია	474,0
10. Credit Agricole Group	საფრანგეთი	457,0

წყარო: БИКИ – 1999. - 78 (8 ივლისი) - გვ. 16.

შესადარებლად მივუთითებთ, რომ Deutsche Bank-ის აქტივებმა იმავე წელს შეადგინა 590 მლრდ. დოლარი. სხვათა შორის, ამ უმსხვილესმა გერმანულმა ბანკმა შედარებით ახლახან შეიძინა ინგლისური ბანკი Morgan Greenfell და ამჟამად მთელ ძირითად ინვესტიციურ საქმიანობას აწარმოებს ლონდონში. გარდა ამისა, მან შთანთქა ამერიკული ბანკი Bankers Trust და მიაღწია ნანატრ გასვლას აშშ-ის ფინანსურ ბაზრებზე. 2000 წლის დამდეგს ინტენსიურად მზადდებოდა უმსხვილესი შერწყმა Dresden Bank-თან, რომლის იღბლიანად გამართლების შემთხვევაში წარმოიქმნებოდა მსოფლიოში უმსხვილესი ბანკი დაახლოებით 1,3 ტრლნ. დოლარის აქტივებით.

1998 წ. მოხდა სიდიდით მეორე შერწყმა ამერიკული ბანკისა Citicorp და Trakelers Group, რომლის ინტერესები ვრცელდება ქონების დაზღვევიდან ერთობლივ (თანაზიარ) სადაზღვევო საპაიო ფონდებამდე. მათ შექმნეს Citigroup 698 მლრდ. დოლარის აქტივებით. 1999 წ. დამდეგს Bank of America-მ შთანთქა National Bank და ახლა მისი დეპოზიტები უტოლდება ყველა ამერიკული ბანკის დეპოზიტების 1/12.

თუმცაღა ყველაზე გრანდიოზულ ცვლილებებს ელიან იაპონურ საბანკო სექტორში. სამი ბანკის გაერთიანების პროცესის დასრულებით — Dai-Ichi Kanageo Bank, Industrial Bank of Japan და Fuji Bank 2002 წლისათვის შეიქმნება მსოფლიოში უმსხვილესი ერთიანი სტრუქტურა საქმიანობის სამი ძირითადი მიმართულებით: კორპორაციის დაკრედიტება (ახალი ბანკი მსოფლიოში ყოველი მესამე კორპორაციას დააკრედიტებს), საცალო ოპერაციები (მსგავსი ოპერაციების მთელი ბაზრის 15%) და საინვესტიციო საბანკო საქმე.

დღესდღეობით ფართო გავრცელება ჰპოვეს ოფშორულმა ბანკებმა. მათ გარეშე არ სრულდება პრაქტიკულად არც ერთი ტებ—ის ოპერაცია. პრინციპში, ოფშორული ბანკების ორგანიზაცია ხდება დაახლოებით იმავე მიზნებით, როგორც ოფშორული კომპანიები. მათგან მთავარი დაბეგვრის მინიმიზაციაა.

ოფშორულ ბანკს აქვს შემდეგი თავისებურებები:

1. მას უფლება არა აქვს იმუშაოს ბანკის რეგისტრაციის ქვეყნის რეზიდენტებთან.

2. რეგისტრაციისათვის გადახდილი საწესდებო კაპიტალის საჭირო სიდიდე ბევრად ნაკლებია, ვიდრე სხვა ქვეყნებში.

3. ბანკს ეძლევა გადასახადებისაგან პრაქტიკულად სრული თავისუფლება.

4. რეზერვირებისა და სხვა საბანკო ნორმატივების მოთხოვნები ოფშორებში, როგორც წესი, ნაკლებად მკაცრია, ვიდრე სხვა ქვეყნებში, ხოლო სავალუტო კონტროლი საზღვარგარეთულ ოპერაციებზე არ არსებობს.

მსოფლიო ეკონომიკაში ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს კუნძულების — მენის, გერნსის და ჯერსის, ბაჰამის კუნძულების, სენტ კრისტოფერის და ნევისის ფედერაციის, ნიდერლანდების ანტილიის კუნძულების, არუბის (იტალიური მაფიის ტრადიციული თავშესაფარი), კაიმანის კუნძულების, კარიბის კუნძულების სახელმწიფოების თურქსის და კაიკოსის, ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულების, პანამის (ოფშორული ბიზნესის აკვანი) და ბოლოს ჩვენთვის ახლობელი კვიპროსის — ოფშორულ ბანკებს. სხვათა შორის, ბოლო დროს ფართოდაა გავრცელებული შვეიცარიის ცნობილი კერძო ბანკების ოფშორული ბიზნესი.

კაიმანის კუნძულებზე რეგისტრირებულია 500-ზე მეტი ოფშორული ბანკი და 1300 სადაზღვევო კომპანია. ამასთან, 50 მსოფლიოს უმსხვილესი ბანკიდან 43-ს განყოფილებები ან ქალიშვილ-ბანკები აქ აქვთ. დეპოზიტური ანაბრების ერთობლივი თანხა კაიმანის კუნძულებზე აღწევს ასტრონომიულ თანხას — 150 მლრდ. დოლარს. ჰონკონგში მოქმედებს უცხოური ბანკების 1500-ზე მეტი განყოფილება.

ოფშორულმა ბანკებმა შექმნეს ტრანსეროვნული ბანკების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფენა. თანამედროვე პირობებში მსოფლიოში პრაქტიკულად ტრანსეროვნული კაპიტალის ვერც ერთი ფინანსური სქემა მათ გარეშე ვერ იმოქმედებს.

კაპიტალის მოძრაობის დროს ოფშორული ბანკების გამოყენების მექანიზმი ტებ-ების სტრუქტურების მეშვეობით მარტივადაა წარმოდგენილი სურათზე 5.1.



სურ. 5.1. ფინანსური ნაკადები ტებ-ების სტრუქტურებში

ტებ-ის ფილიალი, რომელიც იმყოფება მსოფლიოს ერთ-ერთ ფინანსურ ცენტრში, ფინანსური რესურსების მობილიზებას ახდენს კაპიტალთა მსოფლიო ბაზრიდან. ამასთან ერთად, როგორც ცნობილია, საშუალებების მოზიდვა ხდება მინიმალური ფასით. შემდეგ იგი გადასცემს ამ ფულს იმავე ბანკის ერთ-ერთ ოფშორულ ფილიალში. ოფშორული ფილიალი ან ქალიშვილ-ოფშორული ბანკი გადასცემს ამ საშუალებებს ფილიალს (ქალიშვილ-ბანკს), რომელიც მიმღებ ქვეყანაში, სადაც ეს ფული დასჭირდა რომელიმე კომპანიას საკრედიტო საშუალებების სახით. ბუნებრივია, კრედიტი უკვე გაიცემა ბევრად უფრო მაღალი პროცენტით, ვიდრე ის, რომლის ქვეშაც ეს საშუალებები იქნა მიზიდული კაპიტალთა ბაზრიდან. ტებ-ების სამ განყოფილებას შორის შეთანხმებები დგება ისეთი სახით, რომ თითქმის მთელი მოგება აღმოჩნდეს ოფშორულ ბანკში, რომელიც პრაქტიკულად არ იხდის გადასახადებს.

რა თქმა უნდა, მოქმედებები ხორციელდება რამდენადმე სხვა რიგით. თავდაპირველად რომელიმე კომპანია, რომელიც იმყოფება განსაზღვრულ, ვთქვათ, განვითარებად ქვეყანაში, მიმართავს ტებ-ების ადგილობრივ განყოფილებას კრედიტისათვის, რის შედეგადაც იხსნება მთელი ზემოთ აღწერილი მექანიზმი. ყველა მოქმედების შედეგად კომპანია იღებს კრედიტს ისევ და ისევ უფრო დაბალი პროცენტით, ვიდრე შეუძლია წარუდგინონ მას ადგილობრივმა ბანკებმა, რომელთაც არ შეუძლიათ პირდაპირი გასვლა კაპიტალის მსოფლიო ბაზრებზე და ვალდებულნი არიან იხადონ მოცემული ქვეყნის ყველა გადასახადი. ტებ-ები ახდენენ იმ უპირატესობათა რეალიზებას, რასაც ღებულობენ თავისი განყოფილებების რაციონალური განთავსების შედეგად და იმარჯვებენ კონკურენციულ ბრძოლაში.

5.6. ტეკ და ორგანიზაციული ფორმები

უმეტესი მსხვილი ტეკ-ის ინსტიტუციონალურ საფუძველს წარმოადგენს ჰოლდინგური სისტემა, რომელიც დაფუძნებულია სათავო კომპანიის მიერ ქალიშვილ-კომპანიების კონტროლზე. კონტროლი შეიძლება განხორციელდეს როგორც საკუთრების უფლებით, ასევე, დედა კომპანიის მიმართ სახელშეკრულებო ვალდებულებებით.

ბოლო წლებში ჰოლდინგებთან ერთად მძაფრად ვითარდება ტეკ-ების სხვა ორგანიზაციული ფორმები, რომლებიც ყალიბდება მიმღები ქვეყნის კომპანიებთან ერთობლივი საწარმოების საფუძველზე, სხვა ტეკ-ებთან სტრატეგიულ ალიანსების სახით და საკონტრაქტო სამართლის საფუძველზე.

ტეკ-ის თანამედროვე ორგანიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დამახასიათებელ თავისებურებაა *მათი უნარი მოქნილად გადაიტანონ მარ-*

თვის ცენტრი და შტაბ-ბინა კორპორაციული ქსელის ერთი უბნიდან მეორეში, იოლად იცვლიან რა „ჩაწერის“ ძირითად ქვეყანას საგადასახადო და სხვა გამორჩენის მიღების მიზნით. ეს იწვევს სახელმწიფოებს შორის შეჯიბრებას, რაც გამოიხატება ტეკ-ების მისაზიდად საუკეთესო პირობების და საგადასახადო შეღავათების დაწესებაში. დღეს გავრცელებულია ტეკ-ის დაბეგვრის ორი ძირითადი მოდელი: ამერიკული, რომლის დროსაც კორპორაციის დანიშნულების ადგილად ითვლება ქვეყანა, სადაც ისაა რეგისტრირებული და ЕЭЗВП-ს მოდელი, რომლის მიხედვით დანიშნულების ადგილი განისაზღვრება კორპორაციის მმართველობის ფაქტობრივი განლაგებით. თანამედროვე მსოფლიოში მოწინავე სახელმწიფოები, რომლებშიც ძირითადად განლაგებულია ტეკ-ების შტაბ-ბინები, *განუწყვეტელ კონკურენციულ ბრძოლას ეწევიან იმ კანონებისა და პირობების შესაქმნელად, რომლებიც საჭიროა თავისუფლად გადაადგილებადი ტრანსეროვნული კაპიტალის თავისკენ „გადასათრევად“.* მაგალითად, აშშ ნებას რთავს საკუთარ კორპორციებს მათი ადგილისაგან დამოუკიდებლად ისარგებლონ ამერიკული კანონმდებლობის უპირატესობებით იურიდიული პირების შესახებ.[1]

ვინაიდან ამჟამად ქსელური სისტემის ორგანიზაცია პრევალირებს, თანამედროვე ტეკ-ების ტერმინალური რგოლები თავისთავად წარმოადგენს, კომპიუტერული ქსელური ტექნოლოგიების ენით რომ ვთქვათ, თავისებურ „პორტებს“, რომლებიც ღიაა ურთიერთკავშირის კორპორაციულ ქსელში ახალი ელემენტების ჩასართავად. ფირმათაშორისი ტრანსეროვნული სტრატეგიული ალიანსების (ტსა) მექანიზმების საშუალებით თანდათან უფრო მკაფიო ხდება კომპანიების და სამრეწველო ჯგუფების ზღვარი, რომლებიც სულ უფრო ხშირად იძენს „თანავარსკვლავედის“ ფორმას, მოიცავს რა იგი ერთმანეთს შორის დაკავშირებულ, თუმცა გარკვეულ ზღვრამდე სხვადასხვა სიდიდის და დარგის დამოუკიდებელ კომპანიებს.

ტსა-ის სწრაფი ზრდა იმ გარემოს ცვლილების ერთ-ერთი არსებითი ფენომენია, რომელშიც მონაწილეობენ საწარმოები მიმდინარე ათწლეულში. ფირმათაშორისი თანამშრომლობა ხატოვნად შეიძლება შევადაროთ თავისებურ „რომანს“ ფირმებს შორის, რომელმაც ევოლუციურად გაიარა ყველა ეტაპი — „შეხვედრიდან“ „საოჯახო ცხოვრებამდე“. ჰარვარდის ბიზნესის სკოლის პროფესორი რ. კანტერი გამოყოფს სტრატეგიული ალიანსებში ხუთ ძირითად ეტაპსა და ფორმას:

---

1 იხ. Дернберг Р. Л. Международное налогообложение; М. ЮНИТИ, 1997.

1) „სტრატეგიული ინტეგრაცია“, სტრატეგიული საკითხების გადასაწყვეტად პარტნიორთა უმაღლესი ხელმძღვანელობის მუდმივი კონტაქტი;

2) „პრაქტიკული ინტეგრაცია“ დაფუძნებული მენეჯერთა საშუალო რგოლის ურთიერთმოქმედებაზე ერთობლივი საქმიანობის პრობლემების მიხედვით;

3) „ოპერატიული ინტეგრაცია“, რომელიც უზრუნველყოფს რიგითი თანამშრომლების ურთიერთდაშვებას საერთო საინფორმაციო რესურსებთან;

4) „პიროვნებათაშორისი ინტეგრაცია“;

5) „კულტურული ინტეგრაცია“, რომელიც ითვალისწინებს ურთიერთსწრაფვას იპოვონ გზები ტრადიციებში, ენებში და ა. შ.[1] განსხვავებათა დასაძლევად;

ამერიკული კორპორაციებისათვის ტსა-ის სხვადასხვა ფორმის თანაფარდობა და ფილიალების შექმნა 100%-იანი ფლობით უკვე 80-იან წლებში შეადგენდა 4:1 და ახლაც აგრძელებს ზრდას.

ძირითად ტექნოლოგიურ ფაქტორებს, რომლებიც ხელს უწყობს ფირმათაშორისი თანამშრომლობის გაფართოებას, მიეკუთვნება: რისკის განაწილება, რომელიც დაკავშირებულია ახალი ტექნოლოგიების შემუშავებასა და გამოყენებასთან; სწრაფვა გაუსწროს კონკურენტს სკსსს-ის შედეგების კომერციული თვალსაზრისით გამოყენებაში; სიძნელეთა აღმოფხვრაში, რომლებიც დაკავშირებულია ეროვნული საპატენტო კანონმდებლობის სხვაობებთან; სიძნელეთა გადალახვა, რაც დაკავშირებულია საქონლის საზღვარგარეთ გაყიდვის ლიცენზიასთან; სწრაფვა მისკენ, რომ მოახდინონ დანახარჯთა ანაზღაურება ძვირადღირებული სკსსს-ის ჩატარებაზე; პროტექციონისტული ბარიერების დაძლევის აუცილებლობა; ცალკეული გამოგონებების ინტეგრირებისაკენ სწრაფვა ახალი მწარმოებლური ან მომხმარებლური დანიშნულების სისტემის ჩარჩოებში; პროცესების შემუშავების ან პროდუქტის შედარებით ადრეულ სტადიებზე ერთიანი სტანდარტების და ნორმების შექმნა, იმისათვის, რომ თავი აარიდონ მათი შეთანხმების აუცილებლობას შედარებით მოგვიანო სტადიებზე, რაც საჭიროებს დამატებით რესურსებს.

როგორც ამ ჩამონათვალიდან ვხედავთ, *უმეტეს ფაქტორებს, რომლებიც სტრატეგიული ალიანსების სტიმულირებას ახდენენ, მიეკუთვნებიან სკსსს-ის შედეგების ორგანიზაციის და გამოყენების სფეროს.* ამავე ტენდენციას ადასტურებს სტატისტიკაც. სკსსს-თან და ტექნოლოგიების გადაცემასთან დაკავშირებული შეთანხმებათა რიცხვი დიდი ტემპებით იზრდება და უკვე 80-იანი წლების დამდეგს მიაღწია ყველა შეთანხმების

1 Kanter R. Collaborative advantage. - Boston, 1994. P. 280.

ნახევარზე მეტს, მაშინ, როცა 10 წლის წინ იგი შეადგენდა 30%-ზე ნაკლებს. ეს სავსებით ბუნებრივია იმ ეპოქაში, როცა ინოვაციები გახდა ფირმების ძირითადი კონკურენტული უპირატესობა.

ტეკ-ის ქცევის ტრადიციული მოდელი, რომლის დროსაც ინოვაციური პროდუქტები ძირითადად იქმნებოდა წარმოშობის ქვეყანაში, ხოლო შემდეგ ხდებოდა მათი ექსპორტირება საზღვარგარეთულ ფილიალებში, უთმობს ადგილს კვლევითი სამუშაოების უფრო რაციონალურ ტერიტორიულ განთავსებას სამუშაოების ნაწილის იმ ქვეყნებში გადატანით, სადაც მათი ჩატარების უკეთესი პირობები ან იაფი და საკმაოდ კვალიფიციური კადრებია. მეცნიერების და ტექნოლოგიების შესახებ იაპონიის სააგენტოს თეთრ წიგნში აღნიშნულია, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში იაპონური კომპანიები ხსნიან თავის საზღვარგარეთულ ლაბორატორიებს დაახლოებით კვირაში ერთხელ. სულ საზღვარგარეთ 90-იანი წლების დამდეგისათვის მოქმედებდა 276 იაპონური კვლევითი ცენტრი, რომელთაგან ნახევარი იყო აშშ-ში და 1/3 — დასავლეთ ევროპაში.[1]

ბოლო წლებში კაპიტალის პირდაპირი ინვესტიციების ფორმით გატანის ტრადიციულ ფორმასთან ერთად ტეკ-ები სულ უფრო მეტად ახორციელებენ ორგანიზაციული ტექნოლოგიების, ნოუ-ჰაუსა და მთელი ფრაგმენტების ექსპორტს, რომლებიც ვითარდება კორპორაციის არსებობისას სხვა ქვეყნებში ან ჩასახულია, ანდა ჩამოყალიბებული თავად ტეკ-ის წიაღში არაფორმალური ინსტიტუტების ორგანიზაციის და მართვის სფეროში.

თანდათანობით მოწინავე ტეკ-ების ხელმძღვანელებმა შეიგნეს, რომ ინოვაციები წარმოადგენს სოციალურ-კულტურული ინსტიტუტების აისბერგის მხოლოდ ხილულ წვერს და მათი განუწყვეტელი და წარმატებით წარმოების უზრუნველსაყოფად აუცილებელია ვისწავლოთ *მსხვილი ინსტიტუციონალური მოდულების გადატანა მიმღებ ქვეყნებში.*

მოვიდა დრო ქვეყნების და ცალკეული კომპანიების პრაქტიკული ეკონომიკური წარმატებებისათვის საერთო კულტურასა და იდეოლოგიაში შეტანილი წვლილის უფრო ადეკვატური შეფასებისათვის. საკმაოდ ღრმა განხილვისას კი აღმოჩნდა, რომ გარეგნულად სავსებით ინტერნაციონალური საბუნებისმეტყველო მეცნიერებები — ინჟინერია და ბიზნესი — ათასი ძაფითაა დაკავშირებული ერის კულტურასთან, ტრადიციასთან, რელიგიასთან და გაბატონებულ იდეოლოგიასთან.

ბოლო წლებში მსოფლიო პრაქტიკაში განვითარდა ე. წ. ტრანსეროვნულგარსიანი ანუ ღრუსხეულიანი ფირმები (hollow firms), რომელთა სპეციფიკას წარმოადგენს კონტრაქტის საფუძველზე სამეწარმეო ფუნქციე-

---

1 Japanese science. - Economist. ტ. 320. № 31561.

ბის ნაწილის გადაცემა, უპირველეს ყოვლისა, მწარმოებელი, უცხოელი მენარდეებისათვის სხვადასხვა ქვეყანაში. ისინი წარმოიშვა ისეთ დარგებში, რომლებიც აწარმოებენ სამომხმარებლო საქონელს: სათამაშოებს, ტანსაცმელს, ფეხსაცმელს, სპორტულ ნაწარმს და სხვ. ეს ფირმები ფლობენ უკვე ცნობილ სავაჭრო მარკას და განსაზღვრავენ, რომელი საქონელია საჭირო კონკურენტული საწარმოს წარმოებისათვის, როგორ და ვის მივყიდოთ იგი, ე. ი. იღებენ საკუთარ თავზე ყველა ურთიერთობას ფირმა-მწარმოებლის ბაზართან.

სათავო კომპანია თავისთვის იტოვებს მთელი პროცესის მხოლოდ საერთო მართვის ფუნქციას — საქონლის იდეის შემუშავებიდან დაწყებული მომხმარებელზე მიყიდვამდე. საუბარი ეხება საქონლის მოძრაობას თავისი საკუთარი სავაჭრო მარკით, იმ დროს, როცა არაა დაკავებული მისი წარმოებით. მაგალითად, უმსხვილესი მსოფლიო სპორტული ფეხსაცმლის მწარმოებელი Nike Inc. (აშშ) თავისი შექმნის მომენტიდან — 1964 წლიდან — გადასცემს მწარმოებლურ ფუნქციებს საკონტრაქტო საფუძველზე მენარდეებს განვითარებად ქვეყნებში. კომპანია ახორციელებს კვლევით, დიზაინურ და მარკეტინგულ საქმიანობას, თავისი მოგების მნიშვნელოვანი ნაწილის ინვესტირებას ახდენს სკსსს-სა და რეკლამაზე, და არა ძირითად კაპიტალში. კომპანია Esprit de Corp. (აშშ) ტანსაცმლის წარმოების და რეალიზაციის სფეროს ბიზნესს ეწევა საკონტრაქტო საფუძველზე 150-ზე მეტ ფაბრიკასთან, რომლებიც მიმოფანტულია მთელ მსოფლიოში.

ინტეგრაციის ეს ფორმა გამოიყენება კომპიუტერთა წარმოების და გასაღების ორგანიზაციის დროსაც. ფირმა Emercson Radio Corp., რომელიც ტელევიზორებს უშვებს, ახორციელებს დიზაინის, თავისი პროდუქციის ტექნიკური სპეციფიკაციის შემუშავებას, ასევე მის გასვლას ბაზარზე, ხოლო წარმოება ხორციელდება აზიელი სუბმეიჯარეების მიერ. დაკომპლექტებული იყიდება მათი ოფისების საშუალებით სხვა ქვეყნებში. ამასთან, კომპანია წარმატებით უწევს კონკურენციას ისეთ ცნობილ ვერტიკალურად ინტეგრირებულ ფირმებს, როგორიცაა Sony და Samsung.

5.7. ტეკ-ის შიდა პოლიტიკა. ფილოსოფია და იდეოლოგია

თანამედროვე ტეკ-ები სულ უფრო დიდ ყურადღებას უთმობენ შიდა და სოციალური პოლიტიკის პრინციპების შემუშავებას. გარდა შიდაკორპორაციული ორგანიზაციისა, აქ შედის კომპანიის შრომითი ურთიერთობების სისტემა, თანამშრომელთა ძირითად ჯგუფებს შორის ურთიერთობის რეგულირება, ურთიერთობა კორპორაციის მფლობელთა და მენეჯერთა შორის, პოლიტიკა შედარებით მცირე ოდენობის

აქციათა მფლობელების მიმართ. ვითარდება თანამშრომელთა მიზიდვის პროცესი წარმოების მართვაში. ამ პროცესებს სხვადასხვა ქვეყანაში და სხვადასხვა საწარმოში სხვადასხვანაირად უწოდებენ: სამუშაო პროცესის სრულყოფა, შრომის ჰუმანიზაცია, თანამშრომელთა მონაწილეობა მართვაში, დემოკრატიზაცია სამუშაო ადგილზე და ა. შ. მმართველები და მესაკუთრეები მუდმივად ეძებენ წარმოების ორგანიზაციის ახალ გზებს: წარმოიშობა „ხარისხის წრეები", ფართოვდება მუშათა მიერ აქციების შესყიდვის სისტემა.

წამყვანი ტეკ-ები უკვე დიდი ხანია მიხვდნენ კორპორაციის ყველა თანამშრომლის და მფლობელის შიდა ერთიანობის აუცილებლობას რამდენიმე განმსაზღვრელი პრინციპის საფუძველზე, რომლებიც შეადგენს ე.წ. *კორპორაციის ფილოსოფიას.*

ფირმის ფილოსოფიის გამოყენების ყველაზე მკაფიო და ცნობილი მაგალითები მოგვცა იაპონიამ. შესაძლოა, სწორედ მასში უნდა ვეძიოთ ცნობილი იაპონური ეკონომიკური სასწაულის ფესვები. იაპონური ტრადიციული მორალი თავად ეხმარება *კორპორაციული სულის* შექმნას. „იპოვე ჯგუფი, რომელსაც შეიძლება ეკუთვნოდე", — ქადაგებს იგი. — „იყავი მისი ერთგული და გქონდეს მისი იმედი. მარტო ვერ შეძლებ ცხოვრებაში ადგილის პოვნას. დაიკარგები მის ხლართებში. დამოკიდებულების გრძნობის გარეშე არ არსებობს გულდაჯერებულობა". უმსხვილესი იაპონური ტეკ-ები დამოკიდებულების შესახებ კონფუციანური მოძღვრების ბაზაზე — „მამა — შვილი", „მფარველი (მეურვე) — სამეურვეო პირი" — აგებენ თავის კორპორაციულ ფილოსოფიასა და კორპორაციული ქცევის ეთიკას.

საყოველთაოდ ცნობილ იაპონურ ტეკ-ში „ჰიტაჩი" მიღებისას მომავალ თანამშრომელს უნერგავენ: „ჩვენი დევიზია: ერთგულება, თანამშრომლობა, სიბეჯითე". სიტყვა „ერთგულება" ნიშნავს, რომ თითოეულმა ფირმისათვის სამსახური თავის ცხოვრების მიზნად უნდა აქციოს; „თანამშრომლობა" — ყოველი მუშაკი უნდა გრძნობდეს თავს ერთი ოჯახის წევრად, ფიქრობდეს და მოქმედებდეს თანაზიარად, არ ცდილობდეს რაიმეთი გამოეყოს სხვებს; „სიბეჯითე" — ყოველი უნდა ცდილობდეს მთელი თავისი ცოდნა და ძალები გასცეს ფირმისათვის ისე, რომ არ ფიქრობდეს დაჯილდოებაზე..." შემდეგ — კორპორაციის ჰიმნის შესრულება და ა. შ. ჰიმნები, საერთოდ, იაპონური კორპორაციების აუცილებელი ატრიბუტია. „გაიზარდე, მრეწველობავ, გაიზარდე და განვითარდი! ჰარმონია და გულწრფელობა!" — მღერიან დილაობით „მაცუსიტა ელექტრიკ Ko"-ს მუშები. და რაც ყველაზე საინტერესოა, მრეწველობა მართლაც კარგად ვითარდება და იზრდება ამ სიმღერების ქვეშ.

კორპორაციული სული ღმად შეიჭრა იაპონელთა ცხოვრებაში. მოსამსახურე ამაყობს ფირმის ნიშნით ისე, როგორც ადრე საგვარეულო გერბით. კითხვაზე: „ვინაა ეს ადამიანი?“ გიპასუხებენ, რომ იგი კონცერნ „სუმიმოტოს“ თანამშრომელია. ხოლო ის, თუ რა თანამდებობა უკავია — პრეზიდენტის ან დარაჯის — ეს უკვე სხვა კითხვაა იერარქიის მნიშვნელობის მიხედვით. კონცერნ „მიცუის“ თანამშრომელს უფრო ხალისით სთავაზობენ კრედიტს ბანკში, ვიდრე ბევრად უფრო უზრუნველყოფილ ნაკლებადცნობილი ფირმის თანამშრომელს. და ეს კანონზომიერია. იაპონიაში ხომ ყველასათვის ცნობილია, რომ კონცერნი ნებაყოფლობით იღებს თავისთავზე თავისი თანამშრომლების კეთილსინდისიერების გარანტიას. მაშასადამე, იმ შემთხვევაში, თუ კონცერნის თანამშრომელი გადახდისუუნაროა, მაშინ კონცერნი დაეხმარება მას კრედიტის დაბრუნებაში.

იაპონური კორპორაციული სულის შექმნაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს *სამუდამოდ დაქირავების ტრადიცია*, რომელიც რეალურად მოქმედებს მსხვილ საწარმოებში. დაქირავება ხდება ფირმის ერთ-ერთი თანამშრომლის რეკომენდაციით, რომელიც თავისთავზე ღებულობს მორალურ პასუხისმგებლობას ახალბედაზე და მისი მფარველის როლს ასრულებს. ხელფასის და კარიერაში წინსვლის ზრდის სისტემა ისეა აგებული, რომ მტკიცედ დაუკავშიროს თანამშრომლის ცხოვრება კორპორაციას. არსებითად, თანამშრომელი მოკლებულია ფირმიდან წასვლის საშუალებას. საკუთარი სურვილით წასულს ხშირად ისე უყურებენ, როგორც კეთროვანს. მუდმივი დაქირავების სისტემის წყალობით იაპონელი მეწარმენი არ იშურებენ საშუალებებს მუშათა კვალიფიკაციის მუდმივი ამაღლებისთვის. თუ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში კარიერისათვის მოძრაობა ძირითადად უკავშირდება კომპანიიდან კომპანიაში გადასვლას, იაპონიაში ადამიანს აქვს ძალიან დიდი მობილურობა კომპანიის შიგნით, რაც მას უქმნის კარიერის გაზრდის ყველა პირობას. თუმცაღა, ისევე როგორც ყველაფერს, ასეთ მდგრად პატრიარქალურ სისტემასაც გააჩნია თავისი მინუსები. ცხოვრების ხანგრძლივობის ზრდასთან ერთად იაპონიის მუშათა კლასი მნიშვნელოვნად „დაბერდა“, ხოლო მოხუცი მუშებისგან გათავისუფლება იაპონური სისტემის პირობებში ძნელია. ბევრი ფირმა სთავაზობს ადამიანებს ნებაყოფლობით გადადგომას უკვე 45 წლის ასაკში, ცდილობს რა მათგან თავის დაღწევას, სთავაზობს სოლიდურ შემწეობას... ალბათ ფიქრობთ, რომ ასეთ ასაკში შეიძლება გათვლილი ახალი კარიერის დაწყებაც კი სხვა სარბიელზე, მაგრამ არა იაპონიაში. სამუდამო დაქირავება ხომ შრომის ბაზარს ნაკლებად მოძრავს ხდის, ამიტომ ვაკანტური ადგილის შოვნა ძნელია.

მიუხედავად ამისა, იაპონური ფირმის ფილოსოფიამ და ეთიკამ დაამტკიცა თავისი ეკონომიკური ეფექტიანობა და 15-20 წლის წინ ევროპელ და ამერიკელ მენეჯერთა მთელმა ნაკადებმა მიმართეს იაპონიას ფირმათაშიდა ურთიერთობების მოწინავე გამოცდილების ორგანიზაციის ასათვისებლად.

ყველა ქვეყნის კორპორაციები ისწრაფვიან უზრუნველყონ თავისი თანამშრომლების დაინტერესება შრომის შედეგებით. იაპონიამ ამ საკითხებში მიაღწია თვალსაჩინო წარმატებებს. ეყრდნობიან რა „დიდი ოჯახის“ კორპორაციულ ფილოსოფიას — იაპონურმა ტეკ-მა შეძლეს დაენერგათ ე. წ. „ხარისხის კონტროლის წრეები“. ასეთი წრეების ორგანიზაციის იდეა ეკუთვნის იაპონელ მეცნიერთა და ინჟინერთა კავშირის წევრს, ისირო ისაკავას. იგი გამოდიოდა იმ წანამძღვრიდან, რომ არც მუშამ, არც მენეჯერმა არ იცის „სწორად“ საწარმოო პრობლემის გადაწყვეტა და ამიტომ მუშა უნდა იქნეს ჩართული ამ გადაწყვეტილებათა ძიებასა და ერთობლივ შემუშავებაში. „ხარისხის კონტროლის წრეები“, რომლებიც საყოველთაოდ იქმნება იაპონურ კორპორაციებში, წარმოადგენს საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილი საბჭოური ტექნიკური კონტროლის განყოფილებებს და რაციონალიზატორ-გამომგონებლების წრეების თავისებურ სიმბიოზს. ისინი თავის თავზე იღებდნენ თვალთვალს პროდუქტის ხარისხზე საწარმოო პროცესის ყველა სტადიაზე, კერძოდ, იყენებდნენ სტატისტიკურ მეთოდებს იმ უბნის და თვით დაზგის ზუსტი განსაზღვრისთვისაც კი სადაც იქნა დაშვებული შეცდომა, რომელმაც მიგვიყვანა წუნამდე. ეყრდნობოდა რა იაპონურ ტრადიციასა და შრომით ეთიკას, ამ წრეებმა განაპირობა კოლოსალური ეკონომიკური ეფექტიანობა და ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად იქცა იმ შრომის მწარმოებლურობის თვალსაზრისით 80-იან წლებში მსოფლიოში პირველ ადგილზე გასულიყო იაპონია. იაპონური ხარისხის კონტროლი დაბლიდან — მუშებიდან — პირდაპირ ეწინააღმდეგება ტეილორიზმს, რომლის თანახმადაც ხარისხი უნდა გაკონტროლდეს ზევიდან — კომპანიის შტაბ-ბინიდან. ამერიკაში ძალისხმევა იქნა მიმართული დეფექტების აღმოჩენაზე, ხოლო იაპონიაში — მათ გაფრთხილებაზე.

დოკუმენტი სახელწოდებით „კორპორაცია „კავასაკის“ ფილოსოფია“ შეიცავს თავს „ორიენტაცია ადამიანებზე“. „კავასაკის წარმატებებს განსაზღვრავს ხალხი: საქმიანი, სწავლის მოსურნე, საკუთარი თავის და ამხანაგების პატივისმცემელი, ამაყი თავისი პროდუქციით და ფირმით. ასეთი მიდგომა კორპორაციული ფილოსოფიის და შრომითი ეთიკის მიმართ დამახასიათებელია იაპონური კომპანიების უმრავლესობისათვის და მას მოაქვს მათთვის საგრძნობი კონკურენტული უპირატესობანი.

თუ შევადარებთ იაპონიის და აშშ-ის წარმოების ორგანიზაციის სისტემას 80-იან წლებში, შეიძლება მოვიყვანოთ ასეთი დამახასიათებელი მაგალითი. „ჯენერალ მოტორსის“ საწარმოო საამქროებში კონტრლიორთა და ძირითად მუშათა რიცხვის თანაფარდობა შეადგენს 1:100, ხოლო საამწყობოში — 1:7, მასთან კონკურენციაში მყოფ იაპონურ კორპორაციაში „ტოიოტა“ ეს თანაფარდობა ტოლია 1:25 და 1:30 შესაბამისად. შედეგად, „ტოიოტას“ ავტომობილთა 80% ჩამოდიოდა კონვეირიდან უდეფექტოდ, ხოლო ყოველ ამერიკულ მანქანას ჰქონდა საშუალოდ 7 დეფექტი.

განსაკუთრებით აშკარად გამოვლინდა იაპონელთა უპირატესობანი მათ მიერ ამერიკული კომპანიების შესყიდვის დროს, როცა მათ ისინი გადაიყვანს იაპონური მენეჯმენტის პრინციპებზე. მაგალითად, კორპორაცია „მაცუსიტამ“ შეიძინა ამერიკული „მოტოროლას“ ერთ-ერთი ქარხანა, როცა საწარმოს ფლობდა მოტოროლა, ტელევიზორების წუნი წარმოებისას აღწევს 120-140%, ხოლო როცა გადავიდა „მაცუსიტას“ ხელში წუნი იმავე წარმოებაში სწრაფად შემცირდა 4-7%-მდე. ამასთან, არ იყო განსაკუთრებული დაბანდებები ტექნოლოგიურ გადაიარაღებაში. ძირითადად ყველაფერი გადაწყვიტა მენეჯმენტმა და შრომის მიმართ მუშათა დამოკიდებულებამ.

ამერიკელებმა და ევროპელებმა ბევრი გააკეთეს იმისათვის, რომ გადაეღოთ იაპონური მენეჯმენტის პრინციპები, მაგრამ იაპონური ტრადიციებისგან მოწყვეტით მას არ მოჰქონდა მოსალოდნელი შედეგები.

მიუხედავად ამისა, დასავლეთის უმსხვილესმა ტეკ-ებმა შეძლეს დაენერგათ იაპონელთა საუკეთესო მიღწევები მენეჯმენტის სფეროში, ამასთან, მოახდინეს ეროვნულ ტრადიციებთან და შრომით ჩვევებთან მათი ადაპტირება. ბევრმა ისეთებმა ცნობილმა კორპორაციამ, როგორიცაა IBM და „პროქტორ ენდ გემბელი“ შემოიღეს თანამშრომელთა მონაწილეობის საკმაოდ ეფექტიანი სისტემა, რომლის რეკლამირებასაც არ ახდენენ, რადგან საკუთარ ნოუ-ჰაუდ მიიჩნევენ.

კორპორაციის ფილოსოფიის დევიზები და მკაფიოდ ჩამოყალიბებული პრინციპები მტკიცედ დამკვიდრდა მრავალ ევროპულ და ამერიკულ ფირმაში. საკმარისია გავიხსენოთ ამერიკული კორპორაციის დევიზები: დიუპონი „საუკეთესო საგნებით საუკეთესო ცხოვრებაში ქიმიის დახმარებით“; AT ენდ T: „უნივერსალური მომსახურება“; კონტინენტალ-ბანკის: „ჩვენ შევძლებთ გამოსავლის პოვნას“; ლატვიის კაპიტალ-ბანკის: „ჩვენ ვმუშაობთ ინდივიდუალურად თითოეულისათვის, პროფესიონალურად — ყველასათვის და კრუპის გერმანული კონცერნის: „აკეთე კარგად და ილაპარაკე ამის შესახებ“.

წამყვან ევროპულ ტეკ-ებს გააჩნიათ საკუთარი კორპორაციული ფილოსოფიის და ეთიკის პრინციპები, რომლებიც ახლა მათ საშუალებას აძლევს თანაბარი კონკურენცია გაუწიონ იაპონურ კორპორაციებს ამ სფეროში.

ევროპული და ამერიკული ტეკ-ების სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ ეყრდნობიან თანამშრომელთა ინდივიდუალურ თვისებებსა და თანამშრომლებსა და განყოფილებებს შორის შიდა კონკურენციის წახალისებას. აქ ნაკლებია „მშვიდობიანი" თანამშრომლობა და მეტია სისასტიკე საქმიან ურთიერთობებში. საჭიროა აღინიშნოს, რომ 90-იან წლებში ამერიკულმა ტეკ-ებმა იაპონელებთან ტრანსოკეანურ შეჯიბრში დაიწყეს გამარჯვება და მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა შიდა პოლიტიკა, რომელიც ეფუძნება იაპონური „კოლექტივიზმს" და ამერიკულ ინდივიდუალიზმსა და წინდახედულობას.

ტრანსნაციონალიზაცია, ისევე როგორც სხვა მსხვილი სოციალურ-ეკონომიკური მოვლენები, საჭიროებს განსაზღვრულ ფილოსოფიურ შემეცნებას, რომელიც უზრუნველყოფს იდეოლოგიური პლატფორმის ამ პროცესის განვითარებას. რა თქმა უნდა, არ შეიძლება პრიმიტიულად აღვიქვათ აუცილებელი ფილოსოფიის და იდეოლოგიის ფორმირება, როგორც ტეკ-ის მიერ რაღაც შეკვეთილი და შესრულებული სამუშაო ინტელექტუალების მიერ (თუმცაღა სოციალური შეკვეთა თამაშობს არანაკლებ მნიშვნელოვან როლს). ტრანსნაციონალიზაციის ფილოსოფიურ-იდეოლოგიური პლატფორმა იქმნება სტიქიური ევოლუციური გზით, თვით ტრანსნაციონალიზაციის განვითარების მსგავსად. მეცნიერთა და სპეციალისტთა ჯგუფების მიერ შემუშავებული ფილოსოფიური და იდეოლოგიური კონცეფციებიდან იმარჯვებს და გაბატონებულ ადგილს იკავებს საზოგადოებრივ შემეცნებაში ის, რომელიც ყველაზე საუკეთესო სახით შეესაბამება ობიექტურად განპირობებული პროცესის მოთხოვნათა უზრუნველყოფას. თუმცა კი აქ ადგილი აქვს უკუეფექტსაც, რომელსაც ცნობილმა ბიზნესმენმა და თეორეტიკოსმა ჯ. სოროსმა უწოდა რეფლექსურობა. თეორიულმა შეფასებებმა და კონცეფციებმა შეიძლება არსებითი გავლენა მოახდინონ თვით პროცესის მსვლელობაზე. ამგვარად დგინდება თავისებური უკუკავშირი „პროცესის და მისი თეორიული აღწერის" სისტემაში. ისინი ვითარდება ერთად, კოევოლუციურად.

ტრანსნაციონალური კორპორაცია, ისევე როგორც ყოველი კომერციული ორგანიზაცია, ისწრაფვის თავისი ეკონომიკური ძალაუფლების გაფართოებისაკენ. ნებისმიერი ტეკ-ის განვითარების ანალიზის ყურადღე-

ბით შესწავლისას ჩანს, რომ ყოველი მისი კონკრეტული მოქმედების ახსნა შეიძლება ძალაუფლების მატებისაკენ სწრაფვით.

ვოლუნტარიზმი საშუალებას იძლევა ავხსნათ კაპიტალის კონცენტრაცია და ცენტრალიზაცია, ინტენსიური შერწყმები და შთანთქმები არა ჰეგელიანურ-მარქსისტული აბსტრაქტული, კაპიტალისთვის შინაგანად დამახასიათებელი სწრაფვით და მოძრაობით, არამედ კორპორაციის სათავეში მდგომ იმ პირთა კონკრეტული ნებით, რომლებიც ისწრაფვიან ეკონომიკური ძალაუფლების გაფართოებისაკენ. ვოლუნტარიზმი არაა აბსტრაქტული მიმდინარეობა, არამედ რთული ეკონომიკური პროცესების ანალიზის რეალური მეთოდოლოგიაა და, რა თქმა უნდა, მათ შორის ტრანსნაციონალიზაციისაც. ის საშუალებას იძლევა დავინახოთ პროცესის შიდა ზამბარები, რომლებიც ყოველთვისაა დაკავშირებული კონკრეტული ადამიანების და ჯგუფების ეკონომიკური ძალაუფლების ნებასთან. ვოლუნტარისტული ანალიზი საშუალებას იძლევა არა მარტო ავხსნათ მიმდინარე ეკონომიკური მოვლენები, არამედ გვაძლევს ტეკ-ის ეკონომიკური ქცევის სტრატეგიის პროექტირების საშუალებას ინტერესთა კვლევის, მიზნების და პროცესის სხვადასხვა მონაწილეთა ძალაუფლების სწრაფვის საფუძველზე.

ტრანსნციონალიზაცია, მნიშვნელოვანწილად დაფუძნებული დასავლეთის სამყაროს ფასეულობებზე და ანგლო-ამერიკულ ცივილიზაციაზე, განიცდის აშშ-ის საქმიან წრეებში ყველაზე გავრცელებული პრაგმატიზმის (ბერძნ. pragma - საქმე, მოქმედება) ფილოსოფიის საგრძნობ გავლენას. პრაქტიკული ამერიკელები აღმოჩნდნენ სავსებით გულგრილნი, რთულ ევროპულ ფილოსოფიურ სისტემათა მიმართ. პრაგმატიზმი ადამიანის არსის ყველაზე მკაფიო გამოხატულებას ხედავს მოქმედებაში და ფასეულობა ან აზროვნების ფასეულობის უქონლობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ემსახურება იგი მოქმედებას, სასიცოცხლო პრაქტიკას. პრაგმატიზმის მამამ, უილიამ ჯეიმსმა დახატა მრავალფეროვანი სამყაროს სურათი, რომელშიც ადამიანებს ძალუძთ შეიგრძნონ მხოლოდ ნაწილობრივი და შეზღუდული ჭეშმარიტებანი, ე. ი. ის ჭეშმარიტებები, რომლებსაც მათთვის მოაქვთ პრაქტიკული სარგებელი. ამ სამყაროში არავის შეუძლია მოიპოვოს მონოპოლია ჭეშმარიტებაზე ბოლო ინსტანციაში. ის გამოვიდა კაპიტულაციის რაღაც ერთიანი ურთიერთდაკავშირებული დოგმების სისტემის წინააღმდეგ.

ცენტრალური ადგილი საქმიან ადამიანთა ამ ფილოსოფიაში უკავია ძირითადად „პრაგმატიზმის პრინციპს“, რომელიც ცოდნის მნიშვნელობას განსაზღვრავს მისი პრაქტიკული შედეგებით. უ. ჯეიმსის შრომებში ეს პრინციპი ჩამოყალიბებულია, როგორც ამა თუ იმ თეორიიდან გამომდინარე

„პრაქტიკულ შედეგებთან“ შედარების გზით ფილოსოფიურ კამათთა გადაწყვეტის მეთოდი. პრაგმატიზმის ჭეშმარიტების მთავარი კრიტერიუმია: ჭეშმარიტება არის ის, „რაც კარგად „მუშაობს“ ჩვენთვის, რაც ყველაზე კარგად უდგება ცხოვრების ყოველ ნაწილს და შეერთებულია მთელი თავისი ერთობლიობით ჩვენ გამოცდილებასთან“. *იდეები პრაგმატიზმის მომხრეთათვის ხდება „მოქმედების ინსტრუმენტი“ (დიუი)*. პრაგმატულ შეხედულებებს იზიარებს დღეს დასავლეთის ბიზნესის ბევრი წამყვანი წარმომადგენელი, ამ ფილოსოფიის საფუძველთა ცოდნა საშუალებას იძლევა კარგად გავიგოთ ტრანსეროვნული კორპორაციების ხელმძღვანელთა ეკონომიკური ქცევა.

მაშ ასე, ბიზნესმენ-პრაგმატიკოსისათვის იდეოლოგია წარმოადგენს მოქმედების ინსტრუმენტს, ხოლო მის მიზანს — ვოლუნტარიზმის შესაბამისად ეკონომიკური ძალაუფლების გაფართოება. რჩება ვიპოვოთ მესამე ფილოსოფიური რგოლი — ისეთი ფილოსოფია და იდეოლოგია, რომელიც იქნებოდა ქმედითი ინსტრუმენტი დასახული მიზნების მისაღწევად. ასეთ ფილოსოფიურ-იდეოლოგიურ კონცეფციად ტეკ-ებისათვის იქცა *ლიბერალიზმი.*

ლიბერალიზმის ბირთვს წარმოადგენს ინდივიდუალური თავისუფლების, ავტონომიურობის და პიროვნების თვითსაკმარისობის იდეები. ინდივიდუალური თავისუფლება ეკონომიკურად დაყრდნობილია კერძო საკუთრების ინსტიტუტზე, როგორც თავად ადამიანის განუშორებელ ატრიბუტზე. ლიბერალები გამოდიან აზროვნების, სიტყვის, შემოქმედების, საერთოდ სამოქალაქო თავისუფლების, რწმენის აღმსარებლობის თავისუფლებისათვის. ისინი თვლიან, რომ უფლებების და თავისუფლების ხელშეუხებლობას აქვს იმდენად დიდი ფუნდამენტური მნიშვნელობა, რომ არანაირ სარგებლიანობას, ეკონომიკურ აყვავებას და სახელმწიფო ძლიერებას არ შეუძლია გახდეს მისი დარღვევის საფუძველი. აქედან გამომდინარეობს, რომ სახელმწიფოს არ შეუძლია მოახვიოს თავის მოქალაქეებს ფასეულობათა არჩეული სისტემა. აზრის და შეხედულებების პლურალიზმი სავალდებულოა ლიბერალიზმისათვის. იგი საყოველთაოდ ისწრაფვის შეელიოს ადგილობრივ ტრადიციებს, დოგმებსა და ჩვევებს.

ზემოთ ნათქვამიდან ჩანს, რომ ლიბერალიზმი გარეგნულად ძალზე მიმზიდველი ფილოსოფიაა, რომელიც მწვერვალზე აყენებს პიროვნების თავისუფლებას ყველაზე ფართო გაგებით. პარადოქსულია, მაგრამ სწორედ ეს ფილოსოფია შეესაბამება ყველაზე კარგად ტეკ-ების მიზნებს და აი, რა მიზეზებით:

1. სახელმწიფოს ნებისმიერ პროტექციონისტულ ზომებს, რომლებიც იცავს თავის საკუთარ შიდა ბაზარს, ობიექტურად მივყავართ მსოფლიო

შრომის დანაწილების და შიდა ფასების აწევის შესაძლებლობათა გამოუყენებლობამდე. შესაბამისად, ილახება მომხმარებლის უფლებები და ლიბერალიზმი გამოდის ღია სასაქონლო ბაზრებისათვის. ეს სწორედ ისაა, რაც სჭირდება ტეკ-ებს.

2. ნებისმიერი ადამიანი, ლიბერალთა აზრით, თავისუფალია საკუთარი კაპიტალის განკარგვაში. მაშასადამე, ნებისმიერი აკრძალვები კაპიტალის გადაადგილებაზე მსოფლიოში ანტილიბერალურია და საჭიროა მათთან ბრძოლა. ბუნებრივია, ეს ზუსტად ჯდება წამყვანი ტეკ-ების სტრატეგიულ ინტერესებში.

3. ლიბერალური იდეოლოგია მიესალმება ადამიანის გათავისუფლებას რელიგიური დოგმებისა და ეროვნული წეს-ჩვეულებებისაგან. იგი საშუალებას იძლევა სამუშაო ძალის მიგრაციის, პლანეტაზე ადამიანის თავისუფალი გადაადგილებისა, კერძოდ, განვითარებადი ქვეყნებიდან ტვინების გადინებას. ობიექტურად იგი ემთხვევა ტეკ-ების მიზნებს.

4. ლიბერალიზმი ხდება ახალი ცივილიზაციური საზოგადოების, ტრანსეროვნული ადამიანების — კოსმოპოლიტების ფილოსოფია; ეს უკანასკნელნი თავს თვლიან მსოფლიო მოქალაქეებად, თუმცა კი, შესაძლოა, იცავენ ზოგიერთ კულტურულ ეროვნულ ფასეულობას. ეს ადამიანები საუკეთესოდ ესადაგებიან ტრანსნაციონალიზაციის და გლობალიზაციის მიზნებს.

ტრანსნაციონალურმა კორპორაციებმა შეძლეს ლიბერალიზმის ბაზაზე ქმედითი შემტევი ფილოსოფიის შექმნა, რომელიც საშუალებას აძლევს მათ მიმღები ქვეყნების ბაზრები გახსნან თავისი საქონლისა და კაპიტალისათვის. ისინი პრაგმატულად იყენებენ ლიბერალურ იდეებს თავისი ეკონომიკური მიზნების განსახორციელებლად. საკმაოდ სრული ხორცშესხმა ჰპოვა ეკონომიკური ლიბერალიზმის დოქტრინამ „ვაშინგტონის კონსენსუსში". ამ ეკონომიკური დოქტრინის შესაბამისად, სახელმწიფო ვალდებულია შეზღუდოს თავისი ფუნქციები დაბალანსებული ბიუჯეტების მხარდაჭერით და ინფლაციასთან ბრძოლით, ხოლო დანარჩენი წარუდგინოს ეფექტიან და თავისუფალ ბაზრებს. ნათელია, რომ ეს დოქტრინა ობიექტურად ასახავს ტეკ-ების ინტერესებს და იდეოლოგიურად ასაბუთებს ტრანსნაციონალიზაციის აუცილებლობას და სარგებლიანობას მთელი მსოფლიო საზოგადოებისათვის. რა თქმა უნდა, მსოფლიოში არსებობს სხვა ინტერესებიც, რომლებიც დამყარებულია სხვა ფილოსოფიურ და იდეოლოგიურ საფუძვლებზე. ინტერესთა და კერძო მისწრაფებათა შეჯახება განაპირობებს ეკონომიკურ ევოლუციას, საბოლოო ჯამში კი მსოფლიო ეკონომიკის განვითარებას.

. რა შეიძლება დავიმახსოვროთ ბოლო განყოფილებებიდან?

1. ტრანსეროვნული ბანკები ტეკ-ების ძირითადი პარტნიორებია. ჩვეულებრივ, ტრანსეროვნულ ბანკებს, როგორც მინიმუმი, ერთი ფილიალი აქვს პლანეტის რომელიმე ფინანსურ ცენტრში და ერთი — ოფშორულ ზონებში. ისინი ფულს ატრიალებენ მსოფლიოს ფინანსური ბაზრებისა და ოფშორების მეშვეობით, სადაც მთელი მოგება რჩება; აძლევენ კრედიტებს ტეკ-ებს ან ეროვნულ კორპორაციებს იმაზე მეტი პროცენტით, ვიდრე განახორციელეს ფინანსური რესურსების მობილიზაცია.

2. ტმკ-ების ორგანიზაციულ-მმართველობითი ქსელები და საინფორმაციო-კომპიუტერული გლობალური ქსელები, რომლებიც პარალელურად ვითარდებოდა, აღმოჩნდნენ სტრუქტურით ერთმანეთის იზომორფულები და ეფუძნებიან ორგანიზაციის მსგავს პრინციპებს. გლობალურმა საინფორმაციო-ფინანსურმა ქსელმა ხელი შეუწყო ტმკ-ების მართვის ანალოგიური ქსელების შექმნას და სხვადასხვა ქსელური ტეკ-ების ორგანიზაციას.

3.ტმკ-ების ეკონომიკურ ეფექტიანობაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს შიდა კორპორაციული პოლიტიკა, კორპორაციის ფილოსოფია და საწარმოებში მიღებული შრომის ეთიკა. ხანგრძლივი დროის განმავლობაში ამ საკითხებში ლიდერობდნენ იაპონური ტმკ-ები, რომელთაც შეძლეს გამოეყენებინათ საკუთარი ეროვნული ტრადიციები საწარმოებში კორპორაციული სულის შესაქმნელად, შრომის მწარმოებლურობის არსებითი ზრდისა და გამოშვებული პროდუქციის ხარისხის ასამაღლებლად. უკანასკნელ წლებში დასავლეთის ტნკ-ებმა მოახერხეს დაწეოდნენ იაპონურ ტმკ-ებს, აიღეს მათი მენეჯმენტის სფეროდან რიგი მიღწევები და განახორციელეს ეროვნულ პირობებთან და ინსტიტუტებთან ადაპტაცია.

4. თანამედროვე ტმკ-ების ფილოსოფია ვოლუნტარისტული ფილოსოფიის და ლიბერალიზმის დებულებების სინთეზია. პირველი კარგად ხსნის ტრანსნაციონალიზაციის მამოძრავებელ ძალებს და მიზნებს; პრაგმატიზმს, რომელიც ასაბუთებს ტმკ-ის მიზნის მიღწევაში იდეოლოგიის, როგორც „მოქმედების ინსტრუმენტის“ გამოყენებას. ლიბერალიზმი საშუალებას იძლევა გასაღების, კაპიტალის და სამუშაო ძალის ეროვნული ბაზრების გახსნით ტმკ-ებმა ეფექტიანად მიაღწიონ საკუთარ მიზნებს.

თავი 6

ეკონომიკის ინფორმატიზაცია და ინფორმატიზაციის ეკონომიკა

ინფორმაცია, ინფორმატიკა, ინფორმატიზაცია. ექვსი ინფორმაციული რევოლუცია. ინფორმაციული ინდუსტრია. თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების დაიჯესტი. ინტერნეტ-ეკონომიკა. ინტერნეტი და საზოგადოება

ყოველგვარი ორგანიზმი მტკიცდება შეძენის, გამოყენების, შენახვისა და ინფორმაციის გადაცემის საშუალებების არსებობით.

ნორბერტ ვინერი, „კიბერნეტიკა"

6.1. ინფორმაცია, ინფორმატიკა, ინფორმატიზაცია

საოცარია, მაგრამ ადამიანმა, ესოდენ მიდრეკილმა ბუნებით სხვადასხვაგვარი ინფორმაციის დაგროვებისა და ანალიზის, გააზრებისკენ, განსაკუთრებით მაშინ, როცა ინფორმაცია ეძლევა დოსიეს ფორმით ან იძენს როგორც კომპრომატს, საკმაოდ გვიან დაიწყო ფიქრი თავად ინფორმაციის ბუნებასა და თვისებებზე.

ადამიანი, რომელმაც XVII ს-ში აღმოაჩინა მექანიკის *ფუნდამენტური კანონები*, XVIII ს-ში წარმატებით გამოიკვლია თერმოდინამიკა და ააგო სითბური მანქანა, XIX ს-ში აითვისა უჩინარი და არახელშესახები ელექტრომაგნიტიზმი, მხოლოდ XX ს-ის დასაწყისში მივიდა პირობითი რეფლექსების გაგებამდე — თავისი საკუთარი ფსიქიკური საქმიანობის უმარტივეს საფუძვლებამდე, ხოლო მეცნიერება ინფორმაციის შესახებ წარმო-

იშვა უკვე კვანტური მექანიკის, ფარდობითობის თეორიის და ბირთვული რეაქციების აღმოჩენის შემდეგ.

XX ს-ის 50-იან წლებში კიბერნეტიკისა და ინფორმატიკის სამუშაოების დაწყებისთანავე ამ სფეროს განვითარება დაიწყო საოცრად სწრაფი და, რაც ყველაზე საკვირველია, მზარდი ტემპებით.

ადამიანური მოღვაწეობის არცერთ სფეროში არ ყოფილა ასეთი მძაფრი აღმაფრენა. არსად და არასდროს არ მიუღწევია ტექნიკური საშუალებების ძირითად პარამეტრებში ისეთ პროგრესს, როგორც ინფორმატიკაში. თანამედროვე ავტომობილი 10-ჯერ სწრაფად მოძრაობს, ვიდრე მისი წინაპრები; გემებს 100-ჯერ მეტი ტვირთი გადააქვთ, მაგრამ თანამედროვე კომპიუტერები პირველ ЭВМ-ს აჭარბებენ მილიარდჯერ და მეტად ყველა ძირითადი პარამეტრით: სწრაფი მოქმედებით, მეხსიერებით და ა. შ.

რაღაც 40 წლის წინათ ჩვენი პირველი თანამგზავრების ფრენა გამოითვლებოდა შემდეგი მნიშვნელოვანი საშუალებით: გაფრენის ტრაექტორიის პროექტირებულ ცენტრში განთავსებული იყო ორი უზარმაზარი დარბაზი, რომელიც სავსე იყო სპეციალისტ-გამომთვლელებით. თითოეული მათგანი ასრულებდა მხოლოდ ერთ არითმეტიკულ ოპერაციას გამოთვლის ალგორითმში. მაგალითად, განსაზღვრული სპეციალისტის მაგიდაზე ორი მეზობელი მაგიდიდან მუდმივად მოდიოდა ორი ფურცელი რიცხვებით, სადაც ისინი ჯამდებოდა და ფურცელი ჯამით გადაეცემოდა შემდეგ მაგიდას. აი ასე, კომპიუტერის ფუნქციის იმიტაციით მუშაობდა კვირების და თვეების განმავლობაში ასობით სპეციალისტი. საიმედოობის გაზრდისათვის მეორე დარბაზში მიმდინარეობდა ამგვარივე გამოთვლითი პროცესი და ხდებოდა მიღებული შედეგების შედარება.

ამ სტრიქონთა ავტორები, რომლებიც 70-იანი წლების დამდეგს სტუდენტები იყვნენ, დაატარებდნენ უზარმაზარ პერფობარათთა შეკვრას საოცრად ლამაზ სამანქანო დარბაზებში, სადაც ათასობით ნათურით იდუმალებით ციმციმებდა უზარმაზარი БЭСМ -ნ, რომელიც თავისი წარმოებით ჩამორჩებოდა თანამედროვე ჯიბის კომპიუტერს. სხვათა შორის, ამ БЭСМ-ებზე ჩვენი მეცნიერები მართლაც ფანტასტიკურ საქმეებს ახორციელებდნენ, ავლენდნენ რა გამომგონებლობის სასწაულებს, მეხსიერების ყოველი უჯრედის ეკონომიას, სამანქანო ოპერაციებს და ქმნიდნენ ისეთ პროგრამებს, რომლებიც თავისი დახვეწილობითა და ბრწყინვალებით აღაფრთოვანებდნენ თანამედროვე პროგრამირების არებს.

ომისშემდგომი წლების საბჭოთა ხელმძღვანელობის ღრმა ანტიპათია ამ კიბერნეტიკისადმი — „იმპერიალიზმის ლამაზმანისადმი“ — ბევრად განსაზღვრა 80-იანი წლების სისტემური და ტექნოლოგიური კრიზისი, რო-

მელმაც მიგვიყვანა „ცივ ომამდე". თუმცა, სხვა საშუალება მეგაეკონომიკაში წამყვანი ადგილის დასაკავებლად, ინფორმაციული ინდუსტრიის განვითარების გარდა, უბრალოდ არ არსებობს. ასე რომ, დღეს საინფორმაციო ტექნოლოგიების და საინფორმაციო ბიზნესის სიბრძნეში გარკვევა ყოველი ადამიანისათვის აუცილებელია, ვინც საინფორმაციო საზოგადოებაზე საყოველთაო გადასვლის პირობებში ცდილობს კარიერის გაკეთებას.

ინფორმაცია, ინფორმატიკა, ინფორმატიზაცია, ინფორმაციული ტექნოლოგიები — ეს სიტყვები იმდენად მყარად დამკვიდრდა ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, რომ ხშირად მათ ისე ვიყენებთ, ზოგჯერ არც ვუფიქრდებით მათ ზუსტ მნიშვნელობას. ამ დროს მეცნიერებაში ყველაზე მნიშვნელოვანია ძირითადი ტერმინების ზუსტად განსაზღვრა. დავიწყოთ *ინფორმატიკით.* იგი თავისთავად წარმოადგენს ინფორმაციის მიღების, გადაცემის და მეცნიერული დამუშავების ჯგუფს. ტექნოლოგიებს, რომლებიც გამოიყენებიან ადამიანური ცოდნის ამ დარგში, დღეს მიღებულია ვუწოდოთ ინფორმაციული ტექნოლოგიები. შედარებით ბოლო პერიოდში წარმოჩენილ სპეციფიკურ ელექტრონულ, კომპიუტერულ და ქსელურ ტექნოლოგიებს, ინფორმაციის დამუშავების იმ ტრადიციული ფორმებისაგან გამოსარჩევად, რომელთაც ფართო გაგებით შეიძლება მივაკუთვნოთ კავშირისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, დაწყებული წიგნის ბეჭდვიდან ტელევიზიამდე, აგრეთვე ენა, მეცნიერება, ხელოვნება და, საერთოდ, კაცობრიობის ინტელექტუალური მოღვაწეობის უმეტესი ნაწილი, რომელიც თითქმის ყოველთვის დაკავშირებულია ინფორმაციის შეკრებასთან და დამუშავებასთან, უწოდეს *ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიები,* რომლის აბრევიატურად იყენებენ აიტ-ს. ვიწრო გაგებით, ინფორმატიკა სწორედ აიტ-ითაა დაკავებული. ტერმინის „ინფორმატიკა" ფართო გაგება მას მეცნიერებაზე მაღლა სწევს და ამიტომ არ გამოირჩევა განსაკუთრებული პრაქტიკული შედეგით. თუმცა, ფილოსოფიური გაგებით, ასეთი ზოგადი მიდგომა ინფორმაციის შესახებ მეცნიერებაზე, რასაკვირველია, სასარგებლოა.

თავად *ინფორმაცია* წარმოადგენს პირველადი ფილოსოფიური კატეგორიების — მატერიის და შემეცნების — დონის ცნებას. მცდელობა მივცეთ მას ზუსტი განსაზღვრება და რაოდენობრივი საზომები შენონის ცნობილი ფორმულის ტიპის მსგავსად, გარდაუვლად ამცირებს ამ ცნების მნიშვნელობას და, მართლაც, რეალურად შედარებით სასარგებლო ხდება ინფორმაციის ცალკეული განსაზღვრული ტიპების გამოსაკვლევად. ჩვენი მიზნებისათვის სავსებით საკმარისია შევინარჩუნოთ ამ კატეგორიის ინტუიციური გაგება საღი აზრის დონეზე.

ინფორმატიზაცია წარმოადგენს ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების პროცესს, რომელიც მიმდინარეობს საერთო ცივილიზაციის განვითარების პარალელურად, ამასთან, მას ბევრად განსაზღვრავს და განაპირობებს.

ჩვენი აზრით, სწორედ

> ყველა მსოფლიო პროცესის ინფორმატიზაცია წარმოადგენს ცივილიზაციის განვითარების ერთ-ერთ ძირითად მამოძრავებელ ძალას. ღრმა საინფორმაციო და ტექნოლოგიური გარდაქმნები გვევლინებიან ძირითადი სოციალურ-ისტორიული ცვლილებების ყველაზე ფუნდამენტურ ფაქტორებად, მათ რიცხვშია გლობალიზაციის პროცესი, რომელსაც ამზადებს და განაპირობებს.

საინფორმაციო-ტექნოლოგიური პროცესების გაგების ასეთი მიდგომა, რომელიც საფუძვლად უდევს ეკონომიკურ განვითარებას, საჭიროებს რეტროსპექტული შეფასება მივცეთ საინფორმაციო ტექნოლოგიების და საინფორმაციო რევოლუციების განვითარების ისტორიას, რომლებმაც ბევრად განაპირობეს ტექნოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური რევოლუციები.

6.2. ექვსი საინფორმაციო რევოლუცია

კაცობრიობის წარმოშობა აღინიშნება *პირველი საინფორმაციო რევოლუციით.* შეიძლება ბევრი ვიკამათოთ იმაზე, თუ როგორ გამოეყო საღი ადამიანი მსოფლიო ბუნებას — პირველი შრომის იარაღის გამოგონების წყალობით, თუ დანაწევრებული მეტყველებით. და მაინც, ენა პირველ უდიდეს საინფორმაციო გამოგონებას წარმოადგენს. იგი, ამასთანავე, არის ეროვნული ცნობიერების პირველი მოდელი, ვინაიდან ენის ძირითად ცნებებში და მის ლინგვისტურ თავისებურებებში ყოველთვის აისახება ერის ლოგიკის და აზროვნების ხაზი. ადამიანის შემეცნებაში და საქმიანობაში ენობრივი სიმბოლიკის დანერგვა და გავრცელება პირველი საინფორმაციო რევოლუციის შინაარსს შეადგენს.

ენის საშუალებით გადმოცემული, შექმნილი და შენახული ინფორმაცია მძლავრ სტიმულად და, მასთან ერთად, ტექნოლოგიების განვითარების შემზღუდველად გვევლინება, რადგან აწესებს მისი შესაძლებლობების ზღვარს. ადამიანის საინფორმაციო რესურსების განვითარებასთან ერთად ფართოვდება ტექნოლოგიების განვითარების საზღვრებიც. საეჭვოა წარმოვიდგინოთ ადამიანთა ერთობა, რომელიც ახორციელებს შრომის იარა-

ღის წარმოებას და ამ ცოდნის შემდგომი თაობებისათვის გადაცემას, განვითარებული ენობრივი აპარატის გარეშე.

ეროვნული ენები მსოფლიოს აღწერის ლოგიკური მოდელების უძვირფასეს არსენალს წარმოადგენენ, რომლებიც გამომუშავებულია კაცობრიობის ევოლუციის პროცესის სხვადასხვა პირობებში. ყოველი ასეთი მოდელი უნიკალურია და მისი შესაძლებლობები ჯერ კიდევ არაა შესწავლილი. ცნობილია, რომ ბევრ ენაზე პრინციპულად შეუძლებელია ფიზიკის და სხვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების უახლესი მიღწევების აღწერა. სამაგიეროდ შეიძლება სხვა რაღაცის გაკეთება. მაინც რის? ჯერჯერობით უცნობია. მაგრამ კაცობრიობის განვითარების განსაზღვრულ ეტაპზე სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესში შეიძლება გამოგვადგეს სწორედ ეს ჯერჯერობით აუმოქმედებელი განვითარების მოდელი.

აქ შეიძლება გავავლოთ ანალოგია მათემატიკასთან, რომელიც აგრეთვე ხშირად უწევს პროდუცირებას პრაქტიკულად არავისთვის საჭირო აღწერის მოდელებს, რომლებიც განსაზღვრულ ეტაპზე პოულობენ თავის ეფექტიან გამოყენებას. მაგალითად, სკოლიდან ყველასათვის ცნობილი კომპლექსური რიცხვები შეისწავლებოდა, როგორც აბსტრაქტული წყობა, თანამედროვე ელექტროდინამიკის წარმოშობამდე დიდი ხნით ადრე. ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე კომპლექსურ სიდიდეთა თეორია ყველას ეჩვენებოდა მათემატიკური წარმოსახვის თამაშად, ლამაზ, მაგრამ უსარგებლო წყობად. თუმცა ელექტროდინამიკის კანონების აღმოჩენის შემდეგ ამ თეორიამ ყველაზე ფართო პრაქტიკული გამოყენება ჰპოვა და ახლა ყველა ელექტროსქემის გამოთვლა დაფუძნებულია ამ მათემატიკური თეორიის ინსტრუმენტებზე.

მეორე ინფორმაციული რევოლუცია, რომელიც მოიცავს დამწერლობის გამოგონებას, პირველისაგან გამოყოფილია რამდენიმე ათასი წლის პერიოდით. მეორე საინფორმაციო რევოლუციის წყალობით შესაძლებელი გახდა დიდი რაოდენობის ადამიანების შეერთება ცოდნასთან, განსაკუთრებით პროფესიულთან, და ისიც საკმაოდ შეკუმშულ ვადებში. უძველესმა ცივილიზაციებმა შეძლეს დაეგროვებინათ მონაცემთა უზარმაზარი ბაზა, შეექმნათ გიგანტური საინფორმაციო საცავები, ისეთები, როგორიცაა ალექსანდრიის ბიბლიოთეკა. სწორედ ამან უზრუნველყო კულტურის და მეცნიერების განვითარების შესაძლებლობა, განაპირობა პირველი მსოფლიოსა და საკმაოდ მკაფიო ეკონომიკური მოდელების დესკრიპციული (აღწერილობითი) თეორიული სურათები, რომლებსაც პლატონის და არისტოტელეს ნაშრომებში ვპოულობთ.

მესამე საინფორმაციო რევოლუციის არსი შეიძლება გამოვხატოთ ერთი სიტყვით — წიგნების ბეჭდვა. მან უპრეცედენტო გავლენა იქონია

ურბანიზაციის პროცესზე, არნახულად მძლავრ ტექნოლოგიურ რევოლუციაზე, რომელიც დროში იყო შეკუმშული, მოამზადა დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები და სხვადასხვა კულტურა და ცივილიზაცია დააყენა გლობალიზაციის გზაზე. სწორად შენიშნა დ. რობერტსონმა, წიგნების ბეჭდვის გარეშე კოლუმბი ვერ აღმოაჩენდა ამერიკას. წიგნების ბეჭდვამ მიგვიყვანა იმის წარმოშობამდე, რასაც „გუტენბერგის სამყაროს" უწოდებენ.

ახალი საინფორმაციო ტექნოლოგია საშუალებას იძლეოდა ინფორმაციას და ცოდნას იოლად გადაელახა ნებისმიერი სივრცობრივი, დროითი და კულტურულ-ცივილიზაციური ბარიერი. მან, ფაქტობრივად, სამრეწველო რევოლუცია და კაპიტალიზმის განვითარება მოამზადა. წიგნების ბეჭდვამ ერთიანი ევროპული მეცნიერების წარმოშობა ტექნოლოგიურად უზრუნველყო, რამდენადაც პოლონელი კოპერნიკის აღმოჩენა საკმაოდ სწრაფად იქნა ათვისებული და განვითარებული იტალიელი გალილეის მიერ. რასაკვირველია, აქ კვლავ იბადება კითხვა, რა არის პირველადი – ინფორმატიზაცია, სამეცნიერო აზრის განვითარება, რელიგიური რეფორმაცია თუ ეკონომიკური განვითარება? ნათელია, რომ ყველა ეს პროცესი ერთმანეთთან დიალექტიკურად ურთიერთდაკავშირებულია, და მათი განვითარება ერთმანეთს ავსებს და უბიძგებს. აქ მხოლოდ ხაზგასმა ხდება ადრე დავიწყებულზე, რომელიც წარმოადგენს მნიშვნელოვან მამოძრავებელ ძალას ინფორმაციული შემადგენლობის ცივილიზაციის განვითარების საერთო ევოლუციურ პროცესში. გასაკვირი არაა, რომ სწორედ ამ პერიოდს განეკუთვნება პირველი სამეცნიერო მიმართულებების ჩასახვა ეკონომიკურ მეცნიერებაში.

მეოთხე საინფორმაციო რევოლუცია დაკავშირებულია ტელეგრაფის, რადიოს, ტელეფონის და ტელევიზორის შექმნასთან. მეოთხე რევოლუციის მთავარი, საზოგადებრივად შესაგრძნობი შედეგი გახდა სივრცის გადალახვა. მსოფლიო პატარა გახდა. მის ერთ ბოლოში მიმდინარე მოვლენებმა უშუალო საინფორმაციო გავლენის მოხდენა დაიწყო პლანეტის სხვა, საკმაოდ მოშორებული კუთხეების ეკონომიკის და საზოგადოების მდგომარეობაზე. იდეების გაცვლამ გლობალური ხასიათი შეიძინა და საოცრად დაჩქარდა. ამის წყალობით, მაგალითად, ცნობილი ინგლისელი ეკონომისტი კეინსი აშშ-ში რუზველტის ახალი კურსის მამა გახდა. მეოთხე და მეხუთე საინფორმაციო რევოლუციების ზღურბლზე ელექტრონული მასობრივი ინფორმაციის საშუალებების (მის) მძლავრმა განვითარებამ ტოტალიტარული რეჟიმების იდეოლოგიურ მარცხამდე მიგვიყვანა, კერძოდ, ჩვენს ქვეყანაშიც. მართლაც, ელექტრონული მის-ების სათანადო განვითარების პირობებში წარმოუდგენელია დესპოტური (რა თქმა უნდა,

საკმაოდ სხვადასხვაგვარი), სტალინური ან ჰიტლერული ან მათი მსგავსი რეჟიმების არსებობა (ამ საკითხს ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით). ეკონომიკური და საზოგადოებრივი მოწყობა სულ უფრო მკაფიოდ დამოკიდებული ხდება ინფორმატიზაციის საშუალებების განვითარებაზე.

მეხუთე საინფორმაციო რევოლუციას შეიძლება ვუწოდოთ კომპიუტერული და ტელეკომუნიკაციური. იგი თავისთავში მოიცავს: სხვადასხვა კლასის კომპიუტერების გაჩენას, რომელთაც შეუძლიათ წამში ასობით მილიონი და მილიარდი ოპერაციის გაკეთება; მძლავრი დამამახსოვრებელი მოწყობილობების შექმნას; მონაცემთა და ცოდნის გიგანტური, ავტომატიზებული ბაზების ჩამოყალიბებას, მუდმივ შევსებას და გაფართოებას, რომლებიც ასობით ათას ინფორმაციის გიგაბაიტს ითვლიან, რომელთაც პრაქტიკულად არა აქვთ შემდგომი განვითარებისათვის საზღვარი და რომელიც მისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული მომხმარებლისათვის, რომელიც ფლობს გლობალურ ქსელებთან შეერთებულ პერსონალურ კომპიუტერებს (პკ), ნებისმიერ დროს და პლანეტის ნებისმიერ წერტილში; ტრანსკონტინენტური (გლობალური და რეგიონალური) საკომუნიკაციო ქსელების შექმნას და სწრაფ ზრდას, რომლებიც კოსმოსურ, ელექტრო-ტექნიკურ, ოპტიკურ და აუდიოვიზუალურ სისტემებსა და ტექნოლოგიებს იყენებენ ინფორმაციის და ცოდნის გადაცემა-შენახვისათვის.

მეხუთე ტელესაკომუნიკაციო და კომპიუტერული რევოლუციის დაწყებისთანავე, სოციალურად მნიშვნელოვანი ინფორმაციის საინფორმაციო ტექნოლოგიები და ნაკადები გლობალური, სოციალურ-კულტურული და ცივილიზაციური განვითარების ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა.

თუკი მეოთხე საინფორმაციო რევოლუციის მთავარ შედეგს წარმოადგენდა სივრცის, ხოლო მეხუთისა — დროის დაძლევა, გადაცემული და გადამუშავებული ინფორმაციის გიგანტური სიჩქარისა და მოცულობის წყალობით, მაშინ შესაბამისი ტექნოლოგიური რევოლუციებისათვის ყველაზე ფუნდამენტურ შედეგებს ახალი რესურსები წარმოადგენენ, ე. ი. ელექტრობის, ნავთობპროდუქტების (მეოთხესათვის) და ატომური ენერგიის (მეხუთე ტექნოლოგიებისათვის) გამოყენება მთავარი წყაროს სახით.

იმავდროულად, მასთან ერთად იზრდება წარმოების სიჩქარე და ტრანსპორტის მოძრაობა მომსახურების და მართვის სფეროში. ყოველივე ამას თან ახლავს ხარისხობრივად ახალი ხელოვნური მასალების შექმნა, ეკოლოგიურად სუფთა წარმოების დანერგვა, ჩაკეტილი ტექნოლოგიების, წარმოების და მართვის ავტომატიზირებული სისტემების ჩამოყალიბება. საინფორმაციო და ტექნოლოგიური რევოლუციები ერთიანდება საერთო ნაკადად, რომელსაც სამეცნიერო-ტექნიკურ რევოლუციას უწოდებენ. იგი

გიგანტური გავლენის მოხდენას იწყებს ყველა ცივილიზაციურ და კულტურულ პროცესზე, გლობალური მასშტაბით.

ბოლო 100-150 წლის განმავლობაში საინფორმაციო და ტექნოლოგიური რევოლუციების გადაკვეთა და მზარდი შერწყმა, ახალი ათასწლეულის დასაწყისში მათი სავარაუდო სრული ინტეგრაცია ნიშნავს, რომ თვით გლობალური ტრანსფორმაციის სისტემაში ხარისხობრივად ახალი ეტაპი დგება და იგი, უეჭველია, ფუნდამენტური და პრინციპული სახით დაკავშირებულია ყველაზე განსაკუთრებულ როლთან, რომლის თამაშსაც მეცნიერება და მეცნიერებატევადი ტექნოლოგიები გლობალური ტრანსფორმაციის სისტემაში იწყებენ.

უკვე აშკარად გამოიკვეთა *მეექვსე საინფორმაციო რევოლუციის* ნიშნები, რომელიც დაფუძნებულია ადამიანური ცოდნის საექსპერტო სისტემებსა და ხელოვნური ინტელექტის სხვა საშუალებების გლობალიზაციაზე. ამ პროცესების განვითარებისას გაიმარჯვებს ის ქვეყანა, რომელიც შეძლებს საუკეთესო ფორმით გამოიყენოს თავისი სამეცნიერო პოტენციალი. ქვეყნები გაიყოფიან პრინციპით — არის მეცნიერება, არ არის მეცნიერება, ვინაიდან მარტოხელა მეცნიერების დრო დიდი ხანია გავიდა, ხოლო სამეცნიერო სკოლები დარჩება მხოლოდ იმ ქვეყნებში, რომელთაც ამისათვის გაჩნიათ აუცილებელი და საკმაოდ ძვირადღირებული სამეცნიერო ინფრასტრუქტურა, რის შენახვაც ყველას როდი შეუძლია. მიმდინარეობს მეცნიერების კონცენტრაცია მოწინავე ქვეყნებში. საგულისხმოა, რომ ყოველწლიურად აშშ მსოფლიო საპატენტო ბაზარზე დაახლოებით 600 ათას პატენტს, ლიცენზიასა და საავტორო უფლებას ყიდის, გერმანია და იაპონია — თითქმის 4-ჯერ ნაკლებს (129 ათასს), ხოლო რუსეთი - 130-ჯერ ნაკლებს და ცოტათი მეტს, ვიდრე პატარა უნგრეთი. ეს მონაცემები თავად მეტყველებენ ზემოთქმულზე.

თქვენ ალბათ შეამჩნევთ, რომ საინფორმაციო რევოლუციებს შორის ინტერვალები სულ უფრო მცირდება. მეოთხედან მეხუთე რევოლუციაში გადასვლა ძალიან ჩქარი იყო, ხოლო მეექვსეში კი სრულიად შეუმჩნევლად შევედით. როგორ არ უნდა გავიხსენოთ აქ ლ. ტროცკის ცნობილი თეორია „პერმანენტულ" (ე. ი. უწყვეტი, ერთიდან მეორეში გარდამავალი) რევოლუციებზე. იგი, რასაკვირველია, სოციალურ რევოლუციებს გულისხმობდა. ტროცკი შეცდა და პერმანენტობა გამომჟღავნდა სრულიად სხვა, საინფორმაციო რევოლუციებში, რომლებიც საზოგადოებისათვის ესოდენ რადიკალური, მაგრამ, საბედნიეროდ, სრულიად უსისხლოა.

ტრადიციულად ეკონომიკურ მეცნიერებაში ითვლებოდა, რომ ეკონომიკის ზრდა დამოკიდებულია სამ ძირითად ფაქტორზე: მიწასა და სხვა ბუნებრივ რესურსებზე, კაპიტალზე, რომელიც მოიცავს ძირითადი შემად-

გენლის სახით საწარმოო საშუალებებს და შრომაზე. თანამედროვე პირობებში მათ დაემატა ახალი, მეოთხე ფაქტორი — საინფორმაციო. ეკონომიკის ზრდა გადამწყვეტი ხარისხით ცოდნისა და ინფორმაციის გამოყენებაზეა დამოკიდებული, განსაზღვრავს რა ინოვაციურ განვითარებას და მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს (მტპ). საინფორმაციო-ინოვაციური ფაქტორი განაპირობებს აშშ-ის და სხვა განვითარებული ქვეყნების მშპ-ს ნაზრდის დაახლოებით 85%-ს. რაც უფრო განვითარებულია ქვეყანა, უფრო ძლიერ გამოიყენება მის განვითარებაში საინფორმაციო ფაქტორი და, პირიქით. ამგვარად, საინფორმაციო ფაქტორი განსაზღვრავს ამა თუ იმ ქვეყნის წარმატებას ეკონომიკაში.

6.3. საინფორმაციო ინდუსტრია

ვინაიდან ინფორმაციის და ინფორმატიზაციის ცნებები რჩება საკმაოდ ზოგადი და არაკონკრეტული, ამიტომ ძნელია ზუსტად ეკონომიკის საინფორმაციო სექტორის საზღვრების მოხაზვა. თუ მას მივაკუთვნებთ ყველა ადამიანს და საწარმოს, რომლებიც საინფორმაციო საქმიანობით არიან დაკავებულნი, მაშინ უზარმაზარ სექტორს მივიღებთ, რომელიც გარდა ინფორმატიზაციის და კომუნიკაციის საშუალებების წარმოებისა, თავისთავში მოიცავს მართვის თითქმის მთელ სფეროს, მომსახურების და ფინანსების დარგის დიდ ნაწილს.

რა თქმა უნდა, ფინანსების მიმოქცევა — ესაა ბევრ რამეში განსაზღვრული ფორმის ინფორმაციის მიმოქცევა. თავად ფული, უპირველეს ყოვლისა, საინფორმაციო პროდუქტს წარმოადგენს. ეს განსაკუთრებით ცხადი გახდა ელექტრონული ფულის გაჩენის შემდეგ. ფული, ფასიანი ქაღალდები და ფინანსური ინსტრუმენტები, თანდათან მოწყდებიან რა ხელშესახები ნივთობრივი მატარებლებისაგან, სულ უფრო მეტად ავლენენ თავის ინფორმაციულ არსს. ნათელია, რომ მმართველობითი საქმიანობაც, პრინციპში, ინფორმაციულს უნდა მიეკუთვნოს.

> სწორედ განვითარებულ ქვეყნებში საინფორმაციო საქმიანობის მასშტაბები გვაძლევს საბაბს ვისაუბროთ მათ გადასვლაზე საინფორმაციო საზოგადოების ეტაპზე. ფართო გაგებით, საინფორმაციო საქმიანობით ამ ქვეყნების მოსახლეობის დიდი ნაწილი უკვე დაკავებულია.

მეგაეკონომიკაზე საუბრისას საინფორმაციო საქმიანობის მასშტაბებით მასში შეიძლება შევაფასოთ 12 ტრლნ. დოლარად ან მსოფლიო მშპ-ის 40%-ად. თუმცა მართვის და ფინანსების ინფორმაციულ სექტორში ჩართვა მეტისმეტად გააფართოვებდა მას და

Ჩაართულებდა წმინდა საინფორმაციო ბიზნესით დაკავებული დარგების განვითარების ანალიზს.

ჩვეულებრივ *ეკონომიკის საინფორმაციო სექტორს* მიაკუთვნებენ საინფორმაციო საქმიანობის არა ყველა სახეს, არამედ მხოლოდ საინფორმაციო საქონლის და მომსახურების უშუალო წარმოებას. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ საბოლოოდ განმტკიცებული აზრი იმის თაობაზე, თუ რას მოიცავს ეს სექტორი, ჯერჯერობით არ ჩამოყალიბებულა. უდავოა, რომ სექტორის ბირთვს *საინფორმაციო ინდუსტრია* შეადგენს, ე. ი. კომპიუტერული ტექნიკის წარმოება, ინფორმატიზაციის, კომუნიკაციის და საპროგრამო პროდუქტების საშუალებები. გარდა ამისა, ინფორმაციულ სექტორში მეტ-ნაკლებად მუდმივად რთავენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, სხვადასხვა საინფორმაციო-საკონსულტაციო ორგანიზაციებს, სამეცნიერო და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებს, სარეკლამო და მარკეტინგულ სააგენტოებს. დაახლოებით ასეთ საზღვრებში XX ს-ის ბოლოს ეკონომიკის საინფორმაციო სექტორმა შეადგინა მიახლოებით 4,3 ტრლნ. დოლარი და მსოფლიო მრეწველობის უმსხვილეს დარგებს შორის პირველ ადგილზე გამოვიდა. *პოსტინდუსტრიული ეკონომიკის* წარმოშობაზე საუბრისას, ე. ი. ეკონომიკისა, რომელიც უმეტესწილად დაფუძნებულია ინფორმაციასა და ცოდნაზე, ვიდრე ტრადიციულ ინდუსტრიაზე, საინფორმაციო სექტორის მოწინავე როლს განსაკუთრებულად უსვამენ ხაზს მატერიალური, ტრადიციული, ინდუსტრიული წარმოების ყველა დარგთან შედარებით.

წამყვანი დარგების წარმოების მოცულობებში ამ სექტორის წილი ნაჩვენებია 6.1. სურათზე.



1 ინფორმაციული
2 ტურისტული
3 საფეიქრო
4 ქიმიური
5 საავტომობილო
6 მანქანათმშენებლობის
7 თავდაცვის

სურ. 6.1. მსოფლიო მრეწველობის დარგების წილები, %-ებში.

ამგვარად, მივიღეთ თავისებური „მატრიოშკასნაირი“ კონსტრუქცია: *საინფორმაციო საქმიანობის უზარმაზარ სფეროში* ჩადებულია თითქმის 3-ჯერ პატარა მოცულობის ეკონომიკის *საინფორმაციო სექტორი*, რომლის ბირთვსაც შეადგენს საინფორმაციო ინდუსტრია, ბოლო წლებში საინფორმაციო ინდუსტრიაში გამოიყო კიდევ ერთი, ჯერ-ჯერობით პატარა „მატრიოშკა“ — ინტერნეტ-ეკონომიკა.

თავის მხრივ *ინფორმაციულ ინდუსტრიაში* საინფორმაციო და ტელესაკომუნიკაციო ტექნოლოგიების სეგმენტებს გამოყოფენ. ვინაიდან თანამედროვეობის წამყვან ტენდენციას ინფორმატიზაციის სხვადასხვა საშუალებათა კონვერგენცია წარმოადგენს, რის შესახებაც დაწვრილებით ქვემოთ იქნება ნათქვამი, ეს ორი სეგმენტი აშკარად გამიჯნული არ არის.

ამ სეგმენტთა ერთობლიობას, რომლებიც შეადგენენ საინფორმაციო ინდუსტრიას, საინფორმაციო-ტელესაკომუნიკაციო ტექნოლოგიებსაც უწოდებენ. სტატისტიკის მიზნებისათვის გამომუშავებულ იქნა სპეციალური შეთანხმება ევროკავშირის სტანდარტების მოთხოვნათა ფარგლებში, ვაჭრობის[1] სტატისტიკის სფეროში, საინფორმაციო ინდუსტრიის ძირითად განსაზღვრებებზე.

მიღებული კლასიფიკაციის შესაბამისად, საინფორმაციო ტექნოლოგიებს მიაკუთვნებენ:

- ტექნიკური უზრუნველყოფის კომპონენტების (გამომთვლელ სისტემებს და ქსელებს, საოფისე სისტემებს, დამუშავების საშუალებებს და მონაცემთა გადაცემას და ა. შ.) ან სააპარატო საშუალებების (კომპიუტერული მოწყობილობა) წარმოებას;
- პროგრამული უზრუნველყოფის (სისტემური, გამოყენებითი, დამხმარე) ან პროგრამული პროდუქტების წარმოებას;
- სხვადასხვა სახის მომსახურების წარდგენას (გამოთვლითი, ქსელური, საინფორმაციო, ტექნიკური).

მსოფლიოში მიღებულ პროგრამისტულ სლენგზე ტექნიკურ უზრუნველყოფას უწოდებენ hardware ან უბრალოდ „რკინას“, ხოლო პროგრამულ უზრუნველყოფას — software. ამასთან ეს ტერმინები ჩვეულებრივ არ ითარგმნება. უნდა ითქვას, რომ მთელი მსოფლიოს ინფორმაციონისტები, რომელთაც აქვთ ერთმანეთთან ურთიერთობა და, რაც ყველაზე

1 Europian information technology observatory - Mainz, 1995.

მნიშვნელოვანია ჩვენთვის, წერენ ყოველგვარი კომპიუტერის ინსტრუქციებს და პროგრამებისთვის განმარტებებს, გადავიდნენ საკმაოდ თავისებურ ენაზე. ერთი შეხედვით ეს ენა ინგლისურს მოგვაგონებს, მაგრამ მასში ღრმად ჩახედვისას არაჩვეულებრივი, იდიომატური, პროგრამისტული იუმორი, თვით ინგლისურენოვანი მომხმარებლისათვის მას ძნელად გასაგებს ხდის.

მიუხედავად ამისა, ჩვენს თანამედროვე ცხოვრებაში ამ სლენგიდან დიდი რაოდენობის ტერმინები მკვიდრდება. ყოველგვარი სერვერების, პროვაიდერების, საიტების, სპაიდერების და პორტალების გარეშე, როგორც ჩანს, იოლას ვეღარ გავალთ. იმისათვის, რომ მცირედ გაერკვეთ საინფორმაციო ინდუსტრიის ეკონომიკაში, თქვენ მოგიწევთ ზოგიერთი ამ ტერმინის შესწავლა. მაგრამ ეს ძალისხმევა ტყუილუბრალო არ იქნება — ამ ტერმინთა დიდი უმრავლესობა უახლოეს მომავალში ყოველდღიურ მოხმარებაში გადავა, და ისინი გარდაუვალად გამოგადგებათ დღესაც კომპიუტერთან და ინტერნეტთან ურთიერთობისას.

დავუბრუნდეთ საინფორმაციო ინდუსტრიის კლასიფიკაციას. გარდა საინფორმაციო ტექნოლოგიებისა, მასში საკომუნიკაციო ტექნოლოგიებიც შედიან. მათ ტელესაკომუნიკაციო მოწყობილობასა და საკომუნიკაციო მომსახურებას მიაკუთვნებენ

ტელესაკომუნიკაციო მოწყობილობის კლასიფიკაცია ჩვეულებრივ მოხმარების კატეგორიების მიხედვით ხორციელდება.

პირველ ჯგუფში, გამოიყოფა მომხმარებლის შენობაში დამონტაჟებული აპარატურა. მას მიეკუთვნება: კერძო ტელეფონები, ორგანიზაციების ავტომატური სატელეფონო სადგურები, ტელეფაქსები, ტელეტაიპები და ა. შ. მასში შედის მობილური ფიჭური ტელეფონები, რადიოტელეფონები, პეიჯერები და სხვა მოწყობილობა.

მეორე ჯგუფი აერთიანებს მოწყობილობას, რომელიც საკომუნიკაციო მომსახურებას უზრუნველყოფს: ლოკალური, საკვანძო, მაგისტრალური და ფიჭური კომუტატორები.

სტატისტიკა საკომუნიკაციო მომსახურებას მიაკუთვნებს მომსახურებას კერძო სატელეფონო ხაზებით, მონაცემთა კომუტაციით, აგრეთვე, მოწყობილობის დადგმას და ა.შ.

ზემოთ აღწერილი სპეციფიკით საინფორმაციო და საინფორმაციო-ტელესაკომუნიკაციო ტექნოლოგიების ბაზრების დინამიკა ნაჩვენებია სურათზე 6.2.



სურ. 6.2. საინფორმაციო ინდუსტრიის დინამიკა

რუსეთი მნიშვნელოვნად (2-3-ჯერ) ჩამორჩება დასავლეთის მოწინავე ქვეყნებს ინფორმატიზაციის თითქმის ყველა ძირითადი მიმართულების მიხედვით: პროგრამული უზრუნველყოფით, პერსონალური კომპიუტერების რიცხვით, კავშირის სისტემებით, დიდი გამოთვლითი სისტემების ჩატვირთვის დონით, მოქმედი საინფორმაციო სისტემების რაოდენობით. მაგალითად, სამამულო კომპიუტერული წარმოება ამერიკის ანალოგიური მაჩვენებლის 0,1-დან 1%-მდე შეადგენდა.

90-იანი წლების დამდეგისათვის ჩვენმა ქვეყანამ ბაზარზე გაყიდა არა უმეტეს 100 პროგრამული პროდუქტი პერსონალური კომპიუტერებისათვის (მთელ მსოფლიოში, მაგალითად, ყოველთვიურად გამოდის რამდენიმე ათასი დასახელების ამგვარი პროდუქტი). ამასთან, ყოფილ სსრკ-ში დაახლოებით 2-ჯერ მეტი პროფესიონალი პროგრამისტი იყო, ვიდრე აშშ-ში, ხოლო კომერციული საპროგრამო პროდუქტის შემუშავების მოცულობა — 20-ჯერ ნაკლები. სპეციალისტების თითქმის ნახევარი (46%), რომლებიც მაშინ დასაქმებულნი იყვნენ სახალხო მეურნეობის დარგის და სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოკვლეულ საწარმოებში, სხვადასხვა მიზეზით უარს აცხადებდნენ ესარგებლათ ახალი ინფორმაციით და განეხორციელებინათ მისი კვლევა.

კვლევით ცენტრ „გელაპ მედიას“ ბოლო მონაცემებით, დაახლოებით 3 მლნ. 200 ათასს რუსს სახლში აქვს საკუთარი კომპიუტერი; თითქმის 1,7 მლნ. ჩვენი თანამემამულე სარგებლობს ინტერნეტით თუნდაც თვეში ერთხელ; მათგან დაახლოებით მეოთხედი ცხოვრობს მოსკოვში. საინტერესო დამთხვევაა: 12 მლნ. ავტომობილიდან, რომელიც დაჰქრის ქვეყნის გზებზე, 3 მლნ. მოსკოვშია.

6.4. საინფორმაციო ტექნოლოგიების დაიჯესტი

რაიმე კონკრეტული დარგის ეკონომიკით დაინტერესებისას, აუცილებელია გქონდეთ განსაზღვრული წარმოდგენა მასში გამოყენებული ტექნოლოგიების შესახებ. ეს თითქოსდა ტრივიალური მტკიცება უფრო სამართლიანია საინფორმაციო დარგისათვის, რომლის ტექნოლოგიები თანამედროვე წარმოების საშუალებების სათავეში დგანან. საინფორმაციო ტექნოლოგიები დღეს წარმოების და საზოგადოების ყველა სფეროში შედიან, ამიტომ ეკონომიკის ინფორმატიზაციის შესწავლისას აუცილებელია, თუნდაც ძალზე მცირედ, შევჩერდეთ ინფორმატიზაციის ძირითად ტექნოლოგიებზე.

როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, საინფორმაციო ტექნოლოგიები ინფორმაციის შენახვის, გადაცემის და დამუშავების საშუალებას იძლევა. მათ სწორედ ამგვარი თანმიმდევობით განვიხილავთ.

ცივილებული კაცობრიობა ყოველთვის ძალიან გულდასმით ეკიდებოდა *ინფორმაციის შენახვას*, რითაც იგი არსებითად განსხვავდება არაცივილიზებულისაგან. როგორ არ უნდა გავიხსენოთ აქ ერთი იმ შვიდი ძველი მსოფლიოს საოცრებიდან — ალექსანდრიის ბიბლიოთეკა — უძველესი ხანის უმსხვილესი საინფორმაციო საცავი. ჩვენს დროში საბიბლიოთეკო საქმემ მიაღწია სრულყოფილების მაღალ ხარისხს. გამოგონილი იქნა დახვეწილი და ეფექტიანი საშუალებები კატალოგების შედგენისა და საჭირო ინფორმაციის მოძებნისა. ამიტომ ინფორმატიზაციას და ავტომატიზაციას შეექმნა კარგად დამუშავებული ნიადაგი და სწრაფად და მძლავრად განვითარდა.

კომპიუტერების გაჩენასთან ერთად მალევე დაიწყო მონაცემთა ბაზების შექმნა. ისინი განსხვავდებიან საინფორმაციო ბაზებისაგან, რომელთა ნათელი მაგალითებია წიგნთსაცავები, მხოლოდ იმით, რომ ინფორმაცია მათში გადატანილია ელექტრონულ მატარებლებზე. პროგრამულად რეალიზებულ კატალოგებს და ინფორმაციის ძიების მექანიზმებს მონაცემთა ბაზების მართვის სისტემებს უწოდებენ.

ელექტრომატარებლებზე მონაცემთა ბაზების და წიგნების გამოჩენასთან ერთად დაიწყო კამათი შეჩვეული ქაღალდის წიგნის მომავალზე, რო-

მელიც კაცობრიობის განვითარებას მრავალი საუკუნის მანძილზე თან ახლდა. ძირითადი დასაბუთება ტრადიციული წიგნის მომხრეთათვის არის მისი კითხვის დროს მოსახერხებლობა და მიჩვევა. „განა შეიძლება, — ამბობდნენ ისინი, — შეადარო მყუდრო, რბილ დივანზე ან ჩრდილიან ტალავერში კითხვა, მოსაწყენ და მავნე დისპლეის ეკრანიდან მორბენალი ტექსტის კითხვას? ახლახან კომპიუტერის სპეციალისტებმა ამ საბუთს უპასუხეს „ელექტრონული წიგნის“ პირველი ნამდვილი ნიმუშის შექმნით. გარეგნულად ისინი თითქმის არ განსხვავდებიან ჩვეულებრივად ტომეულის წიგნისაგან — იგივე ყდა, გვერდები და ა. შ. თუმცა ფურცლები ცარიელია, და მათში ჩამონტაჟებულია ელექტრონული სქემები, რომელთაც უნარი აქვთ მიიღონ, დაიმახსოვრონ და ასახოს ნებისმიერი ტექსტი. ახლა ელექტრონული ბიბლიოთეკიდან ინტერნეტის საშუალებით შეიძლება „ვიქროლოთ“ (ისევ ეს სლენგი) ნებისმიერ ჩვენთვის საჭირო წიგნში და დავტვირთოთ იგი არსებული ტომით. ამგვარი ტომით შეიძლება ბაღში განმარტოება ან დივანზე დასვენება, რათა მთელი სიამოვნებით წაიკითხოთ, ხოლო მომდევნო დღეს იგივე ტომი „დატვირთოთ“ სულ სხვა ტექსტით. ოღონდ ეგაა, ჯერჯერობით ასეთი ტომი 1000-ჯერ ძვირი ჯდება, ვიდრე ჩვეულებრივი წიგნი, მაგრამ ფასის სწრაფი კლება — აუცილებელი თვისებაა, დამახასიათებელი ინფორმატიზაციის ყველა საშუალებისათვის, ისე კი შესაძლებელია ოდესმე საოჯახო ბიბლიოთეკაში მარტო დაიდგას ერთადერთი ელექტრონული ტომი. მაგრამ იქამდე ჯერ კიდევ დიდი დროა.

ახლა განვითარებული ქვეყნების მსხვილი ბიბლიოთეკები უკვე კომპიუტერიზებულია, ინფორმაციის მნიშვნელოვანი ნაწილი გადაყვანილია ელექტრონულ მატარებლებზე და ხელმისაწვდომია ინტერნეტის და სპეციალიზებული საინფორმაციო სისტემების საშუალებით.

ჩვენს ქვეყანას გააჩნია კოლოსალური საინფორმაციო რესურსები. საკმარისია ითქვას, რომ რუსეთის სახელმწიფო ბიბლიოთეკა - ცნობილი „ლენინელი“ — შენახული ინფორმაციის მოცულობით ჩამორჩება მხოლოდ ამერიკის კონგრესის ბიბლიოთეკას. თუმცა ბიბლიოთეკის 42 მილიონ შენახვის ერთეულზე მოდის მხოლოდ 500 ათასი ჩანაწერი, ძირითადად ანოტაციების სახით. ახალი პროექტი „ადამანტი“ ითვალისწინებს რუსეთის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში 100 მუშა (სამუშაო) სადგურის დაყენებას, რომლებიც თვეში 1000 წიგნის სკანირებას (გადაყვანა ელექტრონულ სახეში) მოახდენენ.

ყოველგვარი კომპიუტერული მონაცემთა ბაზების წარმოება, ბიბლიოთეკათა საცავების ინფორმატიზაციის პარალელურად, ტემპებს იკრებს. კომერციული მიზნებისათვის იქმნება დიდი რაოდენობის ელექტრონული

ენციკლოპედიები და ცნობარები. მათ ყველასათვის ცნობილ CD-ROMდისკებზე და ინტერნეტში ყიდიან.

ქვეყნების უმრავლესობამ გაითავისა საინფორმაციო რესურსების მნიშვნელობა როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური მიზნებისათვის. ამიტომ, პრაქტიკულად ყველა მეტ-ნაკლებად განვითარებული ქვეყანა მნიშვნელოვან ძალისხმევას იყენებს საკუთარი, ხშირად დახურული, მონაცემთა ელექტრონული ბაზების შესაქმნელად. ამ დარგში მთლიანობაში, რა თქმა უნდა, ლიდერობს აშშ, რომლის წილზეც მოდის ყველა მონაცემთა ბაზის 70%-ზე მეტი, როგორც რაოდენობის მიხედვით, ისე შენახვის მოცულობით.

კაცობრიობის მიერ გამოყენებული სხვა მრავალი რესურსისგან განსხვავებით (სასარგებლო წიაღისეული და ა. შ.) საინფორმაციო რესურსებს ძალუძს თვითკვლავწარმოება. ამასთან გათვალისწინებულია ძალიან მნიშვნელოვანი კანონზომიერება — *ახალი ინფორმაციის გამოჩენის სიჩქარე უკვე დაგროვილი ინფორმაციის პროპორციულია, რომელიც არის აქტიურ, ე. ი. საყოველთაოდ ხელმისაწვდომ ფორმაში.* ეს უზრუნველყოფს საინფორმაციო რესურსების ძალიან სწრაფ ზრდას. ნათელია, იგი მეტი იქნება იმ ქვეყნებში, სადაც ინფორმაცია უკვე დაგროვილი და გადაყვანილია გამოსაყენებლად მოსახერხებელ ფორმაში. ამგვარად, ქვეყნები, რომლებიც ადრე გადავიდნენ მონაცემთა ელექტრონულ ბაზებზე, ღებულობენ მნიშვნელოვან კონკურენტულ უპირატესობებს, რომელიც დროთა განმავლობაში კიდევ გაიზრდება. ჩვეულებრივი ევოლუციური განვითარება მიგვიყვანს ქვეყნების უთანასწორობის ზრდასთან საინფორმაციო რესურსების ფლობის თვალსაზრისით. ლიდერებს შეიძლება დაეწიოთ, თუკი მოახდენთ არსებით ორგანიზაციულ და ფინანსურ ძალისხმევას სახელმწიფო დონეზე. სხვა არსებული რესურსები საჭიროა გადანაწილდეს ინფორმაციის სწრაფად წარმოების სასარგებლოდ. მაშინ უკვე შეიძლება წარმატების იმედი ვიქონიოთ, არსებული მნიშვნელოვანი უფსკრულის მიუხედავად, ლიდერი ქვეყნების დევნაში. მსგავსი ნახტომი ინფორმატიზაციაში მოახდინა 60-იან წლებში იაპონიამ, 80-იანი წლების დასაყწისში — საფრანგეთმა, ხოლო 90-იან წლებში — ინდოეთმა, რომელიც, სხვათა შორის, დღეს ყიდის ყოველწლიურად დაახლოებით 4,5 მილიარდი დოლარის ღირებულების საპროგრამო პროდუქტებს და მონაცემთა ბაზებს, რაც მკვეთრად მეტია იმაზე, რასაც რუსეთი ღებულობს იარაღით ვაჭრობიდან.

ახლა გადავიდეთ *ინფორმაციის გადაცემაზე.* ახალი ინფორმაცია მუდმივად ჩნდება ნებისმიერი ადამიანური საქმიანობის პროცესში, და საჭიროა იგი, ისევე როგორც ადრე დაგროვილი საინფორმაციო რესურსი, სწრაფად მივაწოდოთ გამოყენების ადგილებზე. სიჩქარე ტექნოლოგიური და

ბიზნეს-ინფორმაციის გადაცემისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ოპერატიულად მიღებული ინფორმაცია იოლად კონვერტირდება ფულში. ჯერ კიდევ ბარონ როტშილდმა მოახდინა ამ შესაძლებლობის ბრწყინვალე რეალიზება — პირველმა, საფოსტო მტრედის საშუალებით მიიღო ცნობა ვატერლოოზე ნაპოლეონის დამარცხების შესახებ და რამდენიმე საათში ეს ინფორმაცია აქცია მილიონებად საბირჟო სპეკულაციის მეშვეობით. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა და მტრედები შეცვალა გლობალურმა, ელექტრონულმა ქსელმა, მაგრამ ძირითადი პრინციპი დარჩა. რომ გქონდეთ დიდი მოგება, საჭიროა მაქსიმალურად სწრაფად მიიღოთ ინფორმაცია ბიზნეს-პროცესზე.

ინფორმატიზაციის ერის დაწყებისთანავე ინფორმაციის გადაცემის ძირითადი არხები, პრინციპში, უკვე ათვისებული იყო. სამავთულო კავშირი წარმოდგენილი იყო ტელეფონებით და სატელეგრაფო ხაზებით, ხოლო არასამავთულო — რადიოთი და ტელევიზიით.

კომპიუტერული ინფორმაციის გადასაცემად ძირითადად სწორედ ამ ორ საშუალებას იყენებენ, ბუნებრივია, მუდმივად მათი სრულყოფითა და მოდერნიზებით. ინფორმაციის გადაცემის სხვადასხვა საშუალება კონკურენციას უწევს ერთმანეთს ფასის, გადაცემის ხარისხის და სიჩქარის, წამში გაზომილი ბიტების მიხედვით (ბიტი არის ინფორმაციის მინიმალური კვანტი, ჩვეულებრივ წარმოდგენილი ნულით ან ერთიანით. კბიტი და მბიტი — ათასი და მილიონი ბიტია შესაბამისად. შესადარებლად მანქანური ნაბეჭდი ტექსტის ერთი გვერდი შეიცავს დაახლოებით 10 კბიტ ინფორმაციას).

ვინაიდან დღეს მთელი მსოფლიო პირდაპირ დაქსელილია სატელეფონო სადენებით, ისინი წარმოადგენენ თავისთავად ინფორმაციის გადაცემის ძირითად არხებს, რომლებსაც კომპიუტერული ქსელები იყენებენ. კომპიუტერის დაშვებას სატელეფონო ქსელთან უზრუნველყოფს სპეციალური, საკმაოდ იაფი მოწყობილობა — მოდემი (მოდულატორი — დემოდულატორი), რომელიც წარმოადგენს კომპიუტერული სიგნალების გარდამქმნელს სატელეფონოში და, პირიქით. თანამედროვე *მოდემური სატელეფონო კავშირი* უზრუნველყოფს გადაცემის სიჩქარეს 28,8-დან 56 კბიტ/წმ-მდე. სხვათა შორის, სატელეფონო ხაზების ხარისხი ჩვენი ქვეყნის უმრავლეს რეგიონში საშუალებას არ იძლევა განახორციელოს გადაცემა 14,4 კბიტ/წმ-ზე მეტი სიჩქარით, ამიტომ ჩქაროსნული მოდემების შეძენა არ მოგვცემს გადაცემის სიჩქარის რეალურ ზრდას. (ასე რომ, ტყუილ-უბრალოდ არ დაიხარჯოთ, სანამ წინასწარ არ შეისწავლით თქვენი სატელეფონო ხაზის შესაძლებლობებს). დღეს დაახლოებით 7000 აშშ-ის პროვაიდერი (კომპანიები, რომლებიც უზრუნველყოფენ თავის მომხმარებელთა

მუშაობას ინტერნეტში) წარმოგვიდგენს მოდემურ კავშირს. საერთო აზრით კი, მოდემური ჩართვა — ესაა წარსულის გადმონაშთი, რომელსაც მომავალი არა აქვს.

ციფრული კავშირი კომპლექსური მომსახურებით, დღეს წარმოდგენილი ზოგიერთი სატელეფონო კომპანიის მიერ, საშუალებას იძლევა გაზარდოს სიჩქარე 128 კბიტ/წმ-მდე, მაგრამ კარგავს კონკურენტუნარიანობას დიდი ღირებულების გამო.

80-იანი წლების ბოლო ატლანტიის ოკეანე გადასერა ოპტიკურბოჭკოვანმა კაბელებმა, რომლებიც მწარმოებლურობის თვალსაზრისით თავის სპილენძის წინამორბედებს დაახლოებით 200-ჯერ აჭარბებენ. ახლა ოპტიკურბოჭკოვანი კავშირის ხაზები აერთებენ უკვე ინტერნეტის ყველა მეტ-ნაკლებად რიგიან პროვაიდერებს, წარმოადგენენ რა თავისთავად ამ მსოფლიო სისტემის კარკასს. საკაბელო კავშირის სიჩქარე 0,5-1,5 მბიტ/წმ-ს აღწევს. ამგვარად, „მსოფლიო აბლაბუდა", როგორც ხშირად უწოდებენ ინტერნეტს, მისი სახელწოდების ყველაზე ცნობილ კომპონენტების World Wide Web-ის სიტყვასიტყვით თარგმანით, თავისთავად წარმოადგენს ოპტიკური, ჩქაროსნული მაგისტრალების სქელი ძაფების კარკასს, რომლის კვანძებიდან (პროვაიდერებიდან) გამოდიან სატელეფონო სადენების ქსელები, რომლებიც მომხმარებელთა კომპიუტერებთან მოდემებით ერთდებიან.

მსხვილი ორგანიზაციები ინტერნეტის კვანძებში დამატებით ქმნიან თავის საკუთარ ლოკალურ ქსელებს. ისინი არ უნდა აურიოთ გლობალურ ქსელებში. ისინი მუშაობენ სრულიად სხვა პრინციპებზე. ლოკალური ქსელის ცენტრში განლაგებულია საკმაოდ მძლავრი კომპიუტერ-სერვისი, რომელიც უზრუნველყოფს ქსელის სხვა, დანარჩენი კომპიუტერების ერთობლივ მუშაობასა და ერთობლივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას (პრინტერების, მონაცემთა ბაზების, ინტერნეტში გასვლების და ა. შ.). ლოკალური ქსელის ნებისმიერ კომპიუტერს მისი შემქმნელის მიერ განსაზღვრული შეზღუდვების ჩარჩოებში შეუძლია ისარგებლოს სხვა კომპიუტერის ყველა რესურსით (პროცესორების, მეხსიერების და ა. შ.) და ერთობლივი რესურსებით, რომლის რიგითობასა და გამოყოფის რაციონალურობას სერვერი თვალყურს ადევნებს. ინტერნეტთან შეთავსებადობის პრინციპებით შემუშავებულ ლოკალურ ქსელებს ინტრანეტს უწოდებენ.

ოპტიკურბოჭკოვანი კავშირი სწრაფად ვითარდება და უკვე ახლა ხშირად არა მარტო კვანძებამდე (ქსელის პროვაიდერების) დადის, არამედ უშუალოდ მომხმარებლამდეც. 2000 წ. სახლის ინტერნეტის მფლობელ ამერიკელთა უკვე 10%-ს ჰქონდა ოპტიკურბოჭკოვანი ჩართვა, ხოლო ეს 2,5—ჯერ მეტია, 1999 წ.-თან შედარებით. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ

10-15 წლის შემდეგ განვითარებულ ქვეყნებში სპილენძის სადენები უარყოფილი იქნება.

ბოლო წლებში კავშირის სასადენო ხაზებს *უსადენო ხაზები* დიდ კონკურენციას უწევენ . თითქმის ჩვენ თვალწინ არნახულად სწრაფად ვითარდება *მობილური ფიჭური კავშირის* სისტემა. მისი უზრუნველყოფა დიდი რაოდენობის ფიჭური კვანძების ერთობლივი მუშაობით ხდება, რომლებიც იმყოფებიან არც ისე შორს ერთმანეთისაგან და მომსახურების მთელ რეგიონს ფარავენ. აბონენტი ერთვება იმ კვანძში, რომლის მომსახურების ზონაშიც იგი იმყოფება მოცემულ მომენტში და მისი საშუალებით ახორციელებს კავშირს. თანდათან ჩვენს ქვეყანაშიც მობილური კავშირი ფუფუნების საგნიდან ეკონომიკურად კონკურენტული ხდება კავშირის ჩვეულებრივ საშუალებასთან — ტელეფონთან. მობილური ტელეფონების ექსპონენციალური რიცხვის ზდა საშუალებას გვაძლევს დაბეჯითებით განვჭვრიტოთ, რომ უკვე ძალიან ჩქარა სატელეფონო საუბრების დიდი ნაწილი იქნება მობილური კავშირის მეშვეობით.

დღეს ინტერნეტში დაშვების ძირითადი პრობლემა, ფიჭური ტელეფონების დახმარებით, არის მონაცემთა გადაცემის დაბალი სიჩქარე. ვინაიდან, მობილური ტელეფონების უშუალო გამოყენება ინტერნეტ-საიტების გადასათვალიერებლად (სხვადასხვა ორგანიზაციის გვერდები ინფორმაციით) ძნელია პატარა ეკრანის და ჩატვირთვის დაბალი სიჩქარის გამო, ყველაზე მეტი გავრცელება ჰპოვეს პერსონალური კომპიუტერების რუკებმა, რომლებიც საშუალებას იძლევა მობილური ტელეფონები შევუერთოთ პორტატიულ კომპიუტერებს. მობილური ფიჭური კავშირის სიჩქარე ძირითადად იმყოფება 14-28, 8 კბიტ/წმ-ის ინტერვალში, თუმცა 2000 წლის დამდეგს ჩატარებულ იქნა ექსპერიმენტები უსადენო მობილური კავშირის განსახორციელებლად აშშ-ის 9 ტერიტორიულ წარმონაქმნში 128 კბიტ/წმ-ის სიჩქარით. არსებობს აგრეთვე იმის იმედი, რომ მოხდება საკმაოდ სწრაფი უსადენო მაღალსიჩქარიანი მონაცემთა მაღალი დონის ტექნოლოგიის ათვისება, რომელიც საშუალებას მისცემს გადასცენ ინფორმაცია დაახლოებით 2 მბიტ/წმ-ის სიჩქარით.

მეორე უახლესი საკომუნიკაციო ტექნოლოგია გახდა *თანამგზავრული კავშირი.* ახლა იგი უკვე უზრუნველყოფს ინფორმაციის გადაცემის საკმაოდ დიდ სიჩქარეს 300–400 კბიტ/წმ. მსოფლიო თანამგზავრული კავშირის სისტემას შეადგენს დაახლოებით 100 სპეციალური თანამგზავრი და 2000 ხმელეთის რეტრანსლიატორი. ეროვნულ სისტემებთან ერთად არის თანამგზავრული კავშირის საერთაშორისო ქსელი, ისეთები, როგორიცაა „ინტელსატი“, რომელიც ფლობს 17 თანამგზავრს და აერთიანებს 117 ქვეყანას. უკვე იქმნება, თუმცა კი განსაზღვრული სიძნელეებით და

ჩავარდნებით, გლობალური, პერსონალური, მობილური სატელეფონო ქსელი. ცნობილი, მაგრამ ჯერჯერობით, წარუმატებლად განვითარებული კონსორციუმის პროექტი „ირიდიუმი“, 66 სტაციონარული თანამგზავრის გამოყენების საფუძველზე, პრაქტიკულად მთელი პლანეტის ტელეფონიზირების საშუალებას იძლევა. „ირიდიუმის“ წარუმატებლობა ბევრ საკითხში აიხსნება იმით, რომ სისტემის კომერციული გაშვების მომენტისათვის მობილურმა კავშირმა მოასწრო მოეცვა მისი პოტენციური მომხმარებლების მნიშვნელოვანი ნაწილი და მოთხოვნა შედარებით ძვირი თანამგზავრის ტელეფონებზე აღმოჩნდა ბევრად დაბალი, ვიდრე წინასწარი მარკეტინგული პროგნოზები აჩვენებდა. მიუხედავად ამისა, ახალ, პლანეტარული მობილური კავშირის უკეთ გათვლილ და შესრულებულ პროექტებს კომერციული წარმატების კარგი შანსი აქვთ.

არანაკლებ ამბიციურ გეგმებს აწყობს ინტერნეტის მიმართ კომპანია Microsoft-ის ხელმძღვანელი, პლანეტის ყველაზე მდიდარი ადამიანი ბ. გეიტსი. მის გეგმებში შედის მსოფლიო თანამგზავრული კომპიუტერული ქსელის შექმნა, რომელიც ინტერნეტის მომხმარებელს პირდაპირი შეერთების საშუალებას მისცემს დედამიწის ნებისმიერ ნაწილში.

ჯერჯერობით თანამგზავრულ კავშირს რიგი არსებითი ნაკლოვანებანი აქვს. ჯერ ერთი, იგი მობილურზე და კაბელურზე მნიშვნელოვნად ძვირია. მაგალითად, კაბელური კომპანიის „კოქს“-ის მომსახურება ჯდება 40 დოლარი თვეში, ხოლო თანამგზავრული კავშირის „დირექტ პკ“ 100 საათი ღირს 50 დოლარი; მეორე, თანამგზავრული კავშირი სხვებზე მეტად ექვემდებარება ატმოსფერული მოვლენების გავლენას. იგი არ მოქმედებს დახურულ შენობებში, რომელთაც არა აქვთ ფანჯრები, აგრეთვე გვირაბებში და მიწისქვეშა ნაგებობებში. სამაგიეროდ, სპილენძის და ოპტიკურ-ბოჭკოვანი ხაზებისგან განსხვავებით, კავშირის გაწყვეტის შემთხვევაში თანამგზავრული კავშირი აღდგება ავტომატურად.

ჯერჯერობით თანამგზავრული კავშირის გამოყენება ეფექტიანია ძნელადმისადგომი რეგიონებისათვის, სადაც არ არის კავშირის სახმელეთო ხაზები და სადაც არაა დაყენებული ფიჭური რეტლანსლიატორები. ვინაიდან ჩვენს ქვეყანაში ასეთი რაიონების დიდი უმრავლესობაა, თანამგზავრულმა კავშირმა რუსეთში შეიძლება მოიცვას ბაზრის არსებითი წილი, სატელეფონო კავშირის არსებული პარამეტრების პირობებში. უკვე ახლა ეფექტიანია ინფორმაციის დიდი მოცულობის მიღება ინტერნეტით, თანამგზავრიდან საპასუხო ბრძანებების გადმოცემის დროს ჩვეულებრივი წესით. სადგურები, რომლებიც გადასცემენ სიგნალებს თანამგზავრზე, ჯერჯერობით ძალიან ძვირია, მაგრამ კომბინირებული სახმელეთო-თანამგზავრული კავშირი შეიძლება უკვე დღეს იყოს ფართოდ გამოყენებული.

და ბოლოს, ინფორმაციის დამუშავებას ახორციელებენ სხვადასხვაგვარი კომპიუტერები და პერიფერიული მოწყობილობანი (სკანერები, პლოტერები, პრინტერები და ა. შ.). კომპიუტერული ტექნიკის სპექტრი არაჩვეულებრივად ფართოა — სუპერკომპიუტერებიდან, დიდ დარბაზებს რომ იკავებს, პორტატულამდე, ხელისგულზე რომ ეტევა.

კომპიუტერულ ელიტას წარმოადგენენ „კრეი"-ის ტიპის სუპერკომპიუტერები. მათ აქვთ დიდი, სწრაფად მოქმედების უნარი და გამოიყენებიან ძირითადად ფიზიკის და სხვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ურთულესი ამოცანების გადასაწყვეტად, ატმოსფერული პროცესების განვითარების პროგნოზირებისათვის, აგრეთვე თავდაცვის კომპლექსში. ბოლო დროს ცივი ომის დამთავრებასთან დაკავშირებით ამ საოცრად ძვირ ტექნიკაზე მოთხოვნა აშკარად დაეცა და ამ კლასის კომპიუტერების მწარმოებელი კომპანიები განსაზღვრულ სიძნელეებს განიცდიან. მაგალითად, ამერიკულმა კომპანიამ „ეს-ჯი-აი" 2000 წ. თავისი ბიზნესის ნაწილი გაყიდა, რაც დაკავშირებული იყო კომპიუტერების „კრეი"-ის წარმოებასთან ფირმაში „ტერა კომპიუტა". 1996 წ. „ეს-ჯი-აი"-მ შეიძინა ფირმა „კრეი რისერჩ" 767 მილიონ დოლარად და ამ ხნის მანძილზე ამ ფირმის შტატი შემცირებული იყო 4500-დან 850 თანამშრომლამდე. ასე რომ, სუპერკომპიუტერებს დღეს კარგი დრო არ უდგათ.

ტრადიციულად კომპიუტერულ კლასიფიკაციაში გამოყოფენ საშუალო კლასის მიდიკომპიუტერებს. თუმცა, ბოლო ხანებში მიდისა და მძლავრ მინი—კომპიუტერებს შორის საზღვარი საბოლოოდ წაიშალა.

1980-დან 2000 წ.-მდე გრძელდებოდა პერსონალური კომპიუტერების ბატონობის პერიოდი. წარმოგიდგენიათ, რომ პირველი პერსონალური კომპიუტერი „აი-ბი-ემ" გამოვიდა მხოლოდ 1980 წელს და გვეჩვენება, რომ ისინი ყოველთვის იყო — იმდენად დამაჯერებლად შემოვიდნენ პერსონალური კომპიუტერები ჩვენს ცხოვრებაში. დღეს პერსონალური კომპიუტერების სხვადასხვა კლასები ასრულებენ სერვერების, სამუშაო სადგურების და საოჯახო კომპიუტერების ფუნქციას. 100 სამუშაო ადგილზე სერვერი დღეს ღირს დაახლოებით 7 ათასი დოლარი, ხოლო კარგი საოჯახო კომპიუტერი დაახლოებით — 1000. ამ დიაპაზონში ძირითადად დევს ყველა ფასი. თუმცა ფასების შესახებ ამ ბაზარზე საერთოდ ძნელია საუბარი, ვინაიდან ისინი იცვლება ჭეშმარიტად კოსმოსური სიჩქარით.

იმისათვის, რომ წარმოვიდგინოთ 1980 წლიდან რა სისწრაფით მიდის კომპიუტერული ტექნოლოგიების პროგრესი, საკმარისია ერთი ციფრი - დღეს „ვოლვო"-ს კლასის ავტომობილი ეღირებოდა მხოლოდ 27 დოლარი, თუ საავტომობილო მრეწველობაში სიმძლავრის ერთეულის გაიაფება იმა-

ვე ტემპებით მოხდებოდა, როგორც კომპიუტერების მწარმოებლურობის ზრდა.

შეიძლება განვეკვრიტოთ, რომ უკვე 2005 წლისათვის პერსონალურ კომპიუტერთა რიცხვი ერთ მილიარდამდე გაიზრდება და იგი უზრუნველყოფს საკმარის ტექნიკურ ბაზას მსოფლიო ელექტრონული ბაზრისათვის.

ინფორმაციის დამუშავება საჭიროებს არა მარტო ტექნიკურ უზრუნველყოფას — „რკინას", როგორც ამბობენ კომპიუტერის სპეციალისტები, არამედ პროგრამულ უზრუნველყოფასაც. იგი შეიძლება დავყოთ სამ დიდ ჯგუფად: საოპერაციო სისტემები, მართვადი კომპიუტერის ურთიერთქმედება პერიფერიულ მოწყობილობებთან და გარემოსთან; საერთოსისტემური პროგრამული უზრუნველყოფა, გამოსადეგი დიდი კლასის ამოცანების გადასაწყვეტად (ელექტრონული ცხრილები, ოპტიმიზაციის სისტემები, სტატისტიკები და ა. შ.); გამოყენებითი პროგრამები, შემუშავებული კონკრეტული ამოცანების გადასაწყვეტად.

პროგრამული და ტექნიკური უზრუნველყოფა ერთმანეთის განვითარებას აჩქარებს, ამასთან ეს სრულებით უანგაროდ როდი ხდება. პროგრამული ფირმები ქმნიან ყველაზე მეტ დახვეწილ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც საჭიროებს სულ უფრო მეტ სწრაფ მოქმედებას და კომპიუტერის დიდ მეხსიერებას. კომპიუტერების სპეციალისტები ამის პასუხად ქმნიან ახალ მოდელებს, ასე რომ, სულ ახლახან ნაყიდი კომპიუტერი რაღაც ნახევარი წლის შემდეგ ხდება მოძველებული. ეს გიჟური რბოლა (დევნა) მომხმარებლებს აიძულებს მუდმივად იყიდონ და იყიდონ კომპიუტერული სიახლენი, როგორც ადრე იტყოდნენ, საინფორმაციო ბიზნესის საქმოსანთა გასახარად.

საინფორმაციო ტექნოლოგიის განვითარების მნიშვნელოვან ტენდენციას წარმოადგენს *ინფორმატიკის საშუალებათა კონვერგენცია*. ეს ტერმინი ნიშნავს კავშირის სხვადასხვა ტექნოლოგიასა და კომპიუტერულ ტექნოლოგიებს შორის საზღვრების წაშლას. უკვე დღეს წარმატებით მოქმედებენ საოჯახო კომპიუტერული სისტემები, რომლებიც მოიცავენ მართვად კომპიუტერს, ფაქსს, ტელევიზორს, მუსიკალურ ცენტრს, ტელეფონსა და სხვა ელექტრო ხელსაწყოებს. მობილური ტელეფონი იოლად ირთვება ინტერნეტში, ელექტრონულ ფოსტაში და ა. შ. მობილური ტელეფონების და კომპიუტერების ნარევის ბაზაზე ვითარდება ვიდეოტელეფონები, რომლებიც უკვე არის, მაგრამ ძალიან ძვირია. მალე საზღვრები ამ სისტემის ცალკეულ ნაწილებს შორის გახდება პირობითი და არა არსებითი.

თანდათან ნათელი ხდება, *რომ პერსონალური კომპიუტერი იმ სახით, რომელსაც მივეჩვიეთ, კვდება*. ყველა პროგრამული და ტექნიკური

უზრუნველყოფის შეკრების იდეა ერთ მაგიდაზე, რომელიც გაბატონებულია პერსონალური კომპიუტერის ეპოქაში, ადგილს უთმობს ქსელური კომპიუტერის პარადიგმას. იგი იღებს ყველა აუცილებელ პროგრამულ უზრუნველყოფას ლოკალური ქსელებიდან და ინტერნეტიდან, კომპიუტერ-სერვერთა მეხსიერებიდან. ქსელურ კომპიუტერზე ინახება მხოლოდ მინიმალური პროგრამული უზრუნველყოფა ქსელში გასაშვებად. ასეთი ვარიანტის დროს არ არის სახლის კომპიუტერში დიდი მეხსიერების და უკვე ჩვეული „ვინჩესტერის" ქონის აუცილებლობა. ქსელური კომპიუტერის ფასი არ გადააჭარბებს 300 დოლარს, რაც მის გამოყენებას იაფსა და კონკურენტუნარიანს გახდის. ამასთან არაა საჭირო ბევრის დახარჯვა პროგრამულ უზრუნველყოფაზე — უკეთესია იჯარით აღება პროვაიდერისგან გამოყენების პერიოდში. (აღვნიშნავთ, რომ მთელ ცივილიზაციურ სამყაროში მომხმარებელი ხარჯავს პროგრამებზე დაახლოებით იმდენს, რამდენსაც „რკინაზე", და პროგრამულ უზრუნველყოფაზე ეკონომიის პრობლემა დგება ჩვენთანაც, როგორც კი იქნება აღკვეთილი თავშეუკავებელი ქურდობა).

ახლა შეიძლება კონსტატირება მოვახდინოთ. დიდი ხნის კამათში ფირმა „ორაკელ"-ის ხელმძღვანელმა ელისონმა, თავიდანვე ქსელურ კომპიუტერს რომ მიემხრო, პერსონალური კომპიუტერის მიმდევართან ბ. გეიტსთან მოიგო. გაიმარჯვა ელისონმა და ქსელურმა იდეოლოგიამ.

ინფორმატიკის საშუალებათა ტექნოლოგიური კონვერგენცია და მის განაპირობებს უმსხვილეს კორპორაციათა შერწყმას ამ სფეროებში. 2000 წლის დამდეგს მსოფლიოში უმსხვილესმა საინფორმაციო კომპანიამ „ამერიკა ონ-ლაინმა" (აოლ) გამოაცხადა შერწყმა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების სფეროში გიგანტთან — კორპორაცია „თაიმ უორნერთან". ახალი მეგაკორპორაცია, რომელმაც მიღო სახელწოდება „აოლ თაიმ უორნერ ინკორპორეიტედ", გახდება უმსხვილესი მსოფლიოში, საერთო ღირებულებით 350 მლრდ. დოლარი. მისი ყოველწლიური მოგება, სპეციალისტების პროგნოზის მიხედვით, შეადგენს სულ მცირე 30 მლრდ. დოლარს.

„აოლ" და „თაიმ უორნერი" გახდნენ თავისებურად პიონერები ადრე მომწიფებულ გაერთიანების პროცესში ტრადიციული მის-ისა და ინტერნეტისა. „თაიმ უორნერი" ჩამოყალიბებული 10 წლის წინ კინოკომპანია „უორნერ ბრაზერსის" და „თაიმ კორპორეიითედის" შერწყმით, 4 წლის წინ კი ნაყიდი ლეგენდარული „სი-ენ-ენ"-ით, ემსახურება კაბელური ქსელით ყველა ამერიკული მომხმარებლის მეხუთედ ნაწილს და ამ მაჩვენებლით ჩამორჩება მხოლოდ „ეი-თი ენდ თი"-ს. კორპორაციაში მუშაობს 70 ათასი ადამიანი, ხოლო მისი წლიური შემოსავალი აღწევს 26,8 მლრდ. დოლარს.

1985 წ. დაარსებულ „აოლ“-ს დღეს გააჩნია დაახლოებით 20 მლნ. ხელმომწერი მთელ მსოფლიოში. გასულ წელს მან ბრაუზერის ცნობილი კომპანია „ნეტსკეიპი“ შეიძინა. ახლა მასში მუშაობს 12 ათასი ადამიანი და წლიური შემოსავალი 4,8 მლრდ. დოლარის ტოლია.

„აოლ თაიმ უორნერ ინკ“-ის აქციების 55% უნდა ეკუთვნოდეს კომპანია „ამერიკა ონ ლაინს“ და 45% — „თაიმ უორნერს“. ამ ორი გიგანტის გაერთიანება მისცემს ბიძგს ინფორმაციის სხვა მონსტრებს შერწყმისაკენ — „იაჰუს“, „ლიკოსს“, „მაიკროსოფტს“ და „ეი-თი ენდ თის“, ერთი მხრივ, და „დისნეის“, „სონისა“ და ა. შ. — მეორე მხრივ. უკვე უახლოეს პერიოდში ცვლილებები შეეხება პრაქტიკულად ინტერნეტის ყველა მომხმარებელს. ამასთან, გაერთიანების პლუსები ჯერჯერობით უფრო მეტია, ვიდრე მინუსები. საკმარისია ითქვას, რომ ქსელით ინფორმაციის მიღების ხარისხი და სიჩქარე რამდენჯერმე გაიზრდება. კერძოდ, უახლოეს პერსპექტივაში უნდა ველოდოთ ელექტრონული ფოსტის ვიდეო და აუდიოშეტყობინებით მომსახურების გამოჩენას. ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება შემდეგის კონსტატირება:

> ბოლო წლებში მძაფრად ვითარდება ინფორმატიზაციის ყველა მიმართულება: ინფორმაციის დაცვა, გადაცემა და დამუშავება. ხდება ინფორმატიკის საშუალებათა კონვერგენცია და კორპორაციების გაერთიანება, რომელიც დაკავებულია მის-ით წამყვან ინტერნეტ-კომპანიებთან.

6.5. ინტერნეტ-ეკონომიკა

80-იან წლებში აშშ-ში დაიწყეს სხვადასხვა კომპიუტერების ქსელის შექმნა, უპირატესად კი სამხედრო დანიშნულებისა: „არპანეტ“, „მილენტ“, „ბიტნეტ“ და სხვ, 1986 წ. ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა შეიმუშავა „ენ-ეს-ეფნეტ“ ქსელი, რომელმაც დააკავშირა რამდენიმე სუპერკომპიუტერი ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში. აქამდე არსებული ქსელები ერთიანდებოდა და დემონსტრირდებოდა (როგორც „არპანეტ“), ხოლო „ენ-ეს-ეფნეტ“ ახალი ქსელის — ინტერნეტის — მთავარი არტერია გახდა. ამ ქსელის უნიკალურობა მდგომარეობა არა მარტო მის მასშტაბებში და უნივერსალურობაში, არამედ ეკონომიკურ შინაარსში. ინტერნეტი არავის ეკუთვნის. მთლიანობაში მისი პროექტი არავის შეუდგენია, არ არის ორგანიზაცია, რომელიც მის განვითარებაზე პასუხს აგებს. ინტერნეტი — ქსელთა ევოლუციის შვილობილია. ქსელები იქმნება სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ სხვადასხვა მიზნით. მათი სრულყოფა და გაერთიანება ერთმანეთთან ხდება ყველასათვის განსაზღვრული ჩართვის

და მონაცემთა გადაცემის საერთო წესების საფუძველზე, რომელთაც რატომღაც ოქმებს უწოდებენ. აი ასე, ნაბიჯ-ნაბიჯ იზრდება და ვითარდება ინტერნეტი. იგი ჯერჯერობით არავის მიერ რეგულირდება და სწორედ ეს წარმოადგენს მის განუმეორებელ თავისებურებას.

ინტერნეტი — ესაა ეკონომიკური ლიბერალიზმი, ხორცშესხმული ქსელურ საინფორმაციო ტექნოლოგიაში. შესაძლებელია, სწორედ ამიტომ ის ასე ბუნებრივად და თავისუფლად შევიდა ეკონომიკური ცხოვრების ყველა სფეროში.

თანამედროვე ინტერნეტი წარმოადგენს დაახლოებით 5 მლნ. საბაზო ელექტროგამომთვლელი მანქანების ქსელს, რომლებიც შეერთებულია „სწრაფი" ოპტიკურბოჭკოვანი კავშირის ხაზებით. იგი აერთიანებს 90 ათას ქსელურ სტრუქტურას მსოფლიოს 100 სახელმწიფოში. ინტერნეტით მოსარგებლეთა რიცხვი ფანტასტიკური სისწრაფით იზრდება და უკვე შეიძლება ჩაითვალოს ჩამოყალიბებულად ადამიანთა ახალი გაერთიანება, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ინტერნეტით და რომელსაც დაუკავშირეს თავისი პროფესიონალური და ყოველდღიური საქმიანობა. ამ ადამიანთა წრე სწრაფად იზრდება, მოიცავს რა მთელ ინტელექტუალურ და მსოფლიოს საქმიან ელიტას.

თანამედროვე ინფორმატიკის ეკონომიკა დაფუძნებულია ორ ურთიერთშემავსებელ პროცესზე: ინფორმატიკის საშუალებათა გაიაფება და, უპირველეს ყოვლისა, კომპიუტერებისა და ინფორმაციის გადაცემის მომსახურების ღირებულების შემცირება. ორივე ეს ფაქტორი იწვევს *კომპიუტერთა რიცხვის ლავისებურ ზრდას და კომპიუტერული ქსელების არნახულად სწრაფ გაფართოებას, რასაც თავის მხრივ მივყავართ მათი მოხმარების გაიაფებისკენ.*

ერთი მხრივ, არსებობს ტექნოლოგიური კანონზომიერება — მურის ფენომენი (კომპანია „ინტელ"-ის დამფუძნებელი), რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ კომპიუტერის სიმძლავრე ორმაგდება ყოველ 10 თვეში.

მეორე მხრივ, საინფორმაციო ქსელების განვითარებას გააჩნია თავისი ფუნდამენტური კანონზომიერება — მეტკალფის კანონი (გამომგონებელი „ეთერნეტ"-ის ქსელური სტანდარტისა) — „ქსელის სარგებლიანობა საზოგადოებისათვის მომხმარებელთა რიცხვის კვადრატის პროპორციულია".

ინტერნეტის განვითარების ფენომენალურად მაღალი ტემპები აიხსნება იმით, რომ იგი დაფუძნებულია ორივე მოძრავ ძალაზე, რომლებიც ერთმანეთს ავსებენ.

კვლევითი ფირმის „ნეტვერკ ვირარდზ"-ის მიერ მიღებული მონაცემების მიხედვით, კომპიუტერების რიცხვი, რომლებიც ჩართულნი იყვნენ ინტერნეტში 1996 წლიდან 2000 წლამდე, გაიზარდა 3-ჯერ. აშშ-ში ინტერნეტით

ტით მოსარგებლეთა რიცხვი დაახლოებით 130 მილიონი ადამიანია, ე. ი. მოსახლეობის თითქმის 50%. ეს იმას მოწმობს, რომ ჩვენ საქმე გვაქვს კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე სწრაფადმზარდ „საბაზრო გაერთიანებასთან".

მეორე ფაქტორი — ინტერნეტში დაშვების გამარტივება და გაიაფებაა. ზოგიერთი გამოკვლევის საფუძველზე, ინტერნეტის ქსელის მოსარგებლეთა დაახლოებით მეოთხედი ამა თუ იმ ფორმით უკვე იყენებს მას ელექტრონული კომერციისათვის. ფირმა „ფრაის ვოთარჰაუზ"-ის შეფასებით, უმსხვილეს ტრანსეროვნულ კომპანიათა ხელმძღვანელების 80%-ზე მეტი თვლის, რომ ელექტრონული კომერცია ძირეულად ცვლის კონკურენციის მექანიზმს შესაბამის დარგებში.

გამოკვლევების შედეგების მიხედვით, რომელიც ჩატარებულ იქნა კვლევითი ფირმის „აი-დი-სი"-ის მიერ, 11 ათას გამოკითხულ საწარმოს ხელმძღვანელთაგან მთელ მსოფლიოში დაახლოებით 40% თვლის ელექტრონულ ბაზარზე მონაწილეობას მნიშვნელოვნად თავისი საწარმოსათვის. ამასთან, ეს წილი აღწევს 50-60%-ს სწრაფად განვითარებად რეგიონებში — სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, აშშ-ში და სხვ.

იმავე მონაცემებით, ფირმების წილი, რომელთაც უკვე აქვთ წარმომადგენლობები ინტერნეტში, შეადგენს 24%-ს დასავლეთ ევროპაში, 37%-ს - აშშ-ში და აზიის რეგიონში. ვარაუდობენ, რომ აშშ-ის წილი საერთო ბრუნვაში თანდათანობით დაიკლებს 70%-მდე სხვა რეგიონებში ბაზრის წინმსწრები განვითარების ხარჯზე. გერმანია და დიდი ბრიტანეთი — ყველაზე მსხვილი ევროპული ბაზრებია ინტერნეტში, რომელთაგან თითოეული ითვლის 4 მილიონზე მეტ მონაწილეს. ამასთან, ეს რიცხვი ელვისებურად იზრდება.

ახლანდელი ბიზნესმენებისათვის არაფერია იმაზე სამარცხვინო, ვიდრე ინტერნეტში დაშვების უქონლობა. ჩვენი თანამედროვეობის კომპიუტერული ორეულები აცხადებენ: „ინტერნეტი ცვლის ყველაფერს" (ლ. ელისონი, ფირმა „ორაკელ") და ისინი, როგორც ჩანს, მართალნი არიან. ე. გროუვი (კომპანია „ინტელ") გვაფრთხილებს, რომ 5 წლის შემდეგ „ყველა კომპანია გახდება ინტერნეტული და კომპანიებად საერთოდ არ იქნებიან".

კომპანია „აი-ბი-ემ"—ის მეთაურის სიტყვებით რომ ვთქვათ, თანამედროვე ინტერნეტული კომპანიები — ესაა „ციცინათელები ქარიშხლის წინ, აფორიაქებული, აციმციმებული", ხოლო მომავალი ქარიშხალი — ესაა „როცა ათასობით და ათასობით დღეს არსებული ინსტიტუტები იპყრობენ ძალაუფლებას გლობალურ კომპიუტერულ და ტელესაკომუნიკაციო ინფრასტრუქტურაზე და იყენებენ მას თვითგარდაქმნისათვის. აი, რა არის ნამდვილი რევოლუცია".

მაშასადამე, დაბეჯითებით შეგვიძლია ვიწინასწარმეტყველოთ, რომ *ყველაზე უახლოეს მომავალში საბოლოოდ გაფორმდება ინტერნეტზე დაფუძნებული ახალი საბაზრო გაერთიანება.*

ზუსტად ბოლო 5-6 წლის წინ ეკონომიკური საქმიანობის ყველა ძირითადი სახეები ათვისებულ იქნა ინტერნეტით და გაჩნდა ინტერნეტ-ვაჭრობა, ინტერნეტ-რეკლამა, ინტერნეტ-ბირჟები, ინტერნეტ-ბანკინგი და ინტერნეტ-ინვესტირება. თანმიმდევრულად განვიხილოთ ინტერნეტ-ეკონომიკის ძირითადი სეგმენტები.

1. *ინტერნეტ-ვაჭრობა* მოიცავს თავისთავში ორ დიდ სეგმენტს: ვაჭრობას ერთი კომპანიისა მეორესთან, წოდებულს ბ2ბ (ბიზნეს-ბიზნესი) და საცალო ვაჭრობას ბ2მ (ბიზნეს-მომხმარებელი). ინტერნეტ-ვაჭრობის ზუსტ მონაცემებზე საუბარი ძნელია, ვინაიდან საყოველთაოდ მიღებული სტატისტიკა აქ არა გვაქვს. მაგალითად, სავსებით ნათელი არაა, ჩავრთოთ თუ არა ელექტრონულ ვაჭრობაში გარიგება, თუკი მყიდველმა გაიგო მაღაზიის შესახებ ინტერნეტ-რეკლამით, მაგრამ მივიდა მაღაზიაში თვითონ და ა. შ. ამიტომ ცალკეული ფირმის მონაცემები შეიძლება არ ემთხვეოდეს.

„გართნერ გროუფ"-ის გამოკვლევების თანახმად, ბ2ბ ელექტრონული კომერცია (ე-კომერცია), რომელიც შეადგენდა 1999 წელს 145 მილიარდ დოლარს, 2004 წლისათვის მიაღწევს 7,29 ტრილიონ დოლარს. ე-კომერციის ლიდერს წარმოადგენს აშშ. დიდი ბრიტანეთი და გერმანია ელექტრონული ვაჭრობის „ჰიპერზრდის" სტადიაში შევლენ ამერიკის მერე ორი წლის შემდეგ, ხოლო იაპონია, იტალია და საფრანგეთი — კიდევ ორ-ორი წლით გვიან.

საცალო ვაჭრობაში სწრაფად იზრდება ინტერნეტ-მაღაზიების გაყიდვის რიცხვი და მოცულობა. ვირტუალური მაღაზიების მნახველთა რიცხვი ყოველწლიურად 37%-ით იზრდება, მაგრამ ისინი ძირითადად კერძო პირები აგრეთვე წვრილი ფირმები არიან. ასე მაგალითად, კომპიუტერულ ფირმა „ბელ"-ის სერვისზე წვრილი მყიდველები შეადგენენ 90%-ზე მეტს. 1999 წელს აშშ-ის ელექტრონული კომერცია ფირმასთან მიმართებაში (ბ2მ) შეადგენდა უკვე რვა მილიარდ დოლარს და, საკონსულტაციო ფირმა „ფორესთერ ნისარჩ"-ის აზრით, 2003 წელს მიაღწევს 108 მილიარდ დოლარს.

ელექტრონული საცალო ვაჭრობა აძლიერებს კონკურენციას და ამიტომ მომხმარებლისათვის ძალიან მომგებიანია. მაგალითად, ისეთი მასობრივი პროდუქტების ბაზარზე, როგორიცაა წიგნები, გაჩაღდა სასტიკი საფასო კონკურენცია, რომელმაც მიგვიყვანა ფასების მრავალჯერად დაკლებამდე 30-40%-ით წამყვან ფირმებს შორის — „ბარნერზ ენდ ნოუბელ" და

„ამაზონ კომ“, და ეს გასაგებიცაა, ვინაიდან ერთგვაროვანი პროდუქტებისათვის ფასი არის საკვანძო ნიშანი, რომლითაც მომხმარებელი ანსხვავებს გამყიდველებს. ანალოგიური საფასო „ომები“, მყიდველთა სასიხარულოდ, იშლება სხვა მასობრივი სტანდარტული პროდუქტების ბაზრებზეც — კომპიუტერების, ელექტრონიკის, პროგრამული უზრუნველყოფის, ავიაბილეთების და ა.შ. ყველა ეს საქონელი ინტერნეტში ბევრად იაფია, ვინაიდან შეიძლება ეკონომიის გაკეთება შენობებზე, სავაჭრო მოწყობილობასა და ტრანსაქციულ დანახარჯებზე. ასე, ავიაბილეთების გაყიდვა ინტერნეტში საშუალებას იძლევა შევამციროთ დანახარჯები ერთი შეკვეთის დამუშავებაზე 8 დოლარიდან 10 ცენტამდე, ხოლო პროგრამული უზრუნველყოფის გაყიდვის თვითღირებულება ინტერნეტში კლებულობს 15 დოლარიდან ტრადიციულ სისტემებში 20-30 ცენტამდე.

საქონლის, მომსახურების, სარემონტო სამუშაოების, სათადარიგო ნაწილების და ტექნიკური მომსახურების ელექტრონული მიწოდება საჭიროებს პრინციპულად სხვა ორგანიზაციას. იგი მოითხოვს ცვლილებებს მართვის სტილშიც. თუკი დღეს კორპორაციათა უმრავლესობაში მიწოდებას დამხმარე ხასიათი აქვს, მაშინ ელექტრონულ კომერციაში, მართვის დარგში წამყვანი სპეციალისტის, პ. დრუკერის აზრით იგი გახდება ერთადერთი სფერო, რომელშიც ერთი კომპანია აშკარად გაჭორჩეულია მეორისაგან. მისი სიჩქარე და ხარისხი კონკურენტუნარიანობის გადამწყვეტი ფაქტორები გახდებიან.

ელექტრონულ კომერციაში მყიდველმა არ იცის და არც სურს იცოდეს, სად იმყოფება გამყიდველი. ხოლო გამყიდველმა თავის მხრივ არ იცის და არც სურს იცოდეს, საიდან მოდის შეკვეთა მის საქონელზე. თუკი ყიდვა თავისთავად წარმოადგენს პროგრამულ პროდუქციას, ინფორმაციას ან მომსახურებას, მაშინ მიწოდებასთან დაკავშირებით პრობლემები არაა. საქონელი წამიერად გადაიტყორცნება ქსელში, სადაც საბოლოო ანგარიში ხორციელდება. თუმცა ფიზიკური საქონელი (წიგნები, ავტომობილები, პროდუქტები) აუცილებელია მყიდველს მივაწოდოთ. აქ გაიმარჯვებს ის, ვინც უკეთ მოაწყობს მიწოდებას.

სამომავლოდ კორპორაციებში მიწოდების ორგანიზებას შეძლებენ სხვადასხვაგვარ ბაზრებზე, როცა ფიზიკურად იქ არ იქნებიან. მაგალითად, აშშ-ის ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად განვითარებად სამეურნეო საქმიანობის სახეს წარმოადგენს ელექტრონული ფოსტით ახალი მსუბუქი ავტომობილების გაყიდვა, რომელსაც აწარმოებს კომპანია „ქარზ დირექთ.კომ“. ეს კომპანია, რომელიც დაფუძნებულია ლოს-ანჯელესის გარეუბანში, 1999 წლის იანვარში შეიქმნა.

იმავე წლის ივლისში იგი აშშ-ში 20 უძლიერესი საავტომობილო დილერიდან ერთი გახდა, რომელიც აშშ-ის 50 შტატიდან 40-ში მუშაობდა და თვეში 1000 ავტომანქანას ყიდდა. მისი წარმატება აიხსნება არც შედარებით დაბალი ფასებით და არც გაყიდვებში განსაკუთრებული ხელოვნებით. სინამდვილეში, ამ სფეროებში იგი ძალზე ჩამორჩება ისეთ უფრო ძველ და უფრო მსხვილ ელექტრონულ ავტომობილთა დილერებს, როგორიცაა „აუტობიტელ.კომ" ან „კარ პოინტ.კომ". „მაიკროსოფტ"-ის ქალიშვილ-კომპანიამ თავისი კონკურენტებისაგან განსხვავებით, „კარზ დირექთ.კომ" მიწოდების უნიკალური სისტემის ორგანიზება მოახდინა. მან მთელ ქვეყანაში 1100 ტრადიციულ დილერთან კონტრაქტი დადო მის მიერ გაყიდული ავტომობილების გარანტირებულ მიწოდებაზე და ადგილზე ხარისხის შემოწმებაზე მყიდველებისათვის.

მიწოდებები კომპანიებს შორის შეიძლება ითქვას უფრო მნიშვნელოვანია ელექტრონულ კომერციაში. და, ყველა ნიშნის მიხედვით, იგი უფრო აქტიურად ვითარდება, ვიდრე საცალო ელექტრონული ვაჭრობა და კიდევ უფრო სწრაფად, ხდება რა ტრანსეროვნული.

ელექტრონულ კომერციაში, პირველად საქმიანი სამყაროს ისტორიაში, მიმდინარეობს ყიდვის და გაყიდვის გაყოფა. გაყიდვა მთავრდება შეკვეთის მიღების და გადახდის შემდეგ. ყიდვა მთავრდება მხოლოდ მაშინ, როცა ნაყიდი იქნა მოტანილი და არა იმაზე ადრე, სანამ მყიდველი არ იქნება მისით დაკმაყოფილებული. და იმ დროს, როცა ელექტრონული გაყიდვა ითხოვს ცენტრალიზებას, მიწოდება უნდა იყოს სავსებით დეცენტრალიზებული. ბოლო ინსტანციაში იგი უნდა ტარდებოდეს იმ ადგილას, სადაც იმყოფება მყიდველი, უნდა იყოს დეტალური და ზუსტი.

ზუსტად ისევე როგორც ელექტრონული კომერცია ჰყოფს გაყიდვას და ყიდვას, იგი ჰყოფს წარმოებას და გაყიდვას. ელექტრონულ კომერციაში ის, რასაც ჩვენ ვეძახით „წარმოებას", გულისხმობს მომარაგებას. არა არის აბსოლუტურად არანაირი საფუძველი იმისათვის, რომ ელექტრონული სავაჭრო ფირმა 'შემოიფარგლებოდეს ბაზარზე მიწოდებით და ერთი რომელიმე მწარმოებლის საქონლის ან მარკების გაყიდვით. და მართლაც, როგორც ამას გვიმტკიცებენ კომპანიები — „ამაზონ.კომ" და „ქარზ დირექთ.კომ" — ელექტრონული კომერციის მთელი უზარმაზარი ძალა მდგომარეობს სწორედ იმაში, რომ სთავაზობენ დამკვეთს საქონლის სრულ სპექტრს, ვინც არ უნდა აწარმოებდეს მათ. ტრადიციულ სამეურნეო სტრუქტურებში გაყიდვა ჯერ კიდევ განიხილება და ორგანიზდება, როგორც წარმოების „მსახური", ან როგორც დანამატი ცენტრი, რომელიც მუშაობს

ფირნიშის ქვეშ — „ვყიდით იმას, რასაც ვაწარმოებთ". მომავალში ელექტრონული სავაჭრო კომპანიები იმუშავებენ ასეთი ფირნიშით — „ვყიდით იმას, რისი მიწოდებაც შეგვიძლია".

რა თქმა უნდა, ინტერნეტი ქმნის არაჩვეულებრივ შესაძლებლობებს *მომსახურების გაყიდვის* თვალსაზრისით. ექიმების, იურისტების, ფინანსისტების, მეცნიერთა კონსულტაციები შეიძლება იოლად გავატაროთ ქსელში. ამასთან, თქვენ შეძლებთ დაინახოთ ლექტორი ან კონსულტანტი მონიტორის ეკრანზე, ხოლო ის შეძლებს დაგინახოთ თქვენ და თქვენი რეაქცია. არცთუ შორეულ მომავალში ბრტყელი გამოსახულება შეიძლება იქნეს შეცვლილი მოცულობითი ჰოლოგრაფიულით და უშუალო ურთიერთობის ილუზია სრული გახდება.

2. *ინტერნეტ-რეკლამას* სამი ძირითადი უპირატესობა აქვს ტრადიციულთან შედარებით:

1. აქტიური ურთიერთმოქმედება აუდიტორიასთან, ე. ი. მომხმარებლისგან უკუკავშირის მიღება ინფორმაციის გადაცემის იმავე საშუალების დახმარებით;

2. სარეკლამო განცხადების მიმართვის რიცხვის ზუსტი და ადვილი გაზომვის შესაძლებლობა, რაც ნიშნავს ზუსტ ფოკუსირებას განსაზღვრულ აუდიტორიაზე და ამით დანახარჯის შემცირებას.

3. რამდენიც გნებავთ იმდენი დეტალური ინფორმაციის მსუბუქად წარდგენის შესაძლებლობა პროდუქტის შესახებ.

ინტერნეტის სარეკლამო ბაზარი ფართოვდება უფრო სწრაფად, ვიდრე იზრდება ინტერნეტის აბონენტთა რიცხვი და იმაზე სწრაფადაც, ვიდრე გაყიდვების მოცულობა, მაგრამ ჯერჯერობით მისი მოცულობა 50-60-ჯერ ნაკლებია ტელევიზიის რეკლამის მოცულობაზე. 1999 წელს ინტერნეტში სარეკლამო დანახარჯთა საერთო თანხამ შეადგინა 3 მლრდ. დოლარი. ამასთან წამყვან როლს თამაშობენ ფირმები, რომელთაც ინტერნეტში წამყვანი ადგილი უკავიათ მიმართვების რიცხვის მიხედვით — გლობალური საძიებო სისტემები „იაჰუ" და „იქსაით". არცთუ შორეულ მომავალში ინტერნეტ-რეკლამა გახდება ჩვეულებრივი რეკლამის წარმატებული კონკურენტი.

თანამედროვე პორტალები თავისთავად წარმოადგენენ მძლავრი საძიებო სერვერის მთელი კომპლექსის უფასო მომსახურების ბაზაზე არსებულ გაერთიანებას. ეს კეთდება ერთი მიზნით — შექმნას მომხმარებელთა ახალი გაერთიანება და ამით დაიპყროს სარეკლამო ბაზრის წილი, რომელიც სულ უფრო მეტად ძვირდება.

ამ გზით ვითარდებოდნენ უმსხვილესი საძიებო სისტემები „იაჰუ“ და „ლიქოს“. მოცემული მიდგომის პერსპექტიულობის და მომგებიანობის დამაჯერებელ საბუთს აღნიშნული კომპანიების კაპიტალიზაციის მრავალჯერადი ზრდა წარმოადგენს, მხოლოდ 1999 წლის განმავლობაში 5,5—მდე და 1,1 მლრდ დოლარამდე შესაბამისად. რუსეთის პორტალებს შორის ყველაზე მძლავრია „ინფორტ“. პორტალები ხდება უძრავი ქონების თანამედროვე სახე.

„ქორესთერ რისარჩ“-ის მონაცემებით, ცნობილი პორტალები დისნეის, „ალტა ვისტა“ და „იქსაიტ“ თანდათან აგებენ გლობალურ კონკურენციულ ბრძოლას ლიდერობისათვის და გადადიან მეორე რიგში. „პორტალების ომებში“ გამარჯვებულები გახდნენ „ამერიკა ოლ ლაინ“, „იაჰუ“ და „მაიკროსოფტ ნეტვორქ“. „პორტალური დევნა დამთავრებულია, — წერს ანგარიშში ფორესთერ რისარჩ-ის კომპანიის ექსპერტი, შ. ლი, — და თუკი სხვა პორტალებს სურთ გადარჩენა, მათ მოუხდება ზუსტად განსაზღვრონ თავისი მიმართულება, იპოვონ თავიანთი ნიში“. მაგალითად, „ალტა ვისტა“-მ უნდა გამოიყენოს თავისი შესანიშნავი საძიებო სამსახურის რეპუტაცია და კონცენტრაცია უნდა მოახდინოს სასწავლო და საქმიან ინფორმაციაზე, „იქსაიტ“-მა — გართობებზე, ხოლო „ლიქოს“-თვის უმჯობესია ახალგაზრდა მომხმარებლების იმედი ჰქონდეს.

ბოლო მონაცემებით, „მედია მეტრიქს აოლ“ დამაჯერებლად ლიდერობს ინტერნეტის პორტალებს შორის ინდივიდუალური მომხმარებლების რაოდენობის მიხედვით (53 მლნ. დასწრება ყოველთვიურად). „იაჰუ“ იკავებს მეორე ადგილს 40 მლნ-ზე ნაკლები დასწრებით. 1999 წ. შეინიშნებოდა ტრაფიკის სამჯერადი გაზრდა (კავშირგაბმულობის ხაზის სამუშაო დატვირთვა „მაიკროსოფტ“-ის საიტზე, რომელიც იკავებს მესამე ადგილს 37,7 მლნ. დასწრებით.

თუმცა პორტალის წარმატება განისაზღვრება არა მარტო მომხმარებელთა რაოდენობით, რომელთაც ნახეს საიტი, არამედ შესაძლებლობით დადონ მომგებიანი სადისტრიბუტორო გარიგებები.

რეკლამის დამკვეთთა გამოხმაურების მიხედვით, დარეგისტრირებული „ფორესტერ რისარჩ“ კონტრაქტი ძირითად პორტალებთან ჩვეულებრივ 20 თვის ვადით იდება, ხოლო საერთო ღირებულება დაახლოებით 4,5 მლნ. დოლარია, თუმცა ფასი შეიძლება იყოს ბევრად მაღალიც. „აოლ“-მა მოახერხა ყველაზე მომგებიანი გარიგებების დადება. ახლახან „მონსტარ.კომ“-საიტმა, რომელიც სამუშაოს სთავაზობდა, დათანხმდა გადაეხადა ქსელური გიგანტისათვის „აოლ“ 100 მილიონი დოლარი უახლოეს 4 წელიწადში, ექსკლუზიური უფლების მინიჭებისათვის, საძიებო სამუშაოს მომსახურებაში.

„აოლ“-მა აგრეთვე ხელი მოაწერა „სტამფს.კომ“-თან სამწლიან კონტრაქტს 56 მილიონ დოლარზე, საფოსტო მომსახურების ექსკლუზიური პროვაიდერობის უფლებაზე, ხოლო „ტრეიქლოსიტი.კომ“ დათანხმდა შეიმუშავოს მოგზაურობაზე ყველა წინასწარი შეკვეთა, რომელიც დაჯავშნულია „აოლ“-ის მიერ. ამ ხუთწლიანი კონტრაქტის ფასი — 200 მლნ. დოლარია, ამასთან, ამ თანხის რაღაც ნაწილი — გარანტირებულია, ხოლო ნაშთი დამოკიდებულია „აოლ“-ის საცნობარო სამსახურის ეფექტიან მუშაობაზე.

ტრადიციული რეკლამის ღირებულება ინტერნეტში ჩვეულებრივი იზომება „ათასი ჩვენების ფასით“. ჩვენება, როგორც ასეთი, ხდება მაშინ, როცა მომხმარებელი ხსნის გვერდს იმისგან დამოუკიდებლად, დაინახა თუ არა რეკლამა.

დასავლეთში საშუალო კონტრაქტი რეკლამაზე ინტერნეტში შედგება 100 ათასი ჩვენებიდან ღირებულებით 20-დან 100 დოლარამდე ათასზე. თუკი გავითვალისწინებთ, რომ საიტების მხილველთა უმრავლესობა გადიან გვერდს რამდენჯერმე და უყურებენ ერთზე მეტ გვერდს, მაშინ 100 ათასი ჩვენება შეიძლება შეესაბამებოდეს 10-დან 40 ათასამდე რეალურ მნახველს (ძალიან ოპტიმისტური პროგნოზი).

ინტერნეტ-რეკლამა წარმოადგენს პორტალების განვითარების ერთ-ერთ ძირითად სტიმულს. ძნელი არაა იმის პროგნოზირება, რომ პორტალები გამრავლდება და თითოეულ მათგანზე ორიენტირებულ მომხმარებელთა უმრავლესობას გადააქცევს შედარებით მდგრად ,,სელურ გაერთიანებად თავისი ფასეულობათა სისტემითა და მკვეთრად გამოხატული საბაზრო უპირატესობებით.

3. *ინტერნეტ-ბირჟები.* ელექტრონული ბირჟა ტექნიკური თვალსაზრისით წარმოადგენს ცენტრალიზებულ კომპიუტერულ სისტემას, რომელშიც კონტრაქტების ორმხრივი კოტირება ძირითადი სახის პროდუქციის მიწოდებაზე ხორციელდება, ხოლო შედეგად ობიექტურად განპირობებული ფასების და მატერიალურ-ფინანსური ნაკადების დონეების ფორმირება ხდება. ასეთი ელექტრონული ბირჟა უნდა ითვალისწინებდეს ფიუჩერსული კონტრაქტებით ვაჭრობას, რომელიც შესაძლებლობას მისცემს უზრუნველყოს ბალანსირებული, მდგრადი განვითარება პერსპექტივაშიც.

ენერგეტიკული რესურსების ელექტრონული ბირჟა უკვე წარმატებით მუშაობს აშშ-ში. იგი უზრუნველყოფს ენერგიაზე ფასების 10%-იანი კლებას და მწარმოებლური სიმძლავრეების უფრო სრულ დატვირთვას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მომგებიანია როგორც მყიდველებისათვის, ასევე ელექტროენერგიის გამყიდველებისათვის. თუმცა მის შესაქმნელად საჭირო გახდა თავდაპირველი ფინანსური იმპულსი მთავრობის მხრიდან.

დღეს ინტერნეტის სასაქონლო ბაზრებზე ბობოქრად ვითარდება ბირჟის ძალზე უბრალო ნაირსახეობა — სააუქციონო ვაჭრობა. თუმცა ქსელში გაანგარიშების სისტემის ორგანიზებასთან ერთად, მრავალ დარგში მალე შეიქმნება სრულფასოვანი ელექტრონული ბირჟები ორმხრივი კოტირებით და ფიუჩერსული ვაჭრობით.

4. *ინტერნეტ-ბანკინგი* ერთ-ერთი საბანკო საქმიანობის ყველაზე პერსპექტიული ფორმა ხდება. მისი ძირითადი უპირატესობა მდგომარეობს მომსახურების სიჩქარესა და სიიაფეში. საბანკო მომსახურების თვითღირებულება ინტერნეტში, ტრადიციულ მომსახურებასთან შედარებით, 8-10-ჯერ ეცემა.

ამან აიძულა (უბიძგა) ბანკების უმრავლესობას ქსელში შესვლა, ხოლო ზოგიერთმა მათგანმა დაიწყო კლიენტთა ქსელური მომსახურება. მაგალითად, გერმანიის ყველაზე მსხვილი და კონსერვატული ბანკი „დოიჩე ბანკ“ ტოვებს თავის ტრადიციულ საბანკო ბიზნესს და ფსონს აკეთებს ინტერნეტ-ბანკინგის განვითარებაზე. იგი თავისუფლდება თავისი საფილიალო ქსელის უმეტესი ნაწილისაგან და ოპერაციათა მნიშვნელოვანი ნაწილი გადააქვს ინტერნეტში. ბანკის ინვესტიციური გეგმები ქსელში ფასდება წელიწადში 1 მილიარდი ევროთი. ფაქტიურად „დოიჩე ბანკ“ ცვლის თავის რეალურ ფილიალებს ვირტუალურ სისტემებზე.

საბანკო მომსახურების და გაანგარიშებების ქსელში ფართო გავრცელებას წინააღმდეგობას უქმნის რისკის ორი ძირითადი ჯგუფი: ჯერ ერთი, ქსელში ადვილია ფულის მოპარვა ელექტრონული ანგარიშებიდან და ელექტრონული უსაფრთხოების სისტემები ჯერჯერობით კიდევ არასაკმარისად საიმედოა (ჰაკერები დროდადრო წარმატებით ამტვრევენ მას საკუთარი თავისათვის დიდი მოგების მიზნით); მეორე, ქსელში იზრდება საინფორმაციო გამჭვირვალობა და უკვე ბევრად ძნელია დაფარო მოპარული ფული.

ამ რისკების შემცირებაზე დაუღლელად შრომობს ასობით ათასი პროგრამისტი ათეულობით ქვეყანაში. საყოველთაოდ ცნობილია, რომ დიდი ძალისხმევა და ფინანსური საშუალებები იხარჯება საინფორმაციო უსაფრთხოების სრულყოფაზე. გაცილებით ნაკლებად ხდება რეკლამირება მეორე მიმართულებით.

ამ თვალსაზრისით, სამუშაოს დროს ქსელის ძირითადი ნაკლი არის დღემდე ბევრის შემაცბუნებელი ანგარიშთა ანონიმურობის უქონლობა, დამახასიათებელი რუსებისათვის ესოდენ საყვარელი პირადი ანგარიშების სისტემისათვის. დიახ, მოთხოვნა ბადებს მიწოდებას და ახლახან ჩვენს ქვეყანაში შემუშავდა და უკვე წარმატებით დანერგა ელექტრონული „ფულის მიღების“-ის სისტემა.

ასეთი სისტემის დროს მომხმარებელი გადმოქაჩავს ბანკის საკუთარი ანგარიშიდან თავისთვის კომპიუტერში ფულის ნაწილს, რომელიც იმ მომენტიდან იძენს ნაღდი ფულის ყველა თვისებას. იგი აბსოლუტურად ანონიმური ხდება და კომპიუტერში ზუსტად ისევე თავსდება, როგორც ჩვეულებრივი ფული ჯიბეში. თუკი კომპიუტერი ტყდება, მაშინ ფული იკარგება, როგორც გარღვეული ჯიბიდან. სამაგიეროდ, მათი საშუალებით შეიძლება ანგარიშსწორება, იმ ანგარიშის მიუთითებლად, საიდანაც იგი შემოვიდა. ეს ფული თითქოს ემიტენტი ბანკის მიერ დანიშნული — ელექტრონული „ნაღდი ფულის" მიიღებაა ამ ბანკის ყველა კლიენტის მიერ. ამასთან მაღაზიისათვის ან რომელიმე სხვა კომერციული ორგანიზაციისათვის მნიშვნელოვანი არაა, საიდან მოვიდა ფული მის ანგარიშზე. იგი გარიგებას ახდენს და „დანიშნულ ფულს" ტოვებს სპეციალურ ანგარიშზე, ზუსტად ისევე როგორც, ის შეინახავდა რეალურ ფულს სალაროში. ელექტრონულ სალაროში თანხის დაგროვების შემდეგ იგი ახდენს ელექტრონულ ინკასაციას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აბარებს ელექტრონულ ფულს ქსელით თავის ბანკში და იქვე იღებს თავის ანგარიშზე უკვე ჩვეულებრივ, „არადანიშნულ" ფულს. ალბათ ამგვარი ჩვეული ანონიმური ანგარიშსწორების საშუალება ფართოდ გავრცელდება ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ მსოფლიო ეკონომიკისათვის, ეს, რა თქმა უნდა, ეგზოტიკაა. განვითარების მაგისტრალურ გზად იქცევა კარგად დაცული და ყოვლისმომცველი ინტერნეტ-ბანკინგი.

5. *ინტერნეტ-ინვესტირება.* ინტერნეტ-კორპორაციები ინვესტიციებისათვის საკმაოდ მიმზიდველ ობიექტები ხდება. ტელესაკომუნიკაციო და კომპიუტერული კომპანიის აქციებით ტრადიციულად ელექტრონულ ბირჟაზე NASDAG ვაჭრობენ (1999 წ. NASDAG-ში შედიოდა დაახლოებით 5500 კომპანია კაპიტალიზაციის ჯამით 2,3 ტრლნ. დოლარი). მათი აქციების ზრდა კიდევ უფრო მნიშვნელოვანია და მდგრადი, ვიდრე კორპორაციის კაპიტალიზაციის ზრდა ეკონომიკის ტრადიციულ დარგებში. (შეგახსენებთ, რომ თუკი ტრადიციული კომპანიების აქციები 1995 წლიდან 2000 წლამდე გაიზარდა 3-ჯერ, მაშინ NASDAG-ის აქციები გაიზარდა 7-ჯერ). უმნიშვნელო ძირითადი კაპიტალის რაოდენობის მქონე ახალი კომპანიები ფლობენ კაპიტალიზაციის გიგანტურ შესაძლებლობას. ასე, მაგალითად, კომპანია „ნეტსქოუფ"-ს კაპიტალიზაციამ (აქციათა ჯამურმა ღირებულებამ), რომელიც 1996 წ. ფლობდა 17 მლნ. დოლარის ფონდებს, მაგრამ ამასთან ერთად აკონტროლებდა ინტერნეტის ბრაუზერების ამერიკული ბაზრის 85%-ს, 3 მლრდ. დოლარს გადააჭარბა. კომპანია „აოლ"-ის ღირებულება, რომელიც 1993 წ. შეადგენდა 268 მლნ. დოლარს, 2000 წლის დამდეგისათვის მიუახლოვდა 27 მლრდ. დოლარს.

დღესდღეობით სულ უფრო ხშირად საუბრობენ თავისებურ *ახალ ამერიკულ ეკონომიკაზე*, რომელშიც რთავენ მეცნიერებატევადი პროდუქციის გამოშვებაზე ორიენტირებულ კორპორაციებს. ახალი ეკონომიკის ცენტრში იმყოფებოდნენ საინფორმაციო კორპორაციები. უკვე 1991 წელს ამერიკულ კომპანიების ინფორმაციასა და საინფორმაციო ტექნოლოგიებზე დანახარჯებმა, რომელიც შეადგენდა 112 მლრდ დოლარს, გადააჭარბა ინვესტიციებს ძირითად ფონდებში (107 მლრდ. დოლ.). XX ს-ის ბოლოს აშშ-ში საინფორმაციო ტექნოლოგიების დახმარებით იწარმოებოდა *დამატებითი ღირებულების 3/4-ზე მეტი*, რომელიც შექმნილი იყო მრეწველობაში, ხოლო ამერიკელი მწარმოებლები აკონტროლებდნენ მსოფლიო საკომუნიკაციო ბაზრის 40%-ს, საინფორმაციო მომსახურების ბრუნვის დაახლოებით 75%-ს და პროგრამული პროდუქტების ბაზრის 4/5-ს. ახალმა ეკონომიკამ, მრავალი ექსპერტის აზრით, შეცვალა საფონდო ბაზრის ჩამოყალიბებული წესები. ახლა გადალახულია გარკვეული კრიტიკული ბარიერი, დაგროვილია ინოვაციათა მასა და წარმოიშვა საინფორმაციო-ინოვაციური აფეთქება. ყოველი ინოვაცია ქმნის წანამძღვარს ახლის შესაქმნელად და ინოვაციების ჯაჭვური რეაქციის ინდუცირებას ახდენს, სწორედ ეს განაპირობებს აშშ-ის ახალი ეკონომიკის უწყვეტ, სწრაფ ზრდას.

ამის შედეგად ჩამოყალიბდა პირობები ახალ საინფორმაციო პროდუქტებზე მოთხოვნის ლავისებური ზრდისათვის: აშშ-ში ინტერნეტში ჩართვის ტემპები, ასევე უმრავლეს განვითარებულ ქვეყნებში, 1996-1999 წლებში გაიზარდა ყოველწლიურად 60-100%-ით (აშშ-ში ჩართულთა რიცხვი 1997 წ. 1 იანვარს — 60-ზე მეტი და 1999 წ. 1 იანვარს — 115).

აშშ-ის, სადაც ვენჩორული კაპიტალი ბევად უფრო განვითარებულია, ვიდრე ევროპაში, წარმატებები გამოვლინდა XX ს-ის 90-იანი წლების დამდეგს, რის შედეგადაც დღეს აშშ-ს 15 -20 ყველაზე მდიდარი ადამიანები წარმოადგენენ კომპანიებს, რომლებიც წარმოიშვა ბოლო 10-20 წლის მანძილზე — „მაიკროსოფტ", „მერომედია", „დელ", „ინტელ", „ორაკელ", „ვია.კომ".

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ის, რომ ახალი კომპანიები თავისი ფენომენალური აღმასვლით დავალებულნი არიან ერთი ან რამდენიმე ადამიანისგან — მათი დამფუძნებლების და მფლობელებისგან, რომლებიც არ კარგავენ კონტროლს თავის შვილობილზე. ასე ბილ გეიტსი ფლობს დღეს „მაიკროსოფტ"-ის აქციების 21%-ს, რომელიც შეფასებულია 82 მილიარდ დოლარზე მეტად; მ. დელი აკონტროლებს კომპანია „დელ"-ის აქციების დაახლოებით 1/3-ს, ღირებულებით — 11 მილიარდი დოლარი; წიგნების გაყიდვაზე ორიენტირებული „ამაზონ.კომ"-ის დამფუძნებელი, ჯ. ბეზოსი ფლობს 2

მლრდ. დოლარის ქონებას; დ. ფილო და ჯ. იანგი გახდნენ მილიარდერები, იყვნენ რა თანამფლობელები არანაკლებ ცნობილი „იაჰუ"-სი, ხოლო ს. კეიზი ფლობს მის მიერ შექმნილი „აოლ"-ის მნიშვნელოვან პაკეტს, რომლის საბაზრო ღირებულება შეფასებულია 35 მლრდ. დოლარად.

ევროპაში, ისევე როგორც ამერიკაში, წარმოიშვა თავისებური *ახალი ეკონომიკა*, რომელიც ემყარება მაღალტექნოლოგიურ, საინფორმაციო-კომუნიკაციურ კორპორაციებს. ვენჩურული კაპიტალის მოცულობა იზრდებოდა რა 1973 წლიდან ევროკავშირის ქვეყნებში ყოველწლიურად 35-45%-ით, 2000 წელს მიაღწია დაახლოებით 9 მილიარდ დოლარს. 1996 წ. დაწესებულ (შემოღებულ) იქნა ევროპული საფონდო ინდექსი მაღალტექნოლოგიური კომპანიებისათვის EASDAQ, რომლის ლისტინგში იმყოფებოდა 26 კომპანია, 12 მილიარდი დოლარის საერთო ღირებულებით. ევროპული მაღალტექნოლოგიური ინდექსის ზრდა შეადგენს წელიწადში დაახლოებით 100%-ს XX ს-ის ბოლო 4 წლის განმავლობაში. მისმა გერმანულმა და ფრანგულმა ანალოგებმა — Neuer Markt და Le Nouve au Marche — მხოლოდ 1999 წლის I ნახევარში მიაღწიეს ზრდას, შესაბამისად, 145 და 95%—ით.

ინტერნეტმა არა მარტო შექმნა ახალი მიმზიდველი ობიექტები ინვესტირებისათვის, არამედ გახდა ყველაზე პერსპექტიული ინსტრუმენტი კერძო ინვესტიციების განსახორციელებლად.

გიგანტური ნაბიჯებით ვითარდება ინტერნეტი, როგორც ფინანსური ტრანსაქციების და ინვესტიციების გლობალური დანაწილებული ქსელი, რომელიც ხელმისაწვდომი ხდება მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან მინიმალური სააპარატო და პროგრამული რესურსების არსებობის პირობებში. ინტერნეტმა გაამარტივა ორდერების მიღება და უზრუნველყო სერვისის მკვეთრი გაიაფება. ქსელის საშუალებით ინვესტორებს შესთავაზეს კონცეპტუალურად ახალი ინტერაქტიური მომსახურების ნაკრები, ამასთან დღეღამის განმავლობაში. რაოდენობა გადაიზარდა ხარისხში.

ახალმა კონცეფციებმა, მოდელებმა, სტრუქტურულმა და ტექნიკურმა გადაწყვეტილებებმა მოითხოვა უფრო მოქნილი საკანონმდებლო გარემო და ახალი ნორმატიული ბაზა, რომელიც წაახალისებდა კონკურენციას ახალ სავაჭრო ფართობებს შორის. ასე მაგალითად, აშშ-ის კომპანიამ ფასიან ქაღალდებსა და ბირჟებზე გააფართოვა ბირჟის, ორდერის და სხვა საბაზო ცნებების განსაზღვრა. ამ კომპანიის კონცეფციის შესაბამისად, ბირჟა ცვლის თავის არაკომერციული პარტნიორობის ადრინდელ სტატუსს და შეუძლია მოგების გამომუშავება.

კერძო ინვესტორი თავისი საინფორმაციო და ტექნიკური აღჭურვილობის თვალსაზრისით მიუახლოვდა ბაზრის პროფესიონალ მონაწი-

ლეებს და თავისკენ მიიზიდა ბრუნვის (მიმოქცევის) მნიშვნელოვანი ნაწილი. ბოლო დროს გაჩნდა „პროფესიონალი მონაწილეების კლასი" — დღიური ტრეიდერები, რომელთათვისაც ბაზარზე მუშაობა საკუთარი ან განკარგულებაში აღებული ფულით, საქმიანობის ძირითადი სახე გახდა. შეიძლება იმის მტკიცება, რომ სწორედ კერძო ინვესტორთა ფული უწყობდა ხელს ბაზრის არნახულ აღმავლობას, უმაღლესი ლიკვიდურობის დაცვას და საინვესტიციო ეიფორიის გაფურჩქვნას ბოლო წლებში.

პოტენციური ინვესტირების რიცხვის ზრდამ მიგვიყვანა (ემიტენტის აქციათა პირველადი განაწილების) აყვავებასთან. ადრე ბაზრის ეს სექტორი სუსტად იყო განვითარებული ინვესტორთა ინსტიტუციონალური კონსერვატიზმის გამო, რომლებსაც, ინდივიდუალურთაგან განსხვავებით, არ სურთ გარისკვა და უპირატესობას ანიჭებენ მოცულობით დაბანდებებს. კერძო ინვესტორები მზად არიან გაცილებით პატარა თანხების ინვესტირება მოახდინონ მაღალრისკიან აქტივებში, რამაც გამოიწვია შემხვედრი წინადადება კომპანიის მხრიდან — მაღალი ტექნოლოგიების სექტორიდან (ტელეკომუნიკაცია, ფარმაცევტიკა, ბიოტექნოლოგია, ინტერნეტი და ა. შ.), რომელიც ეძებს ფულს ბაზარზე.

1999 წლის განმავლობაში მომხდარი შერწყმები, შთანთქმები და ტექნოლოგიური ალიანსები „ონ ლაინ" ბანკებს, ბროკერებს, სადაზღვევო კომპანიებს შორის, საშუალებას იძლევა გაფართოვდეს კლიენტთა ბაზა, ამასთან მიზნად ისახავს პროდუქტების და ინსტრუმენტების სერვისის მაქსიმალურ ინტეგრაციას, რომელიც სპეციალურად ამ სამუშაოსათვისაა შექმნილი ელექტრონულ გარემოში და ორიენტირებულია ინდივიდუალურ ინვესტორებზე. ამასთან ერთად, ერთი საიტის ჩარჩოებში ხდება „ფუნქციონალური საკმარისობის" პრინციპის რეალიზება: კლიენტს სთავაზობენ ფინანსური მომსახურების და პროდუქტების (ინვესტიციები, დაზღვევა, კრედიტები, ფულადი ანგარიშები, საინფორმაციო ნაკადი და ა. შ.) ისეთ ხარისხიან და ფართო სპექტრს, რომ, პრინციპში, მას არ სჭირდება მიმართოს სხვა რესურსებს. გარდა ამისა, კლიენტის ყველა ფინანსურ ნაკადზე ხორციელდება სრული კონტროლი, რაც მისი სამომავლო მოთხოვნების მარკეტინგული ანალიზის ჩატარების საშუალებას იძლევა.

ბაზრის „ჰიტებს" წარმოადგენენ ალტერნატიული სავაჭრო სისტემები და ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელი — ვირტუალური სავაჭრო მოედანი, რომელიც ქსელში ფუნქციონირებს და აერთიანებს ბროკერის და ბირჟის ფუნქციებს. ამასთან ტრადიციული ბროკერ-დილერები, როგორც

შუამავლები თანდათანობით კარგავენ თავიანთ მნიშვნელობას, ყველაზე უფრო სავაჭრო აქციების სექტორში, ხოლო მარკეტმეიკერები ინარჩუნებენ თავის პოზიციებს, იქ, სადაც ლიკვიდურობის მხარდასაჭერად საჭიროა საკუთარი კაპიტალის ინტერვენცია.

კონკურენციის შექმნის მიზნით ტრადიციული ბირჟებისათვის ამერიკულმა კომპანიამ ფასიან ქაღალდებსა და ბირჟებზე სპეციალური ნორმები შეიმუშავა, რომლებიც მათ საშუალებას აძლევს რეგისტრაცია მოახდინონ გამარტივებული პროცედურით. უახლოეს რამდენიმე წელიწადში ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელი შეასრულებს „კრისტალიზაციის ცენტრების“ როლს, რომლებშიც თავმოყრილი იქნება ყველაზე უფრო მიმზიდველი აქციებით ვაჭრობა. ამასთან, ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელმა გააძლიერა ბაზრის სეგმენტაციის პროცესები (კონკრეტული აქტივით ვაჭრობის თავმოყრა ერთ-ორ სავაჭრო მოედანზე, რომელიც მოცემული აქტივისათვის უზრუნველყოფს ყველაზე მეტ ლიკვიდურობას).

ახლა ყოველ ადამიანს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ინვესტიციებში გლობალური მასშტაბით. ჩვეულებრივი კომპიუტერის დახმარებით, რომელიც ჩართული იქნება ინტერნეტში, მას შეუძლია პრაქტიკულად მსოფლიოს ყველა კორპორაციის აქციების ყიდვა და გაყიდვა, მუშაობა ფიუჩერსულ ბაზრებზე: თავისი ფულის გასესხება კომპანიებისა და მთავრობებისათვის, ხოლო ობლიგაციების ყიდვით თამაში სავალუტო კურსების სხვაობაზე (Forex სისტემა). ქსელში ფულის გამომუშავებაზე თქვენ დაგეხმარებათ სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც ბაზრების ანალიზს გაგიადვილებთ. ინტერნეტში შეიძლება აგრეთვე მისი იჯარით აღება. მაშასადამე, საკმარისია გააფორმოთ თქვენს ბანკში საკრედიტო ბარათი, იპოვოთ ინტერნეტში საჭირო საიტები და თქვენ გლობალური ინვესტორი ხართ, თუმცა ფული ინტერნეტ-ინვესტიციების დროს, ისევე როგორც საერთოდ ინვესტიციებისას, შეიძლება არა მარტო იშოვოთ, არამედ დაკარგოთ კიდევაც. ასე, რომ, სიფრთხილე, ბუნებრივია, არ გაწყენთ.

6.6. ინტერნეტი და საზოგადოება

ინტერნეტი მიეკუთვნება კაცობრიობის ტექნოლოგიური აღმოჩენების მცირე რიგს (ბორბალი, ორთქლი, ელექტრობა), რომლებმაც რევოლუციურად შეცვალეს არა მარტო ეკონომიკური წყობა, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრებაც. მან ლოგიკურად დაასრულა ინფორმაციული ტექნოლოგიების (რადიო, ტელეფონი, ტელევიზია, კომპიუტერი) მთელი ოჯახის განვითარება, რამაც განაპირობა ინფორმაციული საზოგადოების შექმნა. ინტერნეტის

გარეშე არ იქნებოდა მეგაეკონომიკა, მაგრამ სწორედ ობიექტურად განპირობებულმა მსოფლიო ეკონომიკის გადასვლის პროცესმა მეგაეკონომიკაში გამოიწვია ინტერნეტის სიცოცხლისუნარიანობა.

დღეს ინტერნეტ-ეკონომიკა და ტრანსეროვნული კაპიტალი წარმოადგენენ გამარჯვებული ლიბერალიზმის სიმბოლოებს: ინტერნეტი პრაქტიკულად არავის მიერ კონტროლირდება და ვითარდება როგორც სრულიად დამოუკიდებელი სისტემა.

მოცემულ ისტორიულ ეტაპზე გაბატონებული ინფორმაციული ტექნოლოგიები მრავალმხრივ განსაზღვრავენ ხელისუფლების სტრუქტურას, მართვის ტიპსა და საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმებს. რუსეთში მეფის რეჟიმი შეირყა გაზეთების ბეჭდვის ახალი, შედარებით იაფი და სწრაფი საშუალებების განვითარების წყალობით. ბოლშევიკებს შესანიშნავად ესმოდათ ბეჭდვითი სიტყვის ძალის და ხელისუფლებაში მისვლისთანავე, პირველ რიგში, დააწესეს საბეჭდ ორგანოებზე სრული კონტროლი. ტოტალიტარული რეჟიმის კარგი მოკავშირე აღმოჩნდა კინო. იგი საშუალებას იძლეოდა მკაცრად შემოწმებული და დოზირებული იდეოლოგიის მიტანას მკვეთრი და დასამახსოვრებელი სახეების საშუალებით, მოსახლეობის ფართო მასებამდე.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების განვითარება, რადიო და ტელეარხების გაფართოების შესაძლებლობა, ვიდეომაგნიტოფონების გამოჩენა, ასევე მძლავრი და სწრაფი ასლის გადაღების ტექნიკა, ტოტალიტარულ რეჟიმებს არყევდა, რომელმაც არ იცოდა უცხო იდეოლოგიასთან ბრძოლის სხვა საშუალება, გარდა აკრძალვისა. საბოლოო ჯამში, საინფორმაციო ომი მოიგო დასავლეთმა და აღმოსავლეთ ევროპის ტოტალიტარული რეჟიმები დაემხო.

დასავლეთის დემოკრატიამ ტოტალიტარულ რეჟიმებზე უკეთ ისწავლა რადიო და ტელეარხების, როგორც საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების საშუალების გამოყენება. მათ თავიდანვე არ ეშინოდათ ამის, ნათლად ხედავდნენ რა იმას, რომ მრავალნაირი და დაუმუშავებელი ინფორმაციის სიჭარბე პრაქტიკულად მოსახლეობისათვის მისი არქონის ტოლფასია. არ არის საჭირო რაღაცით ხელისუფლებისათვის მავნე აზრის ჩახშობა, უბრალოდ მათთან ერთად კარგია მიიტანო მოსახლეობამდე კიდევ ორი ათეული სხვადასხვა და ძირითადად საწინააღმდეგო აზრი. მაშინ იგი ჩაიძირება საინფორმაციო ხმაურში და აღარ ხდება საშიში. კაპიტალი არ კრძალავს, უბრალოდ ყიდულობს მის-ებს. ერთ უვარგისზე იგი ქმნის ასობით ვარგისს.

XX ს-ის ბოლო მეოთხედში წარმოიშვა საინფორმაციო-ფინანსური ოლიგარქია, რომელიც პრაქტიკულად აკონტროლებს პლანეტის საინფორ-

მაციო და ფინანსური ნაკადების 90%-ზე მეტს. ბუნებრივია, ტყუილია, ვიფიქროთ, რომ არის პირთა რომელიღაც ჯგუფი, რომელიც ზის და წყვეტს, რა ინფორმაცია და როდის მიაწოდოს მსოფლიოს. არანაირი იატაკქვეშა, ჩრდილოვანი მსოფლიო ხელისუფლება, რომელიც საზოგადოებრივ ცნობიერებას აკონტროლებს, არ არსებობს. უბრალოდ ხელისუფლებაში მყოფ ადამიანებს, სასტიკად რომ უწევენ ერთმანეთს კონკურენციას დ თან იბრძვიან, ბევრ საკითხში ობიექტურად ერთნაირი ინტერესები და საერთო იდეოლოგიური პოზიციები აქვთ. ამ თვალსაზრისით კ. მარქსი მართალი იყო, როცა ამბობდა: „ყოფიერება განსაზღვრავს ცნობიერებას". მფლობელთა და მის-ის მენეჯერთა, ბანკების და ტეკ-ების ყოფა ძალიან მსგავსია, ამიტომაც მსგავსია მათ მიერ აღიარებული იდეოლოგიური კონცეფციები. უმრავლეს კარდინალურ საკითხზე საინფორმაციო მაგნატებს და მენეჯერებს მოლაპარაკებაც კი არ სჭირდებათ — მათ ამ საკითხებზე უკვე ჩამოყალიბებული აქვთ ერთიანი აზრი.

საზოგადოებრივი ცნობიერების მართვის მეთოდებმა, რომლებიც შემუშავდა მრავალარხიანი რადიოსა და ტელევიზიის პირობებში, დემოკრატიულ საზოგადოებებში ინტერნეტის ერის მოსვლასთან დაკავშირებით ძალიან არსებითი ცვლილებები უნდა განიცადოს. ინდივიდუალურად არჩეული ქსელური საინფორმაციო მაუწყებლობა ადამიანის საკმაოდ სრულ საბაზრო მოთხოვნათა მომსახურებასთან ერთად შეიძლება უფრო მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენდეს მასზე, ვიდრე საერთო სარგებლობის ჩვეულებრივი ტელეარხი.

კომპიუტერული ქსელების პრინციპული უპირატესობა, როგორც ახალი ნაირსახეობა მის-ებისა, არის ინფორმაციული ზემოქმედების ინდივიდუალიზირებისა და პერსონიფიცირების შესაძლებლობა, შეუწყოს ინფორმაციული ნაკადი თითოეულ მომხმარებელს და ასე, თანდათანობით გადავიდეს მისი შემეცნების მართვასა და მანიპულირებაზე. უკვე ახლა კომპიუტერული ფირმები თანდათან ქმნიან ყოველი ინდივიდუალური მომხმარებლის სახეს, სწავლობენ მის გემოვნებას, ურჩევენ, რა იყიდონ, რა ნახონ, სად დაისვენონ.

საინფორმაციო რევოლუციამ პოლიტიკოსებს ხელთ მისცა ახალი, ადრეარნახული მძლავრი საშუალებები მათი მიზნების განსახორციელებლად. „საინფორმაციო უსაფრთხოება" და „საინფორმაციო ომი" ოკულტური ცნებები გახდნენ.

სასტიკი ვარიანტის სახით საინფორმაციო ომს ჩვეულებრივ დაახლოებით ასე აღწერენ. იმპორტირებულ ქვეყანა-მოწინააღმდეგის მიერ შემოტანილ გამოთვლით ტექნიკასა და პროგრამებთან ერთად, შემოაქვთ სპე-

ციალური კომპიუტერული ვირუსი განსაზღვრულ მომენტში (საათი „X“) ან სპეციალური თანამგზავრული სიგნალით სრულიად გამოთიშავს თავდაცვითი ხასიათის ეროვნულ ქსელს, გადაკეტავს კავშირგაბმულობის და მის-ების არხებს, იწვევს ფინანსური ანგარიშების კომპიუტერული სისტემების პარალიზებას. არსებული ქაოსის ვითარებაში აგრესორის მის-ები ან ადრე დაპყრობილ ქვეყანა-მსხვერპლთა მის-ები გადასცემენ ჩვეულ არხებზე, რომ მოხდა მთავრობის შეცვლა, მაგრამ სერიალების „უბრალოდ მარია“ და „სანტა-ბარბარა“ გადაცემები კვლავ მკაცრად დაწესებული განრიგით გაგრძელდება.

ჩვენ ბედნიერება გვქონდა გვეხილა რბილი, პერმანენტული, გამარჯვებული საინფორმაციო ომის ვარიანტი ჩვენთან — რუსეთში მთელი ბოლო წლების მანძილზე.

თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები საშუალებას იძლევა შეიქმნას ადამიანის ასლი, რომელიც პრაქტიკულად არც კი განსხვავდება მისი ფოტოსურათისგან ან ვიდეოგადაღებისგან. ამასთან იგი მოძრაობს მიცემული პროგრამის მიხედვით და ლაპარაკობს იმავე ხმით. როგორი მოღვაწეობის ასპარეზი ეძლევათ ყალბისმქნელებს და კომპრომატების მაძიებელთ! თუმცა ახალი ტექნოლოგიები საშუალებას იძლევა ვიფიქროთ არა მარტო ამქვეყნიურ ამაოებაზე, არამედ სამუდამო სამყოფელზეც. სავსებით რეალურია, მაგალითად, თუმცა კი ძვირი, შექმნა კომპიუტერული ასლი თქვენი მოხუცი და ავადმყოფი ნათესავის, სანამ იმქვეყნად განისვენებდეს. მაშინ, როცა ეს მოხდება, თქვენ შეძლებთ ესაუბროთ მის კომპიუტერულ მოდელს, რომელიც წარმოდგენილი იქნება მოძრავი, ამასთან მოლაპარაკე ჰოლოგრაფიული სახით. თან ამ მოდელს ემახსოვრება ყველაფერი, რაც იცოდა გარდაცვლილმა, თქვენი წინა საუბრები, მოიქცევა ისე, როგორც იგი. ერთი სიტყვით, თითქმის სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ!

მეორე მხრივ, ფაუსტის პირადი უკვდავების პრობლემას ეპარება სხვა საინფორმაციო მეცნიერება — გენეტიკა. განცვიფრებას იწვევს პოლიტიკური, ჩვენი კრემლის პარტაპარატელთა პარტიული ალღო, რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ არ იყვნენ განათლებული ადამიანთა მეცნიერებებში, შორსმჭვრეტელურად დაინახეს მათ მიერ შექმნილი და დაცული ადმინისტრაციული სისტემის საშინელი საფრთხე კიბერნეტიკასა და გენეტიკაში. უფრო მეტიც, ჯერ კიდევ 40-იანი წლების ბოლოს საბედისწეროდ გააერთიანეს ისინი, შემდეგ კი გაუსწორდნენ ერთსაც და მეორესაც, იგრძნეს რა ამ მეცნიერებების საერთო საინფორმაციო ბუნებად შინაგანი დისიდენტური ერთიანობა.

ცხვარ დოლიზე შოტლანდიური ექსპერიმენტით დამტკიცებულია ცხოველთა გენეტიკური და, შემდგომ გარდაუვლად, ადამიანების ასლის მიღების ტექნოლოგიური სიმარტივე — ეს გენური ინჟინერიის მორიგი წარმატება კი არა, მკვეთრი მოსახვევია კაცობრიობის ცხოვრებაში. არ ჩავთვალოთ ერესად, მაგრამ მამა-ღმერთის გენეტიკური ასლის შექმნას ხომ არ მიგვანიშნებს ევანგელისტური მოთხრობა ქალწულ მარიამის უბიწო ჩასახვაზე. ეს ხომ უნიკალური „ტექნოლოგიური ილეთია", რომლის დროსაც იესო ხდებოდა გენეტიკური და ინფორმაციული ასლი თავად ღმერთის, მისი იდენტური და ერთიანი მასთან.

მაშ ასე, საინფორმაციო მეცნიერებებს შეუძლიათ შექმნან, ერთი მხრივ, კომპიუტერული და მეორე მხრივ — ადამიანის ზუსტი, გენეტიკური, მატერიალური ასლი. რჩება შევუბეროთ სულს სხეულში და...

როცა იწყებ ფიქრს კაცობრიობის შემდგომ ბედზე, ადვილად დგები ადამიანის ტრადიციულ, შაბლონურ სახეზე, ჯადოსნური ლამპარით ხელში. მაგრამ იგი უკვე წარმოგვიდგება არა დაუფიქრებელ ყმაწვილ ალადინად „ათას ერთი ღამიდან", არამედ როდენისეულ მოაზროვნედ, დინჯად რომ ფიქრობს, როგორ გამოიყენოს გონივრულად ლამპარში გამომწყვდეული ჯინის ძალა. ხოლო ჯინი, უკვე თავისუფალი და ძლიერი, მხრიდან ინტერესით უყურებს დახავსებულ და დიდი ხნის წინ დაცარიელებულ ჭურჭელს.

ბოლო ორ. თავში ნათქვამი რომ განვაზოგადოთ, შეიძლება დავასკვნათ:

1. ინტერნეტ-ეკონომიკა გახდა ახალი საინფორმაციო ინდუსტრიის ყველაზე დინამიკური სექტორი. უკვე დღეს არსებობს ინტერნეტ-ვაჭრობა, ინტერნეტ-რეკლამა, ინტერნეტ-ბირჟები, ინტერნეტ-ბანკები, ინტერნეტ-ინვესტიციები. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პრაქტიკულად ეკონომიკური და ფინანსური საქმიანობის ყველა ძირითადმა სახემ შეძლო დაეწყო კომპიუტერული ქსელების შესაძლებლობების გამოყენება.

2. ინტერნეტი და სხვა საინფორმაციო ტექნოლოგიები ახდენენ მძლავრ ზეგავლენას არა მარტო ეკონომიკაზე, არამედ საზოგადოებაზეც. ისინი თანდათან აყალიბებენ ადამიანთა ახალ, ცივილიზაციურ იდენტურობას, რომლებიც ცხოვრობენ ძირითადად განვითარებულ ქვეყნებში, მსხვილ ქალაქებში და ყველგან მწარმოებლურ საქმიანობაში და ყოფაში იყენებენ ახალ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს.

თავი 7

მეგაეკონომიკის სატრანსპორტო არტერიები

ტრანსპორტის ისტორიიდან. სატრანსპორტო სისტემის სტრუქტურა. საზღვაო ტრანსპორტი — მთავარი. ძველი კეთილი რკინიგზები. ავტომობილები, ავტომობილები... საჰაერო ტრასები. სამდინარო გზები. სატრანსპორტო ტენდენციები და პერსპექტივები

ტრანსპორტი — ეკონომიკის სისხლი
ვ.ი. ლენინი

მეგაეკონონომიკაში ტრანსპორტზე საუბრისას შეუძლებელია თავი ავარიდოთ უკვე ბანალურად ქცეულ ლენინისეულ შედარებას ტრანსპორტისა სისხლძარღვთა სისტემასთან. მართლაც, თუ საინფორმაციო კომპლექსი ასოცირდება რთული და ერთიანი ორგანიზმის — მეგაეკონომიკის ნერვიულ სისტემად, მაშინ ტრანსპორტი უდავოდ ასრულებს იგივე როლს, რომელსაც ცოცხალ ორგანიზმში თამაშობენ სისხლის და ლიმფომომარაგების სისტემები. მეგაეკონომიკის არანაირ ერთიანობაზე არ შეიძლებოდა ყოფილიყო საუბარი, რომ არა გლობალური სატრანსპორტო ტექნოლოგიები, რომლებიც საკმაოდ სწრაფად და აუცილებელი რაოდენობით გადაისვრიან მატერიალურ რესურსებს და საქონელს პლანეტის ნებისმიერ წერტილში, სადაც საბაზრო საინფორმაციო სიგნალების თანახმად, მათი საჭიროება ჩნდება. სწორედ ტრანსპორტი უზრუნველყოფს მეგაეკონომიკის მატერიალურ გამოძახილს მოწოდებულ საინფორმაციო სიგნალზე.

7.1. ტრანსპორტის ისტორიიდან

ვინაიდან ბაზარი — ეს უპირველეს ყოვლისა გაცვლითი ურთიერთმოქმედებების ორგანიზაციაა, ხოლო გაცვლისათვის კი ყოველთვის აუცილებელია ტრანსპორტი, ამიტომ ტრანსპორტი ალბათ, ბაზართან ერთად, კაცობრიობის ცივილიზაციის განთიადზე წარმოიშვა. როგორც ცნობილია, ადამიანის უდიდესი სატრანსპორტო გამოგონება — ბორბალი — არ ექვემდებარება ზუსტ დათარიღებას. როგორც ვარაუდობენ, ბორბალი და მასთან ერთად სახმელეთო ტრანსპორტი ჩვენს ერამდე დაახლოებით IV ს-ში გაჩნდა. ყოველ შემთხვევაში

ეგვიპტის, მესოპოტამიის და ჩინეთის ძველი ცივილიზაციებისათვის იგი უკვე ცნობილი იყო. მაგრამ ამერიკაში კონკისტადორების მისვლამდე ბორბლიანი ოთხთვალები საერთოდ არ იცოდნენ, შესაძლებელია იმიტომაც, რომ იქ ცხენებიც არ იყო. ყველაზე საოცარი ამ გენიალურ აღმოჩენაში ისაა, რომ ბორბალს პირდაპირი პროტოტიპი ბუნებაში არ გააჩნია. ცოცხალი ბუნების ევოლუციამ ვერ შეძლო ეპოვა ეს საოცრად ეფექტიანი გადაადგილების საშუალება. ზოგიერთი მინიშნება მსგავს გადაადგილებაზე თითქოსდა მოისინჯება ბურბურასთან, ზღარბთან და სხვა გორაობით მოძრავ მცენარეთა და ცხოველთა შორის. მაგრამ გადაადგილების ამგვარი საშუალება მათთვისაც კი ძირითადად გამონაკლისს წარმოადგენს და მაინც ძალიან შორსაა ბორბლის მოწყობილობისაგან. ასე რომ, ამ უნიკალური კონსტრუქციის შექმნის პატივი პრაქტიკულად მთლიანად ადამიანს ეკუთვნის.

სხვა ფუძემდებლურ სატრანსპორტო გამოგონებად იქცა ნიჩაბი და იალქანი. აქ, რა თქმა უნდა, ადამიანი ბაძავდა ბუნებას. მსგავს მოწყობილობებს იყენებს ბევრი მცენარე თესლის გადასატანად, ხოლო ცხოველები — მოძრაობისას, ამ გამოგონებების შემდეგ მდინარეები და ზღვები უკვე აერთებდნენ და არ ჰყოფდნენ ცალკეულ დასახლებებს და ქვეყნებს, თუმცა კი კაცობრიობას დასჭირდა არაერთი ათასი წელი, რათა ესწავლა იალქნის ირიბად დაყენება და მოძრაობა ქარის საპირისპიროდ. მხოლოდ ამის შემდეგ აითვისა ადამიანმა სავსებით წყლის სტიქია.

ეგვიპტური გემები 5000 წლის წინ დიდ საზღვაო გადასვლებს ახორციელებდნენ. ცნობილი ნორვეგიელი მოგზაურის, ტერ ჰეიერდალის, ექსპერიმენტულმა გემმა „რა"-მ, რომელიც გაკეთებული იყო ძველეგვიპტური გემების მსგავსად პაპირუსისაგან, 54 დღის განმავლობაში გადალახა საოკეანო გზის 2700 მილი. მანძილი აფრიკიდან ამერიკამდე კი შეადგენს მხოლოდ 1600 მილს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ტექნიკურად უძველეს მოგზაურებს შეეძლოთ ახალი სამყაროს აღმოჩენა კოლუმბამდე ათასწლეულობით ადრე.

ზოგიერ უძველეს იმპერიას შესანიშნავი სახმელეთო სატრანსპორტო კომუნიკაციები ჰქონდა. მაგალითად, დაახლოებით 2000 კმ-ის ძველი სპარსელების „სამეფო" გზა შესანიშნავად იყო მოწყობილი. შიკრიკებს, რომლებიც ერთმანეთს ყოველ 2–3 კმ-ზე სპეციალურ სადგურებში ცვლიდნენ, შეეძლოთ მთელი ამ გზის დაფარვა სულ რაღაც 50 საათში, ავითარებდნენ რა დაახლოებით 40 კმ/სთ საშუალო სიჩქარეს.

კავშირის სხვა საშუალებების უქონლობის პირობებში, გზები აერთებდა იმპერიის სხვადასხვა ბოლოებს და უზრუნველყოფდა მათ ერთიანობას. ეს შესანიშნავად ესმოდათ რომაელებს, რომელთაც შეძლეს ძველი მსოფლიოს

უდიდესი იმპერიის შექმნა. გზები გადიოდა რომის ყველა სამფლობელოზე და იმპერატორი იპყრობდა რა ახალ პროვინციას, პირველ რიგში იწყებდა ახალი გზების მშენებლობას. გზების მონუმენტალობითა და საიმედოობით ხდებოდა რომის სიდიადის და სიმძლავრის უზრუნველყოფა. ისინი შესაძლებლობას აძლევდნენ ეფექტიანად გამოეყენებინათ სხვადასხვა პროვინციის შედარებითი უპირატესობანი ვაჭრობის ორგანიზებისათვის, აერთიანებდნენ უზარმაზარ ქვეყანას ერთ საერთო მეურნეობად და ნებისმიერ ამინდში საოცრად მობილურ, მაგრამ შედარებით მცირერიცხოვანი იმპერიის ლეგიონებს სწრაფად გადაადგილების საშუალებას აძლევდნენ. მარადიული ქალაქის ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე შესანიშნავი გზები მეომრებს აძლევდა დროულად მისვლის და მოულოდნელი შეტევის მიტანის საშუალებას. ზოგიერთი გზა დღემდე შემონახულია, ისინი აღფრთოვანებას იწვევს შთამომავლობაში და ეკონომიკის და ტრანსპორტის ორგანიზაციის შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენენ.

გზები ყოველთვის ვაჭრობის საფუძველი იყო. ისინი აერთებდნენ ქვეყნებს და რეგიონებს. დიდი აბრეშუმის გზა ჩინეთიდან შუა აზიაში გადაჭიმული იყო თითქმის 7000 კმ-ზე,. ხოლო დიდ ჩინურ კედელს, რომელზეც თავისუფლად გაივლიდა გვერდიგვერდ ორი ოთხთვალა, დაახლოებით 4000 კმ სიგრძე ჰქონდა. სავაჭრო გზები არა მარტო აერთიანებდნენ ქვეყნებს, არამედ ქმნიდა კიდეც მათ. მაგალითად, კიევის რუსეთი „ვარიაგებიდან ბერძნებში“ სავაჭრო გზის სასიკეთო გავლენით წარმოიქმნა, იგი ხელს უწყობდა ძველი რუსეთის ეკონომიკის გაერთიანებას და სლავური ტომების საბრძოლო ძალების შეკავშირებას.

> ეკონომიკურ ისტორიაში შეიმჩნევა მკაფიო კანონზომიერება — რაც უფრო უკეთესია ეკონომიკის მდგომარეობა, მით უკეთესია გზები და, პირიქით.

მაგალითად, შუასაუკუნეებში ეკონომიკა დეგრადაციას განიცდიდა და გზები დაინგრა. ჩვენი ქვეყნის მრავალი უბედურება ხდებოდა და ხდება კარგი გზების უქონლობის გამო. როგორ არ ვახსენოთ აქ გოგოლის რუსეთის ორი უბედურება, რომელთა შორის, მართალია, გზები მეორე ადგილზეა, მაგრამ ქვეყანას არანაკლებ ზიანს აყენებდნენ, ვიდრე სულელები. თავად რუსული სამცხენა წარმოადგენდა რუსული ხასიათის არა მარტო თავისუფლების და სიმამაცის სიმბოლოს, არამედ რუსული უგზოობისაც, როცა უცნობია, სად მთავრდება გზა და იწყება სტეპი.

ევროპული აღორძინება და ახალი დროის ევროპის ძირითადი კონკურენტული უპირატესობა აგრეთვე დაკავშირებული იყო ნაოსნობის განვი-

თარებასთან, ამერიკასა და შორეულ აღმოსავლეთში საზღვაო გზების აღმოჩენითა და ათვისებით. გლობალურ ეკონომიკაში საზღვაო ტრანსპორტი კვლავ ძირითადად რჩება. თუმცაღა უკვე უახლეს დროში მნიშვნელოვანი როლის შესრულება დაიწყო სარკინიგზო, საავტომობილო, საჰაერო და ბოლოს მილსადენი ტრანსპორტის სახეებმა. თითოეულ მათგანს აქვს წარმოშობის და განვითარების საკუთარი ისტორია.

7.2. სატრანსპორტო სისტემის როლი და სტრუქტურა

სატრანსპორტო სისტემა უზრუნველყოფს წარმოების ყველა სტადიის ურთიერთკავშირს და საქონლის რეალურ გადაადგილებას მწარმოებლიდან მომხმარებლამდე. ტრანსპორტის განვითარებაზე ძირეულად არის დამოკიდებული წარმოების განთავსება. მაგალითად, ნედლეულის გადამმუშავებელი ცენტრები, ბუნებრივია, ისწრაფვიან მისი წარმოების რაიონებისკენ, საბადოსკენ, ენერგიატევადი წარმოების ცენტრები (ალუმინის მრეწველობა და ა. შ.) — რეგიონებისაკენ, რომელთაც აქვს იაფი ენერგია, საამწყობრო წარმოება — საზღვაო პორტებისკენ და სარკინიგზო კვანძებისაკენ, სადაც სხვადასხვა დეტალისა და შემადგენელი ნაწილის იოლად მიტანა შეიძლება.

ყოველი ახალი წარმოების განთავსებისას საჭირო ხდება საკითხის გადაჭრა: რა უფრო იაფი იქნება, მივუახლოვოთ მას ყველა აუცილებელი ნედლეული, თუ წარმოება ნედლეულის წყაროსთან მივიტანოთ? ამ საკითხის გადაწყვეტის დროს მნიშვნელოვან როლს თამაშობს სამუშაო ძალის მობილურობა. სამწუხაროდ, ყოველ ისტორიულ-ეკონომიკურ სიტუაციაში როდია იგი მზად გადაინაცვლოს ნედლეულის წყაროსთან. 30—იან წლებში საბჭოთა ინდუსტრიალიზაციის პერიოდში, შესაძლებელი გახდა შექმნილიყო მოსახლეობის ენთუზიაზმის საკმაოდ მაღალი პოტენციალი, რომელმაც საშუალება მისცა განეხორციელებინათ მასობრივი გადასახლება ციმბირის და შორეული აღმოსავლეთის რაიონებში, აეშენებინათ უმდიდრეს საბადოებთან ახლოს ახალი დიდი ქალაქები. (ენთუზიასტთა ნაკადის პარალელურად ამ მხარეებში მიემართებოდა უსაქმურების არანაკლები ნაკადი). წარმოების ასეთი განლაგების გამო აუცილებელი გახდა განეხორციელებინათ უზარმაზარი მოპოვებული და ნაწილობრივ გადამუშავებული ნედლეულის გადაზიდვები ქვეყნის ევროპული ნაწილის სამრეწველო ცენტრებსა და ურალში, ხოლო შემხვედრი ნაკადები სურსათით და ცხოვრებისათვის ყველა აუცილებელი საგნით მიემართებოდა ციმბირსა და ჩრდილოეთში.

სსრკ თავისთავად წარმოადგენდა მსოფლიო ეკონომიკაში ქვეყნის საოცარ მაგალითს, რომლის ეკონომიკა გადამწყვეტი ხარისხით დამოკიდე-

ბული იყო შორეულ სარკინიგზო გადაზიდვებზე. ჩვენს ქვეყანაში ჩამოყალიბდა რკინიგზის ხაზების უნიკალური მონოცენტრული სისტემა, რომელიც საერთო სიგრძით 2-ჯერ მცირე იყო აშშ-ის პოლიცენტრულ სარკინიგზო სისტემაზე და, მიუხედავად ამისა, გადაჰქონდა 3-ჯერ მეტი ტვირთი. ეს ფაქტი რატომღაც იწვევდა მუდმივ გულის აჩუყებას ჩვენს ტრანსპორტელებში და, რაც გასაკვირია, ეკონომისტებშიც. ამავე დროს ნათელია, რომ მოცემული შესანიშნავი მიღწევა ძირითადად დაკავშირებულია ტვირთის მნიშვნელოვანი ნაწილის მიტანის აუცილებლობასთან ჯერ მოსკოვამდე ან სხვა სატრანსპორტო ცენტრამდე და შემდეგ კი დანიშნულების ადგილამდე. მონოცენტრული სისტემის დროს ბევრ რეგიონს შორის უბრალოდ არ იყო პირდაპირი სატრანსპორტო კავშირი. ამ სისულელეს გადაზიდვების საოცარი სიიაფე ამსუბუქებდა.

როგორც კი დაიწყო საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა და ტარიფები ნელ-ნელა მიუახლოვდა რეალურ თვითღირებულებას, ქვეყნის ეკონომიკამ რღვევა იწყო. ახლა, საბაზრო ძალების გავლენით, თანდათან მიმდინარეობს ჩრდილოეთიდან მოსახლეობის უკუდენა, ძნელადმისასვლელ რაიონებში ბევრი არაეფექტიანი წარმოება იხურება და დატვირთვა ტრანსპორტზე მცირდება. ეს მაგალითი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებიდან გვიჩვენებს, თუ რამდენად მძლავრი შეიძლება აღმოჩნდეს ტრანსპორტის გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე და შედარებით მცირე ცვლილება გადაზიდვების ფასში როგორ უეცრად ცვლის წარმოების და მოსახლეობის განლაგების საერთო სურათს.

თუკი სსრკ-მა ადმინისტრაციულ-გეგმური სისტემის პირობებში შეძლო ერთიანი სამეურნეო ორგანიზმის შექმნა 11 საათიან სარტყელებზე, მტკიცე გადაწყვეტილებით შეამცირა რა ხელოვნურად სატრანსპორტო დანახარჯები, მსოფლიო ეკონომიკა იმავე გადაწყვეტილებისაკენ მიდიოდა ევოლუციური გზით.

> XX ს-ის განმავლობაში სატრანსპორტო დანახარჯები რეალურ გამოხატულებაში 12-ჯერ შემცირდა და სწორედ ამან მისცა საშუალება მსოფლიო ეკონომიკას გამხდარიყო ერთიანი ორგანიზმი, მეგაეკონომიკა.

საბჭოთა ეკონომიკისაგან განსხვავებით, მეგაეკონომიკა, რომელიც ბევრად დამოკიდებულია სატრანსპორტო გადაზიდვების სიიაფეზე, მივიდა თავის ამჟამინდელ მდგომარეობასთან წარმოების განთავსების საუკუნოვანი ევოლუციის ოპტიმიზაციის გზით, რომელიც ფაქიზად რეაგირებდა სატრანსპორტო სისტემაში ტექნოლოგიურ და ეკონომიკურ ცვლილებებ-

ზე. ამიტომ, განსხვავებით საბჭოთა ეკონომიკისაგან, ევოლუციური გზით ნაპოვნი და დანახარჯთა ეკონომიკაზე დაფუძნებული მეგაეკონომიკის მდგომარეობა აღმოჩნდა სავსებით მდგრადი და უნარიანი შემდგომი ევოლუციური განვითარებისათვის.

რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის ზომები და გეოგრაფიული მდებარეობა. თუმცა, როგორც წესი, რაც უფრო განვითარებულია ქვეყანა, მით ნაკლები წილი უკავია მის მშპ-ში ტრანსპორტს. განვითარებულ ქვეყნებში ტრანსპორტის წილი მშპ-ში მერყეობს 4-დან 7%-მდე, ხოლო განვითარებადში — 6-დან 15%-მდე. მსოფლიო მშპ-ში ტრანსპორტის წილი შეადგენს დაახლოებით 6%—ს.

სტრუქტურულად ტრანსპორტი იყოფა *საერთო და არასაერთო მოხმარების ტრანსპორტად.* ამ უკანასკნელს კი მიეკუთვნება შიდასაფირმო სატრანსპორტო ქსელები, ყოველგვარი მისასვლელი გზები, შიდასაქარხნო ავტოტრანსპორტი და ა. შ. როგორც წესი, სტატისტიკა აპელირებს საერთო მოხმარების ტრანსპორტის მაჩვენებლებით, თუმცა სატრანსპორტო სისტემის მეორე შემადგენელი არცთუ ისე მცირეა. საკმარისია ითქვას, რომ რუსეთში მისასვლელი გზების შეჯამებული სიგრძე აჭარბებს საერთო მოხმარების რკინიგზების ხაზების სიგრძეს. ვინაიდან აბსოლუტური მკაფიო საზღვრის გავლება საერთო და არასაერთო ტრანსპორტს შორის ძალიან ძნელია, სტატისტიკურ მონაცემებს უნდა მოვეპყროთ განსაკუთრებული სიფრთხილით და არ მოვახდინოთ მისი სიზუსტის გაფეტიშება.

სტატისტიკური მონაცემების სიზუსტის შესახებ გაკეთებული შენიშვნა ეხება არა მარტო ტრანსპორტს, არამედ იგი ატარებს საკმაოდ ზოგად ხასიათს. ეკონომიკის შესწავლისას საჭირო არის დავექვემდებაროთ ზუსტი ციფრების მაგიას. ეკონომიკური ინფორმაციის დიდი ნაწილი საკმაოდ პირობითია და არაზუსტი, ჯერ იმიტომ, რომ პირველადი ინფორმაციის შეკრების მექანიზმები მკაფიოდ არა განსაზღვრული, ხოლო სხვადასხვა მაჩვენებლის შემადგენლობა სხვადასხვაგვარად გაიაზრება სხვადასხვა სტატისტიკური სკოლის მიერ. პირველადი ინფორმაციის წესები ასევე შორსაა მკაფიობის, ერთგვაროვნებისა და სრულყოფისაგან. ამიტომ მიკრომაჩვენებლებში პირველადი ინფორმაციის შეცდომები გროვდება და ძლიერდება. ამასთან, ობიექტურ მიზეზებს, რომლებიც სტატისტიკური ინფორმაციის უზუსტობას განაპირობებენ, ემატება სუბიექტური ხასიათის დამახინჯებები. სტატისტიკა ყოველთვის იმყოფება მისი შემნახავი ხელისუფლების ორგანოების სამსახურში, ამიტომ არ შეიძლება იყოს სრულიად დამოუკიდებელი და ობიექტური. სამწუხაროდ, ძალიან ბევრ ქვეყანაში, ჩვენი ქვეყნის ჩათვლით, მას უხდება განსაზღვრული სოციალური დაკვეთების შესრულება. მსოფლიო ეკონომიკის შესახებ მთლიანობაში

საერთო მონაცემების მიღება და ცალკეული ქვეყნების მაკრომაჩვენებლების შედარება გაძნელებულია ეროვნული სტატისტიკური სისტემების სხვადასხვაობით. თუმცა ეს სხვაობა თანდათან მცირდება გაეროს ორგანოების ქმედითი მოღვაწეობის შედეგად, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ დიდია და საერთაშორისო შედარებანი თავისთავად წარმოადგენენ ეკონომიკური მეცნიერების მნიშვნელოვან და რთულ დარგს. ყოველივე ეს იმიტომ კი არ ითქმის, რომ დავამდაბლოთ სტატისტიკური ინფორმაციის მნიშვნელობა, უბრალოდ მნიშვნელოვანია გამოვიმუშაოთ სწორი და აწონილ-დაწონილი დამოკიდებულება ეკონომიკური მაჩვენებლების მიმართ. ჩვეულებრივ ძირითადი ფასეულობა გააჩნია არა მათ აბსოლუტურ მნიშვნელობას, არამედ შედარებით მნიშვნელობებს ანალოგიური მაჩვენებელების რიგში დარგების, ქვეყნების და რეგიონების მიხედვით; ასევე დროებით ცვლილებებს, რომლებიც საერთო ტენდენციებს გვიჩვენებენ. სწორედ სტრუქტურულ თანაფარდობებსა და ტენდენციებზე შევეცდებით თქვენი ყურადღების გამახვილებას მეგაეკონომიკის შესწავლისას.

ამასთანავე ცალკეული მკაფიო ციფრის დამახსოვრება, რომელიც დარგზე საერთო წარმოდგენას გვიქმნის, შეიძლება ფრიად სასარგებლო იყოს. ასეთი ციფრების ერთობლიობა შემეცნებაში ეკონომიკური სისტემის საერთო სურათს თანდათან ქმნის, რომელიც საშუალებას იძლევა იოლად ჩავეწეროთ მასში და სწრაფად შევაფასოთ ხელახლა მიღებული ინფორმაცია.

მაგრამ დავუბრუნდეთ ტრანსპორტს. აქ სასარგებლოა დავიმახსოვროთ, რომ

> ყოველწლიურად მსოფლიოში გადააქვთ დაახლოებით 100 მლრდ ტ ტვირთი და გადაჰყავთ 1 ტრლნ მგზავრი. ახლა დედამიწის ყოველ მცხოვრებზე მოდის 15-16 ტ სხვადასხვაგვარი საქონელი, რომელიც აუცილებელია გადავიტანოთ საშუალოდ 850-900 კმ-ზე. ამ სამუშაოს ასრულებს 40 ათასი საზღვაო გემი, 200 ათასი ლოკომოტივი, 700 მლნ ავტომობილი და 10 ათასზე მეტი სამგზავრო და სატრანსპორტო თვითმფრინავი.

მსოფლიო ვაჭრობა აგრეთვე აყალიბებს საკმაოდ მნიშვნელოვან ტვირთნაკადებს. მათი შეჯამებული მოცულობა კონტინენტთაშორის შეტყობინებაში ამჟამად შეფასებულია 4 მლრდ. ტ. 70-იანი წლების ბოლოს იგი რამდენადმე მაღალი იყო. მისი შემცირება, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია ენერგომატარებლების და ნედლეულის საერთაშორისო გადაზიდვების შემცირებასთან.

სატრანსპორტო სისტემის მდგომარეობა მჭიდრო კავშირშია ადამიანთა მობილურობასთან. კერძოდ, მსოფლიო სამგზავრო ტრანსპორტის გლობალიზაცია ძირითადად ტურიზმით და ქვეყანათშორის სამგზავრო გადაზიდვებზე მოთხოვნის რევოლუციური ზრდით არის განპირობებული.

XX ს-ის განმავლობაში მობილურობა, რომელიც იზომება როგორც ადამიანის საშუალო გადაადგილება წელიწადში, ამერიკელებში გაიზარდა 30-ჯერ, ხოლო დასავლეთ ევროპის მცხოვრებლებში — 20-ჯერ. იგი მკაფიო თანამიმართებაშია ქვეყნის განვითარებასთან. ყველა განვითარებული ქვეყნისათვის დამახასიათებელია მოსახლეობის მაღალი მობილურობა, ხოლო სუსტადგანვითარებულ ქვეყნებში ადამიანთა საშუალო გადაადგილება არ აჭარბებს 3–4 კმ-ს დღეში.

გარდა საერთოეკონომიკურისა, ყოველი დარგის ფუნქციონირება შეფასებულია მისთვის დამახასიათებელ სპეციფიკურ მაჩვენებლებში. ტრანსპორტისათვის, გადატანილი ტვირთის რაოდენობის გარდა, ასეთ მაჩვენებლებს მიეკუთვნება სატრანსპორტო გზების საერთო სიგრძე და სინთეზური მაჩვენებელი — *ტვირთბრუნვა, გაზომილი ტონა-კილომეტრებში* (ტკმ) და ტოლი გადატანილი ტვირთის მოცულობის წარმოებისა გადაზიდვის სიშორეზე (მანძილზე). ქვეყნის განვითარების მნიშვნელოვან მაჩვენებელს წარმოადგენს *ტრანსპორტტევადობა*, რომელიც ტოლია ტვირთბრუნვის მიმართებისა მშპ-სთან. განვითარებულ ქვეყნებში ტრანსპორტტევადობა საშუალოდ ტოლია 0,8 ტკმ/დოლ.-ისა, გარდამავალი ეკონომიკის მქონე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში — დაახლოებით 1,5, ხოლო რუსეთში — 5,3 ტკმ/დოლ. (სამართლიანობისათვის შევნიშნავთ, რომ ტრანსპორტტევადობის საკმაოდ მაღალ მნიშვნელობას ედება რუბლის შემცირებული კურსი დოლართან მიმართებაში).

> დარგობრივი სტრუქტურის ანალიზის დროს ტრანსპორტს ყოფენ სარკინიგზოდ, საავტომობილოდ, შიდა საწყალოსნოდ, საზღვაოდ, მილსადენების (ნავთობ და გაზგამტარი) და საჰაეროდ.

მათ საფუძველს შეადგენს სატრანსპორტო ქსელი (ცხრ. 7.1.), რომელიც ეკონომიკის ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს.

ცხრილიდან ჩანს, რომ რკინიგზის ხაზების სიგრძე და შიდა სამდინარო ტრანსპორტის განფენილობა დასტაბილურდა, იმ დროს, როცა სხვა სატრანსპორტო დარგის ქსელი საკმაოდ სწრაფად იზრდება. აშშ-სა და დასავლეთ ევროპაში სარკინიგზო ხაზების სიგრძე მცირდება კიდეც. ვინაიდან ავტოტრანსპორტის მხრივ კონკურენცია ძალიან ძლიერია, სატრანსპორტო ქსელში პრევალირებს არა რაოდენობრივი, არამედ ხარისხობრი-

ცხრილი 7.1.

მსოფლიო სატრანსპორტო ქსელი, ათას კმ

მიმოსვლის გზების სახე	1950	1970	2000
რკინიგზა	1320	1340	1250
ავტოგზები	15540	19700	28000
სანაოსნო მდინარეები და არხები	560	525	550
ნავთობ- და პროდუქტსადენები	175	395	760
მაგისტრალური გაზსადენები	186	545	1200
საჰაერო გზები	3300	5510	10500

ვი ცვლილებები — ხდება სარკინიგზო ხაზების ელექტროფიცირება, იზრდება საავტომობილო გზების სიგრძე, მყარი ზედაპირის და დიდი დიამეტრის მილსადენების ქსელის განფენილობა. რა თქმა უნდა, სატრანსპორტო ქსელის განაწილება ქვეყნების მიხედვით საოცრად არათანაბარია. მაგალითად, ავღანეთსა და ნეპალში რკინიგზა საერთოდ არაა.

აგრეთვე საკმაოდ სწრაფად იცვლება ტრანსპორტის დარგობრივი სტრუქტურა ტვირთბრუნვის მიხედვით (ცხრ. 7.2).

ცხრილი 7.2.

ტვირთბრუნვის სტრუქტურის დინამიკა, %-ში

ტრანსპორტის სახეები	1950	1970	1990	2000
სარკინიგზო	30,8	18,9	16,0	14,3
საავტომობილო	7,5	8,0	8,3	10,2
შიდა საწყალოსნო	5,6	3,0	2,8	2,9
საზღვაო	51,9	62,8	62,1	60,5
მილსადენის	4,4	7,3	10,8	11,5
საჰაერო	0,1	0,1	0,1	0,2
გადაზიდვების მოცულობა (ტრლნ ტკმ)	6,8	28,9	45,8	49,5

წყარო: UN Statistical Yearbook. — 2000.

ტვირთბრუნვაში ყველაზე მეტი შესამჩნევი ცვლილებები ხდება სარკინიგზო და მის მთავარ კონკურენტ — საავტომობილო ტრანსპორტს შორის. თუკი 1950 წელს მათი ტვირთბრუნვის თანაფარდობა 4:1-ზე მეტი იყო, რკინიგზის სასარგებლოდ, ახლა იგი შეადგენს დაახლოებით 1, 5:1. ავტოტრანსპორტს პირველი ადგილი უკავია გადაზიდული ტვირთების საერთო მასის მიხედვით, ხოლო ტვირთბრუნვით ლიდერობას განაგრძობს საზღვაო ტრანსპორტი, რომლის წილად ტვირთბრუნვის 60%—ზე მეტი მოდის. მისი ლიდერობა აიხსნება საზღვაო გადაზიდვების მაღალი საშუალო სიშორით, რომელიც აჭარბებს 7 ათ. კმ-ს.

რამდენადმე სხვაგვარად გამოიყურება სამგზავრო ტრანსპორტის განვითარების სტრუქტურა და დინამიკა (ცხრ. 7.3), რომელიც გამოხატულია მგზავრ-კილომეტრებში.

ცხრილი 7.3.

მსოფლიო ტრანსპორტის ტვირთბრუნვის დინამიკა
და სტრუქტურა, %-ებში

ტრანსპორტის სახეები	1950	1970	1980	2000
სარკინიგზო	25,6	15,2	11,9	9,6
საავტომობილო	71,4	77,2	79,0	80,3
შიდა საწყალოსნო	0,6	0,6	0,4	0,4
საზღვაო	0,8	0,3	0,3	0,3
საჰაერო	1,2	6,7	8,5	9,3
გადაზიდვების მოცულობა (ტრლნ მგზავრ. კმ)	2,5	8,0	14,2	19,1

წყარო: UN Statistical Yearybook. — 2000.

ამ მაჩვენებლის თანახმად, უდავოდ, პირველობს საავტომობილო ტრანსპორტი, ძირითადად კერძო სარგებლობის ავტომობილების ხარჯზე. სწრაფად იზრდება საჰაერო ტრანსპორტით გადაზიდვების მოცულობა, ხოლო სარკინიგზო სამგზავრო ტრანსპორტი რამდენადმე ამცირებს თავის სამგზავრო გადაზიდვების წილს.

ტრანსპორტი ტრადიციულად ითვლება ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვან სფეროდ, რომელიც ჩვეულებრივ აკონტროლებს და მეურვეობს ამ დარგს. ტრანსპორტის წილად მოდის მსოფლიოს ძირითადი ფონდების დაახლოებით 20%.

მსოფლიო სატრანსპორტო სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილი, განსაკუთრებით რკინიგზა, სახელმწიფო საკუთრებაში იმყოფება. სახელმწიფო ტრანსპორტზე კონტროლით თავის ეკონომიურ ძალაუფლებას აფართოებს და არჩეულ ეკონომიკურ პოლიტიკას ახორციელებს. ტრანსპორტის განვითარებისათვის ფართოდ იყენებენ სახელმწიფო ინვესტიციებსა და სხვადასხვაგვარ სუბსიდიებს. თუმცა ტრანსპორტში სახელმწიფო ინვესტიციების წილი ბოლო 10 წლის მანძილზე რამდენადმე შემცირდა, ხოლო განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში იგი ჯერ კიდევ 50%-ის დონეზეა. მაგალითად, აშშ-თვის იგი შეადგენს 53%-ს, ხოლო გფრ-თვის — 45%—ს. ამასთან სახელმწიფო ფულს ძირითადად აბანდებს მუდმივი მოწყობილობების განვითარებაში (70-90%), ხოლო კერძო კომპანიები — სატრანსპორტო საშუალებების პარკში. ბევრ ქვეყანაში (ბელგია, ნიდერლანდები და სხვ.) საქალაქო ტრანსპორტი თითქმის სრულიად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ.

არ უნდა ვიფიქროთ ისე, თითქოს საერთაშორისო ტრანსპორტი როგორღაც გამოყოფილია ეროვნულისაგან. საერთაშორისო გადაზიდვებს ძირითადად ახორციელებენ იგივე ეროვნული კომპანიები, თუმცა უკვე გამოჩნდნენ კომპანიები, რომლებიც სპეციალიზებული არიან განსაკუთრებით საერთაშორისო გადაზიდვებზე.

საერთაშორისო გადაზიდვებს სამართლებრივ სფეროთი დაახლოებით 100 საერთაშორისო ორგანიზაცია[1] *უზრუნველყოფს.* გაეროს სატრანსპორტო პოლიტიკის საფუძვლები მიღებული იყო 1980 წელს 35-ე სესიაზე. ამ პოლიტიკის გატარებაზე პასუხს აგებენ გაეროს რეგიონალური კომისიები (ევროპის ეკონომიკური კომისია, დას. აზიის ეკონომიკური კომისია, აფრიკის ეკონომიკური კომისია, ლათინური ამერიკის ეკონომიკური კომისია), აგრეთვე გაეროსთან აკრედიტებული საერთაშორისო ორგანიზაციები ტრანსპორტის ცალკეული დარგის მიხედვით.

7.3. მთავარი – საზღვაო ტრანსპორტი

როგორც ცნობილია, *საზღვაო ტრანსპორტის წილად ტვირთბრუნვის 60% და საერთაშორისო გადაზიდვების დაახლოებით 80%-ზე მეტი მოდის.* მდგო-

1 ის.: Назаренко В. М. Транспортное обеспечение внешнеэкономической деятельности. - М. 1998.

მარეობა სანაოსნოში ბევრად განაპირობებს მდგომარეობას მთლიანად მსოფლიო ტრანსპორტში. მარტო XX ს-ის მეორე ნახევარში საზღვაო ტრანსპორტმა გადაზიდული საქონლის მოცულობის ათჯერადი ზრდა აჩვენა.

დღეს მნიშვნელოვანი საზღვაო მაგისტრალი გადის ატლანტიკის ოკეანეზე; მასზე ტვირთბრუნვის დაახლოებით 50% მოდის. იაპონიის და აზიის ახალი ინდუსტრიული ქვეყნების ეკონომიკის განვითარებასთან ერთად, სწრაფად იზრდება წყნარ ოკეანეში გადაზიდვების მოცულობა. ნაოსნობაში დიდ როლს თამაშობენ ოკეანეების შემაერთებელი სრუტეები. ასე მაგალითად, სუეცის არხით ყოველწლიურად 18 ათასი გემი გადის და ტვირთბრუნვა შეადგენს 260 მლნ ტონას, ხოლო პანამის არხით კი — 14 ათასი გემი წელიწადში.

1988 წლიდან, ნაოსნობის კრიზისის შემდეგ, აღინიშნება მსოფლიო ფლოტის მდგრადი ზრდა. ფლოტის ძირითად მახასიათებელს წარმოადგენს დედვეიტი, რომელიც თავისთავად არის სრული ტვირთამწეობა ან ტვირთის მასა, რომლის მიღებაც შეუძლია გემს ბორტზე. მაშ ასე, მსოფლიო ფლოტის საერთო დედვეიტი გაიზარდა 1988 წ. 628 მლნ ტ-დან 2000 წელს 810 მლნ ტონამდე.

განვითარებული ქვეყნები აკონტროლებენ მსოფლიო ფლოტის დედვეიტის დაახლოებით 60%-ს. ამასთან ლიდერობს პატარა საბერძნეთი (16%), მას მოსდევს იაპონია (8%) და აშშ (7%). საზღვაო ფლოტის სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ ბევრი გემი დადის არა თავისი დროშებით, არამედ ე. წ. მოხერხებული დროშებით. *ქვეყნები, რომლებიც სთავაზობენ ასეთ დროშებს („ღია რეგისტრაციის ქვეყნები"), წარმოადგენენ თავისებურ საზღვაო ოფშორებს.* ისინი თავისთან რეგისტრირებულ გემებს აძლევენ მნიშვნელოვან საგადასახადო და სხვა შეღავათებს და თავიანთი დროშების ქვეშ მსოფლიო ფლოტის დიდ ნაწილს იზიდავენ. ასე მაგალითად, ისეთ პატარა ქვეყნებში, როგორებიცაა ლიბერია, პანამა, ბაჰამის და ბერმუდის კუნძულები, კვიპროსი და მალტა რეგისტრირებულია განვითარებული ქვეყნების გემების 60%. ამასთან, მათი ერთობლივი ფლოტი ფორმალურად აშარბებს ყველა განვითარებული ქვეყნის ფლოტს. მსოფლიო ტანკერული ფლოტის 65%-ზე მეტი ცურავს ლიბერიის და პანამის დროშებით. არსებობს ამ „საზღვაო ოფშორების" განსაზღვრული სპეციალიზაცია. ამერიკელი გემთმფლობელები ჩვეულებრივ თავიანთი გემების რეგისტრაციას ახდენენ ლიბერიასა და ბაჰამის კუნძულებზე, იაპონელები — პანამაში, ხოლო ბერძნები მათთვის ახლომყოფ კვიპროსსა და მალტაზე. ფლოტის 2/3, რომელიც ცურავს „მოსახერხებელი დროშებით", ფაქტობრივად ეკუთვნის გემთმფლობელებს გან-

ვითარებული ქვეყნებიდან, ხოლო 1/3 — განვითარებადი ქვეყნების[1] გემთმფლობელებს.

მთლიანობაში განვითარებული ქვეყნების და „ღია რეგისტრაციის ქვეყნების" გემების ტონაჟი აჭარბებს მსოფლიო სავაჭრო ფლოტის 70%-ს და შეადგენს დაახლოებით 560 მლნ ტონას. იმავდროულად აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნების ტონაჟი სწრაფად კლებულობს. ამ ჯგუფის ქვეყნების ფლოტი, რომელშიც რუსეთი შედის, შეადგენს მსოფლიო ტონაჟის მხოლოდ 4%-ს.

განსაკუთრებით ბევრი დაკარგა რუსეთმა. სსრკ-ის დაშლის შემდეგ მას ერგო ფლოტი 11 მლნ ტ-ის საერთო ტონაჟით, ახლა კი მას დარჩა ნახევარზე სულ ცოტათი მეტი. (შევნიშნავთ, რომ სსრკ ფლობდა 20 მლნ ტ ტონაჟს და დედვეიტით ეკავა მეოთხე ადგილი მსოფლიოში ლიბერიის, პანამის და იაპონიის შემდეგ). გაყოფის შემდეგ მთელი რეფრეჟერატორული ფლოტი დარჩა ლატვიის სანაოსნოში, ხოლო სამგზავრო — შავიზღვისპირაში. რუსეთის საზღვრებს გარეთ აღმოჩნდა ყოფილი სსრკ-ის პორტების სიმძლავრის 60%. დღეს ჩვენი ფლოტი არა მარტო შედარებით პატარაა, არამედ საშიშად ძველიც. მისი საშუალო ასაკი — დაახლოებით 17 წელია, ხოლო გაეროს მონაცემებით, გემის 20 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ ავარიათა რისკი იზრდება 100-ჯერ იმ გემთან შედარებით, რომელიც 10 წელზე[2] ნაკლები დრო რომ დადიოდა. ამგვარად, უახლეს პერიოდში ჩვენ აუცილებლად დაგვჭირდება ფლოტის დაახლოებით 50%-ის განახლება.

რუსეთის საზღვაო ტრანსპორტის წილი გადაზიდვათა მოცულობაში ძალიან მცირეა და არ აჭარბებს 1%-ს, ხოლო ტვირთბრუნვაში — დაახლოებით 8%-ს. ჩვენი ფლოტის მნიშვნელოვანი ნაწილი გადავიდა „მოსახერხებელი დროშების ქვეშ", ხოლო საერთაშორისო გადაზიდვების 96%-ს რუსეთის ფლოტი ახორციელებს უცხოელი დამქირავებლების შეკვეთით.

ამავდროულად კი განვითარებადი ქვეყნების წილი მსოფლიო ტონაჟში ბოლო 20 წელიწადში თითქმის ორჯერ გაიზარდა. განსაკუთრებით სწრაფად იზრდება კორეის სახალხო რესპუბლიკის და სამხრეთ კორეის ფლოტი.

განვითარებული ქვეყნების უმეტესობის საზღვაო ტრანსპორტში ჭარბობს კერძო ბიზნესი. ბევრი სანაოსნო კომპანია კერძოა. მართალია, შეიძლება ისეთი მსხვილი სანაოსნო კომპანიების მაგალითების მოტანაც, სა-

---

1 ის.: Могилевский И. Мировой транспорт: новые горизонты и новые проблемы // Мировая экономика и международные отношения. - 2000. №9.

2 ის.: Единая транспортная система. - М.: Транспорт, 1999.

დაც ადგილი აქვს სახელმწიფოს მნიშვნელოვან მონაწილეობას. მაგალითად, ფრანგული ჰოლდინგური კომპანია „კომპანი ჟენერალ მარიტიმ ე ფინანსიერი“ აერთიანებს სახელმწიფო-კერძო სანაოსნო კომპანიებს, რომელიც ფლოტს იყენებს 1 მლნ ტონაზე მეტი ჯამურიი ტონაჟით. მეორე მაგალითი — ტაივანი, რომლის მთელი ფლოტი განაწილებულია ორ მსხვილ სახელმწიფო და 160 პატარა კერძო კომპანიას შორის.

რაც შეეხება საზღვაო პორტებს, ისინი ყველგან სახელმწიფო კონტროლის ქვეშაა. მაგალითად, საფრანგეთის ექვსი უმსხვილესი პორტი, რომლის წილად მოდის ქვეყნის ტვირთბრუნვის 90%, პირდაპირ ექვემდებარება მართვის სახელმწიფო ორგანოს.

მსოფლიო ფლოტის შემადგენლობა გემების ტიპების მიხედვით ბოლო წლებში საკმაოდ სტაბილური რჩება. ტონაჟის დიდი ნაწილი (დაახლოებით 70%) შედგება ნავთობტანკერებისა და ბალკერებისგან (სპეციალიზებული გემები ტვირთის ზვინულად ან ნაყარად გადასატანად, ჩვეულებრივ 150 მლნ ტ ტვირთამწეობით). უნივერსალური ტიპის გემები ტონაჟის დაახლოებით 14%—ს შეადგენს, ხოლო კონტეინერმზიდის კი — 7%-ს. კონტეინერული ფლოტი სწრაფად იზრდება. მისი ტვირთამწეობა გამოხატული სტანდარტულ 20-ფუნტიან კონტეინერებში, ბოლო 5 წლის განმავლობაში გაიზარდა 1,5-ჯერ — 3,5 მლნ ცალამდე. იმავდროულად ტანკერების და ბაკლერების საერთო ტონაჟი თანდათანობით მცირდება.

80-იანი წლების დაცემის შემდეგ საერთაშორისო საზღვაო ვაჭრობაში რამდენიმე წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ტვირთგადაზიდვების ზრდა ყოველწლიურად დაახლოებით 4%-ით. 90-იან წლებში განვითარებული ქვეყნების ტვირთგადაზიდვების მოცულობა საკმაოდ სტაბილურად რჩებოდა 40%-ის დონეზე და აბსოლუტურ სიდიდეებში ექსპორტით და იმპორტით იზრდებოდა. განვითარებადი ქვეყნების წილი ექსპორტის მიხედვით შეადგენდა დაახლოებით 50%-ს, ხოლო იმპორტის — 26%—ს. დღესდღეობით ტვირთგადაზიდვების მოცულობამ 5 მლრდ. ტონას მიაღწია.

საკმაოდ სწრაფად ვითარდება *საფრახტო ბაზარი.* ბოლო 10 წლის მანძილზე მისი ტვირთბრუნვა გაიზარდა 1,5-ჯერ. მსოფლიო ფრახტის ერთობლივი ღირებულება შეფასებულია დაახლოებით 300 მლრდ დოლარად წელიწადში.

საზღვაო ტრანსპორტის რეგულირება ყველაზე უკეთესად არის განვითარებული, ხოლო საზღვაო სამართალი გამოირჩევა გასაოცარი დამუშავებითა და სირთულით. გაერო დიდ ყურადღებას უთმობს საზღვაო ვაჭრობის რეგულირების პრობლემებს. გაეროს სატრანსპორტო პოლიტიკაში მიზნად ისახავენ საზღვაო ვაჭრობის პირობების გათანაბრებას ყველა ქვეყნისათვის, ხოლო დახმარებას — განვითარებადი ქვეყნებისათვის. კერძოდ,

გაერო ისწრაფვის იმისკენ, რომ „განვითარებადმა ქვეყნებმა მიიღონ შესაძლებლობა უფრო ეფექტიანად გაუწიონ კონკურენცია მეტოქეებს და განავითარონ თავიანთი ეროვნული სავაჭრო ფლოტები, რათა შესაძლებლობის მიხედვით მიაღწიონ მსოფლიო სავაჭრო ფლოტის ტვირთამწეობის საერთო მოცულობის 20%-ს". გათვალისწინებულია განვითარებადი ქვეყნებისათვის დახმარების სხვადასხვაგვარი ზომები.

მნიშვნელოვან დოკუმენტს, რომელიც არეგულირებს საზღვაო ვაჭრობას, წარმოადგენს 1984 წელს მიღებული *კონვენცია სახაზო კონფერენციების ქცევის კოდექსზე.* (განსაზღვრების თანახმად, ამ კონვენციაში მოცემული სახაზო კონკურენცია — განსაზღვრული მიმართულებით და განპირობებულ გეოგრაფიულ საზღვრებში — ესაა საზღვაო გადამზიდაველების ჯგუფი, რომელთაც გააჩნიათ შეთანხმებული ტარიფები და მომსახურების წარდგენის პირობები) კონვენციაში დადგენილია 13 სავალდებულო, საერთაშორისო წესი. მნიშვნელოვანი როლი შეასრულა წესმა, რომლის თანახმადაც განვითარებად ქვეყნებს აქვთ უფლება მათი საზღვაო გადაზიდვების 40%-მდე რეზერვირებისა საკუთარი ეროვნული დროშით.

საზღვაო ტრანსპორტის რეგულირებაში წამყვან როლს თამაშობს საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს 129 სახელმწიფოს. საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციამ შეიმუშავა კონვენცია, რომელიც საზღვაო ტრანსპორტის მოღვაწეობის რეგულირებას ახდენს, ასევე მუშაობს საერთაშორისო საზღვაო სამართლის მომიჯნავე საკითხებზე.

7.4. ძველი, კეთილი სარკინიგზო ხაზები

საინტერესოა, რომ ძველისძველი კონკურენტების — სარკინიგზო და საავტომობილო ტრანსპორტის — პირველი შეტაკება მოხდა სწორედ მათი ჩასახვის მომენტში. ინგლისელმა გამომგონებელმა ტრევიტიკმა 1802 წელს თავდაპირველად მოახდინა პირველი ორთქლის ავტომობილის გამოცდა, რომელიც 10 კმ/სთ სიჩქარეს ავითარებდა და რომ არა უხარისხო გზები, ავტოტრანსპორტი შეძლებდა უკვე სტარტზევე კონკურენტის გასწრებას. თუმცა, უკვე 1803 წელს ტრევიტკის მოუხდა თავისი მანქანის გადაყვანა სარკინიგზო რელსებზე, რომლებიც სხვათა შორის, მანვე დაანგრია. 1814 წელს კი ჯ. სტეფენსონს მოუწია აეგო და გაეშვა პირველი ნამდვილი ორთქლმავალი „ბლუხერი", საიდანაც დასაბამი აიღეს თანამედროვე ლოკომოტივებმა და რკინიგზებმა.

XIX საუკუნე რკინიგზის საუკუნე გახდა. ამ საუკუნის მეორე ნახევარში სულ რაღაც 50 წლის განმავლობაში აგებულ იქნა 800 ათასი კმ რკინიგზის ხაზი, 16 ათასი კმ ყოველწლიურად. XX ს-ის 40-იანი წლებიდან აშშ-სა და დასავლეთ ევროპაში გზების ქსელის შემცირება დაიწყო. 1922

წელს აშშ-ში სარკინიგზო ქსელის განვითარებამ პიკს მიაღწია, როცა მისმა საერთო სიგრძე 409 ათასი კმ გახდა. დღესდღეობით რეალურად ამ ქსელის დაახლოებით ნახევრის ექსპლუატირება ხდება. გზების მნიშვნელოვანი ნაწილი დემონტირებულია. ყოველივე ეს ავტოტრანსპორტთან უსასტიკესი კონკურენციის ნაყოფია.

სარკინიგზო მაგისტრალების სიგრძით აშშ-ებს (220 ათასი კმ) მოსდევს რუსეთი (87,5 ათასი კმ), ინდოეთი (61 ათასი კმ), ჩინეთი (53 ათასი კმ) და შემდგომ გფრ, საფრანგეთი, იაპონია.

თუმცა, სარკინიგზო ქსელების სიმჭიდროვით დასავლეთ ევროპის ქვეყნები მნიშვნელოვნად უსწრებენ სხვა სახელმწიფოებს. მაგალითად, ბელგიისათვის ეს მაჩვენებელი ტოლია 100 კმ^2 ტერიტორიაზე გზის 100 კმ, ხოლო ანალოგიური მაჩვენებელი რუსეთისათვის შეადგენს მხოლოდ 0,51 კმ-ს. რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია ის, რომ რუსეთისათვის ამ მაჩვენებელში დგას უზარმაზარი, ქვეყნის აღმოსავლეთის პრაქტიკულად აუთვისებელი ტერიტორია, ხოლო ევროპული ნაწილისათვის ეს მაჩვენებელი ბევრად მეტია.

სამაგიეროდ, ელექტროფიცირებული გზების რიცხვის მიხედვით, „ჩვენ მთელ პლანეტაზე წინა ვართ". ჩვენი ელექტროფიცირებული მაგისტრალების განფენილობა შეადგენს 38,4 ათას კმ-ს, ე. ი. გზათა საექსპლუატაციო სიგრძის 44%-ს. მთელი გადაზიდვების მოცულობის დაახლოებით 73% სრულდება ელმავლებით. იაპონიასა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში წევის წლიური წილი დაახლოებით 50%-ს შეადგენს. თუმცა ევროპაში არსებობს ძლიერი განსხვავება ქვეყნების მიხედვით: შვეიცარიაში ელექტროფიცირებულია გზების 100%, ხოლო საფრანგეთსა და ესპანეთში — დაახლოებით 30%.

მიუხედავად ავტოტრანსპორტთან მძლავრი კონკურენციისა, სარკინიგზო ხაზები განსაზღვრულ უპირატესობებს ინარჩუნებენ. მათ შორის:

- რკინიგზის მაღალი გამშვები უნარი — 90 მლნ ტ-მდე ორმხრივზე ან 30 მლნ ტ ერთმხრივი ხაზით წელიწადში;
- ამინდის პირობებზე შედარებითი დამოუკიდებლობა;
- წყლის ტრანსპორტთან შედარებით, საშუალოდ 20%-ით ნაკლები გადაზიდვის გზა;
- სხვა სახის ტრანსპორტთან შედარებით (გარდა მილსადენებისა) გადაზიდვის უფრო დაბალი თვითღირებულება.

ბოლო წლებში სარკინიგზო ტრანსპორტი განიცდის თავისებურ რენესანსს. მნიშვნელოვნად იზრდება კონტეინერული გადაზიდვები. საზღვაო სრუტეების ქვეშ გათხრილია გვირაბები. ლამანშის ქვეშ გვირაბმა შეაერთა დიდი ბრიტანეთის და ეკ-ის კონტინენტალური ქვეყნების სარკინიგზო ხაზები ერთიან ქსელად. გვირაბებითაა დაკავშირებული იაპონიის ყველა კუნძული. აშშ-ში, საფრანგეთში, იტალიაში, გფრ-სა და იაპონიაში შექმნილია მრავალრიცხოვანი მაღალჩქაროსნული მაგისტრალები გადაზიდვების სიჩქარით 200 კმ/სთ-ზე ზევით. მაღალჩქაროსნულ მაგისტრალებს შორის გამოიყოფა პარიზი-ლიონი, რომი-ფლორენცია, ხოკაიდოს (იაპონიის ყველა კუნძულის გავლით) ხაზები. სარკინიგზო ხაზების საერთო განფენილობა დასტაბილურდა 900 ათას კმ-ის მნიშვნელობაზე, ხოლო გადასატანი ტვირთის საერთო მოცულობა — 54 მლრდ ტ-ზე. რკინიგზის პერსპექტივების შესახებ ვისაუბრებთ ქვემოთ.

რუსეთში სარკინიგზო ტრანსპორტს ყოველთვის ეკავა მნიშვნელოვანი ადგილი. ძერჟინსკის დროიდან, როცა იგი ითავსებდა ჩეკას თავმჯდომარის და მიმოსვლის გზების სახკომის თანამდებობებს, სარკინიგზო მეურნეობა გადაიქცა „სახელმწიფოდ სახელმწიფოში“ თავისი საავადმყოფოებით, რესტორნებით, კლუბებით, დასასვენებელი სახლებით, საცხოვრებლებითა და კომუნალური მეურნეობით. ჩვენს ქვეყანაში სარკინიგზო ტრანსპორტზე 2,2 მლნ ადამიანი მუშაობს. ამასთან მხოლოდ 1,6 მლნ ადამიანი უშუალოდაა დაკავშირებული სარკინიგზო ხაზების ექსპლოუატაციასთან, 500 ათასი ადამიანი მუშაობს სკოლებში, საავადმყოფოებში, რესტორნებსა და კომუნალურ მეურნეობებში, ხოლო 200 ათასი დაკავებულია სამრეწველო წარმოებით. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით, სოციალურ-საყოფაცხოვრებო სექტორის შენახვა და ექსპლუატაცია მძიმე ტვირთად დააწვა რკინიგზას, რაც, ბუნებრივია, უარყოფითად აისახება ტარიფებზე. საერთოდ, ჩვენი გზების ექსპლუატაცია არ გამოირჩევა დიდი ეფექტიანობით. ასე მაგალითად, ჩვენთან 1 კმ-ის სიგრძის გზაზე მოდის 14 მუშა,. ხოლო აშშ-ში — მხოლოდ 1,5 ადამიანი მოცულობების მიხედვით, დაახლოებით მსგავს სატრანსპორტო სამუშაოების პირობებში.

რუსეთში ტვირთბრუნვის რეფორმების დაწყებამდე უდავოდ ჭარბობდა სარკინიგზო ტრანსპორტი, რომელზეც მოდიოდა ტვირთების 50%-ზე მეტი. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით მისი წილი შემცირდა 33%-მდე, ხოლო პირველ ადგილზე გამოვიდა ავტოტრანსპორტი. ამ თვალსაზრისით რუსეთი თანდათან უახლოვდება განვითარებული ქვეყნების ტვირთბრუნვის სტრუქტურას. (ჩრდილოეთ ამერიკაში სარკინიგზო და საავტომობილო ტრანსპორტის სახეების წილი თითქმის ტო-

ლია, ხოლო დასავლეთ ევროპაში სარკინიგზო ტრანსპორტის წილად მოდის ტვირთბრუნვის სულ 21%, ავტოტრანსპორტის 66%-ის დროს.

საერთაშორისო სარკინიგზო გადაზიდვები შეადგენენ 1450 მლნ ტონას და მათი რეგულირებისათვის შექმნილია რამდენიმე ავტორიტეტული ორგანიზაცია. გენუის კონფერენციის გადაწყვეტილების თანახმად, 1922 წელს ორგანიზებულ იქნა რკინიგზის საერთაშორისო კავშირი, რომელიც დღეს აერთიანებს 62 საგზაო ადმინისტრაციას მსოფლიოს 57 ქვეყნიდან. ეს ორგანიზაცია აკრედიტებულია გაეროსთან.

სხვა უძველეს ორგანიზაციას წარმოადგენს საერთაშორისო სარკინიგზო კონგრესების ასოციაცია, რომელშიც შედის 100-ზე მეტი საგზაო ადმინისტრაცია 80 ქვეყნიდან. გარდა ამისა, ამერიკასა და აფრიკაში მუშაობს პანამერიკული სარკინიგზო ასოციაცია, ლათინოამერიკული სარკინიგზო ასოციაცია და აფრიკის სარკინიგზო კავშირი.

7.5. ავტომობილები, ავტომობილები...

1860 წელს ბელგიელი ე. ლენუარის მიერ შიდაწვის ძრავის და გერმანელი ინჟინრის, ნ. ოტოს მიერ უკვე პრაქტიკულად თანამედროვე ოთხტაქტიანი ძრავის (1876 წ.) გამოგონების შემდეგ, კ. ბენცმა 1885 წელს პირველად მოახდინა ავტომობილების სერიული წარმოება, საიდანაც დასაბამი მიეცა აეტოტრანსპორტს. 1889 წელს დაიმლერმა და მაიბახმა გამოიგონეს მსუბუქი, სწრაფმავალი ძრავა ბენზინზე და ააგეს პირველი ოთხბორბლიანი ავტომობილი.

1870 წ. ჩამოყალიბდა უმსხვილესი საავტომობილო კომპანია „დაიმლერ მოტორ კომპანი“, რომელიც საყოველთაოდ ცნობილი გახდა თავისი უნიკალური საავტომობილო სერიით — „მერსედესი“; დაიმლერის ქალიშვილის სახელი უწოდეს ამ მანქანას.

XX ს-ის დამდეგს ჰ. ფორდმა პირველად გამოიყენა კონვეირული აწყობა და უკვე 1913 წელს მისმა ქარხნებმა დაიწყეს დღეში 1000 ავტომობილის წარმოება. ავტომობილი ამერიკის სიმბოლო გახდა. სხვათა შორის, სწორედ თ. რუზველტის მიერ წამოწყებულმა მასობრივმა საგზაო მშენებლობამ საშუალება მისცა ამერიკას გამოსულიყო „დიდი დეპრესიიდან“.

> დღესდღეობით ავტომობილების მსოფლიო ბანკი დაახლოებით 470 მლნ მსუბუქი ავტომობილისა და 150 მლნ სატვირთოსაგან შედგება. ავტომობილების რიცხვი მსოფლიოში თანდათანობით იზრდება და 90-იან წლებში ეს ზრდა შეადგენდა დაახლოებით 3,5%-ს წელიწადში.

სატვირთო მანქანების მსოფლიო პარკის 75%-მდე მოდის ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაზე. მოასფალტებული გზების საერთო სიგრძე ამ

ქვეყნებში შეადგენს 9,5 მლნ კმ-ს. მათი საშუალებით ყოველწლიურად გადააქვთ 20 მლრდ ტ. ტვირთზე მეტი. თუმცა საერთაშორისო ვაჭრობის საქონელზე მოდის მხოლოდ 6%.

ტვირთბრუნვით ავტოტრანსპორტი ჩამორჩება საზღვაო და სარკინიგზო ტრანსპორტს, მაგრამ მას გააჩნია რიგი უდავო უპირატესობანი, დაკავშირებული უპირველესად გადაუტვირთავი გადაზიდვის შესაძლებლობებთან; საქონლის გადაზიდვა „კარიდან კარამდე"; სწრაფი მიწოდება დანიშნულ დროს და ტვირთის საუკეთესოდ შენახვა; სხვა ტრანსპორტის საკონკურენციო სახეებთან შედარებით უზრუნველყოფა.

ავტოტრანსპორტის ნაკლოვანებებს მიეკუთვნება: გადაზიდვათა რამდენჯერმე მაღალი თვითღირებულება, ვიდრე სარკინიგზო და საზღვაო ტრანსპორტზე; გარემოს დაბინძურების მაღალი დონე; დიდი ენერგია და ლითონტევადობა; მაღალი შრომატევადობა (ავტოტრანსპორტზე მუშაობს ტრანსპორტზე ყველა დასაქმებულის 75%).

დიდ როლს თამაშობენ ტრანსეროვნული მაგისტრალები; მათ შორის, ყველაზე დიდი სახელი მოიპოვა გზატკეცილის ხაზებმა, რომლებიც გადაჭიმულია აშშ-ში ატლანტიკის ოკეანიდან წყნარ ოკეანემდე, კანადის გავლით, ლათინური ამერიკის ქვეყნების გავლით, აფრიკაში საჰარის გავლით.

განვითარებული ქვეყნების სატვირთო გადაზიდვებში საავტომობილო ტრანსპორტს დიდი მნიშვნელობა აქვს: აშშ-სა და გფრ-ში მასზე მოდის ტვირთბრუნვის (ტკმ) 25%, ხოლო დიდ ბრიტანეთში — 80%. რუსეთში ეს მაჩვენებელი 6%-ის ტოლია.

საავტომობილო ტრანსპორტის როლი ჩვენს ქვეყანაში ბოლო წლებში იზრდება განსაკუთრებით სწრაფად. მათი საშუალებით გადაიზიდება საერთაშორისო ტვირთების დაახლოებით 18 მლნ ტ. 90-იან წლებში დაიწყო სერიოზული კონკურენცია საზღვარგარეთულ ავტოგადამზიდავებთან, ამასთან, ეს უკანასკნელნი ჯერჯერობით იმარჯვებენ ბაზრისათვის ბრძოლაში. მათ ეკუთვნით რუსეთის საერთაშორისო გადაზიდვების 75%-ზე მეტი ტონაჟისა და ღირებულების მიხედვით.

მსუბუქი ავტომობილები ძირითადად გამოიყენება, როგორც პირადი ტრანსპორტი. მიუხედავად 90-იანი წლების საავტომობილო ბუმისა, რუსეთში 1000 ადამიანზე დაახლოებით 100 ავტომობილი მოდის, იმ დროს, როცა აშშ-ში — 505, გერმანიაში — 340, იაპონიაში კი — 273 ავტომობილი.

შეუძლებელია აქ არ შევეხოთ ჩვენს ავტოგზებს. რუსეთში მათი საერთო სიგრძე შეადგენს 578 ათას კმ-ს, რომელთაგან 520 ათასი კმ მყარი ზედაპირითაა. სპეციალისტების გამოთვლების თანახმად, ჩვენს ქვეყანას სჭირდება სულ მცირე 2 მლნ კმ გზა. რუსეთის გზების ყბადაღებული

ხარისხი ზრდის გადაზიდვების ღირებულებას 30-50%-ით, ასევე საწვავის ხარჯსაც — 50%-ით.

საზღვარგარეთული გამოცდილება გვარწმუნებს, რომ *500 კმ-მდე მანძილზე ავტოტრანსპორტი ტვირთის მიტანის საშუალებას იძლევა 3-ჯერ სწრაფად, ვიდრე რკინიგზა.* თუმცა მისი ეფექტიანად გამოყენებისათვის აუცილებელია დიდი სატვირთო მანქანების პარკი და კარგი გზები. გზების შესახებ უკვე ვისაუბრეთ. რაც შეეხება ტვირთამწეობას, იგი რუსეთში საშუალოდ შეადგენს 9 ტ-ს, აშშ-ში — 19-ს, გფრ-ში — 15-ს და საფრანგეთში კი — 13 ტ-ს.

ავტოტრანსპორტი სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს საერთაშორისო გადაზიდვებში და მისი რეგულირებით დაკავებულია 20 საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელთა შორისაა გაეროს ეკონომიკური კომიტეტი შიდა ტრანსპორტის მიხედვით და საავტომობილო ტრანსპორტის საერთაშორისო კავშირი.

7.6. საჰაერო ტრასები

ისტორიული საზომის მიხედვით ავიაცია გაჩნდა სულ ახლახანს. 1903 წელს ძმები რაიტების პირველი თვითმფრინავი ჰაერში აფრინდა 59 მ-ზე და გაიფრინა 260 მ, ხოლო 6 წლის შემდეგ თვითმფრინავები უკვე შეკვეთილ იქნა ამერიკის არმიის მიერ. მას შემდეგ, როგორც ვიცით, ავიაცია გახდა ჩვენი ცხოვრების განუშორებელი ნაწილი და სავსებით ჩვეულებრივი ტრანსპორტი. ტვირთების გადაზიდვის გლობალიზაციის და სიჩქარის თვალსაზრისით მას, ბუნებრივია, ტოლი არ მოეძებნება. სწორედ საავიაციო მიმოსვლას უნდა ვუმადლოდეთ სავსებით ახალ შეგრძნებებს პლანეტის საყოველთაო ხელმისაწვდომობაზე, ასევე გლობალურ მასშტაბებში საქმეების წარმართვის შესაძლებლობებს. ამიტომ ავიაციის როლი მეგაეკონომიკაში სრულებითაც არ განისაზღვრება ტვირთების ტონაჟით ან ტონა-კილომეტრობით. თუკი არ შეიქმნებოდა პრაქტიკულად რეალური შესაძლებლობა ერთსა და იმავე დღეს, პლანეტის ნებისმიერ წერტილში მისვლისა და პირადად ნახვისთვის, როგორ მიდის ის საქმეები, მოლაპარაკებების ჩატარებისათვის „პირისპირ", მეგაეკონომიკა უბრალოდ არ იქნებოდა.

> საერთაშორისო საჰაერო მიმოსვლებში მონაწილეობს 1 ათასზე მეტი აეროპორტი, მათ შორის 400 — ევროპაშია.

უმსხვილესი თვითმფრინავის პარკი აქვს აშშ-ს, მეორე ადგილზეა რუსეთი, შემდეგ მოდის კანადა, ავსტრალია და გფრ. ბოლო ათწლეული აღინიშა ავიაბუმით. ავიახაზების საერთო განფენილობა გაიზარდა თით-

ქმის ორჯერ, მგზავრი-კილომეტრების რიცხვით გადაზიდვებიც ორჯერ გაიზარდა. 2-ჯერ მეტად გაიზარდა სატვირთო გადაზიდვები ტონა-კილომეტრებში. *XX ს-ის ბოლოს ავიატრანსპორტზე ტვირთბრუნვის ყოველწლიურმა ზრდამ შეადგინა 10-12%.*

რუსეთისათვის, მისი უზარმაზარი ტერიტორიისათვის ავტოტრანსპორტს განსაკუთრებული როლი ენიჭება. ძალიან ბევრი ჩრდილოეთის და შორეული ტერიტორიისათვის იგი ხშირად წარმოადგენს მიმოსვლის ერთადერთ საშუალებას. თუმცა, 90-იანი წლების შუაში მგზავრთა გადაზიდვები შემცირდა 40%-ით (ტკმ), ხოლო საერთო ტვირთბრუნვა დაეცა 3-ჯერ და უფრო მეტადაც. ბოლო წლებში ტვირთ- და მგზავრბრუნვა თანდათან იზრდება, თუმცა ჯერ კიდევ ძალიან შორსაა რეფორმამდელ დონემდე.

რეფორმის შედეგად მსოფლიოს უმსხვილესი სახელმწიფო ავიაკომპანია „აეროფლოტი" დაიშალა 330, ძირითადად, კერძო ავიაკომპანიად. ზოგიერთი მათგანი ფლობს 5-10 თვითმფრინავისაგან შემდგარ პარკს და არ შეუძლია მათი ეფექტიანად გამოყენება. სახელმწიფო კონტროლის შესუსტებამ მიგვიყვანა მრავალრიცხოვან ავარიებამდე და კატასტროფებამდე. რუსეთში არსებობს 845 აეროპორტი, რომელთაგან 52 საერთაშორისოს წარმოადგენს. დღემდე საჰაერო ტრანსპორტზე მოდის ყველა საერთაშორისო გადაზიდვების დაახლოებით 38%, მაშინ როცა აშშ-ში ასეთი გადაზიდვების მხოლოდ 17% სრულდება ავიატრანსპორტით. აქ, რა თქმა უნდა, ვლინდება ცუდი ხარისხი ან ავტოგზების უქონლობა.

მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში საჰაერო ტრანსპორტი იმყოფება ძირითადად კერძო მფლობელობაში, ხოლო აეროპორტები — სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ. აქ სიტუაცია დაახლოებით იმგვარივეა, როგორიც საზღვაო ტრანსპორტში. თუმცა არსებობს სახელმწიფო ჩარევის სავსებით დადებითი გამოცდილება ისეთ მსხვილ და ცნობილ ავიაკომპანიებში, როგორიცაა „ერ ფრანსი" (საფრანგეთი), „ლუფტგანზა" (გერმანია), „ეს-ეი-ეს" (შვედეთი) და ა. შ.

ავტოტრანსპორტის როლი განსაკუთრებით დიდია საერთაშორისო გადაზიდვებში. ბოლო 40 წლის მანძილზე მგზავრების გადაყვანა საერთაშორისო ხაზებზე გაიზარდა 42-ჯერ, ხოლო ტვირთბრუნვა — 120-ჯერ. საერთაშორისო ავიაგადაზიდვების რეგულირებისათვის გაეროსთან დაარსებულია სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია.

7.7. სამდინარო გზები

მიუხედავად სხვა სახის ტრანსპორტის მძაფრი კონკურენციისა, შიდა წყლის ტრანსპორტი ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას. ევროპაში მსხვილ საერთაშორისო სამდინარო არტერიებს წარმოადგენენ რემინი, დუნაი და ელბა, ხოლო ამერიკაში — მისისიპი, მისური, წმ. ლავრენტის მდინარე და დიდი ტბები. ევროპის ქვეყანათშორის ვაჭრობა-

ში დიდ როლს თამაშობს საწყალოსნო გზები, მათ რიცხვში ვარიანტის მიხედვით „მდინარე-ზღვა“. თუმცა, 90-იან წლებში ეს ვაჭრობა შემცირდა ავტოტრანსპორტის მძაფრი კონკურენციის გამო.

> ევროპის და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნების შიდა საწყალოსნო გზების საერთო განფენილობა აჭარბებს 175 ათას კმ-ს. მათი საშუალებით ყოველწლიურად გადაიზიდება 1200 მლნ ტ-ზე მეტი ტვირთი, მათ შორის 780 მლნ ტ. საერთაშორისოა.

რუსეთისათვის სამდინარო ტრანსპორტის როლი ტრადიციულად ძალიან დიდია. შიდა წყლების ხაზების სიგრძე დაახლოებით 85 ათასი კმ-ია. ჩვენს ქვეყანაში არსებობს ერთიანი ღრმაწყლიანი სისტემა სიგრძით 6,5 ათასი კმ, სიღრმით არანაკლებ 4 მ-ისა. მასზე მოდის წყლის ტრანსპორტის ტვირთბრუნვის 50%. გადაზიდვა მაგისტრალური წყლის გზით 2-3—ჯერ იაფია, ვიდრე პარალელური რკინიგზით. თუმცა ტვირთის მიწოდების სიჩქარე თითქმის ორჯერ ნაკლებია, ვიდრე რკინიგზით.

წყლის გზების სიხშირე ჩრდილოეთის და აღმოსავლეთის რაიონებში 2-ჯერ და მეტად აჭარბებს ქვეყნის საშუალო მაჩვენებლებს. თუკი საშუალოდ სამდინარო ტვირთბრუნვა შეადგენს საერთო ტვირთბრუნვის დაახლოებით 3%-ს, ამ რაიონებში იგი აღწევს 65-90%-ს.

რუსეთში ჩამოყალიბდა სამდინარო ფლოტის არაეფექტიანი სტრუქტურა, რომლის დროსაც თვითმავალი სატვირთო გემების ჯამური ტონაჟი შეადგენს საერთო ტვირთამწეობის 45%-ს. თვითმფრინავი ფლოტის ტონაჟის 1ტ-ის ღირებულება 3-6-ჯერ მეტია, ვიდრე არათვითმავალისა, ამიტომ დასავლეთ ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში გამოიყენება ბუქსირ-მიმწოდებლის სისტემა და ბარჯები. ჩვენთან ერთ მიმწოლზე მოდის ორი ბარჯა, ხოლო ამერიკაში — რვა. მომავალში საჭირო იქნება ისეთივე სამდინარო ფლოტის სტრუქტურასა და ექსპლოატაციის სისტემაზე გადასვლა, როგორც განვითარებულ ქვეყნებშია.

90-იანი წლებისათვის ტვირთების გადაზიდვის მოცულობა შემცირდა 50-იანი წლების დონემდე. ახლა მდინარის ტრანსპორტს გადააქვს დაახლოებით 1000 მლნ ტ ტვირთი და მთელი ტვირთბრუნვის 4%-ს უზრუნველყოფს, მაშინ როცა აშშ-ში ეს მაჩვენებელი 13%-ის ტოლია. 9000 ჩვენი სამდინარო გემიდან ნახევარს ძლივს იყენებენ.

90-იან წლებში რუსეთის საზღვარგარეთ გადაზიდვების საერთო მოცულობა დაახლოებით 10 მლნ ტ-ს შეადგენდა. ამასთან მემდინარეებს, საზღვაო ფლოტთან შედარებით, უპირატესობა აქვთ, რომელიც დაკავშირებულია გადაუტვირთავ, პირდაპირ გადაზიდვების შესაძლებლობასთან

სქემით „მდინარე - ზღვა“, ამასთან ერთად — მოქმედი ფლოტი, რომელსაც გააჩნია უნარი ამგვარი რეისების შეასრულებისა. შემცირდა თვითმავალი გემების მიხედვით 16%-ით, ხოლო ბარჟების მიხედვით, — 9%-ით. ამ პერიოდის განმავლობაში პრაქტიკულად დაიხურა სამდინარო გზების 15% გათავთხელების და შესაბამისი სარემონტო სამუშაოების შეუსრულებლობის გამო. შეწყდა სატრანსპორტო მოძრაობა ჩრდილოეთის მრავალ მდინარეზე.

იყენებენ რა რუსეთის მემდინარეთა სიძნელეებს, მათი უცხოელი კონკურენტები, კერძოდ დიდი ბრიტანეთი, ცდილობს ჩვენს სამდინარო გადაზიდვების ბაზრებზე დამკვიდრებას. განსაკუთრებით დიდია მათი აქტიურობა კასპიის რაიონში. უკვე ახლა უცხოეთის გემები შედიან რუსეთის 14 მდინარის შესართავის პორტებში და სპეციალისტები არ გამორიცხავენ, რომ მალე შიდა წყლის გზები ღია იქნება უცხოელი გადამზიდავებისათვის. კონკურენციის ამგვარი გამძაფრების პირობებში მემდინარეებს ალბათ დასჭირდებათ სახელმწიფოს პირდაპირი მხარდაჭერა.

7.8. სატრანსპორტო ტენდენციები და პერსპექტივები

ტრანსპორტის განვითარების ძირითად ტენდენციას, რომელიც მიმართულებას აძლევს მის პერსპექტივებს, წარმოადგენს *შერეული გადაზიდვის და ერთიანი მსოფლიო კონტეინერული სისტემის ჩამოყალიბება.* ბევრი სპეციალისტი საუბრობს კონტეინერული რევოლუციის დაწყების შესახებ. უკვე ახლა გენერალური ტვირთების 40% კონტეინერებით გადაიზიდება. ჩამოყალიბდა თავისებური კონტეინერული ხიდები: ტრანსციმბირული; იაპონია — აშშ; დასავლეთ ევროპა — ახლო და საშუალო აღმოსავლეთი. ამერიკული კომპანია „იუნაიტედ სტეიტს ლაინზი“ და ტაივანური „ინვერგრინ ლაინ“ შეუდგა საყოველთაო კონტეინერულ გადაზიდვებს.

შერეული საერთაშორისო გადაზიდვები, განხორციელებული ერთობლივად სარკინიგზო, საზღვაო და საავტომობილო ტრანსპორტით ერთიანი საგზაო დოკუმენტებით სატრანსპორტო გადაზდვებს ერთიან ტექნოლოგიურ პროცესად აქცევს. ავტომატიზირებული სისტემები, რომლებიც უკვე დანერგილია განვითარებულ ქვეყნებში, საშუალებას იძლევა თვალყური გავადევნოთ ტვირთს მარშრუტის მთელი მანძილზე, ყოველ სატრანსპორტო უბანზე. კონტეინერები საქონლით გადაიტანება პირდაპირ გამგზავნიდან მიმღებამდე, შუალედური სასაწყობო ოპერაციების გარეშე, უშუალო გადატვირთვით ტრანსპორტიდან ტრანსპორტზე. იქმნება ე. წ. სატრანსპორტო დერეფნები, რომლებიც უზრუნველყოფენ გადაზიდვებს რამდენიმე ქვეყნის ტერიტორიაზე სხვადასხვა სახის ტრანსპორტით. პერსპექტივაში რუსეთის ტერიტორიაზე შეიძლება იქნეს ფორმირებული ორი ასეთი დერეფანი: ბერ-

ლინი — ვარშავა — მინსკი — მოსკოვი — ნიჟნი ნოვგოროდი — ეკატერინ-ბურგი და ჰელსინკი — სანკტ-პეტერბურგი — მოსკოვი — კიევი — ოდესა.

ასევე დიდი როლი შეიძლება შეასრულოს ჩვენი დიდი სარკინიგზო ხაზების: ტრანსციმბირული მაგისტრალის და ბამ-ის რეანიმაციამ. პრინ-ციპში, ბამი, რომლის მშენებლობა განხორციელდა საბჭოთა ეკონომიკის სტაგნაციის დროს, საჭიროა და ეკონომიკურად ეფექტიანია. უბრალოდ სტაგნაციაში მყოფ საბჭოთა კავშირს არ ეყო ძალა მის ასათვისებლად და ამ ტერიტორიებზე არსებული უზარმაზარი ბუნებრივი სიმდიდრეების ეკო-ნომიკურ ბრუნვაში ჩასართველად. რუსეთს ახლა მით უფრო არა აქვს ძალები ამ გრანდიოზული პროექტის დასამთავრებლად. ალბათ, აზრი აქვს მის საერთაშორისოდ გადაქცევას, საზღვარგარეთული კორპორაციების და-ინტერესებას მომგებიანი კონცესიებით ბამის აუთვისებელ ტერიტორია-ზე. თუკი უახლეს ათწლეულებში რუსეთი ვერ შეძლებს ამ უმდიდრესი რეგიონის ჩართვას თავის ეკონომიკაში, მაშინ თანდათანობით ამას გააკე-თებენ სხვა ქვეყნები, პირველ რიგში, ჩინეთი.

მაგრამ ახალი სატრანსპორტო გზების და ტექნოლოგიების დანერგვა ძა-ლიან ძვირი ღირს. მაგალითად, ნიუ იორკის და როტერდამის ახალი კონტეი-ნერული ტერმინალები, თითოეული 500 მლნ დოლარი დაჯდა. პორტ ზებრი-უგეში გაზის ტერმინალის მშენებლობა შეფასებულია 1 მ ლრდ დოლარად. ახალი თაობის გემკონტეინერმზიდის ღირებულება შეადგენს 80 მლნ დო-ლარს, ხოლო გაზის გადამტანი გემის — 120 მლნ დოლ. ამიტომ ჩვენი ქვეყნის ხელახალი სატრანსპორტო აღჭურვა საჭიროებს უზარმაზარ დანახარჯებს.

საერთო ტენდენციებსა და პერსპექტივებთან ერთად შეიძლება გამოვ-ყოთ მათი კერძო დარგობრივი შემადგენელი ნაწილებიც.

საზღვაო ტრანსპორტში დიდ გავრცელებას ჰპოვებს კონტეინერული გემები „ზუსტ დროზე" მიწოდების სისტემით. 2000-2015 წლისათვის მო-სალოდნელია გადაზიდვების ნამატი საშუალოდ 2,5%-ით. უკვე ახლა კონ-ტეინერული გადაზიდვებით დაკავებულია მსოფლიოს 600-ზე მეტი სანა-ოსნო კომპანია. ამასთან, მტკიცედ ლიდერობენ აზიური კორპორაციები. იაპონიაში ხორციელდება სპეციალიზებული საკონტეინერო ტერმინალე-ბის მშენებლობის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც განკუთვნილია შე-რეული გადაზიდვების უზრუნველსაყოფად. ამ პროგრამის პირველი ეტა-პის სახელმწიფო დაფინანსება 140 მლრდ იენს შეადგენს (დაახლოებით 1,4 მლრდ. დოლ.).

შედარებით ახალ ტენდენციას წარმოადგენს სპეციალიზებული გემ-ავტომობილმზიდების წარმოშობა და მათი რიცხვის ზრდა. დღესდღეობით 350 ასეთ გემს გადააქვს 8,3 მლნ ავტომობილი წელიწადში. სწრაფად ფართოვდება ტვირთის მიწოდება ავტომობილების სპეციალიზირებული

საგორავებელი გემებით გადაზიდვის ასეთი ფორმის დროს დატვირთული სატვირთო შედის მისთვის განკუთვნილი საგორავებელი გემის უჯრედში, მასზე მყოფი გადალახავს ოკეანეს და შემდეგ უმალვე მიდის დანიშნულების ადგილისაკენ სხვა კონტინენტზე. ერთ-ერთი ასეთი კომპანია, რომელმაც აითვისა ამგვარი ტიპის გადაზიდვა, არის „ბრიტიშ ფერის", რომელიც ახორციელებს გადაზიდვებს ესპანეთსა და დიდ ბრიტანეთს შორის.

რუსეთს გააჩნია ძალიან სუსტი საპორტო მეურნეობა, ვინაიდან უმსხვილესი სპეციალიზებული პორტები გადავიდა სხვა ქვეყნების ხელში. ამიტომ ბალტიისა და შავი ზღვების სანაპიროებზე ახალი პორტების მშენებლობა და ძველების გაფართოება უდავოდ ყველაზე გადაუდებელი ამოცანებია.

განვითარების საინტერესო პერსპექტივები გააჩნია სარკინიგზო ტრანსპორტსაც. აქ მკაფიოდ იკვეთება მიწოდების — „კარიდან კარამდე" კომპლექსური ტექნოლოგიების განვითარების ტენდენცია, გადაზიდვების ავტომატიზაცია, თვალყურის დევნა ტვირთებზე და ზეგრძელი (სიგრძით 50 კმ-ზე მეტი) სარკინიგზო გვირაბების მშენებლობა საზღვაო სრუტეების ქვეშ.

უზარმაზარია მაღალჩქაროსნული მაგისტრალების პერსპექტივები, რომელიც საშუალებას იძლევა განხორციელდეს გადაზიდვები 300 კმ/სთ-ზე მაღალი სისწრაფით და რომელსაც გააჩნია ტრანსპორტის ალტერნატიულ სახეებთან შედარებით რიგი მნიშვნელოვანი უპირატესობანი:

1. მაღალჩქაროსნული მატარებელი თანაბარი გაშვებისუნარიანობისას საჭიროებს 2-3-ჯერ ნაკლებ განკერძოებულ ზონებს, ვიდრე გზატკეცილი.

2. მავნე ნივთიერებების გამოფრქვევა ელექტროწევის დროს 1 მგზავრ/კმ-ზე კლებულობს 6-8-ჯერ, ავტოტრანსპორტთან შედარებით და 8-10-ჯერ ავიაციასთან მიმართებაში. ეკ-ის მეცნიერებმა გამოითვალეს, რომ მაღალჩქაროსნულ მატარებელზე გადასვლა გამოიწვევს ნახშირბადის გამოტყორცნის შემცირებას ატმოსფეროში 15 მლნ. ტ-ით.

3. დანახარჯები ენერგიაზე 1 მგზავრ/კმ-ზე მაღალჩქაროსნულ მატარებლებზე 2-3-ჯერ ნაკლებია, ვიდრე ავტოტრანსპორტზე და 8-10-ჯერ ნაკლები, ვიდრე ავიაციაზე.

ახლა მიმდინარეობს ერთიანი ევროპული მაღალჩქაროსნული მატარებლების ქსელის შექმნის პროცესი. ასეთ გზებს ჩვენშიც ექნება პერსპექტივები, თუმცა პირველიმაღალჩქაროსნული მატარებელის მოსკოვი-სანკტ-პეტერბურგი მშენებლობა უკვე წააწყდა მნიშვნელოვან სიძნელეებს და წინააღმდეგობას.

ბენზინზე ფასის ზრდა ჯერ კიდევ არ ამცირებს *ავტომობილიზაციის* ზრდის ტემპებს. არსებობს მხოლოდ ავტომობილის საშუალო წლიური გარბენის შემცირების და საწვავის 100 კმ-ზე კუთრი დანახარჯის შეკვეცის ტენდენცია. სულ უფრო მძაფრდება კონკურენცია საავტომობილო და სარ-

კინიგზო ტრანსპორტს შორის. „ავტოტრანსპორტის მიერ ტვირთების „წაგლეჯვის“ და ავტომობილის რკინიგზის სფეროში „შეჭრის“ შედეგად აშშ-ის ეკონომიკა, ზოგიერთი გამოთვლის თანახმად კარგავს დაახლოებით 2 მლრდ დოლარს წელიწადში. თუმცა ასეთი გამოთვლები ითვალისწინებს ენერგიამატარებლების დანახარჯთა სხვაობას, თანამედროვე საბაზრო ეკონომიკაში კი წინაა წამოწეული ტვირთების შენახვა, მიწოდების სისწრაფე და სხვა ხარისხობრივი მაჩვენებლები. მათ მიხედვით ავტოტრანსპორტი თავის კონკურენტს უსწრებს.

საავიაციო ტრანსპორტში სწრაფად იზრდება ფართო ფიუზელაჟური თვითმფრინავების პარკი, რომლებიც სპეციალიზდება საერთაშორისო ჩარტერულ გადაზიდვებზე და თანამედროვე ტურიზმის ტექნოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს. სწრაფად იზრდება სატვირთო ავიაგადაზიდვებიც. ამასთან მათთვის შენდება სპეციალური ტერმინალები. სატვირთო ავიატრანსპორტი სულ უფრო შორდება სამგზავროს და მიდის სპეციალიზაციის გზით. ეს განპირობებულია იმით, რომ ტვირთის გადაზიდვა სპეციალურად მოწყობილ თვითმფრინავში 2-ჯერ იაფი ჯდება, ვიდრე სამგზავრო ლაინერის ნაკვეთურში.

მნიშვნელოვან ტენდენციას აგრეთვე წარმოადგენს სატრანსპორტო და საექსპედიციო-გამანაწილებელი საწარმოების შეზრდა. ძსხვილ სატრანსპორტო კვანძებში, ისეთებში, როგორიცაა პარიზი, მარსელი, ფრანკფურტი მაინზე, მიუნხენსა და სხვებში, იქმნება სპეციალიზებული სატრანსპორტო-გამანაწილებელი საერთაშორისო მნიშვნელობის ცენტრები. ისინი იღებენ თავისთავზე შერეული (საზღვაო, წყლის, სარკინიგზო და საავტომობილო) გადაზიდვების სრულ ორგანიზებას და გაცილებას.

ავიატრანსპორტში ახალი ტენდენცია ხდება გლობალური ალიანსების შექმნა. „ლუფთანსა“-ს ხელმძღვანელმა, ი. ვებერმა თავის კონკურენტებს შესთავაზა შეექმნათ ავიაგადაზიდვების დაგეგმვის ერთიანი ცენტრი, ერთგვარი ავიაციის კერძო სამინისტრო. 1997 წელს შეიქმნა ამგვარი ალიანსი სახელწოდებით „სთარ ალიანს“, მისი წყალობით „ლუფთანსა“-მ უკვე გამოიმუშავა დამატებით 275 მლნ დოლარი, ხოლო მისმა პარტნიორებმა „ეს-ეი-ეს“-მა და „იუნაითიდ ეალაინზ“-მა — 259 მლნ დოლარი. 1998 წ. შეიქმნა მეორე საერთაშორისო ალიანსი — „ვან ვერდ“, რომელმაც გააერთიანა ამერიკის, ინგლისის და კანადის უმსხვილესი ავიაკომპანიები. ეს ალიანსები ფლობს დაახლოებით ერთნაირ სიმძლავრეებს და მძაფრი კონკურენცია აქვთ ერთმანეთს შორის. „სთარ ალიანს“-ის გადაზიდვების მოცულობა სულ 1 მლრდ დოლარით მეტია, ვიდრე „ვან ვერდ“-ისა.

შემდგომ ნაბიჯს წარმოადგენს 2000 წელს მულტისატრანსპორტო ალიანსის ორგანიზაცია, რომელიც გიაერთიანებს ევროპის საავიაციო, სარკინიგზო და საავტომობილო კომპანიებს. გააფორმებს რა ერთ ბილეთს,

მგზავრს შეუძლია ისარგებლოს ყველა სახის ტრანსპორტით, რომლებიც თავისთავზე იღებს მის მიყვანას პირდაპირ სახლიდან დანიშნულების ადგილამდე. „ლუფთანსა“-ს ალიანსი გერმანულ რკინიგზის „დოჩ ბენ ეი-ჯი“ ქსელთან ერთად საშუალებას მისცემს ყოველი სახის ტრანსპორტის გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებას.

ამგვარად, უახლოეს წლებში წინ წამოიწევა ავტოტრანსპორტის მომსახურების ზონების გაფართოების, კონტეინერული გადაზიდვების გაზრდის, აგრეთვე სატრანსპორტო კომპანიათა ალიანსების ორგანიზაციის ტენდენციები.

თავი 8

ბაზრების გლობალიზაცია

საბაზრო ტექნოლოგიები. ბაზრების დიფერენციაცია და კლასიფიკაცია. ბაზრების ორგანიზაცია, სპეკულაცია და არბიტრაჟი. ბაზრების გლობალიზაცია და მეგაბაზრების წარმოშობა. მეგაბაზრების რეფლექსურობა და ხარისხობრივი თავისებურებანი

თვითორგანიზაციის ყველა პროცესი ბუნებასა და საზოგადოებაში შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც გრანდიოზული საბაზრო მექანიზმის ფუნქციონირება, რომელიც განკუთვნილია ვირტუალური, ე. ი. აზრობრივად შესაძლებელი ორგანიზაციული სტრუქტურებისა და მატერიალური და სულიერი ობიექტების შემდგომი განვითარების გზების უარსაყოფად.

ნ. მოისეევი

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პოსტულატი, რომელიც საფუძვლად უდევს მთელი თანამედროვე მეცნიერების მეთოდოლოგიას, და რომელმაც, შეიძლება ითქვას, წარმოშვა იგი, არის ოკამის პრინციპი. იგი აცხა-

დებს ყველა პროცესის და მოვლენის აღწერის წარმართვის აუცილებლობას, ეყრდნობა რა საბაზო კატეგორიების მაქსიმალურ რიცხვს. ახალი კატეგორია ან, ოკამის მიხედვით, არსი უნდა შემოვიდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენათა ახალი კლასის აღწერა შეუძლებელია ძველი კატეგორიების ჩარჩოებში. ეს პრინციპი, წოდებული „ოკამის სამართებლად", ახალ ცნებათა და კატეგორიათა არამოტივირებული შემოტანის მცდელობას მოკვეთს, ამიტომ სწორედ მას უნდა ვუმადლოდეთ აგებულებათა იმ სიმწყობრესა და ლაზათს, რომელიც ჯერჯეროობით დამახასიათებელია უმეტესწილად საბუნებისმეტყველო მეცნიერებისათვის.

თუმცაღა, როდესაც აწყდები ხარისხობრივად ახალ მოვლენებს, ახალი კატეგორიების შემოტანა არა მარტო გამართლებულია, არამედ აუცილებელიც. ახალი არსის შემოტანა საჭიროა იმ შემთხვევებში, როდესაც ახალი თვისებებისა და ხარისხის განსაზღვრული კრიტიკული მასა გროვდება, რომლებსაც, ბუნებრივია, სჭირდება ახალი სახელწოდების მიცემა. სამეცნიერო ინსტრუმენტებში დროულად შემოტანილ მოვლენათა ახალი კლასის განმაზოგადებელ კატეგორიას უნარი აქვს მოახდინოს განზოგადების შემდგომი სტიმულირება და პროდუცირება. იგი ერთგვარად ქმნის საიმედო პლაცდარმს მოცემული კლასის მოვლენათა შემდგომი გამოკვლევისათვის. ამგვარი თანდათანობითი და შემოწმებული კატეგორიალური განზოგადებების გზით ბოლო ხუთი საუკუნის განმავლობაში საბუნებისმეტყველო მეცნიერებები დამაჯერებლად მოძრაობენ, რომელთა წარმატებები უეჭველია. ნელ-ნელა, მაგრამ უკანდაუხევლად გამოდის ამ მაგისტრალურ მეთოდოლოგიურ გზაზე ეკონომიკაც.

ჩვენი ღრმა რწმენით, თანამედროვე ბაზრების ახალი დახასიათებების ბოლო 20-30 წლის განმავლობაში წარმოშობილმა ჯამმა მიაღწია იმ კრიტიკულ სიდიდეს, რომლის დროსაც მათმა რაოდენობრივმა დაგროვებამ ბაზრები ხარისხობრივად ახალ მდგომარეობაში მოიყვანა. და საქმე აქ არა მარტო და არა იმდენად ისაა, რომ ბაზრების უმეტესობა გლობალური გახდა. წარმოიშვა სრულიად ახალი საბაზრო მექანიზმები და ტექნოლოგიები, რომლებმაც საფუძვლიანად შეცვალა ბაზრების არსი. სწორედ ამიტომაც მიზანშეწონილად წარმოგვიდგება „მეგაბაზრების" ცნების შემოტანა, რომელიც ახალი პლანეტარული საბაზრო მექანიზმების, ტექნოლოგიებისა და ინსტიტუტების ერთობლიობას გამოხატავს.

შემდგომ განყოფილებაში აღწერილია ნედლეულის, ენერგიამატერებლების, სამომხმარებლო საქონლის, ფინანსების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების — ძირითადი მეგაბაზრები. მოცემულ შესავალ და, ნაწილობრივ,

თეორიულ თავში შევეცდებით შეძლებისდაგვარად მარტივი და თვალსაჩინო ფორმით აღვწეროთ ის სრულიად ახალი პროცესები და ტექნოლოგიები, რომლებიც თანამედროვე მეგაბაზრების არსს შეადგენენ და კარდინალურად განასხვავებენ მათ თვით XX ს-ის შუახანების ბაზრებისაგან.

8.1. საბაზრო ტექნოლოგიები

წინა თავში საკმაოდ დაწვრილებითაა განხილული გლობალიზაციის ტექნოლოგიები. მათ გარეშე, რა თქმა უნდა, მეგაეკონომიკა, როგორც სრულიად განსაკუთრებული მდგომარეობა და მსოფლიო ეკონომიკის ახალი არსი, არ წარმოიშობოდა. თუმცა ეს ტექნოლოგიები ასრულებენ მართალია მნიშვნელოვან, მაგრამ მაინც დამხმარე როლს. მეგაეკონომიკის ბაზას შეადგენენ მეგაბაზრები და ახალი საბაზრო ტექნოლოგიები.

მაინც რა არის საბაზრო ტექნოლოგიები? ჩვეულებრივ ტექნოლოგიებს უწოდებენ ოპერაციათა განსაზღვრულ თანმიმდევრულობას რაიმე მასალის ეტაპობრივი დამუშავების დროს, იმისათვის, რომ მივცეთ მას საჭირო სამომხმარებლო და შესაბამისად, სასაქონლო თვისებები. მაგალითად, ლითონის წარმოების ტექნოლოგია მდგომარეობს რიგი თანმიმდევრული ე. წ. გადამუშავებისგან — მადანის მოპოვებიდან გლინვამდე. ცნება „ტექნოლოგია“ წარმოიშვა მატერიალურ გარემოში და აღმოჩნდა ისეთი პროდუქტიული, რომ დღეს მას იმდენად ფართო გაგება აქვს, რომ უკვე საუბრობენ საინფორმაციო, საფინანსო, სოციალურ, არჩევით, საზოგადოებრივი საზოგადოებების და სხვა მრავალ ტექნოლოგიებზე. ეს როდი კეთდება ყოველთვის გაცნობიერებულად, ამას ზოგჯერ თავად ტექნოლოგიის ცნების პროფანაციამდე მივყავართ. სამაგიეროდ, განსაზღვრული მოღვაწეობის ტექნოლოგიური ტიტულის მითვისება ერთბაშად ანიჭებს მას ძვირადღირებული საქონლის სტატუსს (ტექნოლოგია ხომ — ამჟამად ყველაზე კოტირებული საქონელია) და საშუალებას აძლევს საკმაოდ ძვირად გაიყიდოს.

მიუხედავად ერთგვარი ტერმინოლოგიური არეულობისა, მაინც უმეტესობისათვის სხვადასხვა სფეროში ტექნოლოგიები რჩება ოპერაციათა თანმიმდევრულობად მატერიის ან ინფორმაცის დამუშავებისას, რათა საბოლოოდ პროდუქტს მიენიჭოს სასაქონლო თვისებები.

არსებითად, რას გარდაქმნიან საბაზრო ტექნოლოგიები და რას ქმნიან ისინი? აქ არც ისე უბრალოდ და თვალსაჩინოდაა საქმე, როგორც ლითონთან, კვების პროდუქტებთან, ავტომობილებთან და ინფორმაციასა ან ფინანსებთანაც კი.

იმისათვის, რომ უკეთ გავერკვეთ კითხვის არსში, დავიწყოთ უკვე კლასიკურ მაგალითად გამხდარი პრიმიტიული ბაზრიდან, რომელიც უბრალო გაცვლაზეა დაფუძნებული.

წარმოვიდგინოთ გლეხი, რომელმაც, მაგალითად, აწარმოა ხორბალი და მეთუნე, ვინც ქოთანი დაამზადა. მაგალითი ბანალურია, მაგრამ უკვე მასში შეგვიძლია დავინახოთ ყველა საბაზრო ტექნოლოგიის ძირითადი ელემენტები. პირველ რიგში, ვინაიდან გლეხმა და მეთუნემ თავად აწარმოეს საკუთარი საქონელი, ეს უკანასკნელი ეკუთვნით მათ, ყველა დანარჩენი საზოგადოების წევრის მიერ აღიარებული საკუთრების უფლებით. ეს უფლება შეიძლება იქნეს დაფიქსირებული ან კანონმდებლობით, ან განმტკიცებული წეს-ჩვეულებით — ბაზრისათვის მნიშვნელოვანია ამ უფლების მხოლოდ მკაფიო ფიქსაცია.

> მაშასადამე, ბაზრის პირველი მოთხოვნაა — სავარაუდო საქონელზე ამა თუ იმ ხარისხის საკუთრების უფლებათა არსებობა.

პრიმიტიულ საზოგადოებებში საკუთრება ესმით, როგორც აბსოლუტური, შეუზღუდავი ძალაუფლება საგანზე. საკუთრების უფლებათა დაყოფა სხვა, მასში ჩართულ უფლებებზე ხდება თანდათანობით ეკონომიკური ცხოვრების გართულების პროცესში, ასევეა ეკონომიკური ინსტიტუტების ევოლუციის დროს.

მეორე, ხელოსანსაც და გლეხსაც, პრინციპში, სურთ გაცვლის წარმოება და ეს გაცვლა იქნება აღიარებული ყველას მიერ მართლა შემდგარად, თუკი მოცემულ ქვეყანაში დადგენილ ფორმალობებს დაიცავენ. ალბათ სადღაც ამისათვის საკმარისი იყნება „ტაშის შემოკვრა", სხვა ქვეყანაში შეიძლება აუცილებელი გახდეს ხელშეკრულების ნოტარიალურად დადასტურება — მნიშვნელობა არა აქვს. მნიშვნელოვანია, რომ

> ბაზარი მოითხოვს საკუთრების უფლებების გადაცემის შესაძლებლობებს ნებაყოფლობითი ხელშეკრულების საფუძველზე, ასევე საგანზე — საქონელზე ძალაუფლებას.

ახლა დარჩა გარიგებაზე პირობების შეთანხმება: დავუშვათ, ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე მარცვლეულის სამი ტომარა გაიცვალა ორ ქოთანზე. შეიძლება ვთქვათ: რომ ბაზარმა მუშაობა დაიწყო? გარკვეული თვალსაზრისით — დიახ. საკუთრების უფლებების გაცვლა, რომელიც სიტყვიერად მოხდა ან დოკუმენტურად გაფორმდა ხელშეკრულების სახით, ხომ შედგა. თუმცა ბაზრის სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის აუცილებელია, რომ ერთტიპობრივი გარიგებები ბევრი იყოს და შეიძლებოდეს საუბარი მარცვლეულის განსაზღვრულ ფასზე, თუნდაც გამოხატული ქოთ-

ნებში. რა თქმა უნდა, მარცვლეულის და ქოთნების გამყიდველები თავად საჭიროებენ სხვა საქონლის მთელი სპექტრის შეძენას. ამის გამო ყველა ქვეყანაში ბაზრის განვითარების განსაზღვრულ ეტაპზე უცილობლად ჩნდებოდა საქონელ-ეკვივალენტი, რომლის ფასი ყველასათვის ურყევი და უეჭველი იყო და რომლის გაცვლაც შეიძლებოდა ნებისმიერ სხვა საქონელზე. თავდაპირველად ასე წარმოიშვა ფულის წინაპარი, რომლის როლს უპირატესად ოქრო და ვერცხლი თამაშობდა. ახლა მარცვლეული იყიდება ფულზე, რომლითაც შემდგომ ქოთნებს და სხვა საქონელს ყიდულობენ. ყველაფერი თითქოსდა ელემენტარულია: იყო ბევრი გამყიდველი, ბევრი მყიდველი და ისინი თავისუფლად აწარმოებდნენ გაცვლებს ფულის გამოყენებით. თუკი მარცვლეულს დიდი რაოდენობით აწარმოებდნენ, მაშინ მასზე ფასი ეცემოდა, ხოლო თუ უეცრად ქოთნებზე მოთხოვნა იზრდებოდა, ფასიც მატულობდა. ფასების ცვლილებებზე წამიერად რეაგირებდნენ მწარმოებლები და ზრდიდნენ ან ამცირებდნენ წარმოებას. რესურსები გადანაწილდებოდა იმ საქონლის სასარგებლოდ, რომლის წარმოება იყო უფრო ეფექტიანი, ხოლო საბაზრო წონასწორობის მიღწევა საქონლის მწარმოებლებს შორის ხდებოდა რესურსების რაციონალური გადანაწილებით. ასეთი იყო იდეალური ბაზრის ზოგადი სურათი, რომელიც ადამ სმიტის მოდელის მიხედვით მუშაობდა. ეს მოდელი გენიალურად უბრალო და თვალსაჩინოა. საკმარისია დავხატოთ საქონლის ფასის ზრდადი მიწოდების მრუდი და კლებადი მოთხოვნის მრუდი, რათა მივიღოთ სახელგანთქმული მარშალის ჯვარი, ხოლო ამ მრუდთა გადაკვეთის წერტილით განვსაზღვროთ საბაზრო წონასწორობის ფასი. ამ ჯვრებით ლამის აჭრელებულია ეკონომიკის ყველა სახელმძღვანელო. ყოველივე ეს ძალიან გასაგები, თვალსაჩინო და ლამაზია. მაგრამ აქ არის ორი ნაკლი: პირველი, ჯერ კიდევ არავის შეუქმნია მოთხოვნის და მიწოდების რეალურ მრუდთა აგების ადვილადმოსანელებელი მეთოდიკა და მეორე, თანამედროვე ბაზრები ნეოკლასიკურ მოდელებს არ სცნობენ.

> რეალური ფასები ყალიბდება კიდევ მრავალი სხვა ფაქტორის გავლენით, გარდა ყოველწამიერი მოთხოვნის და მიწოდებისა.

ამასთან, ბოლო წლებში ადრე მიჩნეული მეორეხარისხოვანი ფაქტორების მნიშვნელობა ძალიან სწრაფად იზრდება. ხშირად ისინი ბევრად უფრო დიდ გავლენას ახდენენ საბაზრო ფასების ჩამოყალიბებაზე, ვიდრე ამწამიერი მოთხოვნა და მიწოდება.

იდეალური ბაზრის მოდელი, ისევე როგორც სხვა მსგავსი მოდელი, მაგალითად, თერმოდინამიკაში იდეალური გაზის მოდელი, საკმაოდ კარ-

გად მუშაობს სტაციონარულ ეკონომიკურ პირობებში, საოცრად მკაცრ და ყოველთვის როდი შესრულებადი შეზღუდვების დროს.

მართლაც ითვლება, რომ ბაზრის მონაწილეებს გააჩნიათ შეუზღუდავი არჩევანის თავისუფლება მოთხოვნის, მიწოდების და ბაზრის ფასების სრული ინფორმაციის საფუძველზე. ფარულად ივარაუდება, რომ ყველა გარიგება ხდება დანახარჯების და დაბრკოლებების წინასწარი, ძვირადღირებული მოლაპარაკებებისა და ბაზრის გამოკვლევების გარეშე, კლასიკური თეატრისათვის დამახასიათებელი დროისა და ადგილის ერთიანობის კანონის მოქმედების მსგავსად. ამ კანონის თანახმად, ძველ პიესებში ყველა მოქმედება ერთ ადგილს და ერთ დროს უნდა ვითარდებოდეს. ამგვარად, იდეალური ბაზარი მოითხოვს პრაქტიკაში მრავალ პრაქტიკულად არასდროს რეალიზებულ პირობას.

სტაციონარულ ეკონომიკებში, როდესაც ცვლილებები მიმდინარეობს შედარებით ნელა, დანახარჯები გარიგებათა განსახორციელებლად და საბაზრო ინფორმაციის მისაღებად შედარებით მცირე იყო ამ და სხვა მეორეხარისხოვანი ფაქტორებით შეტანილი აბერაციები ბაზრის ფუნქციონირებაში თავდაპირველად მართლაც იყო, შემდეგ კი კიდევ დიდხანს საოცრად მცირე გვეჩვენებოდა. შედარებით სტაციონარულ სიტუაციებში ისინი შეიძლება არ გაგვეთვალისწინებინა.

მაგრამ მთელი უბედურება ისაა, რომ, განსხვავებით მრავალი სხვა სისტემისაგან, თანამედროვე ეკონომიკებისათვის, ხოლო მით უფრო მეგაეკონომიკისათვის, სტაციონარული მდგომარეობა წარმოადგენს უფრო მეტად გამონაკლისს, ვიდრე წესს.

> ისინი იმყოფებიან პერმანენტულ გარდამავალ რეჟიმებში, რომლებიც უკვე გახდა მათი დახასიათებებისათვის განუშორებელი, იმანენტურად (შინაგანად) თანმხლები ნიშანი.

გარდამავალი ეკონომიკა, ჩვენი გაგებით, არა მარტო იმ ქვეყანათა ეკონომიკაა, რომელნიც სოციალიზმიდან კაპიტალიზმში გადადის, გეგმიდან ბაზრისკენ, არამედ ნებისმიერი ეკონომიკაა სწრაფად ცვალებადი საბაზრო მიკროეკონომიკური პარამეტრებით, საბაზრო მექანიზმებით და, რაც მთავარია, ინსტიტუტებით.

გარდამავლობა წარმოგვიდგება, არა როგორც მოძრაობა ერთი სტაციონარული მდგომარეობიდან მეორისაკენ, არამედ როგორც თანამედროვე ეკონომიკური სისტემის იმანენტური და ძირითადი თვისება, რომელიც ვითარდება საბაზო პარმეტრების (საბაზრო ფასების, სავალუტო კურსების, საბანკო პროცენტების და ა. შ.) სწრაფი ცვლილებების დროს, საკმა-

ოდ ვიწრო და ზუსტად შემოუსაზღვრავ დერეფნებში, რომელთა შიგნით შენარჩუნებულია თუნდაც შედარებითი მდგრადობა. ამ პარამეტრთა გამოსვლას მდგრადობის ზონიდან შეიძლება მოჰყვეს გადასვლა განვითარების უმართავ ქაოსურ რეჟიმებზე.

გარდამავალი პროცესების სპეციფიკა ისეთია, რომ ისინი არ ექვემდებარებიან იმ კანონზომიერებებს, რომლებიც სტაციონარულ პროცესებს განსაზღვრავენ. ამ ფენომენს უკვე საკმაოდ დიდი ხანია შეეჯახნენ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები. ფიზიკასა და მასთან მეთოდოლოგიურად ახლომყოფ მეცნიერებებში დიდი ხანია ისწავლეს ამა თუ იმ იდეალური მოდელის გამოსაყენლობის საზღვრების მკაფიოდ შემოფარგვლა, რათა ამ მოდელთა რთული კომბინაციები გამოეყენებინათ გარდამავალი და სასაზღვრო პროცესების ასაღწერად. მაგალითად, გაზო-და ჰიდროდინამიკაში შეიქმნა ისეთი ახალი დისციპლინები, როგორიცაა სასაზღვრო ფენის თეორია და ტურბულენტურობის თეორია, რომლებიც გარდამავალ სპეციფიკურ პროცესებს შეისწავლიან; ეს უკანასკნელი კი მიმდინარეობს სითხეებსა და გაზებში მყარი ზედაპირების სიახლოვეს, მაგალითად, მიღების კედლებთან, ამას თან ახლავს ქაოსურად მიმართული მასების გადაადგილება. რა თქმა უნდა, არავის მოუვა აზრად ამ პროცესების მიმართ გამოიყენოს ჩვენთვის ჯერ კიდევ სკოლის ფიზიკიდან კარგად ნაცნობი იდეალური გაზის კანონები, ისევე როგორც საუბარი მათ უსაფუძვლობაზე. უბრალოდ ყოველ კანონზომიერებას გამოყენების თავისი საზღვრები გააჩნია.

ვფიქობთ, რომ ეკონომიკური კანონების მოქმედების ამგვარი გაგებისათვის მიჩვევა უპრიანი იქნებოდა ეკონომიკებისთვისაც. საბაზრო წონასწორობის მოდელები მნიშვნელოვანი აღმოჩენა იყო, მაგრამ მათი მოქმედების სფერო ობიექტურად შეზღუდული რჩებოდა. ახლა ისინი შეიძლება გამოვიყენოთ შედარებით სტაციონარული პროცესების აღსაწერად, საერთო ტენდენციათა განსაზღვრისთვის პირველი მიახლოებისას.

თანამედროვე ეკონომიკაში დიდ როლს თამაშობენ დანახარჯები ბაზრის კვლევზე, პარტნიორის მოძიებაზე, გარიგების დადებაზე, ე. ი. ყველაფერი ის, რასაც ინსტიტუციონალისტებმა (რ. კოუზი და სხვ.) უწოდეს ტრანსაქციური დანახარჯები. განვითარებულ ეკონომიკურ სისტემებში ამ დანახარჯთა წილი უზრმაზარია. მაგალითად, აშშ-ში ტრანსაქციური დანახარჯები მშპ-ის 40%-ს შეადგენს ანუ დაახლოებით 3, 6 ტრლნ დოლარს წელიწადში. ამის უგულებელყოფა უკვე არაფრით შეიძლება. საბაზრო ეკონომიკის შესწავლა ტრანსაქციური დანახარჯების აღრიცხვის გარეშე იგივეა, რაც მექანიკა ხახუნის ძალის გარეშე.

ახლა გასაგებია, რომ საბაზრო ტექნოლოგიაში საჭიროა ჩავრთოთ ოპერაციები ბაზრის ანალიზისათვის, პარტნიორის ძიებისათვის, აგრეთვე ხელშეკრულებათა შეუსრულებლობის რისკების თაობაზე კითხვათა დეტალური შემუშავება, საბაზრო სიტუაციის ცვლილებები და შესაბამისი გარანტიები. ბაზრის გამოკვლევები რთულდება იმით, რომ იგი თავად წარმოადგენს სწრაფად ცვალებად გარემოს. ამასთან, იცვლება არა მარტო საბაზო პარამეტრები, არამედ თვითონ ქცევის წესები - ინსტიტუტები.

ახლა შეგვიძლია შევაჯამოთ პირველი შუალედური დასკვნები.

1. როგორც გამოირკვა, საბაზრო ტექნოლოგიები თავისთავად წარმოადგენენ ოპერაციათა ერთობლიობას პარტნიორის ძიებისათვის, მასთან გარიგების დასადებად რომელიღაც საქონელზე უფლებათა (ძალაუფლების) ნაწილის გადასაცემად და ამ გარიგების გაფორმებისას წამოჭრილი რისკების გათვალისწინებით, რომლებიც მათი გარანტიების კომპენსაციას ახდენენ.

2. საბაზრო ტექნოლოგიები, ისევე როგორც ყველა სხვა, ევოლუციას განიცდიან და დროთა განმავლობაში იხვეწებიან. არაეფექტიანი ტექნოლოგიები გამოიდევნება უფრო სიცოცხლისუნარიანით. მათი ევოლუცია მიმდინარეობს მუდმივად სახეცვალებადი საბაზრო ინსტიტუტების ჩარჩოებში, ფორმალურად (საკანონმდებლო-ნორმატიულად) თუ არაფორმალურად (წეს-ჩვეულებების და „ცნებების" მიხედვით), საბაზრო ქცევის დადგენილი წესებით. საბაზრო ინსტიტუტები და ტექნოლოგიები შეადგენენ ბაზრის არსს.

8. 2. ბაზრების დიფერენციაცია და კლასიფიკაცია

ჩვენ არ ვემხრობით კატეგორია „ბაზარს" მივანიჭოთ ისეთი ყოვლისმომცველი მნიშვნელობა, როგორიც აკადემიკოს ნ. მოისეევის მოტანილ ეპიგრაფშია, იგი ცნებაში „ბაზარი" პრაქტიკულად რთავს როგორც ცოცხალი, ისე არაცოცხალი ბუნების ევოლუციას. თუმცაღა უეჭველი გვეჩვენება ადამიანის მიერ საერთო-ევოლუციური კანონზომიერებების ბაზრის ფორმით გადატანა ეკონომიკურ სფეროში.

როგორც გვასწავლის პრაქტიკულად ყველა მსოფლიო რელიგია, რომელიც ადამიანს ქმნიდა თავისი სახის მსგავსად, მხედველობაში ჰქონდა არა გარეგნული მსგავსება, არამედ ის, რომ მას ენიჭებოდა თავისუფალი ნება და არჩევანის საშუალება. იგი თავად ღებულობს გადაწყვეტილებებს

და მათზე პასუხსაც აგებს. სწორედ ამითაა იგი ღმერთის მსგავსი. ადამიანი იბრძვის ძალაუფლებისათვის, კონკურენტულ ბრძოლაში ებმება რესურსებისათვის, აკეთებს რა ყოველივე ამას თავისი რისკის ფასად. ბაზარი წარმოადგენს ევოლუციურ ბრძოლას ძალაუფლებისათვის. ამიტომაც ბაზრის კანონები ისევე საყოველთაოა ეკონომიკისათვის, როგორც ევოლუციის კანონები მთელი ცოცხალი (და არა მარტო ცოცხალი) ბუნებისათვის.

ადამიანმა ბაზრის ძირითადი პრინციპები ბუნებისაგან გადმოიღო ან ღმერთისაგან, ვისაც როგორ მოსწონს. თუმცა, როგორც ჩანს, მისთვის დამახასიათებელი აზროვნება საშუალებას აძლევს შეცვალოს საბაზრო ქცევის წესები და ამგვარად წარმართოს ეკონომიკური ევოლუცია. ეს პროცესი რაღაცნაირად წააგავს ხელოვნურ გადარჩევასა და სელექციას, რომლებიც წარმატებით გამოიყენება სოფლის მეურნეობაში უკვე ათობით ათასი წელი. ბუნებრივ ევოლუციურ პროცესებში კი ნებისმიერი ჩარევა, მით უფრო ჯერ კიდევ შეუცნობელის, დაკავშირებულია დიდ რისკთან. ამას აშკარად მოწმობს გრანდიოზული კომუნისტური ექსპერიმენტის ჩავარდნა.

საბაზრო პროცესებში დაშვება-ჩარევის ხარისხის შესახებ გამუდმებით კამათობენ ლიბერალები, რომლებიც თვლიან, რომ ამგვარი ჩარევა საჭიროა მინიმუმამდე დავიყვანოთ, ხოლო სახელმწიფო მოხელეები დაჟინებით მოითხოვენ სახელმწიფოს მაქსიმალურად აქტიურ მონაწილეობას ეკონომიკურ ცხოვრებაში. თითოეული ამ თეორიული პლატფორმის მიღმა დგას ადამიანთა კონკრეტული ჯგუფი, რომლებიც ძალაუფლებისათვის ბრძოლაში ეყრდნობიან: ერთნი – ბაზარსა და ფინანსებს, მეორენი – სახელმწიფოს.

ამ ორი დაპირისპირებულობის ოდინდელი ბრძოლა ბაზრის, როგორც ინსტიტუტის, ევოლუციური განვითარების ზამბარას წარმოადგენს. სახელმწიფო ორგანოები მუდმივად ცდილობენ ამა თუ იმ ზომით დაარეგულირონ და წარმართონ საბაზრო პროცესები, ხოლო თავისუფალი კონკურენციის სტიქია ეძიებს და პოულობს სულ ახალ გზებს და ხვრელებს მეწარმეობის ენერგიის გამოსასვლელად. სახელმწიფო კვლავ ცდილობს დაფაროს, მისი აზრით, საზიანო ხვრელები, ხოლო ბაზარი პოულობს ახლებს, რომელთა გაფართოება ხშირად უხდება საბაზრო ნაკადის ახალი კალაპოტის ზომებამდე. ასე მიმდინარეობს განვითარება...

როგორც ზემოთ ითქვა, საბაზრო ტექნოლოგიის უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს უფლებათა გადაცემა გამყიდველიდან მყიდველზე. გლეხისა და მეთუნის მაგალითში იყიდებოდა საკუთრების უფლებები, ე. ი. ხელშეკრულების მიხედვით გადაიცემოდა სრული ძალაუფლება საგანზე. თუმცა ეს ყველაზე გავრცელებული, მაგრამ არა ერთადერთი საშუა-

ლებაა უფლებათა გადაცემისათვის. თავად საკუთრება, რ. კოუზის მოსწრებული განსაზღვრების მიხედვით, თავისთავად წარმოადგენს უფლებათა კონას. მაგალითად, რუსეთის კანონმდებლობით, საკუთრებაში შედის საგნის მოხმარების, ფლობის და განკარგვის უფლებები. ხშირად საკუთრების ცნებაში რთავენ 15 სხვადასხვა უფლებას და მეტსაც. გარდა საკუთრების უფლებისა, დიდადაა გავრცელებული საარენდო უფლებები. უფლებები, რომლებიც გამომდინარეობენ სასესხო ვალდებულებებისაგან, კორპორაციის მართვაში მონაწილეობის შესახებ უფლებები, რომლებსაც აქციები იძლევიან და ა. შ.

ხელსაყრელია და იაფი იყიდო არა უფლებათა სრული ერთობლიობა, არამედ ის ნაკრები, რომელიც საჭიროა მოცემულ მომენტში არჩეული საქმიანობის სახისათვის.

ამგვარად, *პირველი მიმართულებაა ბაზრების დიფერენციაცია გადასაცემი უფლებების მიხედვით.* ასე წარმოიშვა სასესხო ვალდებულებათა ბაზრები, არენდები, ფრახტები, აქციები და ა. შ. ბოლო 20 წელიწადში უფლებების შემადგენელ ნაწილებად დაყოფის პროცესი და მათი სათითაოდ ან კომპლექსში გაყიდვა რევოლუციურად გაძლიერდა. თადაპირველად გაჩნდა ხელშეკრულებები, რომლებიც საქონლის გაყიდვის (ყიდვას) უფლებას უზრუნველყოფდა წინასწარ მოლაპარაკებული ფასით, მომავალის რომელიღაც მომენტში (ფორვარდული კონტრაქტები). მაგალითად, გლეხი აპრილში დებს კონტრაქტს სექტემბერში მარცვლეულის გაყიდვაზე 150 დოლარი/ტონზე. ბუნებრივია, რომ მისი პარტნიორი თავისთავზე იღებს სიმეტრიულ ვალდებულებებს. (საერთოდ, ერთი მხარის უფლებები ჩვეულებრივ ბადებს მეორის ვალდებულებებს). გარკვეული დროის შემდეგ ფორვარდული კონტრაქტები, მაგალითად, მარცვლეულზე ღებულობს მნიშვნელოვან გავრცელებას და სტანდარტიზებას. ვთქვათ, ჩნდება სტანდარტული ფორვარდული კონტრაქტი 1000 ტ ხორბალზე. ეს სტანდარტული კონტაქტი შეიძლება გადაეცეს ერთი პირიდან მეორეს განსაზღვრული ანაზღაურების ფასად.

ბაზრის ევოლუციის შემდგომი ნაბიჯი დაკავშირებულია იმ კონტრაქტებით გაუპიროვნებელი საბირჟო ვაჭრობის ორგანიზაციასთან, რომლებიც უკვე ფიუჩერსებადაა წოდებული. სპეციალიზებული ბირჟა განსაზღვრული ფორმით ფიუჩერსის გამყიდველს (მყიდველს) კონტრაქტის შესრულების გარანტიას აძლევს. მაშასადამე, იგი ფიუჩერსებით, ვაჭრობის ისეთ წესებს ადგენს, რომლებიც ამ ბაზრის მონაწილეებს იმავე მოგების (ან იმავე წაგების) გარანტიას აძლევს, რომელიც მას ექნებოდა, თუკი დადებდა კონკრეტულ ფორვარდულ კონტრაქტს ცნობილ პარტნიორთან იმავე პირობებით.

ფიუჩერსების ბაზრის ევოლუციის ზემოთ აღწერილი ეტაპები დამახასიათებელია ბაზრების უმრავლესობისთვის. თავდაპირველად ჩნდება ერთეული კონტრაქტები რაღაც უფლებათა გადაცემაზე განსაზღვრული პირობებით, შემდეგ ეს კონტრაქტები პოპულარობას, მასობრიობასა და სტანდარტიზებას იძენს, დაბოლოს კი, ჩნდებიან მოცემული ბაზრის (მარკეტმეიკერები) ორგანიზატორები, რომლებიც ყველა მსურველისათვის ვაჭრობის საერთო წესებს ადგენენ სტანტარტული გაუპიროვნებელი კონტაქტებით.

არსებითად, ისტორიულად დაახლოებით ასე გაჩნდა თავად ქაღალდის ფული. თავდაპირველად სახელმწიფო ორგანოები ვალად ოქროს იღებდნენ კერძო პირთაგან ხელწერილის საშუალებით. შემდგომ ამ ხელწერილებმა შეიძინა სტანდარტული ფორმა და ასე გადაეცემოდა ერთი მევახშე-ბანკირისაგან მეორეს. ბოლოს და ბოლოს, სახელმწიფომ მოაწყო ქაღალდის ფულის ბაზარი და იგი გახდა გადახდის საყოველთაო საშუალება, ამასთანავე მან თანამედროვე ფულის ყველა სხვა ფუნქციის შესრულება დიიწყო.

ფიუჩერსების მაგალითზე თვალნათლივ შეიძლებოდა გვეჩვენებინა, თუ უფლებათა დაყოფას როგორ მივყავართ ბაზრების დიფერენციაციამდე და ახლების წარმოქმნამდე. ცნობილია, რომ ფიუჩერსი განსაზღვრული საქონლის ყიდვაზე (გაყიდვაზე) იძლევა უფლებას რომელიღაც ფიქსირებულ მომენტში, მომავალში. მაგრამ იმავდროულად ფიუჩერსული კონტრაქტი ითვალისწინებს გარიგების განხორციელების ვალდებულებასაც, მაშინაც კი, თუ იგი გახდა არა ხელსაყრელი. ესე იგი, თუ თქვენ გაქვთ ფიუჩერსული კონტრაქტი, 1 ტონა ხორბლის გაყიდვაზე 150 დოლარად, ხოლო ფასი 120 დოლარამდე დაეცა, თქვენ მაინც ვალდებული ხართ შეასრულოთ კონტრაქტი და შესაბამისად, იზარალოთ.

თუმცა ამ მარცვლეულის გაყიდვაზე უფლება შეიძლება შეიძინო ვალდებულებებისაგან ცალკე. ამის უფლებას იძლევა სტანდარტული ფინანსური ინსტრუმენტი - ოპციონი. დღეს ყოველგვარი ოპციონი მძაფრად ვითარდება, მათი დაწვრილებითი აღწერა მოცემულია შემდეგ განყოფილებაში.

ზოგჯერ ცვლიან და ყიდიან ნაკლებად შესამჩნევ უფლებებს. მაგალითად, ერთ კომპანიას შეუძლია მისწვდეს იაფ საკრედიტო რესურსებს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთით, ხოლო მეორეს - საშუალოდ ცოტა უფრო ძვირთან, მაგრამ მუდმივი განაკვეთით. განსაზღვრული პირობების შემთხვევაში მათ შეუძლიათ გაცვალონ თავიანთი უფლებები. მსგავსმა ოპერაციებმა მიიღო სახელწოდება „სვოპი". სვოპების ბაზარი ერთ-ერთი ყველაზე სწრაფადმზარდია. დიდი გავრცელება ჰპოვა საპროცენტო, სასა-

ქონლო და სავალუტო სვოპებმა. ყველა ისინი დაფუძნებულია ერთიან პრინციპზე - უფლებათა გაცვლა - არსებული გადახდის რეჟიმიდან უფლებებით სასურველ რეჟიმზე განსაზღვრული ჯილდოს ფასად. სვოპებმა, ისევე როგორც ფიუჩერსებმა და ოპციონებმა, გაიარა სტანდარტიზაციის სტადია და გახდა საყოველთაო მოხმარების ფინანსური ინსტრუმენტი, რომლის ვაჭრობის ორგანიზაცია თავისთავზე აიღეს სპეციალიზებულმა ბანკებმა და ფინანსურმა კომპანიებმა (სვოპდილერები).

მეგაბაზრების წარმოშობასა და განვითარებასთან ერთად მოხდა უფლებათა და ვალდებულებათა დაყოფა, მათი შეერთება დახვეწილ და სხვადასხვაგვარ სტანდარტულ, მწარმოებლურ ფინანსურ ინსტრუმენტებად (დერივატები), ასევე მასშტაბური ვაჭრობის ორგანიზაცია მათ მიერ იზრდება ლავისებურად.

ამ ტენდენციამ საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მეგაბაზრების, როგორც დამოუკიდებელი ფენომენის წარმოშობაში. დერივატივების ბაზართა დაწვრილებითი აღწერა მოტანილია მე-13 თავში.

მაშ ასე, ბაზრების ევოლუციური დივერსიფიკაციის პირველ მიმართულებას წარმოადგენს უფლებათა და ვალდებულებათა დაყოფა და კომპლექტაცია. უფლებათა კომპლექსები, რითაც ვაჭრობენ მოცემულ ბაზარზე, ასევე მნიშვნელოვან კლასიფიკაციურ ნიშნებს წარმოადგენენ.

ბაზრების დიფერენციაციის მეორე მიმართულებას წარმოადგენს თავად საქონელი. ბუნებრივია, ყოველივე დაიწყო ჩვეულებრივი სასაქონლო ბაზრებისაგან. მთელი ისტორიის მანძილზე ისინი იყოფა ბაზრების და საქონლის სულ უფრო დიდ რიცხვად, რომელთაგან თითოეული ვაჭრობს შედარებით დამოუკიდებლად. ახალი სასაქონლო ბაზრის ძირითად ნიშანს წარმოადგენს ამ ბაზარზე ვაჭრობის სპეციფიკური წესების და სტანდარტების შექმნა. ჩვეულებრივ, ხელახლა შექმნილი ბაზარი სწრაფად იცვლის სტრუქტურას და მასზე მოქმედებას იწყებენ კომპანიები - ბაზრის ორგანიზატორები (მარკეტ-მეიკერები).

ჩვეულებრივ, სასაქონლო ბაზრების დიფერენციაცია გრძელდება და იზრდება. ჩნდება საქონლის სულ ახალი ჯგუფები და შესაბამისი ბაზრები.

სასაქონლო ბაზრები შეიძლება დავყოთ სამ ძირითად ჯგუფად: ენერგიამატარებლების და ნედლეულის ბაზრები, აგროსასურსათო ბაზრები და მზა პროდუქციის ბაზრები. შედარებით ახლახან მათ გამოეყვნენ მომსახურების ბაზრები, რომელთა წილი მსოფლიო ვაჭრობაში გამუდმებით იზრდება. მეგაბაზრების წარმოშობაზე ყველაზე დიდი გავლენა მოახდინეს ფინანსურმა ბაზრებმა. ძირითადი სპეციფიკური მახასიათებლები მეგაბაზრებმა სწორედ ფინანსური ბაზრებისაგან აითვისა. ამ უკანასკნელთა

შესწავალისას შეიძლება გამოვყოთ ვალდებულებების, აქციების და სავალუტო ბაზრები, აგრეთვე ზემოაღნიშნული ბაზრები.

დასასრულ, ბოლო ათწლეულებში სწრაფად ვითარდება ინოვაციების ბაზარი. იქ ვაჭრობენ ლიცენზიებით, პატენტებითა და სხვა დოკუმენტურად გაფორმებული უფლებებით ინტელექტუალურ საკუთრებაზე. ინოვაციათა ბაზრებზე იყიდება უფლებები ტექნოლოგიებსა და სხვა სამეცნიერო-ტექნიკურ პროდუქციაზე. გარდა ამისა, ამ ბაზრებზე არსებობს ვაჭრობის სპეციფიკური წესები, რომელთა გარეშე იოლად გასვლა გაუჭირდებათ იმ ადამიანებს, ვისაც სურთ ხელი მოჰკიდონ ინოვაციურ ბიზნესს. ეს უკანასკნელი კი მეგაეკონომიკაში იწყებს წამყვანი როლის შესრულებას.

ამგვარად, ბაზრების კლასიფიცირება შეიძლება, პირველ რიგში, იმ უფლებების მიხედვით, რომლებიც გადაეცემა გარიგების შედეგად და მეორე, სავაჭრო საქონლით. მესამე საკლასიფიკაციო თვისებას წარმოადგენს ბაზრის ტერიტორიული ლოკალიზაცია. ამ თვალსაზრისით ბაზრები შეიძლება დაიყოს:

- ადგილობრივებად (დაბის, ქალაქის საზღვრებში, ასევე მცირე ადმინისტრაციული რაიონის და ა. შ.);
- რეგიონალურებად (განსაზღვრული ოლქის, რეგიონის ჩარჩოებში, მაგალითად, რუსეთის ფედერაციის სუბიექტის);
- ეროვნულებად (ეროვნული სახელმწიფოს საზღვრებში);
- საერთაშორისოებად (იმ სახელმწიფოთა ბლოკის ჩარჩოებში, რომლებმაც დაამყარეს სავაჭრო კავშირი, მაგალითად, ევროკავშირი, ჩრდილო ამერიკული თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია, მერკოსური და სხვ);
- გლობალურებად, რომლებიც პლანეტარული მასშტაბით ფუნქციონირებენ ერთიანი წესების მიხედვით.

სხვადასხვა ლოკალური ბაზრები იყოფა ძირითადად მათზე მოქმედი საბაზრო წესების — ინსტიტუტების - მიხედვით, თუკი ეს წესები ერთნაირია რამდენიმე ლოკალური ბაზრისათვის, სამაგიეროდ მათი ფასები განსხვავდება ძირითადად სატრანსპორტო დანახარჯების თანხით. თუ ფასები ერთი და იმავე საქონელზე ორ (ან მეტ) ლოკალურ ბაზარზე მნიშვნელოვნად განსხვავდება, მაშინ ეს შესაძლოა დაკავშირებული იყოს ან თითოეულ ბაზარზე ვაჭრობის განსაკუთრებული წესების (საბაზრო ინსტიტუტების) მოქმედებასთან, ან ამ ბაზრების საინფორმაციო განცალკევებულობასთან. ჩვეულებრივ, საქმე გვაქვს ამ ორი გარემოების შეხამებასთან. ბაზრის ერთიანობის კრიტერიალურ თვისებად წარმოგვიდგება ყველა მისი ტერიტორიულად განკერძოებული ნაწილის საინფორმაციო ურთიერთდაკავშირებულობა და მათზე მოქმედი საბაზრო ინსტიტუტე-

ბის ერთიანობა, რომლიდანაც გამომდინარეობს საქონელზე ფასთა სისტემის ერთობა.

სხვა საკლასიფიკაციო ნიშნებისაგან განსხვავებით, ბაზრების ტერიტორიული ლოკალიზაცია თანდათანობით ქრება და ბატონობს ლოკალური ბაზრების ინტეგრაციის ტენდენცია, უფრო საერთო ტერიტორიულ გაერთიანებებამდე, თითქმის გლობალურ ბაზრებამდე.

8. 3. ბაზრების ორგანიზაცია, სპეკულაცია და არბიტრაჟები

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, იდეალური ბაზრებისათვის დამახასიათებელია ტერიტორიალური ერთიანობის პრინციპის - ადგილისა და დროის - მიხედვით ორგანიზაცია. სხვათა შორის, ტრადიციული ბაზრების უმრავლესობა მართლაც იქმნებოდა ამ პრინციპის შესაბამისად და ვაჭრობები მიმდინარეობდა დიდ, სპეციალურად გამოყოფილ მოედნებზე, უპირატესად დიდ ქალაქებში. სწორედ ამ გარემოებამ ითამაშა უმნიშვნელოვანესი როლი ქალაქების, როგორც სახელოსნო წარმოებისა და საბაზრო ვაჭრობის თავმოყრის ადგილის წამოშობაში.

რეალური საბაზრო ეკონომიკა შედგება რამდენიმე ათასი სხვადასხვა ტერიტორიულად გაფანტული ლოკალური ბაზრისაგან, სადაც ვაჭრობენ სხვადასხვა საქონლითა და უფლებებით. ერთი და იმავე საქონელზე იმ ბაზრების ფასები, რომლებიც ერთმანეთისაგან მნიშვნელოვანი მანძილითაა დაშორებული, სრულიად სხვადასხვა დონეზე შეიძლება დადგინდეს. იმისათვის, რომ ამ ფასთა სხვაობა გამოვიყენოთ მოგების მისაღებად, აუცილებელია გავრისკოთ საქონლის გადაზიდვა და მისი გაყიდვა სხვა კანონების მქონე ქვეყანაში. გლეხები და ხელოსნები იშვიათად იღებენ თავისთავზე ამგვარ რისკს. გარდა ამისა, ისინი იმდენად დაკავებული არიან წარმოებით, რომ არ შეუძლიათ სხვადასხვა ბაზრის კარგად შესწავლა. ამიტომ პრაქტიკულად ბაზრების ჩამოყალიბებასთან ერთად გაჩნდნენ პროფესიონალი ვაჭრები (ვაჭრები ან სპეკულანტები), რომლებიც ყიდულობენ საქონელს რომელიმე ლოკალურ ბაზარზე და ყიდიან მას სხვა ბაზარზე, სარგებლობენ რა ფასების სხვაობით, იღებენ მოგებას. ამასთან, ვაჭარი უპირატესად რისკავს თავისი კაპიტალით. იგი ყიდულობს საქონელს, ვთქვათ, იმავე ქოთნებს და მიაქვს ზოგჯერ ცხრა მთას იქით, იმ იმედით, რომ გაყიდის ძვირად. რა თქმა უნდა, წინასწარ მან შეისწავლა უცხოური ბაზრები, ე. ი. თანამედროვე ენით რომ ვთქვათ ჩაატარა მარკეტინგი, მაგრამ ფასები ხომ ბაზარზე ძალიან სწრაფად იცვლება. სადაა გარანტია, რომ, როდესაც იგი მიიტანს თავის საქონელს შორეულ ბაზარზე, ფასები ქოთ-

ნებზე ისე არ დაეცემა, რომ მისი ხარჯები ყიდვაზე და გადაზიდვაზე არ გამართლდება. ჩვეულებრივ, ამგვარი გარანტია არსებობს და ვაჭარი (სპეკულანტი), საბაზრო ფასების ცვლილებების შესახებ თავის პროგნოზზე დაყრდნობით, საკუთარი ინტუიციითა და ბაზრების ცოდნით, ფასების ცვლილების რისკს თავისთავზე იღებს.

სხვათა შორის, სიტყვა „სპეკულანტი" რომელიც ჩვენში თითქმის სალანძღავად აღიქმება, უმეტეს დასავლეთის ენებში ჟღერს სავსებით ნორმალურად და გადაითარგმნება, ვთქვათ, ინგლისურიდან, როგორც ფიქრი. სინამდვილეში სპეკულანტი სწორედ „ფიქრობს" ბაზრის ქცევაზე, პროგნოზს უკეთებს მის ქცევას და მოგებას ღებულობს ბაზრების ცოდნის წყალობით. სპეკულანტების გარეშე არ შეუძლია არსებობა რამენაირად განვითარებულ ბაზარს.

ჯერჯერობით საუბარი ეხება ძირითადად ტერიტორიულ სპეკულაციებს, ე. ი. მოგების ამოღება ფასების ცოდნის ხარჯზე ერთტიპიური ტერიტორიულად გაფანტული ბაზრებიდან, მაგალითად, მარცვლეულის ბაზრებიდან მოსკოვსა და კრასნოდარის მხარეში (სხვათა შორის, ამ ფასთა სხვაობა ბოლო წლებში აღწევდა 300-400 %-მდე). სპეკულანტები გადაადგილებენ საქონელს ბაზრებიდან, სადაც ფასი მცირეა, ბაზრებზე, სადაც ფასი დიდია. ამგვარი ქცევით ისინი ზრდიან ფასს „იაფ" ბაზარზე და აუმჯობესებენ იქ წარმოების პირობებს, იმავდროულად კი ფასები ეცემა „ძვირ" ბაზარზე მომხმარებელთა გასახარად. სპეკულანტები აერთიანებენ განცალკევებულ ბაზრებს და ათანაბრებენ ფასებს, რითაც თანდათანობით ლოკალურ ბაზრებს აქცევენ სულ უფრო დიდ, ერთიან, თითქმის გლობალურ ბაზრებად. ობიექტურად, ტერიტორიული სპეკულაცია ხელს უწყობს გლობალური ბაზრების გაჩენას და წარმოადგენს მეგაბაზრების წარმოშობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს დროებით სპეკულაციას. ასეთ შემთხვევაში ვაჭარი-სპეკულანტი ყიდულობს საქონელს იმ იმედით, რომ ძვირად გარკვეული დროის შემდეგ გაყიდოს. მრავალი საქონლის წარმოებას გააჩნია ბუნებრივი სეზონური რხევები. ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება სოფლის მეურნეობის პროდუქტებს, მაგრამ ამასთანავე საქონლის უფრო ფართო წრესაც. მაგალითად, სეზონური რხევები დამახასიათებელია აგრეთვე მრავალი სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისთვის. თუკი დროებითი სპეკულაციები არ იქნებოდა, მაშინ ფასი, მაგალითად, მარცვლეულზე ძალიან დაბალი აღმოჩნდებოდა მასობრივი აღების მომენტში და სწრაფად აიწევდა დროთა განმავლობაში. სპეკულანტები ყიდულობენ მარცვლეულის ნაწილს და აწვდიან მას მარცვლეულის ბაზარზე თანდათანო-

ბით, რითაც ფასების სეზონური მერყეობის დემპინგს ახდენენ, რაც, უდავოდ ხელსაყრელია უმეტესი მომხმარებლისათვის.

ერთ-ერთი პირველი და ცნობილი დროებითი სპეკულანტი იყო ბიბლიური იოსები. იგი, ფაქტობრივად იყო ძველი ეგვიპტის პრემიერ-მინისტრი და შვიდი მოსავლიანი წლის განმავლობაში ინახავდა მარცვლეულის ჭარბ ნაწილს, ხოლო შემდეგ მის მიერ ნაწინასწარმეტყველები 7 გვალვიანი წლის განმავლობაში ყიდდა მას დიდი მოგებით ქვეყნისათვის და საკუთარი თავისთვისაც. ეს კლასიკური დროებითი სპეკულაცია შესაძლებელი გაჩდა მხოლოდ ბაზრის ქცევის განჭვრეტის წყალობით, მოცემულ შემთხვევაში მარცვლეულის მოსავლიანობას რომ განსაზღვრავდა. იოსებს ეს ცოდნა უბოძა ღმერთმა, რაც შეეხება თანამედროვე დროებით სპეკულანტებს, მათ თავად უხდებათ ორიენტირება მხოლოდ საკუთარი მარკეტინგული კვლევებისა და ინტუიციის მეშვეობით. იოსებისაგან განსხვავებით, თანამედროვე სპეკულანტები თავისთავზე იღებენ ყველა რისკს, ვინაიდან ისეთი საიმედო გარანტი, როგორიც ბიბლიურ გმირს ჰყავდა, მათ ჩვეულებრივ არ გააჩნიათ.

აქ მაგალითების სახით მოყვანილია შედარებით უფრო თვალსაჩინო და ჩვეული სასაქონლო ბაზრები. თუმცა ყველაფერი, რაც ითქვა ტერიტორიულ და დროებით სპეკულაციებზე, სისრულით ეხება სხვა ბაზრებსაც. რა თქმა უნდა, დღეს ყველაზე დახვეწილი და მოცულობით დიდი სპეკულაციები მიმდინარეობს ფინანსურ ბაზრებზე.

> მაშასადამე, სპეკულაცია თავისთავად წარმოადგენს სავაჭრო ოპერაციათა თანმიმდევრობას ერთტიპიურ ბაზრებზე (საქონლისა და უფლებების) ტერიტორიული ან დროებითი ფასების სხვაობის საფუძველზე მოგების ამოღებით.

ამასთან, სპეკულანტი თავის მოქმედებებს აფუძნებს განჭვრეტასა და ბაზრების განვითარებაზე დროსა და სივრცეში, რისკავს რა საკუთარ კაპიტალს, განიცდის ზარალს, როდესაც პროგნოზი მცდარი აღმოჩნდება ხოლმე.

ყოველ სპეკულანტს გააჩნია მოვლენათა განვითარების საკუთარი მოდელი. ზოგჯერ ამ მოდელების მკაფიო ფორმულირება ხდება თითქმის მათემატიკური სიზუსტით, მაგრამ ხშირად ისინი ატარებენ მხოლოდ ინტუიციურ ხასიათს. მიუხედავად იმისა, სპეკულანტი ყოველთვის იღებს გადაწყვეტილებებს ბაზრის შესახებ ზოგიერთი სამოდელო წარმოდგენის საფუძველზე, რომლებიც ჩვეულებრივ დაფუძნებულია საკმაოდ საერთო და ცნობილ ეკონომიკურ თეორიებზე, ეს უკანასკნელი კი წარმოადგენს

მათ მფლობელთა მიერ გულდასმით შენახულ ნოუ-ჰაუს. ყველა ეს მოდელი ოპერირებს უკვე არსებული ფასების თანმიმდევრულობით, მათი პროგნოზირებისათვის, მაგრამ მათ განსახორციელებლად გამოიყენება იმდენი საშუალება, რამდენი განსხვავებული სპეკულანტიც არსებობს.

ამ პროგნოზიდან გამომდინარე, სპეკულანტი გამოიმუშავებს თავის სტრატეგიას ან საბირჟო ტერმინოლოგია რომ გამოვიყენოთ, იკავებს განსაზღვრულ საბაზრო პოზიციას. საუბარი ე. წ. გრძელ და მოკლე პოზიციებზე უკვე ტერმინების გაუშიფრავად მიმდინარეობს საქმიანი პრესის ფურცლებზე, რომლებიც მიეკუთვნება დროებითი სპეკულაციის სფეროს. თუკი სპეკულანტი ჭვრეტს ფასების აწევას, მაშინ იგი ყიდულობს საქონელს ან, როგორც იტყვიან, იკავებს გრძელ პოზიციას. იმ შემთხვევაში, როდესაც ფასი, სპეკულანტის აზრით, ეცემა, იგი ყიდის საქონელს ან, რაც იგივეა, იკავებს მოკლე პოზიციას. პირველ შემთხვევაში ყველაფერი ნათელია. ხოლო საქონლის გაყიდვა, ან მოკლე პოზიციის დაკავება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ იგი გაგაჩნია. არაორგანიზებულ ბაზრებზე ეს მართლაც ასეა. განვითარების განსაზღვრულ სტადიაზე, როგორც უკვე ითქვა, ბაზარზე ჩნდებიან სპეციალური ინსტიტუტები და პირები, რომლებიც ბაზრის ორგანიზებას ახდენენ. მათ შორის არიან – კარგად ცნობილი ბირჟები, დილერები, ბროკერები და ა. შ. განვითარებულ ბაზარზე ბროკერს შეუძლია, ასე ვთქვათ, სესხად მისცეს საქონელი სპეკულანტს, რომელიც მას ისე ყიდის, როგორც საკუთარს, იმისათვის, რომ დაიკავოს მოკლე პოზიცია. თუკი საბაზრო ფასები დაეცემა, როგორც ამას ვარაუდობს სპეკულანტი, მაშინ იგი შეძლებს იყიდოს ბროკერის საშუალებით მის მიერ გაყიდული საქონელი და მიიღოს მოგება. (მან გაყიდა ძვირად, ხოლო იყიდა იაფად). წინააღმდეგ შემთხვევაში სპეკულანტი, ბუნებრივია, ზარალობს საკუთარი არასწორი პროგნოზის გამო.

ორგანიზებულ ბაზარზე საბირჟო მექანიზმებს, აგრეთვე სპეკულანტთა და სპეციალისტთა უზარმაზარი არმიის არსებობას, რომლებიც მუშაობენ მოცემულ ბაზარზე (ბროკერების და ა. შ.), მივყავართ იმისაკენ, რომ გარიგებები მოცემულ, ჩვეულებრივ სტანდარტიზებულ საქონელზე პრაქტიკულად უწყვეტად მიმდინარეობს, რაც საქონლის მაღალ ლიკვიდურობას და თანაბარი საბაზრო ფასის საიმედო კოტირებას (განსაზღვრა) უზრუნველყოფს.

დროთა განმავლობაში გაჩნდა მრავალი ტიპის ორგანიზებული ბაზარი, რომლებზეც გარიგებები მიმდინარეობს სხვადასხვა საქონლის და უფლებების მიხედვით. ვინაიდან მათზე ოპერაციები უკვე მკაცრად რეგლამენტირებული ხდება და ხელშეკრულებათა დაცვა გარანტირებულია ამ ბაზრების ორგანიზატორთა მიერ, ამიტომ ჩნდება დაბალრისკიანი, მომგე-

ბიანი ბაზართაშორისი ოპერაციების ჩატარების შესაძლებლობა; ამ უკანასკნელს ეწოდა არბიტრაჟი.

საერთოდ,

> არბიტრაჟი მდგომარეობს რამდენიმე პოზიციის ორი ან რამდენიმე სხვადასხვა ტიპის ბაზარზე ერთდროულ გახსნაში.

არბიტრაჟორი სარგებლობს იმით, რომ ზოგიერთი საქონელი შეიძლება შეფასდეს სხვადასხვა ბაზარზე სხვადასხვაგვარად. თუ, ერთდროულად გავხსნით გრძელ პოზიციას „იაფზე" (იმავე საქონლის გაყიდვა), მაშინ შეიძლება მივიღოთ თითქმის ურისკო მოგება. აქ რისკი შეიძლება წარმოიშვას ერთ-ერთი გარიგების შეუსრულებლობის გამო, რომლის დროსაც დარღვეული იქნება ვაჭრობის საბაზრო პირობები ან შეიცვლება ფასების ამ პოზიციათა გახსნის დროს; ეს კი ხდება თითქმის ერთდროულად და შეთანხმებით, მაგრამ სწორედ ამ „თითქმის"-ში მდგომარეობს რისკი. სინამდვილეში ერთ-ერთ ბაზარზე ტექნიკური მიზეზების გამო გარიგება შეიძლება რეგისტრაციაში გატარდეს რამდენადმე ადრე, ვიდრე მეორე ბაზარზე, ხოლო ამ ძალიან მოკლე დროში ფასები ბაზრებზე მოასწრებს შეცვლას ისე, რომ არბიტრაჟი არახელსაყრელიც ხდება, ვინაიდან თავად არბიტრაჟორები იყენებენ ფასებში მცირე განსხვავებებს სწრაფადცვალებად ბაზრებზე. თუმცა, როგორც წესი, არბიტრაჟი ეს ურისკო მომგებიანი გარიგებაა.

ისევე როგორც სპეკულაციები, არბიტრაჟი შეიძლება იყოს დროებითი და ტერიტორიული. საერთოდ, ზღვარი სპეკულანტსა და არბიტრაჟორს შორის საკმაოდ წაშლილია. არბიტრაჟის განმასხვავებულ ნიშანს წარმოადგენს პოზიციათა ერთდროული გახსნა ჩვეულებრივ სხვადასხვა ტიპის ბაზრებზე. ტერიტორიული არბიტრაჟის მაგალითისთვის შორს წასვლა არ მოგვიწევს. 90-იანი წლების დამდეგს ნავთობი და მრავალი სხვა საქონელი რუსეთში დოლარული ანგარიშით ღირდა ბევრად იაფი, ვიდრე მსოფლიო ბაზარზე. ამიტომ რუბლებს ყიდულობდნენ სავალუტო ბაზარზე, შემდეგ ამ რუბლებზე შეიძლებოდა ნავთობის ყიდვა, მისი საზღვარგარეთ გატანა და გაყიდვა ბევრად უფრო დიდ თანხაზე დოლარებში, ვიდრე თავდაპირველად იყო ჩადებული. ამ გარიგების ყველა ოპერაცია სურვილის შემთხვევაში შეიძლებოდა ჩატარებულიყო სხვადასხვა ბაზარზე ერთდროულად, ამგვარად კი, ოპერაციათა მოცემული თანმიმდევრულობა თავისთავად წარმოადგენდა ტიპიურ სივრცობრივ არბიტრაჟს. შემდეგში რუსეთში შემოიღეს საექსპორტო ბაჟი და კვოტები, რომლებმას მნიშვნელოვანწი-

ლად შეზღუდეს მომავალში ამგვარი სახელმწიფოსათვის არახელსაყრელი არბიტრაჟების ჩატარება.

დროებითი არბიტრაჟის მაგალითის სახით შეიძლება მოვიყვანოლ შემდეგი ორი ერთდოულად დადებული გარიგება. პირველი – მოცემული მომენტისათვის იმავე მარცვლეულის ყიდვა ჩვეულებრივ ბაზარზე, რომელსაც სპოტ-ბაზარს უწოდებენ (ბაზარი მოცემულ მომენტში); მეორე – ფორვარდული კონტრაქტის დადება ამავე მარცვლეულის გაყიდვაზე 3 თვის შემდეგ, უკვე მაღალი ფასით. თუკი სპოტის და ფორვარდული ბაზრის ფასთა სხვაობა აღმოჩნდება მარცვლეულის შენახვის ღირებულებაზე მეტი, მაშინ ამგვარი გარიგება იქნება მომგებიანი არბიტრაჟი. საერთოდ, არბიტრაჟი განხორციელებადია, თუკი ორი ბაზრის ფასთა სხვაობა საკმარისი საქონლის აღმოჩნდება სივრცობრივი არბიტრაჟის დროს და გადაზიდვის ღირებულების, ასევე, დროებითი შენახვის ღირებულების დასაფარად.

სპეკულანტები და არბიტრაჟორები წარმოადგენენ უმნიშვნელოვანეს ფიგურებს თანამედროვე ბაზრებზე. ყველა დროში სწორედ ისინი, გამომდინარე მხოლოდ საკუთარი კომერციული ზრახვებიდან, აჩქარებდნენ საბაზრო მექანიზმების მოქმედებას; თავისი არსით კი, მნიშვნელოვანწილად წარმოადგენდნენ ბაზრის იმ ყველაზე ცნობილ „უხილავ ხელს“, რომელიც საბოლოო ჯამში ეკონომიკაში რესურსების რაციონალურ განაწილებას ახდენდა. სპეულანტებისა და არბიტრაჟორების გარეშე თანამედროვე, ორგანიზებული ბაზარი, მაღალი ლიკვიდურობით, (ე, ი. ხელზე არსებული საქონლის სწრაფი გაყიდვის შესაძლებლობით), ფრიად საეჭვოა. თუმცა XX ს-ის ბოლოს სპეკულანტთა როლი იცვლება. *მათ დაიწყეს არა მარტო ბაზრის განვითარების ჩამოყალიბებული ტენდენციების გამოყენება, არამედ ახალი ტენდენციების შექმნაც.* მაგრამ ამაზე ცოტა მოგვიანებით.

8. 4. ფასწარმოქმნა: ფუნდამენტური და ტექნიკური ანალიზი

ბაზრების ეკონომიკურ თეორიებში ცენტრალურ მომენტს ფასწარმოქმნის მექანიზმების გახსნა წარმოადგენს. ფასები წარმოადგენენ უმნიშვნელოვანეს საბაზრო სიგნალებს, რომელთა მიხედვითაც ბაზრის მონაწილეები აწყობენ თავის ქცევებს. ფასთა ცვლილებების საფუძველზე ისინი ღებულობენ გადაწყვეტილებებს თავიანთ საკუთარ ბიზნესში ცვლილებების შესახებ, ხოლო ეს ცვლილებები, თავის მხრივ, გავლენას ახდენენ ფასებზე. ამგვარად, ძირითადად ფასების მეშვეობით გადის უკუკავშირის ყველა ჯაჭვი ბაზრიდან მის მონაწილეებამდე – მწარმოებლამდე და საქონლის მომხმარებლებამდე. ფასიან საბაზრო მექანიზმს მივყავართ რესურსების გადანაწილებამდე. (პრინციპში, იდე-

ალური ბაზრის პირობებისათვის საბაზრო მექანიზმს მივყავართ რესურსების რაციონალურ გადანაწილებამდე. თუმცა რეალური ბაზრებისათვის ეს პრინციპი საჭიროა ფრთხილად მივიღოთ, თანაც მრავალი შენიშვნით.) ჩვენს მაგალითში, თუ ფასები მარცვლეულზე იზრდება, მაშინ მომავალ წელს გლეხი შეეცდება თავისი რესურსების კონცენტრირებას სწორედ მარცვლეულის წარმოებაზე. მას შეუძლია გაადიდოს სათესი ფართობები მარცვლეულისათვის, რითაც შეავიწროვებს სხვა კულტურებს, ამასთან მარცვლეულისათვის შეიტანს ბევრ სასუქს, რაც მისი მოსავლიანობის გაზრდას შეუწყობს ხელს. თუმცა ბაზარს შეუძლია ბოროტად გაეხუმროს. თუ ამ გლეხის მაგალითს მიბაძავს სხვა მრავალი გლეხი საბაზრო სიგნალის გათვალისწინებით, მაშინ მარცვლეულის წარმოება შემდეგ წელს იმდენად გაიზრდება, რომ ფასები ძლიერ დაიწევს და გლეხებმა შეიძლება განიცადონ ზარალი მოსალოდნელი მოგების ნაცვლად. აქედან გაკვეთილი – საბაზრო სიგნალები (ფასების ცვლილებები) მართლაც წარმართავს საერთო მიმართულებას, რომლის მიხედვითაც ამ მოძრაობას შეუძლია მოგების გაზრდა, თუმცა რამდენად შორს შეიძლება ამ მიმართულებით სვლა უცნობია და ძალიან იოლად გასცდებით იმ ზონას, სადაც მოგება ჯერ კიდევ იზრდება, რომ მოულოდნელად აღმოჩნდებით ზარალიანი ბიზნესის სფეროში. ფასები იძლევა მარტო წამიერ ორიენტირს, რომლის გამოყენებაც შეიძლება მხოლოდ ლოკალურად. უკვე შემდგომ მომენტში, ბაზრის მონაწილეთა პირველივე მოძრაობების შემდეგ, მათ მიერ მითითებული მიმართულებით ფასთა სისტემა რადიკალურად შეიძლება შეიცვალოს და აჩვენოს მეორე, შესაძლებელია, წარმარტების და მოგების საწინააღმდეგო მიმართულება.

რა თქმა უნდა, კარგი იქნებოდა გვცოდნოდა ფასების მოძრაობის პროგნოზირება. ბაზრის მონაწილისათვის ამგვარი პროგნოზის გაკეთება პრეფერანსის მოთამაშისათვის მირიმატის მისაღებად საჭირო ცოდნის მსგავსია. თუმცაღა როგორც ერთი, ისე მეორე თითქმის ერთნაირად მიუღწეველია. ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით არც ერთ ეკონომიკურ სკოლას ან თეორიას არ ძალუძს აბსოლუტურად მკაფიოდ გვიჩვენოს თავისი პროგნოზული შესაძლებლობები. თუმცა ნეოკლასიკოსები, ნეონკეინსიანელები, ინსტიტუციონალისტები და სხვა ეკონომიკურ სკოლათა და მიმდინარეობათა უმეტესი წარმომადგენელი ამა თუ იმ ზომით ამაზე პრეტენზიას აცხადებდა.

მიუხედავად ამისა, არა მარტო ფასების უმნიშვნელო რხევები, არამედ მსხვილი კრიზისული მოვლენებიც, რომლებიც დაკავშირებულია ფასთა მთელი სისტემის გარდაქმნასთან, ზვავივით თავს ატყდება მსოფლიო ეკონომიკურ თანამეგობრობას. მაგალითად, შედარებით ახლანდელმა ფი-

ნანსურმა კრიზისმა, რომელიც 1997 წლის შემოდგომით დაიწყო, საგონებელში ჩააგდო ფინანსური ბაზრების ბევრი მეცნიერ-ეკონომისტი და ექსპერტი. რა თქმა უნდა, ისინი არ იქნებოდნენ ნამდვილი მეცნიერები და ექსპერტები, თუკი იქვე, მსუბუქი დაბნეულობის შემდეგ არ მისცემდნენ მომხდარ მოვლენებს ყველაზე სხვადასხვაგვარ ახსნას. საერთოდ, ახსნა-განმარტების მიცემა გაუგებარ, მათ შორის მათთვის გაუგებარი მოვლენებისათვისაც, მეცნიერთა უმნიშვნელოვანესი საერთო პროფესიული თვისებაა.

მახსენდება შემთხვევა, როდესაც ცნობილ ფიზიკოს-თეორეტიკოსს მოუტანეს გრაფიკი მონაცემებით ექსპერიმენტის შესახებ ბირთვული ფიზიკის სფეროში რაღაც მრუდის სახით. იგი დააცქერდა მას, ოცდაათი წამი და ექსპერიმენტატორებს მისცა ამ მრუდის შესახებ ამომწურავი თეორიული ახსნა, თუმცა იქვე გაირკვა, რომ ღერძები აერიათ და გრაფიკი თეორეტიკოსს აჩვენეს პრაქტიკულად ამობრუნებული. და რა, მას სულ რაღაც კიდევ ნახევარი წუთი დასჭირდა, რათა კვლავ მიეცა არანაკლებ დამაჯერებელი ახსნა მიღებული შედეგისათვის.

რაღაც ამდაგვარი მოხდა მსოფლიო ფინანსურ კრიზისთან დაკავშირებით. იქვე მოიძებნა მიზეზები და თეორიული დასაბუთებანი უკვე ცნობილი მომხდარი მოვლენების შესახებ. უფრო მეტიც, ვინაიდან მეცნიერები საერთოდ, ხოლო ეკონომისტები კი განსაკუთრებით, ბევრს წერენ და ხშირადაც იცვლიან საკუთარ პოზიციებს, ადრე დაწერილი აღმოჩნდა მომავალი სახიფათო მოვლენების წინასწარმეტყველება.

ახლა უკვე ყველა ლაპარაკობს, რომ ჰონკონგის ჩინეთის იურიდიქციაში გადასვლის შემდეგ მოსალოდნელი იყო კრიზისი ამ ბირჟაზე, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ფინანსური ბაზრები იყო ძლიერ „გადახურებული“, ამ რეგიონის კორპორაციათა აქციები გაუფასურებული და რომ დარტყმა მოუწია იმ დასავლურ კომპანიებს, რომელთაც კავშირი და ინტერესები ჰქონდათ ამ რეგიონში. დიდხანს რჩებოდა ბუნდოვანი, როგორ რჩებოდა უცვლელი ტოკიოს ბირჟა, მიუხედავად იმისა, რომ იაპონია გეოგრაფიულად და ეკონომიკურად აშკარად ახლო იყო სხვა განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით კრიზისის ეპიცენტრთან. თუმცა ამასაც მოეძებნა დამაჯერებელი არგუმენტები, მანამ, სანამ უძლიერესმა ბიძგმა არ შეარყია ეს, სიდიდით მეორე, მსოფლიო ფინანსური ცენტრი. მაშინ კი გაახსენდათ, რომ იაპონიაში უკვე დიდი ხანია ვითარდება „საპნის ბუშტის ეკონომიკა“, რომ თავისებურმა და იაპონურ ეკონომიკაში ფართოდ გავრცელებულმა „ძაიტავის“ ტიპის ფინანსურმა ტექნოლოგიებმა გაბერეს ფიქტიური კაპიტალი და ძალაუნებურად შეურყიეს ჯანმრთელობა უძლიერეს „აზიურ ვეფხვს“.

ჯერჯერობით აუხსნელი რჩება ერთი — მსოფლიო ეკონომიკის მასშტაბებით ნაკლებმნიშვნელოვანი, მაგრამ ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი. ისმის კითხვა, რუსეთის წამყვანი კომპანიების აქციებმა, საყოველთაო აზრით, ძალზე გაუფასურებულებმა, რატომ დაკარგა თავისი ღირებულების დაახლოებით 90%-ი და რატომ სწორედ რუსეთის კორპორაციული ქაღალდების ბაზარი, რომელიც არაფრით იყო დაკავშირებული სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ეკონომიკასთან, აღმოჩნდა ძალზე საგალალო მდგომარეობაში; თავისი ძალით ამ კრიზისულმა მოვლენებმა ხომ გადააჭარბა მსოფლიოს ყველა წამყვან ბირჟას, მათ შორის თავად ჰონკონგისასაც.

ზემოთქმული არანაირად არ უნდა მივიღოთ ბოროტ ირონიად ეკონომიკური მეცნიერების მიმართ და მით უმეტეს მეცნიერთა, რომელთა დიდებულ კოჰორტას წიგნის ავტორები მოკრძალებით საკუთარ თავს მიაკუთვნებენ. უბრალოდ აუცილებელი იყო ყურადღება გაგვემახვილებინა და გაგვეშიშვლებინა ის აშკარა ფაქტი, რომ ბაზრები საერთოდ, და ფინანსური ბაზრები კი განსაკუთრებით, ჯერჯერობით ნაკლებადშესწავლილი სფეროა და მეცნიერებმა მასში ვერ მიაღწიეს საიმედო პროგნოზისათვის საკმარის დონეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მეცნიერ-ეკონომისტებს მართებთ დაკავდნენ საყვარელი საქმით - გამოიკვლიონ უმდიდრესი სტატისტიკის და ემპირიკის სფერო, რომელშიც ჯერ კიდევ არაა კარგი თეორია. კიდევ უფრო გასახარია ეს ფაქტი ფინანსური ბაზრების სფეროს სპეციალისტების და ექსპერტებისათვის, ვინაიდან ფინანსური ბაზრების ქცევის სფეროში ჯერჯერობით ცოდნა ფრაგმენტულია და დაქსაქსული, მათი გამოცდილება, განჭვრეტის ხელოვნება და ინტუიცია ოქროს ფასი იქნება.

საბოლოო ჯამში, ბაზრების პრაგმატული ანალიზისათვის აუცილებელია ამ ბაზართა ქცევის და ფასთა ცვლილებების განჭვრეტა სხვადასხვა საქონელზე იმისდა მიხედვით, თუ როგორია მათ მიმართ გარე ფაქტორები და ბაზრის მონაწილეთა მოქმედებები.

ბაზრების თითქმის მთელი ისტორიის მანძილზე მათი ანალიზით ძირითადად დაკავებულნი იყვნენ ყველაზე უფრო დაინტერესებული პირები - ბაზრის მონაწილეები. მათ დააგროვეს უზარმაზარი გამოცდილება და ჩამოაყალიბეს მრავალი წესი და თამაშთა სისტემა, რომელიც ორიენტირებული იყო ბაზრის სხვადასხვა ნიშსა და ინდიკატორზე. ამასთან, საბაზრო თამაშების პროფესიონალები უმეტესწილად ეყრდნობოდნენ მათთვის შედარებით იოლად მისაწვდომ რეტროსპექტიულ ინფორმაციას ამა თუ იმ ბაზრის ფასებსა და სხვა პარამეტრებზე. ჩვეულებრივ, ისინი ამ ინფორმაციას წარმოადგენენ ცნობილი ტიპის გრაფიკებისა და დიაგრამების სახით, რომელთა საშუალებითაც ცდილობენ ბაზრის შემდგომი ქცევის გან-

ჭვრეტას, რასაც ვარაუდობენ ბაზრებზე სიტუაციათა განმეორებადობის შესახებ ჰიპოთეზის საფუძველზე.

ასეთი მიდგომის ძირითადი პოსტულატი აშკარა სახით შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგნაირად.

> ნებისმიერი ბაზრის შემდგომი ქცევის პროგნოზირებისათვის ძირითად როლს თამაშობს მოცემულ მომენტში წარმოშობილი სიტუაცია და ბაზრის განვითარების სცენარი, რომლებიც ინვარიანტებს წარმოადგენს; ეს უკანასკნელი კი არ არის დამოკიდებული ბაზრის ბუნებაზე.

სხვაგვარად რომ ვთქვათ. ამ მიდგომის შესაბამისად, სიტუაციის შეცნობის და იდენტიფიცირების შემდეგ, იმისგან დამოუკიდებლად, თუ რომელ ფინანსურ ან სასაქონლო ბაზარზე წარმოიშვა იგი, შეიძლება შემდგომი განვითარების ტენდენციების განსაზღვრა.

ამგვარად, ამ მიდგომის ჩარჩოებში ძირითადი ამოცანაა ამა თუ იმ სიტუაციის სახის შეცნობა. ტერმინი „სახე" აქ ამორჩეულია იმიტომ, რომ მოცემული მიდგომის ჩარჩოებში სიტუაცია შეიცნობა სწორედ გრაფიკული სურათის მიხედვით (გრაფიკების, დიაგრამების ნაკრები და ა. შ.), რომელიც სიტუაციის იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა.

ტენდენციათა პროგნოზი გრაფიკული სახეობის საფუძველზე *ბაზრების ტექნიკური ანალიზის* ძირითადი მეთოდია, რომელიც ხშირად ამ მეთოდთანაა გაიგივებული. ფართო გაგებით, ტექნიკური ანალიზი თავისთავად მეთოდთა ნაკრებს წარმოადგენს, რომელშიც შედის კომპიუტერული განჭვრეტები ბაზართა ქცევაზე მისი წინა ქცევის საფუძველზე. მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ ტექნიკური ანალიზი ეყრდნობა ბირჟაზე მომუშავეთათვის მისაწვდომ რეტროსპექტულ ინფორმაციას ფასების, მოცულობების შესახებ და ა. შ. ამ ინფორმაციის საფუძველზე ყალიბდება რიცხობრივი და სახეობრივი ინდიკატორები, რომელთა მიხედვითაც ბაზრის მონაწილეთათვის ამოირჩევა რეკომენდებული ქცევის ესა თუ ის წესი. ისინი კი საბოლოო ჯამში საშუალებას გვაძლევენ ვუპასუხოთ მუდმივ კითხვას: ვიყიდოთ თუ გავყიდოთ?

ამ მიდგომის კომპიუტერულ განვითარებას მივყავართ ექსპერტული სისტემების შექმნამდე, რომლებიც სახეთა შესაცნობად იყენებენ უკვე საკმაოდ განვითარებულ აპარატს ხელოვნური ინტელექტის სფეროდან.

ეკონომიკური მეცნიერების თვალსაზრისით, ტექნიკური ანალიზის ისტორია შეიძლება განვიხილოთ, როგორც ემპირიული შეკრების, კლასიფიკაციისა და საბირჟო მონაცემთა დამუშავების პერიოდი, რომელიც წინ უსწრებდა ბაზრების განვითარების ეკონომიკურ კანონზომიერებათა თეო-

რიულ განზოგადებას. ასეთი პერიოდი განვლო ყოველმა მეცნიერებამ, რომელთაც შემდგომში ზუსტი ეწოდათ: ასტრონომია - ტიხო ბრაგეს დროსა და საერთოდ, კეპლერამდე პერიოდში; ქიმია - თავისი ხანგრძლივი ალქიმიური წინარეისტორიისას და ა. შ. მეცნიერების დარგებში, რომლებიც უფრო რთულ სისტემებს იკვლევენ, მათ შორის მედიცინა, მეტეოროლოგია და ბაზრების ნაწილში — ეკონომიკა, ემპირიულ-კოლექციური პერიოდი გრძელდება. ტექნიკური ანალიზი პრაქტიკულად ფასდებულ ინსტრუმენტად რჩება, რომელსაც საყოველთაოდ აღიარებული დიაგნოსტიკური და პროგნოზული ძალა გააჩნია. ტყუილად როდი უწოდა ბოლო ათწლეულების ცნობილმა ფინანსურმა სპეკულანტმა ჯ. სოროსმა თავის ფუნდამენტურ წიგნს „ფინანსების ალქიმია". დამახასიათებელია, რომ იგი თავის წიგნში ცდილობს ფინანსური ბაზრების ემპირიკიდან სამეცნიერო პროცესების აღწერაზე გადასვლას. მისი მიდგომები, უდავო სამეცნიერო ინტერესს რომ იწვევს, გვიჩვენებს იმ ფაქტს, რომ ბაზრის წამყვანი პროფესიონალები ინტუიციურად გრძნობენ მდიდარი გამოცდილების და საექსპერტო წესების გარდაქმნის აუცილებლობას ფინანსური ბაზრების სფეროში ეკონომიკური მეცნიერების დარგად.

ტექნიკურისაგან განსხვავებით, *ფუნდამენტური ანალიზი* თავის დასკვნებს ბაზრების შესახე „ობიექტურ" ეკონომიკურ ინფორმაციაზე აფუძნებს.

ფუნდამენტური ანალიზი ძირითადად დაკავებულია საბაზრო ეკონომიკური ურთიერთკავშირებით: მოთხოვნის და მიწოდების, პროდუქციის თვითღირებულების, აქციათა ემიტენტების ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლებით, ისეთების, როგორიცაა აქტივების მდგომარეობა, გაყიდვათა მოცულობა, შემოსავლები, მოგება და ა. შ. ამ მაჩვენებლების ანალიზისას, თვალ-ყურს ადევნებენ რა ქვეყნების პოლიტიკაში ეკონომიკურ ცვლილებებს, ტექნოლოგიურ აღმოჩენებს, ფუნდამენტური ანალიტიკოსები ცდილობენ საბაზრო ფასების პროგნოზირებას როგორც ჩვეულებრივ საქონელზე, ისევე აქციებსა და სხვა ფასიან ქაღალდებზე. საბოლოო მიზანი იგივეა - კონკრეტული ჯგუფის საქონლის ფასთა მოძრაობის მიმართულების პროგნოზი და ამ ცვლილებათა შესაძლებელი მნიშვნელობები.

ძირითადი კითხვა, რომელსაც უნდა უპასუხოს ფუნდამენტურმა ანალიზმა, ამგვარია - დაწეულია თუ აწეული მოცემული საქონლის ღირებულება ბაზარზე? აქედან გამომდინარე, ხდება ბაზრის განვითარების მოწინავე ტენდენციის პროგნოზი.

„ტექნიკური" და „ფუნდამენტური" სკოლების ურთიერთდაპირისპირება, დღეს ხელოვნური რომ გვეჩვენება, XX ს-ის 70 წლებამდე ატარებდა ძალზე ანტაგონისტურ ხასიათს. ახლაც ამ მიმართულებების წარმომადგენლები, თუმცა აღიარებენ ალტერნატიული მიდგომების მართლზო-

მიერებას და იყენებენ კიდეც მის ელემენტებს პრაქტიკულ საქმიანობაში, მაინც ინარჩუნებენ წინასწარშექმნილ ცუდ აზრს; ამ მიდგომათა საკმაოდ მკაცრი საზღვრები თითქმის დღემდე ურყევი რჩება.

ამ მიმართულებების შეჯახების ძირითად არენად იქცა აქციათა და სხვა ფასიან ქაღალდთა ბაზარი, თუმცა ტექნიკური ანალიზის ბევრი უმნიშვნელოვანესი მეთოდი შემუშავდა ჩვეულებრივ სასაქონლო ბაზრებზე. მიუხედავად ამისა, სწორედ აქციათა ფასების ცვლილებების დროს პროგნოზის სხვადასხვაობა „ტექნოკრატებსა" და „ანალიტიკოსებს" შორის განსაკუთრებით ანტაგონისტური გახდა. რადიკალი - „ტექნარები", რომელთა უმრავლესობა ბაზრის პროფესიონალ მონაწილეთა შორისაა, დაჟინებით მოითხოვენ, რომ აქციების ერთადერთ სარწმუნო შეფასებად იქცეს მისი საბაზრო ფასი. რამდენსაც ახლა მასში იძლევიან, იმდენიც ღირს იგი და ამდენივე ღირს კორპორაცია-ემიტენტის ბიზნესიც.

მეცნიერ-ეკონომისტები ისწრაფვიან აქციების ფასებში ეძებონ უფრო ღრმა ღირებულებითი საფუძველი, ისევე როგორც სხვა საქონლის ფასებში. მათ სურთ ეს ფასი დაუკავშირონ ცოცხალ და წარსულ შრომას თუ არა, მაშინ უკიდურეს შემთხვევაში, ფულის ნაკადს ანდა ბიზნესის სხვა, „ობიექტურ" შეფასებას.

როგორც ერთ, ისე მეორე თვალსაზრისს გააჩნია შესამჩნევი ნაკლი და ცალმხრიობა.

მართლაც, ბაზარზე ნებისმიერი საქონლის შეფასება ყველაზე ზუსტია და უდავო. თქვენ ხომ სწორედ ამ ფასით შეგიძლიათ მოცემულ მომენტში მისი გაყიდვა. მაგრამ შევნიშნავთ, რომ მხოლოდ მოცემულ მომენტში და მხოლოდ საქონლის შედარებით მცირე ოდენობა. როგორც კი დაიწყებთ გაყიდვას მსხვილი პარტიებით, ბაზარი მაშინვე შეცვლის ფასს. საბაზრო ფასი ეს მხოლოდ ლოკალური ორიენტირია. ბირჟებზე რეალურად ვაჭრობენ საქონლის მხოლოდ შედარებით მცირე პარტიებით და თუ თქვენ გაგაჩნიათ მისი დიდი მარაგი, მაშინ იმის ჩათვლა, თითქოს მთელი თქვენი საქონელი შეფასდება გაყიდვისას იმ წუთას ბირჟაზე ჩამოყალიბებული ფასით, უსაფუძვლოა.

საქონლის ფუნდამენტური შეფასებები მტკიცეა და დასაბუთებული აგრეთვე მხოლოდ ერთი შეხედვით. უდავოა, რომ რაიმე სამომხმარებლო საქონლის თვითღირებულება ან კორპორაციის ბიზნესის ფასი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ამ საქონლის, ან კორპორაციის აქციების ფასს. თუმცა სინამდვილეში სამომხმარებლო საქონლისა და ფასიანი ქაღალდების საბაზრო ღირებულებითი დახასიათებები მხოლოდ ხანგრძლივვადიან ტენდენციებს განსაზღვრავს მოთხოვნის, მიწოდების და ფასის ცვლილებაში. მათი მიხედვით ფასების ცვლილებებზე მოკლე და საშუალოვადიანი

პროგნოზი ჩვეულებრივ ჩქარა ვერ ხერხდება, თუმცა სწორედ ესაა აუცილებელი ბაზარზე წარმატებისათვის.

ჩვენი აზრით, ფუნდამენტური ეკონომიკური შეფასებების ევოლუციას და ექსპერტული ცოდნის სისტემატიზაციას გარდაუვლად მივყავართ ბაზრების ერთიან სინთეზურ კონცეფციამდე; მასში ორგანულად უნდა შეენივთოს ტექნიკური და ფუნდამენტური ანალიზის მეთოდები. მაგრამ იქამდე შესაძლოა კიდევ შორსაა. ჯერჯერობით კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ საკმარისად საიმედო სამეცნიერო ან ევრისტიკული მეთოდები ბაზრებზე ფასების პროგნოზისათვის შემუშავებული კიდევ არაა.

ეს, უპირველეს ყოვლისა, საბაზრო მექანიზმის ობიექტური სირთულით აიხსნება და იმ მნიშვნელოვანი გარემოებით, რომ თავად იგი ეკონომიკური ევოლუციის პროცესშია; ბოლო წლებში კი ის შესამჩნევად დაჩქარდა. საბაზრო ფასი წარმოიქმნება მილიონობით გამყიდველისა და მყიდველის სურვილის შედეგად, რომელთაგან თითოეული ითვალისწინებს საკუთარ ინტერესებსა დ უპირატესობას. ასე რომ, ამ სურვილთა ურთიერთმოქმედების აღწერა და მისი შედეგების პროგნოზი არნახულად რთული ამოცანაა.

XX ს-ის ბოლო მეოთხედში გამოირკვა, რომ საბაზრო ფასების პროგნოზის ამოცანა, რომლის წინაშეც ფარ-ხმალს ყრის არა მარტო ბაზრის ცალკეული მონაწილე, არამედ მსოფლიო ეკონომიკური მეცნიერება, შეიძლება წარმატებით გადაწყდეს თვით ბაზრის საშუალებით. ფორვარდული, ფიუჩერსული და ოპციონური ბაზრების გაჩენამ და ჩამოყალიბებამ საშუალება მოგვცა სხვადასხვა ბაზრის ფასების პროგნოზისათვის გამოგვეყენებინა სწორედ იგივე საბაზრო მექანიზმი. აღმოჩნდა, რომ იმის გამორკვევა, თუ როგორ ყალიბდება მილიარდობით ბაზრის მონაწილეთა სურვილები მომავალში, შესაძლებელია ბაზრების მექანიზმებით. სწორედ ისინი ადგენენ სავარაუდო ფასს საქონელზე მუდმივი ყიდვა-გაყიდვების გზით.

ფიუჩერსების ბაზარზე ყოველი მონაწილე, ბაზრის საკუთარი მოდელიდან გამომდინარე, თავისი კაპიტალის გარისკვის ფასად აკეთებს ფსონს იმაზე, რომ ფასი იქნება სწორედ ისეთი, როგორც მას მიაჩნია. ფიუჩერსული გარიგებების უზარმაზარი რიცხვის შედეგად ბაზარი გამოიმუშავებს რაღაც ერთიან ფასს, რომელიც წარმოადგენს ბაზრის ქცევის პროგნოზს; იგი თავად ბაზარმა მოგვცა. ამ პროგნოზზე ორიენტირებას ახდენენ სპოტ-ბაზრის მონაწილეები უკვე არა როგორც აბსტრაქტულ სამეცნიერო წინასწარმეტყველებზე, არამედ როგორც რეალურ მექანიზმზე. მასზე დაყრდნობით შესაძლებელია ფასის სტრატეგიის და სხვადასხვაგვარი ფინანსური სქემების შემუშავება. ფიუჩერსის ფასი ეს არა მარტო პროგნოზია,

არამედ რეალური გარანტია, რომელსაც ფიუჩერსის ბაზრის მონაწილეები და ორგანიზატორები იძლევიან.

> ბაზრის მოდელები ხდება მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც მოქმედებს ფიუჩერსების და სხვა დერივატების ფასზე, ხოლო მათი მეშვეობით ჩვეულებრივ სასაქონლო და ფინანსური სპოტ-ბაზრების ფასებზე.

თუკი ფასების დადგენა სპოტ-ბაზარზე ხდება საქონელზე რეალური მოთხოვნის და მიწოდების ურთიერთმოქმედებისას, მაშინ ფიუჩერსის ფასს (ოპციონის და სხვ.) განსაზღვრავს მოთხოვნა და მიწოდება ფიუჩერსზე, რომელზეც ბაზრის მონაწილეების მოდელური პროგნოზები მოქმედებენ.

> ფიუჩერსების და სხვა დერივატიული ინსტრუმენტების ბაზრებზე ურთიერთმოქმედებენ ბაზრის ქცევის მოდელები, რომლებიც გამომუშავებულია მილიონობით მისი მონაწილის მიერ.

მოდელური პროგნოზების გამოყენება ბადებს ფიუჩერსულ ფასს, რომელზეც ორიენტირებას ბაზრის ყველა მონაწილე ახდენს. ამგვარად, ფასწარმოქმნის ეს ხარისხობრივად ახალი თვისება დამახასიათებელია მეგაბაზრებისათვის. დავიმახსოვროთ ჩვენთვის ეს ფაქტი.

8. 5. მეგაბაზრების რეფლექსურობა და ხარისხობრივი თავისებურებანი

მიგვაჩნია, რომ დღეს თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერება განიცდის იმ პერიოდს, რომელიც ფიზიკისათვის ანალოგიური იყო XX ს-ის დამდეგს. გაგახსენებთ, რომ XIX ს-ის ბოლო და XX ს-ის დამდეგი ხასიათდებოდა, როგორც ფიზიკის კრიზისი. ამ წლებში გამოირკვა, რომ მრავალი კვლავ აღმოჩენილი მოვლენა პრინციპულად არ შეიძლებოდა აღწერილიყო კლასიკური ფიზიკის მეთოდებით. თუმცა, თანამედროვე ეკონომისტებისაგან განსხვავებით, ფიზიკოსებს ჰქონდათ ბრწყინვალედ შემუშავებული ექსპერიმენტული მეთოდური ბაზა, რომლისაც ურყევად სწამდათ. გარდა ამისა, გააჩნდათ მკაფიოდ შემოსაზღვრული საყოველთაოდ აღიარებული ერთიანი თეორია (კლასიკური ფიზიკა), აშკარად გამოყოფილი ძირითადი პოსტულატებით.

შეეჯახნენ რა „გადამწყვეტი“ ექსპერიმენტების სერიას, ისეთების, როგორიცაა მაიკელსონ-მორლის ცდები და სტოლეტოვის ცდები, მათ იპოვეს საკუთარ თავში ძალა, კლასიკური ფიზიკის ძირითადი პოსტულატების

რეფორმირება მოეხდინათ; ფიზიკოსებმა გარდაქმნეს მისი ბაზისი ფარდობითობის თეორიისა და კვანტური მექანიკის საფუძველზე. თანდათანობით ფიზიკა ცდის გარეთ არსებული ობიექტებისა და ადამიანური მოღვაწეობის შესწავლიდან გადავიდა „ობიექტი-ცდა" სისტემის კვლევაზე. თანამედროვე ფიზიკა სწავლობს არა თავად ობიექტებს, არამედ ცდების გავლენას კვლევის ობიექტებზე.

ავხსნათ ეს უმნიშვნელოვანესი მომენტი მაგალითზე. კვანტური ფიზიკის საფუძვლების თავდაპირველი შესწავლისას გაკვირვებას და გაუგებრობას იწვევს ჰეიზენბერგის *გაურკვევლობის ფუძემდებლური პრინციპი.* იგი გვაუწყებს, რომ არ შეიძლება ერთდროულად აბსოლუტურად ზუსტად გავზომოთ კოორდინატები და სიჩქარე (უფრო ზუსტად ნაწილაკის იმპულსი). კლასიკური ბუნებისმეტყველების ტრადიციებზე აღზრდილ ადამიანში ამგვარი პოსტულატი იწვევს შინაგან პროტესტს. და არა მარტო მასში. თვით ალბერტ აინშტაინმა არ მიიღო განუსაზღვრელობის პრინციპი. განუსაზღვრელობის ობიექტურად არსებობის წინააღმდეგ მას მოჰყავდა შემდეგი მოაზრება: „ხომ არ დაიწყებს უფალი ღმერთი მკითხაობას, რომელ წერტილში იმყოფება ელექტრონი?" და დიდი ფიზიკოსი მართალი იყო. ჰაიზენბერგის განუსაზღვრელობა ატარებდა არა ობიექტურ, არამედ სუბიექტურ ხასიათს. ამ კანონზომიერებას საქმე აქვს არა ნაწილაკის „რეალურ" კოორდინატებთან და სიჩქარესთან, არამედ იმათთან, რომელთა გაზომვა ექსპერიმენტულად შესაძლებელია. მაშ ასე, პატარა ნაწილაკებისათვის კოორდინატთა გაზომვისას აუცილებელია ურთიერთქმედება ამ ნაწილაკთან თუნდაც რომელიმე გასაზომი ხელსაწყოს მეშვეობით. პრინციპი გვაუწყებს, რომ კოორდინატის ზუსტად გაზომვის შემთხვევაში ჩვენ გარდაუვლად ისე „დავაკაკუნებთ" გამზომით ნაწილაკზე, რომ ამის შემდეგ სიჩქარეზე რაიმეს თქმა ძნელი იქნება. „ახალი" ფიზიკა სწავლობს არა თავად ნაწილაკს, არამედ მის ქცევას კონკრეტულ ექსპერიმენტში. კითხვა იმის შესახებ, რომ აქვს კი აზრი ვისაუბროთ ნაწილაკზე ექსპერიმენტის გარეშე, განეკუთვნება უკვე ფილოსოფიის სფეროს. (აღვნიშნავთ, რომ თანამედროვე ფიზიკოსების უმრავლესობა პასუხობს ამ კითხვას უარყოფითად).

მოსალოდნელია ვიარაუდოთ, რომ არც თუ შორეულ მომავალში ამგვარივე გზით წავა ეკონომიკაც. ბევრმა ეკონომისტმა უკვე გაიგო თავად ეკონომიკური თეორიების და ეკონომიკური ინფორმაციების გავლენა შესასწავლი ობიექტების ქცევაზე. ჯერ კიდევ ჯ. კეინსი წერდა, რომ „ეკონომისტებისა და პოლიტიკური მოაზროვნეების იდეებს როდესაც ისინი მართალნი არიან და როდესაც ცდებიან – გააჩნია ბევრად დიდი მნიშვნე-

ლობა, ვიდრე მიღებულია ვიფიქროთ. სინამდვილეში მხოლოდ ისინი მართავენ სამყაროს". კეინსის ამ გამონათქვამს ხშირად და სიამოვნებით ამბობენ ეკონომისტები, რადგან მასში ხედავენ პათოსურ პანეგირიკს (ხოტბას) ეკონომიკური თეორიის მნიშვნელობაზე. თუმცა დიდი ეკონომისტის ამ ფრაზას აქვს არა მარტო დეკლარაციული, არამედ სავსებით კონსტრუქციული მნიშვნელობა. დღეს ეკონომიკური თეორიები არა მარტო უბრალოდ აღწერენ ეკონომიკურ პროცესებს, არამედ მნიშვნელოვნად მოქმედებენ მათი განვითარების მსვლელობაზე. აქ, როგორც ჩანს, პირველადაა აღნიშნული რეფლექსურობის ეფექტი, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: ეკონომიკური სისტემის თავად კვლევის ფაქტს შეუძლია მნიშვნელოვნად შეცვალოს მისი ქცევის ხასიათი. ეკონომიკაში სფერო, სადაც შესაძლებელია გავყოთ მკვლევარი და საკვლევი მოვლენები, როგორც აღმოჩნდა, ბევრად ვიწროა, ვიდრე საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში. თუკი ფიზიკა რეფლექსურობას შეეჯახა მხოლოდ ხანგრძლივი განვითარების და უზარმაზარი მეთოდოლოგიური არსენალის დაგროვების შემდეგ, ეკონომიკა აღმოჩნდა უშუალოდ ამ ეფექტის მოქმედების სფეროში უკვე თავისი ჩამოყალიბების თანამედროვე საწყის სტადიაში.

ეკონომიკური თეორიისა და მისი საკვლევი ობიექტის დასკვნებს შორის უკუკავშირი ყოველლვის არსებობდა. ამ ფაქტზე ფაქიზად რეაგირებდნენ კომუნისტები. გახსოვდეთ „იდეის ძალაზე, რომელიც ფლობს მასებს". კომუნისტები ზედმეტადაც კი აზვიადებდნენ უკუკავშირის სიმძლავრეს ეკონომიკური თეორიიდან ეკონომიკური ცხოვრებამდე. მათ მიაჩნდათ, რომ თეორიას უნარი შესწევდა გარდაექმნა ეკონომიკა. მათთან თეორია ხდებოდა ეკონომიკური განვითარების დამოუკიდებელი მამოძრავებელი ძალა, ეს კი არასწორი იყო. მაგრამ ეკონომიკა ნამდვილად ფაქიზად რეაგირებს თეორიულ პროგნოზებზე, კონცეფციაზე და ა. შ. ამასთან, უეჭველია, ეს რეაქცია ძლიერდება საინფორმაციო ტექნოლოგიის განვითარებასთან ერთად. მართლაც, თანამედროვე პირობებში, როდესაც ინფორმაცია ნებისმიერ ეკონომიკურ გამოკვლევებზე, ეკონომისტთა გამონათქვამებზე, ჰიპოთეზებსა და მოდელებზე უმალ აღწევს ბაზრის მონაწილეთა უმრავლესობამდე, ხოლო მოდელები კი, რომელთა შესაბამისად ისინი აგებენ თავიანთ ქცევას ბაზარზე, შეიძლება სწრაფად შეიცვალოს ამ ინფორმაციის გავლენით.

ბაზრის მონაწილეთა მოდელების ურთიერთქმედება ხომ მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მის ქცევას.

ამგვარად, ბაზარზე ჩნდება სრულიად ახალი უკუკავშირი: ეკონომიკური კვლევებიდან ბაზრის მონაწილეთა გადაწყვეტილების მიმღებ მოდე-

ლებამდე, რომელთა ურთიერთქმედება ცვლის თავად მეგაბაზრებს, რასაც ეკონომისტები იკვლევენ. მაშასადამე, წრე შეიკრა და ეკონომისტებს უკვე უწევთ ახალი მეგაბაზრების გამოკვლევა; ეს უკანასკნელნი კი იცვლება თავად კვლევების გავლენით (სურ. 8. 1.).



სურ. 8. 1. მეგაბაზართა ეკონომიკური კვლევების რეფლექსურობა.

ყველაზე უფრო ნათელია რეფლექსურობის მოქმედება ფინანსურ ბაზრებზე. ჯერ კიდევ კიბერნეტიკის მამამ — ნ. ვინერმა წინასწარმეტყველურად შენიშნა, რომ „საფონდო ბირჟის კვლევამ შესაძლოა მთელი საფონდო ბირჟა გადაატრიალოს". ახლა ასეთი მდგომარეობაა ფინანსურ ბაზრებზე. ინფორმაციის შეტყობინებისას ეკონომიკური კვლევების და ავტორიტეტულ ანალიტიკურ სააგენტოთა პროგნოზების შედეგები, ასევე ფასები აქციებსა და ბაზრის ქცევაზე სამეცნიერო ცენტრების ან ცალკეულ მეცნიერთა ბაზრის მონაწილეთათვის, შეიძლება სწრაფად შეიცვალოს. ამასთან, სრულებით არაა სავალდებულო ისე, როგორც ვარაუდობდნენ ამ გამოკვლევებში. საფონდო ბაზრის განვითარების განსაზღვრულ თეორიებს და მისი განვითარების პროგნოზებს შეუძლია გადამწყვეტი ზემოქმედება მოახდინონ თავად ბაზრის განვითარებაზე. რეფლექსურობის ეფექტები ფინანსურ ბაზრებზე აღმოაჩინა და გულდასმით გაანალიზა ჯ. სოროსმა.

ყველამ, ვინც როგორღაც შეეხო ფინანსურ ბაზრებსა და ბირჟებს, იცის ის მაღალი მგრძნობელობა, რომლებითაც ისინი რეაგირებენ სხვადასხვა ეკონომიკურ და პოლიტიკურ ამბებზე, მრავალფეროვან ეკონომიკურ ინფორმაციაზე. ნათელია, რომ ეს ინფორმაცია გარკვეული სახით მოქმედებს ბაზრის მონაწილეთა გადაწყვეტილებების მიღების მოდელებზე, ხოლო მათი მეშვეობით თავად ბაზრებზეც. ოპერატიული ინფომაცია ახდენს სულ უფრო დიდ გავლენას ფინანსურ ბაზრებზე იმისდა მიუხედავად, თუ რომელი ჭარბობს. ფინანსურ მეგაბაზრებზე ოპერაციების დიდი ნაწილი ხორციელდება არა საინვესტიციო, არამედ სპეკულაციური მიზნებით. ამასთან, სპეკულაციურ გარიგებათა წილი სწრაფად იზრდება. ინვესტორი ორიენტირებას ახდენს ისეთ ფუნდამენტურ ეკონომიკურ კატეგორიებზე, როგორიცაა ემიტენტის ბიზნესის ღირებულება, ძირითადი ფონდების ღირებულება, ამონაგების მიმართება კაპიტალიზაციასთან და ა. შ. რაც შეეხება სპეკულანტს, იგი ძირითადად მოკლევადიან დაბანდებებს ახდენს და სურს „დაიჭიროს" ფასების სწრაფი ცვლილებები. ამიტომ ის ბევრად დიდი ყურადღებით ეპყრობა ოპერატიულ ინფორმაციას და უმალ რეაგირებს მასზე. სპეკულანტებისა და სპეკულაციურ გარიგებათა რიცხვის ზრდით მეგაბაზრები აღმოჩნდებიან ხოლმე სულ უფრო დამოკიდებული ოპერატიულ ინფორმაციასა და ამბებზე. ამასთან, მათი ძირითადი პარამეტრები (ფასები, გარიგებათა მოცულობები და ა. შ.) სწრაფად იცვლება. მზარდ საინფორმაციო დამოკიდებულებასთან დაკავშირებით, პრაქტიკულად ყველა ბაზარზე ხდება სტატისტიკურად დაფიქსირებული, შესამჩნევი და დროთა განმავლობაში მზარდი ფასების რყევა, რომლებიც თავისთავად წარმოადგენენ მეგაბაზრების ახალ და მნიშვნელოვან თავისებურებას.

რა თქმა უნდა, XX ს-ის 70-იანი წლების შუა ხანებამდე არსებულ ბაზრებსა და XX ს-ის ბოლო მეოთხედში წარმოშობილ მეგაბაზრებს შორის არაა გადაულახავი უფსკრული, უფრო მეტიც, არ არსებობს აგრეთვე მკაფიო, გამყოფი ხაზი. ისევე როგორც რაოდენობრივი ცვლილებებიდან ხარისხობრივში ყოველგვარ გადასვლაში, ეკონომიკურ სისტემებში საზღვრები ბაზრის ორ ხარისხობრივ მდგომარეობას შორის ფრიად პირობითია. თანდათანობით აღინიშნა ყველა ძირითადი ტენდენცია და ხარისხობრივი ცვლილება, რომელთაც ერთობლიობაში ბაზრების ახალი მდგომარეობის არსი შეადგინეს; ამ ბაზრებს მეგაბაზრები ეწოდა. ახლა შევეცადოთ შევაჯამოთ და სისტემატიზაცია მოვახდინოთ ზემოაღწერილი ტენდენციებისა, რომლებმაც მეგაბაზრების წარმოშობა გამოიწვია.

1. ეკონომიკური ევოლუციის პროცესში ბაზრები უფლებების და საქონლის მიხედვით დივერსიფიკაციას განიცდიან, ქმნიან რა ამით სრულიად ახალ ურთიერთდაკავშირებულ ბაზრებს. მეგაბაზრებისათვის დამახასიათებელია საბაზრო ტექნოლოგიები არა საკუთრების უფლებათა გაყიდვის მიხედვით, როგორც ადრე, არამედ ცალკეულ დამოუკიდებელ უფლებათა და უფლებათა კომპლექსის შესაბამისად. უფლებათა განსაზღვრული კომპლექსის შესაბამის ბაზარზე ვაჭრობენ სტანდარტული საქონლით, რომელთაც ყიდულობენ, გამყიდველებისა და მყიდველების უფლებებისა და ვალდებულებების მიხედვით, რომელთაც მიიღეს მკაცრად განსაზღვრული ფინანსური ინსტრუმენტების თვისებები. ასეთ ბაზრებზე წესები და გარანტიები ბაზრის ორგანიზატორების მიერ განისაზღვრება.

2. ლოკალური ბაზრები, საბაზრო ძალების და გლობალიზაციის ტექნოლოგიის ზემოქმედების წყალობით, სპეკულანტთა და არბიტრაჟორთა აქტიური მონაწილეობით ერთიანდება და ყალიბდება გლობალური მეგაბაზრები.

3. სპეკულანტები სულ უფრო დიდ როლს თამაშობენ. გარიგებათა ძირითადი ნაწილი ყველა ბაზარზე — როგორც სასაქონლო, ასევე ფინანსურზე — სპეკულაციური ხდება. წარმოიშობა მართვის ახალი, წამყვანი ტენდენცია, ბაზრის მანიპულირება სპეკულანტის მიერ.

4. ბაზრებზე მოთხოვნა და მიწოდება უმეტესწილად ყალიბდება არა ფუნდამენტური ეკონომიკური წანამძღვრების გავლენით, არამედ სპეკულაციური განწყობილებების ზემოქმედებით. ამას მივყავართ უმეტეს ბაზარზე სტატისტიკურად აღნიშნული ფასების რხევის მნიშვნელოვან აწევამდე და ბაზრების არამდგრადობის ზრდამდე, რომელიც მძაფრად რეაგირებს ოპერატიულ ინფორმაციაზე, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ამბებსა და პროგონოზზე. ამასთან, თუკი ადრე ეს დამახასიათებელი იყო მხოლოდ ფინანსური ბაზრებისათვის, ახლა ნიშანდობლივია უკვე საქონლის სპოტ-ბაზრებისთვისაც.

5. სპოტ-ბაზრების ფასებზე სულ უფრო დიდ გავლენას ახდენენ ფიუჩერსული და სხვა დერივატული ბაზრების ფასები. იმავდროულად, ამ ბაზრებზე ფასები ბაზრის მონაწილეთა გადაწყვეტილების მიღების მოდელთა ურთიერთმოქმედებით განისაზღვრება. მოთხოვნა და მიწოდება (და შესაბამისად, ფასებიც) სპოტ-მეგაბაზრებზე ყალიბდება ძირითადად დერივატულ მეგაბაზართა მონაწილეების სპეკულაციურად განწყობილ წარმოდგენათა მოდელების გავლენით.

თავი 9

მსოფლიო მეურნეობის ცივილიზაციური რესურსები

ცივილიზაციური თავისებურებები, როგორც ეკონომიკის განვითარების რესურსი. კანონი და წეს-ჩვეულება. რელიგიის, იდეოლოგიის და ეკონომიკის განვითარების სამი წანამძღვარი. ეკონომიკურ სასწაულების მეტაფიზიკური ახსნა. ეთიკა და ეკონომიკა. ახალი ცივილიზაციური იდენტურობა და მეგაეკონომიკა

Quid leges sine moribus?!
(რას ნიშნავს კანონები
მორალის გარეშე?!)

ტრადიციულად ეკონომიკის რესურსებს მიეკუთვნება ბუნებრივი, სანედ-ლეულო, ფინანსური და სხვა ფულად შეფასებას ადვილად დაქვემდებარე-ბული რესურსები. თუმცა რესურსი ამ სიტყვის ზოგადი გაგებით - ესაა ის, რასაც ეყრდნობა, ეფუძნება ეკონომიკური განვითარება. ეკონომიკის წარმატება დაკავშირებულია არა მარტო ბუნებრივ, სანედლეულო და სა-წარმოო რესურსებთან, არამედ ისე ძნელად საზომ ფაქტორებთან, როგო-რიცაა ხალხთა ტრადიციები, რელიგიური აღმსარებლობა და კულტურუ-ლი ღირებულებანი, წეს-ჩვეულებები, სამართლებრივი კულტურა და ეკო-ნომიკური საქმიანობის წარმოების სამართლებრივი პირობები. ყველაფერ ამას ინსტიტუციონალური ეკონომიკური თეორია, რომელსაც ჩვენ ბევრ რამეში მივდევთ, უწოდებს არაფორმალურ და ფორმალურ ინსტიტუტებს

და მიიჩნევს ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორებად და რესურსებად როგორც ცალკეული ქვეყნისათვის, ასევე მთლიანად მსოფლიო ეკონომიკისათვის. ვთვლით, რომ ცივილიზაციური და სამართლებრივი რესურსები წარმოადგენენ ერთ-ერთ მნიშვნელოვან რესურსს და ისინი განსაზღვრავენ ხალხების და ქვეყნების განვითარების საერთო წარმატებას, ამიტომაც მათ მიეძღვნა პირველი ორი თავი მოცემულ განყოფილებაში (კარში).

9. 1. კანონი და წეს-ჩვეულება

წინა თავიდან ნათელი გახდა, რომ კანონი თანდათანობით წარმოიშობა წეს-ჩვეულებებისაგან. რომის სამართალი წარმოიშვა ძველი მსოფლიოს წეს-ჩვეულებებისაგან და ჩვენს ეპოქაში გარდაიქმნა კონტინენტალურად, ზოგადი სამართალი კი მუდმივად იკვებება წეს-ჩვეულებებით, გრძელდება კანონების დაბადება საქმიანი ბრუნვის წეს-ჩვეულებებისაგან, რომლებიც იცვლება ბაზრის განვითარებასთან ერთად.

ნათელია, რომ ადგილი აქვს უკუპროცესსაც. კანონები აქტიურად მოქმედებენ ჩვეულებებზე, განსაკუთრებით ეკონომიკის სფეროში: გავიხსენოთ დიდი რუსი დრამატურგი ნ. ა. ოსტროვსკი. მის ადრეულ ნაწარმოებებში („ჩვენ ხალხი - მოვრიგდებით", „სიღარიბე ნაკლი როდია"), რომლებიც დაიწერა XIX ს-ის 50-60-იან წლებში, ვაჭრები დაუნდობლად ატყუებდნენ ერთმანეთს, არ მისდევენ საქმის წარმოების არანაირ წესს. ხოლო რაღაც 20-იოდე წლის შემდეგ „ცოფიან გულებში" და „უმზითვოში" ზნე-ჩვეულებანი რადიკალურად იცვლება.

ვაჭრებს მყარად ადებს ბორკილს „ვაჭრის პატიოსანი სიტყვა". ბაზრის წესები უკვე ურყევი და წმინდად დაცულია. ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ესოდენ შესამჩნევი ცვლილებებისა არის XIX ს-ის 60-80-იან წლებს შორის რუსეთის იმპერიის მიერ მიღებული სამოქალაქო კანონების კრებული, რომელმაც განსაზღვრა ბაზრის ძირითადი წესები. ეს კანონები მიიღეს რუსმა საქმიანმა ადამიანებმა და მათ ბაზაზე სწრაფად ვითარდებოდა ახალი საქმიანი ეთიკა. თუმცა ახალი კანონების ამგვარი გავლენა მოითხოვს ან ამისათვის საზოგადოებაში უკვე მომწიფებულ მოთხოვნას მათზე, ან საზოგადოებრივ ცნობიერებაში მათ დასანერგად მიზანმიმართულ იდეოლოგიურ მუშაობას.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ რიგმა ლათინურამერიკულმა და აფრიკულმა ქვეყნებმა გულდასმით გადაიწერეს თავისივე სამშობლოში შესანიშნავად მოქმედი აშშ-ის კანონები, მაგრამ ახალ ინსტიტუციონალურ გარემოში ისინი აღმოჩნდნენ არაეფექტიანი. საქმე ისაა, რომ აშშ-ის კანონები არ იქნა მხადაჭერილი არაფორმალური ინსტიტუტების მიერ -

ლათინური ამერიკის და აფრიკის ხალხთა წეს-ჩვეულებებით. არ შეიქმნა ერთიანი ინსტიტუციონალური ორგანიზმი და მოსალოდნელი ეკონომიკური განვითარებაც არ მოხდა.

ამგვარად, ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ პირველი მნიშვნელოვანი დასკვნა.

> კანონები და წეს-ჩვეულებები ეკონომიკაზე მათი ზემოქმედების თვალსაზრისით შეადგენენ ერთ მთლიანს, რომელშიც კანონები ზემოქმედებენ ჩვეულებათა ფორმირებაზე, ხოლო ჩვეულებები თანდათანობით აყალიბებენ კანონებს.

ინსტიტუციონალურ ეკონომიკაში ამ ორ შემადგენელ ნაწილს აერთიანებენ ერთიან კატეგორიად - ინსტიტუტებად, ყოფენ რა მათ ფორმალურად (კანონები) და არაფორმალურად (წეს-ჩვეულებები).

> ინსტიტუციონალური თეორიის ძირითად პოსტულატს წარმოადგენს ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტების განმსაზღვრელი გავლენა ეკონომიკის განვითარებაზე.

9. 2. ეკონომიკური განვითარების სამი წანამძღვარი

იმისათვის, რომ ამუშავდეს მანქანა, სახელწოდებით „პროგრესი", ე. ი. ერთობლივად განვითარდნენ მეცნიერება და ეკონომიკა, უნდა დაკმაყოფილდეს სამი პირობა.

პირველი პირობა - საზოგადოებაში უნდა იყოს ადამიანთა საკმაო რაოდენობა, რომლებიც დაკავებულნი იქნებიან ინფორმაციის დამუშავებით, ახალი ცოდნის მოპოვებით და მისი მიყვანით გამოგონებამდე და ტექნოლოგიურ ინოვაციებამდე. ამისათვის ეკონომიკამ უნდა აწარმოოს საკმაო პროდუქცია, რათა მისი წევრების ნაწილი განთავისუფლდეს დღიური ლუკმის მოპოვების რუტინული შრომისაგან. პრინციპში, ამ პირობის შესრულება დაიწყო ჯერ კიდევ ნეოლითური რევოლუციის დროიდან და სწორედ მაშინ დაიწყო ის, რასაც დღეს ვეძახით პროგრესს. აღმოჩნდა, რომ არსებობს საკმაოდ ბევრი ადამიანი, რომლებშიც ჩადებულია მძლავრი თანდაყოლილი პირადი გავლენის, ძალაუფლების გაფართოების ინსტიქტი ინფორმაციის და ცოდნის დაგროვების ხარჯზე. როგორც ზემოთ აღინიშნა, ძალაუფლების ნება-სურვილი ამა თუ იმ ზომით და ამა თუ იმ ხარისხით დამახასიათებელია ყველა ადამიანისათვის. მაშ ასე, კაცობრიობის საკეთილდღეოდ, ევოლუციის მსვლელობისას, ბუნებრივი და ხელოვნური გადარჩევის დროს გამოკრისტალდა და მუდმივი გაფართოება იწყო

ადამიანთა ჯგუფმა, რომელთა ძალაუფლების ნება-სურვილი რეალიზდებოდა სხვა ადამიანებზე, თავისი ინფორმაციული გავლენის გაძლიერების სურვილში, მათი სამეცნიერო ინფორმაციის და ცოდნის გაფართოების ხარჯზე. ეს ადამიანები თავდაპირველად გახდნენ ქურუმები, ხოლო შემდეგ გაიყვნენ ორ დღემდე გაბატონებულ ჯგუფად: მღვდელმსახურებად, მეცნიერებად და ხელოვნების მოღვაწეებად. მეცნიერი თავისი ცხოვრების მიზანს ხედავს გარესამყაროს შემეცნებაში და, როგორც წესი, საჭიროებს საზოგადოების მიერ წარდგენილ ეკონომიკურ შესაძლებლობას დაკავებული იყოს მეცნიერებით და შედეგად მიიღოს მეტ-ნაკლებად ფართო აღიარება მიღწეული შედეგების გამო. ხშირად მეცნიერები არ უფიქრდებიან იმ შინაგან მიზეზებს, რომლებიც აიძულებენ მათ თავდადებული და ხშირად დაბალანაზღაურებადი შრომისკენ. მათ უბრალოდ სხვაგვარად ცხოვრება არ შეუძლიათ. თუმცა გულის სიღრმეში ისინი ისწრაფვიან სამეცნიერო დიდებისა და აღიარებისაკენ. თუ თანამედროვეებში სტიმულს წარმოადგენს გამარჯვება სამეცნიერო ოპონენტებზე და აღიარება თუნდაც სპეციალისტთა ვიწრო წრეში, სინამდვილეში საოცრად მაღალი დაძაბულობის და თვითექსპლუატაციის ხარისხის სამუშაოზე მათ უბიძგებს სწორედ იგივე ძალაუფლების ნება-სურვილი, რომელიც ყველას ამოძრავებს - წამყვანი პოლიტიკოსებიდან სამიკიტნოს მოპანღურემდე, რომელიც ზღურბლსაც არ გააქელინებს და კინწისკვრით გააგდებს მათხოვარს.

ამგვარად, ცოდნის და ტექნოლოგიური ინოვაციების წარმოება განხორციელდება, ასე ვთქვათ, ავტომატურად, თუკი სამეცნიერო და საგამომგონებლო საქმიანობისაკენ მიდრეკილ ადამიანებს ექნებათ შესაძლებლობა შემოქმედებითი შრომით დაკავდნენ, შეძლებენ რა გამოკვლევებისათვის აუცილებელ მოწყობილობებთან მიღწევას.

აქედან გამომდინარეობს *მეორე პირობის* შესრულების აუცილებლობა - *ეკონომიკა უნდა იყოს იმგვარად ორგანიზებული, რომ ადამიანებს, რომელთაც ბუნებით ბოძებული აქვთ მეცნიერის ან გამომგონებლის ტალანტი, შეეძლოთ შრომა მეცნიერებისა და ტექნოლოგიური ინოვაციების შემუშავების დარგში.*

ამისათვის აუცილებელია არსებობდნენ *ეკონომიკური ინსტიტუტები,* რომლებიც ისე გადაანაწილებენ საზოგადოებრივ სიმდიდრეს, რომ უზრუნველყოფენ ადამიანებს იმის შესაძლებლობით, რომ იმუშავონ მეცნიერების დარგში. ეკლესიამ საკუთარი უზრუნველყოფის საკითხები გადაწყვიტა მეცნიერებამდე დიდი ხნით ადრე, დააწესა რა სპეციალური საგადასახადო სისტემა, მაგალითად, საეკლესიო დესეტინა და გამოყო მღვდელმსახურები განსაკუთრებულ წოდებად, რაც არა მარტო განმტკიცდა კანონებში, არამედ წეს-ჩვეულებებითაც დამკვიდრდა. მეცნიერება ყოველ-

თვის იყო მჭიდროდ დაკავშირებული განათლებასთან, ე. ი. ბაზრის ენით რომ ვთქვათ, ცოდნის ყიდვის სფეროსთან. სწორედ საგანმანათლებლო ინსტიტუტები და ორგანიზაციები აძლევდნენ მეცნიერებას განვითარების საშუალებას. შუა საუკუნეებიდან დაწყებული სამეცნიერო სკოლები ვითარდებოდნენ უნივერსიტეტებთან. სამეცნიერო ცოდნა მხოლოდ ახლანდელ დროს გამოვიდა უშუალოდ ტექნოლოგიური ინოვაციების ბაზარზე. ორასი წლის წინ ევროპული სახელმწიფოები და მეწარმეები თვალნათლივ დარწმუნდნენ, რომ ინფორმაცია და ცოდნა თავისთავად წარმოადგენს ისეთივე, შეიძლება ითქვას, უფრო „მნიშვნელოვან" კაპიტალს, როგორც სამრეწველო და საბანკო. ისინი გამოცდილებით დარწმუნდნენ, რომ მათში ჩადებულ ინვესტიციებს შეუძლია მოგვცეს უზარმაზარი მოგება. მას შემდეგ მოწინავე ქვეყნებში მეცნიერებამ დაიწყო შედარებით უკეთ არსებობა და მეცნიერებმა მიიღეს შესაძლებლობა „დაიკმაყოფილონ საკუთარი ცნობისმოყვარეობა სახელმწიფოს და საზოგადოების ხარჯზე".

ამგვარად, წარმატებული განვითარებისათვის აუცილებელია ეკონომიკური ინსტიტუტების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფენ წარმოებას ტექნოლოგიური ინოვაციებით. თუკი ასეთი ინსტიტუტები ჯერ კიდევ არაა, მაშინ საჭიროა შესაბამისი ინსტიტუციონალური ინოვაციები, რომელთა გარეშეც შეუძლებელია ტექნოლოგიების სრულყოფა. ინსტიტუტები – აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა ეკონომიკური ზრდისთვის.

ისტორიაში ჩვენ არაერთხელ შევხვედრივართ ისეთ სიტუაციებს, როცა ტექნოლოგიური ინოვაციები სწორად ტარდებოდა, ჰქონდათ სავსებით საკმარისი ინსტიტუციონალური უზრუნველყოფა, მაგრამ ეკონომიკური განვითარება პრაქტიკულად არ იყო. როგორც აღმოჩნდა, *აუცილებელია კიდევ ერთი, მესამე პირობის შესრულება.*

> საზოგადოებას უნდა გააჩნდეს ღირებულებათა სისტემა, ის მიზანდასახულობანი, რომლებიც სტიმულს მისცემენ ეკონომიკის განვითარებას.

სწორედ გაბატონებული ცივილიზაციური იდეოლოგია განხილული როგორც ღირებულებების, ქცევის ნორმების და მსოფლიო აღქმის საშუალებების სისტემა, განასხვავებს ერთ ცივილიზაციას მეორისაგან, ჩვენთვის უკვე ძნელია იმის დაჯერება, მაგრამ ისტორიულ მასშტაბში სულ ახლახან შექმნილი თანამედროვე ევროპული ცივილიზაცია სავსებით უნიკალურია. ჩვენი თანამედროვე რომ შეხვედროდა ძველეგვიპტური, ძველრომაული ან ძველჩინური ცივილიზაციის წარმომადგენელს, ისინი ვერ გაუგებდნენ ერთმანეთს მეცნიერების, ტექნიკის და თვით ეკონომიკის განვითარების სხვა-

დასხვა დონის გამო. ეს შეიძლება სწრაფად გადაგველახა, მაგრამ სრული გაუგებრობა წამოიჭრებოდა საზოგადოების განვითარების მიზნებისა და კაცობრიობის ფასეულობათა სისტემის განხილვისას.

ძველ ეგვიპტეში პრაქტიკულად არ არსებობდა თვითანალიზი და პირადი აზრი[1]. ჩვენთვის ძნელია წარმოვიდგინოთ ამგვარი ადამიანი. ეგვიპტური ცივილიზაცია, კონცენტრირებული სიკვდილსა და საიქიო ცხოვრების საკითხებზე, არ იძლეოდა ეკონომიკური განვითარების სტიმულებს.

ავიღოთ ახლა ჩვენთვის სულით და დროით შედარებით ახლობელი რომის იმპერია. ჩვენი თანამედროვეობისათვის უცხოა რომაელის საქმიანობის ძირითადი მოტივაციები. იმ ცივილიზაციაში იკიცხებოდა „ვულგარული და არაკეთილშობილური" კომერციული ფასეულობანი, რომლებიც ახლა ჩვენი მსოფლმხედველობის გულს წარმოადგენს. ციცერონის სიტყვებით, „დაქირავებული შრომა ამაზრზენია და არაღირსეულია თავისუფალი ადამიანისათვის". კანონის და ტრადიციის თანახმად, რომაელ სენატორებს არ შეეძლოთ ბიზნესით დაკავება. სიმდიდრე ითვლებოდა ღირსებად არა პირადი მოხმარების შესაძლებლობის თვალსაზრისით, არმედ ნაჩუქრობათა შედეგად, რომელსაც მდიდარი მოქალაქე უკეთებდა საზოგადოებას. უმაღლეს ქველობად ითვლებოდა საზოგადოებრივი შენობის აგება, რომელზეც აწერდნენ საკუთარ სახელს. ძღვენის გაკეთება იყო მორალური ვალდებულება. თავისი სახელის წარწერა ნაგებობაზე რომაელისათვის ნიშნავდა უკვდავებასთან ზიარებას. როგორ არ გავს ეს საქციელი ჩვენსას! რა თქმა უნდა, წარმოებაში და ბიზნესის ორგანიზებაში მკაფიო, პირადი მოტივაციის უქონლობა ხელს არ უწყობდა ეკონომიკურ განვითარებას, ამიტომ იგი ძლივს იყო შესამჩნევი.

ჩინეთში სამრეწველო რევოლუციისათვის აუცილებელი ტექნოლოგიური ინოვაციები ჩატარდა ათწლეულობით ადრე, ვიდრე ევროპაში. ევროპელებამდე 800 წლით ადრე ჩინელებმა გამოიგონეს საბრძმედე ღუმელები, დენთი და ზარბაზანი, კომპასი და საჭე, ასაწყობი შრიფტი და საბეჭდი დაზგა, ლითონის გუთანი, ცალეული, ათობითი სისტემა და უარყოფითი რიცხვები. მათ გააჩნდათ სავსებით განვითარებული ჩინოვნიკთა ინსტიტუტები და სახელმწიფო, რომელიც ხელს უწყობდა მეცნიერებებით დაკავებას. XV ს-ში ჩინეთს ყველა შანსი ჰქონდა იმისთვის, რომ გადასულიყო სამრეწველო განვითარებაზე, მაგრამ ვერ გადავიდა, რადგან მის ცივილიზაციაში არ იყო ეკონომიკური ზრდის მიზანდასახულობანი. იქ გაბატონებული კონფუციანელობა მიუთითებდა მათ ეძებნათ ყველა კითხვაზე პასუხი კანონიკურ ტექსტებში. იგი კრძალვდა სიახ-

1 Robins G. Vomen in Ancient Egypt - Cambridge, 1993.

ლეს, რომლებშიც ხედავდნენ არა შესაძლებლობას, არამედ საფრთხეს. ასეთ ცივილიზაციურ გარემოში ტექნოლოგიურ ინოვაციებს გმობოდნენ და დავიწყებას ეძლეოდა. შემდეგ ჩინეთმა ხელიდან გაუშვა ტექნოლოგიური პირველობა.

ძალაუფლებისაკენ სწრაფვა - ეს არის განვითარების ზამბარა - რასაც განსხვავებული გამოხატულება აქვს სხვადასხვაგვარ ცივილიზაციურ გარემოში. ცივილიზაცია, რომელიც განსაზღვრავს დომინირებულ ფასეულობათა სისტემას ადამიანისათვის, გეზს აძლევს გაბატონებულ ფორმებს ხელისუფლებისაკენ სწრაფვის რეალიზაციაში. იგი ვლინდება არა მარტო უბრალო შესაძლებლობაში, უბრძანო ან უხეშად თავს მოახვიო საკუთარი ნება-სურვილი საზოგადოებას, არამედ საკუთარ გავლენაში, სტატუსსა და ავტორიტეტში, რომელიც ვლინდება სულ სხვადასხვა, ზოგჯერ ერთი შეხედვით ძალაუფლების ყოფით გაგებასთან სუსტად დაკავშირებულ ჰიპოსტასში. ცივილიზაციური იდეოლოგიის ძირითადი ფუნქციაა განსაზღვროს და დანერგოს მასობრივ შეგნებაში წარმოდგენები ხელისუფლების იმ ფორმაზე, რომელიც მიღებულ ფასეულობათა სისტემას შეესაბამება. როცა საზოგადოების უმრავლესობა ღებულობს ცივილიზაციურ ფასეულობებს თავისი ქცევის საფუძვლად, წარმოდგენა ხელისუფლების სასურველ ფორმებზე ხდება საყოველთაოდ მიღებული. აქ ერთვება ბრძოლა ხელისუფლების არჩევითი ფორმებისათვის და იწყება ევოლუციური პროცესი. ამგვარად, ცივილიზაცია გეზს აძლევს ევოლუციის მიმართულებას და, რათქმა უნდა, სრულებთ არაა სავალდებულო ამ მიმართულებამ უზრუნველყოს ეკონომიკური განვითარება. ცივილიზაციის მიზნები შეიძლება იყოს, და ძირითადად ისტორიაში იყო კიდევაც, სრულიად სხვაგვარი.

ცივილიზაციები, როგორც ცნობილია, მუდმივად იბრძვიან ერთმანეთს შორის მსოფლიო ძალაუფლებისთვის. ეს ბრძოლა წარმოადგენს ცივილიზაციური ევოლუციის საფუძველს. ცივილიზაციის ნაწილი კვდება, ისინი იცვლება, ხოლო მკვდართა ადგილზე ჩნდება ახალი. ეს ევოლუცია გვაგონებს სახეობათა ევოლუციას, რომელთაგან თითოეული იბრძვის თავისი ეკოლოგიური ადგილს გასაფართოებლად, სასიცოცხლო სივრცის გასაზრდელად. როგორც სახეობათა ბრძოლის დროს, ცივილიზაციური ევოლუციაც მიდის გარე სამყაროსთან შეგუების გზით, ასევე გავრცელების საკუთარი არეალის გაფართოებისკენ. ცხოველთა ყოველი სახეობა ან კლასი ბრძოლაში იმედებს ამყარებს თავის იარაღზე — წვეტიან ეშვებზე, მძლავრ რქებზე, სწრაფ სირბილზე და ა. შ. ზოგიერთი სახეობა, ვეშაპთა მსგავსად, თავის ადგილს პოულობს წყლის სტიქიაში, სხვები, როგორც თხუნელები, მიწის ქვეშ იმალებიან, მესამენი ჰაერს

იპყრობენ. ამრიგად, ევოლუციის მსვლელობისას ჩნდება ურთიერთშემავსებელი სახეობების გაერთიანება. ცივილიზაციურ ბრძოლაში ყოველი ცივილიზაცია ცდილობს გააფართოვოს თავისი გავლენა (ძალაუფლება) მსოფლიოში, მოძრაობს რა იმ მიმართულებით, რომელიც მის მიერ ამორჩეული ძალაუფლების ფორმის ფასეულობათა სისტემას შეესაბამება. სხვაობა ძალაუფლების ფორმებში, რომლისკენაც ისწრაფვიან ინდივიდები სხვადასხვა ცივილიზაციაში, საშუალებას აძლევს თითოეულ ცივილიზაციას ევოლუციის მსვლელობაში დაიკავოს თავისი ადგილი მსოფლიოში. საგარეო პირობების არსებითი ცვლილებით შეიძლება ძალთა თანაფარდობა რადიკალურად შეიცვალოს და სათავეში მდგომი ცივილიზაცია ადგილს უთმობს სხვას. ამ დროს თავად იგი იღუპება, ვინაიდან, ისევე როგორც ცხოველთა სამყაროში, აღმოჩნდება ყველაზე მეტად შეგუებული ძველებთან და ყველაზე ნაკლებ — არსებობის ახალ პირობებთან, ისე, როგორც 150 მილიონი წლის წინ მსოფლიოში გაბატონებული დინოზავრები; არარსებობაში გადავიდნენ დიდი ცივილიზაციები ძველი ეგვიპტის, შუმერების, აცტეკების, ინკების და მრავალი სხვ.

მხოლოდ ახლახან, დაწყებული XVI ს-დან, დაიწყო დომინირება ევროპულ-ამერიკულმა ცივილიზაციამ, ორიენტირებულმა ეკონომიკურ ძალაუფლებაზე და ეკონომიკურ განვითარებაზე. ახლა გვგონია, რომ მისი დამარცხება შეუძლებელია, ხოლო მის მიერ აღიარებულ ფასეულობებს გააჩნია საყოველთაო ხასიათი. თუმცა ცივილიზაციათა ბრძოლას ჩვენ თვალყურს ვადევნებთ თითქოს შიგნიდან, საკუთარი კონკრეტული ცივილიზაციის ჩარჩოებში მყოფი. და ამის გათვალისწინება აუცილებელია. ყბადაღებულ დინოზავრებსაც ეჩვენებოდათ, რომ მათი ძალაუფლება მსოფლიოზე მუდმივი და ურყევია. და მაინც, უახლეს მომავალში ამა თუ იმ ცივილიზაციის კონკურენტული უპირატესობანი, როგორც ჩანს, დაკავშირებული იქნება ძირითადად იმასთან, რამდენად უნარიანია იგი მოახდინოს ეკონომიკური განვითარების სტაბილურობა. ეკონომიკური ძალაუფებისათვის ბრძოლა კიდევ დიდხანს იქნება გაბატონებული ძალაუფლების სხვა ფორმებზე, რომლებიც ჯერჯერობით ჩრდილში რჩება.

9. 3. რელიგია, იდეოლოგია და ეკონომიკა

ჩვენს მიზანს წარმოადგენს არსებული ძირითადი ცივილიზაციების ანალიზი ეკონომიკურ განვითარებაზე მათი გავლენის თვალსაზრისით. ეს სულაც არაა აკადემიური, თეორიული ეგზერსისები. თუკი ცნობილია, რომ ჩვენი ცხოვრების დროს ცივილიზაციათაშორისი ბრძოლა განვითარდება ძირითადად ეკონომიკურ სფეროში, მაშინ სავსებით ბუნებრივია შეეცადოთ გავაანალიზოთ ჩვენი ცივილიზაციის კონკურენტე-

ბი ამ ბრძოლაში. ცივილიზაცია - არ არის გაქვავებული კონსტრუქცია და მას გააჩნია უნარი ისესხოს სხვა ცივილიზაციური სისტემებისაგან იდეოლოგიის ინსტიტუტები და ელემენტები, რომლებიც მათ აძლევს კონკრეტულ უპირატეობას ევოლუციურ ბრძოლაში. ამ ელემენტების შემოტანით ჩვენს ცივილიზაციაში და მათი გონივრული შეხამების პოვნით ჩვენს კულტურასა და წეს-ჩვეულებებთან, შეიძლება გავზარდოთ საკუთარი კონკურენტუნარიანობა და შევეცადოთ მოვიგოთ ბრძოლა ეკონომიკური ლიდერობისათვის.

არის კიდევ ერთი არანაკლებ მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც განგვაწყობს სხვადასხვა მოქმედი ცივილიზაციების კულტურული და იდეოლოგიური საფუძვლების შესწავლისთვის. ახლა მსოფლიო ეკონომიკა აღარაა რიგითი რუსისათვის წმინდა გონებაჭვრეტითი მეცნიერება. ბევრი მუდმივ კონტრაქტშია სხვადასხვა ქვეყნის და ცივილიზაციის წარმომადგენლებთან. მეგაეკონომიკურ გარემოში ადამიანები ახლოვდებიან. ისინი წარმართავენ საერთო ბიზნესს, ერთობლივ გამოკვლევებს, მოგზაურობენ სხვადასხვა ქვეყნებში, დაბოლოს, ურთიერთობა აქვთ ინტერნეტით. ყოველივე ამისათვის სასარგებლოა, და აუცილებელიც კი, იცნობდე შენს პარტნიორს. ხოლო იმისათვის, რომ უკეთ გაიგო და ქცევის რეაქციის პროგნოზირება მოახდინო, უნდა იცოდე მისი ფასეულობათა სისტემა და მსოფლმხედველობის საფუძვლები, რომლებიც ეროვნულ კულტურაში, ცივილიზაციურ იდეოლოგიასა და რელიგიაში დევს. თანამედროვე ეკონომიკურ ცხოვრებაში ეს ცოდნა შეიძლება გამოვიყენოთ საქმიანი მოლაპარაკებების წარმართვის დროს, მარკეტინგული კვლევების პირველ ეტაპებზე, საქონლის წინ წასაწევად საზღვარგარეთულ ბაზრებზე და სხვა მრავალი ამოცანის გადაწყვეტის დროს. მსოფლიო ეკონომიკა ხდება აგრეთვე პრაქტიკული მეცნიერებაც. ჩვენ მუდმივად მივმართავთ მიღებული ცოდნის გამოყენების შესაძლებლობებს ბიზნესში.

აქ არ განვიხილავთ სხვადასხვა რელიგიათა დოგმატებს, მაგრამ მნიშვნელოვანია გამოვყოთ რელიგიების ის იდეოლოგიური ელემენტები, რომლებიც ყველაზე დიდი ხარისხით მოქმედებენ ეკონომიკურ განვითარებაზე, ახდენენ რა ამით მის სტიმულირებას ან შენელებას.

ცივილიზაციური იდეოლოგიის ძირითად ელემენტს არსებული ცივილიზაციების უმეტესობისათვის წარმოადგენენ რელიგ. ური სისტემები.

ამჟამად მოქმედი ცივილიზაციური რელიგიებიდან უძველესია ინდუიზმი. საეჭვოა ვიფიქროთ, რომ კარგად გავერკვევით თანამედროე მილიარდიანი ინდოეთის ეკონომიკაში, თუ გვეცოდინება მისი მსოფლმხედვე-

ლური საფუძვლები. სხვა რელიგიებისაგან განსხვავებით, ინდუიზმი არ წარმოადგენს დასრულებულ რელიგიურ სისტემას. მსგავსად იმისა, როგორც თავად ინდოეთი-სუბკონტინენტი, რომელიც აერთიანებს მრავალ სხვადასხვა ერს, ინდუიზმი წარმოადგენს ურიცხვი სექტების ერთობლიობას, გაერთიანებულს საერთო მიდგომით რელიგიურ მსოფლაღქმასთან და გამოხატულს ძირითადად წმინდა წერილებში ინდუსების ვედებში. ინდუიზმის დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს დედამიწას და ცას შორის გადაადგილების თავისუფლება. ადგილობრივ ღვთაებებს და ეპოსის გმირებს, როგორიცაა რამი, შეუძლიათ გახდნენ ზეცაში მცხოვრებნი, ხოლო უმაღლესი ღმერთი ვიშნუ მუდმივად გარდაისახება უფრო ნაკლებად მნიშვნელოვან ღმერთებში და გმირებში. ინდუიზმის ასეთი თავისებური სტრუქტურა აძლევს მას საშუალებას შეისისხლხორცოს თავისთავში სხვა რელიგიური კულტები. ასე მაგალითად, ღმერთ კრიშნას მიმდევრებთან შეჯახებისას ინდუისტებმა გამოაცხადეს იგი თავიანთ ღმერთ ვიშნუს ერთ-ერთ განსახიერებად. ზუსტად ასევე მოიქცნენ ბუდას მიმართაც, რის წყალობითაც ამ მძლავრი რელიგიის გამარჯვება ინდოსტანში შეუძლებელი გახადეს. ინდუიზმი ზეცისკენ გზას უხსნის ყველას. ყველას აქვს შანსი შეერწყას ღმერთს. სხვათა შორის, სწორედ ეს შეადგენს მართლმორწმუნე ინდუისტის ცხოვრების მიზანს. ღმერთთან შესაერთებელი გზა დევს ღვთისმოსაობაზე და ღრმა ფიქრებზე, ხოლო პრაქტიკაში – ასკეტიზმში. ინდუსის მუდმივი მისწრაფებები თვივთშვრეტისკენ, ბუნებრივია, ხელს არ უწყობს ეკონომიკურ ინიციატივას. ინდუიზმი ცუდად ესადაგება ეკონომიკის თანამედროვე მოთხოვნებს. ხოლო კომპიუტერულ სახეთა სამყარო ძალზე ახლოა მინდუსთან. ფორმათა გარდამავლობა და სიმსუბუქე დამახასიათებელი კომპიუტერული სამყაროს ვირტუალური რეალობისათვის განსაცვიფრებლად კარგად ემთხვევა ძველ ვედურ წარმოდგენებს. ალბათ სწორედ ამიტომ ინდოეთმა შთამბეჭდავ წარმატებებს მიაღწია ინფორმატიკაში, ინდოელი პროგრამისტები ითვლებიან ყველაზე საუკეთესოებად მსოფლიოში, ხოლო კომპიუტერული პროგრამების ექსპორტი სულ უფრო დიდ ადგილს იკავებს საგარეო ვაჭრობის ოპერაციებში. შეიძლება პროგნოზირება, რომ ინდუსური მსოფლგაგება მოახდენს მნიშვნელოვან გავლენას საინფორმაციო საზოგადოების საერთოპლანეტარულ ჩამოყალიბებაზე.

ჩვენს ერამდე V ს-ში წარმოშობილი ბუდიზმი (სანსკრიტულიდან — გაღვიძება) დღეს როგორც ერთ-ერთი რელიგია აზიის 18 ქვეყანაში არსებობს. ინდოეთის პრინც გაუტამის (560–480 წწ. ჩვ. ერამდე) მიმდევრები, რომელიც გადმოცემის თანახმად, გახდა ბუდა, არიან 2 მილიარდის ოდენობით, თუმცა მხოლოდ 300 მილიონი ადამიანი მონაწილეობს რეგულა-

რულად ბუდიზმის რელიგიურ წეს-ჩვეულებებში. ამ რელიგიაში არაა ერთი ღმერთი. ბუდიზმის თანახმად, არსებობს მრავალი სამყარო და სივრცე, რომლებშიც სიცოცხლე მუდმივად განიცდის ევოლუციას – დაბადებიდან სიკვდილამდე და ახალ აღდგომამდე და ასე უსასრულოდ. მუდმივი გარდასახვის იდეაზე დაყრდნობილია მთელი ბუდისტური მსოფლმხედველობა. ბუდა ასწავლიდა, რომ ჟინი და დაუკმაყოფილებლობა ითრევს ადამიანს ყოფიერების წრებრუნვაში, „ცხოვრების ბორბალში". ამ წრებრუნვიდან გამოსვლა შეიძლება მხოლოდ ბუდიზმით მითითებული საშუალო გზით, რომელიც დაკავშირებულია ლოგიკური აზროვნების გადასვლით სახეთა ირაციონალურ აღქმამდე. ასეთი გადასვლა მიიღწევა მუდმივი ვარჯიშით, მედიტაციით, კონცენტრაციით და ნირვანას ღვთიურ მდგომარეობაში გადასვლით, რომელშიც ადამიანი, ისევე როგორც ინდუისტურ ტრადიციაში, ერწყმის ღმერთს.

ბუდა პირდაპირ ამბობს, რომ ტანჯვისაგან განთავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ ძალაუფლების ნება-სურვილზე უარის თქმითა და სურვილების მოსპობით. ბუნებრივია, ძალაუფლებისაკენ სწრაფვის სურვილის და ჟინის აღმოფხვრა მთლიანად ხსნის ყველა სტიმულს ეკონომიკური საქმიანობისათვის. გეგონებათ, რომ ბუდიზმი ცუდად შეთავსებადია ეკონომიკურ განვითარებასთან, თუმცა იგი მკაცრია მხოლოდ ბერებისათვის. საეროთათვის მისი მცნებები იოლად შესასრულებელია და ახლო გაცნობისას თითქმის სავსებით ემთხვევა ქრისტიანობის ცნობილ 10 მცნებას. ყურადღება მივაქციოთ ამ რელიგიის მნიშვნელოვან პრაქტიკულ რეკომენდაციას მისი მიმდევრებისათვის. თურმე სვლა ღვთისმოსაობის გზაზე შეიძლება, თუკი გააკეთებთ ჩვეულებრივ, ყოველდღიურ სამუშაოს. უბრალოდ აუცილებელია ყოველ საქმეში ვისწრაფოდეთ სრულყოფილებისაკენ – იქნება ეს ჩაის ცერემონია თუ მიკროსქემის აწყობა. ბუდიზმის ეს აღქმა ძალიან ფართოდ გამოიყენება აზიური ქვეყნების კომპანიებში. შესაძლებელია, სწორედ ამ რელიგიურ დოგმაში, რომელიც გახდა ცივილიზაციური იდეოლოგიის ნაწილი, საჭიროა ვეძებოთ აზიური „ვეფხვებისა" და „დრაკონების" ეკონომიკური წარმატებების საიდუმლო. ასე რომ, გარეგნულად შორეული ეკონომიკისაგან, ბუდიზმი აღმოჩნდა სავსებით გამოსადეგი იდეოლოგიური პლატფორმა ეკონომიკური განვითარებისათვის.

მსოფლიოს უდიდესი ქვეყანა ჩინეთი უკვე ახლო მომავალში გამოვა პირველ ადგილზე ეკონომიკური და სამხედრო სიმძლავრის მიხედვით, ამიტომ ჩვენთვის სრულებითაც არ არის სულერთი, როგორ იდეოლოგიას ატარებს მისი ძველი ცივილიზაცია. ყოველი მეოთხე კაცი მსოფლიოში – ჩინელია და მისი მსოფლმხედველობის გაგება პრაქტიკულად მნიშვნელოვანი ამოცანაა.

უკვე V ს-ში ჩვენს ერამდე ჩინეთში წარმოიშვა *დაოსიზმის* მოძღვრება, რომლის ფუძემდებელი გახდა ლაო ცზი. წიგნში „დაოსა და დეს შესახებ". იდუმალი აფორიზმული ფორმით მოკლედა გადმოცემულია ამ სწავლების საფუძვლები, რომლის თანახმადაც „ადამიანს მართავს დედამიწა, დედამიწას მართავს ცა, ცას მართავს დაო, ხოლო დაო თავის თავს მართავს. დაო არის საყოველთაო საწყისი, კანონი და წესი, რომელიც თავის თავში მოიცავს სამყაროს, ბუნებას და ადამიანთა საზოგადოებას" შეიმეცნოს დაო, მიჰყვეს მას, შეერწყას მას — ამაშია ცხოვრების ერთადერთი აზრი დაოსის მოძღვრების მიმდევართათვის. დაოს კანონების ახსნით შესაძლებელია უკვდავების მიღწევა. ამ მოძღვრებას არ შეიძლება ვუწოდოთ რელიგია. მასში ბევრად მეტია მსოფლიოს სამეცნიერო აღქმის შესახებ. მთლიანობაში, ჩვენი აზრით, დაოსიზმი ყველაზე მეტად გვაგონებს დაახლოებით 2500 წლის შემდეგ ევროპაში წარმოშობილ ჰეგელიანობას. სხვათა შორის, ეს ორივე მოძღვრება გადმოცემულია ნაკლებად გასაგები ენით. დაოსიზმის მნიშვნელოვანი ნაწილი წავიდა ამ ფილოსოფიური სისტემის, ალქიმიისა და ოკულტიზმის შემდგომი თეორიული გართულების გზით, ხოლო მეორე შეერწყა ჩინეთში ჩვ. წ. აღ-ით I ს-ში ინდოეთიდან მოსულ ბუდიზმს.

მეორე მოძღვრება, რომელმაც კოლოსალური გავლენა მოახდინა ჩინურ ცივილიზაციაზე — *კონფუციანელობა* — აგრეთვე არ შეიძლება რელიგიად ჩავთვალოთ, ამ სიტყვის ევროპული გაგებით. ლაო ცზის თანამედროვე - კუნ ფუ ცზი (თარგმანში - ღირსეული (ფუ) ბრძენი (ცზი კუნი), ტრანსკრიფციით გადმოცემული ევროპაში რომაული მანერით როგორც კონფუცი (551–479 ჩვ. ერამდე), სთავაზობს ქვეყანას უდიდეს მორალურ-ეთიკურ მოძღვრებას, რომელსაც ჩინელები მისდევენ უკვე 2500 წელია. კონფუციანელობის მოძღვრების ყურადღების ცენტრშია ადამიანი და მისი მორალურ-ეთიკური პრობლემები. კონფუციანელობის უმნიშვნელოვანეს კატეგორიას წარმოადგენს რიტუალი - ადამიანის ქცევის წესების ნაკრები სხვადასხვაგვარ ცხოვრებისეულ, მათ შორის ეკონომიკურ, სიტუაციებში. თანამედროვე ტერმინებში უძველესმა მოძღვრებმა გეზი მისცეს ჩინეთის საზოგადოების ურყევ ინსტიტუტებს. ქცევის ძირითადი პრინციპით ყოველი ადამიანი ვალდებულია შეასრულოს თავისი მოვალეობა თავის ადგილზე. „მმართველი უნდა იყოს მმართველი, მამა - მამა, ხოლო შვილი - შვილი". ოჯახიც და სახელმწიფოც უნდა იყოს აგებული უფროსებისადმი პატივისცემაზე და შვილთა მოწიწებაზე. ადამიანი ერთნაირი გულწრფელობით და ერთგულებით უნდა ეპყრობოდეს ზეცასაც, მმართველსაც და თავის ოჯახსაც. სწორედ ეს არის ერთიანი ურთიერთკავშირის სისტემა კანონის ანუ რიტუალის საფუძველზე. კონფუციანელობა - არის წესრიგი და ყველა საზოგადოებრივი ინსტიტუტის მკაცრი იერარქიული აგებულება.

როცა კონფუცის სთხოვეს თავისი მოძღვრება გამოეხატა ერთი ფრაზით, მან თქვა: „ჩემი გზა - შემეცნების მთლიანობაა", ე. ი. მთელი ცხოვრება დაექვემდებარო რიტუალის დაცვის და დაოს გზის გაყოლის ერთიან იდეას.

ჩინური მსოფლმხედველობის ნიშანდობლივ თვისებას წარმოადგენს მრავალი რელიგიური შეხედულების რთული გადახლართვა. ჩინელთა უმეტესობა მისდევს კუნ ფუ ცზის აღთქმებს, ამასთან სჯერათ დაოსი და იცავენ ბუდისტურ რიტუალებს. ძირითადად ამ სამ რელიგიაზე დაფუძნებულია თანამედროვე ჩინური ცივილიზაცია. თუმცა ამისათვის უცხო არ არის სხვა რელიგიებიც. ჩინურ ტაძრებში კონფუცის სტელების გვერდით, გაღმერთებული ლაო ცზის გამოსახულებებთან და ბუდის სტატუებთან ერთად შეიძლება შევხვდეთ ქრისტიანულ ჯვარცმას და მუსლიმანურ სიმბოლიკას. ჩინეთი უზარმაზარი და მრავალსახოვანია. იგი სიამოვნებით და ორგანულად ითვისებს უცხო კულტურის ელემენტებს. ამაშია მისი, თუ გნებავთ, კონკურენტული უპირატესობა. მის საუკუნეებით შემოწმებულ კონფუციანულ ინსტიტუტებს შეიძლება ენდოთ და დასავლეთის ინვესტორებიც სწორედ მათ ენდნენ, ჩადეს რა უზარმაზარი საშუალებები ჩინურ ეკონომიკაში.

თუკი მოგიწევთ შეხვედრა ჩინელ ბიზნესმენებთან ან ჩინოვნიკებთან, გახსოვდეთ, რომ კონფუციანელობის პრინციპები მათ სისხლში აქვთ გამჯდარი. მოლაპარაკებების დროს ჩინელი დაიცავს იერარქიას, განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობს თქვენს სტატუსს, რომელსაც ცუდი არ იქნება, თუ თავიდანვე მკაფიოდ განსაზღვრავთ. ჩინელებისათვის დამახასიათებელია მოლაპარაკებების შეყვანა თითქმის ჩიხამდე, ცდის რა თქვენს მოთმინებას და მხოლოდ ბოლო მოძენტში მიდის არსებით დიდ მოგებაზე. სანამ შეხვდებოდეთ, გადაიკითხეთ ჩვენი სახელმძღვანელო ჩინეთზე, გაკვრით ახსენეთ დიდი ჩინელი ბრძენებიც და სადღეგრძელო დაამთავრეთ სიტყვებით „ტან პეი" (დალიეთ ძირამდე), მოლაპარაკებებზე დამყარდება „მეგობრობის სული", ესოდენ დაფასებული ჩინელი პარტნიორების მიერ.

აზიის ყველაზე ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნის ცივილიზაციაში - იაპონიაში კონფუციანელობა და ბუდიზმი შეწყმულია ძველ ეროვნულ რელიგიასთან - *სინტოიზმთან* (სინტო-სგან - „ღმერთების გზა"). ამ რელიგიის თანახმად, სამყაროში ყველაფერი გასულიერებულია — მთები, ყვავილები, ქვები, მათ გააჩნია საკუთარი ღვთიური სული — კამი. მათთან ერთად კამის მიაკუთვნებენ იაპონელთა ღვთიურ წინაპრებს: ხელოსნობათა მფარველ ღვთაებას, სხვადასხვა ქველმოქმედთა ღვთაებებს, გარდაცვლილთა სულებს და ა. შ. ამბობენ, რომ იაპონიაში 8 მილიონი ღმერთია.

სინტო – ძალიან ეროვნული რელიგიაა, მიმართული არა მთელი კაცობრიობისაკენ, არამედ მხოლოდ იაპონელებისკენ. იაპონიის ისტორიაში იყო პერიოდი, როცა სინტო იყო სახელიწიფო რელიგია იაპონელი მილიტარისტებისათვის. მასში გამოიყო კოკუტაის („სახელმწიფოს სხეული") მოძღვრება, რომელშიც დასაბუთებული იყო ყველა იაპონელის ღვთიური წარმოშობა და მმართველი იმპერატორის ღვთიურობა. ამ იდეოლოგიით აწარმოებდა იაპონია მეორე მსოფლიო ომს, რომელშიც დამარცხდა. ახლა კი სინტოიზმი – კვლავ მშვიდობიანი რელიგიაა, რომელიც ლამაზი ლეგენდების და წეს-ჩვეულებების ნაკრებს წარმოადგენს. სინტოისტს შეუძლია ერთდროულად ნებისმიერი სხვა რელიგიის აღიარებაც. თუმცა კონფუციანელობისათვის ახლობელი სინტოს პრინციპი „რიტუალის შესრულებისა და სახელმწიფო მმართველობის ერთიანობა" დარჩა და ფართოდ გამოიყენება იაპონელების მიერ ეკონომიკურ განვითარებაში. ფირმის, როგორც ერთიანი ოჯახის აგებაზე დაფუძნებულია უახლესი იაპონური მენეჯმენტი, რომელმაც ომისშემდგომ საშუალება მისცა განეხორციელებინათ იაპონური ეკონომიკური „სასწაული". ბუდიზმის, კონფუციანელობის და სინტოიზმის გავლენის ქვეშ გამოკრისტალდა უნიკალური იაპონური ეროვნული ხასიათი, რომელიც ითავსებდა ბუდისტურ დაუმორჩილებლობას ბედის უკუღმართობებთან, კონფუციანურ იერარქიულობის და წესრიგის იდეას და სინტოისტურ რწმენას ერის დიდებულების შესახებ. ყოველივე ეს ივსებოდა აღსაქმელად საოცრად პლასტიკური იაპონური კულტურისათვის უცხო ელემენტებით. ასეთმა იშვიათმა შერწყმამ საშუალება მისცა ბუნებრივ კონკურენტულ უპირატესობებს მოკლებულ იაპონიას ერთ-ერთ პირველ ადგილზე გასულიყო მსოფლიო ეკონომიკაში.

იაპონელებთან ურთიერთობების დროს გასათვალისწინებელია ის, რომ ისინი ავადმყოფურად თავმოყვარენი არიან და მათთვის ყველაზე საშინელია – „სახის დაკარგვა". ამიტომ იაპონელი გულდასმით გაურბის კონფლიქტურ და რთულ სიტუაციებს. ალბათ ამიტომ იაპონელი ბიზნესმენი „არას" მაგივრად გიპასუხებთ „ეს რთულია". ის გაურბის კატეგორიულობას და მშვიდია, როცა ყველაფერი მიდის ოქმის მიხედვით. იაპონელები განსაკუთრებულ ყურადღებასას ანიჭებენ ინფორმაციის წინასწარ შეკრებას საქმიან პარტნიორზე, და აქ საჭიროა გამოავლინოთ გახსნილობა შესაძლებლობის ფარგლებში.

იუდაიზმი თვითონ არ გახდა მსოფლიო რელიგია, მაგრამ უზარმაზარი გავლენა მოახდინა მსოფლიოს მუსლიმანურ და ქრისტიანულ რელიგიებზე, რომელიც თავის არსით აღიარებს ბიბლიას თავის წმინდა წიგნად. იუდაიზმის არსი XII ს-ში ჩამოაყალიბა ცნობილმა ფილოსოფოსმა მაიმონიდმა. მან წარმოადგინა იუდაიზმის 13 პრინციპი:

1) ღმერთი არსებობს. 2) ღმერთი ერთია, 3) ღმერთი არ არსებობს სხეულის ფორმით. 4) ღმერთი მუდმივია. 5) იუდეველები უნდა თაყვანს სცემდნენ მხოლოდ მას - ერთს. 6) ღმერთთან ურთიერთობა ხდება წინასწარმეტყველების საშუალებით. 7) მოსე - წინასწარმეტყველებიდან უდიდესია. 8) თორას (მოსეს ხუთი წიგნი) აქვს ღვთიური წარმომავლობა. 9) თორა არასოდეს დაკარგავს თავის მნიშვნელობას. 10) ღმერთმა იცის ადამიანთა ყველა საქციელი. 11) ღმერთი სჯის ბოროტებას და აჯილდოებს სიკეთეს. 12) ღმერთი გამოგზავნის თავის მესიას. 13) ღმერთი მკვდრებს აღადგენს.

ეს პრინციპები ხომ მართლაც ახლოსაა ქრისტიანობასთან და მუსლიმანობასთან, თუკი შევცვლით რელიგიათა სახელწოდებებს, წმინდა წიგნებსა და წინასწარმეტყველებს? იუდაიზმმა ისტორიულად პირველმა გამოაცხადა თანამედროვე ევროპული ეთიკის საფუძვლები. თალმუდი მოგვითხრობს ადამიანის ისტორიას, რომელმაც გადაწყვიტა მიეღო იუდაიზმი. იგი მივიდა ძალიან ცნობილ რაბინთან - გილელთან და სთხოვა აეხსნა მისთვის მთელი თორა, სანამ ის იდგებოდა ერთ ფეხზე. გილელმა უპასუხა: „არ გაუკეთო შენს მეზობელს ის, რაც არ გინდა, რომ სხვამ გაგიკეთოს შენ. აი, შენ მთელი თორა. დანარჩენი - ეს კომენტარებია". ამ სიტყვებს, ეჭვის გარეშეა, სიამოვნებით მოაწერენ ხელს მართლმადიდებელი მღვდელი, ქსენძი, პასტორი და მოლა.

იუდეველი, ისევე როგორც ქრისტიანი და მუსლიმანი, პრინციპში, შეუძლია გახდეს ნებისმიერი, ვინც მიიღებს იუდაიზმის პრინციპებს. როცა თალმუდი საუბრობს იუდეველთა ღვთისრჩეულობაზე, მხედველობაში აქვთ რელიგია და არა ეთნიკური წარმომავლობა. ამავე თვალსაზრისით ღვთისრჩეულებად თვლიან თავს ქრისტიანები და მუსლიმანები. თუმცა რეალურად იუდეველებს წარმოადგენენ მხოლოდ ეთნიკური ებრაელები, რომელთა ეროვნულ რელიგიად დარჩა იუდაიზმი.

ებრაელები - უაღრესად მძიმე, მრავალტანჯული ისტორიული ბედის მქონე ხალხია. ეგვიპტური მონობა, „აღთქმულ" მიწაზე დაბრუნება, ძველი ისრაელის შექმნა, მისი დაღუპვა, ბაბილონელებთან ტყვეობა, ბრძოლა იუდეისათვის, რომაული მბრძანებლობა, გაფანტვა (განსახლება) მთელ მსოფლიოში, ინკვიზიტორთა მიერ წამება, ფანტასტიკურად საშინელი ხოლოკოსტი და ახალი ისრაელის შექმნა - როგორ შეიძლება ყოველივე ამის მოთავსება პატარა ხალხის ისტორიაში, რაღაც სასწაულია რომ შემორჩა კაცობრიობას თავისი არსებობის მანძილზე?

იბადება კითხვა: მსგავსად სხვა ხალხებისა, რატომ არ გაქრნენ ებრაელები, შეინარჩუნეს ერი და მიუხედავად მცირე რიცხოვნობისა, აგრძელებენ საკმაოდ საგრძნობ გავლენას მსოფლიო განვითარებაზე, მუდმივად

იმყოფებიან რა ისტორიულ მოვლენათა შუაგულში. ამ კითხვაზე პასუხი უნდა ვეძებოთ იუდეველთა რელიგიის თავისებურებაში, რომელიც წარმოადგენს მძლავრ ცივილურ რესურსს არა მარტო ებრაელი ხალხის, არამედ მთელი კაცობრიობისთვის.

ამ რელიგის თავისებურებაა მისი მძაფრი ისტორიულობა. ბიბლიის პირველი სიტყვები „თავდაპირველად ღმერთი..." ტონს აძლევს თხრობას, რომელსაც სადღაც მივყავართ. ბიბლია - ხალხის ისტორიაა, რომელიც ისტორიული განვითარების ყოველ ეტაპზე ღებულობს (და მუდმივად მზადაა მიიღოს!) სულ ახალახალი ღვთაებრივი ზეშთაგონება. იუდეველებს სჯერათ, რომ მათი საკუთარი ისტორია - ეს ბიბლიური გაგრძელებაა, რომ ისინი მუდმივად ქმნიან ისტორიას. მათ რელიგიას აქვს პრინციპულად დაუსრულებელი ხასიათი. უნდა გამოჩნდნენ ახალი წინასწარმეტყველები, ახალი ჭეშმარიტებანი და, ბოლოს და ბოლოს, უნდა მოვიდეს მესია. უდიდეს ისტორიულ მოვლენებთან თანამონაწილეობის შეგრძნება, ახლის დაძაბული მოლოდინი და მისი მიღებისათვის მზადება - მნიშვნელოვანი თვისებებია, იუდაიზმის მიერ მოტანილი. ამავდროულად იგი საკმაოდ კონსერვატიულია და მკვეთრად უარყოფს ცრუმოძღვრებებს და ცრუსიახლეებს. ეს იცავს რელიგიის ერთიანობას და ებრაელ ხალხს. იუდაიზმი ერთგვარად ქმნის პირობებს ახალი იდეების და მოძღვრებების ინკუბაციისთვის, მაგრამ ხშირად აღიარებს მათ ცრუდ, აცხადებს რა მის მატარებლებს ცრუწინასწარმეტყველებად. ასე იყო ქრისტესთან და მუჰამედთან დაკავშირებით.

იუდაიზმმა დიდი გავლენა მოახდინა პროტესტანტობაზე და მისი საშუალებით თანამედროვე ამერიკულ ცივილიზაციაზე. ადამიანის დამოუკიდებლობა ღმერთთან ურთიერთობაში, პირდაპირი პასუხისმგებლობის გრძნობა თავისი მოქმედებების გამო, ყოველივე ახლის მიღებისათვის, მზადება - აი, საფუძვლები იმ წვლილისა, რომელიც შეაქვს იუდაიზმს კაცობრიობის ცივილიზაციურ რესურსებში.

მუსლიმანური ცივილიზაცია - აღმოსავლურიდან ყველაზე ახალგაზრდაა (VI ს). გარკვეული წარმოდგენა მისი იდეოლოგიის შესახებ აუცილებელია არა მარტო იმიტომ, რომ იგი ისწრაფვის გაბატონებული სიმაღლე დაიკავოს მსოფლიო ეკონომიკაში, არამედ იმიტომაც, რომ *რუსეთში* ბევრი მუსლიმანია, რომელთაც საკმაო წვლილი შეაქვთ მისი ეკონომიკის განვითარებაში.

პარადოქსულია, მაგრამ მუსლიმანობა საკმაოდ ახლოსაა ზოგიეთი თავისი დოგმით ქრისტიანობის ძირითად პრაქტიკულ რეკომენდაციებთან, განსაკუთრებით მის მართლმადიდებელ ტრადიციებში. ეს რელიგია მსოფლიოში ყველაზე უფრო თანმიმდევრულად ატარებს ერთღმერთიანობის

იდეას. ითვლება, რომ იყო წინასწარმეტყველებები აბრაამიდან (იბრაჰიმი), მოსედან (მუსი) და იესოდან (ისი) მათგან უდიდეს მუჰამედამდე, რომელმაც მსოფლიოს ამცნო ერთ ღმერთზე - ალაჰზე. ახლა ისლამს („ალაჰისთვის თავის დადება") მისდევს 800 მლნ ადამიანი. 120 მუსლიმანური თემის ქვეყნიდან (არაბულად „მუსლიმი" - ალაჰისათვის თავდადებული) 35 ქვეყანაში მუსლიმანები შეადგენენ უმრავლესობას (ჩრდ. აფრიკა, ახლო აღმოსავლეთი, თურქეთი, ირანი, პაკისტანი, ავღანეთი და სხვ). რიგ ქვეყნებში ისლამი სახელმწიფო რელიგიაა.

მუსლიმანთა მთავარი წიგნია ყურანი, რომელიც თუ გადავთარგმნით, ნიშნავს „ის, რასაც კითხულობენ". იგი შევსებულია მოთხობების კრებულით - მუჰამედის მოქმედებითა და გამოთქმებით - „სუნით". ის მუსლიმანები, რომლებიც აღიარებენ მას ყურანთან ერთად, იწოდებიან „სუნიტებად". მორწმუნეთა საერთო რაოდენობიდან ისინი დაახლოებით 90%-ია. სუნიტების აზრით, უმაღლესი ძალაუფლება უნდა ეკუთვნოდეს მთელი თემის მიერ არჩეულ ხალიფებს. მეორე მუსლიმანური შტოა - შიიტები; ისინი თვლიან, რომ ხალიფთა ძალაუფლება უნდა გადაეცემოდეს მხოლოდ მუჰამედის ბიძაშვილის ალის შთამომავლებს.

თუკი მიუკერძოებლად წავიკითხავთ ყურანის ძირითად დებულებებს, მაშინ მასში აღმოვაჩენთ უბრალო და სავსებით მისაღებ წესებს ყოველი წესიერი ადამიანისათვის: მორწმუნე უნდა ზრუნავდეს თავისი ოჯახის კეთილდღეობაზე; არ ეძიოს საქმეებში ანგარება; ისწრაფვოდეს სიკეთისაკენ და გაურბოდეს ბოროტებას, არ მიმართოს ძალადობას; დაემორჩილოს თემის მიერ არჩეულ კანონიერ ხელისუფლებას.

ისლამის ნიშანდობლივი თვისებაა ყველა ძალაუფლება უნდა იყოს საერთო პრობლემის კომპლექსური გადაწყვეტის მცდელობა. მუსლიმანთა აზრით, საერო და რელიგიური ძალაუფლება უნდა იყოს თავმოყრილი ერთ ხელში. მუსლიმანთა ქცევის წესებისა და პრინციპების კომპლექსი „შარიათია" („მართალი გზა"), რომელიც მორწმუნეთა ყოველდღიური ცხოვრების მკაცრ რეგლამენტირებას ახდენს, ეს იქნება - ოჯახური ურთიერთობები, ვაჭრობის წესები, მემკვიდრეობის უფლება, გადასახადთა ნორმები, სამეურნეო სამართალი თუ საგარეო პოლიტიკის საფუძვლები. ისლამური სამართალი დაფუძნებულია წმინდა წერილზე და საჯარო და სამოქალაქო სამართლის პრობლემებს აერთიანებს.

ვფიქრობთ, მუსლიმანური ცივილიზაციური იდეოლოგია ყველაზე სახელმწიფოებრივია მთელ მსოფლიოში. სახელმწიფოს და ბაზრის მუდმივ და საყოველთაო ბრძოლაში იგი ძირითადად სახელმწიფოს მხარეზეა. გარდა ამისა, იგი ანიჭებს დიდ მნიშვნელობას სათემო პრინციპებს. ამიტომ

მის ბაზაზე წარმატებით ვითარდება სახელმწიფო კაპიტალიზმი და სპეციფიკური ისლამური სოციალიზმი.

ისლამი აცხადებს, რომ ადამიანი - საწარმოო რესურსების მესაკუთრე კი არაა, არამედ მათი განმკარგველი ალაჰის დროებითი რწმუნებულია. მაშასადამე, ადამიანისათვის მინდობილი რესურსები უნდა გამოიყენებოდეს გულდასმით და უზრუნველყოს რეალური საქონლისა და მომსახურების ნამატი. მათი გამოყენება არ შეიძლება მევახშეობისთვის, რასაც ისლამი გმობს. ამიტომ მუსლიმანურმა ბანკებმა შეიმუშავეს სავსებით გასაოცარი ქცევის მოდელი. ისინი არ იღებენ სასესხო პროცენტს, სამაგიეროდ ხდებიან თავისი კლიენტების მონაწილეები ბიზნესში და მათთან ერთად იყოფენ საერთო მოგებას. მსოფლიოში დღეს 200 ისლამური საბანკო დაწესებულება ითვლება, ერთობლივი აქტივებით დაახლოებით150 მლრდ დოლარის ოდენობით[1]. კაპიტალის რენტაბელობა შეადგენს 15-17%-ს. ასე რომ, ისლამური ბენკინგი სავსებით ეფექტიანია, მიუხედავად თავისი გარეგნული ეგზოტიკურობისა.

განსხვავებით საზიზღარი მევახშეობისაგან, ისლამური მორალი ვაჭრობას მიაკუთვნებს პრესტიჟულ და პატივსაცემ საქმიანობას. საქმიანი ან ტურისტული შეხვედრებისას მუსლიმანებთან საჭიროა გაითვალიწინოთ, რომ ვაჭრობა მათ მიერ აღიქმება, როგორც ხელოვნების სახეობა, თამაში, რომელშიც იმარჯვებს ყველაზე მარჯვე. გარიგება - ყოველთვის პატარა სპექტაკლია. არ უნდა მიაქციოთ დიდი ყურადღება საწყისს ფასს, მთავარია - ჩაერთოდ თამაშში და თქვენ დასახულ მიზანს მიაღწევთ.

ჩვენთვის, სავსებით ბუნებრივია, დიდი მნიშვნელობა აქვს *ქრისტიანობას*. იგი დღეს გაყოფილია სამ მსხვილ მიმართულებად ანუ საეკლესიო ტრადიციად: კათოლიკობა, მართლმადიდებლობა და პროტესტანტობა. ყველა ტრადიცია გაერთიანებულია ერთიანი რწმენით ქრისტესადმი და ძირითადი წმინდა წიგნებით: ბიბლიით, რომელიც აღწერს მსოფლიოს წარმოშობასა და შექმნას და სახარებით (ახალი აღთქმა), ქრისტეს ცხოვრებაზე რომ მოგვითხრობს.

ერთი შეხედვით ისინი განსხვავდება ერთმანეთისაგან მხოლოდ ნიუანსებით, მაგრამ სწორედ ამ განსხვავებებმა ბევრ საკითხში განსაზღვრა ცივილიზაციის ამ რელიგიის ბაზაზე წარმოშობილი ეკონომიკური წარმატებები და მარცხი.

კათოლიკური (გადმოთარგმნით - „უნივერსალური") რელიგია დღეს გაბატონებულია ქრისტიანულ სამყაროში. მისი მიმდევრების რიცხვი 900

1 იხ. Журавлев А. Ислам и экономика // Независимая газета. - 2000. - 18 янв.

მლნ-ია. ეს რელიგია ძირითადია საფრანგეთში, ესპანეთში, იტალიაში, ლათინური ამერიკის უმეტეს და სხვა მრავალ ქვეყანაში. ძირითადად იგი აერთიანებს ლათინურენოვან ქვეყნებს. მის (მათ) ოფიციალურ ენას წარმოადგენს ლათინური, რომელზეც სრულდება საეკლესიო სამსახური და წეს-ჩვეულებები. ამიტომ კათოლიკობას ზოგჯერ ეძახიან ლათინურ ტრადიციას.

IV-V საუკუნეებიდან ქრისტიანობამ დაიწყო გაყოფა დასავლურად (ლათინური) და აღმოსავლურად (მართლმადიდებლური). გაყოფის ფორმალურ საბაბად იქცა წმინდა რელიგიური საკითხები, მაგალითად, დასავლეთში თვლიან, რომ წმინდა სული გადმოდის მამა-ღმერთისაგან შვილის საშუალებით, ხოლო აღმოსავლეთში - შვილისაგან და მამისაგან თანაბრად. თითქოსდა უმნიშვნელო წინააღმდეგობაა, მაგრამ ამის გამო სისხლის მდინარეები იქნა დაღვრილი. სინამდვილეში კი განხეთქილების შინაგან ზამბარას ჭიმავდა სულ ერთი და იმავე საკითხი - საკითხი ძალაუფლების შესახებ. აღმოსავლეთის საეკლესიო იერარქიას სულაც არ სურდა დამორჩილებოდა დასავლეთის პაპთა ძალაუფლებას. მით უმეტეს, რომ დასავლეთის რომის იმპერია დაინგრა, ხოლო აღმოსავლეთის ჯერ კიდევ აყვავების ხანაში იყო. ბოლოს, 1054წ, მრავალსაუკუნოვანი რელიგიური განხეთქილებების შემდეგ, ბიზანტიის პატრიარქმა მიხეილ კერულარიმ და პაპმა ლევ IX-მ ერთმანეთი გადასცეს ანათემას და ეკლესიებიც საბოლოოდ დაშორდნენ ერთმანეთს.

კათოლიკური ეკლესიის ნიშანდობლივ თვისებად ითვლება ცენტრალიზაციის უკიდურესი ხარისხი. იგი მიიჩნევს, რომ მთელი სასულიერო ძალაუფლება უნდა იყოს თავმოყრილი რომში. რომის პაპი უცოდველია და მისი გადაწყვეტილებები უნდა იყოს წმინდა მორწმუნეთათვის. კათოლიკობა — უდავოდ ავტორიტეტების ეკლესიაა. ბიბლიასთან ერთად დაკანონებულია ეკლესიის წმინდა მამათა გადმოცემები, პირველი მსოფლიო საეკლესიო კრებების გადაწყვეტილებები და ოფიციალური დოკუმენტები, მომზადებული პაპის და საეკლესიო ძალაუფლების ცენტრალური ორგანოების მიერ.

რომაულ-კათოლიკური ტაძარი გამოირჩევა წეს-ჩვეულებათა სიმდიდრით და საერო საქმეების მიმართ განსაკუთრებული ყურადღებით. ადრე იგი საყოველთაოდ ცდილობდა სახელმწიფოსა და ეკონომიკის საქმეებში ჩარევას. დღეს, ბუნებრივია, მისი მორალი შერბილდა, მაგრამ დღესაც ვატიკანი არა მარტო რელიგიური ცენტრია, არამედ დედაქალაქი ძლიერი ფინანსური იმპერიისა. კათოლიციზმს მიდრეკილება აქვს ცენტრალიზაციისაკენ და იერარქიისაკენ. ეს პრინციპები ღრმად შეიჭრა მისი აღმსარებელი ხალხის შემეცნებაში, ამიტომ კათოლიკურ ქვეყნებში სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში მნიშვნელოვნად აქტიურია, ვიდრე პროტესტანტულ-

ში. ეკლესიის იერარქიულმა სტრუქტურამ ანალოგიური ძალაუფლების რთული საერო იერარქიის შექმნა განაპირობა, სადაც დიდ როლს თამაშობს ჩინოვნიკობა. იმავდროულად კათოლიკური რელიგიის სოციალური, სათემო მიმართულება ქმნის კარგ ნიადაგს სოციალურ-დემოკრატიული მიმდინარეობების განვითარებისათვის, რომლებიც მრავალ კათოლიკურ ქვეყანაში იკავებენ წამყვან ადგილებს ძალაუფლების სისტემაში. კათოლიკური ეკლესია გამოდის ლიბერალური დოქტრინების კრიტიკით. იგი თვლის, რომ კერძო საკუთრება შედის წინააღმდეგობაში ყოველი ადამიანის უფლებასთან ისარგებლოს „მთელი სამყაროს დოვლათით". ამიტომ მესაკუთრეს უნდა გააჩნდეს განსაზღვრული, სოციალური ვალდებულებები და თავს არიდებდეს „საგნების ისეთ ფლობას, რომელიც შემოტრიალდებოდა შრომის წინააღმდეგ".[1]

მართლმადიდებლური, ან ორთოდოქსალური, რელიგია ცდილობს შეინარჩუნოს რწმენა და წეს-ჩვეულებები პირველ ქრისტანთა პირველქმნილი სიწმინდით. მხოლოდ ერთი შეხედვით ატარებს არაარსებით და წმინდა საწესჩვეულებო ხასიათს მისი განსხვავება კათალიკობასთან და პროტესტანტობასთან: სამი თითის მეშვეობით ჯვრის გადასახვა მარჯვნიდან მარცხნივ, თანასწორობა მამა-ღმერთის, ძის და სული წმიდის, სხვადასხვა კალენდრები, ზეიმები, წმინდანები და ა. შ. უპირველეს ყოვლისა, მართლმადიდებლობა, კამათის გარეშე ერთადერთ გარანტად მიიჩნევს ბიბლიის ერთიან გაგებას, შესაბამისად, სარწმუნოების ჭეშმარიტების გაგებაში ერთიანობის უდავო გარანტად თვლის მხოლოდ ტრადიციების და გადმოცემების, ღმერთის შემეცნების რეალურ გამოცდილებას გადმოცემულს მოციქულთაგან თავის მოწაფეებზე, თაობიდან თაობაზე. მუდმივი სულიერი ცხოვრების ტრადიცია, და არა ცალკეული პირის ავტორიტეტი გამოდის ჭეშმარიტების გარანტად. მართლმადიდებლობის მნიშვნელოვან ტრადიციას წარმოადგენს ეპისკოპოსთა, მღვდელთა და საეროთა კრების უმაღლეს ინსტანციად აღიარება. კრებების საშუალებით გადაწყვეტილება ქმნის დემოკრატიული თემის სულს, სრულიად საწინააღმდეგოს ცენტრალიზებული კათოლიკობისა. დასავლეთის ქრისტიანობისათვის დამახასიათებელი ცხოვრების საბოლოო მიზნის გაგება მდგომარეობს ღვთიური სასუფევლის მოპოვებაში, როგორც უსასრულო ნეტარების ადგილისა. მართლმადიდებლობა კი მოუწოდებს ადამიანს არა ნეტარების ძიებას, თუნდაც დამსახურებულს და სულიერს, არამედ სულიერი სრულყოფისკენ სვლას. მართლმადიდებლობის თვალსაზრისით, ღმერთის სუფევა სულის მდგომარეობაა და არა ჯილდო კეთილი საქმეებისათვის. მართლმადიდებ-

1 Папская энциклика" Сотый год" //Сарданашвили И. Г. Особенности современной экономической мысли католицизма, М.: УРСС, 1999.

ლობა ძალაუფლებისკენ სწრაფვას თვლის ეკოლოგიურ სულიერ ბიწიერებად, სულის ავადმყოფობად, რომლისგანაც საჭიროა განთავისუფლება. და წამალი აქ ერთია - სიყვარული და საყოველთაო პატიება. „გიყვარდეს ახლობლები" — მოგვიწოდებს ყველა რელიგია; მოეპყარით სხვებს ისე, როგორც გინდა, რომ შენ მოგეპყრონ — არის ლოზუნგი იუდაიზმის, კონფუციანელობის და მრავალ სხვათა. შეიყვარო მტერი შენი, როგორც საკუთარი თავი — ბევრად ძნელია და სწორედ რწმენის ამ ასპექტზე ახდენენ აქცენტირებას მართლმადიდებლები. იგი ეწინააღმდეგება ეგოიზმს, ამპარტავნებას და უბიძგებს მორჩილებისაკენ. „ღმერთი ამაყებს ეწინააღმდეგება, ხოლო მორჩილებს უბოძებს წყალობას".

რა თქმა უნდა, ძალაუფლებისაკენ სწრაფვის გარეშე, სიკეთისათვის ჯილდოს გარეშე, თუნდაც სიკვდილის შემდეგ, იკარგება მნიშვნელოვანი სტიმულები ეკონომიკური განვითარებისათვის. მართლმადიდებლური ცივილიზაცია იკავებს ადგილს პრაგმატულ დასავლეთს, რომელიც ცხოვრობს პრინციპით: იმუშავე ამქვეყნად, მიიღე იმქვეყნად, და მაღალი სულიერების ჭვრეტით, თვითკმარ აღმოსავლეთს შორის. ჯერ კიდევ ბიზანტიურ მიწათმფლობელობის კოდექსში იყო ნათქვამი, რომ „სხვის ვენახში შესულნი, რათა დანაყრდნენ, დაე ნუ დაისჯებიან". როგორ არ ჰგავს დასავლეთ ევროპულ გამოთქმას: „ჩემი სახლი — ჩემი ციხე-სიმაგრეა".

რუსული ეროვნული ხასიათი ისწრაფვის კონსერვატიზმისა და ტრადიციონალიზმისაკენ, რომელიც რამდენადაც სასარგებლოა ისტორიის „თანაბარ" ევოლუციურ ეტაპებზე, იმდენად საზიანოა გარდამავალ პერიოდში, განპირობებული საერთო ტექნოლოგიური და საზოგადოებრივი განვითარებით. შეიძლება ამიტომაცაა, რომ ჩვენი ქვეყანა ესოდენ ავადმყოფურად განიცდის გარდატეხის მომენტებს, ტანჯვით გადის რევოლუციურ ეტაპებს. არჩევანის პრობლემები, მიჩვეულისგან დაშორება, რომელიც წარმოიშობა მსოფლიოში მომხდარი რევოლუციური ცვლილებების შედეგად, იქნება ეს სამხედრო სიახლენი თუ წარმოების ტექნოლოგიური საშუალების შეცვლა, იწვევს საზოგადოების ყველა ფენაში თითქმის ნარკოტიკულ „კაიფს", რომელიც ხშირად კარგად ცნობილ საშინელ შედეგებს იწვევს.

ტრადიციონალიზმი და ცხოვრების წესის ცვლილებებისადმი მტრული განწყობა, სავსებით ასახსნელი ამ ცვლილებათა მუდმივად უარყოფითი გავლენით, საოცარი სახით ერწყმის რუსების მაძიებელ გონებასა და უცნაურ ცნობისმოყვარეობას. ხანგრძლივი ზამთრების თითქმის უმუშევრობის თვეებმა გამოუმუშავეს მშვიდი განსჯისადმი და აუჩქარებელი საუბრებისადმი სიყვარული, ხოლო მოკლე საზაფხულო ჭაპანწყვეტის დროს, როცა რამდენიმე დარიან დღეში უნდა გააკეთო იმდენი, რამდენსაც დასავლეთ ევროპელი აკეთებს რამდენიმე თვეში, ალბათ გენეტიკურ კოდშიც

ჩვევად გამოიმუშავა მუშაობის შტურმული სტილი, რომელიც მოითხოვს სწრაფ რეაქციას, გამჭრიახობას და თავდადებას.

ალბათ არაა საჭირო ვამტკიცოთ, რომ ყველა უდიდესი გამოგონება ეკუთვნით სწორედ რუსებს და საერთოდ „რუსეთი — სპილოთა ქვეყანაა", მაგრამ ჩვენს მრავალსაუკუნოვან წარმატებებზე მეცნიერებაში, ტექნიკასა და კულტურაში დღეს ცოტა ვინმე თუ შეგედავება.

რუსეთის ისტორიულმა გამოცდილებამ აშკარად დაგვანახა, რომ არა მარტო ტექნოლოგიური, არამედ იდეოლოგიური და კულტუროლოგიური ზეგავლენა, რომელიც ისტორიის ზოგიერთ პერიოდში გრანდიოზულ მასშტაბებში განხორციელდა, საბოლოო ჯამში კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინეს ქვეყნის განვითარებაზე. საკმარისია გავიხსენოთ ლეგენდარული მიწვევა ვარიაგებისა მთავართა კურთხევაზე, რომელმაც სათავე დაუდო კიევის რუსეთის ძლიერებას და პეტრეს რეფორმები, რომელმაც რუსეთი ევროპის ძლიერ და ცივილიზებულ სახელმწიფოთა რიცხვში გაიყვანა. უდიდეს ქვეყანას არასოდეს ეშინოდა ზეგავლენის და შეიძლება ამიტომაც დარჩა უდიდესად. რუსეთს ყოველთვის შეეძლო შეეთვისებინა უცხო ხალხის წეს-ჩვეულებები და ტრადიციები შეეთავსებინა თავის თავში სხვადასხვა კულტურათა ელემენტები, თეორეტიზირებისა და პათოსის გარეშე ახორციელებდა რა ეკონომიკური და სამეურნეო წყობის კონვერგენციას. ეს ისტორიით შემოწმებული შესანიშნავი თვისება სწორედ რომ, დროული იქნება დღევანდელი ისტორიის განთიადზე, როცა ადაპტაციის უნარი ახალ სწრაფად ცვალებად პირობებთან შეიძლება აღმოჩნდეს გადამწყვეტი ჩვენი ცივილიზაციის განვითარებისათვის.

ყველა ზემოთ განხილული ცივილიზაცია ჩაისახა უძველეს დროს და არცერთ მათგანს არ გააჩნია იდეოლოგიური პლატფორმა, რომელიც საკმარისი მოტივაცია იქნებოდა საზოგადოების საბაზრო კაპიტალისტური ორგანიზაციისათვის. მხოლოდ XVI საუკუნეში წარმოშობილი პროტესტანტული რელიგია გახდა ერთადერთი, რომელიც აშკარა ფორმით ქებას ასხამდა წმინდა ბურჟუაზიულ ზნეობას: დაუღალავ შრომას, მოკრძალებულ მოხმარებას, პატიოსნებას საქმეებში, სიმდიდრის და კაპიტალის დაგროვებას. შუა საუკუნეებში ანგარება ითვლებოდა ყველაზე უარესად ცოდვათა შორის და ვაჭარი არასოდეს არ იყო ღმერთისათვის სასურველი.[1] წარმატებული ეკონომიკური განვითარებისათვის საჭირო იყო იდეოლოგია, რომელშიც ანგარება გახდებოდა სათნოებად, ხოლო ვაჭარი იქნებოდა განსაკუთრებით სასურველი ღმერთისათვის. ადამიანს სჭირდებოდა რწმე-

1 Heibbroner R. The Nature and Logic of Capitalim - New Tork; W. W/Norton, 1985.

ნა, რომლის მიხედვითაც ის არა მარტო უფლებამოსილი, არამედ ვალდებულიც იქნებოდა ეშოვა რაც შეიძლება მეტი ფული. დაახლოებით 200 წლის წინ დასავლეთის საზოგადოებაში გაბატონებული გახდა წარმოდგენა იმაზე, რომ ინდივიდის კეთილდღეობა ნიშნავს, უპირველეს ყოვლისა მისი პირადი მოხმარების მაქსიმიზაციას. ამ წარმოდგენის გარეშე კაპიტალიზმის მოტივაციის მთელ სტრუქტურას აზრი არა აქვს, ხოლო ეკონომიკური ზრდა უმიზნოა.

პროტესტანტობა თავისი არსით წარმოადგენს რამდენიმე საერთო პრინციპით დაკავშირებული მრავალი ეკლესიის ან სექტის კრებულს პირველი პრინციპია -- „მხოლოდ ბიბლია" (SOLA SCRIPTULA). საღმრთო წერილი აღიარებულია რწმენის ერთადერთ საყრდენად. ყველა შემდგომი წყარო უარყოფილია. მეორე პრინციპია — „მხოლოდ პირადი რწმენით" (SOLA FIDE). ყოველი მორწმუნე - მღვდელი, მიმართავს ღმერთს ეკლესიის შუამდგომლობის გარეშე. მესამე პრინციპია „დიდება მხოლოდ ღმერთს" (SOLI DEO GLORIA). არც პაპი, არც ადამიანის მიერ შექმნილი საეკლესიო ინსტიტუტები არ არიან უფლებამოლსილნი განაცხადონ პრეტენზია ღმერთის სიბრძნესა და ძალაუფლებაზე.

ეკლესიის თავდაპირველი რეფორმაცია მიმდინარეობდა მარტინ ლუთერის ხელმძღვანელობით. მის მიმდევრებს უწოდებენ რეფორმატორებს ან ევანგელისტებს. მოგვიანებით რეფორმატორები გაიყვნენ ოთხ მიმდინარეობად, წოდებულნი მათი სულიერი ბელადების სახელების მიხედვით: ლუთერანები, კალვინისტები — ჟ. კალვინის მიმდევრები, ცვინგლიანელები — ულრიხ ცვინგლის მიმდევრები, არმიანელები — იაკობ არმინიას მიმდევრები. ყველაფერი ეს ხდებოდა XVI საუკუნეში. XVII ს-ის დამდეგს ცვინგლიანელები ნაწილობრივ შეერწყნენ კალვინისტებს, ხოლო მეორე ნაწილმა სათავე დაუდო ანაბაბტიზმს, რომელიც გამოდიოდა საეკლესიო პრივილეგიების და კოლექტიური მიწათსარგებლობის გაუქმების მოთხოვნით. ზომიერი ანაბაბტისტები გახდნენ მენონიტები. ინგლისმა აგრეთვე გაწყვიტა კავშირი კათოლიკურ ეკლესიასთან და შექმნა ანგლიკანური ეკლესია, რომელსაც ეკავა შუალედური მდგომარეობა პროტესტანტიზმსა და კაოლიციზმს შორის. მას ტრადიციულად მეთაურობს თავად მეფე. ანგლიკანური ეკლესიიდან გამოიყო უფრო რადიკალური პურიტანები (purus — სუფთა), რომლებიც იმყოფებოდნენ კალვინისტებისა და ანაბაბტისტების იდეების გავლენის ქვეშ. ისინი მოიცავენ პრესვიტერიანებს, კონგრეგაციონალებს, კვაკერებს და ბაპტისტებს. სწორედ ამ ეკლესიებმა ან სექტებმა, როგორც გნებავთ, მოახდინეს უზარმაზარი გაკლენა აშშ-ის იდეოლოგიის ჩამოყალიბებაზე და დღემდე იმყოფებიან მისი სულიერი ცხოვრების ცენტრში.

თანამედროვე ამერიკელებს რომ გავუგოთ, უნდა იცოდეთ, რომ ახალ სამყაროში მოტანილი პურიტანების რწმენისთვის დევნილი კალვინიზმი აკურთხებს ყოველდღიურ შრომით საქმიანობას, აცხადებს რა მას ღმერთის მსახურების ფორმად. პროფესიული წარმატებები და დაგროვილი სიმდიდრე, კალვინისტის აზრით, ღვთისრჩეულობის ირიბ დადასტურებას წარმოადგენს. აქედან შეგვიძლია გამოვიყვანოთ აშშ-ის ღვთისრჩეულობა, როგორც უსიტყვოდ უმდიდრესი ქვეყნისა მსოფლიოში. ბევრად სწორედ ამაზეა აგებული ამ უმსხვილესი პროტესტანტული სახელმწიფოს იდეოლოგია და ეკონომიკური პოლიტიკა. უმძლავრესმა პურიტანულმა წანამძღვრებმა და კალვინისტურმა შრომითმა ეთიკამ ჩამოაყალიბეს მეწარმის გენოტიპი, რომლისთვისაც მისი საქმიანობა — არა მარტო გადარჩენის და გამდიდრების საშუალებაა, არამედ, უპირველეს ყოვლისა, თვით ღმერთის მიერ მასზე დაკისრებული უმაღლესი ვალი. მესიანური სულითაა გამსჭვალული მთელი პოლიტიკური და ეკონომიკური საქმიანობა ანგლო-ამერიკული ცივილიზაციისა.

ამჟამად მსოფლიოში არის 585 მლნ. პროტესტანტი, მაგრამ რადგანაც მათი მნიშვნელოვანი ნაწილი თავმოყრილია ეკონომიკურად განვითარებული ევროპის ჩრდილოეთში და აშშ-ში, მათი გავლენა მსოფლიო იდეოლოგიასა და ეკონომიკაზე დიდია. მესიანური სულითა და ძალაუფლების თავისებური წყურვილით განმსჭვალულნი ისინი შეუპოვრად და წარმატებით ნერგავენ თავიანთ ეთიკურ ნორმებს მთელ მსოფლიოში, იყენებენ რა ამასთან საკუთარი ქვეყნის უზარმაზარ ქონებას, ავტორიტეტს, მათი წარმატების და მათ ხელში მოქცეული მასობრივი საინფორმაციო საშუალებების ზეგავლენას. სხვა ხალხებისათვის უსიამოვნო რელიგიური შეუპოვრობის და აგრესიულობის მიუხედავად, პროტესტანტული რელიგიის და ეთიკის გავლენის გაფართოება უეჭველად სასარგებლოა ერთიანი მეგაეკონომიკის შესაქმნელად, რომელსაც უზრუნველყოფს მისთვის აუცილებელი იდეოლოგიური ბაზით.

უფრო მეტიც, სწორედ პროტესტანტული რელიგიური მოღვაწეებისაგან მოდის ძირითადი მოწოდება ქრისტიანულ რელიგიათა გაერთიანებისაკენ საერთო იდეოლოგიურ პლატფორმაზე.

ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარე შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნა:

> თუ დასავლეთის ყველა მსოფლიო რელიგიებს სახელმწიფოებრიობის კლების და ბაზრის როლისა და კერძო თავისუფლებათა გაზრდის თვალსაზრისით განვალაგებთ, მაშინ ისინი გამწკრივდება შემდეგი სახით: მუსლიმანობა, მართლმადიდებლობა, კათოლიკობა, პროტესტანტობა.

9.4. არარელიგიური იდეოლოგიები

მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოს — აშშ-ის თანამედროვე ცივილიზაციურ იდეოლოგიაზე, გარდა რელიგიისა, ძლიერ ზეგავლენას ახდენს სპეციფიკური ამერიკული ფილოსოფიური მიმდინარეობები. პრაქტიკული ამერიკელები აღმოჩნდნენ აბსოლუტურად გულგრილნი რთული ევროპული ფილოსოფიური სისტემების მიმართ. წმინდა ამერიკულ ფილოსოფიად იქცა უ. ჯეიმსის პრაგმატიზმი. მან დახატა მრავალსახოვანი მსოფლიოს სურათი, რომელშიც ადამიანებს შეუძლიათ შეიმეცნონ მხოლოდ ნაწილობრივი და შეზღუდული ჭეშმარიტებანი — ჭეშმარიტებანი, რომელთაც მათთვის მოაქვთ პრაქტიკული სარგებელი. ამ სამყაროში არავის შეუძლია მოიპოვოს მონოპოლია ბოლო ინსტანციის ჭეშმარიტებაზე. ის გამოვიდა კაპიტულაციის წინააღმდეგ რაღაც ერთიანი ურთიერთდაკავშირებული დოგმების წინაშე, მოკლედ რომ ვთქვათ, იდეოლოგიის წინააღმდეგ.

ამერიკული ეროვნული ხასიათი იმყოფება ორი დიამეტრალურად ურთიერთსაწინააღმდეგო საწყისის — ღრმად დამუშავებული, სისტემატური და ყოვლისმომცველი კალვინის იდეოლოგიის და პოზიტივიზმის ანტიიდეოლოგიის გავლენის ქვეშ.

შესაძლებელია ამიტომაც ამერიკელთა იდეები, როგორც დახვეწილად შენიშნა XIX ს-ის 30-იან წლებში ტოკვილმა, ან ყველა საოცრად ვიწრო და მკაფიოა, ან საკმაოდ ზოგადი და ბუნდოვანი. ეს შეუსაბამობა ექსპერიმენტირებასა და იდეოლოგიზირებას შორის ქმნის საფუძველს ამერიკის ეკონომიკური და საგარეო პოლიტიკის ანალიზის ერთ-ერთი ვარიანტისათვის.

როცა ვსაუბრობთ არარელიგიურ იდეოლოგიებზე, რომელთაც გავლენა მოახდინეს მსოფლიო ეკონომიკურ განვითარებაზე, არ შეიძლება არ ვახსენოთ მარქსიზმ-ლენინიზმი, რომელიც დიდი ჩინეთის და რიგი სხვა ქვეყნების ოფიციალურ იდეოლოგიას წარმოადგენს.

ძირითად ეთიკურ დებულებებში მარქსიზმი მშვენივრად ესადაგება თითქმის ყველა მსოფლიო რელიგიას, და თავადაც არის რელიგია, ყოველ შემთხვევაში არანაკლები ხარისხით, ვიდრე, ვთქვათ კონფუციანელობა. მსგავსად 10 მცნებისა და მთაზე ქადაგებისა, მარქსიზმის დებულებანი სულ უფრო მეტად ხდება გაქვავებულ, ნახევრად რელიგიურ ფორმულებად და არა სახელმძღვანელოდ პრაქტიკული საქმეების გადაწყვეტისათვის. ამასთანავე მარქსიზმის ორიენტაციამ XX საუკუნის დამდეგს მსოფლიო გავლენასა და მსოფლიო რევოლუციაზე მოახდინა უეჭველი ზეგავლენა საერთოპლანეტარული აზროვნების და იდეოლოგიური გლობალი-

ზაციის ჩამოყალიბებაში. პარადოქსულია, მაგრამ სწორედ მსოფლიო კომუნიზმის ტალღისათვის წინააღმდეგობამ იდეოლოგიურ, ეკონომიკურ და სამხედრო სფეროებში გამოიწვია შესაბამისი მძლავრი ტრანსეროვნული მიმდინარეობანი დასავლეთის ქვეყნებში. შემტევმა მსოფლიო კომუნიზმმა არ მისცა საშუალება ამერიკას ოკეანის იქით ჩვეული იზოლაციონიზმში ყოფნისა. აშშ იძულებული იყო მიეღო კომუნიზმის გამოწვევა და პრეზიდენტმა რ. რეიგანმა მოუწოდა საპასუხოდ მსოფლიოს „ბაზარზე ორიენტირებული... დემოკრატიული რევოლუციისაკენ".[1]

9.5. ეთიკის ეკონომიკური ეფექტიანობა

შეიძლება საერთაშორისო საქმეებისგან შორს მდგომ ადამიანს მოეჩვენოს, რომ ცივილიზაციური იდეოლოგიების და წეს-ჩვეულებების შესწავლა წარმოადგენს მხოლოდ განსაკუთრებულ შემეცნებით ინტერესს, რომელიც აფართოებს თვალსაწიერს. მსოფლიო ეკონომიკა სულ უფრო მეტად ხდება პრაქტიკული მეცნიერება და სხვადასხვა ხალხების ეთიკის ცოდნა საშუალებას იძლევა უკეთ წარვმართოთ საკუთარი ბიზნესი. მაგალითად, როდესაც იცი ჩვევები, არ უნდა გაბრაზდე ფრანგის ან ესპანელის ნახევარსაათიან დაგვიანებაზე მოლაპარაკებების დროს, მშვიდად შეხვდე ინგლისელის მეტისმეტ თავდაჭერილობას და ამერიკელის გადაჭარბებულ ძმაბიჭობას. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, არაა მთავარი. პარტნიორის ან კონკურენტის რელიგიური აღმსარებლობის ან იდეოლოგიის ცოდნა ზოგჯერ ყველა ეკონომიკურ-სადაზვერვო მონაცემებზე უკეთ გვაძლევს საშუალებას ვიწინასწარმეტყველოთ მისი ქცევა სხვადასხვა სიტუაციაში.

მთლიანობაში ეთიკის როლი ეკონომიკაში ბოლომდე არაა გარკვეული, მაგრამ ალბათ სათანადოდ ვერაა შეფასებული. ეთიკური ნორმები უპირველეს ყოვლისა ქმნის საიმედო ინსტიტუციონალურ ბაზას ეკონომიკური მოღვაწეობისათვის.

რელიგიური ეთიკის ნორმების მქონე, სხვათა შორის, მოცემულ შემთხვევაში თითქმის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი, თუ რომელი რელიგიის აღმსარებელია, პიროვნება მნიშვნელოვნად ნაკლები ალბათობით დაარღვევს შეთანხმებას. ოპორტუნისტული ქცევის რისკი (უბრალოდ გამყიდველობა) მისი მხრიდან ბევრად ნაკლებია, და შესაბამისად ნაკლები ფულია საჭირო გარიგების დაზღვევის საშუალებებზე დასახარჯად და კონტროლისათვის. ტრანსაქციური დანახარჯები — ეს საბაზრო ეკონომიკის ჭირი - მცირდება. მაშასადამე, ეთიკა და იდეოლოგია ეკონომიურია და ეკონომიკურად ეფექტიანიც.

1 Reagen R. Press confetence - 1983. 19 october.

9.6. მეგაეკონომიკის იდეოლოგიური საფუძვლები

მეგაეკონომიკის როგორც ერთიანი პლანეტარული მთლიანის ჩამოყალიბება საჭიროებს და სტიმულს აძლევს ერთიანი, საყოველთაო ცივილიზაციური იდეოლოგიის შექმნას. იგი უცილობლად იქნება შექმნილი ძირითადი ცივილიზაციური რელიგიებისა რაციონალური შეთანხმების ბაზაზე. როგორც ლ. ნ. ტოლსტოიმ გვიჩვენა, მათ შორის განსხვავება არც ისე დიდია და შეიძლება გამოვყოთ სულ მცირე 4 ძირითადი საფუძველი ყველა რელიგიის ინვარიანტისა.

1. არის რაღაც აბსოლუტური საწყისი ყოველივესი, წოდებული ღმერთად.

2. ყოველ ადამიანში არის ამ საწყისის ნაწილაკი, რომელიც მას შეუძლია თავისი აქტიურობისდა მიუხედავად გაზარდოს ან შეამციროს.

3. ამ საწყისის გასაზრდელად საჭიროა ჩავიხშოთ ეგოისტური განცდები და ვამრავლოთ სიყვარული.

4. პრაქტიკულად ზნეობრიობის „ოქროს“ წესს წარმოადგენს აკრძალვა აკეთო სხვათა მიმართ ის, რაც ადამიანს არ სურს, რომ სხვებმა მას გაუკეთონ.

ეს უბრალო ჭეშმარიტებანი ერთნაირად დამახასიათებელია ინდუიზმისთვის, იუდაიზმისთვის, ბუდიზმისთვის, დაოსიზმისთვის, კონფუციანელობისთვის, ისლამისთვის და ქრისტიანობის ყველა შტოსათვის. სწორედ მათ, ლ. ტოლსტოის აზრით, უნდა შეადგინონ კაცობრიობის ცივილიზაციის ჭეშმარიტი რელიგიის საფუძველი.

რელიგიის ერთიანობისაკენ მოგვიწოდებს დღეს სულ უფრო გავლენიანი მიმდინარეობა „ეკუმენიზმი“.

> მსოფლიოს გლობალიზაცია და მეგაეკონომიკის ჩამოყალიბება შეუპოვრად უბიძგებს კაცობრიობას იდეოლოგიის კონვერგენციისაკენ და ერთიანი მსოფლიო ეთიკის შექმნისაკენ. ეკონომიკური პროცესის გლობალიზაცია და ინტერნაციონალიზაცია უკვე კაცობრიობის მნიშვნელოვანი ნაწილის ცივილიზაციური იდენტურობის ფორმირების პროდუცირებას ახდენენ.

ორი-სამი თაობის სიცოცხლის მანძილზე კაცობრიობის საქმიანობამ და მასზე დაფუძნებულმა სამეცნიერო-ტექნიკურმა პროგრესმა იმდენად რადიკალურად შეცვალა მსოფლიო, რომ იდეოლოგიის და ფილოსოფიის საგნობრივმა სფერომ დიდი ხანია გადაინაცვლა ობიექტური სინამდვილის ასახვიდან მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის წარმატებულ მოქმედებაზე, ყველაზე ეფექტიანი რეაქციების პროექტირებისაკენ გარე ზემოქმედებაზე, შედეგობრიობის მაქსიმიზაციისაკენ. სწორედ წარმატების მე-

ქანიზმების უზრუნველყოფის ერთგვაროვნებამ, აგრეთვე გლობალიზაციამ და მსოფლიო ეკონომიკის ინტენაციონალიზაციამ განაპირობა ცივილიზაციური იდენტურობის ჩამოყალიბების მოთხოვნილება.

კაცობრიობა სულ უფრო აღიქვამს თავის თავს ერთიან ორგანიზმად. ევროპის მოწინავე ქვეყნები, ამერიკა და აზია სულ უფრო უახლოვდებიან ერთმანეთს, თანდათან ქმნიან რა ერთიან კულტურას, ბიზნესის საერთო წესებს, ქცევის სტერეოტიპებს და განათლების სტანდარტებს. ამ ქვეყნების ხალხები ინარჩუნებენ რა საკუთარი კულტურის ტრადიციებს, უფრო მეტ იდენტიფიცირებას ახდენენ რაღაც ახალი ცივილიზაციური ერთიანობის დონეზე დამკვიდრებული და შემუშავებული „თამაშის წესებით", რომელიც საშუალებას იძლევა თავისუფლად და თვითდაჯერებულად იმოქმედონ თითქმის პლანეტის ნებისმიერ მსხვილ ქალაქში. გავიხსენოთ შუკშინის „ღუმელი-დახლი". ალტაის სოფლის ცხოვრები მოსკოვში და ყირიმში თავს გრძნობს უფრო ნაკლებ თავდაჯერებულად, ვიდრე გერმანელი პარიზში ან იაპონელი ლონდონში. ის ჭკვიანია, ენერგიული, მაგრამ სხვა ცივილიზაციიდანაა, სხვა ტრადიციებითა და ინსტიტუტებით.

კონკურენტული უპირატესობა ექნება იმ ქვეყანას, რომელიც შეძლებს იპოვოს სხვა ქვეყნებიდან გადმოღებული სწრაფი და ეკონომიკურად ეფექტიანი საკუთარი იდეოლოგიური სისტემის ჩარჩოებში მსხვილი, ინსტიტუციონალური მოდელების შეთავსებას, აგრეთვე მათ დანერგვას ეკონომიკური ცხოვრების პრაქტიკაში თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების მეშვეობით და მასობრივი ინფორმაციის უახლესი საშუალებებით, ინტერნეტის ჩათვლით. დანერგვის მიზნებისათვის საჭიროა გამოვიყენოთ ყველა დონის განათლების სისტემები, კულტურის დაწესებულებანი, ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიები და ხელოვნების ცალკეული სახეები.

რუსეთი — ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, რომელსაც გააჩნია მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება არა მარტო ერთიანი სოციალური ორგანიზმის შექმნისა სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენლებისაგან (ასეთი გამოცდილება აქვს, მაგალითად, აშშ-ს), არამედ ორგანული და სიცოცხლისუნარიანი მოზაიკის აგებისა ასეულობით ხალხებისა და ეროვნებებისაგან, რომლებიც რჩებიან ცხოვრების ტრადიციულ ადგილებზე და ინარჩუნებენ თავიანთ კულტურას, წეს-ჩვეულებებს და სხვა ინსტიტუტებს. ასეთი განუმეორებელი ნოუ-ჰაუ უახლოეს მომავალში აუცილებლად იქნება კაცობრიობის მიერ მოთხოვნილი და თუკი ჩვენი ქვეყანა, განსაზღვრული იდეოლოგიური გამსჭვალვის შედეგად მზად იქნება დროის ასეთ გამოწვევისთვის, მაშინ მას კვლავ გაუჩნდება უეჭველი შესაძლებლობა გახდეს მსოფლიო ლიდერი.

თავი 10

მსოფლიო მეურნეობის ინსტიტუციონალური რესურსები

როგორ ზეგავლენას ახდენენ ფორმალური ინსტიტუტები მსოფლიო მეურნეობის განვითარებაზე. ეკონომიკური განვითარების სამართლებრივი გარემო. იურიდიული და ეკონომიკური მეცნიერებები. ხელისუფლება და სახელმწიფო. სახელმწიფო და კანონი. კონტინენტალური და საერთო სამართლის ევოლუცია. სამართლის სტრუქტურა. ბაზრის მონაწილენი, საკუთრება და ხელშეკრულება ეროვნულ კანონმდებლობებში. საერთაშორისო და ეროვნული სამართლის თანაფარდობა. მეგაეკონომიკა და მსოფლიო სამართლებრივი წესრიგი.

კანონი განსაზღვრავს თითოეული თანამდებობის პირის ძალაუფლებას, ხოლო უმაღლესი ძალაუფლება კანონზე მაღალია.

ვ. დალი

„ველიკორუსული ენის განმარტებათა ლექსიონი“

XX საუკუნის 90-იან წლებამდე რუსეთში მდგომარეობა ზუსტად ამ ეპიგრაფს შეესაბამებოდა. კანონები, რა თქმა უნდა, იყო, მაგრამ ყველას კარგად ესმოდა, რაღაცა რომ მომხდარიყო, გაასამართლებდნენ უმაღლესი ხელისუფლების გაგების მიხედვით. საბაზრო რეფორმებმა, რომელიც მიმართული იყო სახელმწიფოს და ეკონომიკის სამართლებრივ მოწყობაზე, წინ წამოსწია ადრე დავიწყებული და მიტოვებული ეკონომისტები და იურისტები. სწორედ ეს სპეციალისტები, მათი ერთიანობა, განსაკუთრებით აუცილებელია როგორც კერძო ფირმისათვის, ასევე სახელმწიფო მართვის ორგანიზაციისათვის. ცხადია, თანამედროვე ეკონომისტი თავისუფლად უნდა ფლობდეს იურიდიული ცოდნის საფუძვლებს. ეს მნიშვნელოვანი, მაგრამ არაერთიდერთი მიზეზია ამ მეგაეკონომიკის სახელმძღვანელოში მოცემული თავის ჩართვისა. მეორე, ავიღებთ, ფუნდა მოიშანელოვანი მი-

ზეზი მდგომარეობს იმაში, რომ თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის პროცესებს ღრმა გაგება შეუძლებელია სამართლებრივი ინსტიტუტების და ეკონომიკურ ინსტიტუტებთან მათი კოევოლუციის ანალიზის გარეშე.

10.1. იურიდიული და ეკონომიკური მეცნიერებანი

ჩვენ ვცხოვრობთ ეკონომიკისა და სამართლის მძაფრი იდეოლოგიური ურთიერთშეღწევის პერიოდში. ერთი მხრივ, ბევრი მეცნიერი ცდილობს გააფართოვოს საბაზრო ეკონომიკური კონცეფციების სფერო და მიდგომები, ყველა სოციალური და ეკონომიკური პრობლემების ჩართვით, რომლებიც აგრესიულად იპყრობენ პოლიტოლოგიის, ეთიკის, სოციოლოგიის და სამართლის ტრადიციული გავლენის სფეროებს. ამ სამეცნიერო მიმდინარეობას, რომელსაც ეწოდა „ეკონომიკური იმპერიალიზმი", საფუძვლად უდევს პოსტულატი განაწილების საბაზრო პრინციპების შესახებ, არა მარტო ჩვეულებრივი, შეზღუდული ეკონომიკური რესურსებისა, არამედ განვითარების ისეთი ახალი რესურსებისა, როგორიცაა სხვადასხვა სამართალი, გავლენა, ძალაუფლება. უხეშად რომ ვთქვათ, ეს პოსტულატი გამოიხატება შემდეგი სიტყვებით: ყველაფერი იყიდება და აქვს განსაზღვრული საბაზრო ფასი. მათ რიცხვშია სხვადასხვა უფლებები, ინტელექტუალური შრომის ნაყოფი, არჩევნებზე ხმები, ლობისტური ჯგუფები პარლამენტში და ა. შ. რუსეთის სინამდვილე, სამწუხაროდ, ამტკიცებს ამ პოსტულატს. ამგვარად, საკმაოდ წარმატებით მიმდინარეობს საზოგადოებრივი არჩევანის, საზოგადოების დემოკრატიული ორგანიზაციის, კანონშემოქმედების ხმის, მიცემის, ლობირების და ა. შ. პრობლემების კვლევა.[1]

მეორე მხრივ, სამართლებრივი კულტურა და სამართლებივი კონცეფციები უდავოდ ახდენენ მძლავრ ზეგავლენას ეკონომიკური თეორიის განვითარებაზე. ინსტიტუციონალური ეკონომიკური თეორია, რომლის შესედულებებს ჩვენ ძირითადად ბევრ საკითხში ვემხრობით, მიიჩნევს, რომ საბაზრო ქცევის წესები, გამოხატული კანონებში, ნორმატივებში და ჩვევებში, ეკონომიკური განვითარების განმსაზღვრელ ფაქტორებს წარმოადგენენ.

ირაციონალური ევოლუციონიზმის პოზიციიდან, ეკონომიკური და იურიდიული მიდგომების ასეთი დაახლოება სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებთან აიხსნება სხვადასხვა დროს კონვერტაციის მრავალგვარი მექანიზმების, ეკონომიკური ძალაუფლების სულ უფრო მეტი განვითარებით. სახელმწიფო ძალაუფლება, როგორც აღმასრულებელი, ასევე საკანონმდებ-

---

1 ის.: Ббюкенс Дж. Тамгол Г. Расчет согласия. Логические основания конституционной демократии. - М.: ТАУРУС АЛЬФА. 1997.

ლო, სულ უფრო ადვილად კონვერტირდება თავის ფულად გამოსახულებებში და ამ გაგებით გამოდის, როგორც ჩვეულებრივი საბაზრო საქონელი. იგივე შეიძლება ითქვას ინფორმაციულ და ძალაუფლების სხვა ფორმებზეც. ხელისუფლების კონვერტაცია ხდება თვალსაჩინო საბაზრო პროცესით, რომელსაც ფასი გააჩნია, რომელიც განისაზღვრება მოთხოვნითა და მიწოდებით.

სამართალი წარმოიშვა და განვითარდა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში, რომელიც გარდაუვალია, ეკონომიკური ურთიერთობების ნებელობითი ხასიათიდან გამომდინარე. ძალაუფლება, ხომ მ. ვებერის კლასიკური განსაზღვრის თანახმად, „არის შესაძლებლობა გაატარო საკუთარო ნებასურვილი წინააღმდეგობის მიუხედავადაც“[1]. ძალაუფლება ანიჭებს მყარ უპირატესობას მხარეთაგან ერთს. მისთვის მუდამ დამახასიათებელია ასიმეტრიული ხასიათი, ძალაუფლების ერთი მხარის დომინირება. სურვილი დაამკვიდროს რაღაც მიზეზთა გამო მიღწეული უპირატესობა ძალაუფლების სამართლებრივ ფორმებში ფიქსირებული სახით, აბსოლუტურად ბუნებრივი და საყოველთაოა. *წეს-ჩვეულება, შემდეგ კი კანონები ეკონომიკური და სამართლებრივი ევოლუციის პროცესში ყოველთვის აფიქსირებდნენ ძალთა განსაზღვრულ თანაფარდობას ამ ბრძოლაში და იცვლებოდნენ ამ თანაფარდობის ცვლილებისას.*

10. 2. სახელმწიფო ძალაუფლება და კანონი

განვითარების საკმაოდ ადრეულ ეტაპზე სახელისუფლებო უფლებამოსილებათა მნიშვნელოვანი ნაწილის კონცენტრირება მოხდა სახელმწიფოს ინსტიტუტში, რომელიც ფრანგი პოლიტოლოგის, ფ. არდანის მახვილგონივრული გამოთქმის თანახმად არის „ამავდროულად — იდეა და ფაქტი, აბსტრაქცია და ორგანიზაცია“[2]. სახელმწიფო ძალაუფლება ხორციელდება პირთა განსაზღვრული ჯგუფის მიერ, ყოველთვის საზოგადოების სახელით. ეს შეიძლება იყოს ცალკეული ადამიანის და მასთან დაკავშირებული ჯგუფების ძალაუფლება — ტირანია, მონარქია; განსაზღვრული კლასისა, როგორიც იყო ჩვენთვის კარგად ცნობილი პროლეტარიატის დიქტატურა; სიმდიდრისა — პლუტოკრატია ან ხალხისა — დემოკრატია. დასახელებები აქ, რა თქმა უნდა, პირობითია და მხოლოდ ხელისუფლების დომინირებულ კომპონენტზე მიგვანიშნებს. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის, რომ ნებისმიერ შემთხვევაში სახელმწიფო ძალაუფლებით ყოველთვის დაინტერესებულია განსაზღვრუ-

1 Weber M. Economy amd Society. N. Y. -1968. Vol. 1 - c. 81.

2 Ardant Ph. Institutions politics et droit costitutionnel. P. 1989. - c. 189.

ლი დიდი ან მცირე რაოდენობის პირთა ჯგუფები, რომლებიც სახელმწიფოს საშუალებით ახორციელებენ თავიანთ ჯგუფურ და პირად ძალაუფლებასა და გავლენას. ეს პირები სისხლხორცეულად არიან დაინტერესებული სახელმწიფო ძალაუფლების გაფართოებით და მისი გავლენით, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკაზე.

სახელმწიფოსთან ასოცირებულ პირთა ინტერესების განხორციელებისათვის სავსებით საკმარისია საკუთარ ხელში მოახდინონ აღმასრულებელი ძალაუფლების კონცენტრირება. ერთ ხელში მოქცეული ძალაუფლება, როცა დიქტატორი ან მონარქი პირადად ადგენს და ცვლის კანონებს, ასამართლებს და ახორციელებს ქვეყნის მართვას, შეიძლება იყოს სავსებით ეფექტიანი. ჯერ კიდევ მარკ ტვენი ამბობდა, რომ „მონარქია — მართვის საუკეთესო საშუალებაა, თუკი მონარქი — ქვეყანაში საუკეთესო ადამიანია". მაშ, *რატომღა წარმოიქმნა საჭირო ხელისუფლების დაყოფა აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო შტოებად?*

საქმე ისაა, რომ ეფექტიანობას თითქმის არასდროს ახლავს მდგრადობა. სწორედ ამიტომაც ერთხელისუფლებიანობას ადრე ყოველთვის ანიჭებდნენ ღვთიურ წარმომავლობას, მის ლეგიტიმურობას განამტკიცებდნენ რა რელიგიის ავტორიტეტით. რელიგიურ-იდეოლოგიური მხარდაჭერა, ძველ მონარქებს მუდამ აძლევდათ საჭირო სიმტკიცეს. თანდათანობით ეს მხარდაჭერა ევროპულ ქვეყნებში კარგავდა თავის ძალაუფლებას ხალხზე და რბილად იცვლებოდა ეროვნული ტრადიციის ძალით. ამას კი საზოგადოება აუცილებლად მიჰყავდა თვითმპყრობელური საწყისების შესუსტებისაკენ.

სახელმწიფო ძალაუფლებაზე ორიენტირებული ჯგუფი ეძებდა უფრო მყარ საფუძველს თავისი მდგომარეობისათვის. ევოლუციურად იწყო ჩამოყალიბება წეს-ჩვეულებათა პრიორიტეტის პარადიგმამ, რომელიც კანონის რანგში ავიდა. სახელმწიფო ძალაუფლების ასეთ ვარიანტში ჩინოვნიკი უკვე მთლიანად სახელმწიფოს ნებაზე აღარ იყო დამოკიდებული. თუნდაც ნაწილობრივ მას შეეძლო დაცვა ეძებნა კანონში.

თუმცა, კიდევ უფრო მეტად, კანონის ავტორიტეტის წარმოშობითა და ზრდით დაინტერესებული იყო სახელმწიფოს მოწინააღმდეგე ბაზარზე ორიენტირებული საზოგადოების ნაწილი, მისი ძალაუფლება დაკავშირებული იყო საწარმოო, ფულად და ინფორმაციულ კაპიტალთან. მას შეეძლო ზემოქმედება მოეხდინა სახელმწიფოზე საზოგადოებრივი აზრის საშუალებით, ხოლო შემდგომ მასობრივი საინფორმაციო საშუალებების დახმარებით, მაგრამ რეალური ძალაუფლება ამ ჯგუფს არ გააჩნდა. მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო მყარი საყოველთაო ეკონომიკური ქცევის წესები, რომლებიც ცვალებად სახელმწიფო ძალაუფლებაზე არ იქნებოდა

დამყარებული. სწორედ ეს ჯგუფი იყო ორიენტირებული კანონზე. ცხადია, იგი ეწეოდა რა აქტიურ საქმიან ცხოვრებას და ამის გამო, ბუნებრივია, ხვდებოდა სხვადასხვა სახის კონფლიქტურ სიტუაციაში, ყველაზე მეტად საჭიროებდა დამოუკიდებელ სასამართლო ხელისუფლებას.

ამგვარად, სახელმწიფო ხელისუფლების დაყოფამ აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლოდ ასახა საზოგადოების ნაწილთა ინტერესების ბრძოლა, სახელმწიფოსა და ბაზარზე ორიენტირებულებებს შორის, რომლებიც მთელი ეკონომიკური ისტორიის მანძილზე ერთმანეთს უპირისპირდებიან.

10.3. კონტინენტალური და საერთო სამართლის ევოლუცია

სამართლის ევოლუციას გააჩნია ხანგრძლივი ისტორია. პირველი საკანონმდებლო სისტემები ჩვენს ერამდე დიდი ხნით ადრე ჩამოყალიბდა. ჰამურაბი, სოლონი — გაიხსენეთ? ძველ რომში იყო უკვე საკმაოდ განვითარებული საბაზრო ეკონომიკა, რეგლამენტირებული მთელი რიგი საკანონმდებლო კოდექსებით, მაგალითად, XII ცხრილის (ჩვ. ერამდე 450 წ.) კანონებით და მყარი, უკვე დროით განმტკიცებული საქმიანი ბრუნვის წეს-ჩვეულებებით. სამართლის ძირითადი დებულებანი საუკუნეებით გროვდებოდა რომის სასამართლოების და ადმინისტრაციების პრაქტიკაში, ხდებოდა მათი ანალიზი და პროფესიონალ რომაელ იურისტთა ნაშრომებში ფორმდებოდა. ეს უკანასკნელნი კი აკეთებდნენ კომენტარებს და განმარტავდნენ, თუ როგორ გამოეყენებინათ კანონები. მხოლოდ 534 წ. ჩვ. წელთაღრიცხვით მიიღო რომაულმა სამართალმა დასრულებული სახე და იქნა კოდიფიცირებული (შეკრებილი ერთიან კოდექსში) მოქალაქეთა კანონების კრებულში, ცნობილი Curps juris civilis-ში, რომაულ სამართალში იყო დამკვიდრებული კერძო კონკურენციის მოთხოვნები, ბაზრის მონაწილეთა თანაბარუფლებიანი მეტოქეობა, სამართლიანობა და თავისუფალი მეწარმეობა, რომელიც დაფუძნებული იყო კერძო საკუთრების უფლებაზე. ამ კრებულში განსაზღვრული იყო ძირითადი დებულებანი ხელშეკრულებათა სხვადასხვა სახეებზე: ყიდვა-გაყიდვის, სესხების, დაქირავების, ვალდებულების და ა. შ. შემოტანილ იქნა საკუთრების ძირითადი, თანამედროვე ელემენტები: სარგებლობა, მფლობელობა, განკარგვა. ეს იყო სრული და სავსებით დახვეწილი საკანონმდებლო სისტემა.

სასაცილოა, რომ იმ დროისათვის რომის იმპერია დაეცა, ბაზარი მკვეთრად შემცირდა და გამარტივდა, და ესოდენ მძლავრი და ფაქიზი ინსტრუ-

მენტი, როგორიც იყო რომის სამართალი, უკვე პრაქტიკულად საჭირო აღარ იყო ახალ, ბარბაროსულ სახელმწიფოებში, რომლებიც აღმოცენდნენ დიდი იმპერიის ნანგრევებზე.

მიუხედავად ამისა, რომის სამართალი რჩებოდა ძველი კულტურის უდიდეს ძეგლად, გაგახსენებთ კაცობრიობის „ოქროს ხანას". შუა საუკუნეებში მონასტრებში გულდასმით აკეთებდნენ სამოქალაქო კანონების კრებულის ასლებს, რომელთაც პრაქტიკაში სრულებით არ იყენებდნენ. დიდება იმ ბერებს, რომელთაც არ ესმოდათ რა სიტყვათა მნიშვნელობა, არაერთხელ გადაწერდნენ ხოლმე საქონელმფლობელთა თანასწორობის და კერძო საკუთრების უფლებების დიად პრინციპებს!

XII საუკუნიდან დაწყებული რომის სამართალი მთელი სისრულით ისწავლებოდა უნივერსიტეტებში. ბევრი კომენტატორი ცდილობდა რომის სამართლის დებულებები მიესადაგებინა შუასაუკუნეების საზოგადოების რეალიებთან. აქ კარგი როლი ითამაშა შუასაუკუნეების ევროპული ცივილიზაციის ისეთმა დამახასიათებელმა თვისებამ, როგორიც იყო მოწიწება ავტორიტეტთა მიმართ. დიდებულ ანტიკურ წარსულთან მუდმივი დაბრუნების გარეშე არ იქნებოდა აღორძინება ხელოვნებაში, მეცნიერებასა და სამართალში.

შუასაუკუნეების ბაზრისა და ქალაქების ზრდის განვითარებასთან ერთად რომის სამართალი სულ უფრო საჭირო ხდებოდა. შესაძლოა, სწორედ რომის სამართლის შემონახულმა საფუძვლებმა შეუწყო ხელი ბაზრის აღდგენას პრაქტიკულად იმავე პრინციპებზე. მოხდა პარადოქსალური და შესანიშნავი მეტამორფოზა — უძველესი სამართალი, ჩამოყალიბებული 15-20 საუკუნის წინ ჩვენს ერამდე, ძველი ბაზრის წესების საფუძველზე და კანონით განმტკიცებული უკვე პრაქტიკულად მისი გაქრობის შემდეგ, იდო რა 1000 წელი მონასტრებში, უეცრად აღსდგა ახალი დროის ევროპულ ბაზარზე.

რომის სამართალმა სხვადასხვა ინტერპრეტაციით გამოყენება იწყო ევროპის მრავალ ქვეყანაში. თუმცა დაგროვილი მდიდარი გამოცდილება სასამართლო პრაქტიკისა და ახალი საკანონმდებლო აქტებისა, რომლებიც ასახავდნენ ეკონომიკურ ცხოვრებაში არსებით ცვლილებებს, მოითხოვდნენ განზოგადებას და კოდიფიცირებას. ეს ამოცანა გადაწყვიტა ნაპოლეონის სამოქალაქო კოდექსმა, რომელიც შეიქმნა 1804 წელს დიდი მხედართმთავრის უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით. მანვე მისცა კოდექსს სახელი. სხვათა შორის, თავად ნაპოლეონი წერდა, წმ. ელენეს კუნძულზე გადასახლებული, რომ იგი საუკუნეებს შემორჩება უპირველეს ყოვლისა, როგორც ამ კოდექსის შემქმნელი და მერე, როგორც მხედართმთავარი.

კოდექსის ცენტრში დაყენებულ იქნა მესაკუთრე და მესაკუთრის პრიორიტეტი კონფლიქტურ სიტუაციებში. ალბათ ამიტომ მასში არ იყო იურიდიული პირის ცნება. კოდექსი შედგებოდა ძირითადად, უშუალოდ პირდაპირი მოქმედებების საკმაოდ მკაფიო და გასაგები ნორმებისაგან, ე. ი. თითქმის არ საჭიროებდა კანონქვემდებარე აქტებსა და კომენტარებს. ნაპოლეონის კოდექსი არა მარტო სამართლებრივი, არამედ ზოგადად კულტურის მოვლენად იქცა. იგი ზემოქმედებდა კონტინენტალური ევროპის საბაზო ღირებულებებზე და ცივილური მნიშვნელობა ჰქონდა.

ცხოვრება გრძელდებოდა და საკანონმდებლო ბაზის გაფართოებას მოითხოვდა. 1907 წ. მიღებულ იქნა საფრანგეთის სავაჭრო კოდექსი, ხოლო 1901 წ. — სპეციალური კანონი იურიდიული პირის შესახებ.

მეზობელ გერმანიაში 1896 წ. აგრეთვე რომის სამართლის საფუძველზე მიიღეს გერმანული სამოქალაქო სამართალი, ხოლო შემდგომ წელს — გერმანიის სავაჭრო სამართალი. განსხვავებით ანალოგიური ფრანგული კოდექსებისგან გერმანული დებულებები ბევრად უზარმაზარია და აღსაქმელად უფრო რთული. ისინი აპელირებდნენ ცნებებით „ქეთილი სინდისის“ და საქმიანი ბრუნვის ჩვეებით.

ასე ჩამოყალიბდა ორი ძირითადი კონტინენტალური სამართლებრივი სისტემა, ტრადიციულად დაპირისპირებული ინგლისში თავდაპირველად აღმოცენებულ საერთო სამართლის სისტემასთან.

ცეზარის მიერ დაპყრობილი ინგლისი ცოტა ხანს იყო რომაელთა ძალაუფლების ქვეშ. ალბათ ამიტომაც მან არ მიიღო რომაული კულტურა და შეინარჩუნა თავისი, რომელმაც დასაბამი მისცა დიდ ანგლო-ამერიკულ ცივილიზაციას. კუნძულის მდგომარეობამ ქვეყანა დაიცვა არა მარტო შემოსევებისაგან, არამედ სხვა ქვეყნების გავლენისაგან, ახდენდა რა განუმეორებელი ეროვნული ხასიათის განვითარების სტიმულირებას.

ინგლისი ადრე განთავისუფლდა ბატონყმობისაგან და ეკონომიკური თავისუფლების პრინციპები აქ ძველთაგანვე გახდა ეროვნული მსოფლმხედველობის საფუძველი. ვესტმინსტერის სტატუტებმა (1285-1290) გადაწყვიტეს კერძო საკუთრების პრობლემა მიწაზე, რომელიც განხეთქილების საგნად იქცა თანამედროვე რუსეთში. დაახლოებით ამ დროიდან ცენტრალური ადგილი დაიკავა დამოუკიდებელმა სასამართლო სისტემამ. სამეფო ხელისუფლება ეყრდნობოდა სასამართლოებს და უზრუნველყოფდა ერთიან სასამართლო სისტემას. განმტკიცდა საერთო სამართლისთვის დამახასიათებელი პრეცედენტის მნიშვნელოვანი პრინციპი — სასამართლოს გადაწყვეტილება კონკრეტულ საქმეზე ხდებოდა წესი ანალოგიური საქმეების გადასაწყვეტად. შესაბამისად, თუკი კონტინენტზე მოსამართლეები

და ადვოკატები გადაწყვეტილებას ეძებდნენ კანონთა კოდექსებში, კეთილ, ძველ ინგლისში საჭირო იყო სასამართლო არქივებში გულდასმით ჩხრეკა-ძიება, რათა ანალოგიური საქმე ეპოვათ და საკითხი გადაეწყვიტათ პრეცედენტის მიხედვით. ცხადია, ასეთი მიდგომა იძლეოდა უფრო დიდ ასპარეზს მოსამართლეთათვის; რადგან ერთია საკმაოდ ზუსტად ჩამოყალიბებული კანონის ინტერპრეტაცია და სრულიად სხვაა დიდი უმრავლესობიდან რაღაცით ანალოგიური შემთხვევის — პრეცედენტის ძიება. ბუნებრივია, ხვდებით, რომ თითქმის ყველა საქმე რაღაცით უნიკალურია და მისი მსგავსების, ანალოგიურობის საფუძველი მეორესთან საკმაოდ რთული და სრულიად არაფორმალური პროცედურაა, დამოკიდებული მოსამართლის შეხედულებებსა და ნებაზე.

თუკი მოსამართლე ვერ პოულობს პრეცედენტს, მაშინ ის უფლებამოსილია დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება, რომელიც თავად ხდება პრეცედენტი სხვა შემთხვევებისათვის. ასე, ნაბიჯ-ნაბიჯ, პროცესიდან პროცესამდე, პრეცედენტიდან პრეცედენტამდე იგება ეს უნიკალური სისტემა, რომელსაც საერთო სამართალს უწოდებენ. სასამართლო გადაწყვეტილების მიღების ასეთი სისტემა მოსამართლეს ბედის განმსაზღვრელის პედესტალზე ამაღლებს. მისი ძალაუფლება და პასუხისმგებლობა ბევრად მეტია, ვიდრე კონტინენტალური კოლეგებისა. შეიძლება ამიტომაც საერთო სამართლის ქვეყნებში მოსამართლე თამაშობს ნაკლებად აქტიურ როლს. პროცესი არსებითად მიჰყავთ მეტოქე მხარეებს, მოჰყავთ რა არგუმენტები და მტკიცებულებები და გამოდიან რა საქმის წარმართვის ინიციატორებად. მრავალი პრეცედენტის დაგროვების შედეგად წარმოიქმნება საოცრად რთული იურიდიული სისტემა, რომელშიც გადაწყვეტილება დამოკიდებულია იურისტთა ხელოვნებასა და მოსამართლეთა ნებაზე.

თითქოსდა კონტინენტალური სამართლის უპირატესობანი ნათელია — სიმარტივე და უბრალოება. მაგრამ საერთო სამართალი იგებს მოქნილობით. მასში პროცედურათა ბუნების მიხედვით ჩადებულია მუდმივი სრულყოფა. ყოველ პროცესში, პრინციპში, შეიძლება შეიცვალოს მთელი სამართლებრივი სისტემა. ახალი ამოცანები, რომელთაც ბაზარი და ეკონომიკური განვითარება იყენებს, იქვე შეიძლება გადაწყდეს სასამართლოს მიერ და ეს სასამართლო გადაწყვეტილება მაშინვე შევა სამართლებრივ სისტემაში, შეცვლის და გაამდიდრებს რა მას. ანგლო-ამერიკული სისტემის ძირითადი ნიშანია — მობილურობა. იგი მზადაა სახეცვლილებისათვის, როგორც კი ცვლილებათა მოთხოვნები აჭარბებს რაღაც კრიტიკულ მასას. იგი იდეალურია დინამიკური საბაზრო ეკონომიკისათვის, რომელიც მუდმივად საჭიროებს თამაშის წესების კორექტირებას.

მაშასადამე, საერთო სამართალი საშუალებას იძლევა შექმნას ბაზრისათვის მოქნილი სამართლებრივი საფუძველი, თუმცა ყველაფრისათვის საჭიროა გადახდა. საერთო სამართალში საშინელი არეულობა და ყოველ პროცესში მაღალი კვალიფიკაციის იურისტთა მონაწილეობის აუცილებლობა მძიმე ტვირთად აწვება საზოგადოებას და ეკონომიკას, რითაც მნიშვნელოვნად ზრდის ტრანსაქციურ დანახარჯებს. მაგრამ ეს არაა ყველაზე საშინელი. თანდათანობით ირკვევა, რომ ოპერატიულობისა და მობილურობის გამოდევნებაში საერთო სამართლის მოქნილი სისტემა არამყარი ხდება. იგი წამიერად რეაგირებს არა მარტო ბაზრის ხანგრძლივვადიან მნიშვნელოვან ცვლილებაზე, არამედ ხანმოკლე აფეთქებებზეც. როგორც ყოველი რთული და ფაქიზი ინსტრუმენტი, იგი ფრიად მოწყვლადია შემთხვევითი წინააღმდეგობებისათვის, რომლებიც ბაზრის განვითარებასთან ერთად მატულობს.

> საერთო სამართალი თითქმის ავტომატურად ამცირებს სახელმწიფოს როლს, რომელსაც ეკისრება მრავალი სასამართლო პრეცედენტის საფუძველზე ბაზრით დადგენილი წესების მხარდაჭერა. იმავდროულად კონტინენტალური სამართალი ფართო შესაძლებლობებს ანიჭებს სახელმწიფოს ეკონომიკურ პროცესებში ჩარევისათვის. აქ არ შეიძლება ითქვას, რომელი სისტემაა უკეთესი. ეს ორი სხვადასხვა გზაა ბაზრის განვითარებისათვის, დაფუძნებული სხვადასხვა კულტურასა და სამართლებრივ პრინციპებზე.

დღეს ქვეყნების ნაწილი საერთო სამართლის ანგლოსაქსონური გზით მიდის. ეს, უპირველეს ყოვლისა, ინგლისის ყოფილი კოლონიები და, ინგლისურენოვანი კულტურის ქვეყნებია: აშშ, კანადა (კვებეკის პროვინციის გარდა), ახალი ზელანდია, ავსტრალია და განსაზღვრული ზომით ინდოეთი. ქვეყანათა დიდი ნაწილი მიდის რომაულისკენ მიმავალი გზით, კონტინენტალური სამართლით, მის ფრანგულ ან გერმანულ ვარიანტში. ფრანგულმა სისტემამ იქონია გადამწყვეტი ზეგავლენა იტალიის, ესპანეთის, ბელგიის, პორტუგალიის, არგენტინის, ვენესუელის კანონმდებლობაზე, ასევე ლათინური ამერიკის სხვა ქვეყეებზეც. გერმანული გავლენა არსებითად შეემჩნა შვეიცარიის, თურქეთის და იაპონიის კანონმდებლობას, რომელშიც ბოლო წლებში მიღებულ იქნა ანგლო-ამერიკული სისტემის რიგი დებულებანი.

თანამედროვეობის მნიშვნელოვან ტენდენციას წარმოადგენს ზემოთ აღწერილი საბაზრო სამართლებრივი სისტემების დაახლოება. ამაზე გავჩერდებით ცოტა მოგვიანებით.

10.4. სამართლის სტრუქტურა

როგორც კონტინენტალური სამართალი, ასევე საერთო სამართალი მიეკუთვნება კერძო სამართლის სფეროს, რომელიც ძირითადად ახორციელებს საზოგადოებრივი ცხოვრების და ბაზრის მონაწილეებს, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის ურთიერთობების რეგლამენტირებას. არსებობს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სამართლებრივი სფერო, რომელსაც საჯარო სამართალს უწოდებენ. განსხვავება ამ სამართლებრივ სისტემებს შორის შენიშნა ჯერ კიდევ ძველმა რომაელმა იურისტმა ულპიანმა: „საჯარო სამართალი განეკუთვნება რომის სახელმწიფოს მდგომარეობას, ხოლო კერძო — ცალკეული პირების სარგებელს".

ამგვარად, სახელმწიფოს და ბაზრის მუდმივ ბრძოლაში საჯარო სამართალი ძირითადად მიეკუთვნება სახელმწიფოს ინტერესთა სფეროს, ხოლო კერძო სამართალი ბაზრის მონაწილეთა საქმიანობას უწევს რეგლამენტირებას.

კერძო და საჯარო სამართლის სტრუქტურა მოტანილია 10.1 ნახაზზე.

სამართლის ცალკეული დარგების საგნები ძირითადად ნათელია დასახელებებიდან, თუმცა ზოგიერთი სახელწოდება საჭიროებს განმარტებას. ასე მაგალითად, კონსტიტუციურ სამართალს მიეკუთვნება სახელმწიფოს ფორმის, სტრუქტურის და ორგანიზაციის საკითხები, მისი უმაღლესი ორგანოების და აღმასრულებელი ხელისუფლების, ძალაუფლების დაყოფის სისტემის უფლებამოსილებანი ხელისუფლების შტოებს, ასევე ცენტრსა და რეგიონებს შორის. ადმინისტრაციული სამართალი დაკავებულია მართვის ორგანოების ურთიერთქმედების პრობლემებით, ხოლო ფინანსური სამართალი — საბიუჯეტო პროცესით, გადასახადებით, სესხებით და ფულის მიმოქცევით. ზოგიერთ ქვეყანაში ზემოთჩამოთვლილ სამართლის საჯარო დარგებს უმატებენ ეკონომიკურ საჯარო სამართალს, რომლის სფეროსაც მიაკუთვნებენ სახელმწიფოს, როგორც ეკონომიკის სფეროში მესაკუთრის საქმიანობას.

მოცემულ შემთხვევაში ყველაზე მეტ ინტერესს იწვევს სამართლის დარგები, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია ეკონომიკასთან და განსაკუთრებით საერთაშორისო ეკონომიკასთან. ეროვნული ეკონომიკისათვის მთავარ როლს თამაშობს სამოქალაქო სამართალი. ამასთან დაკავშირებით, სამოქალაქო კოდექსს ხშირად უწოდებენ ქვეყნის ეკონომიკურ კონსტიტუციას.

საერთაშორისო კერძო სამართალში განიხილება საიმპორტო და საექსპორტო კონტრაქტების დაზღვევის შესახებ ურთიერთობები, საკონტრაქტო

და სატრანსპორტო სამართლის პრობლემები, ინტელექტუალური საკუთრების საკითხები. საერთაშორისო საჯარო სამართალი მოიცავს დიპლომატიურ და საკონსულო სამართალს, საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალს, საერთაშორისო უსაფრთხოების სამართალს და საერთაშორისო ეკოლოგიურ სამართალს. შემდგომში ჩვენ თვალს გავადევნებთ საერთაშორისო და ეროვნულ კერძო და საჯარო სამართალთა დარგების განვითარების ძირითად ტენდენციებს, რომლებსაც თანდათან მივყავართ ერთიანი, საერთოპლანეტარული სამართლებრივი სისტემის შექმნამდე.



ნახ. 10.1. სამართლის სტრუქტურა

ბაზრისათვის მნიშვნელოვან როლს ასრულებს კერძო, უფრო ზუსტად კი სამოქალაქო სამართალი. იურისპრუდენცია — მარტივი მეცნიერება როდია. სამართალში ჩაუხედავთათვის იგი სრულიად განსაკუთრებულ სფეროდ აღიქმება, სადაც გარკვევა შეუძლიათ მხოლოდ მაღალი კლასის სპეციალისტებს. სამართლებრივი ნორმები და აქტები, განსაკუთრებით საერთო სამართალში, ერთი შეხედვით წარმოგვიდგება ამოუცნობ წერილებად, რომლებიც თუ ზეცის მცხოვრებლების მიერ არაა დაწერილი, მაშინ აუცილებლად მათი კარნახით მაინცაა. ესოდენ რთულ და დახვეწილ ფორმებს სამართლებრივი ნორმები იძენს ხანგრძლივი ევოლუციის, ეკონომიკური და სხვა სარეგლამენტო ურთიერთობების სულ ახალ-ახალი ნიუანსების გათვალისწინების მცდელობის შედეგად. დიდი სამართლებრივი დოკუმენტი ან კოდექსი ჩვეულებრივ იხუნძლება მრავალრიცხოვანი განმარტებებითა და კომენტარებით, რომლებიც მისი არსის გახსნაში გვეხმარება, მაგრამ ხშირად სწორედ საწინააღმდეგო შედეგთან მივყავართ, მხოლოდ ხანგრძლივი შესწავლის შემდეგ იხსნება სამართლებრივი აგებულების შინაგანი ლოგიკა და სილამაზე.

10.5. ბაზრის მონაწილეები, საკუთრება და ხელშეკრულება

სინამდვილეში თავს თუ ავარიდებთ ნიუანსებს, რომლებიც სწორედაც რომ შეადგენს კლასიკური იურისტის ნოუ-ჰაუს, სამოქალაქო ანუ ეკონომიკური სამართლის ლოგიკა არც თუ რთულია. ჩავფიქრდეთ, *რა გვჭირდება იმისათვის, რომ განვსაზღვროთ ბაზარზე საქონლის გაცვლის ურთიერთობანი.* პირველ რიგში, აუცილებელია ვუპასუხოთ კითხვას: ვის აქვს ბაზარზე მუშაობის უფლება? მეორე, საჭიროა დავაფიქსიროთ საქონლის თავდაპირველი განაწილება, ე. ი. მივუთითოთ, რა უფლებები გააჩნია ბაზრის თითოეულ მონაწილეს კონკრეტულ საქონელზე. მესამე, გაგვაჩნდეს გაცვლის შესაძლებელი წესები, ე. ი. საქონლის გადასვლისა ბაზრის ერთი მონაწილიდან მეორესთან. სწორედ ამ სამი პრობლემის თანდათანობით გადაჭრაში მდგომარეობს სამოქალაქო სამართლის ლოგიკა.

მაშ ასე, *პირველი. ბაზრის მონაწილეებად* ჩვეულებრივ ითვლებიან ფიზიკური პირები, ანუ ჩვეულებრივი ადამიანები და იურიდიული პირები — ორგანიზაციები. იურიდიული პირის განმსაზღვრელ ნიშანს წარმოადგენს ცალკე ქონებისა და საბუღალტრო ბალანსის არსებობა. ყველა იურიდიული პირი იყოფა ისეთებად, ვინც ისწრაფვის მოგების მიღებისაკენ — საწარმოები, და ვინც მოგების მიღებით არ არიან დაინტერესებულნი — არაკომერციული ორგანიზაციები (დაწესებულებები, ფონდები და ა. შ.).

უკანასკნელთ აგრეთვე შეუძლიათ მოგების მიღება, უბრალოდ, იგი მათი საქმიანობის მიზანს არ წარმოადგენს.

მნიშვნელოვანია გავიგოთ, რომ იურიდიული პირი სამართლის ცალკე სუბიექტს წარმოადგენს და მის ჩამომყალიბებელ ფიზიკურ პირთაგან დამოუკიდებლად მოქმედებს. ამ თვალსაზრისით საწარმო უნდა განვიხილოთ ცალკე, თვით მისი ერთადერთი მეპატრონისგანაც კი. ეკისრება თუ არა პატრონს ან პატრონებს მათ მიერ შექმნილ საწარმოთა ვალებზე პასუხისმგებლობა? როგორც ირკვევა, ყოველთვის არა. არსებობს შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოები — კორპორაციები. მათ მართავენ მეპატრონეები, რომლებიც პირადი ქონებით არ ატარებენ პასუხისმგებლობას საწარმოს ვალებზე. ამგვარია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები, აგრეთვე ღია და დახურული აქციონერული საზოგადოებები. როცა გაგაჩნიათ პაი ან კორპორაციის აქციები, რისკავთ მხოლოდ მათ. თუკი კომპანია გაკოტრდება, მაშინ თქვენი ქონება კორპორაციის გარეთ რჩება უსაფრთხოებაში. რისკი, ბუნებრივია, თქვენთვის მცირეა, მაგრამ ამით, თქვენი უფლებებით ზედმეტად არ უნდა გათამამდეთ. კორპორაციის პაის ან აქციის არსებობის შემთხვევაში, თქვენ სრულებითაც არ წარმოადგენთ მისი ქონების თუნდაც ნაწილის მფლობელს. თქვენ ფლობთ მხოლოდ აქციებს, რომელთა გაყიდვა ბაზარზე შეგიძლიათ, თუკი ვინმეს მისი ყიდვა მოუნდება. აქცია უფლებას გაძლევთ კომპანიის მართვაში მიიღოთ განსაზღვრული მონაწილეობა. ეს არის და ეს. თვით კომპანიის ლიკვიდაციის ან გაკოტრებისას, ჩვეულებრივ არ უნდა გათვალოთ ქონების რაიმე წილი, რომლის ძირითადი ნაწილი (თუ მთლიანად არა) მიდის ვალების დაფარვაზე, რამაც მიიყვანა გაკოტრებამდე.

ამხანაგობებში მფლობელები კისრულობენ სრულ პასუხისმგებლობას საწარმოს ვალებზე. საერთო სამართალი საერთოდ არ ითვალისწინებს პარტნიორობას (ამხანაგობები) იურიდიული პირის სახით. საერთო სამართლის ქვეყნებში სასამართლო არ აკეთებს განსხვავებას ამხანაგობებსა და თავად ამხანაგებს შორის. ამხანაგები ან პარტნიორები ერთობლივად აწარმოებენ ბიზნესს და იყოფენ მოგებას შეტანილი პაიების პროპორციულად. ისინი რისკავენ მთელი თავისი ქონებით და სახელმწიფო ჩვეულებრივ ცდილობს როგორღაც მოახდინოს ამ რისკების კომპენსირება, ანიჭებს რა მათ სხვადასხვა უპირატესობას და პრეფერენციებს. სხვათა შორის, ამხანაგობათა შენატანები დასავლეთის ეკონომიკაში ძალიან დიდია. ჩვენს ქვეყანაში საზოგადოებრივ ცნობიერებაში მუდმივად და დაჟინებით ნერგავენ მითს იმის შესახებ, რომ საგადასახადო მიწოდებათა ძირითადი მასა აშშ-ში, მაგალითად, მოდის ფიზიკურ პირთა, საშემოსავლო გადასახადებიდან. ამით სახელმწიფოს სურს თავზემოუხვევლად, მსუბუქად შეარ-

ცხვინოს თავისი მოქალაქეები მათი პირადი შენატანიდან მცირე წვლილი-სათვის სახელმწიფო შემოსავლებში, თითქოსდა ასე იძახის: თქვენ ისე ცოტას იძლევით, მაშ რაღა გსურთ? სინამდვილეში კი აქ ერთი პიკანტური მომენტი იმალება. ამერიკელი პარტნიორებისაგან (ამხანაგობებისგან) სავსებით არ იღებენ გადასახადს მოგებაზე. მათ გააჩნიათ ე. წ. საგადასახადო გამჭვირვალობა, ე. ი. საწარმოს მთელი მოგება ავტომატურად ნაწილდება პარტნიორებს შორის მათი შენატანების შესაბამისად, და უკვე ამ ფიზიკურ პირთა შემოსავალზე ირიცხება საშემოსავლო გადასახადი. ამიტომაც იგი ესოდენ დიდია! რუსეთში კი სახელმწიფო იღებს გადასახადს ნებისმიერი საწარმოს მოგებიდან და კიდევ სურს არცთუ მცირე მიიღოს საწარმოს მესაკუთრეთაგან, რომელმაც ერთხელ უკვე გადაიხადა გადასახადი. ამიტომ გასაკვირი არა, რომ ისინი მთელი შესაძლო საშუალებებით ეწინააღმდეგებიან ამას.

ახლა *მეორე. ბაზარზე უფლებათა დანაწილება* ხდება ძირითადად საკუთრების საფუძველზე, რომელიც თავისთავად წარმოადგენს ყველაზე სრულ ძალაუფლებას საგანზე. რომ ვივაჭროთ, თავდაპირველად საჭიროა მტკიცედ ვიცოდეთ, ვის რა ეკუთვნის, ამიტომ საკუთრება — ბაზრის საყოველთაოდ მიღებული საფუძველია. ნაპოლეონისეულ კოდექსში ნათქვამია: „საკუთრება — საგნის ყველაზე აბსოლუტური სახით გამოყენების და განკარგვის უფლებაა, მისი კანონსაწინააღმდეგო გამოყენების გარდა". აშშ-ის კონსტიტუციაში სიცოცხლე, თავისუფლება და საკუთრება განსაზღვრულია, როგორც პიროვნების ძირითადი, თანაბარმნიშვნელოვანი უფლებები. საერთოდ, დასავლეთის სასამართლოში საკუთრებას ყოველთვის ენიჭებოდა განსაკუთრებული, აბსოლუტური ხასიათი. მხოლოდ ბოლო დროს საკუთრების დიდებულმა ცნებამ დაიწყო თანდათანობით გაფერმკრთალება, შემცირება და გაქრობა მრავალი პირობითა და განმარტებით. ახლა საყოველთაოდ მიღებულია შეხედულება საკუთრებაზე, როგორც რაღაც „უფლებათა კონაზე". თანამედროვე „უნივერსალური მეტათეორიის" სათავეებთან დგანან ცნობილი ინსტიტუციონალისტები — 1991 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი ა. ალჩიანი. *სრული „უფლებათა კონა", მისი ინგლისელი მიმდევრის ა. ონორეს განსაზღვრებით, შედგება შემდეგი 11 ელემენტისაგან:*

1. ფლობის უფლება, გაგებული როგორც ნივთზე განსაკუთრებული ფიზიკური კონტროლი, ან, როგორც წესი, მისი განსაკუთრებული გამოყენების უფლება.

2. ნივთის გამოყენების უფლება, როცა იგი არ მოიცავს ორ შემდგომ უფლებამოსილებას.

3. მართვის უფლება, ე. ი. უფლება გადაწყვიტოს — როგორ და ვის შეუძლია ნივთის გამოყენება.

4. უფლება შემოსავალზე, ანუ იმ დოვლათზე, რომელსაც იძლევა წინა ორი უფლებამოსილების რეალიზაცია.

5. გასხვისების, მოხმარების, საკუთარი შეხედულებისამებრ ხარჯვის, ნივთის შეცვლის ან მისი განადგურების უფლება.

6. გარანტია ექსპროპრიაციისაგან ან უსაფრთხოების უფლება.

7. ნივთის გადაცემის უფლება.

8. უვადობა.

9. სხვათა საზიანოდ ნივთის გამოყენების აკრძალვა.

10. ნივთის ჩამორთმევის შესაძლებლობა ვალის დასაფარად.

11. ნარჩენი ხასიათი, ე. ი. წესების არსებობა, რომელიც უზრუნველყოფს დარღვეული უფლებამოსილების აღდგენას.

საკუთრების კონკრეტულმა უფლებამ შეიძლება მოიცვას მხოლოდ რამდენიმე აღნიშნული დოკუმენტი, შესაბამისად, ერთსა და იმავე ქონებაზე შეიძლება არსებობდეს საკუთრების რამდენიმე უფლება.[1]

დაბოლოს, *მესამე. საქონლის გადასვლის წესები ერთი მონაწილიდან მეორეზე განისაზღვრება ხელშეკრულებით ან საკონტრაქტო სამართლით.* მთელი გზა, რომელსაც საქონელი გაივლის მწარმოებლიდან მომხმარებლისაკენ, ხორციელდება ხელშეკრულების ფორმით. თანაბარუფლებიანი და ნებაყოფლობითი ხელშეკრულება — ბაზრის ცხოვრების ძირითადი პირობაა. ხელშეკრულება, როგორც ადამიანის, ორგანიზაციის ან სახელმწიფოს ნების გამოხატულება საკუთარ თავზე აღებული ვალდებულებების შესრულებისათვის ზოგადსაკაცობრიო ღირებულებაა. ჯერ კიდევ ციცერონი ამბობდა, სამართლის საფუძველი არის სიტყვის და შეთანხმების ერთგულება. საკუთარი ვალდებულების დამრღვევი კარგავს ძირითად საბაზრო მონაპოვარს — ნდობას. ამას ზოგჯერ ივიწყებენ არა მარტო რუსეთის ბაზრის უბრალო მონაწილენი, არამედ თვით სახელმწიფოც, რომელიც სამოქალაქო სამართლის თვალსაზრისით აგრეთვე წარმოადგენს მის რიგით მონაწილეს.

პრინციპში, ბაზრის მონაწილეთა, საკუთრების უფლებების და ხელშეკრულების პირობების განსაზღვრა კერძო სამართლის საფუძველს წარმოადგენს.

თუკი გაიგეთ ზემოთ გადმოცემული, მაშინ სამართლის შემდგომი შესწავლისას, იოლად შეითვისებთ დეტალებს და კომენტარებს, რომლები-

1 Zaphirien G. A. European Business Law. L.. 1970 - P. 11-15.

თაც თანდათან შეივსება ძირითადი ცნებები. თუმცა კი მათში (დეტალებში) მდგომარეობს იურისპრუდენციის ყველა სირთულე.

10.6. მეგაეკონომიკის საამართლებრივი პრობლემები

ბაზრის განვითარებასთან ერთად, ერთი მხრივ, საკუთრების და ხელშეკრულების ცნებანი რთულდება, ასახავს რა საბაზრო ურთიერთობათა ევოლუციას, ხოლო მეორე მხრივ — ხდება მათი სტანდარტიზება. კერძოდ, ჩნდება საკუთრების ობიექტები — ინტელექტუალური საკუთრება, საკუთრება არამატერიალურ აქტივებზე და ა. შ. *ბაზრის განვითარებასთან ერთად აღმოჩნდა, რომ კაპიტალს, საკუთრების ტრადიციული უფლებებით კარგად დაცული მისი საყოველთაოდ მიღებული ფორმების გვერდით, წარმოადგენს აგრეთვე სავაჭრო მარკა, ინფორმაცია, პატენტი და, კიდევ ნაკლებად, ფირმის საგრძნობი რეპუტაცია.* რადგან არის ახალი კაპიტალი, საჭიროა ვიპოვოთ მისი საკუთრების ადეკვატური ფორმა და მას პოულობენ, მუდმივად სრულყოფენ რა კანონმდებლობას.

ამასთან საკუთრების ახალი ობიექტები გამოირჩევიან მაღალი მობილურობითა და ტრანსეროვნულობით. მართლაც, გამოგონებას, ინფორმაციას, სავაჭრო რეპუტაციას არ სცოდნია საზღვრები. მათი დაცვა საჭიროა საყოველთაო მასშტაბით. სწორედ ეს უბიძგებს ეროვნულ კანონმდებლობებს დაახლოებისკენ და იმის შემუშავებას, რასაც ოდნავ პომპეზურად ეწოდა საერთოპლანეტარული სამართალი. შემდგომში უფრო დაწვრილებით იქნება განხილული მასშტაბები ე. წ. „მეკობრეობისა", სინამდვილეში კი ინტელექტუალური პროდუქციის კომპიუტერული პროგრამების, კომპაქტ-დისკების და ა. შ. ჩვეულებრივი ქურდობის სახით. დღეს ამის შესახებ ბევრს წერენ და ინტერნეტის საყოველთაო გავრცელებამ ბევრად გაართულა ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა დაცვა, ისევე როგორც სახელშეკრულებო ვალდებულებების და მრავალი სხვა უფლებისა. დღეს არა მარტო პროგრამები, არამედ ფული, აქციები, თამასუქები, სხვა ფასიანი ქაღალდები შეიძლება თვალის დახამხამებაში გადაეცეს დედამიწის მეორე ბოლოში. ჯერჯერობით სწორედ საკუთრების უფლების დაცვის შეუძლებლობა ქსელში ვაჭრობისას და ხელშეკრულებათა საიმედო დაცვა წარმოადგენს სუსტ და დროებით წინააღმდეგობას უფრო ფართო ინტერნეტ-ვაჭრობის გავრცელებისათვის, რომელიც თითქმის თავისუფალია ტრანსაქციური დანახარჯებისაგან. ყოველივე ეს საჭიროებს საერთაშორისო, პლანეტარულ დონეზე გადაწყვეტას.

მეგაეკონომიკის ჩამოყალიბებამ სტიმული მისცა რამდენიმე ახალი ტენდენციის განვითარებას სამართლის ეროვნულ და საერთაშორისო სის-

ტემებში. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა აღინიშნოს კონტინენტალური და საერთო სამართლის აშკარა დაახლოება, რაც განპირობებულია საერთო მიდგომების შემუშავებით ახალ მეგაეკონომიკურ პირობებში. ნაბიჯები შემხვედრი იყო — კონტინენტალური სამართალი სულ უფრო აშკარა ფორმით ეყრდნობოდა წეს-ჩვეულების ძალას, ხოლო საერთო გადადიოდა კოდიფიკაციაში. მაგალითად, საერთო სამართლის ქვეყნებში მუდმივად ხდება კანონთა სრულყოფა კომპანიებისა (დიდი ბრიტანეთი) და კორპორაციების (აშშ) შესახებ. ტრანსეროვნული კორპორაციების საქმიანობის რეგლამენტაციის მოთხოვნები იწვევდა აქციონერული საზოგადოებების შესახებ იმ კანონმდებლობის უნიფიკაციის ინტენსიურ მცდელობებს, რომლებიც მიიღეს ევროპის ეკონომიკურმა თანამეგობრობამ და გაეროსთან არსებულმა ეკონომიკურმა კომიტეტებმა. იმავდროულად კონტინენტალურ სამართალში თანდათანობით იზრდება წეს-ჩვეულებათა ავტორიტეტი და ძლიერდება სასამართლოს როლი, რომელიც თავის თავზე იღებს საკანონმდებლო ფუნქციათა ნაწილს. მაგალითად, შვეიცარიის სამოქალაქო სამართლის პირველ პარაგრაფში ნათქვამია: „თუკი კანონში არ იქნება ნაპოვნი შესაბამისი დადგენილება, მაშინ მოსამართლე ვალდებულია გადაწყვიტოს საქმე ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე, ხოლო მისი არქონის შემთხვევაში — იმ წესის მიხედვით, რომელსაც იგი დაადგენდა, კანონმდებლი რომ ყოფილიყო“.

საფრანგეთში და გფრ-ში ამჟამად უკვე დასაშვებია არსებობა და გამოყენება წესებისა, რომლებიც ეწინააღმდეგება კანონმდებლობის იმპერატიულ მიწერილობებს, რომლის წარმოდგენა ადრე შეუძლებელი იყო.

მეორე მნიშვნელოვან ტენდენციას, რომელიც დაკავშირებულია ტრანსეროვნულ კორპორაციათა და ზეუმსხვილესი საწარმოების განვითარებასთან, წარმოადგენს *არსებითი ხელის აღება ძირითადი სახელშეკრულებო პრინციპისაგან — მხარეთა თანასწორობისაგან.* ეს დაკავშირებულია სტანდარტიზებული ხელშეკრულების ფართო გავრცელებით მსხვილ ფირმასა და მომხმარებელს შორის, რომელიც იძულებულია მიიღს იგი ულაპარაკოდ, უკვე ერთი მხარის მიერ მოცემული ფორმით: ჩვენთვის, შესაძლოა, უკვე ჩვეულებრივ სტანდარტულ შრომით შეთანხმებებზე ან სადაზღვევო ხელშეკრულებებზე ხელმოწერა. თუმცა ამგვარი ტიპიზაცია ძლიერ ზიზღს გვრის ძველი საბაზრო ერების წარმომადგენლებს, რომლებიც ემხრობიან ხელშეკრულებაში მხარეთა პრინციპულ თანასწორობას.

დღეს განვითარებულ ქვეყნებში ტიპური ხელშეკრულებების ბაზაზე იდება სამოქალაქო-სამართლებრივ გარიგებათა დიდი ნაწილი საცალო ვაჭრობის სფეროში, ასევე გადაზიდვებში, მოსახლეობის მომსახუ-

რებაში და ა. შ. ასეთი ტიპური ხელშეკრულებების პირობები შემუშავდება ხოლმე მსხვილი კომპანიის ან საწარმოო გაერთიანების მიერ, რომელიც შესაბამისი საქონლის ან მომსახურების ბაზარზე ბატონობს, მაგრამ უშუალოდ შეუძლია არც გამოვიდეს კონკრეტული ხელშეკრულების მონაწილის სახით. ფაქტიურად ამ ხელშეკრულებებში, ესოდენ დიდად რომაა შეფასებული დასავლეთის საზოგადოებაში, ხელშეკრულების თავისუფლების სიკეთით სარგებლობს მხოლოდ ერთი მხარე (კომპანია, საწარმოო, გაერთიანება), ხოლო მეორე თავისუფალია მის შინაარსზე ზემოქმედების შესაძლებლობისაგან. ამ მიზეზით ხელშეკრულებათა აღნიშნულმა ჯგუფმა მიიღო მიერთების ხელშეკრულებების სახელწოდება. ამ ხელშეკრულებათა პირობები, — წერს ცნობილი იურისტი რ. დავიდი, — წინასწარაა დადგენილი ერთ-ერთი მხარისაგან, ხოლო მეორე მხარეს იწვევენ მხოლოდ ამ განსაზღვრულ პირობებთან შესაერთებლად, ერთადერთი შესაძლებლობა, რომელიც მის განკარგულებაშია, ისაა, რომ საერთოდ არ დადოს ხელშეკრულება. ეს შესაძლებლობა ხშირ შემთხვევაში უფრო თეორიულია, თუკი სფეროში, რომელშიც სასიცოცხლო მოთხოვნილებები საჭიროებს შეთანხმების დადებას, არსებობს ფაქტორი ან იურიდიული მონოპოლია"[1].

როგორც შენიშნა მეორე ფრანგმა იურისტმა, ფრანგული კანონმდებლობის ბევრ ფორმას ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების შესახებ ამჟამად არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ყოველ შემთხვევაში სავაჭრო ურთიერთობებში ისინი შეცვლილ იქნა ტიპური კონტრაქტების პირობებით ან წეს-ჩვეულებებით, რომლებიც უკეთაა მისადაგებული თანამედროვე სავაჭრო პრაქტიკასთან.

დღეს მრავალი უმსხვილესი კორპორაცია უზრუნველყოფს თავისი თავისათვის მონოპოლიურ მდგომარეობას ბაზარზე და მბრძანებლობას მიმწოდებლებსა და კლიენტებზე, იყენებენ რა ისეთ სახელშეკრულებო ფორმებს, როგორიცაა სპეციალიზირებული შეკვეთა, აგენტურული და საკომისიო შეთანხმებები, სალიცენზიო ხელშეკრულებები და ა. შ. კორპორაციები ხშირად უპირატესობას ანიჭებენ დამოუკიდებელ მეწარმეთათვის საკომპლექტო დეტალების წარმოების გადაცემას, გაყიდვის ორგანიზაციას და სხვა ოპერაციებსა და ფუნქციებს. მაგალითად, უმსხვილესი ამერიკული კორპორაცია მანქანების წარმოების დარგში, „ჯენერალ მოტორსი" ფლობს მხოლოდ 130 საწარმოს, მაგრამ კოოპერაციულად დაკავშირებულია 40 ათას საწარმო-მიმწოდებელთან. მათგან უმრავლესობა წვრილი

1 International Encyclopedia of Comparative Law. - 1994. - V. 11. - Ch. 3. - P. 77.

საწარმოებია. კერძოდ, 33 ათას ამგვარ საწარმოთაგან თითოეულში დასაქმებულია საშუალოდ 100 ათას ადამიანზე ნაკლები. „ჯენერალ მოტორსი“ მბრძანებლობას ახორციელებს მათზე სპეციალიზირებული შეკვეთის ხელშეკრულებათა სისტემის დახმარებით. მოიჯარე პროდუქციის გამოშვებით სპეციალიზდება, რომელიც ზოგჯერ გამოიყენება სრულიად მხოლოდ ერთი კორპორაცია — დამკვეთის მიერ. სპეციალიზაცია ატარებს ხანგრძლივ ხასიათს, აქედან გამომდინარეობს სახელშეკრულებო ურთიერთობათა გრძელვადიანი ხასიათი. ხელშეკრულებებში, როგორც წესი, განისაზღვრება არა მარტო დასამზადებელი პროდუქციის რაოდენობა და მისი მიწოდების ვადები, არამედ მოთხოვნა მისი წარმოების დროს გამოყენებულ მასალებზე, მოწყობილობაზე, პერსონალის კვალიფიკაციის დონეზე და ა. შ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ხელშეკრულების საშუალებით მიიღწევა ისეთი ხარისხის კონტროლი საწარმოს საქმიანობაზე, როგორც იმ შემთხვევაში, როცა იგი იმყოფებოდა სრულ ფინანსურ დამოკიდებულებაში სათაო (დედა) კომპანიაზე.

პრაქტიკულად საცალო კომერსანტის ან მომსახურების მცირე საწარმოს სრული დამოკიდებულება შეიძლება იყოს დადგენილი ფრენშაიზული ხელშეკრულების დახმარებით, რომლის მიხედვითაც კომპანია სხვა პირებს ანიჭებს უფლებას გამოიყენოს სავაჭრო ნიშნები, სახელწოდებები, ზოგიერთი სახის საქმიანობის აღმნიშვნელი სიმბოლოები, პროდუქტები ან მომსახურებანი. ფრენშაიზის ხელშეკრულებაში მოსარგებლე პირობას იძლევა დაიცვას მკაცრი მიწერილობები კომპანიისა, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს კონტროლი მათ შესრულებაზე ნებისმიერ დროს. მოსარგებლის მიერ ხელშეკრულების მიხედვით თავისი ვალდებულებების დარღვევამ ან შეუსრულებლობამ, ან კომპანიის ინსტრუქციის არასათანადო შესრულებამ, შეიძლება გამოიწვიოს მკაცრი სანქციების გამოყენება.[1]

ამგვარად, ტეკ-ებს სპეციფიკური ხელშეკრულების სისტემის მეშვეობით ძალუძთ ისეთი აბლაბუდა გააბან, მოქსოვონ, რომელიც მეგაეკონომიკას ერთ მთლიანობად აერთებს უფრო მტკიცედ, ვიდრე საკუთრების უფლებას.

> მეგაეკონომიკაში მძაფრდება ბაზრის ბრძოლა, რომელიც ახლა წარმოდგენილია ტრანსეროვნული კაპიტალითაც და ეროვნული სახელმწიფოებითაც. სამართლებრივ სფეროში ეს აისახება საჯარო და კერძო სამართლის მუდმივ ბრძოლაში.

1 Rubin L. A. Theory of Franchising. - Un. of Pen. 1973.

ბაზარზე ორიენტირებული ძალებისათვის, ტრანსეროვნულის ჩათვლით, მომგებიანი იქნებოდა კერძო სამართლის ნორმების გავრცელება მთელ ეკონომიკურ საქმიანობაზე. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოები ხდებიან ბაზრის რიგითი მონაწილეები. წინააღმდეგობა რომ გაუწიონ კერძო სამართლის გაძლიერებას, მრავალი სახელმწიფო აძლიერებს თავის გავლენას ეკონომიკაზე სახელმწიფოსა და კომპანიებს შორის კიდევ ერთი სპეციფიკური ხელშეკრულებების ჯგუფის შემოყვანის გზით.

ამ ხელშეკრულებათა მნიშვნელობა დასავლეთის ქვეყნების სამეურნეო მექანიზმისათვის ამჟამად ძალზე დიდია. ასე მაგალითად, აშშ-ში ფედერალური საშტატო და ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოები ყოველწლიურად ხარჯავენ სხვადასხვა საქონლისა და მომსახურების შესაძენად ქვეყნის მთლიანი ეროვნული პროდუქტის დაახლოებით 20%-ს. საფრანგეთში ასეთი ხელშეკრულებები იწოდება ადმინისტრაციულად. სამოქალაქო ხელშეკრულებისაგან მისი ძირითადი განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ მხარეები ადმინისტრაციულ ხელშეკრულებაში არ არიან თანასწორნი, არა მარტო ფაქტობრივად, არამედ იურიდიულადაც. სახელმწიფო ორგანო — ასეთი ხელშეკრულების მხარე უფლებამოსილია ცალმხრივი წესით შეცვალოს არაარსებითი პირობები ან ეს ხელშეკრულება დაარღვიოს კიდეც. მრავალ ადმინისტრაციულ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია ადმინისტრაციის უფლება გააკონტროლოს ხელშეკრულების შესრულება და მისცეს ინსტრუქცია მეორე მხარეს. თავის მხრივ, თუკი საჯარო იურიდიული პირი თავისი კანონიერი უფლებამოსილების რეალიზაციისას შეიყვანს მეორე მხარეს დამატებით ხარჯებში, მაშინ იგი ვალდებულია ეს სრულებით აუნაზღაუროს. განსხვავება ადმინისტრაციულ და სამოქალაქო ხელშეკრულებებს შორის არსებობს მათი დადების წესში და მხარეთა თავისუფლების ხარისხში ხელშეკრულების პირობების განსაზღვრისას, იმაში, რომ მოცემულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული დავები განიხილება სხვადასხვა სასამართლოში.

დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის სამართალში არ არის ასეთი მკაფიო ცნება ადმინისტრაციული ხელშეკრულებისა, როგორიც გააჩნია ფრანგულ სამართალს. თუმცა კი ამ ქვეყნებშიც არსებობს ხელშეკრულების განსაკუთრებული კატეგორია — სამთავრობო კონტრაქტები, დადებული ადმინისტრაციული ორგანოების მიერ კერძო პირებთან. სამთავრობო კონტრაქტებს გააჩნია თავისი სპეციფიკური სამართლებრივი რეჟიმი, განსხვავებუ-

ლი იმისგან, რასაც ექვემდებარება სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებები.

აშშ-ის სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც მონაწილეობენ ასეთ კონტრაქტებში, უფლებამოსილნი არიან ცალმხრივი წესით შეცვალონ მათი არაარსებითი პირობები, ზოგჯერ კი დაარღვიონ კიდეც ეს კონტრაქტები, თუკი ეს შეესაბამება ქვეყნის საერთო ინტერესებს. მთავრობის ორგანოს მიერ ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, ეს უკანასკნელი უნაზღაურებს მეორე მხარეს მხოლოდ პირდაპირ ზარალს, მაგრამ არა ხელიდან გაშვებულ მოგებას. აშშ-ში, ისევე როგორც საფრანგეთში, არსებობს ადმინისტრაციული იუსტიციის განსაკუთრებული ორგანოების სისტემა, რომელიც მოწოდებულია განიხილოს დავები სამთავრობო კონტრაქტების მიხედვით.

ახლა მსოფლიო თანამეგობრობა არის მსოფლიო სამართლის სისტემის შექმნის პროცესის დასაწყისში, რომელიც დააკმაყოფილებს მეგაეკონომიკის საჭიროებას. ასეთი სამართლებრივი სისტემის ჩამოყალიბებისათვის იქმნება ტრანსეროვნული კაპიტალის ორგანიზაციის სტატუსის და მათი დაპირისპირებული ზენაციონალური საერთაშორისო ორგანიზაციების მკაფიო განსაზღვრების პირველი რიგის პრობლემა. ვინაიდან ბრძოლა ეროვნულ ბაზრებსა და სახელმწიფოებს შორის თანდათან გადადის ტრანსეროვნულ კაპიტალსა და მსოფლიო ბაზრებს შორის ბრძოლაში, ერთი მხრივ, და ზეეროვნულ ორგანიზაციებს შორის, რომლებიც ცდილობენ თავის თავზე აიღონ მსოფლიო მთავრობის ზოგიერი ფუნქცია — მეორე მხრივ, ახალ დონეზე აუცილებლად უნდა გამოვიდნენ ამ ბრძოლის ამსახველი სამართლებრივი კოლიზიები.

ამგვარად, თანამედროვე ეტაპზე წარმოიშვა და ვითარდება საერთო და კონტინენტალური სამართლის დაახლოების, აგრეთვე, ერთი მხრივ, სახელმწიფოთა, ხოლო, მეორე მხრივ, ტეკ-ების გაძლიერების ტენდენცია თავიანთი „უმცროსი“ პარტნიორების — კომპანიების და კერძო პირების ხარჯზე სპეციფიკური, არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულებების გაფორმების შედეგად.

თავი 11

ბუნებრივი რესურსები და მათი მეგობაზრები

მზე, ჰაერი და წყალი. ბუნებრივი რესურსები და ეროვნული სიმდიდრე. რამდენ ხანს გვეყოფა დედამიწის სიმდიდრე? როგორაა დანაწილებული პლანეტის ბუნებრივი რესურსები? მსოფლიო ენერგეტიკა. ნავთობი და მსოფლიო ეკონომიკა. გაზის ინდუსტრია. შავი მეტალურგია. ფერადი მეტალურგია. და, ბოლოს, ოქრო

ძველად უმდიდრეს ქვეყნებად ითვლებოდნენ ისინი, რომელთა ბუნება ყველაზე მდიდარი იყო: ახლა კი უმდიდრესია ის ქვეყნები, სადაც ადამიანი უფრო მეტად საქმიანია.

ბ. ბოკლი

11.1. მზე, ჰაერი და წყალი

ყველაფერი, რითაც სარგებლობს კაცობრიობა, საბოლოო ჯამში წარმოიშობა მზის ენერგიიდან და მიწის ბუნებრივი რესურსებიდან. ეს ძალიან კარგად ესმოდათ უძველეს ადამიანებს, ამიტომაც, უპირველეს ყოვლისა, ამ ციურ სხეულებს აღმერთებდნენ. საინტერესოა, მაგრამ ახლაც არსებობენ სავსებით სერიოზული სამეცნიერო თეორიები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მზე, დედამიწა და სხვა ვარსკვლავები, ასევე პლანეტები, ღმერთები თუ არა, უკიდურეს შემთხვევაში, ცოცხალი არსებები მაინც არიან. ჩვენ არ დავიწყებთ მსჯელობას, რბილად რომ ვთქვათ, ამ არასაკმარისად დამტკიცებულ თეორიებზე, იმას კი შევნიშნავთ, რომ მათში არის რაღაც მიმზიდველი და საიდუმლო, რომელიც ადამიანის ქვეცნობიერის ღრმა ფენებს ეხება. შინაგანად ჩვენ ვგრძნობთ კავშირს მზესთან და ჩვენს მშობლიურ პლანეტასთან, კავშირს იმდენად მჟიდროს, რომელიც მხოლოდ ცოცხალ არსებასთან არის ხოლმე. ამ შეგრძნებიდან იბადებოდა უძველესი მითები, რელიგიები და ულტრათანამედროვე მითების მსგავსი თეორიები.

მზის ენერგია კაცობრიობის მნიშვნელოვანი რესურსია. თუკი დედამიწას არ ექნებოდა ატმოსფერო, მზის სხივები მის ზედაპირს პერპენდი-

კულარულად დაეცემოდა, მაშინ ყოველ წუთს დედამიწის ზედაპირის 1 სმ^2-ზე მოუწევდა 2 კალ. ეს ენერგია საკმარისია იმისათვის, რომ ავწიოთ ეს წიგნი. მზის ენერგია საოცარი ფორმით გარდაიქმნება მცენარეებში ორგანულ ნივთიერებებად, რითაც იკვებებიან ადამიანები და ცხოველები. იგი დაგროვდა ნავთობში და ნახშირში, რომლის გარეშეც ვერ იფუნქციონირებს თანამედროვე ეკონომიკა. სხვათა შორის, არასოდეს არ დაფიქრებულხართ, რომ ჩვენს პლანეტაზე ყველაფერი მოწყობილია ხალხის სასარგებლოდ? დედამიწა რომ მზისკენ ერთი გვერდით ყოფილიყო მიბრუნებული, როგორც მერკური ან მთვარე დედამიწის მიმართ, სიცოცხლე მასზე საერთოდ შეუძლებელი იქნებოდა. მზის მხარეს წარმოიქმნებოდა უსიცოცხლო მცხუნვარე უდაბნო, ხოლო საწინააღმდეგო მხარეს — გიგანტური ყინულის ჯავშანი. თუ დედამიწის ღერძი ორბიტისკენ მიბრუნდებოდა არა 23,5°-ი, არამედ იქნებოდა ორბიტის სიბრტყეში ურანის მსგავსად, მაშინ უმკაცრესი ზამთარი შეიცვლებოდა მწველი ზაფხულით და გონიერი სიცოცხლე საეჭვოა რომ ჩასახულიყო. მეცნიერები კაცობრიობის განვითარების შესაძლებლობის ამგვარი დაშვების ვარიანტებს ასობით ითვლიან. აქ წყალიც არის, ოზონის ფენაც, რომელიც მზის რადიაციისაგან გვიცავს და მრავალი, მრავალი სხვა რამ. თუნდაც კაცობრიობას დროულად არ აღმოეჩინა ბუნების მიერ დაგროვილი ენერგიის მარაგი (ქვა) ნახშირის, ნავთობის და ბუნებრივი გაზის საბადოების სახით, სამრეწველო რევოლუცია არ მოხდებოდა და ცივილიზაცია წავიდოდა სრულიად სხვა გზით. ასე რომ, დედამიწაზე ყოველი ცოცხალის და კაცობრიობის გზა გადის ასობით საშიშ სცილასა და ქარიბდას შორის, რომელთაგან ნებისმიერს შეეძლო თუ არ დაეღუპა, მაშინ არსებითად შეეცვალა ადამიანური ცივილიზაცია. სწორედ ჩვენ გარშემო შექმნილი უნიკალური პირობების შემეცნებას მიჰყავს ადამიანები ღვთის ჩანაფიქრის გააზრებამდე. ჩვენ არ ჩავუღმავდებით თეოლოგიურ კვლევას, მაგრამ მაინც აღვნიშნავთ, რომ განსაკუთრებით გაგვიმართლა, რადგან ჩვენი პლანეტის პირობები უნიკალურად კარგადაა მოცემული სიცოცხლისა და განვითარებისათვის. ასეთი პირობების განმეორების ალბათობა სამყაროში, სადღაც შორს, საოცრად მცირეა. ეს უნდა დავაფასოთ.

მზის ენერგიის შემდეგ მეორე მნიშვნელოვან ბუნებრივ რესურსს ჰაერი წარმოადგენს. ევოლუციის შედეგად წარმოშობილი ატმოსფერო შედგება 21% ჟანგბადისგან და 78% აზოტისგან, ასევე მრავალი სხვა გაზისაგან, რომლებიც შედარებით მცირე მოცულობებითაა, მაგრამ ხშირად თამაშობენ მნიშვნელოვან როლს ცხოვრებაში. მაგალითად, ატმოსფეროში მიზერული, დაახლოებით 0,16%-ის წყლის ორთქლის შემცველობა, ბუნებაში წყლის მიმოქცევას უზრუნველყოფს, რაც ესოდენ აუცილებელია ყო-

ველი ცოცხალი არსებისთვის. ატმოსფეროს საერთო მასა 5,3 მლრდ. ტ-ს შეადგენს, რაც 300-ჯერ მცირეა მსოფლიო ოკეანის მასაზე, რომელიც 1,3 ტრლნ. ტონაა. მაშასადამე, სასიცოცხლოდ ჩვენთვის აუცილებელი ჟანგბადი არის დაახლოებით 1,2 მლრდ. ტონას. ეს არის ჩვენი რესურსი. ყველასათვის ცნობილია, რომ ჟანგბადის გამომუშავება შეუძლიათ მცენარეებს ფოტოსინთეზის პროცესში. მსოფლიო ჟანგბადის დაახლოებით 15%-ს ოკეანეთა წყალმცენარეები ქმნიან, ხოლო 40-45%-ს ამაზონის, განლაგებული ძირითადად ბრაზილიაში, და 30%-ს — ჩვენი ტაიგა. ასე რომ, რუსეთი და ბრაზილია წარმოადგენენ ჟანგბადის ძირითად მწარმოებლებს და უახლეს მომავალში შეიძლება რაღაც ფორმით „ჰაერის გამყიდველებიც" გახდნენ.

ატმოსფეროს მასის დიდი ნაწილი (დაახლოებით 80%) მდებარეობს დედამიწის ზედაპირთან15 კმ-ის დაშორებით და ქმნის ტროპოსფეროს. ყველასათვის ცნობილია, რომ ზედაპირიდან დაშორებისას ჰაერის სიმკვრივე და ტემპერატურა კლებულობს. როცა მივფრინავთ თანამედროვე ლაინერით დაახლოებით 10 კმ-ის სიმაღლეზე, ჩვენ ჩვეულებრივ ალერსიანად გვატყობინებენ, რომ ტემპერატურა ბორტის გადაღმა — 50^0-ია. ის, რომ ზემოთ ცივა, ყველამ იცის. თუმცა საყოველთაოდ არ არის ცნობილი, რომ ტროპოსფეროს იქით დაახლოებით 15 კილომეტრიანი ტროპოპაუზაა, რომლის ტემპერატურაც მუდმივია. ხოლო ზემოთ ტემპერატურა მუდმივად იზრდება და 50 კმ-ის სიმაღლეზე ატმოსფერო თბება - 3^0-მდე, ოზონის მიერ ულტრაიისფერი მზის რადიაციის შთანთქმის ხარჯზე. ამ ფენას სტრატოსფეროს უწოდებენ. სტრატროსფეროს ოზონის ფენა რომ არა, მაშინ სასტიკი ულტრაიისფერი გამოსხივება დაღუპავდა დედამიწაზე სიცოცხლის მაღალგანვითარებულ ფორმებს. მაღლა, დაახლოებით 50 კმ-ზე, არის იონოსფერო, სადაც ხდება რთული ქიმიური რეაქციები, რაც იონების გამოთავისუფლებას იწვევს, ეს კი ამ ფენას ელექტროგამტარს ხდის. იონოსფერო რომ არ ყოფილიყო, მაშინ შორი რადიოკავშირი შეუძლებელი იქნებოდა.

წყალი მესამე მნიშვნელოვან ბუნებრივ რესურსს წარმოადგენს, რომელსაც პლანეტის ზედაპირის 71% უკავია. დედამიწის მთელი წყლის 97% არის მსოფლიო ოკეანეში. მისი მოცულობა — 1,338 მლრდ. $კმ^3$-ია. ხმელეთის წყლები, წარმოდგენილი მდინარეებით, ტბებით და მიწისქვეშა წყაროებით, შეადგენენ 1%-ზე ცოტათი მეტს, ხოლო ყინულებში დატყვევებულია დარჩენილი წყლის 2%. ამგვარად, წყლის დიდი ნაწილი — მარილიანია, ხოლო მტკნარი წყალი შედარებით მცირეა და ბევრ რაიონში მის ნაკლებობას განიცდიან. წყალი არის უნივერსალური გამხსნელი, აუცილებელი ყველა ორგანიზმის სიცოცხლისათვის. იგი ფლობს ერთ უნიკალურ

მნიშვნელოვან თვისებას. როგორც ცნობილია, თითქმის ყველა ნივთიერების სიმკვრივე იზრდება ტემპერატურის კლებით. ასევე მოსდის წყალსაც, მაგრამ მხოლოდ კრიტიკულ 4^0C-ის ტემპერატურამდე. ტემპერატურის შემდგომი კლებისას წყლის სიმკვრივე კვლავ მცირდება. ამიტომ 4^0C-მდე გაცივებული წყალი ეშვება ძირს და ხდება შერევა. წყალს რომ ეს თვისება არ გააჩნდეს, წყალსატევების უმეტესობა ჩრდილოეთის განედებზე ფსკერამდე გაიყინებოდა. ხოლო გამყინვარების პერიოდში იგი საფრთხის ქვეშ დააყენებდა სიცოცხლეს დედამიწაზე.

წყალი დედამიწაზე იმავე როლს ასრულებს, რასაც სისხლი ადამიანის ორგანიზმში. ბუნებაში წყლის წრებრუნვა უზრუნველყოფს ნივთიერებათა ცვლას ოკეანეს, ატმოსფეროს, ნიადაგსა და ცოცხალ ორგანიზმებს შორის. ტყუილად კი არ უწოდა ლეონარდო და ვინჩიმ წყალს „ბუნების მეეტლე“.

თითოეულ ადამიანზე 250 მლნ. ტ. წყალი მოდის. გეგონებათ სრული სიუხვეა. თუმცა ტბების და მდინარეების წილად, საიდანაც ადამიანი ძირითადად იღებს წყალს, მხოლოდ 1,2 ათასი $კმ^3$. ან 10 ათასი ტ მოდის. მტკნარ წყალზე ადამიანის ყველა მოთხოვნას თუ გავითვალისწინებთ, ეს არც ისე ბევრია. წყალი წარმოადგენს წარმოების მნიშვნელოვან ფაქტორს. ასე მაგალითად, 1 ტ. ფოლადის საწარმოებლად საჭიროა 15 ტ. წყალი, 1 ტ. შაქარისათვის — 100 ტ. წყალი, ხოლო 1 ტ. ბრინჯისათვის — 5000 ტ. წყალი. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ნახევარზე მეტი იწარმოება სარწყავ მიწებზე, რომელთაც უკავიათ ნახნავის და ნარგავის მხოლოდ 20%. მთლიანად მოსარწყავად იხარჯება 2500 მლრდ. ტ. წყალი. ამასთან, წყალი პლანეტის რეგიონებისდა მიხედვით საოცრად არათანაბრად ნაწილდება. მრავალ რაიონში წყლის ღირებულება ძალიან დიდია და იგი ეკონომიკის განვითარების ლიმიტირებულ ფაქტორს წარმოადგენს.

ორჯერ მეტ მტკნარ წყალს შეიცავენ ყინულოვანი ტერიტორიები, ვიდრე მდინარეები და ტბები. ისინი დემპფერების როლს ასრულებენ, რადგან ხელს უშლიან სწრაფ კლიმატურ ცვლილებებს პლანეტაზე. მათემატიკურმა მოდელირებამ გვიჩვენა, რომ ყინულების გარეშე ბუნებაში წყლის თანამედროვე წრებრუნვა პრაქტიკულად შეუძლებელია. დედამიწაზე ორი ძირითადი ყინულის საფარია: გრენლანდიის და ანტარქტიდის. გრენლანდიის ყინულის საშუალო სისქეა — 1,8 კმ და მას უკავია 1,8 მლნ. $კმ^2$, რაც გერმანიის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის და იტალიის შეჯამებულ ფართს აჭარბებს. აქ თავმოყრილია პლანეტის ყინულის 10%. სხვა დანარჩენი, თითქმის 90% მოდის ანტარქტიდაზე. ეს მატერიკი 13,7 მლნ. $კმ^2$ ფართისაა, იგი 1,5-ჯერ დიდია ავსტრალიაზე. აქ ყინულის საშუალო სისქე 2,2 კმ, ხოლო ყინულის მასა — დაახლოებით 27 მლნ. $კმ^3$, თუკი ეს ყინულოვანი

ადგილი უცებ გადნება, მაშინ მსოფლიო ოკეანე აიწევს 65 მ-ით და დაიწყება ახალი დიდი წარღვნა. სხვათა შორის, ამას წინასწარმეტყველებს ბევრი მეცნიერი. ასეთ შედეგებამდე შეიძლება მიგვიყვანოს უკვე დაფიქსირებულმა პლანეტის კლიმატის დათბობამ. ეს პრობლემა განხილულია გლობალურთა რიგში, მე-15 თავში.

ნიადაგი მნიშვნელოვან ბუნებრის რესურს წარმოადგენს, რადგან უზრუნველყოფს კაცობრიობის კვებას. იგი თავისთავად არის მეოთხე, შუალედური, ბუნების ცოცხალ და მინერალურ სამეფოებს შორის. ნაყოფიერი ნიადაგის ფენა შეიცავს დიდი რაოდენობით ცოცხალ მიკროორგანიზმებს, რომლებიც მცენარეთა და ცხოველთა მუდმივად ხრწნადი ნაშთებია გადაქცეული მცენარეთა კვებისათვის ვარგის ფორმებად. ნიადაგის ნაყოფიერება განისაზღვრება მასში არსებული ჰუმუსით — საკვები ნივთიერებების თავისებური „ბანკით“: აზოტით, ფოსფორით, გოგირდით და სხვ. ჰუმუსს აქვს შავი ფერი, რომლითაც იფერება ყველაზე ნაყოფიერი ნიადაგები — შავმიწა ნიადაგები, რითაც ესოდენ მდიდარია ჩვენი ქვეყანა.

ნიადაგი — შევსებადი რესურსია. შეიძლება მისი კულტივირება, გაუმჯობესება და, ფაქტიურად, ახალი ნიადაგის შექმნა არანაყოფიერ მიწებზე. ასეთი ნიადაგების რადიკალური გაუმჯობესების მაგალითს წარმოადგენენ დასავლეთევროპული ნიადაგები. რუსეთის ნიადაგისაგან განსხვავებით, დასავლეთ ევროპა არასოდეს გამოირჩეოდა დიდი ნაყოფიერებით. მრავალი საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობდა მათი ინტენსიური ექსპლუატირება. ამასთან, ბოლო ორი საუკუნის მანძილზე წარმოებულმა აგროტექნოლოგიურმა ღონისძიებებმა მიგვიყვანეს მისი შემადგენლობის გაუმჯობესებასა და ნიადაგის ნაყოფიერების ზრდამდე. ახლა დასავლეთ ევროპის ნიადაგები ქიმიური შემადგენლობით აჭარბებენ ჩვენს მაღალნაყოფიერ ბუნებრივ შავმიწანიადაგებს. ამგვარად, ადამიანმა შეძლო არა მარტო არ ამოეწურა, არამედ გაემრავლებინა კიდეც მის ხელთ არსებული ნიადაგის რესურსები რეგიონში, სადაც ეს რესურსი იყო ძირითადი შემზღუდველი ფაქტორი ეკონომიკის განვითარებაში.

ბუნებრივი რესურსების განხილვისას იშვიათად ახსენებენ ისეთ მნიშვნელოვან რესურსს, *როგორიცაა მცენარეთა და ცხოველთა გენეტიკური მრავალფეროვნება.* ახლა პლანეტაზე დაახლოებით მცენარეთა 500 ათასი და 1,9 მლნ. ცხოველთა სახეობა არის, რომელთაგან 1,5 მლნ. მიეკუთვნება ყველაზე მრავალრიცხოვანი მწერების კლასს. (ძუძუმწოვართა კლასს მიეკუთვნება მხოლოდ 4300 სახეობა) სახეობრივი მრავალფეროვნება — ეს მნიშვნელოვანი გენეტიკური რესურსია, აგრეთვე, მდგრადობის შეუცვლელი ფაქტორი.

უხეშად რომ ვთქვათ, ეკონომიკის განვითარების ბუნებრივ რესურსს წარმოადგენს ადამიანი, როგორც სახეობა. განვითარების რესურსებს შეიცავენ ცივილიზაციის, ეთიკური სისტემების, ინსტიტუტების და ორგანიზაციების სხვადასხვა სახეები. თუმცა თავად ადამიანი — რა თქმა უნდა, ეკონომიკური რესურსია, სხვა დანარჩენი რესურსების მსგავსად, რომელიც გადაადგილდება საბაზრო ძალების გავლენით. მოსახლეობის რაოდენობა სწრაფად იზრდება (ექსპონენციალურად). მან უკვე მიაღწია 6 მილიარდს, ხოლო 20 წლის შემდეგ შეიძლება გახდეს 10 მილიარდი. ვინაიდან ადამიანი წარმოადგენს არა მარტო რესურსს, არამედ სხვა რესურსების მომხმარებელსაც, მოსახლეობის რაოდენობის ზრდა სხვა რესურსებთან მიმართებაში მრავალი გლობალური პრობლემის ღერძს წარმოადგენს, რაც განხილული იქნება IV განყოფილებაში.

11.2. დედამიწის მინერალური რესურსები

ბუნებრივ რესურსებს მიეკუთვნება არა მარტო ჰაერი, წყალი და ნიადაგი, არამედ მინერალური რესურსებიც, რომელთაც ხშირად უწოდებენ სასარგებლო წიაღისეულს. ეს უკანასკნელი იყოფა რამდენიმე დიდ ჯგუფად. პირველს და მნიშვნელოვანს მიაკუთვნებენ ე. წ. პირველად ენერგიამატარებლებს: ნავთობს, გაზს, (ქვა) ნახშირს, ურანს. მეორე ჯგუფს შეადგენენ ლითონის მადნები. მესამეს შეიძლება მივაკუთვნოთ ქიმიური მრეწველობის ნედლეული, ხოლო მეოთხეს — წიაღისეული მასალები, რომლებიც გამოიყენება მშენებლობასა და კომუნალურ მეურნეობაში (ქვიშა, ღორღი და ა. შ.),

ადამიანი გარდაქმნის ბუნებრივ რესურსებს თავისთვის აუცილებელ პროდუქტებად და ანაწილებს მათ საბაზრო მექანიზმების საფუძველზე. თავისი ისტორიის განმავლობაში იგი მუდმივად რთავს თავის საქმიანობაში სულ ახალ-ახალ წიაღისეულს. თუკი ჩვენი ერის დამდეგამდე კაცობრიობა გამოიყენებდა დაახლოებით 20 ქიმიურ ელემენტს, XVIII ს-ში კი 30, ახლა იგი 150-ზე მეტია. წარმოებაში პრაქტიკულად ჩართულია ყველა ელემენტი, რაც არსებობს დედამიწის ქერქში.

ბუნებრივი რესურსები წარმოადგენენ ყოველი ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის საფუძველს. მიუხედავად ამისა, ქვეყნები, რომლებიც ფლობენ უზარმაზარ ბუნებრივ რესურსებს, ისეთები, როგორიცაა თუნდაც ჩვენი ქვეყანა, ცხოვრობენ ცუდად, ხოლო ზოგიერთი სხვა ქვეყანა, რომელიც თითქმის სავსებით მოკლებულია ბუნებრივ რესურსებს, მაგალითად, იაპონია ან იტალია, კეთილდღეობაშია. ასეთი მდგომარეობის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს წიაღისეულის შედარებით დაბალი საბაზრო ღირებულება. ამასთან, არსებობს განვითარებული ქვეყნების, ასევე მთელი მსოფ-

ლიოს მშპ-ში პირველადი გადამუშავების წილის შემცირების მდგრადი ტენდენცია.

ამგვარად, წარმოიშობა პარადოქსი: *ერთი მხრივ, კაცობრიობის მთელი სიმდიდრე, როგორც ჩანს, ყალიბდება ბუნებრივი რესურსების და წიაღისეულის საფუძველზე, ხოლო მეორე მხრივ — ამ წიაღისეულის საბაზრო ფასები ძალზე უმნიშვნელოა და ღირებულების თვალსაზრისით არ შეესაბამება იმ როლს, რომელსაც ისინი თამაშობენ მსოფლიო მშპ-ის ჩამოყალიბებაში.*

თვალსაჩინოებისთვის შევეცადოთ გამოვთვალოთ ყველაზე მნიშვნელოვანი წიაღისეულის საერთო ღირებულება, რომელსაც მოიპოვებს კაცობრიობა ერთი წლის მანძილზე. XX ს-ის ბოლოს პლანეტაზე მოიპოვებოდა დაახლოებით 3,5 მლრდ ტ. ნავთობი, რომლის ფასი ვარირებდა ბოლო ორი წლის მანძილზე 60-დან 180 დოლ. /ტ-მდე (ჩვეულებრივ ნავთობის ფასი მოჰყავთ დოლარებში ერთ ბარელზე. სავარაუდოდ რომ გადავიყვანოთ დოლარებში 1 ტონაზე, გირჩევთ ეს ფასი გაამრავლოთ 6-ზე. მაგალითად, 20 დოლ. /ბარელი ტოლი იქნება 120-ისა (6x20) დოლ. /ტ) ჩვენი ანგარიშისათვის ავიღოთ ფასი — 100 დოლარი, რომელიც შენარჩუნდა საკმაოდ დიდხანს. მაშინ მთელი მოპოვებული ნავთობი შეფასდება 350 მილიარდ დოლარად.

ზუსტად ასევე ბუნებრივი გაზი, რომელიც მოპოვებულია 2,3 მლრდ $მ^3$ და გაყიდულია საშუალოდ დაახლოებით 80 დოლ/ათას $მ^3$-ზე, შეფასებულია მიახლოებით 180 მილიარდ დოლარად. რუსეთში მოიპოვება დაახლოებით 4,1 მლრდ. ტ. ქვანახშირი, მისი ფასი კი მსოფლიო ბაზრებზე აჭარბებს 60 დოლ. /ტ-ზე. ასე რომ, მისი ღირებულების შეფასება დაახლოებით 246 მლრდ. დოლარია.

რკინის მადნის მოპოვება უკვე დიდი ხანია სტაბილური გახდა 1 მლრდ. ტ-ის დონეზე. მსოფლიო ფასის სახით შესაფასებლად შეიძლება მივიღოთ 150 დოლ. /ტ-ზე. ეს კიდევ მოგვცემს 150 მლრდ. დოლარს. სიზუსტისათვის, აქ საჭიროა დავამატოთ კიდევ დაახლოებით 40 მლნ ტონა 70 სხვადასხვა სახის ფერადი ლითონების მადანი, რომლებიც შეფასებულია 200 მლრდ. დოლარად.

ამგვარად, პირველი ორი მნიშვნელოვანი ჯგუფის წიაღისეულის ჯამური ღირებულება — პირველადი ენერგიამატარებლებისა და ლითონის საბადოების — საეჭვოა ბევრად აჭარბებდეს 1,2 ტრლნ დოლარს. მსოფლიო მშპ 2000 წელს ტოლი იყო 31 ტრლნ დოლარის. მაშასადამე, ენერგიამატარებლების და ლითონის საბადოების ღირებულება ერთად შეადგენს მსოფლიო მშპ-ს მხოლოდ 3,8%-ს.

წიაღისეულის ესოდენ დაბალი ხვედრითი წილი მომგებიანია განვითარებული ქვეყნებისათვის, რადგან ისინი წარმოადგენენ მათ ძირითად იმპორტიორებს, ხოლო არახელსაყრელია განვითარებადი ქვეყნებისათვის, რომლებიც ძირითადად მათ ექსპორტირებას ეწევიან. ენერგიამატარებლების და ნედლეულის ბაზრებზე მიმდინარეობს გაუთავებელი და სასტიკი ბრძოლა მწარმოებლებს, რომლებიც წარმოდგენილნი არიან ძირითადად განვითარებადი ქვეყნების სახით, და მომხმარებლებს — განვითარებულ ქვეყნებს შორის. განსაკუთრებით ცხარე შეტაკებები მიდის ნავთობის ბაზრებზე, სადაც ექსპორტიორები გაერთიანდნენ ქვეყანა-ექსპორტიორთა კარტელში - ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციაში (ნექო), რომელიც მიზნად ისახავს ექსპორტიორებისათვის ხელსაყრელი ფასების მხარდაჭერას.

თუმცა, როგორც ანგარიშებიდან ჩანს, განვითარებულ ქვეყნებს ძალუძთ ნედლეულზე და ენერგიამატარებლებზე ფასების შენარჩუნება ძალიან დაბალ დონეზე, რაც მათთვის ფრიად ხელსაყრელია. ამის მისაღწევად ისინი იყენებენ შეთანხმებული ღონისძიებების კომპლექსს არსებული მარაგების ინტერვენციული გაყიდვის, შეთანხმებული შესყიდვების, ნავთობის და ლითონის ფიუჩერსების და ოპციონების ბაზრებზე გონიერი გავლენის, განვითარებად ქვეყნებზე პირდაპირი ზეწოლის თვალსაზრისით. ჩვეულებრივ პრაქტიკად იქცა ქვეყანა-ექსპორტიორისათვის ეკონომიკური და ტექნიკური დახმარების წარდგენის შეთანხმება მის ქცევასთან ნედლეულისა და ენერგია მატარებლების ბაზრებზე.

რატომღაა ენერგიარესურსების და ნედლეულის ბაზრების გარშემო ამდენი ხმაური, თუკი მათი ხვედრითი წილი შედარებით მცირეა? აქ მნიშვნელოვანია ის, რომ ეს რესურსები და მათი შესაბამისი ბაზრები, ასე ვთქვათ, კვლავწარმოების პირამიდის საფუძველთან არიან. მრეწველობის ყველა სხვა დარგი ემყარება ამ რესურსებს. ისინი იყენებენ და ამუშავებენ მათ, მრავალჯერ ზრდიან რა ნედლეულის საწყის ღირებულებას. გადამამუშავებელი მრეწველობა შეადგენს მეორე, კვლავწარმოების პირამიდის უფრო მძლავრ და ფართო ფენას. დაბოლოს, ამ პირამიდის წვერზე განლაგებულია მომსახურების და ფინანსური ბაზრები.

ეკონომიკური მსოფლიომოწყობის პარადოქსი მდგომარეობს იმაში, რომ კვლავწარმოების პირამიდა ფართოვდება ქვემოდან ზემოთ. იგი, ასე ვთქვათ, დგას თავის მწვერვალზე, რომლის სიახლოვესაც განლაგებულია ენერგიარესურსების და ნედლეულის ბაზრები, შემდეგ მოდის გადამამუშავებელი მრეწველობის უფრო ფართო ფენა, დაბოლოს, მასზე მრავალჯერ ჭარბი ფინანსური ბაზრები მომსახურების ბაზრებთან ერთად.

სურათზე 11.1 ცხადადაა ნაჩვენები მსოფლიო მეურნეობის თანამედროვე საბაზრო კონსტუქციის არამდგრადობა. ბაზრების ფასების და მოცულობების შედარებით მცირე რყევები პირამიდის დაბალ, სანედლეულო ნაწილში წამიერად იწვევს მრავალჯერად დიდ ცვლილებებს ზედა ფენებში. არასტაბილურობის ტალღა მოდის ქვემოდან ზემოთ და იწვევს ქარიშხალს ზედაპირზე, რომელიც წარმოდგენილია ფინანსური ბაზრებით. სინამდვილეში საქმე სწორედ ასეა. ბოლო წლებში ნედლეულსა და ენერგიამატარებლებზე ფასების მცირე ცვლილებები უცილობლად იწვევდა ფინანსურ ქარიშხლებს.



სურ. 11.1. თანამედროვე მსოფლიო სამეურნეო სისტემაში ძირითადი ბაზრების შესაბამისობა

განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკები ძირითადად განლაგებულია გადატრიალებული პირამიდის ქვედა ნაწილში, ხოლო განვითარებულის — ზედაში. პირამიდის ფენების ფართობები მკაფიოდ წარმოადგენენ ამ ჯგუფის ქვეყნების ბაზრების სიმძლავრეების და, შესაბამისად, მათი მშპ-ს შედარებით მოცულობებს.

მაშ ასე, მიუხედავად მსოფლიო მშპ-ში წიაღისეულის მცირე წილისა, მათი და მათი ბაზრების როლი მსოფლიო სამეურნეო სისტემაში უზარმაზარია. ისინი გავლენას ახდენენ ყველა სხვა ბაზარზე და განსაზღვრავენ

მათ ქცევასა და მდგრადობას. ამასთან დაკავშირებით, დროულია დავსვათ კითხვა: რამდენად მტკიცეა თანამედროვე მეგაეკონომიკის ფუნდამენტი, რომელიც საბოლოო ჯამში ეფუძნება ბუნებრივ, კერძოდ, წიაღისეულ რესურსებს? ან უბალოდ რომ ვთქვათ: ხომ არ არის დედამიწის რესურსული ბაზის სწრაფი ამოწურვის საფრთხე?

თუკი შევადარებთ თანამედროვე წიაღისეულის მოპოვებას მათ საერთო შემცველობას დედამიწის ქერქში, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ჩვენ მიწის წიაღისეული სიმდიდრეების კარი მხოლოდ შევაღეთ, თითქმის ყველა წიაღისეულის მოპოვების მოცულობა (ალბათ, ნავთობის გარდა) ათასჯერ და მილიონჯერ ნაკლებია მიწის ქერქში არსებულ მარაგებზე. თუმცა ყველა საბადოს დამუშავება ეფექტიანად არ შეიძლება თანამედროვე ტექნოლოგიის დონეზეც კი. ასეთი საბადოების მარაგებს სამრეწველოს უწოდებენ. სამრეწველო მარაგების მიმართება ყოველწლიურ მოპოვებასთან ტოლია იმ წლების რიცხვისა, რამდენზეც ეს საკმარისი მარაგები უნდა იყოს.

განსაკუთრებით საგანგაშო მდგომარეობაა, რა თქმა უნდა, ნავთობის მიხედვით, რომელიც საკმარისი იქნება მხოლოდ 45-50 წელი, შედარებით უკეთაა საქმე გაზთან — იგი უნდა გვეყოს 55 წელზე მეტხანს. შემდეგ მოდის სპილენძი — 60 წელი და ნიკელი — 75. შეშფოთება სხვა წიაღისეულის მარაგებზე, ვფიქრობთ, ნაადრევია. რკინის საბადოები გვეყოფა 200 წელი, ნახშირის კი — 600.

რა თქმა უნდა, ეს შეფასებები მიახლოებითია. ყოველწლიურად იცვლება მოპოვება და, ბუნებრივია, მძლავრ ცვლილებებს ექვემდებარება სამრეწველო მარაგების შეფასებაც. აქ საქმე მარტო წიაღისეულის გეოლოგიურ დაზვერვაში როდი მდგომარეობს, რომელიც მუდამ გვაძლევს აღმოჩენილი წიაღისეულის ნამატს, არამედ მოპოვების ტექნოლოგიის ცვლილებაში, ასევე, ნედლეულის გამდიდრებასა და გადამუშავებაში. ტექნოლოგიის სრულყოფა საშუალებას იძლევა გადავიყვანოთ სამრეწველოს თანრიგში ის მარაგები, რომელთა გადამუშავება ადრე ძალიან ძვირი და ეკონომიკურად არაეფექტიანი იყო.

არსებობს ერთი მნიშვნელოვანი გეოლოგიური კანონზომიერება.

> ნებისმიერი ელემენტის მარაგების დამოკიდებულება ნედლეულში მის პროცენტულ შემცველობასთან გამოიხატება ფუნქციით $1/x^2$, სადაც x — არის პროცენტი.

შესაბამისად, ტექნოლოგიური პროგრესის დროს, რომელიც საშუალებას გვაძლევს დავამუშავოთ სასარგებლო ელემენტების შემცველობის

მიხედვით ნაკლებად მდიდარი საბადოები, სამრეწველო მარაგები ძალიან სწრაფად იზრდება ტექნოლოგიურად მოპოვებული ელემენტების პროცენტის ნულისკენ მოძრაობისას. მაგალითად, ელემენტის სამრეწველო მარაგები მისი მადნის დამუშავებაზე გადასვლის დროს რამდენიმე მეათედი პროცენტის ნაკლები შემცველობით, შეიძლება გაიზარდოს მრავალჯერ.

სწორედ ამ კანონზომიერებით აიხსნება ის ფაქტი, რომ *უმეტესი წიაღისეულის სამრეწველო მარაგების შეფასებები დროთა განმავლობაში იზრდება, არსებული საბადოების ინტენსიური ექსპლუატაციის მიუხედავად. ეს გვინერგავს ზომიერ ოპტიმიზმს.*

11.3. მსოფლიო ენერგეტიკა და ენერგორესურსები

ენერგეტიკა ისე მტკიცედ დადგა ისტორიული განვითარების საჭესთან, რომ XX ს-ის ბოლოსაც კი, როცა უკვე ნათლად გამოიკვეთა ეკონომიკის ზრდის ენერგეტიკული ტიპის გლობალური შემზღუდველები, დაკავშირებული, უპირველეს ყოვლისა, ეკოლოგიასთან და მოწინავე პლანზე გამოვიდა გენეტიკა, კიბერნეტიკა და ინფორმატიკა, მის პირველობაში ცოტა ვინმე თუ დაეჭვდება.

მაშ რას წარმოადგენს თავისთავად *მსოფლიო ენერგეტიკა* ათასწლეულების მიჯნაზე?

მსოფლიოში ენერგორესურსების მოხმარება მუდმივად იზრდება (სურ. 11.2).



სურ. 11.2. ენერგორესურსების მოხმარების ზრდა

90-იან წლებში ჩამოყალიბდა მსოფლიო სათბობ-ენერგეტიკული ბალანსის (სებ) სტრუქტურა, რომელშიც წამყვან როლს უწინდებურად თამაშობს ნახშირი (33%) და ნავთობი (39%), თუმცა მათი წილი თანდათან კლებულობს (ცხრ. 11.1).

ცხრილი 11.1.

მსოფლიო ენერგიამატარებლების მოხმარება/წარმოების სტრუქტურა

ენერგიამატარებლები	1990	1995	2000	2015*
ნავთობი	39,4/41,8	39,4/40,4	38,0/39,8	35,0/36,1.
გაზი	23,7/22,9	23,6/23,1	23,4/23,4	28,1/27,7
ნახშირი	32,0/30,6	31,7/31,2	31,3/31,3	31,2/30,6
ატომური ელ. სადგურები	2,3/2,2	2,3/2,3	2,2/2,3	2,0/2,0
ჰიდრო ელ. სადგურები და სხვა ალტერნატიული წყაროები	2,6/2,5	3,0/2,5	3,3/3,2	3,7/3,6

* პროგნოზი

ნავთობის წილის მკვეთრი შემცირება მოხდა 70-იანი წლების ცნობილი ენერგეტიკული კრიზისის შემდეგ. მან პირველად მკვეთრად დააყენა კაცობრიობის წინაშე ენერგორესურსების და მათი საზღვრების ზრდის შეზღუდულობის პრობლემები. ამჟამად საკმაოდ სწრაფად იზრდება ბუნებრივი გაზის (დაახლ. 29% თბოელექტროსადგურები — თეს) მოხმარება, რომელსაც გააჩნია სხვა ენერგიამატარებლების წინაშე კონკურენტული უპირატესობანი, აგრეთვე იზრდება ჰიდროელექტროსადგურის (ჰეს) და ატომური ელექტროსადგურის (აეს) როლი (დაახლ. 5%). მართალია უკანასკნელნი იყვნენ მნიშვნელოვნად კომპრომეტირებულნი ჩერნობილის კატასტროფით.

სულ მსოფლიოში მოიხმარება დაახლოებით 12 მილიარდი ტონა პირობითი სათბობი, რომელშიც ითვლება ქვანახშირი. ენერგორესურსების დაახლოებით 40% მიდის ელექტროენერგიის გამომუშავებაზე. მსოფლიოს ელექტროსადგურებს, რომლებიც მუშაობენ სხვადასხვა ენერგოწყაროების საფუძველზე, გააჩნიათ საერთო სიმძლავრე 2500 ათასი მვტ და გამოიმუშავებენ დაახლოებით 12 ტრლნ კვტ. სთ/წელში.

ელექტროენერგიის 60%-ზე მეტი გამომუშავდება მრეწველურად განვითარებულ ქვეყნებში. რუსეთში, საფრანგეთსა და იტალიაში ელექტროენერგეტიკული სიმძლავრეების ძირითადი ნაწილი ეკუთვნის სახელმწი-

ფოს, აშშ-ში, იაპონიასა და დიდ ბრიტანეთში — კერძო კომპანიებს, ხოლო გერმანიაში კაპიტალის მიხედვით ძირითად როლს თამაშობენ სახელმწიფო — კერძო კომპანიები.

უმრავლეს განვითარებულ ქვეყანაში შექმნილია ერთიანი ენერგოსისტემები, თუმცა აშშ-ში, კანადაში, ჩინეთსა და ბრაზილიაში ისინი არ არსებობენ.

სულ მსოფლიოში წარმოებული ელექტროენერგიის 63% გამომუშავდება თბოელექტროსადგურებში (თეს), 20% — ჰესებში და 17% აეს-ებში. თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში ჰიდროელექტროსადგურების წილი მნიშვნელოვნად დიდია, მაგალითად შვეიცარიასა და ეგვიპტეში — 60%, შვეიცარიასა და ახალ ზელანდიაში — 90%, ხოლო ნორვეგიაში — პრაქტიკულად 100%. თბოელექტროსადგურებთან შედარებით, ჰიდროელექტროსადგურებს გააჩნიათ მნიშვნელოვნად ხანგრძლივი ექსპლუატაციის ვადები, დაბალი მწარმოებლური დანახარჯები, ენერგიის აკუმულაციის შესაძლებლობა, აგრეთვე, ისინი ეკოლოგიურად სუფთაა. პლანეტაზე ჰიდროენერგეტიკის რესურსების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ელექტროენერგიის წარმოების თანამედროვე დონე პერსპექტივაში შეიძლება იქნეს მიღწეული მხოლოდ ჰესების გამოყენებით ძირითადად ლათინური ამერიკის და აფრიკის ქვეყნების არსებული რესურსების ხარჯზე, რომელიც დღეს გამოყენებულია 10 და 5%-ის შესაბამისად.

აეს-ების სიმძლავრე ბოლო ოცი წლის განმავლობაში გაიზარდა 20-ჯერ. ატომური ენერგეტიკის ძირითად უპირატესობას წარმოადგენს ის, რომ ერთი კგ ბირთვული სათბობი (ურანი) შეიცავს იმდენ ენერგიას, რამდენსაც 250 ტონა ნახშირი. მოწინავე ქვეყნები, მიუხედავად „მწვანეთა“ გამუდმებული პროტესტისა, ატომური ენერგეტიკის გამოყენებას აფართოებენ, რომლის წილი წარმოებულ ელექტროენერგიაში აჭარბებს 20%-ს. აქ დამაჯერებლად ლიდერობს საფანგეთი (მთელი ელექტროენერგიის 73%). მას მოსდევს ბელგია (60%), შვეცია და სამხრეთ კორეა (43% თითოეულზე). რუსეთში აეს-ების წილი შეადგენს სულ 11,8%-ს.

ელექტროენერგიის წარმოებით რუსეთი ჩამორჩება მხოლოდ აშშ-ს. აქვს რა ელექტროსადგურთა ჯამური სიმძლავრე 205 ათასი მეგავატი. ელექტროენერგიის გამომუშავება შეადგენს დაახლოებით 820 მლრდ კილოვატ სთ-ს. ბოლო წლებში ელექტროენერგიის მოცულობის შემცირება დაკავშირებულია მისი შიდა მოხმარების შემცირებასთან ელექტროსადგურების დანადგარების ცვეთასთან.

ნავთობი თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთ საფუძველს წამოადგენს. ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ სულ რაღაც 100 წლის წინ მსოფლიო თითქმის სავსებით იოლად გადიოდა უნავთობოდ. ძველი ევროპის ეკონომიკური და პოლიტიკური სიმძლავრე ემყარებოდა ნახშირს, რომ-

ლითაც სავსე იყო კონტინენტის დასავლეთი ნაწილის წიაღი, ხოლო დიდი ბრიტანეთი კი, პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობითაც, დგას ნახშირზე, ტყუილად კი არ უწოდებენ მას „ნახშირის კუნძულს“.

მეორე მსოფლიო ომის წინ ნავთობის მოპოვების 9/10 მოდიოდა დასავლეთ ნახევარსფეროზე, ძირითადად აშშ-სა და ვენესუელაზე. ამბობენ, რომ იმ წლებში კუვეიტელი შეიხები ჩავიდნენ აშშ-ში თხოვნით, რომ დახმარებოდნენ მათ არტეზიული ჭაბურღილების გათხრაში აქლემების დასაწყულებლად. მათი სიტყვებით, სადაც კი არ დაიწყებდნენ თხრას ღმერთის მიერ მივიწყებულ მათ უდაბნოში, ყველგან მიწიდან იფრქვეოდა საზიზღარი შავი ლაფი. ამერიკელები დათანხმდნენ და დაეხმარნენ კიდეც, და ახლა კუვეიტში წყალიც და სხვა ყველაფერიც წესრიგშია. ამასთან პირველი მსოფლიო ომისშემდგომი 20 წელი განვითარებული ქვეყნები ახლოაღმოსავლეთის ნავთობს თითქმის უფასოდ ტუმბავდნენ.

პრაქტიკულად თითქმის მთელი ახლოაღმოსავლეთის ნავთობის მაკონტროლებელი საერთაშორისო ნავთობის კარტელი, რომელიც შედგებოდა განვითარებული ქვეყნების შვიდი ტეკ-ისაგან, ისწრაფოდა ნავთობის მოპოვების შემცირებისაკენ და სხვა ენერგიამატარებლების გამოდევნის ხარჯზე ბაზრების დაპყრობისაკენ. ომისშემდგომი 15 წლის მანძილზე ნავთობის ფასი დაეცა თითქმის 20% და 1960 წ. ჩამოვიდა 1,8 დოლ. /ბარელზე. ამის წყალობით 60-იან წლებში ნავთობის ბაზრის გაფართოება მოხდა 2-ჯერ, ხოლო გაყიდვამ 2 მილიარდ ტონას მიაღწია. 70-იან წლებამდე ნავთობზე ფასი იყო მნიშვნელოვნად დაბალი, ვიდრე სხვა ენერგიამატარებლებზე, რამაც ნავთობის სხვა უპირატესობებთან შედარებით (დიდი ეფექტიანობით მასის და მოცულობის ერთეულზე, დენადობით, წვის სისწრაფით, ტრანსპორტირების სიიოლით და ა. შ.) საშუალება მოგვცა მოკლე დროში ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების სათბობ-ენერგეტიკული ბალანსიდან გამოგვედევნა სხვა სახის სათბობი. 50-70-იან წლებში იაფი ნავთობის მიწოდებამ საშუალება მისცა მათ 3-ჯერ გაეზარდათ ენერგიის წარმოება, რითაც მოწინავე ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის სწრაფი სტიმულირება ხდებოდა.

ქვეყნებმა, სადაც ნავთობის ლომის წილი მოიპოვებოდა და გაჰქონდათ განვითარებულ ქვეყნებში, 1973 წელს მოახდინეს ნავთობის მოპოვების ნაციონალიზაცია და ტეკ-ებმა საერთაშორისო კარტელის საწინააღმდეგოდ შექმნეს ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების კარტელი. ნექო-ს მოქმედებამ, რომელიც მიმართული იყო ნავთობზე ფასის აწევისკენ, მიგვიყვანა შოკურ სიტუაციამდე, რომელსაც ეწოდა მსოფლიო ენერგეტიკული კრიზისი. საქმე ის იყო, რომ იმ დროისათვის განვითარებულ ქვეყნებს გაუჩ-

ნდათ იაფი ნავთობის მიღების ძლიერი სურვილი და განიცდიდნენ ძლიერ დამოკიდებულებას ენერგორესურსების საგარეო მიწოდებაზე.

მაგალითად, აშშ ნავთობზე თავისი მოთხოვნილების ნახევარზე მეტს ფარავდა იმპორტის ხარჯზე.

ქვეყანა-ექსპორტიორთა შეთანხმებული მოქმედებების შედეგად ნავთობზე ფასი საკმაოდ სწრაფად გაიზარდა, დაახლოებით 14-ჯერ (40 დოლ. /ბარელზე). ნავთობზე ფასების აწევას განვითარებულმა ქვეყნებმა ნავთობის მოხმარების მკვეთრი შემცირებით, ასევე ენერგიადამზოგავ ტექნოლოგიებზე და სხვა ენერგიამატარებლებზე გადასვლით უპასუხეს. ენერგეტიკული კრიზისის შემდეგ განვითარებულ ქვეყნებში გაძლიერდა ინფლაცია, რაც აქ ნავთობის გაძვირების ნიველირებას ახდენდა.

XX ს-ის მთელ ბოლო მეოთხედში მიმდინარეობდა ცხარე ბრძოლები ნავთობის ფასებისათვის. ნექო ცდილობს მოპოვების და მიწოდების გაკონტროლებას, ხოლო განვითარებული ქვეყნები ფასებზე მოთხოვნით, საკუთარი მარაგებით და თავისი საგარეო და ფულადი პოლიტიკით ახდენენ გავლენას.

ორიენტირებისათვის საჭიროა გვახსოვდეს, რომ *ნავთობის საერთო ყოველწლიური მოპოვება მსოფლიოში შეადგენს დაახლოებით 3,4 მლრდ ტონას და 1,5 მლრდ ტ. ნავთობის ნედლეული მიდის მსოფლიო ბაზარზე. ნექო-ს ქვეყნებში ახლა მოიპოვებენ დაახლოებით 1,5 მლრდ. ტონას.* ექსპორტის და მოპოვების მოცულობის ცვლილება ნექო-ს ძირითად რესურსს შეადგენს მსოფლიო ნავთობის ბაზრის რეგულირებაში.

რეგულირების მრავალწლიანმა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ყველა ქვეყნისათვის მისაღები ფასის მხარდაჭერა ფრიად რთული ამოცანაა. ნავთობზე ფასი ძალიან მგრძნობიარეა ან, როგორც ეკონომისტები ამბობენ, ელასტიკურია მოთხოვნის და მიწოდების მცირე ცვლილებებთან მიმართებაში. შედარებით მცირე, დაახლოებით 100-150 მლნ. ტ. წელიწადში (1,5-2 მლნ ბარელი/დღე), ცვლილებამ მოპოვების ლიმიტებში (საერთო მოპოვების სულ 3%), რომელსაც ადგენს ნექო, ან ანალოგიურმა ცვლილებებმა მოთხოვნაში, გამოწვეული, მაგალითად მკაცრი ზამთრით, შეიძლება მიგვიყვანოს ფასების ძალიან მნიშვნელოვან რყევებამდე (200%-მდე).

ნავთობის მეგაბაზარი, ისევე როგორც თანამედროვე მეგაბაზრების უმრავლესობა, დიდი ხარისხით რეაგირებს ახალ ამბებსა და ბაზრის მომავალი განვითარების პროგნოზებზე, ვიდრე მოცემულ მომენტში რეალურად არსებული მოთხოვნის და მიწოდების თანაფარდობაზე.

საკმარისია გავრცელდეს შეტყობინება იმაზე, რომ ნექო-ს ქვეყნებს სურთ საკითხის განხილვა მოპოვების კვოტების გადიდებაზე ან, რომ აშშ აპირებს გაყიდოს ნავთობის თავისი რეზერვების ნაწილი, ფიუჩერსების ფასი და მათთან ერთად სპოტ-ბაზრის ფასები სწრაფად დაიწყებს ხტომას ახალი ამბებით მითითებული მიმართულებით. ბაზრის ათასობით მოდელის ურთიერთმოქმედების შედეგად, რომელიც გამოყენებულია მისი სხვადასხვა მონაწილის მიერ, ხდება ფასების მოძრაობა. ასეთია ფასწარმოქმნის თანამედროვე მექანიზმი მეგაბაზრებზე.

დაბალი ფასების ხანგრძლივი პერიოდის (1998-1999 წწ.) და ნექო-ს ქვეყნების მიერ ნავთობის მოპოვების შემცირების შემდეგ, 2000 წელს ნავთობზე ფასმა აიწია 30 დოლარამდე/ბარელზე. ახლა უკვე ქვეყანა-იმპორტიორები საუბრობენ დაუშვებლად მაღალ ფასებზე და ყველა შესაძლებელი საშუალებით ცდილობენ მოპოვების ლიმიტების გაზრდას და ფასების შემცირებას. ყველა ექსპერტი თანხმდება იმ აზრში, *რომ* საშუალოვადიან პერსპექტივაში ფასი ეშვება 20-22 დოლ. /ბარელის დონეზე დაბლა. ისე ჩანს, თითქოს ეს ქვეყანა-ექსპორტიორთა გამარჯვებაა. თუმცა ფასის დინამიკის ანალიზის დროს, ჩვეულებრივ, არ ხდება დოლარის ინფლაციის გათვალისწინება. ხოლო *თუკი ფასებს გავზომავთ 1973 წ. შეპირისპირებულ ფასებში, მაშინ აღმოჩნდება, რომ ნავთობის ფასი დარჩა დაახლოებით 2 დოლ. /ბარელის დონეზე და განვითარებულმა ქვეყნებმა მაინც ვერაფერს მიაღწიეს.* თუმცა რომ არა მათი ბრძოლა, მაშინ ფასი ნავთობზე შემცირდებოდა კიდევ უფრო მეტად.

> განვითარებული ქვეყნების სახელმწიფოები, რომლებიც ნავთობის იმპორტს ეწევიან, ღებულობენ მისგან უფრო მეტ შემოსავალს, ვიდრე ქვეყანა-ექსპორტიორები, მიუხედავად იმისა, რომ ნავთობის მოპოვება იქ ჩვეულებრივ სახელმწიფოს საკუთრებაშია.

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში არის კიდევ ერთი სამწუხარო პარადოქსი ნავთობმომპოვებელი ქვეყნებისათვის.

როგორც ცხრილიდან 11.2 ჩანს, უპირველეს ყოვლისა, განვითარებულ ქვეყნებში განლაგებულია ნავთობის გადამუშავების ძირითადი სიმძლავრეები

ნავთობის გადამუშავებას განვითარებული ქვეყნებისათვის მოაქვს მნიშვნელოვანი შემოსავალი. გარდა ამისა. განვითარებული ქვეყნების სახელმწიფოები იღებენ მნიშვნელოვან შემოსავლებს ნავთობპროდუქტების აქციზებიდან. მხოლოდ აქციზები ხშირად აჭარბებენ ქვეყანა-ექსპორტიორთა შემოსავლებს.

ცხრილი 11.2

ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობის განთავსება

რეგიონები	ნავთობგადამმუ-შავებელი ქარხნე-ბის რაოდენობა	სიმძლავრე (ნედლეულის მიხ.) მლნ ტ.	ქარხნის საშუალო სიმძლავრე, მლნ ტ
ჩრდილოეთ ამერიკა	198	936	4,8
დასავლეთ ევროპა	113	708	6,3
აზია-წყნარი ოკიანის რეგიონი	138	740	5,4
აღმოსავლეთ ევროპა და დსთ	95	637	6,8
ლათინური ამერიკა	74	295	4,0
ახლო და შუა აღმოსავლეთი	42	266	6,3
აფრიკა	45	1413	3,43
სულ მთელ მსოფლიოში	705	3723	5,3

ნავთობზე ფასი წარმოადგენს მნიშვნელოვან მაჩვენებელს, რომელიც გავლენას ახდენს ყველა სანედლეულო საქონელზე. *თუკი თვალს გავადევნებთ ფასების მრავალწლიან დინამიკას გაზზე, ლითონების საბადოებზე, თავად ლითონებზე, მარცვლეულსა და თვით ოქროზეც კი, მაშინ აღმოჩნდება, რომ ირიბი ფასების ქცევა, მათი აღმასვლა და ვარდნა ძირითადად ემთხვევა. როგორც აღმოჩნდა, ეს ფასები არსებითად დაკავშირებულია ერთმანეთთან ან, სტატისტიკის ენაზე რომ ვთქვათ, კორელაციურ კავშირშია.*

ხანგრძლივვადიან პერსპექტივაში ფასების დინამიკა ბევრად იქნება დამოკიდებული ნავთობის მარაგებსა და მის ამოწურვაზე. *ნავთობის უტყუარი მარაგი შეფასებულია 140 მლრდ ტონად, ამასთან, ამ მარაგის თითქმის 80% არის ნექო-ს ქვეყნების წიაღში.* ნავთობის ყველაზე მეტი მარაგი თავმოყრილია საუდის არაბეთში (90 მლრდ. ტ.). მას მოსდევს ირანი და კუვეიტი (12 მლრდ ტ თითოეულს) და ა. შ. ჩვენი ქვეყნის წილად მოდის დაახლოებით მსოფლიო მარაგის 5%, რაც საკმაოდ მოკრძალებულია ესოდენ ვრცელი ტერიტორიისათვის. იმ დროს, როცა სსრკ-ის წილად 1990 წელს მოდიოდა ნავთობის მსოფლიო მოპოვების 20% (581 მლნ ტ, მათგან რსფსრ-ის წილად — 510 მლნ ტ) და ეს საკმაოდ მფლანგველობა იყო. ახლა რუსეთმა, მართალია, არა მომავალ თაობებზე ზრუნვით, შეამცირა მოპოვება 300 მლნ ტ-მდე, თუმცა არ შეუმცირებია საბჭოთა ექსპორტის დონე — დაახლოებით 100 მლნ. ტ.

მაშასადამე, რუსეთში მდებარეობს დაახლოებით 7 მლრდ. ტ ნავთობის დამტკიცებული მარაგი და მოიპოვება დაახლოებით 3000 მლნ ტ/წელიწადში. პროგნოზის მიხედვით, მოსაპოვებელი ნავთობის მარაგი შეფასებულია ზოგიერთი ექსპერტის მიერ 30 მლრდ ტონად და თუ ეს შეფასება სწორია, რისი დაჯერებაც შეიძლება რუსეთის ტერიტორიის სიდიდის გათვალისწინებით, იგი შეიძლება საკმარისი იყოს 100 წელი თანამედროვე მოპოვების პირობებში.

ახლა გადავიდეთ სხვა მნიშვნელოვან და ძალიან პერსპექტიულ ენერგიამატარებელზე — *გაზზე.* ბოლო 200 წლის მანძილზე ენერგიამატარებლებში გაბატონებული ადგილი თანმიმდევრობით ეკავა ხე-ტყეს, ნახშირს, ნავთობს და ბუნებრივ გაზს. ეკონომიკურ ევოლუციაში „გრძელი ტალღების" ანალიზის საფუძველზე მეცნიერთა გაკეთებული პროგნოზები ამტკიცებენ, რომ გაზის ეპოქა მხოლოდ იწყება და მისი წილი მაქსიმუმს პლანეტის ენერგობალანსში დაახლოებით 2030 წელს მიაღწევს.

ბუნებრივი გაზის მსოფლიო მოპოვება დაახლოებით 2,3 ტრლნ მ³-ს შეადგენს. რუსეთი უზრუნველყოფს საერთო — მსოფლიო მოცულობის დაახლ. 25%-ს, ხოლო აშშ — 23%-ს. ორ ლიდერს მრავალჯერ ჩამორჩენილი კანადა მოსდევს (6,7%), ნიდერლანდები (3,6%), დიდი ბრიტანეთი (3%), ინდონეზია (2,8%) და ალჟირი (2,5%). ყველა ეს სახელმწიფოები წარმოადეგნენ გაზის უმსხვილეს ექსპორტიორებს, რომლის დიდი ნაწილის ტრანსპორტირება ხდება გაზსადენებით (75%), ხოლო დაახლოებით 25% — თხევადი სახით.

ექსპორტზე მოდის მოპოვებული გაზის დაახლოებით 15%, ამასთან ექსპორტის 30%-ს ახორციელებს რუსეთი.

მსოფლიოში დაახლოებით 1 მლნ. კმ გაზგამტარი მაგისტრალია. უმსხვილესი სახელმწიფოთაშორისო გაზსადენებია კანადის პროვინცია ალბერტას და აშშ-ს შორის, ჰოლანდიის საბადო გრონინგენიდან გერმანიის, შვეიცარიის გავლით იტალიაში, ალჟირი-ტუნისი—იტალია, მთელი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, გერმანია, იტალია, შვეიცარია და ფინეთი რუსეთის გაზით მარაგდება გაზსადენების მეშვეობით.

რუსეთი წარმოადგენს ყველაზე მსხვილ სახელმწიფოს, რომელიც გაზის მარაგის თითქმის 40%-ს ფლობს. ახლო და საშუალო აღმოსავლეთის ქვეყნების წილი შეადგენს აგრეთვე დაახლოებით 40%-ს, ჩრდილოეთ ამერიკის — 5%-ს და დასავლეთ ევროპის — 4%-ს.

თხევადი გაზის უმსხვილესი მიმწოდებლები არის ინდონეზია, ალჟირი, მალაიზია და ბრუნეი, ხოლო იაპონია იყენებს თხევადი გაზის 66%-ს.

ენერგეტიკის წარსული და, როგორც ჩანს, არცთუ ისე შორეული მომავალი დაკავშირებულია *ნახშირთან,* რომლის მარაგი დედამიწაზე უზარმაზარია. მეცნიერთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ის აჭარბებს 20 ტრლნ. ტონას. ეს 10-ჯერ მეტია, ვიდრე ნავთობის და გაზის პოტენციური მარაგი

ყველაზე ოპტიმისტურ შეფასებებშიც კი. სულ პლანეტაზე თითქმის 3 ათასი ნახშირის აუზია. ლიდერობა ეკუთვნის ციმბირში ტუნგუსის აუზს (2 ტრლნ ტ), მას მოსდევს ლენის (1,5 ტრლნ ტ.). აღმოჩენილი ნახშირის მარაგები შეადგენს 1,6 ტრლნ. ტ-ს.

ნახშირი წარმოიქმნა ძველ მცენარეთა ხრწნის შედეგად. ამ მცენარეების ორგანული ნივთიერებების თანდათანობითი გარდაქმნა იძლევა საწვავი წიაღისეულის უწყვეტ სპექტრს: ტორფს, მურა ნახშირს, ქვანახშირს, ანტრაციტს, გრაფიტს. წიაღისეული ნახშირის 2/3, რომელიც მსოფლიოში მოიპოვება, მოდის ქვანახშირზე, ხოლო 1/3 — მურა ნახშირზე.

ნახშირის მოპოვება თანდათანობით მცირდება და ახლა იგი არც ისე ბევრად აჭარბებს 4 მლრდ. ტონას. ნახშირის მოპოვებაში დამაჯერებლად ლიდერობს ჩინეთი (28%). მას მოსდევს აშშ (22%), შემდგომ დიდი ჩამორჩენით — რუსეთი, გერმანია და ინდოეთი, რომლებიც მოიპოვებენ დაახლოებით 5-6%-ს. ექსპორტზე მოდის დაახლოებით 9% მოპოვებული ნახშირისა, რომელიც ექსპორტირდება ავსტრალიიდან, აშშ-დან, საარიდან და სხვა ქვეყნებიდან.

თანამედროვე პირობებში შახტური წესით მოპოვება არარენტაბელურია. ძველი საბადოების იოლადმისადგომი ფენები დამუშავებულია და ნახშირი, რომელიც მოიპოვება შახტებში, ვერ უძლებს ღია წესით მოპოვებულ ნახშირთან კონკურენციას.

ნახშირი განხვავდება ნავთობისაგან წყალბადის ნაკლები შემცველობით (ნავთობში დაახლ. 14%, ხოლო ნახშირში — 5%). უკვე ფართოდ გამოიყენება ნახშირიდან ხელოვნური ნავთობის მიღების ტექნოლოგია მისი წყალბადით გაჯერების გზით (ჰიდროგენიზაცია). ამგვარი ტექნოლოგიის წყალობით სარ-ში იწარმოება უკვე 10 მლნ ტ. ნავთობი. ამასთან 1კგ ნავთობის მისაღებად საჭიროა 3 კგ. ნახშირი. ნახშირის უზარმაზარი მარაგის გათვალისწინებით, შემდგომ პერსპექტივაში, შესაძლოა ველოდოთ ენერგეტიკაში ამ გამოცდილ სათბობთან დაბრუნებას და მისი მოპოვების არხების გაზრდას.

მიუხედავად ყველა დაბრკოლებისა და დროებითი წარუმატებლობისა, მომავალში გაიზრდება *ატომური ენერგეტიკის* წილი. ურანის მარაგები ძალზე დიდია. შეიარაღების დევნის შემცირებასთან დაკავშირებით შეიძლება გამოთავისუფლდეს უკვე გამდიდრებული სათბობის უზარმაზარი მარაგი. თუმცა ატომური ენერგიის თვითღირებულება, ნარჩენების უტილიზაციის და ნამუშევარი ენერგეტიკული ბლოკების დემონტაჟის დანახარჯების გათვალისწინებით, ჯერ კიდევ დიდია. გარდა ამისა, ჩერნობილის აეს-ის კატასტროფის შემდეგ საზოგადოებაში გაჩნდა ეჭვი ატომური ელსადგურების უსაფრთხოების მიმართ. ამიტომ საჭიროა ატომური სათბობის ახალი ეკონომიკური და უსაფრთხო ტექნოლოგიების გამოყენების შემუშავება.

II.4. საბადოები და მეტალურგია

ლითონები იყო და რჩება ძირითად მასალად წარმოების უმრავლეს სფეროში. მათი როლი კაცობრიობის ისტორიაში იმდენად დიდია, რომ მთელი ეპოქები იყო წოდებული ლითონების სახელების მიხედვით, რაც ცივილიზაციის განვითარების ეტაპებს განსაზღვრავდა — „ბრინჯაოს", „რკინის", აგრეთვე ლეგენდარული და აუხდენელი „ოქროს" საუკუნე.

XX ს-ის დასაწყისში *შავი მეტალურგიის* განვითარება სამრეწველო აყვავების ცალსახა ინდიკატორი იყო; მსოფლიო გამოდნობის 80%-მა კონცენტრირება მოახდინა რამდენიმე ქვეყანაში — აშშ-ში, გერმანიაში, დიდ ბრიტანეთსა და ბელგია-ლუქსემბურგში.

ამ ასწლეულის განმავლობაში მრეწველობის მოცემული დარგის გეოგრაფია მნიშვნელოვნად შეიცვალა. უმრავლეს განვითარებულ და მრავალ განვითარებად ქვეყანაში შავი ლითონის წარმოება ბევრჯერ გაიზარდა. მსოფლიო თუჯის (დაახლ. 560 მლნ. ტ.) და ფოლადის (დაახლ. 800 მლნ. ტ.) გამოდნობამ მაქსიმუმს მიაღწია 1989 წ-ს, რომლის შემდეგაც იგი შემცირდა თითქმის 10%-ით.

ძირითადი ამოსავალი ნედლეულით, რისგანაც მიიღება შავი ლითონი — რკინის მადანით - ყველაზე მეტად მდიდარია ბრაზილია, ავსტრალია, კანადა და დსთ-ის ქვეყნები (მათ შორის რუსეთი). მსხვილ მარაგებს ფლობენ, აგრეთვე, ინდოეთი, აშშ, შვეცია, საფრანგეთი, ვენესუელა, სარ. რკინის მადნების მსოფლიო მარაგები შეფასებულია დაახლოებით 400 მლრდ. ტონად.

80-იანი წლების ბოლოდან რკინის მადნების მოპოვება მიმდინარეობს 1 მლრდ ტ/წელიწ. დონეზე (90-იან წლებში: დსთ ქვეყნებში — 250 მლნ ტ., ბრაზილიაში — 145, ჩინეთში — 105, ავსტრალიაში — 96, აშშ-ში — 58, ინდოეთში — 52). მსოფლიოში რკინის მადნის უმსხვილეს ექსპორტიორებს წარმოადგენენ ბრაზილია (125 მლნ ტ), ავსტრალია (100 მლნ ტ-ზე მეტი), კანადა (30-45 მლნ ტ) და დსთ-ის ქვეყნები. ძირითადი იმპორტიორები რკინის მადანის ნედლეულისა არიან — იაპონია (150 მლნ ტ-მდე წელიწადში), გერმანია და აშშ.

რკინის მადნის თითქმის მთელ მეგაბაზარს (90-95%) აკონტროლებს რამდენიმე ტეკ-ია.

სულ მსოფლიოში იწარმოება დაახლოებით 750 მლნ. ტ. ფოლადი. გამოდნობის მძაფრი ზრდა შეჩერდა. თუკი 1950-დან 1970 წლამდე ფოლადის წარმოება გაიზარდა 3-ჯერ, შემდგომი 30 წლის განმავლობაში ენერგეტიკული კრიზისის მერე, ნამატს არ გადაუმეტებია 25%-თვის, ხოლო 90-იან წლებში აღნიშნულია წარმოების კლება. ეკონომიკის ლი-

თონტევადობა მუდმივად მცირდება და ფოლადს ავიწროებს სხვა ახალი მასალა.

შავი ლითონების წარმოების ჭარბი წილი, ისევე როგორც ადრე, თავმოყრილია განვითარებულ ქვეყნებში. ბოლო დრომდე პირველი ადგილები შავი ლითონების წარმოებაში ეკავა სსრკ-ს და აშშ-ს. თუმცა ახლა მათ გაუსწრო ჩინეთმა და იაპონიამ, დაახლოებით 110 მლნ ტ-ის წარმოებით თითოეულზე. მესამე ადგილზეა აშშ (79 მლნ. ტ.). რუსეთი რჩება მესამე ადგილზე მსოფლიოში. დასავლეთ ევროპაში ყველაზე მსხვილი მწარმოებლები არიან გფრ, იტალია, საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი.

ბოლო წლებში შავი მეტალურგია განსაკუთრებით სწრაფი ტემპებით ვითარდება ჩინეთში, ბრაზილიასა და სამხრეთ კორეაში. ფოლადის გამოდნობა ჩინეთში ბოლო 50 წლის მანძილზე გაიზარდა 40-ჯერ მეტად და გამოვიდა მსოფლიოში პირველ ადგილზე. ბრაზილიამ გაუსწრო დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს. სამხრეთ კორეა გაუთანაბრდა გერმანიას ფოლადის გამოდნობით.

არსებითად შეიცვალა წარმოების გეოგრაფია: იაპონიის და სამხრეთ კორეის, რომელთაც პრაქტიკულად არ გააჩნიათ საკუთარი სანედლეულო რესურსები, სანაპიროებზე განლაგებულია შავი მეტალურგიის მთელი სიმძლავრის 80%. მკაფიოდ გამოხატულია პირველადი წარმოების სწრაფვა დასავლეთ ევროპის ზღვისპირა ცენტრებისა და აშშ-სკენ. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში და იაპონიაში ძირითადად უარყოფილია ცნობილი მარტენები და მთელი ფოლადის 75%-ზე მეტი გამოდნობილია ჟანგბად-კონვერტორული მეთოდით.

შავი მეტალურგიის საბოლოო პროდუქტის წარმოება, უპირველეს ყოვლისა ორიენტირებულია შიდა ბაზრების სპეციფიკაზე. მაგალითად, აშშ-ში ტრადიციულად დიდია თხელფურცლიანი გლინვის წილი, რომელსაც იყენებენ საავტომობილო მრეწველობაში და საყოფაცხოვრებო აპარატურის წარმოებაში (მაცივრების, კონდიციონერების და ა. შ.), ხოლო იაპონიაში — საშუალო და მსხვილფურცლიანი გლინვა, რასაც დიდი ოდენობით იყენებენ გემთმშენებლობაში.

მსოფლიოში უმსხვილესი ექსპორტიორები გახდნენ (ძირითადად გლინვის და მილების სახით) იაპონია, გერმანია, ბენილუქსის ქვეყნები, იტალია, დიდი ბრიტანეთი და სამხრეთ კორეა.

რუსეთის შავ მეტალურგიაში დღეს ფუნქციონირებს დაახლოებით 200 კომპანია. დარგის ტექნოლოგიური ჯაჭვი მოიცავს სამთომომპოვებელ მრეწველობას, საკუთრივ მეტალურგიას, რომელიც ახორციელებს ძირითადად მეტალურგიულ გადანაწილებას: თუჯი — ფოლადი — გლინვა (რელსები, კოჭი, ფურცელი და ა. შ.) და მილის ქარხნები. თანამდევ წარმოე-

ბებს წარმოადგენენ მრეწველობის კოქსქიმიური, ფეროშენადნობის, ლითონის ნაწარმისა და ცეცხლგამძლე დარგები.

ჩვენი ქვეყანა სავსებით უზრუნველყოფილია შავი მეტალურგიისათვის აუცილებელი ნედლეულით (გარდა მარგანეცის მადნებისა, რომელიც არის უკრაინაში, ყაზახეთსა და საქართველოში). ნაძიები შავი მეტალურგიის მარაგები შეფასებულია მიახლოებით 2 ტრლნ დოლარად. ამასთან, მდიდარი მადნები ძირითადად შეიცავს 60%-მდე რკინას და ისინი გამდიდრებას არ საჭიროებენ, თუმცა კვლავ გრძელდება დამუშავება და არის რკინის ღარიბი საბადოები 20-30%-იანი შემცველობით.

რკინის მადნის უმსხვილესი საბადოები თავმოყრილია კურსკის მაგნიტურ ანომალიაში — კმა-ზე (დსთ-ის ქვეყნების ყველა რკინის მადნის 40%); ურალში (კანჩანარის საბადო); კარელიასა და კოლის ნახევარკუნძულზე (ოლენგორსკის და კოსტო-მუშსკის); დასავლეთ ციმბირში (მთის შორია); აღმოსავლეთ ციმბირში (ანგარო-პიტის, ანგარო-ილიმსკის საბადოები და აბაკანის); შორეულ აღმოსავლეთში (კიმკანეს და სხვ.).

რკინის მადნის მოპოვების დაახლოებით 80% ხორციელდება ღია წესით (მსხვილ კარიერებში 15-35 მლნ ტ/წ-ში სიმძლავრით).

რკინის მადნის მოპოვებითა და ლითონის წარმოებით რუსეთი 1913 წ. იკავებდა მსოფლიოში მეხუთე ადგილს (აშშ-ის, გერმანიის, ინგლისის დ საფრანგეთის შემდეგ). 1980-იან წლებში სსრკ მტკიცედ გამოვიდა მსოფლიოში პირველ ადგილზე. თუმცა რამდენიმე წელიწადში ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში ლითონის წარმოება, საერთო ვარდნასთან დაკავშირებით, შეეჯახა რა გადახდისუუნარო მოთხოვნას, შესამჩნევად შემცირდა.

XX ს-ის მეორე ნახევარში განვითარება და იწყო *ფერადმა მეტალურგიამ*, რომელმაც ნაწილობრივ შეზღუდა შავი მეტალურგია. ტექნოლოგიური პროცესის სტადიების მიხედვით ფერადი მეტალურგია აერთიანებს მოპოვებას და ნედლეულის გამდიდრებას, აგრეთვე ფერადი ლითონების და შენადნობების გამოდნობას. მძიმე ლითონების მადნები გამოირჩევა მადნებში ლითონის დაბალი შემცველობით) 1 ტ სპილენძის მისაღებად საჭიროა დაახლოებით 100 ტ. მადანი; 1 ტ. კალის მისაღებად საჭიროა - 300 ტ-ზე მეტი მადანი). 70-იანი წლებიდან ზრდა დაიწყო მეორადი ნედლეულის მნიშვნელობამ (გადადნობის შედეგად იწარმოება 1/5 კალა, 1/4 ალუმინი და თუთია, 2/5-მდე სპილენძი, 1/2 ტყვია). აგრეთვე ძლიერდება მომხმარებელზე ორიენტაცია.

დღეს ფერადი მეტალურგია აწარმოებს 70-მდე სხვადასხვა სახის ლითონს, თუმცა წარმოებული ლითონის მასის 96% მოდის ალუმინზე, სპი-

ლენძზე, თუთიასა და ტყვიაზე. ყველა 70 ლითონის სრულ ნაკრებს აწარმოებს მხოლოდ რუსეთი, აშშ, იაპონია და გფრ.

მსოფლიოში გამომუშავდება 20-22 მლნ ტ ალუმინი ჩამოყალიბებული კონიუნქტურის მიხედვით. ალუმინის გამოყენების ძირითადი სფეროებია ტრანსპორტი (27%), მშენებლობა (27%), ტარის დამზადება (19%), საყოფაცხოვრებო ტექნიკის წარმოება (10%).

ალუმინის წარმოების პირველი სტადია — ბოქსიტების მოპოვება — ორიენტირებულია ავსტრალიის, გვინეის და იამაიკის მდიდარ საბადოებზე. ავსტრალია ყველა ბოქსიტის თითქმის ნახევარს იძლევა (45 მლნ ტ), ერთ მესამედს მოიპოვებს გვინეა (17 მლნ. ტ.), იამაიკა (11 ტ.) და ბრაზილია (10ტ.). ბოქსიტები იმ ქარხნებში გარდაიქმნება ალუმინის ოქსიდად, რომლებიც იყენებენ მინერალურ სათბობს. ოქსიდის თითქმის ნახევარი, რომელსაც დასავლეთ ევროპაში იყენებენ, იწარმოება ორ ქარხანა-გიგანტში ირლანდიასა (ჩრდილოეთ ევროპის ალუმინის ქარხნებისათვის) და სარდინიაში (სამხრეთ ევროპისათვის). შემდგომი სტადია — ელექტროლიზი — საჭიროებს ენერგიის უზარმაზარ დანახარჯებს, ამიტომ ალუმინის ქარხნები განლაგებულია იაფი ენერგიის მქონე ტერიტორიებზე. ალუმინის წამყვანი მწარმოებლები მსოფლიოში არიან რუსეთი, აშშ, იაპონია, კანადა და გფრ.

ალუმინის ყველაზე დაბალი თვითღირებულება შეინიშნება კანადაში (1120 დოლ. /ტ.), ავსტრალიაში (1154) და საფრანგეთში (1232). მთლიანობაში რუსეთში 1 ტ ალუმინის წარმოების ღირებულება შეადგენს დაახლოებით 1500 დოლარს. თუმცა, გამოიყენა რა იაფი ენერგია და სამუშაო ძალა, 90-იან წლებში რუსეთმა დაიწყო მის მიერ წარმოებული ლითონის 80%-ის გატანა. საშინაო მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე მკვეთრად შემცირდა — 3 კგ-მდე, მაშინ როცა აშშ-ში და იაპონიაში ეს მაჩვენებელი 10-ჯერ მეტია.

სულ მსოფლიოში დაახლოებით 10 მლნ ტ *სპილენძის* გამოდნობა ხდება. *სპილენძის* მსხვილი მარაგები თავმოყრილია ჩილეში, ზიმბაბვეში, ზამბიაში, ზაირში, პერუში (განვითარებული ქვეყნებიდან - აშშ-ში, დსთ-ში და კანადაში). შავი სპილენძის გამოდნობა წარმოებს აშშ-ში, ჩილეში, იაპონიაში, ზამბიაში, ზაირსა და კანადაში. რაფინირებული სპილენძის მწარმოებლები არიან რუსეთი, აშშ, იაპონია, ჩილე, კანადა, ბელგია.

ისევე როგორც ნედლეულის უმრავლეს დარგში, სპილენძის კონცენტრატები მოიპოვება ძირითადად განვითარებად ქვეყნებში. რუსეთი და აფრიკა ამარაგებენ ევროპის სპილენძსადნობ წარმოებას. ჩილე და ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნები ორიენტირებულნი არიან აშშ-ზე, ხოლო

სპილენძის კონცენტრატით მდიდარი ახალი გვინეა და წყნარი ოკიანის აუზის ქვეყნები — იაპონიაზე.

სპილენძმომპოვებელ ტეკ-ებს გააჩნია დიდი ფინანსური ბრუნვა, ვიდრე სპილენძით ყველაზე მდიდარ ქვეყნებს, მაგალითად, ჩილეს სპილენძის საბადოების ნაციონალიზაციის მცდელობა ზაირსა (1960 წ.) და ჩილეში (1973 წ.), რომელთაც ერთობლივად ჰქონდათ სპილენძის მარაგის დახლოებით 50%, დამთავრდა ამის მსურველი მთავრობების და მათ ლიდერთა — პატრის ლულუმბას და სალვადორ ალიენდეს — დაღუპვით.

განხეთქილება ლითონის მომპოვებელ და მწარმოებელ ქვეყნებს შორის კარგად შეინიშნება *ტყვიის* გამოდნობის მაგალითზეც. ტყვიის მადნის მოპოვება ხდება რუსეთში, ავსტრალიაში, აშშ-ში, კანადაში, პერუში, მექსიკაში. ლითონის ყველაზე მსხვილ მწარმოებლებს შორის არ არის არცერთი განვითარებადი ქვეყანა — დომინირებენ აშშ, რუსეთი და დასავლეთ ევროპის ქვეყნები.

ფასებმა ტყვიაზე 1985 წლამდე აიწია, როცა მათ მიაღწიეს 1000 დოლ/ტ-ზე. თუმცა ბოლო წლებში ეკოლოგიური შეზღუდვების და მოთხოვნების გავლენის შედეგად ტყვიის მოხმარება მცირდება და ფასი მასზე ეცემა. ტყვიის მრავალი საბადო არარენტაბელური ხდება და იხურება.

ეკოლოგიურმა მოთხოვნებმა უკუზეგავლენა მოახდინეს *თუთიის* ბაზარზე. აღმოჩნდა, რომ იგი პრაქტიკულად არატოქსიკურია და მოთხოვნა მასზე ბოლო 10 წლის მანძილზე სწრაფად იზრდება. ამასთან დაკავშირებით, ფასი გაიზარდა 700-დან 1400 დოლარამდე/ტონაზე. თუმცა ახლახან გახსნილ და აქტიურად დამუშავებად უზარმაზარ თუთიის საბადოებს ირლანდიაში შეუძლიათ არსებითი გავლენა მოახდინონ ბაზარზე.

თუკი ზემოთ დასახელებული ფერადი ლითონების წარმოება გამოითვლება მილიონ ტონებში, *ნიკელის, კალის, მაგნიუმის — 100-დან 500 ათას ტონამდე*, კიდევ უფრო მცირე რაოდენობით გამომუშავდება იშვიათი ლითონები — 10 ათასი ტონიდან (ვოლფრამი) ათეულობით ტონამდე (გერმანიუმი).

> ფერადი ლითონების მადნების მეგაბაზრებს გააჩნიათ საკმაოდ მკაფიოდ გამოხატული ოლიგოპოლისის სტრუქტურა, როცა სამი-ხუთი ტეკ მეგაბაზრის სამ-მეოთხედს და მეტს აკონტროლებს.

სპილენძის, კალის და ბოქსიტების მეგაბაზრებზე პირველ ხუთ ტეკ-ას ყველაზე დიდი წილი (80%-ზე მეტი) აქვთ.

რუსეთს ფერადი ლითონების უმდიდრესი მადნების მარაგები გააჩნია. იგი ფლობს მნიშვნელოვან საწარმოო სიმძლავრეებს, რომელიც ერგო მემ-

ყვიდრეობით მას სსრკ-დან, რომელიც მრავალი ფერადი ლითონის მოპოვებით 80-იანი წლების ბოლოს მსოფლიოში ლიდერთა რიცხვში იყო. (ტყვიის მოპოვებით — პირველ ადგილზე, უსწრებდა რა კანადას, აშშ-სა და ავსტრალიას; ოქროს მოპოვებით — მეორე ადგილზე სარ-ის შემდეგ; თუთიის მოპოვებით — მეორეზე კანადის შემდეგ; ვერცხლის მოპოვებით — მესამე ადგილზე ჩილეს და აშშ-ის შემდეგ; ბოქსიტების მოპოვებით — მეხუთე ადგილზე).

ფერადი ლითონების მადანის მარაგი რუსეთში შეფასებულია 1,8 ტრლნ დოლარად. დარგის პოტენციალი ძალზე დიდია და ბოლო წლებში მასში დაიწყო მოსალოდნელი აღმავლობა.

ლითონების სფეროს მდგომარეობის ანალიზი მთავრდება *ოქროს* ბაზრის მოკლე მიმოხილვით. ეს ლითონი თამაშობს განსაკუთრებულ როლს კაცობრიობის ეკონომიკური განვითარების ისტორიაში. საუკუნეების განმავლობაში ოქროს მარაგით იზომებოდა ხალხთა და სახელმწიფოების სიმდიდრე. დღეს საქმის ვითარება თანდათან, მაგრამ კარდინალურად იცვლება, და ოქრო ხდება სულ უფრო ჩვეულებრივი საქონელი, რომლის ფასი განისაზღვრება მოთხოვნით, ძირითადად საიუველირო მრეწველობაში.

სახელმწიფოთა ოქროს მარაგები ჯამში შეადგენს დაახლოებით 31 ათას ტონას, ამასთან, ყოველწლიურად მოიპოვებენ 1-1,5 ათას ტონას. ბოლო დროს რიგი ქვეყნების ცენტრალური ბანკები თავისი ოქროს აქტივების მასირებულ ჩამოყრას შეუდგნენ. კერძო გაყიდვები (ერთი მესამედიდან ორ მესამედამდე) განახორციელეს ნიდერლანდებმა, ბელგიამ, ავსტრიამ, კანადამ, ავსტრალიამ, 1997 წ. არგენტინამ მთელი თავისი ოქრო — 125 ტ — გაყიდა.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ ბოლო 500 წელი ოქროს მსყიდველობითი უნარი სხვა საქონელთან მიმართებაში თითქმის უცვლელ რჩებოდა და ყოველთვის სწორდებოდა აღმავლობისა და ვარდნების შემდეგ.

ოქროს ფასი ტროისკის უნციაზე (31,1 გრ) არსებული სასაქონლო ფასის დონეზე — 380 დოლარია, იგი შეიძლება ჩავთვალოთ ისტორიულ ოპტიმუმთან ახლოს, ამიტომ გასაკვირი არაა, რომ იგი სტაბილური იყო დაახლოებით 5 წელი. დღეს დომინირებს ფაქტორთა ერთობლიობა, რომელიც მოქმედებს ფასდაკლებაზე, მაგრამ არსებობს იმის რწმენა, რომ რამდენიმე წლის შემდეგ სიტუაცია გამოსწორდება.

მუდმივად იზრდება მოთხოვნა ოქროზე საიუველირო მრეწველობის მხრიდან. ბოლო 10 წლის მანძილზე მისი წილი გაიზარდა 55-დან 85%-

მდე. შეიძლება იმის პროგნოზირება, რომ მძაფრი საიუველირო მოთხოვნის ზრდა გაგრძელდება.

მთელი კაცობრიობის ისტორიის მანძილზე მოპოვებული ოქროს 90%-ზე მეტი არის მარაგებში და ნებისმიერ მომენტში შეიძლება აღმოჩნდეს ბაზარზე. ესაა 120 ათასი ტონა, 31 ათასი ტონა ოფიციალური სახელმწიფო მარაგის ჩათვლით.

ლითონების ჯგუფის სააგენტოს „სტანდარტ ენდ ფუარს"-ის ანალიტიკოსის, ლ. ლაკრინას აზრით, მსოფლიოში ოქრო მოპოვების საშუალო თვითღირებულება შეადგენს 270 დოლ. ტროისკის უნციით. მოთხოვნა ამ მეგაბაზრზე ფრიად მგრძნობიარედ რეაგირებს ფასზე. მაგალითად, 1997 წ. ფასის დაკლებამ მეოთხედით 380-დან 280 დოლარამდე უნციაზე გამოიწვია სამომხმარებლო მოთხოვნის ზრდა 14%—ით, ე. ი. 500 ტ-ზე (ეს სიდიდე, ოქროს წარმოების ლიდერი - სარ-ის — მთელი წლიური მოპოვების ტოლია).

აზიურმა კრიზისმა გვიჩვენა, რომ ოქროს მარაგი არ იძლევა ქვეყნის მდგრადი ფინანსური მდგომარეობის გარანტიას. როცა დამთავრდა სავალუტო რეზერვები, ქვეყნის ცენტრალურმა ბანკებმა, რომლებიც მოხვდნენ სავალუტო კრიზისში, დაიწყეს ოქროს გაყიდვა და ბაზარზე ფასი უცებ დაეცა მინიმალურ დონემდე, ბოლო 20 წლის მანძილზე — 12-დან 9 დოლარამდე/გ. თუკი დადასტურდება ცნობა იმაზე, რომ შვეიცარიის ცენტრალური ბანკი აპირებს დაახლოებით 1400 ტ. ოქროს გაყიდვას, მაშინ ქვეყნების ოქროს მარაგი კიდევ უფრო გაუფასურდება, ამიტომ მომავალში ოქროს მოპოვება ორიენტირებული იქნება ძირითადად სამრეწველო მოთხოვნაზე, რომლის მდგრადი ზრდა შეიძლება დაბეჯითებით ვიწინასწარმეტყველოთ.

რუსეთში ოქროს მოპოვება დაიწყო XVIII ს-ის შუა ხანებში და ყოველთვის იყო სახელმწიფოს მკაცრი კონტროლის ქვეშ. დღეს ჩვენს ქვეყანაში ყოველწლიურად მოიპოვება 120 ტ. ოქრო. რუსეთს გააჩნია ოქროს მოპოვების ძალიან მაღალი პოტენციალი. ოქროს მარაგების 85% არის საბადოებში, ხოლო მოპოვების 80% ხორციელდება ქვიშობებიდან. მოწინავე ქვეყნებში ოქროს წარმოების გაფართოება საყოველთაოდ გამოყენებული ტექნოლოგიების საფუძველზე თვალუწვდენელ პერსპექტივებს ხსნის.

თავი 12

მსოფლიო მეურნეობის სასაქონლო რესურსები, სამომხმარებლო საქონლის და მომსახურების მეგაბაზრები

მოხმარების პრობლემები — რამდენი სჭირდება ადამიანს? სასურსათო რესურსები და ბაზრები. სასაქონლო რესურსები. ძირითადი სასაქონლო ბაზრების ევოლუცია. ლიბერალური მსოფლიო და რეგულირებადი ეროვნული ბაზრები. მაღალტექნოლოგიური საქონლის ბაზრები. შეიარაღების ბაზრები. მომსახურება იპყრობს ბაზრებს. მომსახურების რესურსები და ბაზრები. ინტელექტუალური რესურსები და მომსახურება. ტექნოლოგიების ბაზრები

ჩვენ იძულებული ვართ შევინარჩუნოთ კაპიტალიზმი, იმიტომ რომ იგი ფლობს გაფანტული ცოდნის გამოყენების უდიდეს უნარს.

ფ. ჰაიეკი

საბაზრო ეკონომიკაში ყველა ძირითადი რესურსი საქონელი ხდება. ყიდულობენ და ყიდიან არა მარტო სასარგებლო წიაღისეულს, მომსახურების და მოხმარების საქონელს, არამედ ბუნებრივ რესურსებს, მიწას, ფულს და სხვადასხვაგვარ უფლებას განსხვავებული ფინანსური ინსტრუმენტების ფორმით. იმავდროულად საქონელი, პირველ რიგში კი, სამოხმარებლო საქონელი ხდება უმნიშვნელოვანესი რესურსი. სხვადასხვა საქონლის და მომსახურების რესურსები მსოფლიო მასშტაბით მეგაბაზრების მიერ გადანაწილდება. ამ რესურსების კვლავწარმოება და მოძრაობა თანამედროვე ეკონომიკური სისტემის საფუძველს შეადგენს. ამ თავში განვიხილავთ სასაქონლო რესურსების ჯგუფებს, რომლებიც მიმართულია საბოლოო მოხმარებაზე.

12.1. მოხმარების და მართვის პრობლემები

საწარმოო საქმიანობის მიზანი ადამიანის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში მდგომარე-

ობს. ყველა მნიშვნელოვანი კვლავწარმოებითი ჯაჭვი სრულდება საქონლის მიღებით, რომელიც შეიძლება მოხმარებული იქნეს. ნორმალურ საბაზრო ეკონომიკაში ყველა საქონელი და მომსახურება უნდა აკმაყოფილებდეს ადამიანის მოთხოვნილებებს და რომელიღაც მომენტში, რაღაც ფორმით მის მიერ უნდა იქნეს ნაყიდი.

თუმცაღა ბაზარს არ ძალუძს ადამიანის ყველა მოთხოვნილების დაკმაყოფილება. რა თქმა უნდა, იგი შესანიშნავად უზრუნველყოფს მის (ადამიანის) მოთხოვნილებების ჩვეულებრივი სამომხმარებლო საქონლითა და მომსახურებით, მაგრამ ადამიანს სხვა სახის მოთხოვნილებებიც გააჩნია. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი უკავია უსაფრთხოების უზრუნველყოფას სრულიად სხვადასხვაგვარ ფორმებში: უსაფრთხოება გარეშე მტრისაგან, ბანდიტებისაგან და ხულიგნებისაგან, მოქალაქის ქონების დაცვა, სასურსათო, ეკოლოგიური, საინფორმაციო უსაფრთხოება და ა.შ. უფლებები ცხოვრების ყოველმხრივ უსაფრთხოებაზე ჩვეულებრივი შეტანილია უმეტესი ქვეყნების კონსტიტუციაში ან სხვა ძირითად კანონებში და ადამიანისთვის ამ უმნიშვნელოვანესი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ეკისრება სახელმწიფოს. საბაზრო ენით რომ ვთქვათ, *ქვეყნის მოსახლეობა ქირაობს სახელმწიფოს განსაზღვრული სახის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, რომელთა შორის წამყვან როლს თამაშობენ სხვადასხვაგვარი უსაფრთხოების ფორმები.* შეიძლება ითქვას, რომ ადამიანი უხდის სახელმწიფოს სხვადასხვა უბედურებისაგან თავდაცვის მომსახურებისათვის. იგი ამას აკეთებს გადასახადების და სხვა მოსაკრებლების გადახდით ქვეყნის ბიუჯეტში.

თავისი ფუნქციების განსახორციელებლად სახელმწიფო ხარჯავს საბიუჯეტო ფულს აუცილებელი საქონლის და მომსახურების შესაძენად სხვადასხვა საწარმოებისგან და, საბოლოო ჯამში, იმავე მოსახლეობისაგან. სინამდვილეში იგი მოსახლეობის ფულს გადაანაწილებს იმისათვის, რომ შეასრულოს მათივე შეკვეთები, რომლებიც დემოკრატიულ ქვეყნებში ყალიბდება არჩევითი ორგანოების მიერ ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ფორმით.

თუმცა სახელმწიფოს არ უყვარს თავისი არსებობის წყაროების წარმოშობის შეხსენება. იგი ცდილობს თავის გაიგივებას მთელ საზოგადოებასთან და თავისი მიზნების გასაღებას მისი განვითარების მიზნად. სახელმწიფოს მძლავრი იდეოლოგიური გავლენის წყალობით, მოსახლეობის უმეტესობას ექმნება შთაბეჭდილება, რომ სახელმწიფო — განსაზღვრული ამოცანების შესასრულებლად არა მის მიერ დაქირავებული აპარატია, არამედ ორგანო, რომელიც მოწოდებულია წარმართოს მისი საქმიანობა და

პასუხი აგოს ამ საქმიანობის შედეგებზე. სახელმწიფო, რომელიც ბიუროკრატიული ორგანიზაციების საერთო კანონებს ემორჩილება, სიამოვნებით იღებს თავის თავზე მისთვის უჩვეულო თავდაპირველ ფუნქციებს და იწყებს ყველას ხელმძღვანელობას.

ამგვარად, სახელმწიფო ხდება საქონლის და მომსახურების დამოუკიდებელი მომხმარებელი, ამასთან ივიწყებს რა, თუ ვინ მისცა ფული მათ შესაძენად და ვისი დავალებით მუშაობს იგი. თუკი საზოგადოება ამას არ ეწინააღმდეგება, მაშინ სახელმწიფო ცხოვრებას იწყებს თავისი საკუთარი სიცოცხლით. იგი თავად აყალიბებს განვითარების მიზნებს და მათი შესრულების გეგმებს. ამის შედეგად კი სახელმწიფოს მოთხოვნილებები მუდმივად იზრდება და გაბატონებას იწყებს კერძო პირთა მოთხოვნილებებზე. სახელმწიფოს როლის გაზრდასთან ერთად, რაც ეკონომიკის ორგანიზაციის სოციალისტური და მართვის დირექტიულ-საგეგმო სისტემებისთვისაა დამახასიათებელი, იგი ხდება არა მარტო საქონლის და მომსახურების ძირითადი მომხმარებელი, არამედ მათი ძირითადი მწარმოებელიც. ეკონომიკის სახელმწიფო სექტორი იზრდება და მრავალ შემთხვევაში შთანთქავს მთელ ეკონომიკურ სისტემას. მოხმარება, წარმოება და მართვა სახელმწიფოს მიერ მონოპოლიზდება და, ისევე, როგორც ნებისმიერი მონოპოლიზმის და ეკონომიკური კონკურენციის უქონლობის შემთხვევაში, ძალაუფლებისათვის ბრძოლა ეკონომიკურიდან გადაიქცევა აპარატულში, მოცემულ შემთხვევაში შიდასახელმწიფოებრივში. საქმიანობის ეკონომიკური სტიმულები თანდათანობით სუსტდება და ქრება, ხოლო ეკონომიკური სისტემა ბიუროკრატიზაციას განიცდის, მტკიცება, ჩამორჩება სხვა ქვეყნების დინამიკურად განვითარებულ საბაზრო მოდელებს და იშლება, რასაც ჩვენ თვალყურს ვადევნებდით XX ს-ის ბოლო მეოთხედში.

სახელმწიფო და კერძო მოხმარების შესაბამისობის სიბრტყეს ძირითადად საფუძვლად უდევს დირექტიულ-გეგმიურისგან საბაზრო ეკონომიკის განსხვავება. საბაზრო ეკონომიკის ცენტრში — ადამიანი და მისი მოთხოვნილებებია. ყველა დირექტიულ-საგეგმო სისტემაში მუდმივად ცხადდებოდა, გარეგნულად ძალზე მიმზიდველი, ასეთი ტიპის მიზანი: „ყველა დოვლათი ადამიანისათვის". თუმცა, სადაც არ უნდა განხორციელებულიყო ეს კეთილშობილური მიზანი — უზარმაზარ საბჭოთა კავშირში თუ პატარა კუბაზე, მოწინავე და ტექნოლოგიურად განვითარებულ გდრ-ში ან ჩამორჩენილ კამბოჯაში — შედეგი იყო ერთი და იგივე. პარტიულ-ბიუროკრატიული აპარატის მიერ მართული ეკონომიკა იწყებდა მუშაობას თავის თავზე (და, რა თქმა უნდა, აპარატზე) და ყველგან კვლავ აწარ-

მოებდა მეტ-ნაკლებად მსგავს თავისთავის მჭამელ მოდელს, რომელშიც რეალური ადამიანური მოთხოვნილებები ყოველთვის გვერდზე აღმოჩნდებოდა ხოლმე.

მაშ რა ხდება? ასეთ სისტემებში აპარატის მმართველ-მუშაკთა უმეტესობა ხომ სავსებით წრფელად ისწრაფვოდა პარტიების და ბელადთა მიერ დასახული კეთილშობილური მიზნების განსახორციელებლად. ამ კითხვაზე პასუხის მოძიება საჭიროა არა საბჭოთა წყობის სპეციფიკაში, არამედ ბიუროკრატიული ორგანიზაციების განვითარების უფრო ზოგად კანონზომიერებებში. ისინი ცნობილია როგორც პარკინსონის კანონები. მიუხედავად ამ კანონების გადმოცემის ირონიული სტილისა, ისინი წარმოადგენენ მმართველობითი ბიუროკრატიული სტრუქტურის განვითარების დაგროვილი გამოცდილების ღრმა განზოგადებას. მათ გარეშე შეუძლებელია ორგანიზაციების განვითარების შიდა მექანიზმების გაგება.

პარკინსონმა აღმოაჩინა, რომ *ორგანიზაციებს საერთო თვისებები გააჩნიათ, რომლებიც დამოკიდებული არაა მათ წინაშე მდგარ მიზნებსა და მათზე დაკისრებულ ფუნქციებზე. ნებისმიერი ბიუროკრატიული ორგანიზაცია იზრდება იმდენად, რამდენის საშუალებასაც აძლევს მას საგარეო პირობები.* ამგვარია ზოგადი კანონზომიერება. ეს კანონი ემპირიულად აღმოჩენილი დიდი ბრიტანეთის ადმირალიტეტის შესწავლისას, თანაბრად სამართლიანია საბჭოთ სამინისტროებისათვის და ამერიკის ტრანსეროვნული კორპორაციის მმართველობითი აპარატისთვის. თუკი ორგანიზაცია თუნდაც დროებით გამოვა საგარეო კონტროლიდან, იგი მაშინვე იწყებს გაფართოებას მისი ფუნქციების, მიზნებისა და სამუშაოს აუცილებელი მოცულობის მიუხედავად.

> ბიუროკრატიული ორგანიზაცია თავად პოულობს თავისთვის სამუშაოს და პარკინსონის მიხედვით, *ნებისმიერმა სამუშაომ, მისი მოცულობის მიუხედავად, შეიძლება თავისით შეავსოს მისთვის განკუთვნილი მთელი დრო.*

ეს პარადოქსული, მაგრამ ემპირიულად დადასტურებული და სავსებით სარწმუნო კანონზომიერებანი შეიძლება ბუნებრივად აიხსნას ეკონომიკური ძალაუფლების თეორიის პოზიციიდან. მართლაც, ბიუროკრატიულ სისტემაში ყოველი ჩინოვნიკის ძალაუფლება და მნიშვნელობა განისაზღვრება, უპირველეს ყოვლისა, ხელქვეითთა ოდენობით. ამიტომ ჩინოვნიკი დაინტერესებულია ხელქვეითთა გამრავლებით და მეტოქეთა რიცხვის შემცირებით, რომლებიც მის სავარძელზე, ან მომავალში სავარძელზე რანგით მაღლა პრეტენზიას განაცხადებენ. იგი მუდმივად ცდილობს თავისი ხელქვეი-

თების შტატის გაფართოებას, ხოლო მისი ხელქვეითები სწორედ ასევე ისწრაფვიან თავდაპირველად დაეპატრონონ, შემდეგ კი საკუთარი შტატი გააფართოვონ. ამგვარად ხდება ჩინოვნიკური პირამიდის ზრდა.

ამასთანავე ჩინოვნიკების დიდი უმრავლესობა სრულებით არაა ზარმაცი, პირიქით, მშრომელი ხალხია. იმისათვის, რომ შტატები გააფართოვონ, ისინი სავსებით წრფელად ყოფენ მათთვის დავალებულ სამუშაოს ცალკეულ კომპონენტებად, ინტუიციით ეძებენ რა საქმიანობის სულ ახალ-ახალ ასპექტებს. იმავეს აკეთებს ყველა. ჩინოვნიკები ერთმანეთს უზრუნველყოფენ სამუშაოთი. მართლაც, ბიუროკრატიული საქმიანობისას. ეს ძნელი არაა. ჩნდება უამრავი წერილი, ინსტრუქცია და ა. შ. ამასთან ყოველი ჩინოვნიკი სავსებით გულწრფელად დარწმუნებულია, რომ სწორედ მისი სამუშაოა ყველაზე მნიშვნელოვანი და საჭირო. ის თავისი საქმიანობის სფეროს აფართოებს, ფარულად ცდილობს რა თავისი გავლენის და ძალაუფლების გაზრდას, მაგრამ ამას ასაბუთებს საწარმოო აუცილებლობით. ასე ხდება ძალაუფლებისაკენ სწრაფვის კერძო ნება-სურვილთა ტრანსფორმირება ბიუროკრატიული ორგანიზაციების ზრდასთან ერთად.

ყოველი ეკონომიკური სისტემისათვის უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს თანაფარდობა სახელმწიფო მოხმარებისა და მოსახლეობის მოხმარებას შორის ქვეყნის მშპ-ში. თუკი სახელმწიფო მოხმარების წილი აჭარბებს რაღაც ზღვარს (დაახლოებით 60-70%-ს), მაშინ გასახელმწიფოებრიობის და შესაბამისად, ეკონომიკის გაყინვის საშიშროება წარმოიქმნება. ეს სახიფათო ზღვარი აღიმართა სსრკ-სა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებში, რამაც ისინი კრახამდე მიიყვანა. ამ ზღვარს მიუახლოვდა 10 წლის წინ შვეცია, მაგრამ მან დროულად შეამცირა სახელმწიფო ხარჯები და გადასახადები. როდესაც სახელმწიფო მოხმარების წილი კლებულობს 20%-მდე და უფრო დაბლა, სახელმწიფოს თანამედროვე პირობებში უკვე აღარ შეუძლია თავისი ფუნქციების შესრულება. აღნიშნულ ზღვრებში — 20-დან 70%-მდე — მდებარეობს უმეტესი თანამედროვე ქვეყნის სახელმწიფო მოხმარება. ამასთან, ლიბერალური ქვეყნები, მაგალითად, აშშ, აჩერებენ სახელმწიფო ხარჯებს 35%-ის ზღვრებში, ხოლო სოციალური ორიენტაციის ქვეყნებს — საფრანგეთს, იტალიას და სხვა მრავალ ევროპულ ქვეყანას — გააჩნია სახელმწიფო მოხმარება დაახლოებით 50%-ის ოდენობით.

საბაზრო ეკონომიკა ვითარდება ძირითადად ეკონომიკური ძალების გავლენით. სამომხმარებლო საქონლის არჩევანში ადამიანი თავისუფალია და მისი მოთხოვნილებები იმყოფება მთელი ეკონომიკური სისტემის შუაგულში. საწარმოები, პატარა დახლიდან დაწყებული უზარმაზარ ტეკ-მდე, იბრძვიან იმისათვის, რომ თავისი საქონელი გაყიდონ. ამ ფირმებში მარკე-

ტოლოგების დიდი რაოდენობა სწავლობს სხვადასხვა ჯგუფის ადამიანების მიერ სასაქონლო უპირატესობების მინიჭების საკითხებს. ეკონომისტებმა შეიმუშავეს მოსახლეობის მოთხოვნის სხვადასხვა თეორია და მოდელი. განვითარებულ ქვეყნებში სწორედ მოსახლეობის მოთხოვნა იმყოფება უმრავლესი ეკონომისტების ეკონომიკური მეცნიერების და პრაქტიკული საქმიანობის ყურადღების ცენტრში.

თუმცა მოთხოვნას მხოლოდ არ სწავლობენ. თანამედროვე ეკონომიკა აყალიბებს მას რეკლამის, მოდის და ა.შ. მექანიზმების საშუალებით. *ბაზარი მუდმივად საჭიროებს მოხმარებას და, თანდათან, ადამიანთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებიდან იგი გადავიდა მათ ჩამოყალიბებაზე.* საქონლის მწარმოებლები ეწევიან კონკურენციულ ბრძოლას გასაღების ბაზრისთვის, მომხმარებლისათვის. ესაა ბაზრის ინსტიტუტის ძირითადი ღირსება, მაგრამ აქვე იმალება დიდი საფრთხეც.

როდესაც მილიონობით მწარმოებელი ტელევიზიით, რადიოთი, გაზეთით დღედაღამ პროპაგანდას უწევს სხვადასხვა სახის საქონლის მოხმარებას, როდესაც ადამიანის წარმატება განისაზღვრება მისი კოლეგებით, მეგობრებით და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლით, ასევე მისი მოხმარების დონითა და ხარისხით, როცა გვხვდებიან და გაცილებენ ტანსაცმლის, ავტომობილის, სახლის მიხედვით და ა. შ., როცა თვალსაჩინო გამოხატულება და კრიტერიული შედეგი ეკონომიკური ძალაუფლებისათვის ბრძოლაში ხდება მოხმარების უფრო მაღალი დონის მიღწევა, მაშინ ჩნდება მთელი საზოგადოების სრულიად თავისებური მენტალიტეტი — მოხმარების საზოგადოების ჩამოყალიბება.

ადამიანი უკვე მოიხმარს არა იმას, რაც მისთვის აუცილებელია, არამედ იმას რაც პრესტიჟულია, მოდური. იგი აგზნებულია რეკლამით და მისი გავლენით შექმნილი საზოგადოებრივი აზრით, შებმულია უსასრულოდ მზარდი მოთხოვნების ეტლში. იგი უკვე აღარ მოიხმარს იმისათვის, რომ იცხოვროს, არამედ ცხოვრობს, რათა მოიხმაროს. როცა ადამიანებს არა აქვთ მოთხოვნილებები, მათ საქონლის და მომსახურების მწარმოებლები იგონებენ.

მოდით, გამოვთვალოთ, მაინც რა წილი უკავია საერთო მოხმარებაში ადამიანისთვის ნამდვილად აუცილებელ საქონელსა და მომსახურებას. ასეთი საქონლის და მომსახურების ჩამონათვალი, რომელიც მოიცავს, როგორც კვების და ყოველდღიური მოხმარების პროდუქტებს, ასევე ხანგრძლივი მოხმარების საქონელს (მაგალითად, სახლები, ბინები) და აუცილებელ მომსახურებას (მაგალითად, კომუნალური), საფუძვლად უდევს დღეს უმეტეს ქვეყანაში გამოთვლილ ე. წ. სასიცოცხლო მინიმუმს. იგი წარმოადგენს ადამიანიათვის აუცილებელ მინიმალურ თანხას, საკმარისს იმისათვის, რომ საკუთარი მოთხოვნილებები დაიკმაყოფილოს მინიმალურ დონე-

ზე. ასე მაგალითად, 2000 წელს ეს თანხა თვეში 850 რუბლს შეადგენდა ანუ დაახლოებით 30 დოლარს. ჩვენ არ ვისწრაფვით აქ სიზუსტისაკენ გამოთვლებში, უბრალოდ შეფასებას გაძლევთ მხოლოდ მიახლოებით. ჩვენი ქვეყანა დღეს საარსებო მინიმუმით წარმოადგენს მაგალითს მთელი მსოფლიო ეკონომიკისათვის. საშუალოდ მთელ პლანეტაზე საარსებო მინიმუმი დაახლოებით ამგვარივე იქნება. მისი თითქმის ორმაგად გაზრდით 50 დოლარამდე თვეში, მივიღებთ თანხას, რომელიც სრულიად საკმარისია ადამიანის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად კვებასა და პირველი აუცილებლობის საგნებში. სულ წელიწადში იქნება 600 დოლარი ადამიანზე, ხოლო მთელი დედამიწის ყველა მცხოვრებისათვის დაახლოებით 3,6 ტრლნ. დოლარი. გაგახსენებთ, რომ მსოფლიო მშპ ტოლია 31 ტრლნ დოლარის. მაშასადამე, აუცილებლობის ზევით მოიხმარება საქონელი და მომსახურება სულ მცირე 27 ტრლნ დოლარის ოდენობით.

ბაზარი თავისი დამოუკიდებელი ევოლუციური განვითარებით თვითონ ქმნის თავის არსებობის გარემოს, ახდენს რა მოსახლეობის მოთხოვნილებათა სულ ახალ-ახალ პროდუცირებას. ამით იგი ძალიან ემსგავსება თავის ძირითადად ოპონენტს — სახელმწიფოს.

> ბაზარი სახელმწიფოს კონტროლის გარეშე და სახელმწიფო წარმოდგენილი საზოგადოების კონტროლის გარეშე, როგორც წესი, ძალებით, რომლებიც ორიენტირებულია ბაზარზე, მიდრეკილი არის იმ მოთხოვნილებათა მუდმივი ზრდისაკენ, რომლებზეც იგი არის დაფუძნებული: ბაზარი — მოსახლეობის მოთხოვნილებებზე, ხოლო სახელმწიფო — სახელმწიფო დანახარჯებზე.

როგორც ერთი, ისე მეორე საშიშია. ბაზარი თვითგანვითარებაში ბადებს მოხმარების საზოგადოებას და უბიძგებს საზოგადოებას დახარჯოს მთელი თავისი რესურსები მოხმარების უსასრულო პირამიდის აგებაზე. ხოლო სახელმწიფო საზოგადოების კონტროლის გარეშე სწრაფად გადადის თავისი მოთხოვნილებების თვითმომსახურებაზე, ბაზრის ნიველირებითა და კერძო მომხმარებელთა ინტერესების უგულებელყოფით.

> სახელმწიფოც და ბაზარიც ცდილობს საზოგადოებას თავს მოახვიოს მისთვის ხელსაყრელი მენტალიტეტი და ქცევის და მოხმარების მოდელები. მხოლოდ საბაზრო და სახელმწიფო ძალთა წონასწორობის დროს მიიღწევა მოსახლეობის და სახელმწიფოს მოხმარების რაციონალური სტრუქტურა, მაგრამ ეს წონასწორობა — მუდმივი ბრძოლის წონასწორობაა და იგი მყიფეა.

ახლა გადავიდეთ საქონლის და მომსახურების ძირითადი ჯგუფების განხილვაზე.

12.2. სასურსაითო რესურსები და აბრარული მეგანასრები

ადამიანის სიცოცხლისათვის აუცილებელი საქონლის რიგში პირველი ადგილი უდავოდ კვების პროდუქტებს უკავია. ამასთან ერთად ამ პროდუქტების წარმოება შეზღუდულია უპირველეს ყოვლისა ბუნებრივი პირობებით. დაახლოებით 4,7 მლრდ. ჰა პლანეტის მიწის ფონდისა ანუ მისი ერთი მესამედი უკავია სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს, ე. ი. მიწებს, რომლებიც კაცობრიობის მიერ გამოიყენება კვების პროდუქტების საწარმოებლად. დანარჩენი ტერიტორია ესაა — მთები, უდაბნოები, ყინულოვანი ადგილები, ტბები, ტყეები და ა. შ.

დღესდღეობით მსოფლიოში სახნავზე მოდის ხმელეთის მთელი ფართობის 11% (1350 მლნ ჰა), ხოლო 24% (3335 მლნ ჰა) გამოიყენება მეცხოველეობაში, როგორც საძოვარი. მიუხედავად იმისა, რომ საძოვრები ხშირად იხვნება მარცვლოვანი და სხვა კულტურების მოყვანის მიზნით, მათი დანაკარგის კომპენსირებას ახდენენ ტყის გაკაფვის ხარჯზე.

მოსახლეობის სწრაფმა ზრდამ, მარტო ბოლო 50 წლის მანძილზე, გამოიწვია მსოფლიო მოთხოვნის გაზრდა სურსათზე 4-ჯერ. ეს ქმნის ჭარბ „დაწოლას“ განვითარებადი მსოფლიოს მჭიდროდდასახლებული რაიონების მიწებზე.

იმისათვის, რომ შევაფასოთ კაცობრიობის უზრუნველყოფა კვების პროდუქტებით, გავაკეთოთ მორიგი გამოთვლა. ცნობილია, რომ ადამიანს ნორმალური ცხოვრებისათვის წელიწადში ყოფნის 1 ტ მარცვლეული. ასეთი შეფასების დროს მემცენარეობის მთელი წარმოებული პროდუქცია გადადის მარცვლის ეკვივალენტში. ყოველი ტონიდან დაახლოებით 70% უნდა იხარჯებოდეს საკვებზე. თუკი მთელ მარცვლეულს შევაფასებთ 150 დოლ. / ტ-ზე, მაშინ მთელი მოსახლეობის სრულფასოვან კვებაზე საჭირო იქნება 900 მლრდ დოლარი ანუ მსოფლიო მშპ-ის 2%-ზე ნაკლები. თუმცა ადამიანთა მაძღრისად გამოკვება ჯერჯერობით ვერ ხერხდება. ერთ სულ მოსახლეზე მოდის დაახლოებით 300 კგ ხორბალი (მარცვალი), ხოლო იმას თუ გავითვალისწინებთ, რომ „ოქროს მილიარდი“ თავის ტონა მარცვალს ზუსტად ჭამს, მაშინ ნათელი ხდება, თუ რატომ არსებობენ ნახევრად მოშიმშილე ადამიანები ჩვენს პლანეტაზე, დაახლოებით 2 მლრდ., ხოლო 800 მლნ კი ნამდვილად შიმშილობს, ე. ი. დღეში 1700 კკალ-ზე ნაკლებს მოიხმარს.

ამასთან, მსოფლიოში სახნავი მიწების დაახლოებით ნახევარი გამოიყენება „გამოფიტვისათვის“, გონიერი დატვირთვის გადაჭარბებით. კაცობ-

რიობის მთელი ისტორიის მანძილზე განადგურებულია 2 მლრდ ჰა ნაყოფიერი მიწებისა, რაც რამდენჯერმე მეტია, ვიდრე სახნავი მიწების ამჟამინდელი ფართობი. ასე რომ, შიმშილობის საფრთხე, რომელზეც ფიქრს უკვე გადაეჩვივნენ განვითარებულ ქვეყნებში, მთლიანად მსოფლიოსათვის საკმაოდ აქტუალურია.

90-იან წლებში მსოფლიომ გადააჭარბა სიმბოლურ ზღვარს — ქალაქის მოსახლეობის 50%-ს. ახლა სოფლებში ადამიანთა 47% ცხოვრობს. მსოფლიო ბოლოს და ბოლოს აღარაა აგრარული, იგი ქალაქურ-ინდუსტრიულად გადაიქცა, იმავდროულად უკვე დიდი ხანია განვითარებულ ქვეყნებში საუბრობენ პოსტინდუსტრიულ განვითარებაზე, როცა მოსახლეობის დიდი ნაწილი დასაქმებულია არა მრეწველობაში, არამედ მომსახურების სფეროში.

დღეს უშუალოდ სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია დაახლოებით 1,1 მლრდ ადამიანი, ამასთან მარტო 20 მლნ კაცი მოდის განვითარებულ ქვეყნებზე. ბევრ განვითარებად ქვეყანაში სოფლის მეურნეობა კვლავ რჩება მოსახლეობის დიდი ნაწილის საქმიანობის სფეროდ.

ჩვენს ქვეყანაში მიღებულია ჩაითვალოს, რომ განვითარებულ ქვეყნებში ერთი ფერმერი აჭმევს 40-50 ადამიანს, ფორმალურად ადარებენ რა სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობას მოსახლეობის საერთო რიცხვს. მართლაც, მაგალითად, აშშ-ში მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობის მხოლოდ 2,5% არის დასაქმებული სოფლის მეურნეობაში. მაშასადამე, ყოველი ფერმერი თითქოსდა აჭმევს 40 ამერიკელს და კიდევ ცოტა პროდუქტი როდი რჩება საექსპორტოდ. თუმცაღა ასეთ გამოთვლებში არის ეშმაკობის რაღაც ნაწილი. ამერიკელი ფერმერი და ასევე სხვა განვითარებული ქვეყნებისაც მუშაობს სხვა პირობებში, ვიდრე ჩვენთან ან სხვა განუვითარებელ ქვეყანაში. გარდა იმისა, რომ იგი შესანიშნავადაა აღჭურვილი საკუთარი ტექნიკით, ამასთანავე ჰყავს ფირმების უამრავი მომსახურე პერსონალი, რომლებიც აკეთებენ რემონტს, მინდვრებს ამუშავებენ ქიმიურად, ასრულებენ სამელიორაციო სამუშაოებს და მოსავალსაც კი იღებენ, რომ აღარაფერი ვთქვათ მის გასაღებაზე. დასავლელი ფერმერი რომ გადავიყვანოთ რუსეთში თავისი ტექნიკითაც კი, იგი ერთ წელსაც ვერ გაატანს.

საქმე ისაა, რომ კვების პროდუქტების წარმოებით დაკავებულია არა მარტო სოფლის მეურნეობა, არამედ აგროსამრეწველო კომპლექსის (ასკ) კიდევ სამი სფერო: მრეწველობა, რომელიც სოფლის მეურნეობისათვის წარმოების საშუალებებს აწარმოებს; საწარმოები, რომლებიც სოფლის მეურნეობას ემსახურებიან (ქიმიური და ვეტერინარული მომსახურება, რემონტი, მელიორაცია და ა. შ.); გადამამუშავებელი მრეწველობა და

საწარმოები კვების პროდუქტების და ნედლეულის შესანახად, გადასაზიდად და გასასაღებლად. სოფლის მეურნეობა - ასკ-ის მეორე სფერო — არის, ასე ვთქვათ, მის შუაგულში. იგი წარმოადგენს ასკ-ის საფუძველს და კვების ყველა პროდუქტის პირველწყაროს, თუმცა მისი წილი საბოლოო პროდუქტის ფასში შედარებით მცირეა. თუკი მას ჩავთვლით 1-ად, მაშინ ტექნიკის მწარმოებლების ჯამური წილი საბოლოო ფასში იქნება 3-ჯერ, ხოლო გადამამუშავებლების 6-ჯერ მეტი, ვიდრე სოფლის მეურნეობის მწარმოებლებისა. ასე მიიღება ცნობილი თანაფარდობა 3:1:6, რომელიც გვიჩვენებს ასკ-ის საერთო შემოსავლის განაწილებას საბოლოო პროდულტის შექმნის ჯაჭვის მიხედვით. მაგალითად, თუ აშშ-ის სოფლის მეურნეობაზე მოდის მშპ-ის მხოლოდ 2%, მაშინ მთელ ასკ-ზე — დაახლოებით 18%.

თვით სოფლის მეურნეობის ასეთი მცირე წილი ყველა შემთხვევაში ობიექტურად აიხსნება ორი გარემოებით.

პირველი, კვების ძირითადი პროდუქტების დამოუკიდებელ მწარმოებელთა მნიშვნელოვანი რაოდენობა სოფლის მეურნეობაში განაპირობებს სასოფლო სამეურნეო პროდუქციის ბევრად უფრო მეტ კონკურენტუნარიანობას, სამრეწველოსთან შედარებით, თუ ბაზრის განსაზღვრულ სეგმენტში მოქმედებს ჩვეულებრივ ფირმების ბევრად მცირე რიცხვი.

მეორე, სოფლის მეურნეობის არახელსაყრელი მდგომარეობა საბაზრო სისტემაში დაკავშირებულია კვების პროდუქტებზე ობიექტურად არსებული მოთხოვნის სპეციფიკაზე, რომელიც განისაზღვრება XIX ს-ში აღმოჩენილი ენგელის კანონით. ამ კანონის თანახმად, შემოსავლების ზრდასთან ერთად ადამიანები შემოსავლის სულ უფრო მცირე ნაწილს ხარჯავენ კვებაზე. მართლაც, დღესდღეობით აშშ-ში, კანადასა და ავსტრალიაში კვებაზე იხარჯება შემოსავლის 2-10%, ევროპაში საშუალოდ დაახლოებით 20%, ხოლო განვითარებად ქვეყნებში 50-60%. შევნიშნავთ, რომ ჯერ კიდევ 25 წლის წინ აშშ-ში კვების პროდუქტებზე დანახარჯები 25%-ს შეადგენდა. ამასთან, კვების ძირითად პროდუქტებზე არსებობს სტატისტიკურად დადგენილი შემდეგი ტენდენცია: *პროდუქტის მოხმარება შემოსავლის ზრდისას იწყებს მატებას, მაგრამ შემდეგ აღწევს რა მაქსიმუმს, კლებულობს შემოსავლის შემდგომი ზრდის პირობებში.* როგორც ჩანს, ეს განპირობებულია მაღალი შემოსავლების მქონე მოსახლეობის ჯგუფების კვების განსაზღვრული სპეციფიკით, რომლებიც გამაჯანსაღებელი მიზნებით ხშირად ამცირებენ კვების საერთო კალორიულობას, აგრეთვე ნაკლებად მოიხმარენ ტრადიციულ პროდუქტებს, რომელთაც ცვლიან უფრო სასარგებლო სუბსტიტუტებით. აქედან წარმოიშვება სასურსათო პროდუქციის საკმაოდ დაბალი ელასტიკურობა შემოსავლის მიხედვით. მაგალითად, აშშ-ში

ჩატარებულმა სტატისტიკურმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ მთლიანობაში ფერმერების პროდუქციის მიხედვით ელასტიკურობის კოეფიციენტი 0,2-ს შეადგენს, ხოლო ყველა სასურსათო საქონლის განხილვისას იგი იზრდება მხოლოდ 0,6-0,7-მდე.

სოფლის მეურნეობის ზემოთ აღწერილი თავისებურებებიდან გამომდინარეობს *სოფლის მეურნეობაში შემოსავლების დაცემის ტენდენცია.* იგი ასახავს სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე ფასების საკმაოდ თავისებურ ქცევას. შემოსავლების ზრდისას მომხმარებელთა მოთხოვნა სოფლის მეურნეობის პროდუქტზე, ენგელის კანონის თანახმად, მხოლოდ უმნიშვნელოდ იზრდება. თუმცა ზემოთ აღნიშნული მაღალი კონკურენტუნარიანობა და მწარმოებელთა მრავალრიცხოვნება აიძულებს მათ გაზარდონ წარმოება იმ დონემდე, რომ ახალი წონასწორული ფასი წინაზე ნაკლები გახდეს. ამის შედეგად მათი საერთო შემოსავალი მცირდება. თეორიულად ეს ტენდენცია დამტკიცებული და სტატისტიკურად დასაბუთებულია. სწორედ ეს განაპირობებს ობიექტურად დისპარიტეტის წარმოშობას სოფლის მეურნეობის და სამრეწველო პროდუქციის ფასებში და უბიძგებს განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებს მუდმივი ძალისხმევა გამოავლინონ ფერმერთა მხარდასაჭერად.

ფასების დისპარიტეტის პრობლემა თავს იჩენდა პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში სხვადასხვა პერიოდში. პირველად საუბარი დისპარიტეტზე აშშ-ში 1933 წელს დაიწყო. მაშინ მიღებულ იქნა „სოფლის მეურნეობის რეგულირების შესახებ კანონი", რომელშიც გაჩნდა ტერმინი „პარიტეტული ფერმერული ფასი". დისპარიტეტი ყოველთვის განისაზღვრება რომელიღაც პარიტეტის მიმართ, რომელსაც თითქოსდა ადგილი ჰქონდა წარსულში რაღაც საბაზრო პერიოდში ან არსებობდა ეტალონურ, უმეტესწილად უცხოურ ტერიტორიაზე. ზემოაღნიშნულ კანონში საბაზრო პერიოდის სახით 1910-1914 წლებში იქნა მიღებული, როდესაც, კანონმდებლების აზრით, სასურსათო ბაზრებზე, ჯერ კიდევ შედარებით თავისუფალ და სუსტადმონოპოლიზებულ ბაზრზებზე, ჩამოყალიბდა „სამართლიანი" საფასო პროპორციები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ გაფართოებული კვლავწარმოების შესაძლებლობას ფერმერული მეურნეობებისათვის. კანონი აცხადებდა ამ პროპორციებთან დაბრუნების აუცილებლობას, განსაზღვრავდა ცვალებადი დისპარიტეტის გამოთვლის მეთოდიკას, ასევე მექანიზმებს მის დასაძლევად. 30-იან წლებში დაწყებული სახელმწიფო რეგულირების ზომების გატარების შედეგად, აშშ-მა შეძლო სოფლის მეურნეობა გამოეყვანა შედარებით მდგრადი განვითარების გზაზე, რომელზეც დღემდე წარმატებით მიდის.

თუმცა ბოლო ათწლეულში ფასების პარიტეტი აღნიშნული გაგებით არსებითად ირღვევა. ასე მაგალითად, 50-იანი წლების აშშ-ის ფერმერული ფასები, რომლებიც 101%-ს შეადგენდა საბაზო პერიოდთან (1910-1914 წწ.) ახლა შემცირდა 50%-მდე. კომბაინის მარცვლეულის „ფასი" (მარცვლეულის რაოდენობა, რომელიც აუცილებელია გაყიდოს ფერმერმა, რათა მარცვლეულის ასაღები მანქანა იყიდოს) შეიცვალა 160 ტ-დან 60-იანი წლების შუაში 900 ტ-მდე 90-იან წლებში.

რუსეთში ამჟამად ფასების დისპარიტეტის პრობლემა მწვავედ დგას. დისპარიტეტს პრაქტიკულად აღიარებს ყველა, მაგრამ საბაზო პერიოდის არჩევის არასაკმაო სამეცნიერო დასაბუთების გამო, რომლის საფუძველზეც განისაზღვრება დისპარიტეტის დონე, ამასთან, პარიტეტის აღდგენის მექანიზმების არასრულყოფილება, ამ გზაზე მნიშვნელოვან სიძნელეებს გამოიწვევს.

თანამედროვე სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვან ტენდენციას მიწის და აგრარული კაპიტალის კონცენტრაცია წარმოადგენს. მაგალითად, აშშ-ში ითვლიან სულ 47 ათას მსხვილ ფერმას (საერთო რიცხვის 2,4%-ს), მაგრამ ისინი უზრუნველყოფენ სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვათა მთელი მოცულობის 46%-ს, 75 მლრდ დოლარზე მეტ თანხას წელიწადში.

აშშ-ის კონგრესის ექსპერტების აზრით, 2001 წლისათვის 50 ათასი უმსხვილესი მეურნეობა უზრუნველყოფს ქვეყნის მთელი სოფლის მეურნეობის პროდუქციის 75%-ს.

სოფლის მეურნეობის ზემოაღწერილი კანონზომიერებანი, ტენდენციები და თავისებურებანი საერთოა უმეტესი ქვეყნებისათვის. თუმცა განვითარებულმა ქვეყნებმა იპოვეს ბაზრის რეგულირების ეფექტიანი ხერხები სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და მათი ინტერესების პრიორიტეტების უზრუნველსაყოფად, გლეხისათვის ძალიან ბევრ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხებზე. როგორც მათი გამოცდილება გვიჩვენებს, სოფლის მეურნეობის პროდუქტების საერთო ფასში წილის ზრდის გზა კოოპერაციის სფეროში ძევს. აშშ-ის ფერმერული კოოპერატივები აკონტროლებენ საწარმოო-მომმარაგებლურ და გასაღების მომსახურების ერთ მესამედს, რომლებიც ფერმერებისთვისაა აუცილებელი. შვედური რძის კოოპერატივი „არლა" აერთიანებს შვეციის რძის მწარმოებელთა საერთო რიცხვის 55%-ს, ხოლო მისი წილი რძის პროდუქციის რეალიზაციაში ქვეყანაში გაყიდვების 60%-ს აღწევს. საფრანგეთის რძის კოოპერატივთა კავშირი „სოდიმა" 10 მსხვილ სარძეო კოოპერატივს აერთიანებს, 80 ათასი წევრით. კანადაში მარცვლეულის უმსხვილესი კოოპერატიული კავშირი — სასკიჩევანის ხორბლის საწყობი — აერთიანებს დაახლოებით 70 ათას ფერმერს, იგი ფლობს 600

ადგილობრივ და ექვს ტერმინალურ ელევატორს ქვეყნის პორტებში, რომლებზეც გადის კანადის მთელი საექსპორტო მარცვლეულის 35%.

ფერმერთა ასოციაციები გონივრულად ლობირებენ მათ ინტერესებს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებში. ისინი იცავენ ფერმერთა ინტერესებს პრობლემათა ყველა სპექტრის მიხედვით. მაგალითად, როდესაც ერთ-ერთი ცნობილი აშშ-ის ტელეწამყვანი ტელეშოუს დროს გამოვიდა ჰოთ-დოგის წინააღმდეგ, რამაც მათი მოხმარების მკვეთრი შემცირება გამოიწვია, ტეხასის შტატის ფერმერთა ასოციაციამ შეიტანა სარჩელი სასამართლოში რამდენიმე ათეულ მილიონ დოლარზე ანტირეკლამის შედეგად ფერმერებისათვის მიყენებული ფინანსური ზარალისათვის.

გადავიდეთ ასკ-ის დარგობრივ ანალიზსა და ძირითად აგრარულ მეგაბაზრებზე. პრაქტიკულად მსოფლიო აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა სექტორში გაბატონებულნი არიან მსხვილი ტრანსეროვნული კორპორაციები, რომლებიც ჩვეულებრივ აკონტროლებენ 40-დან 80%-მდე ეროვნულ და მსოფლიო აგრარულ ბაზრებს.

სწრაფი ტემპებით ხორციელდება წარმოების კონცენტრაცია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციი წარმოების უზრუნველმყოფელ ასკ-ის პირველ სფეროში. მასშტაბიდან ეკონომია მნიშვნელოვან როლს თამაშობს სასუქების წარმოებაში, ამიტომ ამ დარგისათვის დამახასიათებელია მცირე რაოდენობის მსხვილი ფირმების არსებობა, რომლებიც დიდი ოდენობის წვრილ საწარმოებთან თანაარსებობენ, ისინი ნარევს აწარმოებენ, რომლებიც ადგილობრივი მასშტაბით მოქმედებს. ორი უმსხვილესი ევროპული კომპანია — „კემირა“ და ნორვეგიიდან მართული ფირმა „ნორსკ ჰიდრო“ — სპეციალიზდება სასუქების წარმოებაზე. ფილიალები მათ რამდენიმე ევროპულ ქვეყანაში აქვთ. სხვა ფირმებს შორის გამოიყოფა „ბესფ“ (გერმანია), „გრანდ პარის“ (საფრანგეთი), „ენიჰემ“ (იტალია), „ფესა“ (ესპანეთი).

სასოფლო-სამეურნეო ქიმიკატების სხვა ბაზარი, რომელთაც ჰერბიციდები, ფუნგიციდები, ცხოველთა დაავადებებთან (ანტიბიოტიკები, პარაზიტებთან საბრძოლველად წამლები, ვაქცინები და ა. შ.) ბრძოლის საშუალებები, საკვები დანამატები (ვიტამინები, კონსერვანტები, ზრდის სტიმულატორები და სხვ.) და მცენარეთა ზრდის რეგულატორები მიეკუთვნება, მსოფლიო ხასიათისაა. აქ გაბატონებულია უმსხვილესი ტეკ-ების მცირე რაოდენობა (ძირითადად ქიმიკატების მწარმოებლები დიდი ასორტიმენტით, რომელთა შორის სასოფლო-სამეურნეო ქიმიკატები ჩვეულებრივ არც ისე მნიშვნელოვან როლს თამაშობენ). მსოფლიოში წამყვან მწარმოებლებს მიეკუთვნება:„ამერიკან სიანამიდ“, „მონსეტინფო“ და „დეუ“ (აშშ), „კიბა ლეიდი“ და „სენდორ“ (შვეიცარია), „ზენეკა“-ს განყოფილება „აი-

სი-აი"-ის კომპანიაში (დიდი ბრიტანეთი), „არგ ევო", „ბაიერი" და „ბასფ" (გერმანია), აგრეთვე „რონი-პოლენკ", რომლებიც სახელმწიფო საკუთრებაში იმყოფებიან და „დუ პოინტ" (საფრანგეთი).

წარმოების კონცენტრაცია ამ სფეროში გრძელდება. მაგალითად, „არგ ევო"-ს კომპანია წარმოიშვა 1993 წელს გერმანული ფირმების „ჰოესტი" და „შერინგ" აგროქიმიური განყოფილებების შერწყმის შედეგად. 1993 წელს ნიდერლანდებიდან მართვადი ტეკ „როიალ დატჩ შელი" დათანხმდა გადაეცა თავისი საწარმოები, აგროქიმიკატების გამოშვებას რომ ახდენს, „ამერიკან სიანამიდ"-ის კომპანიისათვის. კომპანია „კიბა-ლეიდი" წილი მსოფლიო ბაზარზე შეფასებულია 13%-ად, მას მოსდევ „მონ-სანტო" - 9% და „ბაერი" და „ბასფ" — 7,7%-ით თითოეულისათვის. ინსექტიციდების მსოფლიო ბაზარზე „ბაიერ"-ზე მოდის 14%: მას მოსდევს „რონი-პოლენკ" — 10%, „ფმს" და „ჰოესტი" — 5% თითოეულს. ფუნგიციდების მიხედვით ძირითად კომპანიებს წარმოადგენენ „ბაერი" (მსოფლიო ბაზრის 18%), „კიბა-ლეიდი" (14%), „რონი-პოლენკ" (10%), „დუ პოინტ" (18%). „ბასფ" და „სენდორ" (5% თითოეულს).

სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოებაში წამყვან როლს თამაშობენ მსხვილი ტეკ-ები, ამასთან ზოგიერთი მათგანი წარმოადგენს მსუბუქი და სატვირთო მანქანების მწარმოებელს, წარმოების კონცენტრაციის პროცესი აქ გრძელდება. ფირმა „ფიატ"-ის მიერ „ფორდ"-ის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების შეძენის შედეგი გახდა კომპანია „ნიუ ხოლანდ"-ი. ახლა იგი მსოფლიოში სასოფლო-სამეურნეო მანქანათა უმსხვილეს მწარმოებელს წარმოადგენს; იგი უსწრებს ორ ამერიკულ ფირმას — „ჯონ ფიარ" და „ქეიზ ინტერნეიშნლ ჰარვესტერ", რომლებმაც ამჟამინდელ ზომებს მიაღწიეს წარსულში შერწყმათა შედეგად. მეორე ამერიკულმა ფირმამ „არკო", რომელიც 1990 წელს შეიქმნა, უკვე შთანთქა რამდენიმე სხვა ფირმა, რომლებიც ამ სფეროში მუშაობენ. ასე მაგალითად, 1994 წელს მან შეიძინა ფირმა „მესი ფერგიუსონ"-ის ევროპული სამრეწველო განყოფილება და მისი დილერული ქსელი, რომელიც გაფანტულია მთელ მსოფლიოში. ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოებაში დომინირებენ სამამულო კომპანიები: „ფიატ"-ი და „სეიმ" იტალიაში, „დორ" და „ფენდტ"-ი გერმანიაში, „რენო" საფრანგეთში. ფირმა „რენო", რჩება რა დამოუკიდებელი, აქვს ხელშეკრულება თანამშრომლობაზე „ჯონ ფიარ"-სა და „მესი ფერგუსონ"-თან.

ეკ-ის ქვეყნების ამ სექტორში დასაქმებულია დაახლოებით 2,4 მლნ,. კაცი. მხოლოდ გერმანიაზე მოდის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის პროდუქციის ღირებულების 45% ეკ-ში, რომელიც სასოფლო-სამეურნეო მანქანების მსხვილ ნეტო-ექსპორტიორს წარმოადგენს.

მსოფლიო სატრაქტორო პარკში დაახლოებით 27 მლნ მანქანაა, ამასთან, დაახლოებით 70% მოდის განვითარებულ ქვეყნებზე. აქ უკვე შეწყდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რაოდენობრივი ზრდა, ვინაიდან შემზღუდველი ცოცხალი შრომა ხდება. ახლა განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სასოფლო-სამეურნეო მანქანების ხარისხობრივ მახასიათებლებს.

თესლის წარმოებაც აგრეთვე მნიშვნელოვანწილად მოხვდა მსხვილი ტრანსეროვნული ფირმების ხელში, რომელთაც შეუძლიათ კვლევებსა და შემუშავებებზე დიდი დანახარჯების გაწევა. კანონები საერთო სათაურით „მცენარეთა მრავალგვარობის დაცვა", რომლებიც მოქმედებენ დასავლეთევროპული და ჩრდილოამერიკული ქვეყანების უმრავლესობაში, ფირმებისათვის უზრუნველყოფს მოგების მიღების განსაზღვრულ გარანტიას თავისი გამოკვლევების საფუძველზე.

მსოფლიოში უმსხვილესი საერთაშორისო კომპანია თესლის წარმოების მიხედვით ამერიკული ფირმა „პიონერ" არის ამ დარგში სხვა ფირმებს შორის გამოიყოფა „კვს" (გერმანია) და „ლიმაგრან" (საფრანგეთი). უკანასკნელი წარმოადგენს კოოპერატიულს. თესლის წარმოებით დასაქმებულია ისეთი კომპანიები, რომელთათვისაც ეს საქმიანობის ძირითად სახეს არ წარმოადგენს. მის შემადგენლობაში შედის ისეთი ნავთობის კომპანიები, როგორიცაა „როიალ დატჩ შელ", ქიმიური და აგროქიმიური კომპანიები — „სიანამიდ", „ბაიერ", „დუ პოინტ", „აი-სი-აი" და „მონსანტო", ფარმაცევტული კომპანიები — „აფჯონ", „კიბა-ლეიდი", „ფმკებ-პიზერ" და „სანდერ", აგრეთვე ზოგიერთი ფირმა, რომელიც სურსათის გასაღებით და გადამუშავებითაა დაკავებული, ისე, როგორც მაგალითად, „კარგილ", „ბიატრის ფუდზ" და „კემბელ სოაფ".

აგროქიმიური ფირმების ექსპანსია მარცვლეულის ბაზარზე მნიშვნელოვან ტენდენციას წარმოადგენს, რომელიც საერთოა ასკ-ის მრავალი დარგისათვის. ანალოგიური პროცესები ხდება *საკვების წარმოებაშიც*. მსოფლიოში კომბინირებული საკვების უმსხვილეს მწარმოებელს წარმოადგენს ნავთობის კომპანიის — „ბრიტიშ პეტროლეუმ (ბპ ნეიშნლ)" — ერთ-ერთი განყოფილება. მსოფლიოში სხვა უმსხვილეს საკვების მწარმოებლებს შორისაა — იტალიური ფირმა „ფერიზი", მისი ამერიკული კომპანია „კარგილ" და „ბანგ ენდ ბორნ" და ფრანგული ფირმა „დრეიფუს". ზოგიერთ ქვეყანაში ამ დარგში წამყვან როლს თამაშობენ კოოპერატივებში გაერთიანებული მცირე სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, რომელთაც ჰორიზონტალური ინტეგრაციის პირობებში ტეკ-თან კონკურენციის უნარი შესწევთ. კოოპერატივებზე მოდის საკვების წარმოების ნახევარი ან მეტი ნიდერლანდებში, დანიაში, დიდ ბრიტანეთსა და ირლანდიაში. 80-იანი წლების შუა პერიოდში გერმანიაში იწარმოებოდა საკვების დაახლოებით 40% 80-

90 კომერციული ფირმის მიერ, 30% — 11 ფირმასა და დიდ კოოპერატივებში, რომლებიც შედიან „რეიფესენ"-ის ქსელში, ხოლო 30% მოდის წვრილ კომერციულ საწარმოებზე.

კვების ძირითადი პროდუქტების მეგაბაზრების მოცულობები მჭიდროდაა დაკავშირებული მოხმარების სტრუქტურასთან. 90-იანი წლების ბოლოს მსოფლიოში ჩამოყალიბდა კვების პროდუქტების მოხმარების სტრუტურა, რომელიც მოტანილია 12.1 სურათზე.



სურ. 12.1. მოხმარების მსოფლიო სტრუქტურა, %-ში.

რა თქმა უნდა, მოხმარების ერთიანი სტრუქტურა გვაგონებს „საავადმყოფოს მიხედვით საშუალო ტემპერატურას". თუკი განვითარებად ქვეყნებში მემცენარეობის პროდუქციის წილი, პირველ რიგში კი, მარცვლეულის ძალიან მაღალია, განვითარებული ქვეყნებისათვის დამახასიათებელია ბევრად დიდი, ვიდრე საშუალო, ხორცის, რძის და მეცხოველეობის სხვა პროდუქციის ხვედრითი წონა. თუმცა მოხმარების სტრუქტურა მაინც იძლევა, წარმოდგენას სასოფლო-სამეურნეო დარგების და პროდუქტების ბაზრების შედარებითი მნიშვნელობის შესახებ.

დიაგრამიდან ჩანს, რომ სოფლის მეურნეობაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს *მარცვლეულოგას და მარცვლეულის მეგაბაზრებს*. ამჟამად მსოფლიოში იწარმოება დაახლოებით 2 მლრდ ტ მარცვლეული. სიმინდსა და ხორბალზე მოდის მისი წარმოების ორი მესამედი. აზიის ქვეყნებში ძალიან გავრცელებულია ბრინჯი. ხორბლეულის ძირითადი მწარმოებლები

არიან ჩინეთი (390 მლნ ტ), აშშ (320) და ინდოეთი (215). დასავლეთ ევროპის ქვეყნები აწარმოებენ 150 მლნ ტ მარცვლეულს. ჯერ კიდევ სულ ახლახან (1994 წ.) რუსეთი იძლეოდა დაახლოებით 120 მლნ ტ-ს, მაგრამ ამჟამად იგი უკვე რამდენიმე წელია ძლივს აღწევს 70 მლნ ტ-ას.

მსოფლიო ბაზარზე ყოველწლიურად იყიდება 200 მლნ ტ მარცვლეული, მათ შორის ხორბალი — 100 მლნ ტ, სიმინდი — 60 მლნ ტ და ბრინჯი — 15 მლნ ტ. აშშ-ის წილად მოდის ხორბლის და სიმინდის ექსპორტის დაახლოებით ნახევარი. სხვა ექსპორტიორთა შორის გამოიყოფა კანადა, საფრანგეთი, ავსტრალია და არგენტინა. მსოფლიო იმპორტის დაახლოებით 50% განვითარებად ქვეყნებზე მოდის. განვითარებულ ქვეყნებს შორის ბევრი მარცვლეულის (30 მლნ ტ-ს) იმპორტირებას ახდენს იაპონია. ბოლო წლებში რუსეთში კვლავ დაიწყო მარცვლეულის იმპორტის ზრდა, თუმცა ბუნებრივ-კლიმატური და სამეურნეო მაჩვენებლებით ჩვენს ქვეყანას უახლოეს მომავალში შეუძლია გახდეს მარცვლეულის მსხვილი ექსპორტიორი, რომელიც გაიტანდა დაახლოებით 30-40 მლნ ტ-ს.

მარცვლეულის ბაზრის ფასები სწრაფად იცვლება. ბოლო ორი წელია ისინი ჩერდება საკმაოდ დაბალ დონეზე (დაახლოებით 120-150 დოლ. /ტ ხორბალი). აშშ-ში მაღალი მოსავალი ახდენს ბაზრის „გადახურებას" და აიძულებს განვითარებული ქვეყნების მთავრობებს აწარმოონ დამატებითი გადახდა ნათესების შემცირებაზე.

მემცენარეობის პროდუქციის სიდიდით მეორე ბაზარს წარმოადგენს *შაქრის ბაზარი.* შაქარი შაქრის ლერწმისაგან იწარმოება (70%), ასევე შაქრის ჭარხლისგან (30%). სულ მსოფლიოში გამომუშავდება 126 მლნ ტ. ნედლეული და ცოტა ნაკლები რაფინირებული შაქარი. განვითარებად ქვეყნებში შაქრის 95% მზადდება ლერწმისაგან. შაქრის წარმოებაში მკაფიოდ განსხვავდება ორი სტადია: შაქრის ნედლეულის წარმოება და შაქრის რაფინირება, მაგალითად, ნედლეული იწარმოება ბრაზილიაში, ხოლო თეთრი შაქრის ნედლეული რუსეთში. შაქრის ნედლეულის ძირითადი მწარმოებლები არიან: ინდოეთი, ბრაზილია, ჩინეთი და ტაილანდი. შაქრის უმსხვილესი ექსპორტიორები არიან — ბრაზილია, ტაილანდი, ავსტრალია, საფრანგეთი და კუბა.

ამ ბაზარზე განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება სასურსათო ბაზრების სახელმწიფო რეგულირების ნიშნები. შაქრის მსოფლიო ბაზრის ფასი 2000 წელს მერყეობდა დაახლოებით 200 დოლ/ტ-ზე. ახლა მსოფლიოში შეინიშნება შაქრის წარმოების მნიშვნელოვანი გადამეტება და მისი ფასები ნარჩუნდება დაბალ დონეზე. ამასთან, მსოფლიო ბაზრის ფასები სწრაფად იცვლება მეგაბაზრებისათვის ჩვეული ჯაჭვის მიხედვით: ახალი ამბები — ფიუჩერსების და ოპციონების ბაზარი — შაქრის და ნედლეულის ბაზარი.

ეს ბაზრები, ნაციონალურისაგან განსხვავებით, არავის მიერ არ კონტროლდება და მათზე ფასები არასტაბილურია. იმავდროულად განვითარებული ქვეყნების ეროვნულ ბაზრებზე ახორციელებენ ქმედით ზომებს ამ ბაზრების სახელმწიფო რეგულირების თვალსაზრისით. მაგალითად, ეკ-ის ქვეყნებში პროდუქტების უმეტესობისათვის, შაქრის ჩათვლით, შემდეგი მექანიზმი მოქმედებს: მარეგულირებელი ორგანო ადგენს მიზნობრივ ფასს იმ დონეზე, რომელიც უზრუნველყოფს გაფართოებული კვლავწარმოების შესაძლებლობას საქონლის საკუთარი მწარმოებლებისათვის. ჩვეულებრივ ეს ფასები მნიშვნელოვნად მაღალია მსოფლიო ბაზრის ფასებზე. მაგალითად, შაქრისათვის მიზნობრივი ფასი — 750-800 დოლ/ტ-ზე, ე. ი. თითქმის 4-ჯერ მეტია მსოფლიოსაზე. პროდუქციის შემოტანისას ექსპორტიორი იხდის სპეციალურ არასაბიუჯეტო ფონდში პროდუქტის ყოველ ტონაზე საკომპენსაციო გადასახდელს, რომელიც დაახლოებით მიზნობრივი ფასისა და მსოფლიო ბაზრის ფასის სხვაობის ტოლია. ხოლო როდესაც ევროპული ფირმები იმავე საქონლის ექსპორტირებას ახდენენ, ისინი ღებულობენ ფონდიდან კომპენსაციას იმავე ზომებში. ამგვარად, საკუთარი მწარმოებლები დაცული არიან და მათი ექსპორტის სტიმულირება ხდება.

მნიშვნელოვან როლს თამაშობს აგრეთვე *ზეთოვანი მარცვლეულის ბაზარი.* მსოფლიოში მათი საერთო წარმოება 220 მლნ ტონაა. ამ სექტორში დამაჯერებლად ლიდერობს სოია (50%), მას მოსდევს ბამბის (16) მზესუმზირის (9%) და არაქისის (9%) თესლი. სოიოს და არაქისის ძირითადი მწარმოებელია — აშშ, მზესუმზირის ზეთის — საფრანგეთი, ზეთისხილის — იტალია და საბერძნეთი.

/ განვითარებულ ქვეყნებში მაღალინტეგრირებულ დარგს წარმოადგენს *მეხილეობა.* ამ სფეროში ხილის მოსავლის დიდი ნაწილი მოჰყავთ გადამამუშავებელ და სავაჭრო ფირმებთან ხანგრძლივვადიანი კონტრაქტების საფუძველზე. აშშ-ის წამყვანი მეხილეობის და მებოსტნეობის ფირმებს, ისეთებს, როგორიცაა: „დელ მონტე“, „კემპბელ სოული“, „ლიბი“ და სხვ. აქვთ საკუთარი ბაღები და პლანტაციები პროდუქციის და თესლეულის საწარმოებლად. /

შეკარტოფილეობის მეურნეობის ორგანიზაციის ძირითად ფორმას კონტრაქტაცია წარმოადგენს რომლის საფუძველზე, მაგალითად, კარტოფილის მოსავლის 50% მოჰყავთ აშშ-ში, კარტოფილის 25% — მსხვილი აგროსამრეწველო გაერთიანებების ჩარჩოებში, რომლებიც თავისთავად წარმოადგენენ აგროსამრეწველო-სავაჭრო ფინანსურ კომპანიებს, ისეთებს, როგორიცაა „ჰეინცი“ და „სიმპლოტი“.

ხორცის მსოფლიო წარმოება დღეს დაახლოებით 220 მლნ ტ-ს შეადგენს, რომელთაგან 38% არის ღორის, 29 — ფრინველის, 26 — ძროხის

და 5% — ცხვრის. მთელი მსოფლიო წარმოების 50%-ზე მეტი მოდის სამ ქვეყანაზე: ჩინეთზე (32%), აშშ-სა (16%) და ბრაზილიაზე (6%). ძალიან სწრაფად ვითარდება ჩინეთში ხორცის წარმოება. 90-იან წლებში იგი გაიზარდა 2,6-ჯერ. აშშ უზრუნველყოფს ძროხის ხორცის წარმოების დაახლოებით 30%—ს, იმ დროს, როცა აქვს მსოფლიო საქონლის სულადობის მხოლოდ 13%, ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ ამერიკაში ნახირის 80% მოდის სახორცე ჯიშებზე. ერთ სულ მოსახლეზე ხორცის წარმოებით აშშ ორჯერ უსწრებს დასავლეთ ევროპას. ყველა განვითარებულ ქვეყანაში ხორცის პროდუქტიულობა საშუალოდ 1,5—ჯერ მეტია, ვიდრე განვითარებადებში.

დღესდღეობით მნიშვნელოვნად გაფართოვდა ხორცკომბინატების მონაწილეობა საქონლის კვებაში. ბოლო 5 წლის განმავლობაში აშშ-ში საქონლის ყველა გაყიდვის დაახლოებით 20% ჩატარდა ვერტიკალური ინტეგრაციის ჩარჩოებში გადამამუშავებელი საწარმოების ერთიანი საკუთრების საფუძველზე. ხანგრძლივვადიანი კონტრაქტაციის და ვერტიკალური ინტეგრაციის ჩარჩოებში ღორების დაახლოებით 94%-ის რეალიზაცია ხდება. აშშ-ში ბროილერების საერთო მოცულობის 80% იწარმოება 20 ლიდერი ბროილერის კომპანიის მიერ, ხოლო კომპანია „ტაისონ ფუდსი“ აკონტროლებს ბროილერების ხორცის მსოფლიო წარმოების დაახლოებით 20%—ს.

90-იანი წლების ბოლოს მსოფლიო ბაზარზე იყო დაახლოებით 5 მლნ ტ ძროხის, 2,5 მლნ ტ. ღორის და 6 მლნ ტ. ფრინველის ხორცი. ჩრდილოეთ ამერიკა და დასავლეთ ევროპა უზრუნველყოფენ ხორცის და ხორცპროდუქტების ექსპორტის 75%-ს. ხორცის მსხვილი ექსპორტიორები არიან აგრეთვე არგენტინა, ავტრალია და ახალი ზელანდია. სულ სამი ქვეყანა — აშშ, ბრაზილია და ჩინეთი — უზრუნველყოფენ ფრინველის ხორცის ექსპორტის 75%-ს. მიწის რესურსებით ღარიბი იაპონია ხორცის წარმოებით დაეწია დასავლეთ ევროპის ქვეყნებს, აი, რუსეთმა კი მკვეთრად შეამცირა წარმოება და გახდა ხორცპროდუქტების ძირითადი იმპორტიორი.

მსოფლიოში იწარმოება დაახლოებით 560 მლნ ტ. *რძე.* აქ ლიდერობს დასავლეთი ევროპა, სადაც კონცენტრირებულია მეწველი ძროხების სულადობის დაახლოებით 25% და იწარმოება მთელი რძის 30%-ზე მეტი. რუსეთი, აშშ და ინდოეთი იძლევა რძის 32%-ს, ამასთან ჩვენი ქვეყანა ჯერჯერობით უსწრებს აშშ-ს ერთ სულ მოსახლეზე რძის წარმოებით. ყარაქის წარმოებით ახლახან მოწინავე პოზიციაზე გამოვიდა ინდოეთი, სადაც მსოფლიოში ყველაზე მეტია ძროხების სულადობა — წმინდა ცხოველებისა, რომელთა ხორცი ინდური რელიგიური წეს-ჩვეულებების თანახმად, საკვებად არ გამოიყენება. ამჟამად ინდოეთი აწარმოებს 1,3

მლნ ტ-ზე მეტ კარაქს და ორჯერ მეტად უსწრებს კარაქის წარმოებით მეორე ქვეყანას — აშშ-ს (0,54 მლნ. ტ.). ყველისა და კარაქის ძირითად ექსპორტიორებს წარმოადგენენ — ნიდერლანდები, დანია და ახალი ზელანდია.

12.3. სასურსათო რესურსები და გადამამუშავებელი მრეწველობის მეგაბაზრები

მრეწველობა მომპოვებელ და გადამამუშავებელ მრეწველობად იყოფა. პირველის წილად მთლიანობაში მოდის წარმოების დაახლოებით 25% და საერთო წარმოების თითქმის 75%-ს იძლევა გადამამუშავებელი მრეწველობა. სურათზე 12.2 სქემატურადაა ასახული გადამამუშავებელი მრეწველობის სტრუქტურა.

მანქანათმშენებლობა გადამამუშავებელი მრეწველობის ძირითად დარგს წარმოადგენს, რომელზეც სამრეწველო წარმოების მთელი ღირებულების 40% მოდის. მანქანათმშენებლობაში დასაქმებულია მრეწველობაში ყველა დასაქმებულის 33%.

მანქანათმშენებლობა არსებითად მრავალგვარი დარგების კომპლექსს წარმოადგენს, რომელთა კლასიფიკაცია შეიძლება სხვადასხვაგვარად.

ზოგად მანქანათმშენებლობას მიაკუთვნებენ იმ დარგებს, რომლებიც თავისთვის და სხვა დარგებისათვის მოწყობილობას უშვებენ. ესაა მანქანათმშენებლობის საბაზო ქვედარგი, მასში მნიშვნელოვან როლს თამაშობს დაზგათმშენებლობა, რომლის ლიდერებსაც გფრ, იაპონია და აშშ წარმოადგენენ.

ბოლო წლებში მნიშვნელოვანი აღიარება ჰპოვა *მაკროტექნოლოგიის თეორიამ.* მის შესაბამისად მსოფლიო ეკონომიკა რამდენიმე ათეული მაკროტექნოლოგიისგან შედგება. ყოველი მაკროტექნოლოგია უზრუნველყოფს სამრეწველო საქონლის რომელიღაც მნიშვნელოვანი ჯგუფის კვლავწარმოების მთელ ციკლს. მაკროტექნოლოგიებად დაყოფა რაღაცაში ემთხვევა და რაღაცით განსხვავდება ჩვეულებრივი დარგობრივი დაყოფისაგან. თეორიის ავტორთა აზრით, მაკროტექნოლოგიების გამოყენებით, უფრო იოლად შეიძლება ამა თუ იმ ქვეყნის კონკურენტული უპირატესობების გაანალიზება. *იმისათვის, რომ მსოფლიო ეკონომიკაში მდგრადი მდგომარეობა ჰქონდეს, მსხვილი ქვეყანა უნდა იყოს ლიდერთა რიცხვში სულ მცირე ორ-სამ მაკროტექნოლოგიაში.*

თუკი ვისაუბრებთ *საერთო მანქანათმშენებლობაზე,* უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი ქვეყანა დიდი ხანი იყო და, ვფიქრობთ, ახლაც რჩება ლიდერი მძიმე მანქანათმშენებლობაში, რომელიც ენერგოტურბინების და სხვა ენერგეტიკული მოწყობილობების გამოშვებას ეწევა. დაზგათმშენებ-

ლობაში რუსეთს შეეძლო ლიდერობაზე პრეტენზიის გამოთქმა, თუმცა თანდათანობით ჩვენს ქვეყანაში ეს დარგი დეგრადაციას განიცდის.

დაზგათმშენებლობის ახალ დარგებში, ისეთები, როგორიცაა რობოტმშენებლობა და ციფრული პროგრამული მართვით დაზგების წარმოება, უდავო ლიდერს იაპონია წარმოადგენს. ამჟამად მთელი სამრეწველო რობოტების დაახლოებით 60% ამ ქვეყანაში მზადდება.

სატრანსპორტო მანქანათმშენებლობაში განსაკუთრებულ როლს ორი დარგი თამაშობს: გემთშენება და ავტომშენებლობა. ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში *გემთშენებაში* ტრადიციულად ამ სფეროში უძლიერესი ქვეყანა დიდი ბრიტანეთი თანდათან თმობს თავის ლიდერობას.



სურ. 12.2. გადამმუშავებელი მრეწველობის სტრუქტურა

თუკი ომამდე ინგლისელებს ყველა წყალში ჩაშვებული გემის დაახლოებით 30% ეკუთვნოდა, უკვე 70-იან წლებში ლიდერობა დაიპყრო იაპონიამ, რომელსაც დღემდე ინარჩუნებს. დღესდღეობით გემთშენებაში წამყვანი ადგილი ეკუთვნის აზიას, რომელიც გემების საერთო ტონაჟის დაახლოებით 80%-ს აწარმოებს. ამ სფეროში შეიმჩნევა კორეის რესპუბლიკის მძაფრი პროგრესი, რომელიც მსოფლიოში მეორე ადგილზე დამაჯერებლად გამოვიდა, მან 4-ჯერ მეტად გაუსწრო მესამე ადგილზე მყოფ გფრ-ს.

საავტომობილო მრეწველობა დიდხანს წარმოადგენდა ტექნიკური პროგრესის ბარომეტრს მანქანათმშენებლობაში. ეს დარგი მუდამ იყო მოწინავე ტექნიკური იდეების მატარებელი და ახალი ამოცანების და ტექნიკური გადაწყვეტილებების გენერატორი მომიჯნავე დარგებისათვის. აშშ-ის მრეწველობის მაღალ ტექნიკურ დონეს ხშირად უკავშირებენ მის საავტომობილო მრეწველობას, რომელიც მუდამ აძლევს ტონს ტექნიკურ მოდერნიზაციას. მსოფლიოში ყოველწლიურად მზადდება 55 მლნ-ზე მეტი ავტომობილი. საავტომობილო ბაზარი იკავებს მთელი მსოფლიო ვაჭრობის დაახლოებით 12%-ს. საავტომობილო ბაზარი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მონოპოლიზებულია. მსოფლიო წარმოების დაახლოებით 95% მოდის 20 უმსხვილეს ტრანსეროვნულ კორპორაციაზე, რომელთაგან ექვსი იძლევა მსოფლიოში წარმოებული ავტომობილების დაახლოებით 58%-ს. ამ კომპანიებს შორის შეიძლება გამოვყოთ „ჯენერალ მოტორსი“ (აშშ), რომელიც აკონტროლებს ბაზრის 16%-ზე მეტს, „ფორდი“ — 13-ს, „ტოიოტა“ (იაპონია) — 9-ს, „ფოლკსვაგენი“ (გფრ) — 8-ს, „დაიმლერ-კრაისლერი“ (გფრ-აშშ) — 7,5-ს, „ფიატი“ (იტალია) — 5-ს, „პეჟო—სიტროენი“ (საფრანგეთი) — 4-ს, „ნისანი“ (იაპონია) — 5-ს, „ჰონდა“ (იაპონია) — 5,5-ს, „მიცუბისი“ (იაპონია) — 3,5-ს.

1999 წელს საავტომობილო მრეწველობის ტეკ-ების პირველ ათეულში შევიდა სამხრეთკორეული ფირმა „დეუ“. 1998 წელს გერმანული ავტოკონცერნი „დაიმლერ-ბენცი“ შეერწყა ამერიკულ კომპანია „კრაისლერს“ და გაერთიანებული კონცერნი მსოფლიოში მესამე ადგილზე გამოვიდა, ამით შეავიწროვა რა „ტოიოტა“. ბოლო წლებში დიდ აქტიურობას ავლენს გერმანული კონცერნი „ფოლკსვაგენი“, რომელიც ფრანგულ კომპანია „რენოსთან“ კავშირში პრეტენზიას აცხადებს შვედური „ვოლვოს“ კონტროლზე.

მრეწველობის ამ დარგში ლიდერობისთვის მუდმივი ბრძოლა მიდის იაპონიასა და აშშ-ს შორის. დანარჩენი ქვეყნები ავტომობილების გამოშვებით ჩამორჩება მათ 2-ჯერ მეტად. თუნდაც 1990 წელს მნიშვნელოვნად ლიდერობდა იაპონია, რომელმაც 13,5 მლნ ავტომობილი გამო-

უშვა აშშ-ის 9,8 მლნ-ის წინააღმდეგ. თუმცა ათწლეულის ბოლოს აშშ-მა შეძლო ლიდერობის დაბრუნება, ისარგებლა რა იაპონიის საფინანსო კრიზისით.

სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის ყველაზე ახალგაზრდა დარგს წარმოადგენს საავიაციო ან როგორც ხშირად უწოდებენ *ავიაკოსმოსური მრეწველობა*. ეს დარგი გამოირჩევა ძალიან მაღალი მეცნიერებატევადობით და მაღალი ინჟინერულ-ტექნიკური კვალიფიკაციის პერსონალის გამოყენების აუცილებლობით. მხოლოდ სამ მსოფლიო ცენტრს — რუსეთს, აშშ-ს და ეკ-ს — აქვს ამჟამად ავიაკოსმოსური მრეწველობის პროდუქციის მთელი სპექტრის წარმოების უნარი. ამ დარგში წარმოება გამოითვლება ცალობით. ასე მაგალითად, მსოფლიოში იწარმოება 1000-ზე ცოტა მეტი ავიალაინერი წელიწადში, ხოლო ვერტმფრენები დაახლოებით 800. პროდუქციის თვითღირებულება საოცრად მაღალია. შესადარებლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ თუკი 1 კგ ავტომობილის საშუალო ღირებულება 20 დოლარს შეადგენს, მაშინ 1კგ ავიალაინერის — 1000 დოლარი იქნება, ე. ი. 50-ჯერ მეტი.

კერძო ბიზნესს არ შეუძლია გაუმკლავდეს უზარმაზარ ასიგნებას მეცნიერებაზე, რომელიც საჭიროა ავიაკოსმოსური მრეწველობის განვითარებისათვის, ამიტომ განვითარებულ ქვეყნებში დანახარჯების მნიშვნელოვან ნაწილს თავისთავზე იღებს სახელმწიფო. მაგალითად, აშშ-ში სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო საშუალებებზე საერთო დანახარჯების დაახლოებით 70% სახელმწიფოს მიერ ფინანსდება.

ავიაბაზარი კიდევ უფრო მონოპოლიზირებულია, ვიდრე საავტომობილო. მსოფლიოს უმსხვილესი ტეკ-ების გაყიდვა ამ დარგში 200 მლრდ დოლარს აჭარბებს, ხოლო პროდუქციის დაახლოებით 70%-ს აწარმოებს სულ რამდენიმე უმსხვილესი მსოფლიო ტეკ. მსოფლიო სამოქალაქო ავიაციის ბაზრის დაახლოებით 2/3-ს აკონტროლებენ აშშ-ის ტეკ-ები, ხოლო 1/3-ს — დასავლეთ ევროპის. შედარებით ახლახან შექმნილი კონსორციუმი „ეირბას ინდასტრი“, სადაც საფრანგეთის, გფრ—ის და ესპანეთის კომპანიები შევიდნენ, ცდილობენ კონკურენცია გაუწიონ ამერიკულ კორპორაციებს. აშშ-ის ავიასარაკეტო მრეწველობაში მომუშავეთა რიცხვი 3-ჯერ მეტია, ვიდრე დასავლეთ ევროპის, ჯერჯერობით ამერიკელთა უპირატესობა უეჭველია და ალბათ ასე იქნება დიდხანს. აშშ-ის წამყვან ფირმებს საკვანძო პოზიციები უკავიათ ავიალაინერების ბაზრებზე, როგორიცაა „ბოინგის“, „მაკდონელის“ და სამხედრო ტექნიკის „ლოკხიდ მარტინის“ და „ნორტროპ გრუმანის“ კომპანიები.

ჩვენს ქვეყანას ავიაკოსმოსურ მრეწველობაში მსოფლიოში ტრადიციულად ერთ-ერთი მოწინავე ადგილი ეკავა. თუკი ვისაუბრებთ მაკროტექნოლოგიების ტერმინებით, მაშინ ავიაცია და კოსმოსი — ეს სწორედ ის

ორი მაკროტექნოლოგიაა, რომელშიც რუსეთს ლიდერობის შენარჩუნება შეუძლია.

ელექტროტექნიკურმა მრეწველობამ, რომელიც XX ს-ის დამდეგს სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის ყოფილი ლიდერი იყო — წარმოშვა *ელექტრონული მრეწველობა* და თანდათან გავიდა ავანსცენიდან. ახლა მისმა სწრაფად მზარდმა „ქალიშვილმა" უკვე თითქმის 5-ჯერ გაუსწრო ელექტროტექნიკას თავისი ბაზრების მოცულობით. ელექტროტექნიკურ მრეწველობაში დარჩა საქონლის ორი ძირითადი ჯგუფი: ელექტროენერგიის გარდაქმნისა და გადაცემის გამოსამუშავებელი (გენერატორები, კაბელები, ტრანსფორმატორები და ა. შ.) და შედარებით იაფი მასობრივი პროდუქციის მოწყობილობის წარმოება. (ელექტროათურები, მტვერსასრუტები, სარეცხი მანქანები და სხვ.). ამ დარგში შედარებით მსხვილი ტეკ-ები წარმოიშვა ჯერ კიდევ XIX ს-ში. ესენია — „ჯენერალ ელექტრიკი" (აშშ), „ვესტინჰაუზი", „სიმენსი" (გერმანია) და სხვ. ელექტრონული ინდუსტრია — ყველაზე ენერგიატევადი და სწრაფადგანვითარებადი დარგია თანამედროვე მანქანათმშენებლობაში. იგი ელექტრონიკის ქვედარგს წარმოადგენს და არსებითად ელექტრონულ მრეწველობას ეფუძნება.

დღესდღეობით მსოფლიოში მთელი ინფორმაციული ინდუსტრია აგებულია ერთიან ელემენტურ ბაზაზე, რომელიც უპირატესად მსხვილი ტეკ-ების მიერ იქმნება. აქაც აგრეთვე პირველ 10 ტეკ-ზე მოდის ყველა უმნიშვნელოვანესი ელექტრონული კომპონენტების წარმოების 50%-ზე მეტი. ელექტრონული მრეწველობის პროდუქციის მნიშვნელოვან ნაწილს აშშ-ის და იაპონიის წარმოების 40-45% ფირმები უშვებენ. ლიდერები არიან იაპონური ტეკ-ები — „ნეკ", „ტოშიბა", „ჰიტაჩი" („ჰიტატი") და ამერიკული ტეკ-ები — „ინტელ", „მოტოროლა", „ტეკრას ინსტრუმენტს" და სხვ. თუმცა კი შეინიშნება სასტიკი კონკურენტული ბრძოლა ლიდერობისათვის.

ნახევრად გამტარი ხელსაწყოების გაყიდვა მსოფლიო ბაზარზე 120 მლრდ დოლარზე მეტს შეადგენს და მომავალში კიდევ გაიზრდება.

გასაღების უმსხვილეს ბაზრად უახლოეს პერიოდში კვლავ აშშ დარჩება. ამერიკული ფირმა „ინტელ" აკონტროლებს მიკროპროცესორების მსოფლიო ბაზრის დაახლოებით 90%-ს სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე დანახარჯებზე და ახალ ტექნოლოგიებში ინვესტიციების მოცულობების მიხედვით.

ელექტრონიკის კიდევ ერთ მნიშვნელოვან სფეროს წარმოადგენს საყოფაცხოვრებო ელექტრონული ტექნიკის წარმოება. ბოლო წლებში კარდინალური ძვრები ხდება ამ წარმოების გეოგრაფიაში. თუკი 50-60-ინ წლებში აშშ-სა და დიდ ბრიტანეთზე მოდიოდა საყოფაცხოვრებო ელექტრონული ტექნიკის გამოშვების მთელი მოცულობის დაახლოებით 90%,

70-იან წლებში ლიდერობა მიიტაცა იაპონიამ, ხოლო XX ს-ის ბოლოს მრავალი სახის პროდუქციის მიხედვით, პირველ ადგილზე დამაჯერებლად გამოვიდნენ ჩინეთი და „ახალი ინდუსტრიული ქვეყნები". მაგალითად, ჩინეთი ტელევიზორების წარმოებით უკვე 3-ჯერ უსწრებს აშშ-ს, ხოლო იაპონიას — 5-ჯერ. რა თქმა უნდა, ჩინური პროდუქცია ჯერ კიდევ არ გამოირჩევა მაღალი ხარისხით, და, ამდენად, მოწინავე ქვეყნები კვლავ აკონტროლებენ ბაზრის ძირითად ნაწილს. დიდია იაპონიის როგორც მაღალხარისხიანი საყოფაცხოვრებო ელექტრონიკის ძირითადი მწარმოებლის, მნიშვნელობა — მასზე მოდის ბაზრის 40%, დაახლოებით 35% — „ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებზე". აი, აშშ-ის და დასავლეთ ევროპის წილები კი თანდათანობით შეიკვეცა 13 და 18%-მდე, შესაბამისად.

ჩინეთში შეინიშნება მანქანათმშენებლობის სწრაფი ზრდა. იქ უშვებენ მსოფლიო წარმოების 1/2-დან 3/4-მდე საათებს, ვენტილატორებს, საკერავ მანქანებს, ველოსიპედებს და ა. შ. ჩინეთმა უკვე დაიკავა პირველი ადგილი რადიომიმღებების, სარეცხი მანქანების, ხოლო მეორე კი — მაცივრების წარმოებაში. ჩინეთის გადაქცევა ერთ-ერთ მანქანათმშენებელ სახელმწიფოდ და რუსეთის თანდათანობითი შევიწროება ლიდერების ჯგუფიდან გახდა XX ს-ის ბოლოს მანქანათმშენებლობის გეოგრაფიის ძირითადი ტენდენცია.

როგორც ნაჩვენებია 12.3 სურათზე *ქიმიური მრეწველობაში* შედის ძირითადი ქიმია, რომელშიც შედის მარილების, მჟავების, ტუტეების წარმოება, ასევე მინერალური სასუქების, პოლიმერული მასალების (სინთეტიკური ფისების, ბოჭკოების, კაუჩუკის და სხვ.) ძირითადი ორგანული სინთეზი და, აგრეთვე, ფარმაცევტული მრეწველობა. ამ დარგის შემადგენლობას აგრეთვე მიაკუთვნებენ სამთო-ქიმიურ მრეწველობას.

დღესდღეობით ზოგადი ქიმიის პროდუქციიდან თავის მნიშვნელობას ინარჩუნებს გოგირდმჟავას წარმოება. მის წარმოებაში ჩინეთი, აშშ და იაპონია ლიდერობს. მისი წარმოების მოცულობა პრაქტიკულად არ იზრდება. ეს დარგი ძალიან სტაბილურია და კონსერვატული, მისი სტრუქტურა ნაკლებად მოძრავია, ხოლო წილი ქიმიურ მრეწველობაში — მცირე.

პოლიმერული მასალების წარმოება — ქიმიური მრეწველობის ერთ-ერთი ყველაზე უფრო დინამიკურად განვითარებადი დარგია. სინთეტიკური ფისები სინთეტიკური ბოჭკოების მიღების საფუძველს წარმოადგენენ, ხოლო პლასტმასა ხშირად გამოიყენება როგორც კონსტრუქციული მასალა, ეკონომიკის და ყოფა-ცხოვრების ყველა სფეროში. ფართოდაა ცნობილი პოლიმერული მასალების ისეთი სახეები, როგორიცაა პოლიეთილენი, პოლიპროპილენი, პოლივინილქლორიდი და სხვ. სინთეტიკური ფისის და პლასტმასის წარმოებაში წამყვანი როლი უკავია აშშ-ს, იაპონიასა და გფრ-ს, რომელთა წილად მოდის ბაზრის თითქმის 50%. თანდათანობით



სურ. 12.3. სინთეტიკური ბოჭკოების და პლასტმასის წარმოების დინამიკა

იზრდება აზიის რეგიონის წილი. ქიმიური ბოჭკოების წარმოებაში თანდათანობით მოწინავე ადგილზე გამოდის ჩინეთი, რომელიც ბოლო ხანებში დაეწია ამერიკას და გაუსწრო კიდევაც მას. ყველაზე ახალგაზრდა პოლიმერად სინთეტიკურ კაუჩუკს მიიჩნევენ, რომლის წარმოება 10 მლნ ტ-მდე გაიზარდა. აქ, ლიდერებისაგან დიდი ჩამორჩენით, ჯერჯერობით მესამე ადგილზეა რუსეთი.

ძალიან დიდია *ფარმაცევტული მრეწველობის* როლი, რომელიც მსოფლიოს ქიმიურ მრეწველობაში გაბატონებას იწყებს. ყველა მედიკამენტის გამოშვების დაახლოებით 75%-ს განვითარებული ქვეყნები აწარმოებენ. ამ დარგის ლიდერია აშშ. მსხვილი ფარმაცევტული მრეწველობა გააჩნია დასავლეთ ევროპის ქვეყნებს, აგრეთვე იაპონიას, ამ დარგის სწრაფი ზრდა აშშ-სა და ინდოეთში შეინიშნება.

100 წამყვანი უმსხვილესი ტეკ-ების დარგობრივი ანალიზი, რომლებიც UNCTAD-ის[1] სიაშია შესული, გვიჩვენებს, მათგან წამყვანი ტეკ-

1. UNCTAD, World Investmen Report // United States. New York, 1999.

იდან 21 ეკუთვნის ქიმიურ-ფარმაცევტულ დარგს, 18 კომპანია დაკავებულია ელექტრონული და ელექტრული მოწყობილობების წარმოებით, 14 საავტომობილო მრეწველობას წარმოადგენს, 13 — ნავთობმომპოვებელსა და ნავთობგადამამუშავებელს, 9 — კომპანია დაკავებულია სასმელების და კვების პროდუქტების წარმოებით, ხოლო 7-ს გააჩნია დივერსიფიცირებული დარგობრივი სტრუქტურა. ამგვარად, ქიმიურ-ფარმაცევტულ დარგს პირველი ადგილი უკავია მსხვილი კორპორაციების რიცხვის მიხედვით.

ქიმიურ-ფარმაცევტული მრეწველობის კომპანიების რიცხვში შედიან ისეთი საყოველთაოდ ცნობილი ამერიკული გიგანტები, როგორიცაა „დუ პონტ", „დოუ ქემიკალ", „პროქტერ ენდ გემბლ", „ჯონსონ ენდ ჯონსონ", „ემერიკენ ჰოუმ პროდაქტს" და „ფარმაცია ენდ აფჯოი".

მთლიანად ქიმიური მრეწველობის მიხედვით ლიდერობას ინარჩუნებს მისი ფუძემდებელი — დასავლეთ ევროპა, რომელიც მსოფლიო პროდუქციის 1/3-ზე მეტს აწარმოებს. მას ოდნავ ჩამორჩება ჩრდილოეთ ამერიკა (წარმოების დაახლოებით 30%) და სწრაფად პროგრესირებადი აზია (30%-ზე ცოტა ნაკლებით). ხუთი უმსხვილესი ქიმიური ტეკ-იდან ოთხი ევროპულია („ჰეპსტი", „ბასფი", „ბაიერი", „ჰიკი").

მუშუჭი მრეწველობა ტრადიციულად იყოფა საფეიქრო, ფეხსაცმლის, სამკერვალო, ბეწვეულის, საიუველირო, ავეჯის და სხვა ქვედარგებად. კვების მრეწველობის თანაბრად იგი ადამიანთან ყველაზე დაახლოებული დარგია. მსუბუქი მრეწველობის ლიდერებად უწინდებურად რჩებიან საფეიქრო, სამკერვალო და ფეხსაცმლის დარგები.

საფეიქრო მრეწველობა აწარმოებს შერეულ (ქიმიური ბოჭკოების ნატურალურთან შერევით) და ნატურალურ ქსოვილებს (ბამბის, შალის, აბრეშუმის და სელის). სულ მსოფლიოში იწარმოება დაახლოებით 100 მლრდ m^2 ქსოვილი, რომელთაგან დაახლოებით 51% სინთეტიკური ნედლეულისგანაა.

დაახლოებით 80 მლრდ m^2 ქსოვილი იწარმოება *ბამბის მრეწველობაში.* ამ დარგის მნიშვნელოვან ტენდენციას წარმოადგენს საფეიქრო წარმოების დაახლოება სანედლეულო ბაზებთან. ბოლო 150 წლის მანძილზე ბამბა-ბოჭკოს წარმოებაში ლიდერ აშშ-ს ახლახან ჩინეთმა გაუსწრო (4,6 მლნ ტ). მესამე ადგილზეა ინდოეთი — 2,8 მლნ. ტ. ეს სამი ქვეყანა აწარმოებს მსოფლიოს ბამბა-ბოჭკოს დაახლოებით 70%-ს. ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში აშშ-ის წილი მსოფლიო წარმოებაში 2-ჯერ შემცირდა (20%-მდე), ხოლო აზიური ქვეყნების წილი 2-ჯერ გაიზარდა და დაახლოებით 53% შეადგინა. ბამბეული ქსოვილების ექსპორტში ლიდერობენ გფრ, იაპონია და იტალია.

აბრეშუმის მრეწველობა პრაქტიკულად მთლიანად გადავიდა სინთეტიკურ ნედლეულზე. მისი წარმოება 20 მლრდ $მ^2$-ზე მეტს შეადგენს. დარგის წამყვანი მწარმოებლები არიან განვითარებული ქვეყნები.

შალის ქსოვილის წარმოება დაახლოებით 2,6 მლრდ $მ^2$-ს შეადგენს. სიმძლავრის 2/3 თავმოყრილია განვითარებულ ქვეყნებში, ხოლო შალის უმსხვილესი მწარმოებლები არიან ავსტრალია, ახალი ზელანდია და არგენტინა. შალის მსოფლიო წარმოება 2,5 მლნ ტ-ს შეადგენს. საფეიქრო მრეწველობისგან განსხვავებით. აქ ნედლეულის და ქსოვილების მწარმოებლები გაფანტულია სხვადასხვა ქვეყანასა და კონტინენტზე, ხოლო გაპარსული შალის 55% გადის ქვეყანა-მწარმოებლიდან.

/ მასობრივი *სამკერვალო წარმოება* თავმოყრილია განვითარებად ქვეყნებში, ხოლო მოდების ცენტრები და ძვირფასი სამკერვალო ნაწარმის წარმოება განვითარებულ ქვეყნებში. ამ დარგში თვალსაჩინო ფორმით ხდება შრომის დანაწილების კვლავწარმოება, რაც ყველა დარგისათვის პრაქტიკულად დამახასიათებელია უფრო ბუნდოვანი ფორმით. დარგის ძირითად ექსპორტიორებს წარმოადგენენ ჩინეთი, კორეის რესპუბლიკა და გფრ./

ფეხსაცმლის მრეწველობა თავმოყრილია დაახლოებით ისევე, როგორც სამკერვალო. ფეხსაცმლის ძირითადი მწარმოებლები არიან ჩინეთი (340 მლნ წყვილი ფეხსაცმელი წელიწადში), იტალია (300 მლნ წყვილი) და ინდოეთი (190 მლნ წყვილი). ჯერ კიდევ სულ ახლახან ამ, თუმცა კი ფრიად საეჭვო, მაჩვენებლით ლიდერობდა რუსეთი (385 მლნ წყვილი). თუმცა გააღო რა ბაზრები და შეეჯახა სხვა ქვეყნების მკაცრ კონკურენციას, ჩვენი ქვეყანა ხარისხის მიხედვით აშკარად წამგებიან პოზიციაში აღმოჩნდა, ამიტომ იძულებული გახდა წარმოება შეემცირებინა 10-ჯერ და ცოტა მეტად.

/ კვების, სატყეო და თევზის მრეწველობა შეიძლება გავაერთიანოთ *აგროსამრეწველო კომპლექსის სამრეწველო* ჯგუფში. მართლაც, თევზის და სატყეო მრეწველობის დარგები ხშირად ჩართულია ასკ-ში და ბევრ ქვეყანაში ეს დარგები იმართება ერთი სამინისტროს მიერ./

/ *სატყეო მრეწველობა* მოიცავს ხე-ტყის დამზადებას, ხისგადამამუშავებელ და ცელულოზა-ქაღალდის დარგებს. ტყის რესურსების დიდი ნაწილი განვითარებად ქვეყნებშია. ჩრდილოეთ ამერიკის და დასავლეთ ევროპის ტყეები, ადრე დაუნდობლად ექსპლუატირებული, ამჟამად გადაყვანილია გამოყენების ძალიან ეკონომიურ რეჟიმზე./ ბოლო წლებში ხე-ტყის მოცულობის ნამატი ამ ქვეყნებში დამზადების მოცულობებს აჭარბებს და ტყის რესურსები იზრდება. ამ ქვეყნებში ხორციელდება ტყის მნიშვნელოვანი იმპორტი განვითარებადი ქვეყნებიდან. თვით ტყით მდიდარი ფინეთი

და ნორვეგია, საკუთარი ტყის რესურსების ეკონომიკის გამო, ახდენენ ხე-ტყის იმპორტს.

ხე-ტყის დამზადების მიხედვით დამაჯერებლად ლიდერობს აშშ (დაახლოებით 500 მლნ მ^3), მათ მოსდევს ჩინეთი (315), ინდოეთი (300) და ბრაზილია (220). სულ ახლახან მეორე ადგილზე მყოფმა, ტყის რესურსებით მდიდარმა რუსეთმა შეამცირა ხე-ტყის დამზადების მოცულობა 5-ჯერ და გადაინაცვლა მერვე ადგილზე (85 მლნ მ^3), სულ ოდნავ გაუსწრო რა პატარა შვეიცას (60 მლნ მ^3).

ტყის რესურსების სწორი შეფასებისათვის სასარგებლოა ვიცოდეთ, რომ ხე-ტყის დამუშავებისათვის ე. წ. საქმიანი ხე-ტყის გამოსავლიანობა სხვადასხვა ჯიშის ხეებისათვის და სხვადასხვა ქვეყნისათვის, სადაც ისინი იზრდება, ერთნაირი არ არის. წიწვოვანი ჯიშებისათვის იგი მერყეობს 80-90%-ის დიაპაზონში, ხოლო ტროპიკული ტყეების — 40% და ნაკლები. მაგალითად, საქმიანი ხე-ტყის საშუალო გამოსავალი ინდოეთში სულ 8%-ს შეადგენს, ხოლო სკანდინავიის ქვეყნებში — 90%.

მსოფლიოში *ხე-ტყის გადამამუშავებელ მრეწველობაში* დიდი წინსვლით ლიდერობენ აშშ (116 მლნ მ3) და კანადა (64 მლნ მ3). ჩინეთი, იაპონია და რუსეთი კანადას ჩამორჩებიან 2-ჯერ მეტად.

მსოფლიოს ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობა აწარმოებს 300 ათას ტ ქაღალდსა და მუყაოს. პირველ ადგილზე მაინც აშშ-ია (დაახლოებით 90 ათასი ტ.). თითქმის სამჯერ ჩამორჩება მას იაპონია და ჩინეთი, რომელთაც მეორე და მესამე ადგილი უკავიათ. მსოფლიო ლიდერს საგაზეთო ქაღალდის წარმოებაში წარმოადგენს კანადა, რომელიც მისი წარმოების 25%-ზე მეტს უზრუნველყოფს.

ექსპერტების შეფასებით, რუსეთის ხე-ტყის მრეწველობას შეეძლო თავისი მოსახლეობის 20%-ის უზრუნველყოფა სამუშაოთი და განვითარებული ქვეყნების დონის შესაფერისი შემოსავლით. სამწუხაროდ, მას ჯერ-ჯერობით თავისთავში ვერ უპოვია ძალა და საშუალებები ამ დარგის აღორძინებისათვის.

თევზის რეწვა და თევზის მრეწველობა ასკ-ის მნიშვნელოვან დარგებს წარმოადგენენ. სულ მსოფლიოში იჭერენ დაახლოებით 120 მლნ ტ თევზს. ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში თევზის ჭერა გაიზარდა 6-ჯერ. თევზის რესურსებზე დატვირთვა ძლიერ გაიზარდა, ხოლო ჩვენი ცოდნა ოკეანის არსებათა სიცოცხლეზე ჯერ კიდევ არაა საკმარისი იმისათვის, რომ ეს რესურსები რაციონალურად ვმართოთ და საიმედოდ მოვახდინოთ მათი ცვლილებების პროგნოზირება. ამიტომ სხვადასხვა სახის თევზის ჭერის გაზრდისას საჭიროა სიფრთხილის დაცვა, რათა არ დავარღვიოთ ესოდენ ფაქიზი ეკოლოგიური წონასწორობა.

ძალიან პერსპექტიულ მიმართულებად წარმოგვიდგება თევზების ხელოვნური გამრავლება და თევზის რეწვის გადაქცევა სათევზე მეურნეობად. ამ მიმართულების ლიდერები არიან ჩინეთი, რომელიც უკვე 20 მლნ ტ თევზს ამრავლებს მტკნარ წყალში, და ნორვეგია, რომელიც 350 ათას ტ ორაგულისებრ თევზის აწარმოებს ზღვის წყალში.

მსოფლიო თევზჭერაში, ისევე როგორც სხვა მრავალ დარგში, ჩინეთი ლიდერობს. მას მოსდევს პერუ, იაპონია, ჩილე და აშშ. რუსეთმა, რომელსაც აურაცხელი თევზის რესურსი გააჩნია, შეამცირა თევზჭერა 7,8 მლნ ტ-დან 4,5 მლნ ტ-მდე და კმაყოფილდება მოკრძალებული მერვე ადგილით.

12.4. მომსახურების მესამეული სექტორი და ბაზარი

სულ ახლახან საგულდაგულოდ გავარჩიეთ და გავაანალიზეთ თანამედროვე მსოფლიო ინდუსტრიის დიდებული ნაგებობა. ჩვენ ყოველთვის გვასწავლიდნენ სამრეწველო წარმოების მიმართ ღრმა პატივისცემას. ქვეყნის სიძლიერე ჩვენს ცნობიერებაში მტკიცედ დაუკავშირდა ფოლადის, ნახშირის, მანქანების და ა. შ. წარმოებას. ჩვენთან გაბატონებული და, საერთოდ, ნახევარი მსოფლიოს ტერიტორიაზე გავრცელებული მარქსიზმი, სამრეწველო წარმოებას და სამრეწველო მუშებს ყოველთვის აყენებდა ყველა ეკონომიკური პროცესის კუთხის თავში. დაახლოებით XX ს-ის 70-იან წლებამდე ასეთი მიდგომა რეალურობის ადეკვატური იყო.

სწორედ ისტორიის ამ მომენტს მიეკუთვნება საინფორმაციო ან პოსინდუსტრიული საზოგადოებების წარმოშობა განვითარებულ ქვეყნებში და მსოფლიო ეკონომიკის გარდაქმნა მეგაეკონომიკად. რა თქმა უნდა, ისევე როგორც ყველა ისტორიული პროცესი, ეს ხდებოდა არა ერთდროულად. ჩვენ მხოლოდ ვაფიქსირებთ დაახლოებით ათვლის წერტილს, როცა ახალი პოსინდუსტრიული და გლობალური რეალიების „მსოფლიოში მოხეტიალე აჩრდილები“ ჩამოყალიბდნენ მეტ-ნაკლებად მკაფიო და შესამჩნევ სახეებად.

ხდებოდა დაახლოებით ისევე, როგორც ინდუსტრიალიზაციის დასაწყისში. ყველგან — ინგლისში XVI ს., გერმანიასა XIX ს- და რუსეთში XX ს. შუა ხანები — ინდუსტრიალიზაციის მძლავრი პროცესები გარეგნულად ვლინდება ადამიანთა გადინებაში სოფლებიდან და სამრეწველო მუშათა რიცხვის გაზრდაში. რბილი პოსინდუსტრიული რევოლუცია აგრეთვე გარეგნულად ვლინდება ადამიანთა გადინებაში, მაგრამ ახლა უკვე მრეწველობიდან მომსახურების სფეროში.

მხოლოდ XX ს-ის ბოლოს მსოფლიომ მთლიანობაში გადააბიჯა ქალაქის მოსახლეობის 50%-იან ზღურბლს და გახდა ქალაქური და ინდუს-

ტრიული (თუმცაღა ქალაქური და ინდუსტრიული — ერთი და იგივე როდია). 70-იან წლებში მოწინავე და ყველაზე განვითარებული ქვეყნები სტატისტიკურად ინდუსტრიულები აღარ იყვნენ, მომსახურების სფეროში დასაქმებული მოსახლეობის წილმა კი გადააჭარბა ნახევარს. ისინი დადგნენ პოსინდუსტრიული განვითარების გზაზე.

ახლა აშშ-ის მომსახურების სფეროში იქმნება მშპ-ის დაახლოებით 75% და დასავლეთ ევროპის ქვეყნების და იაპონიის მშპ-ის 60-65%. ამგვარად, სწორედ მომსახურების სფეროში და არა მრეწველობაში იქმნება ახლა განვითარებული ქვეყნების ძირითადი პროდუქტი. ამ მოვლენამ მიიღო მყვირალა სახელწოდება „მომსახურების რევოლუცია".

მომსახურების სექტორის სტრუქტურა ან კიდევ, როგორც მას უწოდებენ, ეკონომიკის მესამე სექტორი საკმაოდ არაერთგვაროვანია. ამ სექტორს მკაფიო საზღვარი არ გააჩნია. მაგალითად, კომპიუტერულ ფირმას შეუძლია კომპიუტერების წარმოება, აგრეთვე მათი გაყიდვა საცალოდ და სერვისული მომსახურების განახორციელება. როგორც ჩანს, პრაქტიკულად ნებისმიერი ფირმის საქმიანობაში არის მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც ფორმალურად შეიძლება მივაკუთვნოთ მომსახურებას. მარკეტინგი, სამეცნიერო და საკონსტრუქტორო სამუშაოები წარმოებული ფირმის ჩარჩოებში და სხვა მრავალი შეიძლება იქნეს მიკუთვნებული მომსახურების სფეროსათვის, თუმცაღა სტატისტიკა, მესამე სექტორს მიაკუთვნებს მხოლოდ კონკრეტულ ხუთ დარგს:

1. ვაჭრობა;
2. ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა;
3. ფინანსურ-საკრედიტო სფერო;
4. სახელმწიფო მართვა;
5. სხვა მომსახურებანი (ჯანდაცვა, განათლება, მეცნიერება, ხელოვნება, კულტურა, მოსახლეობის ყოფითი და კომუნალური მომსახურება).

თვალის ერთი გადავლებაც საკმარისია, რომ მივხვდეთ მიღებული კლასიფიკაციის არასრულყოფილებას და პირობითობას. სხვა მომსახურებაშია ერთად თავმოყრილი მილიონობით დოლარების მიმღები ადვოკატის და ზეინკალ-სანტექნიკოსის საქმიანობა. საერთოდ, გრაფა „სხვა" მომსახურებები, დანახარჯები და ა. შ. — სტატისტიკის ყველაზე დიდი უბედურებაა. მასში შეტანილი თანხების წილი ხშირად იმდენად დიდია, რომ მთლიანობაში ანალიზი შეუძლებელი ხდება.

არსებული სტატისტიკური კლასიფიკაცია საშუალებას არ იძლევა ბოლომდე გავიგოთ პოსტინდუსტრიულ ეკონომიკაზე გადასვლის რთული და მრავალასპექტიანი პროცესები. სტატისტიკა გვეუბნება, რომ ერთი მხრივ, მომსახურების სფეროში მომუშავე ადამიანთა რიცხვი და მომსახურების

წილი განვითარებული ქვეყნების მშპ-ში სწრაფად იზრდება, მაგრამ, მეორე მხრივ ადამიანთა შემოსავლები, რომლებიც დასაქმებული არიან მესამე სექტორში, საშუალოდ შესამჩნევად დაბალია, ვიდრე პოსინდუსტრიულ სექტორში. ბუნდოვანია, რა უბიძგებს ადამიანებს დაბალანაზღაურებადი სამუშაოსკენ მომსახურების საშუალო სფეროში.

აქ მთავარი სიტყვაა „საშუალოდ", რომელიც სიტყვასთან „სხვები" ერთად ჩვეულებრივ ბურუსში მოსავს სიტუაციას და ანალიზს აძნელებს. სინამდვილეში *პოსინდუსტრიალიზაციის რთულ, ევოლუციურ პროცესში ერთმანეთში გადახლართულია რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული, მაგრამ არსებითად სხვადასხვა პროცესი.*

პირველი, სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში წარმოების ინტენსიფიკაციასთან მივყავართ, რაც განაპირობებს ამ სფეროებიდან ჭარბი მუშახელის გამოდევნას. ეს სამუშაოდაკარგული ადამიანები ჩვეულებრივ სამუშაოდ მიდიან ვაჭრობაში, სოციალური მომსახურების სფეროში, ტურიზმში დაბალხელფასიან თანამდებობებზე. ისინი დასაქმებული არიან სწრაფი სერვისით. ამგვარად მიმდინარეობს ეკონომიკის *სერვისიზაციის* პროცესი. იგი თავისთავად წარმოადგენს პოსტინდუსტრიალიზაციის პროცესის ექსტენსიურ შემადგენელ ნაწილს. სერვისიზაცია ძალიან წააგავს ინდუსტრიალიზაციის დასაწყის ეტაპებს, როცა სოფლის მეურნეობიდან გამოდევნილი ხალხი სამრეწველო მუშები ხდებოდნენ.

მეორე, სერვისიზაციასთან ერთდროულად მიდის უკვე ჩვენთვის კარგად ნაცნობი საზოგადოების *ინფორმატიზაციის* პროცესი. ობიექტური კანონზომიერების განვითარების ორგანიზაციამ და მართვამ მოითხოვა საინფორმაციო საქმიანობაში დიდი ოდენობის კვალიფიციური ადამიანი. სწორედ ამ პროცესს გამოვყოფდით, როგორც განმსაზღვრელს, საინფორმაციო საზოგადოების ფორმირებისას.

დაბოლოს, მესამე, ძალას იკრებს *ინტელექტუალიზაციის* პროცესი. იგი მდგომარეობს ადამიანთა ჯგუფების რიცხობრივ ზრდაში, რომლებიც დასაქმებული არიან შემოქმედებითი, ინტელექტუალური შრომით. ამ ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ არა მარტო მეცნიერები, ტრადიციულად შემოქმედებითი პროფესიის ადამიანები (მწერლები, ჟურნალისტები, მხატვრები, მსახიობები და ა. შ.), არამედ მენეჯერები, კერძო მეწარმენი, ფინანსური კონსულტანტები, ექიმები, იურისტები და ა. შ. ამ ჯგუფის რაოდენობაზე უფრო სწრაფად იზრდება მისი მნიშვნელობა ეკონომიკასა და საზოგადოებაში. ჯერჯერობით ინტელექტუალიზაციას იშვიათად გამოყოფენ ინფორმატიზაციის ზოგადი პროცესისაგან, მაგრამ ანალიზისათვის და, განსაკუთრებით, პოსტინდუსტრიული განვითარების პროგნოზისათვის ეს აბ-

სოლუტურად აუცილებელია. ინტელექტუალიზაციის პროცესები ქვემოთ იქნება განხილული, თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის ინტელექტუალური რესურსების გაშუქებისას.

> მაშ ასე, სერვისიზაცია პოსინდუსტრიალიზაციის პროცესს ანიჭებს მასობრიობას, მაგრამ, ამასთანავე, მომსახურების სფეროს მუშაკთა საშუალო შემოსავლებს ამცირებს, ხოლო ინფორმატიზაცია და ინტელექტუალიზაცია პოსინდუსტრიული ეკონომიკის განვითარების ძირითად ვექტორს ტონს აძლევს და უზრუნველყოფს მესამე სექტორის ხელმძღვანელ მდგომარეობას თანამედროვე ეკონომიკურ სისტემაში.

მივუბრუნდებით რა საყოველთაოდ მიღებულ კლასიფიკაციას, დავძენთ, რომ თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში პირველ ადგილზე დგას მშპ-ის წილის მიხედვით საფინანსო-საკრედიტო მომსახურება (გამონაკლისს წარმოადგენს იაპონია, სადაც პირველ ადგილზეა — ვაჭრობა, რომელსაც სხვა განვითარებულ ქვეყნებში მეორე პოზიცია უკავია). ეს დარგი, რომელიც მთელი მესამე სექტორის დაახლოებით 40%-ს შეადგენს, დაწვრილებით იქნება განხილული შემდეგ თავში. ტრანსპორტს, საინფორმაციო მომსახურებას და კავშირგაბმულობას უკვე მიეძღვნა ცალკეული თავები. ასე რომ, გასარკვევი გვრჩება ვაჭრობა, სახელმწიფო მართვითა და სხვადასხვა საიდუმლო მომსახურებით.

ვაჭრობა საბჭოთა პერიოდში დიდ პატივად არ ითვლებოდა და თუმცა რეფორმების პერიოდმა რუსეთში ბევრი რამ შეცვალა, იშვიათად რომ ვინმემ სიამაყით განაცხადოს თავისთავზე: „მე ვაჭარი ვარ“ ან „მე მედუქნე ვარ“. აი, მარგარეტ ტეტჩერი კი თამამად აცხადებდა დიდებული და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, წარმატებული ინგლისელი ერის სახელით: „ჩვენ მედუქნეთა ერიდან ვართ“.

ვაჭრობის როლი კვლავწარმოებით პროცესში ძნელია გადავაფასოთ. სწორედ ეს სფერო უზრუნველყოფს საბაზრო ეკონომიკისათვის კონტაქტს საქონლის მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის. ჩვეულებრივ, ვაჭრობა მშპ-ის 11-13%-ს შეადგენს.

სხვადასხვა ქვეყანაში გამოყენებულ სავაჭრო ტექნოლოგიებზე ლაპარაკობს უპირველეს ყოვლისა საბითუმო და საცალო რგოლებში მუშაკთა რაოდენობის თანაფარდობა. შვეციასა და გერმანიაში საბითუმო რგოლის მუშაკთა წილი დაახლოებით 33%-ს შეადგენს, ხოლო აშშ-ში — 25%-ს ვაჭრობაში დასაქმებულთა საერთო რაოდენობიდან. არ შეიძლება ერთმნიშვნელოვნად ვთქვათ, რომ იქ, სადაც ცალობითი რგოლი ნაკლებია, ვაჭრობა უკეთაა ორგანიზებული. თუმცა მსხვილი უნივერსალური მაღა-

ზიები საჭიროებს შრომის ბევრად ნაკლებ დანახარჯს, ვიდრე წვრილი დუქნები. სავაჭრო ტექნოლოგიები დაკავშირებულია ვაჭრობის და მოხმარების ეროვნულ ტრადიციებთან, ამიტომ წმინდა ეკონომიკურად მათი შედარება სავსებით არამართლზომიერია. ისე ჩანს, რომ ეკონომიკურად ეფექტიანი უნივერსამები ვერ იპოვის თავის მყიდველს იმ ქვეყნებსა და რეგიონებში, სადაც მუდმივი კონტაქტის ძველი წეს-ჩვეულება არსებობს „თავის მებაყლესთან", „თავის მემწვანილესთან" და ა. შ.

ვაჭრობის მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს დასაქმება საცალო ვაჭრობაში 10 ათას მოსახლეზე. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 330-390 ადამიანის ზღვრებშია, აშშ-ში — 570, ხოლო იაპონიაში — 630. იაპონია საერთოდ ლიდერობს ვაჭრობაში დასაქმებულთა საერთო რიცხვში წილის მიხედვით (23%). ეს აიხსნება წვრილი საცალო ვაჭრობის ტრადიციებით და საცალო ვაჭრებად გაღატაკებული გლეხების და სამრეწველო დაწესებულებებიდან სამსახურდაკარგული ადამიანების გადადინებაში.

საცალო ვაჭრობის ფართო ქსელის არსებობა, რომელიც მუშაობს თითქმის დღედაღამ, დამახასიათებელია იმ ქვეყნებისათვის, სადაც დიდი რაოდენობის ადამიანები მზად არიან იმუშაონ საკმაოდ მწირ ანაზღაურებაზე. მაღალი ცხოვრების დონის მქონე ქვეუნებში, სადაც მოსახლეობა შემოსავლების მიხედვით მცირედაა დანაწევრებული, მაგალითად, დასავლეთ ევროპაში, ჩვეულებრივ საცალო ვაჭრობა განვითარებულია ზომიერად, სამუშაო საათები კი — მკვეთრადაა განსაზღვრული, რადგან დამატებითი მუშაობის საათები საჭიროებს მნიშვნელოვან დამატებით დანახარჯებს. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნათელია, თუ რატომაა რუსეთში ასე სწრაფად და მძლავრად განვითარებული საცალო ვაჭრობა; ჩვენთან ადამიანთა უზარმაზარი რაოდენობა მზადაა დღედაღამე იმუშაოს საკმაოდ მიზერულ თანხაზე.

საცალო ვაჭრობის განვითარება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეკონომიკაზე. ადამიანები დროს ზოგავენ რიგებში დგომაზე, საჭირო საქონლის ძიებისას და ა. შ. *ამერიკელმა მეცნიერებმა გამოთვალეს, რომ აშშ-ში ვაჭრობის განვითარებამ ბოლო 40 წლის განმავლობაში გამოათავისუფლა სამუშაო დროის ოდენობა, ეკვივალენტური ეკონომიკაში დამატებით 45 მლნ მუშაკის მიზიდვისა.* რას შეიძლება მოველოდეთ ანალოგიური მეთოდით გამოთვლების შედეგებისაგან, ჩვენი ქვეყნისათვის მისი უსასრულო რიგებითა და თითქმის ყველა საქონლის დეფიციტით რეფორმამდელ პერიოდში?

ვაჭრობაში, ისევე როგორც მრეწველობაში, შეიქმნა მთელი იმპერიები, რომლებიც აერთიანებენ ასობით მაღაზიას, საწყობსა და მათთვის საწარმოებელი საქონლის დაწესებულებას. სავაჭრო-სამრეწველო ჯგუ-

ფები არსებობენ თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში. მაგალითის სახით შეგვიძლია მოვიყვანოთ მაღაზიათა ცნობილი ქსელი — „სირს როებეკი“, რომელიც თავდაპირველად შეიქმნა, როგორც საცალო ვაჭრობის სისტემა, ამერიკელი ფერმერებისათვის. „სირს“-ის დამფუძნებლებმა XX ს-ის დამდეგს შეძლეს იმ დროისათვის უპრეცედენტო შესვლის ორგანიზება სოფლის მცხოვრებთა სამომხმარებლო ბაზარზე. ფირმის კატალოგი ბიბლიის გვერდით იდო ყოველი ფერმერის ოჯახში. ეს მიღწეულ იქნა ფერმერთა მოთხოვნილებების ყურადღებით შესწავლის შედეგად და „სირსის“ მიერ კონტროლირებადი მრეწველობის მთლიანი დარგისათვის, რომელიც ფერმერებისათვის აწარმოებდა მათთვის აუცილებელი საქონლის მთელ სპექტრს. ფერმერთა ნდობა კი განაპირობა ხარისხიანი საქონლის სახლში მიტანის უნაკლო უზრუნველყოფამ მუდამ შესრულებადი დევიზით: „სულ მცირე პრეტენზიის შემთხვევაში ფულის უკან დაბრუნება ულაპარაკოდ“. თავისი საუკუნოვანი ისტორიის მანძილზე „სირსს“ არაერთხელ შეუცვლია მარკეტინგული სტრატეგია. 50-60-იან წლებში ამ სავაჭრო-სამრეწველო ჯგუფმა პირველმა მოახდინა მსხვილი უნივერმაღების ქსელის ორგანიზება დიდი ქალაქების შესასვლელებში, ორიენტირებას ახდენდა რა მყიდველებზე შესასვლელებში, მყიდველ-ავტომობილისტებზე, რომლებიც საქონელს ერთი კვირისათვის ყიდულობდნენ ერთ ადგილზე. ფაქიზმა ყურადღებამ ახალი მოთხოვნილებებისადმი, ზუსტმა პროგნოზირებამ და ამაზე ყველა ქვესაკონტროლო სამრეწველო საწარმოთა აწყობამ „სირსს“ საშუალება მისცა დარჩენილიყო მსოფლიოში ვაჭრობის ლიდერთა რიცხვში.

ყველასათვის ცნობილია მთელ მსოფლიოში გაშლილი თავისი სავაჭრო ქსელით სავაჭრო-სამრეწველო ჯგუფები სწრაფი კვების სფეროში. ამ კომპანიებს შორის ყველაზე მეტი ბრუნვით გამოირჩევა „მაკდონალდს“-ის ქსელი (გაყიდვათა თანხა 11 მლრდ დოლარს აჭარბებს), მას მოსდევს „ბურგერ ქინგ კორპორეიშენ“ (4,9 მლრდ. დოლ.), რომელსაც ფლობს ჯგუფი „გრანდ მეტროპოლიტენ“, „კენრაკი ფრენდ ჩიქენ“ (2,9 მლრდ. დოლ.), „პიზა ჰატ“ (2,6 მლნ. დოლ.) და „ტაქო ბელ“ (1,6 მლრდ. დოლ.). ბოლო სამი ქსელი ეკუთვნის „პეპსი კო“-ს, „მაკდონალდ“-ს და სხვა კორპორაციებს. ისინი არა მარტო რესტორნებია, არამედ მათი მომმარაგებელი დაწესებულებები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, რომლებიც სათაო ფირმასთან დაკავშირებული არიან სხვადასხვა სახელშეკრულებო ურთიერთობათა ქსელით, რაც ერთიანობას და მთელი სისტემის საიმედო მუშაობას უზრუნველყოფს.

სახელმწიფო მართვა — ესაა სახელმწიფო ჩინოვნიკთა მომსახურება, რომლებიც ქვეყნის მოქალაქეთა მიერაა დაქირავებული სახელმწიფო ფუნქციების შესასრულებლად. აქ ძალიან მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ

სწორედ მოქალაქეები ქირაობენ ჩინოვნიკებს და მათ მომსახურებას ანაზღაურებენ გადასახადების გადახდის გზით. სახელმწიფოს როლის ამგვარი გაგება, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა ჩვენი ქვეყნის არც ჩინოვნიკთა და არც მოსახლეობის გარემოში. ჩინოვნიკთა მომსახურება უმეტეს განვითარებულ ქვეყნებში 10-დან 13%-მდე შეადგენს.

საერთაშორისო ვაჭრობაში წამყვან როლს ევროპა თამაშობს. მის წილად საერთაშორისო ტვირთბრუნვაში 40% მოდის. მსოფლიო ვაჭრობის ლიდერებს აშშ, გფრ და იაპონია წარმოადგენენ.

დაბოლოს, ე. წ. სხვა მომსახურებათა შესახებ. მომსახურების ამ ძალზე ნაირგვაროვან ჯგუფში საჭიროა გამოვყოთ ტურიზმი და ინტელექტუალური მომსახურება.

ტურიზმი გახდა მსოფლიო ეკონომიკის უმსხვილესი დარგი, რომელიც კუთრი წონით მსოფლიო მშპ-ში აჭარბებს ტრადიციული მრეწველობის ყველა დარგს. დღესდღეობით მსოფლიო ტურიზმში უშუალოდ დასაქმებულია 100 მლნ ადამიანზე მეტი, ხოლო დაახლოებით 600 მლნ. ადამიანი ყოველწლიურად ტურისტულ მოგზაურობებს აწყობს. ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში ტურისტების რიცხვი გაიზარდა 25-ჯერ. ეს გამოწვეულია, უპირველეს ყოვლისა, ცხოვრების დონის ზრდით, განსაკუთრებით განვითარებულ ქვეყნებში. ხანდაზმული ადამიანების დანაზოგი და პენსია ამ ქვეყნების მცხოვრებთ საშუალებას აძლევს იმოგზაურონ მთელ მსოფლიოში, ამიტომ ისინი გახდნენ მოსახლეობის ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი მოგზაური ადამიანები. საერთაშორისო ტურიზმი აგრეთვე დაკავშირებულია „სატრანსპორტო რევოლუციასთან", რადგან დედამიწის ნებისმიერი კუთხე მისაღწევი გახდა.

გარდა ყველაზე უფრო გავრცელებული გამაჯანსაღებელი და საექსკურსიო ტურიზმისა, დიდი პოპულარობა ჰპოვა სამეცნიერო (ტურისტების საერთო რიცხვის 7%) და საქმიანი (12%) სახის ტურიზმმა.

საქვეყნოდ ცნობილი ოტელების სისტემა — „ჰილტონი", „შერატონი", „ჰოლიდეი ინი", „მოვენპიკი" და სხვები — ესაა მასშტაბების მიხედვით კოლოსალური დაწესებულებები, რომლებიც ათი ათასობით ადამიანს აძლევენ სამუშაოს მთელ მსოფლიოში.

ყველაზე მეტ ტურისტებს ღებულობს საფრანგეთი (65 მლნ. ადამიანი), აშშ (50 მლნ. ადამ.) და ესპანეთი (50 მლნ. ადამ.). ბევრ ქვეყანაში ტურიზმი ეკონომიკის წამყვან დარგს წარმოადგენს. ტყუილად როდი უწოდებენ მას „მრეწველობას მილების გარეშე". საფრანგეთსა და დანიაში ტურიზმი იძლევა საქონლის და მომსახურების ექსპორტიდან შემოსავლების დაახლოებით 12%-ს, იტალიასა და შვეიცარიაში — 20%-ზე მეტს, ხოლო ესპანეთსა და ავსტრიაში — 35%-ს.

12.5. ინტელექტუალური რესურსები და მოსახურება

ეკონომიკაში ყოველთვის ითვლებოდა, რომ საწარმოო შესაძლებლობანი დამოკიდებულია მიწის რესურსებზე, კაპიტალზე და შრომაზე. ამასთან, ჰეკშერ-ოლინის ცნობილი კანონის მიხედვით, *ქვეყნის ექსპორტში ჭარბი იქნება საქონელი, რომელთა წარმოება ძირითადად ეფუძნება იმ რესურსს, რომელიც მოცემულ ქვეყანაში არის შედარებით ჭარბი.* ამ კანონის შესაბამისად, აშშ-ს უნდა მოეხდინა ძირითადად კაპიტალტევადი საქონლის ექსპორტი. თუმცა ცნობილი ამერიკელი ეკონომისტის, ვ. ლეონტიევის მიერ ჩატარებულმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ *გამოყენებულ რესურსებს შორის აშშ-ის საექსპორტო საქონელში ძალიან დიდია შრომის წილი.* ეს პარადოქსი, რომელიც ეკონომიკაში ცნობილია როგორც *ლეონტიევის პარადოქსი*, თვალნათლივ გვიჩვენებს შრომითი რესურსების არაერთგვაროვნებას. აშშ თავისი ექსპორტისათვის იყენებს არა უბრალოდ შრომით რესურსებს, არამედ ქვეყანაში არსებულ ძვირადღირებული კვალიფიციური შრომის უზარმაზარ რესურსს. სწორედ ისაა შედარებით ჭარბი და იგი უბიძგებს იმ საქონლის ექსპორტისაკენ, სადაც მისი წილი თვითღირებულებაში საკმაოდ დიდია. მას საფუძვლად უდევს არა მარტო და არა იმდენად ადამიანის სურვილი მიიღოს შემოსავალი და დაიკმაყოფილოს თავისი ყოფითი მოთხოვნილებები, რამდენადაც თვითგამოხატვის და შემოქმედებითი უნარის მოთხოვნილება.

ამგვარად, ეკონომისტები მივიდნენ შრომითი რესურსების — კვალიფიციურად და არაკვალიფიციურად — დაყოფის აუცილებლობამდე. კვალიფიციური შრომის უფრო გულდასმით განხილვა საშუალებას იძლევა მასში გამოვყოთ ინტელექტუალური შრომა.

თავი დავანებოთ მითს იმის შესახებ, რომ ყოველგვარი შრომა შეიძლება იყოს შემოქმედებითი და ყოველი ადამიანი თანაბარუნარიანია შემოქმედებითი შრომის მიმართ, რაც საბჭოთა ეპოქასთან ერთად წარსულს ჩაბარდა. თავისუფლად მომუშავე შემოქმედებითი პიროვნებების კომუნისტური სამოთხე აღმოჩნდა ისევე მიუღწეველი, როგორც ციური სამოთხე. შემოქმედება აუცილებელი და მისაღწევი როდია ყველასათვის და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა — გადასცეს ეკონომიკური სისტემის მიერ გამომუშავებული თავისუფალი დროის რესურსები იმ ადამიანებს, რომლებსაც მისი გამოყენება შეუძლია ყველაზე ეფექტიანად ეკონომიკური განვითარებისათვის.

შემოქმედებითი ადამიანების თავისებურებას წარმოადგენს საერთო ძალაუფლებისათვის ბრძოლის გადატანა მეცნიერების ან ხელოვნების სფეროში. იქ ეს ბრძოლა მეტოქეობის ფორმებს იძენს სამეცნიერო ავტორიტეტისა და პრიორიტეტისათვის, თავისი სამეცნიერო სკოლის გავლენისათვის, უფრო პროზაულად კი გრანტებისა და შეკვეთებისათვის სამეცნიერო კვლევების დარგში. მეცნიერებასა და ხელოვნებაში მოღვაწე ადამიანთათვის დამახასიათებელი გარეგნული კორექტულობის მიუხედავად (აქ, რა თქმა უნდა, გამონაკლისი ცოტა როდია), ამ სფეროში კონკურენტული ბრძოლა მიმდინარეობს არანაკლები სიმწვავით, ვიდრე ბიზნესში. შემოქმედებითი, სამეცნიერო საქმიანობა საჭიროებს ძალისხმევის ისეთ მაღალ კონცენტრაციასა და ყოველდღიური მოთხოვნილებებისაგან თვითაღკვეთის ისეთ ხარისხს, რომ გარეშე ადამიანებს ჰგონიათ, თითქოს მეცნიერი ადამიანები ამ ქვეყანას არ მიეკუთვნებიან, რადგან ისინი სრულიად სხვა კანონების მიხედვით ცხოვრობენ. ბევრ მეცნიერს სრულიად გულწრფელად სწამს, რომ ისინი მუშაობენ მხოლოდ წმინდა მეცნიერებისათვის, შემეცნებისათვის, მაგრამ მათი საქმიანობის სიღრმისეულ სტიმულს მაინც ყველა ადამიანისათვის დამახასიათებელი ძალაუფლებისაკენ ლტოლვა შეადგენს. იმისათვის, რომ ამას მივხვდეთ, საკმარისია შევხედოთ, როგორი ჟინით იბრძვიან მეცნიერები სამეცნიერო პრიორიტეტისათვის, ხოლო როგორც ამაზე ნიცშემ თქვა „ყველგან, სადაც იბრძვიან — იბრძვიან ძალაუფლებისათვის“.

ჯერ კიდევ ეკონომიკური მეცნიერების კლასიკოსებმა შენიშნეს, რომ *ადამიანების მიერ შექმნილი ძირითადი სიმდიდრე ესაა საზოგადოების წევრების თავისუფალი დრო.* უძველეს ხანაში ადამიანმა ცეცხლის მოპოვებასთან ერთად მიიღო საშმლის მოპოვების და გადამუშავებისგან თავისუფალი დრო. უხუცესები და ქურუმები ყოველდღიური საზრუნავისაგან თავისუფალ დროს იყენებდნენ იმაში, რომ დაეგროვებინათ ცოდნა, რომელსაც შემდგომ თაობიდან თაობას გადასცემდნენ. ასე დაიწყო კაცობრიობის ცივილიზაცია.

მისი თანამედროვე ეტაპი კი, ევროპული აღორძინებიდან დაწყებული, დაკავშირებულია თავისუფალი დროის საზოგადოებრივი რესურსების გადაცემასთან ძირითადად მეცნიერთათვის, რომლებიც მას იყენებენ სამყაროს შეცნობისათვის, ხოლო მიღებული ცოდნის საფუძველზე სულ ახალ-ახალი საქონლის წარმოების ტექნოლოგიების შემუშავებისათვის, რაც ადამიანთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ემსახურება.

ბაზარი მოთხოვნილებებზე ფაქიზად რეაგირებს, უფრო მეტიც, ნაწილობრივ თვითონ აყალიბებს მათ. იგი თვითონვე ანაწილებს თავისუფალი დროის რესურსებს, მიმართავს რა მათ სამეცნიერო მოღვაწეობის

იმ სახეებში, რომლებიც პერსპექტივაში აუცილებელი საქონლის წარმოების ტექნოლოგიებს ქმნის. თუმცა ბაზარი მოკლებულია განჭვრეტის უნარს. მას შეუძლია მხოლოდ ამოარჩიოს უკვე არსებული დამთავრებული სამეცნიერო ნაშრომებიდან ყველაზე კონკურენტუნარიანი. ამიტომ ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევების ჩატარებას და რისკს ჩვეულებრივ სახელმწიფო იღებს თავისთავზე. ეს გამოკვლევები ახალ ცოდნას იძლევა სამყაროს შესახებ, მაგრამ სრულებით არაა სავალდებულო ამ ცოდნის საფუძველზე უახლეს მომავალში იქნეს მიღებული ეფექტიანი ტექნოლოგიები. ამიტომ განვითარებული სახელმწიფოები გადასახადების მეშვეობით ახდენენ საზოგადოების რესურსების მობილიზებას და მიმართავენ მათ ყველაზე უფრო პერსპექტიული მიმართულების ფუნდამენტურ კვლევებში.

აქ იკვეთება საინტერესო, სტატისტიკურად სარწმუნო კანონზომიერება:

> რაც უფრო მდიდარია ქვეყანა, მით უფრო დიდ ნაწილს ხარჯავს თავისი მთლიანი შიდა პროდუქტიდან მეცნიერებაზე.

შევნიშნავთ, არა უბრალოდ დიდ ფულს, არამედ მშპ-დან დიდ პროცენტს! ამასთან, ისტორიულად ქვეყანა ჯერ მკვეთრად ზრდის პროცენტული მიმართებით დანახარჯებს მეცნიერებაზე, ხოლო შემდეგ უკვე მდიდარი ხდება. ასეთი გზა განსაკუთრებით დამახასიათებელია იაპონიისა და „ახალი ინდუსტრიული ქვეყნებისათვის" (სამხრეთ კორეა, ტაივანი და სხვ.). თანამედროვე რუსეთს მშპ-ის წილის მიხედვით, რომელსაც სამეცნიერო კვლევებისათვის ხარჯავს, უკავია 32-ე ადგილი, მისდევს რა ჩილეს, ხოლო გვიანეას კი ოდნავ უსწრებს. ამასთან, 2000 წლისათვის ეს წილი შემცირდა უკვე ისედაც ბოლო წლებში არსებულ წილთან შედარებით და შეადგინ ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის 1,3%.

შედარებისათვის შევნიშნავთ, რომ აშშ მეცნიერებისათვის ხარჯავს 160 მლრდ დოლარზე მეტს ანუ მშპ-ის 2,54%-ს. დააკვირდით, მშპ-დან და არა ბიუჯეტიდან. და ეს კიდევ არაა ზღვარი. იაპონია და შვეცია მეცნიერებაზე ხარჯავს მშპ-ის 3-3%-ს. ერთ სულ მოსახლეზე, გამოთვლით, განვითარებულ ქვეყნებში მეცნიერებაზე დანახარჯები შეადგენს (აშშ-ში) 700-დან 250 დოლარამდე (იტალია). რუსეთში ეს მაჩვენებელი 10 დოლარსაც არ აჭარბებს.

რუსეთი ელვის სისწრაფით კარგავს თავის სამეცნიერო პოტენციალს, ყოველწლიურად ქვეყნიდან გადის ათი ათასობით მაღალი ხარისხის მეცნიერი, რომლისგანაც ზარალი, ექსპერტების შეფასებით, წელიწადში 50 მლრდ დოლარს შეადგენს, ე. ი. მნიშვნელოვნად მეტს, ვიდრე ქვეყნიდან

კაპიტალის პირდაპირი გატანა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მეცნიერებაზე დანახარჯები გაიზრდება კანონის მიხედვით ფედერალური ბიუჯეტის სავალდებულო 4%-მდე, იგი მაინც მნიშვნელოვნად ნაკლები იქნება მშპ-ის 1%-ზე, რომელიც წარმოადგენს იმ ექსპერტული ზღურბლის მნიშვნელობას, რის შემდეგაც ქვეყნის სამეცნიერო-ტექნიკური ბაზის დაშლა გახდება შეუქცევადი.

> /თანამედროვე ეკონომიკამ ისწავლა მიღებული დოვლათი გადააქციოს თავისუფალ დროდ და გადასცეს ეს დრო მეცნიერების განკარგულებაში, რომლებიც ზემოთ აღწერილი ძალაუფლების სურვილით შეპყრობილნი, გამოიმუშავებენ თანამეროვე ცივილიზაციის ძირითად პროდუქტს — ცოდნას, რომელიც ეკონომიკური განვითარების ძირითად რესურსს შეადგენს./

განვითარებულ ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის უკვე 85%-ზე მეტი დაფუძნებულია ცოდნაზე, როგორც ძირითად რესურსზე. მეგაეკონომიკაში წარმოიქმნა ცოდნის წარმოების საკმაოდ თავისებური მექანიზმი. მათი მატარებლები და მწარმოებლები არიან შემოქმედ პირთა სპეციფიკური ჯგუფი, რომელთა ძალაუფლებისკენ სწრაფვის სურვილი გადატანილია ეკონომიკურიდან შემოქმედებით, სამეცნიერო სფეროში. ისინი იბადებიან და რაღაც პერიოდი ცხოვრობენ სხვადასხვა ქვეყანაში. თუმცა დროთა განმავლობაში ეს ადამიანები ხვდებიან, რომ თავისი სამეცნიერო მოთხოვნილებების დაკმაყოფილება შეუძლიათ მხოლოდ დიდ სამეცნიერო ცენტრებში, რომლებიც ძირითადად განვითარებულ ქვეყნებშია. სამეცნიერო ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის სურვილი, სწავლის სურვილი და თანაბარ პირობებში სხვა მეცნიერებთან კონკურენცია, მათ მთლიან მსოფლიო თანამეგობრობაში ჩართვა, რომლის ფარგლებშიც ისინი შეძლებენ თავიანთი სამეცნიერო პატივმოყვარეობის დაკმაყოფილებას, აიძულებს მათ დატოვონ სამშობლო და გადასახლდნენ ერთ-ერთ განვითარებულ ქვეყანაში. აშშ და სამეცნიერო თვალსაზრისით სხვა მოწინავე ქვეყნები ყოველმხრივ ხელს უწყობენ მსოფლიოს საუკეთესო მეცნიერთა კონცენტრაციას თავისთან, სთავაზობენ რა შესანიშნავ პირობებს მუშაობისა და ცხოვრებისათვის, რაც მათ თავის სამშობლოში არ ჰქონდათ.

> ამგვარად, /განვითარებულ ქვეყნებში მეგაეკონომიკის ეკონომიკური მექანიზმი სამეცნიერო ელიტის კონცენტრაციას ახდენს და იმავდროულად ფინანსურ და მატერიალურ რესურსებს მიმართავს მისი ეფექტიანი მუშაობისათვის./

ასეთი მექანიზმი შეიძლება უსამართლო გვეჩვენოს განვითარებადი ქვეყნების თვალსაზრისით, მაგრამ კაცობრიობის მასშტაბებში იგი ამჟამად ყველაზე ეფექტიანია. არსებობს იმედი, რომ ინტერნეტის ერის დადგომისთანავე სამეცნიერო თანამეგობრობა შეძლებს ეფექტიან ფუნქციონირებას განაწილებულ რეჟიმში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მეცნიერებს შეუძლიათ სამშობლოში დარჩენა და ისე მუშაობა მსხვილ სამეცნიერო ცენტრებში, ექნებათ რა ურთიერთობა კოლეგებთან ქსელის მეშვეობით. ასეთ ურთიერთმოქმედებათა მაგალითები უკვე არის. და მაინც, როგორც ჩანს, ქსელური, ვირტუალური ურთიერთობა საკმარისი არ იქნება ყველა თავისი შესაძლებლობის მობილიზაციისა და ძალების მოსაკრებად. აქ აუცილებელია პირადი კონტაქტი, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს ძველი ჰორმონალური მექანიზმები, რომლებიც განკუთვნილია ძალაუფლებისათვის უკომპრომისო ბრძოლისათვის.

პოსინდუსტრიულ საზოგადოებაში ძირითადი რესურსების მნიშვნელობა კარდინალურად შეიცვალა. ინდუსტრიული განვითარების ეტაპზე ძირითადი როლის შემსრულებელი კაპიტალი გადავიდა მეორე რიგში. ძირითადი რესურსები გახდა ცოდნა და მისი მატარებლები — ცოდნის დამცველები და მწარმოებლები. ამ ჯგუფს მიეკუთვნებიან არა მარტო ტრადიციული მეცნიერები, არამედ ინჟინრები, კონსტრუქტორები, მენეჯერები, მეწარმენი — ყველა, ვისაც უნარი აქვს გამოიმუშაოს ახალი ცოდნა, როგორც ტრადიციული აღმოჩენების და გამოგონებების, ასევე ტექნოლოგიური, ფინანსური და ნოუ-ჰაუს მართვის ფორმით. ეს ადამიანები თანამედროვე ეკონომიკაში იძენენ უზარმაზარ დამოუკიდებელ ფასეულობას, მათში თავმოყრილია უმეტესი კომპანიების ძირითადი ქონება, რომლებიც ინფორმაციის, ფინანსების, ინოვაციების, მრავალგვარი კონსალტინგის სფეროებში მუშაობენ. წამყვანი მენეჯერის, მეცნიერის, პროგრამისტის ან დამპროექტებლის კომპანიიდან წასვლა ხშირად მატერიალური აქტივების დიდი ნაწილის დანაკარგზე მძიმეა. ის თავის ცოდნასთან ერთად მიდის და თანაც, მათთან ერთად კონკურენტ-ფირმაში აპირებს მუშაობას. ყოველივე ეს ადამიანებს — ცოდნის მატარებლებს — გარდაქმნის საზოგადოების მნიშვნელოვან ინტელექტუალურ რესურსად, ანიჭებს მათ აქამდე არნახულ დამოუკიდებლობას და ფასს.

> თანამედროვე ეკონომიკის განვითარების ზამბარას წარმოადგენს კონკურენცია ინტელექტუალური რესურსებისათვის და მასთან დაკავშირებული ინოვაციური შესაძლებლობებისათვის. ამასთან, საუბარი ეხება არა მარტო ტექნოლოგიებს, არამედ ორგანიზაციულ და მართვის ინოვაციებს, რომელთა მატარებლები მენეჯერები არიან. ეს ბრძოლა მიმდინარეობს ცალკეულ პირებს, კომპანიებს, ქვეყნებს და ეკონომიკურ სისტემებს შორის.

გეგმიური სისტემა შესანიშნავად ართმევდა თავს მასშტაბურ, თუმცა კი მკაფიოდ გამოკვეთილ ქსელური ტექნოლოგიური ინოვაციების წარმოებას, ისეთების, როგორიცაა ატომური ბომბის ან კოსმოსური გამოკვლევების შექმნა. ამიტომ კაპიტალისტურ ქვეყნებშიც ასეთი გამოკვლევები წარმოებს ძირითადად მსხვილი სახელმწიფო პროგრამების საფუძველზე, ე. ი. ფაქტობრივად დეტალურად შემუშავებული გეგმის საფუძველზე. თუმცა მასობრივი, წვრილი ინოვაციების წამოებისას, რომელიც მიმართული იქნება ადამიანთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, კონკურენტულ ბრძოლაში დამაჯერებლად გაიმარჯვებს საბაზრო სისტემა. ასეთი ინოვაციები, ფ. ჰაიეკის გამოთქმით, ხშირად ორგანიზაციულად დაუკავშირებელი ადამიანების „გაფანტულ“ ცოდნასა და ძალისხმევაზეა დაფუძნებული. ისეთი ინოვაციების წარმოების უნარი, რომლებიც დაფუძნებულია ასეთ „გაფანტულ“ ცოდნაზე, აგრეთვე, მათი სწრაფი გადაქცევა საქონლად — თანამედროვე ეტაპზე ეკონომიკის საბაზრო ორგანიზაციის ძირითადი კონკურენტული უპირატესობაა. გამოიყენეს რა ბაზრის ეს უნიკალური უნარი, განვითარებულმა კაპიტალისტურმა ქვეყნებმა მოიპოვეს გამარჯვება ეკონომიკურ შეჯიბრში სოციალისტური ქვეყნების გეგმურ ეკონომიკასთან.

> დასავლეთის და, განსაკუთრებით, პროტესტანტული, არსით ლიბერალური, ანგლო-ამერიკული ცივილიზაციების ცივილიზაციურმა რესურსებმა საშუალება მისცა საზოგადოების ინოვაციური პოტენციალის მობილიზებას და მისი წარმართვას ტექნოლოგიური პროგრესის პრაგმატულ კალაპოტში.

ინოვაციები ყოველთვის რისკთანაა დაკავშირებული, ზუსტად ხომ არაა ცნობილი, მოიტანს თუ არა სიახლე მოსალოდნელ შედეგს. მეცნიერი და გამომგონებელი თავისი დროითა და დახარჯული ძალისხმევით რისკავს, ხოლო ინოვაციურ პროექტში საშუალებების დამბანდებელი მეწარმე — ფულით. ასეთ რისკზე წასვლა დამოუკიდებლად შეუძლია მხოლოდ ისეთ ხალხს, რომელნიც შეჩვეულნი არიან გადაწყვეტილება მიიღონ თავისუფლად და მთელი პასუხისმგებლობით.

ინოვაციათა წარმატებულობაში არსებითი როლი ითამაშა განვითარებულ ქვეყნებში შექმნილმა ინოვაციური ბიზნესის სამართლებრივმა გარემომ. დასავლეთში საიმედო სამართლებრივი დაცვის შექმნა ინტელექტუალური საკუთრებისათვის გამოგონებებზე, პატენტების ფორმით. რამდენი რუსი მეცნიერის და კონსტრუქტორის გამოგონებამ ვერ მიიღო საყოველთაო აღიარება ქვეყანაში შესაბამისი საპატენტო სამართლის არქო-

ნის გამო. ორთქლის მანქანის გამომგონებელი პოლზუნოვი, ორთქლმავლის ამგები ძმები ჩერეპანოვები, რადიოს გამომგონებელი პოპოვი არა მარტო მსოფლოში აღიარების გარეშე დარჩნენ, არამედ სათანადო ჯილდოც კი არ მიუღიათ თავის ქვეყანაში საკუთარი აღმოჩენებისათვის.

ამ მხრივ სრულიად სხვაგვარადაა საქმე დასავლეთის ქვეყნებში. საყოველთაოდ აღიარებული ორთქლის მანქანის გამომგონებელი ჯეიმს უაიტი ტექნიკის ამ სფეროში ხანგრძლივვადიანი საპატენტო პოლიტიკის ბრწყინვალე სტრატეგი იყო. თავისი პირველი პატენტი № 013, 1769 წ. 5 იანვრით დათარიღებული მიიღო მაშინ, როცა მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა ორთქლის მანქანის შრომისუნარიანი ეგზემპლარი. მას აგრეთვე მოუხდა მისი უპირატესობის დამტკიცება უკვე 50 წლის განმავლობაში გამოყენებული ნოუკომენის ატმოსფერული მანქანის მიმართ, რომელიც ძალზე დაბალ გაწევას ფლობდა. იმისათვის, რომ შახტებში დაენერგათ ფაბრიკანტ მ. ბოლტონის დახმარებით აგებული ორთქლის მანქანები (შრომისუნარიანი ნიმუში დამზადდა მხოლოდ 1775 წელს), უაიტს მოუხდა მომავალი მფლობელებისთვის ფრიად სახარბიელო პირობების შეთავაზება. მანქანებს უფასოდ უყენებდნენ! ბოლტონი და უაიტი საკუთარ თავზე იღებდნენ ნოუკომენის მანქანის დემონტაჟის ხარჯებს, ასევე საკუთარი მანქანის მომსახურებასაც. სამაგიეროდ, პარტნიორები მოკრძალებით ითხოვდნენ ეკონომიის შედეგად დარჩენილი ნახშირის ღირებულების 1/3-ს, მაგრამ 25 წლის განმავლობაში. დაეხარბნენ რა მუქთას, მათ ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს და შახტის მფლობელები არც ისე მალე მიხვდნენ, როგორ აღმოჩნდნენ „გენიალური გამომგონებლის“ კაბალაში.

ორთქლის მანქანის იდეამ მალე სხვა გამომგონებელთა გონება მოიცვა. მათი გასაღების პოტენციური ბაზრის გათვალისწინებით, უაიტის და ბოლტონის კომერციულ ინტერესებს იგი კარგს არაფერს უქადდა. 1779 წელს ვაისბერგმა დ პიკარმა მიიღეს პატენტი ბარბაცა-მრუდხარა მექანიზმის გამოყენებაზე ორთქლის მანქანებში. ახლა უკვე ბალანსირის რხევითი მოძრაობა უაიტს აღარ შეეძლო გარდაექმნა მბრუნავად სხვათა უფლებების დარღვევის გარეშე. იმისათვის, რომ გვერდი აევლო ვაისბერგის და პიკარის პატენტისათვის, უაიტმა და ბოლტონმა თავდაპირველად აიღეს პატენტი დგუშის და ლილვის დაკავშირებაზე კბილანა გადამცემის დახმარებით.

იგი პლანეტარული რედუქტორის პირველსახე გახდა (1781 წ.) , რომელიც თანამედროვე სახელმძღვანელოებში აღწერილია, როგორც „უაიტის პარალოლოგრამი“ (1784 წ.). როდესაც ვაისბერგის და პიკარის პატენტის მოქმედების ვადა ამოიწურა, უაიტმა და ბოლტონმა ხელახლა დაიწყეს მრუდხარა გადაცემის გამოყენება. 1775 წელს კი მათ შეძლეს

პატენტის № 013 მოქმედების გაგრძელება კიდევ 25 წლით. იგი სულ 30 წელი მოქმედებდა!

პრობლემა, რომელსაც უაიტი ვაისბერგისა და პიკარისათვის პატენტის გაცემის შემდეგ წააწყდა, დღეს საპატენტო ექსპერტიზისათვის კიდევ უფრო აქტუალურია, ვიდრე 1779 წელს. ესაა განცხადებული გამოგონების — „განსხვავების არსებობის“ პრობლემა პროტოტიპისაგან. პატენტის გაცემას მრუდხარა მექანიზმზე უაიტი სავსებით არამართლზომიერად თვლიდა. ის წერდა: „მრუდხარა მექანიზმის ჭეშმარიტი გამომგონებელი იყო ადამიანი, რომელმაც სახარატო დაზგა შექმნა, მისი გამოყენება ორთქლის ტექნიკაში იყო ისევე ადვილი, როგორც იმ დანით სარგებლობა, რომელიც პურის საჭრელადაა განკუთვნილი“.

1782 წელს უაიტმა დააპატენტა ორთქლის გაფართოება ცილინდრში, ხოლო 1784 წელს — ორთქლის მიწოდება დგუშის ორივე მხრიდან ორცილინდრიან მანქანასა და ცენტრიდანულ რეგალუტორში. ამ პატენტის წყალობით, უაიტმა 1799 წელს „დასცა“ მაღალი წნევის ორმაგი გაფართოვების მქონე ბევრად ეფექტიანი ჯ. გორნბლოუერის მანქანა. მან გააპროტესტა მისი პატენტი სასამართლოში და იმისათვის, რომ უაიტის უფლებები არ დაერღვია, გორნბლოუმმა ვერ შეძლო თავის მანქანებში კონდენსატორის და მაღალი წნევის ორთქლის გამოყენება, რის შედეგადაც ისინი არაკონკურენტუნარიანი გახდა.

ბოლტონის ქარხნებს არ ჰქონდა ისეთი ტექნოლოგიები, რომლებიც მაღალი წნევის მანქანების აგების საშუალებას მისცემდა. ამიტომ უაიტი თითქმის ოცდაათი წელი მათ განვითარებას ბლოკავდა პატენტების დახმარებით. ასეთი მანქანების გამომგონებლებს არჩევანი მწირი ჰქონდათ: როგორც გინდა, ისე აწიე წნევა ქვაბში და მთლიანად მანქანის გაწევა, ხოლო ბოლტონი და უაიტი გელოდებიან სამეფო სასამართლოში 1769 წლის პატენტით და ყველაფერი იმიტომ, მისი მე–4 პუნქტი ღაღადებს: „ბევრ შემთხვევაში ვაპირებ გამოვიყენო (წნევის) ორთქლის მოქნილი ძალა დგუშსა და სხვა ნაწილებზე, რომლებიც მას ცვლიან...“ სამაგიეროდ, 1800 წლისათვის ინგლისში უკვე 321 უაიტის ორთქლის მანქანა მუშაობდა; ისინი აწყობილი იყო ბოლტონის ქარხნებში.

უაიტი ლოკომოტივის იდეის მიმართ სკეპტიკურად იყო განწყობილი, მაგრამ... ისიც დაუპატენტა 1784 წელს. რა იცით, რა ხდება!

ეს ჭკუისსასწავლებელი მაგალითი გვიჩვენებს, როგორ ძლიერ მოქმედებდა XVIII ს–ის ინგლისის ეკონომიკაზე საპატენტო სამართალი. განვითარებულ ქვეყნებში შესანიშნავადაა განვითარებული ტექნოლოგიებით ვაჭრობა, რომელიც დაფუძნებული იყო პატენტების და ლიცენზიების ინსტიტუტებზე. ამასთან ლიცენზირება ხდება არა მარტო ჩვენთვის ჩვეული სამეცნიერო გა–

მოგონებებისა, არამედ წარმოების, მარკეტინგის ორგანიზაციებში ინოვაციებისაც, ანუ ყველაფერი ის, რაც ინტელექტუალურ კაპიტალს შეიძლება შეადგენდეს, და რომელიც მომავალში მოგებას მოიტანს. მაგალითად, შეიძლება კომპანიის სავაჭრო მარკის ან თვით დევიზის დაპატენტებაც კი.

წამყვანი კომპანიების სავაჭრო მარკები თავისთავად წარმოადგენენ საკმაოდ შთამბეჭდავ, არამატერიალურ, ინტელექტუალურ აქტივებს. სავაჭრო მარკის ღირებულებით, „ინტერბრენდ"-ის სააგენტოს რეიტინგით, პირველ ადგილს უწინდებურად ინარჩუნებს „კოკა-კოლა" 2000 წლისათვის ბრენდის ღირებულებით 72,5 მლრდ დოლარის ოდენობით. მიუხედავად უსიამოვნებებისა და სასამართლო გარჩევებისა, კომპანია „მაიკროსოფტ"-მა არა მარტო შეინარჩუნა მეორე ადგილი, არამედ თავისი სავაჭრო მარკის ღირებულება გაზარდა კიდეც 13,5 მლრდ დოლარით. ახლა იგი მეორე ადგილზეა - 70,2 მლრდ დოლარით. შემდგომ ბრენდის რეიტინგით მოდის „აი-ბი-ემ" (53,2 მლრდ. დოლ.), „ინტელ" (39,0), „ნოკია" (38,5), „ჯენერალ ელექტრიკ" (38.1), „ფორდ" (36,4), „დისნეი" (33,6), „მაკდონალდს" (27.9) და „ეით ენდ ტი" (25,5).[1] ყველა ეს კორპორაცია, გარდა ფინური „ნოკია"-სი, ამერიკულია. როგორც პირველი 10-ის სიაში, ასევე მის გარეთ ძველი სავაჭრო მარკები ძლიერ ავიწროებენ კომპანია „ახალი ეკონომიკის" ბრენდებს. ასე მაგალითად, ვირტუალური წიგნის მაღაზიის „ამაზონ კომ" ბრენდის ღირებულების ზრდამ 233% შეადგინა, ხოლო „იაჰუ!" პორტალისამ კი — 285%.

პატენტების და სავაჭრო მარკების ამერიკული უწყების მონაცემებით, 1999 წელს იქნა დარეგისტრირებული 10-ჯერ მეტი პატენტი, ვიდრე 10 წლის წინ. დღესდღეობით პატენტების რეგისტრაციას ახდენენ ბევრად უმნიშვნელო შემთხვევებში, ამასთან ისეთ სფეროებში, სადაც ადრე ამის პრაქტიკა არ ყოფილა. დიდი რაოდენობის პატენტი გაიცემა ბიზნეს-მეთოდების, პროგრამული უზრუნველყოფის და ინტერნეტ-გადაწყვეტილებისათვის. მოდური გახდა კარგად ნაცნობი სიტყვებისათვის სიტყვა „ინტერნეტის" დამატება და ახალი ტერმინის პატენტირება, როგორც გამოგონებისა. ბიზნესმენები ცდილობენ ინტელექტუალური „მინდვრის" ნაწილის „გაშეშებას", ყოველი შემთხვევისათვის ყველაფერ იმის დაპატენტებით, რაც შესაძლებელია. ინტელექტუალური საკუთრებისათვის მიმდინარეობს სასტიკი ბრძოლა, რომელიც მრავალმილიონიან სასამართლო გარჩევებში გადადის. თუმცა, თუკი გავიხსენებთ ორსაუკუნოვანი სიძველის უაიტის მაგალითს, მაშინ შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ ბრძოლაში ბევრი არაფერი შეცვლილა.

---

1. Эксперт. - 2000. - # 28.

საკუთარი და სალიცენზიო სამართალი წარმოადგენს თანამედროვე იურისპრუდენციის ერთ-ერთ ყველაზე რთულ და დახვეწილ დარგს. ხშირად მათზე დაყრდნობით მსხვილი ტეკ-ები თავის კონტროლს უქვემდებარებენ ფორმალურად დამოუკიდებელ, მაგრამ მათთან დაკავშირებულ კომპანიებს. ისინი გადასცემენ მათ თავის სახელს, ნოუ-ჰაუს ან გაფორმებულ ინოვაციას ფანჩაიზინგის ხელშეკრულების მიხედვით, რომლის მიღების შემთხვევაშიც საწარმო თავისთავზე იღებს განსაზღვრულ, უპირატესად ფინანსურ ვალდებულებებს. ამგვარად, ხორციელდება პრაქტიკულად საწარმოთა მთელ სისტემაზე სრული კონტროლი მთელ მსოფლიოში, მათში საკუთრების წილის არქონის პირობებში.

ინტელექტუალური საკუთრების საიმედო დაცვა ინოვაციურ ბიზნესში მნიშვნელოვანი კერძო კაპიტალის მოზიდვის საშუალებას იძლევა მიუხედავად ამ სფეროს საქმიანობისათვის დამახასიათებელი დიდი რისკისა. აქ შესანიშნავი ინსტიტუციონალური აღმოჩენები გააკეთა აშშ-მ, რომელმაც მსოფლიოს ვენჩურული ბიზნესი მისცა, ვენჩურულ ინვესტიციებს ჩვეულებრივ უწოდებენ სარისკო კაპიტალს, რომელიც მიმართულია სწრაფადმზარდი ფირმების განვითარებისათვის. ვენჩურული კაპიტალი არ საჭიროებს საკრედიტო ისტორიის, ფიქსირებული პროცენტის, დაბრუნების ან დაგირავების გარანტიის არსებობას. მისთვის პრინციპულია კომერციულად პერსპექტიული სამეწარმეო ჩანაფიქრის არსებობა. ინვესტიციის ეს ფორმა ჩაისახა 50-იანი წლების ბოლოს აშშ-ის „სილიკონის დაბლობში". ვენჩურული კაპიტალიდან გაიზარდა შემდეგი კორპორაციები: „მაიკროსოფტი", „სანი", „ქსეროქსი", „ინტელი", „ეფლ კომპიუტერი" და სხვ. თავისი ხარისხით ვენჩურული კაპიტალი — ეს ხანგრძლივვადიანი კაპიტალია. ჩვეულებრივ პროექტებზე გათვლა მიდის 5-7 წლის ვადით, მაგრამ, თანამედროვე კომპიუტერულ სფეროში შესაძლებელია მოკლევადიანი, 1-2 წლის პროექტების რეალიზაციაც. პროექტების ვენჩურული ინვესტირება ტექნოლოგიური კომპანიებისათვის ადვილი და იაფია, ვიდრე სესხებით გასვლა უცხოურ საფონდო ბაზრებზე, ვიდრე ფასიანი ქაღალდებისა და იპოთეკური კრედიტის მიღება. მსოფლიოში ვენჩურული ინვესტიციების ბაზარი წელიწადში შეფასებულია 75-100 მლრდ დოლარად.

თავისი რისკიანობის გამო ვენჩურული ბიზნესი საჭიროებს განსაზღვრულ სახელმწიფო ინფრასტრუქტურულ მხარდაჭერას და კონცენტრირდება ე. წ. *სამეცნიერო პარკებში.* ვენჩურულმა ბიზნესმა შემთხვევით როდი მიიღო თავისი სახელწოდება. მას განასხვავებს მდგომარეობის არამდგრადობა და არასაიმედოობა. ვენჩურული ორგანიზაციების „სიკვდილიანობა" ძალიან მაღალია. ამერიკელი მკვლევარების მიხედვით, აშშ-ში 60-იან წლებში დაფუძნებული 250 ვენჩურული ფირმიდან „გაძლო" მხოლოდ

1/3—მა, 32% იქნა შთანთქმული მსხვილი კორპორაციების მიერ, 37% გაკოტრდა. მათგან მხოლოდ ერთეულები გადაიქცა მაღალი ტექნოლოგიების მსხვილ პროდუცენტებად. თუმცა „ცოცხლად" დარჩენილ ფირმათა უკუგება იმდენად დიდია მოგების თვალსაზრისით, რომ ასეთ პრაქტიკას მიზანშეწონილად მიიჩნევენ. როგორც ამერიკელი ეკონომისტები აღნიშნავენ, *ვენჩურული კაპიტალი აშშ-ის წარმოებაში ყველა სიახლის ნახევარს იძლევა.* ისინი აღნიშნავენ, რომ ეს ორგანიზაციები ბევრ შემთხვევაში ისე კარგადაა პერსონალით, მოწყობილობებითა და ფინანსებით უზრუნველყოფილი, რომ წარმატებით ახორციელებენ კონკურენციას აშშ-ის მეტნაკლებად მსხვილ კორპორაციებთან.

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის განვითარება ხელს უწყობს ტერიტორიული სამეცნიერო საწარმოთა აგლომერაციების და კომპლექსების გაჩენას, რომლებიც „სამეცნიერო პარკების" ფორმას იძენს.

ამჟამად აშშ-ში გამოიყოფა *სამი ტიპის „სამეცნიერო პარკი":*

ა) „სამეცნიერო პარკები" ამ სიტყვის ვიწრო გაგებით;

ბ) „კვლევითი პარკები" იმით განსხვავდება პირველისაგან, რომ მათ ჩარჩოებში სიახლეები მუშავდება მხოლოდ ტექნიკური პროტოტიპის სტადიამდე;

გ) „ინკუბატორები", რომლის ჩარჩოებში უნივერსიტეტები „თავშესაფარს აძლევს" კვლავ წარმოშობილ კომპანიებს, აძლევენ რა მათ შედარებით ზომიერ გადასახადს მიწაზე, ნაგებობაზე, ლაბორატორიულ მოწყობილობასა და მომსახურებაზე.

აშშ-ის „სამეცნიერო პარკებიდან" უძველესმა და უმსხვილესმა — სტენფორდის სამეცნიერო პარკმა — 2001 წელს აღნიშნა თავისი 50 წლისთავი. იგი მდებარეობს კალიფორნიაში, სტენფორდის უნივერსიტეტის კუთვნილ მიწებზე, რომელიც საარენდო 51-წლიანი ვადით გაცემულია „მაღალტექნოლოგიურ კომპანიებისათვის", ეს კომპანიები ურთიერთმოქმედებენ უნივერსიტეტთან, რომელშიც მრავალი ინჟინერ-მკვლევარი ასწავლის.

სიდიდის მიხედვით სტენფორდის შემდეგ „სამეცნიერო პარკი" არის — „პარკი-სამკუთხედი" ჩრდილოეთ კაროლინაში (სამი უმსხვილესი და რიგი შედარებით მცირე უნივერსიტეტები და კოლეჯები, დაახლოებით 40 კვლევითი ცენტრი — კერძო, საუნივერსიტეტო, ფედერალური და „მაღალტექნოლოგიურ" კომპანიათა საწარმონი; დაახლოებით 30 საბანკო და კომერციული დაწესებულება; 20 ათასი დასაქმებული); ფილადელფიის უნივერსიტეტის სამეცნიერო ცენტრი პენსილვანიის შტატში (აგრეთვე ფუნქციონრებს 60-იანი წლების შუა ხანებიდან; რვა შენობაში, ფართით 95 ათასი მ2-სა განთავსებულია 65 საწარმო და ორგანიზაცია, მუშაობს 4,5 ათასი ადამიანი.

რეგიონული აგლომერაციის ან „სამეცნიერო პარკის“ მაგალითს ამ სიტყვის ფართო გაგებით, წარმოადგენს ცნობილი „სილიკონის დაბლობი“ (სან-ფრანცისკოს რაიონი, კალიფორნიის შტატი). ეს ზონა 3-მილიონიანი ქალაქის კვლევითი ლაბორატორიებისა და მრეწველობის საკვანძო დარგების საწარმოთა ჩათვლით უნიკალურია კონცენტრაციის თვალსაზრისით. დღესდღეობით იქ იწარმოება ამერიკული ელექტრონიკის პროდუქციის ნახევარი და განლაგებულია 4054 ელექტრონიკის, ინფორმატიკის და ტელეკავშირის სფეროში მოქმედი კალიფორნიული კომპანიების 40% ან ამ დარგების ამერიკულ კომპანიათა საერთო რიცხვის 16%.

„სამეცნიერო პარკების“ იაპონური მოდელი, ამერიკულისგან განსხვავებით, ითვალისწინებს სრულიად ახალი ქალაქების მშენებლობას. ესენია ე. წ. ტექნოპოლისები, რომლებიც თავს უყრიან სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებს და მეცნიერებატევად სამრეწველო წარმოებას. სპეციალისტების აზრით, „ტექნოპოლისების“ შექმნის პროექტი — ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგიული მიმართულებაა იაპონური მთავრობის ექვსმიზნიანი პროგრამისა იაპონიის მიერ ტექნოლოგიური ლიდერის პოზიციების დასაპყრობად.

ხანგრძლივვადიანი მიზანია — იაპონიის გადაქცევა „იმიტატორიდან“ და „რაციონალიზატორიდან“ ტექნოლოგიათა შემოქმედად.

რიგი „ტექნოპოლისების“ „ბირთვს“ (ხიროსიმის, უბეს, კეგოსიმის) წარმოადგენს სამეცნიერო ქალაქების მშენებლობა. ისინი უნდა იყოს 1981 წელს ტოკიოდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 35 მილზე ამოქმედებული „ტვინთა ქალაქი“ ცუკუბის მსგავსი. მასში ცხოვრობს 11500 ადამიანი, რომლებიც მუშაობენ 50 სახელმწიფო კვლევით ინსტიტუტსა და ორ უნივერსიტეტში. ცუკუბიში არის იაპონიის 98 წამყვანი სახელმწიფო კვლევითი ლაბორატორიიდან 30, რომელიც ამ ქალაქს მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე უმსხვილეს სამცნიერო ცენტრად აქცევს.

ამჟამად მეცნიერების აქტიური ტრანსნაციონალიზაცია მიმდინარეობს. იაპონური კორპორაციები სამეცნიერო-კვლევით ცენტრებს ხსნიან პლანეტის სხვადასხვა წერტილში. ამასთან, ახალი ცენტრების წარმოშობის სისწრაფე ძალზე დიდია — დაახლოებით ერთი ცენტრი კვირაში.

ამერიკულისა და იაპონურისაგან განსხვავებით, ადრე ბრწყინვალედ აღჭურვილი რუსული სამეცნიერო ქალაქები — დუბნა, ობნინსკი, არზამასი და მრავალი სხვა — დღეს მეტად სავალალო მდგომარეობაშია. ვენჩურული ბიზნესით რუსეთის ინკუბატორების და ტექნოპარკების შექმნის პროგრამა ჯერჯერობით დაწყებით ფაზაშია, ისევე როგორც ყველა ჩვენი ეკონომიკური პროგრამა, რაც დაფინანსების უკმარისობითაა განპირობებული მიუხედავად ამისა, რუსეთის მეცნიერების პოტენციალი

ჯერ კიდევ ძალზე მაღალია და ჩვენი სამეცნიერო რესურსები ექსპერტების მიერ 400 მლრდ დოლარად ფასდება. ნათელია, რომ სწორედ ინტელექტუალური პოტენციალი წარმოადგენს მთავარ, შეიძლება, უკანასკნელ იმედს რუსეთისთვის, თუმცა მისი რეალიზაციისათვის აუცილებელია განსაზღვრული ინსტიტუციური წანამძღვრები და სამართლებრივი გარემო.

თავი 13

კაპიტალის მსოფლიო რესურსები და ფინანსური მეგაბაზრები

კაპიტალი როგორც განვითარების რესურსი. ფასიანი ქაღალდები — ბორბლის შემდეგ კაცობრიობის უდიდესი აღმოჩენა. მსოფლიო ფინანსური სისტემის სტუქტურა. სავალუტო ბაზრები. საფონდო ბაზრები და მსოფლიო კაპიტალიზაცია. ძირითადი საფონდო ბირჟები. ელექტრონული ფინანსური ბაზრები. ფიუჩერსების, ოპციონების, სვოპების და სხვა დერივატების ბაზრები. როგორ გავმდიდრდეთ სახლიდან გაუსვლელად?

არა აქვს მნიშვნელობა რაზე ლაპარაკობენ, — საუბარი ყოველთვის ფულზეა.

ტოდის პრინციპი

13.1. კაპიტალი, როგორც ეკონომიკის რესურსი

ძირითადი რესურსების უმეტესობა, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირება და განვითარება, თქვენთვის უკვე ცნობილია. თუმცა, არც ბუნებრივი, არც სასაქონლო რესურსები არ მოვიდოდა მოძრაობაში ფნანსური საშუალებების გარეშე.

შეგახსენებთ, რომ ფინანსები *ფულის და ფულის სუროგატების მიმოქცევის სფეროა*, რომელიც მოიცავს სხვადასხვაგვარ ფინანსურ ინსტრუმენტებს (აქციებს, ვექსელებს, ობლიგაციებს, ფიუჩერსებს და ა.შ.), რომ-

ლებიც რაღაცა ზომით წარმოადგენენ ფულის შემცვლელებს ან შეიძლება მეტ-ნაკლებად იოლად გაიცვალონ მასზე. ამ გაცვლის სიჩქარისა და სიმარტივის მიხედვით ფინანსური ინსტრუმენტები შეიძლება იყოს მეტ-ნაკლებად ლიკვიდური. I თავში მოცემული განსაზღვრების თანახმად, *კაპიტალი არის ყველაფერი ის, რასაც შეუძლია შემოსავლის მოტანა.* კაპიტალი შეიძლება იყოს რეალური (მიწა, შენობა, მოწყობილობა და ა. შ.) და ფულადი. თანამედროვე ეკონომიკურ ცხოვრებაში რეალური კაპიტალი აუცილებლად ღებულობს ფულად შეფასებას და წარმოდგენილია რაიმე ფინანსური ინსტრუმენტის ფორმით (უმეტესად წილის ან აქციის სახით), რომელიც შეიძლება გაყიდონ და იყიდონ ფინანსურ ბაზრებზე. რეალური კაპიტალის წარმოდგენა ფინანსური ინსტრუმენტების ფორმით უზრუნველყოფს მისი გადაადგილების შესაძლებლობას ერთი მესაკუთრიდან მეორისაკენ, რაც ეკონომიკის ეფექტიანობის მნიშვნელოვან წანამძღვარს წარმოადგენს.

ამგვარად, უკვე მთელი კაპიტალი, როგორც რეალური, ასევე ფულადი იძენს ერთიან, უნივერსალურ, ფინანსურ ფორმას. იქიდან გამომდინარე, რომ საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების ძირითად მიზანს წარმოადგენს შემოსავლის მიღება, ხოლო კაპიტალი ყველაფერია, რაც საშუალებას გვაძლევს მივიღოთ შემოსავალი და იგი მთლიანად წარმოდგენილია ფინანსური ფორმით, საჭიროა აღინიშნოს, რომ ფინანსები თავისთავად წარმოადგენს თანამედროვე ეკონომიკის ერთ-ერთ ძირითად რესურსს.

სახელმწიფოს, საწარმოს, ბოლოს და ბოლოს ყველა ადამიანს ყოველთვის აქვს განსაზღვრული საშუალებები, კაპიტალი, რომლებსაც შეუძლია შემოსავლის მოტანა. შემოსავლის მიღების გარეშე ხომ ეკონომიკური სიცოცხლე შეუძლებელია. უპირველეს ყოვლისა, წამოიჭრა ამ საშუალებების კონტროლის და მათი გამოყენების აღრიცხვის ამოცანა. საბაზრო ეკონომიკა ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართულ ყოველ რესურსს აძლევს ფულად შეფასებას. ამგვარად, შეიძლება მიიღოთ თქვენს ხელთ არსებული რესურსების სია მათი ფასის მითითებით. ასეთი სია ეკონომიკური სუბიექტის (საწარმოს, ადამიანის, სახელმწიფოს) *აქტივებია.* აქტივები ადასტურებს თქვენს ხელთ არსებული საშუალებების შემადგენლობას.

თუმცა შეიძლება ნაღდ საშუალებებს შევხედოთ მეორე მხრიდანაც. ნათელია, რომ ისინი მიღებულია სხვადასხვა წყაროდან. მაგალითად, საწარმოს აქტივების ერთი ნაწილი შეიძლება იყოს წარმოშობილი მის მონაწილეთა საპაიო შენატანთა ხარჯზე, როცა მათ გააჩნიათ აქციები ან წილი მათ მიერ შეტანილი ქონების თანხაზე. მეორე ნაწილი შეიძლება იყოს

შეძენილი საწარმოს მიერ ნასესხები ფულით (ბანკის კრედიტები, ლიზინგი და ა. შ.). დაბოლოს, საშუალებების ნაწილი შეიძლება იყოს მიღებული თვით საწარმოს მოგებიდან. შევადგინოთ მეორე სია — ნაღდი საშუალებები მათი წყაროების მიხედვით (წილობრივი ანუ აქციონერული კაპიტალი, ნასესხები საშუალებები და ა. შ.). მიღებულია ამ სიას ეწოდოს *პასივი.* პასივი საწარმოს ვალების სიაა მისი მფლობელებისა და კრედიტორებისათვის. ვინაიდან ყველა თქვენი აქტივი საიდანღაც გაჩნდა, აქტივების ფულადი შეფასება ტოლი უნდა იყოს პასივები თანხისა. ამ თითქოსდა მარტივმა მოსაზრებამ მიიღო ორმაგი ანგარიშის პრინციპის სახელწოდება (ერთი აქტივების, მეორე პასივების მიხედვით და ისინი ყოველთვის ტოლი იყო). მისი პირველი აღმომჩენის — ლუკა პაჩოლის დროიდან, რომელმაც შექმნა ორმაგი ანგარიში ჯერ კიდევ 1525 წელს, მილიონობით და მილიონობით ბუღალტერი მსოფლიოს ყველა ქვეყანაში სწორედ ასე აწარმოებს თავის „გროსბუხებს". ჯერჯერობით კაცობრიობას არაფერი უკეთესი არ მოუფიქრებია. ეს არის საბუღალტრო აღრიცხვის ძირითადი პრინციპი. ყოველი სამეურნეო ოპერაცია (ყიდვა-გაყიდვა, ანაზღაურების გაცემა და სხვ.) აუცილებლად აისახება ერთდროულად ორ საბუღალტრო ანგარიშში (ისინი იოლია აღიქვა როგორც სხვადასხვა ჯიბე, რომლებშიც ადამიანი ათავსებს მთელ არსებულ ნაღდ ფულს, რათა არ აერიოს ანგარიში), ამასთან, მოცემულ ოპერაციამდე და მის შემდეგ უნდა იყოს შენარჩუნებული ბალანსი, ე. ი. პასივების და აქტივების თანაბრობა. ამგვარად, გვაქვს ყოველი ცალკეული ოპერაციის ჩანაწერის სისწორის შემოწმების უნივერსალური ხერხი.

ბალანსი წარმოადგენს, ასე ვთქვათ, საწარმოს მდგომარეობის წამიერ სურათს. თუკი ჰიპოთეზურად წარმოვიდგენთ, რომ მსოფლიოს ყველა ეკონომიკური სუბიექტის ბალანსი ცნობილია, მაშინ ვღებულობთ ამომწურავ ცნობებს მსოფლიო ეკონომიკის ყველა რესურსის შესახებ. მსოფლიო ეკონომიკაში ყოველი მოძრაობა აუცილებლად იქნება დაფიქსირებული მისი სუბიექტების ბალანსში. რამდენიმე ხნის შემდეგ ახალი ბალანსების ერთობლიობა დააფიქსირებს ახალ მდგომარეობას და, ბალანსებში სხვაობების ანალიზით შეიძლება მომხდარი ცვლილებების გამოკვლევა.

გარდა ბალანსისა, ყოველი ეკონომიკური სუბიექტი ქაღალდზე, კომპიუტერში ან უბრალოდ თავში ადგენს შემოსავლების და გასავლების *ბიუჯეტს* განსაზღვრული პერიოდის მანძილზე. ბუღალტრული აღრიცხვის სისტემაში ის წარმოადგენს ტიპურ ცხრილს, რომლის მარცხენა ნაწილში იწერება ყველა შემოსავალი, ხოლო მარჯვენაში — გასავალი. მათი სხვაობა, ან, როგორც ბუღალტრები ამბობენ, სალდო იძლევა საწარმოს მოგებას ან ზარალს განსაზღვრული პერიოდის მანძილზე. *თუკი ბალანსი წამიერი ფო-*

ტოგრაფიაა, მაშინ ბიუჯეტი ეკონომიკური ცხოვრების ისტორიის ფრაგმენტია. ბიუჯეტში ნაჩვენებია მოძრაობა, ხოლო ბალანსში — მდგომარეობა. ყოველი გარიგება უნდა იყოს წარმოდგენილი არა მარტო ბალანსში, არამედ შემოსავლის და გასავლის ბიუჯეტში.

ბიუჯეტს ადგენს ყველა, ვინც რაიმე ანალიზს უკეთებს თავის ეკონომიკურ საქმიანობას და გეგმავს მას სამომავლოდ. შემოსავლის და გასავლის ბიუჯეტი არსებობს ყოველ ოჯახში, თუმცა ჩვენს ქვეყანაში უმეტეს შემთხვევაში შემოსავალი და გასავალი არ იწერება. და სულ ტყუილად! აბსოლუტურად ანალოგიურად ბიუჯეტებს, მაგრამ უკვე აუცილებელი წესით, აწარმოებენ ყველა კერძო მეწარმენი, საკუთრების და ორგანიზაციის ნებისმიერი ფორმის საწარმოები, აგრეთვე, სახელმწიფოები, რეგიონები და მუნიციპალური წამონაქმნები.

სახელმწიფო ბიუჯეტი იმოსება კანონის ფორმით და წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ მიღებული საშუალებების ხარჯვის გეგმას, ძირითადად მისი მოქალაქეებისაგან. ვინაიდან ბიუჯეტი სახელმწიფოს განკარგულებაში გადასული საზოგადოების საშუალებების ხარჯვის გეგმაა, ამ საშუალებების განკარგვის უფლება უმეტეს ქვეყნებში ეძლევათ საკანონმდებლო, მოქალაქეების მიერ ამორჩეულს ორგანოებს. (რუსეთში ესაა სახელმწიფო დუმა, ჩვენთან — პარლამენტი). ყველამ იცის, რა ბრძოლები მიმდინარეობს სხვადასხვა ფრაქციებსა და მთავრობას შორის ბიუჯეტის მიღების დროს.

ნებისმიერი ქვეყნის, რეგიონის ან მთლიანობაში მსოფლიოს საქმიანობის ანალიზის დროს შეიძლება შედგეს მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების და სხვადასხვა სახის საქმიანობის შემოსავლის და გასავლის ბიუჯეტები. მაგალითად, თუკი ქვეყნის ყველა საწარმოს შემოსავლის და გასავლის ბიუჯეტებს გავაერთიანებთ, მაშინ მივიღებთ სამეწარმეო შემოსავლის თავისუფალ ანგარიშს. ოჯახთა ბიუჯეტების ანალოგიური ოპერაცია მიგვიყვანს პირადი შემოსავლების და გასავლების ანგარიშთან. ანგარიშის წარმოება შეიძლება (კერძო ბიუჯეტების) ცალკეული ოპერაციების მიხედვით, მაგალითად, ქვეყნის საზღვარგარეთული ოპერაციების მიხედვით. არსებითად, აღრიცხვის ასეთი მეთოდიკის დროს, მიკროეკონომიკური, ბუღალტრული მიდგომა, რომელიც ჩვეულებრივ გამოიყენება ცალკეული საწარმოს ანალიზის დროს, გადადის მაკროეკონომიკის სფეროში, სადაც დარგების საქმიანობის, ეკონომიკის სუბიექტების ჯგუფების, მოსახლეობის და ქვეყნის ანალიზი ხდება.

ასეთი განსაზღვრული მეთოდიკით შედგენილი კერძო ბიუჯეტების (ანგარიშების) სისტემა მიიღო გაერომ ქვეყნების შესაჯერებელი ანალიზისათვის საფუძვლის სახით და გამოიყენება დღეს 100-ზე მეტ ქვეყანაში,

მათ შორის რუსეთშიც. მან მიიღო *ეროვნული ანგარიშების სისტემის* სახელწოდება და სხვადასხვა ქვეყნის და რეგიონის ეკონომიკათა ანალიზის უნივერსალურ საშუალებას წარმოადგენს.

ამგვარად, საბუღალტრო ბალანსების, ბიუჯეტების და ეროვნული ანგარიშების სისტემა იძლევა სრულ წარმოდგენას ყველა რესურსის მდგომარეობასა და მოძრაობაზე.

რესურსების მოძრაობა, მათი გადასვლა ერთი მესაკუთრიდან მეორესთან ხდება ბაზრის მექანიზმების საშუალებით. ნებისმიერი ეკონომიკური სუბიექტის ყოველ აქტივს, იქნება ეს ნაგებობა, მოწყობილობა, წარმოებული საქონელი და მომსახურება, განსაზღვრული უფლებები თუ ინტელექტუალური საკუთრება, აქვს თავისი ფულადი შეფასება. მაშასადამე, პრინციპში, თუკი არაა საკანონმდებლო შეზღუდვები, მაშინ იგი შეიძლება იყიდო და გაყიდო. საბაზრო ეკონომიკა ყველაფერს აქცევს საქონლად ფართო გაგებით, ე. ი. ყიდვა-გაყიდვის საგნად. ეს მისი ძირითადი და განუყრელი თვისებაა.

ბაზარზე ყოველი გარიგება თავისთავად წარმოადგენს ხელშეკრულებას ზოგიერთი უფლების გადაცემაზე. ბაზარი, ბუნებრივია, ისწრაფვის გარიგების უნიფიცირებისაკენ და, ამგვარად, აიოლებს მის დადებას, ზრდის საკუთარ ეფექტიანობას.

უფლებების უნიფიკაციის მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს მათი წარმოდგენა განსაზღვრული *ფასიანი ქაღალდების* ფორმით.

ყოველი ფასიანი ქაღალდი სათანადო სახით დოკუმენტურად გაფორმებული მისი მფლობელის განსაზღვრული უფლებაა, რომელიც გადადის მეორე პირთან ამ ქაღალდის ყიდვა-გაყიდვის დროს.

ფასიანი ქაღალდის ყველაზე მარტივ მაგალითად შეიძლება გამოდგეს *დათმობის სასაწყობო ხელწერილი.* ვთქვათ, მიწათმფლობელმა მოიყვანა რამდენიმე ტონა მარცვალი. რა თქმა უნდა, მარცვალი შეიძლება სასწრაფოდ გაიყიდოს, მაგრამ ჩვეულებრივ მარცვლის აღების პერიოდში ფასები დაბალია და ეს არამომგებიანია. ამიტომ, იგი აბარებს მარცვლეულს შესანახად ელევატორზე და სანაცვლოდ იღებს სასაწყობო ხელწერილს. თუკი იგი გაფორმებულია ფასიანი ქაღალდის სახით, მაშინ მის მფლობელს შეუძლია ამ ხელწერილის და მასთან ერთად მარცვლეულზე საკუთრების უფლების გაყიდვა. შეიძლება ახალმა მფლობელმაც არ ისურვოს მარცვლეულის მოხმარება (არ დაფქვას, არ აჭამოს პირუტყვს და ა. შ.), მაშინ იგი კვლავ ყიდის სასაწყობო ხელწერილს და ა.შ. ელევატორზე დატოვებულმა მარცვლეულმა შეიძლება შეიცვალოს ათეულობით მფლობელი ქვეყნის სხვადასხვა ბოლოში. ეს უდავოდ მოსა-

ხერხებელია მარცვლეულის ბაზრის ყველა მონაწილესათვის და ძალიან ეკონომიურიც.

ანალოგიურ როლს, მხოლოდ უძრავი ქონების მიმართ თამაშობს *გირავნობის სიგელი*, რომელიც წარმოადგენს საკუთრების უფლებას უძრავ ქონებაზე. ისიც ფორმდება როგორც ფასიანი ქაღალდი და შეიძლება დაგირავდეს (აქედანაა სახელწოდებაც) კრედიტის მიღების დროს ან სხვა ოპერაციის შესრულებისას, რომელიც საჭიროებს საგირავნო გარანტიებს. მისი გაყიდვაც შეიძლება ან დათმობა (თავის ფასში), გადასცემს რა, ამგვარად, ყველა უფლებას უძრავ ქონებაზე. ეს, კერძოდ, აიოლებს მიწის და სხვა უძრავი ქონების გადასვლას უფრო ეფექტიან მესაკუთრესთან.

საკმაოდ გავრცელებული, ყველასათვის ცნობილი გარიგებაა ფულის სესხება. იგი შეიძლება იყოს გაფორმებული სესხის ხელწერილით, რომელიც კრედიტორს უფლებას აძლევს ამოიღის ვალი. მაგრამ შეიძლება მას თავად სურდეს გაუსწორდეს თავის კრედიტორებს ამ ხელწერილით. ამ სიტუაციის ხშირმა გამეორებამ გამოიწვია ვალის ხელწერილის უნიფიკაციის აუცილებლობა უნივერსალური ფორმით, ქვეყნების უმრავლესობისათვის ერთნაირი ფინანსური ინსტრუმენტის — *თამასუქის* სახით. თამასუქი მისი მფლობელის უდავო უფლებაა მიიღოს მასში აღნიშნული თანხა დადგენილ ვადაში. თამასუქი შეიძლება გადაეცეს სხვა პირს, გააკეთებს რა მასზე გადასაცემ ჩანაწერს (ინდოსამენტს). მესამე პირს შეუძლია მსესხებლის მიერ საკუთარი ვალდებულების გარანტირება (ავალირება). საერთოდ, სათამასუქო უფლება წარმოადგენს ძალიან კარგად შემუშავებულ და ფორმალიზებულ სფეროს თავისი ტერმინოლოგიით. სხვათა შორის, სწორედ სახელმწიფოს მიერ ავალირებული თამასუქების თავისუფალმა მოძრაობამ და მათმა, როგორც გადახდის საშუალების საყოველთაო გამოყენებამ, მიგვიყვანა ქაღალდის ფულს შექმნამდე.

სესხის გადასახდელი ვალდებულებები არ არის წარმოდგენილი მხოლოდ თამასუქებით. სახელმწიფო ხშირად უშვებს ყოვლისშემძლე *ობლიგაციებს*, რომლის მაგალითადაც გამოდგება ბევრისათვის ბედუკუღმართი სახელმწიფო მოკლევადიანი ვალდებულებები (სმმ). 1998 წლის აგვისტოს დეფოლტმა ძალზე შეარყია საზელმწიფო სესხებისადმი ნდობა. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ყველა სახელმწიფო ისწრაფვის როგორღაც მიიზიდოს თავის მოქალაქეთა და საწარმოთა საშუალებები. ამიტომ ობლიგაციები ჩვეულებრივ იყიდება არა იმ ფასად, რომლებიც მათშია მითითებული, არამედ უფრო დაბალი ფასით. ამ სხვაობას *დისკონტს* უწოდებენ. ობლიგაციის მყიდველი მისი განაღდების (გადახდის) შემდეგ განსაზღვრულ დროს იღებს ამ დისკონტს ჯილდოს სახით, საკუთარი საშუალებების სესხებით სახელმწიფოსათვის გაწეული სამსახურისათვის. გარდა ამისა, ვრძელვადიანი

ობლიგაციებისათვის განსაზღვრულ მომენტში განაღდების ვადამდე უხდიან ე. წ. კუპონურ შემოსავალს, ე. ი. ნასესხი საშუალებების თანხიდან პროცენტებს. თუ იცით კუპონური შემოსავალი და დისკონტი, შეიძლება გამოითვალოთ ობლიგაციის წლიური შემოსავალი, რათა შეადაროთ იგი ფულის ჩადების ალტერნატიულ საშუალებებს. ინვესტირების გზების არჩევისას საჭიროა გავითვალისწინოთ არა მარტო შემოსავლიანობა, არამედ რისკებიც. ითვლება, რომ ობლიგაციების ყიდვისას რისკები მინიმალურია — თქვენ ხომ სესხი მიეცით სახელმწიფოს. მაგრამ, როგორც მწარე გამოცდილება გვარწმუნებს, ყველა სახელმწიფოს მიმართ როდი გამოდგება თანაბრად ეს შეფასება.

ფინანსურ სფეროში კაცობრიობის უდიდეს აღმოჩენად ითვლება *აქციის* გამოგონება. ალბათ ცოტა მოიპოვება ისეთი ტექნიკური და ტექნოლოგიური აღმოჩენა, რომელიც თავისი ზემოქმედებით კაცობრიობის განვითარებაზე შეედრებოდნენ აქციებს ან ზემოთ აღწერილ ორმაგი ანგარიშის მეთოდს. აქციების გამოყენების პრინციპი მარტივია, ისევე როგორც ყველაფერი გენიალური. აქციონერები აკეთებენ შენატანებს საერთო საქმეში, სააქციო საზოგადოებაში, ხოლო სანაცვლოდ იღებენ აქციებს თავისი შენატანი თანხის ოდენობით. თითქოსდა ისე გვგონია, რომ აქციამ უნდა მოგვცეს უფლება იმ ქონებაზე, რომელიც შეიტანა აქციონერმა. მაგრამ მაშინ ყველა შეძლებდა ნებისმიერ მომენტში თავისი პაის წაღებას და საზოგადოება გახდებოდა მყიფე და არამდგრადი. შეტანილი თანხის დაბრუნების პრინციპით ძნელია შექმნა მსხვილი საზოგადოება. ამიტომ აქცია წარმოადგენს შეტანილ ქონებაზე არა საკუთრების უფლებას, არამედ მთელი საზოგადოების მართვის უფლებას. აქციონერს გააჩნია ხმათა რაოდენობა შეტანილი პაის პროპორციულად, მაგრამ არა იმაზე მეტი. მას არ შეუძლია საზოგადოებიდან გამოსვლა და თავისი შენატანის წაღება. შეიძლება მხოლოდ მისი გაყიდვა საბაზრო ფასით, რომელიც ხშირად უკავშირდება მასზე მითითებულ ღირებულებასა და შენატან პაის. საწარმოს გაკოტრების შემთხვევაში აქცია იძლევა საკუთრების ნაწილზე პრეტენზიის უფლებას, მაგრამ ასეთ დროს აქციონერებს ჩვეულებრივ არაფერი ერგებათ -- ყველაფერს ღებულობენ კრედიტორები. რა თქმა უნდა, აქციონერებს უფლება აქვთ საზოგადოების მიღებული მოგებიდან ნაწილზე, რომელსაც საზოგადოება უხდის მათ დივიდენდების სახით. მათი ზომები დამოკიდებულია აქციონერული საწარმოს მოგებასა და აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებაზე მოგების განაწილების შესახებ. აქციების შემოსავლიანობა შედგება გადასახადი დივიდენდებისაგან, ასევე აქციის საკურსო ღირებულების ზრდისაგან, თუკი ასეთი რამ არის. თუკი საწარმოს სურს დამატებითი საშუალებების მიზიდვა, მაშინ ერთ-ერთ ეფექ-

ტიან და ხშირად გამოყენებულ საშუალებებს წარმოადგენს საკუთარი აქციების დამატებითი ემისია (გამოშვება). ეს საშუალება ბევრად ეკონომიურია, ვიდრე აუცილებელი ფინანსური რესურსების სესხი. სესხზე პროცენტები ხომ ახალ აქციონერებს არ ეძლევათ. სამაგიეროდ ამ დროს იზრდება სააქციო საზოგადოების მესაკუთრეთა რაოდენობა და შეიძლება მოხდეს ძალაუფლების წალეკვა.

ბოლო წლებში აღინიშნება მრავალი ე. წ. *დერივატიული* ანუ წარმოებული ფასიანი ქაღალდების გამოჩენა. მათ შორის მნიშვნელოვან როლს თამაშობენ *ოპციონები*, რომლებიც რაიმე საქონლის ყიდვის ან გაყიდვის უფლებას იძლევა მომავალში, დროის რაღაც მომენტში და *ფიუჩერსები*, რომლის მფლობელს არა მარტო უფლება აქვს იყიდოს ან გაყიდოს საქონელი განსაზღვრულ მომენტში, არამედ ვადებულებაც.

დღესდღეობით ითვლიან *200-ზე მეტ წარმოებულ ფასიან ქაღალდს* და მათი რიცხვი სწრაფად იზრდება. ფინანსური ინჟინრები მომხმარებლებისათვის აუცილებელი ფასიანი ქაღალდების პროექტირებას ახდენენ მოცემული თვისებებით, რომლებიც განკუთვნილია სხვადასხვაგვარი ეკონომიკური ამოცანების გადასაწყვეტად. რაც არ უნდა დიდი იყოს ფასიანი ქაღალდების ნაირგვარობა, თითოეული მათგანი წარმოადგენს უფლებათა მკაფიო ნაკრებს, რომელიც ყიდვა-გაყიდვის საგანს წარმოადგენს.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ფასიან ქაღალდს და კიდევ ბევრ დაუსახელებელ დერივატივს გააჩნია ვაჭრობის საკუთარი წესები და თავისი ბაზრები.

ერთვნული ვალუტები აგრეთვე შეიძლება განვიხილოთ როგორც ფასიანი ქაღალდები, რომლებიც სხვადასხვა ფინანსური ოპერაციის განხორციელების საშუალებას იძლევა მოცემულ ქვეყანაში. ისევე, როგორც სხვა ფასიანი ქაღალდები, ისინი შეიძლება იყიდოთ ან გაყიდოთ ბაზარზე, რომელსაც სავალუტოს უწოდებენ.

ფული და ფასიანი ქაღალდები არსებობს არამარტო ქაღალდის და დოკუმენტების სახით. განვითარებულ ქვეყნებში ქაღალდის ფული შეადგენს მხოლოდ მთელი ფულადი მასის მცირე ნაწილს. დიდ ბრიტანეთში, მაგალითად — დაახლოებით 4%-ს. დანარჩენი ნაწილი არსებობს უნაღდო ფორმით. ზუსტად ასევე, აქციების და ობლიგაციების დიდ ნაწილს უკვე არ გააჩნია ქაღალდის მატარებლები. ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად სულ უფრო ფართოდ გამოიყენება *ელექტრონული ფული და ფასიანი ქაღალდები*. შეიძლება ძნელია ამის შეგუება, მაგრამ ბევრი ადამიანის დიდი სიმდიდრე და საწარმოთა ფინანსური რესურსების დიდი ნაწილი თავისთავად წარმოადგენს მხოლოდ ჩანაწერს მათ ელექტრონულ ბალანსებში, რომელიც დამტკიცებულია აქციონერთა

ჩანაწერებით ელექტრონულ რეესტრებში ან აქციის მფლობელთა მონაცემთა ბაზებში.)

როდესაც, მაგალითად, ტარდება გარიგება აქციის ყიდვაზე, საწარმოს საშუალებათა ნაწილი ჩამოიწერება მისი საანგარიშსწორებო ანგარიშიდან ბანკში და გადადის ბირჟაზე აქციის პაკეტზე გადახდის ანგარიშზე. სააქციო საზოგადოების რეესტრში მონაცემთა ელექტრონულ ბაზაზე ამ დროს კეთდება ჩანაწერი იმაზე, რომ მოცემული პაკეტი გადავიდა ამ საწარმოს საკუთრებაში. რეალურად კომპიუტერულ ქსელში გავიდა მხოლოდ ოთხი პატარა შეტყობინება: საწარმოდან ბანკში (დავალება აქციის გადახდაზე); ბანკიდან ბირჟაზე (შეტყობინება საშუალებების გადაგზავნაზე); ბირჟიდან სააქციო საზოგადოებაში (ნაყიდ აქციათა პაკეტზე მესაკუთრის შეცვლის შესახებ) და გამყიდველთან (გაყიდვიდან დახსნილი აქციების საშუალებების გადაგზავნა). საწარმო-მყიდველთან საანგარიშსწორებო ანგარიშის შედეგად ჩამოწერილია რაღაც თანხა და იგი უკვე ჩაწერილია ანგარიშზე, სადაც გათვალისწინებულია ნაყიდი აქციები. ანალოგიური ცვლილებები გამყიდველის, ბანკის და ბირჟის ბალანსშიც ხდება. რამდენიმე სიგნალი კომპიუტერულ ქსელში და შესაძლებელია კონტროლი მსხვილ საწარმოზე გადავიდეს ერთი ხელიდან მეორეში.

კაპიტალს, რომელიც წარმოდგენილია აქციების და სხვა ფასიანი ქაღალდების სახით, უწოდებენ *ფიჭტიურს*. და ეს შემთხვევითი როდია. კაპიტალის მოცემული ნაწილი ნაკლებად ხელშესახები და უფრო მეტად ცვალებადია, ვინაიდან იგი სწრაფად იცვლება საფონდო ბირჟებზე მდგომარეობის შეცვლასთან ერთად. მისი წილი საერთო კაპიტალში სწრაფად იზრდება ასეთია დროების ნიშანი. იმავდროულად აქციების კურსის და საბაზრო ვალდებულებების ღირებულების მერყეობა დამოკიდებულია საემისიო ორგანიზაციათა ნდობაზე, ნდობა კი ფაქიზი საგანია. გახსოვთ ბალანსირებული ბაზრების პირამიდა თავის მწვერვალზე, რომელიც გამოხატულია სურათზე 11.1 ? მაშ ასე, ერთადერთი, რაზეც იგი დგას — არის *ნდობა*: აქციონერთა – საზოგადოებებისადმი, კრედიტორების — მოვალეებისადმი, ბაზრის პარტნიორების და მონაწილეებისა— ერთმანეთის მიმართ.

რესურსების და ჩვეულებრივი მოხმარების საქონლის მოძრაობისათვის აუცილებელია შესაბამისი ფინანსური რესურსები და ფინანსური ბაზრები. მაგრამ რა არის საჭირო თავად ფინანსური ბაზრების ნორმალური ფუნქციონირებისათვის?

მათთვის საჭიროა ნდობის ვითარება, ხოლო ეს უკანასკნელი შეიძლება იყოს უზრუნველყოფილი მდგრადი და ურყევი ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტებით. რა თქმა უნდა, უნდა იყოს *ეკონომიკური ფორმალური ინსტიტუციონალური სამართლებრივი რესურსები*, რომლე

ბიც საიმედოდ იცავენ მესაკუთრეთა უფლებებს და სახელშეკრულებო ვალდებულებებს. ეს აუცილებელია ნდობისათვის, მაგრამ არ არის საკმარისი. ამასთან, საჭიროა ბიზნესის ძველი ტრადიციები, შეთანხმებების დაცვის ტრადიციები და სამეწარმეო ეთიკა. ყოველივე ეს უნდა იქმნებოდეს საუკუნეებით განსაზღვრული ცივილიზაციური ერთობის ჩარჩოებში. მაგალითად, თუკი თქვენი წინაპრები ხედავდნენ, რომ ჰოლანდიური ოსტ-ინდოეთის კომპანია 1644 წლიდან დაწყებული 200 წლის მანძილზე (დაფიქრდით!) კარგად უხდის დივიდენდებს თავის აქციონერებს — წლიურად 18%-ს ნომინალიდან, მაშინ თქვენ ნდობით მოეპყრობით თანამედროვე კორპორაციებსაც. მაგრამ თუ თქვენ გაქვთ მხოლოდ „MMM"-ის, „ჰოპრას" და სახელმწიფო დეფოლტის გამოცდილება სმპ-ს მიხედვით?

ამგვარად, განვითარებულ ქვეყნებში ბაზრების პირამიდების არამდგრადობა წონასწორდება მძლავრი, საუკუნეობით დაგროვილი ინსტიტუციონალური და ცივილიზაციური რესურსებით, რომლებიც თანამედროვე მეგაეკონომიკაში ეფუძნებიან ნდობას და მდგრადი განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორებს წარმოადგენენ.

მაშ ასე, შევაჯამოთ დასკვნები.

1. მსოფლიოს ფინანსური რესურსები ყველა ადამიანის, საწარმოთა, ორგანიზაციათა და სახელმწიფოთა ფინანსებია. მათ მდგომარეობას საწარმოთა ბალანსები, სახელმწიფოთა და რეგიონთა ბიუჯეტები, ეროვნული ანგარიშები და სხვა სტატისტიკური და საბუღალტრო დოკუმენტები ადასტურებს.

2. ფინანსური რესურსების მატარებლებს წარმოადგენს ეროვნული ვალუტები, აგრეთვე, მრავალგვარი ფასიანი ქაღალდები: აქციები, ობლიგაციები, ვექსელები და სხვ. ფინანსური რესურსების გადანაწილება ხდება ფინანსურ ბაზრებზე.

3. ფინანსური ბაზრების და მთელი თანამედროვე მეგაეკონომიკის მდგომარეობას საფუძვლად უდევს ბაზრის მონაწილეთა ნდობა ერთმანეთის მიმართ, რომელიც უზრუნველყოფილია სხვადასხვა ქვეყნის და ხალხის ინსტიტუციონალური და ცივილიზაციური რესურსებით.

13.2. მსოფლიო საფინანსო სისტემის სტრუქტურა

ნებისმიერი ქვეყნის და მსოფლიოს ფინანსური სისტემის ძირითად ფუნქციებს წარმოადგენს ფულადი ანგარიშსწორების ჩატარების უზრუნველყოფა, აგრეთვე, ბაზრის ყველა მონაწილეთა უზრუნველყოფა მოკლევადიანი საბრუნავი და გრძელვადიანი ინვესტიციური რესურსებით. ცენ-

ტრალური ბანკები ჩვეულებრივ ახდენენ ეროვნული ვალუტის ემიტირე-
ბას, რომელიც გამოიყენება შიდა ბაზარზე ანგარიშსწორებისათვის და
პრინციპში, შეიძლება კონვერტირდეს სხვა ვალუტებში საერთაშორისი
ანგარიშებისათვის. ანგარიშსწორებისთვის აუცილებელი ფულადი რესურ-
სები იმყოფება საწარმოებსა და მოსახლეობაში. მათგან ნაწილი იხარჯება
მიმდინარე მოხმარებაზე, ხოლო ნაწილი ინახება. ფინანსური სისტემა მო-
წყობილია ისე, რომ საწარმოთა და მოსახლეობის დანაზოგი და დროებით
თავისუფალი ფინანსური რესურსები არ დევს უმოძრაოდ, არამედ გამოი-
ყენება სხვა ეკონომიკური სუბიექტების მიერ (სახელმწიფოს, საწარმოთა
და ადამიანთა მიერ) საბრუნავი და ინვესტიციური საშუალებების სახით.

ანგარიშსწორება, როგორც ცნობილია, ბანკების საშუალებით მიმდი-
ნარეობს. სახელმწიფო ჩვეულებრივ ავალდებულებს ქვეყნის საწარმოებს
გახსნან ბანკებში საანგარიშსწორებო ანგარიშები და მათი საშუალებით
აწარმოებს ანგარიშსწორებას საქონელსა და მომსახურებაზე. გარდა ამი-
სა, ბანკებში შენახულია საწარმოთა და მოსახლეობის თავისუფალი საშუ-
ალებები დეპოზიტურ ანგარიშებზე, ან უბრალოდ დეპოზიტებზე. ამგვა-
რად, ბანკები თავისთან საწარმოთა და მოსახლეობის დანაზოგის თავისუ-
ფალი საშუალებების კონცენტრირებას ახდენენ. ამ ფულს ისინი ჰყიდიან
იმ საწარმოებსა და ადამიანებზე, რომელთაც იგი სჭირდებათ საკუთარი
საბრუნავი საშუალებების შესავსებად და საინვესტიციო პროექტების გან-
სახორციელებლად. ფულის ფასი საბანკო პროცენტია, რომელიც საბაზ-
რო ეკონომიკის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია. ასეთია ყველაზე
მარტივი და ბუნებრივი ფულის ბრუნვა ფინანსურ სისტემაში.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში ფინანსური სისტემა მნიშვნე-
ლოვნად გართულდა. შეიცვალა ძველი საფინანსო ინსტიტუტების ფუნ-
ქციები და არსებითად გაიზარდა ამ სისტემის შედარებით ახალ მონაწი-
ლეთა გავლენა — საპენსიო, სასესხო და საინვესტიციო ფონდების, სადაზ-
ღვევო კომპანიების, საბროკერო და სადილერო სააგენტოებისა და ა. შ.

XX ს-ის ბოლო მეოთხედში მკაფიოდ გამოვლინდა *ეკონომიკის ფი-
ნანსიზაციის* ახალი ტენდენცია. მოკლედ რომ ვთქვათ, იგი მდგომარეობს
იმაში, *რომ ფინანსურმა სისტემამ ცხოვრება დაიწყო თავისი საკუთარი
ცხოვრებით*, გადასწია რა მეორე რიგში თავისი ფუნქციები ეკონომიკის
რეალური სფეროს მიმართ. ფინანსიზაციის პროცესში შეიძლება გამოი-
ყოს შემდეგი დამახასიათებელი თვისებები:

1. ეკონომიკის ფინანსური სექტორის წილი განვითარებული ქვეყნე-
ბის და მსოფლიოს მშპ-ში მთლიანად მკვეთრად გაიზარდა. განვითარე-
ბულ ქვეყნებში ფინანსურმა სექტორმა დაიწყო დომინირება რეალურზე
მშპ-ს წილის და ეკონომიკურ სისტემაში თავისი როლის მიხედვით.

2. ფინანსურმა ბაზრებმა მნიშვნელოვნად გადააჭარბა რეალურს თავისი მოცულობებით, ხოლო ფასებმა დერივატიულ ინსტრუმენტებზე დაიწყო ძლიერი და ზოგჯერ მადომინირებელი გავლენის მოხდენა საქონლის რეალურ ბაზრებზე. თუკი მეგაეკონომიკის წარმოშობამდე ფასები ფიუჩერსებზე ყალიბდებოდა შესაბამისი რეალური საქონლის ბაზრის უშუალო ზეგავლენით, ბოლო წლებში სულ უფრო მკაფიოდ ვლინდება უკუკავშირი — ფიუჩერსული, ხშირად სპეკულაციური ფასები სულ უფრო ძლიერ გავლენას ახდენს სპოტ-ბაზრის საქონლის ფასებზე.

3. განვითარებული ქვეყნების საწარმოთა კაპიტალის ფიქტიური წილის დომინირება დაიწყო აქტივების სტრუქტურაში. თვით ეკონომიკის რეალური სექტორის საწარმოთათვის ფინანსურ ბაზრებზე განხორციელებული ოპერაციებისაგან მიღებულმა შემოსავლებმა დაიწყო მნიშვნელოვანი ადგილის დაკავება შემოსავლების ძირითად სტრუქტურაში.

4. განვითარებული ქვეყნების მოსახლეობას მთელი თავისი თავისუფალი საშუალებების დიდი ნაწილი გადააქვს ფინანსური ინსტრუმენტების სხვადასხვა ფორმაში, ხოლო ბანკის დეპოზიტების წილი თანდათანობით მცირდება. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი გადამწყვეტი ხარისხით უკავშირებს თავის სიმდიდრეს და კეთილდღეობას ფინანსურ ბაზრებზე არსებულ ვითარებას. მაგალითად, ამერიკელების 45% წარმოადგენს აქციების მფლობელებს და საფონდო ბაზრებზე ფასების მერყეობა ბევრად განსაზღვრავს მათ პირად სიმდიდრეს.

ფინანსიზაციის პროცესში მარქსის ცნობილი ფორმულა ს—ფ—ს (საქონელი — ფული — საქონელი) თავდაპირველად გარდაიქმნა ვაჭრობის ფორმულად ფ—ს—ფ', სადაც ფ' >ფ, შემდეგი კი მთლიანად გარდაიქმნა წმინდა ფინანსურ ფორმულად ფ—ფ'. ჩვეულებრივი გაგებით საქონელი ამოვარდა, იგი შეცვალა ფინანსურმა ინსტრუმენტმა, ანუ იგივე ფულმა. ამერიკული ბიზნესის ლოზუნგი „ფულის კეთება" საბოლოოდ ჩამოყალიბდა ლოზუნგად „ფულის კეთება ფულისგან". ფინანსური სფერო გახდა თვითსაკმარისი, თავისი ზრდისათვის იგი რესურსებს პოულობს საკუთარ თავში.

პარადოქსულია, მაგრამ ძალიან მსგავსი გარდაქმნა მოხდა საბჭოთა გეგმურ ეკონომიკაშიც. მხოლოდ ფინანსიზაციის პროცესის ნაცვლად ადგილი ჰქონდა ინდუსტრიალიზაციის პროცესს. სსრკ-ში და სხვა სოციალისტურ ქვეყნებში ფინანსები თამაშობდა დამხმარე როლს, ძირითადი ყურადღება კი ეთმობოდა მრეწველობის ზრდას. თანდათანობით კონტროლიდან გამოსული ინდუსტრიალიზაციის საზოგადოება, ისევე როგორც ფინანსიზაცია საბაზრო ეკონომიკაში, გახდა თვითსაკმარისი. მრეწველობამ გადასწია მეორე რიგში თავისი ძირითადი ფუნქცია — მოხმარების

საქონლით მოსახლეობის უზრუნველყოფა. სულ უფრო და უფრო იწყებდა იგი მუშაობას საკუთარ თავზე. ახალ დაზგებს აკეთებდნენ იმისათვის, რომ ეწარმოებინათ მოწყობილობა იმისათვის, რომ მიეღოთ ახალი დაზგების დასამზადებლად აუცილებელი ლითონი და ენერგია. მძლავრი წარმოების საშუალებების ამ ჩაკეტილი კვლავწარმოების ნაკადებიდან წარმოებას გამოეყო მხოლოდ პატარა სახალხო მოხმარების საქონლის ნაკადები.

ეკონომიკის გეგმური და საბაზრო მოდელები დიალექტიკურად დაკავშირებულია და წარმოადგენს ურთიერთშემავსებელ დაპირისპირებულობას. ამიტომ მათი შედარება და ამ მოდელთა შეპირისპირება საშუალებას იძლევა უკეთ გავიგოთ რეალურად არსებული ეკონომიკა, რომელიც თავისთავად წარმოადგენს ამ უკიდურეს მოდელთა რაღაცნაირ ნარევს. გეგმური ეკონომიკის ჭარბ „თვითმჭამელ“ ინდუსტრიალიზაციას და თანამედროვე საბაზრო ფინანსიზაციას აქვს ერთი და იგივე პირველმიზეზი. მისი მოძებნა საჭიროა უკვე კარგად ცნობილი ეკონომიკური ძალაუფლების თეორიაში.

პირთა ჯგუფი, რომელიც დაკავშირებულია განსაზღვრულ დარგთან ან სფეროსთან თავისი ეკონომიკური ძალაუფლების გასადიდებლად, შეგნებულად თუ შეუგნებლად, ცდილობს თავისი დარგის განვითარების მიზანი დანერგოს საზოგადოების იდეოლოგიაში. ასე მაგალითად, საბჭოთა ინდუსტრიის ხელმძღვანელთა ჯგუფმა ფაქტიურად შეძლო საზოგადოების იდეოლოგიაში შეეცვალა კომუნისტური ლოზუნგი „ყველაფერი ადამიანის საკეთილდღეოდ“ ლოზუნგით „ყველაფერი საზოგადოების განვითარებისათვის“. ამან საშუალება მისცა მათ მრავალი ათწლეულის მანძილზე შეენარჩუნებინათ ეკონომიკური ძალაუფლება, მაგრამ ქვეყნის განვითარება კი ჩიხში შეიყვანა.

ამჟამად მეორე უკიდურესობა შეინიშნება საბაზრო ეკონომიკაში. საინფორმაციო-ფინანსური ძალაუფლების დამპყრობმა მსოფლიო ელიტამ მოახერხა მასზე დაქვემდებარებული მის-ების (ეს კი თითქმის ყველა მისებია) საშუალებით დაენერგა მოსახლეობის საზოგადოებრივ შემეცნებაში განვითარებული ქვეყნების ქცევის ახალი მოდელი, რომელიც ორიენტირებული იქნებოდა მოხმარებაში მომსახურების და მოსახლეობის დანაზოგებში ფინანსური ინსტრუმენტების გაბატონებაზე. ეს საშუალებას აძლევს მას მტკიცედ შეინარჩუნოს ეკონომიკური ძალაუფლება მსოფლიოში. მაგრამ ხომ არ მიიყვანს ფინანსიზაცია საბაზრო ეკონომიკას ისეთივე სავალალო ფინალთან, როგორთანაც მიიყვანა ზეინდუსტრიალიზაციამ საბჭოთა გეგმური ეკონომიკა?

მსოფლიო ფინანსური სისტემის სტრუქტურა მოტანილია სურათზე 13.1. სურათის სამ მხარეს განლაგებულია ფინანსური ბაზრების მონაწი-

ლენი: სახელმწიფოები, მოსახლეობა, საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციები, საწარმოები, ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, საინვესტიციო, სასესხო, საპენსიო და ჰეჯ-ფონდები, აგრეთვე ბროკერები, დილერები და სულ უფრო დიდი როლის შემსრულებელი სპეკულანტები. ქვემოთ მოთავსებულია ფინანსური ბაზრების ინფრასტრუქტურული ელემენტები — ბირჟები და ელექტრონული საბაზრო სისტემები. ცენტრში განლაგებულია საფინანსო ბაზრები, რომლებიც აკავშირებს ყველა მონაწილეს: სავალუტოს, აქციონერულს, სავალდებულებოს, სავექსელოს, საკრედიტოს, სადაზღვევოს, ფიუჩერსულს, ოპციონურს, სვოპურს და სხვა დერივატიულებს.



სურ. 13.1. მსოფლიო საფინანსო სისტემის სტრუქტურა

თუკი ავიღებთ საფინანსო სისტემის მონაწილეთა ბალანსს დროის განსაზღვრულ მომენტში, მაშინ მივიღებთ მსოფლიო ფინანსური რესურსების, ასე ვთქვათ, წამიერ ფოტოსურათს. ამ რესურსების მოძრაობა ხორციელდება ფინანსური ბაზრებითა და საქონლისა და მომსახურების ბაზრების საშუალებით.

განვიხილოთ ფინანსური სისტემის ძირითად მონაწილეთა ქცევა.

სახელმწიფოებს აქვთ ფინანსური რესურსები ძირითადად ოქრო-ვალუტის მარაგების სახით. ამ მარაგებში ოქროს წილი მუდმივად კლებულობს და ახლა შეადგენს დაახლოებით 18%-ს. ყველა სახელმწიფოს საერთო რეზერვები ოფიციალური ოქროს მარაგების ფორმით, რომლებიც ინახება სახელმწიფო საცავებში, ფასდება 30 ათას ტ. ან 300 მლრდ. დოლარად. მათგან დიდი ნაწილი ეკუთვნის განვითარებულ ქვეყნებს: აშშ-ს (8 ათასი ტ.), გერმანიას, საფრანგეთსა და შვეიცარიას (დაახლოებით 3-3,5 ათასი ტ.). რუსეთის ოქროს მარაგი შეადგენს დაახლოებით 300 ტ-ს შევნიშნავთ, რომ ომისშემდგომ წლებში სსრკ-ს ჰქონდა 2000 ტ-ზე მეტი ოქრო. ოქროს მარაგთა შემცირება საყოველთაო ტენდენციაა. ასე მაგალითად, ბოლო 40 წლის განმავლობაში აშშ-მა თავისი მარაგი შეამცირა ორჯერ. ოქროს ბაზარს მუდამ აფორიაქებს ხმები შვეიცარიის და სხვა ქვეყნების ოქროს მარაგთა მასობრივი გაყიდვების შესახებ.

ქვეყნების სავალუტო რეზერვების ძირითადი ნაწილი ნომინირებულია დოლარებსა და სხვა თავისუფლად კონვერტირებად ვალუტებში. სავალუტო რეზერვები ძირითადად მოთავსებულია პირველი კლასის საზღვარგარეთულ ბანკებში და ჩადებულია საიმედო აქტივებში. მსოფლიოს საერთო ოქროსავალუტო რეზერვები შეიძლება შეფასდეს 1,8 ტრლნ დოლარად. აქ რეკორდსმენს წარმოადგენს ჩინეთი (220 მლრდ. დოლ.), მას მოსდევს კრიზისის შედეგად რამდენჯერმე შემცირებული თავისი რეზერვებით იაპონია (დაახლოებით 200 მლრდ. დოლ.), შემდგომ დიდი ჩამორჩენით გერმანია (80 მლრდ. დოლ.) და აშშ (70 მლრდ. დოლ.). 2000 წ. ჩვენმა ქვეყანამ (იგულისხმება რუსეთი) ორჯერ გაზარდა თავისი ოქრო-ვალუტის რეზერვები და ამჟამად მიუახლოვდა 25 მლრდ. დოლარს.

განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში საემისიო ფუნქცია გადაცემულია მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი ცენტრალური ბანკებისათვის. ისინი ცდილობენ შეინარჩუნონ ეროვნული ვალუტის კურსი შედარებით სტაბილურად და ისწრაფვიან მისი სწრაფი ცვლილებების შესარბილებლად. ემისია ან, როგორც მას ხშირად გაზეთებში უწოდებენ, „ფულის ბეჭდვა“ სინამდვილეში წარმოადგენს მაკროეკონომიკური რეგულირების მნიშვნელოვან ბერკეტს. სახელმწიფო ფინანსური ორგანოებისათვის ძალიან მიმზიდველია ფულის ემისიის განხორციელება და, მაგალითად, ბი-

უჯეტის დეფიციტის დაფარვა ან რაიმე პრობლემების გადაწყვეტა. თუმცა ამ ბერკეტზე მეტისმეტმა დაწოლამ შეიძლება მიგვიყვანოს არასასურველ და კატასტროფულ შედეგებამდეც კი. მაგალითად, ინფლაციის დატრიალებამდე. ამიტომ განვითარებულ ქვეყნებში ცენტრალური ბანკები კანონმდებლობით გამოყოფილია სახელმწიფოს ფინანსური ორგანოებისაგან.

ბოლო წლებში მკაფიოდ ვლინდება *ცენტრალური ბანკების განთავისუფლების ტენდენცია ზედამხედველობის ფუნქციისაგან და მათი გადართვა თითქმის მთლიანად მონეტარულ საკითხებზე.* ასეთი გზა აირჩიეს დიდმა ბრიტანეთმა, იაპონიამ, კორეამ და ზოგიერთმა სხვა ქვეყანამ. ჩვენი ქვეყნისათვის (იგულისხმება — რუსეთი) იგი დაკავშირებულია განვითარებად საბანკო სისტემაზე კონტროლის დაკარგვის რისკთან და ჯერჯერობით ნაადრევია.

განვითარებულ ქვეყნებში ფულადი მასა (აგრეგატი M2) ჩვეულებრივ მშპ-ის 70-80%-ს შეადგენს. გამონაკლისს წარმოადგენს აშშ, რომლისთვისაც იგი ტოლია დაახლოებით 120%-ისა. მაგრამ ეს გასაგებია, რადგან დოლარი მრავალ ქვეყანაში გამოიყენება, როგორც გადახდის და დაგროვების საშუალება. რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ბანკის მიერ 2000 წელს განხორციელებული ინტენსიური ემისიის მიუხედავად ქვეყნის ოქროსავალუტო მარაგების შესავსებად და შედარებით დაბალ დონეზე რუბლის კურსის შესანარჩუნებლად, რუსეთში ეს მაჩვენებელი შეადგენდა დაახლოებით 15%-ს. ასე რომ, აუცილებელია გავაგრძელოთ ეკონომიკის გაჯერება ფულადი საშუალებებით, თუმცა შესაძლებელია სხვა მეთოდებითაც.

ცენტრალურ ბანკებს გააჩნია მაკრორეგულირების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი — რეფინანსირების განაკვეთი, რომელიც თავისთავად პროცენტს წარმოადგენს, რომლის მიხედვითაც ისინი აძლევენ სესხებს კომერციულ ბანკებს. ამ განაკვეთის გადიდებით ცენტრალური ბანკი ხდის ფულს უფრო ძვირს და ქვეყანაში იზიდავს ფინანსურ რესურსებს, იმავდროულად არბილებს ჭარბ საინვესტიციო აქტიურობას და ამშვიდებს „გადახურებულ“ ეკონომიკას. უძრაობის პერიოდში ჩვეულებრივ რეკომენდირებულია რეფინანსირების განაკვეთის დაკლება.

სახელმწიფოებს თავის განკარგულებაში აქვთ ბიუჯეტები, რომლებიც ყალიბდება გადასახადების და სხვა შენატანების ხარჯზე. სახელმწიფოს ფინანსური რესურსების შევსების და მაკროეკონომიკური რეგულირების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს *სახელმწიფო ვალი.* ის იყოფა შიდა ვალად, რომელსაც სახელმწიფო იღებს თავის მოქალაქეებისაგან, და საგარეოდ, რაც თავისთავად წარმოადგენს საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების, ასევე, სხვა სახელმწიფოთა და უცხოურ ბანკთა სესხებს.

სახელმწიფოთა საერთო საგარეო ვალი შეფასებულია 2,2 ტრლნ. დოლარად. პრაქტიკულად ესაა განვითარებადი ქვეყნების ვალები საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი (დაახლოებით 15%), ასევე, განვითარებული ქვეყნებისა და კერძო ფინანსური დაწესებულებებისადმი. შედარებით უსაფრთხოდ ითვლება საგარეო ვალი, რომელიც მშპ-ის 80%-ზე ნაკლებს შეადგენს. ამ მაჩვენებლის მიხედვით რუსეთის მდგომარეობას, რომელსაც გააჩნია დაახლოებით 150 მლრდ. დოლარი ვალი მიახლოებით ასეთივე მშპ-ის დროს, 1998 წლის კრიზისის და დევალვაციის შემდეგ, სასიკეთოს ვერ ვუწოდებთ. დიდი ვალები აქვს ბრაზილიას და მექსიკას (179 მლრდ. დოლარი თითოეულს), ჩინეთს. (120 მლრდ. დოლ.) და ინდონეზიას (110 მლრდ. დოლ.). ვალის სიმძიმე ფასდება, აგრეთვე, მისი თანხის შეფარდებით ქვეყნის ექსპორტთან. კრიტიკულად ითვლება 200%-იანი დონე. მსხვილი ქვეყნებიდან იგი გადალახეს მექსიკამ, ბრაზილიამ, არგენტინამ, ინდოეთმა და ინდონეზიამ. რუსეთი იმყოფება უშუალოდ კრიტიკულ ზღვართან.

მაკროეკონომიკური რეგულირების სხვადასხვა მეთოდის ანალიზისას აუცილებელია ყურადღება მივაქციოთ *ინფლაციას*, ე. ი. ფასების დონის ზრდას. 80-იან წლებში განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში ინფლაცია იყო უბედურება. აშშ-ში და ევროპის ქვეყნებში ის აჭარბებდა 10-15%-ს. ამასთან, ეროვნულ ვალუტას სულ რაღაც რამდენიმე წელიწადში შეიძლება რამდენჯერმე შეუმცირდეს თავისი ყიდვითი უნარი. იმისათვის, რომ გათვალოთ, რამდენი ხნის განმავლობაში გაორმაგდება ფასები, ხოლო ვალუტის ყიდვითი უნარი აგრეთვე ორჯერ შემცირდება, სასარგებლოა გვახსოვდეს ცნობილი „72-ის წესი". *თუკი ინფლაცია შეადგენს P%-ს, მაშინ ფასების გაორმაგება მოხდება 72/p წელიწადში.* მაგალითად, 10%-იანი ინფლაციისას ეს გაორმაგება მოხდება 72/10 - 7,2 წელიწადში. 90-იან წლებში ამერიკა და სხვა განვითარებული ქვეყნები თითქოსდა გაუმკლავდნენ ინფლაციას — გამოიყენეს მკაცრი მონეტარული კონტროლის პოლიტიკა ფულად მასაზე და უზარმაზარი ფინანსური რესურსები გადაიტანეს სწრაფმზარდ საფონდო ბირჟებზე. მაგრამ დიდხანს შენარჩუნდება თუ არა ეკონომიკის დაბალინფლაციური ზრდა, ამის თქმა ძნელია. მთელი 2000 წელი პირდაპირ სავსე იყო სხვადასხვაგვარი აპოკალიფსური წინასწარმეტყველებებით. ამასთან, შავბნელი პროგნოზები ეკუთვნოდა ძალიან ავტორიტეტულ ფინანსურ ანალიტიკოსებს, ისეთებს, როგორიცაა აშშ-ის სარეზერვო სისტემის გენერალური დირექტორი ა. გრინსპენი. რა გაეწყობა, ვნახოთ.

მოსახლეობა ფინანსური რესურსების ძირითად განმკარგულებელს წარმოადგენს. საბოლოო ჯამში, ნებისმიერი ეკონომიკური საქმიანობიდან

შემოსავალი ხდება ადამიანთაგან ვიღაცის შემოსავალი: მეწარმის, მოსამსახურის ან თანამშრომლის. ამ შემოსავლიდან მოსახლეობა იხდის გადასახადებს და მოსაკრებელს, რომელიც შეადგენს სახელმწიფოს საქმიანობის ძირითად შემოსავალს. დარჩენილ ფულს უწოდებენ მოსახლეობის ხელთ არსებულ შემოსავალს. მიდრეკილებების, ტრადიციების და კერძო უპირატესობების შესაბამისად ეს შემოსავალი იყოფა დანაზოგებსა და მოხმარებას შორის. განსაზღვრული ქვეყნის მოსახლეობისათვის დანაზოგის შეფარდებას ხელთ არსებული შემოსავლისადმი უწოდებენ მოსახლეობის მიდრეკილებას დაზოგვისაკენ. ეს ეკონომიკური სისტემის ძალზე მნიშვნელოვანი მახასიათებელია, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება მოცემულ ქვეყანაში ჩამოყალიბებულ დაზოგვის ტრადიციებს, ცივილიზაციურ თავისებურებებს და მოცემული ქვეყნის რესურსებს.

მოსახლეობას შეუძლია შეინახოს თავისი დანაზოგი ნაღდი ეროვნული ან უცხოურ ვალუტის სახით და საბანკო სადეპოზიტო ანგარიშებზე. სხვადასხვა ქვეყნის მოსახლეობის დანაზოგი ძალიან განსხვავდება ერთმანეთისაგან. განვითარებული ქვეყნებისათვის ისინი საშუალოდ შეადგენს მშპ-ის 8-10%. იმავდროულად აშშ-ში დანაზოგთა ტემპების ზრდა სწრაფად მცირდება. თუკი 90-იანი წლების დასაწყისში ამერიკელებმა შეინახეს მშპ-ის დაახოებით 7% წელიწადში, 2000 წელს ეს მაჩვენებელი შემცირდა პრაქტიკულად ნულამდე. აქციების ბაზრის საოცრად სწრაფი ზრდით მოზიდული ამერიკელები დებენ მასში მთელ თავის თავისუფალ საშუალებებს. მათ არა მარტო შეწყვიტეს დაზოგვა ტრადიციული გაგებით, არამედ კრედიტებსაც კი იღებენ თავიანთი უძრავი ქონების დაგირავებით, აქციებში დაბანდებათა გასაზრდელად. უკვე ამერიკელთა 45% გახდა აქციათა მფლობელი, და ამან ბოლო ხუთი წლის მანძილზე მოუტანა მათ დაახლოებით 5 ტრლნ დოლარი.

იაპონელებს კი, პირიქით, ტრადიციულად გააჩნიათ დიდი მიდრეკილება დაზოგვისადმი და სახელმწიფო ზომებს ღებულობს მოხმარების მიდრეკილების გასაზრდელად. 1998 წლის გაზაფხულზე იაპონიის მთავრობამ გამოაქვეყნა საბანკო სისტემის (Big Bang plan) სანაციის გეგმის ერთ-ერთი ელემენტი,რომელიც ითვალისწინებდა დანაზოგთა ნაკადების ხელახალ ორიენტაციას საფონდო ბაზარზე. გეგმის თანახმად, 1998 წ. დეკემბრიდან როგორც იაპონიის, ასევე საზღვარგარეთულმა სატრასტო ფონდებმა მიიღეს იმ საშუალებების ინვესტირების შესაძლებლობა, რომელიც მოზიდული იყო იაპონიაში საზღვარგარეთული ბაზრებიდან. თუკი გავითვალისწინებთ, რომ დღეს იაპონელთა უმეტესობა (ფინანსური სისტემისადმი უნდობლობის გამო) ინახავს თავის ფულს სახელმწიფო საპენსიო ანგარიშებზე, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფოს მიერ გარანტირე-

ბულ 0,25%-ს, მსოფლიოში ცნობილი საზღვარგარეთული ფონდების მომსახურებაზე იქნება მოთხოვნა, უკიდურეს შემთხვევაში ახალი თაობის მხრიდან. იაპონიაში თავმოყრილია მსოფლიო დანაზოგთა 40% (დაახლოებით 9 ტრლნ. დოლ.)[1].

თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს ტენდენციად იქცა იმ ადამიანთა რიცხვის ზრდა, რომლებიც დამოუკიდებლად ახდენენ შედარებით მცირე თანხების ინვესტირებას კორპორაციათა აქციებში. საკმარისია გქონდეთ ჩვეულებრივი პერსონალური კომპიუტერი და ჩაერთოთ ინტერნეტში, რომ თავად მიიღოთ აქტიური მონაწილეობა საბირჟო თამაშის ელექტრონული ვაჭრობის რეჟიმში. ამით სულ უფრო ხშირად სარგებლობს მოწინავე ქვეყნების მოსახლეობა, განსაკუთრებით აშშ. კერძო ინვესტორებს არ გააჩნიათ პროფესიონალური ცოდნა საფინანსო ბაზრების შესახებ და ინფორმაციას იძენენ მის-ებიდან და მსხვილი კონსალტინგური ფირმების შეტყობინებებიდან. ისინი ძირითად იოლად ექცევიან ძალიან ენერგიული ან პანიკური განწყობილებების გავლენის ქვეშ, რაც აქციების ბაზარს კიდევ უფრო არამდგრადს ხდის.

ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის აუცილებელია, რომ მოსახლეობის და საწარმოთა დანაზოგები მუშაობდეს და გამოიყენებოდეს ძირითადად საინვესტიციო მიზნებისათვის. იდეალურ ეკონომიკაში დანაზოგები ქვეყნის ეკონომიკის ინვესტიციების ტოლია, მაგრამ რეალურად ასე როდია. დანაზოგთა მნიშვნელოვანი ნაწილი შეიძლება გადავიდეს უცხოურ ვალუტაში და გავიდეს ქვეყნიდან. კაპიტალის გადინება 90-იანი წლების რუსეთის უბედურება გახდა. ქვეყნიდან გატანილი იყო 100 მლრდ. დოლარზე მეტი. ამას დაუმატეთ მოსახლეობის სავალუტო (დოლარებში) დანაზოგი დაახლოებით 50 მლრდ. დოლარი, რაც აგრეთვე თავისთავად წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკიდან კაპიტალის გაქცევის ფორმას. მეტი თუ ნაკლები ხარისხით ეს პრობლემა დგას უმეტესი ქვეყნების ეკონომიკების წინაშე. მეგაეკონომიკის წარმოშობასთან ერთად ქვეყნიდან კაპიტალის გაქცევა გლობალურ ფინანსურ ბაზრებზე ჩვეულებრივი მოვლენა გახდა, რომელიც მომგებიანია მსოფლიო ეკონომიკისათვის მთლიანობაში, თუმცა კი ზიანს აყენებს განსაზღვრულ ქვეყნებს. თანამედროვე პირობებში კაპიტალის გაქცევასთან ბრძოლა შესაძლებელია მხოლოდ ერთი გზით — მიეცეს მას მოცემულ ქვეყანაში უფრო კომფორტული პირობები გადასახადების და უსაფრთხოების თვალსაზრისით. მაშინ გაქცევა შეწყდება და კაპიტალი წავა იმ ქვეყანაში, რომელიც მას შეუქმნის უკეთეს პირობებს. მაგ-

---

1. Банковское дело. — 1999. — № 5.

რამ ამისათვის საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, ნდობა ქვეყნის მთავრობისა და მის მიერ გატარებული პოლიტიკისადმი.

საბანკო სისტემა მოწოდებულია არა მარტო უზრუნველყოს ანგარიშსწორების ჩატარება ეკონომიკის სუბიექტებს შორის, არამედ მოსახლეობის და საწარმოთა თავისუფალი საშუალებების მობილიზება მოახდინოს ინვესტიციებისათვის.

ბანკები აყალბებენ პასივებს საკუთარი საშუალებებიდან, მოსახლეობის დეპოზიტური ანაბრებიდან და საწარმოთა ანგარიშებზე არსებული საშუალებებიდან. პასივების ტოლი აქტივები გამოიყენება ორი ძირითადი მიმართულებით: დაკრედიტება და ინვესტირება ფასიან ქაღალდებში. აშშ-ში და იაპონიაში ბოლო დრომდე ბანკებს ნება ეძლეოდათ დასაქმებული ყოფილიყვნენ ან დაკრედიტებით (კომერციული ბანკები), ან ინვესტირებით (საინვესტიციო ბანკები).

დღეს მსოფლიო საბანკო სისტემას გააჩნია ოთხფენიანი სტრუქტურა. ყველაზე მაღალი დონე წარმოდგენილია მცირე რაოდენობის ზენაციონალური ბანკების და ფინანსური ორგანიზაციების ჯგუფით, რომლებიც მუშაობენ გაეროს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდით. მათი მიზანი ძირითადად ფინანსური ბაზრების რეგულირება და გაეროს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ეკონომიკური პოლიტიკის გატარების ფინანსური უზრუნველყოფაა. მეორე დონეზე ცენტრალური ბანკები არიან, რომლებიც ქვეყნების უმრავლესობაში ეროვნული კომერციული ბანკების საქმიანობას აკონტროლებენ. მესამე დონე წარმოდგენილია უმსხვილესი, გლობალური, ტრანსეროვნული ბანკებით. ყოველ მათგანს ქალიშვილი კომერციული ბანკების საკუთარი სისტემა გააჩნია. ტებ-ების კაპიტალის მნიშვნელოვანი ნაწილი გასულია მათი საქმიანობის მარეგულირებელი ცენტრალური ბანკების იურისდიქციიდან. მეოთხე დონეზე ჩვეულებრივი კომერციული ბანკებია. მათი რიცხვი ყველა ბანკის საერთო რაოდენობის 90%-ზე მეტს შეადგენს.

2000 წ. მსოფლიოს კომერციულ ბანკთა საერთო აქტივები ფასდებოდა 40 ტრლნ დოლარად. 500 უმსხვილესი ტრანსეროვნული ბანკისგან შემდგარი ჯგუფი აკონტროლებს დაახლოებით 34 ტრლნ დოლარის აქტივებს. ამ ჯგუფიდან 100 ბანკს შეიძლება ეწოდოს ნამდვილად გლობალური, რომლებიც მოქმედებენ მთელ მსოფლიოში. ისინი აკონტროლებენ დაახლოებით 20 ტრლ. დოლარის აქტივებს. დაბოლოს, ყველაზე მაღალ საფეხურს კომერციულ ბანკებს შორის იკავებს რამდენიმე სუპერგიგანტი.

პრაქტიკულად მთელი საბანკო კაპიტალი კონცენტრირებულია განვითარებულ ქვეყნებში. ამ ქვეყნების ბანკების საერთო რიცხვი დაახლოებით 25 ათასს უტოლდება, ხოლო ფილიალების და ბანკების განყოფილებების

რიცხვი ასი ათასობითაა. აშშ-ში ფუნქციონირებს დაახლოებით 9 ათასი ბანკი, დასავლეთ ევროპაში — 10 ათასი, ხოლო იაპონიაში — 6 ათასი. შევნიშნავთ, რომ ბანკების რიცხვი და მით უმეტეს, ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა შეჯამებული აქტივები, სწრაფად იცვლება. ჩვენი მიზანი მიახლოებითი რაოდენობრივი ორიენტირების მოცემაა, რომელიც საშუალებას მოგვცემს ვიმსჯელოთ საბანკო და ფინანსური სისტემის სტრუქტურაზე.

შეჯამებული აქტივების ზომების მიხედვით დომინირებენ ევროპული ბანკები (სურ. 13.2).



სურ. 13.2. მსოფლიო საბანკო სისტემაში აქტივების განაწილება, %-ში.

თუმცა ეფექტიანობის თვალსაზრისით XX ს-ის ბოლოს პირველი ადგილი დაიკავეს ამერიკულმა ბანკებმა. ბოლო წლებში მათი მოგებები მნიშვნელოვნად გაიზარდა. მაგალითად, 1999 წ. „სიტი კორპორეიშენის" მოგება გაიზარდა 3,9-ჯერ 1998 წლის მოგებასთან შედარებით; „ჯ. პ. მორგანის" — 2,2-ჯერ, ხოლო „ბენქ ოფ ამერიკის" — 1,53-ჯერ.[1]

მსოფლიო საბანკო სისტემაში კაპიტალის კონცენტრაცია უკვე საკმაოდ დიდია. თუმცა *ბანკების შერწყმის და შთანთქმის პროცესი ბოლო წლებში იზრდება.* გლობალიზაციის პირობებში საერთაშორისო ფინანსუ-

1. Вестник ИТАР-ТАСС. - 2000. - 13 янв.

რი ბაზრების ფინანსური ინსტიტუტების გამსხვილება წარმოადგენს მათი გადარჩენის გადამწყვეტ პირობას და ისინი შერწყმასა და შთანთქმას ისე განიხილავენ, როგორც თავიანთი კონკურენტუნარიანობის გადამწყვეტ ფაქტორს.

განსაკუთრებით მძაფრი კონკურენცია გაიშალა ბოლო წლებში ამერიკულ და ევროპულ ტებ-ებს შორის. ამ თვალსაზრისით გამოირჩევა შვეიცარიული ბანკები. 1998 წ. შეერწყა ამ ქვეყნის ორი უმსხვილესი ბანკი — Union Bank of Switzerland (UBS) და Swiss Bank Corp. (SBC). წარმოიქმნა სუპერგიგანტი UBS 700 მილიარდი დოლარის აქტივებით (1999 წ.) შესადარებლად მოვიყვანთ: იმავე წელს Deutsche Bank-ის აქტივებმა შეადგინა 590 მილიარდი დოლარი. სხვათა შორის, ამ უმსხვილესმა გერმანულმა ბანკმა თვითონ შედარებით ახლახან შეიძინა ინგლისური ბანკი Morgan Greenfell და ამჟამად მთელ თავის ძირითად საინვესტიციო საქმიანობას ეწევა ლონდონში. გარდა ამისა, მან შთანთქა ამერიკული ბანკი Bankers Trust და შეძლო აშშ-ის ფინანსურ ბაზრებზე გასვლა, რასაც დიდხანს ელოდა.

1998 წ. სიდიდით მეორე შერწყმა მოხდა ამერიკული ბანკების — Citicorp-ისა და Travelers Group-ის, რომელთა ინტერესები ვრცელდება ქონების დაზღვევიდან ერთობლივი (თანაზიარი) დაზღვევის საპაიო ფონდებამდე. მათ შექმნეს Citigroup 698 მილიარდი დოლარის აქტივებით. 1999 წ. დამდეგს Bank of America-მ შთანთქა National Bank და ახლა მისი დეპოზიტები ყველა ამერიკული ბანკის დეპოზიტების 1/12-ია.

ახლახან სენსაციურ შერწყმათა და შთანთქმათა სია შეივსო კიდევ ერთით — ბავარიული ბანკი Bayerische Verensbank და იპოთეკური ბანკი Hypo-Bank შეერწყნენ. საფრანგეთში არ ცხრება ემოციები ბანკ Banque Nationale de Paris (BNP)-ის მიერ ბანკ Paridas-ის შეძენის თაობაზე, აგრეთვე, სამმხრივი კავშირის წარმოქმნის შესაძლებლობაზე ბანკ Societe Generale-თან, რაც საშუალებას მისცემდა ამ საბანკო კონგლომერატს გამხდარიყო ერთ-ერთი უმსხვილესი საკრედიტო ინსტიტუტი არა მარტო ევროპაში, არამედ მთელ მსოფლიოშიც. დიდ ბრიტანეთში Royal Bank of Scotland-მა მთელი თავისი ძალისხმევა მიმართა National Westminster Bank-ის შესაძენად.

თუმცა ყველაზე დიდი ცვლილებები ხდება იაპონურ საბანკო სექტორში. იქ გაერთიანდა სამი ბანკი — Dai-Ichi Kangeo Bank, Industrial Bank of Japan და Fuji Bank. პრაქტიკულად უკვე შექმნილია მსოფლიოში უმსხვილესი სტრუქტურა საქმიანობის სამი ძირითადი მიმართულებით: კორპორაციების დაკრედიტება (ახალი ბანკი მოახდენს ყოველი მესამე კორპორაციის დაკრედიტებას მსოფლიოში), საცალო ოპერაციები (მსგავსი ოპერაციების მთელი ბაზრის 15%) და საინვესტიციო საბანკო საქმე.

თანამედროვე საბანკო სისტემის მნიშვნელოვანი დამახასიათებელი თვისება მისი კონცენტრაციაა რამდენიმე მსხვილ მსოფლიო საფინანსო ცენტრში. მძაფრი კონკურენციული ბრძოლის შედეგად საერთაშორისო საფინანსო ცენტრების როლი გაუმტკიცდა ისეთ ქალაქებს, როგორებიცაა: ნიუ-იორკი, ლონდონი, ციურიხი, ტოკიო, ლუქსემბურგი, ჰონ-კონგი, ფრანკფურტი და სხვ. ფაქტიურად დღეს არსებობს 13 ფინანსური ცენტრი, რომელიც მოიცავს დაახლოებით როგორც წესი, მრეწველურად განვითარებული ქვეყნების 1000 ფილიალსა და უცხოურ საბანკო განყოფილებას. ჩამოყალიბდა თავისებური საერთაშორისო ფინანსური მექანიზმი, რომელიც იყენებს რა სპეციალიზებულ ელექტრონულ ქსელებს (SWIFT, Global Costadien და სხვა), მოქმედებს დღე-ღამის განმავლობაში და მსოფლიო ფინანსური ნაკადების მოძრაობის და მსოფლიო სავალუტო ბაზრების რეგულირებას ახდენს. ფინანსური ცენტრები კვანძების როლს ასრულებენ მსოფლიო ფინანსურ სისტემაში. რაღაც თვალსაზრისით ისინი კომპიუტერულ ქსელებში სერვერების მსგავსია. მათი საშუალებით მოძრაობს ყველაზე მძლავრი ფინანსური ნაკადები და მხოლოდ ამ ცენტრებში ყოფნა ხდის ხელმისაწვდომს ფინანსური ბაზრის ყველაზე იაფ ფულს. ამიტომ ყველა მსხვილი ბანკი ისწრაფვის იმისკენ, რომ ჰქონდეს თავისი განყოფილებები ან ფილიალები ამ ფინანსურ ცენტრებში.

მეორე მნიშვნელოვანი ტენდენცია საბანკო ბიზნესის ოფშორიზაციაა.

შეიძლება ითქვას, რომ ოფშორულმა ბანკებმა შექმნეს კიდევ ერთი ბანკების ფენა და თანამედროვე პირობებში პრაქტიკულად ტრანსეროვნული კაპიტალის არც ერთი ფინანსური სქემა მსოფლიოში მათ გვერდს ვერ უვლის.

ბოლო წლებში ძლიერდება ბანკების უნივერსალიზაციის ტენდენცია. გლას-სტიგალის (1933 წ.) კანონის შესაბამისად გაყოფილი აშშ-ის ჩვეულებრივი და კომერციული ბანკების საქმიანობის ფორმები სულ უფრო უახლოვდება ერთმანეთს. საფონდო ოპერაციებს უკვე დიდი ხანია აქტიურად ატარებენ ისეთი კომერციული ბანკები, როგორიცაა Citicorp, Morgan Bank, Chase Manhatten, Bank of America და სხვ. ხოლო უმსხვილესი ამერიკული საინვესტიციო ბანკები - Merill Linch, Salamon Brothers, First Boston და სხვ. — გახდნენ გიგანტური ფინანსური სუპერმარკეტები, რომლებიც თავიანთ კლიენტებს სთავაზობენ ფინანსური მომსახურების მთელ სპექტრს.

2000 წლის მარტში შევიდა ძალაში გრემ-ლიჩ ბლაილის კანონი. მან შეცვალა გლას-სტიგალის კანონის დებულება, რომელიც კომერციულ ბანკებს უკრძალავდა ფასიან ქაღალდებსა და დაზღვევის სფეროში ინვესტი-

რებით ქალიშვილ-კომპანიების შექმნას. ამ შეზღუდვების მოხსნის შემდგომ ამერიკულ ბანკებს შეუძლიათ შექმნან უმძლავრესი ფინანსური ჰოლდინგები, რომლებიც ასრულებენ ფინანსური ოპერაციების მთელ სპექტრს.

ანალოგიური პროცესები მიმდინარეობს ამერიკულთან ახლომდგომი იაპონიის საბანკო სისტემის ორგანიზაციაში, სადაც უახლოეს პერიოდში გაუქმდება გლას-სტიგალის კანონის იაპონურ ანალოგი (გვ. 65 კანონი ფასიან ქაღალდებსა და ბირჟებზე 1948 წ.). ევროპაში საინვესტიციო მომსახურებაზე დირექტივების მიღების შემდეგ ბანკებმა იმ ქვეყნების საფონდო ბაზრებზე დაშვების უფლება მიიღეს, სადაც ადრე არ უშვებდნენ (საფრანგეთი, ესპანეთი).

თანამედროვე ბანკი სულ უფრო მეტად ხდება საინფორმაციო-ანალიტიკური ცენტრი, რომელიც თავის კლიენტებს აკავშირებს ფინანსურ, საინვესტიციო და სასაქონლო ბაზრებთან. მსხვილი ბანკები მძლავრი საინფორმაციო სტრუქტურების ორგანიზებას ახდენენ. უწევენ რა საინფორმაციო მომსახურების ფართო სპექტრს, საბანკო ორგანიზაციები არაფორმალური საშუალებებით „იზიდავენ" თავისთან კლიენტებს. საბანკო კონსალტინგები იყენებენ ინფორმაციის მიღების ყოველგვარ არხებს, მაგალითად, კრედიტების წარდგენისას ისინი ხშირად ითხოვენ თავის მხრივ ინფორმაციას კლიენტებისგან. ინფორმაციის მიღების მნიშვნელოვანი არხია კორპორაციის მართვაში მონაწილეობის მიღება რაიმე პროექტის განხორციელების დროს. ფლობენ რა ინფორმაციას, ბანკებს შეუძლიათ გაუწიონ შესაბამისი მომსახურების ფართო სპექტრი და აწვდიან მონაცემებს ბაზრის და აქ მომუშავე საწარმოების მდგომარეობის შესახებ. გარდა ამისა, ბანკები იწყებენ აქტიურ მონაწილეობას თავის კლიენტთა შიდა და საგარეო მენეჯმენტის საკითხების შესახებ კონსულტაციებში, განსაზღვრავენ მათ ეკონომიკურ პოლიტიკასა და შიდა სტრუქტურის რეორგანიზაციას.

არასაბანკო ფინანსური ორგანიზაციები — სადაზღვევო კომპანიები, საპენსიო და სხვა საინვესტიციო ფონდები — მძაფრ კონკურენციას უწევენ საფინანსო ბაზრებზე ბანკებს და ბოლო დროს ძალიან ავიწროებენ მათ. განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება ეს ტენდენცია აშშ-ში, სადაც არასაბანკო ფინანსურ ორგანიზაციათა წილი მოსახლეობის საერთო მიზიდულ საშუალებებში უკვე 50%-ს აჭარბებს. ამ ორგანიზაციათა ერთობლივი აქტივები შეფასებულია 28 ტრლნ დოლარად.[1] მათი ინვესტიციების 90%-ზე მეტი მიემართება საფონდო ბაზრებზე.

---

1. Рынок ценных бумаг. - 2000. - № 12.

განსაკუთრებით სწრაფად ვითარდება ალტერნატიული ინვესტიციები (თანაზიარი) ფონდები, რომლის აქტივები უკვე შეფასებულია 4 ტრლნ. დოლარად. კერძო ინვესტორები აძლევენ ფულს ამ ოგანიზაციებს, რომლებიც აბანდებენ მას ძირითადად საფონდო ბაზრებზე და მართავენ. ბოლო წლებში ამერიკული აქციების ბაზრის საარაკო ზრდამ ხანმოკლე დროის განმავლობაში მიიზიდა ამ ფონდებში კოლოსალური საშუალებები.

უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვანი გავრცელება ჰპოვეს ე.წ. ჰეჯ-ფონდებმა. ისინი მდიდარი ინვესტორების დახურული კლუბებია, რომლებიც არ ექცევიან საინვესტიციო კომპანიების შესახებ ამერიკული კანონის გავლენის ქვეშ. ამიტომ მათ შეუძლიათ არ გახსნან ინფორმაცია თავისთავზე და არ დაიცვან კანონმდებლობით განსაზღვრული აქტივების სტრუქტურა. ჰეჯ-ფონდების რიცხვმა უკვე 3000-ს გადააჭარბა და მიუხედავად იმისა, რომ მაინ აქტივები შედარებით ნაკლებია (დაახლოებით 500 მლრდ. დოლ.), ამ ფონდების როლი მსოფლიო საფინანსო ბაზრებზე მაინც ძალზე დიდია. კერძოდ, უცხოური კაპიტალი განვითარებული ქვეყნების ბაზრებზე, რუსეთის ჩათვლით, წარმოდგენილია თითქმის მხოლოდ ჰეჯ-ფონდებით.

მსოფლიო საფინანსო სისტემის განვითარების მნიშვნელოვან ტენდენციას წარმოადგენს სხვადასხვა ფინანსური ინსტიტუტების დაახლოება. ფინანსურ კომპლექსში ზღვარი ბანკებს, საინვესტიციო, სადაზღვევო და საფინანსო კომპანიებს, აგრეთვე, საპენსიო და ერთობლივ (თანაზიარ) ფონდებს შორის სულ უფრო კარგავს სიმკვეთრეს. სავსებით ნათლად გამოიკვეთა ბანკების ინტეგრაციის და გაერთიანების ტენდენციები სადაზღვევო კომპანიებთან, რომლის მიზეზს წარმოადგენს საბანკო და სადაზღვევო საქმიანობის დაახლოება. ბანკები სულ უფრო აქტიურად იჭრებიან სადაზღვევო მომსახურების სფეროში. დღესდღეობით ევროპაში ბანკების წილად მოდის უკვე სიცოცხლის დაზღვევის 19%, ხოლო საფრანგეთში ის საერთოდ დომინირებს ამ სფეროში, რადგან პრაქტიკულად თავისთავზე აიღეს სადაზღვევო კომპანიათა ფუნქციები.

სამრეწველო კომპანიები ბანკების მიერ მათი დაკრედიტების ოპერაციების განხორციელებისას აბარებენ მოწყობილობებს იჯარით. უმსხვილესმა ბანკებმა თვითონ დაიწყეს სალიზინგო გარიგებების განხორციელება. აშშ-ის მრავალ უმსხვილეს ბანკს გააჩნია ლიზინგური კომპანიები

ბევრი ბანკი აქტიურად ჩაერთო კონსალტინგურ ბიზნესში და დროთა განმავლობაში ამ ბაზრიდან გამოდევნა სპეციალიზებული კონსალტინგური კომპანიები. უკვე ხანგრძლივი დროის მანძილზე ბანკები მონაწილეობენ საპროექტო დაფინანსებაში: ისინი იხდიან ყველა ხარჯის ნუსხას პროექტის განსახორციელებლად, ხოლო ზოგჯერ, ან პირდაპირ მონაწილეობენ

საკუთარი სპეციალისტების ძალებით დაპროექტებაში, ან დამკვეთს უზრუნველყოფენ კვალიფიციური კონსულტაციებით. ანგარიშსწორება ბანკთან წარმოებს კვლავ აშენებული საწარმოს მოგებიდან, დამკვეთის სხვა საშუალებების მოზიდვის გარეშე. ბევრ შემთხვევაში, ბანკების ფინანსური მონაწილეობის შედეგად, ისინი ხდებოდნენ მოცემული ობიექტების თანამფლობელები. კონსალტინგური მომსახურება უკვე შეადგენს მსხვილი ბანკების შემოსავლების 25%-ზე მეტს.

არასაბანკო ორგანიზაციები არ რჩებიან ვალში და თავისთავზე იღებენ ისეთ ოდითგანვე საბანკო ფუნქციებს, როგორიცაა კლიენტების დაკრედიტება. სინამდვილეში ფინანსურ ორგანიზაციათა ფუნქციების დაახლოება განპირობებულია კლიენტთა სურვილით — მიიღონ ფინანსურ მომსახურებათა მთელი სპექტრი ერთ ადგილზე, იქ, სადაც ის იცნობს პერსონალს და ენდობა მას. როდესაც ადამიანი მიმართავს ფინანსურ დაწესებულებას, მას სურს გადაინახოს ფულის ნაწილი სიბერისათვის (საპენსიო ფონდები) ან რაიმე უბედური შემთხვევისათვის (დაზღვევა), აგრეთვე შესაძლებლობისდა მიხედვით თავისი საშუალებების გასამრავლებლად, სარფიანად დააბანდებს რა მათ (საინვესტიციო ფონდებში). ამასთან ერთად, მას სურს კიდევ მიიღოს აუცილებელი კრედიტები (ბანკები) და კონსულტაციები და მუშაობს მხოლოდ ერთ ნდობით აღჭურვილ პირთან.

ფინანსური სფერო სულ უფრო რთულდება და კლიენტისათვის საესურველია მომსახურება გაიღოს ერთ ადგილზე. ფინანსური ორგანიზაციები ცდილობენ წარმოშობილი მოთხოვნის დაკმაყოფილებას. ისინი უწევენ თავიანთ კლიენტებს ფინანსური მომსახურების მთელ სპექტრს, იმისგან დამოუკიდებლად, თუ რა სახის საქმიანობაა აღნიშნული ძირითადი სახით მოცემული ორგანიზაციის ლიცენზიაში. მოსახლეობის ობიექტური მოთხოვნილებები, ზოგიერთი ცნობილი ფინანსისტის[1] აზრით, მალე აუცილებლად მიგვიყვანს უნივერსალური ფინანსური ორგანიზაციების ფართო გავრცელებასთან და დამოუკიდებელი, სპეციალიზებული ფინანსური სტრუქტურების თანდათანობით გაქრობასთან.

ფინანსური რესურსების გადანაწილება, რომლებიც ფინანსური სისტემის ზემოთ გაანალიზებულ მონაწილეებს ეკუთვნის, ხორციელდება საფინანსო ბაზრებზე, რომლის განხილვაზეც ახლა გადავდივართ. მაგრამ მანამდე შევეცდებით თავი მოვუყაროთ მსოფლიო ფინანსური სისტემის ძირითად მონაწილეთა ძირითად დამახასიათებელ თვისებებსა და განვითარების ტენდენციებს.

---

1. См.: Дериг Х-У. Универсальный банк - банк будущего. М.: Международные отношения, 1999.

1. მსოფლიო ფინანსურ სისტემას ქმნიან სახელმწიფოები, ქვეყნების მოსახლეობა, ბანკები, არასაბანკო ფინანსური ორგანიზაციები (სადაზღვევო კომპანიები, საპენსიო, საინვესტიციო, ერთობლივი (თანაზიარი) და ჰეჯ-ფონდები), რომლებიც ურთიერთდაკავშირებულია სავალუტო, საფონდო, საკრედიტო, სადაზღვევო, სათამასუქო და დერივატიული ბაზრებით. თანამედროვეობის მნიშვნელოვან ტენდენციას წარმოადგენს ეკონომიკის ფინანსიზაცია.

2. სახელმწიფოები ფლობენ ოქროსავალუტო რეზერვებსა და ქვეყნების ბიუჯეტებს. ქვეყნის ცენტრალურ ბანკს შეუძლია ეროვნული ვალუტის ემისია და ვალდებულია თვალყური ადევნოს ეროვნული ვალუტის კურსის სტაბილურობასა და ინფლაციას. განვითარებულ ქვეყნებში ისინი ხდებიან მთავრობისგან დამოუკიდებელნი.

3. განვითარებული ქვეყნების მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ხდება დამოუკიდებელი ინვესტორი. ეს იწვევს საფინანსო ბაზრების ნაკლებ მდგრადობას. მოსახლეობის მიდრეკილება დაზოგვისაკენ დამოკიდებულია ეროვნულ ტრადიციებზე. აშშ-ში არსებობს დანაზოგთა წილის შემცირების ტენდენცია.

4. მსოფლიო საბანკო სისტემა შედგება ზეეროვნული ცენტრალური, ტრანსეროვნული და ეროვნული ბანკებისაგან. საბანკო სისტემის განვითარებაში მნიშვნელოვანი ტენდენციებია საბანკო კაპიტალის კონცენტრაცია, ბანკების უნივერსალიზაცია, საბანკო ბიზნესის ოფშორიზაცია და ბანკების თანდათანობითი გარდაქმნა საინფორმაციო-ფინანსურ ცენტრებად.

5. არასაბანკო და საბანკო ორგანიზაციები თანდათანობით უახლოვდება ერთმანეთს ფუნქციების მიხედვით და პერსპექტივაში შეიძლება ვივარაუდოთ მსხვილი საბანკო უნივერსალური ჰოლდინგების შექმნა, რომლებიც საბანკო მომსახურების მთელ სპექტრს შეასრულებენ.

13.3. სავალუტო ბაზრები

თითქმის ყოველ სუვერენულ ქვეყანას გააჩნია საკუთარი ვალუტა, რომელიც ემიტირებულია ცენტრალური ბანკის ან სხვა მთავრობის მიერ უფლებამოსილი ორგანოების მიერ. ქვეყნის შიგნით შეიძლება ყველა ოპერაციის განხორციელება ამ ვალუტის გამოყენებით, მაგრამ თუკი აუცილებელია რაიმე საქონლის ყიდვა საზღვარგარეთ, მაშინ აუცილებელია საკუთარი ვალუტის შეცვლა იმ ქვეყნის ვალუტით, სადაც იწარმოება ეს საქონელი. ამგვარად, ვალუტის ყიდვა და გაყიდვა, ანუ სავალუტო ბაზარი, ხორციელდება პირველ რიგში საერთაშორისო ვაჭრობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

როგორც ნაჩვენებია 13.3 სურათზე, სავალუტო ბაზრის მონაწილეებს წარმოადგენენ საქონლის და მომსახურების ექსპორტიორი-იმპორტიორები, მოსახლეობა, კომერციული ბანკები, ცენტრალური ბანკები, საფონდო ბაზრების ადგილობრივი და უცხოელი მონაწილეები, აგრეთვე, ბროკერები და საფინანსო დილერები. ვალუტით ვაჭრობაში უშუალო მონაწილეობა შეუძლიათ მიიღონ მხოლოდ იმ ორგანიზაციებმა, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი ლიცენზია. ჩვეულებრივ ესაა ბანკები, საინვესტიციო ფონდები და სხვა სავალუტო დილერები, რომლებიც აწარმოებენ ვალუტის ყიდვა-გაყიდვას ექსპორტიორთა, იმპორტიორთა და სხვა კლიენტთა დავალებით.



სურ. 13.3. სავალუტო ბაზრის სტრუქტურა

ექსპორტიორები საზღვარგარეთ ყიდიან საქონელსა და მომსახურებას, ხოლო სავალუტო ამონაგების ნაწილს — სავალუტო ბაზარზე. მას ყიდულობენ იმპორტიორები, რათა უცხოური ვალუტით მათთვის აუცილებელი საქონელი შეისყიდონ. გარდა ამისა, ვალუტას ყიდულობს და ყიდის მოსახლეობა, რომელსაც იგი სჭირდება საზღვარგარეთ გამგზავრე-

ბისათვის, ზოგიერთი ანგარიშსწორებისათვის, ხოლო ზოგჯერ, მაგალითად, როგორც ჩვენ ქვეყანაშია, შესანახად.

მოსახლეობა, ექსპორტიორები და იმპორტიორები ყიდულობენ და ყიდიან ვალუტას კომერციული ბანკების მეშვეობით.

სავალუტო ბაზრის მონაწილეები არიან, აგრეთვე, საინვესტიციო ფონდები, ფინანსური კომპანიები და ბროკერები, რომლებიც მუშაობენ საფონდო და ფიუჩერსულ ბირჟებზე.

სავალუტო ბაზრის რეგულირება უმეტეს ქვეყანათა ცენტრალური ბანკების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა. ჩვეულებრივ, ცენტრალური ბანკი ყიდულობს და ყიდის ვალუტას და ე.ი. ახორციელებს სავალუტო ინტერვენციებს, რითაც ცდილობს უზრუნველყოს ცოტა თუ ბევრად სტაბილური ეროვნული ვალუტის გაწონასწორებული კურსი, მომგებიანი როგორც იმპორტიორებისათვის, ასევე ექსპორტიორებისათვის.

მიმდინარე ოპერაციების ბალანსი ასახავს თანაფარდობას საქონლის და მომსახურების ექსპორტსა და იმპორტს შორის. ყოველი ქვეყანა ცდილობს გაყიდოს მეტი, ვიდრე იყიდოს. ამიტომ მიმდინარე ოპერაციების ბალანსის უარყოფითი სალდო (სხვაობა ექსპორტსა და იმპორტს შორის) აღიქმება როგორც არასასურველი სიმპტომი.

საგადასახდელო ბალანსი, გარდა საქონლის ექსპორტისა და იმპორტისა, მოიცავს კაპიტალთა სხვა ნაკადებს, რომლებიც ქვეყნის საზღვარს გადაკვეთავს. აქ შეიძლება შევიდეს აუცილებელი გადასახადები საგარეო ვალის მომსახურებაზე, პირდაპირი და პორტფელური ინვესტიციები და ა.შ. საგადასახდელო ბალანსის დეფიციტი გვიჩვენებს, რომ ქვეყანა ყიდულობს მეტ უცხოურ ვალუტას, ვიდრე საზღვარგარეთიდან იღებს. ეს დეფიციტი ჩვეულებრივ იფარება სავალუტო რეზერვებიდან.

სავალუტო კურსი მოცემული ქვეყნის ვალუტის ფასია, რომელიც გამოხატულია სხვა ქვეყნების ვალუტაში.

არსებობს ეროვნული სავალუტო კურსების რამდენიმე ძირითადი რეჟიმი.

1. *ფიქსირებული კურსი*, რომლის დროსაც მთავრობა სხვა ქვეყნებთან შეთანხმების მიხედვით ან დამოუკიდებლად ადგენს ეროვნული ვალუტის კურსს. ამასთან ერთად, აუცილებელია განსაზღვრული მკაცრი ზომები, რომლებიც სავალუტო ნაკადების რეგლამენტირებას ახდენს. სხვაგვარად საგადასახდელო ბალანსი მუდამ დაირღვევა. ფიქსირებული სავალუტო კურსი მიღებულ იქნა ყველა განვითარებულ ქვეყანაში 1944 წლიდან 70-იან წლების ბოლომდე. ფიქსირებული კურსი თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაათან მიმართებაში იყო მიღებული სსრკ-შიც.

2. *სავალუტო საბჭო (კომიტეტი)*. ასეთი რეჟიმის დროს ეროვნული ვალუტის კურსი ფიქსირდება არსებული ფულადი მასის მიმართებით ქვეყ-

ნის სავალუტო (ძირითადად დოლარების) მარაგებისადმი ან კიდევ რომელიმე უცხოური ვალუტის ბაზრისადმი. მაგალითად, თუკი ქვეყანაში არსებობს 500 მლრდ ეროვნული ვალუტის ერთეული და 10 მლრდ დოლარის სავალუტო რეზერვი, მაშინ ეროვნული ვალუტის კურსი ასეთი რეჟიმის დროს იქნება 50 ერთ. /დოლ. სავალუტო საბჭოს რეჟიმი წარმატებით გამოიყენება პანამაში, ბულგარეთში, არგენტინასა და ესტონეთში. მისი უპირატესობა მდგომარეობს ეროვნული ვალუტის ასპროცენტიანი სტაბილურობის უზრუნველყოფაში. თუმცა, ამასთანავე, სტაბილურობის სანაცვლოდ სახელმწიფო კარგავს კურსით მანევრირების შესაძლებლობას.

3. *მართვადი ცურვა (ბრბმული კურსი).* ასეთი რეჟიმის დროს ქვეყნის ცენტრალური ბანკი ცდილობს მიზნობრივი, განსაზღვრული სავალუტო პოლიტიკით ვალუტის კურსის გამყარებას. ხშირად მთავრობა თავის თავზე იღებს ვალდებულებას შეინარჩუნოს კურსი განსაზღვრულ ჩარჩოებში (მიზნობრივი ზონების რეჟიმი). მაგალითად გამოდგება რუსული რუბლის ფიქსაცია დოლარის მიმართ განსაზღვრულ დერეფანში, რომელიც დადგენილი იყო რუსეთის ბანკის მიერ და შეწყდა 1998 წლის აგვისტოში.

4. *თავისუფალი ცურვა.* კურსი ყალიბდება მხოლოდ თავისუფალი საბაზრო ძალების გავლენით — მოთხოვნის და მიწოდების წონასწორობის საფუძველზე.

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში შერეული სისტემის რეალიზება ხდება. უმეტესი განვითარებული ქვეყნის სავალუტო კურსს საფუძვლად უდევს მიწოდების და მოთხოვნის ფუნდამენტური თანასწორობა. თუმცა ამ ქვეყნების მთავრობები და ცენტრალური ბანკები გარკვეულ ღონისძიებებს ატარებენ სავალუტო ბაზარზე ზემოქმედებისათვის.

ძირითად ტენდენციას, რომელიც შეინიშნება განვითარებულ ქვეყნებში, წარმოადგენს *გადასვლა თავისუფალ კურსზე.* ამ გზით მიდიან აშშ, დიდი ბრიტანეთი, იაპონია და სხვა მრავალი ქვეყანა. ზოგიერთი ცნობილი ეკონომისტი ცოტა ხნის წინ არსებული გაცვლითი კურსის კრიზისის მიზეზს ხედავს სამხრეთ კორეის, ტაილანდის, მალაიზიის და ინდონეზიის მიერ მიბმული გაცვლითი კურსის პოლიტიკის განხორციელებაში.

სსფ-ს წევრი155 ქვეყნიდან მხოლოდ 26-ის სავალუტო კურსია თავისუფლად მოცურავე, ხოლო დანარჩენ 129 ქვეყანაში ეროვნული ვალუტის კურსები ან მკაცრად მიჯაჭვულია სხვა ვალუტების კურსებზე, ან შემოსაზღვრულად ცურავს. თუმცა სავალუტო კურსის წმინდა თავისუფალი ცურვა პრაქტიკულად არ არის არც ერთ ქვეყანაში, უმრავლესი განვითარებული ქვეყნის ცენტრალური ბანკები აგრძელებენ მონაწილეობას საკალუტო ბაზრებზე და კურსების მოძრაობის რეგულირებას ახდენენ. მაგრამ მართვადი ცურვისა და კურსების მიბმის სხვა ეტაპებისგან განსხვავებით,

კურსების რეგულირების მიზნობრივი ორიენტირები ამ ქვეყნებში არაა ჩამოყალიბებული მკაცრი ვალდებულებების ან რაოდენობრივად გამოხატული შეზღუდვების სახით.

ეროვნული სავალუტო სისტემა განისაზღვრება ქვეყნის სავალუტო კანონმდებლობით და მოიცავს ორ ძირითად ელემენტს:

- სავალუტო კურსის ფორმირების მექანიზმსა და ეროვნული სავალუტო ბაზრის რეჟიმს;
- სავალუტო რეგულირება, რომელიც მოიცავს საგარეო ვაჭრობის, კაპიტალის შეტანისა და გამოტანის წესებს.

რაც უფრო მკაცრია სავალუტო კურსის რეჟიმი, მით უფრო მკაცრი სავალუტო რეგულირებაა საჭირო მის განსახორციელებლად. სხვაგვარად საგადახდელო ბალანსი არ შედგება. 90-იანი წლების ძირითადი ტენდენცია *გახდა სავალუტო რეგულირების და საექსპორტო კონტროლის ლიბერალიზაცია* მოწინავე საზღვარგარეთულ ქვეყნებში. მრავალმა ქვეყანამ, ისეთებმა, როგორიცაა საფრანგეთი და იტალია, რომლებიც 70-80-იან წლებში პრაქტიკაში იყენებდნენ სავალუტო კონტროლის საკმაოდ მკაცრ სისტემებს, მნიშვნელოვნად შეარბილეს ისინი.

თუმცა პრაქტიკულად ყველა განვითარებულ ქვეყანაში შემოინახა საექსპორტო კონტროლის სისტემა სხვადასხვა ფორმის სპეციალური საექსპორტო საქონლის სიების სახით. ზოგიერთ ქვეყანაში საექსპორტო სია საკმაოდ ფართოა, მაგალითად, იაპონიაში იგი მოიცავს საქონელს, რომლის შიდა ბაზრები აუცილებლად საჭიროებს რეგულირებას (ბრინჯი, ფეტრადი ლითონები, საფეიქრო ნაწარმი, მსუბუქი მანქანათმშენებლობის საქონელი და ა. შ.). ექსპორტზე კონტროლი ხორციელდება ძირითადად საექსპორტო საქმიანობის ლიცენზიებით.

მიმდინარე სავალუტო ოპერაციების და კაპიტალის მოძრაობის კონტროლის სფეროში ბოლო წლებში ხდება მკაცრი გადამწყვეტ-ამკრძალავი ზომებისაგან გადასვლა შეტყობინებითი პროცედურებისაკენ და ყველა სახის ვალუტის მოძრაობის შესახებ ინფორმაციის გულდასმით ფიქსაციისაკენ. ამასთან, მნიშვნელოვან როლს ასრულებს საგარეო ეკონომიკური საქმიანობის მონაწილეთა სავალდებულო იდენტიფიკაციის პროცედურები. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში 1994 წლიდან. ასეთი იდენტიფიკაცია ტარდება გარიგებებზე, რომლებიც 15 ათას ეკიუზე მაღალი თანხისაა. იაპონიაში კაპიტალთა მოძრაობა ორივე მხარეს მოწმდება მოთხოვნათა დადგენის გზით კომპეტენტური სამინისტროს შეტყობინებით ან ნებართვის მიღებით „მგრძნობიარე" დარგებისათვის, რომელსაც მიეკუთვნება თავდაცვითი მრეწველობა, სატყეო, მეთევზეობის და სოფლის მეურნეობა, სამთო-

მომპოვებელი, ნავთობგადამმუშავებელი, საავიაციო, კოსმოსური და ქიმიური მრეწველობის დარგი.

ყველა მოწინავე ქვეყნისათვის დამახასიათებელია *კონტროლის მკვეთრი გაძლიერების ტენდენცია დანაშაულებრივად მოხვეჭილი კაპიტალის „გარეცხვაზე“.*

მეორე მნიშვნელოვან ტენდენციაა ბლოკების წარმოქმნა წამყვანი ვალუტების გარშემო. ევროკავშირში ჩამოყალიბდა ევროს უძლიერესი ზონა. გარდა ამისა, ევროკავშირმა შეთანხმება დადო 8 ქვეყანასთან სავალუტო თანამშრომლობის და სავალუტო კურსების სტაბილიზაციის შესახებ. 39 ქვეყანა ადგენს საკუთარი ვალუტების კურსებს დოლარზე ორიენტირებით, ხოლო 14 ქვეყანა — ფრანგულ ფრანკზე (ფრანკის ზონა). 19 ქვეყანა, აშშ-ის, კანადის, დიდი ბრიტანეთის და იაპონიის ჩათვლით, მისდევს სავალუტო კურსების დამოუკიდებელ „ცურვას“.

თანამედროვე სავალუტო ბაზრის განვითარების მთავარი ინტრიგაა ბრძოლა სამ ძირითად ვალუტას — დოლარს, ევროს და იენს შორის. ვალუტის კურსები ასახავს კონკურენტული ეკონომიკების ძალას, ხოლო მათი ცვლილება — სხვადასხვა ქვეყნის განვითარების უთანაბრობას. მაგალითად, იაპონიაში ეკონომიკური ბუმი გამოიხატა სავალუტო ბაზარზე იმაში, რომ ბოლო 15 წლის განმავლობაში იენი თითქმის 3-ჯერ გაიზარდა დოლარის მიმართ. მომავალში მოსალოდნელია მძაფრი კონკურენცია სხვადასხვა ქვეყნის ცენტრალური ბანკების სარეზერვო ადგილისათვის დოლარსა და ევროს შორის. ჯერჯერობით აქ განუყოფლად ბატონობს დოლარი, მაგრამ მალე მის მბრძანებლობას შეიძლება მოეღოს ბოლო. მრავალი ექსპერტი პროგნოზს აკეთებს იმის შესახებ, რომ მსოფლიო გადავა ერთიან მსოფლიო ვალუტაზე სამი წამყვანი ვალუტის ბაზაზე. როგორც ჩანს, მართლაც ყველაფერი აქეთ მიდის.

ვალუტის კურსის ცვლილებები განპირობებულია არა მარტო ქვეყნების განვითარების ფუნდამენტური ეკონომიკური მაჩვენებლებით, არამედ ბევრად უფრო წმინდა სპეკულაციური თამაშით. ამიტომ ბაზრის მიერ განსაზღვრული კურსი სწრაფად მერყეობს. მაგალითად, წლის განმავლობაში „რეიტერის“ სააგენტო აფიქსირებდა დოლარის კურსის დაახლოებით 45 მლნ ცვლილებას („ტიკებს“) გერმანული მარკის მიმართ.

ეროვნული ვალუტის კურსის ოფიციალურ კლებას უწოდებენ *დევალვაციას*, ხოლო აწევას — *რევალვაციას.* სავალუტო კურსის გარშემო ყოველთვის მიდის ცხარე ბრძოლები. კურსის დაწევა მომგებიანია ექსპორტიორებისათვის და არამომგებიანია იმპორტიორებისათვის. დევალვაცია შიდა ბაზრის დაცვის საშუალებას იძლევა, მაგრამ იმავდროულად იგი აუფასურებს ყველა ეროვნულ ძირითად ფონდს, ამცირებს ქვეყნის საწარ-

მოთა საბაზრო ფასს და აქცევს მათ უცხოელების მიერ ჩასანთქმელ იოლ ნადავლად. შეიძლება სწორედ ამიტომაც საერთაშორისო ორგანიზაციები და განვითარებული ქვეყნები ესოდენ გულის ფანცქალით ეკიდებიან საიმპორტო ტარიფების აწევას, მოწყალედ ეპყრობიან სავალუტო კურსის მკვეთრ შემცირებასაც კი, რომელიც თავისი ზემოქმედებით იმპორტზე ეკვივალენტურია ტარიფების ზრდისა.

გარდა საბაზრო სავალუტო კურსისა, საერთაშორისო შედარების მიზნით ხშირად იყენებენ *ვალუტის ყიდვითი უნარის პარიტეტს (ᲧᲣᲞ) — თანაფარდობა ვალუტებს შორის მათი ყიდვითი უნარის მიხედვით განსაზღვრული სახის საქონლის და მომსახურების ნაკრების მიმართ.* მაგალითად, თუკი აშშ-ში 1 დოლარით შეიძლება იყიდო იმდენივე საქონელი და მომსახურება, რამდენიც რუსეთში 8 რუბლით, მაშინ ᲧᲣᲞ ტოლია 8 რუბ. /დოლ.

ᲧᲣᲞ განვითარებად ქვეყნებში ჩვეულებრივ შეადგენს სავალუტო კურსის 50%-ზე ნაკლებს. ამით ნაწილობრივ მსუბუქდება შრომის მწარმოებლურობაში ჩამორჩენა და ქვეყნის პროდუქციის კონკურენტუნარიანობის აწევა ხდება მსოფლიო ბაზრებზე.

ვალუტის ყიდვითი უნარის დაქვეითება ყველასათვის კარგად ცნობილი ინფლაციაა. პროცენტებში გამოხატული დევალვაცია და ინფლაცია ყოველთვის რიდი ემთხვევა ერთმანეთს. ამ სიდიდეთა ცვლილებების მართვა და მათი ოპტიმალური თანაფარდობის ძიება სახელმწიფოს შიდა და სავალუტო პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია.

სავალუტო ბაზრის ევოლუცია აშკარად მიდის მისი ლიბერალიზაციის და გლობალიზაციის მიმართულებით. XIX ს-ის ბოლოს მსოფლიოში ჩამოყალიბდა ოქროს სტანდარტის სისტემა. სავალუტო კურსი განისაზღვრებოდა ვალუტის ოქროს შემცველობით.

1922 წ. გენუის კონფერენციაზე შემოღებულ იქნა ოქროდევიზური სტანდარტის სისტემა. ასეთი სისტემის დროს ბანკნოტები იცვლებოდა არა ოქროზე, არამედ ისევ სხვა ქვეყნების ბანკნოტებზე ან ჩეკებზე (დევიზები), რომლებიც შეიძლებოდა გაცვლილიყო ოქროზე.

მეორე მსოფლიო ომის ბოლოს მებრძოლი ქვეყნების უმეტესობამ მნიშვნელოვნად შეამცირა თავისი ოქროს მარაგები და ბრეტონ-ვუდის კონფერენციაზე შემოიღო ახალი სავალუტო სისტემა. შეუნარჩუნეს ოქროს საბოლოო ფულადი ანგარიშსწორების ფუნქცია, მაგრამ მასთან თანაბრად სარეზერვო ვალუტად აღიიარეს დოლარი, რომლის ფასი დაფიქსირდა 35 დოლარი ერთ ტროიას უნციაზე. შემოიღეს ფიქსირებული კურსები. ვალუტების საბაზრო კურსები არ უნდა ვადახტრილიყო ფიქსირებულიდან 1%-ზე მეტად. ამავე კონფერენციაზე შეიქმნა საერთაშორისო სავალუტო ფონდი (სსფ), მსოფლიო ბანკი და სხვა ორგანიზაციები, რომელთაც უნდა

დაერეგულირებინათ ფინანსური ბაზრები. სსფ-ს დაეკისრა სავალუტო კურსების და სავალუტო ბაზრების მდგრადობის უზრუნველყოფის პასუხისმგებლობა.

დროთა განმავლობაში ოქროდოლარის სტანდარტი გადაიქცა წმინდა დოლარის სტანდარტად. ევროვალუტის ბაზრის წარმოქმნამ, აშშ-ის საგადასახდელო ბალანსის დეფიციტის ზრდამ, დაბოლოს, ენერგეტიკულმა კრიზისმა ბოლო მოუღო ბრეტონ-ვუდის სისტემას. 1976 წ. სსფ-ის მორიგ თათბირზე კინგსტონში (იამაიკა) განისაზღვრა თანამედროვე სავალუტო სისტემის საფუძვლები. ოქრომ დაკარგა თავისი ფულადი ფუნქციები და გახდა ჩვეულებრივი საქონელი, ხოლო ქვეყნებმა ნებისმიერი სავალუტო კურსის არჩევის უფლება მიიღეს. გარდა ამისა, იამაიკის შეთანხმებები ითვალისწინებდნენ „მსოფლიო ფულის", ე. წ. სეხნების სპეციალურ უფლებების (სსუ) შემოღებას. მას დაეკისრებოდა უნივერსალური სარეზერვო ვალუტის როლი. მაგრამ სსუ-ს საყოველთაო გამოყენებაზე იმედებს ახდენა არ ეწერა და ახლა იგი ძალიან შეზღუდულადაა ხმარებაში.

ვალუტის კურსების და სავალუტო რეგულირების ლიბერალიზაციის პოლიტიკამ სტიმულირება მოახდინა სავალუტო ბაზრების გლობალიზაციაზე და მრავალჯერ გაადიდა მათი მოცულობა. 80-იან წლებში კომპიუტერული და სხვა ტექნოლოგიების გამოყენებით კაპიტალის მოძაობის მოცულობები სახელმწიფოთა საზღვრების გადაკვეთით ელვის სისწრაფით იზრდებოდა და ვრცელდებოდა აზიაში, ევროპასა და ამერიკაში. საერთაშორისო სავალუტო ბაზარზე გარიგებათა მოცულობებმა 70 მლრდ დოლარიდან 80-იანი წლების შუა ხანიდან მიაღწია 1,5 ტრლნ დოლარზე მეტს დღესდღეობით.

სავალუტო კურსი ყალიბდება უკვე არა იმდენად საქონლის მოძრაობით, რამდენადაც კაპიტალის მოძრაობით, რომელიც ატარებს უმეტესწილად სპეკულაციურ ხასიათს.

ელექტრონული სავალუტო ბაზარი Forex (Foreign Exchange — სავალუტო ბაზარი) ყველაზე მსხვილი ფინანსური ბაზარია მსოფლიოში. სხვა ფინანსური ბაზრებისგან განსხვავებით, Forex-სთვის არ არსებობს ცენტრალური ბირჟა. იგი ფუნქციონირებს ელექტრონული ქსელის მეშვეობით, რომლის კვანძებსაც წარმოადგენს ბანკები, კორპორაციები და კერძო პირები, ანუ ისინი, ვინც ვაჭრობენ ერთმანეთთან ვალუტით. ცენტრალური კვანძის უქონლობა საშუალებას აძლევს Forex ბაზარს იმუშაოს დღეღამის განმავლობაში, გადააქვს რა დღეღამურად თავისი ძირითადი საქმიანობა მსოფლიოს ერთი ფინანსური რეგიონიდან მეორეში.

სავალუტო ბაზრის მოცულობა წელიწადში 680 ტრლნ დოლარს აჭარბებს. ეს იმას ნიშნავს, რომ დედამიწის ყოველ მცხოვრებზე მოდის 120

ათასი დოლარის სავალუტო ოპერაცია. მოგეჩვენებათ თითქოს, რა საჭიროა ამდენი ვალუტის ყიდვა? საერთაშორისო ვაჭრობასა და საერთაშორისო ანგარიშსწორებაში ხომ მათზე მოთხოვნა განუსაზღვრელად მცირეა. საქმე ისაა, რომ სავალუტო ოპერაციების, ისევე როგორც საერთოდ ფინანსური ოპერაციების ძირითადი ნაწილი ხორციელდება ახლა სპეკულაციური მიზნებით. მაგალითად, სპეკულანტი დილით ყიდულობს დიდი ოდენობის ინგლისურ სტერლინგებს დოლარებით, რათა საღამოთი გაყიდოს სტერლინგები დოლარებზე და მიიღოს მიზერული მოგება, გარიგების თანხასთან შედარებით. ამიტომ უზარმაზარი გარიგებების უკან უმეტესწილად დგას ყიდვა-გაყიდვის ფასებს შორის შედარებით მცირე სხვაობის ცვლილება. ასეთი გარიგებები ბევრია და სწორედ სპეკულაციები ქმნის სავალუტო და სხვა საფინანსო ბაზრების უზარმაზარ მოცულობებს.

სავალუტო და სხვა საფინანსო ბაზრებზე უდიდეს გავლენას ახდენს *ევროვალუტის ბაზარი.* ამ ბაზრის წარმოშობა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და საინტერესო მოვლენაა თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში, რომელიც მეგაეკონომიკად მისი გარდაქმნის ერთ-ერთი არსებითი მიზეზია.

ევროდოლარების წარმოშობის უშუალო ბიძგი გახდა დასავლეთევროპული ქვეყნების მიერ 1959 წ. სავალუტო შეზღუდვების გაუქმება. ევროპული ქვეყნები განიცდიდნენ დოლარის უქონლობის გამო მძაფრ შიმშილს და ყოველმხრივ ახდენდნენ დოლართა ნაკადების მოდინებას. მათ გაათავისუფლეს უცხოური ანგარიშები ევროპულ ბანკებში გადასახადებისა და სავალდებულო რეზერვირებისაგან. სწორედ მაშინ ისარგებლეს სავალუტო ბაზრის ლიბერალიზაციით ევროპულმა ბანკებმა და დაიწყეს კერძო ანაბრების მიზიდვა, ასევე კრედიტების გაცემა დოლარებში. დოლარებში მიზიდულმა საშუალებებმა მიიღო სახელწოდება — „ევროდოლარები". წარმოიქმნა ევრობაზრები, რომლებიც არ იყო რეგლამენტირებული ეროვნული კანონმდებლობით. ევრობაზრიდან მოზიდულ საშუალებებზე არ ვრცელდებოდა ცენტრალური ბანკების სარეზერვო მოთხოვნები, ხოლო საპროცენტო განაკვეთები ევროანაბრებზე თავისუფლდებოდა საშემოსავლო გადასახადებისაგან. ევრობაზარმა მიიღო კონკურენტული უპირატესობა, ვინაიდან მასზე სტიქიურად ჩამოყალიბებული საპროცენტო განაკვეთების დონე საშუალებას აძლევდა ბანკებს გადაეხადათ ევროვალუტებში ნასესხებ საშუალებებზე დიდი პროცენტი და მიეწოდებინა კრედიტები უფრო დაბალი განაკვეთით. მალე დაიწყო ევროობლიგაციების გამოშვება, რომლის ემისიის რეგლამენტირება არ ხდებოდა ეროვნული კანონმდებლობებით, ხოლო პროცენტებს ევროობლიგაციათა მფლობელებს უხდიდნენ შემოსავლის წყაროდან გადასახადის დაკავების გარეშე: ვინაი-

დან ევროვალუტით ოპერაციების განხორციელების ქვეყნებში არ ვრცელდებოდა მათზე ფულად-საკრედიტო შეზღუდვები, ამიტომ ლონდონში ბანკებმა დამოუკიდებლად დაიწყეს ლიბორ-ის (LIBOR - London Interbank Offered Rate) საშუალო განაკვეთის დადგენა, რომლის მიხედვითაც კრედიტები მიეწოდებოდა ევროვალუტებში. 1973 წ. ევრობაზრებმა მიაღწიეს მნიშვნელოვან ზომებს და ევროემისიები გახდა მნიშვნელოვანი წყარო დასავლეთის ეკონომიკის საშუალებებისათვის. გაჩნდა ევროკომერციული თამასუქები, რომელთა განაღდება გათვალისწინებულია ევროვალუტაში.

ევრობაზრის განვითარების წყალობით წარმოიშვა ახალი საერთაშორისო ფინანსური ცენტრები — ლუქსემბურგი, სინგაპური, ჰონკონგი, პანამა, ბაჰამის კუნძულები და სხვ., რომელთა საქმიანობა გათავისუფლებულია სავალუტო კონტროლისაგან და პროცენტებისაგან მიღებულ შემოსავალზე გაუქმებულია გადასახადები. დღეს არსებობს ევროვალუტის ბაზრის 35 ცენტრი. გარდა უდავო ლიდერის — ლონდონისა, ასეთ ცენტრებს მიეკუთვნება: ტოკიო (ბაზრის გარიგებათა მოცულობის 20%-ზე მეტი), ნიუ-იორკი, მაინის ფრანკფურტი (10% თითოეულს), პარიზი (7%), ციურიხი—ჟენევა (6%), ლუქსემბურგი (4%) და სხვ.[1]

ორგანიზაციულად ევრობაზარი წარმოადგენს ასობით მსხვილ ბანკს, რომლებიც განლაგებულია დასავლეთ ევროპის ძირითად ცენტრებში და იმ ქვეყნებში, სადაც არ იზღუდება ბანკების უფლებები უცხოურ ვალუტებში არარეზიდენტებთან ოპერაციების განხორციელებისას. ახალი ცენტრების წარმოშობასთან დაკავშირებით, დადგენილ იქნა PIBOR-ის განაკვეთები პარიზში, SIBOR-ის — სინგაპურში, KIBOR-ის — კუვეიტში და სხვ., რომელთა დონეს აქვს ტენდენცია გათანაბრებისაკენ. რადგან ლონდონი, რომელიც წარმოადგენს ევროდოლარის ბაზრის პირველ ფინანსურ ცენტრს, ინარჩუნებს წამყვან პოზიციებს, LIBOR-ს ეკუთვნის ევრობაზრის განაკვეთების განმსაზღვრელი როლი.

1981 წელს ნიუ-იორკი გამოცხადდა თავისუფალ საბანკო ზონად, რომლის ჩარჩოებში არარეზიდენტებთან განხორციელებული ოპერაციისათვის დაწესდა საგადასახადო შეღავათები, სავალუტო კონტროლისა და სხვა შეზღუდვებისაგან განთავისუფლება, რომელიც მოქმედებს კაპიტალთა შიდა ბაზარზე. ამ გარემოებამ გააფართოვა ევროვალუტის ბაზარი აშშ-ით.

თავისი კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად *ევროპულმა ცენტრებმა ელვისებურად განახორციელეს საკუთარი ფინანსური ბაზრების ლიბერალიზაცია.*

---

1. Деньги и кредит. - 2000. - N1.

ევრობაზრის მსესხებლები გახდნენ ტეკ-ები, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანაში ახორციელებენ კაპიტალდაბანდებათა დაფინანსებას, აგრეთვე საგადასახდელო ბალანსის დეფიციტების მქონე სახელმწიფოები. წამყვანი ტრანსეროვნული ბანკები საზღვარგარეთულ ფილიალთა ფართო ქსელით მთავარი შუამავლები გახდნენ ევრობაზარზე ტეკ-ებს, სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის, რითაც ფაქტიურად მოახდინეს მისი გაყოფა.

ევრობაზრების მნიშვნელოვან თავისებურებად იქცა ევროვალუტის ემისია საერთაშორისო ბანკების მიერ. ევროდოლარები გადაიქცა მსოფლიო ფულად, რომელიც ემიტირებულია ტრანსეროვნული ბანკების მიერ. ცენტრალური ბანკების მხრიდან კონტროლის უქონლობამ საშუალება მისცა ტეკ-ებს ავტონომიურად განეხორციელებინათ ევროვალუტის საკრედიტო ემისია, რითაც აკმაყოფილებდნენ საერთაშორისო ბაზრების მზარდ მოთხოვნას. ევროემისია ხორციელდება ურთიერთდაკრედიტების მექანიზმით, რომელიც საშუალებას იძლევა შეიქმნას 10-ჯერადი მულტიპლიკატორი, ე. ი. გაზარდოს ევრობაზრის ფულადი მასა 10-ჯერ და უფრო მეტადაც კი.

განვმარტოთ ასეთი მულტიპლიკატორის მოქმედება. ვთქვათ, რომელიღაც ბანკმა მიიღო მეორე ბანკისაგან კრედიტი M ევროდოლარებში. იგი რეზერვის სახით გადადებს 10%-ს, ხოლო 90% ანუ 0,9·M აძლევს კრედიტით სხვა ბანკს. ის ისევ იტოვებს თავისთვის 10%-ს რეზერვისათვის და იძლევა შემდგომ კრედიტს ზომით $0,9^2 \cdot M$. ნათელია, რომ ყველა ბანკის შეჯამებული კრედიტი ტოლი იქნება

$$K = M \quad (1 + 0,9 + 0,9^2 + 0,9^3 + \ldots) =$$
$$= M / (1 - 0,9) = 10 \cdot M$$

ძნელი არ იქნება მივიღოთ ზოგადი ფორმულა, თუკი რეზერვირება შეადგენს არა 10-ს, არამედ p%-ს. $K = M / P$.

ასეთი მექანიზმის დახმარებით იქმნება უზარმაზარი ზომის ევრობაზარი, რომელიც ახლა შეფასებულია 10 ტრლნ დოლარად. კერძო ტრანსეროვნული ბანკები არ დაელოდნენ რა ზენაციონალური ორგანოების გადაწყვეტილებებს, შექმნეს თავისი მსოფლიო ფული. ამით უზრუნველყვეს მზარდი მეგაეკონომიკის მოთხოვნილებები.

სხვათა შორის, რეგულირების ზესახელმწიფოებრივი ორგანოს — სსფ-ის ფინანსური რესურსები ამჟამად შეფასებულია 350 მლრდ დოლარად, ხოლო ჰეჯ-ფონდების საშუალებები, რომლებიც, კერძოდ, ახორციელებენ საგალუტო სპეკულაციებს — 500 მლრდ დოლარად. ასე, რომ თუკი თვით სსფ

დროულად მოუყრის თავს თავის რესურსებს და შეეცდება წინააღმდეგობა გაუწიოს საერთაშორისო ვალუტის სპეკულანტებს, მისი საშუალებები აღმოჩნდება მაინც აშკარად არასაკმარისი.

13.4. საფონდო ბაზრები და ბირჟები

საფონდო ბაზრები მოიცავს კორპორაციების აქციებს და სავალო ვალდებულებებს. 2000 წ. მსოფლიო საფონდო ბაზრის საერთო მოცულობა შეადგენდა დაახლოებით 60 ტრლნ დოლარს. 24 ტრლნ დოლ. მოდიოდა აქციათა ბაზარზე, 36 ტრლნ დოლ. კი — სავალო ვალდებულებებზე. როგორც აქციების, ასევე ვალდებულებების მთელი მსოფლიო ბაზრის ნახევარი ეკუთვნის აშშ-ს.

სავალუტო ბაზრისგან განსხვავებით, საფონდო ემსახურება არა მხოლოდ ფინანსური რესურსების გადანაწილებას, არამედ მათ ფორმირებასაც. იმისათვის, რომ შეავსოს ფინანსური რესურსები, კომპანიას შეუძლია განათავსოს დამატებით გამოშვებული აქციები ან ისესხოს ფული ბაზარზე ობლიგაციების გამოშვებით. აქციები კაპიტალის მიზიდვის ძირითად მეთოდად იქცა ამერიკული კორპორაციებისათვის. ობლიგაციებით სახსრების მიზიდვას მიმართავს თითქმის ყველა სახელმწიფო.

ისევე, როგორც სავალუტო ბაზრისათვის, საფონდო ბაზრის ბრუნვაში გაბატონებულია სპეკულაციური ოპერაციები. აქციების ბაზარზე ბრუნვები შეადგენს 800 მლრდ დოლ/დღეში, ხოლო ობლიგაციების ბაზარზე — 950 მლრდ დოლარს. როგორც ჩანს, საფონდო ბაზრის შეჯამებული ბრუნვები თითქმის გაუტოლდა სავალუტო ბრუნვებს (1,9 ტრლ დოლ.). *მნიშვნელოვან ტენდენციად იქცა საფონდო ბაზრის, განსაკუთრებით კი აქციათა ბაზრის როლის ზრდა მსოფლიო ეკონომიკაში.* ბოლო წლებში აქციათა ბაზარმა მტკიცედ დაიკავა ცენტრალური ადგილი ფინანსურ ბაზრებს შორის.

აქციები მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსი გახდა როგორც კერძო პირთათვის, ასევე გიგანტური კორპორაციებისათვის. Microsoft-ს რომ შეენარჩუნებინა აქციების ზრდის ტემპი უკანასკნელ წლებში, ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობასთან ცნობილი უსიამოვნებებისა და მრავალრიცხოვანი სასამართლო გარჩევების მიუხედავად, ეს კორპორაცია მალე შეძლებდა პრეტენზია განეცხადებინა „დიდ შვიდეულში“ შესვლაზე, ვინაიდან მისი საბაზრო კაპიტალიზაცია გადააჭარბებდა კანადის მშპ-ს.

საფონდო ბაზარზე განსაკუთრებით რელიეფურად ვლინდება ყველა საფინანსო ბაზრისათვის დამახასიათებელი *ამერიკიზაციის ტენდენციის.* აშშ მტკიცედაა გაბატონებული ამ ბაზრებზე და ფაქტიურად განსაზღვრავს მისი განვითარების ტენდენციებს. ამერიკული ბაზრის მოძრა-

ობას მიჰყვება პრაქტიკულად ყველა სხვა ბაზარი. თვით ახალგაზრდა და სუსტი რუსეთის აქციების ბაზრის რყევა მოწიწებით მისდევს ნიუ-იორკის ბირჟის დოუ-ჯონსის ინდექსის ცვლილებებს. ამჟამად, აშშ-ის ბაზარი უდავოდ მთავარია და ამიტომ საჭიროებს გულდასმით შესწავლას.

ცოტა რამ ისტორიიდან. სულ რაღაც 16 წლის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების შექმნიდან, 1792 წ. ყავახანაში, ჭადრის ჩრდილში შეკრებილმა 24 ბროკერმა ხელი მოაწერა შეთანხმებას მომავალში მსოფლიოში უმსხვილესი ნიუ-იორკის საფონდო ბირჟის (ნსბ) შექმნის შესახებ, რომელიც ისტორიაში შევიდა, როგორც „ჭადრის შეთანხმება". გასაოცარია, როგორ ახერხებს აშშ შეუთანხმოს განვითარების არაჩვეულებრივი დინამიკა ძირითადი ინსტიტუტების კონსერვატიულ სტაბილურობას — ჯეფერსონისეული 1787 წლის კონსტიტუცია ხომ დღესაც მოქმედებს, ხოლო „ჭადრის შეთანხმების" დებულება ნსბ-ზე საკომისიოს ფიქსირებული ზომის შესახებ შეიცვალა მხოლოდ 1975 წ. ამაში ხომ არაა მათი წარმატების საწინდარი?

ნსბ თავისთავად წარმოადგენს არაკომერციულ ორგანიზაციას, რომელიც 1366 წევრის საკუთრებაში იმყოფება — ფიზიკური პირებისა, რომელთა რაოდენობა უცვლელი რჩება 1953 წლიდან. ბირჟაზე ადგილის ფასი — დაახლოებით 1,3 მლნ დოლარია, ხოლო დაახლოებით ყველა ადგილის მესამედი არენდითაა გაცემული. ვაჭრობაზე დაშვების პირობები და ლისტინგში მოხვედრა ძალზე მკაცრია, მაგალითად, ბირჟაზე კოტირებად კომპანიას უნდა ჰქონდეს არანაკლებ 2,5 მლნ დოლარი მოგება და 18 მლნ დოლარზე მეტი წმინდა აქტივები. ახლა ნსბ-ზე ხდება 2500 ემიტენტის კოტირება.

ამერიკული საფონდო ბაზრის უდავო ლიდერად რჩება ნსბ. ხუთ რეგიონულ ბირჟას, რომლებიც განლაგებულია ბოსტონში, ფილადელფიაში, ცინცინატში, ჩიკაგოში და ლოს-ანჯელეს — სან-ფრანცისკოში (წყნარი ოკეანის სიფონდო ბირჟა) გააჩნია რამდენჯერმე ნაკლები მოცულობები, ხოლო ამერიკული საფონდო ბირჟის ბრუნვები შეადგენს ნსბ-ის არა უმეტეს 2%-ს. აქციების არასაბირჟო ბაზარი წარმოდგენილია უპირველესყოვლისა NASDAQ, რომელსაც აქვს ვაჭრობის მოცულობის დაახლოებით 30% ნსბ-ისა და წარმოადგენს ჩვენი PTC-ის პროტოტიპს. არნახულად სწრაფად — 60%-მდე წელიწადში — იზრდება სხვა ვაჭრობის ავტომატიზებული სისტემები, რომლებიც შექმნილია თავად საინვესტიციო ინსტიტუტების მიერ, მაგალითად, Instinet, Lattice და სხვ.

კოტირების ავტომატიზებული სისტემა NASDAQ, შექმნილი საფონდო დილერების ეროვნული ასოციაციის მიერ (განსაზღვრული ხარისხით რუსული НАУФОР-ის ანალოგი), წარმოადგენს თავისთავად საერთოეროვნულ კომპიუტერულ სისტემას, რომელიც აერთიანებს საბროკერო-სადილერო ფირ-

მების 3200 ტერმინალს და 200 ათას ტერმინალ-აბონენტს მსოფლიოს 50 ქვეყანაში. NASDAQ მსოფლიოში ყველაზე დიდი რაოდენობის აქციების კოტირებას ახდენს — 5500-ზე ზევით. ამ ორგანიზაციის წესების თანახმად, ყოველი კოტირებული აქციისათვის უნდა მოიძებნოს სულ მცირე 2 მარკეტ-მეიკერი, რომელიც ვალდებული იქნება მუდმივად უზრუნველყოს მისი ლიკვიდურობა. 4500-დან 3000-ზე მეტი ყველაზე სოლიდური ემიტენტის აქცია შედის ეროვნულ საბაზრო სისტემაში, სადაც ყოველ აქციაზე უნდა იყოს ოთხი მარკეტ-მეიკერი. ადრე კორპორაცია, მიაღწევდა რა გარკვეულ წარმატებებს NASDAQ-ში, გადადიოდა ნსბ-ზე, მაგრამ ახლა ისეთი მსხვილი კომპანიები, როგორიცაა Intel, Microsoft, Apple და სხვ., ამჯობინებენ დარჩნენ ამავე სისტემაში, მიუხედავად იმისა, რომ უკვე დიდი ხანია აკმაყოფილებენ ნსბ-ის მკაცრ კრიტერიუმებს.

NASDAQ-ში ხდება აშშ-ის „ახალი ეკონომიკის" მაღალტექნოლოგიური კომპანიების აქციების კოტირება. ამ კორპორაციათა შეჯამებულმა საბაზრო კაპიტალიზაციამ 2000 წლის დამდეგს შეადგინა 2,7 ტრლნ დოლარი, თუმცა 2000 წ. მოხდა აქციების ვარდნა 45%-ით.

აშშ სპეციფიკურ მახასიათებელს წარმოადგენს მოსახლეობის დიდი წილი სააქციო კაპიტალში. დაახლოებით 50 წლის წინ სწორედ ამ გარემოებამ დაბადა „სახალხო კაპიტალიზმის" იდეა, რომელიც ასე ხშირად განიხილება დღეს ჩვენი პრესის ფურცლებზე. დღეს ამერიკაში 45 მლნ-ზე მეტი კერძო აქციონერია და ისინი ფლობენ სააქციო კაპიტალის დაახლოებით 40%-ს. თუმცა ეს წილი კლებულობს. 30 წლის წინ იგი 79%-ს შეადგენდა. ამერიკის კერძო აქციონერთა უმეტესობა (26 მლნ კაცზე მეტი) გაერთიანებულია ერთობლივ (თანაზიარ) ფონდებში, რომელთა ანალოგია ჩვენი საპაიო საინვესტიციო ფონდები. 2000 წლისათვის ერთობლივი (თანაზიარი) ფონდების რიცხვმა გადააჭარბა 1500, ხოლო მისმა აქტივებმა — 4 ტრლნ დოლარს. ხელშეკრულების თანახმად, ფონდები ქირაობენ მმართველს, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე ფონდი. ასე, მაგალითად, ერთობლივი (თანაზიარი) ფონდების 70%-ის აქტივები იმყოფებოდა სულ 25 კომპანიის მმართველობის ქვეშ. ჯორჯ სოროსის მმართველობის ქვეშ არის ფონდები 11 მლრდ დოლარის აქტივებით. ამ ფინანსისტა არაჩვეულებრივი შედეგებს მიაღწია. მეანაბრეებმა, ვინც მის ფონდში 70-იანი წლების დამდეგს ჩადო სულ რაღაც 1000 დოლარი, უკვე 90-იანი წლების ბოლოს გახდნენ მილიონერები.

საფონდო ბაზარზე ძალზე დიდია კერძო და სახელმწიფო საპენსიო ფონდების წილი. კორპორაციული ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მუშაობს 8000-ზე მეტი საბროკერო-სადილერო ფირმა, მაგალითად, „მერილ ლინჩი" — ასობით განყოფილება და 10 ათასობით თანამშრომელი, რომ-

ლებიც მუშაობენ მოსახლეობასთან და სხვა ინვესტორებთან. მათგან განსხვავებით, საინვესტიციო ბანკები, ცნობილი „სალამონ ბრაზერსის“ ტიპის, სპეციალიზდებიან მსხვილ, ძირითადად ინსტიტუციონალურ კლიენტებთან მუშაობაზე.

ამერიკული საფონდო ბაზრის საფუძველი ინფორმაციული გამჭვირვალობაა. საინფორმაციო და კონსალტინგური ფირმების უმრავლესობა მზადაა წარმოადგინოს ამომწურავი ინფორმაცია ემიტენტთა შესახებ. თუმცა ინვესტორთა უმრავლესობა ორიენტირებას ახდენს ისეთი წამყვანი რეიტინგული სააგენტოების შეფასებაზე, როგორიცაა „სტანდარტ ენდ პურზ კორპორეიშენ“ და „მუდიზ ინვესტორ სერვის“. სააგენტოები შეფასებას ატარებენ ემიტენტის ინიციატივითა და ფულით, რომლის განაკვეთი დაახლოებით მთელი ემისიის მოცულობის 0,03%-ია. კარგი რეიტინგის გარეშე შეუძლებელია წარმატების იმედი იქონიოთ აშშ-ის ბაზარზე.

უცხოური, მათ შორის რუსული კომპანიებისთვის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს აშშ-ის საფონდო ბაზარზე შეღწევისათვის წარმოადგენს ამერიკული დეპონირების ხელწერილები (ADR), რომელიც გამოშვებულია მიმოქცევაში ბანკების მიერ. ამისათვის ბანკები ყიდულობენ ამორჩეული კომპანიის აქციებს, მათ დეპონირებას ახდენენ და ბრუნვაში უშვებენ მოწმობებს დეპონირების შესახებ (ADR). ბანკები თავისთავზე იღებენ ყველა ვალდებულებას კონვერტაციაზე და აქციების მიხედვით დივიდენდების მიღებაზე. არსებითად ამერიკელი ინვესტორი საკუთარ ქვეყანაში მუშაობს თითქოსდა უცხოელი ემიტენტის აქციებით.

აქციების ბაზრის მდგომარეობის ორიენტირს წარმოადგენს დოუ ჯონსის ინდექსი (Dow Jones), რომელიც პირველად შემოიღო ჩარლზ დოუმ 1884 წ. დღეს იგი გამოითვლება როგორც 30 უმსხვილესი კორპორაციის აქციების ფასის საშუალო არითმეტიკული კაპიტალის მომხდარ დანაწევრებაზე შესწორებით (სპლიტები). ეს ინდექსი პრაქტიკულად სრულებით ასახავს ამერიკულ აქციათა ბაზარზე საქმის ვითარებას. სურათზე 13.4. წარმოდგენილია ამ ინდექსის ცვლილებები. 50-იანი წლების დასაწყისში ინდექსი ძლივს ასცდა 200, ხოლო XX ს-ის ბოლოს მან მიაღწია რეკორდულ მნიშვნელობას 12000 (მართალია, 2000 წლის გაზაფხულზე მოხდა ბაზრის სერიოზული კორექცია და დოუ ჯონსის ინდექსი დაეცა 10000-მდე). ამგვარად, ბოლო 10 წლის მანძილზე ამერიკული აქციების ბაზრის კაპიტალიზაცია გაიზარდა 10-ჯერ. კიდევ უფრო სწრაფ ზრდას გვიჩვენებს NASDAQ-ის ინდექსი, რომლის დინამიკა ნაჩვენებია სურათზე 13.4.

30-იანი წლების კრიზისის შემდგომ აშშ-ის ხელმძღვანელობა მივიდა ფინანსური ბაზრების რეგულირების აუცილებლობამდე, სწორად რომ ვთქვათ, ამ ლოზუნგებით მოვიდა ხელისუფლებაში ფ. რუზველტი. ახლა



წყაროები: Dow Jones Company, Yahoo! Finance

სურ. 13.4. დოუ ჯონსის და NASDAQ ინდექსების დინამიკა.

სახელმწიფო რეგულირებას ფედერალურ დონეზე ახორციელებს კომისია ფასიანი ქაღალდების და ბირჟების შესახებ, რომელიც ბევრ საკითხში ფუნქციების მიხედვით რუსეთის ფასიანი ქაღალდების ფედერალური კომისიის ანალოგიურია. ამ ორგანიზაციას აქვს დიდი ავტორიტეტი ქვეყანაში, თუმცა მისი გადაწყვეტილებები წარმოადგენეს კვაზიოფიციალურს და ისინი რეალიზდება სასამართლო ორგანოების მეშვეობით.

საფონდო ბაზარი ამერიკის ეკონომიკური მეცნიერების ყურადღების ცენტრშია; ყველა ძირითადი ნაშრომი ფინანსური მენეჯმენტის სფეროში, რომელიც დაჯილდოებულია ნობელის პრემიით, ამერიკელ მეცნიერებს ეკუთვნის. ასე რომ, ამერიკისგან ნამდვილად შეიძლება ბევრი რამ ისწავლო როგორც ფინანსების თეორიაში, ისე საფონდო ბაზრების ორგანიზაციის პრაქტიკაში.

ევროპის გაერთიანებამ, რომელიც ომისშემდგომი მსოფლიოს ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური პროცესი გახდა, მართალია, გამოიწვია

წამყვანი ქვეყნების საფონდო ბაზრების ინსტიტუტთა დაახლოება, მაგრამ მაინც შეინარჩუნა მათი თავისებურება, რომელიც ეფუძნება მრავალსაუკუნოვან ტრადიციებსა და ისტორიას.

პირველი ბირჟები, სადაც მიმდინარეობდა ვაჭრობა ფასიანი ქაღალდებით, იყო ანტვერპენის (1531 წ.), ლიონის და ამსტერდამის (1611 წ.), რომელიც დღემდე შემოინახა. მიუხედავად ამისა, მხოლოდ 1773 წ. წარმოიშვა პირველი სპეციალიზებული საფონდო ბირჟა ლონდონში.

ამჟამად ევროპის სამი წამყვანი ქვეყნის — გფრ, დიდი ბრიტანეთის და საფრანგეთის საფონდო ბაზრების მოცულობა (აქციების კაპიტალიზაცია და საობლიგაციო დავალიანება) შეადგენს დაახლოებით 7 ტრლნ დოლარს. დაახლოებით 24 ტრლნ დოლარია მსოფლიო აქციების ბაზრის მოცულობა. ამ ქვეყნების ბირჟების გარდა ევროპაში შესამჩნევ როლს თამაშობენ შვეიცარიული ბირჟები (აქციების კაპიტალიზაცია — 500 მლრდ დოლ.), აგრეთვე ამსტერდამის (300 მლრდ დოლ.), მილანის (210 მლრდ დოლ.), სტოკჰოლმის (190 მლრდ. დოლ.) და ესპანეთის (შეჯამებული კაპიტალიზაცია — 180 მლრდ დოლ.) საფონდო ბირჟები.

დიდი ბრიტანეთის საფონდო ბაზარს მტკიცედ უკავია მესამე ადგილი მსოფლიოში აშშ-ისა და იაპონიის შემდეგ კაპიტალიზაციის მოცულობით და პირველი — ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო ოპერაციების მოცულობის მიხედვით. ახორციელებს რა ოპერაციებს ევროპულ დროებით ზონაში, ლონდონის საფონდო ბირჟა (ლსბ) იკავებს მნიშვნელოვან პოზიციას ფინანსურ მსოფლიოში ნიუ იორკისა და ტოკიოს საფონდო ბაზრებს შორის. ლსბ-ზე მიმდინარეობს ვაჭრობა უცხოური სახელმწიფოების ტერიტორიის ფარგლებს გარეთ ყველა გასაყიდად წარმოდგენილი აქციის 60%-ის, ხოლო ევროპის ქვეყნების მიხედვით აქციების რიცხვი აღწევს 90%-მდე.

ლონდონის საფონდო ბირჟის (ლსბ) წესები და რეგლამენტი უცვლელი იყო 184 წლის განმავლობაში, „დიდ აფეთქებამდე" (Big Bang) 1986 წ., როცა საბირჟო ვაჭრობის ტრადიციული მეთოდები — დარბაზში „ხმებით" შეიცვალა საბირჟო კოტირების ავტომატიზებული სისტემით (SEAQ), რომელიც ამერიკულ სისტემა NASDAQ-ის მოდიფიკაციას წარმოადგენს. SEAQ-ის ჩარჩოებში მოქმედებს SEAQ International სისტემა, რომელიც ასახავს 500 უცხოური ემიტენტის კოტირებას და უზრუნველყოფს 11 ათასამდე ყოველდღიურ გარიგებას, დაახლოებით 2 მლრდ ფუნტი სტერლინგის საშუალო ბრუნვით.

დიდი ბრიტანეთი სხვა მსხვილ ევროაპულ ქვეყნებს შორის გამოირჩევა აქციების ბაზრის კაპიტალიზაციის ძალიან მაღალი დონით მშპ-ის მიმართ, რომელიც შეადგენს 107%-ს, აგრეთვე კერძო აქციონერთა მნიშვნე-

ლოვანი წილით, რომელთა რიცხვი 10 მილიონი ადამიანია, ანუ მოზრდილი მოსახლეობის 22%.

1986 წელს ლსბ, რომელიც ადრე ასოციაცია იყო, გარდაიქმნა სააქციო საზოგადოებად. მის აქციონერებს წარმოადგენს 410-ზე მეტი საბროკერო-სადილერო ფირმა. 80-იანი წლების დასაწყისში ბანკებმა და კორპორაციებმა აქტიური მონაწილეობა დაიწყეს ბირჟის წევრების კაპიტალში. მაგალითად, 1982 წ. „ბარკლაიზ ბენკმა" იყიდა საბროკერო-სადილერო ფირმა. მას მიჰყვნენ უმსხვილესი ინგლისური, ხოლო შემდეგ უცხოური ბანკები, მათ შორის ამერიკული „სიტიკორპ" და „ჩეიზ მანჰეტენ", აგრეთვე, იაპონური „ნომურა", „დაივა" და „იამაიჩი".

ევროპის ყველა წამყვან ქვეყანაში სწრაფად მიმდინარეობს *საფონდო ბირჟების ინტეგრაციის პროცესი.* დიდ ბრიტანეთში ყველა ყოფილი დამოუკიდებელი ბირჟა 1973 წელს გადაიქცა ლსბ-ის რეგიონულ განყოფილებად. ფრანგული ბირჟების ინტეგრაციას არსებითად უბიძგა 1986 წელს პარიზის საფონდო ბირჟაზე (პსბ) SEAQ ანალოგიური CAC ავტომატიზებული სისტემის დანერგვამ, რის შემდეგაც რეგიონული ბირჟები ფაქტობრივად გახდნენ პსბ-ის ფილიალები.

საფრანგეთის საფონდო ბაზრის სტრუქტურაში, ისევე როგორც გერმანიაში, ტრადიციულად ობლიგაციის ბაზრის ხვედრითი წილი უზარმაზარია, 4-ჯერ აჭარბებს ბრუნვის მიხედვით აქციების ბაზარს. ამ უკანასკნელის კაპიტალიზაცია კი შეადგენს მშპ-ს მხოლოდ 33%-ს.

სულ პსბ-ზე ხდება 1000-ზე მეტი აქციის კოტირება, რომელთაგან 2/3-ზე მეტი საფრანგეთის კომპანიების აქციებია.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის პროფესიონალ მონაწილეებს წარმოადგენენ, უპირველეს ყოვლისა, ფრანგული ფირმების და პარიზის საფონდო ბირჟების საზოგადოებათა წევრები — საბირჟო საზოგადოებები, რომლებიც დაახლოებით 60-მდეა. მხოლოდ მათ აქვთ უფლება განახორციელონ ოპერაციები საფონდო ბირჟაზე.

ისევე, როგორც დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთის საბირჟო საზოგადოებების კაპიტალში მონაწილეობენ ბანკები და სადაზღვევო კომპანიები, ამასთან, მონაწილეთა 1/3-ის საკონტროლო პაკეტები აქვთ საზღვარგარეთულ ორგანიზაციებს.

გერმანიის საფონდო ბაზრის თავისებურებად, ანგლოსაქსონურ ქვეყნებთან შედარებით, რჩება აქციების ბაზრის დაბალი ხვედრითი წილი ობლიგაციების ბაზართან შედარებით. კაპიტალიზაცია მშპ-ს მიმართ შეადგენს სულ 20-25%-ს, რაც დაბალია, ვიდრე საფრანგეთში.

გფრ-ის საფონდო ბაზრის სხვა სპეციფიკურ თვისებას წარმოადგენს სააქციო კაპიტალში მოსახლეობის მცირე წილი. მოსახლეობის მხოლოდ 6% წარმოადგენს აქციონერს.

ქვეყნის ეკონომიკაში განსაკუთრებულ როლს ასრულებენ ბანკები. სწორედ ისინი და არა აქციათა ემისია აკმაყოფილებს ძირითადად კორპორაციათა მოთხოვნილებებს გრძელვადიან კაპიტალზე.

გერმანიაში არსებობს ძალიან მკაცრი შეზღუდვები აქციათა საკონტროლო პაკეტების შეძენაზე. ანგლოსაქსონური ქვეყნებისაგან განსხვავებით, აქ პრაქტიკულად შეუძლებელია კომპანიათა „მტრული" შთანთქმა.

გფრ-ის ობლიგაციათა ბაზარი საობლიგაციო დავალიანების მოცულობით იკავებს მესამე ადგილს აშშ-ის და იაპონიის შემდეგ.

საფონდო ბირჟების ცენტრალიზაციამ ჯერ კიდევ ვერ მიაღწია იმ დონეს, როგორიცაა დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთში. გფრ-ში ფუნქციონირებს 8 საფონდო ბირჟა: ფრანკფურტში, დიუსელდორფში, მიუნხენში, ჰამბურგში, ბერლინში, შტუტგარტში, ჰანოვერში და ბრემენში. 90-იანი წლების ბოლოს ფრანკფურტის საფონდო ბირჟაზე (ფსბ) მოდიოდა მთელი გერმანული საბირჟო ბრუნვის 75% აქციების მიხედვით და 74% — ობლიგაციების მიხედვით.

ბირჟაზე ძირითადი მოთამაშეები არიან ბანკები. ამასთან, აბსოლუტურად დომინირებს სამი უმსხვილესი გერმანული ბანკი: „დოიჩე ბანკი", რომელზეც მოდის ფსბ-ის მთელი ბრუნვის მესამედი, „დრეზდენ ბანკი" და „კომერცბანკი". ვაჭრობა მიმდინარეობს ავტომატიზებული სისტემების KISS და IBIS-ის გამოყენებით.

წამყვანი ევროპული ქვეყნების საფონდო ბაზრების რეგულირებას გაეჩინა, აგრეთვე, თავისი თავისებურებანი. დიდ ბრიტანეთში ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებას ტრადიციულად ახორციელებდნენ თვითონ ბაზრის პროფესიონალი მონაწილეები. კანონმა ფინანსური მომსახურების შესახებ (1986 წ.) ფორმალურად დაადგინა სახელმწიფო კონტროლი, მაგრამ ფაქტობრივად შეინარჩუნა ტრადიციული სისტემა. საფონდო ბაზრის რეგულირებას აწარმოებს ფასიანი ქაღალდების და ინვესტიციების საბჭო, რომელიც თვითრეგულირებადი, დამოუკიდებელი არაკომერციული ორგანიზაციაა. იგი თავისი უფლებამოსილებების დელეგირებას ახდენს სპეციალიზებულ თვითრეგულირებად ორგანიზაციებთან (CPO — სთო) და რწმუნებით აღჭურვილ ბირჟებთან. იმისათვის, რომ იმუშაო ბირჟაზე, უნდა იყო რომელიმე CPO-ის წევრი.

საფრანგეთში საფონდო ბაზარის რეგულირება ხდება ეკონომიკის და ფინანსთა სამინისტროს მიერ ძირითადად საბირჟო ოპერაციების კომისიით, რომელიც ფუნქციებით გვაგონებს რუსულ ფასიანი ქაღალდების ფედერალურ კომისიას. გარდა ამისა, ბაზრის რეგულირებაში მონაწილეობენ თვითრეგულირებადი ორგანიზაციები, ისეთები, როგორიცაა საფონ-

დო ბირჟების საბჭო, საფრანგეთის ბირჟების საზოგადოება და საბირჟო საზოგადოებების ფრანგული ასოციაცია.

ტრადიციულად გერმანიაში საფონდო ბაზრის რეგულირება ხორციელდება ფედერალური მიწების სპეციალური ორგანოების მიერ. 1994 წლიდან ფასიანი ქაღალდების ოპერაციათა შესახებ კანონის თანახმად, რეგულირების ძირითადი ფუნქციები გადაეცა ფასიან ქაღალდებზე ცენტრალურ ფედერალურ კომისიას. ვინაიდან გფრ-ში ბაზრის ძირითადი მონაწილეები ბანკებია, ამიტომ მნიშვნელოვან როლს რეგულირებაში თამაშობს გერმანიის ცენტრალური ბანკი, აგრეთვე ბანკების ფედერალური საზედამხედველო პალატა.

ევროპის პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანების პარალელურად მიმდინარეობს ევროპის საფონდო ბაზრების კონსოლიდაცია. შეგვიძლია წინასწარ განვუვრიტოთ, რომ უახლოეს პერიოდში ეს პროცესი გამოიწვევს ერთიანი ევროპული საფონდო ბირჟის შექმნას, თუმცა ეროვნული ბირჟები შენარჩუნდება და, მიუხედავად უნიფიკაციისა, სხვადასხვა ქვეყნის საფონდო ბაზრებს კიდევ დიდხანს ექნებათ არსებითი სპეციფიკა.

აზიურ რეგიონში უდავოდ გაბატონებული მდგომარეობა უკავია იაპონიას. იაპონიაში აქციათა ბაზრის კაპიტალიზაციის მოცულობა შეადგენს მსოფლიო ბრუნვის 10%-ს და დაახლოებით 274 ტრლნ დოლარის ტოლია. ობლიგაციური დავალიანებების მოცულობა კი თითქმის 2-ჯერ დიდია.

80-იანი წლების ბოლოს იაპონიამ კაპიტალიზაციის მოცულობით თვით აშშ-საც გაუსწრო, 4-ჯერ გაზარდა რა თავისი ზომა 1985—1988 წლებში, მაგრამ 1991—1992 წლების კრიზისმა დააბრუნა იგი ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის შესაბამის მეორე ადგილზე.

იაპონური საფონდო ბაზრის ჩამოყალიბებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა აშშ-მა, განსაკუთრებით ომისშემდგომი ოკუპაციის პერიოდში. თუმცა, მიუხედავად იაპონური და ამერიკული საფონდო ბაზრების გარეგნული, ფორმალური, ინსტიტუციონალური მსგავსებისა (მაგალითად, იაპონიის 1947 წ. კანონი ფასიანი ქაღალდების შესახებ პრაქტიკულად იმავე სახელწოდების ამერიკული კანონის 1933 წ. ასლია), იაპონურ არაფორმალურ ინსტიტუტებს გააჩნია დიდი თავისებურება.

იაპონიის ეკონომიკაში ისტორიულად დამკვიდრდა ბანკების და მასთან დაკავშირებული ფინანსური ჯგუფების (ძაიბაცუ) ძალაუფლება, რომელიც 1868 წლის მეიძის რევოლუციისთანავე წარმოიშვა. აქედან გამომდინარეობს სპეციფიკური იაპონური დამოკიდებულება სააქციო კაპიტალისადმი. ევროპისა და ამერიკისგან განსხვავებით, იაპონური კომპანია იძენს რა აქციებს სხვა კორპორაციისაგან, იმედოვნებს არა იმდენად დივიდენ-

დების, არამედ უფრო სტრატეგიული პარტნიორების მიღების შესაძლებლობას, მისი დახმარებით შეკვეთების, სესხების, ახალი ტექნოლოგიების და ა. შ. მიღებას. თუკი გავითვალისწინებთ, რომ აქციების 75%-ს ფლობენ ინსტიტუციონალური ინვესტორები, მაშინ ნათელი ხდება იაპონურ აქციონერულ საზოგადოებათა განსაზღვრული კონკურენტული უპირატესობანი. იაპონური კორპორაცია შეინახავს პარტნიორის დაცემულ აქციებს „კარგი ურთიერთობების" შესანარჩუნებლად, იმ დროს, როცა ამერიკელი კერძო ინვესტორი შეეცდება მათი დაცემის მცირე საფრთხის შემთხვევაში აქციებისგან განთავისუფლებას. გარდა ამისა, იაპონელებს შეუძლიათ ხარჯონ მოგების ბევრად დიდი ნაწილი კორპორაციის განვითარებაზე, ამასთან, ყველაზე ნაკლებად იზრუნონ დივიდენდებზე. ეს გარემოებანი მასტაბილიზებელ გავლენას ახდენენ იაპონიის ფინანსურ ბაზარზე და ისინი რომ არა, იაპონიის საფონდო ბაზრის დაცემა, 1997 წ. აზიური კრიზისის შედეგად, კიდევ უფრო ღრმა იქნებოდა.

იაპონიაში აქციათა ბაზარი ძირითადად საბირჟოა და თავმოყრილია 8 საფონდო ბირჟაზე, რომელთა შორის დომინირებს ტოკიოს საფონდო ბირჟა (ტსბ — ბრუნვის 80%) და ოსაკას ბირჟა (15%). ტსბ-ის წევრებს წარმოადგენს წესდების მიხედვით 124 საინვესტიციო ინსტიტუტი. მასზე მიახლოებით 1800 ემიტენტის აქციების კოტირება ხდება, რომელიც გაყოფილია ორ სექტორად. ვაჭრობა მიმდინარეობს „ხმის" წესების თანახმად, რომელიც ახლოა ნიუ-იორკის ბირჟასთან, აგრეთვე, კოტირების CORES ავტომატიზებული სისტემით, რომელიც გადმოღებულია ტორონტოს ბირჟიდან.

სხვათა შორის, იაპონიის საფონდო ბაზრის ძირითადი ინდიკატორი — „ნიკეის" ინდექსი — გამოითვლება 225 ტსბ-ის აქციების მიხედვით ამერიკული დოუ ჯონსის ინდექსის ანალოგიურად.

დაახლოებით 200 იაპონიის საინვესტიციო ინსტიტუტს შორის აქციებით ვაჭრობის 50%-ზე მეტი და ობლიგაციებით ვაჭრობით 80% მოდის ოთხ კომპანიაზე: „ნომურა", „დაივა", „იამაიჩი" და „ნიკო".

თითქმის 80-იანი წლების შუა ხანებამდე იაპონიის საფონდო ბაზარი მკაცრად იყო დაცული უცხოური გავლენისაგან. ამჟამად უცხოური ინვესტორები დაშვებული არიან იაპონიის საფონდო ბირჟებზე, თუმცა მათი წილი ძალზე შეზღუდულია და არ აჭარბებს საერთო ბრუნვის 5—6%-ს.

მიუხედავად ამერიკის საოკუპაციო ადმინისტრაციის მცდელობისა, დაერეგულირებინა ბაზარი ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელი კომისიის მეშვეობით, არ დაინერგა იაპონიაში. აქ ბაზრის ძირითადი რეგულატორის როლი თავისთავზე აიღო ფინანსთა სამინისტრომ. მართალია, 90-იანი წლების დამდეგის კრიზისის შემდეგ ამგვარი სახელწოდების კომისია ჩამოყალიბდა, მაგრამ იგი წარმოადგენს მხოლოდ ფინანსთა სამი-

ნისტროს ქალიშვილ-ორგანიზაციას. სამინისტროსთან ფუნქციონირებს აგრეთვე ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟების საბჭო სათათბირო ორგანოს სახით.

მთლიანობაში სახელმწიფო რეგულირების იაპონურ კონცეფციას ეფუძნება სახელმწიფოს და კერძო ბიზნესის პარტნიორობა. კერძოდ, იაპონიაში დაცულია არაფორმალური ტრადიცია („ამაკუდარი"), რომლის თანახმადაც 55 წლამდე მომსახურე იაპონელი სახელმწიფო მოსამსახურე არაფორმალური ჯილდოს სახით ღებულობს კარგ ანაზღაურებად თანამდებობას კერძო სექტორში.

აზიის სხვა საფონდო ბაზრები ჩამორჩება იაპონურს ძირითადი პარამეტრების მიხედვით. ყველა ისინი — ჰონ კონგის, სინგაპურის და მალაიზიის გარდა, მიეკუთვნებიან მიღებული კლასიფიკაციის თანახმად „წარმოშობად" ბაზრებს.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ პატარა აზიური ქვეყნების საფონდო ბირჟებს 1997 წ. შემოდგომის კრიზისამდე ჰქონდათ კაპიტალიზაციის მნიშვნელოვანი მოცულობები მშპ-ს მიმართ: ჰონკონგის — მშპ-ს 214%, სინგაპურის — 210% და მალაიზიის — 269%.

ბაზრების ასეთი „გადახურება" ჯერ კიდევ საშემოდგომო ძვრებამდე შეიძლება გამხდარიყო რეგიონის არამდგრადობის და აწეული „სეისმური საფრთხის" ინდიკატორი. ამ ქვეყნების ძალზე ლიბერალურმა პოლიტიკამ უცხოური ინვესტორების მიმართ, რომელთა წილი ბაზრებზე საკმაოდ მაღალი იყო, შეამცირა მათი შესაძლებლობები კრიზისულ სიტუაციაში რეგულირების თვალსაზრისით. სიმშვიდის ძირითადი დამრღვევის — ჰონკონგის ბირჟისათვის ტრადიციულად დამახასიათებელია განვითარებული ქვეყნების დონესთან შედარებით ბაზრის დაბალი გამჭვირვალობა, აგრეთვე ვაჭრობის პირობების თავისებურებები, რაც „შეთქმულებათა" ჯგუფების ორგანიზების საშუალებას იძლევა, რომელთაც ძალუძთ გავლენა მოახდინონ აქციათა საბაზრო ფასებზე და გაზარდონ კორუფციული საფრთხე. ჯერ კიდევ 1997 წლის კრიზისის შემდგომ, როცა მსოფლიო პრაქტიკაში უპრეცენდენტო ამბავი მოხდა — ბირჟა დაიხურა 4 დღით, ბირჟის საბჭოს თავმჯდომარე მხილებული იყო ქრთამის აღებაში, იგი დააპატიმრეს და გაასამართლეს.

აზიურ გიგანტებს — ჩინეთსა და ინდოეთს — ჯერჯერობით არ აქვთ მათი უზარმაზარი პოტენციალის ადეკვატური საფონდო ბაზარი. თუმცა უკვე დღეს ინდოეთში აქციების ბაზრის კაპიტალიზაციამ მიაღწია მშპ-ს 40%-ს, მაშინ, როცა ჯერ კიდევ 10 წლის წინ ის შეადგენდა მშპ-ს მხოლოდ 2%-ს. კაპიტალიზაციის დაახლოებით 90% მოდის უძველეს ბომბეის ბირჟაზე, რომელიც დაარსებულია 1875 წ. სულ ინდოეთში მოქმე-

დებს 21 საფონდო ბირჟა, ხოლო აქციათა ბაზარი რამდენადმე დაქუცმაცებულია.

ჩინეთში ყველა აქცია ბრუნავს შენზენისა და შანხაიას ორ ბირჟაზე. ეს უკანასკნელი დაახლოებით 2-ჯერ აჭარბებს პირველს. მას შემდეგ, რაც 1997 წ. ჰონკონგი გადავიდა ჩსრ-ის იურისდიქციაში, წარმოიშვა განვითარებული ჰონკონგის საფონდო ბაზართან ჩინეთის მზარდი ეკონომიკური სიმძლავრის შეერთების შესაძლებლობა.

ჩინეთის საბაზრო კაპიტალიზაცია შეადგენს მშპ-ს მხოლოდ 25%-ს, ხოლო აქციონერთა როდენობა ამ უზარმაზარ ქვეყანაში არ აჭარბებს 25 მლნ ადამიანს. დღესდღეობით ჩინეთის მთავრობა იდეოლოგიურად ემხრობა საფონდო ბაზრის ზრდას და ქვეყნის კომუნისტური მის-ები მეგობრულად აქებენ ამ კაპიტალისტურ ინსტიტუტს.

„წარმოშობად ბაზართა", მათ შორის აზიურის, დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს კაპიტალიზაციის მაღალი წილი, რომელიც მოდის 10 უმსხვილეს ემიტენტზე. მათთვის ეს წილი ჩვეულებრივ აჭარბებს 50%-ს, მაშინ როცა აშშ-ში იგი ტოლია 15%-სა, ხოლო იაპონიაში — 17%. სწორედ ემიტენტთა რაოდენობის გაზრდაში, რომელთაც აქვთ მაღალლიკვიდური აქციები მნიშვნელოვანი კაპიტალიზაციით, ჩანს მსხვილი აზიური სახელმწიფოების საფონდო ბაზრების განვითარების პერსპექტივა.

როგორც მოკლე მიმოხილვიდან ჩანს, მსოფლიო საფონდო ბაზრებს გააჩნია აშკარა ტენდენცია კონსოლიდაციისა და უნიფიკაციისაკენ. მიმდინარეობს წესების და *ბირჟის ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფის სტანდარტიზაცია, ბირჟები სულ უფრო უნივერსალურები ხდებიან.* თანამედროვე მსოფლიოში ეს ტენდენცია უცნაურად ეხამება მრავალრიცხოვან არასაბირჟო ელექტრონულ სავაჭრო არეალთა წარმოშობას, რომლებიც ძველი ბირჟების ალტერნატივებად იქცნენ. ეს, უკიდურეს შემთხვევაში, მოკლევადიან პერსპექტივაში, იწვევს ბაზრის ფრაგმენტაციას. თუმცა, კონსოლიდაციის და უნიფიკაციის ტენდენცია, გრძელვადიან პლანში, უდავოდ გაიმარჯვებს.

უმრავლეს ეროვნულ საფონდო ბაზარზე *იზრდება სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მნიშვნელობა.* ინვესტორმა *დაიწყო უპირატესობის მინიჭება საიმედო ქაღალდებისათვის,* რომელიც ემიტირებულია სახელმწიფოს ან კარგად რეკომენდირებული მსხვილი კორპორაციის მიერ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუკი ადრე ინვესტორი ორიენტირებას ახდენდა განსაზღვრული ქვეყნების ქაღალდებზე, ახლა იგი უპირატესობას ანიჭებს ყველაზე უფრო დინამიკურად განვითარებად და პერსპექტიულ დარგებს, როგორც დაბანდებათა ობიექტებს.

XX ს-ის ბოლო წლებში შეინიშნებოდა *მეტად მნიშვნელოვანი და ჯერ კიდევ ბოლომდე შეუსწავლელი ეკონომიკური ფენომენი.* ამერიკულ კორპორაციათა აქციებმა მიაღწიეს არნახულ ფასებს, რომლებიც ანგრევენ ტრადიციულ წარმოდგენებს შესაძლებელ თანაფარდობაზე კომპანიის კაპიტალიზაციასა და ძირითადი ფონდების რეალურ ღირებულებას შორის, აქციებისა და დივიდენდების ფასებს შორის. აქციათა ფასების ზრდამ მრავალი ამერიკელი ინვესტორი გახადა ძალზე მდიდარი. მიიჩნევენ რა საკუთარ სიმდიდრეს ურყევად, მათ დაიწყეს ბევრად მეტის მოხმარება და ნაკლების შენახვა. ეს შეეხო ამერიკის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს, ვინაიდან აშშ-ის ყველა მოქალაქის 45% ფლობს უმსხვილესი საწარმოების აქციებს. წარმოიქმნა მოხმარებასა და დანაზოგს შორის საშიში სხვაობა.

მაღალმომგებიან ამერიკულ აქციებში ფულს აბანდებს მთელი მსოფლიო. ამგვარად, წარმოიქმნება თავისებური ფულადი ბრუნვა: განვითარებული და განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნები ყიდიან თავის პროდუქციას უზარმაზარ ამერიკულ შიდა ბაზარზე, ხოლო მიღებულ შემოსავალს დებენ ამერიკულ აქციებში, რის შედეგადაც ამერიკელები მდიდრდებიან კიდევ უფრო და ზრდიან უცხოელების მიერ წარმოებული საქონლისა და მომსახურების მოხმარებას. რა თქმა უნდა, ასეთი სისტემა არასტაბილურია და სავსებით ბუნებრივია, რომ მოულოდნელად დაწყებული აქციათა ფასების ვარდნა გადაიზრდება მსოფლიო კოლაფსში. ამერიკელი ინვესტორები პანიკის გამო დაიწყებენ გადაფასებული აქციების მოშორებას, ხოლო ამით მიღებული დოლარები გამოვა სასაქონლო და საფინანსო ბაზრებზე, რაც მძლავრ ინფლაციას გამოიწვევს.

2000 წლის აპრილში გაისმა გამაფრთხილებელი სიგნალი მოვლენათა ამგვარი განვითარების შესაძლებლობაზე. ნიუ-იორკის ბირჟაზე კრიზისი არც ისე ძლიერი იყო და შედარებით ხანმოკლეც გამოდგა.

მნიშვნელოვნად უფრო მძლავრი ძვრები შეეხო აშშ-ის „ახალი ეკონომიკის" კომპანიებს, რომლებიც ძირითადად ვაჭრობენ NASDAQ-ში. NASDAQ-ის ინდექსი, რომელიც სწრაფად გაიზარდა 1999 წლის ბოლოს და 2000 წლის I კვარტალში, 14 აპრილისათვის ჩამოქვეითდა 45%-ით. ამ თარიღთან დაკავშირებით ამერიკულ პრესაში გაჩნდა ტერმინი „შავი პარასკევი".

თუმცა ამ კრიზისის შეფასებისას საჭიროა გავითვალისწინოთ შემდეგი გარემოებები. პირველი, NASDAQ-ში წარმოდგენილი კომპანიების აქციათა დიდი ნაწილი იმყოფება მათ მფლობელთა ხელში, თავისუფალ გაყიდვაში კი აქციების შედარებით მცირე ნაწილია. ამასთან დაკავშირებით NASDAQ-ში ფასები ნაკლებად მდგრადია, ვიდრე ტრადიციულ ბირ-

ჟებზე, ხოლო NASDAQ-ის ინდექსი უფრო მეტად ექვემდებარება რყევებს, ვიდრე დოუ ჯონსის ინდექსი. მეორე, „ტრადიციული“ კომპანიების მთლიანი პროდუქტი, რომლის აქციების კოტირება ხდება ნიუ-იორკის ბირჟაზე, რამდენჯერმე აჭარბებს „ახალი ეკონომიკის“ მოცულობებს, რომელიც ასახულია NASDAQ-ში. ამიტომ რღვევა NASDAQ-ში არც ისე ძლიერ ემჩნევა ამერიკის ეკონომიკას მთლიანობაში. დაბოლოს, აპრილის ვარდნა ძალიან სწრაფად დამთავრდა და NASDAQ-ის ინდექსი ნელ-ნელა აღდგა. ამ კრიზისის დროს ყველაზე მეტად დაზარალდნენ მეტად გადაფასებული ინტერნეტ-კომპანიები და მნიშვნელოვნად ნაკლებად — კომპანიები, რომლებიც დაკავებულნი იყვნენ პროგრამული და ტექნიკური უზრუნველყოფით. ყოველივე ეს საშუალებას იძლევა NASDAQ-ის მომხდარი კრიზისი შევაფასოთ როგორც მძლავრი კორექცია ქვემოთ, დიდი ზრდის შემდეგ. თუმცა ასეთმა დიაგნოზმა არ უნდა დაგვამშვიდოს. მრავალი ცნობილი ეკონომისტი ვარაუდობს კრიზისული მოვლენების ზრდას, მათი პროგნოზები ჯერჯერობით ირიბად მტკიცდება ზოგიერთი ფაქტით. კრიზისული სცენარი შესაძლებელია, თუმცა არა — გარდაუვალი. აშშ-მა და მსოფლიომ ეკონომიკის რეგულირების მეთოდების შთამბეჭდავი არსენალი დააგროვეს, რაც საშუალებას მოგვცემს გავუმკლავდეთ კარსმომდგარ საფრთხეს.

13. 5. დერივატული და სხვა ფინანსური ბაზრები

ფინანსური ბაზრები იქმნება და ფუნქციონირებს სხვადასხვა მიზნის განსახორციელებლად. თუკი სავალუტო ბაზრები ემსახურება ძირითადად საგარეო ვაჭრობის და კაპიტალის მოძრაობის უზრუნველყოფას, ხოლო საფონდო ბირჟები — საწარმოთა და სახელმწიფოთა ფინანსური რესურსების შევსებას, მაშინ დერივატული ბაზრების ანუ წარმოებული ფასიანი ქაღალდების (დერივატების) ბაზრების ძირითადი მიზანი მდგომარეობს რისკების დაზღვევაში, რომელიც წარმოიშობა სხვადასხვა გარიგების დროს. დერივატთა ბაზრების საერთო მოცულობა შეფასებულია 60 ტრლნ დოლარად.

ფიუჩერსები და ფორვარდები ორ მხარეს შორის კონტრაქტის დადებაა, რომელიც განსაზღვრული მოქმედების შესრულებას მოითხოვს შედარებით გვიან. უმეტესწილად ეს მოქმედებები უკავშირდება ზოგიერთი აქტივის მიწოდებას: ჩვეულებრივი საქონლის ან ფასიანი ქაღალდების. ასეთ კონტრაქტებს, გარდა აღნიშნულისა, უწოდებენ კონტრაქტებს გადავადებული მიწოდებით, განსხვავებით გდაუყოვნებელი მიწოდებებისაგან, რომლებიც ხორციელდება ჩვეულებრივ სპოტ-ბაზარზე (ჩვეულებრივ ბაზარზე დაუყოვნებელი მიწოდებებით).

მაშ რისთვის იდება ფორვარდული კონტრაქტები? ყველაზე უკეთესად ამის გაგება შეიძლება ისეთი ყოველდღიური საქონლის მაგალითზე, როგორიცაა მარცვალი. დაუშვათ, გაზაფხულზე ფერმერი წყვეტს საკითხს საკუთარი წარმოების შესახებ და მოცემულ მომენტში არსებული ბაზრის ფასზე ორიენტირებით ვარაუდობს მარცვლეულის გაყიდვას დაახლოებით სპოტ-ბაზრის ფასის მიხედვით, რომელიც, ვთქვათ, ტოლია 120 დოლ. /ტ. თუმცა მოსავლის აღების მომენტისათვის ფასი შეიძლება მნიშვნელოვნად შემცირდეს. ამიტომ ფერმერი დებს ფორვარდულ კონტრაქტს მის მიერ მოწეული, მაგალითად, 1000 ტონა მოსავლის მიწოდებაზე საფქვავ კომბინატთან ფასით 120 დოლ. /ტ-ზე. ამით იგი თავს იზღვევს ფასის შემცირების რისკისგან. დაზღვევის ასეთ საშუალებას უწოდებენ *ჰეჯირებას.*

შესაძლებელია იმ წელს იყოს მოუსავლიანობა და ფასი ავარდეს 150 დოლ. /ტ-მდე. მიუხედავად ამისა, ფერმერი ვალდებულია გაყიდოს თავისი მარცვალი ადრე შეთანხმებული ფასის მიხედვით. მოცემულ შემთხვევაში ხდება არა მარტო ფერმერის ჰეჯირება ფასის დაწევისგან, არამედ საფქვავი კომბინატისაც — მისი აწევისგან.

მარცვლეულზე და ზოგიერთი სხვა სახის საქონელზე ფორვარდების დადება დაიწყეს ჯერ კიდევ 100 წლის წინ. შედარებით ახლახან გაჩნდა ფორვარდული კონტრაქტები ვალუტაზე და ფასიან ქაღალდებზე. მოვიყვანოთ სამწუხარო მაგალითი ჩვენი ქვეყნის უახლესი წარსულიდან. ჯერ კიდევ ყველას ახსოვს სმო (სახელმწიფო მოკლევადიანი ობლიგაციები), რომელიც რუსეთის მთავრობის საკმაოდ მომგებიანი ფასიანი სასესხო ქაღალდები იყო. ამ ქაღალდებში სიამოვნებით დებდნენ ფულს უცხოელები. ყიდულობდნენ რა ამ ინსტრუმენტს, მათ შეეძლოთ მიეღოთ წლიურად 100%-მდე მოგება. თუმცა სმო იყიდებოდა რუბლებზე და შესაბამისად უცხოელი ინვესტორი იძულებული იყო თავდაპირველად გადაეხურდავებინა თავისი დოლარები რუბლებზე, ხოლო შემდეგ ეყიდა სმო, მოეცადა, ვთქვათ, წელი, გაეყიდა სმო, მიეღო მოგება და აღებული ფული გაეცვალა ისევ დოლარებზე და ასეთი სახით დააფიქსირებდა მოგებას. თუკი რუბლი/დოლარის კურსი გვრჩება დაახლოებით მუდმივი, მაშინ გარიგება, რა თქმა უნდა, საკმაოდ მომგებიანია. აქ იყო სავალუტო კურსის მკვეთრი ცვლილების რისკი. მართალია, სახელმწიფო თითქოსდა ნაწილობრივ აზღვევდა ამ რისკებს, როცა შემოჰქონდა რუბლის კურსის შესაძლებელი ცვლილების საკმაოდ ვიწრო დერეფანი. მაგრამ უცხოელი ინვესტორები ჩვეულებრივ თავისი სავალუტო რისკების ჰეჯირებას ახდენდნენ, როცა დებდნენ რუსეთის ბანკებთან ფორვარდულ კონტრაქტებს რუბლით დოლარების ყიდვაზე, ვთქვათ, სმო-ის ყიდვიდან 1 წლის შემდეგ ფიქსირებული კურსით დაახლოებით 6 რუბ. /დოლ. თუმცა 1998 წლის აგვისტოს

კრიზისის შედეგად, სავალუტო დერეფანი გააუქმეს და დოლარი თითქმის წამიერად გაიზარდა 20 რუბლამდე. ფორვარდული კონტრაქტები დოლარების გაყიდვაზე ძველი კურსით, ბუნებრივია, არ შესრულდა ბანკების მიერ. განვითარებულ ეკონომიკებში საკონტრაქტო პირობების ამგვარი დარღვევა, ისევე, როგორც მთავრობათა უარი თავის ვალდებულებებზე, პრაქტიკულად შეუძლებელია. ამიტომ განვითარებულ ქვეყნებში ფორვარდული კონტრაქტები, ისევე როგორც სხვა დერივატიული ინსტრუმენტები, წარმოადგენს ეფექტიან დაცვას სხვადასხვაგვარი რისკებისაგან.

ფიუჩერსული ვაჭრობა კონტრაქტებით ფასიან ქაღალდებზე წარმოიშვა შედარებით ახლახან: ვალუტის ფიუჩერსების საერთაშორისო ფინანსური ბაზრები — 70-იანი წლების დამდეგს ჩიკაგოში, პროცენტულ განაკვეთებზე ფიუჩერსების — 1978 წ., იმავე ჩიკაგოში და ნიუ-იორკში.

(ფიუჩერსები ფორვარდებისაგან განსხვავდება შემდეგი მნიშვნელოვანი ნიშნებით:

1. ფიუჩერსები სტანდარტიზებული კონტრაქტებია, რომლებითაც ვაჭრობენ სპეციალიზებულ ბირჟებზე, ხოლო ფორვარდები არასაბირჟო ინსტრუმენტია.

2. ფორვარდული კონტრაქტები იდება კონტრაგენტებს შორის, რომლითაც განისაზღვრება მათი პირობები ურთიერთშეთანხმების მიხედვით. ფიუჩერსული კონტრაქტების ყველა პირობას, გარდა ფასისა, განსაზღვრავს ბირჟა.

3. ფორვარდულისგან განსხვავებით, ფიუჩერსული კონტრაქტები გაუპიროვნებულია. ბირჟა დგას გამყიდველსა და მყიდველს შორის, თავისთავზე იღებს კლირინგულ ანგარიშსწორებებს.

4. ფიუჩერსული ვაჭრობები ჩვეულებრივ რეგულირდება სახელმწიფო ორგანოების მიერ, ხოლო ფორვარდული — არა.)

მაშ როგორ ხდება ფიუჩერსებით ვაჭრობა? დავუბრუნდეთ ჩვენს მაგალითს მარცვალთან დაკავშირებით. იმის მაგივრად, რომ ფორვარდული კონტრაქტი დადოს საფქვავ საწარმოსთან, ფერმერს შეუძლია იყიდოს, მაგალითად, დეკემბრის ფიუჩერსი მარცვალზე ჩიკაგოს ვადიან სავაჭრო ბირჟაზე 120 დოლ. /ტ-ზე. (მოცემულ შემთხვევაში მას არა აქვს უფლება დანიშნოს ფასი, ხოლო კონტრაქტს ყიდულობს იმავე ფასით, რომელიც უკვე დადგინდა ბაზარზე დეკემბრის მარცვლეულის ფიუჩერსებზე). ეს კონტრაქტი მას უფლებას აძლევს და ერთდროულად აკისრებს ვალდებულებას განახორციელონ გარიგება მარცვლეულის განსაზღვრული პარტიით. მნიშვნელოვანია, რომ ფიუჩერსული კონტრაქტითაც შეიძლება ზუსტად ისევე მოქმედება, როგორც სხვა ნებისმიერი საქონლით. შეიძლება ფიუჩერსის ყიდვა და ამგვარად დადგომა გრძელ პოზიციაში (long). ბირჟაზე

ნებადართულია აგრეთვე კონტრაქტის გაყიდვაც კი, თუნდაც იგი თან არ გქონდეთ, და მოკლე პოზიციის (short) დაკავება. საბირჟო სლენგის მიხედვით კონტრაქტის გამყიდველი ასეც იწოდება — შორტად, ხოლო მყიდველი — ლონგად.

მარცვალზე დეკემბრის ფიუჩერსის ფასი განისაზღვრება ყოველდღიურ საბირჟო ვაჭრობაზე. თუკი ფასი გაიზარდა, მაგალითად, 1 დოლ. /ტ., მაშინ 1000 ტ-ის კონტრაქტის მყიდველი ლონგი მიიღებს მოგებას 1000 დოლ. (მას ახლა შეუძლია გაყიდოს 1 დოლარით ძვირად, ვიდრე იყიდა), ხოლო კონტრაქტის გამყიდველი შორტით კარგავს 1000 დოლ., ვინაიდან ფიუჩერსული ვაჭრობის პირობების თანახმად, ის ახლა ვალდებულია იყიდოს კონტრაქტები 1 დოლარით ძვირად, ვიდრე გაყიდა. იმისათვის, რომ არავინ უარყოს თავისი ვალდებულებები, ფიუჩერსული ვაჭრობების ყველა მონაწილეს ბირჟის სპეციალურ კლირინგულ ასოციაციაში შეაქვს საგარანტიო შენატანი, რომელიც აუცილებლობის შემთხვევაში უნდა შეივსოს და შენარჩუნდეს განსაზღვრულ დონეზე.

ბირჟა ყოველდღიურად ახდენს შეჯამებას და კლირინგულ ანგარიშსწორებას (ურთიერთანგარიშსწორებას) ვაჭრობის მონაწილეთა შორის ყოველი საბირჟო დღის ბოლოს. მოგება ან წაგება, რომელსაც უწოდებენ ვარიაციულ მარჟას, გადაირიცხება ვაჭრობის მონაწილეთა — ლონგების და შორტების — ანგარიშებზე, რომლებზეც არსებული თანხები ივსება ან კლებულობს.

ნათელია, რომ თუკი დეკემბრისათვის მარცვალზე ფასი დაიწევს 100 დოლ. /ტ-მდე, მაშინ ფერმერი ამ ხნის განმავლობაში მიიღებს მოგებას ვარიაციული მარჟის ფორმით, რომელიც ტოლია 20 დოლ. x 1000 ტ = 20 ათას დოლ. შესაბამისად, იგი სრულებით აინაზღაურებს დანაკარგებს ფასის შემცირების გამო. მისთვის ყველაფერი აეწყობა ისე, თითქოსდა მას მარცვალი გაეყიდა 120 დოლ. /ტ-ზე. ამგვარად, მან ფასების რისკების ჰეჯირება მოახდინა. ფიუჩერულ ბაზარზე მხოლოდ ჰეჯერები როდი მუშაობენ, აქვე არიან სპეკულანტებიც, ისევე როგორც ყველა ბაზარზე, ისინი ყიდიან და ყიდულობენ ფიუჩერსულ კონტრაქტებს ერთადერთი მიზნით — მიიღონ მოგება სავაჭრო ოპერაციებიდან.

თანამედროვე ფინანსური და სასაქონლო ბაზრების მნიშვნელოვან ტენდენციას წარმოადგენს სპეკულანტთა მზარდი როლი და ფიუჩერსული ბაზრების გავლენის ზრდა ჩვეულებრივ სპოტ-ბაზრებზე. მომავალი აქტიურ გავლენას იწყებს აწმყოზე.

(ოპციონები, ფიუჩერსებისგან განსხვავებით, აძლევთ მათ მფლობელებს უფლებას, მაგრამ არა ვალდებულებას იყიდონ ან გაყიდონ რაიმე აქტივი, ჩვეულებრივ, ვალუტა, საქონელი, აქციები და ა. შ. ოპციონი იძ-

ლევა არჩევის შესაძლებლობას (option), აქედანაა სახელწოდებაც. სხვა დანარჩენში ოპციონი ფიუჩერსის მსგავსია. ყველაზე მეტად გავრცელებულ ოპციონებს წარმოადგენს კოლი და პუტი. კოლ-ოპციონი მის შემძენ პირს ანიჭებს უფლებას (მაგრამ არა ვალდებულებას) იყიდოს განსაზღვრული აქტივი (საქონელი, აქციები, ვალუტა და ა. შ.), ხოლო პუტ-ოპციონი უფლების გაყიდვის გარანტიას იძლევა.

ვინაიდან ყოველივეს გააჩნია თავისი ფასი, ოპციონის მყიდველმა მის გამყიდველს უნდა გადაუხადოს რაღაც თანხა, რომელსაც უწოდებენ ოპციონის პრემიას, რამდენადაც შეუძლებელია მივიღოთ ფასეულობა ისე, რომ ფული არ გადავიხადოთ მისთვის.

ოპციონებით ვაჭრობის ორგანიზაციას ჩვეულებრივ საკუთარ თავზე იღებენ სპეციალიზებული ბირჟები. სავალუტო ოპციონების პირველი ვაჭრობები დაიწყო ბირჟებზე 1982 წ. ფილადელფიაში. ახლა აშშ-ში ანგარიშსწორებები ოპციონების მიხედვით ხორციელდება საოპციონო კლირინგული პალატის მეშვეობით, რომელიც იმყოფება ჩიკაგოში. ეს პალატა ოპციონებისათვის იმავე ფუნქციებს ასრულებს, რასაც კლირინგული ასოციაცია ფიუჩერსებით ვაჭრობის დროს. ისევე, როგორც ფიუჩერსებით ვაჭრობისას, კლირინგული პალატა იღებს მარჟას, რომელიც გარანტიას იძლევა მათი გამყიდველების მიერ ოპციონების შესრულებაზე. ოპციონების მყიდველები არ იხდიან მარჟას, ვინაიდან მათ არ გააჩნიათ არანაირი ვალდებულებები, მაგრამ იხდიან პრემიას ოპციონის ყიდვისათვის.

ბირჟაზე ოპციონის სრული განსაზღვრა მოიცავს რამდენიმე ძირითად მახასიათებელს: აქტივების სახელწოდება; ოპციონის ტიპი (კოლი თუ პუტი); ოპციონის ფასი; მისი შესრულების თარიღი. მაგალითად, კოლ-ოპციონს IBM-ის აქციების მიხედვით აქვს შესრულების ფასი 100 დოლ. და მთავრდება ნოემბერში საოპციონო ბირჟაზე ჩიკაგოში, ასე აღინიშნება: „IBM, ნოემბერი, 100 კოლი".

კოლები და პუტები ორი ტიპის არსებობს: ევროპული და ამერიკული. ევროპული ოპციონები შეიძლება იყოს შესრულებული ძალიან შეზღუდულ დროში, მისი შესრულების თარიღის ახლოს, ხოლო ამერიკული — ნებისმიერ მომენტში ოპციონის ვადის ამოწურვამდე. ეს ტერმინები მიუთითებს მხოლოდ მოცემული ტიპის ოპციონის წარმომავლობას. ამერიკაშიც და ევროპაშიც ახლა შეიძლება ორივე ტიპის გამოყენება.

ოპციონური ხელშეკრულებები შეიძლება დაიდოს ბირჟის გარეთაც. ასეთ შემთხვევაში ისინი მოგვაგონებს ფორვარდულ კონტრაქტებს. ოპციონის მყიდველი, ბუნებრივია, უხდის გამყიდველს საოპციონო პრემიას მისთვის წარდგენილი უფლებებისათვის.

ოპციონის ფასის განსაზღვრა ფინანსური მათემატიკის ერთ-ერთი ყველაზე ურთულესი ამოცანაა. ამ სფეროში ფუძემდებლური ბლეკ-შოულზის მოდელი ემყარება დახვეწილ მათემატიკურ აპარატსა და ალბათობის ურთულეს კონსტრუქციებს. თუმცა ოპციონებით პრაქტიკული მუშაობისთვის საკმარისია თქვენ მიერ უკვე შეძენილი ცოდნა.

(*სვოპების ბაზარი* წარმოადგენს უველაზე უფრო სწრაფად განვითარებად ფინანსურ ბაზარს. *სვოპი ყოველთვის არის აქტივების გაცვლა ორ კონტრაგენტს შორის ურთიერთმომგებიანი პირობებით.* იმის მიხედვით, თუ რა იცვლება, განასხვავებენ *სავალუტო, საპროცენტო და სასაქონლო სვოპებს*)

პირველი სავალუტო სვოპი შემუშავდა ლონდონში 1979 წ. მას შემდეგ სავალუტო და პროცენტული სვოპების ბაზარი იზრდებოდა არნახული სისწრაფით და გაიზარდა 80-იანი წლების დამდეგის 5 მლრდ დოლარიდან 10 ტრლნ დოლარზე მეტადაც კი დღეისათვის. სასაქონლო სვოპები გაჩნდა ცოტა მოგვიანებით, 1986 წ. მათი შექმნის პრიორიტეტი ეკუთვნის The Chase Manhattan Bank-ს.

ყველა სვოპს გააჩნია ერთი საერთო სქემა, რომლის განმარტება ყველაზე უკეთესია სავალუტო სვოპის კონკრეტულ მაგალითზე. დავუშვათ, პირველ კონტრაგენტს შეუძლია ისესხოს გერმანული მარკები 7 წლით წლიური 9%-ით და დოლარები ლონდონის ბირჟის LIBOR მცურავი განაკვეთით. მეორე აგენტს აგრეთვე შეუძლია ისესხოს დოლარები იმავე LIBOR-ის განაკვეთით, მაგრამ მარკები შეუძლია მიიღოს მხოლოდ 10,1%-ით. ამასთან, პირველ კონტრაგენტს სჭირდება დოლარები, მეორეს — მარკები.

ბუნებრივია, შეიძლება მისვლა ორივე მხარისთვის მომგებიან შეთანხმებამდე. პირველი კონტრაგენტი სესხულობს მარკებს და გადასცემს მათ მეორეს უკვე 9,45% სვოპის ხელშეკრულების მიხედვით დოლარებზე გასაცვლელად LIBOR-ის განაკვეთით. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ როგორ მოვძებნოთ ერთმანეთის შესაფერისი წყვილი კონტრაგენტი, ეს ადვილი საქმე როდია. სწორედ აქ ჩნდება სვოპის დილერი და სვოპ-ბანკი, რომელიც ღებულობს განაცხადებს ფინანსური ბაზრის მრავალრიცხოვანი მონაწილეებისაგან და არჩევს წყვილებს. ამ მომსახურებისათვის იღებს, ვთქვათ, წლიური კრედიტის თანხიდან 0,1%-ს.

ახლა ჩამოყალიბდა საბოლოო სქემა. პირველმა კონტრაგენტმა ისესხა მისთვის აუცილებელი დოლარი LIBOR-ის განაკვეთით — 0,45%, რომელიც მიიღო დოლარების საკომპენსაციოდ. მეორე კონტრაგენტმა მიიღო მისთვის აუცილებელი მარკები არა 10,1%-ით, არამედ 9,55%-ით, ე.ი. ისევე როგორც პირველმა, მიიღო სარგებელი 0,45% წლიურად. და-

ბოლოს, სვოპის დილერმა მიიღო საკომისიო 0,1%. ასე რომ, ყველამ მიიღო მოგება.

სვოპი აღმოჩნდა საოცრად პროდუქტიული კონსტრუქცია. ფინანსური ინჟინრები რეგულარულად ამზადებენ სულ ახალ-ახალი სვოპების სქემებს. მათ იყენებენ რისკების მართვისათვის, კაპიტალის ღირებულების შესამცირებლად, მეგაბაზრებზე არბიტრაჟისათვის და მრავალრიცხოვანი სინთეზური ინსტრუმენტების შესაქმნელად.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ახალი ფინანსური ინსტრუმენტების კონსტრუირება საბაზო — ფიუჩერსების, ოპციონების და სვოპების — საფუძველზე კონსალტინგის ახალ მაღალმომგებიან დარგად იქცა, რომელშიც დღეს გატაცებით მუშაობს ათი ათასამდე ფინანსური ინჟინერი მთელ მსოფლიოში.

მოკლედ შევჩერდეთ კიდევ ორ მნიშვნელოვან ტრადიციულ ფინანსურ ბაზარზე: საკრედიტოსა და სადაზღვევოზე.

(*საკრედიტო ბაზარი* ერთ-ერთი ძველია ფინანსური ბაზრებიდან და კვლავ წამყვანია ახლაც. კრედიტებს და სესხებს გასცემენ ბანკები, ტრასტები, ფონდები და საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციები)

მსესხებლები არიან კომპანიები, ბანკები, ფინანსური ორგანიზაციები, აგრეთვე, სხვადასხვა ქვეყნის სახელმწიფო ორგანიზაციები.

საკრედიტო ბაზრის მთელი მოცულობა შეიძლება შეავფასოთ 60 ტრლნ დოლარად. თუმცა ბრუნვის მნიშვნელოვანი ნაწილი მოდის ბანკთაშორის კრედიტებზე, სადაც დიდ როლს თამაშობს ზემოთ უკვე განხილული საკრედიტო მულტიპლიკატორები.

სადაზღვევო მომსახურების მსოფლიო ბაზარი სადაზღვევო გადასახდელთა სიდიდით (პრემიები) შეფასებულია 3 ტრლნ. დოლარად. დაახლოებით ბაზრის ნახევარს აჭერებს სიცოცხლის დაზღვევა. ადრე უკვე აღინიშნებოდა საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი, რომელსაც თამაშობენ სადაზღვევო კომპანიები, განსაკუთრებით ამერიკული, საფინანსო ბაზარზე. ვინაიდან სადაზღვევო გადასახადები მრავალ ქვეყანაში განთავისუფლებულია ზოგიერთი გადასახადისაგან, სადაზღვევო ოპერაციები წარმოადგენს მრავალი ფინანსური სქემის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს.

13. 6. რობორ გავხდეთ ინვესტორი და გავმდიდრდეთ თანამედროვე ელექტრონულ ბაზრებზე?

ცნობები ფინანსური ბაზრების შესახებ უმრავლესობისათვის უკვე აღარაა განყენებული აბსტრაქცია. ადამიანთა უმრავლესობისათვის რეალური ქონების უზარმაზარი ნაწილი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში იქმნება, ინახება და მრავლდება ამ ბაზრებზე. არა-

ვისთვის არ წარმოადგენს საიდუმლოს, რომ ოპერაცია მსოფლიო საფინანსო ბაზრებზე ითვლება ლეგალური ბიზნესის ერთ-ერთ ყველაზე მომგებიან სახედ. ფულადი საშუალებების მსოფლიო მოძრაობაში აფეთქებამ გავლენა მოახდინა ადამიანთა აზროვნებასა და ცხოვრებაზე მთელ მსოფლიოში. ცვლილებები დაკავშირებულია 80-იანი წლების ეკონომიკურ ბუმთან. ეს იყო პირადი ფულადი ქონების ზრდის ათწლეული. ჟურნალი „Forbes"-ში გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, მილიარდიანი ქონების მფლობელთაგან 24%-მა შეაგროვა თავისი კაპიტალი სწორედ ფინანსურ ბაზრებზე. ასე, მაგალითად, ჯ. სოროსმა, დღეს ყველაზე ცნობილმა ტრეიდერმა Forex-ზე, შემოსავლების შესახებ წლიური ანგარიშის მონაცემების მიხედვით, მხოლოდ Forex spot-ზე 1996 წ. გამოიმუშავა მეტი, ვიდრე მაკდონალდსის კორპორაციამ მთელი წლის განმავლობაში. სოროსმა თავისი მოღვაწეობა დაიწყო 1969 წ. ჯგუფ Quantum-Fond-ის შექმნით კიურასაოზე (მცირე ანტილიის არქიპელაგის კუნძული ვესტ-ინდოეთში). ვინც ფონდის დაარსების დროს იყიდა მონაწილეობა 1000 დოლარად, მან შეძლო 1993 წ. პაის გაყიდვა 1,3 მლნ დოლარად.

ქსელური კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარება ყველა ადამიანს აძლევს საშუალებას გახდეს ინვესტორი და გამოსცადოს თავისი ცოდნა და იღბალი ფინანსურ ბაზრებზე. ამისათვის აუცილებელია ცოტა რამ: პერსონალური კომპიუტერი ქსელში გასასვლელად და შედარებით მცირე ფულის თანხა საბირჟო თამაშის დასაწყებად.

საკმაო თანხის გამომუშავება შეიძლება როგორც აქციათა ბაზარზე, ასევე ზემოთ უკვე აღწერილ Forex ბაზარზე. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სავალუტო ბაზარი ყველაზე სარისკოა და Forex ბაზარზე შეიძლება ძალიან იოლად დაკარგოთ დაბანდებული თანხა.

როგორც ცნობილია, Forex ბაზარზე ვალუტით ვაჭრობისგან შემოსავალი წარმოიქმნება სხვადასხვა ვალუტის ყიდვისა და გაყიდვის კურსებს შორის სხვაობით სხვადასხვა პერიოდში.

განვიხილოთ ინვესტორის მოქმედება Forex-ზე მუშაობის უბრალო მაგალითით — ბრიტანული ფუნტების ყიდვა-გაყიდვა დოლარებზე. თქვენ უკავშირდებით ფინანსურ კომპანიას, რომელიც უზრუნველყოფს თქვენ კავშირს Forex-თან, ასევე განსაზღვრულ ფინანსურ ბერკეტს. ჩვეულებრივ ინვესტორს სთავაზობენ საგარანტიო შენატანის შეტანას, ვთქვათ, 3000 დოლ. მაშინ კომპანია მას სთავაზობს ფინანსურ ბერკეტს მხარით 1:100. ეს იმას ნიშნავს, რომ ინვესტორს თავის ოპერაციებში შეუძლია გამოიყენოს ბაზარზე 100-ჯერ მეტი თანხა, ვიდრე დაარეზერვა.

გარდა ამისა, ფინანსური კომპანია ჩვეულებრივ წარადგენს საკმაოდ სრულ ინფორმაციას სავალუტო ბაზრის სეგმენტზე, რომელიც აინტერესებს ინვესტორს. მოცემულ შემთხვევაში თქვენ უდავოდ მოგაწვდიან სხვადასხვაგვარ გრაფიკს დოლ. /ფუნტის ფასის ცვლილებების მიხედვით ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი დეტალიზაციით. დავუშვათ, გაანალიზეთ რა ინფორმაცია ფუნტის სადოლარო ფასის მოძრაობაზე, გადაწყვიტეთ, რომ ეს ფასი დაეცემა, ამიტომ აუცილებელია ფუნტების გაყიდვა, რათა მერე უფრო იაფად იყიდოთ. ვთქვათ, პროგნოზით ორიენტირებულმა, გაყიდეთ ფუნტები, ხოლო სამი თვის შემდეგ ისინი იყიდეთ. მიაქციეთ ყურადღება, თქვენ არ გქონდათ ფუნტები და მათი გაყიდვა უზრუნველყო იმავე საფინანსო კომპანიამ.

საგარანტიო დეპოზიტის 3000 დოლარის და მხარის 1:100 არსებობის შემთხვევაში, შეიძლებოდა დაგვეხარჯა 300 ათასი დოლ. მაგრამ თქვენ ფრთხილი ადამიანი ხართ და გადაწყვიტეთ მხოლოდ 200 ათასის დახარჯვა. წარმოვიდგინოთ, რომ თქვენ გაყიდეთ ფუნტები 1,63 დოლარად, ხოლო სამი თვის შემდეგ იყიდეთ 1,53 დოლ. /ფუნტის ფასად. იოლია გამოსაანგარიშებლად, რომ გამოიმუშავეთ 1 ცენტი ყოველ გაყიდულ ფუნტზე, საერთო ჯამში კი მიიღებთ მოგებას 1230 დოლ. ამგვარად, 2000 დოლარის დაბანდებამ მოგცათ დაახლოებით 25% წლიური, რაც სრულებით არ არის ცუდი.

ეს კარგი შედეგია, მაგრამ ასეთი იღბლიანი გარიგებები იშვიათად ხდება, ზოგჯერ დიდი ხნის ლოდინია საჭირო მსგავსი ხელსაყრელი მომენტებისათვის, გარიგებების დასადებად. მაგრამ მათ, როგორც წესი, მოაქვს თავისი ნაყოფი, ზოგჯერ ძალიან კარგი, რაც საშუალებას იძლევა ინვესტორისთვის სათანადოდ შევაფასოთ Forex სავალუტო ბაზრის მთელი სიმძლავრე და მიმზიდველობა.

დაახლოებით ასევე შეიძლება მუშაობა აქციების ბაზარზეც. ახლა ფინანსურ შუამავალთა დიდი რაოდენობაა, რომლებიც მზად არიან გამოიყენონ კერძო ინვესტორები ბაზრებზე. რა თქმა უნდა, მათ უნდა სიფრთხილით მოვეპყროთ. სანამ სერიოზულად შეუდგებოდეთ ინვესტირებას, თავად თქვენთვის ცუდი არ იქნებოდა შეგესწავლათ ფინანსური ბაზრების ფუნდამენტური და ტექნიკური ანალიზის საფუძვლები. ხოლო თუ ამისათვის დრო ან სურვილი არ გაქვთ, მაშინ უკეთესია ისარგებლოთ ფინანსური კონსულტანტების მომსახურებით.

ფინანსური ბაზრები ელოდებიან მცოდნე და მამაც ადამიანებს. ასე რომ, შეიძლება სცადოთ. ზოგადი თეორიული ცოდნა კი ბაზრების შესა-

ხებ ამ თავის ბოლო ოთხი პარაგრაფის წაკითხვის შემდეგ საკმაოდ დიდი გაქვთ. შეეცადოთ მის სისტემატიზებას.

1. ვალუტის კურსები ყალიბდება სახელმწიფოთა სავალუტო პოლიტიკის და სავალუტო ბაზრის გავლენით. ეს ბაზარი ფინანსური ბაზრის ბრუნვის მიხედვით ყველაზე მსხვილია. განვითარებული ქვეყნების სავალუტო კურსებისათვის დამახასიათებელია „თავისუფალი ცურვის" რეჟიმი, ე. ი. შედარებით თავისუფალი ფორმირება ბაზრებზე. მნიშვნელოვან მსოფლიო ტენდენციებს წარმოადგენს ეროვნული ვალუტების დაჯგუფებები სამი წამყვანი ვალუტის — დოლარის, ევროსა და იენის გარშემო და ამ ვალუტათა მკაცრი კონკურენცია ქვეყნების სავალუტო რეზერვებში ადგილისათვის.

2. თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს ფენომენს წარმოადგენს ევროვალუტების ბაზარი, რომელიც წარმოიქმნა თავისი წარმოშობის ქვეყნებიდან კაპიტალის გაქცევის შედეგად. ევროვალუტის ბაზარი თავისუფალი სავალუტო საშუალებების ყველაზე მსხვილი და იაფი წყაროა. იგი ფართოვდება ტებ-ების საკრედიტო ემისიის საშუალებით.

3. საფონდო ბაზრები იყოფა აქციების და ობლიგაციების ბაზრებად, დაახლოებით 45—55%-ის თანაფარდობით. როგორც ერთი, ისე მეორე ბაზრის ნახევარი მოდის აშშ-ზე. ფინანსურ ბაზართაგან აქციების ბაზრის როლი მუდმივად იზრდება. ამერიკული აქციების სწრაფი ზრდა XX ს-ის ბოლოს იზიდავს მთელი მოფლიოს ფინანსურ რესურსებს, აჩერებს აშშ-ში ინფლაციას, უზრუნველყოფს ამერიკის ეკონომიკის უპრეცენდენტო ზრდას, მაგრამ იმავდროულად ანიჭებს არამდგრადობას მსოფლიოს საფინანსო სისტემას და ქმნის წანამძღვრებს მსოფლიო ფინანსური კრიზისისათვის.

4. თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის მნიშვნელოვან ტენდენციას წარმოადგენს ფიუჩერსული, ოპციონური, სვოპური და სხვა დერივატული ბაზრების სწრაფი განვითარება. ისინი არა მარტო ყალიბდებიან სპოტ-ბაზრების გავლენით, არამედ ბოლო დროს თვითონ დაიწყეს მათზე ზეგავლენის მოხდენა. აწმყოზე მომავლის გავლენა ფინანსური ბაზრების ახალ მნიშვნელოვან ტენდენციად იქცა.

თავი 14

ეკონომიკური განვითარების უთანაბრობა და გლობალური პრობლემები

ძნელია იპოვო მდიდარი, რომელსაც ქონება ღარიბთა უსუსურობის ხარჯზე არ მოუნაგრებია.

ბ. შვეგელი

გლობალური სამყაროს და მეგაეკონომიკის წარმო'ძობასთან ერთად გლობალური პრობლემებიც გაჩნდა; მათში იგულისხმება პრობლემები, რომლებიც გადასაწყვეტად საჭიროებს მთელი კაცობრიობის გაერთიანებულ ძალებს.

14. 1. განვითარების უთანაბრობა და გლობალური პრობლემები

თუკი რომელიმე ორგანიზმი ან რთული სისტემა ვითარდება გარემოსთან ჰარმონიაში და მისი შემადგენელი ყველა ნაწილი შეფარდებულია ერთმანეთთან, ამასთან ვითარდება პროპორციულად და შეესაბამება თავის ფუნქციებს, მაშინ განსაკუთრებული პრობლემები არ უნდა ჩნდებოდეს. ისევე როგორც ცოცხალი ორგანიზმისათვის, გლობალური სამყაროსა და მეგაეკონომიკისათვისაც პრობლემები გამომდინარეობს გარემოსა და მისი შემადგენელი ცალკეული ნაწილების უთანაბრო, არაპროპორციული განვითარების დისჰარმონიისაგან.

მსოფლიო განვითარების ძირითად მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს ბრძოლა ეკონომიკური და პოლიტიკური ძალაუფლებებისათვის ცალკეულ ქვეყნებს, ერებს, კლასებს, მოსახლეობის ჯგუფებსა და ცალკეულ პირებს შორის. დროდადრო ამ ბრძოლაში დგება განსაზღვრული დინამიკური წონასწორობა, ძალაუფლებისათვის მებრძოლი ყველა მხარის თანა-

ბარი ძალის შესაბამისი. ჩვეულებრივ, წონასწორობის სიტუაციის ფიქსირება ხდება ხელშეკრულებათა სისტემებით ქვეყნებსა და ბლოკებს, პროფკავშირებსა და მეწარმეებს, ცალკეულ კომპანიებსა და პირებს შორის. რა თქმა უნდა, ეს წონასწორობა ფარდობითია, ბრძოლა გრძელდება, მაგრამ საპირისპირო მხარეთა თანასწორობის პირობებში იგი შედარებით მშვიდ ფორმებს ღებულობს ჩამოყალიბებული სახელშეკრულებო სისტემის ჩარჩოებში.

ხანგრძლივი წონასწორობა უძრაობას იწვევს. განვითარების მამოძრავებლად წარმოგვიდგება უთანაბრობის სხვადასხვა ფორმა. ჩვეულებრივ, ტექნოლოგიური განვითარების, სამეცნიერო-ტექნიკური აღმოჩენების და ცივილიზაციურ-ორგანიზაციულ აღმოჩენათა ზემოქმედებით რომელიმე ქვეყანა, კლასი ან პირთა ჯგუფი ღებულობს ნამდვილ ან მოჩვენებით უპირატესობას ხელისუფლებისათვის ბრძოლაში. ძალთა წონასწორობა ირღვევა ხოლმე და ბრძოლა ძალაუფლებისათვის იძენს კრიზისის, ეკონომიკური კონფლიქტის, აჯანყების, რევოლუციის, და ბოლოს, ომის ფორმებსაც კი. სახელმწიფოების ურთიერთობათა ჩამოყალიბებული სისტემა დგას საფრთხის წინაშე და შესაძლოა სავსებით დაიშალოს კიდეც. ხელისუფლებისათვის ბრძოლის გამძაფრებული ეტაპის შემდეგ სიტუაცია მსოფლიოში მიდის ახალ წონასწორობამდე, რომელიც ამ ბრძოლაში ჩამოყალიბებულ ძალთა ახალ თანაფარდობას შეესაბამება. ამგვარად, განვითარება მიმდინარეობს თანმიმდევრულად წონასწორობის სიტუაციებისა და მეტ-ნაკლებად ძლიერი კრიზისების სერიათა გავლით, რომლებიც გარდამავალ პერიოდებს წარმოადგენს თანასწორ სიტუაციებს შორის.

გლობალურ პრობლემათა უმრავლესობის წარმოშობის მექანიზმი დაახლოებით ამგვარია: მსოფლიოში ჩამოყალიბებული წონასწორობის უთანაბრო განვითარების შედეგად ცალკეულ ქვეყნებში, კლასებში ან ჯგუფებში წინააღმდეგობა ჩნდება. მისი არსი ისაა, რომ მსოფლიო თანამეგობრობის განსაზღვრული ნაწილა (ქვეყნების ჯგუფი, ერი, კლასი და ა. შ.) იწყებს ფიქრს იმაზე, რომ ძალაუფლების გადანაწილება მის რეალურ პოლიტიკურ, სამხედრო, ეკონომიკურ ან კიდევ რაიმე ძალას აღარ შეესაბამება და მისთვის შესაძლებელი ყველა ზომების გამოყენებით უფრო „სამართლიანი" ძალაუფლების გადანაწილებისათვის ილტვის. თუკი წინააღმდეგობა იმგვარია, რომ მისი გადაწყვეტა მხოლოდ მთელი მსოფლიო თანამეგობრობის ძალისხმევითაა შესაძლებელი, მაშინ საქმე გლობალურ პრობლემასთან გვაქვს.

შესაბამისად, გლობალურ პრობლემათა საკლასიფიკაციო ნიშნის სახით შეიძლება ავარჩიოთ მათ საფუძვლად დადებულ წინააღმდეგობათა

ხასიათი. უმეტესწილად ბრძოლა ძალაუფლებისათვის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში არსებობს და სწორედ აქედან ჩნდება პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური ხასიათის გლობალური პრობლემები.

მაგრამ ძალაუფლებისათვის ბრძოლისას ერთმანეთს შორის კონფლიქტში შედის არა მხოლოდ სხვადასხვაგვარად ორგანიზებულ ადამიანთა ჯგუფები. ძალაუფლებისაკენ სწრაფვის დროს ადამიანები ხშირად ბუნებასთან წინააღმდეგობაში მოდიან, ფიტავენ რა ბუნებრივ რესურსებს, და ეკოსისტემებს განვითარების სახიფათო წონასწორობის რეჟიმებში აყენებენ. კაცობრიობის ტექნოლოგიური სიმძლავრის თანამედროვე დონეზე ამგვარი კონფლიქტები ხშირად ზოგადსაკაცობრიო გლობალურ ხასიათს იძენს და მათი გადაწყვეტა მთელი კაცობრიობის ძალისხმევას საჭიროებს. ასე წამოიჭრება ხოლმე გლობალური ეკონომიკური პრობლემები.

მაშ ასე, ზედა დონეზე შეიძლება გამოვყოთ პრობლემათა ოთხი ჯგუფი: პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური. ბუნებრივია, გლობალური პრობლემები ძლიერაა ურთიერთდაკავშირებული და ხშირად მათი დამოუკიდებელი გადაჭრა შეუძლებელია ან არაეფექტიანია. გლობალური პრობლემები საჭიროებს საერთოსისტემურ გადაწყვეტას. პრობლემათა ყველა ჯგუფის მჭიდრო გადახლართვის მკაფიო მაგალითს დემოგრაფია წარმოადგენს. გლობალურ დემოგრაფიულ პრობლემებს, რომელთაც ხშირად ცალკეულ ჯგუფებში გამოყოფენ, საფუძვლად უდევს წინააღმდეგობა, რაც ცალკეული ქვეყნის ან ხალხთა სხვადასხვა ჯგუფის მოსახლეობის ზრდის უთანაბრო ტემპების გამო ჩნდება. მაგალითად, ზოგიერთი ქვეყნის მოსახლეობის უფრო სწრაფმა ზრდამ შეიძლება მიიღოს სამხედრო ბრძოლის ფორმა სასიცოცხლო სივრცისათვის, ხოლო მრავალი ქვეყნის მოსახლეობის დაბერება მნიშვნელოვან სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებს წარმოშობს.

ბრძოლა ძალაუფლებისათვის, წინააღმდეგობანი და კრიზისები კაცობრიობის განვითარების მთელ ისტორიას თან ახლავს, თუმცა, იმისათვის, რომ მათ ნიადაგზე გლობალური პრობლემები წარმოშობილიყო, საჭირო იყო, პირველ რიგში, მათი გაზრდა პლანეტარულ მასშტაბებამდე და მეორე, მათი გაცნობიერება მსოფლიო თანამეგობრობის მიერ როგორც პრობლემებისა, რომლებიც გადაწყვეტას საჭიროებს და რომელთა გადაჭრა არსებული საშუალებებით შესაძლებელია.



სურ. 14.1. გლობალურ პრობლემათა სტრუქტურა

სურათზე 14. 1. წარმოდგენილია ძირითადი გლობალური პრობლემები. რა თქმა უნდა, შესაძლებელია პრობლემების რაღაც სხვაგვარი გამოყოფა და მათი კლასიფიკაცია, თუმცა აქ წარმოდგენილი მეთოდი საკმაოდ საერთო და ყოვლისმომცველია.

გლობალიზაცია წამყვანი, გაბატონებული, თუმცა მსოფლიო განვითარების არამონოპოლიურად განმსაზღვრელი ტენდენციაა. მსოფლიო ისეა მოწყობილი, რომ ყოველ ტენდენციას მისი საწინააღმდეგო უპირისპირდება და მათი უწყვეტი ბრძოლა მსოფლიო განვითარებას განსაზ-

ღვრავს. თანამედროვე მსოფლიოში გლობალიზაციას ლოკალიზაციის ტენდენცია უპირისპირდება, რომელიც მდგომარეობს ქვეყნების და რეგიონების სწრაფვაში დეცენტრალიზაციისაკენ, მცირე მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელ სახელმწიფოთა და ტერიტორიათა შექმნაში. ეს ტენდენცია კარგად აისახება, აგრეთვე, ეკონომიკური ძალაუფლების თეორიის პოზიციიდან. მართლაც, ხელისუფლებისათვის ბრძოლაში მონაწილეობენ არა მარტო ტრანსეროვნული გიგანტები და მძლავრი ეროვნული სახელმწიფოები. ძალაუფლებისაკენ სწრაფვა გააჩნია მცირე ერთა ელიტებს, ხალხებს და ტერიტორიებს, რომელთაც მათი რეალიზება არ შეუძლიათ ერთიანი გლობალური მსოფლიოს ჩარჩოებში. ამიტომ ძალაუფლების სისტემაში თავისი ეკოლოგიური ნიშის საძიებლად ისინი ზემდგომი სახელმწიფო ორგანოებიდან ძალაუფლების უფლებამოსილებათა მკაფიო გამიჯვნისკენ ისწრაფვიან. ისინი ეყრდნობიან ეროვნულ და სეპარატისტულ განწყობებს, რომელიც დამახასიათებელია სხვადასხვა ქვეყნების პროვინციათა მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისათვის. ამ განწყობილებათა წაქეზებითა და შედარებით ან სრული პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევით ლოკალური ელიტები ძალაუფლების გაზრდის მიზანს აღწევენ.

1. გლობალური პრობლემები — ესაა ძალაუფლებისათვის ბრძოლის საფუძველზე წარმოშობილი წინააღმდეგობანი, რომელთა გადაწყვეტით მსოფლიო თანამეგობრობაა დაინტერესებული.

2. გლობალური პრობლემები წინააღმდეგობის ტიპის მიხედვით შეიძლება დავყოთ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ პრობლემებად.

14. 2. გლობალური პოლიტიკური პრობლემები

მარქსიზმის კლასიკოსები ამბობდნენ, რომ პოლიტიკა — ეკონომიკის კონცენტრირებული გამოხატულებაა. საერთოდ, ეს სწორია. თუმცა პოლიტიკურ სფეროში თავის გამოხატულებას პრაქტიკულად ყველა პრობლემა პოულობს; ეკონომიკურიც, სოციალურიც და ეკოლოგიურიც. საბოლოო ჯამში, ყველა გლობალური პრობლემა ასე თუ ისე პოლიტიკურ სიბრტყეში გამოდის.

მათთან ერთად არსებობს სპეციფიკური, *წმინდა პოლიტიკური პრობლემები, ისეთები, როგორიცაა მშვიდობის, დემილიტარიზაციის, კონფლიქტების, ლოკალური ომების და კონფლიქტების, საერთაშორისო ტერორიზმის და სხვ.*

ყოველი გლობალური პრობლემა არსებითად ყოველთვის საჭიროებს განსაზღვრულ პოლიტიკურ გადაწყვეტას. იმ შემთხვევებში, როდესაც საერთაშორისო ეკონომიკური და სოციალური პრობლემები ვერ პოულობს მსოფლიო პოლიტიკურ მოგვარებასა და გადაწყვეტას, წარმოიშობა სახიფათო კონფლიქტები, რომლებიც შეიძლება გადაიზარდოს რევოლუციებსა და ომებში, მათ შორის მსოფლიო ომშიც კი.

XXI ს-ის დამდეგის გლობალური პრობლემების შესწავლისას სასარგებლოა გავიხსენოთ რაღაცით მსგავსი XX ს-ის დამდეგის პრობლემები. არ ღირს იმის დავიწყება, რომ XIX ს-ის ბოლოსა და XX ს-ის დამდეგს კაცობრიობა გლობალიზაციის განსაზღვრულ ფორმას უკვე შეეჯახა და, როგორც ცნობილია, ვერ შეძლო მშვიდობიანად გადაეჭრა წარმოშობილი გლობალური პრობლემები. ამის შედეგად მსოფლიომ გადაიტანა ორი საშინელი მსოფლიო ომი და სისხლიანი რევოლუციების სერია, დიდი ოქტომბრის რევოლუციის ჩათვლით.

XIX ს-ის ბოლოს მსოფლიომ თავისი თავი შეიგრძნო როგორც ერთი მთლიანი, ხოლო მსოფლიო თანამეგობრობამ წარმოშობილი გლობალური პრობლემების გაცნობიერება დაიწყო. სამყარო თანდათან ნამდვილად გლობალური ხდებოდა. 1850 წლიდან 1914 წლამდე დედამიწის მოსახლეობა გაიზარდა სულ 1,5–ჯერ, ხოლო მსოფლიო ვაჭრობის ბრუნვა — 10-ჯერ. საგარეო ვაჭრობის წილი განვითარებული ქვეყნების მშპ-ში გაორმაგდა.[1]

სასაქონლო ექსპორტთან ერთად კაპიტალის ექსპორტმაც მძაფრად იწყო განვითარება, რომელიც ლენინის მიერ ისე აიხსნებოდა, როგორც აღმოცენების გზაზე მდგარი იმპერიალიზმის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი. 1900-1913 წლებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა გაორმაგდა. საერთაშორისო მიგრაციამ უზარმაზარი მასშტაბები შეიძინა. 1914 წლისათვის კანადის მოსახლეობის 22%, არგენტინის 30% და ახალი ზელანდიის მცხოვრებთა 26%-ზე მეტი ახალი თაობის იმიგრანტები იყვნენ. აშშ-ში დაბადებული მუშები ქვეყნის მთელი პროლეტარიატის ნახევარსაც არ შეადგენდნენ.[2]

სატრანსპორტო სისტემამ ფაქტობრივად მთელი მსოფლიო მოიცვა. პლანეტარული სატრანსპორტო ერთიანობა შთამბეჭდავად იქნა ნაჩვენები ჟიულ ვერნის ცნობილ რომანში „80 დღე დედამიწის გარშემო". 1900 წლისათვის პრაქტიკულად დედამიწის ყველა რეგიონი ტელეგრაფის სა-

---

1. იხ.: Синцеров Л. Длинные волны глобальной интеграции // Мировая экономика и международные отношения. - 2000. - N5.

2. იხ.: Долльфюс О. Система мир // Мировая экономика и международные отношения. - 1995. - N6.

შუალებით იქნა დაკავშირებული. დედამიწის მოსახლეობის დაახლოებით 89% კონვერტირებადი ვალუტის მქონე ქვეყნებში ცხოვრობდა. ამგვარად, განსაზღვრულ ტექნოლოგიურ დონეზე გლობალური სატრანსპორტო, საინფორმაციო და ფინანსური ტექნოლოგიები მაშინ უკვე არსებობდა.

„ლონდონის მცხოვრებს შეეძლო ტელეფონით შეეკვეთა... სხვადასხვაგვარი საქონელი მთელი მსოფლიოდან... შეეძლო გაერისკა თავისი მდგომარეობით (ქონებით), თუ ფულს დედამიწის ნებისმიერ წერტილში ბუნებრივ რესურსებსა და საწარმოებში დააბანდებდა. მისთვის უზრუნველყოფილი იყო იაფი, კომფორტული და დაუბრკოლებელი მგზავრობა ნებისმიერ ქვეყანასა და ბუნებრივ ზონაში... მაგრამ, რაც ყველაზე მთავარია, იგი საქმის ამგვარ ვითარებას ბუნებრივად, უცვლელად და მუდმივად მიიჩნევდა. საზოგადოებრივი და ეკონომიკური ცხოვრების ინტერნაციონალიზაცია აბსოლუტური იყო," — სინანულით წერდა დიდი კეინსი[1]. უკვე XX ს-ის 20-იან წლებში, როდესაც გლობალური მსოფლიო პირველი მსოფლიო ომის დარტყმისა და პოლიტიკური რევოლუციის შედეგად დაეცა.

საერთოდ კი იმას, რასაც ჯერ ჯ. გობსონმა, შემდეგ კი ვ. ლენინმა იმპერიალიზმი უწოდეს, თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, გლობალიზაციის განსაზღვრული ფორმა იყო, რომელიც იმ დროის ტექნოლოგიური განვითარების დონეს შეესაბამებოდა. მაშ რატომ განიცადა გლობალიზაციამ, რომელიც დაახლოებით საუკუნის წინ დაიწყო, ესოდენ დამანგრეველი მარცხი? ომისა და 1914-1922 წლების რევოლუციების შემდეგ ხომ გლობალური მსოფლიო გაქრა. ქვეყნები ერთმანეთს მკაცრი სავიზო რეჟიმებითა და საბაჟო ბარიერებით გაემიჯნა. საგარეო ვაჭრობისა და კაპიტალის გატანის წილი განვითარებული ქვეყნების მშპ-ში მკვეთრად შემცირდა. მათი შემცირების ტენდენცია იმდენად ხანგრძლივი და საყოველთაო ჩანდა, რომ ჩამოყალიბდა ეკონომიკური კანონის ფორმით — „საერთაშორისო ვაჭრობის კლებადი მნიშვნელობა",[2] რომელსაც XX ს-ის შუახანებიდან სტუდენტები ყველა უნივერსიტეტში სწავლობდნენ.

ის, პირველი გლობალიზაცია დიდი ბრიტანეთის ეგიდით მიმდინარეობდა, რომელიც მაშინ მსოფლიოს უდიდესი იმპერია იყო 400 მილიონიანი მოსახლეობით. მის უზარმაზარ კოლონიებსა და დომინიონებზე მზე არასოდეს ჩადიოდა. ამგვარი გლობალიზაცია არც მაინცდამაინც აწყობდა სხვა ქვეყნებს და, პირველ რიგში, გერმანიას, რომელმაც იმ დროისათვის

1. Keynes J. The Economic Consequences of the Peace. - N. Y., 1920.
2. Широков Г. Парадоксы эволюции капитализма (Запад и Восток). М.: Институт востоковедения РАН, 1998.

უზარმაზარი ეკონომიკური და სამხედრო ძალა უკვე შეიძინა, და რომელიც მსოფლიო ბატონობისაკენ ისწრაფვოდა.

ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ თუმცა კაპიტალი შედარებით თავისუფლად გადაადგილდებოდა მსოფლიოში, ის მაინც ფრიად ნაციონალური რჩებოდა. მისი გადაადგილება მნიშვნელოვანწილად მსოფლიო, არსით კი ეროვნული, კოლონიური იმპერიის ჩარჩოებით შემოიფარგლებოდა. ტრანსეროვნული კაპიტალი, ამჟამინდელის ოდნავ მსგავსიც კი, მაშინ მაინც არ იყო. მთავარი ის იყო, რომ კაპიტალი თავს ეროვნულად შეიგრძნობდა და თავის ბრძოლას ძალაუფლებისათვის ეროვნული სახელმწიფოების სიმძლავრეს უკავშირებდა.

მეორე მხრივ, პროლეტარული მოძრაობის იდეოლოგების მიერ გლობალური ტენდენციები ამკარად შენიშნული და გამოყენებული იყო. მათ წამოსწიეს პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და კლასობრივი ბრძოლის იდეა მსოფლიო პროლეტარული რევოლუციისათვის. ამგვარად, ისინი მუშათა კლასის ეგიდით მიმდინარე გლობალიზაციაზე ოცნებობდნენ.

გამოდიოდა, რომ გლობალური სამყაროს აშენება ყველას სურდა, მაგრამ სხვადასხვა პლატფორმაზე. დიდი ბრიტანეთი, ბუნებრივია, ცდილობდა შეენარჩუნებინა და გაეფართოვებინა უკვე არსებული გლობალური ბრიტანული იმპერია. ეს კი მსოფლიო ჰეგემონიაზე მეოცნებე გერმანიის გეგმებში არ შედიოდა, ასევე იაპონიისაც, რომელიც აზიაში ძალაუფლებისაკენ ილტვოდა. დაუკმაყოფილებელი რჩებოდა არცთუ შორეულ წარსულში მარცხებისგან გამორკვეული საფრანგეთი და რუსეთი. მძაფრ ქვეყანათაშორის წინააღმდეგობებს არანაკლებ სახიფათო კლასობრივი კონფლიქტები ემატებოდა. ფორმირებული და ძალზე აგრესიული კომპარტიებისგან მართული პროლეტარიატიც, აგრეთვე მსოფლიო, თუმცა თავის ვარიანტში უკვე კლასობრივი მსოფლიო ბატონობისაკენ მიისწრაფვოდა. ყველასათვის საკვლევი შესაგრძნობი მსოფლიო პროლეტარული რევოლუცია, ბუნებრივია, საპასუხო რეაქციის სახით საშუალო კლასისათვის დამახასიათებელი ჯანმრთელი და მტკიცეული ნაციონალიზმის გამოვლენის ზრდას იწვევდა.

გლობალურ პრობლემათა მსოფლიო გადაწყვეტის ამგვარი მასშტაბების მექანიზმები და წინააღმდეგობრივ ინტერესთა შეთანხმების ინსტიტუტთა სისტემები მაშინ ჯერ კიდევ არ იყო, და მსოფლიო ჯოჯოხეთურ მსოფლიო ომებში ჩაება, რომლებიც უმკაცრეს სოციალურ რევოლუციებთან იყო გადახლართული. ასეთი იყო XX ს-ის პრობლემათა გადაწყვეტის მწარე გამოცდილება. მაგრამ უარყოფითი გამოცდილებაც სასარგებლოა.

60-იან წლებამდე გლობალიზაციის ახალ ტალღაზე არაფერი მეტყველებდა. 1963 წელს მსოფლიო ეკონომიკაში საერთაშორისო ვაჭრობის ხვედრითი წონა მესამედით ნაკლები იყო, ვიდრე 1913 წელს.

მას შემდეგ გლობალლიზაცია შვიდმილიანი ნაბიჯებით მიდის. 70-იანი წლები მეგაეკონომიკის, როგორც ერთიანი ეკონომიკური ორგანიზმის, ჩამოყალიბებით ხასიათდება. თანამედროვე გლობალიზაცია ბევრით თავისი ისტორიული წინამორბედისაგან განსხვავდება და ეს გვაიმედებს, რომ დღესდღეობით წარმოშობილი გლობალური პრობლემები შეიძლება მშვიდობიანი გზით წარმატებულად გადაწყდეს.

პირველ რიგში, „ცივ ომში" სოციალისტური სისტემის დამარცხების შემდეგ *სამხედრო-პოლიტიკური დაპირისპირება კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის დამთავრდა, მსოფლიოში ძალაუფლება გადავიდა განვითარებული ქვეყნების პოლიტიკური თვალსაზრისით შეკავშირებული ჯგუფის ხელში, რომლის სათავეში აშშ-ია.* ამით ახალი მსოფლიო ომის საშიშროება მოისპო. ამჟამად ნატოს სხვა სახელმწიფოთა და ბლოკების შეიარაღებული ძალების მიმართ დიდი უპირატესობა გააჩნია, ამდენად საბრძოლველი ჯერჯერობით არავისთანაა.

მეორე, წარმოიშვა *ტრანსეროვნული კაპიტალი,* რომელიც არ ცდილობს გამოვიდეს რომელიმე განსაზღვრული ეროვნული სახელმწიფოს მხარეზე. მას მეგაეკონომიკისა და გლობალური მსოფლიოს შექმნის სავსებით გაცნობიერებული ინტერესები გააჩნია.

მესამე, კომუნიზმის დამარცხებით *კლასობრივმა ბრძოლამ რევოლუციური და მსოფლიო ხასიათი დაკარგა.* აქტუალური გახდა პრაქტიკული, ძირითადად ეკონომიკური, პრობლემების გადაწყვეტა და პრაგმატული მიზნების მიღწევა.

მეოთხე, თანამედროვე დონის სატრანსპორტო და საბაზრო ტექნოლოგიათა ინფორმატიზაციამ და გლობალიზაციამ დედამიწაზე ადამიანთა „კრიტიკული მასის" დაგროვება უზრუნველყო, რომელიც რაღაც *ახალ ცივილიზაციურ ერთობას* წარმოადგენს; ის საკუთარი თავის თვითიდენტიფიცირებას ახდენს, როგორც გლობალური მსოფლიოს მცხოვრებისა. სხვათაშორის, სწორედ ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიები გახდა ის ძირითადი იარაღი, რომლითაც კაპიტალისტურმა სამყარომ „ცივი ომი" მოიგო.

მეხუთე, უკვე ჩამოყალიბებული და დაგროვილია მუშაობის საკმაო გამოცდილება გაეროსა და სხვა, ძალზე მრავალრიცხოვანი და ავტორიტეტული *სახელმწიფოთაშორისი, საერთაშორისო ორგანიზაციების* მიერ, რომელთაც გლობალური პრობლემების მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით გადაჭრის უნარი აქვს.

ყოველივე ეს საშუალებას გვაძლევს გლობალური მსოფლიოს მომავალს და გლობალური პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობებს ოპტიმიზმით შევხედოთ.

XX ს-ის მეორე ნახევარში *კაცობრიობამ შეძლო მსოფლიო კონფლიქტების სამხედრო გზით გადაჭრის ჩვევა გადაელახა.* ამ წლების განმავლობაში მსოფლიო ბირთვული ომის ზღურბლზე არაერთხელ მდგარა, მაგრამ თვითგადარჩენის გრძნობა ძალაუფლების წყურვილსა და სწრაფ გამარჯვებაზე ყოველთვის იმარჯვებდა. მეცნიერებმა, უპირველეს ყოვლისა კი, ჩვენი ქვეყნის მეცნიერებმა შთამბეჭდავი და უდავო გამოთვლები ჩაატარეს, რომლებიც გვიჩვენებს, რომ თვით ერთი, პირველი სარაკეტო-ბირთვული ზალპიც კი ურთიერთმებრძოლი რომელიმე მხარის მხრივ სრულიად საკმარისი იქნებოდა საყოველთაო „ბირთვული ზამთრის" წარმოშობისათვის. მნიშვნელობა არა აქვს, სად დაეცემოდა გასროლილი რაკეტები, ისინი მტვრისა და ჭვარტლის ისეთ ღრუბელს წარმოშობს დამწვარი ქალაქებისა და სხვა ობიექტებისაგან, რომ მზე რამდენიმე წლით დაიფარება, ტემპერატურა მთელ დედამიწაზე მინუსამდე დაეცემა და კაცობრიობა პრაქტიკულად გაქრება. ასეთი პერსპექტივა სამხედროთა ყველაზე ცხელ თავებს აგრილებდა. *ყველაზე დამანგრეველი იარაღის აღმოჩენამ კაცობრიობა მსოფლიო ომებისაგან გაათავისუფლა.*

თუმცა იქვე წარმოიშვა სხვაგვარი საფრთხე. ბირთვული იარაღის წარმოების ტექნოლოგიამ მთელ მსოფლიოში აქეთ-იქით გადინება იწყო. მიუხედავად ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ ხელშეკრულებისა, ქვეყნების სულ უფრო დიდი რიცხვი შეუდგა მის შემუშავებას და (ან) დამზადებას. ამასთან, ქვეყნათა უმრავლესობა მიზნად ისახავს მიიღოს მშვიდობიან პრაქტიკაში კარგად ნაქები თავდაცვის იარაღი საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. თუმცა ასეთი იარაღი ლოკალური კონფლიქტების ისეთ რაიონებში, როგორიცაა, მაგალითად, ინდოეთი და პაკისტანი ან ისრაელი და არაბული ქვეყნები, ძალზე სახიფათო შედეგებს მოიტანდა.

ბანიარალება, დემილიტარიზაცია და კონვერსია მსოფლიოში ჯერჯერობით ძალიან ნელა მიმდინარეობს. მისი მსვლელობა გაძნელებულია იმით, რომ კონვერსიის დასაწყისი ეტაპები და განსაზღვრული სახით იარაღის განადგურება ძალზე ძვირია. სსრკ-ის დაშლის შემდეგ დსთ-ის ქვეყნებს კონვერსიისათვის საკმარისი საშუალებები არ აღმოჩნდა, ბევრმა მეცნიერმა და ინჟინერმა კი სამშობლო დატოვა, ხოლო ცოდნა უნიკალურ და ხშირად განსაკუთრებით სახიფათო სამხედრო ტექნოლოგიებზე თან წაიღო.

მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენების შესაძლებლობა *ლოკალური კონფლიქტების და ომების პრობლემას* გლობალურს ხდის. 90-იან წლებში მსოფლიოში მუდმივად მიმდინარეობდა დაახლოებით 50 ერთმანეთის შემცვლელი ლოკალური ომი. გლობალიზაციის ტენდენციასთან ერთად და მის საპირისპიროდ არსებობს სეპარატისტულ-ნაციონალისტურ განწყობილებათა ზრდის ტენდენცია. ობიექტურად ისინი განპირობებულია ჩამოყალიბებულ ძალაუფლების სისტემაში მცირე, მაგრამ საკუთარი ერთიანობისა და თვითმყოფადობის შეგრძნების მქონე ეროვნული ჯგუფებისა და ხალხების რეალური ან მოჩვენებითი დაყოფით.

XX ს-ის ბოლოს ლოკალური კონფლიქტები საყოველთაოდ ცნობილია, ესენია: ვიეტნამი, კამბოჯა, ნიკარაგუა, პალესტინა, ერაყი, ავღანეთი, კოსოვო, აფხაზეთი, დნესტრისპირეთი, და ბოლოს, ჩეჩნეთი და სხვ. მრავალი. სხვადასხვა ისტორიული ეპოქის სამხედრო კონფლიქტების თავისებურებანი მნიშვნელოვანწილად თავდაცვითი და შეტევითი შეიარაღების შესაძლებლობათა თანაფარდობით განისაზღვრება. დღესდღეობით მსხვილ სახლმწიფოებს, რომელთაც ავიაციის, სარაკეტო ტექნიკის და ბირთვული იარაღის მძლავრი არსენალი გააჩნია, თითქოსდა პატარა სახელმწიფოებსა და ხალხებზე აბსოლუტური უპირატესობა აქვს. თუმცა ბირთვული იარაღის გამოყენება ლოკალურ კონფლიქტებში, რა თქმა უნდა, არ შეიძლება. ეს კოლოსალურ, გაუმართლებელ მსხვერპლამდე და უზარმაზარი ტერიტორიების რადიოაქტიური დაბინძურების საფრთხემდე მიგვიყვანდა. ავიაციის და რაკეტების გამოყენების შესაძლებლობები, აგრეთვე, შეზღუდულია, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც სახელმწიფოები ომს სეპარატისტებთან საკუთარ ტერიტორიებზე აწარმოებენ. აი, ინდივიდუალური თანამედროვე იარაღი კი იმდენად სრულყოფილი გახდა, რომ მეამბოხეთა დამარცხება ჩვეულებრივი სახმელეთო არმიის იარაღით ძალზე ძნელია. ხელის ავიაციისსაწინააღმდეგო და ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო ჭურვები საკსებით აწონასწორებს არტილერიის, ტანკების და მეამბოხეთა სხვა სახის შეიარაღების დანაკლისს. ამიტომ რეგულარული არმიები ხშირად ვერ უმკლავდებიან მეამბოხეებსა და სეპარატისტებს. მით უმეტეს, რომ ჩვეულებრივ, არსებობენ ეროვნულ მოძრაობათა ან მოცემულ სახელმწიფოს მოწინააღმდეგენი, რომლებიც სეპარატისტებს იარაღით სიამოვნებით ამარაგებენ. ამით აიხსნება აშშ-ის დამარცხება ვიეტნამში, სსრკ-ის — ავღანეთში, ქურთების, ბასკების პალესტინელებისა და სხვა სეპარატისტების შეიარაღებითი წარმატებები, ასევე სიძნელეები ჩეჩნეთში.

თანამედროვე მსოფლიოში განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენს ე. წ. ურჩი ქვეყნები, რომელთაც სხვადასხვა მიზეზის გამო არ სურთ დაემორჩილონ საყოველთაოდ მიღებულ გაერის დეკლარირებულ საერთაშორისო წე-

სებს. მათ ჩვეულებრივ მიაკუთვნებენ ერაყს, ლიბიას, ნაწილობრივ ირანს, სულ ბოლო დროებამდე ჩრდილოეთ კორეას და სხვა მცირე ქვეყნებს. ამ ქვეყნების ხელმძღვანელები, რომლებიც, უმეტესწილად, ხელისუფლებაში არაკონსტიტუციური გზით მივიდნენ, მსოფლიო საზოგადოებრიობის ნდობას არ იმსახურებენ, რადგან ეს უკანასკნელი აგრესიას და ამ ქვეყნების მხრიდან მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენებას უფრთხის.

დღესდღეობით გლობალურად იქცა და ძალზე გამძაფრდა *ტერორიზმის პრობლემა.* მას შეიძლება მიმართონ ურჩმა ქვეყნებმა, ცალკეულ პირთა ჯგუფებმა, მაგალითად, პარტიებმა და სექტებმა, აგრეთვე ინდივიდუალურმა ტერორისტებმა. ამასთან, ტერორის თანამედროვე ტექნოლოგიები ცალკეულ პირებს საშუალებას აძლევს კოლოსალური ზიანი მიაყენონ საზოგადოებას და მრავალი ადამიანის დაღუპვა გამოიწვიონ. ტერორის საფრთხე ზენაციონალური ანტიტერორისტული ძალების შექმნას საჭიროებს.

1. პოლიტიკურ გლობალურ პრობლემებს მიაკუთვნებენ მშვიდობის — განიარაღების — დემილიტარიზაციისა და კონვერსიის, ლოკალური კონფლიქტების და ომების, აგრეთვე საერთაშორისო ტერორიზმის პრობლემებს.

2. XX ს-ის დამდეგის გლობალიზაციისგან განსხვავდებით, XXI ს-ის დამდეგს ძირითადი გლობალური პრობლემების მშვიდობიანი გადაწყვეტისათვის საკმარისი ძალები უკვე არსებობს.

3. ახალი ინდივიდუალური შეიარაღების გაჩენამ ძალზე გაართულა სახელმწიფოთა ბრძოლა მეამბოხეებთან და ტერორისტებთან. ურჩ ქვეყნებსა და ტერორისტულ ჯგუფებს წინააღმდეგობას უნდა უწევდნენ ზესახელმწიფოებრივი ანტიტერორისტული ორგანიზაციები.

14. 3. გლობალური ეკონომიკური პრობლემები

როგორც არაერთხელ გაესვა ხაზი, თანამედროვეობის ძირითად ეკონომიკურ გლობალურ პრობლემას *ტრანსეროვნული კაპიტალისა და ეროვნული სახელმწიფოების დაპირისპირება* წარმოადგენს. ეს პრობლემა წინა თავებში გულდასმით იყო განხილული. თუმცაღა რომ გვახსოვდეს იგი, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური გლობალური პრობლემა, უდავოდ, აუცილებელია.

თანამედროვეობის დამახასიათებელი ნიშანი გახდა ხელისუფლებისათვის ბრძოლის სიმძიმის ცენტრის გადატანა ეკონომიკურ სფეროში. *პრობლემები, რომლებიც საუკუნეობით იარაღის ძალით წყდებოდა, ბოლოს და ბოლოს ფინანსებისა და ინფორმაციის საფუძველზე წყდება. ეკო-*

ნომიკურმა ომებმა ბევრად შეცვალა ჩვეულებრივი. დაახლოებით ნახევარი საუკუნის წინ გერმანია ჩეხოსლოვაკიაში იმიტომ შეიჭრა, რომ გაეფართოვებინა საკუთარ კორპორაციათა ეკონომიკური ძალაუფლება და თავის სამსახურში ჩაეყენებინა შესანიშნავი ჩეხური მრეწველობა. ახლა კი, სულ რაღაც რამდენიმე წელიწადში ჩეხეთის ყველაზე მიმზიდველი საწარმოები, ისევე როგორც მრავალი სხვა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყანა, გერმანული ტეკ-ის საკუთრებაში აბსოლუტურად უსისხლოდ გადავიდა. საკითხი ძალაუფლების შესახებ, საუკუნეობით რომ წყდებოდა პოლიტიკური და სამხედრო მეთოდით, სულ უფრო მეტად დგება ეკონომიკურ სიბრტყეში. ძალა, რომელიც მსოფლიოში ბატონობდა ნაპოლეონის მიერ განდიდებული „დიდი ბატალიონების" მეშვეობით, დღეს ფინანსების, ბანკებისა და ტეკ-ების სიმძლავრით ვლინდება. აღმოჩნდა, რომ სახელმწიფოები, რომლებიც მთელი ისტორიის განმავლობაში ტერიტორიების და რესურსების დაპყრობის მიზნით უსასრულო ომებს აწარმოებდნენ, ძალისა და ძალაუფლების მოსაპოვებლად, უკვე აღარაა ელიტარულ ჯგუფთა და ერთა ერთადერთი წყარო. იმავე მიზნებს შეიძლება ბევრად უფრო წარმატებით მიაღწიო ტეკ-ების მიერ განხორციელებული ეკონომიკური ექსპანსიის გზით. ამიტომ, ალბათ, საჭიროა მხოლოდ მივესალმოთ იმას, რომ ბაზრებისათვის ბრძოლა სამხედრო-პოლიტიკურიდან მკაცრ, მაგრამ ყოველ შემთხვევაში უსისხლო ეკონომიკურ სფეროში გადავიდა.

უმნიშვნელოვანეს გლობალურ ეკონომიკურ პრობლემად იქცა *განვითარებადი ქვეყნების ჩამორჩენილობის ზრდის პრობლემა*. პარადოქსულია, რომ დღეს გაბატონებული ეკონომიკური თეორიების შესაბამისად, განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების ჯგუფებს შორის განსხვავება უნდა მცირდებოდეს. მართლაც, ისე ჩანს, თითქოს განვითარებადი ქვეყნებისათვის იოლია ახალი ტექნიკისა და სამრეწველო ტექნოლოგიების გამოყენება, ვიდრე სამრეწველო თვალსაზრისით განვითარებული ქვეყნებისათვის ასეთი ტექნიკის შექმნა და ტექნოლოგიების შემუშავება. იდეის მიხედვით, კაპიტალი, პროფესიული უნარ-ჩვევები და ცოდნა უნდა გადაედინებოდეს მდიდარი ქვეყნებიდან, სადაც ეს რესურსები ჭარბია, ღარიბ ქვეყნებში, სადაც ისინი არ კმარა და სადაც ისინი კიდევ უფრო პროდუქტიული იქნებოდა.

თუმცა რეალური განვითარება არ ცდილობს ჯიუტად ჩაჯდეს იმ ჩარჩოებში, რომლებიც ტრადიციული ეკონომიკური თეორიებითაა გათვალისწინებული. თუკი პირობითად დავყოფთ ყველა ქვეყანას სამ ნაწილად ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის საშუალო დონის მიხედვით, მაშინ ზედა, ყველაზე მდიდარი ნაწილი გვიჩვენებს ბოლო ათწლეულების განმავლობაში ამ მაჩვენებლის მდგრად ზრდას (სურ. 14.2.). 1970 წლიდან მოსახლეობის ერთ

სულზე ამ ჯგუფების ქვეყნებისთვის მშპ 11-დან 20 ათას დოლარამდე, ხოლო ქვედა ორ მესამედში ქვეყნების შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე უმდიდრესი ქვეყნების ზედა მესამედის მოსახლეობის შემოსავლებთან მიმართებაში სტაბილურად მცირდება.



წყარო: მსოფლიო განვითარების მაჩვენებლები 1999 წლისათვის. მსოფლიო ბანკი. — მოსკოვი: მთელი მსოფლიო, 2000.

სურ. 14. 2. მდიდარი და ღარიბი ქვეყნების შემოსავალთა შორის სხვაობის ზრდა.

საშუალო მესამედში ერთ სულ მოსახლეზე მშპ ზედა მესამედის ქვეყნების შემოსავლის 12,5-დან 11,4%-მდე დაეცა, ხოლო ქვეყნების ულარიბესი მესამედისათვის ამ სტატისტიკამ შეადგინა შესაბამისად — 3,1 და 1,9%. კაცმა რომ თქვას, მდიდარი ქვეყნები უფრო სწრაფი ტემპებით ვითარდებოდნენ, ვიდრე ღარიბი ჯერ კიდევ XIX ს-ის შუა ხანებიდან — სამრეწველო რევოლუციის დროიდან. მსოფლიო ბანკის შეფასებები გვიჩვენებს, რომ 1870-1985 წლების პერიოდისათვის შემოსავლებს შორის თანაფარდობა ერთ სულ მოსახლეზე უმდიდრეს და ულარიბეს ქვეყნებში 6-ჯერ გაიზარდა. ასე რომ, განსხვავება ცხოვრების დონეებში მუდმივად და საკმაოდ სწრაფად იზრდება. მაშ რა ხდება და რას ვერ ითვალისწინებს ტრადიციული თეორიები?

მიზეზი რამდენიმეა. პირველი, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჩამოყალიბებული და განვითარებული ქვეყნების მიერ მხარდაჭერილი არსებითი დისპარიტეტი ფასთა შორის განვითარებული ქვეყნების მაღალტექნოლოგიურ პროდუქციასა და უმეტესი განვითარებადი ქვეყნების დაბალტექნოლოგიური პროდუქციასა ან ნედლეულზე. მაგალითად, ნავთობი პრაქტიკულად არ გაძვირებულა ენერგეტიკული კრიზისის დროიდან, თუ არ გავითვალისწინებთ ინფლაციურ ეფექტებს. ტექნოლოგიები, „ნოუ ჰაუ" და მაღალტექნოლოგიური საქონელი კი, რომელსაც განვითარებული ქვეყნები ყიდიან, რამდენჯერმე გაძვირდა. განვითარებული ქვეყნების მშპ-ის უკვე 70%-ზე მეტი ძვირადღირებული მომსახურებისგან შედგება, რომლის სტრუქტურაში ფინანსური ოპერაციები და საინფორმაციო მომსახურება დომინირებს.

განვითარებადი ქვეყნების ექსპორტის ტიპიური სტრუქტურა ინდოეთის მაგალითზე წარმოდგენილია სურათზე 14. 3.[1]



1 — ნედლეული

2 — დაბალი და საშუალოტექნოლოგიური პროდუქცია

3 — მაღალტექნოლოგიური პროდუქცია

სურ. 14.3. ინდოეთის ექსპორტის სტრუქტურა

მეორე, ინფორმაციას გააჩნია უნიკალური თვისება — მოახდინოს ახალი ინფორმაციის პროდუცირება. ისევე როგორც ცნობილ ანდაზაშია: „ქონებავ, სად მიხვალ? სადაც ბევრიაო", ინფორმაციაც იზიდავს ახალ ინ-

1. იხ.: Доклад о мировом развитии 1999/2000 года. Всемирный банк. - М.: Весь мир, 2000.

ფორმაციას. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ ფული და ფინანსები ასევე საინფორმაციო რესურსის თავისებური ფორმაა. ამიტომ განვითარებული ქვეყნები, რომლებიც თავს უყრიან უზარმაზარ საინფორმაციო და ინტელექტუალურ კაპიტალს, წარმატებით ამრავლებენ მას, რითაც საკმაოდ ჩამოიტოვებენ განვითარებად ქვეყნებს. გარდა ამისა, ამ სფეროში წარმატებით მუშაობს „ინტელექტუალური ტუმბო", რომელიც ყველაზე ნიჭიერ ადამიანებს განვითარებადი ქვეყნებიდან განვითარებულში იზიდავს, სადაც ცხოვრებისა და მუშაობისათვის ბევრად უკეთესი პირობებია.

მესამე, ტრადიციულ ეკონომიკურ თეორიებში სუსტადაა გათვალისწინებული ცივილიზაციური და ინსტიტუციური რესურსების გავლენა ეკონომიკის განვითარებაზე. უმეტესი განვითარებადი ქვეყანა ჯერჯერობით არ ფლობს აუცილებელ ცივილიზაციურ რესურსებსა და არაფორმალურ ინსტიტუტებს (ჩვეულებებს, საქმიანი ბრუნვის ტრადიციებს), რომელთაც შეეძლებათ მოიზიდონ ქვეყანაში ინვესტიციები და წარმატებით განავითარონ ინოვაციური კომბლექსი.

იმ განვითარებად ქვეყნებში, სადაც აუცილებელი ცივილიზაციური და ინსტიტუციური რესურსები არსებობს, უცხოური ინვესტიციები შეუწყვეტლივ მიდის. ყველა პირდაპირი უცხოური ინვესტიციის (პუი) ლომის წილს ღებულობს შედარებით ცოტა ქვეყანა, რომელთა შორისაა ჩინეთი, ბრაზილია, ინდონეზია, მალაიზია, მექსიკა და ტაილანდი. სხვათა შორის, შეგახსენებთ, რომ ყველა განვითარებად ქვეყანაზე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაახლოებით 30%, მოდის 70% კი განვითარებულ ქვეყნებში მიდის. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ცხოვრება განვითარებად ქვეყნებში არ უმჯობესდება. ბოლო 40 წლის განმავლობაში იქ ერთ სულ მოსახლეზე მშპ საშუალოდ წელიწადში 2,3%-ით იზრდება. 72-ე წესის თანახმად, ეს მაჩვენებელი გაორმაგდება 72 2,3 = 31 წელში. თუმცა მხოლოდ ახლო აღმოსავლეთის ნავთობით მდიდარ ქვეყნებში და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში მოხერხდა განვითარებული ქვეყნების ცხოვრების დონესთან შეფარდებით განსხვავების რეალურად და მნიშვნელოვნად შემცირება. აღვნიშნავთ, რომ აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში არ მისდევდნენ ლიბერალური ეკონომიკის ბევრ პრინციპს, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე მშპ 2000 წლისათვის მრავალჯერ აჭარბებდა ნახევარი საუკუნის წინათ არსებულ სიმაღლის მაჩვენებელს, ისევე როგორც ანალოგიური მაჩვენებლები იმ ქვეყნებისა, რომლებიც საერთაშორისო ორგანიზაციათა ლიბერალურ რეკომენდაციებს მისდევდნენ.

განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობამ ამ წლების განმავლობაში არა მარტო შეამცირა განსხვავება ცხოვრების დონეებში, არამედ მნიშვნელოვნად გაზარდა კიდეც. ამასთან, საქმე ის კი არაა, რომ განვითარების

სტრატეგია არასწორად იქნა არჩეული. მაგალითად, აფრიკის მრავალ ქვეყანაში რეალიზებულ იქნა რაციონალური მაკროეკონომიკური პროგრამები, რომლებმაც წარმატება მოიტანა სხვა რეგიონებში, მაგრამ ამასთან ზრდამ წელიწადში მხოლოდ 0,5% შეადგინა.[1]

აი, კიდევ ერთი მაგალითი. 1994 წლის ზაფხულში მექსიკა იყო ქვეყანა, სადაც ყველაფერი სწორად მიმდინარეობდა — მან მოახდინა თავისი ბიუჯეტის დაბალანსება, ათასზე მეტი სახელმწიფო კომპანია იქნა პრივატიზებული, შეიკვეცა სახელმწიფო რეგულირება, იგი შევიდა თავისუფალი ვაჭრობის ჩრდილოამერიკულ ზონაში (NAFTA) და დათანხმდა მკვეთრად შეემცირებინა საბაჟო ტარიფები და კვოტები. ქვეყანაში დაიძრა კერძო კაპიტალი. პრეზიდენტი კარლოს სალინასი გმირი გახდა, მისი პორტრეტები ყველა ჟურნალის გარეკანს ამშვენებდა. მაგრამ ექვსი თვის შემდეგ მექსიკა ნანგრევებად იქცა. 1995 წლის აპრილისათვის სამუშაო დაკარგა 500 ათასმა მექსიკელმა მშენებელმა და კიდევ 250 ათასი ამასვე ელოდა. საშუალომყიდველობითი უნარი თითქმის 30%-მდე დაეცა. პრეზიდენტი სალინასი ისევ ჟურნალების გარეკანზე აღმოჩნდა, მაგრამ უკვე როგორც განდევნილი, არაკომპეტენტურობასა და კორუფციაში ბრალდებული, ეჭვმიტანილი ნარკომოვაჭრეებთან გარიგებებში, რომელმაც დაკარგა შანსი ემეთაურა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციისათვის. დღეს მექსიკის ეკონომიკა კრიზისიდან გამოვიდა. მაგრამ მაინც რჩება კითხვა, სალინასის პოლიტიკამ რატომ ვერ მიიყვანა ქვეყანა მიზანთან? ეს ხომ ზუსტად ის პოლიტიკა იყო, რომელსაც დაბეჯითებით ურჩევდნენ იმ ლიდერებს, რომლებიც საბაზრო ეკონომიკისაკენ ისწრაფვოდნენ.

როგორც ჩანს, აქ საქმე ამ პროგრამათა მისაღებად ქვეყნის მოუმზადებლობაშია, რადგან იქ ინტიტუციური და ცივილიზაციური ნაიდაგი თანამედროვე განვითარებისათვის არ არსებობს.

„ჩრდილოეთი—სამხრეთის“ პრობლემა — ესაა გზათა ძიება სულ უფრო გაღრმავებული უფსკრულის დასაძლევად მდიდარი „ოქროს მილიარდის“ ჩრდილოეთის ქვეყნებსა და უღარიბეს სამხრეთ ქვეყნებს შორის. როგორც ერთი, ისე მეორე დედამიწის მოსახლეობის დაახლოებით 20%-ს ფლობს. ამასთან, უმდიდრეს 20%-ზე მსოფლიოს მშპ-ის დაახლოებით 83% და მსოფლიო ვაჭრობის 82% მოდის, ხოლო უღარიბეს ქვეყანათა 20%-ზე — 1,4 და 1,0% შესაბამისად.

ეკონომიკური უთანასწორობა განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებს შორის ძლიერდება პირველთა ვალებით მეორეთა მიმართ. *სამრეს-*

---

1. იხ.: Доклад о мировом развитии 1999/2000 года. Всемирный банк. - М.: Весь мир, 2000.

შორისო ვალის პრობლემა განსაკუთრებით მძაფრი ბოლო წლებში გახდა. დღეს განვითარებადი ქვეყნების საერთო დავალიანება დაახლოებით 2 ტრლნ დოლარს შეადგენს. ბოლო 15 წლის განმავლობაში იგი 2-ჯერ გაიზარდა. ძირითად კრედიტორებს განვითარებული ქვეყნების მთავრობები, ტრანსეროვნული ბანკები და საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციები წარმოადგენენ.

ამ ვალების საშუალო პროცენტი 6-8%-ის ფარგლებში მერყეობს. ეს იმას ნიშნავს, რომ განვითარებადი ქვეყნები ყოველწლიურად უნდა იხდიდნენ არანაკლებ 120 მლრდ დოლარს მხოლოდ პროცენტებისათვის, ძირითადი ვალის შეუმცირებლად. ვინაიდან ეს ხშირად შეუძლებელია, ქვეყანა-მევალე იძულებული ხდება აიღოს ახალი კრედიტები იმისათვის, რომ გადაიხადოს პროცენტები. მაგალითად, რუსეთმა 90-იან წლებში ვალის დასაფარავად დაახლოებით 80 მლრდ დოლარი გადაიხადა, მაგრამ ამასთან ვალის თანხა მხოლოდ გაიზარდა.

მიიჩნევა, რომ თუ ქვეყანა ვალის მომსახურებაზე, ე. ი. ძირითადად პროცენტების გადახდაზე, წელიწადში მშპ-ის არანაკლებ 20%-ს ხარჯავს, მაშინ მისი მდგომარეობა არც ისე ცუდია. მაგრამ ბევრი ქვეყნებისათვის, მაგალითად, აფრიკისათვის ვალის მომსახურება ძვირი ჯდება. ამგვარივე სავალალო პერსპექტივა ელის რუსეთსაც.

განვითარებადი ქვეყნები, ბუნებრივია, ცდილობენ საერთაშორისო სესხების ჩამოყალიბებულ სისტემას გადახედონ და შეზღუდონ გადასახდელთა ზომები ვალების მიხედვით, უკავშირებენ რა მათ კონკრეტული ქვეყნის შესაძლებლობებს. გარე დავალიანების პრობლემათა დარეგულირების პროგრამა 80-იანი წლების ბოლოს 77 განვითარებადი ქვეყნის ჯგუფმა წამოსწია ისინი ითხოვდნენ პროცენტების შემცირებას სახელმწიფო სესხებზე, დავალიანების ჩამოწერას ქვეყნებისათვის, რომლებიც კრიტიკულ მდგომარეობაშია.

შეაფასა რა განვითარებადი ქვეყნების შეთანხმებული დეფოლტების სერიათა საფრთხე, განვითარებული ქვეყნები ნაწილობრივ დათმობაზე წავიდნენ და ბრეიდის გეგმა შესთავაზეს; ამ გეგმას აშშ-ის ფინანსთა მინისტრის სახელი ეწოდა. გეგმა ითვალისწინებდა საპროცენტო განაკვეთების შემცირებას, ვალის შეკვეცას, ტრანსეროვნული ბანკების (ტებ) სასესხო ვალდებულებათა გაცვლას უფრო მცირეზე, თუმცა განვითარებული ქვეყნების მიერ გარანტირებულ იბლიგაციებზე.

მთლიანობაში, საერთაშორისო ვალის პრობლემა გლობალურ პრობლემადაა აღიარებული და მის გადასაჭრელად მევალეთა, კრედიტორთა და საერთაშორისო ორგანიზაციათა ძალისხმევაა მიმართული. ყველაფერი დადის იქამდე, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აუცილებელია ვითარების გულდასმით შესწავლა და ხანგრძლივი მოლაპარაკებები.

დღეს საერთაშორისო ორგანიზაციები და განვითარებული ქვეყნები სიღარიბესთან საბრძოლველად ფართო კამპანიას ატარებენ, ეხმარებიან განვითარებად ქვეყნებს სასესხო ტვირთის შემცირებაში. განვითარებადი ქვეყნების ვალების ნაწილი ჩამოიწერება, ხოლო დანარჩენი ვალის რესტრუქტურიზაცია ხანგრძლივი ვადით ხდება.

აი, რას გირჩევდით დასამახსოვრებლად:

1. ძირითად გლობალურ ეკონომიკურ პრობლემებს წარმოადგენს დაპირისპირება ტრადიციულ კაპიტალსა და ეროვნულ სახელმწიფოებს, სახელმწიფოთაშორის ბლოკებს შორის, განსხვავების ზრდა განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების ცხოვრების დონეებს შორის, მძაფრი უთანასწორობის პრობლემა მდიდარ ჩრდილოეთსა და ღარიბ სამხრეთს შორის, აგრეთვე განვითარებადი ქვეყნების მზარდი ვალის პრობლემა.

2. განვითარებადი ქვეყნების ჩამორჩენილობა განპირობებულია: ფასთა დისპარიტეტით განვითარებული ქვეყნების მიერ გასაყიდ ძვირ ტექნოლოგიებს, მაღალტექნოლოგიურ პროდუქციასა და განვითარებადი ქვეყნების იაფ სანედლეულო და დაბალტექნოლოგიურ პროდუქციას შორის; პრაქტიკულად ყველა საინფორმაციო და ფინანსური რესურსის კონცენტრაციით განვითარებულ ქვეყნებში; მრავალ განვითარებად ქვეყანაში თანამედროვე განვითარებისათვის აუცილებელი ცივილიზაციური და ინსტიტუციური რესურსების უქონლობით.

14. 4. გლობალური სოციალური პრობლემები

გლობალური სოციალური პრობლემების უმრავლესობა ეკონომიკური პრობლემებიდან გამომდინარეობს. ყველაზე მძაფრი სოციალური კონფლიქტები, დროდადრო რომ გადმოიფრქვევა „ხავერდოვანი“ ან სისხლიანი რევოლუციების სახით, უკავშირდება შემოსავლებსა და ქონებაში არსებულ უთანასწორობას სხვადასხვა კლასსა და საზოგადოების ფენებს შორის. კლასობრივი ბრძოლა წარმოადგენს ძალაუფლებისათვის საყოველთაო ბრძოლის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს. ამგვარად, მარქსიზმი თავისი ყურადღების კონცენტრირებას მხოლოდ ერთმნიშვნელოვან, მაგრამ ამ ბრძოლის არა ერთადერთ ფორმაზე ახდენდა.

შემოსავლებში უთანასწორობა ობიექტურად მრავალი ფაქტორით ჩნდება. უპირველეს ყოვლისა, ადამიანები, როგორც ჩანს, ძალიან განსხვავდებიან ბუნებრივი ტალანტის, შრომისუნარიანობის, მუყაითობის და ა. შ. მიხედვით. თავად ბუნება დებს სოციალური უთანაბრობის საფუძ-

ვლებს. მაგალითად, სოციოლოგთა აზრით, ადამიანთა მხოლოდ 15%-ს გააჩნია კერძო მეწარმეობის უნარი და მზადაა თავისთავზე აიღოს მასთან დაკავშირებული რისკი. მოსახლეობის კიდევ უფრო ნაკლებ პროცენტს ძალუძს სისტემური პროგრამირება.

თანამედროვე გამოკვლევებმა დაბეჯითებით უარყო ამდენი ბოროტების მომტანი მითები ეროვნულ და რასობრივ უპირატესობაზე. თუმცა რეალური ეროვნული სხვაობანი როგორც ცივილიზაციური, ასევე წმინდა ფიზიკური ხასიათისა უდავოდ არის, ამისათვის საკმარისია შევხედოთ აშშ-ს პროფესიონალ კალათბურთელთა ეროვნულ შემადგენლობას. ეროვნულობას და მასთან დაკავშირებულ კულტურულოგიურ სხვა თავისებურებებს მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია შემოსავალთა დონეზე.

გარდა ამისა, ადამიანებს დაბადებისას უკვე გააჩნია სრულიად განსხვავებული ქონებრივი და სოციალური მდგომარეობა. შემდეგ ეს ვლინდება სხვადასხვაგვარ აღზრდაში, განათლებასა და კვალიფიკაციაში, რომლებიც უკვე არსებულ ქონებრივ უთანასწორობას აძლიერებს.

ამგვარად, ხალხი ეკონომიკური ძალაუფლებისათვის ბრძოლას იწყებს იმთავითვე უთანასწორო და შემდგომში კიდევ უფრო გაღრმავებულ პირობებში. ადამიანთა შრომას ანაზღაურებენ სხვადასხვაგვარად, რადგან მათი ტალანტი სხვადასხვანაირია, იმიტომ რომ მათ გააკეთეს უთანაბრო ინვესტიციები თავის კვალიფიკაციებში, იმიტომ, რომ ისინი ერთნაირად არ არიან დაინტერესებული თავისი დრო და ყურადღება დაუთმონ სამუშაოს, ვინაიდან მათ არათანაბარი შესაძლებლობები (თეთრები შავების წინააღმდეგ, ადამიანები კავშირებით კავშირების არმქონე ადამიანთა წინააღმდეგ) აქვთ და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, იმიტომ რომ მათ ერთნაირად როდი უმართლებთ.

გასაოცარია სხვა რამ. საბაზრო ეკონომიკური სისტემა ისეა მოწყობილი, რომ იგი თავდაპირველი უთანასწორობის მულტიპლიცირებას ახდენს. მაგალითად, IQ-ს (გონებრივი განვითარების კოეფიციენტის) განაწილება ძალიან შეკუმშულია შემოსავლის და სიმდიდრის განაწილებასთან შედარებით. შემოსავლების მიხედვით განაწილებისას მოსახლეობის ზედა 1% სიმდიდრის საერთო თანხის 40%-ს ღებულობს, მაგრამ ამ ადამიანებს არაფერი აქვთ საერთო გონებრივი განვითარების კოეფიციენტის საერთო თანხის 40%-თან. ხომ არ არსებობენ ადამიანები ამ კოეფიციენტის მნიშვნელობებით 1000-ჯერ მაღალი, ვიდრე სხვა ადამიანები.

შემოსავლის წარმოქმნის პროცესი მნიშვნელოვნად არაადიტიურია: თუკი ადამიანს აქვს 10%-იანი უპირატესობა, საშუალოსთან შედარებით, ორი შემოსავლის წარმომქმნელი მახასიათებლის მიხედვით, მაშინ მისი გამომუშავება ორჯერ მეტი იქნება, ვიდრე ადამიანის, რომელსაც იმავე

მახასიათებლებით მხოლოდ 5%-იანი უპირატესობა (10 10 = 100 — ოთხჯერ მეტია, ვიდრე 5 5 = 25) აქვს.

არსებობს ხელფასისა და ტალანტის სრულიად არაპირდაპირი თანაფარდობა. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ეს იმავე პროფესიულ კალათბურთში. თუკი გავზომავთ სხვაობებს რიგითი კალათბურთელებისა და ვარსკვლავების ძირითად მახასიათებლებში (სიმაღლის მიხედვით, ნახტომის სიმაღლით, სირბილის სისწრაფით, ჩაგდების პროცენტით), მაშინ ისინი ძალზე მცირე აღმოჩნდება. აი, შემოსავლებში სხვაობა კი კოლოსალურია. ასევე ყველა სხვა სახის საქმიანობაში — უმნიშვნელო სხვაობანი ტალანტებსა და შესაძლებლობებში შემოსავლებში უზარმაზარ სხვაობას ბადებს.

საბაზრო ეკონომიკაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება უნარს და ტალანტს, აღმოჩნდე საჭირო ადგილას საჭირო დროს. მოვიყვანთ კლასიკურ მაგალითს ბილ გეიტსზე — ყველაზე მდიდარ ადამიანზე მსოფლიოში. საინფორმაციო რევოლუციის გარიჟრაჟზე მის პაწია კომპანია „მაიკროსოფტს" გაუმართლა იმით, რომ პერსონალური კომპიუტერებისათვის საოპერაციო სისტემა ასეთივე პატარა გაკოტრებული კომპანიიდან ზუსტად იმ დროს იყიდა, როცა კომპიუტერული ბიზნესის გიგანტი კორპორაცია IBM ამგვარ სისტემას საჭიროებდა. აი, აქ კი IBM-მა თავისი ფანტასტიკური ეკონომიკური შეცდომა ჩაიდინა. იმის მაგივრად, რომ 2-3 თვეში საკუთარი საოპერაციო სისტემა დაეწერა, მან „მაიკროსოფტისაგან" იყიდა ის, რაც ახლა მთელი მსოფლიოსათვის ცნობილია MS-DOS-ის სახელწოდებით. ამასთან, ეს გააკეთა მან არაგანსაკუთრებულ საფუძველზე. ბილ გეიტსს ბედი ჰქონდა და ამით სარგებლობის ტალანტიც აღმოაჩნდა.

საბაზრო სისტემა სოციალური უთანასწორობის გენერირებას მუდმივად ახდენს. იგი მრავალჯერ აძლიერებს თავდაპირველად წარმოშობილ უთანაბრობას ტალანტებსა და უნარებში, ამრავლებს რა მათ იღბალზე. იგი ეკონომიკური ძალაუფლებისათვის ბრძოლის ყოველმხრივ სტიმულირებას ახდენს, რითაც გამარჯვებულს უზარმაზარ მოგებას ჰპირდება და აძლევს კიდეც.

ქონებრივი უთანასწორობა დროთა განმავლობაში არა მარტო სწორდება, არამედ მუდმივად იზრდება. მაგალითად, დღეს 475 მილიარდერის ქონება მსოფლიოს მოსახლეობის 50%-ზე მეტის, დაახლოებით 3 მლრდ ადამიანის ერთობლივი შემოსავლის ტოლია, და ეს სიმდიდრის დაგროვება დაჩქარებული ინტენსივობით გრძელდება. მარტო აშშ-ში მილიარდერთა რიცხვი 1982 წელს 13 კაციდან 1996 წლისათვის 149-მდე გაიზარდა, მას შემდეგ კი კიდევ უფრო მეტად.

გაეროს 1999 წლის მსოფლიო განვითარების შესახებ მოხსენების თანახმად, მსოფლიოში სამი ყველაზე მდიდარი ადამიანი ფლობდა საშუალებებს, რომელიც 48 უღარიბესი განვითარებადი ქვეყნის ერთობლივ მშპ-ს

აჭარბებდა, პლანეტის 15 უმდიდრესი ადამიანი ფლობდა იმაზე მეტ ქონებას, ვიდრე მთელი აფრიკული ქვეყნების მშპ, რომლებიც განლაგებულია საჰარიდან სამხრეთით, ხოლო 32 უმდიდრეს ადამიანს ჰქონდა იმაზე მეტი საშუალებები, ვიდრე სახრეთ აზიის მშპ-ს შეადგენდა. დედამიწის 84 უმდიდრესი ადამიანის ქონება აჭარბებდა ჩინეთის მშპ-ს მისი 1,2 მილიარდიანი მოსახლეობით.

იმავდროულად 4,4 მლრდ ადამიანიდან, რომლებიც განვითარებად ქვეყნებში ცხოვრობენ, თითქმის სამი მეხუთედი მოკლებულია ელემენტარულ სანიტარიულ პირობებს, ერთ მესამედს არ გააჩნია უსაფრთხო სასმელი წყალი, ხოლო ერთი მეოთხედი ცხოვრობს მიუღებელ საცხოვრებელ ბინებში, ამასთანავე ერთი მეხუთედი ნახევრად შიმშილობს და ადამიანთა ამდენივე ოდენობას არ გააჩნია საშუალება ისარგებლოს ჯანდაცვის მისაღები სისტემით.

1960 წლიდან 2000 წლამდე ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალში განსხვავება მსოფლიოს მოსახლეობის უმდიდრეს ერთ მეხუთედსა და მისი ნაწილის უღარიბეს მეხუთედს შორის გაიზარდა 2-ჯერ მეტად, პროპორციულად ეს მატება ასე გამოიხატა: 30 1 -დან 85 1 -მდე.

2000 წელს მსოფლიო მოსახლეობის უმდიდრესმა ერთმა მეხუთედმა მსოფლიო შემოსავლის 86% მიიღო, ხოლო უღარიბესმა მეხუთედმა ნაწილმა მხოლოდ — 1,3%. 1,3 მლნ ადამიანზე მეტი იძულებულია იარსებოს დღეში ამერიკულ 1 დოლარზე ნაკლებით. გაეროს მონაცემების თანახმად 147 ქვეყნიდან, რომლებიც ხასიათდება როგორც განვითარებადი, ბოლო 30 წლის განმავლობაში 100-მა „სერიოზული ეკონომიკური ვარდნა" განიცადა.

1997 წლიდან 1999 წლამდე ოთხასი უმდიდრესი ამერიკელის ქონებრივი მდგომარეობა Forbes 400 სიიდან საშუალოდ გაიზარდა 940 მლნ დოლარით თითოეულ ადამიანზე. თუმცა 12 წლის განმავლობაში — 1983 წლიდან 1995 წლამდე — ქვედა ოჯახების 40%-ის საერთო ქონება შემცირდა 80%-ით. Forbes 400-ის ერთობლივმა საერთო ქონებამ 1999 წლის სექტემბერში 1 ტრლნ დოლარი შეადგინა, 738 მლრდ დოლართან შედარებით ერთი წლით ადრე. ამ ზრდის მხოლოდ ერთი მეხუთედი — დაახლოებით 48 მლრდ დოლარი — საკმარისი იქნებოდა ყველა ამერიკელის ფეხზე დასაყენებლად, რომლებიც ოფიციალურად აღიარებულნი არიან ღარიბებად (მოსახლეობის დაახლოებით 15% და მთელი ბავშვების 25%), და იმყოფებიან სიღარიბის ზღვარსზევით.

სახელმწიფო რომ არა, საშუალო კლასი საერთოდ არ იქნებოდა. წმინდა არარეგულირებადი ბაზარი მიგვიყვანდა უკიდურეს საზოგადოების, სოციალურად საშიშ პოლარიზაციამდე. მაგრამ საზოგადოებრივი სისტემები

სახიფათო ცვლილებების წინააღმდეგ დაცვის მექანიზმებს გამოიმუშავებს, ზუსტად ისევე როგორც ცოცხალი ორგანიზმები გამოიმუშავებენ დაცვის მექანიზმებს დაავადებათა წინააღმდეგ.

სოციალურ აფეთქებათა და რევოლუციათა საფრთხემ, რომელმაც XX ს-ში მსოფლიო შეძრა, კაპიტალისტური საბაზრო სისტემის მხრიდან საპასუხო დაცვითი რეაქციები გამოიწვია, რომელიც სახელმწიფოს დაეხმარა. მდიდრები იმაზე ეშმაკნი აღმოჩდნენ, ვიდრე მარქსი ფიქრობდა. ისინი მიხვდნენ, რომ თავად მათი არსებობა ხანგრძლივი პერსპექტივით დამოკიდებულია რევოლუციურ სიტუაციათა აღკვეთაზე და მათ ისინი აღმოფხვრეს. ბისმარკმა, გერმანელმა კონსერვატორმა და არისტოკრატმა, XIX ს-ის 80-იან წლებში სიბერის სახელმწიფო პენსიები და სამედიცინო დაზღვევა გამოიგონა. უინსტონ ჩერჩილმა, ინგლისელი პერცოგის შვილმა, 1911 წლიდან უმუშევრობისგან პირველი ფართომასშტაბიანი სოციალური დაზღვევის სისტემა დააარსა. პრეზიდენტმა ფრანკლინ რუზველტმა, პატრიციული ოჯახის შთამომავალმა, საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო (social welfare state) შექმნა, რომელმაც კაპიტალიზმი იმ კატასტროფის შემდეგ გადაარჩინა, ამერიკაში რომ შეემთხვა.

მიუხედავად ამისა, საბაზრო სისტემისათვის დამახასიათებელი ფენების სოციალურად დაყოფის გაძლიერება გრძელდება. *დღეს რეალური ანაზღაურების დონე აშშ-ში თითქმის 7%-ით დაბალია, ვიდრე 1973 წელს.*

ამავე დროს 50-60-იან წლებში, ომის შემდგომ, შედარებით სტაბილიზებულ დასავლეთის ეკონომიკებში ფასებისა და ხელფასების კონტროლის გაუქმებისას ისეთი დიდი სხვაობა გასამრჯელოებში, როგორც 20-იან წლებში იყო, არ შეიმჩნეოდა. ეკონომისტები, რომლებიც სწავლობდნენ ხელფასთა განვითარებას იმ დროს, დიდი გაჭირვებით ცდილობდნენ აეხსნათ, თუ რატომ რჩებოდა ხელფასთა განაწილება უცვლელი ეკონომიკურ ცხოვრებაში ესოდენ შესამჩნევი ცვლილებებისას.

მაგრამ 1968 წელს უთანაბრობამ ზრდა დაიწყო, მოულოდნელად გადაადგილებული, ჩვეულებრივ უძრავი ყინულის მსგავსად. ორი შემდგომი ათწლეულის განმავლობაში უთანაბრობის ეს ტენდენცია იმდენად გავრცელდა და გაძლიერდა, რომ 90-იანი წლების დამდეგისათვის სხვაობამ შემოსავლებში — როგორც ჯგუფებს შორის, ისე თითოეული ჯგუფის შიგნით — სწრაფი ზრდა დაიწყო. ეს ხდებოდა ყველა სამრეწველო, საგანმანათლებლო, დემოგრაფიულ (ასაკი, სქესი, რასა) და გეოგრაფიულ ჯგუფებში. მამაკაცთა ჯგუფში, რომელსაც ეს პროცესი უფრო მეტად შეეხო, ორი ათწლეულის განმავლობაში უთანაბრობა ხელფასებში გაორმაგდა.

80-იანი წლების განმავლობაში მამაკაცების მთელი ხელფასის ნამატი ერგო სამუშაოა ძალის ზედა 20%-ს, ხოლო ამ ნამატის 64% მოვიდა

ზედა 1%-ის წილად. თუ ხელფასთა ნაცვლად შემოსავლებს განვიხილავთ, მაშინ აღსანიშნავია, რომ ზედა 1%-მა მიიღო კიდევ მეტი — მთელი გაზრდილი შემოსავლების[1] 90%. ამერიკულ კომპანიებში 500 ყველაზე მაღალანაზღაურებადი მმართველის საშუალო ხელფასი, ჟურნალ „ფორჩენის" მონაცემებით, 35-დან 157-მდე გაიზარდა. 1984 წლიდან 1992 წლამდე აღნიშნული კატეგორიის მმართველი პერსონალის ხელფასი გასამმაგდა საფრანგეთში, იტალიასა და ინგლისში, ხოლო გაორმაგდა — გერმანიაში. წარმოიშვა საზოგადოება, სადაც „ყველაფერი გამარჯვებულს ერგება".

ხელფასის ვარდნის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად განვითარებადი ქვეყნების დაბალანაზღაურებადი მუშების მხრიდან კონკურენციას მიიჩნევენ. ეს ძირითადად ტეკ-ების მექანიზმების მეშვეობით ხდება. გარდა ამისა, სულ უფრო დიდ როლს თამაშობს იმიგრანტთა კონკურენცია განვითარებადი ქვეყნებიდან. მაგალითად, 11 მლნ ლეგალურმა და არალეგალურმა იმიგრანტმა, რომლებიც ბოლო 10 წელიწადში აშშ-ში ჩავიდნენ, მნიშვნელოვანი კონკურენცია გაუწიეს ადგილობრივ მომუშავეებს. ადრე ეს ეხებოდა მხოლოდ დაბალკვალიფიციურ სამუშაოებს. მაგრამ ახლა ყოფილი სოციალისტური ქვეყნებიდან მეცნიერთა იმიგრაციისა და ინტერნეტის განვითარებასთან ერთად ანალოგიური პროცესები მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტებზეც ვრცელდება. ამჟამად უკვე შესაძლებელია დაიქირავო დასავლეთის მეცნიერის ტოლფასი კვალიფიკაციის მქონე ინდოელი პროგრამისტი ან რუსი მეცნიერი, რომელიც ამა თუ იმ დასავლური კომპანიისათვის სამუშაოს ბევრად ნაკლები თანხით შეასრულებს, ისე რომ ქვეყნიდან გასვლაც არ დასჭირდება; ინტერნეტით მიიღებს სამუშაოს და ამავე გზით ჩააბარებს შესრულებულს. ეს გარდაუვლად გააძლიერებს საერთაშორისო კონკურენციას ინტელექტუალური შრომის სფეროში და განვითარებული ქვეყნების მაღალკვალიფიციურ მუშაკების ხელფასის დაცემამდე მიგვიყვანს.

ხელფასის შედარებით შემცირების მეორე მნიშვნელოვანი მიზეზი 90-იან წლებში პროფკავშირებზე მეწარმეთა მიერ მოპოვებული გამარჯვებაა. მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა რ. რეიგანმა პროფკავშირში გაერთიანებული საჰაერო ტრანსპორტის ყველა ამერიკელი დისპეჩერი გაათავისუფლა, პროფკავშირებზე მეწარმეთა მძლავრი შეტევა დაიწყო. ამის შედეგად აშშ-ის მთელ სამუშაო ძალაში პროფკავშირის წევრთა რიცხვი 15%-მდე შემცირდა. დღეს ამერიკულმა პროფკავშირებმა პრაქტიკულად დაკარგა კონ-

1. იხ.: Доклад о мировом развитии 1999/2000 года. Всемирный банк. - М.: Весь мир, 2000. - с. 5.

ტროლის უნარი ხელფასზე და მოლაპარაკებებს შრომის პირობების შესახებ აღარ აწარმოებს.

ევროკავშირში პროფკავშირების წევრობა, თავდაპირველად უფრო მაღალი, ვიდრე აშშ-ში, ახლა ისევე სწრაფად მცირდება, როგორც ოკეანის მიღმა. თუკი ევროპულ კომპანიებს კომპრომისის მოძებნა თავის ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერ პროფკავშირებთან უჭირთ, მათ უბრალოდ წარმოება გადააქვთ საზღვარგარეთ. ასე, მოიქცა მაგალითად, „ბმვ“ და „მერსედესი“, რომლებმაც თავისი ქარხნების აშენება აშშ-ში დაიწყეს. ამასთან, მათ ორჯერ შეამცირეს თავისი დანახარჯები სამუშაო ძალაზე.

საფრანგეთში ხელფასის მინიმუმი სამუშაო კვირის 39 საათის განმავლობაში თვეში 1215 დოლარს შეადგენს, დამატებით კიდევ 40%, რომელიც სოციალურ ხარჯებზე მიდის. სოციალურმა კანონმდებლობამ, რომელმაც შექმნა ამგვარი ხელფასები სხვა სოციალურ ზომებთან ერთად, ევროპაში ფრიად შეკუმშული ხელფასის განაწილების ეკონომიკური სისტემები გამოიმუშავა, სადაც სამუშაო ძალის დაბალი დეცილი 80%-ით მეტს გამოიმუშავებს, ვიდრე აშშ-ში სამუშაო ძალის დაბალი დეცილი. ამის შედეგად, მთელი რიგი წარმოებები და მომსახურებანი დაბალი ხელფასებით, რომლებიც აშშ-ში არსებობს და ფართოვდება, ევროპაში აღარ არის.

როდესაც აზიელები სამუშაო ასაკის ადამიანებისათვის სოციალური უზრუნველყოფის ევროპულ სისტემაზე წერენ, ისინი უნდობლობას უცხადებენ მას. უბრალოდ მათ ამის დაჯერება არ შეუძლიათ. ხუთკვირიანი შვებულება! საშობაო თვიური დანამატი! ხელფასის 80% დახმარების სახით უმუშევრობაზე! მათი უნდობლობა ერთ-ერთი მიზეზია იმისა, რომ ამ სისტემას არ შეუძლია არსებობა. ფირმებს შეუძლიათ გადაადგილება შორეულ აღმოსავლეთში, თანაც ისე, რომ ყველა ამ ევროპულ საშეღავათო გადასახადს თავს არიდებენ.

(შრომის ბაზარზე მუდმივ ზეწოლას ახდენს უმუშევრობა. უმუშევრობის განსაზღვრული დონე ეკონომიკისათვის სასარგებლოა, რადგან მასტიმულირებელ გავლენას ახდენს მომუშავეებზე. დასაქმების დონე მჭიდროდაა დაკავშირებული ინფლაციის დონესთან. მაღალი ინფლაციის დროს ეკონომიკა „ხურდება“, ივსება ფულით და დასაქმების დონე მატულობს. ჩვეულებრივ, ორი უკიდურესობიდან — ინფლაციის ზრდა ან უმუშევრობა — საჭიროა ავირჩიოთ ერთ-ერთი. თანამედროვე მსოფლიომ ამოირჩია დაბალი ინფლაცია და იმისათვის, რომ გაუმკლავდეს მას, სავსებით შეგნებულად შეამცირა მსოფლიო ეკონომიკის ზრდის ტემპები — 5%-დან 70-იან წლებში დაახლოებით 2%-მდე 90-იან წლებში. ამასთან უმუშევრობის დონე, რა თქმა უნდა, საკმაოდ დიდი რჩება.)

ამავე დროს ლიბერალურ აშშ-ში და სოციალურად ორიენტირებულ დასავლეთევროპულ ქვეყნებში უმუშევრობას რიგი ძლიერი განსხვავებები

გააჩნია. უმუშევრობის გამო დახმარებათა გულუხვი სისტემა ევროკავშირის ქვეყნებში სამუშაოს ძიების სტიმულირებას არ ახდენს.

საბოლოო ჯამში: ევროპაში მომუშავეთა პროცენტი მცირე აღმოჩნდება, ვიდრე აშშ-ში. მთლიანობაში სამუშაო ასაკის ადამიანთაგან აშშ-ში 77% მუშაობს, ხოლო ევროპაში მხოლოდ 67%. მართალია, ევროპელები ხუმრობენ, რომ აშშ-ში იმიტომაა შედარებით ნაკლები უმუშევრობა, რომ იქ საპატიმროებში 1 მლნ კაცზე მეტი ზისო.

ევროპელი უმუშევრები უმუშევრად რჩებიან იმდენად დიდხანს, რომ სწორი იქნებოდა ისინი განგვეხილა არა როგორც უმუშევრები, არამედ გარიყულები, უბრალოდ საწარმოო პროცესიდან განდევნილნი. საფრანგეთში უმუშევართა 39%-ს არა აქვს სამუშაო უკვე წელზე მეტი; გერმანიაში ხანგრძლივი უმუშევრობა საერთო უმუშევრობის 46%-ს შეადგენს; ირლანდიაში ეს წილი 60%-მდე დადის. აი, ამერიკაში კი მუშათა მხოლოდ 11%-ს არა აქვს სამუშაო უკვე წელზე მეტი.[1]

გარდა ამისა, ევროპაში უმუშევრობა განსაკუთრებით მაღალია ახალგაზრდებს შორის. ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში ახალგაზრდა ადამიანთა 60%-ზე მეტს, რომელთაც სკოლა დაამთავრეს, სამუშაო არ გააჩნია.

ევროპაში უმუშევრობის პრობლემა სამუშაო ადგილების დაკარგვით როდი იქმნება. აშშ 80-იან წლებში ყოველთვიურად სამუშაო ადგილის 2%-ს კარგავდა, მაშინ როცა ევროპა — მხოლოდ 0,4%-ს. პრობლემა იქმნება იმით, რომ სამუშაო ადგილის რიცხვი არ იზრდება. ამავე დროს ევროპაში 1973 წლიდან 1999 წლამდე არ შექმნილა ახალი სამუშაო ადგილები, შეერთებული შტატების ეკონომიკაში კი 45 მლნ-ზე მეტი ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნა.

საქმის ამგვარი მდგომარეობის მიზეზები ნათელია. ანტიინფლაციურმა პოლიტიკამ შეზღუდულ ფულად პოლიტიკასთან მიგვიყვანა, რომელიც მაღალ უმუშევრობას მიზანმიმართულად უჭერს მხარს. ვინაიდან ადამიანები დიდხანს რჩებიან უმუშევრები, ისინი სულ უფრო ნაკლებ გავლენას ახდენენ ხელფასის ზრდაზე (რატომღაც ისინი კარგავენ სამუშაო გამოცდილებას და შრომით ჩვევებს, შესაბამისად კი სულ უფრო ნაკლებ კონკურენციას უწევენ მომუშავეებს), ზუსტად იმავე ანტიინფლაციური ეფექტების მისაღებად აუცილებელია უმუშევრობის სულ უფრო მაღალი დონე. უმუშევრობაზე გულუხვი დახმარებების გამო მუშები უხალისოდ ჰკიდებენ ხელს ახალ სამუშაოს და უარს აცხადებენ უფრო დაბალ ანაზღაურებაზე.

---

1. იხ.: Туроу Л. Будущее капитализма. - Новосибирск: Сибирский хронограф, 1999.

განვითარებული ქვეყნების კიდევ ერთი ჭირია *სილატაკე.* თვით ყველაზე განვითარებული ეკონომიკური სისტემები ისეთ ადამიანთა ტიპს ქმნის, რომელთაც მარქსი ლუმპენ-პროლეტარიატს უწოდებდა — ესენი არიან ადამიანები იმდენად დაბალი პოტენციური მწარმოებლურობით, რომ კერძო ეკონომიკა უარს აცხადებს მათი შრომა აანაზღაუროს, თუნდაც ოდნავ მიახლოებული ნორმალური ცხოვრებისათვის აუცილებელი თანხით. ჩვენს ეპოქაში მათ უსახლკაროებს ვეძახით; შეფასებების მიხედვით, აშშ-ში ეს დენადი მასა დაახლოებით 600 ათას ადამიანს შეადგენს, ხოლო მათ შემადგენლობაში 5 წელი თავისი ცხოვრების ესა თუ ის პერიოდი 7 მლნ-მა ადამიანმა დაჰყო.

შეერთებულ შტატებში უბინაობა 70-იანი წლების ბოლოს დაიწყო. თავდაპირველად სხვა სამრეწველო ქვეყნებში „უბინაობას" სპეციფიკურ მოვლენად მიიჩნევდნენ, რომელიც დაკავშირებული იყო ამერიკის სოციალური დაზღვევის სისტემის ნაკლოვანებებთან, მაგრამ ახლა უბინაობა გავრცელდა ყველა განვითარებულ ქვეყანაში. ფრანგების შეფასებით, საფრანგეთში 600 ათასიდან 800 ათასამდე უბინაოა.[1] მდიდარი სამრეწველო მსოფლიოს თითქმის ყოველ დიდ ქალაქში შეიძლება დავინახოთ ადამიანები, რომელთაც ქუჩებში სძინავთ — თვით ტოკიოს საიმპერატორო სასტუმროს წინ მდებარე პარკში, სადაც ტურისტები დარბიან იმპერატორის სასახლის გარშემო.

დაავადებათა გავრცელების პროგლემები და მათთან ბრძოლა ასევე გლობალური გახდა. სავსებით ნათელია, რომ გლობალურ სამყაროში ნებისმიერი ეპიდემია შეიძლება თავისუფლად გადაიზარდოს საერთოპლანეტურში. მთელ მსოფლიოში სწრაფი და თავისუფალი გადაადგილება ინფექციურ დაავადებათა გავრცელების დამატებით საფრთხეს ქმნის. მაგრამ მარტო ინფექციები როდი გახდა გლობალური. მეგაეკონომიკამ სასიცოცხლო პირობების და მრავალ დაავადებათა მიზეზის მსგავსება დაბადა მთელ მსოფლიოში. პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში არსებობს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების განვითარების მსგავსი სტრესული მიზეზები, საერთო კანცეროგენები, მსგავსი წანამძღვრები ფსიქიკურ დაავადებათა და ნარკომანიის გასავრცელებლად. ამიტომ როგორც ინფექციურ, ასევე არაინფექციურ დაავადებებს თანამედროვე მსოფლიოში აუცილებელია ვებრძოლოთ გლობალურად. გლობალურ საფრთხეებს ყოველთვის უნდა ჰქონდეს ადეკვატური პასუხები.

შეფარდებითი ზიანის შესაფასებლად, რომლებიც სხვადასხვა დაავადებას მოაქვს, შეიძლება გამოვიყენოთ ამჟამად მიღებული „დალი"-ს მეთოდიკა. მას საფუძვლად უდევს ცხოვრების წლების გამოთვლა, რომელსაც ადა-

---

1. Homeless in France/International Herald Tibune. D. 20, 1999.

მიანი კარგავს უდროო სიკვდილის ან შრომისუნარიანობის დაკარგვის გამო. „დალის“ მეთოდიკით შემდეგი სურათი მიიღება: ტრავმებზე მოდის „დალის“ შემთხვევათა 16%, ფსიქიკურ დაავადებებზე — 10%, გულ-სისხლძარღვთა, კიბოსა და სხვა არაინფექციურ დაავადებებზე — 10%, ვიჩ/შიდსსა და ტუბერკულოზზე — 7%. „დალის“ სერიოზული შემადგენლებია — ბავშვთა სნეულებები, რესპირატორული დაავადებები და ციება.[1]

ყველაზე საშიშ საფრთხეს წარმოადგენს შიდსი, რომლის წინააღმდეგაც ჯერჯერობით არაა ეფექტიანი წამლები. მის გავრცელებას პლანეტაზე განსაკუთრებით სახიფათო ხასიათი აქვს. მხოლოდ ამ ერთი დაავადების გამო აფრიკული ქვეყნების მშპ, სადაც შიდსი ყველაზე მეტადაა გავრცელებული, უახლეს ათწლეულებში შეიძლება 10-15%-ით შემციორდეს.

მუდმივად ჩნდება ტუბერკულოზის და შავი ჭირის გამომწვევთა ახალი შტამები, რომლებიც სამკურნალო პრეპარატებს წარმატებით უწევენ წინააღმდეგობას. ამავე დროს ბოლო წლებში ტუბერკულოზისგან ყოველწლიურად 2,7 მლრდ ადამიანზე მეტი კვდება. სიღარიბისა და ქალაქის სიახლოვეს ჭარბი მოსახლეობის გამო მსგავსი დაავადებები შეიძლება ძალიან სწრაფად გავრცელდეს, რაც რუსეთშიც შეინიშნება.

დაავადებათა პრობლემების გადაწყვეტისას დიდ იმედებს ჩვეულებრივ ახალ წამლებზე ამყარებენ. ადამიანის გენომეს გაშიფვრა იმედს გვაძლევს წარმატებით გადავჭრათ კიბოსა და შიდსის პრობლემა თვალმისაწვდომ პერსპექტივაში. და მაინც, მსოფლიო თანამეგობრობის ძირითადი ძალისხმევა უნდა იყოს მიმართული დაავადებების მიზეზთა აღმოფხვრისა და პროფილაქტიკური ზომების გატარებისაკენ.

ნარკომანია არა მარტო თავად წარმოადგენს საშიშ, ხშირად სასიკვდილო დაავადებას, არამედ იგი მრავალი სხვა ინფექციური დაავადების გავრცელების მიზეზიცაა, განსაკუთრებით კი შიდსისა. ნარკოტიკების პრობლემა გლობალურია. ნარკოტიკების გავრცელებით კარგად ორგანიზებული ნარკომაფიაა დაკავებული, რომლის ფინანსური სიმძლავრე მსხვილი სახელმწიფოების მშპ-ის ტოლია. ყველაზე საშიში შიდავენური ნარკოტიკების მოხმარება 126 ქვეყანაშია რეგისტრირებული. მხოლოდ 50 ქვეყანაში, ძირითადად მუსლიმანურ ქვეყნებში, მათ შორის აფრიკაში, ნარკოტიკებს არ იყენებენ შიდავენურად. „ვიჩ“-ინფექციების გავრცელება ნარკომანებს შორის 98 ქვეყანაშია რეგისტრირებული. ნარკოტიკების მოხმარება, ისევე როგორც „ვიჩ“-ინფექციების გავრცელება, განსაკუთრებით ბოლო ხუთ წელიწადში გაიზარდა. „ვიჩ“-ინფექციებით დასნებოვანების რის-

---

1. იხ.: Доклад о мировом развитии 1999/2000 года. Всемирный банк. - М.: Весь мир, 2000.

კის ძირითად ჯგუფს ყველგან ნარკომანები შეადგენს, განსაკუთრებით შპრიცების ერთობლივი მოხმარების გავრცელებული პრაქტიკის წყალობით.

ნარკომანიამ რუსეთში სახიფათო ზომებს მიაღწია. ბოლო ხუთ წელიწადში ნარკოტიკების მომხმარებელთა რაოდენობა ქვეყანაში დაახლოებით 3,5-ჯერ გაიზარდა და, სპეციალისტთა აზრით, შენარჩუნებული ტენდენციის პირობებში ნარკოტიკის მომხმარებელ პირთა რიცხვი რუსეთში უკვე 2001 წლისათვის შეიძლება 3 მლნ კაცს გადასცილდეს. ამგვარად, უპირველეს ყოვლისა, ნარკომანთა უმეტესობის ასაკობრივი კატეგორიის (13-25 წელი) გათვალისწინებით, *ფაქტობრივად საფრთხის ქვეშ ქვეყნის მთელი ახალი თაობა აღმოჩნდება.* რუსეთის საზოგადოების განსაკუთრებული შეშფოთება შეიძლება გამოიწვიოს იმ ფაქტმა, რომ ბოლო ათწლეულის განმავლობაში 6,5-ჯერ გაიზარდა ნარკოტიკის მომხმარებელ ქალთა რაოდენობა. ჯანმრთელობის სამინისტროს მონაცემებით, 1999 წლის დამდეგისათვის ნარკოტიკული საშუალებების ფსიქოტროპული და ძლიერმოქმედი ნივთიერებების არასამედიცინო მოხმარებისათვის სამედიცინო აღრიცხვაზე მთლიანობაში დაახლოებით 219 ათასი ადამიანი დაფიქსირდა, რომელთაგან დაახლოებით 39 ათასი არასრულწლოვანია და 25 ათასზე მეტი ქალია. განსაკუთრებით შემაშფოთებელია ნარკომანიის ზრდა მოსწავლეთა შორის, უპირველეს ყოვლისა, მსხვილ ქალაქებში, აგრეთვე სტუდენტურ გარემოში. ამ ნარკომანების რაოდენობა ბოლო ოთხი წლის განმავლობაში 6—8-ჯერ გაიზარდა. ბოლო მონაცემებით, სანკტ-პეტერბურგში ყოველი მეხუთე მოსწავლე უკვე გაეცნო ნარკოტიკებს, ხოლო მრავალი სკოლის უფროს კლასებში მოსწავლეთა მესამედი ნარკოტიკებს რეგულარულად მოიხმარს.

ნარკოტიკი საქონლის იდეალს წარმოადგენს, რომელიც თავად ქმნის მოთხოვნას. მას არ სჭირდება რეკლამა — ადამიანი, რომელიც მას ერთხელ გასინჯავს, უკვე ნარკომანი ხდება. ამიტომ თავისუფალი ბაზრის პირობებში ბრძოლა ნარკომანიასთან განსაკუთრებით ძნელია და კაცობრიობის მთელი ძალების გაერთიანებას საჭიროებს.

მეგაპოლისები — ქალაქები 5 მლნ კაცზე მეტი მოსახლეობით — თანამედროვე ეკონომიკის მნიშვნელოვანი ფენომენი გახდა. ცხოვრება იქ პლანეტის სხვადასხვა ბოლოში დაახლოებით ერთნაირად მიმდინარეობს და ეს ერთიანობა ხელს უწყობს მეგაპოლისების ახალი გლობალური ცივილიზაციების შექმნას.

ურბანიზაცია მთელ მსოფლიოში სწრაფად მიმდინარეობს. მეგაპოლისების ძირითადი ნაწილი თანდათანობით გადაადგილდება განვითარებად ქვეყნებში (სურ. 14. 4.).

როტომ ხდება ეკონომიკური მოღვაწეობის კონცენტრირება მეგაპოლისებში, სადაც ფასი მიწაზე 100-ჯერ და უფრო მეტად ძვირია, ვიდრე პატარა



სურ. 14. 4. მეგაპოლისების განაწილება განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის.

ქალაქებსა და დაბებში, რომლებიც მათგან 50-60 კმ-ზეა, ხოლო ცხოვრების ღირებულება ორჯერ ძვირია? საქმე ისაა, რომ მეგაპოლისებში მოღვაწეობას და ცხოვრებას რიგი მნიშვნელოვანი უპირატესობანი გააჩნია. სტატისტიკურად დამტკიცებულია, რომ ქალაქის მოსახლეობის გაორმაგებისას მასში დაფუძნებული კომპანიების მწარმოებლურობა და შემოსავალი 15%-ით იზრდება. მეგაპოლისებში ხელფასები ორჯერ მეტია, ვიდრე პატარა ქალაქებში და ოთხჯერ მაღალია, ვიდრე სოფლად.

აქ მნიშვნელოვან როლს თამაშობს ორი ძირითადი ეფექტი: ლოკალიზაციის და ურბანიზაციის. ლოკალიზაციის ეფექტი მდგომარეობს იმაში, რომ მეგაპოლისში ერთი დარგის მრავალი საწარმოს განთავსებისას ისინი ღებულობენ გამორჩენას, იმის მსგავსს, რომელიც მათ ექნებოდათ ერთ საწარმოდ გაერთიანების შემთხვევაში. ესე იგი ლოკალიზაციის ეფექტი ახლოსაა წარმოების კონცენტრაციის ეფექტთან. გარდა ამისა, მეგაპოლისის კომპანიები დამატებით გამორჩენას იღებენ ეკონომიკური საქმიანობის მრავალრიცხოვან სუბიექტებთან სიახლოვისა და გასაღების უზარმაზარი ბაზრების გამო. ამ დამატებითი გამორჩენის მიღებას ურბანიზაციის ეფექტს უწოდებენ. ბრაზილიის მასალებზე ჩატარებული გამოკვლევების

თანახმად, მარტო ურბანიზაციის ეფექტი წარმოების მოცულობის ზრდას თითქმის 15%-ით იწვევს.

მაგრამ ყველაფრისათვის საჭიროა გადახდა და მეგაპოლისები დიდ გამორჩენასთან ერთად დიდ პრობლემებსაც აწყდებიან. მათ შორისაა საცხოვრებელი ბინების, ქალაქის ტრანსპორტის, ინფრასტრუქტურის, დაავადებათა და ეკოლოგიის პრობლემები.

განსაკუთრებით მძაფრად დგას ეს პრობლემები განვითარებადი ქვეყნების მეგაპოლისებისათვის. მაგალითად, დელიში ბრონქიალური ასთმით ბავშვთა დაავადებების სიხშირე 5-დან 16-წლამდე 12%-ს შეადგენს და ამის მიზეზს მეგაპოლისში ჰაერის დაბინძურება წარმოადგენს. ბანგ-კოკში დაახლოებით 70 ათასს ბავშვს ემუქრება გონებრივი განვითარების კოეფიციენტის დაქვეითება 4 პუნქტით ატმოსფეროში ტყვიის შემცველობის სიჭარბის გამო. ტრანსპორტის საცობების შედეგად კი ზარალი იქ შეფასებულია წელიწადში 1 მლრდ დოლარად. მდინარე პასიგი, რომელმაც თავის დროზე დიდი როლი შეასრულა მანილაში დიდებული მცენარეული საფარის შექმნაში, ახლა მკვდარია.

ეს პრობლემები ყველა მეგაპოლისისათვის მსგავსია და ერთიან გადაწყვეტილებათა შემუშავებას საჭიროებს.

მაშ, რა დაგვანახა გლობალურ სოციალურ პრობლემათა ანალიზმა?

1. უთანაბრობა მსოფლიოში უდავოდ იზრდება. საზოგადოების პოლარიზაცია მატულობს. სიმდიდრის თავმოყრა ადამიანთა შედარებით მცირე ჯგუფებში ხდება.

2. თუმცა ეკონომიკის და საზოგადოების სწორედ ამგვარი ორგანიზაცია საშუალებას იძლევა მოვახდინოთ რესურსების კონცენტრაცია ყველაზე პერსპექტიული და ხელსაყრელი მიმართულებებით. მთელი მისი ხილული უსამართლობის მიუხედავად, ეკონომიკური ძალაუფლებებისათვის ბაზრის მიერ სტიმულირებულ ბრძოლას კაცობრიობა მიჰყავს საერთო პროგრესისაკენ. კაცობრიობის საერთო ეკონომიკური სიმძლავრე, აგრეთვე, მსოფლიოში მოსახლეობის ცხოვრების დონე და ხარისხი მთლიანობაში იზრდება სწორედ სასტიკი და უკომპრომისო ბრძოლის წყალობით ძალაუფლებისათვის, რომელიც საბაზრო სისტემითაა გამოწვეული.

3. ბაზრისათვის სოციალური პრობლემები უბრალოდ არ არსებობს, მაგრამ იმისათვის, რომ გადავარჩინოთ თავად საბაზრო სისტემა რევოლუციური კატაკლიზმებისაგან, სახელმწიფოებმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა თავის თავზე უნდა აიღონ საზოგადოების ყველა სოციალური და განსაკუთრებით, გლობალური სოციალური პრობლემის გადაწყვეტა.

თავი 15

მსოფლიო ეკონომიკის ეკოლოგიური, დემოგრაფიული და სასურსათო პრობლემები

ეკოლოგია — XXI ს-ის ცენტრალური პრობლემა. კლიმატის გლობალური დათბობა. ოზონის გლობალური პრობლემა. ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნების პრობლემა და ბრძოლა დაბინძურებასთან. მდგრადი განვითარების გლობალური რეგულირება და კონცეფცია. გლობალური დემოგრაფიული პრობლემა. სასურსათო და მასთან დაკავშირებული პრობლემები

თანამედროვე საუკუნეში ადამიანის
მსოფლმხედველობა ეკოლოგიიდან იწყება.
ნ. მოისეევი

გლობალურ პრობლემათა შორის ეკოლოგიურ, დემოგრაფიულ და სასურსათო პრობლემებს განსაკუთრებული ადგილი უკავია. ისინი მჭიდროდაა დაკავშირებული პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებთან, რომლებიც მე-14 თავში იყო განხილული, მაგრამ პრობლემათა განსაკუთრებულ ბლოკს ქმნიან, ყველაზე მჭიდროდ რომ ეხება ადამიანთა ცხოვრებას და მათ ურთიერმოქმედებას გარემოსთან.

15. 1. ეკოლოგია — XXI ს-ის ცენტრალური პრობლემა

ცივილიზაციის თანამედროვე კრიზისი კაცობრიობის თავისუფალი განვითარების 10 ათასი წლის შედეგი გახდა, როცა იგი თავად ქმნიდა თავის ისტორიას ისე, რომ არ გრძნობდა იმ დერეფანს, რომელსაც ბიოსფერო სთავაზობდა. მხოლოდ XX ს-ის დამდეგს განუწყვეტელი ექსპანსიის შედეგად კაცობრიობამ „დერეფნის" საზღვრებს მიაღწია.

მოულოდნელად აღმოჩნდა, რომ ადამიანს კარდინალურად შეუძლია ძირითადი ბიოსფერული მექანიზმების ფუნქციონირების შეცვ-

ვლა. მის ყოველ ელემენტს — წყალს, ჰაერს, ნახშირბადს, აზოტსა და ა. შ. — თავისი წრებრუნვა გააჩნია. ადამიანი ამ ელემენტებს თავისი მიზნებისათვის იყენებს და ბუნებრივ წრებრუნვებში იჭრება. XX ს-ში ამგვარი შეჭრა იმდენად მასშტაბური გახდა, რომ მნიშვნელოვნად შეცვალა ეს წრებრუნვები, სრულიად შეუსწავლელი და ალბათ საკმაოდ საშიში შედეგებით თავად ადამიანისათვის. დღეს კაცობრიობა 2000-ჯერ მეტ ორგანული წარმოშობის ნარჩენებს აწარმოებს, ვიდრე მთელი დანარჩენი ბიოსფერო. ნარჩენებში ან გამონაბოლქვებში იგულისხმება ნივთიერებები, რომლებიც სამუდამოდ ან ხანგრძლივად გამოდიან ნივთიერებათა ბუნებრივი წრებრუნვიდან. ბუნებრივია, ესოდენ მძლავრ ზემოქმედებას შეუძლია ბუნებრივი ციკლების და თავად კაცობრიობის სამკვიდრებელი გარემოს დანგრევა. XX ს-ის ბოლოსათვის ხმელეთის 63%-ზე უკვე დანგრეულ იქნა ბუნებრივი ეკოსისტემები და ადამიანი სულ უფრო აქტიურად იჭრება ოკეანის ბუნებრივ ეკოსისტემებში, ანადგურებს რა, პირველ რიგში, მათ ნახევრად ჩაკეტილ ზღვებსა და ზღვისპირა ზონებში.

ჩვენი დიდი თანამემამულის, ვ. ი. ვერნადსკის გამოთქმით, *კაცობრიობა გახდა „გეოლოგწარმომქმნელი“ ფაქტორი,* რომელსაც უნარი აქვს შეცვალოს დედამიწაზე გეოლოგიური ევოლუციის მსვლელობა. თანდათანობით ამ საფრთხეთა რეალურობა ნათელი გახდა მთელი მსოფლიო თანამეგობრობისათვის. წარმოიშვა ეკოლოგიის მეცნიერება.

დღეს ტერმინი *„ეკოლოგია“* სხვადასხვა საბაბით გამოიყენება. მაგალითად, ზოგჯერ საუბრობენ ცუდი ეკოლოგიის შესახებ, რაც ნაკლებადაა გააზრებული, ისევე როგორც, ვთქვათ, ცუდი ფიზიკა ან ალგებრა. ეს ტერმინი 1866 წელს ბიოლოგიის ჩარჩოებში წამოიშვა და მისი ავტორი ე. ჰეკელი იყო. თავდაპირველად ეკოლოგია განიხილებოდა როგორც ბიოლოგიის ნაწილი, რომელიც ცოცხალი ორგანიზმების ურთიერთქმედებას გარემოს მდგომარეობისდა მიხედვით სწავლობდა.

გერმანული სიტყვის „ეკოლოგიის“ ზუსტი თარგმანი ნიშნავს „საკუთარი სახლის შესწავლას“ („ეკო“ — ბერძნულად სახლია), ე.ი. ბიოსფეროსი, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ და რომლის ნაწილსაც წარმოვადგენთ. ფართო გაგებით, ეკოლოგია ცდილობს იმ სამყაროს კანონების შეცნობას, რომელშიც ადამიანი ცხოვრობს, ანუ ბიოსფეროსი, იმისათვის, რომ გამოიმუშაოს ადამიანისა და კაცობრიობის სიცოცხლისათვის, მის გადასარჩენად უსაფრთხო წესები. (ხშირად ეკოლოგიად მიიჩნევენ არა მარტო მეცნიერებას, არამედ მის ჩარჩოებში საკვლევ პრობლემებსაც).

ეკოლოგია და ეკონომიკა ძალზე ახლოსაა ერთმანეთთან ურთიერთდაკავშირებული, ტყუილად კი არაა ისინი წარმოშობილი ერთი ფუძესე-

ული სატყვიდან. ეკოლოგიის მიერ გამომუშავებული ცხოვრების წესები ან ინსტიტუტები ხომ ეფექტიანი მხოლოდ მაშინაა, როდესაც ეკონომიკური მექანიზმების სიცხადეს და ქმედითობას იძენს. მეორე მხრივ, ნებისმიერი მსხვილი ეკონომიკური გადაწყვეტილება თავისთავად უცილობლად იწვევს ეკოლოგიურ შედეგებს, რომლებიც გულდასმით უნდა იქნეს გაანალიზებული მისი მიღების წინ.

არანაკლებ ახლოსაა ეკოლოგიური და სოციალური პრობლემები. გარემოს დაბინძურების, სამკვიდრებელი გარემოს მდგრადობის გაუარესება უდავოდ იწვევს ცხოვრების ხარისხის გაუარესებას და საზოგადოების სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისა და ფენების ინტერესებს პირდაპირ ეხება. თუმცა ბოლო დროს „დაბინძურების" სრულიად ახალი ფორმები გაჩნდა. დაიწყო ადამიანის სულიერი სამყაროს რადიკალური „დაბინძურება". ცივილიზაციურმა ფასეულობებმა, ზოგადმა წარმოდგენებმა სიკეთესა და ბოროტებაზე, რომელმაც თანამედროვე ხალხებს აქამდე გააძლებინა, მასობრივი კულტურის ზეგავლენით ხრწნა იწყო. სულიერი სამყარო ხდება უხეში, პრიმიტიული. მიაღწია რა მან განვითარების მაქსიმუმს XIX ს-ის ბოლოს, ახლა თანდათან იწყო გაქრობა. პოპ-მუსიკა, ბულვარული ლიტერატურა, პორნოგრაფია, ვირტუალური და ჩვეულებრივი ნარკომანია, მშვენიერების გრძნობის დაკარგვა, რელიგიური და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის გაქრობა — ყოველივე ეს კარსმომდგარი ცივილიზაციური კრიზისის ნიშნებია. ამ მოვლენების მიმართ დაპირისპირებამ და შესწავლამ ეკოლოგიის კულტურის ან *ცივილიზაციის ეკოლოგიის* სახელწოდება მიიღო. დღეს ფართოდ და სავსებით დასაბუთებულად წარმოიშვა ცნება *„ადამიანის ეკოლოგია"*, რომელიც კულტურის ეკოლოგიას, სამრეწველო ეკოლოგიას, დიდი ქალაქებისა და სხვა პრობლემათა ეკოლოგიას მოიცავს.

ამგვარად, კლასიკური „ბიოლოგიური" ეკოლოგია მხოლოდ ნაწილია უფრო ზოგადი თანამედროვე ეკოლოგიისა, რომელიც ადამიანის ეკოლოგიას მოიცავს. როგორც ჩვენი მეორე დიდი თანამემამულე ნ. ნ. მოისეევი ამბობდა: „ეკოლოგია მსოფლმხედველობიდან" იწყება.[1]

კაცობრიობა თავისი ისტორიის ახალ ზღურბლს მიუახლოვდა, სადაც საწარმოო ძალათა სტიქიურმა განვითარებამ, მოსახლეობის არაკონტროლირებადმა ზრდამ და ინდივიდუალური ქცევის დისციპლინის უქონლობამ კაცობრიობა, ე. ი. ბიოლოგიური სახე homo sapiens, დაღუპვის ზღვრამდე შეიძლება მიიყვანოს. ჩვენ სიცოცხლის ახალი ორგანიზაციის, საზოგადო-

1. См.: Моисеев Н. Мировоззрение XXI века // Экология и жизнь - 1996. - N1.

ების ახალი ორგანიზაციის, ახალი მსოფლგაგების პრობლემების წინაშე ვდგავართ.

ჩვენ თავს „დედამიწის შვილებად" უნდა ვგრძნობდეთ და არა მის დამპყრობებად, სწორედ რომ შვილებად. ყველაფერი თავის ადგილას ბრუნდება, ჩვენ, მსგავსად ჩვენი შორეული კრომანიონელი წინაპრებისა, გამყინვარებამდელი პერიოდის მონადირეებისა, კვლავ უნდა აღვიქვათ საკუთარი თავი, როგორც გარემომცველი ბუნების ნაწილი. ჩვენ ისე უნდა ვეპყრობოდეთ ბუნებას, როგორც დედას, როგორც საკუთარ სახლს. მაგრამ არსებობს უზარმაზარი, პრინციპულად დიდი სხვაობა თანამედროვე საზოგადოების წევრ ადამიანსა და გამყინვარებამდელი პერიოდის ჩვენ წინაპარს შორის: ჩვენ გაგვაჩნია ცოდნა და შეგვიძლია დავუსახოთ თავს განვითარების მიზნები, ამასთანავე გვაქვს შესაძლებლობა მივყვეთ ამ მიზნებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩვენ გაგვაჩნია ისტორიული შანსი კვლავ გავხდეთ ბუნების შვილები, მაგრამ ისეთი შვილები, რომლებიც ფლობენ ცოდნას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ ამ ჩვენს სახლში ისე, რომ უფროსები არ გავაბრაზოთ.

ეკოლოგიური მსოფლმხედველობა საზოგადოების სხვადასხვა ფენაში თანდათანობით იჭრება და საყოველთაო ხდება. ამას, მაგალითად, მოწმობს იღბლიანი ამერიკელი მეწარმის, პოლ ჰოკენის, გამონათქვამი, რომელიც თავის ცნობილ წიგნში „კომერციის ეკოლოგია" წერს: „ჩვენ სამრეწველო ცივილიზაციის განვითარებაში არამდგრად და სახიფათო შემობრუნების წერტილს მივაღწიეთ... საქმიანმა ადამიანებმა ან განახლებადი საწარმოების სფეროში კომერციის გადატანის საქმეს უნდა უძღვნან თავი, ან მთელი საზოგადოება ერთბაშად მესაფლავესთან უნდა მიიყვანონ".

ეკოლოგიურ პრობლემათა მნიშვნელოვან ნაწილს გლობალური ხასიათი გააჩნია. ეს დაკავშირებული იმასთან, რომ ცალკეულ ქვეყნებს, პლანეტის რესურსების გონივრულად გამოყენება მხოლოდ ერთობლივად შეუძლიათ. დღეს ყველაზე დიდი სიმწვავე კლიმატის დათბობის, დედამიწის ოზონის ფენის შემცირების, ატმოსფეროსა და ოკეანის დაბინძურების გლობალურმა პრობლემებმა შეიძინა.

15. 2. კლიმატის გლობალური დათბობა

პლანეტის კლიმატი ელვისებური სისწრაფით იცვლება. კლიმატის გლობალური ცვლილებები ყოველთვის ხდებოდა. გამყინვარების პერიოდებს ძლიერი დათბობები ცვლიდა. ყოველივე ამას ბუნებრივი ხასიათი ჰქონდა. კლიმატის მნიშვნელოვანი ცვლილებები კაცობრიობის მეხსიერებაშიც ხდებოდა. მაგალითად, ხალხური დიდ გადასახლებასა და ჩინეთ-თათართა გადაადგილებას [illegible] ევრო[illegible] ერა ეკლიმატური ცვლილე-

ბებით ხსნის. XVII ს-დან XIX ს-ის ჩათვლით ბეიმჩნევა ე. წ. მცირე გამყინვარების პერიოდი — უფრო ცივი კლიმატის პერიოდი, წინასთან შედარებით. თუმცა არ აღინიშნებოდა კონტინენტური ყინულის ფარების წარმოქმნა, მაგრამ ალპებში პრაქტიკულად ყველა მყინვარის სიგრძე გაიზარდა. ისინი ქვევით, დაბლობებისაკენ დაიძრა და ზოგჯერ სოფლებამდეც აღწევდა, რომლებიც მყინვართა სიახლოვეს იყო. ზოგიერთ შემთხვევაში ადგილობრივ მკვიდრთ საკუთარი საცხოვრებლების დატოვება უხდებოდათ — მყინვარები ამ დასახლებებს ანადგურებდა.

საერთო საშუალოგლობალური აცივება არავის გამოუთვლია, მაშინ ამგვარ გაზომვებს ჯერ კიდევ არ ახდენდნენ, მაგრამ იგი, როგორც ჩანს, 2-3 გრადუსის ფარგლებში იყო.

შემდეგ მცირე გამყინვარების პერიოდი ბუნებრივი მიზეზების გამო, ადამიანის ზემოქმედების გარეშე დამთავრდა. ამის თარიღიც კი არსებობს — 1865 წელი, როდესაც შენიშნეს, რომ მყინვარებმა არამარტო შეწყვიტა ზრდა, არამედ დამოკლება დაიწყო კიდეც. სწორედ ამას მიიჩნევენ მცირე გამყინვარების პერიოდის დამთავრებად. თანდათან დაიწყო დათბობა, რომელიც 1940 წლამდე გრძელდებოდა. ეს შეიძლება ძალიან კარგად შევამჩნიოთ ჩრდილოეთ ნახევარსფეროში.

დათბობამ თავის მაქსიმუმს 1940 წლისათვის მიაღწია, შემდეგ კი ამოუცნობი მიზეზების გამო დაიწყო მეორე აცივება, რომელიც 1965 წლამდე გრძელდებოდა, ე. ი. საუკუნის მეოთხედი. საშუალო გლობალურმა ტემპერატურამ, რომელიც ახლა საკმაოდ უტყუარად განისაზღვრება, შეწყვიტა ზრდა და ცოტა შემცირდა კიდეც 0,1 გრადუსით.

1965 წლიდან მან კვლავ სწრაფად იწყო ზრდა. ეს ბოლო ზრდა, შესაძლებელია, დაკავშირებულია ადამიანის გავლენასთან, რასაც ვერ ვიტყვით დათბობის წინა პერიოდზე.

ამჟამად მიიჩნევენ, რომ აქ ძირითად როლს თამაშობს ანთროპოგენური გავლენა: ადამიანი წვავს სათბობს, რის შედეგადაც წარმოიქმნება ნახშირორჟანგის გაზი, რომელიც ატმოსფეროში ხვდება და ზრდის სასათბურე ეფექტს, ამის გამო ატმოსფეროს ქვედა ნაწილი თბილი ხდება. გამოთვლები გვიჩვენებს, რომ ნახშირორჟანგის გაზის გამოყოფა 1940 წლამდე იმდენად მცირე იყო, რომ საეჭვოა გავლენა მოეხდინა კლიმატზე. ახლა კი, როდესაც იგი მნიშვნელოვნად გაიზარდა, კლიმატის მერყეობის ბუნებრივ მიზეზებში დამატებითი წვლილი გაჩნდა.

ბოლო 100 წლის განმავლობაში ჰაერის მიწისპირა ფენის საშუალოგლობალური ტემპერატურა 0,6 გრადუსით გაიზარდა. ადამიანი არ გრძნობს ამგვარ სხვაობას. ჩვენ შევეჩვიეთ დღეღამურ რხევას 10-20 გრადუსის ამპლიტუდით, ამიტომ 0,6 გრადუსი სერიოზულ ცვლილებად არ გვეჩვენება.

თუმცა, მაგალითად, არქტიკის გამყინვარება — გლობალური ტემპერატურის 0,6 გრადუსით აწევის გამო — მნიშვნელოვნად შემცირდა. იგივე შეიძლება ითქვას მთიანი მყინვარების სიგრძეზე. ყოველივე ეს შედეგია, საშუალო გლობალური ტემპერატურის თითქოსდა უმნიშვნელო ცვლილებისა, თუმცა იგი ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმდინარეობდა.

XX საუკუნე ბოლო ექვსი საუკუნის განმავლობაში ყველაზე თბილი აღმოჩნდა, ხოლო ყველაზე თბილი თოთხმეტი წელი, დაწყებული 1860 წლიდან, აღნიშნულია ბოლო ორ ათწლეულში. 1998 წელს ტემპერატურამ საშუალო მნიშვნელობას გადააჭარბა, რომელიც აღნიშნულია მეტეოროლოგიური კვლევების 118 წლის განმავლობაში, თვით ელ-ნინიოზე შესწორებების მიხედვით. თანამგზავრული მონაცემები ადასტურებს ტემპერატურის ანალოგიურ აწევას ატმოსფეროს ზედა ფენებში. უფრო მეტიც, 80-იანი წლებიდან დაწყებული წყლის ტემპერატურა ჩრდილოეთით 45^{0}C-დან ზამთრის პერიოდში აიწია 0,5^{0}C-ით. ამის შედეგად, ზღვის ყინული დიდი თავთხელის სანაოსნო ხაზებზე ძალზე იშვიათად გვხვდება, ხოლო 1999 წელს, 1912 წელს „ტიტანიკის" კატასტროფის შემდეგ პირველად, საერთაშორისო ყინულოვანმა პატრულმა ვერ აღმოაჩინა ვერც ერთი აისბერგი 48 გრადუსიდან სამხრეთით. ატმოსფეროში ნახშირბადის ორჟანგის კონცენტრაცია 1760 წელს მილიონზე (ppm) 280 ნაწილით გაიზარდა, 1990 წელს კი 360-მდე და, როგორც ვარაუდობენ, 2100 წლისათვის შეიძლება 600 ppm-ს მიაღწიოს. ამის შედეგად, საშუალო ტემპერატურა ალბათ 2^{0}C-ით აიწევს. ატმოსფეროში ნახშირბადის ორჟანგის რაოდენობის ზრდის წყარო დღესდღეობით ზუსტად ისევე, როგორც ქლორფტორნახშირბადების შემცველის ზრდა, რომელიც ოზონის ფენას ფიტავს — მარტოოდენ ანთრპოგენული მოღვაწეობის შედეგია.

დათბობის მკვეთრად გამოხატულმა ტენდენციამ უახლეს მომავალში შეიძლება მიგვიყვანოს ეკოსისტემათა მდგომარეობისათვის სერიოზულ შედეგებამდე, ასევე აისახოს სამეურნეო წარმოებაზე, მსოფლიო ოკეანის დონეზე, სანაპირო ზოლის მთელი სიგრძის მდგომარეობაზე და მრავალ სხვაში. დღეს ეს ფაქტები ფართოდაა აღიარებული. უფრო სერიოზულადაა საქმე სხვა, მეორე საკითხის გაგებასთან: რამდენად ძლიერი მერყეობა ექნება ამინდს „გამთბარ" სამყაროში, კლიმატის ცვლილება რა ხასიათით იმოქმედებს სოფლის მეურნეობასა და ცხოვრების პირობებზე დედამიწის სხვადასხვა რეგიონში, როგორ ჩქარა მოხდება ეს ცვლილება და რანაირად გადავასახლოთ მოსახლეობა იმ ადგილებიდან, რომლებიც წყლით დაიფარება მსოფლიო ოკეანეებში წყლის დონის აწევის გამო, ისე როგორც, მაგალითად, ბანგლადეშში? ყველა ეს უცნობი სიდიდე კლიმატის ცვლილების ზემოქმედების გაზომვას ეკონომიკისათვის ძალზე რთულს ხდის.

მიუხედავად ამისა, ეს ზემოქმედება იქნება უზარმაზარი და, უპირველეს ყოვლისა, განვითარებად ქვეყნებზე აისახება.

ფართო საზოგადოებრივ შემეცნებაში განმტკიცდა ადამიანური საქმიანობის და კლიმატის ურთიერთქმედების უბრალო სქემა — ორგანული სათბობის დაწვის შედეგად წარმოქმნილი ნახშირორჟანგის გაზი ატმოსფეროში გროვდება და გამოსხივების ნაწილს აკავებს, რაც ტემპერატურის გაზრდას იწვევს (ეგრეთ წოდებული კვალსათბურის ეფექტი).

სინამდვილეში ყველაფერი არც ისე მარტივადაა. უპირველეს ყოვლისა, არამარტო CO_2-ს გააჩნია კვალსათბურის ეფექტის თვისება. ატმოსფეროში ძირითადი კვალსათბურის გაზი წყლის ორთქლია. მისი წვლილი კვალსათბურის ეფექტში დაახლოებით 70%-ია. კვალსათბურის გაზებს მიეკუთვნება მეთანი, აზოტის ქვეჟანგი, ფრეონი, ოზონი და სხვა გაზები, რომელთა არსებობა ატმოსფეროში ასევე შეიძლება იყოს განპირობებული ანთროპოგენური მიზეზებით.

გარდა ამისა, კლიმატის ცვლილებების მიზეზების ანალიზის დროს უნდა გავითვალისწინოთ უკვე ნახსენები ბუნებრივი პროცესები, რომლებიც ადამიანურ მოღვაწეობასთან დაკავშირებული არაა.

მნიშვნელოვანი აღმოჩნდება შემდეგი ფაქტორები:

1) ატმოსფეროს კვალსათბურის გაზების კონცენტრაცია;

2) ტროპოსფერული აეროზოლების კონცენტრაცია;

3) მზის მუდმივი ანუ სითბური ნაკადი, რომელიც მოდის მზიდან ტროპოსფეროს გარე საზღვარზე;

4) ვულკანური აქტიურობა, რომელიც სტრატოსფეროს გოგირდმჟავას აეროზოლებით გაჯერების ხარისხს განსაზღვრავს. ტროპოსფეროს აეროზოლისგან განსხვავებით, რომლის სიცოცხლის ხანგრძლივობა დაახლოებით 6 დღეა, სტრატოსფეროს აეროზოლი ხანგრძლივად სიცოცხლისუნარიანია — მისი სიცოცლის ხანგრძლივობა 5-7 წელს აღწევს;

5) ატმოსფერო—ოკეანის (ელ-ნინიოს მოვლენა) სისტემაში აპერიოდული რხევები, რომლებიც მეორდება დროის არარეგულარული შუალედებით, წყნარი ოკეანის გიგანტურ აკვატორიაში (სამხრეთ განედის 0-12; დასავლეთის გრძედის 180-80 და ზღვის წყლის ტემპერატურით (12^0C-მდე) მნიშვნელოვანი რჩება;

6) დედამიწის ორბიტის პარამეტრები (ექსცენტრისიტეტი, პრეცესია, დედამიწის ბრუნვის ღერძის დახრის კუთხე).

პირველი ორი ფაქტორის ცვლილება ბოლო ორასი წლის განმავლობაში ძირითადად გამოწვეულია ანთროპოგენური მოღვაწეობით და, პირველ რიგში, ორგანული სათბობის წვით. იმავდროულად ყველა დანარჩენ ფაქტორს გააჩნია მარტოოდენ ბუნებრივი წარმოშობა.

გლობალური კლიმატური ცვლილებები უდავოდ ყველა ქვეყანას შეეხება. თუმცა ერთნაირად როდი. მაგალითად, რუსეთისათვის კლიმატური ცვლილებები შეიძლება ხელსაყრელი აღმოჩნდეს. ზამთარი გახდება თბილი, გვალვა შემცირდება გაზაფხულის ბოლოსა და ზაფხულის დამდეგს. კლიმატი ნაკლებ კოტინენტური გახდება, რაც ხელსაყრელი იქნება სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის მრავალი დარგებისათვის.

ახლა ყველასთვის ცხადია, რომ კატასტროფულად სწრაფი კლიმატური ცვლილებების აღსაკვეთად აუცილებელია ერთობლივი მოქმედება კვალსათბურის გაზების გამონაბოლქვის შეზღუდვის მეშვეობით.

საერთაშორისო ხელშეკრულების დადება კლიმატის მინიმალურად შეცვლის მიზნით მრავალრიცხოვანი გარემოებების წყალობით ძნელდება. პირველ რიგში, უპირატესობათა მასშტაბი ნათელი არაა, რომლის მოცემაც მას შეუძლია, ცხადი არაა, რამდენად მოგვიხდება ადაპტირება, ხანგრძლივი ტენდენციების მნიშვნელოვანი გათანაბრებისათვის აუცილებელი ხარჯების ზღვებაც არავის სურს. გარდა ამისა, გამოითქმის შეფიქრიანება გამონაბოლქვის წესების შესრულების მონიტორინგისა და რეალური ავტორიტეტული სანქციების შემუშავებით ამგვარი შეთანხმებების შესრულების უზრუნველყოფის სიძნელეებთან დაკავშირებით. გარკვეულ როლს თამაშობს გამონაბოლქვთა გეოგრაფიაც. ენერგიის წარმოებასთან დაკავშირებული ნახშირბადის ორჟანგის გამონაბოლქვის 60% მრეწველობის მიხედვით განვითარებულ ქვეყნებზე მოდის. ამასთან, მარტო აშშ-ზე 1998 წელს გამონაბოლქვის 25% მოდიოდა. კორექტირებადი პოლიტიკის უქონლობის გამო უკვე 20 წლის შემდეგ განვითარებადი ქვეყნების მიერ გამონაბოლქვი გაზების წილი, რომელიც კვალსათბურის ეფექტს ქმნის, გაიზრდება. ამასთან 2015 წლისათვის ჩინეთი ამ მაჩვენებლის მიხედვით აშშ-ს გაასწრებს. 90-იანი წლების დამდეგამდე ძალიან ცოტა გაკეთდა შეთანხმების მომზადების თვალსაზრისით, რომელიც გაითვალისწინებდა როგორც განვითარებადი ქვეყნების, ასევე განვითარებული ქვეყნების ინტერესებს. კერძოდ, განვითარებადი ქვეყნები დაჟინებით მოითხოვდნენ, რომ, ვინაიდან კვალსათბურის ეფექტის შემქმნელი გაზები მდიდარ ქვეყნებში ინდუსტრიალიზაციის შედეგს წარმოადგენს, ამიტომ ისინი ვალდებულნი არიან თავის თავზე აიღონ აქედან გამომდინარე პრობლემები. გარდა ამისა, განვითარებად ქვეყნებს გაზების გამონაბოლქვისა და სხვა დამბინძურებელი ნივთიერებების გასაკონტროლებლად სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოების შექმნისას უამრავი წინააღმდეგობის გადალახვა მოუხდებათ.

მოხერხდა ორი საერთაშორისო ხელშეკრულების ხელმოწერა კვალსათბურის გაზების გამონაბოლქვთა შესამცირებლად, ერთი — 1992 წელს რიო-დე-ჟანეიროში, ხოლო მეორე — 1997 წელს ჩინეთში. პირველ ხელშეკრულებაში მრეწველობის მიხედვით განვითარებული ქვეყნები საკუთარ თავზე იღებდნენ ნებაყოფილობით ვალდებულებებს 2000 წლისათვის გამონაბოლქვთა დონის შესამცირებლად, რაც იურიდიული თვალსაზრისით უფრო მკაცრადაა ფორმულირებული (მასში არაა ეფექტიანი ზომები შესრულების უზრუნველსაყოფად). განვითარებადი ქვეყნები არ იღებენ საკუთარ თავზე იურიდიული ძალის მქონე ვალდებულებებს, ხოლო მათი თანხმობის გარეშე ზოგიერთი განვითარებული ქვეყნები, მათ შორის აშშ-ც, მზად არაა საკუთარ თავზე აიღოს მკაცრი ვალდებულებები. უფრო მეტიც, შესრულების ადეკვატური მექანიზმების გარეშე (მათ შორის მონიტორინგის მექანიზმების), შესაბამისი ხელშეკრულებების რატიფიკაციის შემდეგ, უფრო მძლავრი სამართლებრივი სტრუქტურების მქონე ქვეყნები იძულებული გახდებიან უსამართლოდ მძიმე ტვირთი ზიდონ.

რიო-დე-ჟანეიროში ხელმოწერილ კონვენციაში განსაზღვრულია გამონაბოლქვთა დონეები ქვეყნებისათვის მათი ისტორიების შესაბამისად, ამგვარად, ქვეყნებმა, რომლებიც ადრე სხვებზე მეტად აბინძურებდნენ ატმოსფეროს, მიიღეს უფლება განაგრძონ დაბინძურება უფრო დიდი ხარისხით, ვიდრე სხვა ქვეყნებმა. განვითარებადმა ქვეყნებმა საქმის ამგვარი ვითარება უსამართლოდ სცნეს: რატომ აქვს შესაძლებლობა მრეწველობის მიხედვით განვითარებულ ქვეყნებს გამოყონ ერთ სულ მოსახლეზე მეტი გაზი (თუმცა გამონაბოლქვთა დონე ერთეულ მშპ-ში მათში დაბალია), მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ადრეც ასე იქცეოდნენ?

კიოტოში ქვეყნებს შორის თანასწორუფლებიანობის საკითხების გადაწყვეტა ვერ მოხერხდა, მაგრამ აქ ხელმოწერილი კონვეცია ნიშნავდა ძალიან მნიშვნელოვან ნაბიჯს, რომელიც გადაიდგა გამონაბოლქვთა უფრო ეფექტიანი შემცირების გზაზე — ე. წ. ეკოლოგიურად სუფთა განვითარების მექანიზმის მეშვეობით. ეს მექანიზმი საშუალებას აძლევს მრეწველობის მიხედვით განვითარებულ ქვეყნებს დაეხმარნენ განვითარებად ქვეყნებს შეამცირონ გამონაბოლქვები, „მიიჩნევს" რა ამ ძალისხმევას მრეწველობის მხრივ განვითარებული ქვეყნების სასარგებლოდ.

15.3. ოზონის გლობალური პრობლემა

ვამონაბოლქვთა შემცირება ძვირად დაუჯდება განვითარებულ ქვეყნებს. მაგალითად, აშშ-ის გამონაბოლქვის შემცირება 20%-ით მშპ-ის დაახლოებით 2% ეღირება. ის მოგება, რომელსაც კლიმატის ცვლილებების აღსაკვეთი ძალისხმევა მოიტანს, თვალსაჩინო: მხოლოდ ხანგრძლივდებიან პერ-

სპექტივაში გახდება, მაშინ როცა ასეთ ზომებთან დაკავშირებული დანახარჯები ახლანდელ დროსაა გასათვალისწინებელი. და თუმცა, კლიმატის ცვლილების პროცესის შეკავება პოტენციურად მნიშვნელოვან მოგებას იძლევა, ნახშირბადის ორჟანგის გამონაბოლქვის შემცირებაზე ხარჯები ასევე დიდია: ისინი ბევრად აჭარბებს ოზონის დამანგრეველი ნივთიერებების გამონაბოლქვის შესამცირებელ ხარჯებს.

საკითხის გადაწყვეტის საქმეში წარმატებები ჯერჯერობით მცირეა, მაგრამ ეს მას მხოლოდ ამძაფრებს.

ოზონი გაზია, რომელიც ჟანგბადის სამი ატომისაგან შედგება. ატმოსფერულ ჰაერში მისი კონცენტრაცია ძალიან იცვლება სიმაღლისდა მიხედვით. თუმცაღა თვით 20-30 კმ-ის ფენაში ზღვის დონიდან, სადაც ოზონის კონცენტრაცია მაქსიმალურია, ჰაერის 1 მლნ მოცულობაზე ოზონის მხოლოდ რამდენიმე მოლეკულა მოდის.

ოზონი უთანაბროდაა განაწილებული დედამიწის კლიმატურ ზონებში: საშუალოდ წელიწადში ოზონის ყველაზე მეტი საერთო შემცველობა ატმოსფეროს სვეტში მოდის ჩრდილოეთ პოლარულ და სამხრეთ სუბპოლარულ ზონაზე, ხოლო ეკვატორულ ოლქში იგი ყველაზე მცირეა. 80-იან წლებამდე (ანუ „ოზონი ხვრელების" გაჩენამდე) ოზონის მნიშვნელობა 300–450 დობსონის ერთეულს შეადგენდა (ერ. დ.; 1 ერ. დ. = 2,7 10^{16} მოლ/სმ^2) ჩრდილოეთ პოლარულ ზოლში, 280–400 ერთ. სამხრეთ სუბპოლარულ ოლქსა და ჩრდილოეთის ზომიერ განედებში; 260–280 ერ. დ. ეკვატორულ ზონაში.

თუკი ატმოსფეროს შემადგენელი ოზონის ყველა მოლეკულას თანაბრად გავანაწილებთ დედამიწის ზედაპირის ზევით, მაშინ მიღებული გარსის სისქე მხოლოდ 3 მმ იქნება საშუალოწლიური, საშუალოგლობალური პირობებისათვის (ანუ დედამიწის ზედაპირთან 15 °C-ის ტემპერატურისა და ვერხლისწყლის სვეტის 760 მმ-იანი წნევის შემთხვევაში). მაგალითად, იმ ფენის სისქე, რომელიც იმავე პირობებში დედამიწის ატმოსფეროს ყველა გაზი ქმნის, დაახლოებით 8 კმ-ს შეადგენს.

ოზონს ვანსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დედამიწაზე სიცოცხლის შესანარჩუნებლად და მისი კლიმატის ჩამოსაყალიბებლად. ოზონის ფენა საგრძნობით შთანქავს მზის მოკლეტალღიან ულტრაიისფერ სხივებს — ტალღის სიგრძით 200–280 ნმ (1 ნმ = 10^{-9} მ) და ულტრაიისფერი გამოსხივების დაახლოებით 90%-ს ტალღის სიგრძით 280-320 ნმ (ე. წ. მზის ვამოსხივების UV-B-ის სარტყელი). დაკვირვებებმა და გამოთვლებმა გვიჩვენა, რომ თუკი ატმოსფეროში ოზონის შემცველობა შემცირდება არა უმეტეს 10-20%-ისა, მაშინ ასეთი შემცირება ყოველ პროცენტზე მოვა დაახლოებით ნაკადის 2%-იანი ზრდა UV-B-ის სარტყელში.

ზომიერი დოზებით გამოსხივება ადამიანის ორგანიზმის მუშაობას ტონუსს უწევს, მაგრამ მისი აწევისას შეიმჩნევა კანის უჯრედების დაზიანება (მათი ნუკლეინური მჟავის), რის შედეგადაც ჩნდება კანის ღია უბნების დაავადებები. დადგენილია კანის კიბოს დაავადებისა და მზის ულტრაიისფერი გამოსხივების ხარისხს შორის დამოკიდებულება.

ულტრაიისფერი რადიაციის გაძლიერების მეორე შედეგს წარმოადგენს თვალის ბროლის კატარაქტის დაავადებათა ზრდა.

1996 წელს მეცნიერები — შ. როულანდი კალიფორნიის უნივერსიტეტიდან (აშშ), მისი თანამემამულე მასაჩუსეტის ტექნოლოგიური უნივერსიტეტიდან კემბრიჯში მ. მოლინა და პ. კრუტცენი გერმანიაში მაქს პლანკის სახელობის ინსტიტუტიდან დაჯილდოვდნენ ნობელის პრემიით კვლევათა ციკლისათვის, რომელიც ეძღვნებოდა ოზონის წარმოქმნასა და გაფანტვას დედამიწის ატმოსფეროში. ამ მეცნიერებმა გვიჩვენეს, რომ მზის სხივების ზემოქმედებით ჰალოიდირებული ნახშირწყალბადები იშვება ატომური ქლორის და ბრომის გამოყოფით, რომელიც ოზონის ფენას ანგრევს. ასეთ ოზონდამანგრეველ ნივთიერებათა ანუ ოდნ-თა რიცხვს მიეკუთვნება, პირველ რიგში, ქლორფტორნახშირბადები (ქფნ).

ქფნ-ს უპირატესად მაცივრებისა და კონდიციონერებისათვის იყენებენ.

დედამიწის ატმოსფეროში ოზონის კონცენტრაციის კვლევისას მეცნიერებმა ყურადღება მიაქციეს 80-იანი წლების დამდეგს სტრატოსფერული ოზონის საერთო შემადგენლობის შემცირებას. აღმოჩნდა, რომ ყოველ გაზაფხულზე 1986-1991 წლების განმავლობაში ოზონი ანტარქტიდის თავზე საშუალოდ 30–40%-ით დაბალი იყო, ვიდრე 1967-1971 წლების პერიოდში, ხოლო 1993 წელს ეს მაჩვენებელი შემცირდა 60%-ზე მეტად. 1987 წელსა და 1994 წელს დაფიქსირდა ოზონის შემცველობის რეკორდულად მცირე რაოდენობა: ნორმაზე თითქმის 4-ჯერ მცირე.

1997 წლის მარტის ბოლოდან მაისის შუამდე აღინიშნა ანომალიურად მცირე — ჩვეულებრივზე 30%-ით ნაკლები — ოზონის შემცირება არქტიკის თავზე და აღმოსავლეთ ციმბირის მნიშვნელოვან ნაწილზე. ამ „ოზონის ხვრელის“ დიამეტრმა დაახლოებით 3000 კმ შეადგინა.

დედამიწის ოზონის ფენის დასაცავად პირველი ნაბიჯი 1987 წლის ოქტომბერში მონრეალში გადაიდგა, სადაც 36 ქვეყანამ ხელი მოაწერა ოქმს იმ ნივთიერებებზე, რომლებიც ოზონის ფენას ანგრევს. რუსეთი მონრეალის ოქმს 1988 წელს შეუერთდა. ეს საერთაშორისო ხელშეკრულება ითვალისწინებს ხუთ ყველაზე გამოსაყენებელ ქფნ-ის 1986 წლის დონეზე გაყინვას. 1993 წლისათვის მათი წარმოება შემცირდა 20%-ით, ხოლო 1998 წლისათვის — 30%-ით. 1995 წლის ივნისში მონრეალის ოქმს ხელი

მოაწერა დაახლოებით 150-მა ქვეყანამ, ხოლო მონრეალის საიუბილეო შეხვედრაზე — 1997 წლის სექტემბერში — ასეთი ქვეყანა უკვე 163 იყო. ატმოსფეროს ზედა ფენებში ოზონის ფენის შემცირებასთან დაკავშირებით შეშფოთებამ საყოველთაო ყურადღება მიიპყრო 80-იანი წლების დამდეგსა და მის შუა ხანებში. ფართოდ ამუშავდნენ სცენარებს, რომელიც კანის კიბოს დაავადებათა და კატარაქტის დაავადების შემთხვევების მკვეთრად ზრდას წინასწარმეტყველებდა. შემდეგ, 1987 წელს, ერთობლივი ძალისხმევის შედეგად, ოზონის ფენის ნგრევის შესანელებლად ქლორისა და ბრომის საფუძველზე ოზონდამანგრეველ ნივთიერებათა წარმოების შემცირების ხარჯზე მონრეალში ხელი მოაწერეს ოქმს. ამ ოქმისა და შემდგომი შეთანხმებების წყალობით, 12 წლის შემდეგ ოზონის ფენის დანგრევის პრობლემა ძირითადად ჩვენ აღარ გვაწუხებს. ქფნ-ის გლობალური წარმოება მკვეთრად შემცირდა, ხოლო ამ ქიმიურ ნივთიერებათა შემცველობა ატმოსფეროში არა მარტო სტაბილური გახდა, არამედ შემცირებაც კი იწყო.

ოზონდამანგრეველ ნივთიერებათა კონცენტრაციამ ატმოსფეროში კლება იწყო.

ოზონთან დაკავშირებული ყველა პრობლემა გადაწყდა. მთლიანობაში შეიძლება საუბარი გლობალური თანამშრომლობის წარმატებაზე ოზონის ფენის დანგრევის შემცირებასთან დაკავშირებით.

საკვანძო ფაქტორები, რომლებიც მონრეალში მოლაპარაკებების მონაწილეებს საშუალებას აძლევდა შეემუშავებინათ ქმედითი საერთაშორისო შეთანხმება, დადის შემდეგზე:

- აზრთა ერთიანობა იმასთან დაკავშირებით, რომ ოზონის ფენის დანგრევის საფრთხე ქფნ-ისა და სხვა ნივთიერებათა ზემოქმედებით, რომლებიც ქლორსა და ბრომს შეიცავს, დაკავშირებულია დიდ დანახარჯებთან, აგრეთვე ტექნიკური და ინსტიტუციური პოტენციალის არსებობასთან, რომელიც საშუალებას იძლევა ამ ნივთიერებებისათვის მოინახოს დანახარჯების და ეკოლოგიური თვალსაზრისით უსაფრთხო შემცვლელი;
- ყველა მხარის ჩართვა, რომელიც ამ პრობლემის გადაჭრაში ნაზიშვნელოვან როლს ასრულებს, როგორც გადასახდელების გამოყენების ხარჯზე, ისე სანქციებისა და ხელშეკრულების მიზნების რეალიზაციის პირობების მოქნილი დაფიქსირებით.

ოზონის პრობლემის გადაწყვეტაში საერთაშორისო თანამეგობრობის უეჭველი წარმატებები საშუალებას გვაძლევს ოპტიმისტურად შევხედოთ სხვა გლობალური ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტის შესაძლებლობას.

15. 4. ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნების პრობლემები და ბრძოლა დაბინძურებასთან

იმის დამადასტურებელი საბუთი, რომ ჩვენ ვკარგავთ ბიოლოგიურ სახეობათა მრავალფეროვნებას, სულ უფრო და უფრო მეტია. გაეროს გარემოს დაცვის პროგრამის მონაცემთა თანახმად, XX საუკუნის ბოლოს, დედამიწაზე ითვლება 22 მლნ სახეობა. მათგან დაახლოებით 1,5 მლნ მეცნიერების მიერაა აღწერილი. დაახლოებით 7 მლნ, ე.ი. 4-ჯერ მეტი, შეიძლება დედამიწის პირისგან აღიგავოს უახლოეს ოცდაათ წელიწადში. უმაღლეს ცხოველთა შორის 3/4 სახეობის ფრინველი პოპულაციის რაოდენობას კარგავს და, ზოგიერთი დამკვირვებლის მტკიცებით, ძუძუმწოვარათა რაოდენობის 1/4 გაქრობის საფრთხის წინაშეა. ყოველწლიურად ქრება სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშები და მხოლოდ ზოგიერთი მათგანია წარმოდგენილი გენეტიკური მასალის მსოფლიო კოლექციებში. ველური ჯიშების საქმე კიდევ უფრო უარესადაა. ბრინჯის 38 კოლექციიდან, რომელთა პოვნა მცენარეთა გენეტიკური რესურსების საერთაშორისო საბჭოს გენეტიკური მასალების ცნობარში შეიძლება, ველურ სახეობას მხოლოდ 22 მოიცავს და მათ შორის მხოლოდ ხუთი კოლექცია ფლობს ხანგრძლივი შენახვისათვის საჭირო სიძლიერეს.

ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაკარგვის ძირითადი მიზეზია: თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგია, გატყეურება, საცხოვრებელი გარემოს დარღვევა; ყველა ამ ფაქტორს უშუალო კავშირი აქვს ეკონომიკურ განვითარებასთან. მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან სწორედ განვითარებადი ქვეყნებია ყველაზე მდიდარი ბიოლოგიური მრავალფეროვნების თვალსაზრისით, ნაწილობრივ იმიტომ, რომ მრავალი მათგანი ტროპიკებშია. ამ ქვეყნებზე ხორციელდება მძლავრი ზემოქმედება ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვის მიზნით. დედამიწის პირველქმნილი ტყეების მხოლოდ 20% არის მსხვილ, შედარებით ბუნებრივ ეკოსისტემათა ტერიტორიაზე ანდა სასაზღვრო ტყეების კატეგორიაში შედის. 76-მა ქვეყანამ სავსებით დაკარგა თავისი სასაზღვრო ტყეები, ხოლო შენარჩუნებული სასაზღვრო ტყეების 70% მხოლოდ სამ ქვეყანაშია — ბრაზილიაში, კანადასა და რუსეთში. მცენარეთა დანარჩენი სახეობების 90% აფრიკაში, აზიასა და ლათინურ ამერიკაშია. მიუხედავად ამ სახიფათო ტენდენციებისა, საერთაშორისო შეთანხმება ბიოლოგიური მრავალფეროვნებების შენარჩუნების შესახებ მხოლოდ ახლა ყალიბდება. და მაინც, კონვენცია ბიოლოგიურ მრავალფეროვნებაზე და გლობალური ეკოლოგიური ფონდი თავისთავად პირველ მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენს ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნების საქმეში.

მეორე მნიშვნელოვან პრობლემას ატმოსფეროს, წყლის, ნიადაგის და ა. შ. სხვადასხვაგვარი დაბინძურება წარმოადგენს.

ეკოლოგთა ცნობილი ფრაზა: „არც ერთ ცოცხალ სახეობას არ შეუძლია არსებობა საკუთარი ნარჩენებისგან შექმნილ გარემოში", რეალურ და სახიფათო შინაარს იძენს. სხვადახვა წარმოშობის ნარჩენების რაოდენობა ელვის სისწრაფით იზრდება, განსაკუთრებით ქალაქებში. ნაგვისდამწველი ქარხნები არ ჭრის პრობლემას, ვინაიდან დედამიწის ზედაპირიდან დაბინძურება გადადის ატმოსფეროში. მდინარეები ჩასადენ თხრილებად იქცევა ხოლმე, სასმელი წყალი პლანეტის მრავალ რეგიონში არ კმარა და სხვ. როგორც ჩანს, ამ პრობლემებს კარდინალური ტექნიკური გადაწყვეტა არ გააჩნია: ახალი ტექნოლოგიები, რამდენადაც აუცილებელი არ უნდა იყოს, მხოლოდ ამსუბუქებს ავადმყოფობას, გადასწევს რა ლეტალურ დასასრულს.

გარემოს დაბინძურება ადამიანური ცხოველქმედების ნარჩენებით (განსაკუთრებით ქიმიურითა და რადიაციულით) უკვე დღეს საკმაოდ მნიშვნელოვნად მოქმედებს მთელ პლანეტარულ ვითარებაზე. უპირველეს ყოვლისა, იგი შესამჩნევ გავლენას ახდენს მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, განსაკუთრებით დიდ ქალაქებში და კატასტროფულად ამცირებს იმ ადგილთა რიცხვს, რომელიც ცხოვრებისა და დასვენებისათვის სასურველია. დედამიწის ეკოლოგიურად ხელსაყრელი რაიონები იძენს განსაკუთრებულ ფასეულობას და მნიშვნელოვანი რესურსი ხდება იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც მათ ფლობს.

განვითარებული ქვეყნები ისწრაფვიან გათავისუფლდნენ დამბინძურებელი ნივთიერებებისაგან, ამიტომ ნარჩენებს ღარიბ ქვეყნებში მარხავენ, რითაც მათ თავისებურ სანაგვეებად აქცევენ. პლანეტის გადაქცევა ერთიან ეკონომიკურ სისტემად, რომელიც მხოლოდ საერთო საბაზრო პრინციპებით ანუ მყისიერი მოგებებით იმართება, მსგავს პროცედურას იოლად განსახორციელებელსა და ხელსაყრელს (განვითარებული ქვეყნებისათვის) ხდის. მაშასადამე, ჩვენ მიერ ადრე აღწერილი ტუმბო არა მარტო კაპიტალს, რესურსებს, „ტვინებს" ქაჩავს სუსტად განვითარებული ქვეყნებიდან, არამედ გადატუმბავს ამ ქვეყნებში ყოველივე საზიანოს ადამიანისათვის, რაც განვითარებულ ქვეყნებში იწარმოება.

მაგრამ არსებობს მომავალი „ბოროტების ყვავილებისა" კიდევ უფრო საშიში სიმპტომები. განვითარებულ ქვეყნებში ისწრაფვიან გადავიდნენ ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიებზე. მაგრამ შავი მეტალურგიის, ქიმიური წარმოებების, სასარგებლო წიაღისეულის და სხვა ეკოლოგიურად სახიფათო წარმოებებისაგან თავის დაღწევას არც ახლა, არც უახლეს მომავალში კაცობრიობა ვერ შეძლებს — მათ გარეშე განვითარებული ქვეყნები და ყველა სხვა დანარჩენი უბრალოდ ვერ იარსებებს! მაშასადამე, მდიდარი ქვეყნები შეეცდებიან (და უკვე ისწრაფვიან კიდეც) გადაიტანონ

ეს წარმოებები სუსტად განვითარებულ ქვეყნებში. ღარიბი ქვეყნები სამუშაო ადგილებსა და ფულს საკუთარი მოქალაქეების სიცოცხლის შემოკლების ხარჯზე მიიღებენ!

დღესდღეობით სხვადასხვა ქვეყნის მიერ ატმოსფეროს და ოკეანის დაბინძურებაში შეტანილი წვლილი ძალზე განსხვავდება. მაგალითად, ნახშირბადის გამონაბოლქვი წიაღისეული სათბობის დაწვით ერთ სულ მოსახლეზე მერყეობს 5,3 ტ-დან აშშ-ში, 2,4 ტ-მდე იაპონიაში და 0,3 ტ-მდე — ინდოეთში. შესაბამისად, განვითარებული ქვეყნები პრაქტიკულად თავისთვის ისაკუთრებენ საერთო პლანეტარული რესურსების დიდი ნაწილის გამოყენებისა და სარგებლობის უფლებებს.

გარემოს დაბინძურების პრობლემა სამრეწველო წარმოების შემდგომ განვითარებასა და მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების აუცილებლობასთან ერთად ერთ-ერთ ფაქტორს წარმოადგენს, რომელიც ახალი პლანეტარული წესრიგის ჩამოყალიბების სტიმულირებას ახდენს.

15.5. მდგრადი განვითარების გლობალური რეგულირება და კონცეფცია

XXს-ის ბოლოს ძალისხმევათა გაერთიანების აუცილებლობა გლობალური ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრის მიზნით უკვე მრავალი სახელმწიფოს მიერ იქნა გაცნობიერებული. ამ ფაქტის გაგებამ თავისი ყველაზე მკვეთრი ასახვა ჰპოვა გაეროს კონფერენციის დოკუმენტებში — მდგრადი განვითარების შესახებ — 1992 წელს რიო-დე-ჟანეიროში. შეხვედრის ძირითადი მიზნები უმაღლეს დონეზე იქნა გადმოცემული „XXI ს-ის დღის წესრიგში“ ანუ მოქმედება გეგმაში, რომელიც 40 თავისგან შედგება და მიმართულია *მდგრადი განვითარების მისაღწევად.*

ტერმინი „მდგრადი განვითარება“, თავდაპირველად არც ისე მარჯვე თარგმანი ინგლისური sustainable development-ის, ახლა იმდენად საყოველთაო გახდა, რომ უკვე ისწავლეს მისი გამოყენება, როგორც რომელიღაც მდგრადი სიტყვაწარმოება, რომელიც ერთობლივი განვითარების პროცესს აღნიშნავს — ბუნების და კაცობრიობის „კოევოლუციას“.

„XXI ს-ის დღის წესრიგი“ გახდა შემობრუნების დოკუმენტი, რომელსაც ხელი მოაწერა რიო დე ჟანეიროში შეკრებილმა ყველა ლიდერმა. იგი ამტკიცებს, რომ „ბუნების დაცვის პოლიტიკა, რომელიც უპირატესად მიმართულია რესურსების შესანახად და დასაცავად, იმათი არსებობის საშუალებების უზრუნველყოფის გარეშე, ვინც დამოკიდებულია მოცემულ რესურსებზე, საეჭვოა იყოს წარმატებული“.

„XXI ს-ის დღის წესრიგში“ ჩართული მიზნები ითვალისწინებს მთელ რიგ ღონისძიებებს: დაჭაობებულის მიწებისა და უდაბნოების დაცვას, ჰა-

ერისა და წყლის დაბინძურების დონის შემცირებას, ენერგიის წყაროების გამოყენების სრულყოფას და ახალი სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების გამოყენებას, ტოქსიკური ქიმიური ნივთიერებების და რადიაციული ნარჩენების უფრო ეფექტიან უტილიზაციას (გამოყენებას), აგრეთვე ბრძოლას დაავადებების და შიმშილის წინააღმდეგ. მოიცავს რა ბუნების დაცვის და სოციალურ ამოცანათა ყველაზე ფართო დიაპაზონს, „XXI ს-ის დღის წესრიგი" ასახავს პრობლემათა მთელ სპექტრს, რომელთანაც შეხება აქვს კაცობრიობას. თუმცა ამ მიზნების უსაზღვრო ამბიციურობამ მიგვიყვანა მისი ეფექტიანობის შემცირებასთან, რადგან მთავრობათა და საერთაშორისო სააგენტოთა შეზღუდულ შესაძლებლობებს აჭარბებდა.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გაერთიანება, რომელიც მოცემულ მსოფლიო შეხვედრის ჩარჩოებში წარმოიშვა, *გახდა გაერთიანებული ერების მდგრადი განვითარების კომისია*; ეს კომისია შეიქმნა „XXI ს-ის დღის წესრიგის" დებულებათა შესასრულებლად ეროვნულ დონეზე, ასევე მოქმედებათა კოორდინაციის ჩასატარებლად გაეროს სხვადასხვა პროგრამებს შორის გარემოს დაცვისა და განვითარებისათვის.

„XXI ს-ის დღის წესრიგის" შესაბამისად, ყოველმა ეროვნულმა მთავრობამ უნდა გამოიმუშაოს მდგრადი ეროვნული განვითარების სტრატეგია. ამჟამად 130-ზე მეტ ქვეყანაში შექმნილია ეროვნული კომისიები, რომელთაგან ბევრმა გააერთიანა მრეწველობის, არასამთავრობო ორგანიზაციების და სამთავრობო ოფიციალური ორგანოების წარმომადგენლები. 1992 წელს დაახლოებით 51 ქვეყნის 1500 ქალაქმა შეიმუშავა თავისი საკუთარი „XXI ს-ის დღის წესრიგი".

კონფერენციის სამდივნომ, კანადელი მრეწველის, მორის სტრონგის მეთაურობით, მოამზადა ანგარიში, რომელშიც გაკეთდა დასკვნა იმის შესახებ, რომ მხოლოდ განვითარებადმა ქვეყნებმა დამატებით უნდა მოახდინონ წელიწადში 600 მლრდ აშშ დოლარის ინვესტირება 90-იანი წლების განმავლობაში „XXI ს-ის დღის წესრიგის" ამოცანების შესასრულებლად. ამასთან, მათგან 125 მლრდ დოლარი უნდა იყოს დახმარების სახით მრეწველობით განვითარებული ქვეყნების მხრიდან, ანუ ესაა თანხა, რომელიც ორჯერ მეტად აჭარბებს მთელ საზღვარგარეთულ დახმარებას, რაც განვითარებადმა ქვეყნებმა 90-იანი წლების დამდეგს მიიღეს.

მსოფლიო ბანკმა, რომელიც ყოველწლიურად განვითარებადი ქვეყნებისათვის დაახლოებით 20 მლრდ დოლარს გამოყოფს, დიდი წვლილი შეიტანა მსოფლიოში გარემოს დაცვის პრობლემის გადასაჭრელად. რიოდე-ჟანეიროში ჩატარებული შეხვედრის შემდეგ მსოფლიო ბანკმა დიდი ყურადღება მიაპყრო ბუნების დაცვის საკითხებს და რიგი მაღალშემოსავლიანი პროექტების მხარდაჭერა შეწყვიტა, რომლებიც, კრიტიკოსთა აზ-

რით, გამფლანგველი ან დესტრუქციული იყო. საუბარია, მაგალითად, არუნის კაშხალზე ნეპალში. ჯეიმს ვულფენსონმა, რომელიც 1995 წელს 50-წლიანი ისტორიის მქონე ბანკის პრეზიდენტი გახდა, საქვეყნოდ აღიარა მდგრადი განვითარების აუცილებლობა.

პროგრესის შესწავლის დროს, რომელიც გლობალურ პრობლემათა გადაწყვეტის განმავლობაში იქნა მიღებული, მსოფლიო შეხვედრის ეტაპზე უმაღლეს დონეზე, ცხადი ხდება, რომ სხვადასხვა ქვეყანა ვითარდებოდა სხვადასხვანაირად. *ბუნების დაცვის გლობალური ტენდენციები მხოლოდ რვა ქვეყანაში* (ოთხ განვითარებულსა და ოთხ განვითარებადში) *დომინირებს*, რომლებიც აერთიანებენ დედამიწის მთელი მოსახლეობის 56%-ს, მსოფლიო ეკონომიკური წარმოების 59%-ს, ნახშირბადის გამონაბოლქვის 58%-სა და მსოფლიო სატყეო მეურნეობის 53%-ს. *რვა ეკოლოგიური სახელმწიფო* მოიცავს ქვეყანას ყველაზე დიდი მოსახლეობით — ჩინეთს, ქვეყანას ყველაზე მძლავრი ეკონომიკითა და ნახშირბადის ყველაზე დიდი გამონაბოლქვით — აშშ-ს, აგრეთვე ბიოლოგიურ სახეობათა ყველაზე დიდი მრავალფეროვნებით გამორჩეულ ქვეყანას — ბრაზილიას. ეს ქვეყნები გერმანიასთან, იაპონიასთან, ინდოეთთან, ინდონეზიასთან და რუსეთთან ერთად შედიან თანამეგობრობაში, რომელიც წოდებულია „E—8"-ად — რვა ქვეყნისა, რომელიც ძირითადად ეკოლოგიურ ტენდენციებს ასახავს.

უფრო დიდი ხარისხით, ვიდრე „დიდი შვიდეული" (ან იგივე რვიანი რუსეთთან ერთად), „E—8"-ს შეუძლია დახმარება მთელი მსოფლიოს მომავლის განსაზღვრაში.

რა შეიძლება მოკლედ ითქვას კითხვაზე გლობალური ეკოლოგიური პრობლემების შესახებ?

1. ეკოლოგია — ეს არის მეცნიერება, რომელიც დედამიწაზე კაცობრიობისა და ბუნების სიცოცხლისა და გადარჩენისათვის უსაფრთხო წესების შემუშავების პრობლემებითაა დაკავებული.

2. განსაკუთრებით მძაფრ გლობალურ ეკოლოგიურ პრობლემებს წარმოადგენს კლიმატის დათბობა, ოზონის ფენის ნგრევა, ბიოლოგიური მრავალფეროვნების შემცირება და გარემოს დაბინძურება.

3. ოზონის პრობლემების გადასაწყვეტად კოორდინირებულმა ძალისხმევამ პრაქტიკულად მოგვიყვანა მის გადაჭრამდე და გვიჩვენა გზა სხვა გლობალური პრობლემების გადასაწყვეტად.

4. მდგრადი განვითარება — კაცობრიობის და ბუნების კოევოლუციური, ერთობლივი განვითარების უზრუნველყოფა — გახდა საყოველთაოდ აღიარებული მიზანი, რომლის მისაღწევადაც მიმართულია მსოფლიო თანამეგობრობის ძალისხმევა.

15. 6. გლობალური დემოგრაფიული პრობლემები

ყველა გლობალური პრობლემა ასე თუ ისე დაკავშირებულია დედამიწის მოსახლეობის რაოდენობასთან და დემოგრაფიულ ანუ მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურასთან. *ბევრ ისტორიულ პროცესსა და მოვლენას გააჩნია დემოგრაფიული სარჩული.* მაგალითად, ამერიკის, ციმბირისა და ავსტრალიიის დასახლება დიდადაა დაკავშირებული დემოგრაფიულ აფეთქებებთან, რომლებიც იმ დროის ინგლისსა და რუსეთში ხდებოდა. ორი მსოფლიო ომის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს მიზეზად მიიჩნევენ მოსახლეობის მძლავრ ზრდას გერმანიასა და ავსტრიაში. დემოგრაფიული აფეთქებების ბიძგებს წარმოადგენს ახალი ტექნოლოგიები მედიცინაში, რომელმაც სიკვდილიანობა შეამცირა, ასევე სოფლის მეურნეობაში მოსახლეობის საკვები ბაზის ზრდა. დემოგრაფიული ზრდის უთანაბრობა ხშირად წარმოშობდა სამხედრო და ეკონომიკური სიმძლავრის უთანაბრობას, რაც იწყებდა ძალაუფლებისა და რესურსების გადანაწილების მცდელობას ქვეყნებსა და ხალხებს შორის.

დემოგრაფიული პრობლემა შეიძლება გავყოთ სამ შემადგენელ პრობლემად: ზრდა, მიგრაცია და მოსახლეობის დაბერება.

მოსახლეობის ზრდა. ჩვენს ერამდე ჯერ კიდევ 2000 წლის წინ სულ დედამიწაზე დაახლოებით 80 მლნ ადამიანი ცხოვრობდა. სიკვდილიანობა თითქმის შობადობის ტოლფასი იყო და მოსახლეობის ნამატი კი საკმაოდ მცირე. ქრისტეს ეპოქაში მსოფლიოს მოსახლეობა 130 მლნ კაცს არ აჭარბებდა. ჩვენი ერის 1000 წელს დედამიწის მოსახლეობა 350 მლნ-ს ძლივს შეადგენდა. 1700 წელს მან 600 მლნ-ს მიაღწია. ჯერ კიდევ 1850 წელს 2,5 მლრდ ვიყავით, ხოლო 2000 წლისათვის კაცობრიობამ 6 მლრდ-ს მიაღწია. ასეთ ზრდას ექსპონენციალურს უწოდებენ.

დღეს მსოფლიოში ყოველ წამს 21 ადამიანი იბადება და 18 კვდება. დედამიწის მოსახლეობა ყოველწლიურად 250 ათასი ადამიანით იზრდება, რაც გვაძლევს მის ყოველწლიურ ნამატს, დაახლოებით 90 მლნ კაცით ანუ 1,6%-ით წელიწადში.

ადამიანთა პოპულაციის მაქსიმალური ზრდა წელიწადში დაახლოებით 40%-ს შეადგენს და დღეს ზრდის ზოგიერთი მაჩვენებელი არც ისე შორსაა ამ ზღვრიდან. თუმცა ბოლო ასწლეულის განმავლობაში არც ერთ ქვეყანაში საშუალო ეკონომიკური ზრდა წელიწადში 3,6%-ს არ აჭარბებდა. თუკი ბოლო 100 წელიწადში შეერთებული შტატების მოსახლეობა წელიწადში 3,5%-ით გაიზრდებოდა, მაშინ შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე ახლა იქნებოდა ნაკლები, ვიდრე სამოქალაქო ომის დროს, იმიტომ,

რომ საშუალო ეკონომიკური ზრდა ამ დროის განმავლობაში წელიწადში მხოლოდ 3,1%-ს შეადგენდა.

მოსახლეობის სწრაფი ზრდის პრობლემა ძლიერ ღრმავდება მისი უთანაბრო განაწილებით მთელ პლანეტაზე. პლანეტის მოსახლეობის დაახლოებით 70% თავმოყრილია ხმელეთის ტერიტორიის 7%-ზე, ხოლო ხმელეთის 15% საერთოდ დაუსახლებელი ოლქებია. აღმოსავლეთ ნახევარსფეროში თავმოყრილია უფრო მეტი მოსახლეობა, ვიდრე დასავლეთში (დაახლოებით 80%), ხოლო ჩრდილოეთ ნახევარსფეროში უფრო მეტია სამხრეთთან შედარებით, რომელშიც მოსახლეობის მხოლოდ 10% ცხოვრობს.

ადამიანთა ძირითადი მასა ცხოვრობს ზომიერი, სუბტროპიკული და სუბეკვატორული კლიმატური სარტყლების ფარგლებში, როგორც ყველაზე მოსახერხებელ ტერიტორიაზე ცხოვრებისა და სამეურნეო საქმიანობისათვის. ამასთანავე მსოფლიოს მოსახლეობის 50%-ზე მეტი განსახლებულია ზღვის დონიდან 200 მ სიმაღლეზე, ე. ი. დაბლობ ადგილებზე და დაახლოებით 30% კი — ზღვის ნაპირიდან არა უმეტეს 50 კმ-ის მანძილზე.

დედამიწაზე მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე ამჟამად 1 კვ. კმ-ზე დაახლოებით 35 ადამიანს შეადგენს. მაგრამ ეს მხოლოდ საშუალო მაჩვენებელია. ჩვენი პლანეტის ხმელეთის ნახევარზე (1/2-ზე) მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ. კმ-ზე 1 ადამიანზე ნაკლებია.

დღესდღეობით მოსახლეობის მთელი ნამატი მოდის განვითარებად, ღარიბ ქვეყნებზე და ეს კიდევ უფრო აღრმავებს დაგროვილ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს. სიკვდილიანობა იქ მნიშვნელოვნად დაეცა, ხოლო ეფექტიანი კონტროლის დაწესება შობადობაზე ვერ მოხერხდა. მაგალითად, ინდოეთში 1941 წელს შობადობის და სიკვდილიანობის დონეები დაახლოებით ტოლი იყო და ათას მცხოვრებზე 45-ს შეადგენდა. 1991 წელს სიკვდილიანობა ყოველ ათასზე დაეცა 9,9-მდე, ხოლო შობადობა — 29-მდე ასევე ათას მცხოვრებზე. ამის შედეგად ბოლო ოთხი ათეული წლის განმავლობაში მოსახლეობის ზრდის ტემპი რჩებოდა დაახლოებით მუდმივი წელიწადში 2%-ის დონეზე და ეს ხდება ქვეყანაში, სადაც XXI ს-ის დამდეგს ალბათ მსოფლიოში ყველაზე მრავალრიცხოვანი მოსახლეობა იქნება.

რეგიონების მიხედვით პლანეტის მოსახლეობის დინამიკა და სტრუქტურა წარმოდგენილია ცხრილში 15.1.[1]

---

1. იხ.: Капица С., Курдюмов., Малинецкий Г. Синергетика и прогнозы будущего. - М.: Наука, 1997.

ცხრილი 15.1.

მსოფლიოს მოსახლეობის დინამიკა

გაეროს მონაცემები

	მოსახლეობა, მლრდ. ადამიანი			XX საუკუნის 90-იანი წლების შუა ხანების მოსახლეობა, %-ში			
	1990	2000	2005	ბავშვები 0—4	ახალგაზრდები 15—24	ხანდაზმულნი >65	ქალაქის მკვიდრნი
მსოფლიოს მოსახლეობა	5,3	6,0	8,5	12	19	6	45
განვითარებული ქვეყნები	1,2	1,2	1,4	7	15	12	73
განვითარებადი ქვეყნები	4,1	4,8	7,1	13	20	4	37
ევროპა	0,50	0,51	0,51	6	15	13	73

როგორც 15.1. ცხრილიდან ჩანს, ჩვენი პლანეტის მოსახლეობა ძალიან სწრაფად იზრდება. მარტო XXს-ის ბოლო ათწლეულში მსოფლიოს მოსახლეობის რაოდენობა 1 მლრდ ადამიანით გაიზარდა (ეს კი თანამედროვე ჩინეთის მოსახლეობაა).

მოსახლეობის ზრდის შეზღუდვის მიზნით რიგ ქვეყნებში ქმედით ღონისძიებებს მიმართავენ. შეიძლება ვამტკიცოთ, რომ მთელ მსოფლიოში მოსახლეობის ზრდა მაინც შემცირდა მკვეთრი აღმასვლის შემდეგ 2,1%-ით წელიწადში 60-იანი წლების დამდეგისათვის, ხოლო 1,6%-მდე 2000 წლისათვის. განვითარებად ქვეყნებს შორის, რომლებიც E-8 ჯგუფში შედიან, შეიძლება აღვნიშნოთ ინდოეთი, სადაც შობადობის საშუალო დონე, XX ს-ის 60-იან წლებთან შედარებით, 41%-ით შემცირდა. ინდონეზიაში იგი 46%-ით შემცირდა, ბრაზილიაში — 55%-ით, ხოლო ჩინეთში — 68%-ით. ბრაზილიაში გათხოვილი ქალების 66% კონტრაცეპტივებს იყენებენ, ხოლო ჩინეთში მათი რიცხვი 83%-ს შეადგენს.

მასშტაბებისა და ეფექტიანობის მიხედვით ჩინეთში შობადობის შემცირების უპრეცენდენტო პოლიტიკამ (ოჯახში ერთი ბავშვი) მიგვიყვანა იმედისმომცემ წარმატებასთან. იქ აღნიშნული იყო მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე სწრაფი ცვლილება დემოგრაფიულ ვითარებაში: შობადობის დონე 60-იან წლებში დაეცა ქალზე 6 მშობიარობიდან 1,9-მდე 1995 წელს, ე. ი. გახდა იმაზე ნაკლები, ვიდრე შესაბამისი მაჩვენებელი (2,0) აშშ-ში. მიუხედავად ამისა, დღემდე დემოგრაფიული ვითარება ხელს უწყობს მო-

სახლეობის რეკორდულ ზრდას და ამ ზრდის შემცირება კვლავ რჩება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა.

მოსახლეობის მიგრაცია. XX საუკუნის ბოლოს მოსახლეობის მოძრაობის ძირითადი მიმართულება გახდა გადაადგილება განვითარებადი ქვეყნებიდან განვითარებულებში. მისი მიზეზები ნათელია. უპირველეს ყოვლისა, ესაა მნიშვნელოვანი სხვაობა ცხოვრების დონეებს შორის. მექსიკელ გლეხს, რომელიც კალიფორნიის საზღვარზე ცხოვრობს, გააჩნია 20-ჯერ ნაკლები შემოსავალი, ვიდრე ამ შტატში მცხოვრებს. რამ შეიძლება შეაჩეროს იგი საზღვრის გადალახვისაგან? მხოლოდ ციხემ. მაგრამ აშშ-ში ციხე უფრო კომფორტულია, ვიდრე ცხოვრება მექსიკურ სოფელში. მექსიკელებისა და ლათინოამერიკელების ნაკადები მიემართება აშშ-ში. იქ ისინი, რა თქმა უნდა, უუფლებონი არიან, რადგან საზღვარს უკანონოდ კვეთენ, მაგრამ გამოიმუშავებენ მაინც უფრო მეტს, ვიდრე სამშობლოში. მათ იყენებენ ყველაზე მძიმე და დაბალანაზღაურებად სამუშაოებზე; მათ „სველ ზურგებს" უწოდებენ, ვინაიდან ბევრი მათგანი ცურვით გადავიდა რიო გრანდეს საზღვარზე, ხოლო შემდეგ კი ოფლად იღვრებიან სამუშაოზე. ამავე დროს ძირეულ ამერიკელებზე მუშაობს მწვანე ზურგები — დოლარები, რომლებსაც მთელ მსოფლიოში სწორედ ამიტომ ეძახიან „ბაქსებს" (ზურგები).

ანალოგიურ სიტუაციას ადგილი აქვს განვითარებულ ევროპულ ქვეყნებსა და აფრიკულ ქვეყნებს შორის. მიგრაციული ნაკადები ძლიერდება განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობაზე მძლავრი სიანფორმაციო ზემოქმედების გამო. ახლა ყველაზე შორეულ, მიყრუებული აფრიკის ჯუნგლების სოფლებშიც უყურებენ ჰოლივუდის ფილმებს და ოცნებობენ უზრუნველყოფილ ცხოვრებაზე განვითარებულ ქვეყნებში.

ბოლო წლებში მნიშვნელოვანი წვლილი მიგრაციულ ნაკადებში შეიტანეს ლტოლვილებმა ყოფილი სოციალისტური ქვეყნებიდან. აქედან მიდიან ძირითადად კვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც მნიშვნელოვან კონკურენციას უწევენ ინჟინრებს, ექიმებსა და კვალიფიციურ მუშებს დასავლეთის ქვეყნებში. დღეს მიგრაცია მკაფიოდ იყოფა ორ სხვადასხვა ნაკადად. პირველ ნაკადში ამერიკელი ბაკალავრის დონის კვალიფიკაციას 1,42-ჯერ ხშირად შეიძლება შევხვდეთ, ვიდრე ძირეულ ამერიკელებში. სამაგიეროდ, მეორეში — სამუშაო განათლების მქონე ადამიანის შეხვედრის ალბათობა 2,12-ჯერ დაბალია, ვიდრე საშუალოდ აშშ-ში.

დღესდღეობით ყოველწლიურად 2-დან 3 მლნ ადამიანამდე მიდის ემიგრაციაში, ამასთან უმრავლესობა მათგანი მიეშურება ამ ოთხი ქვეყნიდან ერთ-ერთში: აშშ, გერმანია, კანადა ან ავსტრალია, მითითებული რიგის მიხედვით. XXI ს-ის დამდეგს 130 მლნ კაცზე მეტი ცხოვრობს საკუთარი

სამშობლოს ფარგლებს გარეთ და ეს ციფრი წელიწადში დაახლოებით 2%-ით გაიზრდება. შედარებით ტერმინებში ლტოლვილები მსოფლიო მოსახლეობის მცირე ნაწილს შეადგენენ, სულ მხოლოდ 2,3%-ს მაგრამ ამასთან ერთად ისინი თავმოყრილია ჩამოთვლილ რეგიონებში — ჩრდილოეთ ამერიკა, დასავლეთ ევროპა, ოკეანეთი და ახლო აღმოსავლეთი. 1965 წლიდან 1990 წლამდე ემიგრანტების რაოდენობა ჩრდილოეთ ამერიკასა და დასავლეთ ევროპაში წელიწადში 2,5%-ით გაიზარდა, რაც მნიშვნელოვნად აჭარბებდა მკვიდრი მოსახლეობის ზრდას. თუკი ამ ჯგუფში ჩავთვლით ოკეანეთს, მაშინ ამ რეგიონებში მცხოვრები 13 ადამიანიდან ერთი დაბადებულია ამ ქვეყნების ფარგლებს გარეთ. იმ დროს, როცა მიმღები ქვეყნებისათვის (აგრეთვე მრავალი „გამგზავნისთვისაც") მიგრაციისგან უპირატესობა ნათელია, მიგრაციის შედეგად გამოწვეულმა ეთნიკურმა დაძაბულობამ და სიძნელეებმა შრომის ბაზრებზე ზოგიერთი ქვეყნის ქალაქებში იმიგრაციული პოლიტიკის გამკაცრებამდე მიგვიყვანა.

კონფლიქტებმა და ბუნებრივმა კატაკლიზმებმა მნიშვნელოვანწილად გაზარდა ლტოლვილთა რიცხვი. 1975 წლისათვის ეროვნული საზღვრები 2,5 მლნ-მა ლტოლვილმა გადალახა. 1995 წლისათვის ეს ციფრი 23 მლნ კაცამდე გაიზარდა. ამას შეიძლება დავუმატოთ 20 მლნ-ზე მეტი გადაადგილებული პირი, რომლებიც საკუთარი ქვეყნების[1] ფარგლებში სახლდება (მიგრირებს).

მიგრაცია ეროვნული საზღვრების გავლით პლუს „ტვინების გადენა" განვითარებადი ქვეყნებიდან განვითარებულებში იქნება ერთ-ერთი ძირითადი ძალა, რომელიც XXI საუკუნის „ლანდშაფტს" ჩამოაყალიბებს. ამისათვის არსებობს, სულ მცირე, სამი მიზეზი. პირველი — მიგრაცია მკვეთრად ცვლის როგორც მრეწველურად განვითარებული, ასევე განვითარებადი ქვეყნების დემოგრაფიულ დახასიათებებს. მეორე — მაღალკვალიფიციური მუშაკების მოძრაობა განვითარებადი ქვეყნებიდან მოქმედებს როგორც დაბალი დონის შემოსავლების მქონე ქვეყნებზე, ასევე მიმღებ ქვეყნებზეც. მესამე — საერთაშორისო დიასპორები უზარმაზარ საქმიან პოტენციალს ფლობენ.

დიასპორები ინფორმაციის გადაცემის, კაპიტალის ბაზრის შესახებ მონაცემების, პროფესიულ ჩვევების არაოფიციალური არხების სახით გამოდის. მათ შეუძლიათ შეავსონ ოფიციალური არხები, რომლებიც საბაზრო ინსტიტუტებს ეყრდნობა, ამასთანავე მიგრანტებს შესაძლებლობას აძლევს განახორციელონ ტრანზაქციები ნდობის ატმოსფეროში. ამგვარად, ისინი ბაზრის სხვა ნაკლოვანებების და საინფორმაციო ასიმეტრიის კომპენსირებას ახდენენ. თანამედროვე დიასპორები, მათი ხმელთაშუაზღვის წინა-

1. U. S. Committee for Refugees, 1996.

მორბედების მსგავსად, საქმიან ტრანზაქციებს აჩქარებს მონიტორინგის პრობლემათა გადაწყვეტის, არაკეთილსინდისიერი ქცევის შესაძლებლობათა შემცირების, კონტაქტების საფუძველზე რეპუტაციის შექმნისა და ეთნიკური ნდობის მოპოვების ხარჯზე. მიგრაციის გაგრძელებისდა მიხედვით დიასპორები განაგრძობენ გაფართოებას, აერთიანებენ რა ამით კონტინენტებს. მთავრობებმა რომც სცადონ ამ პროცესის შენელება, ეს ტენდენცია თანამედროვე კავშიგაბმულობის საშუალებების, ტექნოლოგიების და ადამიანური ურთიერთობების წყალობით მაინც შენარჩუნდება.

მოსახლეობის დაბერება. მალე ყველაზე მძაფრ დემოგრაფიულ პრობლემად განვითარებული ქვეყნებისათვის მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა გახდება. „ოქროს მილიარდი" შესამჩნევად ბერდება.

1900 წელს ამერიკელი მოსახლეობის 4% 65 წელზე მეტის იყო. ახლა 65 წელზე მეტი ასაკის ადამიანები მოსახლეობის 13%-ს შეადგენს. 2013 წლის შემდეგ მხცოვანთა რიცხვი ამერიკაში ძალიან სწრაფად გაიზრდება, ვინაიდან ე. წ. „ბეიბი-ბუმის" თაობა, რომელიც 1947 წელს დაიწყო, 65 წელს მიაღწევს და დაიწყებს პენსიაზე გასვლას. თუკი ამჟამად ყოველ გადახდილ პენსიაზე 4,4 მომუშავე მოდის, მაშინ 2030 წელს მხოლოდ 1,7 მომუშავე იქნება, რომელთაგან შეიძლება გადასახდების ამოღება პენსიის გადასახდელად.

მრავალ მდიდარ და ღარიბ ქვეყანაში 65 წელს ზევით ასაკის მოსახლეობის პროცენტი 2025 წლისათვის გაორმაგდება. 2025 წლისათვის იაპონიაში, როგორც ვარაუდობენ, ხანდაზმულები მოსახლეობის 26% იქნება. შეერთებულ შტატებში ძნელია განვსაზღვროთ, მოსახლეობის რა წილი ექნებათ მცხოვნებს, ვინაიდან იგი ძლიერაა დამოკიდებული სავარაუდო იმიგრაციის რაოდენობაზე — ახალგაზრდა ადამიანთა წყაროზე, მაგრამ ხანდაზმულნი მოსახლეობის არანაკლებ 20% მაინც იქნება.

საშუალოდ, 65 წელს ზევით ადამიანები იღებენ სახელმწიფოდან თავისი შემოსავლის 40%-ზე ცოტა მეტს (უფრო ზუსტად — 41%-ს). და მხცოვანთა 40%-ზე ცოტა ნაკლები (უფრო ზუსტად კი 38%) იღებენ სახელმწიფოდან თავისი შემოსავლის არანაკლებ 80%-ს. (ამასთან 62% იღებს არა ნაკლებ 50%-ს.) შედარებისთვის შევნიშნავთ, რომ მხოლოდ 35%-ს გააჩნია შემოსავლები კერძო პენსიების სახით.

ამ უზარმაზარი რესურსების გადანაწილებამ მხცოვანი ადამიანები გადააქცია ამომრჩევლებად, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ერთი კითხვით: გაზრდის თუ შეამცირებს მთავრობა მათ პენსიებსა და სამედიცინო შეღავათებს? დემოკრატიულ ქვეყნებში ერთი კითხვით დაინტერესებული ამგვარი ამომრჩევლები ახდენენ არაპროპორციულ გავლენას პოლიტიკურ პროცესზე, ვინაიდან მათი ხმები არ იშლება ინტერესთა სხვადახვაობის გამო სხვა საკითხებში.

ამჟამად სახელმწიფო შემწეობა და პროცენტების გადახდა (ბოლო წლებში ძირითადად დაგროვილი მხცოვანთათვის გადასახდელების გამო) ყველა მიღებული გადასახადების 60%-ს ისაკუთრებს. თუკი გამოვრიცხავთ პროცენტებს ეროვნული ვალის მიხედვით, მაშინ ფედერალური ბიუჯეტის ნახევარი მიდის მხცოვანებისათვის. თუკი არ შეიცვლება ამჟამინდელი კანონები, მაშინ 2003 წლისათვის ამაზე წავა 75%, ხოლო 2013 წლისათვის კი — 100%. დასავლეთ ევროპაში ამჟამინდელი პროგრამები მხცოვანთათვის 2030 წლისათვის მშპ-ის 50%-ს საჭიროებს. აღმოსავლეთ ევროპაში საქმეები კიდევ უარესადაა, ვინაიდან კომუნისტებმა მხცოვან ადამიანებს კიდევ უფრო გულუხვი დაპირება მისცეს. პოლონეთი თავის მხცოვანებს მშპ-ის დიდ ნაწილს აძლევს, ვიდრე ნებისმიერი სხვა ქვეყანა მთელ მსოფლიოში (21%).

იმისათვის, რომ დააკმაყოფილონ მხცოვან ადამიანთა მოთხოვნები, სახელმწიფო ბიუჯეტებში კვეცავენ ყველა დანარჩენ მუხლს.. თუკი ხანდაზმულთა საკითხს გვერდზე გადავდებთ, მაშინ აღმოჩნდება, რომ შეერთებულ შტატებში შიდა სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებები ბოლო 20 წელიწადში მშპ-ის 10-დან 7%-მდე დაეცა. ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციაში (ეთგო), რომელიც თავისთავად განვითარებული ქვეყნების ასოციაციას წარმოადგენს, საერთო სოციალური დანახარჯები 65 წელზე მეტი ხნის ადამიანებისათვის ერთ ადამიანზე გათვლით 5-ჯერ აჭარბებს ადამიანთა დანახარჯებს 15-დან 64-წლამდე. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ დანახარჯები მხცოვანთათვის ფიტავს სახელმწიფო საბიუჯეტო ინვესტიციებს ინფრასტუქტურაში, განათლებასა და სამეცნიერო კვლევა-ძიებებში, რომელიც ბოლო ოცი წლის განმავლობაში ფედერალური ბიუჯეტში[1] 24-დან 15%-მდე დაეცა.

აშშ-ში მხცოვან ადამიანებს გააჩნიათ შემოსავალი, რომელიც შემოსავალს საშუალოდ ერთ სულ მოსახლეზე აჭარბებს. თუკი განვიხილავთ მხოლოდ ფულად შემოსავალს, მაშინ 60-იან წლებში საშუალო 70-წლის ადამიანი ხარჯავდა მხოლოდ 60%-ს, 30-წლის კაცთან შედარებით. ახლა 70-წლის ადამიანი 20%-ით მეტს ხარჯავს. მარტო სახელმწიფო დანახარჯები მხცოვანებზე მათ აძლევს შემოსავალს ადამიანზე ისეთს, რაც საშუალო ამერიკელის 60%-ს შეადგენს. გერმანიასა და საფრანგეთში მხცოვანთათვის გადარიცხვები მათ აძლევს შემოსავლებს, რომელიც საშუალოთა 80%-ის ტოლია.

აშშ-ში ღრმად მოხუცებულნი ბევრად მდიდარნი გახდნენ, ვიდრე არამოხუცებულნი. 65-დან 70-წლამდე ასაკის ადამიანებს 222000 დოლარის

---

1. Office of Management and Budget, Budget of the United States Government, Fiscal Year 1996, Historical Tables (Washington, D. C.: US Government Printing Office, 1995). - P. 122.

სუფთა აქტივები გააჩნიათ 30-დან 44-წლამდე ასაკის ადამიანების 66000 დოლარის საპირისპიროდ.

რა თქმა უნდა, მხცოვანებს არ სურთ თავისი შეღავათების შეკვეცა. ალტერნატივა მდგომარეობს გადასახადების აწევაში, მაგრამ ესეც ძალიან არასასურველი არჩევანია. ამჟამინდელი 15%-იანი გადასახადი სოციალური უზრუნველყოფისათვის შეიძლებოდა მიგვეყვანა 2029 წლისათვის 40%-მდე, რათა მიგვეცა დაპირებული შეღავათები. შემდგომში დანახარჯებზე არსებული კანონების პირობებში და პესიმისტური თვალსაზრისის შენარჩუნებისას მხცოვანთა სამედიცინო მომსახურების დროს შეიძლება ვივარაუდოთ ამ გადასახადის გაზრდა 94%-მდე. ეგრეთ წოდებული თაობის ბუღალტერიას მივყევართ ფრიად სახიფათო წინასწარმეტყველებამდე დაბეგვრის მომავალ პროცენტებზე. საგადასახადო სისტემა ინგრევა.

თუმცა მხცოვანთათვის არ შეიძლება ყველა ეკონომიკური რესურსის (არსებობს სხვა საგნებიც, რომლებიც უბრალოდ აუცილებელია დავაფინანსოთ, მაგალითად, პოლიცია და სახანძრო დაცვა) მიცემა, გაუგებარია, რა სახით შეიძლება დემოკრატიულ საზოგადოებაში დახმარების ზრდის შეჩერება მხცოვანთათვის. მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით ისინი მოსახლეობის მხოლოდ 13%-ს შეადგენენ, იმდენად ძლიერები არიან, რომ არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ სურს მათთან ჩხუბი.

როგორც ჩანს, პენსიაზე გასვლის ასაკი პერსპექტივაში უნდა აიწიოს. როდესაც ბისმარკმა 1891 წელს გერმანიის საპენსიო სისტემაში განსაზღვრა საპენსიო ასაკი 65 წლით, გერმანელის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 45 წელზე ნაკლები იყო. ჩვენს დროში ეს დაახლოებით ტოლი იქნებოდა იმისა, რომ სახელმწიფო პენსია ინიშნებოდეს 95 წლის ასაკში.

ისტორია მოწმობს, რომ სინგაპურში ლი კუანო წავიდა სწორი გზით თვითუზრუნველყოფის საკუთარი ფონდის შექმნით (სოციალური უზრუნველყოფის თვითდაფინანსებადი შეღავათები), მაშინ როცა ბისმარკმა გერმანიაში აარჩია სოციალური უზრუნველყოფის არასწორი გზა, რომელიც დაფუძნებული იყო საშუალებათა გადაცემაზე ერთი თაობიდან მეორეზე. სინგაპურში ყოველ ადამიანი ვალდებულია შეიტანოს თავის ხელფასის 20% პირად შემნახველ ანგარიშზე, სადაც მას ემატება ამგვარივე 20%-იანი მეწარმის შენატანი. ამ ანგარიშებზე ინვესტიციები იმართება ნახევრად ინდივიდის და ნახევრად მთავრობის მიერ და შეიძლება იქნეს გამოყენებული მხოლოდ ჯანმრთელობაზე, განათლებაზე, საცხოვრებელსა და მოხუცებულობის უზრუნველყოფაზე. ამგვარად, მოხუცი ადამიანები ცხოვრობენ იმით, რაც მათ აიძულეს შეენახათ და ამავე დროს ნებაყოფილობითი დანაზოგებით, — რომლებიც საკუთარი ნებით დააგროვეს.

მაგრამ თუკი უკვე არსებობს თაობებს შორის საშუალებათა გადაცემის სისტემა, მაშინ თვითდაფინანსებაზე გადასვლა შეიძლება მხოლოდ

ძალიან ნელა. აქ საქმე მარტივადაა. ამ სისტემაში მთავარი მოგება პირველ თაობას ერგება. ისინი მოხუცებულობაში ღებულობენ შეღავათებს, ისე რომ ახალგაზრდობაში ამ სისტემაში არაფერი შეაქვთ. სისტემა რომ არ არსებობდა, როდესაც ისინი ახალგაზრდები იყვნენ. ისინი ღებულობენ გადაუხდელად. ხოლო მთავარი წაგებული აღმოჩნდება ბოლო თაობა. ისინი ფონდში იხდიან მთელი სიცოცხლის განმავლობაში, მაგრამ მათ უკან თითქმის არ არიან ახალგაზრდა ადამიანები, რათა მათ თავად უხადონ შეღავათები. ისინი იხდიან, მაგრამ შეიძლება თითქმის არაფერი მიიღონ მოხუცებულობაში.

ამჟამინდელი პენსიონერები ეს, არსებითად, პირველი თაობაა და მათ ერგო მთავარი მოგება სოციალურ უზრუნველყოფაში. და თუმცა არც ერთი თაობა ბოლო არ იქნება კაცობრიობაში, რადგანაც ამავდროულად თაობები ძალზე განსხვავდება სიდიდით, ხოლო შეღავათთა დონე მკვეთრად იზრდება, ამიტომ მცირე და შედარებით გვიანი თაობები (მაგალითად, ამჟამინდელი მცირერიცხოვანი თაობა) შეასრულებს ბოლო თაობის როლს, რომელსაც მოუხდება გადახდა ბევრად მეტი მისი წინამორბედი თაობისათვის (მაგალითად, აშშ-თვის „ბეიბი-ბუმის“ თაობა, რომელიც დაიბადა 1947-სა და 1963 წლებს შორის).

1. დემოგრაფიულ პრობლემებში შეიძლება გამოვყოთ სამი ძირითადი შემადგენელი ნაწილი: ზრდა, მიგრაცია და მოსახლეობის დაბერება.

2. ჩვენ ვცხოვრობთ დემოგრაფიული აფეთქების ეპოქაში, რომელიც განპირობებულია სიკვდილიანობის მკვეთრი შემცირებითა და განვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობის სწრაფი ზრდით. ამასთან წარმოშობილი პრობლემები ღრმავდება დედამიწის ტერიტორიაზე მოსახლეობის უთანაბრო განაწილებით, რომელიც საჭიროებს შობადობის რეგულირებას განვითარებად ქვეყნებში, ჩინეთში წარმატებით განხორციელებულის მსგავსად.

3. მოსახლეობის მიგრაციის პროცესში წარმოიშვა ორი ახალი ტენდენცია: კვალიფიციური სამუშაო ძალის მიგრაცია („ტვინების გადენა“ განვითარებადი ქვეყნებიდან) და ეროვნული დიასპორების გავლენის გაფართოება.

4. დემოკრატიის პირობებში მნიშვნელოვან და ძნელადგადასაწყვეტ პრობლემად რჩება მოსახლეობის დაბერება განვითარებულ ქვეყნებში. მხცოვანი მოსახლეობის რაოდენობის დიდი ნაწილი მათ მიერ არჩეული მთავრობებისგან ითხოვს პენსიების გადიდებას და სოციალურ შეღავათებს, ხოლო შედარებით მცირერიცხოვანი შრომისუნარიანი მოსახლეობა უკვე უძლური ხდება ეს უზრუნველყოს.

15.7. სასურსათო და მასთან დაკავშირებული პრობლემები

გლობალურობით და სიმძაფრით სუფთა ეკოლოგიურ და დემოგრაფიულ პრობლემებს უერთდება მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის პრობლემა. პირველად დედამიწის მზარდი მოსახლეობისათვის სურსათის შესაძლო უკმარისობის პრობლემა დააყენა ანგლიკანელმა მღვდელმა — მალთუსმა. მან შენიშნა, რომ მოსახლეობა იზრდება გეომეტრიული პროგრესიით, მაშინ, როცა სურსათის წარმოება იგივე პროპორციით არ იზრდება. აქედან გამომდინარეობს არასანუგეშო დასკვნა იმის შესახებ, რომ არც თუ შორეულ მომავალში სურსათის წარმოება ჩამორჩება წარმოების ზრდას და თუ არ მოხერხდება მოსახლეობის ზრდის შეზღუდვა, შიმშილის პერსპექტივა უცილობელი გახდება.

მალთუსის იდეებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებრივ აზრზე. ამ საკვანძო საკითხის ირგვლივ შესრულდა რომის კლუბის ცნობილი შრომები, რომლებმაც XX საუკუნეში კაცობრიობის ზრდის საზღვრები გვიჩვენა.

თუკი ღარიბ ქვეყნებში მოსახლეობის ზრდის სიჩქარე არ შემცირდება, ამასთან ამ ქვეყნების გარეთ მცხოვრებნი ალბათ ვერაფერის გაკეთებას შეძლებენ, რათა შეანელონ ეს ზრდა, მაშინ იოლი განსაჭვრეტია, რომ XXI საუკუნეში მსოფლიოს ზოგიერთ ნაწილს ელის ძალზე მალთუსიანური მომავალი. პოპულაციები აგრძელებენ ზრდას, სანამ არ ეჯახებიან კვების ნაკლებობის ზღვრებს. პირველი ამ ზღვრებს შეხვდება ტროპიკული აფრიკა. მისი მოსახლეობა მკვეთრად იზრდება, სასურსათო რესურსები საკმაოდ ჩამორჩება, ხოლო შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე იმაზე უფრო დაბალი იქნება, ვიდრე 60-იანი წლების შუა ხანებში იყო, როცა ამ ქვეყნებიდან ბევრი ღებულობდა დამოუკიდებლობას.

უშუალო პრობლემას წარმოადგენს არა საკვები, არამედ წყალი. თუკი იქნება წყალი, მაშინ შესაძლებელი გახდება სასოფლო-სამეურნეო კულტურების გაზრდა იმ მიწებზე, სადაც ახლა ისინი ვერ მოჰყავთ. ზუსტად ასევე კვების პროდუქტების წარმოება უწყლოდ ეცემა. დღესდღეობით 80 ღარიბი ქვეყანა მსოფლიო მოსახლეობის 40%-ით უკვე იტანჯება წყლის უკმარისობით, რომელიც სოფლის მეურნეობას ზარალით ემუქრება. მაგრამ საქმე მარტო თავად წყალში იმდენად არაა, რამდენადაც მისაწვდომ წყალში. საკმარისი ფულის შემთხვევაში შესაძლებელია ოკეანის წყლის გამტკნარება და სასოფლო-სამეურნეო კულტურების გაზრდა იქ, სადაც მათ ადრე ვერ ზრდიდნენ, როგორც ამას აკეთებენ საუდის არაბეთში.

მაგრამ გამტკნარება და ინფრასტრუქტურა საჭირო წყლის მისაწოდებლად მოხმარების ადგილას (მიღება და სატუმბო სადგურები) ძალიან ძვირი ჯდება. თუკი შევასრულებთ შესაბამის გამოთვლებს, მაშინ აღმოჩნდება, რომ ამგვარად მიღებული მტკნარი წყლის მიწოდება არაბეთის უდაბნოს შიგნით მინდვრებზე, სადაც სასოფლო-სამეურნეო კულტურებს ზრდიან, საჭიროებს უფრო მეტ ენერგიას, ვიდრე ამ მიდვრებზე გაზრდილი კვების პროდუქტები შეიცავს. მსგავს ინვესტიციებზე ფიქრი შეუძლია მხოლოდ ძალიან მდიდარ ქვეყნებს, ისეთებს, როგორიცაა სპარსეთის ყურის ქვეყნები. ჰონკონგში გასამტკნარებელი მოწყობილობები უკვე გადაიტანეს კონსერვაციაზე, ვინაიდან ისინი საკმაოდ ძვირი იყო სასმელი წყლის მისაღებადაც კი.

ადამიანი კვების პროდუქტების ძირითად ნაწილს აწარმოებს სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე, ოკეანეები, ზღვები და მდინარეები იძლევა თევზსა და სხვა ზღვის პროდუქტებს, მცირე, მაგრამ ბევრი ქვეყნებისათვის მნიშვნელოვან სურსათის წილს ტყე იძლევა. ძირითადი პრობლემები დაკავშირებულია ამ სამი ძირითადი წყაროს რაოდენობრივ შემცირებასთან, ხარისხობრივ გაუარესებასთან და გამოფიტვასთან.

სასოფლო-სამეურნეო მიწების პრობლემა. სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს პლანეტის მიწის ფონდის მხოლოდ 1/3 წარმოადგენს (4783 მლნ ჰა), რომელსაც კაცობრიობა კვების პროდუქტების საწარმოებლად იყენებს. დანარჩენი ტერიტორია ესაა — მთები, უდაბნოები, მყინვარები, ტბები, ტყეების და ა. შ.

სასოფლო-სამეურნეო სავარგულები თავისთავად წარმოადგენს ნახნავს, მრავალწლიან ნარგავებს (ბაღებს), ბუნებრივ მინდვრებსა და საძოვრებს. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ნახნავის და საძოვრების თანაფარდობა სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში სხვადასხვანაირია.

დღესდღეობით მსოფლიოში ნახნავზე ხმელეთის მთელი ფართობის დაახლოებით 11% მოდის (1350 მლნ ჰა), ხოლო 24% კი გამოიყენება მესაქონლეობისათვის (საძოვრები). და თუმცა საძოვრები ხშირად იხვნება მარცვლეულის და სხვა კულტურების წარმოების მიზნით, მათი დანაკარგის კომპენსირებას ახდენენ ტყეების გამოხშირვით.

მარტო ბოლო 50 წლის განმავლობაში მოსახლეობის სწრაფმა ზრდამ მიგვიყვანა სურსათზე მსოფლიო მოთხოვნის 4-ჯერ გაზრდამდე. ეს ქმნის ჭარბ „დაწოლას" განვითარებადი ქვეყნების მრავალი მჭიდროდ დასახლებული რაიონების ნიადაგზე.

მსოფლიოში სახნავი მიწების თითქმის ნახევარი გონიერი დატვირთვების გადაჭარბებით გამოიყენება და შესაბამისად, იფიტება კიდეც. ცი-

ვილიზაციის განვითარების ისტორიის მანძილზე კაბადგურებულია 2 მლრდ ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგული. ეს რამდენჯერმე მეტია, ვიდრე თანამედროვე სახნავი მიწების ფართობი.

დედამიწის ნიადაგის საფარველი ეს უძვირფასესი ბუნებრივი რესურსია. ნიადაგის დაცვის ძირითად ამოცანას წარმოადგენს მისი ნაყოფიერების შენარჩუნება. პლანეტის მთელი ნაიდაგის დაახლოებით 3/4-ს გააჩნია შემცირებული პროდუქციულობა სითბოს და ტენის უზრუნველყოფის უკმარისობის გამო. ნაიდაგების დაახლოებით ნახევარი გვალვიან და ნახევრად გვალვიან ზონებში იმყოფება. ოდითგანვე მიწათმოქმედთა უბეღურებად მიწის ეროზია ითვლებოდა, დანგრეული ნიადაგი კი ძალიან ნელა აღდგება, ბუნებრივ პირობებში ამაზე არა ერთი ასწლეული მიდის. გამოთვლილია, რომ, ყოველწლიურად ეროზიის შედეგად, სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან ვარდება 6-7 მლნ ჰა მიწა, ხოლო დაჭაობების, დამლაშების, დატუტიანების ხარჯზე კიდევ — 1,5 მლნ ჰა.

მსოფლიოს ანთროპოგენურ უდაბნოთა საერთო ფართობი 9 მლნ კვ. კმ-ზე მეტს შეადგენს, ე. ი. აშშ-ის ფართობის ტოლია. და კიდევ ხმელეთის 19% იმყოფება გაუდაბნოების ზღვარზე (გაუდაბნოების სიჩქარე — 6 მლნ ჰა წელიწადში).

ოკეანეების და ზღვების პროგლემა. საზღვაო თევზჭერა ძველებურად აწვდის ყველა ზღვის პროდუქტის 80%-ს. საერთო თევზჭერა დაახლოებით 700 მლნ ტ-ს შეადგენს. თევზსაჭერი გემების რიცხვი 1970 წლიდან 1990 წლამდე ორჯერ გაიზარდა და დღეს დაახლოებით 1,3 მლნ-ს მიაღწია. ეს რაოდენობა აშკარად ჭარბია. მაგალითად, ევროკავშირის ქვეყნებს ამგვარი გემები დაახლოებით 40%-ით მეტი გააჩნია, ვიდრე აუცილებელია მდგრადი თევზჭერის შესანარჩუნებლად. თევზსაჭერი გემების სიჭარბე კონკურენციას იწვევს და ხელს უწყობს არალეგალური თევზჭერის ზრდას.

ოკეანეთა თევზების რესურსის შესანარჩუნებლად ბოლო ათწლეულებში საკმაოდ ეფექტიან ზომებს მიმართავენ. ვინაიდან ყველა თევზის რესურსის 90-95% თავმოყრილია სანაპირო ზოლიდან 200 მილზე, 70-იანი წლების ბოლოს უპატრონო ზღვის სივრცეები გაიყო ქვეყნებს შორის მარტოოდენ ეკონომიკურ ინტერესების ზონებად, სწორედ ამ 200-მილიანი ნიშნით. ამან მნიშვნელოვნად შეამცირა ზღვების მტაცებლური გამოყენება, თუმცა კონტრაბანდული თევზჭერა, რა თქმა უნდა, მაინც დარჩა. გაეროს შეთანხმებამ ტრანსსასაზღვრო თევზის მარაგზე 1995 წელს მკაფიოდ განსაზღვრა თევზის რესურსების გამოყენების წესები და ქვეყნების უფლებები დამრღვევთა მიმართ.

მომავალში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს აკვაკულტურა, რომლის წილად უკვე წარმოების 2% მოდის. აკვაკულტურა ესაა — თევზების, მოლუსკების და სხვა ზღვის პროდუქტების წარმოება ისეთი ტექნოლოგიებით, რომლებიც სასოფლო-სამეურნეოს გვაგონებს. ამგვარად, XXI ს-ის დამდეგს შეინიშნება გადასვლა თევზჭერიდან თევზის წარმოებაზე, ნადირობიდან მეცხოველეობაზე გადასვლის მსგავსად, რაც 10 ათასობით წლის წინ მოხდა. უკვე ახლა აკვატექნოლოგიის დახმარებით იწარმოება 28 მლნ ტ თევზი, ხოლო 2010 წლისათვის ეს მაჩვენებელი 39 მლნ ტ[1] გახდება.

ტყეების პრობლემა. ჩვენს პლანეტაზე ტყეებით დაკავებულია დაახლოებით 4 მლრდ ჰა მიწა (დაახლოებით ხმელეთის 30%). ყოველწლიურად ტენიან-ტროპიკული ტყეების ფართობი 11-12 მლნ ჰა-თი მცირდება. ტყეები გამოიკაფება სახნავებისა და საძოვრებისათვის, ამასთანავე ყველაზე ფასეული ხე-ტყის ჯიშები განვითარებულ ქვეყნებში საექსპორტოდ იგზავნება. ხე-ტყე რჩება, აგრეთვე, ძირითად ენერგომატარებლადაც — განვითარებადი ქვეყნების მთელი მოსახლეობის 70% ხე-ტყეს იყენებს, როგორც სათბობს საჭმლის მომზადებისას და საცხოვრებელი ბინის გასათბობად. ნეპალში, ჰაიტიზე და უგანდაში ენერგეტიკული მოთხოვნილებების 9/10 სწორად ხე-ტყე სათბობის ხარჯზე კმაყოფილდება. მარტო ბოლო 200 წლის განმავლობაში მსოფლიოში ტყეების ფართობი 2-ჯერ შემცირდა.

1. სასურსათო პრობლემა დაკავშირებულია მოსახლეობის შედარებით უფრო სწრაფ ზრდასთან სასურსათო რესურსების მიმართ.

2. სასოფლო-სამეურნეო მიწების გამოფიტვა, გაუდაბნოება, ნიადაგების დეგრადაცია, ტყეების არასწორი გამოხშირვა და ოკეანეებისა და ზღვების რესურსების მტაცებლური ხარჯვა აღრმავებს სასურსათო პრობლემას. მის გადასაწყვეტად კაცობრიობამ უნდა შეიმუშავოს ღონისძიებათა კომპლექსი პლანეტის სასურსათო რესურსების განვითარებისათვის.

1. იხ.: Доклад о мировом развитии 1999/2000 года. Всемирный банк. - М.: Весь мир, 2000.

თავი 16

საერთაშორისო ორგანიზაციების როლი გლობალური პრობლემების გადაჭრაში

საერთაშორისო ორგანიზაციების სისტემების სტრუქტურა. საერთაშორისო ორგანიზაციები. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (ეთგო) სისტემის ორგანიზაციები და საერთო კომპეტენციის სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები. საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციები. საერთაშორისო ორგანიზაციები მსოფლიო ვაჭრობის სისტემაში.

უცხოური ქვეყნისთვის დახმარება ის ფულია, რომელსაც მდიდარი ქვეყნის ღარიბები იხდიან და ღარიბი ქვეყნის მდიდრები იღებენ.

ევან ეზარი

წინა ორ თავში დაწვრილებითაა გაანალიზებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პრობლემები, რომლებიც კაცობრიობის წინაშე გლობალური მასშტაბით დგას. გლობალიზაციის გამოწვევები ადეკვატურ პასუხს მოითხოვს. XX საუკუნის ისტორიამ, რომელიც გამანადგურებელი ომებითა და სისხლიანი რევოლუციებითაა სავსე, მთელ მსოფლიოს თვალნათლივ აჩვენა, რომ საერთო ძალისხმევის გარეშე მისი სწაფი და სევდიანი დასასრული გარდაუვალია. იგი დადგება ახალი თერმოატომური ომისა და გლობალური ტერორისტული აქციების შედეგად თუ არა, გარემომცველი სამყაროს განადგურებითა და გლობალური ეკონომიკური კატასტროფების შედეგად მაინც, რომელთა აღკვეთა მხოლოდ მთელი კაცობრიობის კარგად კოორდინირებულ და ერთობლივ მოქმედებას შეუძლია.

კაცობრიობის პასუხი საერთაშორისო ორგანიზაციების სისტემების შექმნა გახდა, რომლებიც ზემოაღნიშნული გლობალური პრობლემების გადაწყვეტისაკენ არის მიმართული. ეს სისტემა ჯერ ფუნქციონალურად არასრული და არასრულყოფილია, მაგრამ [illegible] ეს [illegible], რომ კაცობ-

რიობამ ახალი ათასწლეულის მრისხანე გამოწვევებს შეიძლება დაუპირისპიროს.

16. I. საერთაშორისო ორგანიზაციების სისტემის სტრუქტურა

ჩვენ გვახსოვს, მსოფლიო ბატონობისათვის ბრძოლამ და მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებს შორის მტრობამ როგორ გამოიწვია გლობალიზებადი მსოფლიოს პირველი მოდელის დაღუპვა, რომელსაც XX საუკუნის დასაწყისში ჰქონდა ადგილი. პირველი მსოფლიო ომისა და დამანგრეველი რევოლუციების შემდეგ კაცობრიობა შეეცადა საკუთარი ძალისხმევის კოორდინირებას და ახალი კატაკლიზმების აღსაკვეთად შეიქმნა ერთა ლიგა. იგი 1919 წელს ომში გამარჯვებული საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის ინიციატივით შეიქმნა. მასში 30-ზე მეტი ქვეყანა შევიდა. თუმცა აშშ ამ ორგანიზაციაში არ გაწევრიანდა, ხოლო 1934 წელს მისი რიგები გერმანიამ და იტალიამ დატოვა, რომლებიც უკვე მომავალი აგრესიისათვის ემზადებოდნენ. ფაშისტური სახელმწიფოების გამოსვლის შემდეგ სსრკ ერთა ლიგას შეუერთდა, მაგრამ 1939 წელს ორგანიზაციიდან გაირიცხა ფინეთის წინააღმდეგ მიმართული აგრესიის გამო. ერთა ლიგამ თავისი ფუნქციები ვერ შეასრულა და ფაქტობრივად არსებობა შეწყვიტა. დაიწყო მეორე მსოფლიო ომი.

მისი დასრულების შემდეგ გამარჯვებული სახელმწიფოები კვლავ შეეცადნენ საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნას, რომელიც ქვეყნებს შორის ურთიერთობების რეგულირებასა და მსოფლიო პრობლემების გადაწყვეტას შეძლებდა. 1945 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო) შეიქმნა, ხოლო ერთი წლით ადრე ბრეტონ-ვუდსის კონფერენციაზე საერთაშორისო სავალუტო ფონდი (სსფ) და მსოფლიო ბანკი (მბ) შეიქმნა. ამჟამად საერთაშორისო ორგანიზაციების სისტემაში 4 ათასზე მეტი ორგანიზაციაა, მათ შორის 300 სამთავრობათშორისოა.

საერთაშორისო ორგანიზაციები რამდენიმე პრინციპით შეიძლება დაჯგუფდეს:

1. სახელმწიფოთაშორისი (მთავრობათაშორისი) და არასახელმწიფოებრივი საერთაშორისო ორგანიზაციების უმრავლესობა არასახელმწიფოებრივია. მათ შორის უამრავი სხვადასხვა ასოციაციები, კავშირები და ფონდებია. ასეთი ორგანიზაციების სპექტრზე გარკვეული წარმოდგენა, რომელთა უმრავლესობას საერთაშორისო ხასიათი აქვს, სამტომიანმა წიგნმა „აშშ-ის ასოციაციების ენციკლოპედია“ შეიძლება მოგვცეს.

2. უნივერსალური, ყველა სახელმწიფოსათვის ღია და სპეციალიზებული. მაგალითად, რეგიონული ან დარგობრივი საერთაშორისო ორგანიზაციები.

3. საერთო კომპეტენციის ორგანიზაციები, რომლებიც პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ურთიერთობების ყველა სფეროს მოიცავს (გაერო, ევროპის საბჭო, არაბულ სახელმწიფოთა ლიგა) და სპეციალური კომპეტენციის ორგანიზაციები, რომლებიც რომელიმე გარკვეულ სფეროში თანამშრომლობენ (მსოფლიო საფოსტო კავშირი, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, ჯანდაცვის მსოფლიო ორაგნიზაცია).

4. სახელმწიფოთაშორისი და ზესახელმწიფოებრივი ორგანიზაციები, რომელთა გადაწყვეტილებები, სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციებისაგან განსხვავებით, ორგანიზაციის წევრი ქვეყნების ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე უშუალოდ ვრცელდება (მაგალითად, ევროკავშირის გადაწყვეტილება სავალდებულოა მისი წევრი ქვეყნების ყველა პირისათვის).

5. ღია ორგანიზაციები, სადაც გაწევრიანება თავისუფლად შეიძლება და დახურული ორგანიზაციები, სადაც მიღება თავდაპირველი დამფუძნებლების მიპატიჟებით შეიძლება (მაგალითად ნატო).

ჩვენ საერთაშორისო ორგანიზაციების კლასიფიცირებას მათი საქმიანობის მიმართულებისა და რეგულირების ობიექტის მიხედვით მოვახდენთ (ნახ. 16.1.). ამგვარი კლასიციკაციის ნიშნების შესაბამისად ეკონომიკური საერთაშორისო ორგანიზაციები შეიძლება დაიყოს შემდეგნაირად:

ა) ორგანიზაციები, რომლებიც კომპლექსური პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ეკონომიკური პრობლემების გადაჭრას ემსახურება. მათ მიეკუთვნება გაეროს, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის, ევროსაბჭოსა და სხვა სისტემის ორგანიზაციები.

ბ) ორგანიზაციები, რომლებიც მსოფლიო ფინანსურ ბაზრებსა და საერთაშორისო სავალუტო-ფინანსურ ურთიერთობებს არეგულირებენ (სსფ, მბ-ის ჯგუფი და სხვ.).

გ) ორგანიზაციები, რომლებიც საქონლის ბაზრებსა და საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებს არეგულირებენ (მსო, ნექო და სხვ.).

დ) რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციები (ნაფტა, ევროკავშირი და სხვ.).

მოცემულ კლასიფიკაციაში რეგიონულ ორგანიზაციებად მხოლოდ ზეეროვნული ორგანიზაციები მიიჩნევა, ხოლო რეგიონული დონის საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტით არიან დაკავებულნი და ძირითადად, კონსულტაციურ ხასიათს ატარებენ, პირველ ჯგუფს მიეკუთვნებიანი.



ნახ. 16.1. საერთაშორისო ორგანიზაციების სისტემის სტრუქტურა

16. 1. ნახატზე მითითებულია ბევრი ცნობილი საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც ყველას ყურში ხვდება. რადგან ისეთი აბრევიატურები, როგორიცაა სსფ, მბ, ევროსაბჭო, ეთგო (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია), ევროკავშირი და დსთ გაზეთების სვეტებიდან არ ჩამოდის და ყოველდღიურ ცხოვრებაში მყარად ჩაჯდა. მათ უკან მდგარი საერთაშორისო ორგანიზაციები რუსეთის ეკონომიკაზე შესამჩნევ გავლენას ახდენენ. მათი საქმიანობის საფუძვლების გაცნობიერება აუცილებელია არა მარტო მომავალი ეკონომისტებისათვის, არამედ ყოველი განათლებული ადამიანისათვისაც.

რეგიონული ორგანიზაციები, რომლებიც ქვეყანათა ეკონომიკურ ბლოკებს წარმოადგენენ (მეოთხე ჯგუფი), შემდეგ თავშია დაწვრილებით განხილული. აქ თანმიმდევრულად განვიხილავთ პირველ სამ ჯგუფს.

16.2. გაეროს სისტემის საერთაშორისო ორგანიზაციები

გაერო საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის, უცილობლად, ცენტრალურ ადგილს იჭერს, ხოლო მსოფლიო ეკონომიკაში მისი როლის გადაჭარბებულად შეფასება ძნელია. გაეროს წევრი 185 სახელმწიფოა.

გაეროს ოფიციალური მიზნები:

- საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვა (მხარდაჭერა) კოლექტიური ზომების მიღებისა და დავების მშვიდობიანი რეგულირების საშუალებით;
- ქვეყნებს შორის მეგობრული ურთიერთობების განვითარება ხალხთა თვითგამორკვევის თანაბარუფლებიანობის პრინციპის საფუძველზე;
- საერთაშორისო თანამშრომლობის განხორციელება ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და ჰუმანური საერთაშორისო პრობლემების გადაწყვეტაში და რაიმე განსხვავების გარეშე ნებისმიერი ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემის განვითარება;
- ცენტრალური ორგანოს ფუნქციის შესრულებს სხვადასხვა ქვეყნების ძალისხმევის შეთანხმებისათვის ამ მიზნების მისაღწევად.

გაერო შეიმუშავებს რეკომენდაციებს, კონვენციებს, ღონისძიებებს, რომლებსაც სთავაზობს თავის წევრებს, რათა მათ მიიღონ და შეასრულონ კანონმდებლობაში ჩართვის ან ნორმატიული აქტების მიღების გზით. გაერო მიისწრაფვის, რათა ქვეყნებმა მოქმედებისა და ინიციატივების კოორდინაციის მიზნით შესაბამისი ზომები მიიღონ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სისტემა მთავარი და დამხმარე ორგანიზაციებისაგან, სპეციალიზირებული ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისა და ავტონომიური ორაგნიზაციებისაგან შედგება, რომლებიც გაეროს სისტემის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ.

მთავარ ორგანოთა რიცხვს მიეკუთვნება: გენერალური ასამბლეა (გა); უშიშროების საბჭო (უს); საერთაშორისო სასამართლო და სამდივნო. დამხმარე ორგანოები, რომლებიც აუცილებელი აღმოჩნდება, წესდების თანახმად იქმნება.

გაეროს სისტემა მოიცავს პროგრამებს, საბჭოებსა და კომისიებს, რომლებიც მათზე დაკისრებულ კონკრეტულ ფუნქციებს ახორციელებენ (ნახ. 16.2., 16.3.).

განვიხილოთ *გაეროს სისტემის საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების სტრუქტურა* (ნახ 16.2.).

გენერალური ასამბლეა მის მთავარ ორგანოს წარმოადგენს. იგი უფლებამოსილია ორგანიზაციის წესდების ფარგლებში ნებისმიერი საკითხი



ნახ. 16.2. გაეროს შიდა სტრუქტურა.



ნახ. 16.3. გაეროსთან დაკავშირებული ორგანიზაციების სისტემა

გადაწყვიტოს. გენერალური ასამბლეა იღებს რეზოლუციებს, რომლებიც, მართალია მისი წევრებისათვის სავალდებულო არ არის, მაგრამ მსოფლიო პოლიტიკასა და საერთაშორისო სამართლის განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. მისი არსებობის მანძილზე მიღებულია 10000 სხვადასხვა რეზოლუცია. გენერალური ასამბლეა საბოლოოდ ამტკიცებს ყველა საერთაშორისო კონვეციას, რომელიც ეკონომიკურ საკითხებს შეეხება. მის სტრუქტურაში ეკონომიკურ საკითხებზე მუშაობს:

1. *ეკონომიკური და ფინანსური საკითხების კომიტეტი*, რომელიც გენერალური ასამბლეის პლენარული სხდომებისათვის რეზოლუციებს შეიმუშავებს.

2. *საერთაშორისო ვაჭრობის სამართლის გაეროს კომისია* — საერთაშორისო ვაჭრობაში სამართლებრივი ნორმების ჰარმონიზაციითა და უნიფიკაციით არის დაკავებული.

3. *საერთაშორისო სამართლის კომისია* საერთაშორისო სამართლის განვითარებასა და კოდიფიკაციაზე მუშაობს.

4. *ინვესტიციების კომიტეტი* გაეროს კონტროლის ქვეშ არსებული ფონდების სახსრების ინვესტირების საკითხებზე მუშაობს.

ეკონომიკური და სოციალური საბჭო (ECOSOC) (ესს) გაეროს უმნიშვნელოვანეს ორგანოს წარმოადგენს, რომელიც გაეროს პოლიტიკის ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ და ჰუმანიტარულ ასპექტებზეა პასუხისმგებელი.

ესს-ის ფუნქციებში შედის:

- ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში, კულტურის, განათლების, ჯანდაცვის სფეროებში საერთაშორისო საკითხების კვლევა და მოხსენებების შედგენა, აგრეთვე, ამ საკითხებთან დაკავშირებით რეკომენდაციების წარდგენა გენერალური ასამბლეისათვის, ორგანიზაციის წევრებისა და დაინტერესებული სპეციალიზირებული დაწესებულებებისათვის;
- გლობალური და დარგობრივი ხასიათის საერთაშორისო ეკონომიკური და სოციალური პრობლემების განხილვა და ამ პრობლემებთან დაკავშირებული პოლიტიკის რეკომენდაციების შემუშავება წევრი სახელმწიფოებისა და მთლიანად გაეროს სისტემისათვის;
- ეკონომიკურ, სოციალურ და მომიჯნავე სფეროებში გენერალური ასამბლეის მიერ დადგენილი პოლიტიკის საერთო სტრატეგიისა და პირველხარისხოვანი ამოცანების განხორციელების კონტროლი და შეფასება;
- გენერალური ასამბლეის ან ECOSOC-ის დამტკიცების შემდეგ გაეროს კონვერენციებზე და გაეროს სისტემის ჩარჩოებში სხვა ფორმებით

მიღებული შესაბამისი დირექტიული გადაწყვეტილებებისა და რეკომენ-დაციების შეთანხმებისა და თანმიმდევრული პრაქტიკული ოპერატიული განხორციელების უზრუნველყოფა;

- მთლიანად სისტემისათვის გენერალური ასამბლეის მიერ დადგენილი პირველი რიგის ამოცანების განხორციელების მიზნით ეკონომიკურ, სოციალურ და მომიჯნავე სფეროებში გაეროს სისტემის ორგანიზაციების საქმიანობის საერთო კოორდინაციის უზრუნველყოფა;
- გაეროს მთელ სისტემაში ოპერატიული საქმიანობის სფეროში პოლიტიკის ყოველმხრივი მიმოხილვა.

ECOSOC-ს თავის სისტემაში გააჩნია კომისიები, კომიტეტები, სპეციალური ჯგუფები, რომლებიც ეკონომიკური საკითხებით არიან დაკავებული.

ესენია:

6 ფუნქციური კომისია და ქვეკომისია: სოციალური განვითარების, ნარკოტიკული საშუალებების კონტროლის, მეცნიერებისა და ტექნიკის, განვითარების, მდგრადი განვითარების ხელშეწყობის, სტატისტიკის, ტრანსეროვნული კორპორაციების;

5 რეგიონული კომისია: ევროპის, აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების, აფრიკის, ლათინური ამერიკისა და კარიბის აუზის, დასავლეთ აზიის;

2 მუდმივი კომიტეტი: პროგრამებისა და კოორდინაციისათვის, უშუალოდ ორგანიზაციებისათვის;

7 ექსპერტთა ორგანო: დაგეგმვის განვითარების კომიტეტი, საგადასახადო სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ექსპერტთა სპეციალური ჯგუფი, კომიტეტები — სახიფათო ტვირთის ტრანსპორტირების; ეკონომიკური, სოციალური და კულტურული სამართლის; ეროვნული რესურსების; ენერგიის ახალი და განახლებადი წყაროების და განვითარების მიზნით ენერგიის გამოყენების; აგრეთვე, სახელმწიფო მართვისა და ფინანსების ექსპერტთა შეხვედრები.

რეგიონული კომისიის მიზნებს წარმოადგენს მსოფლიოს შესაბამისი რეგიონების ეკონომიკური და ტექნოლოგიური პრობლემების შესწავლა, რეგიონული წევრების ეკონომიკური და სოციალური განვითარების დახმარების ზომებისა და საშუალებების შემუშავება მათი საქმიანობის კოორდინაციისა და შეთანხმებული პოლიტიკის გატარების გზით, რომელიც ეკონომიკის დარგებისა და შიდარეგიონული ვაჭრობის განვითარების კარდინალური ამოცანების გადაწყვეტისაკენ იქნა მიმართული.

გაეროს უშუალო ორგანოების გარდა მის სისტემაში სპეციალიზებული დაწესებულებები და მთავრობათშორისი ორგანიზაციებიც შედის. ესენია:

1) *გაეროს ფონდები და პროგრამები,*

2) *გაეროს სპეციალიზირებული დაწესებულებები,*

3) *გაეროსთან დაკავშირებული ავტონომიური ორგანიზაციები.*

შევჩერდეთ პირველი ჯგუფის ყველაზე მნიშვნელოვან ორგანიზაციებზე.

1) *ინვესტიციების განვითარების ფონდი* განვითარებად ქვეყნებს ეხმარება ფინანსირების არსებულ წყაროების შევსების გზით დახმარებისა და სესხების გაცემით. ფონდის რესურსები ნებაყოფილობითი შენატანებით იქმნება და 40 მლნ დოლარ აღწევს.

2) *გაეროს განვითარების პროგრამა* (UNDP) გაეროს სისტემის ყველაზე მსხვილი ორგანიზაციაა, რომელიც აფინანსებს მრავალდარგობრივ ეკონომიკურ და ტექნიკურ დახმარებას, მისი რესურსები 1 მლრდ დოლარს შეადგენს და გამუდმებით ივსება დონორი-ქვეყნების მიერ, რომელთა რიცხვშია განვითარებული ქვეყნებისა და მსხვილი განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობა. გაეროს განვითარების პროგრამა „მდგრადი განვითარების" წამყვანი ასპექტებითაა დაკავებული: სიღარიბის აღმოფხვრა, გარემოს აღდგენა, დასაქმების უზრუნველყოფა და ა. შ. იგი ამ საკითხებთან დაკავშირებული ასეთი გლობალური ფორუმების ორგანიზატორია, როგორიცაა: გარემოს პრობლემების ფორუმი (რიო-დე-ჟანეირო, 1992 წ.), ხალხთმოსახლეობა და განვითარება (კაირო, 1994 წ.), სოციალური განვითარება (კოპენჰაგენი, 1995 წ.), დღესდღეობით პროგრამის საქმიანობა 150 ქვეყანას მოიცავს, სადაც 6500-ზე მეტი პროექტი ხორციელდება.

3) *გაეროს გარემომცველი სამყაროს პროგრამა* (UNEP) ახორციელებს მუდმივ მეთვალყურეობას გარემომცველ სამყაროზე და პასუხისმგებელია ამ სფეროში ყველა საერთაშორისო პროექტის კოორდინაციაზე. მისი საქმიანობა გლობალური ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრისაკენ არის მიმართული.

4) *მსოფლიო სასურსათო პროგრამა* (WFP) საგანგებო ვითარებებში საერთაშორისო სასურსათო დახმარების გაწევის კოორდინაციას ახორციელებს. მისი ბიუჯეტი 1,2 მლრდ დოლარს აჭარბებს და, ძირითადად, აშშ-ის (500 მლნ დოლარი), ევროკავშირის (235 მლნ დოლარი), და სხვა განვითარებული ქვეყნების შენატანების ხარჯზე ივსება.

გაეროსთან დაკავშირებული სპეციალიზირებული ორგანიზაციებიდან შეიძლება გამოვყოთ შემდეგი:

1) *ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის* (WIPO) ინტელექტუალური საკუთრების დაცვის 18 სამთავრობათშორისო ორგანიზაციის ძალისხმევას აერთიანებს.

2) *გაერთიანებული ერების სამრეწველო განვითარების ორგანიზაცია* (UNIDO) 168 ქვეყანას აერთიანებს, რათა ხელი შეუწყოს ახალი სამრეწველო ტექნოლოგიების დანერგვას, განვითარებადი ქვეყნების, განსაკუთრებით აფრიკული ქვეყნების, ინდუსტრიალიზაციას, ტექნიკურ დახმარებას. UNIDO-მ შექმნა სამრეწველო და ტექნოლოგიური ინფორმაციის ბანკი და სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის გაცვლის სისტემა. ინფორმაციული მასივების მნიშვნელოვანი ნაწილის გაცნობა შეიძლება ინტერნეტში მისამართზე: www. unido. org. აღსანიშნავია, რომ გაეროს სისტემის ყველა ორგანიზაცია ინტერნეტში უფასო ინფორმაციის მშვენიერ წყაროს წარმოადგენს. მათი მისამართები პრაქტიკულად ყოველთვის ემთხვევა, ბუნებრივია, მათ ინგლისურ აბრევიატურას. ჩვენ რეკომენდაციას გაძლევთ, მათ საიტებზე განლაგებული ინფორმაცია ჩვენს სახელმძღვანელოში მოყვანილი მონაცემების ოპერატიული განახლებისათვის გამოიყენოთ.

3) *სასურსათო და აგრარული ორგანიზაცია* (FAO) ხელს უწყობს ინვესტიციებს სოფლის მეურნეობაში, განვითარებადი ქვეყნებისათვის უახლესი ტექნოლოგიების გადაცემას, აგრარულ რეფორმებს. აღსანიშნავია, რომ საიტზე: www. fao. org. ყველა ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსის შესახებ შესანიშნავი ინფორმაციაა განლაგებული.

4) *სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი* (IFAD) განვითარებადი ქვეყნების სოფლის მეურნეობისათვის კრედიტებს გასცემს.

5) *მსოფლიო საფოსტო კავშირი* (UPU) გაეროს სისტემის უძველესი ორგანიზაცია ჯერ კიდევ 1865 წელს დაარსდა და საფოსტო მომსახურების განვითარებითა და მოდერნიზაციით არის დაკავებული.

6) *მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის* (WMO) მეტეოროლოგიური დაკვირვებების განვითარების სფეროში საერთაშორისო ძალისხმევის კოორდინაციას ახორციელებს.

7) *მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია* (WHO) ხალხთა ჯანმრთელობის დაცვის პრობლემების გადაწყვეტისათვის 190 ქვეყნის ძალისხმევას აერთიანებს.

8) *შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია* (ILO) ვერსალის შეთანხმების საფუძველზე ჯერ კიდევ 1919 წელს შეიქმნა. მის რიგებში 171 ქვეყანაა გაერთიანებული. ILO-მ შრომის საერთაშორისო კოდექსი შეიმუშავა. იგი მოსახლეობის დასაქმებისა და ცხოვრების დონის გაზრდის, აგრეთვე, შრომის სფეროში სოციალური და ეკონომიკური რეფორმების საკითხებითაა დაკავებული.

9) *განათლების, მეცნიერებისა და კულტურის გაერთიანებული ერების ორგანიზაცია* (UNESCO) — ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული სა-

ერიაშორისო ორგანიზაცია — ინფორმაციის, ცოდნის, კულტურის, კომუნიკაციისა და ა. შ. სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების საკითხებზე მუშაობს.

გაეროსთან დაკავშირებულ ავტონომიური ორგანიზაციებიდან აქ მხოლოდ ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოზე (IAEN) შევჩერდებით. სააგენტოს ფუნქციებში შედის:

- მხარი დაუჭიროს და ხელი შეუწყოს ატომური ენერგეტიკის განვითარებასა და მშვიდობიანი მიზნებისათვის ატომური ენერგიის პრაქტიკულ გამოყენებას, აგრეთვე, ამ სფეროში გამოკვლევების ჩატარებას;
- ატომური ენერგიისა და მისი მშვიდობიანი მიზნებისათვის პრაქტიკული გამოყენების სფეროში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების საჭიროებებისათვის უზრუნველყოს მასალები, მომსახურება, აღჭურვილობა და ტექნიკური საშუალებები;
- ხელი შეუწყოს სამეცნიერო და ტექნიკური ინფორმაციის გაცვლას;
- მხარი დაუჭიროს მეცნიერ-მუშაკებისა და სპეციალისტების გაცვლასა და მომზადებას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სისტემის სხვა ორგანიზაციები ვაჭრობის გლობალური რეგულირებისა და საერთაშორისო ფინანსური ურთიერთობების საკითხებისადმი მიძღვნილი თავის პარაგრაფებში იქნება განხილული.

16.3. ეუგო-ს სისტემის ორგანიზაციები და საერთო კომპეტენციის სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (ეუგო) ევროპული ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ბაზაზე 1961 წელს შეიქმნა. იგი ამ უკანასკნელის სამართალმემკვიდრეა.

ეუგო-ს წევრი ინდუსტრიულად განვითარებული 28 ქვეყანაა: ავსტრალია, ავსტრია, ბელგია, დიდი ბრიტანეთი, უნგრეთი, გერმანია, საბერძნეთი, დანია, ირლანდია, ისლანდია, ესპანეთი, იტალია, კანადა, ლუქსემბურგი, მექსიკა, ჰოლანდია, ახალი ზელანდია, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, კორეის რესპუბლიკა, აშშ, თურქეთი, ფინეთი, ჩეხეთი, შვეიცარია, იაპონია.

რუსეთის ფედერაციამ განცხადება შეიტანა ეუგო-ში გაწევრიანების თაობაზე. 1944 წელს რფ-მ ხელი მოაწერა დეკლარაციას ეუგო-სთან თანამშრომლობის თაობაზე და შეთანხმებას პრივილეგიებისა და იმუნიტეტების თაობაზ

ეთგო-ს ძირითადი ფუნქცია მსოფლიო მეურნეობის სისტემაში წარმოშობილი წინააღმდეგობების შერბილების მიზნით წევრი ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაციაა. ეთგო-ს საქმიანობის მიმართულებებს შორის მნიშვნელოვანია საერთაშორისო ვაჭრობის რეგულაციის საკითხები, სავალუტო-საკრედიტო სისტემის სტაბილიზაცია, განვითარებად ქვეყნებთან ურთიერთდამოკიდებულების პრობლემები. თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები სარეკომენდაციო ხასიათისაა და შეთანხმებული ქმედება იშვიათად მოსდევს.

ეთგო-ს ოფიციალური მიზნებია:

- მდგრადი ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხელშეწყობა როგორც წევრ ქვეყნებში, ისე ამ ორგანიზაციაში არამონაწილე ქვეყნებში;
- მათი ვაჭრობის კოორდინაციისა და საერთოეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანი მეთოდების შემუშავება;
- წევრ-ქვეყნებში მდგრადი ეკონმიკური ზრდის ტემპების, დასაქმებისა და ცხოვრების მაღალი დონის ხელშეწყობა ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნებით და ამრიგად, მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში წვლილის შეტანა;
- საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად, მრავალმხრივ არადისკრიმინაციულ საფუძველზე მსოფლიო ვაჭრობის განვითარების ხელშეწყობა;
- განვითარებადი ქვეყნებისათვის დახმარების გაწევის სფეროში ქმედებების სტიმულაცია და კოორდინაცია.
- ეთგო-ს მმართველი ორგანოა საბჭო, რომელშიც ყველა ქვეყნის თითო წარმომადგენელი შედის. საბჭო იკრიბება ან მუდმივი წარმომადგენლების შემადგენლობით (დაახლ.-ოებით კვირაში ერთხელ) ან წევრი ქვეყნების მინისტრების შემადგენლობით. გადაწყვეტილებები და რეკომენდაციები საბჭოს ყველა წევრის თანხმობით მიიღება და ჩვეულებრივ, სარეკომენდაციო ხასიათისაა. ზოგიერთ შემთხვევაში სავალდებულო დადგენილებებიც მიიღება, რომლებიც არ ვრცელდება ამ ქვეყნებზე, ვინც თავი შეიკავა ხმის მიცემისაგან და იმ ქვეყნებზე, რომელთა კონსტიტუცია ამგვარი დადგენილებების მიღების საშუალებას არ იძლევა.

ეთგო-ს შემადგენლობაში 20-ზე მეტი სპეციალიზებული კომიტეტი ფუნქციონირებს. ესენია: ეკონომიკური პოლიტიკის, ეკონომიკისა და განვითარების; ვაჭრობის; კაპიტალის მოძრაობისა და უხილავი გარიგებების; ფინანსური ბაზრების; საგადასახადო პოლიტიკის; კონკურენციის პოლი-

ტიკისა და სამართლის; სამომხმარებლო პოლიტიკის; ტურიზმის; საზღვაო ტრანსპორტის; საერთაშორისო ინვესტიციებისა და მრავალეროვნული საწარმოების; ენერგეტიკული პოლიტიკის; მრეწველობის; ფოლადის; სამეცნიერო და ტექნოლოგიური პოლიტიკის; ინფორმაციის სფეროში პოლიტიკის; კომპიუტერიზაციისა და კომუნიკაციის; განათლების საკითხების; სამუშაო ძალისა და სოციალური პოლიტიკის; სახელმწიფო მართვის საკითხების; გარემომცველი სამყაროს დაცვის; სოფლის მეურნეობის; საქონლის და სხვ.

კომიტეტები ორგანიზაციის ძირითად პრაქტიკულ საქმიანობას ახორციელებენ:

- განსაზღვრავენ წევრი-ქვეყნების საერთოეკონომიკურ პოლიტიკას;
- მეთვალყურეობენ მათ ეკონომიკურ და ფინანსურ მდგომარეობას;
- აჭზადებენ ეთგო-ს ყველა ქვეყნის ყოველწლიურ ეკონომიკურ მიმოხილვას;
- შეიმუშავებენ რეკომენდაციებს ეკონომიკური პროცესების საერთაშორისო რეგულირების საკითხებთან დაკავშირებით;
- უწევენ კონსულტაციებს წევრი-ქვეყნების მთავრობებს განვითარებადი ქვეყნებისათვის სესხების, სუბსიდიებისა და სხვა ფინანსური საშუალებების გამიცემისა და სხვა ტექნიკური დახმარების გაწევის საკითხებთან დაკავშირებით.

ეთგო-ს დაფინანსება ხორციელდება ორგანიზაციის წევრების შენატანებით. ეთგო-ს სტრუქტურაში შედის შემდეგი ორგანიზაციები (ცხრილი 16.1.):

ცხრილი 16.1.

ეთგო-ს სისტემის ორგანიზაციები

ორგანიზაციის დასახელება	წევრი-ქვეყნების რიცხვი	დაარსების წელი
ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (ეთგო)	29	1961
„შვიდის ჯგუფი"	7	1975
საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტო (IEA)	27	1974
ატომური ენერგიის სააგენტო (NAE)	27	1958

„შვიდის ჯგუფი“ ან „დიდი შვიდეული“, „G7“, ეთგო-ს ეკონომიკურად ყველაზე ძლიერი ქვეყნების ორგანიზაციას წარმოადგენს. იგი 1975 წელს გლობალური ფინანსური და სავალუტო საკითხების გადასაწყვეტად შეიქმნა. შემდგომში ჯგუფის ფუნქციები იზრდებოდა და ამჟამად მთავრობათა მეთაურების ყოველწლიურ შეხვედრებზე გლობალური საკითხების მთელი სპექტრი განიხილება. ჯგუფში გაერთიანებული დიდი ბრიტანეთი, გერმანია, იტალია, კანადა, აშშ, საფრანგეთი და იაპონია მსოფლიო მშპ-ის 60%-ს აწარმოებს და ეს ფაქტი მსოფლიო ეკონომიკაზე „დიდი შვიდეულის“ უდიდეს გავლენას განსაზღვრავს. 1997 წელს „შვიდის ჯგუფში“ რუსეთი შევიდა და ახლა მას ხშირად „რვის ჯგუფს“ უწოდებენ. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი ამ პრესტიჟული კლუბის სრულუფლებიანი წევრი „დე-ფაქტო“ ჯერ არ გამხდარა, მისი გაცილებით სწორი სახელწოდება „შვიდნახევრის ჯგუფი“ იქნებოდა. თუმცა 2000 წელს იაპონიის კუნძულ ოკინავაზე გამართულ შეხვედრაზე რუსეთმა აჩვენა, რომ იგი უკვე ჯეროვან ყურადღებას იპყრობს.

საერთაშორისო ენერგეტიკული საგენტო (IEA) ეთგო-ს ორგანიზაციის ჩარჩოებში ავტონომიურ ორგანოს წარმოადგენს. მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- დახმარების გაწევა წევრი ქვეყნებისათვის ენერგიის მრავალფეროვანი წყაროების განვითარებაში გრძელვადიანი თანამშრომლობის საფუძველზე ნახშირის, ბუნებრივი გაზის, ჰიდროენერგიის, ატომური ენერგიის და ენერგიის განახლებადი წყაროების ეფექტიანი გამოყენების წახალისების გზით ეკოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებით;
- საგანგებო ვითარებების გადალახვისათვის ზომების განხორციელება სარეზერვო მარაგების შექმნის, ნავთობის მოხმარების შემცირების, ნავთობიდან სათბობის სხვა სახეობებზე სწრაფი გადართვის, ენერგიის ადგილობრივი წარმოების გაზრდის, საგანგებო ვითარებაში ნავთობის განაწილების მუდმივი სისტემის მხარდაჭერის გზით;
- ენერგეტიკის სფეროში წევრი ქვეყნების პოლიტიკის ანალიზი ეფექტიანი გამოყენებისა და ენერგორესურსების დაზოგვის ხელშეწყობის, ნავთობის ალტერნატიული წყაროების გამოყენების ანალიზის მიზნით;
- ნავთობის მსოფლიო ბაზრისა და ენერგეტიკის სფეროში ტექნოლოგიების კვლევა.

ატომური ენერგიის საგენტო (NAE) ეთგო-ს ფარგლებში მოქმედებს. სააგენტოს საქმიანობის ძირითად მიმართულებას ატომური ენერგეტიკის სფეროში მისი წევრი-ქვეყნების პოლიტიკების კოორდინაცია, რეაქტორე-

ბის უსაფრთხოების პროგრამების განხორციელება და ატომური ენერგეტიკის განვითარება წარმოადგენს. შევნიშნავთ, რომ სააგენტოს წევრების წილად ატომური ენერგიის მსოფლიო წარმოების 80% მოდის.

გაეროსა და ეთგოს სისტემის საერთაშორისო ორგანიზაციების გარდა არსებობს საერთო კომპეტენციის მთელი რიგი ორგანიზაციები, ანუ ორგანიზაციები, რომლებიც სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მთელი სპექტრით არიან დაკავებულნი (ცხრილი 16.2.).

ცხრილი 16.2.

საერთო კომპეტენციის საერთაშორისო ორგანიზაციები

ორგანიზაციის სახელწოდება	წევრი ქვეყნების რიცხვი	დაარსების წელი
ევროსაბჭო	40	1949
ერთა თანამეგობრობა	53	1931
ჩრდილოეთის თანამეგობრობა	5	1971
არაბულ სახელმწიფოთა ლიგა	22	1945
ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (OSCE)	55	1975
ისლამური კონფერენციის ორგანიზაცია	50	1969

ევროსაბჭო წარმოადგენს ფართოპროფილიან მთავრობათაშორის ორგანიზაციას. მისი წევრი ევროპის 40 ქვეყანაა (რუსეთის ჩათვლით 1996 წლიდან). ევროსაბჭოს საქმიანობის ძირითადი სფეროებია:

- ადამიანის უფლებები;
- მასობრივი ინფორმაციის საშუალებები;
- სამართლებრივ სფეროში თანამშრომლობა;
- სოციალური და ეკონომიკური საკითხები;
- ჯანდაცვა, განათლება, კულტურა, სპორტი და რეგიონული მმართველობა;
- გარემო.

საბჭოს ხელმძღვანელი ორგანოა მინისტრთა კომიტეტი, რომელიც 40 ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებისაგან შედგება, ხოლო სათათბირო ორგანოა — საპარლამენტო ასამბლეა. შევნიშნავთ, რომ რუსეთის ყველა ბოლოდროინდელი უსიამოვნება, რომელიც დაკავშირებულია ჩეჩნეთთან, ჯერჯერობით მხოლოდ საპარლამენტო ასამბლეას ეხება ანუ სათათბირო ორგანოს, რომელიც გადაწყვეტილებებს არ იღებს. ევროპის საბჭო შეიმუშავებს კონვენციებს სახელმწიფოთაშორისი სამართლებრივი თანამშრომლობის საკითხებზე, რომლებიც სავალდებულოა სახელმწიფოთა მიერ მათი რატიფიკაციის შემდეგ. ეკონომიკის, ეკოლოგიისა და სოციალური პრობლემების სფეროში იგი მონაწილე ქვეყნებს რეკომენდაციებს აძლევს. საბჭოსთან არსებობს განვითარების ფონდი, რომელიც ფუნქციონირებს როგორც ბანკი სოციალური განვითარებისა და გარემომცველი სამყაროს დაცვის სფეროში.

ერთა თანამეგობრობა 53 დამოუკიდებელი სახელმწიფოს ნებაყოფილობითი გაერთიანებაა, რომელბიც ისტორიულად დიდ ბრიტანეთთან არიან დაკავშირებული (ყოფილი კოლონიები და დომინიონები). თანამეგობრობის მეთაური დიდი ბრიტანეთის მონარქიაა. თანამეგობრობა მონაწილე ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას უწყობს ხელს, ახორციელებს სამეცნიერო, კულტურულ და ეკოლოგიურ პროგრამებს.

ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (OSCE) 1975 წელს შეიქმნა როგორც მონაწილე ქვეყნებს შორის დიალოგისა და თანამშრომლობის ფორუმი. ეუთოს წევრი 55 ქვეყანაა. ეუთოს ფორუმებზე იკრიბება ევროპის ყველა ქვეყანა, აშშ და კანადა, რომელბსაც ადამიანის უფლებების, ძირითადი თავისუფლებების, დემოკრატიისა და კანონიერების საერთო ნორმები გააჩნიათ.

ზემოდასახელებული ორგანიზაციების გარდა, ამ ჯგუფს მიეკუთვნება არაბულ სახელმწიფოთა ლიგა, რომელიც ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილო-აფრიკის 22 ქვეყანას აერთიანებს; ისლამური კონფერენციის ორგანიზაცია, რომლის მიზანს მუსლიმური სოლიდარობის განმტკიცება წარმოადგენს და 50 მუსლიმურ სახელმწიფოს მოიცავს აზერბაიჯანის, ყაზახეთის, ყირგიზეთისა და ტაჯიკეთის ჩათვლით; და ჩრდილოეთის თანამეგობრობა, რომელიც დანიის, ნორვეგიის, შვეციის, ფინეთისა და ისლანდიის ურთიერთქმედებას უწყობს ხელს.

16.4. საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციები

საერთაშორისო ფინანსურ ორგანიზაციებს შორის ცენტრალური ადგილი მსოფლიო ბანკს (World Bank) უჭირავს.

მსოფლიო ბანკის ჯგუფში შედის:

1. რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD) 1944 წელს შეიქმნა შედარებით მდიდარი განვითარებადი ქვეყნებისათვის კრედიტების მიცემის მიზნით.

2. განვითარების საერთაშორისო ასოციაცია (IDA) 1960 წელს შეიქმნა განვითარებადი ქვეყნებისათვის განსაკუთრებით შეღავათიანი პირობების კრედიტების მიცემის მიზნით.

3. საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია (IFC) 1956 წელს შეიქმნა განვითარებად ქვეყნებში კერძო სექტორის მხარდაჭერის გზით ეკონომიკური განვითარებისათვის.

4. საინვესტიციო გარანტიების მრავალმხრივი სააგენტო (MIGA) განვითარებად ქვეყნებში უცხოური ინვესტიციების წახალისების მიზნით 1988 წელს შეიქმნა. იგი უცხოელ ინვესტორებს გარანტიებს სთავაზობს იმ დანაკარგებისათვის, რომლებიც კომერციულ რისკებს ახლავს.

5. საინვესტიციო დავების და რეგულირების საერთაშორისო ცენტრი (ICSID) საერთაშორისო ინვესტიციების გაზრდის ხელშეწყობის მიზნით 1966 წელს შეიქმნა. იგი მთავრობებსა და უცხოელ ინვესტრებს შორის საარბიტრაჟო გარჩევებისა და დავების რეგულირების მომსახურებას აწარმოებს.

ჯგუფის ყველა ორგანიზაცია შედის გაერო-ს სისტემაში (იხ. სურ. 16.2.). თითოეული მათგანი ფინანსურ დახმარებას უწევს განვითარებად ქვეყნებს.

რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (რბსბ) ბრეტონ-ვუდსის კონფერენციის გადაწყვეტილების შესაბამისად შეიქმნა (1944 წ., ივლისი, აშშ). რგსბ-ს წევრები შეიძლება იყვნენ მხოლოდ საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრები. რბსბ-ს შემადგენლობაში 180 სახელმწიფოა.

რგსბ-ის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- განვითარებადი ქვეყნებისათვის გრძელვადიანი სესხების და კრედიტების მიცემა საწარმოო მიზნით, სოფლის მეურნეობის და სასოფლო რაიონების, ენერნეტიკის განვითარებისათვის, შესაბამისი მთავრობების დავალიანებათა დაფარვაზე გარანტიების გაცემა, სესხების გაცემა კონკრეტული პროექტებისათვის.
- სესხების გაცემა განვითარებად ქვეყნებში ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის, გზატკეცილების და რკინიგზების, ელექტროკავშირის,

ქალაქის პორტების, ენერგეტიკული დანადგარების შესაქმნელად, ასევე განათლების, ჯანდაცვის განვითარებისათვის, კადრების მოსამზადებლად. ჩვეულებრივ ასეთი სესხები გაიცემა განვითარებადი ქვეყნების მიერ ისეთი პირობების დაცვის შემთხვევაში, როგორიცაა ტეკ-ების საქმიანობისათვის ხელსაყრელი კლიმატის შექმნა, ეროვნული ვალუტების დევალვაცია, ექსპორტზე კონტროლის ლიბერალიზაცია, მომხმარებელთა სუბსიდიების ლიკვიდაცია, უცხოელ კაპიტალდამბანდებელთა გათავისუფლება გადასახადებისაგან, მოგების თავისუფალი გატანა, ნაციონალიზაციისაგან დაცვის გარანტია და სხვ.

- განვითარებადი ქვეყნებისათვის ტექნიკური დახმარების გაწევა, რომელიც იყოფა შემდეგ სახეებად: 1. ტექნიკური დახმარება, რომელიც ფინანსდება როგორც სესხების და კრედიტების შემადგენელი ნაწილი; უვადო სესხები და კრედიტები ტექნიკურ დახმარებაზე; ტექნიკური დახმარება, რომელიც ფინანსდება ფონდის მეშვეობით პროექტების მომზადებისას; 2) ტექნიკური დახმარება, რომელსაც უწევს რგსბ, მაგრამ არ აფინანსებს — იგი ასრულებს ადმინისტრაციული ორგანოს როლს. აქ ჩართულია რგსბ-ს ხელმძღვანელობით განსახორციელებელი პროექტები; ამ სახეს მიეკუთვნება მდიდარი განვითარებადი ქვეყნებისათვის, ასევე სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდისთვის განკუთვნილი ანაზღაურებადი ტექნიკური დახმარების პროგრამები; 3) ტექნიკური დახმარება ადმინისტრაციული ბიუჯეტის ხარჯზე.
- გარემოს გლობალური ფონდიდან განვითარებადი ქვეყნების გარემოს დაცვის პროექტების და საქმიანობის დაფინანსება, რომელშიც რგსბ ასრულებს მზრუნველისა და პროექტების დამკვეთის ფუნქციას.

რგსბ-ს უმაღლესი ორგანოა მმართველთა საბჭო, რომლის ფუნქციაშიც შედის: რგსბ-ს საერთო პოლიტიკის განსაზღვრა; ახალი წევრების მიღება, ბანკის საწესდებო კაპიტალის მოცულობაზე გადაწყვეტილების მიღება; წმინდა შემოსავლის განაწილება. რგსბ-ის შემსრულებელი ორგანოა დირექტორატი, რომელიც 24 დირექტორ-განმკარგულებლისაგან შედგება. მათგან 5 ინიშნება აქციების უმეტესი წილის მფლობელთა მიერ, 19 კი აირჩევა მმართველთა მიერ დანარჩენი წევრი ქვეყნების წარმომადგენელთაგან. დირექტორატი ირჩევს რბსბ-ის პრეზიდენტს, რომელიც რბსბ-ს საქმიანობის ოპერატიულ ხელმძღვანელობას ახორციელებს და პასუხს აგებს მომსახურეთა შტატებზე.

რგსბ-ის საწესდებო კაპიტალი ამჟამად 182 მლრდ დოლარია. რგსბ მას იყენებს საგარანტიო ფონდის სახით და იაფი ფული გააქვს ფინანსურ ბაზრებზე საკუთარი პროექტების განსახორციელებლად. სსფ-სგან გან-

სხვავებით, მსოფლიო ბანკი აფინანსებს ძირითადად კერძო ბიზნესს. მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რომ რგსბ აკრედიტებს ჩვეულებრივ პროექტის მიახლოებით 30%-ს. მისი სახსრების მისაზიდად აუცილებელია დაფინანსების სხვა წყაროების ფლობაც.

რგსბ-ს ძირითადი ამოცანა შერჩეული კონკრეტული ობიექტების (უპირატესად ინფრასტრუქტურის — სატრანსპორტო, კავშირგაბმულობის, ენერგეტიკის) დაკრედიტებაა. 80-იანი წლებიდან რგსბ-ს კრედიტებში განვითარების სოციალური ასპექტები, განსაკუთრებით, სილარიბესთან ბრძოლა, თამაშობს დიდ როლს. იზრდება ჯანდაცვის, განათლების, ოჯახის დაგეგმვის, სოფლის მეურნეობის განვითარებაზე გამოყოფილი კრედიტები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა გარემოს დაცვას და პრივატიზაციას.

რგსბ-მა კრედიტების გაცემა დაიწყო სტრუქტურული ადაპტაციისათვისაც, რომელიც შეესაბამება ეკონომიკური რეფორმების პროგრამას და მსესხებელი ქვეყნების გადასვლას საბაზრო ეკონომიკაზე. ამიტომ რგსბ-ის მიერ გამოყოფილი ასეთი კრედიტები არ არის გამიზნული კონკრეტული ობიექტებისათვის და მსესხებელ ქვეყნებს შეუძლიათ საკმაოდ თავისუფლად განკარგონ ნასესხები თანხები.

რუსეთი რგსბ-სა და სსფ-ში 1992 წელს შევიდა. მისი კვოტა რგსბ-ში შეესაბამება სსფ-ში კვოტას და შეადგენს კაპიტალის მთლიანი მოცულობის 3%-ს.

რუსეთის რგსბ-ის დირექტორატში თავისი წარმომადგენელი ჰყავს და მის კრედიტებს ფართოდ იყენებს. კერძო რუსულ ორგანიზაციებს რეალურად შეუძლიათ რგსბ-დან კრედიტების მიღება. ამასთან, რგსბ დაეხმარება სწორად გააფორმოს პროექტი. რგსბ-ის საქმიანობის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ მისი საიტის მოძებნით — www. worldbank. org.

განვითარების საერთაშორისო ასოციაცია (გსა) შეიქმნა 1960 წელს და ფორმალურად რგსბ-სგან დამოუკიდებელია. მაგრამ რგსბ-ის პრეზიდენტი გსა-ის პრეზიდენტია, ე. ი. ფაქტობრივად გსა-ს აკონტროლებს რგსბ. გსა-ის შემადგენლობაში 159 ქვეყანა შედის, რომელთაგან 26 განვითარებადია.

განვითარების საერთაშორისო ასოციაციის საქმიანობის ძირითადი მამართულებაა უღარიბეს და ნაკლებად კრედიტუნარიან ქვეყნებში პროდუქტების დაკრედიტება მათი ეკონომიკური განვითარების მიზნით. კრედიტების მიმღები ქვეყნების შეირჩევა ოთხი კრიტერიუმით: 1) ერთ სულ მოსახლეზე ქვეყანაში წლიური შემოსავალი უნდა იყოს 1305 დოლარზე ნაკლები; 2) ქვეყანაში დამაკმაყოფილებელი ეკონომიკური, ფინანსური და

პოლიტიკური სტაბილურობა უნდა იყოს, რომ განვითარების მიზნით გაცემულმა გრძელვადიანმა კრედიტებმა გაამართლოს; 3) ქვეყანა სერიოზულ სიძნელეებს უნდა განიცდიდეს საგადასახდელო ბალანსთან დაკავშირებით; 4) ქვეყნის პოლიტიკა მიზანმიმართული უნდა იყოს ეკონომიკურ განვითარებაზე. ფაქტობრივად, განვითარების საერთაშორისო ასოციაციის მიერ გაცემული კრედიტების უდიდესი ნაწილი დაბალგანვითარებულ ქვეყნებზე მოდის, სადაც წლიური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე 800 დოლარია. სპეციალური დახმარების ფარგლებში ხორციელდება საჰარის სამხრეთ ქვეყნების განვითარების მხარდაჭერა, სადაც დაბალი შემოსავლები და მაღალი გადასახადებია. გსა კრედიტებს გასცემს, როგორც წესი, 50 წლის ვადით. წლიურად 3%-ს იხდიან. კრედიტის გამოყენებაზე პროცენტებს არ იხდიან. კრედიტები გაიცემა უცხოურ ვალუტაში საქონლისა და მომსახურების იმპორტზე გადასახადებისათვის. გსა-ის შეთანხმების მიხედვით არ შეიძლება გაცეუმლი კრედიტები მიბმული იყოს კონკრეტულ ქვეყნებში საქონლის შეძენაზე, კრედიტების ხარჯვა უნდა განხორციელდეს ვაჭრობების, აუქციონების და სხვ. საშუალებით.

საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია (სფკ) შეიქმნა 1956 წელს. ფაქტობრივად იგი რგსბ-ს ფილიალია და სპეციალიზდება შემდეგი მიმართულებებით:

- საწარმოების დაფინანსება წევრ-ქვეყნებში უშუალოდ კერძო კომპანიებისათვის სესხების მიცემით და ინვესტირების განხორციელება ამ ფირმებში სფკ-ის საკუთარი სახსრებით, რომელიც არ საჭიროებს გარანტიებს მთავრობათა მხრიდან. სესხები გაიცემა 7-დან 12 წლამდე ვადით ძირითად ვალუტაში ფიქსირებული ან ცვალებადი განაკვეთებით; სესხების დაფარვა იმ ვალუტით ხდება, რომლითაც სესხი მიიღეს.
- ინვესტიციების განხორციელება საკუთარი სახსრებით გადამმუშავებელ და მომპოვებელ მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, კომუნალურ საწარმოებში, ტურიზმში;
- კერძო ფინანსური სახსრების მიზიდვა ინფრასტრუქტურის, გარემოს განვითარების პროექტებში ინვესტირებისათვის.

სფკ-ის უმაღლესი ორგანოა მმართველთა საბჭო, მის შემადგენლობაში იგივე პირები არიან, რომელნიც რგსბ-ს მმართველთა საბჭოში. სფკ-ის პრეზიდენტი რგსბ-ს პრეზიდენტია. აღმასრულებელი დირექტორებიც უთავსებენ თავიანთ თანამდებობებს რგსბ-სა და სფკ-ში.

საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია (სფკ) პროექტებში დაახლოებით 80-90 მლრდ დოლარის ინვესტიციებს ახორციელებს. სფკ-მ რუსეთში საქმიანობა ტექნიკური დახმარების გაწევით დაიწყო. განსაკუთრე-

ბით არსებითი როლი მან ითამაშა ნიჟეგოროდის, ვოლგოგრადის, ნოვოსიბირსკის ოლქებსა და სახას (იაკუტიის) რესპუბლიკაში პრივატიზაციის პროგრამის რეალიზაციაში. 1992 წელს სფკ-მ მიიღო მონაწილეობა სანავთობო და რიგი სხვა პროექტების დაფინანსებაში. მუშავდება ტელეკომუნიკაციის, კვების მრეწველობის, სასტუმროების ბიზნესის განვითარების გეგმები სფკ-ის მონაწილეობით.

ინვესტიციების გარანტიების მრავალმხრივი საგენტო (იბმს) შეიქმნა 1988 წელს როგორც მსოფლიო ბანკის ფილიალი. მის შემადგენლობაში 154 ქვეყანა შედის. იგმს-ს ძირითადი მიმართულება რისკებზე გარანტიების გაცემაა, რომელნიც გამოწვეულია შემდეგი გარემოებებით:

- ადგილობრივი ვალუტის არაკონვერტირებადობა; ფუნქციონირების ქვეყანაში საკუთრების ექსპროპრიაცია; ომითა და სამოქალაქო არეულობით; მიმღები ქვეყნის კონტრაგენტთა მხრიდან კონტრაქტის დარღვევა;
- იგმს შერჩეულ ინვესტორებს წევრ-ქვეყნებში, უპირატესად განვითარებად ქვეყნებში და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში არაკომერციულ რისკებზე აძლევს გარანტიებს, რაც ფაქტობრივად პოლიტიკური რისკებისგან დაზღვევას ნიშნავს.

იგმს-ს ფარგლებში შეიქმნა საინვესტიციო მარკეტინგის სამსახური (Investment Marketing Services), რომელიც წევრ ქვეყნებს დახმარებას უწევს მარკეტინგულ საქმიანობაში. მისი მიზანია ინვესტორთა უზრუნველყოფა აუცილებელი მომსახურებით, ინვესტორებს და წევრი ქვეყნების მთავრობებს შორის კავშირების დამყარება და განმტკიცება, ღონისძიებათა გატარება უცხოურ ინვესტორთა მისაზიდად. იგმს-ს საინფორმაციო საქმიანობა მიმართულია საინვესტიციო შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად განვითარებად ქვეყნებსა და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, რომლებიც იგმს-ს წევრები არიან. იგმს-ს საინფორმაციო საქმიანობაში კომუნიკაციის უახლესი საშუალებები გამოიყენება, რომელიც საშუალებას იძლევა დამყარდეს და განმტკიცდეს კონტაქტები პოტენციურ უცხოელ ინვესტორებთან. იგმს-ს საინფორმაციო გაცვლისა და კომუნიკაციის გლობალური ქსელი ინტერნეტში არის მისი სისტემა: იპანეტ-ი.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი (სსფ). ისევე, როგორც რგსბ, ბრეტონ-ვუდსის ორგანიზაციაა. ისინი ერთდროულად დაფუძნდა 1944 წელს, ბრეტონ-ვუდსის კონფერენციამ მიიღო შეთანხმება სსფ-ს შესახებ, რომელიც მისი წესდების როლს თამაშობს. სსფ გაეროს (ის. სურ. 16.1.) სპეციალიზებულ ორგანიზაციად ითვლება, მაგრამ წესდებით გაეროს უფლება აქვს მისცეს მას რეკომენდაციები გასატარებელი პოლიტიკის შესახებ. ამჟამად სსფ-ს წევრი 181 სახელმწიფოა. ყოფილი სსრკ-ს ქვეყნები

ფონდში 1992 წელს მიიღეს . სსფ-ს წევრობა აუცილებელი წინაპირობაა რგსბ-ში შესასვლელად. საერთოდ, სსფ-ს როლი არ ამოიწურება მისი საწესდებო ფუნქციებით, იგი გაცილებით დიდია. ქვეყნის მონაწილეობა სსფ-ს პროგრამებში და სსფ-ს მხრიდან ამა თუ იმ ქვეყნის მიერ გატარებული ეკონომიკური პოლიტიკის მოწონება სიგნალია ყველა კრედიტორისათვის კრედიტის გაცემა-არგაცემის მიზანშეწონილობის შესახებ.

თავდაპირველად სსფ შეიქმნა ბრეტონ-ვუდსის სავალუტო სისტემის ფარგლებში ვალუტათა კურსების დადგენისა და კორექტირებისათვის. თავისუფალი კურსების იამაიკის სისტემაზე გადასვლის შემდეგ (იამაიკის შეთანხმება 1978 წ.) იგი მხოლოდ მეთვალყურეობს მსოფლიო სავალუტო სისტემას და ვალუტის კურსების მდგომარეობას. არასასურველი სიტუაციის შექმნის შემთხვევაში კორექტირების შესაძლებლობები ამჟამად შეზღუდულია წარუმატებელი ქვეყნების დაკრედიტების სხვადასხვაგვარი მექანიზმებით.

პრაქტიკულად სსფ თანამედროვე სავალუტო სისტემის ინსტიტუციური საფუძველია. იგი მოწოდებულია წევრ ქვეყნებს შორის სავალუტო-საანგარიშსწორებო ურთიერთობების რეგულირების განსახორციელებლად და მათ ფინანსურ დახმარებას უწევს სავალუტო სიძნელეების წარმოშობის დროს უცხოურ ვალუტაში კრედიტების გაცემით.

1969 წელს სსფ-მ შემოიღო ე. წ. სესხების სპეციალური უფლებები (SDR). სინამდვილეში განსაკუთრებული წარმატება არ მოუპოვებია ახალ მსოფლიო ფულს, რომლის ემიტირებაც სსფ-მ განახორციელა. SDR-ის კურსი ყოველდღიურად განისაზღვრება რამდენიმე წამყვანი კონვერტირებადი ვალუტის კურსების მიხედვით და დღეისათვის მიახლოებით 1,2 აშშ დოლარს უტოლდება. მიუხედავად იმისა, რომ ვერ გახდა მსოფლიო სარეზერვო ვალუტა და მისი წილი ქვეყნების სარეზერვო ვალუტებში არ არის დიდი, სსფ-ს ყველა ძირითადი ფინანსური ოპერაცია წინანდებურად SDR-ში აღირიცხება.

სსფ ორგანიზებულია სააქციო საზოგადოების პრინციპით და მონაწილე ქვეყნების ხმათა რაოდენობა განისაზღვრება ფონდის კაპიტალში მათი წილით. აშშ-ს წილად ამჟამად მოდის კაპიტალის 18,2%, ევროგაერთიანების წილად — 26,7%. 22 განვითარებული ქვეყნის წილი ფონდის კაპიტალის 60,3%-ია და ფაქტობრივად ისინი მართავენ. სსფ-ს ოპერაციულ საქმიანობას ხელმძღვანელობს აღმასრულებელი საბჭო (დირექტორთა საბჭო), რომელიც ნიშნავს დირექტორ-განმკარგულებელს.

ფონდის ფინანსური რესურსები იქმნება წევრი ქვეყნების საწევრო შენატანებით. ეს შენატანები SDR-ის ერთეულებში გამოხატული კვოტაა.

დღეისათვის კვოტების მთელი თანხა, ანუ ფონდის კაპიტალი შეფასებულია დაახლოებით 200 მლრდ დოლარად. კვოტა სსფ-ს წევრი ქვეყნების ურთიერთდამოკიდებულების სისტემაში საკვანძო ელემენტია. კვოტიდან გამომდინარე განისაზღვრება ხმები არა მარტო ფონდის მართვაში, არამედ სესხების შესაძლებლობებიც.

ფონდის მიერ კრედიტების გაცემის ძირითადი წყაროა სსფ-ს საკუთარი კაპიტალი და მობილიზებული ნასესხები სახსრებია. ყველაფერი ეს იმყოფება ე. წ. საერთო რესურსების ანგარიშზე, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ფონდის ყველა ფინანსური ოპერაცია.

მიზნის და დაკრედიტების პირობების მიხედვით სსფ იყენებს სხვადასხვაგვარ მექანიზმებს და სპეციალურად ორგანიზებულ შიდა ფონდებს. დაკრედიტების ჩვეულებრივი პრაქტიკა იმაში მდგომარეობს, რომ მსესხებელი ქვეყანა ფონდიდან ყიდულობს მისთვის აუცილებელ ვალუტას ეროვნული ვალუტით. სესხის ვადის ამოწურვის შემდეგ მიდის უკუგაყიდვა. რამდენადაც მსესხებელი უმრავლეს შემთხვევაში ქვეყანაა, რომელსაც არ გააჩნია თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა, ეს ოპერაცია გადაიქცევა ჩვეულებრივ კრედიტად. თვითონ ოპერაციებისათვის ფონდი საკომისიოს გარიგების თანხიდან 0,5% იღებს, საპროცენტო განაკვეთი კი ეფუძნება საბაზრო კოტირებას.

ფონდის ჩვეულებრივი საკრედიტო მექანიზმი მოიცავს:

- სარეზერვო წილების მექანიზმს;
- საკრედიტო წილების მექანიზმს;
- შეთანხმებებს სარეზერვო კრედიტებზე;
- გაფართოებული და დამატებითი დაფინანსების მექანიზმებს.

სარეზერვო წილების მექანიზმი ვარაუდობს ქვეყნის მიერ თავისი ფულის დროულ აღებას ფონდიდან. ამასთან, საკომისიოს გადახდა და პროცენტების დარიცხვა არ ხდება.

საკრედიტო წილების მექანიზმი ფონდის საერთო რესურსების გამოყენების მნიშვნელოვანი არხია. უცხოურ ვალუტაში გამოხატული სახსრები, რომელიც ქვეყნის კვოტის სიდიდეა და 100%-ს შეადგენს, შეიძლება მიღებულ იქნას ოთხი ტრანშის შესაბამისად კვოტის 25%-ის სახით. ყოველი ტრანში შეესაბამება საკრედიტო წილს. ყოველი საკრედიტო წილის გაცემა განსაზღვრული პირობების შესრულებას მოითხოვს. ამასთან, პირობების სამკაცრე მატულობს პირველიდან შემდეგ კრედიტებზე გადასვლისას.

სარეზერვო კრედიტებზე შეთანხმება, ანუ „სტენდ-ბაი“ შეთანხმება ვარაუდობს, რომ ფონდის განსაზღვრული მაკროეკონომიკური პირობების

დაკმაყოფილების შემდეგ შეიძლება მიიღოს მოლაპარაკებული თანხა ნებისმიერ დროს შეთანხმების მოქმედების განმავლობაში, რაც სსფ-ს საკრედიტო ხაზის გახსნის ეკვივალენტია ქვეყნისათვის.

გაფართოებული და დამატებითი დაფინანსების მექანიზმი (EFF და SFF) საშუალოვადიანი პროგრამების დაკრედიტებას გულისხმობს საგადასახდელო ბალანსთან დაკავშირებული სირთულეების დაძლევის მიზნით, რაც მაკროეკონომიკურ პრობლემებს იწვევს. ამგვარი კრედიტების მოთხოვნისას ქვეყანამ უნდა ჩამოაყალიბოს თავისი პროგრამა სირთულეების დასაძლევად და კრიზისიდან გამოსასვლელად. კრედიტები გაიცემა, თუ ფონდი მოიწონებს პროგრამას. დამატებითი დაფინანსების მექანიზმი განსხვავდება გაფართოებულისაგან იმით, რომ იგი ვარაუდობს დაფინანსებას არა საკუთარი, არამედ ფონდის ნასესხები სახსრებით.

დაფინანსების ჩვეულებრივი მექანიზმების გარდა მოქმედებს *სპეციალური საკომპენსაციო მექანიზმები.* საკომპენსაციო მექანიზმების მიზანია ფონდის მიერ მოწონებული რეფორმების მხარდაჭერა, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის სიძნელეების გადალახვა, საექსპორტო ამონაგებიდან დანაკარგების და წევრი ქვეყნების სხვა ზარალის კომპენსაცია, რომელიც გამოწვეულია საგარეო, მათზე დამოუკიდებელი გარემოებებით.

სსფ-ს აქვს *საგანგებო დახმარების მექანიზმიც,* რომელიც ფონდის მიერ გაიცემა სტიქიური უბედურებებით დაზარალებული ქვეყნებიდან საქონლის შეძენის ფორმით, რათა გაუმჯობესდეს მათი საგადასახდელო ბალანსი; აგრეთვე დაბალი *შემოლსავლების ქვეყნების დახმარების მექანიზმი* (სარგებლობის უფლება მსოფლიო 72 უღარიბეს ქვეყანას აქვს).

რეკომენდაციებში, რომლებსაც მსესხებელი ქვეყნებისათვის სავალდებულო ხასიათი აქვს, სსფ მხარს უჭერს მონეტარისტულ პოლიტიკას. მის ჩვეულებრივ მოთხოვნებში შედის ცხრა დებულება-კრიტერიუმი:

1. მოვალეთა მაკროეკონომიკური პოლიტიკა მიმართულია საგადასახდელო ბალანსის აქტიური სალდოს უზრუნველსაყოფად, რომელიც მიიჩნევა ვალის და პროცენტის ძირითადი ნაწილის გადახდის ძირითად ფაქტორად.

2. შიდა მოთხოვნის სტაბილიზაცია სახელმწიფო ხარჯების შეზღუდვის ხარჯზე.

3. სესხების გამოყენება საწარმოო სფეროს დასაფინანსებლად; ვალის ძირითადი ნაწილის და პროცენტის გადახდა საწარმოო სფეროში მიღებული მოგების ხარჯზე.

4. უდეფიციტო (გაწონასწორებული) სახელმწიფო ბიუჯეტის უზრუნველყოფა გაუმართლებელი სახელმწიფო ხარჯების შემცირების და ინფლაციის შეკავების ხარჯზე.

5. ეფექტიანი საგადასახადო პოლიტიკის გატარება, რომელიც ხელს შეუწყობს ინვესტირებისა და მეწარმეობის განვითარებას და უზრუნველყოფს გადასახადების ამოღებას სახელმწიფო ხარჯების დასაფარავად.

6. ფულის მიმოქცევის სტაბილიზაცია, რაც ვარაუდობს დევალვაციის გატარებას, ცილკეულ შემთხვევებში კი — ფულად რეფორმას.

7. საბაზრო მექანიზმების და კონკურენციის, როგორც სახალხო მეურნეობის კონკურენტუნარიანობის დონის ამაღლების საშუალების, მაქსიმალური გამოყენება; ფასებსა და ხელფასებზე კონტროლის მოხსნა, თავისუფალი დაშვება შიდა ბაზარზე და კონკურენცია იმპორტული საქონლის მხრიდან;

8. ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნის განხორციელება, რაც საფუძველს შექმნის გრძელვადიანი განვითარებისთვის. ამ ღონისძიებების სისტემაში შედის: სამრეწველო საწარმოთა განსახელმწიფოება და მათი გადასვლა საბიუჯეტოდან საკრედიტო დაფინანსებაზე; საექსპორტო დარგების განვითარება როგორც საგადასახადო სტიმულებით, ისე დევალვაციით, რაც აამაღლებს საექსპორტო პროდუქციის ეფექტიანობას, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოდინების ხელშეწყობა დაბეგვრის დონის შემცირებითა და მოგების გატანაზე გარანტიის გაცემით.

9. პოლიტიკური ხელისუფლების სტაბილურობის უზრუნველყოფა, რადგან ხელისუფლების შეცვლას თან სდევს სესხების ჩათვლით საგარეო ვალდებულებათა მემკვიდრეობის საკითხების გადაწყვეტა.

სსფ თავისი რეკომენდაციების შემუშავებისას ხელმძღვანელობს მონეტარული კონცეფციით, რომელიც ემყარება ურთიერთდამოკიდებულებებს, ერთი მხრივ, ქვეყნის ფულადი მასის სიდიდეს, ერთობლივი მოთხოვნის მოცულობას და, მეორე მხრივ, საგადასახდელო ბალანსის მდგომარეობას შორის. საგადასახდელო ბალანსის გაუწონასწორებლობის ძირითად მიზეზად ფონდი მიიჩნევს ქვეყანაში არსებული ჭარბი ერთობლივი გადახდისუნარიანი მოთხოვნის არსებობას, რომელიც უპირველეს ყოვლისა გამოწვეულია სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტით და ფულადი მასის უზომო ზრდით.

ეს კონცეფცია უკანასკნელ წლებში მწვავე კრიტიკის საგნად იქცა არა მარტო მისი სამეცნიერო საფუძვლიანობის არასაკმარისობის, არამედ პრაქტიკაში მისი მრავალრიცხოვანი ჩავარდნის გამო. ბევრი ქვეყანა (მაგ. მექსიკა), სრულად ასრულებს სსფ-ს ყველა მოთხოვნას და რეკომენდაციას, თუმცა ხშირად ვარდება მძიმე სიტუაციაში. ამასთან, სსფ-მ ვერ შეძლო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სავალუტო-საფინანსო კრიზისის შეჩერება, რომელიც ლამის მსოფლიო კრიზისში გადაიზარდა. ამ წარუმატებლობის

მიზეზი არის ის, რომ სსფ ძველებურად ცდილობს გლობალური პრობლემების ლოკალური მეთოდით გადაჭრას.

სსფ-მ ჯერჯერობით ვერ შეძლო მსოფლიო სავალუტო სისტემის რეგულირების პოლიტიკის შემუშავება კაპიტალის კოლოსალური ნაკადების მოძრაობის, FOREX ტიპის გლობალური კომპიუტერული ქსელის და თავისუფლად გადანაცვლებადი ტრანსნაციონალური კაპიტალის პირობებში. ამ კრიტიკის ზემოქმედებით სსფ დიდ ძალისხმევას მიმართავს მსოფლიოს ახალი სავალუტო-საფინანსო არქიტექტურის ასაგებად. „ახალ არქიტექტურაში" მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საკრედიტო და საფინანსო პოლიტიკის გამკაცრების საკითხს, რომელსაც სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

გამჭვირვალობის და ანგარიშგების საკითხების მუშა ჯგუფმა, რომელიც მსოფლიოს 22 ყველაზე განვითარებული ქვეყნის ინიციატივით შეიქმნა, სსფ-ს მიაწოდა რეკომენდაცია 1998 წლის ოქტომბერში, ზედამხედველობა განეხორციელებინა მისი ფუნქციის ფარგლებში ფონდის წევრი ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაზე, რამდენადაც კონკრეტული ქვეყნის ეკონომიკა პასუხობს საერთაშორისო პრაქტიკაში აღიარებულ სტანდარტს ინფორმაციის გახსნილობაზე. 1999 წელს სსფ-მ მიიღო პროექტი „ფულად-საკრედიტო და საფინანსო პოლიტიკის გამჭვირვალობის მიმართ არსებული პრაქტიკის გამოყენების კოდექსის შესახებ", რომლის დებულებების შესრულება სავალდებულოა სსფ-ს წევრი-ქვეყნებისათვის. კოდექსის მიხედვით „გამჭვირვალობა განისაზღვრება როგორც გარემო, რომელშიც პოლიტიკის მიზნები, მისი სამართლებრივი, ინსტიტუციური და ეკონომიკური საზღვრები, პოლიტიკის სფეროში არსებული გადაწყვეტილებები, მათი საფუძვლები, მონაცემები და ინფორმაცია, დაკავშირებული ფულად-საკრედიტო და საფინანსო პოლიტიკასთან, ასევე სააგენტოების ანგარიშგების პირობები საზოგადოებას წარედგინა გასაგები, ხელმისაწვდომი და დროული პრინციპების დაცვით". ამ შემთხვევაში ტერმინი „სააგენტო" გულისხმობს სახელმწიფო ორგანოს, რომელსაც აკისრია პასუხისმგებლობა საფინანსო და საგადასახდელო სისტემის რეგულირებაზე, ასევე მათზე ზედამხედველობა და კონტროლი.

„გამჭვირვალობის" ძირითად ელემენტებად გვევლინება „მონაცემების გავრცელების სპეციალური ნორმები", რომლითაც სსფ-ს წევრ-ქვეყნებს მიმართავენ წარმოადგინონ „დეტალური და სანდო მონაცემები ეროვნულ ეკონომიკაზე და ფინანსებზე", შესაბამისი სტატისტიკური მონაცემებით, საერთაშორისო რეზერვებზე და საგარეო დავალიანებაზე ინფორმაციით, მაკროეკონომიკური მაჩვენებლებით და ა. შ. ასევე, „ღია სიანფორმაციო

მიმოხილვა" ცალკეული წევრი—ქვეყნების ეკონომიკის და ფინანსების მდგომარეობაზე, რომელსაც ამზადებს სსფ დაინტერესებული ქვეყნის მიერ წარდგენილ ინფორმაციაზე დაყრდნობით. თითოეული მიმოხილვა ორი ნაწილისაგან შედგება: კონკრეტული ქვეყნის ეკონომიკასა და ფინანსებზე საერთო მონაცემები და სსფ-ს მმართველი საბჭოს შეფასება მოცემული ქვეყნის მთავრობის მიერ გატარებული ეკონომიკური და საფინანსო პოლიტიკის ეფექტიანობაზე. 1999 წლის სექტემბრის მდგომარეობით 44 ქვეყანაზე იყო მომზადებული „ღია საინფორმაციო მიმოხილვა".

„ახალი არქიტექტურის" აშენების გეგმაში სსფ-ს მიერ შემუშავებელია „კრიზისების შეჩერების ახალი ინსტრუმენტი" — „მიზნობრივი კრედიტების ხაზი" (მკხ), რომელიც ფონდის ცილკეულ წევრ-ქვეყანას აძლევს სტაბილურობის შენარჩუნების საშუალებას მსოფლიოში ფინანსური მდგომარეობის მთლიანად გაუარესების პირობებში.

მკხ გვევლინება როგორც მოკლევადიანი დაფინანსება სსფ-ს წევრი-ქვეყნების საგადასახდელო ბალანსის ეფექტიანი შენარჩუნების პრევენციული ღონისძიების სახით, კაპიტალის საერთაშორისო ბაზარზე მდგომარეობის მოულოდნელი და არახელსაყრელი ცვლილებების შემთხვევაში.

როდესაც სსფ-ს წევრი-ქვეყანა მიმართავს შუამდგომლობას მიზნობრივი კრედიტების საშუალებების გამოყენებისათვის, სსფ ამზადებს სპეციალურ „აქტივაციურ" გადაწყვეტილებას, რომელიც ამტკიცებს, რომ ქვეყანა წარმატებით ასრულებს ეკონომიკურ და ფინანსურ პროგრამას, მაგრამ მისგან დამოუკიდებელი გარემოებების გამო განიცდის დროებით სიძნელეებს, რაც გამოწვეულია საერთაშორისო საფინანსო ბაზარზე მდგომარეობის ცვლილებით და ამასთან დაკავშირებით საჭიროებს დამატებით რესურსებს.

ფინანსური ასიგნაციები მიზნობრივი კრედიტის ფარგლებში 300-დან 500%-მდე შეადგენს კონკრეტული ქვეყნის კვოტის მიხედვით ფონდში.

სსფ-სთან მჭიდრო კონტაქტში საერთაშორისო საფინანსო სისტემის არქიტექტურის აშენებლობაზე მუშაობს მსოფლიო ბანკი, რომელიც ყოველწლიურად მლრდ აშშ დოლარს გამოყოფს იმ საკითხების გადასაწყვეტად, როგორიცაა სახელმწიფო სამსახურის ფორმირება, საბანკო-საფინანსო და საგადასახადო-საბიუჯეტო სექტორში მართვის სრულყოფა, სხვადასხვა ქვეყნებში სამართლებრივი და სასამართლო რეფორმის განვითარება.

სსფ-მა და მკ-მა გამიჯნეს თავიანთი ფუნქციები და პასუხისმგებლობის ზონები საფინანსო ბაზრებზე დესტაბილიზაციასთან უფრო ეფექტიანი ბრძოლის და 1997-1998 წწ. აზიური კრიზისის ანალოგიური კრიზისების დაძლევის მიზნით.

სსფ ახლა პასუხს აგებს ქვეყნების ფინანსურ სტაბილიზაციაზე, რომელთაც წარუდგენს კრედიტს და ამ ქვეყნებში ეკონომიკური ზრდისათვის პირობების შექმნაზე. ეს დაფიქსირებულია სსფ-ს დირექტორ-განმკარგულებლის ხორსტ კოლერის და მსოფლიო ბანკის პრეზიდენტ ჯეიმს ვულფენსონის 2000 წლის 7 სექტემბრის მიმართვაში. ამგვარად, ფონდის პასუხისმგებლობის ზონად გახდება საფინანსო და საგადასახადო პოლიტიკა. მსოფლიო ბანკი თავის საქმიანობას წარმართავს ღარიბ ქვეყნებზე. ეს ძალისხმევა მიმართული იქნება რადიკალური სტრუქტურული გარდაქმნებისაკენ, რომელიც ქვეყნებს პერმანენტული საბიუჯეტო კრიზისიდან გამოსვლის საშუალებას მისცემს.

სსფ-ს და მისი პროექტების შესახებ ახალი ინფორმაცია შეიძლება მივიღოთ საიტზე www. imf. org.

საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების გვერდით მნიშვნელოვან როლს თამაშობს *საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი* (საბ), რომელიც ჯერ კიდევ 1930 წელს დაარსდა. მასში ამჟამად 33 ქვეყანა შედის, მათ შორის დასავლეთ ევროპის ყველა ქვეყანა, აღმოსავლეთ ევროპის 6 ქვეყანა, აშშ, იაპონია და სხვ. საბ ატარებს კომერციულ ოპერაციებს ამ ქვეყნების ბანკებთან, ორგანიზებას უკეთებს სავალუტო თანამშრომლობის და თვითონ აქტიურად მონაწილეობს მასში. საბ, მართალია, სახელმწიფოთაშორის ინსტიტუტად გვევლინება, მაგრამ ფუნქციონირებს წმინდა კომერციულ საფუძველზე, როგორც აქციონერული საზოგადოება, იხდის რა დივიდენდებს აქციებზე. მისი აქციების დიდი ნაწილი ეკუთვნის ევროპულ ცენტრალურ ბანკებს.

საერთაშორისო საფინანსო ურთიერთობებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპულ ბანკს (რგებ), რომელიც, ხშირ შემთხვევაში, რგმბ-ს ევროპულ ანალოგად გვევლინება და განვითარების ისლამური ბანკი, რომელიც 47 მუსლიმურ სახელმწიფოს აერთიანებს და მათ განვითარებაზე ზემოქმედებს.

დასასრულს მოვიყვანოთ მნიშვნელოვანი საერთაშორისო რეგიონული ბანკების, ფონდების და საფინანსო ორგანიზაციების ჩამონათვალი.

რეგიონული ბანკები:

ევროპული საინვესტიციო ბანკი (ესბ);
განვითარების აზიური ბანკი (გაბ);
არაბულ-აფრიკული საერთაშორისო ბანკი (აასბ);
განვითარების აფრიკული ბანკი (გაფბ);
ცენტრალური აფრიკის სახელმწიფოების განვითარების ბანკი (ცასგბ);

განვითარების დასავლეთაფრიკული ბანკი (გდბ);
განვითარების კარიბული ბანკი (გკბ);
ლათინოამერიკული საექსპორტო ბანკი (ლასბ);
განვითარების ამერიკათაშორისი ბანკი (გაბ);
ეკონომიკური ინტეგრაციის ცენტრალურამერიკული ბანკი (ეიცაბ);
არაბულ-ლათინოამერიკული ბანკი (ალბ);

რეგიონული ფონდები და საფინანსო ორგანიზაციები:

კარიბის საინვესტიციო ფონდი (კსფ);
ანდის სარეზერვო ფონდი (ასფ);
არაბული სავალუტო ფონდი (ასფ);
ეკონომიკური და სოციალური განვითარების არაბული ფონდი (ესგაფ);
ნექო-ის სპეციალური ფონდი;
სავალუტო კვლევების აფრიკული ცენტრი (სკაფ);
ცენტრალური აფრიკის სავალუტო კავშირი (ცასკ):
ევროპული სავალუტო სისტემა (ესს);
დასავლეთაფრიკული სავალუტო კავშირი (დსკ);
ფრანგული ბანკის ზონა (ფბზ);
კარიბის საინვესტიციო კორპორაცია (კსკ);
განვითარების ანდის კორპორაცია (გაკ);
ჩრდილოეთის საინვესტიციო ბანკი (ჩსბ);
ამერიკათაშორისი საინვესტიციო კორპორაცია (ასკ).

16.5. საერთაშორისო ორგანიზაციები მსოფლიო ვაჭრობის სისტემაში

საგარეო ეკონომიკური სავაჭრო ურთიერთობების რეგულირებისას ქვეყნები იყენებენ მრავალფეროვან მექანიზმებს: საიმპორტო და საექსპორტო ტარიფებს; ექსპორტისა და იმპორტის კვოტებს, ლიცენზირებას, სუბსიდირებას, რითაც თავიანთი მწარმოებლებს, მსოფლიო ბაზარზე კონკურენციულ უპირატესობებს უქმნიან და ა. შ. ქვეყნებს შორის ურთიერთობები ჩვეულებრივ რეგულირდებოდა ორმხრივი შეთანხმებებით. უეჭველია, ეკონომიური და ეფექტიანია დაამყარო ზოგიერთი საერთო საავჭრო შეთანხმება, რომელსაც ყველა ქვეყანა უპერს მხარს.

ამგვარ დასკვნამდე ქვეყნები ჯერ კიდევ 20-30-იან წლებში მივიდნენ. 1920 წლიდან 1933 წ.-მდე ხუთი მსოფლიო ეკონომიკური კონფერენცია ჩატარდა, რომლებზეც მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო საგარეოსა-

ვაჭრო ურთიერთობებს. ეს პროცესი შეფერხდა მეორე მსოფლიო ომის გამო. მისი დამთავრების შემდეგ, 1948 წლიდან ფუნქციონირება დაიწყო ტარიფებისა და ვაჭრობის გენერალურმა შეთანხმებამ (ტვგშ). 1995 წ. 1 იანვრიდან იგი გადაკეთდა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციად (ვმო).

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია (WTO) — მუდმივმოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციაა. ტვგშ-გან განსხვავებით იგი გაეროს სისტემის სპეციალიზებული დაწესებულებაა.

ვმო წარმოგვიდგება როგორც ორგანიზაცია და იმავდროულად სამართლებრივი დოკუმენტების კომპლექსი, თავისებური მრავალმხრივი ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს მთავრობების უფლება-მოვალეობებს საქონლითა და მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში. ვმო-ს წევრებად გვევლინება 132 სახელმწიფო და კიდევ 32 ქვეყანა, მათ შორის ჩინეთი, რუსეთის ფედერაცია, საუდის არაბეთი, ემზადებიან მასში შესასვლელად. ვმო-ს წევრთა შორის 32 განვითარებული და 100 განვითარებადი ქვეყანაა.

ვმო-ს მიზანია საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაცია და მისთვის მდგრადი საფუძვლების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფენ ეკონომიკურ ზრდას და განვითარებას, ხალხის კეთილდღეობის ამაღლებას. ეს მიიღწევა, ნაწილობრივ, წესებისა და შეთანხმებების შემუშავებით და დადგენით, რომელიც წევრ-ქვეყნებს შორის ვაჭრობას ეხება და ნაწილობრივ მოლაპარაკების გზით, რომელიც იწვევს საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობის შემდგომ ლიბერალიზაციას.

ვმო-ს საქმიანობის ძირითად მიმართულებად გვევლინება:

- კონტროლი იმ მრავალმხრივი სავაჭრო შეთანხმებების გადაწყვეტილების მიღებასა და გამოყენებაზე, რომლებიც ვმო-ს სამართლებრივ ბაზას შეადგენენ.
- ფორუმის როლის შესრულება მრავალმხრივი სავაჭრო მოლაპარაკებების ჩასატარებლად.
- წევრ ქვეყნებს შორის სავაჭრო დავების რეგულირება;
- დაკვირვება წევრი ქვეყნების სავაჭრო პოლიტიკაზე;
- ინფორმაციის მოპოვება, შესწავლა და მიწოდება საერთაშორისო ვაჭრობისა და სავაჭრო პოლიტიკის განვითარებისა და გამოყენების მექანიზმების საკითხებზე.

ვმო-ს შეთანხმება მოიცავს საერთაშორისო სავაჭრო პოლიტიკის პრაქტიკულად ყველა სფეროს და საერთაშორისო კომერციული პრაქტიკის მნიშვნელოვან ნაწილს, კერძოდ:

- საბაჟო-სატარიფო რეგულირებას;
- ანტიდემპინგურ რეგულირებას და საკომპენსაციო ბეგარის გამოყენებას;
- სუბსიდიებისა და საკომპენსაციო ზომების გამოყენებას;
- არასატარიფო შეზღუდვებს;
- ექსპორტისა და იმპორტის რაოდენობრივ რეგულირებასა და ლიცენზირებას, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვას;
- სახელმწიფო სავაჭრო საწარმოების საქმიანობას;
- საბაჟო კავშირებს და თავისუფალი ვაჭრობი ზონებს;
- საბაჟო ფორმალობებს, მოსაკრებლებს, საგარეო სავაჭრო დოკუმენტაციისადმი მოთხოვნებს;
- შიდა გადასახადებს, მოსაკრებლებს, შიდა ვაჭრობასთან დაკავშირებულ წესებს;
- დამცავ ზომებს ვაჭრობაში;
- ტექნიკურ ბარიერებს ვაჭრობაში;
- სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ ზომებს;
- საქონლის წარმოშობის ზომებს;
- მომსახურებით ვაჭრობას;
- ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის სავაჭრო ასპექტებს, ყალბი საქონლით ვაჭრობის ჩათვლით;

საერთაშორისო ვაჭრობისა და სავაჭრო პოლიტიკის რეგულირების სფეროში ვმო-ს უმნიშვნელოვანესი პრინციპები შემდეგია:

უპირატესი ხელშეწყობის ანუ დისკრიმინაციის უარყოფის პრინციპი. ეს პრინციპი მოითხოვს, რომ ნებისმიერი უპირატესობა, პრივილეგია, შეღავათი ან იმუნიტეტი, რომელსაც ანიჭებს ნებისმიერი წევრი ქვეყანა სხვა ქვეყნებიდან წარმოშობილ ან ნებისმიერი სხვა ქვეყნისთვის გამიზნულ ნებისმიერ პროდუქტს, გავრცელდეს დაუყოვნებლივ და უპირობოდ სხვა წევრი ქვეყნიდან წარმოშობილ და ყველა სხვა წევრი ქვეყნისთვის გამიზნულ ანალოგიურ პროდუქტზე.

ეროვნული რეჟიმის პრინციპი. ეს პრინციპი ადგენს, რომ წევრმა ქვეყნებმა უცხოური წარმოშობის საქონელს უნდა მიანიჭონ იგივე რეჟიმი, რაც ეროვნულ საქონელს შიდა გადასახადებისა და მოსაკრებლების სფეროში, ასევე ვაჭრობის მარეგულირებელ ეროვნულ კანონებთან, განკარგულებებთან და წესებთან დაკავშირებით.

ეროვნული მრეწველობის დაცვის პრინციპი. ეს პრინციპი გულისხმობს, რომ იმპორტზე ტარიფების გზით, ეროვნული მრეწველობის განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე, ქვეყანას შეუძლია განახორციელ-

ლოს დაცვა, რომელიც დაეფუძნება საბაჟო ტარიფებს და არა სხვა სავაჭრო-პოლიტიკურ ზომებს, რაოდენობრივი (კვოტების) შეზღუდვების, სტანდარტების და ა. შ. ჩათვლით.

ვაჭრობის საფუძვლების მდგრადობის შექმნის პრინციპი. ამ პრინციპის დაცვა უზრუნველყოფილია მოლაპარაკების მხარეებს შორის შეთანხმებული სატარიფო დონეების დაცვის აუცილებლობით. ეს გულისხმობს, რომ ტარიფები უნდა შემცირდეს მრავალმხრივი მოლაპარაკებების გზით და არ უნდა გაიზარდოს.

სამართლიანი კონკურენციის ზემოქმედების პრინციპი. საუბარია სუბსიდიების შემცირებისა და დემპინგის დაუშვებლობის შესახებ.

ვმო-ს უმაღლესი ორგანოა კონფერენცია მინისტრების დონეზე (Ministrial Conference), რომელიც იკრიბება ორ წელიწადში ერთხელ.

ვმო-ს მიმდინარე სამუშაოებზე პასუხისმგებელია გენერალური საბჭო, რომელიც შედგება ვმო-ს წევრების წარმომადგენლებისაგან. გენერალური საბჭო ფუნქციების დელეგირებას აკეთებს სამ საბჭოზე: საქონლით ვაჭრობის საბჭოზე, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სავაჭრო ასპექტების საბჭოსა და მომსახურებით ვაჭრობის საბჭოზე.

პერსპექტივაში ვმო-ს მიზნების განსაზღვრისას პირველხარისხოვნად ისახება საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობის შემდგომი ლიბერალიზაცია სავაჭრო წესების სრულყოფის გზით. პრობლემა, უპირველეს ყოვლისა, მდგომარეობს ამ მიზნის არაერთგვაროვან გაგებაში: ქვეყნების ერთი ჯგუფი არ ავლენს დაინტერესებას თავისი ვალდებულებების ზრდისადმი ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით, რაც „ურუგვაის რაუნდით" არის მიღებული, მაშინ, როდესაც ქვეყნების მეორე ჯგუფი მომხრეა დაჩქარდეს და გაფართოვდეს საბაჟო ტარიფების შემცირება, დამუშავდეს მომსახურების პროფესიული სახეები (იგულისხმება ექიმების, იურისტების, მსახიობების, მეცნიერების და ა. შ. მომსახურება), ვაჭრობის ლიბერალიზაციის შესაძლებლობები, მეტად მოხდეს ტექნიკური სტანდარტების ჰარმონიზება და გამარტივდეს საქონლის წარმოშობის განსაზღვრის წესები.

რუსეთისთვის, პრინციპში, ხელსაყრელია, ვმო-ში შესვლა. თუმცა, ამის შემდეგ აუცილებელი იქნება შიდა ბაზრის დაცვის მექანიზმების მნიშვნელოვანი შესუსტება. კერძოდ, საჭირო იქნება საბაჟო გადასახადების შემცირება. ამ საკითხში ვმო-სთან მოლაპარაკებების დროს თავი იჩინა აზრთა სახვადასხვაობამ. რუსეთის მხარის წინადადებაა ბაზად, რომლის მიმართაც უნდა შემცირდეს გადასახადები, აიღონ 1990 რეფორმამდელი წელი, ხოლო ზოგიერთი სხვა ქვეყნის წარმომადგენლები რუსეთის დამოუკიდებლობის პირველ წელს — 1992 წელს — ასახელებენ. მაგრამ ამ

წელს რუსეთის ეკონომიკა პრაქტიკულად აბსოლუტურად გახსნილი იყო და ამ წლის ბაზად აღება უკიდურესად არახელსაყრელია რუსეთისათვის. მხარეები კომპრომისს ეძებენ, თუმცა რუსეთის ვმო-ში შესვლა არცერთი მხარისათვის ეჭვის საგანს არ წარმოადგენს.

გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენცია (UNCTAD) შეიქმნა 1964 წელს და დაკავებულია საერთაშორისო ვაჭრობის, საქონლის ტრანსპორტირებისა და სავაჭრო ოპერაციების დაფინანსების პრობლემებით. მისი წევრია გაეროს 185 წევრი ქვეყანა.

UNCTAD-ის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

1. ქვეყნებს შორის სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირება, მსოფლიო ვაჭრობის კონცეფციებისა და პრინციპების შემუშავება.

2. ნედლეულით საერთაშორისო ვაჭრობის რეგულირების ღონისძიებების შემუშავება. საბოლოო მიზანს წარმოადგენს მსოფლიო ბაზრებზე ფასების სტაბილურობა.

3. სავაჭრო პოლიტიკისა და ეკონომიკური თანამშრომლობის საშუალებების ღონისძიებების შემუშავება.

4. განვითარებად ქვეყნებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებაზე ზემოქმედება.

5. ინფორმაციული და ანალიზური სამუშაოების წარმოება პრობლემათა ფართო წრესთან დაკავშირებით.

გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენცია გამოსცემს ყოველწლიურ მოხსენებებს მსოფლიო ვაჭრობის მდგომარეობის და მასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ, რაც უეჭველად საინტერესოა ყველასთვის, ვინც დაინტერესებულია მსოფლიო ეკონომიკის განვითარებით. ვებ-გვერდი: www. uncdat. org წარმოადგენს უაღრესად სასარგებლო ინფორმაციის წყაროს, რის გამოყენებასაც აუცილებლად გირჩევთ.

UNCTAD-ის უმაღლესი ორგანოა კონფერენცია (უნდა განვსაზღვროთ ორი ცნება: კონფერენცია, როგორც თვით ორგანიზაციის დასახელება და კონფერენცია, როგორც უმაღლესი ორგანოს დასახელება). კონფერენცია იკრიბება სესიაზე ოთხ წელიწადში ერთხელ, მინისტრების დონეზე, პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრისა და სამუშაო პროგრამასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის მიზნით. სულ ჩატარებულია 10 სესია.

UNCTAD-ის სესიები წარმოადგენს მრავალმხრივ ეკონომიკურ ფორუმებს, რომლებიც ტარდება გაეროს სისტემის ფარგლებში. UNCTAD-ის გადაწყვეტილებების უმრავლესობა, განსახილველი საკითხების არსიდან

გამომდინარე, შესასრულებლად აუცილებელი არაა და სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს.

საერთაშორისო სავაჭრო ცენტრი UNCTAD/WTO წარმოადგენს გაეროსა და ვმო-ს დამხმარე ორგანოს, რომელიც მოქმედებს UNCTAD-ის საშუალებით. მისი ძირითადი ფუნქციაა კოორდინაცია. ეს საშუალებას იძლევა გაიზარდოს ფონდების საშუალებების გამოყენების ეფექტიანობა.

გარდა ზემოჩამოთვლილი კომპლექსური სავაჭრო ორგანიზაციებისა, არსებობს რიგი სპეციალური ორგანიზაციების, რომლებიც არეგულირებს ცალკეულ სასაქონლო ბაზრებს (ნახ. 16.4. იხ. გვ. 566).

მსოფლიო სასაქონლო ბაზრების მარეგულირებელი სამთავრობათაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც საერთაშორისო სასაქონლო ორგანიზაციებად (სსო) იწოდებიან, შემდეგია:

- საერთაშორისო ორგანიზაციები;
- საერთაშორისო საბჭოები;
- საერთაშორისო საკონსულტაციო კომიტეტები;
- საერთაშორისო კვლევითი ჯგუფები.

საერთაშორისო ორგანიზაციების მიზანია დაკვირვება საერთაშორისო სასაქონლო შეთანხმებების რეალიზაციაზე, აგრეთვე მსოფლიო სასაქონლო ბაზრების მდგომარეობის შესწავლა და იმ პრობლემების განხილვა, რომლებიც დაკავშირებულია კონკრეტულ ბაზრებზე მოთხოვნა-მიწოდებას შორის თანაფარდობასთან და რეკომენდაციების შემუშავება წევრი ქვეყნების მთავრობებისათვის (საერთაშორისო საკონსულტაციო ორგანიზაციები და საერთაშორისო კვლევითი ჯგუფები). საერთაშორისო სასაქონლო ორგანიზაციების საქმიანობა გარკვეულწილად ზღუდავს ზოგიერთი ნედლეულის მწარმოებელი ქვეყნის მხრიდან ცალმხრივი მოქმედებების შესაძლებლობებს, ეწინააღმდეგება ექსპორტიორთა კარტელის ტიპის საერთაშორისო გაერთიანების შექმნას.

კარტელის ტიპის ძალიან მნიშვნელოვანი საერთაშორისო გაერთიანების მაგალითს წარმოადგენს ნავთობის მწარმოებლებისა და ექსპორტიორების ორგანიზაცია (ნეკო). იგი აკონტროლებს ნავთობის ბაზრის დიდ ნაწილს და ნავთობის მოპოვების მოცულობის შესახებ მასში შემავალი ქვეყნების შეთანხმებები პრაქტიკულად განსაზღვრავს მსოფლიო ბაზრის ფასებს. ნავთობის იმპორტიორი განვითარებული ქვეყნები მუდმივად ზეწოლას ახდენენ ნეკო-ზე იმ მიზნით, რომ მიაღწიონ ნავთობის მოპოვების გაზრდის გადაწყვეტილების მიღებას. განსაკუთრებული სიმწვავე ამ საკითხმა შეიძინა 2000 წლის შემოდგომაზე, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში „ბენზინის კრიზისთან" დაკავშირებით.


მსოფლიო სასაქონლო ბაზრების მარეგულირებელი საერთაშორისო ორგანიზაციები
მსოფლიო სასაქონლო ბაზრების მარეგულირებელი მრავალმხრივი მთავრობათაშორისი ორგანიზაციები
ნედლეულის მწარმოებელი და ექსპორტიორი ქვეყნების სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციები
საერთაშორისო სასაქონლო ორგანიზაციები
საერთაშორისო ორაგნიზაციები
კაკაოს
ყავის
ნატურალური კაუჩუკის
შაქრის
ტროპიკული მერქნის
საერთაშორისო საბჭოები
ზეითუნის ზეთის
ზეთისხილის
მარცვლეულის
ჯუთის
საერთაშორისო საკონსულტაციო კომიტეტეტი
ბამბის
UNCDAT-ის ვოლფრამის კომიტეტი
საერთაშორისო კვლევითი ჯგუფები
კაუჩუკის
ტყვიის და თუთიის
ნიკელის
სპილენძის
საერთაშორისო სამუშაო ჯგუფები:
ბანანის
ციტრუსების
თევზის
მარცვლეულის
მაგარი ბოჭკოს
ტყავის და კანის
ხორცის
ზეთის თესლის და ცხიმის
ბრინჯის
ჩაის

ჩვენი რეკომენდაციები ფინანსურ-ეკონომიკურ საქმიანობის მარეგულირებელ საერთაშორისო ორგანიზაციებთან დაკავშირებით.

1. გაეროს ეგიდით მსოფლიო ეკონომიკური წესრიგი შედგება სამი გიგანტისაგან. ესენია: საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია.

2. საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ-ს) ძალისხმევა მიმართულია სავალუტო-ფინანსური სფეროს სტაბილურობის მხარდასაჭერად. ამისათვის ის განსაზღვრული აზრით აკონტროლებს იმ ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკას, რომლებსაც ის ეხმარება, მოითხოვს რა მათგან ბიუჯეტებისა და სსფ-ის რეკომენდაციების შესრულების ინფორმაციულ გამჭვირვალობას. წარმატებული დამოკიდებულება სსფ-სთან წარმოადგენს სიგნალს ყველა ინვესტორისათვის ქვეყნის მდგომარეობისა და ინვესტიციების გარანტიების შესახებ.

3. მსოფლიო ბანკის ჯგუფი ძალისხმევის კონცენტრირებას ახდენს უღარიბესი ქვეყნების დახმარებაზე.

4. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია (ვმო) არეგულირებს საქონლითა და მომსახურებით მსოფლიო ვაჭრობას, ცდილობს რა მიაღწიოს მის მაქსიმალურ ლიბერალიზაციას მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე, თუმცა არა ყოველთვის ეროვნული მწარმოებლების ინტერესების სასრგებლოდ.

კომპიუტერული გრაფიკა: *თამარ ბარათაშვილი*
გამომცემლობის რედაქტორი: *მარიამ ჯანიკაშვილი*
ტექნიკური რედაქტორი: *მარინე პაპუჩელაშვილი*

წიგნი დაიბეჭდა გამომცემლობა „ვერჟე“-ს სტამბაში.

ტირაჟი 400